თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების კრებული

VIII

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

ნ. არევაძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ვლ. პაპავა, რ. სარჩიმელია, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თბილისი 2015

UDC (უაკ) 061.62: 33(479.22)(045)
პ - 121

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ISSN 1987 – 6904

ISBN 978-9941-13-495-1

PROCEEDINGS OF SCIENTIFIC WORKS

OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

VIII

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, Sh. Gogiashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, R. Sarchimelia

TBILISI 2015

UDC (უაკ) 061.62: 33(479.22)(045)
ვ – 121

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

ISSN 1987 – 6904

ISBN 978-9941-13-495-1

წინასიტყვაობა

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში წლების განმავლობაში მეცნიერების მიმართ მთავრობის დამოკიდებულება არ იყო ობიექტური, იგი არ შეესაბამებოდა ქვეყნის განვითარებს ინტერესებს. ეკონომიკურმა დაქვეითებამ და ამ სფეროში წინა ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი: მოიშალა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; წლების განმავლობაში მხოლოდ მეცნიერებს ჰქონდათ ყველაზე დაბალი (სიმბოლური) ხელფასი; კატასტროფულად შემცირდა მეცნიერთა რაოდენობა, ბევრმა მოწინავე მკვლევარმა თავი დაანება მცნიერულ საქმიანობას და სხვა სფეროში გადავიდა სამუშაოდ, ნაწილი კი წავიდა საზღვარგარეთ; კატასტროფულად გაუარესდა მეცნიერთა ასაკობრივი სტრუქტურა, ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებულნი სამეცნიერო საქმიანობით; მსოფლიოს ქვეყნებიდან საქართველოშია ყველაზე დაბალი მეცნიერების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში და ა.შ.

ამ ვითარების გამოსასწორებლად ახალმა მთავრობამ დაიწყო რეფორმები. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა მეცნიერთა ხელფასების მოწესრიგებაში. თითოეულმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა წარადგინა სამოქმედო გეგმა და შესაბამისი ექსპერტიზის გავლის შემდეგ საქართველოს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა იგი და განახორციელა ხელფასების გარკვეული ზრდა (რაც პირველი ეტაპისათვის მისაღებია, მაგრამ არასაკმარისი). ამჟამად საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები შესაბამის კანონებში, რომლის მიზანია მეცნიერების მოწყობის ინსტიტუციური ბაზის მოწესრიგება.

ბუნებრივია ჩვენმა ინსტიტუტმაც წარადგინა სამოქმედო გეგმა (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**), რომლის ფარგლებშიც დამტკიცდა შვიდწლიანი (2015-2022 წწ.) სამეცნიერო პროგრამა – **"ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში"**. ამ პროგრამის შესაბამისად 2015 წელს შესრულდა გარდამავალი სამეცნიერო თემა – "**ევროინტეგრაციის მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში და საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა".**

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია სწორედ 2015 წლის გარდამავალი თემატიკით შესრულებული ნაშრომები. თემის ფარგლებში დამუშავდა 11 სამეცნიერო პრობლემა: **1.** საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია (შემსრულებელი – ეკონომიკური თეორიისა და მაკროეკონომიკის განყოფილებები, გამგეები – ემდ, პროფ. **ალფრედ კურატაშვილი,** აკადემიური დოქტორი **ნანული არევაძე) 2.** მაკროეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები საქართველოში (შემსრულებელი – მაკროეკონომიკის განყოფილება, გამგე – აკადემიური დოქტორი **ნანული არევაძე**) 3. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული და სტრუქტურული პრობლემები (შემსრულებელი – სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება, გამგე – ემდ, **ვახტანგ ბურდული**) 4. სექტორული ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში (შემსრულებელი – სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება, გამგე – ემდ, **ვახტანგ ბურდული**) 5. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემები (შემსრულებელი – სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება, გამგე – ემდ, **ვახტანგ ბურდული**) 6. ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში (შემსრულებელი – ბიზნესის პრებლემათა კვლევის განყოფილება, გამგე – ემდ, პროფ. **გიორგი ბერულავა**) 7. საფინანსო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში (შემსრულებელი – ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილება, გამგე – აკადემიური დოქტორი **თეა ლაზარაშვილი**) 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და გლობალიზაცია (შემსრულებელი – საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილება, გამგე – აკადემიური დოქტორი **იზა ნათელაური**) 9. სოფლის ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში (შემსრულებელი – სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება, გამგე – ემდ **ვახტანგ ბურდული** და აგრარულ პრობლემათა კვლევის ლაბორატორია, გამგე – **ზურაბ რევიშვილი**) 10. მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში (შემსრულებელი – ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება, გამგე – აკადემიური დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე**) 11. ევროინტეგრაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიული პრობლემები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები

(შემსრულებელი – ეკონომიკური თეორიის განყოფილება, გამგე – ემდ, პროფ. **ალფრედ კურატაშვილი**).

უნდა აღინიშნოს, რომ თემის შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის შესაბამისად ახალთან ერთად, გამოყენებულ იქნა ინსტიტუტში წინა წლებში შესრულებული სამუშაოები (ძირითადად, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ) და მოხდა მათი განახლება და გაძლიერება ევროკავშირის მოთხოვნებისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიულ პრობლემათა გათვალისწინებით.

კვლევის ძირითად შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ გამოკვლეულია პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებები და თავისებურებები ევროკავშირის მოთხოვნათა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიულ პრობლემათა გათვალისწინებით. შეფასებულია მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში და მის ცალკეულ სფეროებში არსებული მდგომარეობა, გამოვლენილია დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებულია შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკური (საერთო, სტრუქტურული, დარგობრივი და რეგიონული) პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით. გადმოცემულია ევროინტეგრაციის მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები საქართველოს ეკონომიკაში. შემოთავაზებულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში. ეს ძირითადი შედეგი დაკონკრეტებულია ცალკეულ პრობლემათა მიხედვით, რომელმაც ასახვა ჰპოვა ინსტიტუტის 2015 წლის ანგარიშგებაში (იხ. ინსტიტუტის ვებ-გვერდი: pgie.tsu.ge).

რამაზ აბესაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ა შ რ ო მ ე ბ ი

პრობლემა 1.

საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია

ვლადიმერ პაპავა

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის არსი და მისი თავისებურებები საქართველოში

შესავალი

მიუხედავად ეკონომიკური მეცნიერების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა, ის ხშირად ჩამორჩებოდა ეკონომიკურ პრაქტიკას და არ იყო მზად პასუხები გაეცა მნიშვნელოვან კითხვებზე, რომელთაც დღის წესრიგში სწორედ ეს პრაქტიკა აყენებდა. ეს "ჩამორჩენა" პრაქტიკულად რამდენიმე წელიწადში დაიძლეოდა, რაც შემდგომში ეკონომიკური განვითარებისათვის ახალ თეორიულ საფუძვლებს ქმნიდა. ამ პრობლემაზე ყურადღებას მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას [1, 2].

ეს პრობლემა კიდევ ერთხელ გამწვავდა, როცა კომუნისტურმა რეჟიმმა კრახი განიცადა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში, ხოლო ეს უკანასკნელი იმავდროულად დაიშალა თხუთმეტ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რამაც კიდევ ერთხელ წამოწია წინა პლანზე ეკონომიკური მეცნიერების უუნარობა მომზადებული შეხვედროდა ახალ გამოწვევებს. აღმოჩნდა, რომ მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა ვერ თავსდება კლასიკური სქემების ფარგლებში [3].

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, ანუ მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის პროცესი ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ფედერაციული წარმონაქმნების (სსრკ-ს, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის) დაშლის შედეგად შეიქმნენ და თანაც შესაბამისი ფედერაციების უშუალო სამართალმემკვიდრეები არ იყვნენ, გართულდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შექმნის ამოცანებით [4; 5, p. 146; 6, p. 252; 7, p. 3].

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სამართლიანადაა მიკუთვნებული მეოცე საუკუნის დასასრულის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენათა ჩამონათვალს [8, p. 137]. მიუხედავად ამისა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ისე დაიწყო, რომ შესაბამისი ეკონომიკური თეორია არ არსებობდა (მაგალითად, [9, c. 301].

ბუნებრივია, რომ პოსტკომუნისტურ საქართველოშიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო ამისათვის რაიმე წინასწარ გააზრებული ეკონომიკური პროგრამის გარეშე, რასაც საფუძვლად ეკონომიკური თეორიის ესა თუ ის პოსტულატები დაედებოდა საფუძვლად. შედეგად, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცის პროცესში არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული.

§ 1. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ორი გზა

საკმაოდ ვრცელი ემპირიული მასალის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე (მაგალითად, [10-12]) შესაძლებელი გახდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ გარკვეულ განზოგადებათა გაკეთება, რომლის საფუძველზეც რეფორმატორები ორ ჯგუფადაა დაყოფილი: "შოკის" მომხრეებად და "გრადუალისტებად" (gradual ინგლისურად ნიშნავს თანდათანობითს), რაც შეესაბამება რეფორმირების ორ ძირითად მიმართულებას (მაგალითად, [13; 14; 15, cc. 49-52].

"შოკური თერაპია" (უმთავრასად რუსული ვერსიით), ან "დიდი აფეთქება", ("Big Bang" [16, p. 116], "Большой удар" [17, c. 12], "Большой рывок" [18, c. 388], "Большой скачок" [19, c. 21]) უმოკლეს ვადებში რადიკალური რეფორმების რიცხვის მაქსიმიზებას გულისხმობს, რომელთა შორის უმთავრესია ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია (ან მინიმიზაცია მაინც) და მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ნომინალური ფულის მასის ან ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებში. "შოკური თერაპია" მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული სცენარის საფუძველზეა შემუშავებული [20, c. 113]. ამასთან წარმატება დიდადაა დამოკიდებული პოლიტიკურ სტაბილურობაზე [21]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "შოკური თერაპია" ე.წ. "ვაშინგტონის კონსენსუსის" იდენტურია [22, c. 42], რაც ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისადმი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიდგომებს უდვა საფუძვლად [23].

"შოკური თერაპია" პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში იქნა გამოყენებული. პოსტკომუნისტურ სივრცეში ეს მეთოდი პირველად პოლონეთმა გამოიყენა [24; 25,

pp. 17-22; 26-28] და შემდგომ სხვადასხვა მოდიფიკაციით და მეტ-ნაკლები წარმატებით არაერთ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაშიც იქნა რეალიზებული.

გრადულისტები გამოდიან თანდათანობითი, ეტაპობრივი გარდაქმნების მომხრეებად [29, cc. 11-16] და "შოკური თერაპიას" აკრიტიკებენ მისი ცალკეული ასპექტების დაპირისპირებულობასა და შეუთავსებლობაზე [30].

გრადულისტთა ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ ითვალისწინებენ *თანდათანობითი რეფორმირების აუცილებელ პირობებს.* კერძოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს *პოლიტიკურ გარანტიებს,* რომლებმაც მოსახლეობის მხრიდან რეფორმების მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს, და ამასთანავე მთავრობას უნდა შეაძლებინოს ეკონომიკურ (და არა მარტო) პროცესებზე კონტროლის შენარჩუნება. მაგალითად, "პერესტროიკის" პერიოდში მყოფ საბჭოთა კავშირში) ეს აუცილებელი პირობა არ (უფრო სწორედ ვერ) შესრულდა [29, cc. 11-16].

მეორე აუცილებელი პირობის თანახმად პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის წარმატებისათვის აუცილებელია რეფორმების *მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა,* და თუ კი ქვეყანას ის არ გააჩნია ის იძულებულია მიმართოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს დახმარებისათვის, რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უპირატესობას ანიჭებენ "ვაშინგტონის კონსენსუსს", ანუ "შოკურ თერაპიას". აქედან გამომდინარე გრადუალისტური მიდგომის განსახორციელებლად, სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნას საკუთარი მნიშვნელოვანი ფინანსური წყაროები უნდა გააჩნდეს.

თანდათანობითი რეფორმირების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი (მაგალითად, [31, pp. 597-607; 32]), სადაც კომუნისტური პარტიის წამყვანი როლია შენარჩუნებული.

პრაქტიკამ დადასტურდა, რომ "შოკური თერაპიას" ყველაზე დიდი წარმატება იმ ქვეყნებში მოაქვს, სადაც რეფორმამდელი ეკონომიკური მდგომარეობა იმდენადაა არადამაკმაყოფილებელი, რომ მოსახლეობა მზადაა გადაიტანოს "შოკი", ოღონდ არსებული პრობლემები იქნას დაძლეული [18, c. 388]. ამის თვალსაჩინო მაგალითს 1994-1995 წლების საქართველო წარმოადგენს (უფრო დეტალურად ეს საკითხი განხილული იქნება ქვემოთ). ასე რომ, "შოკური თერაპიის" მეთოდის წარმატებით განხორციელების ფორმულა ემყარება პარადოქსს: "*რაც უარესია – მით უკეთესია*". მაშასადამე, ქვეყნისთვის, რომელიც უმძიმეს ეკონომიკურ პირობებშია, "შოკური თერაპიის" გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა არ იწვევს რაიმე ეჭვს. შესაბამისად, ასეთი შემთხვევასი შეიძლება ეწოდოს: "*მინიმალური შოკი, მაქსიმალური თერაპიით*" [33, გვ. 54].

პოსტკომუნისტური ეკონომიკური პოლიტიკა "შოკურ თერაპიასა" და გრადუალიზმს შორის არჩევანისას შეგნებით თუ შეუგნებლად ეფუძვნება იმას, თუ რამდენად არის (მაგალითად, [34]), ან არ არის (მაგალითად, [35]) გათვალისწინებული "თანდათანობითი რეფორმირების" ზემოთ მოყვანილი აუცილებელი პირობები.

აღსანიშნავია, რომ "შოკური თერაპიის" ოპონენტები მას, ერთის მხრივ, იქიდან გამომდინარე აკრიტიკებენ, რომ ამ მეთოდის საფუძვლად აღებული მონეტარისტული სქემა უვარგისია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისათვის (მაგალითად, [34; 36, cc. 412-413]), რომ ამ მეთოდს თითქოსდა არაფერი საერთო არ აქვს ნამდვილ მონეტარიზმთან, რომ ის ეყრდნობა "ფალსიფიცირებულ მონეტარიზმს" [37]. ასევე აღინიშნება, რომ "შოკური თერაპია" ვარგისია ბაზრის "სამკურნალოდ" და გამოუსადეგარია ბაზრის შესაქმნელად [38, cc. 194-195; 39, cc. 113-115]. სამწუხაროდ, ამგვარი ტიპის კრიტიკული მოსაზრებები უსუსურია, რადგანაც "შოკური თერაპია" სულაც არ არის მონეტარიზმი, მისი კლასიკური გაგებით; ის, გარკვეული აზრით, იძულებითი ნაბიჯია, როცა ქვეყანას არ გააჩნია გრადუალისტური რეფორმების გატარების აუცილებელი საკმარისი პირობები.

იმავდროულად ხაზგასასმელია, რომ "შოკური თერაპიის" გამოყენება ინსტიტუციური რეფორმების ჩასატარებლად მიზანშეუწონელია [40].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ "შოკური თერაპია" სრულად ვერ ფარავს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესს. ეს მარტივი ასახსნელია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ნიშნავს ექვსი ტიპის ღონისძიებათა კომპლექსის გატარებას [24]:

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით კონვერტირების უზრუნველყოფა;
4. საწარმოთა რეფორმა, უწინარეს ყოვლისა, პრივატიზაციის გზით;
5. სოციალური დაცვის ქსელის შექმნა;
6. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი სტრუქტურის (და მასში საბაზრო ფინანსური სისტემის) ფორმირება.

ამ ღონისძიებათაგან სწრაფად მხოლოდ პირველი სამის გატარებაა შესაძლებელი, მაშინ როცა დანარჩენი სამის რეალიზება ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს დროს [41, c. 20].

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებიდან თითქმის საუკუნის მეოთხედის გასვლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ხსენებული ექვსი რონისძიებიდან მეტ-ნაკლები წარმეტებით ექვსივე გატარებულია. მაშასადამე, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დასრულებულია. სამწუხაროდ, საართველოში შექმნილი საბაზრო ეკონომიკა

შორსაა ევროპული სტანდარტებისაგან. თუ აღმოსავლეთ ევროპისა თუ ბალტიის ქვეყნებმა წარ-წარმატებით ჩაატარეს ეკონომიკური რეფორმები და შედეგად ევროკავშირის წევრები გახდნენ, საქართველო, სამწუხაროდ, შედის იმ "აუტსაიდერ" პოსკომუნისტურ ქვეყნების ჯგუფში, რომელთაც ევროპული ტიპის კაპიტალიზამის ნაცვლად "პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი" შექმნეს [33; 42-43].

ფაქტია, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკური თეორია ჯერ კიდევ არ შექმნილა ის მხოლოდ შექმნის პროცესშია [44-45].

§ 2. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქართული გამოცდილება

საქართველოში დამოუკიდებელობის აღდგენის საწყის ეტაპზე განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები პოლონური გამოცდილების ზეგავლენის ქვეშ განხორციელდა [33, გვ. 22-25; 46-47]. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ჯერ კიდევ 1989 წელს, კომუნისტური რეჟიმის რღვევისთანავე პოლონეთი იყო ის პირველი ქვეყანა, რომელშიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა "შოკურ თერაპიას" დაეფუძვნა. ამ რეფორმას ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი, პროფესორი ლეშეკ ბალცეროვიჩი ხელმძღვანელობდა. ეკონომიკური რეფორმის მის მიერ შედგენილ გეგმას "ბალცეროვიჩის გეგმა" [27] ეწოდა.

1992 წლის იანვრიდან რუსეთშიც დაიწყო "შოკური თერაპიის" განხორციელება, რომლის სათავეშიც რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ეგორ გაიდარი იდგა. 1992 წლის თებერვლიდან "შოკური თერაპიის" "ბალცეროვიჩის გეგმის" გატარება საქართველოშიც დაიწყო, რომელსაც საფუძვლად არა იმდენად პოლონური, რამდენადაც რუსული ვერსია დაედო საფუძვლად.

სამწუხაროდ, იმ დროისათვის საქართველო არ იყო მზად ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ამ ცნობილი მეთოდის გამოყენებისათვის. ზემოთ უკვე აღინიშნა, თუ რა სირთულეების წინაშე დადგნენ პოსტკომუნისტური სახელმწიფოები იმისდა მიხედვით ჰქონდათ თუ არა სახელმწიფოებრიობის შესატყვისი ინსტიტუტები. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, როგორც მისმა სამართალმემკვიდრემ – რუსეთმა სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი შეინარჩუნა; სხვა დანარჩენ ქვეყნებს კი საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა ესაჭიროებოდათ. სწორედ ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო, რომლის წინაშეც ერთდროულად დადგა ორი საკმაოდ რთული ამოცანა – სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა [6, p. 252].

"შოკური თერაპიის" წარმატებული გამოყენებისათვის აუცილებელია სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ მოქმედება. მათი არარსებობის პირობებში "შოკური თერაპიის" ფაქტობრივად გამოყენება შეუძლებელია და ნებისმიერი მცდელობა განწირულია წარუმატებლობისათვის. ამ დებულების ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, საქართველოს გამოცდილებაც ადასტურებს [48, pp. 268-272; 49, გვ. 42-50].

1993 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ დაკარგა იმედი რუსეთიდან ფულის ნიშნები ჩამოეტანა, რის გამოც მან დროებითი ვალუტა – ქართული კუპონი შემოიღო. ის, სამწუხაროდ, თავიდანვე არ გამოაცხადა ქვეყნის ტერიტორიაზე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად, რის შედეგადაც მან მოსახლეობის ნდობის ვერ მოიპოვა.

საქართველოს მთავრობის მიერ 1993 წელსა და 1994 წლის პირველ ნახევრში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა არაერთი შეცდომით ხასიათდებოდა (მაგალითად, [50-52]. შედეგად, კუპონმა მნიშვნელოვანი გაუფასურება განიცადა: 1994 წლის შემოდგომისათვის 1 აშშ დოლარი ოფიციალურად 2,5 მილიონი კუპონი ღირდა, ხოლო საბაზრო გაცვლითი კურსი 5,4 მილიონ კუპონს აღწევდა (საყურადღებოა, რომ ორი – ოფიციალური და არაოფიციალური – გაცვლითი კურსის არსებობა გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკი კრძალავდა საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი ფულის გამოტანას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გასაცემი იყო ხელფასები, სამივლინებო ხარჯები და მცირე ოდენობით სხვა მიმდინარე ხარჯები, რის გამოც აშშ დოლარში გამოხატული ნაღდი კუპონი უნაღდოსთან შედარებით საშუალოდ ორჯერ უფრო ძვირი გახდა).

1993-1994 წლებში ინფლაციამ თვეში საშუალოდ 50-70 პროცენტი მიაღწია. ამ დროს კუპონით მხოლოდ პურის ყიდვა და კომუნალურ მომსახურებათა გადახდა (რადგანაც ეს სფეროები ჯერ კიდევ სახელმწიფოს მიერ იყო მკაცრად რეგულირებული) შეიძლებოდა, ხოლო მოხმარების სხვა საგნები მხოლოდ რუსულ რუბლზე შეიძინებოდა.

სამწუხაროდ, 1990-1994 წლებში ქვეყნის ეკონომიკამ საგრძნობი ვარდნა განიცადა: ეკონომიკა სამჯერ და მეტად შემცირდა. მძიმე სურათი ჩამოყალიბდა სოციალურ სფეროში, რომლის ყველაზე უფრო თვალსაცინო მაგალითია ის, რომ 1994 წელს საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარის, ხოლო პენსია 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი იყო.

ეკონომიკური კრიზისი 1994 წლის მეორე ნახევრიდან იქნა შეჩერებული, როცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა თვისებრივად ახალ დონეზე იქნა აყვანილი (მაგალითად, [6; 53-56]). საყურადღებოა, რომ განახლებული ეკონომიკური რეფორმა არასრულფასოვნად გატარებული "შოკური თერაპიის" შევსებას ისახავდა მიზნად [57, გვ. 31-41].

1994 წლის სექტემბერში პურის ფასი 285-ჯერ გაიზარდა, ხოლო საბიუჯეტო სექტორში ხელფასებისა და პენსიების ზრდამ კი 20 პროცენტი შეადგინა, რამაც კუპონი აშშ დოლართან

მიმართებაში გაამყარა, რადგანაც მხოლოდ პური იყო ის ძირითადი კვების პროდუქტი, რომლის კუპონზე იყიდებოდა. პურის ფასის შედარებით მოკრძალებული ტემპებით გაზრდა გაგრძელდა და 1996 წლის ზაფხულისათვის ის სახელმწიფო რეგულირებისაგან განთავისუფლდა, თუმცა მასზე ფასები ნახტომისებურად არ გაზრდილა; ამ დროისათვის დასრულდა წისქვილკომბინატებისა და პურის საცხობების პრივატიზაციაც.

1994 წლის ბოლოდან ეროვნული ბანკი შეუდგა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, ამასთან მან მთავრობისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწილის შედეგად გააუქმა საბანკო ანგარიშებიდან ფულის გატანის ხსენებული შეზღუდვაც.

თუ 1993-1994 წლებში ქვეყანას არ ჰონდა პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული, უკვე 1995 წლიდან მოხერხდა სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, რომლის დეფიციტი ხარჯებთან მიმართებაში 53 პროცენტი იყო, ხოლო მისი დაფარვის წყარო უცხოური კრედიტები და გრანტები, ანუ არაინფლაციური იყო.

ამ ღონისძიებებმა შედეგად ის გამოიღეს, რომ 1995 წლისათვის 1 აშშ დოლარის კუპონზე გაცვლის კურსი 1,3 მილიონ კუპონს შეადგენდა და წლიური ინფლაცია კი 50 პროცენტს მცირედით აღემატებოდა. ამან მოამზადა ნიადაგი წარმატებული ფულის რეფორმის გატარებისათვის.

1995 წლის შემოდგომაზე წარმატებით ჩატარდა ფულის რეფორმა და ლარი, როგორც ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება შემოვიდა ბრუნვაში; მისი გაცვლითი კურსი თავიდანვე სტაბილური იყო და 1 აშშ დოლარი 1,3 ლარს შეადგენდა [58]. ამ გაცვლით კურსს საფუძვლად დაედო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს გაანგარიშებები, რომელთა თანახმადაც 1 კგ პურის ფასი საშუალოდ 30 თეთრი, ხოლო ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობა 5 თეთრი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მოსახლეობაში ჯერ კიდევ დიდი იყო ნოსტალგია კომუნისტების დროის ფასების მიმართ, როცა პური 30 კაპიკი, ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი კი 5 კაპიკი ღირდა. შედეგად, მოსახლეობამ ლარი მიიღო, რომელმაც ბრუნვიდან არა მარტო კუპონი, არამედ რუსული რუბლიც გამოდევნა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვა, რომ 1994-1995 წლებში საქართველოში გატარებული ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საფუძველს შეადგენდა ზემოხსენებული "*მინიმალური შოკი, მაქსიმალური თერაპიით*".

დასკვნა

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ისე დაიწყო, რომ მისი თეორია არ არსებობდა. შედეგად არაერთმა სახელმწიფომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთულ გზაზე მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვა. საყურადღებოა, რომ ტრანსფორმაციის ამ პროცესს საფუძვლად ედო ისეთი სქემები, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ იმას, ჰქონდა თუ არა მოცემულ კონკრეტულ ქვეყანას სახელმწიფოებრიობის შესატყვისი ინსტიტუტები.

მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის დაგროვილი გამოცდილების განზოგადება აჩვენებს, რომ ფაქტობრივად არსებობს ორი გზა – "შოკური თერაპია" და გრადუალიზმი. ამ უკანასკნელის გამოყენება შეუძლებელია, თუ მოცემულ კონკრეტულ ქვეყანას არ გააჩნია საკუთარი ფინანსური რესურსი, ხოლო მის მმართველ პოლიტიკურ ძალას არ აქვს პოლიტიკური გარანტიები, რომ შედარებით ხანგრძლივი ვადით იქნება ხალისუფლების სათავეში.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქართული გამოცდილებამაც ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოებრიობის შესატყვისი ინსტიტუტების არ ქონას. შედეგად 1992 წელს დაწყებული "შოკური თერაპია" ვრე აღმოჩნდა წარმატებული. მისი წარმატებით დასრულება მხოლოდ 1994-195 წლებში გახდა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Heilbroner R., Milberg W. *The Crisis of Vision in Modern Economic Thought*. Cambridge, Cambridge University Press, 1996.

2. Хейлбронер Р. "Научный анализ и видение в истории современной экономической мысли". *Вопросы экономики,* 1993, № 11.

3. Ноув А. "Какой должна быть экономическая теория переходного периода? (Критический обзор)". *Вопросы экономики*, 1993, № 11.

4. Schmitter P. C. "Dangers and Dilemmas of Democracy". *Journal of Democracy*, 1994, March.

5. Balcerowicz L. Socialism, Capitalism, Transformation. Budapest, CEU, 1995.

6. Papava V. "The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'". Communist Economies & Economic Transformation, 1996, Vol. 8, No. 2.

7. Milanvic B. *Income, Inequality and Poverty during the Transition from Planned to Market Economy.* Washington, The World Bank, 1998.

8. Stiglitz J. E. "Another Century of Economic Science". In *The Future of Economics*, J. D. Hey (ed.). Oxford, Blackwell, 1992.

9. Бертенев С. А. *Экономические теории и школы (история и современность)*. Москва, БЕК, 1996.

10. Hare P. and Turley G. (eds.). *Handbook of the Economics and Political Economy of Transition*. London, Routledge, 2013.

11. Kolodko G. W. and Tomkiewicz J. *20 Years of Transformation: Achievements, Problems and Perspectives*. New York, Nova Science Publishers, 2011.

12. Ролан Ж. *Экономика переходного периода. Политика, рынки, фирмы*. Москва, Издательский дом Высшей школы экономики, 2012.

13. Bożyk P. "Gradualism versus Shock Therapy". In *Systemic Change in Post-Communist Economies.* Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. P. G. Hare (ed.). London, Macmillan Press, 1999.

14. Hoen H. W. "'Shock versus Gradualism': The Inappropriateness of the Labels Applied to the Strategies in Central Europe". In: *Systemic Change in Post-Communist Economies.* Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. P. G. Hare (ed.). London, Macmillan Press, 1999.

15. Богомолов О. Т. *Реформы в зеркале международных сравнений.* Москва, «Экономика», 1998.

16. Kowalik T. The "'Big Bang' as a Political and Historical Phenomenon: A Case Study on Poland". In *Transition to a Market Economy at the End of the 20th Century.* Eleventh International Economic History Congress, session A-3, September 12-17, 1994, Milan, Italy. I. T. Berend (ed.). München, Sutdeseuropa – Ges, 1994.

17. Автономов В. С. "Политическая экономия переходного периода". *Мировая экономика и международные отношения*, 1996, № 9.

18. Гайгер Л. Т. *Макроэкономическая теория и переходная экономика*. Москва, ИНФРА-М, 1996.

19. Ростовский Я. *Макроэкономическая нестабильность в посткоммунистических странах*. Москва, Экономика, 1997.

20. Киселева Е. А. "Макроэкономическая стабилизация: ортодоксальный и гетеродоксный сценарии". В кн. *Основы теории переходной экономики*. Е. А. Киселева и М. Н. Чепурина (ред.). Киров, КОТ, 1996.

21. Johem A. "Monetary Stabilization in Countries in Transition". *International Advances in Economic Research*, 1999, Vol., 5, No. 1.

22. Попов В. "Динамика производства при переходе к рынку: влияние объективных условий и экономической политики". *Вопросы экономики*, 1998, № 7.

23. Стиглиц Дж. "Многообразнее инструменты, шире цели: движение к Пост-Вашингтонскому консенсусу". *Вопросы экономики*, 1998, № 8.

24. Lipton D. and Sachs J. "Creating a Market Economy in Eastern Europe: the Case of Poland". *Brookings Papers on Economic Activity*, 1990, No. 1.

25. Blanchard O., Dornbush R., Krugman P., Layard R. and Summers L. *Reform in Eastern Europe.* Cambridge, The MIT Press, 1994.

26. Balcerowicz L. "Poland, 1989-92". In *Political Economy of Economic Reform*, J. Williamson (ed.). Washington, Institute for International Economics, 1994.

27. Алексашенко С. "Экономическая реформа: польский путь". *Мировая экономика и международные отношения*, 1990, № 7.

28. Наринский Р. "Экономическая программа правительства Г. Мазовецкого". *Вопросы экономики*, 1990, № 4.

29. Всемирный Банк. *От плана к рынку. Отчет о мировом развитии – 1996*. Oxford, Oxford University Press, 1996.

30. Крегель Я., Мацнэр Э. и Грабхер Г. *Рыночный шок*. Вена, 1992.

31. Nafziger E. W. *The Economics of Developing Countries.* Upper Saddle River, Prentice – Hall, 1997.

32. Cheung S. N. S. "Den Xiaoping's Great Transformation". *Contemporary Economic Policy*, 1998, Vol. XVI, No. 2.

33. papava v. *postkomunisturi kapitalizmis politikuri ekonomia da saqarTvelos ekonomika*. Tbilisi, "pdp", 2002.

34. Абалкин Л.И. "Экономические реалии и абстрактные схемы (о концептуальных основах монетаристской программы финансовой стабилизации)". *Вопросы экономики*, 1996, № 12.

35. Илларионов А. "Модели экономического развития и Россия". *Вопросы экономики*, 1996, № 7.

36. Федоренко Н. П. *Россия: уроки прошлого и лики будущего*. Москва, Издательство «Экономика», 2001.

37. Ольсевич Ю. "Монетаризм и Россия: проблема совместимости". *Вопросы экономики,* 1997, № 8.

38. Петраков Н. Я. *Русская рулетка: экономический эксперимент ценою 150 миллионов жизней*. Москва, Экономика, 1998.

39. Меньшиков С. М. *Экономика Росии: практические и теоретические вопросы перехода к рынку*. Москва, Международные отношения, 1996.

40. Stiglitz J. E. *Whither Reform? Ten Years of the Transition.* Annual Bank Conference on Development Economics, April 28-30, 1999. Washington, The World Bank, 1999.

41. Фишер С. и Сахаи Р. "Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки". *Вопросы экономики*, 1997, № 5.

42. Papava V. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia)*. New York, iUniverse, 2005.

43. Папава В. и Беридзе Т. *Очерки политической экономии посткоммунистического капитализма (опыт Грузии)*. Москва, «Дело и Сервис», 2005.

44. პაპავა ვ. "ეკონომიკური თეორია და ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია (უცხოური ლიტერატურის ანალიზი)". *ეკონომიკა*, 1999, № 1-3.

45. Papava V. "On the Theory of Post-Communist Economic Transition to Market". *International Journal of Social Economics*, 2005, Vol. 32, No. ½.

46. Papava V. "On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia's Economy (A Retrospective Analysis)". *The Caucasus & Globalization*, 2011, Vol. 5, Issue 3-4.

47. Папава В. "К вопросу о первом поколении посткоммунистических реформ в экономике грузии (ретроспективный анализ)". *Кавказ и Глобализация*, 2011, Том 5, Вып. 3-4.

48. Papava V. "The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms". In *Systemic Change in Post-Communist Economies.* Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. P. G. Hare (ed.). London, Macmillan Press, 1999.

49. პაპავა ვ., თაფლაძე თ. და გეგეშიძე ა. *საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები.* თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი 2015.

50. Gurgenidze L., Lobzhanidze M. and Onoprishvili D. "Georgia: From Planning to Hyperinflation". *Communist Economies & Economic Transformation*, 1994, Vol., 6, No. 2.

51. Papava V. "The Georgian Economy: Problems of Reform". *Eurasian Studies*, 1995, Vol., 2, No. 2.

52. Папава В. и Беридзе Т. "Проблемы реформирования грузинской экономики". *Российский экономический журнал*, 1994, № 3.

53. ბასილია თ., ბაქრაძე პ., ბეგიაშვილი გ. და სხვ. *ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. რეფორმის პირველი შედეგები.* თბილისი, ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრი, 1998.

54. Wang J.-Y. "From Coupon to Lari: Hyperinflation and Stabilization in Georgia". *Caucasica. The Journal of Caucasian Studies*, 1998, Vol. 1.

55. Папава В. О ходе реформ и перспективах развития экономики Грузии. *Общество и экономика*, 1998, № 2.

56. Папава В. и Беридзе Т. "Экономические реформы в Грузии". *Российский экономический журнал*, 1998, № 1.

57. პაპავა ვ. *პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა.* თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

58. Kakulia M. "Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect". In *Central Eurasia: National Currencies*, E. Ismailov (ed.). Stockholm, CA&CC Press, 2008.

Vladimer Papava

THE ESSENCE OF THE POST-COMMUNIST TRANSFORMATION AND ITS FEATURES IN GEORGIA

Annotation

The paper investigates the utility of economic theory for post-Communist economic transformation. After the collapse of the Communist system there was no economic theory of transition to market. Reformers were divided into two major groups: the supporters of "Shock Therapy" and Gradualists. The main mistake of gradualists stems from their overlooking the very important conditions for successful transformation: political guarantees and internal assets for reforms. The success of "Shock Therapy" rests on the paradox, "the worse, the better". There is as yet no special economic theory of post-Communist transformation.

This paper reviews the first steps of the post-Communist reforms of Georgia's economy. It identifies the reasons for the failure of "Shock Therapy" in post-Communist Georgia. It focuses the attention on how the mistakes were corrected, thus leading to the "Minimum Shock with Maximum Therapy".

რამაზ აბესაძე

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და კანონზომიერებები

თითქმის მეოთხედი საუკუნე სრულდება რაც საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორ-მაცია დაიწყო. გარდაქმნების გზაზე იყო წარმატებები, მაგრამ ამავე დროს იყო წარუმა-ტებლობებიც, გამოწვეული როგორც ობიექტური მიზეზებით, ასევე სუბიექტური უნებლიე თუ ნებსითი შეცდომებით. შეიძლება გამოიყოს საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შემდეგი პერიოდები:

ეკონომიკური დაცემა. იგი მოიცავს **სამანეთო ზონაში ყოფნისა** და **კუპონის** პერიოდს იგი გრძელდებოდა რეფორმების დაწყებიდან 1995 წლამდე.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. ამს მოჰყვა სოციალური პრობლემების უკიდურესი გამწვავება, რაც საქართველოში ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა [2]. ეკონომიკური დაქვეითების მხრივ განსაკუთრებით მძიმეა

1991–1994 წლები, როდესაც ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ სირთულეებს შინაომები და შეიარაღებული კონფლიქტები აძლიერებდა. ზემოთ აღნიშნულ წლებში საქართველოში მკვეთრად შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობაწინა წლების მიმართ: 1991 წელს – 21,1; 1992 წელს – 44,9; 1993 წელს – 29,3; ხოლო 1994 წელს – 10,4 პროცენტით. საერთოდ, მშპ-მ 1994 წელს 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 27,5 პროცენტი შეადგინა. კიდევ უფრო მეტად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა: 1991 წელს – 23; 1992 წელს – 46; 1993 წელს – 37; ხოლო 1994 წელს – 39 პროცენტით. 1994 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 16 პროცენტის ტოლი იყო.[1] აღნიშნულ წლებში თითქმის განახევრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, კატასტროფულად შემცირდა მშენებლობის მასშტაბები. მკვეთრად დაეცა ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის დონე. ისე, როგორც მთელ ეკონომიკაში, ენერგეტიკაშიც დაიწყო ნგრევითი პროცესები. 1994 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავება ორჯერ შემცირდა, თითქმის შეწყდა ქვანახშირის წარმოება, კრიტიკულ დონემდე დაეცა ნავთობის მოპოვების მოცულობა, სატყეო მეურნეობამ და მშენებლობამ პრაქტიკულად შეწყვიტა ფუნქციონირება, არაგადახდისუნარიანობის გამო ქვეყანას შეუწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება. საქართველო მწვავე ენერგეტიკულმა კრიზისმა მოიცვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, კატასტროფულად გაუარესდა მოსახლეობის სოციალური პირობები. აღნიშნულ წლებში მკვეთრად გაიზარდა ფასები სამომხმარებლო საქონელზე (ინფლაციის ტემპებმა წელიწადში საშუალოდ 8500% შეადგინა): ცალკეულ წლებში კი ინფლაციის ტემპი გაიზარდა: 1992 წელს – 25-ჯერ, 1993 წელს – 92-ჯერ, ხოლო 1994 წელს – 120-ჯერ. ამავე წელს მუშაკთა მინიმალურმა ხელფასმა 1989 წლის ანალოგიური მაჩვენებლის – 1,65; საშუალო ხელფასმა – 1,64; პენსიის სიდიდემ – 1,64 პროცენტი შეადგინა, რაც აბსოლუტური სიდიდით, შესაბამისად 1,78; 5,02 და 1,78 დოლარით გამოისახებოდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს წინაშე იდგა ორი დიდი ამოცანა: პირველი – სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მეორე, – რეფორმების გატარება ახალ ეკონომიკურ წყობილებაზე გადასასვლელად. საკუთარი გამოცდილება, ბუნებრივია, ამ მიმართულებებით მას არ ჰქონდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო შეცდომების დაშვება. შეცდომები განსაკუთრებით ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე იქნა დაშვებული. ეკონომიკურ გარდაქმნებზე ასევე ნეგატიური გავლენა იქონია შინაომებმა, პოლიტიკური და კრიმინოგენური დაძაბულობის არსებობამ (სხვადასხვა პოლიტიკურ და კლანურ დაჯგუფებათა ინტერესები, შინაომი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ომი, ლტოლვილებისათვის სოციალური დახმარების გაწევა, ყაჩაღობა, რეკეტი, კორუფცია და მრავალი სხვა). ამ ეტაპზე სახელმწიფო ძირითადად მხოლოდ სხვა ქვეყნების დახმარების, სხვადასხვა სესხებისა და კრედიტების ხარჯზე ახერხებდა უკიდურესად გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ნაწილობრივ შემსუბუქებას.

სახელმწიფოს არ გააჩნდა მეცნიერულად დასაბუთებული რეფორმების გატარების სტრატეგია. ეკონომიკური რეფორმების მოდელის შერჩევისათვის საქართველოში დიდი შრომა არ გაწეულა, რადგანაც რეფორმები დაიწყო პირდაპირ რუსული ვარიანტის მიხედვით. ძირითად აქცენტი აღებული იქნა მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილიზაციაზე, მაშინ, როდესაც ქვეყანას თავდაპირველ ეტაპზე არც მაკროეკონოიკა და არც ფინანსები გააჩნდა, რის გამოც, რეალური გარდაქმნების გატარება შეუძლებელი გახდა [3].

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა იყო საქართველოს დარჩენა სამანეთო ზონაში, რაც, ბუნებრივია, საკუთარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების საშუალებას არ იძლეოდა. არადა, საქართველომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორედ საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის მქონე ქვეყნის გზა – "შოკური თერაპიის" გზა აირჩია. "შოკური თერაპიის" მეთოდის რეალიზაცია სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. ამგვარი ინსტიტუტების არ არსებობის პირობებში "შოკური თერაპიის" მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული [4; გვ. 334]. ამ შეცდომის გამოსწორება მოხერხდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მიერ ფულის ერთეულების მოწოდების შეწყვეტის გამო შემოღებული იქნა გარდამავალი ვალუტა – კუპონი. მაგრამ, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების (ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულადი და საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება) შედეგად მოხდა კუპონის გაუფასურება, რასაც ჰიპერინფლაცია მოჰყვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე გარდაქმნების განხორციელების პროცესში დაშვებული იქნა სტრატეგიული ხასიათის მეთოდოლოგიური შეცდომები. ეკონომიკური რეფორმები ერთმანეთისაგან იზოლირებულად განხორციელდა. მათ კომპლექსური, თანამიმდევრული ხასიათი და ერთიანი მეთოდოლოგა არ ჰქონდა [5].

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური განვითარების ახალ ეკონომიკურ წყობაზე გადასვლის თვალსაზრისით არაერთი ღონისძიება გატარდა: მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, შეიქმნა საკუ-

[1] აქ და შემდეგშიც, სადაც მითითება არ იქნება, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

თარი ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემა, მოხდა სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და საბინაო სექტორის რეფორმა, განხორციელდა მცირე პრივატიზაციის პირველი ეტაპი, და სხვ.

სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის დასაწყისი. ამ პერიოდს მიეკუთვნება 1994 წლის მეორე ნახევარი და 1995 წელი. ხანგრძლივი ეკონომიკური დაქვეითების შემდეგ, რასაც თან ახლდა ჰიპერინფლაცია, უმუშევრობის მაღალი დონე და უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური, კრიმინოგენური და სოციალური პრობლემები, როგორც ქართველ ეკონომისტთა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების (უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის) მიერ შემუშავებული, თვისებრივად ახლებურად გააზრებული პროგრამის საფუძველზე იწყება ახალი პოლიტიკის გატარება რეფორმების განხორციელებაში. შედეგად, მოხერხდა კუპონის ინფლაციის მოთოკვა, რითაც მომზადდა პირობები ეროვნული ვალუტის – ლარის შემოსაღებად. ლარის შემოღების შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა ინფლაცია და დამყარდა სტაბილური საცვლელი კურსი ეროვნულ ვალუტასა და აშშ დოლარს შორის. შედეგად, პირველად რეფორმების განმავლობაში, შეჩერდა ვარდნა და დაიწყო ეკონომიკური ზრდა – 1995 წლის განმავლობაში მშპ 2,6%-ით გაიზარდა.

დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა. ეს პერიოდი მოიცავს 1996-1997 წლებს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორი პოლიტიკის (არსებითად "შოკური" თერაპიის) გატარებას ეკონომიკური სტაბილიზაციის დამყარება, ეკონომიკური დაცემის შეჩერება, ზრდის ტენდენციის ჩამოყალიბება, ხოლო შემდეგ ეკონომიკის სწრაფი ზრდა მოჰყვა. 1996-1997 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი საშუალოდ 11%-ით იზრდებოდა მყარი ეროვნული ვალუტისა და ინფლაციის დაბალი ტემპების პირობებში. განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და შეივსო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკანონმდებლო ბაზა, ძირითადად დამთავრდა მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზება, განხორციელდა მიწის საკუთრების ტრანსფორმაცია, გაძლიერდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; გაუმჯობესდა ფულად-საკრედიტო სისტემა, გათავისუფლდა ლარის საცვლელი კურსი და მისი რეგულირება მიენდო საბაზრო კანონებს, გაუმჯობესდა საინვესტიციო პირობები და სხვ.

ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და სოციალური პირობების გაუარესება, საქართველოს მიერ სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის შეძენა. იგი იწყება 1998 წლიდან და გრძელდება 2004 წლამდე. ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპები, 2003 წლის გამოკლებით, დაბალია (საშუალოდ 3-4%), ხოლო სოციალური პირობები გამწვავებული (საბიუჯეტო კრიზისის გამო არ გაიცემა ხელფასები და პრემიები, სახეზეა ენერგეტიკული კრიზისი), ეცემა ვალუტის კურსი, იზრდება ინფლაციის ტემპები.

ამ ეტაპზე ნეგატიური პროცესების განვითარების ძირითადი მიზეზი მდგომარეობდა ეკონომიკური რეფორმების დამუხრუჭებაში, რაც, თავისთავად, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობით იყო განპირობებული.

ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში არსებულ სიძნელეებს მოჰყვა პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა, შედეგად კი ვარდების რევოლუცია მოხდა.

ამ პერიოდისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ საქართველო გახდა **ნავთობის სატრანზიტო ქვეყანა.** 1998 წლის 10 დეკემბერს ბაქოში სანგაჩალის ტერმინალიდან "დასავლეთის მიმართულების" ნავთობსადენში ჩაიტვირთა პირველი ნავთობი და ამით აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმმა დაიწყო კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირება ბაქო-სუფსის მიმართულებით. 1999 წლის იანვრის პირველ კვირას ნავთობი საქართველოში შემოვიდა.

სოციალური პირობების გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, საქართველოს მიერ სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის გაძლიერება. ეს ეტაპი იწყება ვარდების რევოლუციის შემდეგ და გრძელდება რუსეთ-საქართველოს ომამდე (2004 წლიდან 2008 წლის 8 აგვისტომდე). ამ პერიოდის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდის წლიურმა ტემპებმა 9-10 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ მთლიანად 42,6 პროცენტით გაიზარდა, აღმოიფხვრა საბიუჯეტო და საფინანსო კრიზისი (სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, გასტუმრებული იქნა საპენსიო და სახელფასო დავალიანებები და ა.შ.); დაძლეულ იქნა ენერგეტიკული კრიზისი (ქვეყნის მთელ მოსახლეობას და ეკონომიკას ელექტროენერგია და გაზი შეუფერხებლად მიეწოდებოდა); ეკონომიკაში საშუალო წლიური ხელფასი 3-ჯერ და მეტად გაიზარდა, გაუმჯობესდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა (შეკეთდა საქალაქო და საავტომობილო გზების უდიდესი ნაწილი, აშენდა ახალი გზები და კიდევ უფრო სტაბილური გახდა მაკროეკონომიკური გარემო, გაუმჯობესდა ბიზნესის კეთების პირობები (მოხდა საგადასახადო კოდექსის გამარტივება და ლიბერალიზაცია, ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის პროცედურების გამარტივება და სხვ.), გაღრმავდა პრივატიზების პროცესი, კიდევ უფრო გაძლიერდა საბანკო სექტორი და ა.შ.

ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი ის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი. 2005 წლის მაისში "თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის" ნავთობსადენის მეშვეობით დაიწყო აზერბაიჯანიდან "აზარი-ჩირაგი-გიუნეშლის" საბადოდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირება. იგი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია. მისი მშენებლობა 4 მლრდ აშშ დოლარი დაჯდა. იგი მსოფლიოში ყველაზე გრძელი (სულ 1768 კმ, აქედან აზერბაიჯანზე – 443, საქართველოზე – 249,

ხოლო თურქეთზე 1076 კმ მოდის) ნავთობსადენია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქართველო გახდა არა მხოლოდ ნავთობის, არამედ ბუნებრივი გაზის სატრანზიტო ქვეყანა. **შაჰდენიზის გაზსადენი** (ანუ **სამხრეთ კავკასიის**, ან **ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი**) გადის შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში. სანგაჩალის ტერმინალიდან პირველი საცდელი ბუნებრივი აირი გაზსადენში ჩაიტვირთა 2006 წლის 21 მაისს. გაზის პირველი გაშვება 2006 წლის 30 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო გაზსადენი ექსპლუატაციაში 2006 წლის 20 დეკემბერს შევიდა. გაზსადენი, ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, იმავე კორიდორში აშენდა, სადაც რამდენიმე წლით ადრე "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი" გაიყვანეს. გაზსადენის სიგრძე 692 კმ-ია, ხოლო წლიური გამტარობა 16 მილიარდი კუბური მეტრი.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სერიოზული ნაკლოვანებაც: საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა, ეკონომიკაში არაეკონომიკური ჩარევები, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება, სხვაობის გაზარდა ექსპორტსა და იმპორტს შორის და სხვ.

ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და ეკონომიკური ვარდნა. ეს პერიოდი ემთხვევა რუსეთ-საქართველოს ომს და მსოფლიო საფინანსო კრიზისის დაწყებას. ომმა 1 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა ქვეყანას. როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციების შემცირების შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპები 2008 წელს შემცირდა (შეადგინა მხოლოდ 1,9%), ხოლო 2009 წელს იგი უარყოფითი სიდიდე გახდა (3,9%). ამავე პერიოდში დაიწყო ლარის კურსის ვარდნა, საბანკო სექტორში წარმოშობილ შეფერხებებს მოჰყვა კრედიტებისა და, შესაბამისად, ინვესტიციების შეკვეცა, თითქმის გაკოტრების პირას მივიდა სამშენებლო ბიზნესი, გაუარესდა ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაცია, მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა საკურორტო მეურნეობამ და ა.შ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკამ ამ ორ დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას გაუძლო და უარყოფითი შედეგები ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში არ გადაზრდილა, რაშიც დიდი როლი საერთაშორისო დახმარებამაც ითამაშა.

ეკონომიკური დაქვეითების დაძლევა და ზრდის ტენდენციის აღდგენა. იგი იწყება 2010 წელს და გრძელდება 2012 წლამდე. მიუხედავად წინა პერიოდში არსებული სიძნელეებისა, 2010 წელს არა მხოლოდ დაქვეითება იქნა დაძლეული, არამედ ადგილი ჰქონდა ზრდასაც (6,4%).

მოსახლეობისადმი სოციალური დახმარებების მნიშვნელოვანი ზრდა, ზრდის ტემპების შემცირება, ლარის კურსის ვარდნა. იგი მოიცავს პერიოდს 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი გაძლიერება, რაც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას და იწვევს ზრდის ტემპების შემცირებას, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ იგი აუცილებელი ღონისძიება იყო, ვინაიდან მოსახლეობის მდგომარეობა ამ მიმართულებით მეტად მძიმე იყო. ზრდის ტემპების შენელება ასევე გამოიწვია პოლიტიკური დაძაბულობის არსებობამ და ბიზნესში ახალი რეგლამენტაციის მოლოდინმა, საზღვარგარეთიდან დახმარების შემცირებამ და სხვ. საავალუტო კურსის დაცემა განპირობებული იყო საშინაო და საგარეო ფაქტორთა ერთობლიობით, მათ შორის, უარყოფითი სავაჭრო სალდოს არსებობით, წმინდა ფაქტორული შემოსავლების შემცირებით, მსოფლიოში დოლარის კურსის გამყარებით, არასწორი რეგულირებით და სხვ.

ამ პერიოდისათვის ასევე დამახასიათებელია კერძო საკუთრების ხელყოფის, ბიზნესში უხეში, არაეკონომიკური ჩარევების აღმოფხვრა და სხვ.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, რეფორმების გზაზე საქართველოში ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმატებები და წარუმატებლობები. უნდა ითქვას, რომ, ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებთან ერთად შეცდომებიც ბევრი იქნა დაშვებული რაც **ძირითადად შემდეგში მდგომარეობს:**

1. **საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. შიგა არასწორი პოლიტიკის შედეგად საზოგადოება ორ ნაწილად გაიხლიჩა (რაც დღესაც კი გრძელდება). გარე არასწორი პოლიტიკის შედეგად ჩვენ დავუპირისპირდით მსოფლიოს დიდ სახელმწიფოს. ორივე ამ შეცდომამ ქვეყანა მიიყვანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამდე და კრიმინოგენური სიტუაციის უკიდურესად დაძაბვამდე. ეკონომიკა ცალკეული კრიმინალური დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდა.**

2. **დიდი ხნის განმავლობაში დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის არაეფექტიანი ზომების გატარება, რის გამოც მძიმე კრიმინოგენური სიტუაცია წლობით გაგრძელდა.**

3. **ეკონომიკური რეფორმების არაკომპლექსურობა და არასისტემურობა.**

4. **ლიბერალური პოლიტიკის არასწორი აღქმა და განხორციელება. მთელ პოსტკომუნისტურ პერიოდს წითელ ზოლად გასდევს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე თითქმის ხელის აღება ლიბერალური პოლიტიკის განხორციელების საბაბით, თუმცა, ლიბერალური პოლიტიკა არ ხორციელდებოდა, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდამდე ბიზნესი განიცდიდა სახელმწიფოს მხრიდან უხეშ არაეკონომიკურ ჩარევებს.** თავდაპირველად რეკეტი ვლინდებოდა მის ყველა საფეხურზე, ბოლოს კი – უმეტესად, ფუნქციონირების დროს. მართლაც ლიბერალური პოლიტიკა რომ განხორციელებულიყო, მაინც საჭირო იყო გარკვეული დოზით პროტექციონისტური პოლიტიკის (რასაც მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მიმართავდა და მიმართავს საჭიროების შემთხვევაში) გატარება, რათა არ მომხდარიყო საკუთარი ეროვნული წარმოების განადგურება, **რამაც ეკონომიკის**

ცალკეული სფეროების განუვითარებლობამდე და არასრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა

5. **რეფორმების განხორციელების არასწორი გზის არჩევა. ტრანსფორმაციული პროცესები საქართველოში იმდენად მძიმედ დაიწყო, რომ აუცილებელი იყო შოკური თერაპიის განხორციელება, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წინასწარი მომზადება. ამ მხრივ** პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა იყო საქართველოს დარჩენა სამანეთო ზონაში, რაც, ბუნებრივია, საკუთარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების საშუალებას არ იძლეოდა. არადა, საქართველომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორედ საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის მქონე ქვეყნის გზა – "შოკური თერაპიის" გზა აირჩია. "შოკური თერაპიის" მეტოდის რეალიზაცია სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. ამგვარი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში "შოკური თერაპიის" მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული. ასეც მოხდა, შოკურმა თერაპიამ ჩვენთან კრახი განიცადა. "შოკური თერაპიის" 13 მოთხოვნიდან მხოლოდ 2 შესრულდა [4].

6. **გარდამავალი ვალუტის – კუპონის შემოღების შემდეგ არასწორი ფულად-საკრედიტო (ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულადი და საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება) პოლიტიკის გატარება**, რის შედეგადაც მოხდა კუპონის ძლიერი გაუფასურება - ჰიპერინფლაცია.

7. **საქართველოს ეკონომიკაში 1995-1997 წლებში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების შემდეგ რეფორმების კვლავ არასწორი წარმართვა, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობა.** შედეგად გაიზარდა კორუფციის დონე, გაძლიერდა ბიზნესის რეკეტი, წარმოიშვა საფინანსო, საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი, გამწვავდა კრიმინოგენური სიტუაცია და ა.შ.

8. **მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარებების არაეფექტიანად გამოყენება**, რაც ასევე წითელ ზოლად გასდევს მთელ ტრანსფორმაციულ პერიოდს.

9. **ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების არასრულყოფილი შესაბამისობა საბაზრო მოთხოვნებისადმი.**

10. **მცირე ბიზნესის განვითარებისადმი უყურადღებობა**. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უშლის ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას

11. **წლების განმავლობაში სოფლის პრობლემების უგულებელყოფა**, რის გამოც სოფლის ეკონომიკა, ფაქტობრივად, განადგურების პირას მივიდა.

12. **ომი რუსეთთან.** ვერ შევძელით რუსეთთან ომის თავიდან აცილება, რომელმაც საქართველოს ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა. გარდა ტერიტორიების დაკარგვისა, მას მოჰყვა ეკონომიკური განვითარების შეფერხება, ინვესტიციების შემცირება, წმინდა ეკონომიკური ზარალი.

13. **პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები.**

14. **საჯარო სამსახურებში მომუშავეთათვის არაოფიციალურად ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება.** არასაპენსიო ასაკის მქონე პირთა სამსახურიდან გათავისუფლებას მოჰყვა ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობის ხელოვნური ზრდა.

15. **კერძო საკუთრების (რომელიც საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს) ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა**.

16. **ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება.** შედეგად შემცირდა კონკურენციის დონე, რაც საგანგაშოა საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

17. **საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდა** როგორც საზოგადოების ცალკეულ ფენებს, ასევე საზოგადოების დიდ ნაწილსა და მთავრობას შორის.

18. **შემოსავლების უთანაბრობის ზრდა.** რაც ასევე ზრდის სოციალურ დაძაბულობას.

ყოველივე ამის გამო, რეფორმების დაწყებიდან თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ დღეისათვის განუვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა (სასაქონლო, საფონდო და შრომის ბირჟები, სადაზღვევო სერვისი, საინვესტიციო ინსტიტუტები, მარკეტინგული, ინჟირინგული, კოლსანტინგური და საინფორმაციო სამსახურები და სხვ.), არაპროგრესულია, როგორც ეკონომიკური (განუვითარებელია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დაბალია მცირე ბიზნესის განვითარების დონე, ექპორტს რამდენჯერმე აღემატება იმპორტი და ა.შ.), ისე სოციალური სტრუქტურა (ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, საკმაოდ დიდია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და ა.შ.).

მომავალში საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება უბრალოდ ინერციით სვლის შედეგად. მთავარი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებაზე, ანუ ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე უნდა იქნეს გადატანილი, რათა აღმოიფხვრას ეკონომიკის დეფორმირებულობა. ეს კი განხორციელდება ქვეყანაში ახალი ანუ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., არევაძე ნ.** საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. 2011, ტ. 4.

2. **აბესაძე რ.** საქართველოს ეკონომიკა XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე. ჟ: "ეკონომისტი", №1, 2009.

3. **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბილისი, "თსუ გამომცემლობა," 1996.

4. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, "პდპ", 2002.

5. **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1997.

Ramaz Abesadze

STAGES AND REGULATIONS OF POST-COMMUNIST TRANSFORMATION

Annotation

The article analyzes the regulations of post-communist transformation in Georgia according to stages, the attention is payed to mistakes done during the reform period and which resulted in the delay of national economic development, because of which the transition to perfect market economy was impossible during twenty five years beginning from the reform.

In future the eradication of shortcomings existing in Georgian economy and its right direction will be able by means of building a new or innovative economy in the country.

როზეტა ასათიანი

ინსტიტუციური გარდაქმნები და მისი შედეგები საქართველოს ეკონომიკაში

ქართული სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის ონტოლოგიური გარდაქმნის **აუცილებ-ლობა.** ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის არსის გარკვევის ერთ-ერთი ქმედითი მიდგომა ინსტიტუციური ანალიზია.[2] საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჯანსაღი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება ეკონომიკური განვითარების საწინდარია. ეკონომიკის რეალური ტრანსფორმაცია სწორედ ამით იწყება და მის სწორ წარმართვაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა.

ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის თანმხლები პროცესის – ინსტიტუციური გარდაქმნების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ეკონომიკური რეფორმების კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარეობდა და საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპებით იყო განპირობებული.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის პირველსავე წლებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელთაგან ერთი ემყარებოდა შეუზღუდავი ინდივიდუალიზმისა და მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლების, ხოლო მეორე – ეკონომიკური წესრიგისა და ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტებს.[3] პირველი პოზიციის ამოსავალი პრინციპი კერძო ინტერესების გაძლიერება და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია იყო, ხოლო მეორე პოზიცია უპირატესობას ეკონომიკური წესრიგის პრიორიტეტებს ანიჭებდა და აქცენტს მაკროსისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობაზე აკეთებდა.

ახალ ინსტიტუტებს უნდა უზრუნველყოთ საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარებისთვის ჯანსაღი, სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნა. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტი რეფორმის საკანონმდებლო-სამართლებრივ მხარეს უნდა მინიჭებოდა, რომელიც, თავის მხრივ, **ახალი ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციურ უზრუნველყოფასა და შესაბამის კანონთა სისტემის შექმნას გულისხმობდა.**

---

[2] **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამვალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2005, გვ. 47.

[3] სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი **გუნია ა.**, თბილისი, „მეცნიერება", 1991; საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი **პაპავა ვ.** თბილისი, 1991; **პაპავა გ.** საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები. თბილისი, 1991; **გუნია ა.** საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები. პრეპრინტი. თბილისი, 1991; **ჭითანავა ნ.** საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები. თბილისი, სესესპსკი, 1993; **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 1993 და ა.შ.

ინსტიტუციური რეფორმების შემდეგი ძირითად მიმართულებას **ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და ფუნქციების ტრანსფორმაცია, სახელმწიფო მმართველობის რადიკალური შეცვლა და საბაზრო პრინციპებთან მისადაგება, სახელმწიფოს მართვის ახალი სტრუქტურების (სასამართლო სისტემა, ანტიმონოპოლიური სამსახური, ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი კომისიები, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო, გარემოს დაცვის სტრუქტურა და ა.შ.) ჩამოყალიბება წარმოადგენდა.**

ინსტიტუციური რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება **საკუთრების განსახელმწიფოებრივებას (რასაც თან ახლავს კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრება), მეწარმეობის განვითარებას, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ხელშეწყობას, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას, ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებასა და ა.შ. გულისხმობდა.**

ინსტიტუციური რეფორმების შემადგენელი ნაწილი – **საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება საქონლისა და საფონდო ბირჟების, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის შესაბამისი ინსტიტუტების, ახალი ფულად-საკრედიტო სისტემის, ბანკების, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიების, პროფკავშირთა და პენსიონერთა ფონდებისა და ა.შ. შექმნას მოითხოვდა.**

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების რთული სისტემის ფასეულობათა დამკვიდრება ქვეყანაში პოლიტიკური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, ისეთი სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელებას მოითხოვდა, რომელიც **ადამიანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ თავისუფლებას, სოციალური პროგრამების შემუშავებასა და ეკონომიკისთვის სოციალური ორიენტაციის მიცემას, პოლიტიკურად და ეკონომიკურად სამართლიანი ქვეყნის იმიჯის შექმნით ახალ მსოფლიო წესრიგში სათანადო ადგილის დამკვიდრებას უზრუნველყოფდა.**

ცნობილია, რომ **განვითარებული საბაზრო ეკონომიკა არ წარმოადგენს ეკონომიკას წესების გარეშე**. ამ წესების დაცვა აუცილებელია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებიც მიზნად ასეთი ეკონომიკის შექმნას დაისახავს. ამიტომ, ბუნებრივია, ურთულესი ამოცანების წინაშე დადგა საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური პროცესების ფონზე, მის კვალდაკვალ დაიწყო ეკონომიკის კონვერსია.

საკუთრების განსახელმწიფოებრივება როგორც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების საფუძველი. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უპირველეს ამოცანად საკუთრების განსახელმწიფოებრივება იქნა აღიარებული. ეს პროცესი, როგორც საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრების გარანტი, ინსტიტუციური რეფორმების, შეიძლება ითქვას, ათვლის წერტილადაა მიჩნეული. თავის მხრივ, განსახელმწიფოებრივება, ქვეყნის პოლიტიკურ მექანიზმთან ერთად, ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარისა და წესის რადიკალურ შეცვლას მოითხოვდა.

ერთი შეხედვით, ეს პრობლემა თითქმის არც ისე რთული იყო და იგი შეიძლება განხორციელებულიყო საწარმოთა გამოყვანით მმართველობის სახელმწიფო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებიდან და მათი გარდაქმნით კერძო საწარმოებად, აქციონერულ საზოგადოებებად, ამხანაგობებად და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებად. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ამ მოულოდნელ, ქარტეხილივით მოვარდნილ პროცესებს და ამიტომ ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული სისტემიდან საბაზრო სისტემაზე გარდამავალი პერიოდი მეტად მტკივნეულად წარიმართა. ღრმა პოლიტიკურმა კრიზისმა თავისი დაღი დაასვა ეკონომიკასაც. ჯერ კიდევ 1989-1990 წლებიდან საქართველოს ეკონომიკამ უდიდესი ვარდნა განიცადა, რაც გამოწვეული იყო როგორც შიგა, ისე გარე ნეგატიური ფაქტორებით. თუ 1989 წელს წარმოების ვარდნა 4,8%-ს შეადგენდა, 1990 წელს მან 12,4%-ს მიაღწია. მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა ეს პროცესი: 1991 წელს 20,6% შეადგინა, 1992 წელს – 44,8%, თუმცა, 1993 წლიდან იწყო კლება, ამ წელს იყო 25,4%, 1994 წელს – 11,3%, ხოლო 1995 წელს 5%.[4]

მოუმზადებლად განხორციელებულმა ეკონომიკის შოკირებამ, რაც ეკონომიკის ლიბერალიზაციითა და, უპირველეს ყოვლისა, ფასების აშვებით გამოიხატა, კოლოსალურად გაზარდა ნაღდ ფულზე მოთხოვნა. გართულდა მოსახლეობის ფულადი შემოსავლების საქონლური უზრუნველყოფა. ამას მოჰყვა 1992 წელს საბჭოთა მანეთის მიწოდების შეწყვეტა, რითაც რუსეთმა, ფაქტობრივად, საქართველოს ეკონომიკის ბლოკირება მოახდინა და 1993 წლის აპრილიდან განაპირობა კუპონის, როგორც ფულის სუროგატის, მოუმზადებელი გამოშვება. დაიწყო დაუსაქონლებელი კუპონის სწრაფი გაუფასურება. ეს პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა 1993 წლის მეორე ნახევარსა და 1994 წლის პირველ ნახევარში კუპონის ზღვარგადასულმა ემისიამ. ამას დაემატა საკრედიტო ექსპანსია და ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რამაც 1992-1994 წლებში ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე მიიყვანა. პარალელურად მიმდინარეობდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, საგარეო-ეკონომიკური ბალანსის სტრუქტურის გაუარესება, საზღვარგარეთ კაპიტალის გადინების გადიდება, ოქროს რეზერვის შემცირება, იმპორტზე ქვეყნის შიგა მოთხოვნის ზრდა და ა.შ. საფუძველი ჩაეყარა ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის კრედიტით დაფინანსების

[4] საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალები.

არასასურველ პრაქტიკას. საქართველო თანდათან მოექცა საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენის ქვეშ. ამას მოჰყვა წარმოების ტემპების სწრაფი დაცემა, სასაქონლო დეფიციტის გამწვავება, სახელმწიფო სექტორის პარალიზება, უმუშევრობის სწრაფი ზრდა, აღრიცხვისა და კონტროლის, საანგარიშსწორებო დისციპლინის მოშლა და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა პარალიზებული აღმოჩნდა იმ დამანგრეველი ზემოქმედებით, რომელიც გამოიწვია სამოქალაქო კონფლიქტებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლო), აფხაზეთში და სამოქალაქო ომმა დასავლეთ საქართველოში. სამხედრო ხარჯებმა კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. 1991-1992 წლებში იგი 2%-იდან 34%-მდე გაიზარდა. საქართველოში შეიქმნა დევნილთა მთელი არმია, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ეკონომიკას.

საქართველო ცნობილი გახდა ძლიერი ფარული ეკონომიკით. მაშინ როდესაც ფორმალური (არაფარული) ეკონომიკური სტრუქტურები კრახის წინაშე აღმოჩნდა, არაფორმალური, ფარული წარმოება და „შავი ბაზარი“ სწრაფად განვითარდა და, ფაქტობრივად, იტვირთა საარსებო საშუალებებით მოსახლეობის დაკმაყოფილების პრობლემის გადაჭრა.

ასეთ არასახარბიელო სასტარტო პირობებში საქართველოში დაიწყო საკუთრების განსახელმწიფოებრივებისა და, პირველ რიგში, პრივატიზაციის რთული პროცესი.

სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა მკვეთრად გამწვავების ფონზე, საქართველოს უხდებოდა კაცობრიობის ისტორიაში ისეთი უპრეცენდენტო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებული იყო მრავალ სირთულესთან და რომლის ანალოგიც არ მოიძებნებოდა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. სახელდობრ, პირველი, უნდა მომხდარიყო ქონების იმ უმეტესი ნაწილის განსახელმწიფოებრივება და, მითუმეტეს, პრივატიზაცია, რომელიც არასდროს არ ყოფილა კერძო საკუთრებაში და თავიდანვე სახელმწიფო საკუთრების სახით შეიქმნა; მეორე, პრივატიზებული ქონება უნდა გადაცემოდა ისეთ სუბიექტებს, რომელიც არასდროს არ ყოფილა კერძო მესაკუთრე და რომელსაც არ გააჩნდა კერძო მეწარმეობის გამოცდილება და ჩვევები; მესამე, საზოგადოებაში არ არსებობდა ერთიანი შეხედულება პრივატიზაციის ფორმების, მეთოდებისა და ვადების შესახებ, არც შესაბამისი გამოცდილება.

პრივატიზაცია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უდიდესი პოლიტიკური აქტია, რომლის განხორციელებაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, მცირე ბიზნესის, როგორც საბაზრო ხვრელების შემავსებელი სეგმენტის, დამკვიდრება და ა.შ.

ესოდენ მასშტაბური და ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა ლოგიკურად სვამდა კითხვას: რამდენად სწორი იყო საზოგადოების მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და მილიონთა სიცოცხლის ფასად დაცული ეროვნული სიმდიდრის ხელაღებით დენაციონალიზაცია? ამასთან, პიროვნება, რომელიც ყოველგვარი შრომის გარეშე უსასყიდლოდ მიიღებდა სახელმწიფო ქონების წილს და გადაიქცეოდა მის მესაკუთრედ, როგორ გამოიყენებდა მას და რა წვლილს შეიტანდა ქვეყნის განვითარებაში? სახელმწიფო საკუთრების ასეთი უსამართლო განაწილების გამო, მომავალი თაობა ხომ არ დააყენებდა რევოლუციის გზით მისი ხელახალი გადანაწილების საკითხს, ამით საფუძველი ხომ არ ჩაეყრებოდა პერმანენტულ რევოლუციებს? ეს პროცესი ხომ თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ერთი კი ცხადი იყო: საქართველოში საკუთრების განსახელმწიფოებრივება უნდა გატარებულიყო ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საკუთრების პლურალიზმის (საკუთრების მრავაფორმიანობის, მისი თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით) დამყარება, რაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განხორციელების საფუძველია.

საქართველოში 1991 წლის 15 სექტემბერს მიღებული კანონის საფუძველზე, ქვეყანაში არსებული მთელი ქონება საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა, დაიწყო განსახელმწიფოებრივების პროცესის ეტაპობრივად განხორციელება.

ეს იყო უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი. მძიმე კრიმინოგენურმა ვითარებამ და საომარმა მოქმედებებმა, მრეწველობისა და ტრანსპორტის პარალიზებამ, მწვავე ენერგეტიკულმა კრიზისმა და სხვა ნეგატიურმა პროცესებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა პრივატიზაციის ისედაც რთულ პროცესზე, რამაც თავი იჩინა იმ დარღვევებისა და ნაკლოვანებების სახით, რაც დაშვებულ იქნა ამ პერიოდში.

პრივატიზაციის პრაქტიკულ განხორციელებამდე მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“. პრივატიზაციის ფორმებად ძირითადად განისაზღვრა აუქციონი და კონკურსი. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 18 იანვარს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ.“ 1992 წლის ნოემბერში შეიქმნა განსახელმწიფოებრივების განხორციელების ერთიანი ორგანო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახით. მას წინ უძღოდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება. იგი ითვალისწინებდა: სახელმწიფო საკუთრების სხვა ფორმებად გარდაქმნას, კერძო საკუთრების დამკვიდრებასა და კერძო მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას, მცირე ბიზნესის განვითარებას, კონკურენციული გარემოს შექმნას, უცხოური

ინვესტიციების მოზიდვას, არარენტაბელური საწარმოების დიდი ნაწილის პრივატიზებით სახელმწიფო ბიუჯეტის განთავისუფლებას სუბსიდირებისაგან, საწარმოთა რესტრუქტურიზაციასა და ა.შ.

კერძო სექტორის ჩამოყალიბების **პირველი ეტაპი,** მცირე პრივატიზაცია, პირველ ყოვლისა, 1992 წლიდან მცირე საწარმოებით, მათ შორის მცირე ჰესების გაყიდვით დაიწყო და, ფაქტობრივად, 1995 წელს დამთავრდა. პრივატიზებულ იქნა 14 მცირე ჰესი: სიონი, ტირიფონი, მისაქციელი, იგოეთი, დმანისი, ხერთვისი, კახარეთი, საცხენისი, ჩითახევი, დაშბაში, ბუუჟა, კაბალა, მარტყოფი, თეთრიხევი. მათი საერთო სიმძლავრე იმ დროს შეადგენდა მთლიანი ენერგოსისტემის 20%-ს, გამომუშავებული ელექტროენერგია – 1,85%-ს, ხოლო ძირითადი კაპიტალის ღირებულება – 1%-ს.[5]

მიწის პრივატიზაციაც ეკონომიკური რეფორმის პირველ ეტაპზე, 1992 წლიდან დაიწყო. უკვე 1992-1998 წლებში სოფლის მოსახლეობას უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების 55%, რაც დარეგულირდა საქართველოს კანონით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“*.

მცირე პრივატიზაცია, გარდა საქენერგოს სისტემისა, ძირითადად მოიცავდა მომსახურების სფეროს შემდეგ დარგებს: ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების მცირე საწარმოებს. იგი აგრეთვე განხორციელდა ჯანდაცვის სფეროშიც.

კერძო სექტორის ჩამოყალიბების I ეტაპის დასასრულს – 1996 წლის I კვარტალისათვის საპრივატიზაციოდ დამტკიცებული მცირე საწარმოების 89% გადავიდა კერძო საკუთრებაში. სახელდობრ, ვაჭრობაში 2980 საპრივატიზაციო ობიექტიდან პრივატიზებულ იქნა 2884, საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და საზოგადოებრივ კვებაში – 2997-დან 2667. გარდა ამისა, პრივატიზებული იქნა ჯანდაცვაში – 646-დან 343, საქენერგოს სისტემაში – 30-დან 23, ბენზინგასამართ სადგურებში – 163-დან 163 ობიექტი და ა.შ. სულ 1996 წლისათვის მომსახურების სფეროს 6865 ობიექტიდან პრივატიზებული იყო 5983, მაშინ როდესაც მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში ერთად აღებული 913 საპრივატიზაციო ობიექტიდან პრივატიზებულ იქნა 545.[6] ამასთან, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის ბრძანებულების საფუძველზე ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების პრივატიზაცია ძირითადად მოხდა საბალანსო ღირებულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, ე.წ. შრომით კოლექტივებზე.

ცნობილია, რომ რეალურ სექტორთან შედარებით, მომსახურების სფეროს დარგები უფრო იზიდავს ბიზნესს, ვინაიდან გაცილებით მომგებიანია. ამიტომ მათი გაყიდვა თავისუფლად შეიძლებოდა საბაზრო ფასით აუქციონისა და კონკურსის წესით.

სახელმწიფო ქონების ერთი და იმავე მესაკუთრეთა ფორმირების პირობებში, საქართველომ დაკარგა უზარმაზარი თანხა, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა ქვეყნის ეკონომიკას. რატომ აღმოჩნდა ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები პრიორიტეტულ მდგომარეობაში? გროშებად ჩავუგდეთ ხელში სახელმწიფო ქონება, თანაც მივეცით უფლება ამ ქონების ღირებულების 50-დან 65%-მდე ნაღდი ფორმით გადახდის, ხოლო შემდეგ საზოგადოებისგან ჩალის ფასად ნაყიდი ვაუჩერებით მისი დაფარვის შესაძლებლობა. მოკლედ, ასეთი „ჰუმანური“ ნაბიჯით დროებით ამხანაგობებს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცათ აღნიშნული ქონება მიზერულ ფასში, მაგრამ ამის პარალელურად უყურადღებოდ დარჩა ინტელიგენცია – მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, რომლებიც შემდეგ, ცხოვრების დონის უკიდურესი დაცემის გამო, აღმოჩნდნენ უმძიმეს მდგომარეობაში. ჩალის ფასად მოხდა აგრეთვე იმ საწარმოების გაყიდვაც, რომელთა 1990-1991 წლებში გამოსასყიდი ფიქსირებული თანხა 1992-1993 წლების ჰიპერინფლაციის პერიოდში სიმბოლურ თანხად იქცა. ასეთი იყო, დაახლოებით, 250-300 უმნიშვნელოვანესი საწარმო.[7]

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას უნდა გაეფართოვებინა საგადასახადო ბაზა და, შესაბამისად, შეევსო სახელმწიფო ბიუჯეტი. ქვეყანაში არსებულმა გამოუყენებელმა შრომითმა პოტენციალმა, რომელიც ტვირთად დააწვა ეკონომიკას, გაზარდა ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობა. ამასთან, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები აბსოლუტერად მოუქნელი იყო, რაც ხელს უშლიდა პრივატიზაციის დემოკრატიული გზით წარმართვას.

საკუთრების განსახელმწიფოებრივების **მეორე ეტაპი** 1996 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. იგი მასობრივ პრივატიზაციას მოიცავდა, რაც მოსახლეობაში 30 დოლარის ეკვივალენტის ნომინალური ღირებულების ვაუჩერების გავრცელებაში გამოიხატა. ვაუჩერიზაციამ გარკვეულწილად დააჩქარა პრივატიზაციის პროცესი, ვინაიდან, დაბალი მოთხოვნის პირობებში, მოსახლეობისათვის სახელმ-

---

[5] **თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ.** ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, „დანი“, 2006, გვ. 193-194.

* გარდა ამისა, მიწაზე საკუთრებით ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“, საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“.

[6] საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები. თბილისი, 1996, გვ. 16.

[7] **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 256-257.

წიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესაძლებლობა შეიქმნა, მაგრამ იმდენად მიზერული იყო ეს თანხა, რომ მან თავისი როლი ვერ შეასრულა. ამ გზით მოსახლეობა მესაკუთრე ვერ გახდა. ამასთან, სულ დარიგდა 4264541 ვაუჩერი ანუ დაკმაყოფილდა მოსახლეობის 83,6%, ხოლო 16,4%-მა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მიიღო კუთვნილი ვაუჩერი.

მოსახლეობას თავისუფლად შეეძლო გაეყიდა საკუთარი საპრივატიზაციო ბარათები, მაგრამ სწრაფი ინფლაციური პროცესების გავლენით ვაუჩერების ფაქტობრივი ღირებულება 8-ჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო მათი საბაზრო ფასი 4-5 ლარამდე დაეცა. ამ პერიოდში 40-ზე მეტი საბარათო აუქციონი ჩატარდა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, პრივატიზაციის პროცესში ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, უცხოელმა ინვესტორებმა „ვაუჩერიზაციის“ პროცესში შეიძინეს პრივატიზებული ქონების დაახლოებით 20%.[8] ამასთან, რიგი მოქალაქეების მიერ თავიანთი ვაუჩერების გაყიდვის გზით სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია მოხდა ნომენკლატურის ხელში[9]. ვაუჩერების დაახლოებით 70%-ის მეშვეობით სახელმწიფო ქონება ხელში ჩაიგდო მოსახლეობის მხოლოდ 1%-მა.[10]

მასობრივ პრივატიზაციას წინ უძღოდა საშუალო და მსხვილ საწარმოთა აქციონირების პროცესი. 1998 წლის 1 იანვრისთვის უკვე აქციონირებული იყო 1121 საწარმო, ანუ აქციონერულ საზოგადოებად გარდასაქმნელ ობიექტთა 86,8%. ამასთან, მათი უმეტესი ნაწილი შეიქმნა სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში (28,5%), მშენებლობაში (19,2%), მრეწველობის სხვა დარგებში (15,6%), ხოლო დარჩენილი 36,7% – მომსახურების სფეროს მსხვილ ობიექტებში.[11]

„დიდი პრივატიზაცია“ შეეხო აგრეთვე პურპროდუქტების სისტემას, რომლის საწარმოებში ეტაპობრივად განხორციელდა ფართომასშტაბიანი განსახელმწიფოებრივება. გარდა ამისა, იგი შეეხო ჯანდაცვის სფეროსაც. „დიდი პრივატიზაცია“ განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის, კონკურსისა და აუქციონის ფორმით.

განსახელმწიფოებრივება შეეხო საბანკო სისტემასაც, ერთიარუსიანი შეიცვალა ჯერ სამიარუსიანი, ხოლო შემდეგ, ორიარუსიანი საბანკო სისტემით. 1995-1996 წლებში განხორციელდა შემდეგი ბანკების – „ბინსოცბანკის“, „ექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკის“, „შემნახველი ბანკისა“ და „აგრობანკის“ აქციონირება, შესაბამისად, აქციონერულ საზოგადოებებად ჩამოყალიბდნენ: „საქართველოს ბანკი“, „აგრობანკი“ და სამი ბანკის – „ექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკის“ და „შემნახველი ბანკის“ ბაზაზე – „გაერთიანებული ქართული ბანკი“. პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია განხორციელდა ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სფეროებშიც.

საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ენერგეტიკის ვერტიკალურად ინტეგრირებული სახელმწიფო სტრუქტურები: ელექტროენერგეტიკაში – „საქენერგო“, ხოლო ბუნებრივი გაზით მომარაგების სექტორში – „საქგაზი“. ამ სტრუქტურებმა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში ვერ გაართვეს თავი ენერგეტიკით ქვეყნის უზრუნველყოფის ვალდებულებას. აუცილებელი გახდა რესტრუქტურიზაციის განხორციელება. 1996 წლის 4 ივლისის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების – „ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ“ – საფუძველზე „საქენერგოს“ ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი სექტორი: 1. გენერაციის, 2. ელექტროგადაცემის, 3. დისპეჩერიზაციისა და რეალიზაციის სექტორები. რაც შეეხება ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებს, ისინი, ჯერ კიდევ, 1994 წელს გადავიდნენ მუნიციპალურ მმართველობაში. აქციონერულ საზოგადოებებად გარდაიქმნენ გენერაციისა და დისტრიბუციის სექტორებში შემავალი საწარმოები.

ენერგეტიკაში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან განხორციელდა ძირეული ცვლილებები. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცდა ქვეყნის ენერგოსისტემის პრივატიზაციის სტრატეგია. „საქენერგო“ და „საქგაზი“ დანაწევრდა დამოუკიდებელ საწარმოებად და გაემიჯნათ ფუნქციები. შეიქმნა ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელსაც დაევალა ელექტროენერგიის საბითუმო და საცალო ტარიფების რეგულირება. 1997 წლის 1 აგვისტოს „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გამოსცემდა ელექტროენერგეტიკის ნორმატიულ აქტებს. 1999 წლის აპრილში აღნიშნულ კანონში შევიდა ცვლილებები, რის საფუძველზეც მას ეწოდა საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, ხოლო კომისიას – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2007 წლის 20 ნოემბრის „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში კიდევ შეტანილ იქნა ცვლილებები. კომისიას დაემატა წყალმომარაგების რეგულირების ფუნქცია, რის

[8] იქვე, გვ. 259-260.

[9] **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. ნაწილი I. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009, გვ. 98.

[10] **არჩვაძე ი.** რა ფერისაა მილიარდი? თბილისი, „მერკური“, 2002, გვ. 32.

[11] საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

გამოც მას ამჟამად ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ეწოდება.

პირველი მსხვილი ენერგეტიკული ობიექტი, რომლის პრივატიზაციაც განხორციელდა, იყო „თელასი“. მისი აქციების საკონტროლო პაკეტი (75%) 1998 წელს 25,0 მლნ დოლარად შეისყიდა ამერიკულმა კომპანიამ „AES“-მა („ეი-ი-ეს“-მა). 1999-2000 წლებში კომპანია „ეი-ი-ეს“-ს, შეთანხმების საფუძველზე, მართვის 25-წლიანი უფლებით გადაეცა ჰიდროელექტროსადგურები „ხრამი-1“ და „ხრამი-2“, ასევე, თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები, რომელთა მიმართ მან აიღო ვალდებულება მათი რეაბილიტაციისათვის დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი კრედიტების (დარიცხულ პროცენტებთან ერთად) – 135 მლნ ლარის დაფარვის შესახებ. ამასთან, მართვის უფლებისთვის კომპანიამ გადაიხადა, შესაბამისად, 2,5 და 3,5 მლნ დოლარი.[12]

2001 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს ენერგეტიკის დარგში კომპანია „ეი-ი-ეს“-ის მიერ ჩადებული იყო 555 მლნ ლარი, ხოლო 1999-2002 წლებში გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილ იქნა 89152 ათასი ლარი.[13] 2001 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, საქართველოში სულ პრივატიზებული იყო 35 დიდი და მცირე ელექტროსადგური. 2002 წელს ამერიკულმა კომპანია „ეი-ი-ეს“-მა თავისი აქტივები მიჰყიდა რუსულ კომპანია „РАОЕЭС“-ს. ამჟამად მის საკუთრებაშია „თელასი“, ჰიდროელექტროსადგური „ხრამი-1“, ასევე, თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები. ეს უკანასკნელი 2011 წლის აპრილში აფეთქდა და გამოვიდა მწყობრიდან, ხოლო „ხრამი-2“ გადავიდა „РАОЕЭС“-ის საკუთრებაში.

საქართველოში 2006 წლიდან დაიწყო განსახელმწიფოებრივების **მესამე ეტაპი.** 2006 წლის 12 მაისს „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“ 90 მლნ დოლარად შეიძინა ყაზახურმა ბანკმა „TuranAlen“-მა. ამასთან, ამ ბანკმა, რომლის აქტივები 5,5 მლრდ დოლარია, განახორციელა თბილისში ყოფილი სასტუმრო „ივერიის“, ამჟამად – „რედისონის“ რეკონსტრუქცია. იგი, ასევე, 21 სასტუმროს მფლობელია აჭარაში.[14]

გასაყიდად გამოტანილ იქნა ენერგეტიკის შემდეგი ობიექტები: სადისტრიბუციო კომპანიები: აჭარის ენერგოკომპანია, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, ლაჯანურჰესი, რიონჰესი, გუმათჰესი, შაორჰესი, ძევრულჰესი და აწჰესი. საპრივატიზაციო კონკურსში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 8 კომპანიამ. 2007 წლის 3 ივლისს ტენდერში გაიმარჯვა ჩეხურმა კომპანია "Energo-Pro"-მ, რომელმაც შეისყიდა ყველა საპრივატიზაციო ობიექტი, გარდა კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა. ეს უკანასკნელი შეიძინა ქართულმა კომპანია TBC+Energj-მ, რომელმაც საწყის ფასზე 2,5-ჯერ მეტი გადაიხადა და თანხამ 5,1 მლნ დოლარი შეადგინა. ჩეხური კომპანია "Energo-Pro"-ს საკუთრებაში 32 მლნ დოლარად ოფიციალურად გადავიდა საქართველოს გაერთიანებული ენერგოკომპანიის და აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აქტივები, რაც ქვეყნის ენერგოგამანაწილებელი ქსელის 60%-ზე მეტს შეადგენს, აგრეთვე 6 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 350 მეგავატზე მეტია. ამჟამად ეს კომპანია ფუნქციონირებს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ სახელწოდებით.

2007 წლის 5 იანვარს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანია „Stemcor“-ის ფილიალმა – „საქართველოს მანგანუმმა“ 57 მლნ დოლარად იყიდა „ვარციხეჰესი“, ხოლო 20 მლნ დოლარად – „ჭიათურმანგანუმი“. „Stemcor“-ის საკუთრებაშია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. „საქართველოს მანგანუმმა“ ვალდებულება აიღო დააბანდოს 100 მლნ დოლარის ინვესტიცია და მანგანუმის წლიური მოპოვება გაზარდოს არსებული 200 ათასი ტონიდან 300 ათას ტონამდე, ხოლო მინიმუმ 200 ათასი ტონა მოპოვებული მანგანუმი გადაამუშაოს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.[15]

2007 წლის 30 ივლისს ბათუმის აეროპორტი 20 წლით მართვის უფლებით, საინვესტიციო პროგრამით გადაეცა თურქულ კომპანია “TAV Batumi Operation”-ს, რომელმაც მართვის უფლების სანაცვლოდ სიმბოლურად ერთი დოლარი გადაიხადა. სამაგიეროდ მას დაევალა ბათუმის აეროპორტის დავალიანების დაფარვა, თუმცა, აეროპორტის მთელი საქმიანობიდან მიღებული მოგება კომპანიას დარჩება. აეროპორტის მშენებლობაში კომპანიამ 28,5 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ამავე კომპანიამ ააშენა თბილისის საერთაშორისო აეროპორტიც.[16]

---

[12] **თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ.** ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბ., „დანი“, 2006, გვ. 195.

[13] საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

[14] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ივნისი, 2006, გვ. 13.

[15] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, აპრილი, 2007, გვ. 9.

[16] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2007, გვ. 9.

ყაზახურმა სახელმწიფო კომპანია – "KazMunaiCas"-მა 2008 წლის 6 თებერვალს "Greenoak Group"-ისგან იყიდა ბათუმის ნავთობტერმინალი და საზღვაო პორტი. ამ უკანასკნელმა კი 1996 წელს შეიძინა ბათუმის ნავთობტერმინალი, ხოლო 1999 წელს – ბათუმის საზღვაო პორტი.

2008 წლის 29 ოქტომბერს თბილისის წყალმომარაგების კომპანია „თბილისის წყალი“ 85,662 მლნ დოლარად შეიძინა შვეიცარიულმა კომპანია „Multiplex Solutions“-მა. საპრივატიზაციო პაკეტში ასევე წარმოდგენილი იყო ჟინვალჰესი, მცხეთის წყლით მომარაგების სისტემა და გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები. ტენდერში გამარჯვებულმა შვეიცარიულმა კომპანიამ პირობა დადო, რომ წყლის განაწილების ქსელის რეაბილიტაციაში განახორციელებს 350 მლნ დოლარის ინვესტიციას და წყლის ტარიფებს არ გაზრდის მომდევნო ორი წლის მანძილზე.[17]

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში პრივატიზებული ობიექტებიდან მოქმედია 39103 საწარმო, აქედან, მცირეა – 31852, საშუალო – 3705, მსხვილი – 1911, 1635 ობიექტის სიდიდე ჯერჯერობით დაუდგენელია.[18]

პრივატიზაციიდან მიღებული თანხებით საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები. სახელდობრ, თუ 2003 წელს იგი შეადგენდა 23,6 მლნ ლარს, 2004 წელს შეადგინა 72,6 მლნ ლარი, 2005 წელს – 419,4, 2006 წელს – 564,9 2007 წელს – 643,8, ხოლო 2008 წელს – 551,0 მლნ ლარი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2001 წელს შეადგენდა 5,6 მლნ ლარს, ხოლო 2002 წელს – 8,7 მლნ ლარს.[19]

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთხელ მისცა მთავრობას რეკომენდაცია, რომ პრივატიზაციიდან შემოსული თანხების დაბანდება რეალურ სექტორში მომხდარიყო, მაინც ძირითადად ძველებური მეთოდებით ხორციელდება ამ თანხების ხარჯვა. პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროდ იქცა.[20]

საქართველოში საკუთრების სხვადასხვა ფორმით განსახელმწიფოებრივების განხორციელებას, მათ შორის, პრივატიზაციის სწორად ჩატარებას, ეკონომიკის რეფორმირების ნებისმიერ ეტაპზე სერიოზულად აფერხებდა არაჯანსაღი გარემო, რაც გამოიხატა კორუფციის ფართო მასშტაბებით, ქვეყნის თავისებურებების ნაკლებად გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი მიდგომის დაბალი დონითა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკუთრების უფლება აღიარებული და გარანტირებულია კონსტიტუციით, რამდენიმე ფაქტი კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებით განსჯის საგანი გახდა როგორც საქართველოს, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების (“Human Rights Watch-ისა და სხვათა) მიერ.[21]

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფო საკუთრების სრული ტრანსფორმაცია. ნაწილობრივი პრივატიზაციის, შერეული მეწარმეობის დასავლეთში აპრობირებული ფორმა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ორგანული ნაწილი უნდა გახდეს.

დღეისათვის საქართველოში წილობრივი მონაწილეობით ფუნქციონირებს 1400-მდე საწარმო, რომელთა თითქმის 70% მედიცინის, განათლებისა და კულტურის სფეროდანაა, თუმცა, ამ საწარმოთა უმეტესობის ეკონომიკური ეფექტიანობა დაბალია.

ბოლო წლებში, საქართველოში მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, „აბა ახლა რა გავყიდოთ“ პრინციპზე აგებულმა საკუთრების განსახელმწიფოებრივების თავაშვებულმა პროცესმა არ დაინდო სტრატეგიული მნიშვნელობის ბევრი ობიექტი. საზოგადოება უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა ეს პროცესი. ამ მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას გადამწყვეტი როლი ენიჭება ინსტიტუციური რეფორმების ცივილიზებული ფორმით წარმართვაში.

მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირება. სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების გზით საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებამ საფუძველი ჩაუყარა მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირებას საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ახალშემოღებული საკუთრების სხვადასხვა ფორმა არ იყო განმტკიცებული ჯანსაღი კანონმდებლობით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებდა ეკონომიკურ სუბიექტებს და გარკვეულ ბარიერებს უქმნიდა მეწარმეობის განვითარებას. ყოველივე ეს კი ხელს უშლიდა ქვეყანაში საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებას. არადა, საბაზრო ეკონომიკა ექვემდებარება განსაზღვრულ კანონზომიერებებს, რომელთა დაუცველობა ქვეყნის მიერ არჩეული სტრატეგიული კურსიდან გადახვევას ნიშნავს.

---

[17] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. თებერვალი, 2008, გვ. 12.

[18] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. www.geostat.ge/?action=page&p_id= 118&lang=geo

[19] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2008. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბ., 2008, გვ. 148.

[20] **პავლიაშვილი ს.** პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 111.

[21] **პავლიაშვილი ს.** პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 140.

ეკონომიკური თავისუფლება, პირველ ყოვლისა, თავისუფალ მეწარმეობასთან ასოცირდება. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ მეწარმეობის ფორმების შერჩევა სახელმწიფოს მიერ კი არ უნდა იყოს დეტერმინირებული, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე კანონმდებლობის საფუძველზე. კანონი უნდა იცავდეს მეწარმეობას და ხელს უწყობდეს მის განვითარებას.

საქართველოს გადასვლა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მოითხოვდა ახალი ტიპის მეწარმეობის ფორმირება-განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორებიცაა: კონკურენციის განვითარება, სამეწარმეო საქმიანობაში არჩევანის თავისუფლება, შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრება, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება, ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ. ეს ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა და საბაზრო ეკონომიკის იმანენტური თავისებურებებიდან გამომდინარეობდა.

ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობებით გაჯერებული თანამედროვე ბაზარი (რაც საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და საზოგადოების სოციალური დაცვის საფუძველია) აღიარებულია ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე შეიმუშავა და ამიტომაც იყო, რომ საქართველომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაისახა მიზნად.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ჰარმონიულობის მიღწევის რთული ამოცანის წინაშე დადგა საქართველო სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი წლებიდანვე. ქვეყანაში „მეწარმეობის შესახებ კანონის“, სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე, შეფერხებებითა და ნელა, მაგრამ მაინც ჩამოყალიბდა სამეწარმეო საქმიანობის ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორიცაა: ინდივიდუალური და ერთპიროვნული მეწარმეობა, პარტნიორობა (ამხანაგობა) და კორპორაცია (აქციონერთა საზოგადოება, სახელმწიფო საწარმო).

მეწარმეობის ამ ფორმების ჩამოყალიბებით საქართველოში, ფაქტობრივად, შეიქმნა მეწარმეობის ახალი ტიპი, რომელმაც საფუძველი დაუდო ქვეყანაში საბაზრო სისტემისთვის დამახასიათებელი შერეული ეკონომიკის ფორმირებას. მაგრამ არასტაბილურმა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემომ, ფაქტობრივად, **დათრგუნულმა მონოპოლიურმა ბაზარმა**, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, მათი სუსტი განვითარება განაპირობა.

2001 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოიკვლია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც რანჟირებულ იქნა შემდეგნაირად: პირველი რიგის ფაქტორები: საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა, კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში; მეორე რიგის ფაქტორები: ხელისუფლების მხრივ ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დაუცველობა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაუსაქმებლობა; მესამე რიგის ფაქტორები: ენერგეტიკული კრიზისი, მმართველობისა და კონტროლის ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევა, საბანკო სისტემის არასაიმედოობა. ამ ფაქტორებს შეიძლება დაემატოს სახელმწიფო რეკეტი, ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი წარმოების განადგურება და უცხოური საქონლის იმპორტის ხელშეწყობა, კონტრაბანდისთვის მწვანე შუქის მიცემა, რაც გამოიხატებოდა განუბაჟებელი საქონლის შემოტანით, ბაზრის გაჯერებით იაფფასიანი პროდუქციითა და ა.შ.

გარდა ამისა, საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან შეიძლება დავასახელოთ მენეჯმენტის დაბალი დონე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის არარსებობა, ინვესტიციების სამართლებრივი დაცვის დაბალი ხარისხი, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, საგადასახადო კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაბალი დონე და ა.შ.

საქართველოში მეწარმეობის განვითარებას, მეტ-ნაკლები ზომით, ეკონომიკის რეფორმირების ნებისმიერ ეტაპზე, დიდ პრობლემებს უქმნიდა არასტაბილური საგადასახადო სისტემა. განუწყვეტელი ცვლილებები და დამატებები საგადასახადო კანონმდებლობაში გარკვეულწილად ხელს უწყობდა ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლების მიხედვით საწარმოთა გეგმების შეუსრულებლობას, გადასახადების გადახდის დაგვიანებისთვის სანქციების დაწესებას, რასაც ზოგჯერ განაპირობებდა ინსტრუქციების წინა რიცხვით ძალაში შესვლა და ა.შ. მოკლედ, ავტორიტარული მმართველობის სისტემის არსებობამ (და არა ევროპულმა), დაღი დაასვა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას საქართველოში, უარყოფითი გავლენა მოახდინა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

„ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფცია და საქართველო. საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის კანონზომიერი პროცესი თავიდანვე წარიმართა გარკვეული თავისებურებებით, რაც აისახა კიდეც მის ძირითად მიმართულებებში. ამ მეტად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პროცესზე გარკვეული გავლენა მოახდინა წარსულის მემკვიდრეობამ, რაც გამოიხატა ავტორიტარულ და ბიუროკრატულ სახელმწიფო ადმინისტრირებაში, მსოფლიოში აპრობირებული სამართლიანი ეკონომიკური ქცევის დეფიციტში.

უკანასკნელ პერიოდამდე საქართველოს ინსტიტუციური გარემო ძალიან ჰგავდა რუსეთისას. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. საქართველო ცდილობს გადავიდეს დასავლური ინსტიტუციური მოწყობის მოდელზე. ინსტიტუციური სივრცეების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას. თანამედროვე პირობებში აშშ და ევროკავშირი ცდილობენ თავიანთი ინსტიტუციური მოდელი დანერგონ და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი გარემო შექმნან სხვა ქვეყნებში, მათ შორის ტრანზიტულ ქვეყნებშიც, რათა ამით ხელი შეუწყონ ამ ქვეყნებში დია ეკონომიკის რეალურად ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. დღეს ევროკავშირის ბაზარი ყველაზე ორგანიზებულია მსოფლიოში. ამიტომ საქართველოს ინსტიტუციური გარემოც ევროკავშირზეა ორიენტირებული.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება, როგორც დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური საქმიანობის წესების, ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების გამოხატულება, ეყრდნობა „ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფციას და აქცენტს აკეთებს სტაბილური და ქმედითი ინსტიტუტების მოდელზე. ამ პროცესის ორიენტირად საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის კანონმდებლობა აირჩია, რაც 1996 წელს დაფიქსირდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და საბოლოოდ დადასტურდა 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან საქართველოს მიერთებით. ჯერ კიდევ 1997 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც „საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის პირველი სექტემბრიდან მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებსა და წესებს.“ ამ დადგენილების ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.[22]

დღეს საქართველოს ინსტიტუციური განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის პროცესი ახლოსაა *გერშენკრონის კონვერგენციის თეორიასთან*, რომელიც „ჩამორჩენილობის უპირატესობის“ სახელითაა ცნობილი. „ლოგიკურია, ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ინსტიტუციური განვითარება ნულიდან კი არ უნდა დაიწყოს, არამედ ევროკავშირის გამოცდილება გამოიყენოს... ევროკავშირი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ნაკრებია მსოფლიოში, რომელსაც მაღალი ეკონომიკური და სოციალური მწარმოებლურობა ახასიათებს.“[23] მართლაც, განვითარებული ქვეყნების ინოვაციების იმიტირება, რომელიც თავისთავად არ იძლევა ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საშუალებას, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკას ნაკლები დანახარჯებით მაღალი უკუგების მიღებასა და ბიზნესგარემოს გაჯანსაღებაში. ამასთან, ინსტიტუციური განვითარება, როგორც ეკონომიკური ქცევის ფორმალური წესებისა და ფარული ნორმების ერთობლიობა (დუგლას ნორთი), ურთულესი პროცესია, რომელსაც ისეთი სპეციალური საკომუნიკაციო არხების მობილიზება სჭირდება, როგორიც არასამთავრობო ორგანიზაციებია.

საქართველოში მეწარმეობის დიდი ტრადიციები, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია პრივატიზაციისადმი საკუთარ (ეროვნულ) მიდგომას მოითხოვს. ილია ჭავჭავაძე წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ [24] ამათ გარეშე ჩვენ „ჩვენ“ არ ვიქნებით და მათი მარადიული დაცვა თითოეული ჩვენგანის წმინდათა წმინდა ვალია – დასძენდა წმინდა ილია მართალი.

საკუთრების განსახელმწიფოებრიების პროცესში გასათვალისწინებელია ეროვნული ფასეულობები, ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ინტერესები და ქვეყნის განვითარების თავისებურებები, ბუნებრივია, ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც, „ევროპის... მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესი და რიგი“ (ილია ჭავჭავაძე).

აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ენიჭება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს, რომელიც საყურადღებოა საქართველოსთვის.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაჩინო ნიმუშია ნორვეგია, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოაჩინა ნავთობის საბადო ჩრდილოეთის ზღვაში. 1963 წელს მან მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც ნავთობის მარაგები გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. 1990 წელს ნორვეგიაში შეიქმნა სახელმწიფო ნავთობის ფონდი, რომელსაც **მომავალი თაობების ფონდი** ეწოდა. ნორვეგიელები თვლიან, რომ არა აქვთ უფლება მთლიანად მოიხმარონ ნავთობიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან იგი მომავალ თაობებსაც ეკუთვნის. ამიტომ ნორვეგიაში, კანონის თანახმად, მიმდინარე სახელმწიფო ხარჯებზე მოდის ფონდის მხოლოდ 4%, დანარჩენი კი ინახება თაობების ფონდში, რომლის დაგროვებამ უკვე საკმაოდ სოლიდურ თანხას

---

[22] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. თებერვალი, 2008, გვ. 12.

[23] **სამსონი ი.** განვითარების გზების ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. მარტი, 2006, გვ 89.

[24] **ჭავჭავაძე ი.** თხზ. ტ. III, გვ. 26–27.

მიაღწია. მაგალითად, დანაზოგმა 2005 წელს 182 მლრდ დოლარი შეადგინა. იგი განთავსებულია საზღვარგარეთის ფასიან ქაღალდებში და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაში, არამედ მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაშიც. ნორვეგია რომ დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი ქვეყანაა, ამაში ლომის წილი მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას მიუძღვის, რაც მრავალი სხვა პრობლემის, მათ შორის სოციალური პრობლემის გადაჭრის გასაღებიცაა. ამრიგად, „მომუშავე“ დანაზოგები, რომელიც, ეროვნულ მოტივთან ერთად, მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობაზეცაა გათვლილი, ნორვეგიის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა.

საქართველოში სავსებით საწინააღმდეგო სურათია. ყველაფერი იყიდება, მათ შორის ბუნებრივი რესურსებიც, ყოველგვარი სამომავლო შესაძლებლობების თუ უარყოფითი გარე ეფექტების გაუთვალისწინებლად, რასაც არაფერი აქვს საერთო ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. საქართველოში პრივატიზაცია ქვეყნის ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, ინფლაცია კი შთანთქავს მშპ-ის გარკვეულ ნაწილს, იზრდება უმუშევრობა, დატაკდება მოსახლეობა, დაბალშემოსავლიან ადამიანთა რაოდენობამ 2,4 მლნ-ს მიაღწია, ქვეყნიდან გარბის უპირატესად შრომისუნარიან ასაკში მყოფი სამუშაო ძალა, უკვე მიგრირებულია 1,2 მლნ საქართველოს მოქალაქე. სამაგიეროდ, სსფ-ის მისიის აზრით, საქართველომ წარმატებით შეასრულა სიღარიბის დაძლევის პროგრამა. ალბათ, ასეთი არაადეკვატური დასკვნების გაკეთებას საფუძვლად უდევს არაჯანსაღი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ყველას უნდა გვახსოვდეს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვები: **„შეიძლება ერი მცირე იყოს, შეიძლება სახელმწიფო არ იყოს დიდი, მაგრამ სოციალურად ძლიერი იყოს და დაძლიოს ის გაჭირვება და ავბედითობა, რომელიც შეხვდება მას ისტორიის მანძილზე. აი, სწორედ ასეთი ერია ჩვენი ერი და ასეთი სახელმწიფოა საქართველო: მან ყველა გაჭირვება და ავბედითობა დასძლია და ღვთის მადლით, კვლავაც დაძლევს. იგი იარსებებს, სანამ არსებობს დედამიწა.“**[25]

გვახსოვდეს, ღმერთმა მიწისგან შექმნა ადამიანი და ისევ მიწას უბრუნებს. ქრისტიანულ რელიგიას ჰეგელი ზნეობის რელიგიას უწოდებს, ხოლო ქრისტიანული ზნეობის უმაღლესი პრინციპია ადამიანის მიერ ადამიანის დახმარება. გვიყვარდეს ერთმანეთი და საქართველო აყვავდება.

Roseta Asatiani

INSTITUTIONAL TRANSFORMATIONS AND THEIR RESULTS IN ECONOMY OF GEORGIA

Annotation

Features of institutional transformations and regularities are investigated in economy of Georgia that, in return, meant constitutional provision of new economic system and creation of systems of the relevant laws. It requested transformation of administrative structures and functions, radical change of government and adaptation to the market principles, formation of new governmental structures (legal system, antimonopoly service, commissions regulating natural monopolies, governing body of the state property, structure of environment protection and etc.), privatization of property (that involves creation of institute of private property), development of a productivity, promotion of small, medium and large business, creation of favorable investment environment, formation of farm economy and etc.

მურმან კვარაცხელია

„ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბება თანამედროვე მსოფლიოში

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ადამიანის ფაქტორი პროგრესისა და წინსვლის განმსაზღვრელი ფაქტორია. გლობალიზაციის განვითარებამ ახალი ეკონომიკური საზოგადოების ფორმირებას დაუდო საფუძველი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ პროცესში, რომელსაც თანამედროვე საზოგადოების ფორმირება უდევს საფუძვლად, გადამწყვეტ როლს ადამიანის ფაქტორი ასრულებს. მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში სამოცდაათწლიანმა საბჭოურმა ეკონომიკამ homo sovieticus-ის ტიპის ადამიანი ჩამოაყალიბა [1; 31], რომელიც ვერ ჯდება ტრადიციული ეკონომიკის ჩარჩოებში, რის გამოც მას მოუხდა ბუნებრივ-ისტორიული პროცესის ჩარჩოებში დაბრუნება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კუთხით.

სოციალისტური სისტემის პირობებში ჩამოყალიბებული homo sovieticus-ი homo economicus-ისაგან ადამიანის პრინციპულად განსხვავებული ტიპია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომhomo economicus-ი ამერიკული სახეცვლილებებით homo Americanus-ის სახელწოდებითაა ცნობილი [2; 207]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეცნიერებაში homo sovieticus-ი ფუნდამენტურად არ გამოკვლეულა. როგორც აკადემიკოსი ვ. პაპავა წერს, ასეთი მიდგომის გაზიარების შემთხვევაში „იძულებული“

[25] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. თბილისი, „გეოკერია“, 2004, გვ. 90.

ვიქნებით ვადიაროთ, რომ homo sovieticus-ი რუსული მსოფლმხედველობითი სისტემის პროდუქტია [1; 32], რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმო. თუმცა თავისთავად საინტერესოა არსებობა ასეთი ფენომენისა, რომელიც თანდათანობით ხდება ისტორიის კუთვნილება. საინტერესოა მისი ბუნება და გენეზისიც. Homo sovieticus-ის დასახასიათებლად გამოიყენება მისი მთავარი ნიშან-თვისება, რაც გამოიხატება მისი დამოკიდებულებით სახელმწიფოსთან მიმართებაში. კერძოდ, ერთი მხრივ, ის არის ადამიანის ტიპი, რომლის უფლებები სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირად ითრგუნება, ხოლო, მეორე მხრივ კი, მისი კეთილდღეობა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოზეა დამოკიდებული, ანუ იმაზე, თუ მისი ელემენტარული ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო აპარატში მომუშავე მოხელე რამდენად მოწყალე აღმოჩნდება. თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იყო იმ პირველ პირზე, რომელიც ქვეყნის მმართველობის უმაღლესი ეშელონიდან იძლეოდა ბრძანებას, თუ როგორ უნდა ეცხოვრა პიროვნებას სახელმწიფოს კმაყოფაზე. ამის საფუძველი იყო მარქსიზმის, როგორც დოქტრინის, ერთი უმთავრესი საბედისწერო შეცდომა მესაკუთრის ინსტიტუტის უარყოფის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ადამიანი მონის სტატუსის მატარებელი იყო და იგი ვერასოდეს გახდებოდა ქვეყნისა და საზოგადოების წარმმართველი და პროგრესული ძალა.

პიროვნების ასეთ დეგრადაციას წერტილი დაუსვა პოსტკომუნისტური საზოგადოების [1] ჩამოყალიბებამ, რომელმაც მოითხოვა უკვე ძველი სტერეოტიპების დანგრევა, პიროვნების როლის ახლებურად განსაზღვრა და ახალი ეკონომიკური საზოგადოების ჩამოყალიბება. ეს არის რთული პროცესი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ახალი აზროვნებით დაწყებას. ეს კი წინაპირობას ქმნის საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის. ყოველივე ამის რეალიზაციის მთავარი პოსტულატი პიროვნებაა, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის მთავარი სუბიექტი. რამდენადაც პიროვნება მრავალმხრივი არსებაა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი ბუნების, არსისა და საზოგადოებასთან ურთიერთკავშირის შესწავლა. ისტორიულად დადასტურებულია, რომ პიროვნებისა და საზოგადოების ფორმირება ხდება ერთიანობაში. ეს მთლიანი პროცესია, რომელიც გრძელდება ისტორიული ეპოქების განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური საზოგადოების ფორმირება პიროვნების თავისებურების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ურთიერთობის სუბიექტი და საზოგადოების განვითარების მთავარი ძალაა, ეპოქების მიხედვით განსხვავებული თვისებების მატარებელი. ახალი ეკონომიკური საზოგადოების ფორმირების დროს საჭიროა მისი ღრმად გააზრება და შესწავლა, რაც გულისხმობს იმას, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს საბაზრო ურთიერთობა პიროვნების ფორმირებაზე. მნიშვნელოვანია ის, რომ სულ სხვა მენტალური სფეროდან მოსული პიროვნება როგორ ადაპტირებას გაივლის ახალ პირობებში. ადამიანი მოცემული საზოგაოებრივი ურთიერთობებისა და საერთო ისტორიული და კულტურული პროცესების სუბიექტია. თავისი ბუნებით იგი სრულყოფილი ბიოსოციალური სისტემაა, უნიკალური არსებაა. ამიტომ, როცა იცვლება გარემო და მთელი სისტემა, გარდაიქმნება ადამიანიც. სწორედ ამიტომ, პოსტკომუნისტური ადამიანის ახალ პიროვნებად ჩამოყალიბებას სჭირდება სოციალიზაციის პროცესების გავლა, როდესაც იგი იღებს და ითვისებს გამოცდილებასა და მოცემული საზოგადოების ახალ ფასეულობებს.

აქ უამრავი კითხვა იბადება, რომელსაც სჭირდება მეცნიერული შესწავლა და დროის შესაბამისი გააზრება. პასუხგაუცემელია ბევრი კითხვა, რომელიც მოითხოვს სისტემურ მიდგომას და თანდათანობით გადაწყვეტას. საქართველო ცენტრალურ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს განეკუთვნება და მისი ახალ მსოფლიო წესრიგში სრული ადაპტირების პროცესი დაჩქარებას მოითხოვს. ამის წინაპირობაა თუნდაც ის, რომ 2015 წელს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებას. მრავალ პრობლემურ საკითხზე პასუხი დღესაა საჭირო, რომ ჩვენც გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრები. თუნდაც დღეს მეტად აქტუალურია ისეთი პრობლემა, როგორიცაა ახალი ეკონომიკური ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. უნდა ღინიშნოს, რომ მსოფლიო გლობალური პროცესი, რომელიც მრავალი ნეგატიური ფონის მატარებელია, წარმოშობს განსხვავებული ტიპის ადამიანს, რისი მიზეზიც ნეგატიური მიგრაციული პროცესებია, რასაც თან ახლავს განსხვავებული მენტალიტეტის ჩამოყალიბება და ახალ გამოწვევებთან იძულებითი ადაპტირების უნარი.

ახალი ეკონომიკური საზოგადოების ფორმირება მეტად რთული და დინამიური პროცესია. ასეთ პირობებში ახალი გარემოებების შესაბამისად იცვლება ადამიანთა ეკონომიკური ქცევები, რომელთაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა სამეურნეო სისტემაში შეზღუდული რესურსები და მზარდი ადამიანური მოთხოვნილებები. ეს დამახასიათებელია მხოლოდ პოსტკომუნისტური მენტალიტეტის ადამიანებისათვის, რომლებიც მიისწრაფიან მრავალფეროვნებისაკენ, მისი საქმიანობის მრავალმხრივი მოტივაციისაკენ. ეს ქმნის კონკრეტულ სოციოკულტურულ გარემოს, რაც იმის წინაპირობაა, რომ შეიქმნას ახალი ადამიანის მოდელი. ეს კი ისტორიული მოვლენების შესაბამისად ცვალებადია, რის შედეგადაც ჩნდება სრულიად ახალი სოციუმი ახალ გარემოსთან ადაპტირების შედეგად. ეს მოდელი შინაგანად მოიცავს იმ ძირითად პარამეტრებს, რომლებიც ახასიათებს ინდივიდებს. ეს გამოიხატება ეკონომიკური აქტიურობის მოტივებში, რასაც ისინი იყენებენ დასახული მიზნის მისაღწევად.

ჩვენი აზრით, ახალი ეკონომიკური ადამიანის მოდელი არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში საზოგადოებრივ ინტერესებთან. თუმცა ახალ პირობებში ინდივიდის ეგოისტური მიდრეკილების დროსაც საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ემყარება თავისუფალ კონკურენციას, იძლევა უკეთეს შედეგს, ვიდრე ეკონომიკური საქმიანობის ინდივიდუალური რეგლამენტაცია. ამ შემთხვევაში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს თავისუფალ კონკურენციაში და ადამიანი უნდა დაემორჩილოს ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს.

ჩვენი ეპოქა რთული პროცესებით ხასიათდება. კრიზისული სიტუაციები უფრო ხშირად მეორდება. დღეს მსოფლიო მოიცვა გარკვეულმა პოლიტიკურმა კრიზისმაც. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საყოველთაოდ ცნობილი რუსეთის ფაქტორი მსოფლიოს ორ პოლუსად ჩამოყალიბების რეანიმაციის პროცესში, მისი დამოკიდებულება გარკვეული სახელმწიფოების მიმართ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას მოჰყვა უკრაინა. გარკვეულ ჩიხში მოექცა ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობები ისეთი მძლავრი ეკონომიკური რესურსებისა და სამხედრო შეიარაღების მქონე ქვეყანასთან, როგორიცაა რუსეთი. ევროპისა და ამერიკის ბევრი ქვეყნის ლიდერებმა გამოსავალი სანქციების დადებაში დაინახა, მაგრამ ვერც ამით მოხერხდა სასურველი შედეგის მიღწევა. იქნებ გვავიწყდება ერთი რამ, რომ დიდი ხანი არაა რაც დაინგრა საბჭოთა კავშირი, სოციალისტური სისტემიდან სხვა, სრულიად განსხვავებულ იდეოლოგიურ რელსებზე გადასვლა არ აღმოჩნდა ადვილი. ბევრი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები და მათ შორის, საქართველო უამრავი საბედისწერო შეცდომის გამოსწორების წინაშე დადგა. ძველი სტერეოტიპების მსხვრევა და ახლის დანერგვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ბევრი რამის ახლებურად განსაზღვრა და გაანალიზებაა საჭირო. უპირველეს ყოვლისა, ახალი აზროვნებით უნდა დაწყებულიყო სახელმწიფოს მართვა. რამდენად წარმატებით გამოუვიდა ეს რუსეთს ყველა ხედავს, თუმცა არც ჩვენი ქვეყანაა ამ მხრივ მთლად წარმატებული. ვფიქრობთ, მსოფლიო პოლიტიკური ლიდერებისგან საჭირო სხვა მიდგომები, სხვა გამოსავალზე ფიქრი, რისი ნიშნებიც უკვე აშკარად შეიმჩნევა. ერთი ქვეყნის კუთხეში მომწყვდევამ ამ ფორმებით, არა მგონია, შედეგი გამოიღოს. თუმცა სიტუაციიდან გამოსავლის ძიების სურვილი ორივე მხარეს უნდა გააჩნდეს.

საკითხის ამ რაკურსით განხილვა განაპირობა სწორედ იმან, რომ დიდი ქვეყნების მონაწილეობით წარმოშობილმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ბიძგი მისცა ადამიანთა იძლებით მიგრაციას, რომელიც დამყარებულია არა ეკონომიკურ, არამედ სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტზე. სიცოცხლის ინსტინქტი კი, საყოველთაოდ ცნობილია,რომ ყველაზე ძლიერად მოქმედებს ადამიანის მენტალიტეტზე.

დღევანდელმა გლობალურმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი ეკონომიკური ადამიანის ფორმირების საკითხიც. ეს დიდი სიმწვავით იგრძნობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და, განსაკუთრებით, საქართველოში, რომელიც დიდი ისტორიული წარსულის მემკვიდრეა. როგორც დიდი ქართველი კლასიკოსი ოთარ ჭილაძე წერდა, საქართველოს აქვს უფლება, გააგრძელოს არსებობა დღევანდელი სამყაროს წიაღში ამაყად. ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას საკუთარი ძალისხმევა სჭირდება და არა „უცხო ძალების“ უხეში ჩარევა. ყველა პრობლემა უნდა მოგვარდეს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ცნობილია, რომ ინდუსტრიულმა ეპოქამ მოამზადა საფუძველი განვითარებული ბაზრის შესაქმნელად. ქვეყნები განვითარებული ბაზრით შევიდნენ პოსტინდუსტრიული საზოგადოების ეპოქაში, რამაც მოხმარების სფერო ძირფესვიანად შეცვალა. ამან ეკონომიკის მიზნად დასახა არა ცალკეული მოსახლეობის ჯგუფების, არამედ კონკრეტული პიროვნებებისა და ინდივიდების მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამან პიროვნების მნიშვნელობა გაზარდა.

ახალი ადამიანის მოდელირების მიმართულება აშკარად შექმნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, რაც გამოხატავს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას. ასეთ მოდელს ახასიათებს მოღვაწეობის მოტივაციის ცვალებადობა პიროვნების სულიერი მოთხოვნილების ზრდის მიმართულებით. სწორედ ახალმა საბაზრო ურთიერთობების სისტემამ ადამიანების მოთხოვნილებები რადიკალურად შეცვალა, უფრო სწორად, ვირტუალური სფერო რეალობად აქცია. ადამიანის ახალი მოდელისათვის (ეს ეხება პოსტკომუნისტური ეპოქის ადამიანებსაც) დამახასიათებელია ინფორმირების, განათლებისა და კულტურის მაღალი დონე, მოთხოვნილების მრავალმხრივობა და დინამიზმი, სხვა ადამიანებთან კავშირის დამყარება, სულიერი თვითგამორკვევის თავისუფლება, კულტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ტიპების თავისუფალი არჩევა. ყოველივე ეს საკაცობრიო ცივილიზაციის მაღალი ხარისხის მატარებელია. ყოველივე ამის მიღწევა მთელი რესურსების სისტემური შეზღუდულობის პირობებში მეტად რთულია და არ გამორიცხავს არაჰუმანური პროცესების განვითარებასაც, რაც დღევანდელ მსოფლიოში სახეზე გვაქვს.

მეტად საინტერესოა აკად. ვ.პაპავას მოსაზრება ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საკითხთან დაკავშირებით. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, ნაწილობრივი პრივატიზაციის, უმთავრესად კი, ახლად შექმნილი კერძო სტრუქტურების ბაზაზე თანდათანობით homo economicus-ის ტიპიც გამოიკვეთა, მაგრამ ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, პოსტკომუნისტური საზოგადოების უმრავლესობას არ შეადგენენ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამინდს ვერ ქმნიან. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის [1;20] საზოგადოებაში უმრავლესობას ადამიანის ისეთი ტიპი წარმოადგენს, რომელ-

საც სახელმწიფოში ჯერ კიდევ, თუნდაც ქვეცნობიერად, ეშინია, მისგან მოწყალებას თუ არა, დამხარებას მაინც ელოდება. ეს ტენდენცია საქართველოს სინამდვილეში აშკარაა. რეალურად, სისტემის ბრალია ყოველივე, რომელიც ადამიანის ფაქტორს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და აქცენტი გადატანილი იყო რაღაც ვირტუალურ ქიმერულ წარმონაქმნებზე, რომელიც რეალური ცხოვრებიდან შორს იდგა. ვფიქრობთ, ძველი სტერეოტიპები ევოლუციურად ინგრევა და თანდა-თანობით ხდება ახალი homo economicusis-ს ჩამოყალიბება. ამის საფუძველია ქმედების თავისუფ-ლება, საზოგადოების დემოკრატიული მოწყობა. ასეთი ადამიანი, ანუ ჰომო transformaticus-ი პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა [3; 260-262; 4].

ახალი ადამიანის ფორმირების პროცესი არც ისე ხანგრძლივია, მაგრამ „ადაპტირებული ადამიანის“ (homo adapticus) [5] კონცეფციის თანახმად, homo transformaticus-ი [1; 33] ისეთი ადამიანია, რომელიც თანდათან ეგუება საბაზრო ეკონომიკის იმანენტურ წესებს და თავადაც მონაწილეობს ამ წესების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ცხადია, რომ ნებისმიერი საზოგადოება მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია საბაზრო ეკონო-მიკასთან. ასე, კომუნისტური ტიპის ეკონომიკის პირობებშიც კი საბაზრო ეკონომიკა, მისი ცალკეული ელემენტები სრულად გამორიცხული არ იყო. ასე მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მიწაზე კერძო საკუთრების ელემენტები დაშვებული იყო გარკვეული დოზით, რამაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს ბევრი პრობლემა უმტკივნეულოდ გადაწყვიტა. თუმცა საბჭოთა სისტემაში საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფოს მიერ იმდენად ძლიერად იყო დათრგუნვილი, რომ ნებისმიერი სახის თვითდაკმაყოფილების გამოვლინება მკაცრად ისჯებოდა, სახელმწიფოს ინტერესებს ექვემდებარებოდა ყველა და ყველაფერი. მხოლოდ ეკონომიკის „ჩრდი-ლოვან“ სექტორში არსებობდა [6; 57-83] საბაზრო ეკონომიკის გამოკვეთილი ნიშნები, თუმცა ეს აშკარად არ მოქმედებდა. ყოველივე ეს არ იძლეოდა პროგრესს საბაზრო ეკონომიკის განვითარების კუთხით. სწორედ ამიტომ, კომუნისტური ტიპის ეკონომიკაში საწარმოთა დირექტორები ანუ მენეჯერები ვერ ჩამოყალიბდნენ და პრინციპულად ვერც ჩამოყალიბდებოდნენ საბაზრო ეკონომიკის ტიპის მეწარმე-მენეჯერად, რადგანაც მათი ქცევა სწორედ კომუნისტური სისტემის მარწუხებში იყო მოქცეული. ამიტომ იყო სწორედ, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკას ახასიათებდნენ როგორც „მეურნეობას მეწარმის გარეშე“ [7; 119].

მეტად საინტერესოდ წარიმართა ახალი ეკონომიკური ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. კომუნისტური ტიპის ეკონომიკის მსხვრევის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო სექტორში არსებულ საწარმოთა მენეჯერებად მოახერხეს დარჩენა იმ ადამიანებმა, რომლებიც საბაზრო საწყისებზე მუშაობდნენ. პრივატიზაციის ჩატარების შემდეგ ამ საწარმოთა მესაკუთრენი გახდნენ. ისინი ისევ ძველი მენტალიტეტით უძღვებოდნენ საწარმოებს, რამაც, საბოლოო ჯამში, გარკვეული სიძნელეები შეუქმნა ახალი ტიპის ეკონომიკური ადამიანის ჩამოყალიბებას.

ნიშანდობლივია, რომ როგორც homo transformaticus-ი homo economicus-ი არ არის, ასევე ყოფილი საქმოსნები მეწარმეები ვერ გახდებოდნენ პოსტკომუნისტურ სისტემაში. აქედან გამომ-დინარე ცხადია, რომ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკაში homo transformaticus-ი სამეწარმეო სფეროში პოსტსაქმოსნის ტიტულს იძენს [8; 28-29].

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ homo transformaticus-ის homo economicus-ით და, შესაბამისად, პოსტსაქმოსნის მენეჯერ-მეწარმით ჩანაცვლება საკმაოდ რთული პრობლემაა და ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს. თუმცა ბევრ ევროპულ ქვეყანაში ეს პრობლემა გადაწყვეტილია.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მსოფლიო რუკაზე გაჩნდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. მათ მხრებზე აწევთ სოციალისტური სისტემის ბევრი მძიმე ხუნდი. ამ ქვეყნების მმართველობის სისტემები პრინციპულად განსხვავდებოდა დღევანდელი წარმატებული კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, ამიტომ მათ მიმართ მსოფლიომ სხვა მიდგომა უნდა გამოიჩინოს, მოსაფრთხილებელია მათთან ურთიერთობის ფორმები. ეს უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ქვეყანამ, რომელთაც კეთილი ნებელობის ურთიერთობა აქვს ასეთ ქვეყნებთან. საქართ-ველო მსოფლიოს დიდ სამყაროში, ფაქტობრივად ახალდაბადებული ქვეყანაა იდეოლოგიის თვალ-საზრისით, სოციალისტური ბანაკიდან სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ წარმოშობილი. ამიტომ მას სათანადო დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება, რათა ჩამოყალიბდეს წარმატებულ ერად, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვება ახალი ეკონომიკური ადამიანის დაბადება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აქ მოხდა სრულიად ახალი ადამიანის ჩამოყალიბება ადგილნაცვალ ადამიანთა სახით, რომლებიც ასიმილაციის ხანგრძლივ პროცესს მძიმედ ეგუებიან. ჩვენი აზრით, ამან წარმოშვა ადამიანთა სრულიად განსხვავებული ტიპი, იძულებით გადაადგილებული პირი, რომელშიც გაერთიანებულია სრულიად განსხვავაბული homo sapiens-ი ანუ homo profukus-ი. ვფიქრობთ, ასეთ ახალი ტიპის ადამიანი მარტო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რყევების შედეგი არ არის, არამედ მსოფლიოში მიმდინარე ჯერჯერობით ლოკალური პოლიტიკური რყევების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს. თუმცა, ვფიქრობთ, ეს პროცესი გაგრძელდება და რა მასშტაბებზე იქნება მომავალში გათვლილი, ძნელად პროგნოზირებადია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვლ. არადრადიციული ეკონომიკსი, თბილისი, 2011.
2. პაპავა ვლ. საქართველოს ეკონომიკა. "შოკური თერაპია", პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაცია. 1996.
3. სულაბერიძე ავ. საზოგადოებისა და ოჯახის განმსაზღვრელ ფაქტორთა ტრანსფორმაცია საქართველოში. ჟ. „ საზოგადოება და ეკონომიკა“, № 3-4.
4. შოხინი ა. ტრანსფორმაცია და სოციალური პრობლემები. ჟ. “ეკონომიკა“, 1989 (რუს. ენ.).
5. ჯინი გ.კ. მეწარმეობა. მაინის ფრანკფურტი, 1992.
6. პაპავა ვლ., ხადური ნ.. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკა. ინსტიტუციური ანალიზი. 1997.
7. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, 2015 წ. ივლისი.

Murman Kvaratskhelia

FORMATION OF NEW PERSONALITY IN THE MODERN WORLD

Annotation

This paper deals with the post-communist transformation of problematic issues, among which one is the formation of a new type of human being. The author believes, that the new species of Homosapiens is an “homosovietikus” same as the new Soviet man. The author also discusses a new type of man –“homo demockratikus”, which is the product of market relations, which gradually moves into the economic man.

According to the author, the modern world processes, and a new species of human formed into the “Homo profukus”, a refugee man- an IDP’s - internally displaced person, which caused a world migration crisis, became an important factor in today's world.

პრობლემა 2.

მაკროეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები საქართველოში

რამაზ აბესაძე
ნანა ბიბილაშვილი
ციცინო თეთრაული

მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკის კანონზომიერებები საქართველოში

მაკროეკონომიკურ ინდიკატორთა დინამიკა მნიშვნელოვანწილად გვიჩვენებს თუ რა მდგომარეობაა ქვეყნის ეკონომიკაში და როგორ იცვლება იგი დროთა განმავლობაში.

უპირველესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი არის **მთლიანი შიგა პროდუქტი,** გამოთვლილი როგორც აბსოლუტური სიდიდით, ისე მოსახლეობის ერთ სულზე. მართალია, იგი სრულყოფილად ვერ ითვალისწინებს თვისებრივ ცვლილებებს და შემოსავლების განაწილების სამართლიანობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ზრდა მაინც მეტყველებს ქვეყნის სიძლიერისა და მისი საერთო კეთილდღეობის ზრდაზე, მნიშვნელოვანი შემცირება კი – ქვეყნის სიძლიერისა და მისი საერთო კეთილდღეობის კლებაზე.

გრაფიკი 1 [8; გვ. 7]



გრაფიკი 1 გვიჩვენებს, რომ საქართველოში ეკონომიკური დაქვეითება 1985 წლიდან დაიწყო, რის შემდეგაც (გარდა 1988 წლისა) 1994 წლამდე მშპ კატასტროფულად ეცემა. განსაკუთრებული კლება აქედან საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად რეფორმების დაწყებისა და დამოუკიდებლობის წლებს ემთხვევა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანა ბევრი ობიექტური (რეფორმების სირთულე, გამოუცდელობა, პოლიტიკური და კრიმინოგენური დაძაბულობა, ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვ.) სირთულის წინაშე იდგა. თუმცა დიდი როლი ეკონომიკურ დაცემაში რეფორმების დროს დაშვებულმა როგორც უნებლიე, ისე ნებსითმა შეცდომებმაც განაპირობა.

1995 წლიდან დაწყებული, 2008 წლამდე ადგილი აქვს განუწყვეტელ ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, ზრდის ტემპები ყოველთვის შენარჩუნებული არ ყოფილა (ზრდის შედარებით მაღალი ტემპები აღინიშნებოდა 1995-1997 და 2005-2007 წლებში). რუსეთთან ომისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის გამო 2008 წელს ზრდის ტემპი შემცირდა, ხოლო 2009 წელს წარმოების მოცულობა დაეცა (დიაგრამა 1). 2010 წელს მდგომარეობა გამოსწორდა – ადგილი ჰქონდა კვლავ ზრდას. 2012 წლიდან ზრდის ტემპები მცირდება, რაც გამოწვეულია ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებით, ახალი რეგლამენტაციების მოლოდინით და საგარეო ფაქტორებით.

დიაგრამა 1[26]



საქართველოს **საგარეო სავაჭრო ბრუნვა** 2007-2014 წლებში, გარდა 2009 წლისა, იზრდება (ცხრილი 1). ექსპორტი და იმპორტიც იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება წმინდა ექსპორტიც, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურ მოვლენას წარმოადგენს და ჩვენი ქვეყნის დაბალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს.

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო ვაჭრობა
(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2009	2010	2012	2013	2014
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	5634	6935	10413	10921	11454
ექსპორტი	1232	1134	1677	2376	2910	2861
იმპორტი	5212	4500	5257	8037	8012	8593
ვაჭრობის სალდო	-3980	-3367	-3580	-5661	-5102	-5733

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით 2007 წელს შემოვიდა (**2,014.8 მლნ აშშ დოლარი**). იგი მნიშვნელოვნად მცირდება 2008 და 2009 წლებში და შემდეგ გარკვეული სტაბილურობით ხასიათდებოდა. 2014 წელს ადგილი აქვს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით 2014 წელს განაწილებულია შემდეგნაირად: თბილისი – 75,5; აჭარა – 9,1; კახეთი – 0,6; სამცხე-ჯავახეთი – 4,2; ქვემო ქართლი – 3,1; სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია – 5,3; იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 1,5; შიდა ქართლი და მცხეთა-თიანეთი – 0,7 პროცენტი. ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ რეგიონების განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად: სოფლის მეურნეობა, თევზჭერა – 9 0,7; სამთომოპოვებითი მრეწველობა – 2,4; დამამუშავებელი მრეწველობა – 11,6; ენერგეტიკა – 10,8; მშენებლობა – 18,0; სასტუმროები და რესტორნები – 7,2; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 24,7; უძრავი ქონება – 7,8; საფინანსო სექტორი – 6,6; სხვა სექტორები – 10, 2 პროცენტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. საქართველოში ის ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა. ბუნებრივია, ამ პროცესებს თან სდევდა უმუშევრობის ძლიერ მაღალი დონე.

2005 წლიდან დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობის სტაბილიზაცია ხდება. ბოლო წლებში კი დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება და უმუშევართა რაოდენობა კლებულობს, რის გამოც უმუშევრობის დონე მცირდება 2009 წლის 16,9 პროცენტიდან 2014 წლის 12,4 პროცენტამდე.

[26] სტატიაში სადაც მითითება არ არის გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები (http://www.geostat.ge)

1990 წლიდან (როდესაც უმუშევრობა საერთოდ არ იყო, თუმცა ფარული უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალი იყო) 2008 წლამდე დასაქმებულთა რაოდენობა ნახევრდება (მაგრამ არა აქტიური უმუშევრების ხარჯზე, არამედ, ალბათ, პასიური უმუშევრების ხარჯზე და, უფრო მეტად, მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე). ამასთან, ნიშანდობლივია, რომ დაქირავებულთა რაოდენობა იკლებს (თითქმის 4-ჯერ), ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა კი იზრდება (4-ჯერ და მეტად). საერთოდ, თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე დაქირავებულებისა (1,8-ჯერ), რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს ჩვენი ეკონომიკის განვითარების დაბალ დონესა და დეფორმირებულობაზე.

უმუშევრობის დონე 2014 წელს ოფიციალურად 12,4%-ია. ექსპერტთა აზრით, უმუშევრობის რეალური დონე საქართველოში გაცილებით მეტია (30%-ზე მეტი). შესაძლებელია ეს ციფრი ცოტა გადაჭარბებული იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში, დასაქმების სამსახურის ფაქტობრივად არარსებობის გამო, უმუშევართა რაოდენობა ხელოვნურადაა შემცირებული და ასევე ფარულ უმუშევრობას აქვს ადგილი, შესაძლებელია, უმუშევრობა საქართველოში მართლაც ოფიციალურ მაჩვენებელზე საგრძნობლად მეტი იყოს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის არაპროგრესულ სტრუქტურაზე მიუთითებს ასევე დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. მომუშავეთა ნახევარზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობას მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 11 პროცენტი უკავია.

საქართველოში წლების განმავლობაში უმუშევრობის არაერთი მიზეზი არსებობდა როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათისა. მათგან შეიძლება გამოვყოთ: **ეკონომიკური ტრანსფორმაცია; ეკონომიკის რეფორმამდელი მდგომარეობა და ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლა; წინა წყობილების დროს არსებული ფარული უმუშევრობა; ეკონომიკური რეფორმების დროს დაშვებული შეცდომები; გლობალიზაცია; დემოგრაფიული სიტუაცია; მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები; კორუფცია; გეოგრაფიული მდებარეობა; სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა; კრიმინოგენური სიტუაცია და ა.შ.**

საქართველოს ეკონომიკაში წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ინფლაციურ პროცესებს. იგი განსაკუთრებით მაღალი იყო დროებითი ფულადი ერთეულის კუპონის არსებობის დროს, რომელიც შემოღებული იქნა 1993 წელს. ძირითადი ფულადი ერთეულის – ლარის შემოღების შემდეგ მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ლარი ძირითადად მყარი ეროვნული ვალუტა გამოდგა როგორც დოლართან მიმართებაში, ისე ინფლაციის თვალსაზრისით (ცხრილი 2). მიუხედავად ამისა, ინფლაციის დონე საქართველოს ეკონომიკაში ზოგიერთ წელს დიდი იყო, თუმცა, მას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია.

ცხრილი 2

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109,2	109.2	110.0	101.7	107.1	108.5	99.1	99.5	103.1
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	108.8	111.0	105.5	103.0	111.2	102.0	98.6	102.4	102.0

სამწუხაროდ, რეფორმების გზაზე არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული, რის შედეგადაც დღეისათვის ქვეყანაში გვაქვს დეფორმირებული ეკონომიკა უმუშევრობის მაღალი დონით [1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9].

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის გამოხატულებაა. ბუნებრივია, მათ შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთგანმაპირობებელი კავშირი. საქართველოში მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვეყანა ძირითადად მოუმზადებელი შეხვდა დამოუკიდებლობის აღდგენას, რამაც ეკონომიკის დაქვეითება და, მაშასადამე, ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის კატასტროფული გაუარესება გამოიწვია. ნეგატიურმა სასტარტო პირობებმა და რეფორმების დროს დაშვებულმა შეცდომებმა დაღი დაასვა გარქმნების მთელ პერიოდს და, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რეფორმებამდელი დონეც კი ვერ იქნა მიღწეული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, "მეცნიერება," 2002.

2. **აბესაძე რ.** საქართველოს ეკონომიკა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე. ჟ. "ეკონომისტი", №1, 2009.

3. **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო ეკონომიკის ჩიხში. ჟ. "ეკონომისტი", №1, 2009.

4. **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, "თსუ გამომცემლობა", 1996.

5. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, "პდპ", 2002.

6. **სანთელაძე ნ.** საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის შუქჩრდილები და მსოფლიო გამოცდილება. წიგნში: "საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები", ტ. 4. თბილისი, 2004.

7. **ჩიქავა ლ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. წიგნში: გარდამავალი ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები. თბილისი, "თსუ გამომცემლობა", 2002.

8. **ხადური ნ.** საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. თბილისი, 2010, გვ. 7.

9. **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1997.

Ramaz Abesadze
Nana Bibilashvili
Tsitsino Tetrauli

REGULARITIES OF DYNAMICS OF MACROECONOMIC INDICES IN GEORGIA

Annotation

The article studies the peculiarities of the dynamics of macroeconomic indices, such as: GDP, foreign trade turnover, direct foreign investment and inflation levels. It is shown that the country on the whole was not ready for the reconstruction of independence that resulted in economic decrease and disastrous worsening of all macroeconomic indices. Negative starting conditions have left their imprint on the further period of transformation and in spite of some success even pre-reform level has not been achieved. Great was the role of objective reforms in this case but many mistakes were done too. At present it is necessary to speed up reforms having complex character. A special attention should be paid to the improvement of market infrastructure, eradication of negative trade balance, development of agriculture, attraction of foreign investments, formation of middle class in the country. For this aim it is necessary to improve more the business environment, strengthen competitiveness, increase scientific potential and place it in the service of the country.

რამაზ აბესაძე

მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში

ცხოვრების დონე არის ცალკეულ ადამიანთა და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და ხარისხი, მით უფრო მაღალია ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ცხოვრების დონის შესაფასებლად არსებობს მაჩვენებელთა მთელი სისტემა[27]. მათი გამოყენება საშუალებას იძლევა დავახასიათოთ ცხოვრების პირობების ესა თუ ის მხარე. მაგრამ, ჩვენი აზრით, ძირითადი მაჩვენებელი ცხოვრების დონისა არის შემოსავალი და საქონლისა და მომსახურების ხარისხი როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი საზოგადოებისათვის. სწორედ მათზეა დამოკიდებული როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ასევე ცხოვრებისა და შრომის კომფორტის ხარისხი (რომელიც შეიძლება განისაზღვროს უახლესი სახეობის პროდუქციის გამოყენების მასშტაბებით). მაშასადამე, ცხოვრების დონე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი განვითარების დონეზე, მათ შორის, შემოსავლების განაწილების სამართლიანობაზე.

ადამიანთა პირველყოფილი საზოგადოების პირობებში მდიდრებისა და ღარიბების ერთმანეთისაგან განსხვავება არ არსებობდა, ვინაიდან არ არსებობდა ღარიბებად და მდიდრებად დაყოფა, რადგანაც რასაც მოიპოვებდნენ თანაბრად მოიხმარდნენ (განაწილება ხდებოდა თანაბრად), თუმცა, განსხვავება ამ ნიშნის მიხედვით ცალკეულ თემებსა (ტომებს) და რეგიონებს შორის მაინც იქნებოდა (ბუნებრივი რესურსების, უნარის, შრომის იარაღების და სხვა განსხვავებათა გამო).

[27] მაგალითად: **Жеребин В. М., Романов А. Н.** Уровень жизни населения. М., «ЮНИТИ», 2002; **Румянцев Е. Е.** Стратегия преодоления бедности. Минск, «Армира – Маркетинг, Менеджмент», 2001; **მესხია ი., გაბელაშვილი კ.** მოსახლეობის ცხოვრების დონე (ანალიზი და პროგნოზები). თბილისი, "ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2004 და სხვ.

მდიდრებად და ღარიბებად დაყოფა იწყება მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა ფაქტორთა გამო (რომელიც კარგადაა ცნობილი) განაწილების სამართლიანობა ირღვევა, საზოგადოების გარკვეული ფენა უმრავლესობასთან შედარებით შემოსავლების მეტ ნაწილს ითვისებს და სხვებზე მდიდარი ხდება. მაგალითად, მონათმფლობელები – მონებზე, თავადაზნაურები – გლეხებზე, კაპიტალისტები – მუშებზე. სიღარიბეში იგულისხმება განსხვავება არა მხოლოდ მატერიალური ქონების, არამედ სხვა ფასეულობათა მიხედვითაც (განათლება, კულტურა, თავისუფლების ხარისხი და ა.შ.). შეიძლება ითქვას, რომ, ისტორიულად, თითქმის ყველა მონა და ყმაგლეხი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) შეიძლება ჩაითვალონ **მუდმივ ღარიბებად**. კაპიტალიზმის პირობებში კი მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, ვინაიდან იურიდიულად მუშა (და გლეხიც) თავისუფალია და მისი იძულებით მუშაობა შეუძლებელია. ამდენად, კაპიტალისტი იძულებულია, შემოსავლებიდან მეტი დაუთმოს მას, ვიდრე ამას მონათმფლობელები და თავადაზნაურები აკეთებდნენ. ბატონყმობის წიაღში წარმოიშობა საშუალო ფენა, რომელიც კაპიტალიზმის დროს საზოგადოების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს.

ისტორიული თვალსაზრისით, ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე წინა საუკუნეებში, ე.ი. ადგილი აქვს **სიმდიდრის ზრდის ტენდენციას**. ამიტომ დღევანდელი ღარიბი წარსულის მდიდრებზე გაცილებით მდიდარი შეიძლება აღმოჩდეს და არა შემოსავლების, არამედ, უმთავრესად, ცხოვრების კომფორტის მიხედვით, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები განაპირობებს. მაგალითად, დღევანდელი განვითარებული ქვეყნის საშუალო ფენის წარმომადგენელი გაცილებით მდიდარია, ვიდრე ეგვიპტის ნებისმიერი ფარაონი ან რომის ნებისმიერი იმპერატორი, ვინაიდან (მიუხედავად მათი გაცილებით დიდი შემოსავლებისა) მათი ცხოვრების პირობები ნაკლებ კომფორტული იყო – ვერ სარგებლობდნენ დღევანდელი დონის სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით, ტელევიზორით, ვიდეო და აუდიოტექნიკით, კინომატოგრაფიით, ინტერნეტით და ა.შ.

სიღარიბის მიზეზი გარდა სოციალური უთანასწორობისა, იყო **მასობრივი უბედურება** – მოუსავლიანობა, ეპიდემიები, წყალდიდობა, ხანძარი, ომები და სხვა[28]. ისტორიიდან მრავალი ასეთი ფაქტის დასახელება შეიძლება.

სიღარიბის არსებობას განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძირითადად განაპირობებს **ტექნოლოგიების დაბალი დონე, მწირი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ეკონომიკის არასწორი რეგულირება** (ინფლაცია, უმუშევრობა) და სხვ. მაგრამ გარკვეული კავშირია ასევე სიღარიბესა და **ადამიანისეულ კაპიტალს შორის** – ბუნებრივია, ადამიანის მდგომარეობა საზოგადოებაში, მისი შემოსავალი დამოკიდებულია ადამიანისეულ კაპიტალზე, ანუ მის პროფესიულ, მეწარმეობრივ უნარზე, ნებისყოფაზე, მისწრაფებაზე და ა.შ. სიღარიბე აუარესებს ადამიანისეულ კაპიტალს და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება აძლიერებს სიღარიბეს. სიღარიბე, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აუარესებს რა მის ფიზიკურ, ისე სულიერ მდგომარეობას. არასრულყოფილი კვება, ცუდი სანიტარული პირობები, ჯანდაცვის სფეროს, წყლის მომარაგების სისტემებისა და გზების განუვითარებლობა, განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, ქანცგამომცლელი შრომა, განუწყვეტელი დარდი თანდათან ცვეთს ადამიანს როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, რაც კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აგდებს მას.

მონაცემები უჩვენებს, რომ ცხოვრების დონე საქართველოში დაბალია. მედიანური მოხმარება, მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ტენდენციით ხასიათდება, დაბალია და 2014 წელს საშუალოდ 233.2 ლარი შეადგინა.[29] ამასთან, მედიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ იმყოფებოდა მოსახლეობის 21,4%, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი 11,6 პროცენტია. მეცნიერთა და ექსპერტთა აზრით კი, რეალური მონაცემები უფრო სავალალოა.[30] შემოსავლების განაწილების მიხედვით საქართველო მიეკუთვნება ქვეყნებს შედარებით არათანაბარი განაწილებით. აქ ჯინის კოეფიციენტი წლების განმავლობაში თითქმის მუდმივია და მერყეობს **50%**-ის ფარგლებში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების დონეს საქართველოში, ბოლო წლებში, ზრდის ტენდენცია აქვს (თუმცა არადამაკმაყოფილებელი). ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2005-2010 წლებში რეალური საშუალო ხელფასი 2,54-ჯერ, ხოლო 2001-2014 წლებში თითქმის 9-ჯერ გაიზარდა.

საქართველოში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი (ფულადი და არაფულადი) წლების განმავლობაში იზრდება (იხ. ცხრილი 1). აბსოლუტურად ყველაზე დიდი ზრდა მოდის ფულად შემოსავალსა და ტრანსფერებზე, მათ შორის კი, დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალზე. მნიშვნელოვანი ზრდა იყო ამ მხრივ თვითდასაქმებიდან და პენსიებიდან, სტიპენდიებიდან

---

[28] **Румянцева Е. Е.** Стратегия преодоления бедности. Минск, "Армита – Маркетинг, Менеджмент", 2001.

[29] აქ და სხვაგან, სადაც მითითება არ არის, მაჩვენებლები გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის მონაცემთა მიხედვით.

[30] **ჩიქავა ლ.** სიღარიბე და მისი დაძლევის გზები. „ეკონომიკა და ბიზნესი", 2008, №1; **პაპავა ვ.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. „შრომები", ტ. VII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე", 2009; **მესხია ი., გაბელაშვილი კ.** მოსახლეობის ცხოვრების დონე (ანალიზი და პროგნოზები). თბ., 2004.

და დახმარებებიდან მიღებულ შემოსავლებზე. ყველაზე დიდი ხვედრითი წონით შემოსავლების სტრუქტურაში გამოირჩევა შემოსავალი დაქირავებული შრომიდან, რომელსაც მზარდი ტენდენცია აქვს (2003-2014 წლებში იგი 28,3%-დან, 42,1%-მდე გაიზარდა და რაც დადებითი პროცესია). ხვედრითი წონის მიხედვით შემდეგ მოდის პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები, რომელთა ხვედრითი წონა 2003-2014 წლებში სწრაფად გაიზარდა (3,8%-დან, 19,6%-მდე). საკმაოდ მაღალია აღნიშნულ სტრუქტურაში თვითდასაქმებულთა შემოსავლის ხვედრითი წონა და იგი შემცირების ტენდენციით ხასიათდება (15,1%-დან, 9,8%-მდე). ასევე, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონით გამოირჩევა უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, რომელიც 2008 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო შემდეგ კლება დაიწყო და 2010 წელს მხოლოდ 4,4% შეადგინა, ნაცვლად 2003 წლის 8,6%-სა. 2014 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ დაბალი დარჩა – 4,6%.

ცხრილი 1 [31]

მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები საქართველოში (მლნ ლარი)

	2005	2010	2014
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები	**228,6**	**480,2**	**785,5**
დაქირავებული შრომიდან	89,1	203,8	331,3
თვითდასაქმებიდან	40,2	55,8	77,2
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	32,7	38,1	71, 7
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	3,3	7,1	9,2
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	26,0	82,9	153,8
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	14,1	25,2	36,7
საჩუქრად მიღებული ფული	23,1	67,4	105,6
არაფულადი შემოსავლები	**80,6**	**82,0**	**91,5**
შემოსავლები სულ	**309,2**	**562,3**	**877,0**
სხვა ფულადი სახსრები	**44,0**	**86,9**	**124,5**
ქონების გაყიდვა	5,4	11,2	9,2
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	38,6	57,7	115,2
ფულადი სახსრები სულ	**272,6**	**567,2**	**909,9**

მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ საქართველოში ეს მაჩვენებელი დაბალია. დადებითი ტენდენციით ხასიათდება შემოსავლები დაქირავებული შრომიდან. ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის ზრდაზე მიუთითებს შემოსავლების ზრდა პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და დახმარებებიდან.

საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემოსავლების სიდიდე ქალაქსა და სოფელს შორის არათანაბარია, განსაკუთრებით, ფულადი შემოსავლების მიხედვით (ქალაქში იგი 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე სოფლად). სამაგიეროდ, არაფულადი შემოსავლები სოფლად 5,6-ჯერ მეტია, ვიდრე ქალაქად, ხოლო სასოფლო პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები – 14,9-ჯერ. საერთოდ მთლიანი შემოსავლები ქალაქად 1,3-ჯერ მეტია, ვიდრე სოფლად. საფლის განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს ის, რომ დაქირავებული შრომიდან და თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლები სოფლად, 2,3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქალაქად, მაშინ როდესაც ქალაქში უმუშევრობის დონე მაღალია.

ცხოვრების დონის ამაღლებისა და სიღარიბის შემცირების პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს მიერ შესაბამისი აქტიური პოლიტიკის გატარების გარეშე შეუძლებელია. ამისათვის კი აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმი. იგი უნდა მოიცავდეს: რეგულირების **სამართლებრივ ბაზას, რეგულირების ინსტრუმენტებს, ინდიკატორთა სისტემას, რეგულირების ღონისძიებათა სისტემას, შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს.**

უმუშევრობა. უმუშევრობა დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში: **ხანგრძლივვადიანი უმუშევრობა ამცირებს საზოგადოებაში ადამიანისეული კპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება; უმუშევრობის დროს ადგილი აქვს რა გამომუშავებული პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანაზოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არა მხოლოდ მოკლევადიან,**

[31] სტატიაში სადაც მითითება არ არის გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები (http://www.geostat.ge)

არამედ გრძელვადიან პერიოდშიც. უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან.

მაგრამ უმუშევრობის მაღალი დონე თავად ეკონომიკურ განვითარებაში არსებული როგორც უარყოფითი (ბაზრისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ნაკლოვანებები), ისე დადებითი (გარდამავალი პერიოდის ინსტიტუციური ცვლილებები) ძვრების შედეგია. უმუშევრობის დროს ეკონომიკა შეიძლება იმყოფებოდეს მაკროეკონომიკური წონასწორობის, მაგრამ არა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში, რაც ბაზრისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებაა და მისი გამოსწორება მხოლოდ სახელმწიფოს სწორი ჩარევის შედეგადაა შესაძლებელი.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. იგი საქართველოში ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა. ბუნებრივია, ამ პროცესებს თან სდევდა უმუშევრობის მაღალი დონე.

ბევრმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ შეძლო გადაელახა სიძნელეები. ზოგმა კი, რომელთა შორისაცაა საქართველო, რეფორმების განხორციელების დროს დაშვებული შეცდომებისა და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო. ამიტომ დღესაც უმუშევრობის მაღალი დონე გვაქვს, ამასთან, უმუშევრობის სახეობებმაც ტრანსფორმაცია განიცადა. თუ თავდაპირველად სამუშაო ადგილები არსებობდა და საჭირო იყო მხოლოდ მათი ათვისება, ამჟამად ამ სამუშაო ადგილთა დიდი ნაწილი ფაქტობრივად განადგურებულია და უმუშევართა დასასაქმებლად საჭირო ახალი ადგილების შექმნა (რაც დიდ ინვესტიციებს მოითხოვს), რომელთაგან უმეტესი პროფესიის შეცვლას ან კვალიფიკაციის ამაღლებას მოითხოვს. ე.ი. საქმე გვაქვს **ტრანსფორმაციულ, სტრუქტურულ, ფრიქციულ და ციკლურ უმუშევრობასთან.** გაჩნდა უმუშევართა ახალი ფორმაც – უმუშევრობა ასაკის გამო ანუ უმუშევარი, რომელსაც სურვილი აქვს იმუშაოს, აქვს შესაბამისი კვალიფიკაციაც, მაგრამ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გამო სამუშაოს ვერ პოულობს, ვინაიდან შედარებით „დიდი“ ასაკისაა (ან პოლიტიკურად მიუღებელია), თუმცა, არა საპენსიო ასაკის.

საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობას კლების ტენდენცია აქვს (იხ. ცხრილი 2). დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება მაშინაც, როდესაც ეკონომიკური ზრდის ტემპები მაღალია. ამას განაპირობებს ის, რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპები ჩამორჩება შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. იმისათვის, რომ დასაქმების დონე გაიზარდოს ანუ უმუშევრობის დონე შემცირდეს, საჭიროა ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ უსწრებდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს (წინააღმდეგ შემთხვევაში სტრუქტურული უმუშევრობის დონე გაიზრდება). მაშასადამე, ეკონომიკური ზრდა საქართველოში უმთავრესად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე მიმდინარეობს.

1990 წლამდე უმუშევრობა მხოლოდ ფარული უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონით ხასიათდებოდა, მაგრამ 1990-2010 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის მოსახლეობის საზღვარგარეთ მიგრაციის შედეგად, თითქმის განახევრდა.

ცხრილი 2

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა საქართველოში

(ათასი კაცი)

	1990	1995	2000	2010	2014
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	2763,3 100%	1780,9 100%	1858,0 100%	1944,9 100%	1991,1 100%
დასაქმებულები	2763,3 100%	1730,1 97,1%	1748,8 94,5%	1628,6 83,7%	1745,2 87,6%
დაქირავებულები	2502,6 90,6%	802,1 45,0%	684,5 37,0%	618,6 31,8%	692,3 34,8
თვითდასაქმებულები	260,7 9,4%	928,0 52,1%	1064,3 57,5%	1007,1 51,8%	1046,1 52,3%
უმუშევრები	–	118,2 2,9%	235,6 5,5%	316,9 16,3%	246,0 12,3%

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის დონე 1992-2000 წლებში საქართველოში ძალიან დაბალი იყო, რაც ოდნავადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ წლებში არა მხოლოდ მაღალი იყო უმუშევრობის დონე, არამედ დღეს არსებული უმუშევრობაც მაშინ არსებული ტოტალური უმუშევრობის შედეგია. არასწორი მაჩვენებლები გამოწვეულია ფაქტობრივი მონაცემების დამახინჯებით და ფარული უმუშევრობის არსებობით (საწარმოები არ მუშაობდა, ხელფასები არ გაიცემოდა, იქ დასაქმებულები კი უმუშევრებად არ ითვლებოდნენ).

უმუშევრობის დონე საქართველოში 2014 წელს ოფიციალური მონაცემებით, 12,3% იყო. ექსპერტთა აზრით, უმუშევრობის რეალური დონე გაცილებით მეტია (40%-ზე მეტი).[32]

საქართველოს ეკონომიკის არაპროგრესულ სტრუქტურაზე მიუთითებს ასევე დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. მომუშავეთა ნახევარზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 10-11%-ის ფარგლებშია.

საქართველოში ცხოვრების დაბალი დონის, სიღარიბისა და უმუშევრობის, როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათის არაერთი მიზეზი არსებობს. ეკონომიკური ხასიათის მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ:

ეკონომიკის ტრანსფორმაცია. საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაადგა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის რთულ გზას. ეს მოითხოვდა სრულიად ახალ სისტემაზე გადასვლას, რომლის დროსაც ინგრევა ძველი ინსტიტუციები და შენდება ახალი. რასაკვირველია, ეს ცვლილებები უშუალო გავლენას ახდენს არსებულ საწარმოებზე. ადრე თუ მათ სახელმწიფო მფარველობდა, ახლა დამოუკიდებლად უნდა გაუძლონ კონკურენციას, რის გამოც ბევრი მათგანის გამოშვება მცირდება ან საერთოდ წყდება. ძველ საწარმოთა დიდი რაოდენობა დღესაც გაჩერებულია, ბევრი საერთოდ განადგურდა და ჯართად გაიყიდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში აუცილებლად გვექნებოდა საქმე დიდ უმუშევრობასთან.

ეკონომიკის საწყისი მდგომარეობა და ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლა. ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მზადება საქართველოში წინასწარ დაიწყო, მაგრამ იგი ზოგად განცხადებებსა და მეცნიერულ მოსაზრებებს (განსხვავებით ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან) ვერ გასცდა. პირიქით, ზოგიერთი არაფრის მომცემი აქციების გამო (გზების გადაკეტვა, საწარმოების გაჩერება და ა.შ.) ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო დასუსტდა. მას დაემატა ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ძველი ეკონომიკური კავშირები, რომელიც საქართველოს ძირითადად საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, რუსეთთან ჰქონდა, მოიშალა. ახალი კავშირების დამყარებას კი (რადგანაც ეს წინასწარ არ იყო მომზადებული) დიდი დრო სჭირდებოდა. დღესაც კი ეს კავშირები საკმაოდ სუსტია ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონის გამო. ბუნებრივია, ასეთ პირობებში საწარმოთა დიდი ნაწილი მუშაობას შეწყვეტდა ან შეკვეცავდა, რაც, რასაკვირველია, უმუშევრობის ზრდასთანაა დაკავშირებული.

წინა ეკონომიკურ სისტემაში არსებული ფარული უმუშევრობა. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ეკონომიკაში თავი იჩინა ფარულმა უმუშევრობამ. იმის გამო, რომ ქვეყანაში უმუშევრობა არ ყოფილიყო, თითქმის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შტატები გაბერილი იყო და მუშაობდა საჭირო რაოდენობაზე მეტი ადამიანი. ეს ხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე ანუ, უფრო სწორად, შემოსავლების გადანაწილების ხარჯზე. საბაზრო ეკონომიკისათვის კი ასეთი მდგომარეობა შეუთავსებელია, რაც იწვევს ზედმეტი მუშახელის გამოთავისუფლებას.

ეკონომიკური დაქვეითება. ეკონომიკური დაქვეითება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1991-1994 წლები, როდესაც ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ სირთულეებს შინა ომები და შეიარაღებული კონფლიქტები აძლიერებდა. მშპ-მა 1994 წელს 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 27,5%, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 16% შეადგინა. აღნიშნულ წლებში თითქმის განახევრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, კატასტროფულად შემცირდა მშენებლობის მასშტაბები, მკვეთრად დაეცა ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის დონე, ელექტროენერგიის გამომუშავება ორჯერ შემცირდა, თითქმის შეწყდა ქვანახშირის წარმოება, კრიტიკულ დონემდე დაეცა ნავთობის მოპოვების მოცულობა. გადახდისუუნარობის გამო ქვეყანას შეუწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება. ეკონომიკურ დაქვეითებას აძლიერებდა წინა წლებში ფარული ინფლაციითა და უმუშევრობით გამოწვეული ინფლაციის მაღალი ტემპები. ე.ი. ადგილი ჰქონდა სტაგფლაციას, რასაც თან ახლდა ფართომასშტაბიანი ციკლური უმუშევრობა, რომელსაც შეიძლება **ტრასფორმაციული სტაგფლაციური ციკლური უმუშევრობა** ვუწოდოთ და რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელია თუ არ აღმოიფხვრა მისი წარმომშობი მიზეზები.

ეკონომიკური რეფორმები და მისი განხორციელების დროს დაშვებული შეცდომები. საქართველოში ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული რეფორმების გამოცდილება არათუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში არ არსებობდა, რაც მდგომარეობას ართულებდა; მაგრამ არსებობდა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მრავალწლიანი უცხოური გამოცდილება, ამასთან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც როგორც მეთოდოლოგიურ, ისე მატერიალურ დახმარებას უწევდნენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს. ამდენად, არსებობდა ყველა პირობა იმისათვის, რომ შესაბამისი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში რეფორმები სწრაფად დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, რეფორმირების გზაზე არაერთი

[32] **ჩიქავა ლ.** დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, „უნივერსალი“, 2012; **ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ.** სოციალური ეკონომიკა. ფორმირება და განვითარება. I ნაწილი. თბილისი, 2008 და სხვ.

შეცდომა იქნა დაშვებული, რის შედეგადაც დღეისათვის ქვეყანაში გვაქვს დაბალგანვითარებული დეფორმირებული ეკონომიკა უმუშევრობის მაღალი დონით[33].

გლობალიზაცია. გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება კონკურენცია. საერთაშორისო კორპორაციები ავიწროებენ ეროვნულ კომპანიებს საკუთარ ქვეყანაში (რაც ზრდის უმუშევრობას), ადგილი აქვს იაფი, მდარე ხარისხის პროდუქციის შემოტანას, რაც ასევე კლავს ადგილობრივ წარმოებას. ამიტომ არ შეიძლება უარი ვთქვათ გარკვეულ პროტექციონისტულ პოლიტიკაზე და კარი გავუღოთ ქარს, გამოწვეულს გლობალიზაციის პროცესებით. საჭიროა პრეფერენციები, ზომები, რომელიც ქვეყანას ანიჭებს გარკვეულ ეკონომიკურ უპირატესობას.[34]

საერთაშორისო დახმარებების არა ეფექტიანი გამოყენება. საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სწორედ საერთაშორისო დახმარებების ხარჯზე ინარჩუნებდა სტაბილიზაციას. თუმცა მიღებული დახმარებები რომ რეალურ სექტორში გამოყენებულიყო და საწარმოების აღდგენა-გადაიარაღებას და ახალი სიმძლავრეების შექმნას მოხმარებოდა, მაშინ დღეისათვის პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობა გვექნებოდა, ეკონომიკის განვითარების გაცილებით მაღალი და უმუშევრობისა და სიღარიბის გაცილებით დაბალი დონით.

ინოვაციები როგორც აღვნიშნეთ, წარმოშობს რა სტრუქტურულ უმუშევრობას, ზრდის უმუშევრობის დონეს, ვინაიდან გამოშვების ზრდის ტემპები ჩამორჩება შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. საქართველოში სწორედ ამგვარ სიტუაციასთან გვაქვს საქმე.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები გლობალიზაციის პირობებში, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე ახდენს ნეგატიურ გავლენას. საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია 1998 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთში და დღევანდელმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, თუმცა, დიდი საერთაშორისო დახმარებების მეშვეობით საქართველოს ეკონომიკა ღრმა ეკონომიკურ კრიზისს არ მოუცავს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური რეცესია სახეზეა. რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა უმუშევრობის ზრდა.

კორუფცია ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. კორუფციული მმართველობის დროს სახელმწიფო რესურსები მიედინება არა ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნილებების შესაბამისად, არამედ იქ, სადაც უფრო მოსახერხებელია მათი მოპარვა.

შეიძლება გამოიყოს კორუფციის წაროშობის სხვადასხვა მიზეზი. მათგან უმთავრესია **არასრულყოფილი ინსტიტუციების** (უმთავრესად ფორმალური, მაგრამ ასევე არაფორმალურიც), უპირველეს ყოვლისა, **სახელმწიფო რეგულირების არასრულყოფილი სისტემის არსებობა.**

არასრულყოფილ ინსტიტუციებში იგულისხმება: **განუვითარებელი სახელმწიფო დაწესებულებები; არასრულყოფილი საბაზრო ინფრასტრუქტურა; კონსერვატული საკანონმდებლო ნორმების არსებობა; ახლადმიღებული კანონების არასრულყოფილება; კანონების, ნორმატიული აქტების, დადგენილებებისა და ა.შ. შესრულების დაბალი ხარისხი; საზოგადოებაში ისეთი ჩვევებისა და ტრადიციების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობს კორუფციის გაძლიერებას; სახელმწიფო სექტორში ხელფასების დაბალი დონე; კერძო სექტორთან შედარებით; ბიუროკრატიული ელიტის მოწყვეტა ხალხისაგან; მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და სხვ.**

საქართველოში უმუშევრობისა და სიღარიბის არაეკონომიკური ხასიათის მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ:

გეოგრაფიული მდებარეობა საქართველოს, ერთი მხრივ (წარმოადგენს რა იგი მსოფლიო სატრანზიტო დერეფანს), აძლევს განვითარების დიდ შესაძლებლობებს, მეორე მხრივ (ხვდება რა დიდი სახელმწიფოების ინტერესთა სფეროში), წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორს. ამ ვითარებას შეესაბამება დღევანდელი მდგომარეობა. საქართველოზე გადის (და მომავალშიც მოსალოდნელია მათი რაოდენობის ზრდა) საერთაშორისო სატრანზიტო მარშრუტები, ქვეყანა იღებს დიდი რაოდენობის საერთაშორისო დახმარებებს, მაგრამ, ამავე დროს, მას უხდება ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის. ათასობით ლტოლვილთა არსებობა, ომები, რუსეთის ბაზრის დაკარგვა, ბუნებრივია, დიდ ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და ზრდის უმუშევრობის დონეს.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა საქართველოსათვის (გასხვავებით რუსეთისგან, პოლონეთისგან, რუმინეთისგან და ა.შ.) დამატებით საზრუნავს წარმოადგენდა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ამოცანის განხორ-

---

[33] **აბესაძე რ.** ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. თბილისი, „მეცნიერება“, 2002; **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო ეკონომიკის ჩიხში. „ეკონომისტი“, 2009, №1; **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თსუ გამომცემლობა“, 1996; **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „ჯდ“, 2002; **სანთელაძე ნ.** საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის შუქჩრდილები და მსოფლიო გამოცდილება. „შრომები“. IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი, 2004; **ჩიქავა ლ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. „გარდამავალი ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები“. თბილისი, „თსუ გამომცემლობა“, 2002; **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1997 და სხვ.

[34] **Алле М.** Глобализация: разрушение условий занятости и экономического роста. М., ТЕИС, 2003.

ციელებასთან ერთად, რამაც, რასაკვირველია, თავისი ნეგატიური გავლენა იქონია რეფორმების ხარისხსა და ვადებზე.

კრიმინოგენური სიტუაცია საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის უკიდურესად დაძაბული იყო (განსაკუთრებით 1995 წლამდე, თუმცა იგი დაძაბული რჩებოდა 2004 წლამდე). შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკა ფაქტობრივად ცალკეული კრიმინალური დაჯგუფებების ხელში იყო. ამჟამად კრიმინოგენური სიტუაცია დამაკმაყოფილებელია და ეკონომიკის განვითარებისათვის ამ მიმართულებით საშიშროება არ არსებობს.

საქართველოში **უმუშევრობის დონის** შემცირების მიზნით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა, რაც გულისხმობს შრომის ბირჟის, დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის, დასაქმების ფონდისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეფასება (ეკონომიკური და არაეკონომიკური, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და ა.შ.); შრომით მიგრანტთა აღრიცხვა, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და სხვ;

2. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკას გადააადგილებს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ, რომელიც გამოიწვევს თვით ფილიპსის მრუდის გადაადგილებებს ისეთ წერტილებში, სადაც უმუშევრობის დონე კლებულობს, ხოლო ფასების საერთო დონე უცვლელია ან უმნიშვნელოდ მატულობს. ეს მიიღწევა ისეთი ინოვაციური პროგრამების სტიმულირებით (უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული ინოვაციური პოლიტიკა), რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს, ხოლო ხელფასების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს, სანამ უმუშევრობის რეალური დონე არ გაუტოლდება მის ბუნებრივ დონეს. ეს მიიღწევა წარმოებისა და მომსახურების არსებული დარგების გაფართოებით და მათი ახალი სფეროების ათვისებით;

3. უმუშევრობის დონის შემცირება ძირითადად დაკავშირებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, ე.ი. ახალი კაპიტალდაბანდებების განხორციელებასთან. გარდა ამისა, ინოვაციების განხორციელებას, რომელსაც თან ახლავს შრომის მწარმოებლურობის ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა რომ არ მოჰყვეს, აუცილებელია წარმოების გაფართოება შრომის მწარმოებლურობის ზრდის პროპორციულად. ე.ი. საქართველოში, ვინაიდან ადგილი აქვს უმუშევრობის მაღალ დონეს და წარმოებაში ინერგება სიახლეები, უმუშევრობის არსებული დონის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ გაუსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. უმუშევრობის დონის შემცირებას ართულებს ასევე შრომითი ემიგრანტების დაბრუნება. ამრიგად, ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფასთან ერთად აუცილებელია მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც დიდი მოცულობის დაბანდებების განხორციელებითაა შესაძლებელი. ეს კი შეიძლება მოხდეს როგორც შიგა, ისე გარე ინვესტიციების ხარჯზე. კვლავ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამასთან, სახელმწიფო კრედიტები და დახმარებები გამოყენებული უნდა იქნეს რეალურ წარმოებაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას უპირატესობა უნდა მიეცეს ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას;

4. ადგილობრივი ინვესტიციების მობილიზაციისათვის აუცილებელია ადგილობრივ ბიზნესმენებზე სახელმწიფო მოხელეთა ყოველგვარი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა. კორუფცია არსებობს ნებისმიერ ქვეყანაში და მასთან ბრძოლა მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს. აუცილებელი ხდება ერთმანეთს შევადაროთ კორუფციის შედეგად მიღებული დანაკარგები (კორუფციული დანაკარგები) და დანახარჯები გაწეული მისი აღმოფხვრისათვის.

ეკონომიკური თვალსაზრისით, კორუფციის აღმოსაფხვრელად დანახარჯების გაღება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ კორუფციის აღმოფხვრის ეკონომიკური შედეგები მეტი იქნება დანახარჯებზე, ე.ი. კორუფციის ოპტიმალური დონე მიიღება მაშინ, როდესაც დანახარჯები, გაწეული მისი აღმოფხვრისათვის, გაუტოლდება მიღებულ შედეგს, ვინაიდან ამის შემდეგ დანახარჯები გადააჭარბებს შედეგს.

კორუფციის შემცირების მაკროეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებიდან უმთავრესია ისეთი მაკრო- და მიკროეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომელიც აღმოფხვრის კორუფციის წარმომშობ მიზეზებს, უპირველეს ყოვლისა, გააუმჯობესებს არსებულ ინსტიტუციებს. შეიძლება გამოვყოთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი ძირითადი მეთოდი:[35]

[35] **Козонов Э., Жукаев А.** Коррупция: истоки и пути преодоления. М., МАКС Пресс, МГУ им. М.В. Ломоносова, 2006.

კანონებისა და მათი შესრულების გამკაცრება, რასაც შედეგად მოჰყვება კორუფციაზე წასვლის რისკის ამაღლება; საბაზრო ძალების გაძლიერება; ჩინოვნიკთა ხელფასების გაზრდა (მართალია, სახელმწიფო მოხელეთა ხელფასის ზრდამ შეიძლება ვერ გამოიწვიოს კორუფციის დონის პირდაპირპროპორციული შემცირება, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ მატერიალურად უფრო მეტად უზრუნველყოფილი ადამიანი ნაკლებად წავა რისკზე. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ყველაზე დაბალი კორუფციის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო მოხელეთა ხელფასი 2-3-ჯერ მეტია კერძო სექტორში არსებულ ხელფასზე); **ფინანსური კონტროლი (აუდიტი); დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება** და სხვ;

5. უმუშევრობის შემცირების დიდი რეზერვი არის მცირე ბიზნესი. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა. საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ფართო ინფრასტრუქტურა, საქართველოში კი მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება თითქმის არ ხდება და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს;[36]

6. საერთოდ, როგორც ეკონომიკის განვითარების, ისე უმუშევრობის დონის შემცირებისათვის აუცილებელი პირობაა სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკა დეფორმირებულია, ვინაიდან საბაზრო ინფრასტრუქტურა ჩამოუყალიბებელია და მისი სტრუქტურა არასრულყოფილია. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ინოვაციურ ეკონომიკაზე სწრაფი გადასვლა.

Ramaz Abesadze

POPULATION STANDARDS OF LIVING, POVERTY AND UNEMPLOYMENT IN GEORGIA

Annotation

The problem of distribution of produced wealth is one of the most important criterion of economic development. If the difference (or disbalance) between rich and poor parts increases then we can say that economic development does not take place. In spite of high rates of world globalization the world regions significantly differ from each other according to standard of living. In the conditions of justice globalization should be able to balance standard of living among world regions. It might be said that in this direction the globalization level of world economy is low. When analyzing relative poverty is expressed opinion that in equal distribution of income is not always necessarily connected with the level of economic development. It is mainly determined by formed traditions and perfection of state regulation of economy.

There is offered a curve of relation between Gini coefficient and income, which is opposite to the results empirically received by Simon Kuznets. It is stated that the decrease of Gini coefficient to optimal level will stimulate the acceleration of economic development.

In most countries postcommunist transformation began with economic decrease. In Georgia it was expressesd most evidently. These processes were followed by very high level of unemployment.

Many postcommunist countries could overcome the difficulties and build more or less perfect market economy; decrease the unemployment almost to natural level. Some of them including Georgia could not solve this problem in the process of reform implementation because of mistakes and other objective or subjective causes. Hence, as a result, we have a high level of unemployment in these counties.

The article analyzes the situation and causes of poverty and unemployment in Georgia, there are mapped out measures to decrease the poverty and unemployment level.

რამაზ აბესაძე

ნანა ბიბილაშვილი

გლობალიზაციის უმუშევრობაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი

გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე და, მაშასადამე, უმუშევრობაზეც. უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები დამოკიდებულია მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებში არსებულ მდგომარეობაზე. თუ მსოფლიო ეკონომიკა გამართულად ფუნქციონირებს, მაშინ ეროვნული ეკონომიკებისათვისაც ხელსაყრელი გლობალური პირობები იქმნება და პირიქით. თუმცა, ცალკეულ ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, შესაძლებელია, არ შეესაბამებოდეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ პირობებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის ჩართულობის ხარისხზე გლობალიზაციის პროცესებში, ასევე მოცემული ქვეყნის რესურსებით უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური განვითარების დონეზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე. უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენა

[36] საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით იხილეთ: **აბესაძე რ., კაკულია ე.** მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბილისი, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი“, 2009.

განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ მაღალ-განვითარებული საბაზრო ეკონომიკა და სოციალურეკონომიკური განვითარების უდიდესი დონე. XX საუკუნის მიწურულს მათზე მოდიოდა მსოფლიო წარმოების 55%. ამ ჯგუფიდან გამოიყოფა ეგრეთ წოდებული "შვიდეული" (აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, 164 კანადა), რომლებიც აწარმოებენ მსოფლიო შიგა პროდუქტის 44%-ზე მეტს. ამათგან: აშშ – 21, იაპონია – 7, გერმანია – 5%-ს.[37] 14 ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის დაბალი დონე, მაგრამ გლობალიზაცია მაინც დიდ გავლენას ახდენს მასზე. შეიძლება გამოიყოს გლობალიზაციის ორი დიდი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს უმუშევრობის ზრდაზე განვითარებულ ქვეყნებში: პირველი, მაღალი ტექნოლოგიების (უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების) ფართომასშტაბიანი დანერგვა, რომელიც სულ უფრო და უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვს ყოველ შექმნილ ახალ პროდუქციაზე, რაც თანდათან წარმოებიდან დენის დაბალ-კვალიფიციურ მუშახელს და რაც მოქმედებს უმუშევრობის დონის ზრდის მიმართულებით. მეორე, გლობალიზაციის პირობებში განვითარებული ქვეყნები მიისწრაფიან თავიანთი წარმოება გაიტანონ საზღვარგარეთ იქ არსებული იაფი სამუშაო ძალისა და ბუნებრივი რესურსების გამო. შედეგად, ბუნებრივია, ეს პროცესი იწვევს დასაქმების შემცირებას ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით, გადამამუშავებელ მრეწველობაში. ამიტომ, სამუშაო ადგილები მცირდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია გარე სამყაროზე და იზრდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია შიგა მოხმარებაზე. შესაძლებელია ეკონონიკის ამ ორ სფეროს შორის დასაქმების მიმართულებით ბალანსი დაირღვეს და დიდი უმუშევრობა გამოიწვიოს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საექსპორტო სექტორში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ბევრი სამუშაო ადგილი შემცირდა[38]. ამაზევე მეტყველებს მონაცემები იმის შესახებ, რომ მსოფლიოში 2006- 2007 წლებში შექმნილი 45 მლნ ახალი სამუშაო ადგილიდან მხოლოდ 4% მოდიოდა განვითარებულ ქვეყნებზე [39] . 16 ამ პროცესს, ამავე დროს, მოსდევს სამუშაოს პოვნის გაძნელება დაბალი კვალიფიკაციის მქონე უშევრებისათვის, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი შესაბამისი სამუშაო ადგილების გატანა ხდება საზღვარგარეთ. განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დაბალი დონის შესანარჩუნებლად, ანუ უმუშევრობის ზრდის ზემოთ მოყვანილი ორი ფაქტორის კომპენსაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციების მეშვეობით უნდა მოხდეს ახალი ადგილების წარმოქმნა უმთავრესად მომსახურების სფეროში. მართალია, მომსახურებაშიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ზრდის უმუშევართა რაოდენობას, მაგრამ, ჩნდება მომსახურების ახალი სახეობები, რაც ასაქმებს გამოთავისუფლებულ მუშახელს. პერსპექტივაში, ახალი სფეროები წარმოიშობა ასევე ეკონომიკის რეალურ სფეროში. განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება სახელმ-წიფოები საბაზრო ეკონომიკით და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით. თუმცა, ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ამ ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა და დღესაც გრძელდება მათი დიფერენციაციის პროცესი. ეს ჯგუფი არცთუ დიდი ხნის წინ დატოვა და განვითარებულ ქვეყნებს შეუერთდა სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჰონკონგი. სულ ახლახან განვითარებული ქვეყნების ჯგუფს შეუერთდა ასევე, ევროკავშირის თერთმეტი ახალი ქვეყანა: ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკია. გაერთიანებული ერების ორგანი-ზაციის კლასიფიკაციით განვითარებადი ქვეყნები იყოფა ნაკლებად ნაკლებად განვითარებულ, განვითარებად და განვითარებულ განვითარებად და განვითარებად და ნავთობის ექსპორტიორ ნავთობის ექსპორტიორ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებად. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კლასიფიკაციით კი ქვეყნებად – შემოსავლე შემოსავლების შემოსავლების დაბალი დონით, შემოსავლების საშუალო დონით, ახალ დაბალი დონით, შემოსავლების საშუალო დონით, ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებად და ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებად. ღებულობენ რა უზარმაზარ შემოსავლებს ნაბთობის რეალიზაციის შედეგად, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა შეძლეს ეკონომიკის მოდერნიზაცია, ცხოვრებისა და განათლების დონის ამაღლება[40] გლობალიზაციის მეშვეობით განვითარებადმა და ნავთობის ექსპოტიორმა ქვეყნებმა ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალ ტემპებს მიაღწიეს, ამიტომ ისინი სულ უფრო უახლოვდებიან მდიდარ ქვეყნებს [41] . დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილები იქმნება აქ ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) მიერ, ვინაიდან აქ იმყოფება იაფი მუშახელი და ბუნებრივი რესურსები.

---

[37] აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., "მერიდიანი", 2006. 165

[38] Katz R. Manufacturing globalization. The real sources of U.S. inequality and unemployment //Foreign affairs. – N.Y., 2011. – Vol.90, N6. – nov./dec. //http://www.foreignaffairs.com/articles/136594/richard-katz-robert-z-lawrencemichael-spence/manufacturing-globalization С. В. Рязанцев, М. Ф. Ткаченко. Мировой рынок труда и международная миграция. Москва, «Экономика», 2010. 166

[39] С. В. Рязанцев, М. Ф. Ткаченко. Мировой рынок труда и международная миграция. Москва, «Экономика», 2010. 166

[40] აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., "მერიდიანი", 2006. 168

[41] Spence M. Globalization and Unemployment // Foreign affairs. – N.Y., 2011. – Vol. 90, N 4. //http://www.foreignaffairs.com/articles/67874/michaelspence/globalization-and-unemployment 167

ამდენად, ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. მაგრამ, პერსპექტივაში თუ პროპროცესები ასე გაგრძელდა, სამუშაო ძალა აქაც გაძვირდება და კაპიტალის შემოდინება შემცირდება. ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა შეძლეს განვითარებინათ მრეწველობა, განსაკუთრებით, მისი საექსპორტო დარგები. ისინი თანდათან ამაღლებენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას, ამიტომ ამ ქვეყნებში დაბალია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე (შემოსავლების უკიდურესი სიმცირე, სიღარიბე, ძლიერ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, არასაკმაო განათლება ან მთლიანად უქონლობა, დაბალ ასაკში სიკვდილიანობის მაღალი დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობის ცუდი მაჩვენებლები და ა.შ.). ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა უჭირავს მიწათმოქმედების ჩამორჩენილ, მათ შორის, არქაულ ფორმებს. მრეწველობა ძალზე მცირედაა განვითარებული. ამ ქვეყნების ექსპორტში ძირითადად ფიგურირებს ტრადიციული პროდუქცია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები სუსტად არიან ჩართული გლობალიზაციის პროცესებში და მათზე გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. ამიტომაც უმუშევრობისა და შემოსავლების უთანაბრობის დონე მაღალია. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში (ჩამორჩენილი ქვეყნები) ჭარბობს ნედლეულის წარმოება, რომელიც ეფუძნება მინერალურ და სასოფლო-სამეურნეო რესურსებს, წამყვან განვითარებად ქვეყნებში კი – გადამამუშავებელი მრეწველობა და მომსახურება. სოფლის მეურნეობა ძირითად დარგად ითვლება ისეთ რეგიონებში როგორიცაა: სამხრეთაღმოსავლეთი და სამხრეთ აზია, საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნები. უმუშევრობის დიდი დონეა სწორედ ამ ქვეყნებში. თუმცა, ბევრ ჩამორჩენილ განვითარებად ქვეყანაში გლობალიზაციის გავლენით წარმოება ვითარდება ინდუსტრიალიზაციისაკენ, რაც ამცირებს უმუშევრობის დონეს. უმუშევრობის ყველაზე დიდი დონეა ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილო აფრიკაში, ყველაზე დაბალი კი – აზიის განვითარებულ ქვეყნებში[42] . განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მრეწველობის განვითარება, ინდუსტრიული საზოგადოების აშენება. ამისათვის აუცილებელია როგორც შიგა, ისე გარე რეზერვების ამოქმედება. ამასთან, სწორედ უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს მათი განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მათი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე იძულებითი უმუშევრეობის დონე ძლიერ მაღალი იყო, რისი მიზეზებიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი. გავლენა შრომის ბაზარზე როგორ უმუშევრობის დონის ზრდის, ისე შემცირების მიმართულებით ხორციელდებოდა. საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებამ და შემდგომში გაძლიერებამ შესაძლებელი გახადა მსოფლიოში არსებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანა, რაც თავისთავად უმუშევართა რაოდენობის ზრდას იწვევს. მეორე მხრივ, წარმოების გაფართოება უმუშევართა რაოდენობას ამცირებს. უმუშევართა რაოდენობას ამცირებს ასევე საერთაშორისო მიგრაცია, რომელსაც ადგილი აქვს ამ ქვეყნებშიც. იმ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში), სადაც უმუშევრობის დონე დიდია, შრომის ბაზარზე მოხდეს პირობების გასაუმჯობესებლად, აუცილებელია განხორციელდეს სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევა ანუ ამ სფეროების სახელმწიფო რეგულირება და, რომ რეგულირების სისტემები შეესაბამებოდეს საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს და საკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებდეს ფედერალურ, დარგობრივ და რეგიონულ დონეებზე. ამ სისტემებმა უნდა უზრუნველყოს როგორც ხანმოკლე პერიოდის ამსახველი ამოცანების, ასევე საშუალო და გრძელვადიანი დროითი ფაქტორების ამსახავი პრობლემების გადაჭრა. საქართველოში შრომის ბაზრის რეგულირება ჯერ კიდევ არ არის მოქცეული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ყურადღების ქვეშ და მან, ბუნებრივია, ვერ მიიღო მთლიანი მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონის ადეკვატური ასახვა სამთავრობო დოკუმენტებში. გარდა ამისა, პრობლემების სირთულე კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ ამ ქვეყნების შრომის ბაზრები დღეისათვის ფორმირების სტადიაზე იმყოფება: ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ სრულად არ ფუნქციონირებს მისი რეგულირების არც ორგანიზაციულ-სამართლებრივი და არც სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დასაქმების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების 170 შექმნის, მისი რეგულირებისათვის საჭირო მეთოდებისა და საშუალებების შერჩევის, სახელმწიფო და კერძო ინიციატივების თანაფარდობის, აგრეთვე ამ სფეროს ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრობლემები. შრომის ბაზრის რეგულირება (როგორც დასაქმებაზე მოქმედი ღონისძიებების ორგანიზებული სისტემა) უნდა წარმოადგენდეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას[43] . გლობალიზაციის გავლენა უმუშევრობაზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს კრიზისების პერიოდში. თანამედროვე გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ყველაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა განვითარებულ ქვეყ-

[42] აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., "მერიდიანი", 2006.

[43] წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ. პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე). თბ., "მეცნიერება", 2004. გვ. 52.

ნებზე (ანუ იმ ქვეყნებზე, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩართულნი ამ გლობალურ პროცესებში). ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ევროზონა (აქედან საბერძნეთი, ესპანეთი, ირლანდია, ესტონეთი და პორტუგალია) გარდა გერმანიისა. უმუშევრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ლიტვა, ლატვია და სლოვენია. განვითარებადი ქვეყნები შედარებით სტაბილურობას ინარჩუნებენ (გარდა ბულგარეთისა). ბევრგან უმუშევრობის დონის შემცირებაც კი შეიმჩნევა, განსაკუთრებით კრიზისის შემდგომ პერიოდში (ბრაზილია, ჩინეთი, ჩილე, ინდოეთი, ყაზახეთი, მაკედონია, საუდის არაბეთი და სხვ.)[44]. დიდი გავლენა იქონია საფინანსო კრიზისმა შრომის ბაზრებზე. უმუშევრობის დონე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღესაც კრიზისამდელ ნიშნულზე მაღალი რჩება. მსოფლიო შრომის ორგანიზაციის მოხსენებაში – "World of Work Report 2011: Making markets work for jobs", ნათქვამია, რომ დასაქმების კრიზისამდელი დონის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ 5 წლის შემდეგ. ამჟამად მსოფლიოში აღინიშნება უმუშევართა ყველაზე დიდი რაოდენობა – 200 მილიონი კაცი[45]. გლობალიზაციასთან ერთად წარმოიშობა შრომის გლობალური ბაზარი, რომელზეც კონკურენტულ საფუძველზე ხდება უცხო სამუშაო ძალის დაქირავება. ბუნებრივია, შრომის გლობალური ბაზარი გავლენას ახდენს შრომის როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ ბაზრებზე. შეიძლება გამოიყოს სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილი, რომელიც უშუალოდ ჩართული არ არის გლობალურ ბაზარში, თუმცა გლობალური პროცესები თანდათან ამცირებს მათ რაოდენობას ან საერთოდ უსარგებლოს ხდის მათ შრომას (მაგალითად, ხელის მანქანაზე მბეჭდავები). გლობალური ბაზრის უშუალო მონაწილეებად შეიძლება ჩაითვალონ ტრანსნაციონალური კომპანიების (ტნკ) ან სხვა სუბიექტების მუშაკები, რომლებიც გადიან საერთაშორისო ბაზარზე და მიგრანტები. ერთი ქვეყნიდან მეორეში სამუშაო ადგილების გატანა დიდ გავლენას ახდენს შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე. შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი თეორიის მიხედვით, შრომის დანაწილება ხდება "ცენტრსა" და "პერიფერიებს" შორის. მაღალტექნოლოგიური წარმოება რჩება ცენტრში, ხოლო დაბალკვალიფიციური შრომა პერიფერიებში. ფაქტობრივად ყალიბდება გლობალური სამუშაო ძალა, რომელიც მონაწილეობს როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციების (როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით), ისე საზღვარგარეთ ეროვნული კომპანიების საქმიანობაში. ამასთან, ძირითადად ესენი არიან მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები, რომლებიც წარმოებიდან დენიან დაბალი კვალიფიკაციის მუშახელს. მაგრამ, ალბათ, დაისმის კითხვა თუ რამდენად გლობალიზებულია მსოფლიო შრომის ბაზარი, როდესაც ადგილი აქვს მოსახლეობის დიფერენციაციას დასაქმების დონის მიხედვით. პასუხი ერთია, რომ ამჟამად მიმდინარეობს გლობალური შრომის ბაზრის ფორმირების პროცესი და საბოლოოდ მასში ჩართული აღმოჩნდება ყველა ქვეყანა. ამდენად, აუცილებელია ამ პროცესის საერთაშორისო რეგულირება, პროცესები რომ სწორად წარიმართოს. ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის პირობების უნიფიკაციასა და სტანდარტიზაციას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას. კვალიფიციური შრომა იღებს გლობალურ ხასიათს. შრომა ხდება ინოვაციური, რაც გავლენას ახდენს ეროვნული შრომის ბაზარზე – სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე ფინანსების, მედიცინის, დაზღვევის, ტურიზმის, საინფორმაციო და სხვა პროგრესული ტექნოლოგიების სფეროებში. გლობალური შრომის ბაზარი ასევე განიცდის წინააღმდეგობებს, უპირველეს ყოვლისა, გლობალურ და ეროვნულ ინტერესთა სხვადასხვაობის, ეროვნული ბაზრების განვითარების სხვადასხვა დონის არსებობის, ძველსა და ახალს შორის დაპირისპირების, მაღალ და დაბალკვალიფიციურ მუშაკთა შორის დაპირისპირებულობის, მისი სრულყოფილი რეგულირებისათვის საჭირო ორგანოების არარსებობის გამო და სხვ. მუდმივ ცვლილებასა და სრულყოფაში მყოფი ეროვნული და გლობალური შრომის ბაზრების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების გაძლიერება, რათა მოხდეს ეროვნულ და გლობალურ ინტერესთა სრული თანხვედრა არსებული წინააღმდეგობები ნეგატიური მოვლენებით რომ არ დასრულდეს.

Ramaz Abesadze
Nana Bibilashvili

SOME ASPECTS OF GLOBALIZATION INFLUENCING UNEMPLOYMENT

Annotation

Globalization influences all the sectors of national economy including unemployment. The peculiarities of influence of globalization on unemployment depends on the circumstance existing in world and national economies. The article analyzes the peculiarities of influence of globalization on unemployment in developed, developing and post-communist countries and that of international labor market at current stage.

[44] http://www.tradingeconomics.com/unemployment-rates-list-by-country

[45] World of Work Report 2011: Making markets work for jobs. INTERNATIONAL LABOUR ORGANIZATION, INTERNATIONAL INSTITUTE FOR LABOUR STUDIES. 2012 http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_166021.pdf.

ციცინო თეთრაული

ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და ანტიინფლაციური რეგულირება საქართველოში

ინფლაცია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, სადაც ინფლაციური ზრდა მოკლე დროის განმავლობაში შეჩერებულიყო. ინფლაციური პროცესების სწორად ახსნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკაში საჭირო ფულის რაოდენობის დადგენის საკითხებთან. კაცობრიობას დღემდე არ გააჩნია მიმოქცევაში ფულის გამოშვების რაოდენობის ობიექტური კრიტერიუმი. იგი მაკროეკნომიკური განვითარების არასტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მ. ფრიდმენი ამბობდა: „ინფლაციის უშუალო მიზეზი ყოველთვის და ყველგან ერთი და იგივეა: ფულის რაოდენობის უზომოდ სწრაფი ზრდა წარმოების მოცულობასთან შედარებით“. ინფლაცია შეიმჩნეოდა შუა საუკუნეებშიც, როდესაც მხოლოდ ლითონის ფული არსებობდა. თუმცა იმ პერიოდის ინფლაციის მასშტაბები მეტად უმნიშვნელო იყო დღევანდელი ინფლაციის მასშტაბებთან შედარებით. თანამედროვე განსაზღვრებით, ინფლაციაში იგულისხმება ქაღალდის ფულის მსყიდველობითი უნარის (ღირებულების) დაცემა და ამის შედეგად ფასების საერთო დონის ამაღლება. უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის დროს ყველა საქონელსა და მომსახურებაზე ერთდროულად არ ხდება ფასების ზრდა. ინფლაციის საკმაოდ სწრაფი ზრდის დროსაც კი ზოგიერთ საქონელსა და მომსახურებაზე ფასი შეიძლება სტაბილური დარჩეს, ხოლო ზოგიერთზე შემცირდეს კიდეც. როგორც წესი, ფასები იზრდება არათანაბარზომიერად; საქონლისა და მომსახურების ერთ ნაწილზე მატულობს ნახტომისებურად, მეორეზე თანაბარი ტემპებით, ხოლო მესამე ნაწილზე საერთოდ არ მატულობს. ქაღალდის ფულის მსყიდველობითი უნარის დაცემა (გაუფასურება) გამომდინარეობს იქიდან, რომ მას საკუთარი ღირებულება არ გააჩნია. შეიძლება ითქვას, დღემდე გრძელდება დავა ორ შეხედულებას შორის: 1. „ფული ყველაფერია“, 2. „ფული არაფერია“. ეს საკითხი ფულის შესახებ ურთულეს პრობლემად რჩება, ინგლისელი ეკონომისტი ვ. კარლეილი ფულის შესახებ წერდა: „ფული ის ღერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ეკონომიკა“. ეკონომიკური მეცნიერების არც ერთ სხვა სფეროს არ გამოუწვევია იმდენი გაუგებრობა და უთანხმოება, რამდენიც მოძღვრებას ფულის შესახებ. ფულის წარმოშობის რაციონალისტური კონცეფცია გვხვდება არისტოტელესთან. ევოლუციური კონცეფცია კი ფულს განიხილავს, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ობიექტურ სტიქიურ პროცესს. ამ კონცეფციას აღიარებდნენ: სამუელსონი, ნორდჰაუსი, მარქსი და სხვები. ღირებულების ფულადი ფორმის წარმოშობით საქონელთა სამყარო გაიყო ორ პოლუსად. ერთ პოლუსზე აღმოჩნდა სპეციფიკური, სახმარი ღირებულების მქონე ყველა საქონელი, მეორე პოლუსზე კი საყოველთაო სახმარი ღირებულების მატარებელი განსაკუთრებული სახის საქონელი, საქონელთა საქონელი - ფული. ფულის ფენომენმა დიდი თავსატეხი გაუჩინა როგორც ეკონომისტებს, ასევე მსოფლიოს.

ინფლაციამ ყოვლისმომცველი ხასიათი მაშინ შეიძინა, როცა ოქროს ფული მიმოქცევიდან მთლიანად გამოიდევნა და მისი ადგილი ქაღალდის ფულმა დაიმკვიდრა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მეომარმა სახელმწიფოებმა თავიანთი სამხედრო ხარჯების დაფინანსებისათვის ფართოდ მიმართეს ქაღალდის ფულის ემისიას, რამაც არნახულად გააუფასურა იგი. ომის დამთავრების შემდგომ იყო ოქროს ფულის მიმოქცევის აღდგენის წარუმატებელი მცდელობა, მაგრამ ქაღალდის ფულმა მიმოქცევიდან მთლიანად და საბოლოოდ გამოდევნა ოქროს ფული. ინფლაციის შიგა მიზეზებს მიეკუთვნება:

ა) ბაზრის სტრუქტურის შეცვლა XX საუკუნეში. კერძოდ სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის შეცვლა ოლიგოპოლიური ბაზრით, რომელიც უზრუნველყოფს ხელოვნურად მაღალი (მონოპოლიური) ფასების დაწესებას და ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას. კონკურენტები ცდილობენ საქონელზე მაღალი ფასის შენარჩუნებას და დაინტერესებულები არიან, ხელოვნურად შექმნან დეფიციტი, შეამცირონ საქონლის წარმოება და მიწოდება.

ბ) სახელმწიფო ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე, რაც გამოიხატება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტში და რომლის დროსაც სახელმწიფო მიმართავს შიგა სახელმწიფო ვალის გადიდებას (კრედიტის აღება, ფასიანი ქაღალდების გამოშვება).

გ) ცენტრალური ბანკის მიერ დაშვებული ფულის გაძლიერებული ემისია სახელმწიფოს მზარდ საჭიროებათა დასაფარავად, რაც მკვეთრად გაზრდასა და გაუფასურებას იწვევს.

დ) კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული საკრედიტო ექსპანსია. როცა ხდება კრედიტების გაცემა მსესხებლებზე ვალის დაბრუნების შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად. ბანკების მიერ კრედიტების გაცემა მიმოქცევაში ქაღალდის ფულის მასას ზრდის, ხოლო მოვალეთა მიერ ბანკისათვის კრედიტების დაბრუნება ფულის მასას ამცირებს. ამიტომ კრედიტის მოძრაობას სჭირდება მკაცრი კონტროლი. ცენტრალურმა ბანკმა უნდა დაარეგულიროს კომერციული ბანკების საქმიანობა კრედიტის გაცემის სფეროში.

ე) გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდების მასშტაბების გადიდება, რაც იწვევს იმას, რომ დიდი ხნის განმავლობაში ქვეყანა ვერ იღებს რამენაირ უკუგებას დახარჯული ფულიდან.

ვ) ინფლაციის მოლოდინი. შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად, ჯერ ერთი მომხმარებლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყიდულობენ საქონელსა და მომსახურებას მაღალ ფასებში და რადგან იმედს კარგავენ მათ შემცირებაზე, იძენენ საქონელს მიმდინარე მოთხოვნებთან შედარებით მეტი ოდენობით; მეორე, პარალელურად იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის, რაც განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მიმდინარე სამომხმარებლო მოთხოვნის გაფართოებას; მესამე, მწარმოებლები თავიანთ პროდუქციაზე აწესებენ სულ უფრო მაღალ ფასებს იმ მოტივით, რომ უახლოეს ხანში მოსალოდნელია ნედლეულის, მასალების და მაკომპლექტებელი ნაწარმის კიდევ უფრო გაძვირება. ამავე მიზეზით ისინი აფართოებენ წარმოების რესურსების შეძენას. ყოველივე ამის შედეგად ფასები იზრდება არა მარტო ადრე დაუკმაყოფილებელი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დონემდე, არამედ მოსალოდნელ ოფიციალურ სიდიდემდეც.

ინფლაციის გარე, ანუ საერთაშორისო მიზეზებია: ა) მსოფლიო ბაზარზე წარმოების საშუალებათა ფასების ზრდა, რაც იწვევს მათი ფასების გადიდებას ქვეყნის შიგნითაც; ბ) სახელმწიფოს მიერ თავისი საგარეო ვალის გადიდება სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან სესხების აღების გზით; გ) ბუნებრივი რესურსების შემცირებასთან დაკავშირებული სტრუქტურული კრიზისები მსოფლიო ეკონომიკაში, რომლებიც იწვევენ წარმოების ფაქტორთა გაძვირებას ყველა ქვეყანაში; დ) სახელმწიფოთა შორის წარმოებული ომები, რომლებსაც თან ახლავს უდიდესი მოთხოვნა ფულზე, რამაც შეიძლება ცალკეულ ქვეყნებში ფულად და საქონლურ მასას შორის დისბალანსი გამოიწვიოს.

არსებობს ინფლაციის სხვადასხვა ფორმები. ფასების ზრდის ტემპების მიხედვით განასხვავებენ ინფლაციის სამ სახეობას. 1) ზომიერი ინფლაცია (მას მცოცავ ინფლაციასაც უწოდებენ) როცა ფასები იზრდება 10%-ზე უფრო დაბლა. ფულის ღირებულება თითქმის შენარჩუნებულია, ფასების ზრდის შედეგი კი უმნიშვნელო. თანამედროვე ეკონომიკური თეორიით, ინფლაციის ეს სახეობა მიიჩნევა ეკონომიკურ განვითარებაზე კეთილმყოფელ ფაქტორად, რადგან იგი, მოთხოვნა-მიწოდების ცვალებადი პირობების შესაბამისად, ფასების კორექტირების საშუალებას იძლევა. უმეტესად ინფლაციის სწორედ ეს სახეობაა დამახასიათებელი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის. 2) ჭენებადი ინფლაციის დროს ფასები წლიურად 20-დან 200%-მდე იზრდება. ფული სწრაფად მატერიალიზდება საქონელში, მარაგში. 3) ჰიპერინფლაცია ინფლაციის განსაკუთრებული სახეა. მისი თავისებურება ისაა, რომ იგი პრაქტიკულად უმართავია. ჰიპერინფლაციის დროს ფასები ასტრონომიულად იზრდება. ეცემა სზოგადოების ყველაზე უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობის დონეც კი. ჰიპერინფლაცია უმეტესად მოსალოდნელია ომისა და ომისშემდგომ პერიოდებში. ინფლაციური პროცესების განვითარების ორ ძირითად მიმართულებას განასხვავებენ: ღია და დათრგუნულ (ჩახშობილ) ინფლაციას. ვინაიდან ღია ინფლაცია მაკროეკონომიკური მოვლენაა, მისთვის დამახასიათებელია სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდა. ამასთან, ღია ინფლაცია სავსებით უთავსდება ბაზრებზე ცალკეული საქონლის ფასების პერიოდულ შემცირებას ან, უკეთეს შემთხვევაში, მათი ზრდის შენელებას. ფასების არათანაბარზომიერი ზრდის პირობებში ღია ინფლაცია მართალია იწვევს საბაზრო მექანიზმის დეფორმირებას, მაგრამ არ სპობს მას. ვიდრე საბაზრო მექანიზმი ცოცხალია, არსებობს ინფლაციის დაძლევის იმედიც. დათრგუნული ინფლაციის დროს, რომელიც წარმოიქმნება მკაცრად რეგულირებადი ან ფიქსირებული ფასების მქონე ეკონომიკაში, ფასების ზრდა შესამჩნევი შეიძლება არც კი იყოს. ფულის გაუფასურება კი გამოიხატება მწვავე დეფიციტით. ასეთი ინფლაციის დროს ფასების ზრდით შეწუხებული სახელმწიფო მკაცრ კონტროლს აწესებს ფასებსა და შემოსავლებზე. ე.ი. ყინავს მათ განსაზღვრულ დონეზე, მაგრამ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ასეთი ღონისძიებები რადიკალურ შედეგებს ვერ უზრუნველყოფს. საქართველოში არსებულ ინფლაციაზე გავლენას ახდენს როგორც ეგზოგენური, ისე ენდოგენური ფაქტორები. ეგზოგენური (გარე) ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მეზობელი და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტირებული ინფლაცია, რომლის შეჩერების უნარიც ნაკლებად შესწევს ჩვენს ქვეყანას. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, განვითარებულია თუ განვითარებადი, ეროვნული ბანკი ერთ-ერთ წამყვან ფუნქციას ასრულებს. მან უნდა უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა, ფინანსური სისტემის გამჭვირვალობა და სტაბილურობა. შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები, იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, უზრუნველყოს საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება. ეკონომისტებს ერთმანეთისგან განსხვავებული აზრი გააჩნიათ ინფლაციის მიზეზების მიმართ. ზოგერთები თვლიან, რომ ზომაგადასული მოთხოვნა ფასებს მაღლა ექაჩება. სხვები ამტკიცებენ, რომ ფასებს მაღლა ხარჯების ზრდა უბიძგებს. ბევრი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ ინფლაცია ხდება იქ, სადაც ფულის მიწოდება უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე წარმოების საერთო მოცულობა.

ინფლაციური პროცესები ყოფილ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და საქართველოშიც, გასული საუკუნის 60-იან წლებში შეინიშნებოდა, რაც ძირითადად წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ შემცირებაში აისახებოდა. იგი თავიდანვე ფარულ ხასიათს ატარებდა და სასაქონლო დეფიციტში გამოიხატებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ისევ სამანეთო ზონაში

რჩებოდა, რაც ეროვნულ ბანკს დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე. 1993 წლის აპრილში მიმოქცევაში შემოვიდა დროებითი ფულადი ერთეული – კუპონი, რომელმაც სწრაფი ტემპით იწყო გაუფასურება და საქართველო ჰიპერინფლაციის ზღვარზე აღმოჩნდა. 1995 წელს კი საქართველოს ხელისუფლებამ შემოიღო ეროვნული ვალუტა – ლარი, რამაც ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად შეანელა, მაგრამ ქვეყანაში წარმოების დაბალი დონე იყო და არანაირი პერსპექტივა არ იკვეთებოდა მის ასამაღლებლად უახლოეს მომავალში, ამის გამო კი ვერ ხერხდებოდა ეროვნული ვალუტის გამყარება სამამულო წარმოების პროდუქციით და საჭირო გახდა ეროვნული ვალუტის სხვა ხერხებით გამყარება. ამიტომ მოხდა ლარის მიბმა დოლარზე. დოლარი აღმოჩნდა ლარის საყრდენი და ხერხემალი. იმისთვის, რომ გაცვლის კურსი დოლარსა და ლარს შორის შედარებით სტაბილური ყოფილიყო, ხდებოდა მისი ხელოვნური გზით შენარჩუნება.

მონეტარიზმის ფუძემდებელი მ. ფრიდმენი თვლიდა, რომ საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა ფულია და, ამდენად, მისი რეგულირება ფულის საერთო მასისა და ნაკადების მართვითაა შესაძლებელი. მონეტარიზმი, როგორც ნეოკლასიკური თეორიის თანამედროვე მიმართულება, თვლის, რომ საბაზრო ეკონომიკა მდგრადი თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელიც განვითარების სტაბილურ ტემპებსა და ეფექტიანობის მაღალ დონეს უზრუნველყოფს, თუმცა მასში სახელმწიფოს ჩართვა აუცილებელი და გარდუვალია. სახელმწიფოს ჩარევა უნდა განხორციელდეს არა საბაზრო მექანიზმის შეცვლის გზით, არამედ რაციონალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საფუძველზე კონკურენციული გარემოს გაძლიერებით, რაც საბაზრო მექანიზმის შეუფერხებელ მუშაობს უზრუნველყოფს. ასეთი პოლიტიკა უნდა განახორციელოს ცენტრალურმა ბანკმა, რომელმაც, ამასთანავე, ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობა უნდა დაიცვას. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი სოციალურად არის ორიენტირებული, რისი ნათელი მაგალითია: საყოველთაო ჯანდაცვა; პენსიების მომატება; სოფლის მეურნეობის დაფინანსება, შედავათიანი აგროკრედიტების გაცემა; უფასო სახელმძღვანელოები, ამჟამად მაღალმთიანი რეგიონებისთვის დაფინანსების გაზრდა.

ეკონომიკა არ არის ის სფერო, რომ ერთი ხელის მოსმით შეიცვალოს ყველაფერი უკეთესობისაკენ. ეს ძალიან რთული, ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია. ყველაზე მდიდარი ქვეყანაც კი არ არის გარანტირებული შემდგომი აყვავებით, ეკონომიკური აუტსაიდერები კი მუდმივი სიღატაკისთვის არ არიან განწირულნი. ინფლაციურ პროცესთა დასარეგულირებლად ცნობილია შემდეგი ვარიანტები: ინფლაციური პროცესებისადმი ადაპტირება (შეგუება) და აშკარა ანტიინფლაციურ ღონისძიებათა განხორციელება. ზომიერი ინფლაცია არ ითვლება ეკონომიკისათვის საშიშად. ასეთ დროს მთავრობის ქმედებები შეიძლება არ იყოს მიმართული პირდაპირ ინფლაციასთან ბრძოლისაკენ, არამედ იგი შეიძლება იყოს გამიზნული მოსახლეობისათვის მისი ნეგატიური შედეგების შემცირებისაკენ. ადაპტაციური პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტები (ფირმები, საოჯახო მეურნეობები, სახელმწიფო) თავიანთ მოქმედებაში წინასწარვე ითვალისწინებენ ინფლაციის მიერ გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს. ინფლაციისადმი ფირმების ადაპტირების პოლიტიკა გამოიხატება, მაგალითად იმაში, რომ ისინი ხელს ჰკიდებენ მხოლოდ მოკლევადიანი პროექტების რეალიზაციას, რათა სწრაფად დაიბრუნონ დაბანდებული თანხები. აგრეთვე ფირმები საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობის შევსებას ცდილობენ აქციებისა და ობლიგაციების გამოშვების საფუძველზე. აშკარა ანტიინფლაციური პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ და გატარებულ გრძელვადიან და მოკლევადიან ღონისძიებათა კომპლექსს. გრძელვადიან ანტიინფლაციურ ღონისძიებებს მიეკუთვნება: ფასებისა და შემოსავლების რეგულირება, მათი ზრდის ტემპების შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა შემოსავალთა ინდექსაცია. შემოსავლების (ხელფასის) შეცვლა ცხოვრების მინიმუმის, ანუ „სამომხმარებლო კალათის“ ღირებულების შესაბამისად; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შეკვეცა არა ფულის ემისიის გაძლიერებით, არამედ გადასახადების გადიდებით და სახელმწიფო ხარჯების შემცირებით; ინფლაციაზე გარე ფაქტორების გავლენის შესუსტება, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მთავრობის მიერ უცხოური კრედიტების აღებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება; ფულის მიმოქცევის ეფექტიანი რეგულირება, კერძოდ ფულის მასის ყოველწლიურ მატებაზე მკაცრი ლიმიტის დაწესება, რაც ხელს შეუწყობს ინფლაციის დონის კონტროლს. ფულის მიმოქცევის მოსაწესრიგებლად და განსამტკიცებლად სახელმწიფოები ატარებენ ფულად რეფორმებს. ერთი ფულადი ერთეულიდან მეორეზე გადასვლას ან ფულადი სისტემის ნაწილობრივ ცვლილებებს. ეს მეთოდებია: დეფლაცია, ნულიფიკაცია, დენომინაცია.

მოკლევადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკა მიმართულია ძირითადად ინფლაციის ტემპების დროებით შემცირებისაკენ. მაგ., ეფექტურ შედეგს იძლევა, ერთობლივი მოთხოვნის გადაუდებლად, ერთობლივი მიწოდების გაფართოება. ამ მიზნით სახელმწიფო: ა) შეღავათებს უწესებს იმ ფირმებს, რომლებიც, თავიანთ ძირითად ნაწარმთან ერთად, უშვებენ თანამდევ პროდუქციას. ბ) ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს სამომხმარებლო საქონლის დიდი რაოდენობით იმპორტირებისათვის. გ) ახორციელებს ბრძოლას მონოპოლიზმის წინააღმდეგ. დ) ხელსაყრელ პირობებს უქმნის მცირე და საშუალო ბიზნესს. ე) ახდენს თავისი საკუთრების გარკვეული ნაწილის პრივატიზებას, რათა შემოვიდეს სახსრები ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. ანტიინფლაციური პოლიტიკა როგორი

მიმართულებითაც არ უნდა იყოს გატარებული, ის ყველა შემთხვევაში ხორციელდება ფისკალური (საბიუჯეტო-საგადასახადო) და ფულად-საკრედიტო (მონეტარული) მექანიზმებით. ანტიინფლაციური ღონისძიებების განხორციელებისას ღრმად უნდა გავაანალიზოთ და გავითვალისწინოთ მისი უკუშედეგებიც, ვინაიდან არ არის გამორიცხული, ნეგატიურმა შედეგებმა გადააჭარბოს პოზიტიურს და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციური პროცესების შეფასებისა და რეგულირების თვალსაზრისით, მსოფლიო მასშტაბით დიდი გამოცდილება არსებობს, მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინფლაციურ პროცესთა რეგულირების ამოცანა გადაწყვეტილია. ამ კუთხით ანტიინფლაციური სტრატეგიის მაქსიმუმად შეიძლება ჩაითვალოს ინფლაციის თუნდაც ზომიერ ფარგლებში მოქცევა და მისი გამანადგურებელი გავლენის თავიდან აცილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეორალი ც. გლობალიზაციის გავლენა ინფლაციურ პროცესებზე. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ტ. 2, ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2012.
2. აბესაძე რ. ინოვაციები - ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.
3. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი. 2011.
4. ფიშერი ს., დორნბუში რ., შმალენზი რ. ეკონომიკა. ტ. IV. თბილისი. 1998.

Tsitsino Tetrauli

REASONS CAUSING INFLATION AND ANTIINFLATION REGULATION IN GEORGIA

Annotation

The article discusses the reasons causing inflation and the features of its development. The ways and measures of its regulation are also analyzed.

პრობლემა 3.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული და სტრუქტურული პრობლემები

ვახტანგ ბურდული

გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელის ფორმირების თეორიული ასპექტები

შესავალი

ოც წელზე უფრო მეტი გავიდა, რაც საქართველოში ეკონომიკის პოსტსაბჭოური ტრანსფორმაცია დაიწყო, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პარამეტრები სანუგეშო არ არის. მართალია, მიღწეული იყო ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპები, მაგრამ შეიკვეცა წარმოება ბევრ საჭირო დარგში, არ წარმოქმნილა ახალი თანამედროვე დარგები, ბოლო წლებში შესამჩნევი იყო ძლიერი დაცემა სოფლის მეურნეობაში, საქონლის და მომსახურების იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, ამასთან, სექტორების (დარგების ჯგუფების) უმეტესობაში იმპორტი რამდენჯერმე აღემატებოდა საკუთარი გამოშვების პროდუქციის მოცულობას. ზრდის მაღალი ტემპები 2005-2012 წლებში უზრუნველყოფილი იყო, უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის (ხშირად არა პირველი საჭიროების) და ძვირადღირებული საჩვენებელი ობიექტების აგების (უპირატესად სახელმწიფო ინვესტირების მეშვეობით) და, ასევე, სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასების მომატების ხარჯზე (უკანასკნელი უპირობოდ იყო საჭირო). მცირე იყო ინვესტიციების დონე რეალურ წარმოებაში, დაბალი – ბიზნესის ინვესტიციური და ინოვაციური აქტიურობა.

ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ ფორუმზე "ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსათვის" პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საექსპორტო და იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის (მათ შორის სასურსათო პროდუქციის) გამოშვების მოცულობის ზრდისა და დივერსიფიკაციის აუცილებლობაზე[46].

რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის სფეროში, რათა მიღწეულ იქნეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საჭირო დინამიზმი და ბიზნესის ეკონომიკური აქტივობის ამაღლება ეკონომიკური ზრდის ორიენტაციის მიზნით ამ მიზანდასახულობების მიხედვით?

1999 წ. ჩვენ სტატიაში[47] აღვნიშნავდით, რომ საჭიროა საბოლოო გათავისუფლება მბრძანებლურ-ადმინისტრაციული რეგულირების გადმონაშთებისაგან, რისთვისაც ყურადღებას გავამახვილეთ სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების განვითარების ზოგიერთ მიმართულებაზე ეკონომიკური განვითარების დინამიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. ამავეს იხილავს ი. კორნაი ინოვაციურ განვითარებასთან მიმართებაში[48] (2012). მაგრამ კონკრეტულ ქვეყნებში პერსპექტიული წარმოებების განლაგებისა და გასაღების ბაზრებისათვის სულ უფრო გამწვავებადი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ეს საკმარისი არ არის. ქვეყანამ გეზი უნდა აიღოს განვითარების **თანამედროვე მოდელის ფორმირებაზე**, რომლის საფუძველში უნდა ჩაიდოს **განვითარების ნეოინდუსტრიული ტიპი,** დაფუძნებული **ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაზე** ქმედითი **განვითარების საფინანსო ინსტიტუტებით** და, ასევე, მოწესრიგებული **ქსელური ურთიერთკავშირებით**. გლობალიზაციისა და ქვეყნების ეკონომიკების სულ უფრო მეტი და მეტი ღიაობის პირობებში საერთაშორისო ასპექტში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება შეუძლებელია ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელზე ორიენტაციის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს განვითარებული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკების წარმატებულ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ამჟამად ფართოდგამოყენებადი ტერმინების – "გლობალიზაცია", "ინოვაციური ეკონომიკა", "ნეოინდუსტრიული განვითარება", "განვითარების საფინანსო ინსტიტუტები" და "ქსელური ურთიერთკავშირები" (რომლებიც ასეთი მოდელის ფუნდამენტური შემადგენლებია) – თანაფარდობისა და მათი ურთიერთკავშირების და ურთიერთზემოქმედების თეორიულ ასპექტში განხილვა.

---

[46] ირაკლი ღარიბაშვილი: "ძალიან სუსტია ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა... ქვეყანაში ძალიან დაბალია დასაქმების ზრდის ტემპი". 18 თებერვალი, 2014. http://www.frontnews.ge/ge/news/27159-%/E1... (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით).

[47] Бурдули В., Церетели Г. Проблемы динамизации экономического развития Грузии. – Известия АН Грузии. Серия экономики. 1998, №4.

[48] Корнаи Я. Инновации и динамизм: взаимосвязь систем и технического прогресса. – Вопросы экономики, 2012, №4.

1. ნეოინდუსტრიული ეკონომიკის (ნეოინდუსტრიული განვითარების) თანამედროვე გაგება და გლობალიზაციის პირობებში მისი ურთიერთკავშირი ინოვაციურ ეკონომიკასთან

სამეურნეო დარგები (დარგები საქმიანობის სახეების ჭრილში ან დარგები მათში წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების ჭრილში) ვითარდება მათში ინოვაციების დიფუზიის შედეგად, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათში ახალი ტექნოლოგიების დიფუზიის შედეგად [49]. ამასთან, ხდება არა მარტო ფიზიკური ტექნოლოგიების განახლება (მოდერნიზაცია), არამედ სოციალურ-ინსტიტუციური ტექნოლოგიების განახლებაც (სახელმწიფო მმართველობის ან ბიზნეს-ტექნოლოგიების, ე.ი. საბაზრო და სხვა საწარმოო ტექნოლოგიების, ასევე, სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების სახელმწიფო კოორდინაციის ტექნოლოგიების).

უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე და პერსპექტიული დარგობრივი სტრუქტურების განხილვა საჭიროა გამსხვილებულ განზოგადებულ ასპექტში, რომელიც განისაზღვრება ტერმინით "პოსტინდუსტრიული" (დ. ბელი) ან "სუპერინდუსტრიული (მესამე ტალღა)" (ე. თოფლერი) სტრუქტურა, რომლებიც ძირითადად გამოიყენება განვითარებული ქვეყნების მიმართებაში. მაგრამ განვითარებადი (მათ შორის ახალი ინდუსტრიული და პოსტსაბჭოური) ქვეყნების განვითარების გზების დასახვისათვის უფრო მიზანშეწონილია ტერმინის – "ნეოინდუსტრიული სტრუქტურა" – გამოყენება (ტერმინი "ახალი ინდუსტრიული საზოგადოება", როგორც ვიცით, შემოღებული იყო უფრო ადრე, ჯ. გელბრეიტის მიერ). ამ ნარკვევში ეს ტერმინი გამოიყენება ეკონომიკის დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურების განვითარებასთან კონტექსტში, ასევე, ბიზნესსტრუქტურების დახასიათების დროს. ეს ტერმინი უფრო ზუსტად ასახავს ეკონომიკის განვითარებაში მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე ტენდენციებს (მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში) და სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში, ინტერნეტში, მათ შორის მსხვილი კორპორაციების პრეზენტაციებში. ტერმინი "პოსტინდუსტრიული" სტრუქტურა სწორად არ ასახავს იმ სტრუქტურულ-ეკონომიკურ მოვლენებს, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში: "ინდუსტრია" ხომ არ იკვეცება, ის ღებულობს ახალ თვისებებს, ჩნდება მრავალი ახალი "ინდუსტრია" (ე. ი. დარგი), ხდება არსებულების მოდერნიზაცია.

რამდენადაც ტერმინი "პოსტინდუსტრიული განვითარება" სრულად და ადეკვატურად არ ასახავს თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს და, ამიტომ, თანამედროვე ეკონომიკასთან მიმართებაში უფრო მიზანშეწონილია ჯ. გელბრეიტის უფრო ადრეული ტერმინის – "ნეოინდუსტრიული განვითარება" – გამოყენება, ასევე, ამჟამად ფართოდგამოყენებადი ტერმინები "ახალი ეკონომიკა" და "ცოდნის ეკონომიკა" სრულად არ მოიცავს ინოვაციურ საქმიანობაში ამჟამად მიმდინარე მოვლენებს. უფრო მეტიც, ტერმინი "ახალი ეკონომიკა" ასევე მიეკუთვნება იმ ცნებებს, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკის მდგომარეობას მთლიანობაში, უპირველეს ყოვლისა, დარგობრივ და ტექნოლოგიურ სტრუქტურებს *(ე.ი. ეს იმავე კლასის ცნებაა, რაც "პოსტ-ინდუსტრიული ეკონომიკა", "სუპერინდუსტრიული ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა", თუმცა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მისი დეფინიციის მიხედვით, ეს ცნება ("ახალი ეკონომიკა") სრულად არ მოიცავს თანამედროვე ეკონომიკას),* მაშინ, როდესაც ტერმინი "ინოვაციური ეკონომიკა" ახასიათებს ინოვაციებისადმი ეკონომიკის ამთვისებლობის, ინოვაციების დიფუზიის კოორდინაციის არსებული მექანიზმების (ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო და ბიზნესრეგულირების) ხარისხს, მთლიანად სახელმწიფოში სამეცნიერო და დამნერგავი ორგანიზაციების არსებობისა და, ასევე, მსხვილ კორპორაციებში ინოვაციური საქმიანობის უზრუნველმყოფელი ქვედანაყოფებისა და მექანიზმების არსებობის ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი "ინოვაციური ეკონომიკა" შედარებით ახალია, ინოვაციური ხასიათის ეკონომიკები არსებობდა უფრო ადრეც, ეკონომიკის "ინოვაციურობის" ხარისხი კი ცალკეულ პერიოდებში და ცალკეულ ქვეყნებში მკვეთრად იზრდება (მაგალითად, ინგლისში და შემდეგ რიგ სხვა ქვეყანაში სამრეწველო რევოლუციის დროს). ინოვაციური განვითარების "ტალღათა მოზღვავების" ეტაპები კარგადაა დახასიათებული ს. გლაზიევის ნაშრომებში[50] (თუმცა ის იშვიათად ხმარობს ტერმინს "ინოვაციური განვითარება"). როგორც ცნობილია, სსრკ-ში 80-იანი წლების პერიოდში ინოვაციური განვითარების მექანიზმი ფაქტობრივად მოშლილი იყო (სამხედრო სამრეწველო კომპლექსის გამოკლებით), რაც აღრმავებდა ტექნოლოგიურ ჩამორჩენას განვითარებული ქვეყნებისაგან. რა თქმა უნდა, არსებობდა ინოვაციური ზედნაშენის მრავალი ელემენტი, მაგალითად, მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, აკადემიური და საუწყებო დარგობრივი ინსტიტუტები, მაგრამ მათი საქმიანობა ატარებდა სულ უფრო და უფრო ფორმალურ-ბიუროკრატიულ ხასიათს და წარმოშობდა სულ უფრო და უფრო ნაკლებ რეალურ სამეცნიერო და პრაქტიკულ შედეგებს. პრინციპში, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო სტრუქტურები არ ვითარდებოდა პოსტკომუნისტური პერიოდის განმავ-

[49] იხ., მაგ., Голиченко О. Модели развития, основанного на диффузии технологий. – ВЭ, 2012, №4.

[50] Глазьев С. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. – Вопросы экономики, 2009, №3; Глазьев С. Возможности и ограничения технико-экономического развития России в условиях структурных изменений в мировой экономике. / С. Ю. Глазьев. www. spkurdyumov.narod.ru/glaziev/htm

ლობაშიც, ცალკეული ფირმების კერძო წარმატებების გარდა (თუ არ ჩავთვლით რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსს). ამიტომ, დღევანდელ პირობებში პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არსებობს ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნის სერიოზული იმპერატივები, მისწრაფებები, ე. ი. თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების იმპერატივები (ასეთი მექანიზმები, განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, ჩვენ მიერ ნაწილობრივ დახასიათებულია ჩვენს ნაშრომებში[51].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ განსაზღვრული ამჟამად ყველაზე მეტად აღიარებული გლობალიზაციის დეფინიცია გვაძლევს შესაძლებლობას, მკაფიოდ დავადგინოთ ურთიერთდამოკიდებულება ტერმინებს – "გლობალიზაცია", "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" და "ინოვაციური ეკონომიკა" – შორის. ეს დეფინიცია ჟღერს შემდეგნაირად: **"გლობალიზაცია წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ქვეყნების სულ უფრო მზარდ ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას საქონლის, მომსახურების და კაპიტალის ტრანსსასაზღვრო ნაკადების სულ უფრო მზარდი მოცულობის და ნაირსახეობის მოძრაობისა, და, ასევე, ტექნოლოგიების სულ უფრო სწრაფი და ფართო დიფუზიის შედეგად"** [52] . ის, რომ "ნეოინდუსტრიული განვითარება" ან "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, დასაბუთებულია ჩვენს ნაშრომებში [53] (ქვემოთ, ამ ნარკვევში, მოცემულია ამ ფაქტის დამატებითი დასაბუთება). ამასთან, "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" მოიცავს როგორც ახლად წარმოშობილ დარგებს და ტექნოლოგიებს, ასევე ახალი ტექნოლოგიების დიფუზიას (უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების) ყველა ტრადიციულ დარგში. გლობალიზაციის მოცემული განსაზღვრების ბოლო ნაწილი კი "ტექნოლოგიების სულ უფრო სწრაფი და ფართო დიფუზია" ზუსტად ასახავს ურთიერთკავშირს ცნებებს "გლობალიზაცია" და "ინოვაციური ეკონომიკა" შორის და გარკვეულ ზომებში ურთიერთშეთავსებას. "ინოვაციური განვითარების თანამედროვე სტადიაზე გლობალიზაციის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა. ამ პროცესის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელს ხდის გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებას ეკონომიკურ, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, მეცნიერულ-ტექნიკურ საქმიანობაში; თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში წინმსწრები ტემპებით იზრდება ვაჭრობა მომსახურებით, ტექნოლოგიებით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით – ე. ი. იმით, რაც განსაზღვრავს თანამედროვე *ახალი ეკონომიკის* შინაარსს"[54].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინი "ახალი ეკონომიკა" მოიცავს ცნების "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, რადგანაც დარგების ერთობლიობაში ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს როგორც ყველა ტრადიციული დარგის (გულისხმობს მხოლოდ მათ აღჭურვას ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით), ასევე სხვა ახლად წარმოშობილი დარგების მოცვას. ამასთან, "ეკონომისტთა შორის არ არსებობს ერთიანობა ახალი ეკონომიკის ფენომენის შეფასებაში. ზოგიერთი მკვლევარი მის დამსახურებად თვლის ყველა იმ დადებით ცვლილებას, რაც ხდება საზოგადოებასა და ეკონომიკაში. სხვები კი მას, უკიდურეს შემთხვევაში, გარკვეული სკეპტიციზმით, ზოგჯერ კი, საერთოდ, უარყოფითად ეპყრობიან, ამასთან ამტკიცებენ, რომ საინფორმაციო რევოლუცია წარმოადგენს რიგით საბირჟო თამაშს, ან კიდევ – საბირჟო ავანტიურას"[55]. რა თქმა უნდა, ყველა დადებითი და უარყოფითი აზრის გათვალისწინება საჭირო არ არის, მაგრამ ამ დეფინიციებიდან ჩანს, რომ "ახალი ეკონომიკა" ძალიან არაერთმნიშვნელოვანი და არაყოვლისმომცველი ტერმინია.

ცნება "ახალი ეკონომიკისაგან" განსხვავებით, ტერმინები "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული განვითარება" უფრო ტევადი და ყოვლისმომცველია და ზუსტად ასახავს თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის მდგომარეობას. ამ მოსაზრებების განსამტკიცებლად მოვიყვანთ ვ. მაუს აზრს: "... განვითარებული ქვეყნების ახალი ინდუსტრიალიზაციის იდეა საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. ამას აშშ-ის პოლიტიკოსები და ეკონომისტები ყურადღებას აქცევდნენ ჯერ კიდევ კრიზისის დასაწყისში, ამაზე პერიოდულად ლაპარაკობს რუსეთის

[51] Abesadze R., Burduli V. Innovative Activities and Their Coordination under Advansing Globalization. – The Caucasus & Globalization (Journal of Social, Political and Economic Studies). Volume 3. Issue 4. 2009. CA&CC Press. SWEDEN; Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тбилиси: 2014, თავი V.

[52] Базылев Н. И., Соболева Н. В. Глобализация и «новая экономика» (соотношение понятий. – Проблемы современной экономики (Евразийский международный научно-аналитический журнал), №1/2 (13/14), 2005. www.m-economy.ru/art/php?nArtid=666

[53] Burduli V., Abesadze R. Sectoral, Tecnological and Institutional-Organization Structures of the Georgian Economy: Development Issues in the Context of Globalization. – The Caucasus & Globalization (Journal of Social, Political and Economic Studies). Volume 7. Issue 1-2. 2013. CA&CC Press. SWEDEN; Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тбилиси: 2014, თავი III.

[54] Базылев Н. И., Соболева Н. В. Глобализация и «новая экономика» (соотношение понятий. – Проблемы современной экономики (Евразийский международный научно-аналитический журнал), №1/2 (13/14), 2005. www.m-economy.ru/art/php?nArtid=666

[55] იქვე.

ხელმძღვანელობაც. ლაპარაკია არა ტრადიციული სექტორების აღდგენაზე, არამედ პრინციპულად ახლების გაჩენაზე, რომლებშიც ინტელექტუალური საქმიანობა და საკუთრივ წარმოება მჭიდროდ გადახლართულია და რომელთა განთავსება მსოფლიოში (რესურსებზე დანახარჯების გათვალისწინებით) არაეფექტიანია"[56]. მაგრამ პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტესობის წინაშე, რომლებმაც პოსტსაბჭოური დაცემის შედეგად დაკარგეს რიგი ტრადიციული წარმოება, დგას ასევე თანამედროვე ტექნოლოგიური ბაზის საფუძველზე მათი უმეტესობის რეანიმაციის საკითხი. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარებას (წინათ არსებულების რეანიმაციას და ახლების ჩამოყალიბებას), რომლებიც უზრუნველყოფენ დიდი მოცულობის დამატებულ ღირებულებას და, მაშასადამე, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში (ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში გადამამუშავებელი მრეწველობის როლი ძალიან თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები ვ. კლინოვის მიმოხილვაში[57].

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ბაზაზე ქვეყნის ეკონომიკის ნეოინდუსტრიული სტრუქტურის მიღწევა გულისხმობს ამ სტრუქტურის განვითარების შემდეგ ხასიათს:

– ახალი დარგების გაჩენას, კერძოდ, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებს (იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი საწარმოებით მსოფლიო უკვე საკმაოდ გაჯერებულია), და, ასევე, სხვა ისეთი ახალი დარგების, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მიჯნაზე ჯერ არ არის ფართოდ გავრცელებული მსოფლიოში, მაგრამ პერსპექტივაში დარგობრივ სტრუქტურაში უნდა მოიპოვონ მნიშვნელოვანი ადგილი (ზოგიერთი წინადადება ასეთი დარგების შექმნის შესახებ მოყვანილია ავტორის ნაშრომებში);

– ინოვაციური საქმიანობის (activity) მდგრად განვითარებას, როგორც ცალკეული დარგების და ფირმების შიგნით, ასევე ცალკე ინოვაციური სექტორის ობიექტების სახით;

– ქვეყნის ელექტროენერგოდამოუკიდებლობის მიღწევას;

– აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ორიენტაციას გრძელვადიან ასპექტში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, და, ასევე, სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგების ურთიერთშეხამებულ განვითარებაზე;

– სასერვისო (მომსახურების) სფეროს ხვედრითი წილის ზრდას წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მთლიან მოცულობაში;

– ინტელექტტევადი პროდუქციის და მომსახურების ხვედრითი წილის ზრდას წარმოებული პროდუქციის და მომსახურების საერთო მოცულობაში;

– მაღალ- და საკვანძო ტექნოლოგიური დარგების, შესაბამისი ნაკეთობების და მომსახურების წარმოების მდგრად განვითარებას;

– რიგ ტრადიციულ დარგში ინოვაციების (ახალი და მოდერნიზებული ტექნოლოგიების სახით) თავისდროულ დიფუზიას;

– ზოგიერთი საკვანძო ტრადიციული დარგის ტრანსფორმაციას და ეკონომიკაში ადგილის და როლის შეცვლას, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ ბაზაზე ახალი, ამა თუ იმ ფარგლებში ამ დარგების ჩანაცვლებადი დარგების გაჩენას (დამახასიათებელი მაგალითებია: მეტალოპლასტიკატების წარმოება, რომელმაც ჩაანაცვლა ტრადიციული შავი მეტალურგიის დარგის საკმაოდ ტევადი სეგმენტი; ლამპური ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკისა და მათი გამოყენების ტექნოლოგიების თითქმის სრული ჩანაცვლება მოხდა კომპიუტერული ტექნოლოგიებით);

– საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, მოდერნიზებული ტექნოლოგიების ბაზაზე დროებით დაკარგული ტრადიციული დარგების და წარმოებების რეანიმაციას (მსუბუქ მრეწველობაში, მაღალტექნოლოგიურ დარგებში, ავეჯის წარმოებაში და ა. შ.);

– ინდივიდუალური მოხმარების ნაკეთობების და მომსახურების წარმოების ტექნოლოგიების განვითარებას (ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვა, საცხოვრებლების აშენება, ავეჯის წარმოება, სამედიცინო მომსახურების ზოგიერთი სახეობა და ა. შ.).

ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკის დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურებისა და ინოვაციური განვითარების პოლიტიკის დასახვა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია გლობალიზაციის პროცესებისაგან მოწყვეტით. ამიტომ, ჩვენ განვახორციელეთ ცალკეული, უპირველეს ყოვლისა, განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის დარგობრივი, ტექნოლოგიური და ინოვაციური სტრუქტურების ფორმირებაზე გლობალიზაციის ფაქტორების გავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების სისტემატიზაცია. ამ ფაქტორებს შორისაა შემდეგი:

1. მნიშვნელოვნად გაიზარდა ინოვაციების, ახალი საწარმოო ტექნოლოგიების დიფუზიის შესაძლებლობები ქვეყნებიდან – ტექნოლოგიური ლიდერებიდან ქვეყნებში – რეციპიენტებში (ამ უკანასკნელებში ხელსაყრელი ეკონომიკური კლიმატის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, ინოვაციების განხორციელება, ახალი და მოდერნიზებული ტრადიციული ტექნოლოგიების ათვისება ხდება როგორც რეალური უცხოური კაპიტალის მოზიდვის (უპირველეს ყოვლისა, ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების სახით), ასევე, ახალი და მოდერნიზებული ტრადიციული

[56] May B. Между модернизацией и застоем: экономическая политика 2012 г. – ВЭ, 2013, №2, с. 6.

[57] Клинов В. Какой должна быть экономическая политика *(О книге Э. Райнерта «Как богатые страны стали богатыми, и почему бедные страны остаются бедными»).* – Вопросы экономики, 2012, №1.

ტექნოლოგიების შესყიდვისა და ათვისების გზით (მცირე და საშუალო ქვეყნების პირობებში საკუთარი საწარმოო ტექნოლოგიების წარმოება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული არჩეული მიმართულებებით);

2. განვითარებადი გლობალური და ქვეყნებსშორისი რეგიონული ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოებში იხსნება ბიზნესისა და მისი მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუციური სისტემის დაჩქარებული ადაპტაციის ახალი შესაძლებლობები ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ნეოინდუსტრიული ტრანსფორმაციის აღქმისათვის. რიგი განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნების მაგალითები (რომლებშიც დამყარებულია ხელსაყრელი, ბიზნესის ხელშემწყობი ინსტიტუციურ-ეკონომიკური კლიმატი და ჩამოყალიბებულია თანამედროვე ორგანიზაციულ-ინსტიტუციური ბიზნეს-სტრუქტურები) თვალსაჩინოდ ადასტურებს ამ ფაქტს.

3. მნიშვნელოვნად იზრდება საერთაშორისო ტექნოლოგიურო კოოპერაციის როლი, მათ შორის ინოვაციურ საქმიანობაში. ხდება ქვეყნების ეკონომიკების, მათი დარგებისა და ბიზნესის ჩართვა შესაბამის გლობალურ და ქვეყნებსშორის რეგიონულ ქსელებში. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნების წარმოების მაქსიმალურად შესაძლებელ დარგობრივ და ტექნოლოგიურ დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით მცირე ქვეყანაში ტრანსფორმირებადი ეკონომიკით, რომლის ბიზნესწრეებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მონაწილეობა არა მარტო გლობალურ, არამედ ქვეყნებსშორის რეგიონულ კოოპერაციულ ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ქსელებში;

4. გლობალური ეკონომიკური ორგანიზაციები სულ უფრო ფართოდ ახდენენ გლობალური ეკონომიკური პროცესების რეგლამენტაციას. ვაჭრობის ლიბერალიზაცია (ტარიფების შემცირება), რომლის რეგლამენტაციას ახდენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ერთი მხრივ, აფართოებს ქვეყნებისათვის ექსპორტის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი, გარკვეულ ზომებში ახდენს ზეწოლას ეროვნულ მეწარმეებზე. ორივე ეს ფაქტორი გარკვეულ გავლენას ახდენს ცალკეულ ქვეყნებში დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურების განვითარებაზე;

5. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი კრედიტების გაცემისას ასევე აწესებენ მათი გამოყენების განსაზღვრულ პირობებს. მიზანშეწონილი შეთანხმებები კრედიტების გამოყენების შესახებ დადებით გავლენას ახდენს ქვეყანა-რეციპიენტში დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურების ეფექტიან განვითარებაზე.

6. განსაზღვრულ უპირატესობებს აძლევს ქვეყნებს მათი მონაწილეობა რეგიონულ ქვეყნებსშორის ორგანიზაციებში (მაგალითად, ევროკავშირში), შეთანხმებები (ხელშეკრულებები) მათ ჩარჩოებში (საბაჟო ტარიფებზე, რეგიონული ფონდების გამოყენებაზე და სხვა) ასევე იძლევა ცალკეულ ქვეყნებში დარგობრივი, ტექნოლოგიური და ინოვაციური სტრუქტურების რაციონალიზაციის შესაძლებლობას. მაგრამ რეგიონულ კავშირებში მონაწილეობის შემთხვევაშიც ცალკეული ქვეყნების მთავრობებმა სიტუაცია ისე უნდა გააკონტროლონ, რომ არ მოხდეს ცალკეული დარგების შეკვეცა;

7. გლობალიზაციის პირობებში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ამწვავებს კონკურენციას საერთაშორისო დონეზე, რაც ქვეყნების მთავრობებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს უბიძგებს აქტიური ზომების მიღებისაკენ ეროვნული საწარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის;

8. გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო ფართოდ მკვიდრდებიან ეროვნულ საწარმოო სისტემებში და ამით შეაქვთ თავისი წვლილი ქვეყნების დარგობრივი სტრუქტურების ფორმირებასა და განვითარებაში. მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნების გლობალურ პროცესში ჩართვის პირობებში ძალიან მწვავდება ქვეყნებს შორის კონკურენცია ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების ქვეყნებში მოზიდვისათვის;

9. გლობალური ფაქტორების მოქმედება (მცირე სავაჭრო ტარიფები, ინფორმაციის ხელმისაწვდომა მწარმოებლების მიერ შემოთავაზებული ტექნოლოგიების შესახებ და ა. შ.) აადვილებს სამამულო მეწარმეების მიერ ახალი ლიცენზირებული ტექნოლოგიების შესყიდვას მწარმოებლური დარგებისათვის. ამასთან, სახელმწიფომ და საქმიანმა წრეებმა საჭირო ძალისხმევა უნდა გაწიონ სპეციალისტებისა და მუშა ძალის მომზადებისათვის ასეთი ტექნოლოგიების ათვისებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების მიზნით;

10. გლობალიზაციის პროცესების გავლენისას, მათ მიმართ ადაპტაციის მიზნით, იცვლება ცალკეულ ქვეყნებში სახელმწიფო რეგულირების ფუნქციებიც. წარმატებულად განვითარებად ქვეყნებში ხდება ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების (და, შესაბამისად, ბიზნესის) მხარდაჭერის სისტემების მოდერნიზაცია და ეს სისტემები სულ უფრო იხვეწება.

2. ცნების – "ინოვაციური ეკონომიკა" – თანამედროვე გაფართოებული დეფინიცია და ცნებების – "ინოვაციური ეკონომიკა", "ცოდნის ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული განვითარება" – თანაფარდობა

რაც შეეხება "ინოვაციურ ეკონომიკას", შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მისი ბევრი დეფინიცია, ამასთან, ყველა მარჯვე დეფინიცია, პირდაპირ ან ირიბად, დაკავშირებულია გლობალიზაციის ცნების განსაზღვრებასთან.

ვიკიპედიაში მოცემულია ინოვაციური ეკონომიკის შემდეგი განსაზღვრება: "ინოვაციური ეკონომიკა (ცოდნის ეკონომიკა, ინტელექტუალური ეკონომიკა) – ეს არის ეკონომიკის ისეთი ტიპი, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციების ნაკადზე, მუდმივ ტექნოლოგიურ სრულყოფაზე მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ძალიან მაღალი დამატებული ღირებულებით, და თვით ტექნოლოგიების წარმოებასა და ექსპორტზე"[58]. ამ განსაზღვრებაში მხედველობაში მიღებულია ყველა მაღალტექნოლოგიური დარგი (არა მარტო ისეთები, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებს), მაგრამ მხედველობიდან გამორჩენილია არამაღალტექნოლოგიური დარგები, თუმცა, რასაკვირველია, მათშიც ხორციელდება ინოვაციები (ასე მაგალითად, ა. იუდანოვი აღნიშნავს, რომ "დაბალტექნოლოგიური სექტორის მიმართებაში ნაჩვენები იყო, რომ მისი ინოვაციურობა დაფუძნებულია სხვა დარგების მიღწევების გამოყენებაზე", ამის გარდა, არსებობს კიდევ ორგანიზაციული, ინსტიტუციური და, ასევე, "არაფორმალური ინოვაციები, რომელთა ქმედითობა მოწიფულ დაბალ- და საშუალოტექნოლოგიურ სექტორში" დადასტურებულია, მაგალითად, ფირმა-გაზელების (სწრაფი ზრდის სტაიერების) გამოცდილებით[59]. ვ. მაუ კი აღნიშნავს, რომ "საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა დარგების დაყოფა პროგრესულებზე და ჩამორჩენილებზე: თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი დარგი შეიძლება იყოს როგორც მაღალტექნოლოგიური, ასევე ძველმოდური"[60]. მაგრამ, რაც მთავარია, ამ განსაზღვრებაში არაა გათვალისწინებული გლობალიზაციის ფაქტორის როლი ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში. ამასთან დაკავშირებით "ძნელია იმის აღიარება, რომ ეს დეფინიცია შეესაბამება რეალობას, რადგანაც, მაგალითად რუსეთში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, "სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ხდებოდა ინოვაციების სესხება საზღვარგარეთიდან" (ბუნებრივია, გარკვეული ნაწილის) "და ნასესხები ინოვაციების საფუძველზე შენდებოდა ინოვაციური ეკონომიკა. ახლა ეს თავისებურ ტრადიციად იქცა. მაგრამ საჭირო აღინიშნოს, რომ თავის დროზე ასე იქცეოდნენ (და ახლაც იქცევიან) ჩინეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა და მრავალი სხვა ქვეყანა"[61].

ა. იუდანოვის მიერ ჯერ კიდევ 1996 წ. მოცემულმა ინოვაციური ეკონომიკის გაფართოებულმა განმარტებამ[62], ჩვენი აზრით, მნიშვნელობა ამჟამადაც არ დაკარგა. ის შემდეგნაირად ჟღერს:

"**პირველი,** ეროვნული ეკონომიკა შეიძლება იყოს ინოვაციური, თუ: ა) იქმნება და წარმატებულად ინერგება ისეთი უმარტივესი და ეფექტიანი ინოვაციები, რომლებიც დაფუძნებულია ძველ ცოდნაზე; ბ) არ იქმნება ახალი ცოდნა, მაგრამ ისესხება მათზე დაფუძნებული ინოვაციები.

მეორე, ეროვნულ ეკონომიკაში გამოყენებული დამოუკიდებლად შექმნილი გაუმჯობესებული ინოვაციები შეიძლება დაეფუძნოს ან ახალ ცოდნაზე (ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ცოდნის ეკონომიკაზე), ან უფრო ადრე ცნობილ ცოდნაზე (ამ შემთხვევაში ინოვაციურ ეკონომიკას არა აქვს ცოდნის ეკონომიკის თვისებები).

მესამე, ახალი (ეროვნული) ეკონომიკა შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული: ა) ქვეყანაში შექმნილი ახალი ცოდნის საფუძველზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ხდება ცოდნის ეკონომიკის ფორმირება; ბ) მაღალტექნოლოგიური წარმოებების გადმოღებაზე.

ავტორების აზრით, რაციონალურ ვარიანტს წარმოადგენს გონივრული შეხამება: ა) **მეოთხე,** გადმოღებული და საკუთარი ისეთი დამუშავებებისა, რომლებიც შექმნილია როგორც საზღვარგარეთ შეძენილ, ასევე ქვეყანაში წარმოშობილ ახალ ცოდნაზე; ბ) ტრადიციული დარგების ინოვაციური და ცოდნისეული განვითარების და იმ დარგების და საქმიანობის სფეროების პრიორიტეტული განვითარების, რომლებიც იმყოფებიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მწვერვალზე და თანამედროვე ეტაპზე პრიორიტეტულ და კრიტიკულ დარგებს წარმოადგენენ.

მიუხედავად ამ განსაზღვრების საკმაო ტევადობისა, ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე საჭიროა, ერთი მხრივ, მისი კორექტირება, მეორე მხრივ, შევსება. ამიტომ, ამ განსაზღვრების მიმართ ჩვენ გვაქვს შემდეგი შენიშვნები: ა) ტერმინი "ახალი ეკონომიკა" გამოიყენება ტერმინის "ნეოინდუსტრიული ეკონომიკას" მაგივრად, რაც, ზემომოყვანილიდან გამომდინარე, არაა კორექტული; ბ) შევიწროებულია ცნება "ცოდნის ეკონომიკა" – ძველი ცოდნა, რომლებიც გამოიყენება ინოვაციებში, ასევე მიეკუთვნება ცოდნის ეკონომიკას, დეფინიციაში კი საწინააღმდეგო იგულისხმება; გ) განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ქვეყანას ესაჭიროება ზოგიერთი ტრადიციული დარგის

[58] ვიკიპედია-ინტერნეტი, განსაზღვრები: новая экономика, экономика знаний, инновационная экономика.
[59] Юданов А. Что такое инновационная фирма. – Вопросы экономики, 2012, №7, с. 32-33.
[60] Мау В. Между модернизацией и застоем: экономическая политика 2012 г. – ВЭ, 2013, №2, с. 6.
[61] Сербиновский Б. Ю., Захарова А. С. О содержании терминов «инновационная экономика», «новая экономика» и «экономика знаний». – Научный журнал КубГАУ, №61(07), 2010. http://ej/kubargo.ru/2010/07/pdf/11/pdf
[62] Юданов А. Ю. Конкуренция: теория и практика. – М., Акалис, 1996, с. 218.

პრიორიტეტული განვითარება (არჩეულ ახალ დარგებთან ერთად), როგორც ეს საჭიროა, მაგალითად, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც მწვავედ დგას ზოგიერთი ტრადიციული დარგის რეანიმაციის საკითხი; დ) და, რაც მთავარია, დეფინიციაში არაა ასახული არც სახელმწიფო, არც კორპორაციული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების განხორციელებას, ეს კი წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის დედაარსს.

ე. ი. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ინოვაციური ეკონომიკის გაფართოებულ დეფინიციაში უნდა აისახოს ეროვნული ინოვაციური სისტემის არსებობა და ფუნქციონირება. **ეროვნული ინოვაციური სისტემები ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც "სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული ქსელები, რომელთა საქმიანობა და ურთიერთზემოქმედება ახდენს ახალი ტექნოლოგიების ინიცირებას, იმპორტირებას, მოდიფიცირებას და გავრცელებას** (diffuse) (C. Freeman)[63] (ქვემოთ შემოთავაზებულ გაფართოებულ დეფინიციაში ეს რამდენადმე სხვანაირად აისახება).

მაშასადამე, ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით (ასევე, მცირე ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით) ინავაციური ეკონომიკის გაფართოებული განსაზღვრება (ა. იუდანოვისა და ვიკიპედიის განსაზღვრებების პოზიტიური მომენტების გამოყენებით) უნდა იყოს შემდეგნაირი:

პირველი, ეროვნული ინოვაციური ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკის ტიპი, რომელიც დაფუძნებულია ნასესხებ (გადმოღებულ) და საკუთარი დამუშავებებით შექმნილ ინოვაციებზე, მუდმივ ტექნოლოგიურ სრულყოფაზე, ძალიან მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის (მათ შორის საწარმოო ტექნოლოგიების) წარმოებასა და ექსპორტზე.

მეორე, ეს არის ეკონომიკა, რომელშიც შექმნილია საიმედო სახელმწიფო (სახელმწიფო მაკოორდინებელი და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების სისტემა) და კერძო (კორპორაციული და კორპორაციათაშორისი, მათ შორის სახელმწიფოთაშორისი, სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების შემუშავებას, გადმოღებას და დანერგვას) მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების განხორციელებას.

მესამე, ეს არის ეკონომიკა, რომელშიც: ა) იქმნება და წარმატებულად ინერგება ძველ ცოდნაზე დაფუძნებული მარტივი და ეფექტიანი ინოვაციები; ბ) არ იქმნება ახალი ცოდნა, მაგრამ ხდება მათზე დაფუძნებული ინოვაციების სესხება.

მეოთხე, ნეოინდუსტრიული ინოვაციური ეკონომიკა შეიძლება დაფუძნებული იყოს: ა) ქვეყანაში შექმნილ ახალ ცოდნაზე; ბ) გლობალიზაციის შესაძლებლობებით განპირობებული ახალი საწარმოო ტექნოლოგიების სესხებაზე (გადმოღებაზე).

მეხუთე, რაციონალურ ვარიანტს წარმოადგენს გონივრული შეხამება: ა) ნასესხები (გადმოღებული) და საკუთარი (მცირე ქვეყნების შესაძლებლობების გათვალისწინებით) ისეთი შემუშავებების, რომლებიც დაფუძნებულია როგორც საზღვარგარეთ შეძენილ, ასევე ქვეყანაში შექმნილ ახალ ცოდნაზე; ბ) საჭირო (პრიორიტეტული) ტრადიციული დარგების ინოვაციური განვითარებისა (ან ინოვაციურ ბაზაზე რეანიმაციის) და რამდენიმე (მცირე ქვეყნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე) არჩეული ისეთი დარგების დაჩქარებული განვითარების, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მწვერვალზე იმყოფებიან და თანამედროვე ეტაპზე პრიორიტეტულები და კრიტიკულები არიან.

ასეთი განსაზღვრება აშკარად ან ფარულად (მაგალითად, სიტყვების "გადმოღებული", "ნასესხები", "ტექნოლოგიების ექსპორტი" მეშვეობით) ადასტურებს თანამედროვე ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას გლობალიზაციის ფაქტორებთან.

ცხადია, არ არის კორექტული ტერმინების "ახალი ეკონომიკა" და "ცოდნის ეკონომიკა" გაიგივება, რაც დამახასიათებელია რიგი მეცნიერ-ეკონომისტის პოზიციისათვის. ვიკიპედიაშიც კი, "ახალი ეკონომიკა" წარმოდგენილია "ცოდნის ეკონომიკის" სინონიმად, "ინოვაციური ეკონომიკა" კი – "ცოდნის ეკონომიკისა" და "ინტელექტუალური ეკონომიკის" სინონიმებად. თუმცა ბევრი მეცნიერი და "ვიკიპედია" ეყრდნობა იმ აზრს, რომ "ცოდნის ეკონომიკა" წარმოადგენს "ინოვაციური ეკონომიკის" უმაღლეს ეტაპს. მაგრამ ეს ტერმინებიც არ წარმოადგენს სინონიმებს, თუმცა, განსაზღვრულ ფარგლებში, შეთავსებადები არიან.

ქვეყნის ინტეგრაციისათვის გლობალიზაციის პროცესებში ქვეყანაში უნდა მოხდეს ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია, უნდა გაფართოვდეს ინოვაციური საქმიანობის მიმართულებები. მცირე ქვეყანაში, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ნასესხებმა, გადმოღებულმა ინოვაციებმა, მაგრამ უნდა გაიზარდოს საკუთარი ინოვაციური და სამეცნიერო-კვლევითი სექტორის როლიც, ამასთან, თვით ნასესხები (გადმოღებული) ტექნოლოგიების ათვისებისა და დანერგვის მიზნებისათვისაც.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ თუმცა "ახალი ეკონომიკა" მოიცავს დარგების უმეტესობას, მაგრამ მხოლოდ (ძირითადად) ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან ურთიერთკავშირში, ხოლო ტერმინი "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" მოიცავს როგორც ყველა ტრადიციულ,

[63] Freeman C. The "National System of Innovation" in Historical Perspective // Cambridge Journal of Economics. Vol. 19. P. 5-24. იხილეთ სტატიაში: Юданов А. Что такое инновационная фирма. – Вопросы экономики, 2012, №7, с. 32.

ასევე ყველა ახალ დარგს. ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი, თუ განვსჯით სახელწოდების მიხედვით, გათვალისწინებულია რუსეთის პროგრამაში "ეკონომიკური განვითარება და ინოვაციური ეკონომიკა". მაგრამ კიდევ უფრო აქტუალურად თანამედროვე ეკონომიკის წინაშე მდგარ მიზნებს და დასამყარებელ ურთიერთკავშირებს ასახავს სიტყვათშეწყობა "ნეოინდუსტრიული განვითარება და ინოვაციური ეკონომიკა". ამასთან დაკავშირებით, ამ ცნებების თანაფარდობისა და ურთიერთშეთავსებადობის დონის გრაფიკული ინტერპრეტაცია ეილერის წრეების მეშვეობით ასახულია ბ. სერბინოვსკის და ა. ზახაროვას ნახატში[64]. ვისარგებლეთ რა ამ იდეით, ჩვენ ავაგეთ მსგავსი ნახატი (ნახ. 1), ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ცნების "ახალი ეკონომიკა" შეცვლით ცნებით "ნეოინდუსტრიული განვითარება". ამასთან, ამ ცნებების ურთიერთშეთავსებადობა უფრო მჭიდროა, ვიდრე მოცემულია აღნიშნული ავტორების სტატიაში, რაც გათვალისწინებულია ჩვენს ნახატში (მაგალითად, ეკონომიკის ამ მიმართულებებით კოორდინაციისათვის განსხვავებულ ხერხებთან (ორგანიზაციებთან, სტრუქტურებთან) და ინსტრუმენტებთან ერთად, გამოიყენება მრავალი საერთო ხერხი და ინსტრუმენტი).



ნახ. 1. ცნებების – "ინოვაციური ეკონომიკა", "ცოდნის ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული განვითარება" – თანაფარდობა

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია, ნეოინდუსტრიული განვითარება, ინოვაციური ეკონომიკა და ცოდნის ეკონომიკა – ესაა ახალი მსოფლიო სამეურნეო კონტურის ჩამოყალიბების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეთავსებადი პროცესები, რომლებშიც ადეკვატურად უნდა ჩაერთოს მცირე ქვეყნის, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკა.

ამიტომ, ქვეყანაში თანამედროვე ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა ისეთი განზოგადებული მოდელის აგება და ამოქმედება, რომელშიც ასახული იქნება დარგობრივი (ნეოინდუსტრიული) რესტრუქტურიზაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების გზები და ასეთი ინოვავაციური ნეოინდუსტრიული განვითარების სახელმწიფო და ბიზნეს-კოორდინაციის მექანიზმები. განვითარების ინოვაციური და ნეოინდუსტრიული მოდელების ურთიერთკავშირის სხვადასხვა ასპექტი ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით უკვე საკმაოდ ფართოდ განიხილება პოსტსაბჭოური ქვეყნების სამეცნიერო კვლევებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებმაც ყველაზე წარმატებულად გადაწყვიტეს ტრანსფორმაციული პერიოდის წინმავალი ეტაპები[65], მაგალითად, ყაზახეთსა და უზბეკეთში[66]. რუსეთში კი სამეცნიერო წრეებში დაიწყო ეკონომიკის "საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მოდელების ძებნა" ინოვაციური ნეოინდუსტრიული მოდელის აგების მიზნით[67] და უკვე ტარდება ღონისძებები, მაგალითად, რეგიონებში ახალი ინდუსტრიული ცენტრების (ტექნოლოგიური პარკების) შესაქმნელად[68].

---

[64] Сербиновский Б. Ю., Захарова А. С. О содержании терминов «инновационная экономика», «новая экономика» и «экономика знаний». – Научный журнал КубГАУ, №61(07), 2010. http://ej/kubargo.ru/2010/07/pdf/11/pdf

[65] იხ., მაგ.: Эллман М. Что исследование переходных экономик дало мейнстриму экономической теории? – Вопросы экономики, 2012, №8, с. 115.

[66] იხ., მაგ.: Неоиндустриальная модель экономического развития и формирование перспективных инновационных кластеров (2013 г., Виртуальный проект, Казахстан). www.group-global.org/aef/view/163 ; Расулев А. Ф. Неоиндустриальная модель промышленности в свете формирования перспективных инновационных кластеров. shagdo.ru/docs/index-1008759.html

[67] Илья Быковников: идет поиск моделей повышения конкурентоспособности российской промышленности. 13 мая 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ) (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით ან http://www.tpp-inform.ru/economy_business/4580.html)

[68] იხ., მაგ.: Васин С. Россия не должна проспать новую индустриальную революцию. 28 апреля 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ). www.tpp-inform.ru/analytic_journal/4541/html

3. განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთკავშირების გადამწყვეტი როლი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ და ნეოინდუსტრიულ რეორგანიზაციაში

რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ-ნეოინდუსტრიული რეორგანიზაცია მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს. ასე მაგალითად, ა. აგანბეგიანი აღნიშნავს, რომ რუსეთში საწარმოო მოწყობილობების, ძირითადი ფონდების გასვლა ინოვაციურ დონეზე (ისეთებზე, რომლებიც ჭარბობს განვითარებული ქვეყნის სხვადასხვა დარგში [69]) მოითხოვს 10-15 წელს. ამასთან, მოწყობილობის განახლება უნდა ხდებოდეს კომპლექსურად, ესე იგი ისეთი მთლიანი ტექნოლოგიური ხაზებით, სისტემებით, კლასტერებით, რომლებიც მოწინავე ტექნოლოგიების რეალიზაციას ახდენენ" [70]. რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურ დონეზე გასვლა შესაძლებელია უფრო მოკლე ვადებში, იმის გათვალისწინებით, რომ ის მცირე ქვეყანაა და თავისდროულად ჩაერთვება შესაბამის გლობალურ და რეგიონულ **ქსელებში.** ქვეყნის ბიზნესის ჩართვა ასეთ სავაჭრო, ინოვაციურ, ტექნოლოგიურ ქსელებში წარმოადგენს მისი ეკონომიკის ინოვაციურ დონეზე გასვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

ასევე, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების **დაფინანსების პრობლემა.** ბიზნესი თავისთავად, ინვესტიციების მხოლოდ არსებული საკუთარი სახსრებით განხორციელებისას, ასეთ პრობლემას ვერ მოერევა. ამიტომ საჭიროა განვითარების შეღავათიანი დაკრედიტების თანამედროვე სისტემებისა და მეწარმეთა საფინანსო მხარდაჭერის სხვა ხერხების გამოყენებაც. ამასთან დაკავშირებით, სტატიაში – "აგანბეგიანმა იცის, საიდან უნდა ავიღოთ ფული"[71] – აღწერილია რუსეთის პირობებისათვის საფინანსო და საკრედიტო რესურსები, რომელთა გამოყენება საჭიროა თანამედროვე ეკონომიკის ფორმირებისათვის. ამ სტატიაში შემოთავაზებული ბევრი ხერხის გამოყენება შეიძლება ჩვენ ქვეყანაშიც, მაგრამ, საქართველოში, რომელსაც არ გააჩნია მსხვილი ოქროვალუტის რეზერვები, ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების დაფინანსების მექანიზმი უნდა იყოს გარკვეულ წილად სხვანაირი, კერძოდ, მასში უფრო დიდი როლი უნდა ითამაშონ **განვითარების საფინანსო ინსტიტუტებმა.**

ამიტომ, ქვემოთ განსაკუთრებული ყურადღებით განიხილება ეს ორი საკითხი: განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთობების როლი თანამედროვე ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში.

გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უწყობს ეროვნული ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბებას, უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლის გაფართოება. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, მაგრამ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციური ტექნოლოგიების შემოღებას. საკუთარი საინვესტიციო წყაროებიდან უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ერთ წყობაზე უფრო მეტად ინვესტირებაში გაიზარდა ინსტიტუციური ინვესტორებისა (მაგალითად, საპენსიო ფონდების) და საინვესტიციო ფონდების როლი. საქართველოში საპენსიო ფონდის შექმნაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ საწარმოო ინვესტირებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს რიგი მსხვილი სამამულო და უცხოური ინვესტორების მიერ დაფუძნებულმა თანაინვესტირების ფონდმა, რომელიც "საქართველოში ჩამოყალიბდა თანამედროვე დასავლური პრაქტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით"[72].

თანაინვესტირების ფონდი იმუშავებს მსხვილი ბიზნესმენებისა და კომპანიების მონაწილეობის ხარჯზე სხვა მეწარმეებთან ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში, მაგრამ სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი კოორდინაციის სისტემა ბიზნესის შესაგულიანებლად მიზანშეწონილ ინვესტიციებსა და ინოვაციებზე ხარჯების გასაზრდელად. სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მხარდაჭერის სისტემებში მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს და კვაზისახელმწიფოს (კერძო სექტორის მონაწილეობით) განვითარების საფინანსო ინსტიტუტების შექმნა (განვითარების ფონდების, განვითარების ბანკების და ა. შ.). მსოფლიოში ამჟამად არსებობს რამდენიმე ასეული განვითარების საფინანსო ინსტიტუტი [73], რომელთა საქმიანობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს: ინოვაციების სტიმულირება, საექსპორტო ოპერაციების მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურის განვითარება, რეგიონული

---

[69] ამ ფორმულირებაში გამორჩენილია სრულიად ახალი (ახლად წარმოშობილი) დარგების ფორმირების აუცილებლობა.

[70] Абел Аганбегян: что надо сделать, чтобы догнать и перегнать. 21 февраля 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ). http://www.tpp-inform.ru/analytic_journal/4336.html

[71] Аганбегян знает, где взять деньги (Ната Марк. ТПП-Информ). http://www.tpp-inform.ru/economy_business/4339.html

[72] ქარჩავა თ. თანაინვესტირების ფონდში უკვე 6 მლრდ დოლარი აკუმულირებულია. www.for.ge/view/php?for_id=27126&cat=1 ; თანაინვესტირების ფონდი: ყველა კარგ პროექტს დავაფინანსებთ. 07-10-2013. ქვეყანაში 6 მლრდ დოლარის მოცულობის პირდაპირი ინვესტიციები განხორციელდება (ე. ტუხაშვილი). www.kvirispalitra.ge/economic/18928-thanainvestirebis-fondi-yvela-karg-proeqts-davafinansebt.html

[73] Симачев Ю., Кузык М., Иванов Д. Российские финансовые институты развития: верной дорогой? – Вопросы экономики, 2012, №7, с. 4.

განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკის ცალკეული სექტორების მხარდაჭერა (ტიპური მაგალითია – სოფლის მეურნეობა), ინფრასტრუქტურის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება[74]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით ხდება მხარდაჭერის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) გადანაცვლება ეკონომიკის ზრდის მხარდაჭერისაგან უმეტესად ინოვაციებისა (ტექნოლოგიური მოდერნიზაციის) და ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერაზე და, მაშასადამე, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დარგობრივი დივერსიფიკაციის და, ამის მეშვეობით, ექსპორტის (და მისი დივერსიფიკაციის) და იმპორტჩანაცვლების მხარდაჭერაზე.

საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან (მაგალითად, რუსეთისაგან) განსხვავებით, ქმედუნარიანი (მიზანშეწონილად ორიენტირებული) განვითარების სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტების ფორმირება მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაიწყო. საქართველოში არსებობს სს "საპარტნიორო ფონდი", რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდს. ეს ფონდი შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. "საპარტნიორო ფონდის" საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: აქტივების მართვა და საინვესტიციო საქმიანობა. ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 1 მილიარდ აშშ დოლარს. ფონდი ახდენს კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერას საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, მათ შორის ენერგეტიკის, აგრობიზნესის, წარმოების, ტურიზმის, ლოგისტიკის და სხვა[75].

მიზანშეწონილია, ამ ფონდის საინვესტიციო პოტენციალი გაიზარდოს ეკონომიკის განვითარებაში უფრო ფართო მონაწილეობის მიზნით. ამისათვის 2013 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ მომზადებული იყო საკანონმდებლო მასალები "საქართველოს სუვერენული ფონდის" შექმნის შესახებ, მაგრამ შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რეორგანიზაციის გზით აქციონერული საზოგადოების "საქართველოს განვითარების ბანკის" დაფუძნების შესახებ (2014 წლის აპრილი). მაგრამ შემდეგ მიჩნეული იყო, რომ საპარტნიორო ფონდის პოტენციალი ჯერ არ არის სრულად გამოყენებული, ამიტომ, უკანასკნელი გადაწყვეტილება არ იყო განხორციელებული და ეს ფონდი ამჟამადაც ფუნქციონირებს შესაბამისი კანონის ჩარჩოებში (საქართველოს კანონი სააქციო საზოგადოების – საპარტნიორო ფონდის შესახებ; 02.03.2012. №5746; განახლებულია 20.09.2013[76]). ამჟამად საპარტნიორო ფონდის რეფორმირების ახალი ეტაპი დაიწყო. საქართველოს საპარტნიორო ფონდის ბაზაზე ახალი **განვითარების საფინანსო ინსტიტუტი** ჩამოყალიბდება. ფონდის ხელმძღვანელის დავით საგანელიძეს თქმით, საპარტნიორო ფონდის რეფორმირება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობით განხორციელდება: "საპარტნიორო ფონდში ვგეგმავთ სერიოზულ რეფორმებს, რომელიც დაკავშირებულია საპარტნიორო ფონდის გარდაქმნასთან საქართველოს განვითარების მსხვილ საფინანსო ინსტიტუტად, რომელ პროექტზეც ამჟამად ვაპირებთ მუშაობას გერმანიის განვითარების ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, სავალუტო ფონდთან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან... ...რა თქმა უნდა, ეს იქნება ბევრად უფრო მსხვილი საფინანსო ინსტიტუტი, მას ექნება ბევრად უფრო მეტი ბერკეტი იმისთვის, რომ ქვეყანაში მსხვილი ინვესტიციები მოიზიდოს, შემოიყვანოს მსხვილი საფინანსო ორგანიზაციები და საფუძველი ჩაუდოს როგორც მეგა პროექტებს, ასევე რაც შეიძლება ღრმად შევიდეს საშუალო ბიზნესში, რომელიც ქვეყნის განვითარების აუცილებელი პრიორიტეტია, კერძოდ. იმ მიმართულებებით, რომელიც ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებებს წარმოადგენს" , – აღნიშნა დავით საგანელიძემ.

ინსტიტუციონალიზაცია, ე. ი. სახელმწიფო და შერეული (სახელმწიფო და კერძო სექტორის მონაწილეობით) განვითარების საფინანსო ინსტიტუტების მიერ ბიზნესის მხარდაჭერის ფორმების საკანონმდებლო და, ასევე, კერძო სექტორის ფარგლებში ასეთი მხარდაჭერის გაფორმება, გვაძლევს სუბსიდირების, თანაინვესტირების, შეღავათიანი დაკრედიტების და საფინანსო მხარდაჭერის სხვა ფორმების არჩევისა და მისი ეფექტიანობის საიმედო კონტროლის შესაძლებლობას.

საქართველოში 2013 წ. ასევე იყო შექმნილი და მოქმედება დაიწყო სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდმა (რომლის მოცულობა შეადგენდა 1 მლრდ დოლარს). მიგვაჩნია, რომ ამ ფონდის მოქმედების წესები ასევე უნდა გაფორმდეს საკანონმდებლო წესით. ეს, მით უმეტეს, იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ სასოფლო- სამეურნეო წარმოების კარდინალური გამოცოცხლების აუცილებლობის პირობებში საჭიროა სოფლის მეურნეობის საფინანსო მხარდაჭერის მოცულობის გაზრდა. ასე მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში (აშშ-ში, ევროკავშირში), სადაც, საქართველოსაგან განსხვავებით, მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში ხელსაყრელია, სოფლის მეურნეობის ყოველწლიური ერთობლივი მხარდაჭერის წილი სოფლის მეურნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პოსტსაბჭოურ ქვეყნებში[77].

---

[74] იქვე, გვ. 4, 5.

[75] www.fund.ge/geo/who_we_are/04/

[76] www.esco.ge/files/kanoni_sap._fondis_shesaxeb.pdf

[77] იხ. მაგ., Узун В. Российская политика поддержки сельского хозяйства и необходимость ее корректировки после вступления в ВТО. – Вопросы экономики, 2012, №10, с. 133.

თანამედროვე ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს **ქსელური სტრუქტურები**[78]. თანამედროვე ეკონომიკაში ქსელური სტრუქტურებისა და ქსელური ურთიერთ-კავშირების როლი, ასე რომ ვთქვათ, ინოვაციურ ეკონომიკაში მათი როლის კვინტესენცია, ძალიან მოხერხებულად არის ფორმულირებული ნ. ბაზილევის და ნ. სობოლევას სტატიაში[79]. ამიტომ ჩვენ მოგვაქვს ეს, შეიძლება ითქვას, გაფართოებული დეფინიცია, კომენტარების გარეშე: თანამედროვე ეკონომიკაში ქსელური "ურთიერთობები თამაშობს სისტემაშემქმნელ როლს. ისინი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ ინოვაციური საქმიანობის განვითარებაზე, რომლის შესაძლებლობა განისაზღვრება ინოვაციური ციკლის სხვადასხვა სტადიას შორის პირდაპირი და უკუკავშირების ერთობლიობით, ცოდნის მწარმოებლებით და მომხმარებლებით, ფირმებით და ბაზრით სახელმწიფოთა ეროვნული საზღვრების ფარგლებში და, სულ უფრო მეტად, გლობალურ მასშტაბებში. ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობა ... დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, რამდენად ეფექტიანია დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების (ფირმების, სამეცნიერო ორგანიზაციების და ა. შ.) საქმიანობა, არამედ იმაზეც, როგორ მოქმედებენ ისინი ერთმანეთთან ცოდნისა და მათი გამოყენების სისტემებში"[80].

ორგანიზაციათაშორისმა ქსელებმა, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს ქსელებში მონაწილე პარტნიორების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება (მათ შორის ფირმებისა და ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის) ინოვაციური საქმიანობის ქსელური ორგანიზაციის ხარჯზე, მიიღო სახელწოდება "ინოვაციური ქსელები"[81]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ინოვაციური ქსელების ცნების ქვეშ იგულისხმება ქსელები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ინოვაციების შექმნის, გავრცელებისა და დანერგვის პროცესებს. ინოვაციური ქსელების ძირითად ტიპებს შორის გამოირჩევიან: კოოპერაციის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებში მონაწილე კოოპერაციის ქსელები – ესაა ისეთი სამეცნიერო კოლექტივების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ კოოპერირებას რთული კვლევითი პროექტების შესრულების მიზნით (აქცენტი გაკეთებულია ახალი ცოდნის გენერირებაზე); სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივებს შორის რთული საპარტნიორო კავშირების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს კვლევების შედეგების სწრაფ კომერციონალიზაციას (აქცენტი გაკეთებულია ახალი ცოდნის კომერციონალიზაციაზე); აქტიური ურთიერთმოქმედი ექსპერტული საზოგადოება, რომლის მიზანს წარმოადგენს საერთო კომპეტენციის გაზრდა მეცნიერების საკვანძო საკითხებზე სინერგიის ეფექტის გამოყენებით (აქცენტი მიმართულია ახალი ცოდნის გენერირებაზე); ისეთი სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამრეწველო ორგანიზაცია-პარტნიორების ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ერთიანი მიზნით (აქცენტი მიმართულია სრული ინოვაციური ციკლის წინაკონკურენტული ეტაპის თანხლებაზე)[82].

არსებობს ქსელური ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური ეფექტის მიღებაზე არა მხოლოდ ინოვაციური საქმიანობის ქსელიზაციის მეშვეობით, არამედ ეკონომიკური საქმიანობის სხვა მხარეების ქსელიზაციაზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება ქსელური ორგანიზაციის ისეთი ტიპები, როგორიცაა სტრატეგიული ალიანსები, ვირტუალური ორგანიზაციები, მიწოდების ფოკალური ქსელები, დინამიკური ქსელები, ფასეულობების შექმნის ქსელები, ინოვაციური კლასტერები, ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელები, მცირე ინოვაციური ბიზნესის მსხვილ კორპორაციებთან საწარმოო თანამშრომლობის ქსელები[83].

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკური განვითარების მხრივ უპირველესი აქტუალობა გააჩნია ისეთი ტიპის ქსელების განვითარებას, როგორიცაა **ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელები.** ბევრ ქვეყანაში ასეთი ქსელები უკვე საკმაოდ განვითარებულია. ასე მაგალითად, "რუსეთის ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელი" დაფუძნებულია 2002 წელს და ამ დროისათვის აერთიანებს

---

[78] იხ., მაგ., Абесадзе Р. Сетевая экономика и основные направления ее формирования в Грузии. В книге: SPOŁECZEŃSTWO SIECI. GOSPODARKA SIECIOWA W EUROPIE ŚRODKOWEJ I WSCHODNIEJ. T.1, "WYDAWNICTWO KUL", Lublin, 2011, c. 186-191.

[79] Базылев Н. И., Соболева Н. В. Глобализация и «новая экономика» (соотношение понятий. – Проблемы современной экономики (Евразийский международный научно-аналитический журнал), №1/2 (13/14), 2005. www.m-economy.ru/art/php?nArtid=666

[80] იქვე.

[81] იხ. მაგ., Горденко Г. В. Перспективы развития инновационных сетей. Innclub.info/wp-content/uploads/2011/02/горденко_6_конк_дд.doc

[82] იქვე.

[83] Баринов В., Жмуров Д. А. Развитие сетевых формирований в инновационной экономике. – ж.: Международный менеджмент в России и за рубежом, 2007, №1. dis.ru/library/561/561/25924/ ; Болычев О. Н., Волошенко К. Ю. Межорганизационные сетевые взаимодействия как определяющая форма научно-технического и инновационного сотрудничества России и Европейского Союза в Балтийском регионе. – ж.: Балтийский регион. №4/2013. cyberleninka.ru>Научные статьи>Экономика и экономические науки автор ОН БОЛЫЧЕВ-2013, с. 29; Горденко Г. В. Перспективы развития инновационных сетей. Innclub.info/wp-content/uploads/2011/02/горденко_6_конк_дд.doc

70-ზე მეტ ინოვაციურ ცენტრს[84]. ისეთ მცირე ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ტექნოლოგიების ტრანსფერის ეროვნული ქსელი, ცხადია, უნდა ჩაერთოს შესაბამის საერთაშორისო ქსელებში. საქართველოში უკვე 15 წელია არსებობს კომპანია-ახალი ტექნოლოგიების მომწოდებელი "ალტა", რომელიც ამჟამად საკონსულტაციო ფირმის "სინერგი ჯგუფის" დახმარებით, ფაქტობრივად, ნერგავს კომპანიებისათვის ტექნოლოგიების მიწოდების სამუშაოების ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს[85]. ჩვენი აზრით, ამ კომპანიის პროდუქტულობა უფრო გაიზრდება, თუ ის აქტიურად ჩაერთვება ქსელური თანამშრომლობის შესაბამის საერთაშორისო ფორმებში.

ამჟამად, გამოცდილი უცხოელი სპეციალისტების დახმარებით საქართველოში იგეგმება ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ცენტრის დაფუძნება (რომელიც უნდა შედგებოდეს "ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრისაგან", ამასთან, მის მშენებლობას "ქართუ" დააფინანსებს)[86]. ასეთი სტრუქტურა, მწყობში შესვლის შემდეგ, საქართველოში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული საერთაშორისო და საშინაო ქსელური ურთიერთკავშირების ჯაჭვებში ჩაბმული მნიშვნელოვანი რგოლი გახდება (ასეთი ორგანიზაციის ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოო პროცესის ნორმალური ამოქმედებისათვის საკმარისი არაა მხოლოდ საწარმოო ტექნოლოგიის შესყიდვა, საჭიროა მისი მართებული გამოყენების მოხერხება. კონკრეტული ტექნოლოგიის ათვისების პროცესის შესწავლას კი სწორედ შესაბამისი საგანმანათლებლო ცენტრი უზრუნველყოფს).

მაგრამ არ შეიძლება შემოფარგვლა ქსელური ტიპის ერთი-ორი მსხვილი კომპანიის არსებობით. პოლიტიკურ ფორუმზე "ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსათვის" პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ "საქართველო უნდა იქცეს რეგიონულ სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრად", რაც, კერძოდ, გულისხმობს "ვაჭრობის ხელშემწყობი ლოგისტიკური სერვისების" ჩამოყალიბებას[87], ეს კი, თანამედროვე პირობებში, საჭიროებს ქვეყანაში ისეთი რიგი კომპანიების არსებობას, რომლებიც ორგანიზებული იქნება ქსელური პრინციპების მიხედვით.

ამიტომ, დღევანდელ პირობებში საქართველო, ეროვნული ეკონომიკის ფორსირებული ინოვაციური განვითარების მიზნით, აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო (გლობალური, რეგიონული) ინოვაციური ქსელური ურთიერთკავშირების სხვა სახეებშიც.

საქართველოს კომპანიები (ფირმები და ორგანიზაციები) ქსელიზაციის პროცესში უნდა ჩაერთონ საერთაშორისო **სტრატეგიულ ალიანსებში**. ასეთ ალიანსებში მონაწილეობა აფართოებს ინოვაციებისადმი მისაწვდომობას და ხელს უწყობს ცოდნების გენერაციას და გადაცემას (აღვნიშნავთ, რომ სტრატეგიული ალიანსები იქმნება არა მარტო ინოვაციური საქმიანობის კოოპერირების მიზნით, არამედ ბევრი სხვა ამოცანის გადასაწყვეტადაც). სტრატეგიული ალიანსების შექმნა შეიძლება ქვეყნის ფარგლებშიც, მაგრამ განსაკუთრებულ სარგებელს მოიტანს ეროვნული ფირმებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა საერთაშორისო სტრატეგიულ ალიანსებში.

ვირტუალური ორგანიზაციის განმასხვავებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს "მრავალი კომპანიის (როგორც წესი, მცირე და საშუალო) არსებობა, რომლებიც აერთიანებენ რესურსებს ისეთი პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებსაც ცალ-ცალკე ვერ განახორციელებენ. ვირტუალური ორგანიზაციის წევრები აღწევენ თავისი შესაძლებლობების საზღვრების გაფართოებას "ვირტუალური" განზომილების არსებობის ხარჯზე და, ამასთან, ინარჩუნებენ ისეთ მოქნილობას, რომელიც დამახასიათებელია მცირე კომპანიებისათვის"[88]. ასეთი "ვირტუალური" ორგანიზაციების შექმნა შეიძლება ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში, ასევე, ეროვნული კომპანიების ჩართვის გზით საერთაშორისო ვირტუალური ორგანიზაციების ქსელებში.

ქსელური ურთიერთკავშირები დიდ როლს თამაშობენ **ინოვაციურ კლასტერებში.** ამ კლასტერების ბირთვები "ჩვეულებრივად წარმოადგენენ მეცნიერული და საწარმოო ორგანიზაციების ქსელს. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია ინოვაციური პროექტების დიდი რაოდენობით და გააჩნიათ შიდა ინფორმაციული სივრცე ინოვაციების გადასაცემად"[89]. ინოვაციური კლასტერები უფრო ხშირადაა ლოკალიზებული განსაზღვრული ტერიტორიების ფარგლებში, მაგრამ არ არის

---

[84] Болычев О. Н., Волошенко К. Ю. с. 29.

[85] კომპანია „ალტამ" და სინერჯი ჯგუფმა" ინოვაციურ სტრუქტურულ მოდელზე მუშაობა დაასრულეს. 11.03.2014 (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით – internetnews.ge).

[86] ბიძინა ივანიშვილი - ქართული მხარე ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი დაფუძნდეს. 09-10-2015.
http://www.interpressnews.ge/ge/politika/348941-bidzina-ivanishvili-qarthuli-mkhare-yvelafers-gaakethebs-ratha-saqarthveloshi-thanamedrove-teqnologiebis-ganvitharebis-centri-dafudzndes.html

[87] ირაკლი ღარიბაშვილი: "ძალიან სუსტია ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა... ქვეყანაში ძალიან დაბალია დასაქმების ზრდის ტემპი". 18 თებერვალი, 2014. http://www.frontnews.ge/ge/news/27159-%/E1... (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით).

[88] Горденко Г. В. Перспективы развития инновационных сетей.
Innclub.info/wp-content/uploads/2011/02/горденко_6_конк_дд.doc

[89] იქვე.

გამორიცხული მათი ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ორგანიზაციის შესაძლებლობაც, კერძოდ, საერთაშორისო მასშტაბებში. მაგრამ "კლასტერების იდენტიფიკაციის დროს საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ისინი ფუნქციონირებენ დამატებული ღირებულების შექმნის ერთიანი ჯაჭვის ჩარჩოებში"[90].

დიდი მნიშვნელობა აქვს ნეოინდუსტრიული ინოვაციური განვითარების პროცესში რეგიონალიზაციის (ქვეყნებსშორისი) ფაქტორების გამოყენებას. რეგიონალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე გლობალიზაციის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას და მოიცავს, როგორც ცნობილია, ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც ქმნიან გაერთიანებებს, კავშირებს და ა. შ., რომელთა ჩარჩოებში ადგილი აქვს ვაჭრობის, ფასწარმოქმნის, კაპიტალის მოძრაობის და შრომითი რესურსების მიგრაციის მეტ-ნაკლებად ლიბერალიზაციას.

ასეთ რეგიონულ გაერთიანებებში მონაწილეობის გარეშე, სადაც მონაწილე ქვეყნებისათვის დგინდება გარკვეული პრეფერენციები, ძნელია გლობალურ და რეგიონულ მასშტაბებში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის აშენება, რადგანაც ხვედრითი დანახარჯები ტექნოლოგიურ ინოვაციურ განვითარებაზე ქვეყანაში უფრო დიდი იქნება, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებსაც პრეფერენციები გააჩნია. ამიტომ, ინოვაციური მშენებლობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მოახერხა ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევა ამ გაერთიანებაში ასოცირებულ წევრად მიღების თაობაზე. ამასთან, საქართველოს გააჩნია ბევრი საერთო პრობლემა ინოვაციური მშენებლობის სფეროში პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან (როგორც წესი, ამ ქვეყნებში მცირეა მაღალტექნოლოგიური წარმოებების პროდუქციის წილი (რუსეთშიც კი) მთლიან შიდა პროდუქტში, ყველა ამ ქვეყანაში მცირეა მსუბუქი მრეწველობის დარგების პროდუქციის წილი და ა. შ.). ასე მაგალითად, ამასთან დაკავშირებით რ. ს. გრინბერგი აღნიშნავს, რომ "საჭიროა (საბაჟო კავშირის ფარგლებში) საკუთარი ეკონომიკების რესტრუქტურიზაციის და დივერსიფიკაციის საერთო პროგრამის ინიცირება საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის დარჩენილი წამოწყებების გამოყენებით"[91]. გასაგები გარემოებების გამო (საქართველოს ასოცირება ევროკავშირთან, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ავტოქთონი ქართული მოსახლეობის გადევნა), საქართველოს არ შეუძლია საბაჟო კავშირში მონაწილეობა. მაგრამ, საქართველოს მთავრობის მიერ აღებულია კურსი რუსეთის ფედერაციასთან დაძაბულობის შერბილებასა და ეკონომიკური კავშირების აღდგენაზე. ამ პირობებში ქვეყნის მეწარმეებს შეუძლიათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთობლივ ინოვაციურ ტექნოლოგიურ პროექტებში (მაღალტექნოლოგიური საწარმოებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაცია და ა. შ.) ჩართვა თანამედროვე ქსელურ სტრუქტურებში მონაწილეობის ჩარჩოებში (მეცნიერულ-კვლევითი, საპროექტო და დამნერგავი ორგანიზაციების, ინვესტორების, ტექნოლოგიურ განახლებას ან რეანიმაციას დაქვემდებარებული წარმოებების და ა. შ. მონაწილეობით).

დასკვნა

გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის პროცესებში ჩაბმა დააჩქარებს ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებას განვითარებული ქსელური ურთიერთკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი სტრუქტურული ეფექტის მიღებას ნეოინდუსტრიული ხასიათის სტრუქტურულ-დარგობრივი ძვრების ხარჯზე და აქტიურ მონაწილეობას გლობალურ კონკურენციაში.

Vakhtang Burduli

THEORETICAL ASPECTS OF FORMATION OF MODERN MODEL OF ECONOMIC DEVELOPMENT OF COUNTRY IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION AND REGIONALIZATION

Annotation

In terms of the need to integrate the economy into global and regional economic system it is necessary to take a course on neo-industrial type of development (the formation of appropriate industrial structure) and the formation of an innovative economy (the formation of the latter depends largely on the condition of knowledge economy). A special role in ensuring the efficient economy has also timely creation of a large enough public and private financial development institutions, as well as of modern network of relationships. Therefore, when improving the model of economic development of the country (sectoral, organizational and institutional structure of the economy, development strategies, mechanisms of state and business coordination of development) must be taken into account these core conditions and components of such development.

In this regard, we have studied theoretical aspects of the content, the interrelation and interdependence of the concepts "neo-industrial development" and "innovative economy".

[90] იქვე.

[91] Гринберг Р. С. Контуры новой экономики и шансы евразийской интеграции. – Proceedings of Materials of International Scientific-practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava: Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage. (28-29 June, 2013). Tbilisi: 2013, p. 28.

The concept of "neo-industrial development" and "neo-industrial economy" is investigated and substantiated with emphasis on their structural-sectoral and structural-technological aspects.

The contents of several modern definitions of the notion "innovative economy" are critically examined and on this basis is formulated and justified the author's expanded definition (including positive sides of other discussed definitions).

The relationship, interdependence and partial interoperability of the concepts of "neo-industrial development", "innovation economy" and "knowledge economy" are shows and based. It is also proved that in the conditions of globalization they are the absolute main directions of economic development of the country.

Particular attention is paid to the study of current content and systematization of financial institutions of development and network linkages. It is shown that these concepts are the absolute attributes of the neo-industrial innovative development of the country. The paper also provides examples of the formation of financial institutions development and network relationships in country.

ვახტანგ ბურდული

ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული პრობლემები

შესავალი

1990-ანი წლების დასაწყისში, ეკონომიკის პოსტსაბჭოური დაცემის შემდეგ, საქართველოში, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტესობაში, მკვეთრად შეიცვალა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, დაიკარგა მრავალი აუცილებლად საჭირო დარგი და წარმოება. მართალია, მათი უმეტესობა მოძველებულ ტექნოლოგიებს იყენებდა, მაგრამ სახალხო-სამეურნეო კომპლექსი დივერსიფიცირებული და გარკვეულ ფარგლებში თვითკმარი იყო (პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის საკმაო წონასწორობის გათვალისწინებით). იმ დროიდან მრავალი წელი გავიდა, საქართველოში მიღწეულია შედარებითი ეკონომიკური სტაბილურობა, ვითარდება სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა, საბინაო მშენებლობა, ხდება წარმოებების ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით აღჭურვა, მაგრამ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა არ შეესაბამება ინოვაციური ტიპის ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ნეოინდუსტრიული განვითარების თანამედროვე სტანდარტებს. ამიტომ ვერ ხერხდება ექსპორტ-იმპორტის სალდოს დამაკმაყოფილებელი პარამეტრების მიღწევა, ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე ბევრი აქტუალური სამრეწველო დარგის რეანიმაცია, სოფლის მეურნეობის დაუმუშავებელი ფართობების გამოყენება.

ჩვენი აზრით, ამის მთავარი მიზეზია ქვეყანაში ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროგრესის შესაძლებლობების აღქმისა და გლობალურ და სახელმწიფოთაშორის რეგიონულ სამეურნეო სისტემებში ქვეყნის ეკონომიკის ჩართვის არასაკმარისი სიჩქარე. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პირობებში ცალკე ქვეყნების ფარგლებში დარგობრივი, ტექნოლოგიური, ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების თანამედროვე პრობლემების კვლევა.

სიტუაციის გასაუმჯობესებლად საჭიროა პრიორიტეტული დარგების წინმსწრები განვითარების საფუძველზე ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის რადიკალური ცვლილება, რაც შესაძლებელს გახდის მაღალი სტრუქტურული ეფექტის მიღწევას, რომელიც განისაზღვრება უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებით. ამისათვის საჭირო ეკონომიკური განვითარების დინამიზმის უზრუნველსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია ეკონომიკის თანამედროვე დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვენებების შეფასების განხორციელება და მისი გაუმჯობესების (რესტრუქტურიზაციის) გზების დასახვა ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის შესაბამისი სრულყოფის საფუძველზე.

1. სტრუქტურიზაციის ძირითადი მხარეები ეკონომიკის დარგების მიხედვით

თანამედროვე ეტაპზე დარგების მხოლოდ ტრადიციული სისტემატიზაციის ჭრილში (სამეურნეო დარგები, წმინდა დარგები) ინფორმაციის ხელმძღვანელობით რთულია დარგობრივი სტრუქტურის განვითარების შესახებ მართებული გადაწყვეტილებების მიღება სახელმწიფო სტრუქტურებში და ინვესტიციების და ინოვაციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ბიზნესწრეებში. ამიტომ, მსოფლიოში გაჩნდა დარგების სტრუქტურიზაციის ახალი ფორმები, რომლებსაც მხედველობაში იღებენ მრავალი წარმატებულად განვითარებადი ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებში მარეგულირებელი სისტემების სრულყოფის დროს და ბიზნესწრეებში ინვესტიციებისა და ინოვაციების შესახებ საიმედო გადაწყვეტილებების მისაღებად.

უშუალოდ სამეურნეო დარგების ჭრილში დარგობრივი სტრუქტურის განხილვის გარდა, სულ უფრო აქტუალურ მნიშვნელობას იძენს დარგების დიფერენციაცია მათ მიერ გამოყენებული ტექნოლოგიების ჭრილში (ახალი ტექნოლოგიები და ტრადიციული, საკვანძო (წამყვანი) და მაღალი), ასევე სხვა კრიტერიუმების მიხედვით (ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტ-ჩანაცვლებითი, წარმოებული დოვლათის ხასიათისა და აქტუალობის მიხედვით), რადგანაც

შესაბამისი შემფასებელი მაჩვენებლები უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას იძლევა წარმოების განვითარების შესახებ (მათ შორის მის ინსტიტუციურ ორგანიზაციაზე) როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოებში, ასევე ბიზნეს-გარემოში.

ტექნოლოგიების დონის შეფასების მიხედვით არსებობს დარგების (ან ცალკეული წარმოებების) დიფერენციაციის სხვადასხვა ვარიანტი, რომლის მიხედვით ეს დარგები (წარმოებები, კორპორაციები) ითვლება "დაბალტექნოლოგიურებად, საშუალოტექნოლოგიურებად ან მაღალტექნოლოგიურებად"[92] ან დარგებად (საწარმოებად), რომლებიც დაფუძნებულია "მაღალ ან საკვანძო (წამყვან)" ტექნოლოგიებზე (ეკონომიკური გამოკვლევების გერმანული ინსტიტუტის DIV-ის ვერსიის მიხედვით[93]). ყველა ამ შემთხვევაში ტექნოლოგიების დონე განისაზღვრება "გაყიდვების მოცულობაში გამოკვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯების წილით". ამასთან, ზოგიერთი მკვლევარი ტექნოლოგიების დონის დადგენისათვის ხელმძღვანელობს პროცენტების იმ ფიქსირებული ზღვრებით, რომლებიც განსაზღვრავენ "გაყიდვების მოცულობაში ინოვაციებზე გაწეული ხარჯების წილს". მაგრამ ბევრ კორპორაციაში და, მაშასადამე, შესაბამის დარგებში, ეს მაჩვენებლები ყოველწლიურად იცვლება, ამიტომ რიგი კვლევითი ცენტრი (მაგალითად, აშშ ეროვნული ფონდი) ტექნოლოგიების დონის მიხედვით დარგების ნომენკლატურას განსაზღვრავს თავისუფლად, სპეციალური კრიტერიუმების ფორმულირების გარეშე[94].

ს. გლაზიევის გრძელვადიანი ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების თეორიაში[95] "ტექნოლოგიური წყობების" სისტემებში სტრუქტურირებულია როგორც ტექნოლოგიები, ასევე დარგები: განირჩევა ტექნოლოგიური წყობის საკვანძო ფაქტორისა და ტექნოლოგიური წყობის ბირთვის ტექნოლოგიები, შემდეგ კი – "მატარებლები" და დანარჩენი დარგები და ტექნოლოგიები, რომლებშიც ხდება დომინირებადი ტექნოლოგიური წყობის ახალი და სხვა საჭირო ტექნოლოგიების დიფუზია. ტექნოლოგიების და დარგების ერთობლიობა ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ ურთიერთკავშირებთან ერთად განიხილება როგორც ტექნოლოგიური წყობა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება.

სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იღებს ეკონომიკის განხილვა ეკონომიკის რეალური და საფინანსო სექტორების ჭრილში: ჯერერთი, ეკონომიკის რეალური და საფინანსო სექტორების სხვადასხვა დარგის ურთიერთობების პროცესში არასასურველი ოპერაციების თავიდან აცილების მიზნით, მეცნიერების, მთავრობებისა და ბიზნესწრეების მიერ პროაქტიული ღონისძიებების გამოკვლევისა და დამუშავებისათვის; მეორე, იმისათვის, რომ თეორეტიკოსებმა გაარკვიონ "ფიქტიური კაპიტალის აღწარმოების გლობალური სისტემის ინსტიტუციური წინააღმდეგობები, რომელთა გამოვლენის შედეგად საბირჟო ფასები გარკვეულწილად კარგავს თავის ობიექტურობას", რაც ართულებს კაპიტალის მიზანშეწონილი დარგთაშორისი და ქვეყნებსშორისი გადადინების პროცესს[96].

დარგების სტრუქტურიზაციის თანამედროვე მეთოდები ზემოთ აღნიშნული და სხვა კრიტერიუმების მიხედვით (მაგალითად, პირველადი, მეორადი და მესამეული სექტორების ჭრილში) და, რაც მთავარია, საქართველოში დარგობრივი სტრუქტურის განვითარების სტრატეგია ასეთი კრიტერიუმების გამოყენების საფუძველზე, გაშუქებულია გ. წერეთლის ნაშრომებში[97]. ამ ნაშრომებმა მისცა ორიენტაცია ამ მიმართულებით ჩვენ დღევანდელ დამუშავებებს.

სახელმწიფო ორგანოებსა და ბიზნესწრეებში გადაწყვეტილებების მიღებისას დიდი მნიშვნელობა აქვს დარგებისა და წარმოებების სავარაუდო პრიორიტეტულობის შეფასებას. ამიტომ, ჩვენ მიერ, სამეცნიერო მასალების ანალიზის საფუძველზე[98], სისტემატიზებულია ასეთი პრიორიტეტულობის კრიტერიუმები. პრიორიტეტულობის ძირითად კრიტერიუმებად მიჩნეულია: 1. დარგის საექსპორტო პოტენციალი; 2. საშინაო ბაზარზე დარგის პროდუქციაზე მოთხოვნების პერსპექტივები; 3. დარგის მაღალი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა; 4. დარგის დაჩქარებული განვითარების შემთხვევაში ქვეყნის განვითარების პერსპექტივები (ანუ ქვეყნის მიერ "მაღალი ინდუსტ-

---

[92] Любимцева С. Инновационная трансформация экономической системы. – Экономист, 2008, №9, с. 31.

[93] იხ.: Семенова С. Возможности инновационного типа развития. – Экономист, 2006, №6, с. 14.

[94] იქვე, გვ. 15.

[95] Глазьев С. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. – Вопросы экономики, 2009, №3; Глазьев С. Возможности и ограничения технико-экономического развития России в условиях структурных изменений в мировой экономике [www.spkurdyumov.narod.ru/glaziev/htm].

[96] Бурдули В. Вопросы структурной перестройки экономики Грузии и роста уровня занятости. _ ეკონომისტი, 2009, გვ. 30; Фролов Д. Теория кризисов после кризиса: технологии versus институты. – Вопросы экономики, 2011, №7, с. 31.

[97] წერეთელი გ. საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები. – კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I., 2000; წერეთელი გ. პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასების საკითხისათვის. – კრებულიში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი III., 2003.

[98] Хруцкий В. Рыночные системы и варианты структурной перестройки промышленности. Российский экономический журнал. 1992, №3, с, 97, 98 და სხვა.

რიული სტადიის" მიღწევა); 5. ქვეყნის სავაჭრო ბალანსში დეფიციტის მინიმიზაცია; 6. ნედლეულსა და იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულების მინიმიზაცია, წარმოების რესურსტევადობის მინიმიზაცია; 7. ხელსაყრელი თანმხლები ეფექტი (სხვა დარგების ეფექტიანობის ამაღლება, დარგის მულტიპლიკაციური ეფექტი, დასაქმების სტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა); 8. დარგის მაღალი ინტელექტტევადობა; 9. დარგის საკმაოდ მაღალი შრომატევადობა მასალა- და ენერგოტევადობის შემცირების ხარჯზე; 10. ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანების მინიმალური ან ნულოვანი დონე და სხვა.

90-იან წლებში, როგორც ვიცით, გლობალური ეკონომიკური ორგანიზაციების (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) მიზანდასახულობებით დაიწყო სამრეწველო პოლიტიკის სახელმწიფო მხარდაჭერის შეზღუდვა. მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების წრე 2003 წ. შეივსო ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნით, რომლებმაც დაიწყეს იმ ფუნქციების ნაწილის შესრულება, რაც ტრადიციულად სამრეწველო პოლიტიკასთან ასოცირდებოდა [99]. როგორც ვიცით, ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერას მხარს უჭერენ მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზაციები და ამ მხარდაჭერის ინსტრუმენტები ინტენსიურად გამოიყენება მრავალ ქვეყანაში[100].

რა თქმა უნდა, სამრეწველო (სტრუქტურულ-დარგობრივი) პოლიტიკამ [101] ამჟამადაც არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, პირიქით, საერთაშორისო კონკურენციის გამწვავების პირობებში მისი მნიშვნელობა კიდევ გაიზარდა. *(ტერმინის "სამრეწველო პოლიტიკის" მაგივრად უფრო სწორია ტერმინის "სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის" გამოყენება, რადგანაც სახელმწიფო და ბიზნეს-კოორდინაციის ამოცანების სპექტრში შედის არა მარტო მრეწველობის დარგების კოორდინაცია, არამედ სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს დარგების, მშენებლობისა და სხვა დარგებისაც. ამასთან, სტრუქტურულ-დარგობრივ პოლიტიკაში შეიძლება ცალ-ცალკე მიმართულებების გამოყოფა, მაგალითად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის და მსუბუქი მრეწველობის მომჯნავე დარგების კოორდინირებული განვითარების პოლიტიკა, მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების პოლიტიკა, ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი დარგების მხარდაჭერის პოლიტიკა და სხვა).* მაგრამ შეიცვალა სტრუქტურულ-დარგობრივი (სამრეწველო) პოლიტიკის ცალკეული ინსტრუმენტების მნიშვნელობა. მაგალითად, შეიზღუდა მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის პირდაპირი სუბსიდირება, სოფლის მეურნეობის საქმიანობის ისეთი სუბსიდირება, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის ზრდასთან და, ასევე – სასურსათო პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირებამ (ე. ი. როგორც სოფლის მეურნეობის გადაუმუშავებული პროდუქციის, ასევე, მრეწველობაში გადამუშავებულის) მხარდაჭერა, რომელიც ინოვაციურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული, მეტწილად გადაინაცვლა რეგულირების არაპირდაპირი (ირიბი) მეთოდების მხარეს (საგადასახადო, საფინანსო-საკრედიტო), მაგრამ მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის პრაქტიკაში გამოიყენება მხარდაჭერა სხვადასხვა სახის განვითარების საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით (შიდასახელმწიფოებრივი და რეგიონული ფონდები, განვითარების ან ინვესტიციური ბანკები და სხვა). სოფლის მეურნეობაში კი სახელმწიფო მხარდაჭერის რეგლამენტაცია ხდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ე. წ. "ყვითელი", "ცისფერი" და "მწვანე" კალათის პირობების გათვალისწინებით.

2. "სტრუქტურული ეფექტი" და მისი შეფასება

როგორც ამ თავის დასაწყისში იყო აღნიშნული, საქართველოში, ეკონომიკის პოსტსაბჭოური ჩავარდნის შემდეგ, ბევრი საჭირო დარგი დაიკარგა. ჩვენს არაერთ ნაშრომში[102] დახასიათებულია საქართველოს თანამედროვე დარგობრივი სტრუქტურის ზოგიერთი ნაკლოვანება და განხილულია საქართველოს ეკონომიკის ტრადიციული დარგების რეანიმაციისა და ახალი დარგების ჩამოყალიბების ზოგიერთი მიმართულება. მაგრამ **შედარებით მცირე ქვეყანაში** ყველა დაკარგული დარგის ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაციის შესაძლებლობა არ არის. ასევე, არ შეიძლება ვილაპარაკოთ წარმოების დიდ მასშტაბებზე ახალი და მოდერნიზებული ტრადიციული დარგების დიდ რაოდენობაში. ზოგიერთ სექტორში (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა) უნდა სრულფასოვნად ფუნქციონირებდეს თითოეულ მათგანში შემავალი (ქვეყანაში არსებული) ყველა

[99] Ананьин О., Хаиткулов Р., Шестаков Д. Вашингтонский консенсус: пейзаж после битв. – МэиМО, 2010, №12, с. 23.

[100] Abesadze R., Burduli V. Innovative Activities and Their Coordination under Advansing Globalization. Volume 5. Issue 4. CA&CC Press. SWEDEN, 2011.

[101] ბურდული ვ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე). თბილისი: "მეცნიერება", 2004. გვ. 222-254; Кузин К. Промышленная политика развитых стран: цели, инструменты, оценки. – Вопросы экономики, 1993, №9; Калинин А. Построение сбалансированной промышленной политики: вопросы структурирования целей, задач, инструментов. – Вопросы экономики. 2012, №4.

[102] Burduli V., Abesadze R. Sectoral, Tecnological and Institutional-Organization Struqtures of the Georgian Economy: Development Issues in the Context of Globalization. – The Caucasus&Globalization. – The Coucasus & Globalization (Journal of Social, Political and Economic Studies). Volume 7. Issue 1-2. 2013. CA&CC Press. SWEDEN; Бурдули В. Пути развития отраслевой и технологической структуры экономики страны в условиях глобализации. _ ეკონომისტი, 2012, №3; და სხვა.

დეტალიზებული დარგი, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი მოსახლეობის მოთხოვნილებები და, სადაც ეს შესაძლებელია, დიდი მოცულობით წარმოებდეს პროდუქციის ექსპორტი (საქართველოში, მაგალითად, ხილის, ციტრუსებისა და ღვინის ექსპორტი), ზოგიერთ სხვა სექტორში (მაგალითად, მსუბუქი და სამშენებლო მასალების მრეწველობებში) მიზანშეწონილია მათში შემავალი დარგების უმეტესობის წონასწორული განვითარება ან რეანიმაცია მათი იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტული პოტენციალის ზრდის გათვალისწინებით. მაგრამ საქართველოში, ისევე, როგორც ნებისმიერ მცირე ან საშუალო ზომის სხვა ქვეყანაში, შეუძლებელია ენერგეტიკის, მაღალი ტექნოლოგიების სფეროს და ა. შ. მრავალი სახის დარგის განვითარება. ასეთ სექტორებში საჭიროა პრიორიტეტული დარგების დასახვა და მეწარმეებისა და სახელმწიფო კოორდინაციის ძალისხმევის მიმართვა მათ დაჩქარებულ განვითარებაზე. ამიტომ, სახელმწიფოს მიერ დარგობრივ-სტრუქტურული განვითარების (რესტრუქტურიზაციის) კოორდინაციისა და ბიზნესის მიერ ინვესტიციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვანია არსებული სიტუაციის შეფასება როგორც საერთოდ მთელი დარგობრივი სტრუქტურის, ასევე ცალკეულ სექტორებში შემავალი დარგების ჭრილში.

ამასთან, დარგობრივი რესტრუქტურიზაციის განხორციელებისას საჭიროა ორიენტაციის აღება **"სტრუქტურული ეფექტის"** მიღებაზე, რომელიც "უნდა ჩაიდოს "ეროვნული ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბების და რეალიზაციის საფუძველში"[103]. "სტრუქტურული ეფექტის შინაარსის ქვეშ (რომლის ცნება ეკონომისტების მხრიდან შემდგომ დახვეწას მოითხოვს)" პროფესორ თ. ბერიძის განსაზღვრით "იგულისხმება ეკონომიკის სექტორებისა და ქვესექტორების (ანუ დარგების) ისეთი ოპტიმალური კომბინაცია, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტიანობას". "როგორ გავზომოთ სტრუქტურული ეფექტი?" – სვამს კითხვას ავტორი – "ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი მარტივი არ არის. ალბათ ესაა საბაზო (საპროფილო) დარგების განსაზღვრულობა, ხვედრითი წილი საერთო ეფექტში, ამასთან, "სტრუქტურული ეფექტის" შინაარსმა შეიძლება ტრანსფორმაცია განიცადოს პროგრესულ ცვლილებებთან დაკავშირებით"[104].

სტრუქტურული ეფექტის შეფასება, ჩვენი აზრით, შეიძლება ექსპორტის პოტენციალის და იმპორტჩანაცვლების ზრდის მაჩვენებლებით, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვების ზრდისა და სხვა მსგავსი მაჩვენებლებით, რომლებიც აღწერილია ამ თავის პირველ პარაგრაფში (მათ შორის პრიორიტეტულობის კრიტერიუმების მიხედვით). მაგრამ, ჩვენი აზრით, **სტრუქტურული ეფექტის ყველაზე მნიშველოვან მახასიათებელს წარმოადგენს ეკონომიკის თვითკმარობის დონე, რომლის ძირითადი ინდიკატორია დარგების ჯგუფების ჭრილში თვითკმარობის მაღალი დონე (კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, სამშენებლო მასალების მრეწველობისა და ენერგეტიკის პროდუქტების მიხედვით ასევე მნიშვნელოვანია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი) და ექსპორტ-იმპორტის დადებითი სალდო დარგების ჯგუფების მიხედვით. სტრუქტურული ეფექტის მისაღწევად საჭიროა საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული შინაარსის მიზანმიმართული ტრანსფორმაცია.**

დარგების ზოგიერთ ჯგუფში (სექტორებში) მეურნეობის თვითკმარობის (რაც შეიძლება შეფასდეს ამ დარგების ჯგუფების მიხედვით ექსპორტის და იმპორტის მოცულობებისა და, ასევე, ადგილობრივი წარმოების (ექსპორტის ჩათვლით) იმპორტის მოცულობასთან შედარებებით) მიღწევა საჭიროა არა წარმოების სწრაფი ზრდის ხარჯზე მოცემული ჯგუფის (სექტორის) ყველა დარგში, არამედ ამ ჯგუფში შერჩეული პრიორიტეტული დარგების (ქვესექტორების) ხარჯზე, რომელთა პროდუქციის ექსპორტი იმპორტის კომპენსაციას მოახდენს ამ ჯგუფის სხვა დარგების სასაქონლო პოზიციების მიხედვით (ან, რაც უკეთესია, საქონლის ექსპორტი მოცემული ჯგუფის დარგების მიხედვით უფრო მეტი იქნება, ვიდრე იმპორტი). ამიტომ, ამ თავის შემდეგ ორ პარაგრაფში გაკეთებულია დარგობრივი სტრუქტურის მდგომარეობის ანალიზი (თვითკმარობის დონის დადგენით) დარგების ჯგუფების ჭრილში (ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის, მეტალურგიის დარგები, მაღალტექნოლოგიური დარგები და ა. შ.) და შეფასებულია ამ დარგების ჯგუფებში ცალკეული დარგების განვითარების პერსპექტივები. რა თქმა უნდა, ზოგიერთი სექტორის (დარგების ჯგუფის) მიხედვით დარგების ასეთი დაჯგუფება გარკვეული ზომით პირობითია *(მაგალითად, მაღალტექნოლოგიური დარგების სტატისტიკაში არ არის გათვალისწინებული ჩარხთმშენებლობა, რომელიც საქართველოში ამჟამად ფაქტობრივად აღარ არსებობს; სტატისტიკური მაჩვენებლების დაჯგუფების დროს, მონაცემების უქონლობის გამო, არ იყო შესაძლებელი განზოგადებულ დარგებში გენური ინჟინერიის და ზოგიერთი სხვა ისეთი დარგის მონაცემების შეტანა, რომლებიც უფრო მეტად დაკავშირებულია ბიოქიმიასთან, მედიცინასა და სოფლის მეურნეობასთან და მიეკუთვნება მაღალტექნოლოგიურ დარგებს, ამასთან, მათი წილი ამ დარგებში, რა თქმა უნდა, მიზერულია),* თუმცა იძლევა დარგების ჯგუფების მიხედვით ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და, მაშასადამე, მათში განვითარებისათვის პრიორიტეტული დარგების დასახვის შესაძლებლობას.

---

[103] Беридзе Т. Национальная экономическая модель: альтернатива глобализации? – Кавказ & Глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. Том 1 (3), CA&CC Press. ШВЕЦИЯ, 2007, с. 69.

[104] იქვე, გვ. 69.

მაშასადამე, ამ თავში **დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები გამოვლენილი და განხილულია დარგების ჯგუფების ჭრილში (სასაქონლო პოზიციების მიხედვით ადგილობრივი გამოშვების, ექსპორტის და იმპორტის გათვალისწინებით), დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების სავარაუდო საერთო მიმართულებები კი ისეთნაირად არის განსაზღვრული, რომ მიღწეულ იქნეს მნიშვნელოვანი სტრუქტურული ეფექტი.** დარგობრივი სტრუქტურის მიზანდასახული ცვლილებების კოორდინაცია კი უნდა ხდებოდეს სახელმწიფო რეგულირებისა და ბიზნესკოორდინაციის მექანიზმების შესაბამისი სრულყოფის საფუძველზე, რაზეც ყურადღება გამახვილებულია ამ ნაშრომის ბოლო პარაგრაფში.

ამ თავში გამოყენებული **სტრუქტურული მიდგომის** აქტუალობაზე ცხადყოფს ინტერნეტში გამოქვეყნებული პუბლიკაცია[105], სადაც ასეთივე თანამიმდევრობით (დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, სტრუქტურული ცვლილებები კოორდინაციის მექანიზმებში) არის მოცემული **ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის** რეკომენდაციები, მიმართული (ამ შემთხვევაში რუსეთისათვის) უახლოეს პერიოდში (2-3 წელი) მშპ-ს ზრდის უზრუნველყოფაზე. მსგავსი მიდგომა განვითარების პრიორიტეტების არჩევის შესახებ საკუთარი გამოშვების, ექსპორტისა და იმპორტის ანალიზის საფუძველზე (მაგრამ უფრო გამსხვილებულ აგრეგირებულ ასპექტში) მოცემულია ცნობილი მეცნიერის ვ. ობოლენსკის სტატიაში[106], კერძოდ, ამ სტატიის ცალკეულ პარაგრაფებში, რომელთა სათაურებია: "არის თუ არა საგარეო ბაზრებისაგან დამოკიდებულების შემცირების შანსი", "როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ახალ ინდუსტრიალიზაციაში?", "დარგთაშორისი ბალანსი" და "ინვესტიციები, ფულადი პოლიტიკა და ინდუსტრიალიზაცია". შესაბამისი ნაშრომი ჩვენ მიერ, ამ სტატიის გაცნობასთან დამოუკიდებლად, მომზადებული და გამოქვეყნებულია ინსტიტუტის შრომების კრებულში[107]. წინამდებარე ვარიანტში ნაშრომი სრულყოფილია ახალი ინფორმაციის გათვალისწინებით.

3. საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურულ-დარგობრივი ანალიზი სექტორების (დარგების ჯგუფების) ჭრილში თვითკმარობის დონის გამოვლენის საფუძველზე

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურის დინამიკის ანალიზი ეკონომიკური საქმიანობის სახეების (აგრეგირებული დარგების) მიხედვით გვაძლევს შესაძლებლობას, დავადგინოთ თუ რამდენად ხორციელდება პროგრესული სტრუქტურული ძვრები ეკონომიკის დარგების აგრეგირებული კლასიფიკაციის მიხედვით. ასეთი ანალიზისათვის გამოყენებულია მონაცემები ცხრილებიდან "მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით"[108] და "მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ჯაჭვური ინდექსები"[109] (აღვნიშნავთ, რომ ამ ცხრილებში წლების მიხედვით დარგების პროცენტული სტრუქტურა გათვლილია მიმდინარე ფასებით, ზრდის ჯაჭვური ინდექსები კი მუდმივი 2003 წლის ფასების გამოყენებით). ცხრილების მიხედვით ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობის, ნადირობის, სატყეო მეურნეობისა და თევზჭერის ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ის (საბაზისო ფასებით) საერთო მოცულობაში დაეცა 16,7%-დან 2005 წ. 8,8%-მდე 2011 წ., ამასთან, მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის მშპ-ს მოცულობის აბსოლუტური ვარდნა: მშპ-ს მოცულობამ 2010 წ. შეადგინა 2005 წ. მოცულობის 77,3%, 2011 წ. კი – 83,5%. სამთომომპოვებელ მრეწველობას საქართველოში დიდი პერსპექტივები არ აქვს (სამშენებლო მასალების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მოპოვების გარდა) და, ბუნებრივია, მისი მშპ-ის ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ს მთელ მოცულობაში სტაბილურად დაბალია (0,9-1,2%). ელექტროენერგიის წარმოებაში, იმის შემდეგ, რაც გაჩერდა ხუდონის ჰეს-ის მშენებლობა, ახალი სიმძლავრეები თითქმის არ შექმნილა. მიუხედავად ამისა, ამ წლებში ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაში შექმნილი დამატებული ღირებულების (მშპ) ხვედრითი წილი მშპ საერთო მოცულობაში თითქმის სტაბილური იყო (2,8-3,2%, 2008 წ. – 2,6%).

დამმუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარება ყველაზე მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მაგრამ მათი მშპ-ს ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ის საერთო მოცულობაში თითქმის არ იცვლება და წლების მიხედვით მერყეობს 9,1-9,9%-ის ფარგლებში (2007 წ. – 8,1%). ამასთან, დამმუშავებული მრეწველობის მშპ-ის მოცულობა 2011 წ. 2005 წ. მოცულობასთან შედარებით 68,3%-ით გაიზარდა, რაც, მართალია, ამ პერიოდში მთლიანი მშპ-ის ზრდის ჯაჭვურ ინდექსზე (137,6%) უფრო მაღალია, მაგრამ, დამმუშავებელი მრეწველობის საერთო შედარებით მცირე საწყისი მოცულობის გამო, არადამაკმაყოფილებელია.

---

[105] ОЭСР: Ускорение роста ВВП в РФ возможно лишь в случае структурных реформ. – Интернет. Новости Google. 19 ноября 2013 г.

[106] Оболенский В. Внешнеэкономические связи России: некоторые уроки глобального кризиса. – Вопросы экономики, 2012, №5.

[107] ბურდული ვ. საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები და მისი გაუმჯობესების გზები. – თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი VI. თბილისი, 2013.

[108] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2011 (სტატისტიკური კრებული), თბილისი, 2013, გვ. 26.

[109] იქვე, გვ. 28.

ამასთან, დამმუშავებელ მრეწველობაში ლომის წილი მოდის "საკვები პროდუქციის, სასმელების და თამბაქოს წარმოებაზე" (2011 წ. 40,8%), მეტალურგიულ მრეწველობაზე (17,4%), დანარჩენი არალითონური ნაკეთობების წარმოებაზე (10,0%)[110] (უფრო ვრცლად ინფორმაცია დამმუშავებელი მრეწველობის დარგების შესახებ მოყვანილია ქვემოთ). მშენებლობის მშპ-ის ხვედრითი წილი შემცირდა 9,1%-დან 2005 წ. 6,7%-მდე 2011 წელს. ეს მოხდა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა ქვეყანაში ჯერჯერობით დაბალ დონეზეა, მეორე, შემცირდა მოთხოვნა საცხოვრებელ სახლებზე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენების დაბალ-შემოსავლიანობის გამო. იზრდება ვაჭრობისა და მომსახურების და სერვისის ზოგიერთი სხვა სახის მშპ-ის ხვედრითი წილი. ეს თანამედროვე ეტაპზე დამახასიათებელია ყველა განვითერებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნებისათვის და, ბუნებრივია, საქართველოსთვისაც. მაგრამ სამომხმარებლო სფეროს ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით გარკვეული გაჯერება უკვე მოხდა, ამიტომ მომსახურების ამ სფეროში (კავშირგაბმულობა) დაიწყო მშპ-ის ხვედრითი წილის კლება.

მშპ-ის სტრუქტურის დინამიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ასევე გავაკეთოთ დასკვნა, რომ რეალური (ამასთან ექსპორტის ძირითადი მოცულობის უზრუნველმყოფი) წარმოების საერთო ხვედრითი წილი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ, მშენებლობა[111], ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა. შ.) 2005-2011 წწ. თანდათანობით მცირდებოდა სერვისული და სხვა მომსახურე სფეროების სასარგებლოდ (ვაჭრობა, სახელმწიფო მმართველობა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება და ა. შ.). ეს კარგი იქნებოდა დარგობრივი სტრუქტურის განვითარების ხელსაყრელი საწყისი პარამეტრების პირობებში, მაგრამ დღევანდელ პირობებში მაკროეკონომიკური პარამეტრების რეალური გაუმჯობესება, განსაკუთრებით ექსპორტ-იმპორტის სალდოსი, რომლის თანასწორული პარამეტრების მიღწევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სტაბილური განვითარების უზრუნველოფის საქმეში, შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების წინმსწრები განვითარების შემთხვევაში (სერვისული დარგებიდან გამონაკლისია მხოლოდ ტურიზმი, რომლის წინმსწრებმა განვითარებამ ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესებაში).

ამიტომ ამ თავში შემდგომი სტატისტიკური ანალიზი ეძღვნება სამრეწველო და სხვა დარგების განვითარებაში არსებული მდგომარეობის შესწავლას. **ამასთან, დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი სტატიაში განხორციელებულია ყოველი აგრეგირებული სამრეწველო დარგის გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და მისთვის დამახასიათებელი პროდუქციის სახეების ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებთან (ფულად გამოსახულებაში) შედარებით თვითკმარობისა და, სადაც საჭიროა, თვითუზრუნველყოფის დონის გამოკვლევით.** კვების ძირითადი პროდუქტების მიხედვით სტატისტიკურ ანგარიშგებაში არსებობს შესაბამისი ბალანსები, რომლებიც იძლევა არსებული სიტუაციის შესწავლის შესაძლებლობას. მაგალითისათვის ქვემოთ მოყვანილია ხორცის ბალანსის ამსახველი ცხრილის ზოგიერთი სტრიქონი (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ხორცის ბალანსის მაჩვენებლები (ათასი ტონა)[112].

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ადგილობრივი წარმოება	83,3	73,0	57,3	54,3	56,4	49,3	42,6
იმპორტი	32,9	53,3	62,1	61,9	61,9	71,3	77,5
ექსპორტი		1,2	0,8	0,2	0,7	1,2	0,9
სულ რესურსები = მთლიანი გამოყენება		128,1	123,3	118,8	120,2	123,1	122,4
თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, %		58	48	47	48	41	36

ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს სიტუაციის ცვლილება ქვეყანაში ხორცის წარმოების მხრივ და ხორცის ბაზარზე. სამწუხაროდ, არასაკვები პროდუქტებისა და მომსახურებისათვის ასეთი გათვლები ცალკეული დარგების მიხედვით სტატისტიკურ ანგარიშგებაში ამჟამად არ არსებობს. მაგრამ მსგავსი შედარებებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება შეიძლება პროდუქტების ჯგუფების ჭრილში (შესაბამისად აგრეგირებული დარგების, ანუ დარგების ჯგუფების ფარგლებში)

[110] გათვლილია ცხრილის – "გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მრეწველობაში" – მონაცემების საფუძველზე: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2013, გვ. 140-141.

[111] მშენებლობას, რა თქმა უნდა, ექსპორტში წვლილი არ შეაქვს.

[112] საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009 (სტატისტიკური პუბლიკაცია) – საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური. თბილისი, 2010, გვ. 86; საქართველოს სოფლის მეურნეობა 2011 (სტატისტიკური პუბლიკაცია) – საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური. თბილისი, 2012, გვ. 79; საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012 (სტატისტიკური პუბლიკაცია) საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური. თბილისი, 2013, გვ. 78.

გამოშვების მოცულობისა და საქართველოს ექსპორტის და იმპორტის სასაქონლო კარების მიხედვით დაჯგუფებული (აგრეგირებული ამა თუ იმ ფარგლებში კვლევის საჭიროებების შესაბამისად) პროდუქტების (მომსახურების) მოცულობის შედარების საფუძველზე.

უპირველის ყოვლისა, განვიხილოთ ენერგეტიკის სექტორი. საქართველოს, როგორც ვიცით, ფაქტობრივად არა აქვს ნავთობის და ბუნებრივი აირის საკუთარი საბადოები, ამიტომ, ნავთობპროდუქტების და აირის (ბუნებრივის და თხევადის) იმპორტის ხვედრითი წილი მთლიანი იმპორტის მოცულობაში ძალიან მნიშვნელოვანია და 2011 წელს შეადგენდა 16,3% (12,9 + 3,4%) (1503 მლნ ლარი + 390 მლნ ლარი[113])[114]. ამასთან, რა თქმა უნდა, ნავთობპროდუქტების ადგილობრივი წარმოება და გადამუშავება ძალიან მცირეა და მისი ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან გამოშვებაში ბოლო წლებში არ აღემატებოდა 0,01%. ამ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის საკუთარი გამოშვების ზრდა, ამასთან, ზრდა უნდა იყოს მიღწეული არა იმპორტირებული ენერგომატარებლების გამოყენების ხარჯზე, არამედ განახლებადი რესურსების (უპირველეს ყოვლისა, ჰიდრორესურსების) გამოყენებით. ელექტროენერგიის (უფრო სწორად "ელექტროენერგიის, აირის და წყლის წარმოების და განაწილების") გამოშვების ხვედრითი წილი მრეწველობის მთელ გამოშვებაში 2011 წელს შეადგენდა 13,8% (888.3 მლნ ლარი). ე. ი. ენერგეტიკულ ბალანსში მნიშვნელოვანი ზომის საკუთარი წარმოება საქართველოს გააჩნია მხოლოდ ელექტროენერგეტიკაში და ენერგიის უზრუნველყოფის კუთხით ქვეყნის იმპორტ-ექსპორტის სალდოს გაუმჯობესება შესაძლებელია ძირითადად ჰიდროენერგეტიკის წინმსწრები განვითარებით. როგორც ვიცით, ამჟამად საქართველოში უფრო მეტი ელექტროენერგიის გამოშვება ხდება იმპორტირებადი ენერგომატარებლების (ძირითადად, ბუნებრივი აირის) გამოყენებით, რადგანაც წინა პერიოდში, წარმოების პოსტსაბჭოური ვარდნის შემდეგ, ჰიდროენერგეტიკის განვითარებას ყურადღება არ ექცეოდა (ამასთან, უკანასკნელ ათწლეულში მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯებოდა არააუცილებელი ობიექტების მშენებლობაზე). ასევე, ამჟამად ბევრ ქვეყანაში (უპირველეს ყოვლისა, გერმანიასა და აშშ-ში) მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ელექტროენერგიის გამომუშავებაში მზის ბატარეების (ელემეტების) მეშვეობით, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სტრუქტურულ-დარგობრივ პოლიტიკაში, კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას.

ახლა განვიხილოთ სტრუქტურული მახასიათებლები კვების პროდუქტების სფეროში. საკვები პროდუქციის ექსპორტის და იმპორტის მოცულობა ჰარმონიზებული სისტემის აგრეგირებული სასაქონლო კარების მიხედვით[115] მოცემულია ოთხ პოზიციაში (სტრიქონში): 1) ცოცხალი ცხოველი და ცხოველური წარმოების პროდუქტები; 2) მცენარეული წარმოების პროდუქტები; 3) ცხიმები და ზეთები; 4) კვების მზა პრდუქტები, სასმელები, თამბაქო. დაახლოებითი წარმოდგენა რომ გვქონდეს შესაბამის დარგებში გამოშვების და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის შესახებ, სოფლის მეურნეობაში (თევზჭერას, სატყეო მეურნეობასა და ნადირობასთან ერთად) გამოშვებული პროდუქციის მოცულობა უნდა შევადაროთ ექსპორტისა და იმპორტის პირველი და მეორე აღნიშნული პოზიციების ჯამებს, კვების მრეწველობის გამოშვება კი (სასმელებსა და თამბაქოს პროდუქტებთან ერთად) ექსპორტის და იმპორტის მესამე და მეოთხე აღნიშნული პოზიციების ჯამებს. 2011 წელს პროდუქციის გამოშვებამ სოფლის მეურნეობაში შეადგინა 2674 მლნ ლარი[116]. მათ შორის, მემცენარეობის პროდუქციამ – 1009,7 ლარი, მეცხოველეობის – 1620,4 მლნ ლარი. იმპორტის მოცულობა პირველი ორი ხსენებული სტრიქონის მიხედვით იყო 910 მლნ ლარი (იმპორტის მთელი მოცულობის 7,8%), ექსპორტის მოცულობა კი – 374,9 მლნ ლარი, ანუ იმპორტი ამ პოზიციების მიხედვით 2,4-ჯერ აღემატება ექსპორტს. კვების მრეწველობაში (სასმელებისა და თამბაქოს პროდუქტების წარმოების ჩათვლით) გამოშვებამ შეადგინა 2161,6 მლნ ლარი (მთელი მრეწველობის გამოშვების 33,6%, შედარებისათვის, 1990 წელს კვების მრეწველობის წილი იყო 38,9%[117]. მესამე და მეოთხე სტრიქონების მიხედვით იმპორტმა შეადგინა 1059,6 მლნ ლარი, ე. ი. დარგის ადგილობრივი გამოშვების 49% (მთელი იმპორტის 9,1%), ექსპორტი კი 364,2 მლნ ლარი (მთელი ექსპორტის 10,1%). ე. ი. შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საკვები პროდუქტების იმპორტს მნიშვნელოვანი წილი უკავია მთელი იმპორტის მოცულობაში (16,9%), ამ დარგებში გამოშვებული პროდუქციის ექსპორტით მიღებული შემოსავლები კი ვერ ახდენს საკვები პროდუქციის იმპორტის კომპენსაციას: საკვები პროდუქტების იმპორტი 2,6-ჯერ აღემატება ექსპორტს. კვების პროდუქტების უზრუნველმყოფელ დარგებში წარმოების ძლიერი დაცემა, რა თქმა უნდა, მოხდა 90-იანი წლების

[113] ექსპორტის და იმპორტის მოცულობის დარგების ადგილობრივი გამოშვებასთან შედარების მიზნით სტატისტიკური მონაცემები პროდუქტების აგრეგირებული ჯგუფების მიხედვით საგარეო ვაჭრობის კრებული-დან გადაყვანილია აშშ-ის დოლარებიდან ლარებში 2011 წელს არსებული კურსის (1.65) შესაბამისად.

[114] საქართველოს საგარეო ვაჭრობა. 2012 (სტატისტიკური პუბლიკაცია), თბილისი, 2013, გვ. 21.

[115] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2013, გვ. 250-255.

[116] იქვე, გვ. 153.

[117] აბესაძე რ., არევაძე ნ. საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე. – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი IV. თბილისი: 2011, გვ. 236-237.

დასაწყისში. მაგრამ, სოფლის მეურნეობაში მდგომარეობა თანდათანობით გარკვეულ წილად გამ-გამოსწორდა და 2005 წლისათვის მიღწეული იყო ადგილობრივი წარმოების შედარებით მაღალი დონე, მაგრამ, 2005 წლის საგადასახადო რეფორმის განხორციელების შემდეგ, აგრარული და კვების მრეწველობის წარმოების კოორდინაციაში დაშვებული იქნა რიგი შეცდომა, კერძოდ, საგადასახადო რეგულირებასა და ფასწარმოქმნის კოორდინაციაში, ასევე, ხდებოდა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაუაზრებელი მიყიდვა, სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაში კი – ევროკავშირის შესაბამისი ორგანიზაციების მოთხოვნების იგნორირება. ყველაფერს ამას შედეგად მოჰყვა კვების პროდუქტების ადგილობრივი წარმოების მკვეთრი დაცემა. კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვების შედარებით მაღალი ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან გამოშვებაში კი შეიძლება აიხსნას იმით, რომ, ჯერ ერთი, საერთოდ, ამჟამად მთელი მრეწველობის გამოშვება არც ისე დიდია (მაგალითად, 1990 წელთან შედარებით), მეორე, ბევრი საკვები პროდუქტი იწარმოება იმპორტული ნედლეულისაგან, რომელიც ხშირად დაბალი ხარისხითა და სამომხმარებლო თვისებებით ხასიათდება. ე. ი. ხდება ადგილობრივი წარმოების ნედლეულის იმპორტულით ჩანაცვლება, რაც ძალიან ავიწროებს ნედლეულის ადგილობრივი მწარმოებლების შესაძლებლობებს.

ეკონომიკის პოსტსაბჭოური ვარდნის დროს, 90-ინი წლების დასაწყისში, ძალიან შეიკვეცა წარმოება მსუბუქ მრეწველობაში. 1990 წელს მისი გამოშვების ხვედრითი წილი მთელ მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში 23,6% იყო[118], მაგრამ შემდეგ, ძალიან სწრაფად, თითქმის ნულოვან დონემდე დაეცა. ფეხსაცმლის და ტანსაცმლის წარმოების შეკვეცის მიზეზები გასაგებია. როგორც ვიცით, ამ დარგების პროდუქცია კონკურენტუუნარო იყო და ამიტომ მოსახლეობა უპირატესად იმპორტულ პროდუქციას ყიდულობდა. მაგრამ, ამავე დროს, მუშაობა მსუბუქი მრეწველობის იმ საწარმოებშიც შეწყდა, რომლებიც უშვებდნენ კონკურენტუნარიან პროდუქციას (საქართველოში, მაგალითად, შეიკვეცა აბრეშუმის წარმოების მთელი ტექნოლოგიური ციკლი). ვნახოთ, რა მდგომარეობაა მსუბუქ მრეწველობაში ამჟამად. სტატისტიკურ წელიწდეულში მრეწველობაში პროდუქციის გამოშვების ამსახველ ცხრილში[119] მსუბუქი მრეწველობა წარდგენილია სამი სტრიქონით: 1) ტექსტილის წარმოება; 2) ტანსაცმლის და ა. შ. წარმოება; 3) ტყავის, ტყავის ნაწარმის და ფეხსაცმლის წარმოება. 2011 წელს ამ სტრიქონების მიხედვით ჯამურმა გამოშვებამ (ე. ი. გამოშვებამ მსუბუქ მრეწველობაში) შეადგინა 92,9 მლნ ლარი, რაც მრეწველობის მთლიანი გამოშვების 1,4% შეადგენს. ე. ი. 23 წლის განმავლობაში არ მოხდა ამ დარგის ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე თუნდაც ნაწილობრივი რეანიმაცია. ამდენად, არაა გასაკვირი შესაბამისი პროდუქციის მნიშვნელოვანი იმპორტი 637,5 მლნ ლარის ოდენობით (შეჯამებულია შესაბამისი ცხრილის[120] რამდენიმე სტრიქონი), რა თქმა უნდა, ექსპორტის მცირე მოცულობის პირობებში 54,4 მლნ ლარი. ე. ი. ამ დარგში იმპორტი ექსპორტს 11,7-ჯერ აღემატება, პროდუქციის ადგილობრივ გამოშვებას კი – 6,9-ჯერ.

პოსტსაბჭოური ვარდნის დროს სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებად დაზარალდა ქიმიური მრეწველობა (1990 წელს ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში გამომუშავებული პროდუქციის ხვედრითმა წილმა მთელ მრეწველობაში 4,9% შეადგინა), რამდენადაც მოხერხდა საწარმოო გაერთიანება "აზოტის" და ზოგიერთი მცირე საწარმოს გადარჩენა. ბოლო პერიოდში მწყობრში ჩადგა მეტალოპლასტიკების ქარხანა[121]. 2011 წელს ამ დარგის გამოშვებამ 457,3 მლნ ლარი შეადგინა (მრეწველობის მთელი გამოშვების 7,1%), ექსპორტის მოცულობამ მიაღწია 377 მლნ ლარს, იმპორტი კი გაცილებით მეტი იყო – 841,6 მლნ ლარი. უფრო ნაკლებია რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება – 116,8 მლნ ლარი, ამასთან, პოლიმერული მასალების იმპორტის მოცულობა იყო 486,6 მლნ ლარი, ექსპორტი კი – 7,6 მლნ ლარი. ე. ი. ქიმიური და პოლიმერული პროდუქციის მიხედვითაც ექსპორტ-იმპორტის სალდოს მაჩვენებელი ასევე ძალიან არასახარბიელია, ამასთან იმპორტი ამ დარგების მიხედვით ასევე მნიშვნელოვნად აღემატება საკუთარ (ადგილობრივ) წარმოებას.

შედარებით დიდი ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან გამოშვებაში მეტალურგიულ წარმოებაზე მოდის. ლითონის მზა ნაწარმის წარმოებასთან ერთად ამ დარგის გამოშვებამ 2011 წელს შეადგინა 996,3 მლნ ლარი (მრეწველობის მთელი გამოშვების 15,5%). ამასთან არაძვირფასი ლითონების და მათი ნაწარმის იმპორტმა შეადგინა 942,5 მლნ ლარი, ექსპორტმა კი – 877,2 მლნ ლარი. მაშასადამე, ამ დარგში, სხვა დარგებთან შედარებით, მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ ეს დარგიც მოითხოვს გაფართოებას და მოდერნიზაციას. კერძოდ, თანამედროვე პირობებში რკინის და სხვა მეტალების ბევრი პროდუქციის ჩანაცვლება ხდება კომპოზიტური მასალებით (მათ შორის,

---

[118] იქვე.

[119] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2013, გვ. 140-141.

[120] იქვე, გვ. 250-255.

[121] გაუგებარია, სადაა სტატისტიკურ ანგარიშგებაში აღრიცხული მისი პროდუქცია: ქიმიურ, პლასტმასისა თუ მეტალურგიულ წარმოებაში.

მეტალოპლასტიკური კონსტრუქციებით), ამიტომ, საჭიროა ამ მიმართულებით ახალი შესაბამისი სიმძლავრეების შექმნა.

საქართველოში პოსტსაბჭოურ გარდაქმნამდე კარგად იყო განვითარებული სამშენებლო მასალების მრეწველობა. 1990 წელს ამ დარგში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთელი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში 5,3%-ია[122]. ამჟამად სტატისტიკურ მონაცემებში ეს დარგი არ არის ცალკე გამოყოფილი. "დანარჩენი არალითონური ნაკეთობების წარმოებაში"[123], სამშენებლო მასალების გარდა, ჩათვლილია ზოგიერთი სხვა პოზიციაც, მაგალითად, კერამიკული ჭურჭელი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ამ დარგის ადგილობრივი გამოშვების და იმპორტ-ექსპორტის შეფასება. 2011 წელს "დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოების" გამოშვებამ შეადგინა 606,6 მლნ ლარი (მრეწველობის მთლიანი გამოშვების 9,4%). ამასთან, იმპორტმა პოზიციის "ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის და ა. შ. ნაწარმი, კერამიკული ნაწარმი, მინა და მისი ნაწარმი" მიხედვით შეადგინა 187,3 მლნ ლარი, ექსპორტმა კი – 12,6 მლნ ლარი. ე. ი. ამ პოზიციის (სამშენებლო მასალების წარმოება) მიხედვით მრეწველობაში შედარებით ხელსაყრელი მდგომარეობაა, დარგი დაახლოებით 75%-ით უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნებს სამშენებლო მასალებზე, და, გონივრული სამრეწველო პოლიტიკის ჩატარების შემთხვევაში, აქ სწრაფად შეიძლება დადებითი შედეგის მიღება ექსპორტ-იმპორტის სალდოში.

ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა დარგებში, რომლებიც დაკავშირებულია ხე-ტყის დამუშავებასა და გადამუშავებასთან. დარგების მიხედვით მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის ცხრილში[124] ასეთი პროდუქციის გამოშვება მოცემულია სამ პოზიციაში: 2011 წელს "ხე-ტყის დამუშავებაში და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოებაში (ავეჯის გარდა)" გამოშვებამ შეადგინა 88,5 მლნ ლარი (2010 წელს – 26,6 მლნ ლარი); "ქაღალდის მასის, ქაღალდის, მუყაოსა და მათი ნაკეთობების წარმოებაში" – 45,0 მლნ ლარი (2010 წელს – 27,6 მლნ ლარი); "ავეჯისა და სხვა ჯგუფებში დანარჩენი პროდუქციის წარმოებაში" (სამწუხაროდ მონაცემები ავეჯის შესახებ ცალკე არაა მოცემული) – 84,6 მლნ ლარი (2010 წელს – 54,8 მლნ ლარი). სამივე პოზიციაში 2011 წელს გამოშვებაში დაფიქსირდა დიდი ნახტომი. დაახლოებით ასეთივე პოზიციების მიხედვით შევაჯამეთ მონაცემები ექსპორტის[125] და იმპორტის[126] შესახებ 2012 წლისათვის (პროდუქციის ღირებულების ლარებში გადაყვანით): "ხე-ტყე დამუშავებული, ფილები, ფანერა, მერქანი, ხის სამშენებლო მასალები, კორპის ნაწარმი და სხვ." – 38,6 მლნ ლარი ექსპორტი და 172,2 მლნ ლარი იმპორტი; "ქაღალდი, ცელულოზა, ნაწარმი ქაღალდისაგან (ნაბეჭდი პროდუქციის გარდა) და სხვა" – 17,6 მლნ ლარის ექსპორტი და 153,8 მლნ ლარის იმპორტი; "ავეჯი" – 19,1 ექსპორტი და 179,8 მლნ ლარი იმპორტი. როგორც ჩანს ამ დარგებშიც ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი წარმოების მონაცემები მოცემულია 2011 წლისათვის, ექსპორტ-იმპორტის მონაცემები კი 2012 წლისათვის, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ იმპორტის მოცულობა ამ პოზიციებით რამდენჯერმე აღემატება ადგილობრივ წარმოებას და, შესაბამისად, ექსპორტის მოცულობას და ამ პოზიციების ხარჯზეც მნიშვნელოვნად იზრდება ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდო.

საინტერესო მდგომარეობაა სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტ-იმპორტში. ადგილობრივი წარმოების მცირე დონის პირობებში (პოზიცია "სხვა სატრანსპორტო საშუალებები" – 157,7 მლნ ლარი), სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტმა 2011 წელს შეადგინა 901,8 მლნ ლარი, იმპორტმა კი 2228,7 მლნ ლარი (მთელი იმპორტის 19,1%). საქმე ისაა, რომ ექპორტის და იმპორტის მაჩვენებლებში ჩათვლილია რეექსპორტირებული მსუბუქი მანქანების საფასური, რომელმაც 2011 წელს შეადგინა 444,8 მლნ აშშ დოლარი, ანუ 733,9 მლნ ლარი. ამიტომ, მთლიანი ექსპორტის და იმპორტის უფრო ობიექტურ შეფასებას მივიღებთ (როგორც ამ დარგში, ასევე მთლიანათ ეკონომიკაში) იმ შემთხვევაში, თუ გამოვაკლებთ შესაბამისი იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებლებიდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის თანხას.

ეს რაც ეხება სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა უმეტესი ნაწილი, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება მაღალ ტექნოლოგიებს. როგორი მდგომარეობაა სხვა მაღალი ტექნოლოგიების (სამომხმარებლო ნაკეთობების ან საწარმოო მოწყობილობების) წარმოებაში საქართველოში? ცხრილში "მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით"[127] მაღალი ტექნოლოგიების გამოშვება (სატრანსპორტო საშუალებების გარდა)

---

[122] აბესაძე რ., არევაძე ნ. საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე. – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი IV. თბილისი, 2011, გვ. 236-237.

[123] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2013, გვ. 140-141.

[124] იქვე.

[125] საქართველოს საგარეო ვაჭრობა. 2012 (სტატისტიკური პუბლიკაცია), თბილისი, 2013, გვ. 37, 38, 39, 58.

[126] იქვე, 85, 86, 87, 88, 121.

[127] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2013, გვ. 140-141.

ასახულია შემდეგ პოზიციებში: "მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება", "საოფისე მოწყობი-მოწყობილობებისა და გამოთვლითი ტექნიკის წარმოება" (0 ლარი), "ელექტრონული მანქანებისა და ელექტრომოწყობილობების წარმოება", "აპარატების წარმოება რადიოს, ტელევიზიასა და კავშირგაბმულობისათვის", "სამედიცინო ტექნიკის ნაწარმის, საზომი საშუალებების, ოპტიკური ხელსაწყოებისა და აპარატურის, საათების წარმოება". ამ პოზიციებში მოყვანილი ადგილობრივი გამოშვების ჯამური მოცულობა უდრის 94,7 მლნ ლარს, რაც მრეწველობის მთელი გამოშვების მხოლოდ 1,47%-ია. იმპორტისა და ექსპორტის მონაცემები ამ მიმართულებით შესაბამის ცხრილებში[128] მოცემულია პოზიციებში: "მანქანები, მოწყობილობები, მექანიზმები; ელექტრონული მოწყობილობა და ა. შ." და "სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტები და აპარატურა". ამ პოზიციების ჯამური იმპორტი შეადგენს 1297,2 მლნ ლარს (მთელი იმპორტის 11,1%), ექსპორტი კი – მხოლოდ 87,8 მლნ ლარს (მთელი ექსპორტის 2,24%). ამ მაღალტექნოლოგიური დარგების მიხედვით საქართველოს ეკონომიკაში ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაა, რამდენადაც თვითკმარობის ხარისხი ყველაზე დაბალია: ყოველ წელს საჭირო ხდება ახალი ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური და სხვა ნაკეთობების და მოწყობილობის იმპორტირება, ამასთან, შეუძლებელია იმპორტის კომპენსირება ამ კლასის დარგების (მაღალტექნოლოგიური) პროდუქციის გამოშვებით და ექსპორტით. 1990 წელს საქართველოში წარმოებული მაღალტექნოლოგიური ნაკეთობები ნაწილობრივ იმ დროისათვისაც მოძველებული იყო (მაგრამ იმ დროისათვის კონკურენტუნარიანი საქონელიც იწარმოებოდა – სატვირთო ავტომანქანები, თვითმფრინავები, ფრთიანი კატარღები, ჩარხები, ტელევიზორები და სხვა). მაგრამ თანამედროვე პერიოდისათვის იმდროინდელი მაღალტექნოლოგიური წარმოების ძირითადი ნაწილი უმოწყალოდ დაძველებულია (მაგალითად, მაგნიტოფონები, ჩარხები, ტელევიზორები, გამოთვლითი ტექნიკა და ა. შ.). მრავალი ნაკეთობა ამჟამად კეთდება სხვა ტექნოლოგიურ ბაზაზე. გაჩნდა ბევრი პროდუქტი, მოწყობილობა, დაფუძნებული საერთოდ ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე. ამასთან მსოფლიოში ქვეყნებს შორის მწვავე კონკურენციაა ქვეყანაში შესაბამისი საწარმოების განლაგებისათვის. ამ თვალსაზრისით საქართველოს ბოლო პერიოდამდე არ ჰქონია მოწინავე მაღალტექნოლოგიური ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოსაზიდად შედარებით მიმზიდველი შეთავაზებები.

4. პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების საერთო მიმართულებები საქართველოში

როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორების მოზიდვისათვის უპირატეს პირობებში, როგორც ცნობილია, იმყოფებიან: **1) ქვეყნები, რომლებშიც საკვებ და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქციაზე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი, ელექტროენერგია) ფასები შიდა ბაზარზე უფრო მცირეა, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში, რადგან ამ შემთხვევაში კომპანიები ეკონომიას აკეთებენ შრომის ანაზღაურების ხარჯზე და, მაშასადამე, პროდუქციის რეალიზაციისას სხვადასხვა ქვეყანაში ღებულობენ უფრო მეტ მოგებას (იმისათვის, რომ ქვეყანაში ხსენებულ პროდუქციაზე ფასები ნაკლები იყოს, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში, საჭიროა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეებში ქვეყანა თვითუზრუნველყოფადი იყოს და, ასევე, თანდათანობით იზრდება ენერგორესურსებით თვითუზრუნველყოფის შედარებით მაღალი დონის მნიშვნელობა); 2) ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ შედარებით იაფი ელექტრო-ენერგიის წარმოების პოტენციალი სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდებიან კომპანიებისათვის;** 3) მრავალმოსახლეობიანი ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ ტევადი ბაზრები, ახლადაშენებული საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის შესაძენად (ეს პირობა აქტუალურია, უპირველეს ყოვლისა, ტრანსეროვნული კომპანიების საწარმოების მოსაზიდად); 4) ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ ადგილობრივი მეწარმეების დახმარება-წახალისების ქმედითი მექანიზმი, განსაკუთრებით, მიმართული ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა და შესაბამისი პროდუქციის სტაბილური წარმოების ხელშეწყობაზე (ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს გამოშვებული პროდუქციის სტაბილური ექსპორტის შესაძლებლობის არსებობას); 5) ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ შეღავათიანი საგადასახადო და ხელსაყრელი საორგანიზაციო პირობები (რომელიც ან კანონმდებლობით არის დადგენილი, ან განისაზღვრება ქვეყნის მთავრობასა და კორპორაციის ხელმძღვანელთა შორის დადებული ხელშეკრულებით). **მაგრამ ეს უკანასკნელი პირობა ამჟამად ნაკლებად ქმედითია, რადგან კორპორაციები თავისი საწარმოების განთავსებისას უპირატესობას იმ ქვეყნებს აძლევენ, სადაც დაცულია პირველი სამი პირობა.**

ჩამოთვლილი პირობების მხედველობაში მიღებით საქართველოში პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინება:

1. ენერგიის გამომმუშავებელ და ენერგომატარებლების მწარმოებელ დარგებში ქვეყანას მნიშვნელოვანი შესაძლებლობები (რომელთა რეალიზაციას შეუძლია დადებითი შედეგის მოტანა ენერგობალანსის იმპორტ-ექსპორტის სალდოს გამოსწორებაში) გააჩნია მხოლოდ ელექტრო-ენერგეტიკაში. ამასთან, საკუთარი ქვანახშირის გამოყენებით ელექტროენერგიის გამომუშავება ამჟამად არ არის აქტუალური (პროცესის შედარებითი სიძვირის გამო). ე. ი. ენერგეტიკის სფეროში საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ (ძირითადად) ჰიდროელექტროენერგეტიკის განვითარება

[128] იქვე, გვ. 250-255.

(თუ არ ჩავთვლით მზის ბატარეების გამოყენების შესაძლებლობას, რომელთა წვლილი ელექტრო-ელექტროენერგიის გამომუშავებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში შეიძლება იყოს 10-15%). ამასთან, ჰიდროელექტროენერგეტიკის განვითარებას 1990 წლიდან 2012 წლამდე არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ამჟამად, ახალი მთავრობის მიერ მუშავდება ჰიდროენერგეტიკის განვითარების სტრატეგია და ფაქტობრივად დაიწყო მისი თანდათანობითი რეალიზაცია. ამასთან, მხოლოდ მცირე და საშუალო ჰესების აშენებით, რომელთა ჯამური სიმძლავრე (იმ პროექტების, რომელთა რეალიზაცია შეიძლება ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით) სავარაუდოდ არ აღემატება 500-700 მეგავატს (შედარებისათვის: თურქეთში ამჟამად შენდება 4800 მგვ სიმძლავრის რამდენიმე ატომური ელექტროსადგური). ამიტომ, **ჩვენი აზრით, გარდაუვალია ხუდონ-ჰესის აშენება. მაგრამ ამისათვის საჭიროა დაფინანსების გონივრული წყაროების მონახვა. მ. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების პროექტის რეალიზაცია ქვეყანას დააყენებდა ინვესტორი კომპანიის მიმართ ძალიან არასახარბიელო გრძელვადიანი ვალდებულებების წინაშე. მაგალითად, დ. მირცხულავას (ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი) სტატიაში აღნიშნულია, რომ ხუდონჰესის მთელიწლიური გამომუშავებიდან (1 მლრდ 500 მლნ კვტ/სთ) მხოლოდ 20% მიეყიდებოდა მთავრობას ზამთრის ოთხი თვის განმავლობაში შეღავათიანი ტარიფით 5,84 ცენტად (დღეისათვის 9,6 თეთრი) (შედარებისათვის: 2014 წელს პიკურ დროს რუსეთიდან იმპორტირებული ენერგიის ფასი იყო 9,5 აშშ ცენტი/კვტ/სთ-ზე). ამასთან, ავტორი სავსებით სამართლიანად წერს, რომ "საწარმოების კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია შედარებით იაფი ელექტროენერგია"[129]. ზემოთ ჩვენც აღვნიშნეთ, რომ ქვეყანაში საწარმოო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების ერთ-ერთი მნიშველოვანი ფაქტორია იაფი ელექტროენერგია. ამიტომ აუცილებელია ხელშეკრულებაში ისეთი პირობის დადება, რომ მთელი ელექტროენერგია ქვეყნის ბაზრებზე გაიყიდოს შედარებით დაბალი ტარიფით, რადგანაც ჰესებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება, როგორც წესი, დაბალია (მაგალითად, ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულებაა 1,18 თეთრი კვტ/სთ[130]). ამასთანავე, იმისათვის, რომ მოგება მომავალში ქვეყანაში დარჩეს, მიზანშეწონილია, ხელშეკრულება ძირითად ინვესტორთან დაიდოს "თანაინვესტირების ფონდში" მიღებული წესებით (იხილეთ ამ ნაშრომის ბოლო პარაგრაფი) და თანაინვესტორმა რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყოს პროექტიდან გასვლა (როგორც ეს გათვალისწინებულია იმავე თანაინვესტირების ფონდის წესებით) ძირითადი პაკეტის სახელმწიფოსათვის მიყიდვით (რადგანაც ხუდონჰესი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია).** საქართველოს ტერიტორიაზე სხვა დიდი სიმძლავრის ჰეს-ის აშენების ეკონომიკურად რეალური ვარიანტი არ არსებობს (მდინარე რიონზე ჰიპოთეზურად შეიძლება საქართველოში ყველაზე დიდი ჰეს-ის აშენება, მაგრამ ამისათვის საჭირო წყალსაცავის გაჩენა გამოიწვევს უკიდურესად მაღალ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზარალს, კერძოდ, წყალსაცავით დასაფარავ ტერიტორიაზე მოხვდება რიგი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი და საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები). ასევე შეიძლება 2-3 საშუალო ზომის ჰესის (100-250 მგვ) მშენებლობისათვის ადგილის მონახვა.

2. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში მაღალტექნოლოგიური დარგების პროდუქციის გამოშვებას ძალიან უმნიშვნელო ხვედრითი წილი უკავია (პოსტსაბჭოურ ვარდნამდე მისი წილი შედარებით მნიშვნელოვანი იყო). რა თქმა უნდა, არ შეიძლება მცირე ქვეყანაში მრავალი მიმართულებით მაღალტექნოლოგიური დარგების შექმნა. მაგრამ საჭიროა რამდენიმე მიმართულების არჩევა და ამ მიმართულებების მიხედვით შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. ამასთან უნდა მოიძებნოს როგორც წინათ არსებული რამდენიმე დარგის საწარმოების ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაციის (მაგალითად, ჩარხმშენებლობაში), ასევე რომელიმე ახალი დარგის საწარმოების ჩამოყალიბების გზები. თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების მოზიდვა ადგილობრივი მეწარმეების მიერ და სრული საწარმოო ციკლის ათვისება ძალიან რთული პროცესია და შეუძლებელია სათანადო სახელმწიფო კოორდინაციის გარეშე. განსაკუთრებით ძნელია საკუთარი მსხვილი წარმოების ჩამოყალიბება ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური პროდუქციის გამოშვებისათვის, რადგან, ასეთი საწარმოებით უკვე შედარებით გაჯერებულ ქვეყნებს შორისაც მიმდინარეობს კონკურენცია ახალი საწარმოო ტექნოლოგიების შემდგომი მოზიდვისათვის. მაგრამ ეს არ გამორიცხავს მცირე ქვეყნების მიერ თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მსხვილი კომპანიის შექმნის შესაძლებლობას (მაგალითად, ფინეთის "ნოკია" შედის მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების რიცხვში). ამჟამად ძალიან გართულდა ასევე მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვა ქვეყნებში წამყვანი კორპორაციების საწარმოების განლაგების სახით, რადგან ამისათვის მსურველ ქვეყნებს შორისაც ასევე მწვავე კონკურენციაა.

აქედან ჩანს, რომ მაღალტექნოლოგიური დარგების წარმოების გაფართოება მცირე ქვეყანაში თანამედროვე პირობებში ძალიან რთული ამოცანაა და ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დახვეწილი

---

[129] მირცხულავა დ.: ხუდონჰესი ბიუჯეტში 20 წელიწადში 410 მილიონი დოლარის მოგების გადასახადს შეიტანს. 30 სექტემბერი/2013. ინტერნეტში.

[130] იქვე.

დარგობრივ-სტრუქტურული (უფრო ადრინდელი ტერმინოლოგიით "სამრეწველო") პოლიტიკის არსებობა, რომლის განხორციელების გამტარებლები უნდა იყვნენ როგორც შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციები, ასევე ბიზნესწრეების წარმომადგენლები ან მსხვილი კერძო სტრუქტურები (ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თანაინვესტირების ფონდის ფუნქციონირება, რომელმაც დაიწყო მოქმედება საქართველოში – ეს, შეიძლება ითქვას, სამრეწველო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მხარეა, რომელშიც მონაწილეობენ კერძო სტრუქტურები).

როგორც ითქვა, საჭიროა ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე ზოგიერთი ტრადიციული მაღალ-ტექნოლოგიური საწარმოს რეანიმაცია. ახალი დარგებიდან კი ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების ზოგიერთი მიმართულების განვითარებისათვის არჩევასთან ერთად (მაგალითად, ტელემონიტორების წარმოების რეანიმაცია – წინათ საქართველოში იყო ტელევიზორების მწარმოებელი ქარხანა, მაგრამ რამდენადაც ამჟამად ტელევიზორები და მონიტორები მზადდება ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე, შესაბამისი წარმოება შეიძლება ახალ დარგად იქნეს მიჩნეული), ჩვენი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს სხვა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქციის წარმოებას, რომელიც მსოფლიოში ძალიან ფართო მასშტაბებით ჯერ არ იწარმოება (ე. ი. საწარმოო სფერო მსოფლიოში ჯერ არაა გაჯერებული შესაბამისი საწარმოებით), მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში შეიმჩნევა ასეთი პროდუქციის უფრო ფართო მოხმარების ტენდენცია. მაგალითად, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში დაიწყო მზის ელემენტების მეშვეობით გამომუშავებული ელექტროენერგიის ხვედრითი წილის შესამჩნევი ზრდა მთელი ელექტროენერგიის გამომუშავებაში (განსაკუთრებით გამოირჩევა გფრ-ი). ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ქვეყანაში თანამედროვე ტიპის მზის ელემენტების წარმოების ჩამოყალიბება, მეწარმეთა შესაბამისი სტიმულირებისა და მზის ელემენტების გამოყენებაზე მიმართული პარალელური სახალმწიფო პროპაგანდის (როგორც ეს ხდება, მაგალითად, აშშ-ში და გფრ-ში) საფუძველზე.

საქართველოში ასეთი ტიპის ახალი წარმოებების დაარსება მით უმეტეს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს შესამჩნევი გადაორიენტირება საწვავის წიაღისეული სახეების დაფინანსებიდან უპირატესად **ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკის (ენერგიის განახლებადი წყაროების)** დაფინანსებაზე. ასე, მაგალითად, ძმები როკფელერების ფონდის წარმომადგენლებმა კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს სამიტის გახსნამდე (2014 წ. 23 სექტემბერი) ერთი დღით ადრე განაცხადეს თავის განზრახვაზე წიაღისეული საწვავების სახეებში აქტივების (800 მლნ დოლარი) გაყიდვისა და ეკოლოგიურად სუფთა ენერგიაში ამ თანხების განთავსების შესახებ. ძმები როკფელერების ფონდთან ერთად იმ ინვესტორების ალიანსში, რომლებმაც გადაწყვიტეს საწვავის წიაღისეულ სახეებში დაბანდებებიდან (50 მლრდ დოლარის ოდენობით) თავის დახსნა, შევიდა 180 ორგანიზაცია და 650 კერძო პირი. ეს ნაბიჯი მათ გადადგეს საერთაშორისო ინიციატივის Global Divest-Invest ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკურ პლატფორმას, რომლის დახმარებით შეიძლება საკუთარი აქტივების გამოყვანა "ჭუჭყიან" სასარგებლო წიაღისეულთან დაკავშირებული დარგებიდან და შემდგომ მათი განთავსება ეკოლოგიურად სუფთა პროექტებში[131].

ჩვენი აზრით, ეკოლოგიურად სუფთა წყაროების გამოყენების საფუძველზე ელექტროენერგიის წარმოების ტექნოლოგიებთან ერთად ახალი ტექნოლოგიური წყობის იმ საკვანძო ტექნოლოგიების რიცხვში, რომლებზეც საჭიროა ორიენტაცია ქვეყანაში ახალი დარგების პროექტირების დროს, შევლენ: "სუპერტევადი" ელექტროაკუმულატორების წარმოების და კომპოზიტური მასალების წარმოების ტექნოლოგიები.

სამი წლის წინ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ თანამედროვე ეკონომიკის საკვანძო ტექნოლოგიების რიცხვში შეიძლება შევიდნენ ელექტროძალური ძრავები იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება მცირეგაბარიტიანი და საკმაოდ ტევადი აკუმულატორების შექმნა[132]. დღეისათვის ასეთი აკუმულატორები უკვე შექმნილია: "ლითიუმ-იონური აკუმულატორი დაცული გუმბათოვანი ნანოსტრუქტურული გადაფარვით ლითიუმური ანოდით, რომელიც ჩვეულებრივ აკუმულატორზე ოთხჯერ უფრო ტევადია (ამასთან, უფრო მსუბუქია) ხელს შეუწყობს ტექნოლოგიებს ახალ ერაში შესვლას. შიგაწვის ძრავას კი გაუჩნდა რეალური კონკურენტი"[133]. რა თქმა უნდა, აშშ-ის სტენდფორდის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ შექმნილი აკუმულატორის წარმოება საქართველოში ჯერჯერობით შეუძლებელია, შესაბამისი ტექნოლოგიის ხელმიუწვდომობისა და წარმოების

[131] Рокфеллеры решили избавиться от нефтяных активов (23 сентября 2014 г.) www.interfax.ru/business/398170 ; Рокфеллеры решили инвестировать в ВИЭ. Greenevolution.ru/2014/24/rokfellery-reshily-investirovat-v-vie/

[132] Бурдули В. Взаимосвязь развития технологических укладов и трансформации экономических систем. _ პაატა გუგუშვილის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, 2011, გვ. 24.

[133] Теперь аккумуляторы работают в четыре раза дольше (24 июля 2014 г.). www.gazeta.ru/science/2014/07/28_a_6148149.shtml ; Ученые сделали революционный прорыв в зарядке аккумуляторов. http://appress.com/science/7043-uchenye-sdelali-revolutsionnyi-proryv-v-zaryadke-akkumulatorov

შედარებითი სიძვირის გამო (მის საფუძველზე აგებული ავტომობილის ძრავა 25 ათასი დოლარი ღირს), მაგრამ ამ სიახლის ანალიზისათვის მიზანშეწონილია სამამულო მეცნიერების ჯგუფის ჩართვა (მაგალითად, სახელმწიფო საგრანტო სისტემის საფუძველზე), იმისათვის, რომ ახლო მომავალში ქვეყნის მეწარმეები მზად იყვნენ შესაბამისი წარმოების შესაქმნელად (ასეთი აკუმულატორების გამოყენება შეიძლება არა მარტო ელექტრომობილების წარმოებაში, არამედ ნოუთბუქებში, სმარტფონებში და ა. შ.).

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც მხედველობაში უნდა მივიღოთ დარგობრივი რესტრუქტურიზაციის განხორციელების დროს, – ესაა კომპოზიტური მასალებისა (მათ შორის მეტალოპლასტიკების) და მათგან ნაკეთობების წარმოება. ასე მაგალითად, ა. აგანბეგიანი აღნიშნავს: "მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ მსოფლიო დგას სინთეტიკური რევოლუციის მიჯნაზე. თანდათანობით სინთეტიკა – პოლიმერები, კომპოზიტური მასალები, თავისი პარამეტრებისა და ღირებულების მიხედვით უახლოვდება კარგი სახეობების ფოლადს და ფერად ლითონებს. კომპოზიტური მასალებიდან დაიწყო ზერთული მოწყობილობების წარმოება. უკვე დღეისათვის ბოინგ-787-ის კორპუსი გაკეთებულია კომპოზიტური მასალებისაგან, რომლებმაც შეცვალეს ტიტან-ალუმინის შემადგენლები. ჩნდებიან თვითმფრინავები, რომლებიც 20%-ით მსუბუქია მათ ადრინდელ ანალოგებზე, იტევენ 300 ადამიანს, აქვთ 16 ათასი კმ ფრენის მანძილი (სიშორე) და ხმარობენ 20%-ით ნაკლებ საწვავს. ევროპული აერობუსი-750 ასევე კომპოზიტიდანაა გაკეთებული. ესაა სინთეტიკური რევოლუციის პირველი მერცხლები. კონცერნი BMV ასევე ნოვატორების რიცხვშია"[134].

აქედან ჩანს, რომ კომპოზიტური მასალებისა და მათგან რთული ნაკეთობების შექმნა ამჟამად ეკონომიკური განვითარების აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს და საქართველოს ბიზნესისათვის უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ რამდენიმე არჩეული პროფილით ის ჩაერთოს შესაბამისი წარმოებების ჩამოყალიბების ინვესტირებაში (უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი საერთაშორისო ფირმათაშორის და შიდაფირმულ ტექნოლოგიურ ჯაჭვებში მონაწილეობით).

საქართველოში კომპოზიტური მასალების წარმოებაში გამოყენების მაგალითები უკვე სახეზეა. რამდენიმე წელიწადია ქვეყანაში ფუნქციონირებს მეტალოპლასტიკებიდან სხვადასხვა ნაკეთობების მწარმოებელი ქარხანა. ამჟამად საპარტნიორო ფონდი ებრაულ კომპანია "Elbit Cyclon"-თან ერთად ახორციელებს პროექტს, "რომელიც მიზნად ისახავს მაღალტექნოლოგიური საწარმოს შექმნას. საწარმოში კომპოზიტური მასალებიდან დამზადდება სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილები. . . . ეს იქნება სრულიად ახალი საავიაციო წარმოება, რომელიც შეძლებს წამყვანი საავიაციო კომპანიების თვითმფრინავების ნაწილების წარმოებას. საუბარია ბოინგის, ბომბარდირის, სუხოის და ა. შ. თითქმის ყველა ტიპის თვითმფრინავის ნაწილების წარმოებაზე"[135].

ამჟამად საერთაშორისო ვაჭრობაში სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს შრომის საერთაშორისო დანაწილება: ცალკეული დეტალების, კვანძებისა და აგრეგატების გამოშვება ან ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულება ხშირად კონცენტრირდება სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულ ვიწროსპეციალიზებულ საწარმოებში, რომლებიც ქმნიან კოოპერირებული წარმოებების თანამიმდევრულ ჯაჭვებს. დღეისათვის, UNCTAD-ის შეფასებით, მსოფლიო ვაჭრობის 40% მოდის ისეთ შიდაფირმულ ვაჭრობაზე, რომლის ფუნქციას წარმოადგენს საწარმოო პროცესის საერთაშორისო დანაწილების უზრუნველყოფა[136]. მაგრამ შრომის შიდადარგობრივ განაწილებაში, რომელიც დამახასიათებელია დამმუშავებელი დარგებისათვის, ჩვენი ქვეყანა თითქმის არ არის ჩართული (რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მაგალითად, მეტალოპლასტიკების ქარხანა). შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მონაწილეობის გაფართოება შეუძლებელია რესურსმომხმარებელი და დამამუშავებელი დარგების განვითარების, ე. ი. ახალი ინდუსტრიალიზაციის გარეშე. მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება სამამულო ექსპორტისა და იმპორტჩანაცვლების დივერსიფიცირება მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მზა ნაკეთობების და სხვა პროდუქციის (მათ შორის მაღალტექნოლოგიური დარგების) გამოშვების შედეგად[137].

მაშასადამე, საჭიროა ახალი მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებისა და გამოყენების მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და სერიოზული ანალიზის შედეგად

---

[134] Абел Аганбегян. Что делать, чтобы догнать и перегнать. 21 февраля 2014 г. (Ната Марк, ТПП-Информ). www.tpp-inform.ru/analityc-journal/4336.html

[135] თბილისში მაღალტექნოლოგიური თანამედროვე საავიაციო ქარხანა აშენდება. http://www.doctrina.ge/Geo/2013-03-04-11-33-56/2013-03-03-19-59-49/item/668-2015-04-02-10-15-10

[136] Оболенский В. Внешнеэкономические связи России: некоторые уроки глобального кризиса. – Вопросы экономики, 2012, №5, с. 96.

[137] იხ., მაგ.: Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тбилиси, 2014, с. 92, 93; Бурдули В., Абесадзе Р. Отраслевые, технологические и организационно-институциональные структуры экономики Грузии в условиях глобализации. – Кавказ & Глобализация. Том 7, вып. 1-2. CA&CC Press. ШВЕЦИЯ, 2013, с. 68-69. რუსეთის მაგალითზე იხ.: Оболенский В. Внешнеэкономические связи России: некоторые уроки глобального кризиса. – Вопросы экономики, 2012, №5, с. 96-97.

ქვეყანაში ამა თუ იმ ახალი პროდუქტის წარმოების მიზანშეწონილობის შესახებ (მეწარმეების მიერ) გადაწყვეტილების მიღება.

3. დარგების შემდეგი ჯგუფია სოფლის მეურნეობა და ძირითადად მისი პროდუქციის გადამუშავებაზე დაფუძნებული დარგები, ე. ი. კვების მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა. როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების პროდუქციით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მდგომარეობა ასევე არასახარბიელოა. ამ დარგების არასაკმარისი განვითარების მიზეზები და სიტუაციის გამოსწორების გზები ჩვენ მიერ რამდენიმე ახალ ნაშრომშია მოცემული[138].

4. დარგების ჯგუფი, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ პროდუქციას შუალედური მოხმარების ან გადამუშავებისათვის: მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, პოლიმერული მასალების (პლასტმასის, რეზინის წარმოება და ნაწარმი) მრეწველობა, მეტალოპლასტიკების წარმოება, სამშენებლო მასალების მრეწველობა. ამ პროდუქციაზე მოთხოვნა მსოფლიოში სტაბილურად იზრდება (განსაკუთრებით, სასუქებზე, მეტალოპლასტიკებზე, სამშენებლო მასალებზე) და, მიუხედავად იმისა, აქვს ქვეყანას საწყისი ნედლეული წარმოებისათვის ამ დარგებში თუ არა, ამ დარგების განვითარების მიმართულებების გონივრული არჩევის შემთხვევაში, შედარებით მოკლე პერსპექტივაში ჯამური ექსპორტ-იმპორტის სალდო ამ დარგების პროდუქციის მიხედვით შეიძლება დადებითი გახდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად, ყოველი ხსენებული დარგის მიხედვით ასეთი სალდო ამა თუ იმ ზომით უარყოფითია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეს ისეთ აქტუალურ მიმართულებს, როგორიცაა მეტალოპლასტიკური მასალებისა და მათგან საგნების წარმოება, ასევე – ხარისხიანი სამშენებლო მასალების წარმოება, მათ შორის საექსპორტო მიზნებისათვის.

5. ხე-ტყის მასალებს და მისი გადამუშავებით მიღებულ ნაკეთობებს (ხის სამშენებლო მასალები, ავეჯი, ქაღალდი და ა. შ.) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკის დარგებისა და მოსახლეობის მოთხოვნების უზრუნველყოფაში, ამასთან, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ლომის წილი ამ მომარაგებაში უკავია იმპორტირებულ საქონელს. ამიტომ, შესაბამისი ადგილობრივი წარმოების განვითარება წარმოადგენს იმპორტჩანაცვლებისა და დადებითი სტრუქტურული ეფექტის მიღწევის სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას. სამწუხაროდ, 1990-2012 წწ. საქართველოში ხშირი იყო ხე-ტყის უკონტროლო ჩეხვა და დაუმუშავებული მორების საზღვარგარეთ გატანა. ამის შედეგად ამ დარგების ნედლეულით მომარაგებისათვის არჩევითი ჩეხვის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ აქ საჭიროა დაუმუშავებელი ხე-ტყის იმპორტის ბაზაზე ადგილობრივი წარმოების, უპირველეს ყოვლისა ავეჯის წარმოების, სწრაფი განვითარება. ასევე, პერსპექტივაში გადამმუშავებელი წარმოების საკუთარი ხე-ტყით უფრო ფართოდ უზრუნველსაყოფად, საჭიროა არსებული ტყის მასივების შესაბამისი მოვლა, ასევე, როგორც ეს ამჟამად ხდება ბევრ ქვეყანაში, სწრაფად მზარდი ხეების პლანტაციების შექმნა (მაგალითად, ევკალიპტის, კოლხეთის ჭაობების პერიმეტრზე).

6. დადებითი სტრუქტურული ეფექტის მიღწევაში გარკვეული წვლილი შეიძლება შეიტანოს მომსახურების ზოგიერთმა დარგმა, უპირველეს ყოვლისა, ტურიზმმა, რომლის წინმსწრებმა განვითარებამ შეიძლება მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები მოახდინოს ექსპორტ-იმპორტის სალდოზე (უცხოური ტურისტების ქვეყანაში მომსახურება ფაქტობრივად წარმოადგენს მომსახურების ექსპორტს). ამ დარგის განვითარების პერსპექტივები ცალკე კვლევების საგანია და სხვადასხვა ასპექტის მიხედვით სიღრმისეულად გაშუქებულია ქ. ქველაძის ნაშრომებში [139]. უცხოელების მომსახურებაში გარკვეული შესაძლებლობები ასევე აქვს განათლების სისტემას.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკონომიკის "სტრუქტურული გადაორიენტირება" [140] უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი მიმართულებებით [141]: 1) ჰესების აშენების ხარჯზე

---

[138] Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. – Тбилиси, изд.-во Института экономики П. Гугушвили ТГУ, 2014, с. 195-234; Бурдули В. Генезис и пути преодоления аграрного кризиса в Грузии. – Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava: Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage. Tbilisi: 2013; Бурдули В., Датунашвили Л. Согласованное развитие смежных отраслей сельского хозяйства и промышленности – важное условие преодоления аграрного кризиса. – В сб.: Bioeconomy and Substainable Development of Agriculture. Proceedings of II International Scientific-Practical Conference. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2013; ბურდული ვ., ქავთარაძე თ. სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგების განვითარება. – წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება (მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები). რედაქტორი რ. აბესაძე. – თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

[139] ქველაძე ქ. ინოვაციების პოლიტიკა ტურიზმის განვითარებაში. – პროფ. გ. პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: "პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე". თბილისი, 2013.

[140] Беридзе Т. Национальная экономическая модель: альтернатива глобализации? – Кавказ & Глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. Том 1 (3). CA&CC Press. ШВЕЦИЯ, 2007, с. 69.

[141] ამ ნაშრომში ვიხილავთ მხოლოდ დარგობრივ სტრუქტურას, მაგრამ სტრუქტურულ შინაარსში შედის სხვა მახასიათებლებიც, მაგალითად, საწარმოების სტრუქტურა ზომის მიხედვით.

ელექტროენერგეტიკის სიმძლავრეების გაზრდა. ასევე, გფრ-ის და აშშ-ის მაგალითზე ორიენტაციით მზის ელემენტებზე დამყარებული სიმძლავრეებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მთლიან ელექტროენერგეტიკულ ბალანსში ხვედრითი წილის თანდათანობით ამაღლებით, დაახლოებით 10%-მდე მიყვანა; 2) მაღალტექნოლოგიური დარგების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილის მიზერული დონიდან საგრძნობ დონემდე გადიდებით. ამისათვის საჭიროა განვითარების რამდენიმე მიმართულების არჩევა როგორც რომელიმე ტრადიციული დარგის რეანიმაციის საფუძველზე (მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე მრავალპროფილიანი ჩარხმშენებელი ქარხნის აშენება; თანამედროვე ტელევიზორების და კომპიუტერული მონიტორების ქარხნის აშენება და სხვა), ასევე, ახალი დარგების ჩამოყალიბების გზით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არჩეული წარმოების ნიშა მსოფლიოში გადამეტებულად არ იყოს გაჯერებული (მაგალითად, თანამედროვე მზის ელემენტების წარმოების დაფუძნება ან საკუთარი მეწარმეების ძალებით შესაბამისი საწარმო ტექნოლოგიების იმპორტირების საფუძველზე, ან უცხოური კორპორაციის საწარმოების მოწვევით); ამასთან, როგორ ითქვა, მრავალი საბოლოო პროდუქტის მიხედვით შეუძლებელია წარმოების მთელი ტექნოლოგიური ციკლის ცალკეულ ქვეყანაში განთავსება, ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ტექნოლოგიურ ჯაჭვებში ეროვნული ფირმების ჩართვის ხელშეწყობა; 3) სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მომიჯნავე დარგების კოორდინირებული გაფართოება მათი იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული ფუნქციების ზრდით; 4) სოფლის მეურნეობასთან მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგების წარმოების რეანიმაცია, რაც უპირველესი რიგის ამოცანაა; 5) ქიმიური, პოლიმერული, მეტალურგიული, კომპოზიტური (მათ შორის მეტალოპლასტიკების) და სამშენებლო მასალების წარმოების ისეთი დაჩქარებული განვითარება, რომ გარკვეულ პერიოდში ამ დარგებისათვის დამახასიათებელი პროდუქციის მიხედვით ჯამური ექსპორტ-იმპორტის სალდო დადებითი გახდეს; 6) ხე-ტყის გადამმუშავებელი ქარხნების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ავეჯისა და ხის სამშენებლო ნაკეთობების წარმოებაში; 7) მომსახურების დარგების განვითარება მათი ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტაციით.

5. სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკა (სტრატეგიები და ინსტრუმენტები)

რიგი მეცნიერის მიერ (ჯ. სტიგლიცი, ჯ. უილიამსონი და სხვები) შემუშავებული ნეოლიბერალური პოლიტიკის თანამედროვე პრინციპები, რომელთაგანაც ზოგიერთი უკვე აისახა გლობალური ეკონომიკური ორგანიზაციების მიზანდასახულობებსა და წესებში, სახელმწიფოებს განსაზღვრულ ჩარჩოებში ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზაციის შესაძლებლობას აძლევენ მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში წარმოქმნილ ვითარებებზე რეაგირების საფუძველზე. ამჟამად, სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების სტრატეგიის დასახვისა და მარეგულირებელი ინსტრუმენტების სრულყოფისას გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე ის რეგულაციები და პრეფერენციები, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით. კერძოდ, ზემოთ აღნიშნულ ფარგლებში შეიძლება კოორდინაციის (სტრატეგიის და ინსტრუმენტების) იმ ზომების სრულყოფა-დახვეწა, რომლებიც მიმართულია ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების მხარდაჭერაზე.

ის ფაქტი, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში, ეკონომიკის ვარდნის შემდეგ, როდესაც გაქრა (ან ძალიან შეიკვეცა) ეკონომიკის ბევრი დარგი, დიდი ხანი, ფაქტობრივად 2013 წლამდე, არ ხდებოდა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თანამიმდევრული გაუმჯობესება, ბევრადაა განპირობებული ეკონომიკური განვითარების მექანიზმის კოორდინაციის ნაკლოვანებებით და არასრულყოფილებით. ყველაზე დიდი ნაკლია ის, რომ საქართველოში აქამდე არაა ჩამოყალიბებული სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების პოლიტიკა და, შესაბამისად, მისი კოორდინაციის თანამედროვე პირობებისადმი ადეკვატური ეკონომიკური მექანიზმები.

ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩვენ დავასაბუთეთ ქვეყანაში სამრეწველო პოლიტიკისა და მისი რეგულირების მექანიზმის არსებობის აუცილებლობა (განვითარებულ ქვეყნებში ასეთი მექანიზმები მოიცავს საფინანსო-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო ინსტრუმენტებს, დარგების მიხედვით განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებას ან, ზოგიერთ ქვეყანაში, ინდიკატურ დაგეგმვას, ასევე, ინსტიტუციურ ღონისძიებებს, მათ შორის სპეციალური კანონების შემოღებას და სხვა)[142]. მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ თანამედროვე პირობებში სამრეწველო პოლიტიკა მისი

[142] ბურდული ვ. სამრეწველო პოლიტიკა: რეალიზაციის ინსტიტუციური უზრუნველყოფა და ეკონომიკური მექანიზმი. – საქართველოს მა "მაცნე". ეკონომიკის სერია, 1996, №1-2; ბურდული ვ. გარეეკონომიკური ურთიერთობები და სამრეწველო პოლიტიკა. – ჟ. პოლიტიკა, 1999, №3; ბურდული ვ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე). თავი VI. ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკა და მისი რეალიზაციის რეგულირება. – თბილისი, მეცნიერება, 2004 (დისერტაცია – 1998 წ.); Бурдули В., Церетели Г. Проблемы динамизации экономического развития Грузии. – Известия АН Грузии. Серия экономики. 1999, №3-4; Бурдули В., Церетели Г. Финансовая система Грузии и проблемы развития и структурной организации производства. – Известия АН Грузии. Серия экономики. 1998, №4.

თავდაპირველ გაგებით არ არსებობს[143]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ ძალიან შეიზღუდა სამრეწველო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა სახელმწიფოს მიერ პროდუქციის ექსპორტის საფინანსო მხარდაჭერა (სუბსიდირება), ან სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მოცულობის ზრდაზე მიმართული სუბსიდიების სახით სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერა (მაგრამ დაშვებულ ფარგლებში ბევრი სახელმწიფო ამჟამადაც მიმართავს ასეთ ღონისძიებებს). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზანდასახულობებით ასევე გარკვეული ზომით შეიზღუდა ადგილობრივი წარმოების სატარიფო დაცვის მექანიზმები. მიუხედავად ამისა, ყველა განვითარებულ და წარმატებულად განვითარებად ქვეყნებს ამა თუ იმ სახით გააჩნიათ სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების პოლიტიკა და მისი რეალიზაციის მექანიზმები, სადაც კოორდინაციისათვის გამოიყენება საფინანსო-საკრედიტო ბერკეტები, საგადასახადო სტიმულირებისა და ფასწარმოქმნის კოორდინაციის ინსტრუმენტები, თანამედროვე პირობებისადმი შესატყვისი ინსტიტუციური მოწესრიგების ღონისძიებები. ბოლო პერიოდში ინტერესი სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების მიმართ გაიზარდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც[144]. ამასთან, თანამედროვე პირობებში ასეთი პოლიტიკა და მისი რეალიზაციის მექანიზმები უფრო დახვეწილ ფორმებს იღებს. **ასეთი სტრატეგიის და მისი განხორციელების მექანიზმის არსებობა კიდევ უფრო საჭიროა პოსტსაბჭოური ქვეყნის პირობებში, რადგან ამის გარეშე, ქვეყნებს შორის მიზანშეწონილი რეალური ინვესტიციების მოზიდვისათვის გამწვავებული კონკურენციის პირობებში ეფექტიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება** (უფრო სწორად, ეფექტიანი სტრუქტურის აღდგენა ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით) **შეუძლებელია.**

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური განვითარების სტრუქტურულ საკითხებს. კერძოდ აღნიშნულია, რომ "**საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და ეტაპობრივად დაუახლოვოს საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება**" (კარი V, თავი 1, მუხლი 277.2). "ამ მიზნით მხარეები თანხმდებიან, წარმართონ რეგულარული ეკონომიკური დიალოგი, რომელიც მიზნად ისახავს: (a) მაკროეკონომიკურ ტენდენციებსა და პოლიტიკაზე, ისევე, **სტრუქტურულ რეფორმებზე, მათ შორის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებზე ინფორმაციის გაცვლას...**" (მუხლი 288). შემდეგი VI კარის მეხუთე თავი კი მთლიანად ეძღვნება "სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკას და სამთომოპოვებით საქმიანობას". კერძოდ აღნიშნულია, რომ "მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური ოპერატორისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე, როგორც ეს შესაბამისადაა განსაზღვრული ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობებში. გაძლიერებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ევროკავშირის და საქართველოს იმ ბიზნესის ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩოების დახვეწას, რომლებიც ევროკავშირისა და საქართველოს ფარგლებში ფუნქციონირებენ, და დაეყრდნობა ევროკავშირის სამრეწველო და მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკას, ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით" (მუხლი 313). საქართველოში ეფექტიანი სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის ჩასატარებლად ასევე მეტად მნიშვნელოვანია VI კარის მეხუთე თავის შემდეგი პრინციპების გათვალისწინება: "ამ მიზნით მხარეები ითანამშრომლობენ შემდეგი მიმართულებებით: ... (c) რეგულაციებისა და მარეგულირებელი პრაქტიკის გამარტივება და რაციონალიზაცია, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მარეგულირებელი მექანიზმის შესახებ კარგი პრაქტიკის გაცვლის საკითხებზე, ევროკავშირის პრინციპების ჩათვლით; (d) ინოვაციური პოლიტიკის განვითარების წახალისება კვლევებისა და განვითარების კომერციალიზაციის შესახებ (მათ შორის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დამწყები ბიზნესის, კლასტერების განვითარებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დამხმარე მექანიზმები) ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით; (e) ევროკავშირისა და საქართველოს ბიზნესებს შორის, ასევე ამ ბიზნესებსა და ევროკავშირისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის კონტაქტების გაზრდის ხელშეწყობა; ... (g) ევროკავშირისა და საქართველოს შესაბამის სამრეწველო სექტორებში მოდერნიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ხელშეწყობა" (მუხლი 314). სტრუქტურულ-დარგობრივი მიდგომა ასევე ვლინდება ამავე კარის მე-12-ე თავის "თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში" დებულებებში: "მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას სამოქალაქო სამეცნიერო კვლევებს, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) **ყველა სფეროში** ორმხრივ სარგებელზე დაყრდნობით და ინტელექტუალური

[143] იხ. მაგ., Ананьин О., Хаиткулов Р., Шестаков Д. Вашингтонский консенсус: пейзаж после битв. – МЭиМО, 2010, №12. გვ. 17, 19.

[144] იხ. მაგ., Калинин А. Построение сбалансированной промышленной политики: вопросы структурирования целей, задач, инструментов. – Вопросы экономики, 2012, №4.

საკუთრების უფლებების სათანადო დონეების უზრუნველყოფის შესაბამისად" (მუხლი 342). "კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) კუთხით თანაშრომლობა მოიცავს: (a) **დარგობრივ დიალოგს** და სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლას; (ბ) თითოეული მხარის შესაბამის პროგრამაზე დაშვების სათანადო ხელშეწყობას; (c) კვლევითი შესაძლებლობებისა და ქართული კვლევითი დაწესებულებების მონაწილეობის გაზრდას ევრო-კავშირის კვლევითჩარჩო პროგრამებში; (d) ერთობლივი კვლევითი პროექტების ხელშეწყობას კვლევების, ტექნოლოგიური განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) **ყველა სფეროში**..." (მუხლი 343).

ამ ციტატებიდან ჩანს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში შეიძლება გამოიყოს კერძო სტრატეგიები, ისეთები, რომელიც საჭიროა ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მაგალითად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგების განვითარების სტრატეგია. მსხვილი საწარმოების ქვეყანაში განლაგება კი მოითხოვს განსაკუთრებულ კოორდინაციას, რომელიც სრულად არ ჯდება თანამედროვე "სამრეწველო პოლიტიკის" რეგულაციების ჩარჩოებში.

საქართველოში კი 2004 წლის შემდეგ, საგადასახადო სისტემის შედარებით მიზანშეწონილი რეფორმირების პარარელურად, დაიწყო ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის ზოგიერთი უკვე არსებული ინსტრუმენტის გაუქმება ან არასწორი გამოყენება. მაგალითად, გაუქმდა ინდიკატური დაგეგმვის მექანიზმი (თუმცა მიზანშეწონილი სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების ხელშემწყობი სრულფასოვანი მექანიზმის გარეშე ინდიკატური დაგეგმვით დასახული მაჩვენებლების მიღწევა მაინც შეუძლებელი იქნებოდა). დაშვებულ იქნა ბევრი დარღვევა სხვა, განსაკუთრებით, ინსტიტუციურ მექანიზმებში. მაგალითად, ხდებოდა საკუთრების უფლების ხელყოფა, 2004 წლიდან დაწყებული მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია მიმდინარეობდა კანონმდებლობის სრული დარღვევით, ანტიმონოპოლიური რეგულირების დარღვევის შემთხვევებმა განაპირობა კონკურენციის შეზღუდვის მრავალი ფაქტი, არასწორი საკანონდებლო ინიციატივების გატარების საფუძველზე დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის მოხდა ურთიერთობების ისეთი დამახინჯება, რომელიც აშკარა არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს შრომითი ურთიერთობების რეგულირების შესახებ [145]. არ ხორციელდებოდა ღონისძიებები სასურსათო უსაფრთხოების დასაცავად და სოფლის მეურნეობის განვითარების სათანადო კოორდინაცია საგადასახადო და საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების მეშვეობით [146]. **გახშირდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე მიყიდვა, რაც ძალიან ნეგატიურად მოქმედებს ადგილობრივი ფერმერების სამეურნეო შესაძლებლობებზე და, მუდმივი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში (როგორც ვიცით, ასეთ მიყიდვაზე ერთწლიანი მორატორიუმი დაწესდა), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე შემდგომმა მიყიდვამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი მოსახლეების აყრის ახალი ტალღა (აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოდევნის შემდეგ).** ყველაფერმა ზემოაღნიშნულმა ნეგატიურად იმოქმედა დარგობრივ სტრუქტურაზე, რის გამოც ქვეყნის ეკონომიკა უფრო ნაკლებად თვითკმარი გახდა (თვითკმარობის დონე ყველა პროდუქტის ჯგუფის მიხედვით კიდევ უფრო შემცირდა).

საქართველოში ახალი თანამედროვე საწარმოები მთელი პოსტკომუნისტური პერიოდის განმავლობაში იშვიათად ჩნდებოდა, ამიტომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპები ძალიან დაბალი იყო. მართალია, მ. სააკაშვილის მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში მშპ-ის ზრდის ტემპები შედარებით მაღალი იყო (2005-2010 წწ. 8-10% წელიწადში), მაგრამ ეს ტემპები მიღწეული იყო ძირითადად არა თანამედროვე ინდუსტრიული მშენებლობისა და ბიზნესის შესაბამისი განვითარების ხარჯზე, არამედ ისეთი სხვადასხვა მოსაჩვენებელი ობიექტების მიზანშეუწონელი მშენებლობის ხარჯზე, რომლებსაც არ შეეძლოთ წვლილის შეტანა ხანგრძლივი, მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში და საკვანძო მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაუმჯობესებაში (სამართლიანობისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული წარმატებები მიღწეული იყო გზების მშენებლობაში და საყოფაცხოვრებო და საწარმოო ინფრასტრუქტურის ზოგიერთი სხვა ობიექტის მშენებლობაში). მშპ-ის ზრდის საფინანსო უზრუნველყოფა ბევრად ხდებოდა უცხოური კრედიტებისა და შენობების და ნაგებობების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე, შემდეგ კი, ასევე, უცხოელ მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო

[145] პაპავა ვ. შეცდომები, საფრთხეები და მათი დაძლევის რეკომენდაციები. – წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება (მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები). რედაქტორი რ. აბესაძე. – თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013. გვ. 34-40.

[146] Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. – Тбилиси, изд.-во Института экономики П. Гугушвили ТГУ, 2014, с. 206-215; Бурдули В. Генезис и пути преодоления аграрного кризиса в Грузии. – Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava: Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage. Tbilisi: 2013; Бурдули В., Датунашвили Л. Согласованное развитие смежных отраслей сельского хозяйства и промышленности – важное условие преодоления аграрного кризиса. – В сб.: Bioeconomy and Substainable Development of Agriculture. Proceedings of II International Scientific-Practical Conference. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2013.

დანიშნულების მიწების მასობრივი მიყიდვის ხარჯზე (უკანასკნელი სოფლის მეურნეობაში დაც-დაცემისა და სურსათის იმპორტის მკვეთრი ზრდის აუცილებლობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა). იმის შემდეგ კი, როდესაც გაყიდვისათვის დანიშნული ობიექტების რეზერვი შემცირდა და აუცილებელი გახდა მნიშვნელოვანი სახსრების მიმართვა საგარეო ვალდებულებების მომსახურებისათვის, ბუნებრივია, დაიწყო მშპ-ის ზრდის ტემპების დაქვეითება. ახალმა მთავრობამ კი მემკვიდრეობით მიიღო ისეთივე, მეტწილად რუტინულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ჩამორჩენილი წარმოება, არაეფექტიანი არათვითკმარი (იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს) ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა. მაგრამ ახალი და უახლესი ტექნოლოგიების ათვისების, ახალი დარგების შექმნისა და მიზანშეწონილი ტრადიციული დარგების მოდერნიზაციისა და განახლების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ეფექტიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება, თანამედროვე თვითკმარი ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება.

მაშასადამე, მ. სააკაშვილის მთავრობის მიერ დიდი ხნის განმავლობაში შეზღუდული საფინანსო რესურსები მეტწილად ისეთი პროექტების დაფინანსებაზე იხარჯებოდა, რომელთა განხორციელების შედეგად ეკონომიკის სტრუქტურა უფრო ცალმხრივი ხდებოდა და უფრო ნაკლებად თვითკმარი. ძალიან ნათლად ასახა ეს ვითარება ბიძინა ივანიშვილმა: "ეკონომიკა იმართებოდა არასწორი მეთოდებით და ის ზრდა რაც ციფრებით მიღწეული იყო, მიღწეული იყო ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურების აქტიურობით და ერთი კაცის გადაწყვეტილებების შედეგად. ნაწილი სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტურად ხორციელდებოდა. მხედველბაში მაქვს ის პატარა ინფრასტრუქტურული მშენებლობები, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებდა, ხოლო სხვა დანარჩენი მშენებლობები, კერძოდ, ქუთაისის პარლამენტის, ბათუმის თაუერის, ანაკლიის აკვა-პარკი და სხვა მსგავსი შენობები უხარისხო იყო"[147].

ამ ყველაფერმა, ასევე საგარეო ვალების მომსახურებაზე მიმართული სახსრების ზრდამ, ძალიან გაურთულა ახალ მთავრობას პირველ პერიოდში ეკონომიკაში სიტუაციის გამოსწორების საქმე. მაგრამ მთავრობის მოქმედების უკვე პირველ პერიოდში გადადგუმული იყო ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად. 2013 წ. გაზაფხულზე წამოწყებულ იქნა სერიოზული ღონისძიებები სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულე-ბისათვის საფინანსო და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით, რამაც შესაძლებელი გახადა გარკვეული ოდენობით სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობის მატება. "ეკონომიკის სამინისტრო და ეკონომიკური გუნდი მუშაობენ ეკონომიკის განვითარების შუავადიან გეგმაზე"[148], გადაიდგა ნაბიჯები ინვესტიციური და სხვა ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერაზე ორიენტირებული ფონდების ფორმირებისათვის (თანაინვესტირების ფონდი, გამწვანების ფონდი) და ა. შ. 2013 და 2014 წლებში წარმოების ზრდის ტემპები მისაღები იყო, მაგრამ საქართველოს წინაშე მდგარი საჭირბოროტო ამოცანების გადაწყვეტის ხელშეწყობისათვის – არასაკმარისად მაღალი.

მაშასადამე, იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთა დასმა გამომდინარეობს გლობა-ლიზაციის გამოწვევებიდან და დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის მდგრად და დაჩქარებულ ნეოინდუსტრიულ განვითარებასთან, ისეთების, როგორიცაა ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯო-ბესება, ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი დარგების წინმსწრები განვითარება, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება, სამრეწველო კვანძების და ინოვაციური ცენტრების განვითარება, მეურნეობების და წარმოებების ინსტიტუციური და ტექნოლოგიური სტრუქტურის სრულყოფა, წარმოების დივერსიფიკაცია, წარმოების მომსახურების რეგიონული სისტემების განვითარება და სხვა, საჭიროა ქვეყანაში და მის რეგიონებში **ეკონო-მიკური და სოციალური განვითარების კოორდინაციისა და დაფინანსების ორგანიზაციული და ინსტიტუციური სისტემების შემდგომი გაუმჯობესება.**

ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას და განვი-თარების დაფინანსებისა და ხელშეწყობის მექანიზმების (სახელმწიფო და საბაზრო) სრულყოფას (და ზოგიერთის ჩამოყალიბებას).

საქართველოს სტრუქტურულ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის (კონცეფციის) შემუშავებისას საჭიროა ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლის თანამედროვე რეალიებისა და ასევე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, საერთა-შორისო სავალუტო ფონდისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებისა და პრეფერენციების გათვალისწინება. ამასთან, სტრატეგიაში საჭირო ისეთი ფუძემდებელი მიზანდასახულობების მხედველობაში მიღება და ასახვა, როგორიცაა:

– ქვეყნის ეკონომიკის თანდათანობითი და მუდმივი რესტრუქტურიზაციის აუცილებლობის გათვალისწინება თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნებისა და ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლებაზე ორიენტაციის აუცილებლობის მხედველობაში მიღებით;

– თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის დამყარების ხელშეწყობის ამოცანების განსაზღვრა. ეს ნიშნავს რომ მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების დონეზე (რეგიონის პირობების და

[147] ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ ვარდნასთან დაკავშირებით სპეკულაცია მიდის. 04-09-2013. https://ici.ge/news/bizina-ivanisvili-miicnevs--rom-ekonomikur-vardnastan-dakavsirebit-spekulacia-midis.html

[148] იქვე.

თავისებურებების გათვალისწინებით) განვითარებისათვის პრიორიტეტული დარგების არჩევას (ქალაქებში და სოფლად), ცენტრალური და რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, ექსპორტორიენტირებული, იმპორტ-ჩანაცვლებითი და სხვა აქტუალური საწარმოების განვითარებისა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე ობიექტების და საწარმოების შექმნის გზებისა და მხარდაჭერის ხერხების განსაზღვრას;

– ეროვნული პრიორიტეტების გამოყოფის დროს საჭიროა ორიენტირება ეკონომიკური განვითარების ხარისხის გაუმჯობესებაზე და დასაქმებულების რიცხოვნების ზრდაზე (ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებით);

– ეკონომიკის საწარმოო და სოციალური შემადგენლების დაბალანსირებული (მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დაცვის პირობებში) განვითარების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინება; ამასთან, სოციალური განვითარების ქვეშ იგულისხმება როგორც დასაქმების დამაკმაყოფილებელი დონე და ხარისხი (უმუშევრობის დონის თანდათანობითი მნიშვნელოვანი შემცირების ფონზე), ასევე სოციალური მოხმარება, ესე იგი მხედველობაშია დაბალანსირებული განვითარება (მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დაცვის პირობებში) "აღწარმოების პროცესში "მოსახლეობა (დასაქმებულები) – შრომის ბაზარი – წარმოება – პროდუქციისა და სოციალური მომსახურების ბაზარი – სოციალური მოხმარება"[149];

– დაბალანსებული სტრუქტურული ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებლობის გათვალისწინება კოორდინაციის ყველა სტრუქტურული დონის მიხედვით (ქვეყანა მთლიანობაში, რეგიონები, მუნიციპალური წარმონაქმნები);

– სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის რეალიზაციის გზების დასახვა ეროვნული პრიორიტეტებისა და მცირე ქვეყნის პირობებში მისაღები წარმოების დონის დივერსიფიკაციის გათვალისწინებით;

– საბაზრო ეკონომიკისათვის თვისებრივი რეალური სექტორის ძირითადი წარმოებისათვის დამხმარე სამსახურების და ფირმების (სოფლად ფერმების) შექმნის და ფუნქციონირების წახალისების გზების განსაზღვრა;

– ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის საფინანსო უზრუნველყოფის გათვალისწინება (საფინანანსო-საბიუჯეტო, შესაბამისი ფონდების და გრანტების გათვალისწინებით, საფინანსო-საკრედიტო და საინვესტიციო-საფონდო სექტორებში);

– ეკონომიკის და მისი დარგების რესტრუქტურიზაციისა და საქმიანობის პრიორიტეტულ სახეებში ინვესტიციებისათვის საჭირო საშუალებების (კერძო და სახელმწიფო, ეროვნული და უცხოური) მობილიზაციის გზების დასახვა;

– მსხვილ, საშუალო, მცირე საწარმოებსა და, ასევე, მოსაზიდ უცხოურ კაპიტალსა და ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას შორის თანამედროვე პირობებისადმი შესატყვისი ეფექტიანი თანაფარდობის დადგენა.

– საინვესტიციო საქმიანობაში და საფონდო პროდუქციით (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი) საქონელგაცვლაში საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინაციის უზრუნველყოფა;

– წარმოების ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ინსტიტუციური სტრუქტურის სრულყოფის უზრუნველყოფა;

– მართვის ყველა დონეზე ინსტიტუციური წყობის სრულყოფის გზები; ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებების განაწილების სისტემის სრულყოფას გზები (კომპეტენციის რაციონალური გამიჯვნა მართვის დონეებს შორის დღეისათვის წარმოადგეს ქვეყნის სწრაფი და მდგრადი ნეოინდუსტრიული განვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წანამძღვარს).

საერთო სტრატეგიის საფუძველზე საჭიროა კერძო სტრატეგიების შემუშავება (როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში, რაც ჩანს ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან), მაგალითად, მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მომიჯნავე დარგების ურთიერთშეთანხმებული განვითარების, მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართებაში სამრეწველო პოლიტიკის, ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოზიდვისა და მათთან დაკავშირებულ ეროვნულ საწარმოთა კლასტერების შექმნის და ა. შ.).

ახლა მოკლედ განვიხილოთ დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიმართული კოორდინაციის მექანიზმებისა და მათი ინსტრუმენტების სრულყოფის გზები.

ნეოინდუსტრიული განვითარების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული **ფისკალური მექანიზმის** სრულყოფა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საგადასახადო განაკვეთების სისტემის გაუმჯობესებას, კერძოდ, საშემოსავლო და მოგების გადასახადების პროგრესულობის შემოღებას, როგორც ეს მიღებულია ევროკავშირის ქვეყნებში და საჭირო (ამჟამად საქართველოში) სახელმწიფო განვითარების საფინანსო ინსტიტუტებში საკმარისი ოდენობით სახსრების მობილიზაციისათვის, ასევე, დაჩქარებული განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში მოქმედი ბიზნესის სტიმულირებაზე ორიენტირებული საგადასახადო შეღავათების სისტემის შექმნას. ზოგიერთი

[149] Глазырин Н. Об инновационных производственно-хозяйственных комплексах. – Экономист, 2008, №1, с. 47.

ქვეყნის ბიუჯეტებში (მუდმივად ან დროებით) გამოიყოფა სპეციალური საფინანსო ხაზები კერძო სექტორის პრიორიტეტული საწარმოების მხარდასაჭერად, რომელთა სახსრების გამოყენება წარმოებს ან უშუალოდ, ან სპეციალური ორგანიზაციების (მაგალითად, განვითარების ბანკების, განვითარების ფონდების) მეშვეობით და დაცულია კანონმდებლობით (როგორც მაგალითი, შეიძლება დავასახელოთ 1983 წ. იაპონური კანონი "მრეწველობის ზოგიერთი დარგის სტრუქტურის სრულყოფის სპეციალური ზომების შესახებ"[150]), ყველა დონის ბიუჯეტებში იზრდება განვითარების ბიუჯეტების ნაწილის როლი. მიზანშეწონილია თანამედროვე ეტაპზე მსგავსი ღონისძიებები საქართველოშიც იქნეს შემოღებული.

ფისკალური მექანიზმი საქართველოში მოითხოვს სრულყოფას იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველოში არ არსებობს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა რეგიონულ (სამხარეო) დონეზე. ეს მაშინ, როდესაც გლობალიზაციის პირობებში რეგიონული მმართველობის საბიუჯეტო-საგადასახადო ფუნქციები განვითარებულ (განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ) ქვეყნებში იზრდება, განსაკუთრებით, ბიზნესის მხარდაჭერისა და რეგიონული მასშტაბის საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნის მიმართულებით. რუსეთში, მაგალითად, მნიშვნელოვნად გაიზარდა რეგიონული განვითარების ბიუჯეტების როლი და ფუნქციები კერძო სექტორის მხარდაჭერის მიმართულებით.

ამჟამად განვითარებად ქვეყნებს შორის ძალიან გამწვავდა კონკურენცია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი რეალური უცხოური კაპიტალის, უპირველეს ყოვლისა, ტრანს-ეროვნული კორპორაციების საწარმოების მოსაზიდად. საქმე ისაა, რომ "ტრანსეროვნული კორპორაციების ფილიალებთან ერთად შემოდის ახალი საწარმოო ტექნოლოგიები, ხელმისაწვდომი ხდება კაპიტალის რესურსები და, რაც მთავარია, იხსნება ცნობილი ბრენდებისა და გასაღების ქსელების გამოყენების შესაძლებლობა, რაც შესაძლებელს ხდის მსხვილი ქვეყნების ბაზრებზე გასვლას" [151]. ასევე შესაძლებელი ხდება ეროვნულ საწარმოთა კლასტერების შექმნა ტრნას-ეროვნული კორპორაციის საწარმოს მომსახურებისათვის (დეტალების და კვანძების წარმოება და მიწოდება და სხვა). ამის გათვალისწინებით და, ასევე, იმ მოსაზრების მხედველობაში მიღებით, რომ არც ერთ ქვეყანას, მით უმეტეს მცირე ქვეყანას, არ შეუძლია საკუთარი ძალებით და ტექნოლოგიებით სრულფასოვანი ინდუსტრიული (მრავალდარგობრივი) კომპლექსის შექმნა, საჭიროა ფისკალური და სხვა ინსტიტუციური პრეფერენციების შემოღება ქვეყანაში ტრანს-ეროვნული კორპორაციების საწარმოების ფუნქციონირებისათვის. ასეთი პრეფერენციების მინიჭება შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ცალმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე იმ კომპანიებთან, რომლებიც აპირებენ ქვეყანაში თავის საწარმოების განთავსებას (იმ შემთხვევაში, თუ მათი მოზიდვის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია), რაც მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში ("პირდაპირი ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის სფეროში სუვერენული სახელმწიფო იძულებელია მოელაპარაკოს კვაზისუვერენს – ტრანსეროვნულ კორპორაციას" [152]). *ბუნებრივია, ფისკალური მეთოდების საშუალებით ასევე საჭირო სამამულო მეწარმეების მიერ საზღვარგარეთ თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიების შესყიდვისა და ათვისების წახალისება.*

საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა უფრო მკვეთრად უნდა იქნეს მიმართული თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საწარმოების ჩამოყალიბებისა და არსებულის ეფექტიანი ფუნქციონირების სტიმულირებისაკენ (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების ჩარჩოებში), რათა ქვეყანაში დაჩქარდეს ნეოინდუსტრიული ტიპის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება. ამასთან, საწარმოს ჩამოყალიბების ან ეფექტიანი ფუნქციონირების პრიორიტეტულობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოდიოდეს მისი საექსპორტო და იმპორტჩანაცვლებითი შესაძლებლობები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ეფექტიანი (სათანადო ხელფასებით და გრძელვადიანი დასაქმების გარანტიით) დასაქმების შესაძლებლობები. საჭიროა ქვეყნის უკვე საკმაოდ განვითარებული კერძო საბანკო სისტემის უფრო მკვეთრი ორიენტირება პრიორიტეტული დარგების განვითარების გრძელვადიანი დაკრედიტების მოცულობის ზრდაზე. ამისათვის მიზანმიმართულად უნდა იქნეს გამოყენებული ცენტრალური ბანკის ინსტრუმენტები.

ქვეყანაში და მის რეგიონებში მიზანშეწონილია შეიქმნას განვითარების (ან ინვესტიციური) ფონდები (საჭიროების შემთხვევაში პრიორიტეტული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სუბსიდირებისათვის იმ წესების ჩარჩოებში, რომლებიც განსაზღვრულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიწერილობებით და გლობალური საკრედიტო ორგანიზაციების რეკომენდაციებით). ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტისა და კერძო ინვესტორების სახსრებით, საწესდებო ფონდის ფორმირების ბაზაზე, მიზანშეწონილია, შეიქმნას განვითარების (ან ინვესტიციური) ბანკი, კერძო სექტორის პრიორიტეტული წარმოებების შეღავათიანი დაკრედიტების მიზნით.

სახელმწიფოს დონეზე და, ასევე, მისი რეგიონებისა და ადგილობრივი წარმონაქმნების დონეზეც საჭიროა მეურნეობის ინსტიტუციური წყობის განვითარება. განვითარებული ქვეყნების

---

[150] Хруцкий В. Рыночные системы и варианты структурной перестройки промышленности. – Российский экономический журнал, 1992, №3, с. 100.

[151] Шишков Ю. Государство в условиях глобализации. – МэиМО, 2010, №1, с. 8.

[152] იქვე, გვ. 9.

გამოცდილების შესაბამისად უნდა გაიზარდოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ეკონომიკური მართვის მექანიზმების ნაირსახეობები, შესაბამისად, სახელმწიფოსა და კერძო საწარმოებს შორის კონტრაქტების ნაირსახეობები სახელმწიფო, რეგიონული ან მუნიციპალური ორგანოების მიერ შეკვეთილი სამუშაოების შესასრულებლად (კონცესია, დაინტერესებული მართვა, იჯარა). ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციურ ურთიერთობებს, რომლებიც ხორციელდება, ერთი მხრივ სახელმწიფო და რეგიონულ ორგანოებსა და, მეორე მხრივ, მეწარმეებს შორის დიალოგისა და ხელშეკრულების დადების საფუძველზე, სახელმწიფოს მხრიდან პრეფერენციების მინიჭებისა და, ამის სანაცვლოდ, ბიზნესის მხრიდან გარკვეული ვალდებულებების აღების დროს. სოფლებში, კერძოდ, საჭიროა მცირე მეურნეობების განვითარების სტიმულირება (სპეციალიზებული დამხმარე ორგანიზაციების, საწარმოების, ფირმების დაარსებისა და მცირე მეწარმეებისათვის სუბსიდიების გამოყოფით). განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ინსტიტუციური ურთიერთობების განვითარება სოფლად, მესაკუთრეების დარგობრივი ასოციაციების ფორმირების, სახელმწიფო, შერეული და კერძო სპეციალიზებული დამხმარე საწარმოების, ორგანიზაციების, ფირმებისა და ფერმების შექმნისა და სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლისათვის სუბსიდიების გამოყოფის საფუძველზე.

საინვესტიციო სახსრების უკმარისობის პირობებში ქვეყნის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის მეტად ხელსაყრელია თანაინვესტირების ფონდის ფუნქციონირება, რომელიც თანამედროვე "დასავლური პრაქტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა" საქართველოში (აქ და ამ აბზაცში ქვევით მოყვანილია ამ ფონდში მონაწილე ინვესტორთა მოსაზრებები ფონდის სარგებლიანობისა და ფუნქციონირების პრინციპების შესახებ, გაშუქებული რიგ სტატიაში [153] [9; 18]). ეს ფონდი ფაქტობრივად წარმოადგენს სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის რეალიზაციის ახალ თანამედროვე საბაზრო მექანიზმს. ფონდში მონაწილე გამოცდილ ინვესტორებს შეუძლიათ საინვესტიციო პროექტების სათანადო შეფასება და საიმედო პროექტების არჩევა, ასევე ფონდი იზიარებს რისკებს პროექტში მონაწილეობის ფარგლებში (25-75%). ამასთან, "დაარსების 5-7 წლის განმავლობაში ფონდი იწყებს პროექტებიდან გასვლას, კონკრეტულად მაშინ, როცა შესაძლებელი იქნება პროექტში არსებული წილის: I. რომელიმე პარტნიორზე გასხვისება; II. სტრატეგიულ თუ ფინანსურ ინვესტორზე გასხვისება ან III. ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზრებზე პირველადი საჯარო შეთავაზება". ასეთი ტიპის ინვესტირების უპირატესობა ისაა, რომ "განსხვავებით პროექტის საბანკო სესხით დაფინანსების შემთხვევისა, როცა ბანკი ითხოვს პროცენტისა და ძირის წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით დაფარვას, ფონდი ამ შემთხვევაში ბიზნესს სხვა მოქნილობას სთავაზობს, კომპანიაში დებს ფულს, იზიარებს რისკებს და ინვესტირებულ სახსრებზე არ ითხოვს საპროცენტო გადასახადს". ჩვენი აზრით, თანაინვესტირების ფონდის კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ პროექტში მონაწილე მსხვილ ინვესტორებს შეუძლიათ უზრუნველყონ მსოფლიო ბაზრების თავიანთ ნიშებში დაშვება (შეღწევა) მათი მონაწილეობით შექმნილი ახალი კომპანიების პროდუქციის რეალიზაციისათვის. ცხადია, ასეთი ფონდის მონაწილეობით ქვეყანაში უზრუნველყოფილი იქნება კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ბევრ ქვეყანაში აპრობირებულ სახალმწიფო და კერძო სტრუქტურების მონაწილეობით საინვესტიციო (განვითარების) ბანკის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

საქართველოში არსებობს "საპარტნიორო ფონდი", რომელიც საინვესტიციო მიზნებისათვის იყენებს რამდენიმე მსხვილი სახელმწიფო კორპორაციის სახსრებს. მაგრამ ამ ფონდის სახსრები აშკარად არასაკმარისია მიზანშეწონილი სტრუქტურული გარდაქმნის საჭირო მოცულობით სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერისათვის. ამჟამად, მიღებულია გადაწყვეტილება "საპარტნიორო ფონდის" რეორგანიზაციის ბაზაზე ახალი საფინანსო ინსტიტუტის შექმნის შესახებ, რომელიც ქვეყანაში მსხვილ ინვესტიციებს მოიზიდავს, შემოიყვანს მსხვილ საფინანსო ორგანიზაციებს და საფუძველს ჩაუდებს როგორც მეგაპროექტებს, ასევე რაც შეიძლება ღრმად შევა მიზანშეწონილ საშუალო ბიზნესში, რომელიც ქვეყნის განვითარების აუცილებელი პრიორიტეტია [154] . ასეთი საინვესტიციო ფონდის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტიურობის გამოცოცხლებისათვის. დიდი ხანია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ ჩნდება ახალი საწარმოები მსუბუქ მრეწველობაში, მაღალტექნოლოგიურ და სხვა აქტუალურ დარგებში, რის გამოც საქართველოს ეკონომიკის თვითკმარობის დონე ძალიან დაბალია *(ამასთანავე, მსხვილი ბიზნესის კაპიტალის დაგროვებებიდან უამრავი სახსრები გადის საზღვარგარეთ,*

[153] თანაინვესტირების ფონდი. ყველა კარგ პროექტს დავაფინანსებთ. 07-10-2013. ქვეყანაში 6 მლრდ დოლ. მოცულობის პირდაპირი ინვესტიციები განხორციელდება (ე. ტუხიაშვილი). www.kvirispalitra.ge/economic/18928-thanainvestirebis-fondi-yvela-karg-proeqts-davafinansebt.html; ქარჩავა თ. თანაინვესტირების ფონდში უკვე 6 მილიარდი დოლარია აკუმულირებული. 2013-09-30. www.for.ge/view.php?for_id=27126&cat=1

[154] **ახალი საფინანსო ინსტიტუტი, სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულზე დაიწყებს მუშაობას.** 05-10-2015. ელექტრონული რესურსი: http://www.interpressnews.ge/ge/politika/348322-akhali-safinanso-instituti-savaraudod-momavali-tslis-gazafkhulze-daitsyebs-mushaobas.html

უმეტესი ნაწილი – ოფშორულ ზონებში[155]*. რა თქმა უნდა, დოლარული დაგროვებების შექმნა, მათ შორის, განთავსება საზღვარგარეთ საჭიროა, იმისათვის რომ დაგროვებები დაზღვეული იყოს, კერძოდ, ეროვნული ვალუტის შესაძლო დევალვაციისაგან, ამასთანავე, მათი საქართველოში ტექნოლოგიების სახით დაუბრუნებლობა, იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების შესაქმნელად (ადგილობრივი მეწარმეების, ე.ი. ეროვნული კაპიტალის, მიერ), აღრმავებს ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარ პრობლემებს, კერძოდ პროვოცირებს ეროვნული ვალუტის დევალვაციას (დოლარული მასის ქვეყნიდან გადინების გამო) და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდას და ა.შ.).* ამიტომ, ასეთმა ფონდმა უნდა მოძებნოს ნიჭიერი, უნარიანი პირები და გაუწიოს მათ საჭირო საფინანსო, საკონსულტაციო და სხვა სახის დახმარება ეკონომიკის რეალურ სექტორში ასეთი საწარმოების შექმნისათვის. ამავე მიზნებისათვის საჭიროა განვითარების ბანკის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთი საწარმოების შექმნისა და პირველ წლებში ფუნქციონირების პროცესებს იაფი კრედიტების გამოყოფით.

მაშასადამე, ამ თავის ბოლო პარაგრაფის შინაარსიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. საჭიროა სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება. ინდიკატური დაგეგმვის აღდგენა თავისთავად არაფერს არ შეცვლის თუ არ იქნება განსაზღვრული განვითარების კოორდინაციის ინსტრუმენტები და მათი მოქმედების გზები. სახელმწიფო მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გარეშე თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ეკონომიკის ეფექტიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება;

2. სტრუქტურულ-დარგობრივ სტრატეგიაში დარგების ჯგუფების მიხედვით (მაღალტექნოლოგიური დარგები, ენერგეტიკა, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგები, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგები, სამშენებლო მასალების წარმოების დარგები და ა.შ.) შემუშავებული უნდა იყოს განვითარების კერძო სტრატეგიები (სახელმწიფო სტრუქტურებისა და ბიზნესწრეების მონაწილეობით), მათში განსაზღვრული და დასაბუთებული უნდა იყოს განვითარების ყველაზე საჭირო მიმართულებები. განსაზღვრული უნდა იყოს, თუ რას მოიტანს ამა თუ იმ დარგის წინმსწრები განვითარება იმპორტჩანაცვლების თვალსაზრისით, ექსპორტის ზრდისა და საერთოდ მეურნეობის თვითკმარობის დონის ამაღლების თვალსაზრისით; გარკვეული უნდა იყოს ბიზნესის თვითდაფინანსებისა და დაკრედიტების შესაძლებლობები კონკრეტული სავარაუდო პროექტების მიხედვით, განვითარების ხელშეწყობის კოორდინაციის კონკრეტული ინსტრუმენტები, საჭირო ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოზიდვის შესაძლებლობები; საინვესტიციო რისკების შესამცირებლად წინასწარ შეფასებული უნდა იყოს ამა თუ იმ ახალი სავარაუდო პროექტის მიხედვით წარმოებული პროდუქციის გასაღების შესაძლებლობანი და ა.შ.;

3. მიზანშეწონილია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარებისა და გაჯანსაღების ხელშეწყობისათვის მიღებულ იქნეს სპეციალური კანონები (მაგალითად, როგორც იაპონიაში), საერთო კანონებში კი (მაგალითად, საგადასახადო კანონმდებლობაში) დაფიქსირდეს ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის წახალისების საერთო გამოყენების ბერკეტები (მაგალითად, როგორც შვედეთში);

4. სახელმწიფო სახსრების გამოყენების საფუძველზე მიზანშეწონილია შეიქმნას თანამედროვე ტიპის, ამასთან, საქართველოს ეკონომიკის საჭიროებებზე მორგებული, "განვითარების ფონდი" და "განვითარების (საინვესტიციო) ბანკი" და მათი ფუნქციონირების პრინციპები გაფორმებული იყოს კანონმდებლობაში. ასეთი სტრუქტურების სახსრების დამატება კერძო კაპიტალის საინვესტიციო სახსრებზე უზრუნველყოფს საქართველოში საინვესტიციო აქტივობის მაღალ დონეს.

დასკვნა

მაშასადამე, დარგების ყველა განხილული ჯგუფის მიხედვით (ენერგეტიკის დარგები, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგები, ქიმიური და პოლიმერული მრეწველობის დარგები, სამშენებლო მასალების მრეწველობის დარგები და ა. შ.) ეკონომიკის თვითკმარობის დონე მეტ-ნაკლებად დაბალია, მსუბუქი მრეწველობისა და მაღალთექნოლოგიური დარგების მიხედვით კი (დარგების უკანასკნელ ჯგუფში სტატისტიკური მასალების მიხედვით ჩემ მიერ გაერთიანებულია დარგების საკმაოდ ფართო სპექტრი, დაწყებული ავტომანქანებისა და ჩარხმშენებლობის დარგებიდან, დამთავრებული ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური საწარმოო ტექნოლოგიებისა და სამომხმარებლო ნაკეთობების მწარმოებელ დარგებით) – უკიდურესად დაბალი. იმისათვის, რომ ახლო მომავალში დარგობრივი რესტრუქტურიზაციის პროცესში მიღწეულ იქნეს წონადი სტრუქტურული ეფექტი (უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების ხარჯზე), საჭიროა, კერძოდ: ელექტროენერგეტიკაში ყურადრების გამახვილება

[155] **ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნიდან კაპიტალის გადინება 2013 წლიდან გაიზარდა.** 21-09-2015. ინტერნეტრესურსი: http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/346233-oficialuri-monacemebith-qveynidan-kapitalis-gadineba-2013-tslidan-gaizarda.html; **რატომ გარბის საქართველოდან კაპიტალი.** ინტერნეტრესურსი: http://www.kvirispalitra.ge/economic/26552-ratom-garbis-saqarthvelodan-kapitali.html

ჰესების მშენებლობაზე; კვებისა და მსუბუქი მრეწველობების დარგებში იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული ახალი საწარმების უფრო სწრაფი შექმნა და არსებულების სიმძლავრეების გაზრდა, ამასთან, ამ დარგების სასოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზის იმავდროული გამაგრებით (გამყარებით); სამშენებლო მასალების დარგების შემდგომი განვითარება და, ნაწილობრივ კი, რეანიმაციაც; მეტალურგიული და პოლიმერული მრეწველობების ახალი დარგების განვითარება (კერძოდ, კომპოზიტური, მათ შორის მეტალოპლასტიკური, მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოება) და ა. შ. მთავარი კი, რის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის სალდოს არსებითი გაუმჯობესება, საჭიროა უპირატესად ექსპორტზე ორიენტირებული (არჩეული განსაზღვრული პრიორიტეტულობის კრიტერიუმებისა და წარმოებისათვის გათვალისწინებული პროდუქციის გასაღების შესაძლებლობის შეფასებების მიხედვით) მაღალტექნოლოგიური დარგების დაჩქარებულ განვითარებაზე გადასვლა (ახალ მშენებლობაზე ან ახალი ტექნოლოგიური ბაზის გამოყენებით რეანიმაციაზე), მაგალითად, ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ჩარხების მშენებლობა, მზის ელემენტების წარმოება და ა. შ.

ქვეყანაში ეკონომიკის ეფექტიანი დარგობრივი რესტრუქტურიზაციის ჩატარების (განხორციელების) ხელშეწყობისათვის მიზანშეწონილია სტრუქტურულ-დარგობრივი სტრატეგიის შემუშავება მისი რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესკოორდინაციის ინსტრუმენტების გამოყენების გზების დასახვით. მიგვაჩნია, რომ მსხვილი ბიზნეს-სტრუქტურების მიერ საქართველოში დაფუძნებული "თანაინვესტირების ფონდი" ძალიან სერიოზულ წვლილს შეიტანს ქვეყანაში ისეთი ინვესტიციური აქტიურობის ზრდის საქმეში, რომელიც გამიზნული იქნება ეკონომიკის მიზანშეწონილი დარგობრივი რესტრუქტურიზაციის განხორციელებაზე. მაგრამ საჭიროა ასევე სრულფასოვანი სახელმწიფო განვითარების საფინანსო ინსტიტუტის შექმნაც, რომელიც გაუწევს საფინანსო დახმარებას კერძო ინვესტორებს მაღალი სტრუქტურული ეფექტის მიღების თვალსაზრისით მიზანშეწონილი საწარმოების შექმნის საქმეში. უკანასკნელ პერიოდში მთავრობა უკვე დგავს ამ მიმართულებით ნაბიჯს, კერძოდ, მოხდება "საპარტნიორო ფონდის" შესაბამისი რეორგანიზაცია მისი საფინანსო რესურსების მნიშვნელოვანი ზრდით და ორიენტაციის გაძლიერებით მიზანშეწონილი საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე. ამასთან, ასევე საჭირო სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების მონაწილეობით რეკონსტრუქციის და განვითარების (ან საინვესტიციო) ბანკის დაარსება, რომელიც უზრუნველყოფს მიმზიდველი პროექტების შედავათიან გრძელვადიან დაკრედიტებას (შემოთავაზებული პროექტების დაწვრილებითი წინასწარი ყოველმხრივი ექსპერტიზის საფუძველზე).

Vakhtang Burduli

STRUCTURAL PROBLEMS OF ECONOMIC DEVELOPMENT

Annotation

The paper discusses the problem of increasing the level of self-sufficiency of the Georgian economy through the improvement of its sectoral structure, the diversify and increase of exports and increase the scale of import-substituting production. In this regard, it explores the understanding of structural effects (mainly its structural-sectoral aspects) and the ways of its evaluation, among which the main role is played by evaluation of the level of self-sufficiency of economy. It is studied the level of self-sufficiency of the economy in the context of the aggregated industry groups and on this basis suggests ways to improve the industry structure of the economy of Georgia (by preemptive growth of priority sectors), and then are given the ways of improving the strategy and the tools of structural-sectoral policies of Georgia by taking into account the possibilities offered by the provisions (statements, regulations) of the Association Agreement between Georgia and the EU.

პრობლემა 4.

ეკონომიკური განვითარების სექტორული პრობლემები

ნანული არევაძე

მრეწველობის განვითარება საქართველოში

მრეწველობა, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი რგოლი, მისი ღერძი და ხერხემალი, მძლავრ ზემოქმედებას ახდენს საწარმოო ძალების განვითარებაზე ქვეყანაში. ყოველი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისა და მოსახლეობის ცხოვრების დონეც სწორედ მრეწველობის განვითარებით ფასდება, რამდენადაც არც ერთ ქვეყანას, თვით ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესსაც კი, არ შეუძლია საკუთარი ეკონომიკური თუ პოლიტიკური უსაფრთხოების განმტკიცება, დაცვა და შენარჩუნება, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება, სტაბილური ეკონომიკური ზრდა, მატერიალური სიმდიდრის დაგროვება, შრომითი რესურსების მასშტაბური დასაქმების უზრუნველყოფა, ეკონომიკური, სოციალური თუ სტრატეგიული ხასიათის მრავალი პრობლემის გადაწყვეტა მრეწველობის სათანადო დონეზე განვითარების გარეშე. სწორედ ამიტომ ცდილობს ყველა განვითარებადი ქვეყანა (საქართველოს ახლა სწორედ ეს სტატუსი გააჩნია) ჩადგეს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების რიგში, სწორედ ამიტომ არის საჭირო და აუცილებელი განვითარების ინდუსტრიული ფაზის ბოლომდე გავლა, რამდენადაც მის გარეშე წინსვლა, განვითარება და წარმატების მიღწევა, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება თეორიულადაც წარმოუდგენელია.

ისტორიული გამოცდილების თანახმად, ინდუსტრიალიზაციის პროცესი იოლად არსად ჩატარებულა, ის წინააღმდეგობრივი და ხანგრძლივი იყო იქაც კი სადაც ამისთვის საკმაო ფინანსური რესურსი არსებობდა, რამდენადაც ნგრევისაგან განსხვავებით ახლის მშენებლობა ბევრად უფრო რთული და ხანგრძლივია. მდგომარეობა ჩვენთან უფრო გართულდა 2008 წლის აგვისტოს ომისა და მძლავრი ფიანანსური კრიზისის ზეგავლენით. საქართველო, რომელსაც ჯერაც არ გადაულახავს XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული კრიზისული მოვლენების შედეგები, კიდევ უფრო მძლავრ კრიზისში აღმოჩნდა, რაც ძალზე უარყოფითად აისახა მთელ ეკონომიკაზე და განსაკუთრებით მის მრეწველობაზე. რომ არ ყოფილიყო დიდი მოცულობის უცხოური დახმარება, მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. თუ საქართველომ მოკლე დროში ვერ შეძლო კრიზისის უარყოფითი შედეგების დაძლევა, კერძოდ, ახალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საფუძველზე დაფუძნებული გადამმუშავებელი მრეწველობის სრული ციკლით ამოქმედება, ის ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება განვითარებადი ქვეყნის სტატუსით და შესაძლოა მას თავი ვერც ვერასდროს დააღწიოს[156].

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული 1990 წლამდე, საქართველოში მრეწველობა ინტენსიურად ვითარდებოდა. ამ პერიოდში ქვეყანაში ამოქმედდა 1270-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო და 1990 წლისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებად საწარმოთა რიცხვი 1365 იყო. მიუხედავად იმისა, რომ ახლად ამოქმედებულ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ყოველთვის ახალი არ იყო, რამდენადაც ფაბრიკა-ქარხნებში ზოგჯერ მოძველებული მანქანები და ტექნოლოგიური ხაზები მონტაჟდებოდა, მაგალითად რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ტექნოლოგიური ხაზი დამონტაჟების პერიოდშივე (1964) მორალურად მოძველებული იყო, ისევე, როგორც ამიაკის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი რუსთავის ქიმიურ კომბინატში, ტანინის წარმოებისა – თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში და ა.შ. ამის მიუხედავად საქართველო ყოფილ სსრკ-ში შემავალ ქვეყნებს შორის ინდუსტრიული განვით რების დონით მერვე ადგილზე იმყოფებოდა და ითვლებოდა ინდუსტრიულად საშუალოდ განვითარებულ ქვეყნად, აწარმოებდა 11,5 მლრდ ლარის პროდუქციას, უზრუნველყოფდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 40%-ს და იქ დასაქმებული იყო 459,4 ათ სი კაცი. მ.შ. მომპოვებელ მრეწველობაში 31,3 ათ სი (6,8%) და დამმუშავებელში 428,1 ათასი (93,2%). ქვეყანა მოსახლეობის ერთ სულზე აწარმოებდა 241 კგ. ფოლადს, 202 კგ. მზა ნაგლინს, 5,9 კგ. ქიმიურ ბოჭკოს, 236 კგ. ცემენტს, 5 კგ. ძეხვეულს და ა.შ.[157]

საქართველოს მრეწველობას ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ეკავა. მასში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დარგი. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით უპირატესი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები იყო, მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციის

---

[156] ნ. არევაძე მრეწველობა პოსტსაბჭოთა საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკის

[157] რ. აბესაძე, დ. ჩომახიძე. „მრეწველობა", წიგნში, „საქართველოს ეკონომიკა", მთ. რედაქტორი პროფ. რ. ასათიანი, თბ., გამომცცემლობა „სიახლე", 2012, გვ. 163.

წარმოების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო უსწრებდა ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი. ამის მიუხედავად საქართველო ინდუსტრიული განვითარების მხრივ რუსეთს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. მაგალითად პირველ მსოფლიო ომამდე საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე 4-ჯერ ნაკლები სამრეწველო პროდუქცია იწარმოებოდა ვიდრე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, რომელიც თვითონ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპისა და ამერიკის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ დროს საქართველოში მრეწველობის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში 13,9% იყო[158].

უნდა ითქვს იმაზეც, რომ XX ს. მთელი 70 წლის განმავლობაში საქართველოს მთელი ეკონომიკა და მ.შ. მრეწველობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები ამ კომპლექსის ინტერესებით იყო განსაზღვრული, რაც ხელს არ უწყობდა ქვეყანაში მრეწველობის ოპტიმალურ განვითარებას, რამდენადაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე დარგებთან შედარებით. შრომითი, მატერიალური, ფინანსური და ბუნებრივი რესურსების უმეტესი ნაწილი სწორედ საკავშირო სპეციალიზაციის დარგების განვითარებას ხმარდებოდა (რომელთა შორის იყო: მანგანუმის მადნის მოპოვება და გამდიდრება, ფერომანგანუმის შენადნობების წარმოება, მანქანათმშენებლობა – ელმავლები, სატვირთო ავტომანქანები, ჩარხები, წყალქვეშა ფრთიამი კატარღები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების, საფეიქრო და კვების მრეწველობის მოწყობილობების, შავი ლითონების, ნაგლინისა და ფოლადის წარმოება, აზოტიანი სასუქების, სინთეზური ბოჭკოს, ლითოფონის, ზოგიერთი ფარმაცევტული ნაწარმის წარმოება, პოლიმეტალური მადნების მოპოვება და გადამუშავება; არალიონური წიაღისეულის – ბარიეი, გუმბარინი, ასკანიტი, დიტომიტი, ტლკი, მარმარილო, აქატი და სხვა – მოპოვება და გადამუშავება), რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა ადგილობრივი მნიშვნელობის დარგების განვითარებას, კერძოდ სათბობ-ენერგეტიკულ მრეწველობას, სამშენებლო მასალების, სამრეწველო და სასურსათო წარმოების განვითარებას.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილ მოვლენებზე საქართველოში საექსპორტო პროდუქცია რესპუბლიკის 91 სამრეწველო საწარმოში იწარმოებოდა, რომელთაგან 40 – მძიმე მრეწველობის საწარმო იყო, 11 – მსუბუქი, 32 – კვების მრეწველობის, 8 – სხვადასხვა დარგის და სულ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ 204 883 980 მანეთის, დაახლოებით 187 დასახელების სამრეწველო პროდუქცია იგზავნებოდა, ძირითადად ყოფილ სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ზოგიერთი, რომელთა ხარისხი და ტექნიკური დონე მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამებოდა, განვითარებულ ქვეყნებშიც, საერთოდ საქართველოს სამრეწველო წარმოება იმ პერიოდში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ინტეგრაციაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან. საკმარისია ითქვას, რომ სამრეწველო წარმოების მთლიანი მოცულობის 40%-ზე მეტი რესპუბლიკის გარეთ გადიოდა, ხოლო სამრეწველო წარმოების მოთხოვნის 90%-მდე – სხვა ქვეყნებიდან შემოზიდვის ხარჯზე კმაყოფილდებოდა. მაშასადამე, კრიზისამდელ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკა შემოზიდვაზე უფრო მეტად იყო დამოკიდებული, ვიდრე გაზიდვაზე. ხოლო საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ბაზრების მნიშვნელობა, როგორც შემოზიდვაში ისე გაზიდვაში მეტად დიდი იყო – მთელი შემოზიდვის 87%-მდე და მთელი გაზიდვის 94%-მდე ცალკეულ წლებში[159].

საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის სტრუქტურაში მცირე მოცულობით წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის მანქანა-მოწყობილობები, დაზგები, ფეროშენადნობები, ელექტროგამზომი ხელსაწყოები, ელექტროძრავები, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, ელექტროტექნიკური ნაკეთობები და ა.შ. ყველაზე დიდი მოცულობით კი მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია იყო წარმოდგენილი – დაახლოებით 70%, რაც საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში, წარმოებული პროდუქციის მიხედვით, უპირატესი ხვედრითი წონით სწორედ ეს ორი დარგი იყო წარმოდგენილი (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით მრეწველობის პროდუქციის მთლიან მოცულობაში (%-ით ჯამთან)[160]

	1980	1985	1990[161]
მრეწველობა – სულ მ.შ.	100	100	100

[158] ვ. მელქაძე სოციალისტური კვლავწარმოება საქართველოში, თბ., 1966, გვ. 171.

[159] ვ. მიშინა, ნ. არევაძე, ქ. უკლება, საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარება, ჟ. „სოციალური ეკონომიკა", №3, 1999, გვ. 26-27.

[160] აქ და შემდგომ გვერდებზე წყარომიუთითებელი ციფრები ან ცხრილები შედგენილი ან გაანგარიშებულია ჩვენს მიერ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი წლების მონაცემთა საფუძველზე.

[161] მრეწველობა საქართველოში XX ს. დასასრულსა და XXI ს. დასაწყისში სტატისტიკური კრებული, თბ., 2002, გვ. 40.

1. ელექტროენერგეტიკა 2. სათბობის მრეწველობა 3. შავი და ფერადი მეტალურგია 4. ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა 5. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება 6. ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	2,5 3,6 5,1 3,2 11,2 3,3	2,5 2,3 4,5 3,7 13,7 4,0	2,4 1,1 3,7 4,4 14,3 3,3
7. სამშენებლო მასალების მრეწველობა 8. მსუბუქი მრეწველობა	5,1 20,9	5,5 20,7	5,1 21,2
9. კვების მრეწველობა 10. სხვა დარგები	39,7 5,4	38,1 5,0	37,4

ცნობილია, რომ, ნებისმიერი, მ.შ. მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარებასა და ცვალებადობაზე უამრავი ფაქტორი ზემოქმედებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში შესაძლოა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულიც იყოს, მათგან ზოგიერთმა ეკონომიკის განვითარებასა და მისი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე დადებითი, ზოგიერთმა კი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. სავარაუდოდ, საქართველოში მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე დადებით ზეგავლენას ახდენს მისი ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები. სწორედ ეს პირობები ქმნიდა და ქმნის შესაძლებლობებს კვების მრეწველობის უპირატესი განვითარებისათვის საქართველოში, სწორედ ამიტომაც არის კვების მრეწველობა რესპუბლიკის ერთ-ერთი ძველი და ტრადიციული დარგი და ჩვენს მიერ განხილულ პერიოდშიც ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რესპუბლიკის ეკონომიკასა და შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაშიც, ხასიათდებოდა სპეციფიკური, მრავლამხრივი და რთული შიგადარგობრივი სტრუქტურით, ემყარებოდა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მდიდარ რესურსებს და მთელი რიგი კვების პროდუქტებით, არა მარტო რესპუბლიკის, არამედ მთლიანად ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. თუმცა თვით კვების მრეწველობის შიგადარგობრივი სტრუქტურა სულაც არ იყო ოპტიმალური, რამდენადაც ზოგიერთი ქვედარგის, მაგალითად ხორცისა და რძის წარმოება, ყურძნის, მარცვლეულის, ხილისა და ბოსტნეოულის, გადამუშავებით მიღებული პროდუქციის წარმოება, ღარიბი ასორტიმენტის პირობებში, შედარებით სუსტად იყო განვითარებული.

საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით მეორე პოზიციაზე იყო მსუბუქი მრეწველობა, როგორც კვების მრეწველობასთან ერთად, ქვეყნის ერთ-ერთ ძველ და ტრადიციულ დარგს წარმოადგენს და ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში მრავლად იყო წარმოდგენილი წვრილი, კუსტარული საწარმოებით. დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე გადასვლა ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა და ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში მოიცავდა ძირითადად ბამბეულის, შალეულის, ტყავ-ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო ფაბრიკა-ქარხნებსა და კომბინატებს[162] და კვების მრეწველობის მსგავსად არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების, არამედ ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ინტერესების გათვალისწინებაზე იყო ორიენტირებული, რისი დასტურიცაა დარგის პროდუქციის გაზიდვა-შემოზიდვის მაჩვენებლებიც, მაგალითად 1990 წელს გაზიდულ იქნა რესპუბლიკაში წარმოებული დარგის პროდუქციის 50%, ხოლო პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით ამ მაჩვენებელმა %-ში შეადგინა: ბამბის ქსოვილების მიხედვით – 74,8%, აბრეშუმის ქსოვილების – 72,5%, შალის ქსოვილების – 52,1%, ტრიკოტაჟის ნაწარმის – 79,7%, სამკერვალო ნაწარმის – 16,8%, ფეხსაცმლის – 53,6%. იმავე წელს რესპუბლიკის გარედან შემოზიდული მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითმა წონამ მის მოხმარებაში რესპუბლიკის შიგნით შეადგინა – 53,4%. პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით კი ეს მაჩვენებელი შეადგენდა: მოსახლეობის ბამბის ბოჭკოს 100%-ს, ბამბის ნართის – 31,7%, ბამბის ქსოვილების – 92%, აბრეშუმის ქსოვილების – 83,2%, შალის ქსოვილების – 23%-ს და ა.შ. აქვე უნდა ითქვას იმაზეც, რომ ერთი და იგივე პროდუქციის გაზიდვა და შემოზიდვა გარკვეული მოცულობით გამართლებულია ასორტიმენტული გაცვლის თვალსაზრისით, მაგრამ არა იმ მოცულობით, როგორც ეს ხდებოდა ჩვენთან ათეული წლების განმავლობაში[163].

დარგობრივ სტრუქტურაში მესამე ადგილზე იყო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების დარგი.[164]

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა რესპუბლიკის მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით რამდენადმე ახალგაზრდა დარგია, მისი საწარმოო პოტენციალი ჩამოყალიბდა და განვითარდა ძირითადად დიდი სამამულო ომისშემდგომ პერიოდში. მრეწველობის განვითარების

[162] ნ. არევაძე, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ეფექტიანობა საქართველოს მრეწველობაში, თბ., „მეცნიერება", 1989, გვ. 33.

[163] საქართველოს ეკონომიკა, ლ. ჩიქავას რედაქციით, თბ., 1995, „მერიდიანი" გვ. 112.

[164] იქვე, გვ. 131-132.

ისტორია მოწმობს, რომ, როგორც წესი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების ზრდის ტემპები სჭარბობს მთელი მრეწველობის განვით რების ზრდის ტემპებს. მაგალითად, ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობის დარგები, მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში (გამონაკლისია იაპონია, სადაც მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში უპირატესია მანქანათმშენებლობა).

ქიმიური და ნვთობქიმიური მრეწველობის უპირატესი ტემპებით განვითარება რიგი მიზეზებით არის განპირობებული. აქედან ძირითად და უმთავრესად შეიძლება ჩაითვალოს მთელი ეკონომიკის განვით რების პირდაპირი დამოკიდებულება ქიმიური მრეწველობის განვითარების ტემპებსა და დონეზე, რამდენადაც ქიმიური მრეწველობა მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მატერიალური საფუძველია.

ქვეყნის ქიმიური მრეწველობა წარმოდგენილი იყო რთული, ,რავალდარგოვანი სტრუქტურითა და პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნებით. მაპროფილებელ ქვედარგს წარმოადგენდა ძირითადი ქიმია. სხვა ქვედარგებისა კი სამთო-ქიმიური მრეწველობა, ქიმიური ბოჭკოს, ლაქ-საღებავების, საყოფაცხოვრებო ქიმიის მრეწველობა და სხვა.

დარგის სპეციალიზაცია და განვითარების მიღწეული დონე მოცემულ პერიოდში დაკავში-რებული იყო ერთი მხრივ, სახალხო მეურნეობის მოთხოვნებთან (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის) და, მეორე მხრივ, რესპუბლიკაში არსებულ ბუნებრივ რესურსებთან.

საქართველოს შავ მეტალურგიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს მრეწველობაში, ამ დარგზე 1990 წლისათვის მოდიოდა რესპუბლიკაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 3,7%, იქ იწარმოებოდა ეკონომიკისათვის საჭირო ისეთი პროდუქცია, როგორიცაა თუჯი, ფოლადი, მზა ნაგლინი, ფოლადის მილები, ელექტროშენადნობები და სხვა, რომელიც მნიშვნელოვანი იყო არა მარტო რესპუბლიკის, არამედ რეგიონისა და მთლიანად საბჭოთა ეკონომიკისათვის და იქ დასაქმებული იყო 21 ათასი კაცი, მისი ყველაზე დიდი საწარმო იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სადაც 10000 ადამიანი მუშაობდა, საქვეყნოდ იყო ცნობილი ჭიათურის მანგანუმის წარმოება, თავისი ექვსი მაღაროთა სამმართველოთი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.

ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის დარგი ძირით დად წარმოდგენილი იყო ხის სახერხი, ხისდამმუშავებელი, ავეჯის და ცელულოზა-ქაღალდის მწარმოებელი ქვედარგებით. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა განხილულ პერიოდში მცირედ შემცირდა, თუმცა დარგის განვით რება საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი იყო – მასში 23,8 ათ სი კაცი იყო დასაქმებული.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ტყის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი უმთავრესად მთიან ზონაშია განლაგებული და ძირითადად ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და საკურორტო დანიშნულება აქვს, მათი საექსპლუატაციო გამოყენება შეზღუდულია, ამდენად ვერ უზრუნველყოფდა ეკონომიკის გაზრდილ მოთხოვნებს. ამიტომ დარგი ძირითადად შემოზიდულ ნედლეულზე მუშაობდა[165].

XX ს. 90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო სისტემური ტრანსფორმაციული კრიზისი სოციალისტური სისტემის შეცვლისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომელსაც დაემატა ეკონომიკური კრიზისი მისი სხვადასხვა გამოვლინებით – სტრუქტურული, ფინანსური, ინვესტიციური, ინოვაციური, სავალუტო, რეგიონული და ა.შ. ეკონომიკური კრიზისი ძირითადად მეურნეობის დისფუნქციონალიზმით გამოიხატა, რომლის გახანგრძლივებამ წარმოების მკვეთრი დაცემა განაპირობა. შედეგად მივიღეთ მთლიანად ეკონომიკისა და განსაკუთრებით მრეწველობის ზოგიერთი დარგის მთლიანი განადგურება, ზოგიერთის კი განადგურების პირამდე მიყვანა. დაწყებული ნგრევითი პროცესების მთავარი მიზეზი სავარაუდოდ, განპირობებული იყო როგორც გარეშე ძალების ნეგატიური მოქმედებით ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ისე საქართველოს ხელისუფლებისა და მთლიანად საზოგადოების უუნარობით დაეცვათ ქვეყნის ინტერესები, ასევე, ქვეყნის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის უქონლობით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სიძნელეებით, კერძო ინტერესების პრიორიტეტით, პრივატიზაციაში დაშვებული შეცდომებით და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ზრდის ტემპების შემცირება მრეწველობაში უკვე შესამჩნევი 1985 წლიდან გახდა, როცა წარმოებული პროდუქციის მოცულობა წინა წლის დონეზე დარჩა, ხოლო 1990 წელს წარმოებული მხოლოდ 1985 წლის დონის შესაბამისი იყო. დაცემის ტემპი შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. 1992 წ. მაგალითად მუშაობა შეწყვიტა საწარმოთა თითქმის ნახევარმა. აქვე, მხედველობაშია მისაღები, რომ წარმოების დაცემის ტემპი სინამდვილეში უფრო მეტიც იყო და გარკვეულწილად მიწერებისა და ფასების ზრდის ხარჯზე ნიველირდებოდა. რაც, უფრო აშკარად პროდუქციის ნატურალურ გამოხატულებაში აღრიცხვისას ვლინდებოდა. მაგალითად 1990 წ. წინა წლის მიმართ მანგანუმის მადნის წარმოებამ მხოლოდ 24% შეადგინა, მანქანათმშენებლობის პროდუქციამ 9 – 21%; საშენი მასალების წარმოებამ – 5 – 23% და 3 – 36% და ა.შ.

[165] ნ. არევაძე, ეკონომიკური ეფექტიანობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს მრეწველობაში, თბ., 1981, გვ. 55.

კრიზისით განპირობებულმა ვითარებამ სრულებით შეცვალა მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში თუ 1990 წელს (რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ კარგი მაჩვენებლებით არ ხასიათდებოდა) უზრუნველყოფდა მშპ-ის 22,9%, დასაქმების – 25,3% და ინვესტიციების 31,5%-ს, კრიზისის პერიოდში მისი როლი შესამჩნევად დაქვეითდა, მაგალითად მშპ-ში – 9,3%-მდე, დასაქმებაში – 4,3%-მდე და ინვესტიციებში – 26,8%-მდე. შეიცვალა მრეწველობის ხვედრითი წონაც ეკონომიკის მთლიან პროდუქციაში, რომელშიც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე არსებითი ცვლილებები მოხდა, რაც გამოიხატა ერთი მხრივ ცალკეული დარგების ხვედრითი წონის არსებითი ცვლილებით და მეორე მხრივ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის აღრიცხვის ცვლილებით. 1998 წლიდან მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა სტატისტიკურ მონაცემებში მხოლოდ სამი სექციის მოპოვებითი – C, დამუშავებითი – D და ელექტროენერგია, აირი და წყალმომარაგება – E სახით არის წარმოდგენილი, ასე რომ ცალკეულ დარგებზე მონაცეწმების მოპოვება თითქმის შეუძლებელი და ძალზე პრობლემური გახდა.

საქართველოს მრეწველობაში არსებული მდგომარეობა 1990–1995 წლამდე პერიოდში შეიძლება შეფასდეს როგორც კატასტროფულად დაღმავალი, რომლის დროსაც მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა ყოველწლიურად მცირდებოდა, შედეგად 1995 წ. მრეწველობის მიერ წარმოებულმა პროდუქციის მოცულობამ 1990 წლის დონის მხოლოდ 16,2 შეადგინა (ზოგიერთი მოსაზრებით მხოლოდ 14%), ისიც მხოლოდ ღირებულებითი მაჩვენებლის მიხედვით. შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადამმუშავებელ მრეწველობაში იყო (10-ჯერ), მომპოვებელში კი მხოლოდ 57,0 პროცენტული პუნქტი. აღნიშნული ვითარება ძირითადად განაპირობა სათბობ-ენერგეტიკული ბაზის, ანუ ეკონომიკის განვითარების მთავარი საფუძვლის, არასტაბილურმა მუშაობამ. კერძოდ, სათბობის მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1990 წლის დონის მხოლოდ 3% იყო, ელექტროენერგეტიკი 52%; წარმოების მკვეთრ შემცირებას ადგილი ჰქონდა მრეწველობის სხვა დარგებშიც, კერძოდ, 1995 წელს 1990 წლის მიმართ პროდუქციის წარმოების მოცულობა უდრიდა შავ მეტალურგიაში – 11%-ს, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში – 8%, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში – 13%, ხე-ტყის, ხისდამმუშავებელ და ცელულოზა ქაღალდის მრეწველობაში – ასევე, 4%, კვების მრეწველობაში – 13%. ზრდა აღინიშნა მხოლოდ ფერად მეტალურგიაში – 13%-ით.

1996–2000 წლებში აღინიშნა ერთგვარი გამოცოცხლება, 1998 წლის გამოკლებით, როცა ყოველ მომდევნო წელს წინა წლის მიმართ ზრდა აღინიშნებოდა. ამის მიუხედავად, ვერ იქნა დაძლეული ის ჩამორჩენა რომელიც წინა პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. შედეგად 2000 წელს 1990 წლის მიმართ სამრეწველო წარმოების მოცულობამ მხოლოდ 19,4% შეადგინა, ანუ საბაზისო დონის მხოლოდ მეხუთედი.

შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება მრეწველობის განვითარება 2000–2010 წლებში, როცა მისი მოცულობა, მოქმედი ფასებით, დაახლოებით 4,6-ჯერ გაიზარდა, მ.შ. სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში – 2,7-ჯერ, გადამმუშავებაში 5,5-ჯერ, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის წარმოება-განაწილებაში 113,9%-ით. თუმცა, ინფლაციის გათვალისწინების შემთხვევაში ზრდა მნიშვნელოვანი ვერ იქნება, რამდენადაც ამ პერიოდში სამრეწველო პროდუქციის ფასების საშუალო წლიური ინდექსი 2010 წელს 2000 წლის მიმართ 182,9% იყო[166].

მართალია, გადამმუშავებელი მრეწველობა საქართველოს ეკონომიკის წამყვანი დარგია, მაგრამ წარმოების მასშტაბებით სურათი რადიკალურად განსხვავებულია: 1990 წელს აწარმოებდა 11,5 მლრდ ლარის პროდუქციას, ხოლო 2010 წელს 3,8 მლრდ ლარის, ე.ი. 3-ჯერ ნაკლებს[167].

უნდა ითქვას იმაზეც, რომ შედარებით მომგებიან საწარმოებში ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ ზემდგომი პირების წაქეზებითა და ხელშეწყობით მოქმედებდა მომგებიან საწარმოთა ხელოვნური გაკოტრების კარგად აპრობირებული მექანიზმი რათა საწარმოო ვალების დაგროვების გზით, ხელში კაპიკებად ჩაეგდოთ მილიონობით ღირებულების მქონე სახელმწიფო ქონება, რაც მათ შესანიშნავად მოახერხეს სხვადასხვა კურსის ლობისტების ხელშეწყობითა და მხარდაჭერით და არასამართლიანი, ფარული თუ აშკარა პრივატიზაციის ფორმებისა და მეთოდების დახმარებით.

საქართველოში პრივატიზაცია იმ დროს დაიწყო, როცა მოასხლეობის უმეტესობის მიერ შემნახველ სალაროებში დაგროვილი ფული მთლიანად გაუფასურებული იყო, ამდენად პრივატიზაციის პროცესში მათი ჩართვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამასთან პრივატიზაცია განხორციელდა დიდი შეცდომებით, და მას ძირითადად ნომენკლატურული ხასიათი ჰქონდა, როდესაც ვითომ აუქციონზე ყველაფერი წინასწარ იყო გათვალისწინებული. ამიტომ სახელმწიფო საკუთრებას 20-50-ჯერ უფრო შემცირებული ფასებით იძენდნენ ისინი, ვისაც საჭირო სახსრები, კავშირები და ინფორმაცია გააჩნდა.

მრეწველობაში პრივატიზაცია ძირითადად 1993 წლიდან იწყება და 1993–1994 წლებში პრივატიზებულ იქნნა 198 სამრეწველო ობიექტი, ენერგეტიკაში – 100. სულ 1995–2002 წლებში –

---

[166] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2011, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2012, გვ. 236.

[167] საქართველოს ეკონომიკა, ავტორთა კოლექტივი, მთ. რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე". 2012, გვ. 164.

264. 2012 წლამდე პრივატიზებულ იქნა საქართველოს მრეწველობის თითქმის 85%, მათ შორის ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა „მადნეული", „ტყიბულნახშირი", „რუსთავის აზოტი", მეტალურგიული კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და სხვა. 2012 წლის მდგომარეობით[168].

პრივატიზებულ საწარმოთა შორის ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ნულოვან აუქციონზე შეძენილები აღმოჩნდა, რამდენადაც მათი მეპატრონეები მესაკუთრეებად ვერ ჩამოყალიბდნენ და გაჩერებული საწარმოების აღდგენა-ამუშავების კონკრეტული ღონისძიებებისა და იქ კაპიტალის დაბანდებით მათი ამოქმედება-რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის ნაცვლად სწრაფად იზრუნეს უმტკივნეულოდ მათი თავიდან მოშორებასა და კაპიტალად გადაქცევაზე. მსხვილი საწარმოები დაანაწევრეს, პატარა-პატარა საწარმოებად გადააკეთეს, რაც ქვეყანაში გაიყიდა-გაყიდეს, დანარჩენი, მ.შ. მანქანა-მოწყობილობები, დაჭრეს და საზღვარგარეთ გაყიდეს. სწორედ ამის მაჩვენებელი იყო საექსპორტო საქონლის ჩამონათვალში შავი ლითონის ჯართის პირველ პოზიციაზე ყოფნა. ზოგიერთი საწარმოს შენობა-ნაგებობებიც დაანგრიეს და გამოთავისუფლებული ტერიტორია საცხოვრებული სახლების მშენებლობისათვის გაასხვისეს. შედეგად, ქვეყანას და კერძოდ, მრეწველობას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს. 2012 წლის მონაცემებით, მრეწველობის წილი მშპ-ში მხოლოდ 14,5%-ია, მ.შ. სამთო-მომპოვებელ მრეწველობაზე მოდის 0,9%, გადამმუშავებელზე – 10,9%, ხოლო ელექტროენერგიასა, აირისა და წყალმომარაგებაზე 3,5%.

მეტად ყურადსაღებია მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემაც, რომელიც ღია ეკონომიკისა და გაღრმავებული გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო ანგარიშგასაწევი საკითხი ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის დეფორმირებული კრიზისამდელი სტრუქტურა მიუღებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჩვენ გვჭირდება სრულიად ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლა, რადგან ცნობილია, რომ ცივილიზაციების განვითარება სწორედ ტექნოლოგიური წყობის განვითარებით არის განპირობებული.

იმისი აღნიშვნაც აუცილებელია, რომ ბევრი ეკონომისტი მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს განიხილავს, როგორც უმეტესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების რეაქციას ტექნოლოგიებისა და მასთან შეუღლებული ინსტიტუციურ-ეკონომიკური წყობის მოძველებულობაზე, რაც აუცილებელს ხდის, გადაიხედოს ინსტიტუციურ-ეკონომიკური მახასიათებლები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპექტების მიხედვით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს შემთხვევაში, რამდენადაც ჩვენ ძლიერ ჩამოვრჩით განვითარებულ ქვეყნებს წარმოების ეფექტიანობის და განსაკუთრებით შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლით, მაგალითად, გადამმუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული ერთი მუშაკის მიერ გამომუშავებული დამატებითი ღირებულებას 2012 წლის მიხედვით აშშ-ში უდრიდა 135 ათას დოლარს, იაპონიაში – 107 ათასს, გერმანიაში – 88-ს, რუსეთში – 25-ს, საქართველოში – მხოლოდ 8 ათასს, ანუ რუსეთს ჩამოვრჩებით – 3-ჯერ, ამერიკას – თითქმის 17-ჯერ, და ა.შ., რაც ჩვენი მრეწველობის ტექნიკური დონისა და ტექნოლოგიური წყობის უკიდურესი ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

XXI საუკუნეში საქართველოს მრეწველობის როლისა და ადგილის განსაზღვრის მასალები გლობალიზაციის პროცესის შემდგომ გაღრმავებისა და საქართველოს კონკურენტუნარიანობის უპირატესობების ახლებურ გააზრებაში უნდა ვეძიოთ. ცნობილია, რომ „თანამედროვე პირობებში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობები ეფუძნება არა ბუნებრივ-კლიმატურ ან გეოგრაფიულ ფაქტორებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ინტელექტუალური, კვალიფიციური შრომის, მეცნიერებატევადი წარმოების და პროდუქციის უპირატესობებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონკურენტული უპირატესობა, საბოლოო ჯამში, გამოიხატება შრომის ნაყოფიერებით, ეფექტიანობით, დამატებული ღირებულებით, რაც ყველაზე მაღალია გადამმუშავებელ მრეწველობაში. მართალია, თანამედროვე პირობებში მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა და შესაბამისად ამაღლდა ინფორმაციული სექტორის ხვედრითი წილი თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მრეწველობის როლის დაკნინებას. ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ეფექტიანობა მრეწველობაში მაღალია. მეორე, მრეწველობა ქმნის წარმოების ინდუსტრიალიზაციისა და ინფორმატიზაციის შესაძლებლობას, ავტომატიზებული და ინფორმაციული წარმოების საშუალებებს და ტექნოლოგიებს და ბოლოს მესამე, მართალია, ვითარდება წარმოების ბიოლოგიზაცია, მაგრამ ბიოლოგიური ნედლეულის მასალების გადამუშავება მაინც მრეწველობაა, ბიოტექნოლოგიური მრეწველობა. ამიტომ ის, ვინც ქადაგებს საქართველოს დეინდუსტრიალიზაციის საჭიროებას, ვერ ათვითცნობიერებს განვითარების

[168] ციტირებულია ს. პავლიაშვილის სტატიიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის თავისებურებები და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში". ივ. ჯავახიშვილის თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. პროფ. გ. პაპავას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 2013, გვ. 51.

კანონზომიერებებს და ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის. საქართველომ უნდა უზრუნველყოს თავისი ეროვნული უპირატესობები თავისი ინტელექტუალური და ინდუსტრიული წარმოებით"[169].

იმისი აღნიშვნაც საჭიროა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი, თითქმის 25 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული დეინდუსტრიალიზაციის პირობებში მრეწველური საწარმოების უმეტესობა განადგურდა თითქმის ყველა ქალაქსა და რეგიონში და საქართველოში ახლა მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრიღა დარჩა – თბილისი და რუსთავი, სხვების მნიშვნელობა კი (ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) სერიოზულად შემცირდა. ამასთან, მრეწველობის დარგებიდან ყველაზე ცუდი ვითარება მსუბუქ მრეწველობაში შეიქმნა და მოსახლეობის მომარაგება მსუბუქი მრეწველობის პროდუქციით (ავეჯი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი) ძირითადად იმპორტირებული იაფი საქონლის ხარჯზე ხორციელდება, რომლის მოცულობა 7-ჯერ აღემატება ადგილობრივ წარმოებას.

ამასთან დაკავშირებით, საშუალო და განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩვენი აზრით, აუცილებელია აქტიური სამრეწველო პოლიტიკის გატარება, რომლის ინსტრუმენტი შეიძლება იყოს: ხელისუფლების მხრიდან მრეწველობის (განსაკუთრებით გადამმუშავებელის) განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნევა; იმ გადამმუშავებელი დარგებისა და ქვედარგების აქტიური განვითარებისათვის მხარდაჭერა, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა ფიქსირდება და საქართველოს შეუძლია მისი წარმოება; ინვესტორებისათვის შესაბამის გადამმუშავებელ დარგებში სახსრების დასაბანდებლად გარკვეული შეღავათების დაწესება; სასურველი და აუცილებელია, ეკოლოგიაზე ზიანის მიუყენებლად, ელექტროენერგეტიკის წინმსწრები ტემპებით განვითარება, უპირატესად მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობისა და არატრადიციული რესურსების გამოყენების საფუძველზე; საჭიროა მანქანათმშენებლობის იმ ქვედარგების უპირატესი განვითარება, რომელთაც შეეძლებათ ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე შექმნილი საწარმოების წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეს ეხება ელექტროტექნიკურ მრეწველობასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას; უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას; ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგებიდან სასურველია იმ ქვედარგების შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობა, რომლის ნედლეული (ბარიტი, კალციტი, ცეოლიტი, გუმბრინი და ა.შ.), ნაწილობრივ კადრები და სიმძლავრეები ქვეყანას ჯერ კიდევ გააჩნია (სამთო ქიმია, ქიმიური ბოჭკო, მინერალური სასუქები); ფრიად მნიშვნელოვანია შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოების ფუნქციონირების და განვითარების უზრუნველყოფა, რამდენადაც მიმდებარე რეგიონებში ამ სახის პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველაზე უკეთ საქართველოს შეუძლია და ამასთან გააჩნია სათანადო რესურსებიც; ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები შეზღუდულად უნდა მივიჩნიოთ ნედლეულის სიმცირის გამო. მართალია დარგი ტრადიციულია, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების დროს მისი განვითარებისათვის საჭირო ნედლეული უმთავრესად რუსეთიდან შემოდიოდა. ადგილობრივი ტყის მასივების ძირითადი დანიშნულება კი ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და საკურორტო ფუნქცია იყო, რომელიც მან აუცილებლად უნდა დაიბრუნოს. უკანასკნელ პერიოდამდე, წინა ხელისუფლების პირობებში, ტყის მასივები უკონტროლოდ ნადგურდებოდა, უცხოელებზე იყიდებოდა ან ასეულ ჰექტრობით იჯარით გაიცემოდა, რაც მისი საბოლოო განადგურების ტოლფასია და რომლის დაშვებაც მომავალში არ შეიძლება.

Nanuli Arevadze

DEVELOPMENT OF INDUSTRY IN GEORGIA

Annotation

The article disensses main tendencies characteristic to the development of Georgian industry, in precrisis qnd post-crisis period. The role and place of industry is determined in Georgian economy and are designed possible perspectives of its development.

რამაზ აბესაძე

ენერგეტიკის განვითარება საქართველოში

საქართველო ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი არ არის, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიაზე, მეტ-ნაკლები რაოდენობით, მისი თითქმის ყველა სახე გვხვდება: ქვანახშირი, მურა ნახშირი,

[169] თ. ჩიკვაიძე, საქართველოს ახალი პარადიგმა, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისათვის, წიგნში „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში". საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. 2. 1997, გვ. 72-73.

ნავთობი, გაზი, ტორფი, მერქნული საწვავი, განსაკუთრებით, ჰიდროენერგო რესურსები და ენერგიის არატრადიციული წყაროები. ქვეყანაში ხელსაყრელი პირობებია წყალბადის ენერგეტიკის განვითარებისათვის და სხვ.

ელექტროენერგეტიკა. ენერგეტიკა მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, იგი დაახლოებით XIX საუკუნის 80-იან წლებში წარმოიშვა. საქართველოში პირველი ელექტროსადგური ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1887 წელს აიგო, რომელიც თბილისის საადგილმამულო ბანკის, ქართული თეატრის შენობებსა და სასახლის ქუჩას ანათებდა. იგი 1895 წლამდე საქართველოში ერთადერთ ელექტროსადგურად დარჩა. 1896 წლიდან წლიდან თბილისში შენდება რამდენიმე წვრილი ელექტროსადგური, მათ შორის აღსანიშნავია ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს ელექტროსადგური, სადაც 10 კვტ სიმძლავრის გენერატორი მუშაობდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ელექტროსადგურები თბილისს გარდა სხვა ქალაქებშიც აშენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორჯომის, სოხუმის, გაგრის, ახალი ათონის, ახალქალაქის და ცხინვალის ჰიდროელექტროსადგურებო, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 45–445 კვტ ფარგლებში იცვლებოდა. ყველაზე უფრო მძლავრ სადგურს წარმოადგენდა თბილისის ტრამვაის თბოელექტროსადგური, რომელიც ნახშირით მუშაობდა, მისი საერთო სიმძლავრე 1680 კვტ უდრიდა. იყო აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობის დიზელური ელექტროსადგური 660 კვტ სიმძლავრის.

1913 წელს საქართველოში ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ დაახლოებით 9 ათას კვტ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებამ 19,8 ათასი კვტ-სთ შეადგინა. 1913 წელს რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ერთ სულზე გამომუშავდა 14 კვტ-სთ ელექტროენერგია, საქართველოში კი მხოლოდ 7,4 კვტ-სთ. პირველი მსოფლიო ომის წლებში და მენშევიკების ბატონობის დროს კი საქართველოში არც ერთი ახალი ელექტროსადგური არ აშენებულა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შემუშავდა ცნობილი გოელროს გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 10-15 წლის განმავლობაში 30 მსხვილი რაიონული ელექტროსადგურის აგებას 1750 ათასი კვტ საერთო სიმძლავრით.

გოელროს გეგმა კავკასიაში ითვალისწინებდა ჰიდროენერგორესურსების მაქსიმალურ გამოყენებას. როგორც სეზონური, ისე მარეგულირებელი ელექტროსადგურების ფართო მშენებლობას. ამ მიზანდასახულობათა განხორციელების პირველი ნაბიჯი იყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც, 1927 წლის 26 ივნისს გააიხსნა. სადგურის პირველი რიგის სიმძლავრე 12800 კკვტ იყო, რაც 1,6-ჯერ აღემატებოდა 1913 წელს საქართველოში ყველა არსებული ელექტროსადგურის სიმძლავრეს.

ზაჰესის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა სხვა, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობა. 1927 წლის ივნისში ზაჰესის მშენებლობის დამთავრებისთანავე საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ საქართველოში მძლავრი ელექტროსადგურის, რიონჰესის მშენებლობას, რომლის გახსნა მოხდა 1934 წლის 30 ივლისს. ისი სიმძლავრე ამ დროისათვის 50 ათასი კვტ იყო. რიონჰესის მშენებლობა თავისი სიდიდითა და სირთულით ყველა სხვა მანამდე აგებული სადგურისაგან განსხვავდებოდა.

1930 წელს მუშაობა დაიწყო ზაჰესის გასაფართოებლად, რომელიც დამთავრდა 1938 წელს. 1933 წელს დაიწყო სოხუმჰესის, ხოლო1934 წელს ხრამჰესის მშენებლობა, იმავე წელს იწყება მზადება ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის ასაშენებლად. იგი საქართველოში პირველი რაიონული თბოელექტროსადგური იყო, რომელიც 1938 წელს უკვე სამრეწველო დენს იძლეოდა.

ელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა ზრდა საქართველოში ძირითადად ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის ხარჯზე ხდებოდა. მაგ., 1913 წელს თბოელექტროსადგურები ელექტროენერგიის 75% გამოიმუშავებდნენ, 1940 წელს მხოლოდ 46,4%.

ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ზრდის კვალდაკვალ თანდათან იზრდებოდა ელექტროგადამცემი ხაზების ძაბვა და სიგრძე. თუ 1928 წლისათვის ჯერ კიდევ არ გვქონდა 210 კ\ვოლტიანი გადამცემი ხაზი, 1932 წელს მისი სიგრძე უკვე 166,4 კმ, ხოლო 1940 წელს 368,3 კმ შეადგენდა. პირველად 210 კ\ვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი– ზაჰესი-რიონჰესი - გაშვებულ იქნა 1932 წლის ივლისში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარება სწრაფი ტემპებით ხდებოდა, სახალხო მეურნეობის ელექტრობალანსი დეფიციტური იყო, რაც მოითხოვდა ელექტროენერგეტიკის კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარებას.

ომის წლებში მოქმედებაში შევიდა მხოლოდ თბილისის თეცი, 4 ათასი კვტ სიმძლავრის აგრეგატი, 1941 წლის მეორე ნახევარში და ალაზანჰესი, სიმძლავრით 4800 კვტ, 1942 წლის თებერვალში. ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურებზე მუშაობა 1944 წელს განახლდა. ამავე წელს დაიწყო აგრეთვე ჩითახევჰესის მშენებლობა და მეორე აგრეგატის დამონტაჟება ტყვარჩელის თბოელექტროსადგურში.

ხრამჰეს-1-ის პირველი აგრეგატი 1947 წლის 22 დეკემბერს, ხოლო დანარჩენი ორი-1949 წლის 21 მაისს ამუშავდა. მისი სიმძლავრე განისაზღვრება 112,5 ათასი კვტ. სოხუმჰესი ამუშავდა 1948 წელს, 29,4 ათასი კვტ სიმძლავრით, ხოლო ჩითახევჰესი 1949 წლის დეკემბერში. სათანადო

მომზადების შემდეგ, 1946 წელს იწყება სამუშაოები სამგორის საირიგაციო-ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობისა, რომელიც 18 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ამ კომპლექსში შემავალმა სამმა (საცხენისის, მარტყოფის, თეთრიხევის) ჰიდროელექტროსადგურმა სამრეწველი დენი მშენებლობის დაწყებიდან ექვსი წლის შემდეგ, 1952 წელს მოგვცა, ხოლო მეოთხემ, სიონის ჰიდროელექტროსადგურმა – 1964 წელს.

1949 წელს დაიწყო შაორჰესის, ხოლო 1950 წელს ტყიბულჰესისა და ბჟუჟაჰესის მშენებლობა. შაორჰესის პირველი აგრეგატი 1955 წელს ამუშავდა, ხოლო მეორე (სიმძლავრით 40 ათასი კვტ) 1959 წელს. ტყიბულჰესი, 80 ათასი კვტ სიმძლავრით, მწყობრში ჩადგა 1955 წელს.

1955 წელს ექსპლოატაციაში შევიდა გუმათჰესი-2, 22,8 ათასი კვტ სიმძლავრით, ხოლო 1958 წელს გუმათჰესი-1, 14 ათასი კვტ სიმძლავრით, რომელთა მშენებლობა 1951 წელს დაიწყო.

1953 და 1954 წლებში იწყება ორი დიდი ჰიდროელექტროსადგურის: ლაჯანურჰესისა და ხრამჰეს-2 მშენებლობა. ლაჯანურჰეის ჰიდროელექტროსადგურის აგება ახალი დიდმნიშვნელოვანი საფეხური იყო საქართველოს ჰიდროენერგეტიკის განვითარების საქმეში. აღნიშნულ მშენებლობაზე აგებული მაღალი თაღოვანი კაშხალი სიახლეს წარმოადგენდა. იგი პირველი იყო სსრ კავშირში ქართველი ჰიდროტექნიკოსების მიერ დაპროექტებული და შესრულებული. ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური 1960 წელს ამუშავდა. მისი სიმძლავრე ამ დროისათვის 112,5 ათასი კვტ იყო.

ხრამჰესი-2 მშენებლობა, რომელიც 1963 წელს დამთავრდა, ერთ-ერთი უდიდესი იყო საქართველოში. როგორც ლაჯანურჰესის, ისე ხრამჰეს-2 მშენებლობამ დასაბამი მისცა საქართველოში გაცილებით უფრო ძლიერი ელექტროსადგურების მშენებლობის დასაწყისს.

1960 წლისათვის საქართველოს ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ შეადგინა 974 ათასი კვტ, ხოლო ელექტროენერგიის წარმოებამ – 3702 მლნ კვტ–სთ. ეს თითქმის 5,4–ჯერ და 5–ჯერ აღემატებოდა 1940 წლის შესაბამის მაჩვენებლებს. 1956-1960 წლებში რესპუბლიკაში პირველად გადაეცა საექსპლოატაციოდ 220 კილოვატიანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. 1960 წლისათვის ამაღლდა ელექტროენერგიის წარმოებისა და განაწილების ცენტრალიზაციის დონე. მაგ., თუ 1940 წელს ელექტროენერგიის ცენტრალიზაციის კოეფიციენტი 92% უდრიდა, 1960 წელს მან 97% შეადგინა. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ამ დროისათვის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბაზა კიდევ უფრო გაიზარდა, მიუხედავად ამისა, გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას.

1960 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტრობალანსში დეფიციტმა 214,4 მლნ კვტ-სთ შეადგინა ყოველივე ეს მოითხოვდა ელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა შემდგომ სწრაფ ზრდას. ამასთანავე, წინა წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ელექტროენერგიაზე მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის გზით შეუძლებელი იყო, ვინაიდან მშენებლობა, ჯერ ერთი, ძლიერ ძვირი ჯდებოდა და, მეორეც, მას დიდი დრო ჭირდებოდა. 1960 წელს დაიწყო თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მშენებლობა. მისი პირველი აგრეგატი 1963 წლის დეკემბერში ამუშავდა, ხოლო მერვე ბლოკე – 1972 წლის ოქტომბერში. ამ დროისათვის იგი მთელი სიმძლავრით მუშაობდა და მან 1250 ათასი კვტ შეადგინა.

თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მწყობრში შესვლამ მთლიანად შეცვალა თანაფარდობა ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავებაში. 1977 წელს თბოელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს მთელი წარმოებული ელექტროენერგიის 74%.

1962 წელს იწყება ენგურის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ენგურის ელექტროსადგურების კომპლექსი შედგება ერთი ძირითადი და ოთხი ვარდნილი ჰიდროელექტროსადგურისაგან. მათი საერთო სიმძლავრე 1640 ათას კვტ შეადგენს. ენგურჰესი ჰიდროელექტროსადგურის ბეტონის 271,5 მეტრის სიმაღლის კაშხალით უნიკალურ ნაგებობას წარმოადგენს.

1971 წელს დაიწყო ჟინვალჰესის, 1972 წელს ვარციხჰესის, ხოლო 1978 წელს ხუდონჰესის მშენებლობა. პირველი ექსპლუატაციაში შევიდა 1985 წელს, მეორე 1988 წელს, ხოლო ხუდონჰესის მშენებლობა შეწყდა ეკოლოგიური მოთხოვნების გამო.

1978 წელს ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში მოქმედებაში შევიდა ერთი ახალი აგრეგატი. 1988 ექსპლუატაციაში შევიდა თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი 300 მგვტ სიმძლავრით, 1989 საპროექტო ნიშნულს მიაღწია ენგურჰესის თაღოვანმა კაშხალმა, რის გამოც, მისი გამომუშავება გაზარდა.

60-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს ელექტროენერგეტიკაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოხდა. უწინარეს ყოვლისა, კიდევ უფრო ამაღლდა ელექტროგადამცემი ხაზების ძაბვა და გაიზარდა მაღალი ძაბვის მქონე ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე. მაგ.,თუ 1960 წლისათვის ელექტროგადამცემი ხაზების მაქსიმალური ძაბვა 220 კვტ შეადგენდა, 1965 წლისათვის იგი 330, ხოლო 1970 წლისათვის - 500 კვტ უდრიდა. გაიზარდა ცალკეულ ელექტრომოწყობილობათა და ელექტროსადგურთა ერთეული სიმძლავრე. მაგ., თუ 1960 წელს თბოტურბინის მაქსიმალური სიმძლავრე 50 ათას კვტ უდრიდა, 1965 წელს იგი 150 ათას, ხოლო 1970 წელს 160 ათას კვტ შეადგენდა. ჰიდროტურბინების მაქსიმალური სიმძლავრე 1960 წელს 38 ათასი, 1965 წელს-

56 ათასი, 1970 წელს- 73,3 ათასი, ხოლო 1978 წელს 240 ათასი კვტ იყო. შემცირდა პირობითი სათ-სათბობების ხვედრი გასავალი 1 კვტ ელექტროენერგიის გამომუშავებაზე, ამაღლდა ელექტრო-ენერგიის წარმოების ცენტრალიზაციის დონე. 1978 წელს ელექტროენერგიის წარმოების ცენტრალიზაციის კოეფიციენტმა 99,8% შეადგინა.

1981-1990 წლებში ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში თითქმის ერთ დონეზე რჩებოდა, ამიტომ სწრაფად იზრდებოდა ელექტროენერგიის დეფიციტი. შემდეგ წლებში წლებში საქართველო ელექტროენერგეტიკაში უკიდურესად გამწვავდა. განსაკუთრებით საქართველოსათვის გაზის მოწოდების შეწყვეტის შემდეგ ლექტროენეტგიის დიდი ნაწილი მოიხმარებოდა მოსახლეობის მიერ, ეკონომიკაში ელექტროენერგიის მოხმარება კი ძლიერ შემცირდა. გაიზარდა ელექტრო-ენერგიის დანაკარგები ელექტროქსელში, გახშირდა დენის ავარიული გამორთვები, შემცირდა ელექტროენერგიის ხარისხობრივი მაჩვენებლები, გართულდა ელექტროსადგურების საწვავით მომა-რაგება და სხვ. საქართველოს ენერგოსისტემა იძულებული იყო ემუშავა არასტანდარტულ და ავარიულ ზღვარზე. სახსრების უქონლობის გამო თითქმის შეწყდა ენერგოობიექტების სარემონტო სამუშაოები. ეს კი დამანგრევლად მოქმედებდა სისტემის მოწყობილობა-დანადგარებზე. ვერ ხერხდებოდა დახარჯული ელექტროენერგიის აღრიცხვა და საფასურის ამოღება. სახეზე იყო ენერგეტიკული კრიზისი.

არსებული მდგომარეობიდან გამოსვლა მოითხოვდა დარგის რეორგანიზაციას. მაგრამ, რეფორმების ის ნაკლოვანებანი, თუ დადებითი მხარეები, რაც საქართველოს მთელი ეკონო-მიკისათვის არის დამახასიათებელი, ენერგეტიკის სექტორშიდაც აისახა: საერთოდ, ენერგეტიკის აღიარება პრიორიტეტულ დარგად სახელმწიფოს მიერ გვიან მოხდა, სერიოზული რეფორმებიც ენერგეტიკის სფეროში გვიან დაიწყო და თანაც არამიზანმიმართულად. თავდაპირველად შეიქმნა ელექტროენერგეტიკის სამინისტრო, რომელშიდაც შედიოდა "საქენერგო" და მისი ობიექტები. "საქნახშირი" და "საქნავთობი" ისევ საწარმოო გაერთიანებებად დარჩნენ. შემდეგ შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელშიდაც ყველა ენერგეტიკული საწარმოო გაერთიანდა, მაგრამ იგი მალე გაუქმდა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დეპარტამენტები: "საქენერგო", "საქნავთობი" და "საქნახშირი", რომელთაც კოორდინაციას უწევდა სახელმწიფო მეთაურის აპარატში შექმნილი სპეციალური ორგანო, რომელიც ასევე მალე გაუქმდა და შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკული კორ-პორაცია, რომელშიც კვლავ ყველა ენერგეტიკული სამსახური გაერთიანდა. აღნიშნული კორპო-რაციის ბაზაზე საბოლოოდ შეიქმნა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელსაც დაევალა სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ენერგეტიკის სფეროში. სწორედ ამის შემდეგ იწყება შედარებით მიზანმიმართული რეფორმები ენერგეტიკის სექტორში.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში რეფორმები ტარდებოდა რეორგანიზაციის, პრივატი-ზების, კონკურენციის გაძლიერებისა და სახელმწიფო რეგულირების განხორციელების მიმართულე-ბით. დასრულდა "საქენერგოს" რეორგანიზაცია სამ დამოუკიდებელ სექტორად: გენერაცია, გადაცემა-დისპეტჩერიზაცია და განაწილება. პირველ სექტორში შეიქმნა სახაზინო საწარმო – სახელმწიფო კომპანია "საქენერგოგენერაცია", მეორე სექტორში – სახაზინო საწარმო – სახელმ-წიფო კომპანია "საქენერგო", ხოლო მესამე სექტორში – 60 განცალკევებული დისტრიბუტორი კომპანიები, რომელთა აქციები მათ პრივატიზაციამდე რჩება სახელმწიფოს ხელში და მართვისას გადაეცემა ადგილობრივ ორგანოებს.

"საქენერგოგენერაციის" შემადგენლობაში შედიან ელექტროსადგურები, სამშენებლო-სარე-მონტო და მომსახურე ორგანიზაციები, რომელთა ბაზაზე დაფუძნებულია სააქციო საზოგადოებები. ისინი დამოუკიდებელნი არიან და აქვთ საკუთარი მართვის ორგანოები.

"საქენერგოს" მთავარი ფუნქციაა ელექტროენერგიის შესყიდვა ელექტროენერგიის მწარმოე-ბელი ორგანიზაციებიდან და მისი გადანაწილება ენერგოკომპანიებსა და სხვა მომხმარებლებს შორის. იგი ელექტროენერგიის რეალიზაციას აწარმოებს ახლად შექმნილი ელექტროენერგიის რეალიზაციისა და დისპეტჩერიზაციის 12 სამმართველოს მეშვეობით.

ელექტროენერგიის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ენერგეტიკული ნაგებობების მომ-სახურება, კერძოდ, ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ექსპლუატაცია, მათი რემონტი და მშენებლობა ევალება ასევე "საქენერგოს" ბაზაზე შექმნილ სახელმწიფო კომპანია "ელექტრო-გადაცემას".

1998 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, რომლის მიზანი იყო ელექტროენერგეტიკულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება. ელექტრო-ენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების სფეროებში ეფექტიანობის ამაღლება და კონკურენციის ეტაპობრივი განვითარება, სექტორში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ლიცენზიანებს შორის საიმედო, სამართლიანი და სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბება, ერთიანი ენერგოსისტემის მდგრადი სტრუქტურის შენარჩუნება.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებიით დამტკიცდა ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზების გეგმა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ელექტროენერგეტიკაში დაიწყო ფართომასშტაბიანი პრივატიზების პროცესი. მოხდა სააქციო საზო-გადოება "თელასი" პრივატიზება, დაარსდა კომპანია "AES-თელასი". შემდგომში ამავე კომპანიამ შეიძინა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები და

მას “AES-მტკვარი” ეწოდა. ასევე განხორციელდა„ რამი-1“ და „ხრამი -2“ ჰესების გრძელვადიან მართვაში (25 წელი) გადაცემა. მოხდა ელექტროგამანაწილებელი სხვა ობიექტების პრივატიზაციაც.

საქართველოს ენერგეტიკაში არასაბაზრო გარემოს არსებობის გამო “AES-თელასის” და “AES-მტკვარის” კომპანიების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა საქართველოდან წასულიყო და აღნიშნული ენერგოკომპანიები რუსეთის სახელმწიფო ენერგოკომპნიისათვის მიეყიდა.

ელექტროენერგეტიკაში რეფორმების მიმართულებით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს მისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. ისეთი კანონები, როგორიცაა კანონი: ელექტროენერგეტიკის და გაზის შესახებ, პრივატიზაციის შესახებ, მეწარმეობის შესახებ, გარემოს დაცვის შესახებ, წიაღის შესახებ ქმნიან გარკვეულ სამართლებრივ ბაზას ელექტროენერგეტიკაში რეფორმების შემდეგი გაგრძელებისათვის.

კანონი ელექტროენერგეტიკის და გაზის შესახებ ელექტროენერგეტიკის სფეროში აწესრიგებს ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას ელექტორენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილებისა და მოხმარების დროს, საბაზრო პრინციპების შესაბამისად. კონკურენციის მექანიზმებისა და არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების შეხამებით უზრუნველყოფს ელექტროენერგიის ეფექტიანი წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების დანახარჯების ზუსტ ასახვას სატარიფო სისტემაში, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით [20].

უმნიშვნელოვანესი ფაქტი იყო ის, რომ აღნიშნული კანონის შესაბამისად შეიქმნა საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. იგი არის მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას და ორგანიზაციას, თავის კომპენტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ აქტებს, რომლის მიხედვითაც მტკიცდება სალიცენზიო და სატარიფო განაცხადების მიღებისა და განხილვის წესები, ლიცენზიების გაცემის, მოდიფიცირების, შეჩერების და გაუქმების წესები და პირობები, სადაო საკითხების განხილვის პროცედურული წესები.

მიუხედავად ზემოადნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისა, საქართველოში ელექტროენერგიით მომარაგება 2007 წლამდე არ გაუმჯობესებულა. ელექტროენერგიის გამომუშავების ყველაზე დიდი შემცირება აღინიშნა 2001 წელს – 6 942 მლნ. კვტ.სთ ანუ წარმოება 1967 წლის დონემდე დაეცა.

ცხრილი 1

ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება საქართველოში[170]
(2005-2014 წწ.)

დასახელება	2005	2007	2008	2010	2013	2014
წარმოება	6 880,8	8 169,5	8 279,1	9 919,2	9 860,6	10153,7
მათ შორის						
ჰესი	5 850,2	6 724,5	7 053,6	9 263,3	8 163,5	8221,1
თესი	1 030,6	1 445,0	1 225,5	655,9	1 697,1	1932,6
დანაკაგერბი ქსელში	314,8 3,8%	164,7 1,91%	173,7 1,95%	175,1 1,73%	204,1 1,97	215,9 2,08
მოხმარება სულ **სალდო (±)**	7 842,8 -96,2	7 812,6 +356,9	8 074,8 +204,3	8 442,0 +1477,2	9 690,1 +170,5	10186,1 -32,4

1-ლი ცხრილი გვიჩვენებს, რომ ელექტროენერგიის როგორც მოხმარების, ისე წარმოების მოცულობა წლების განმავლობაში იზრდება, 2007 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ელექტრობალანსი დადებითი იყო, თუმცა 2014 წელს კვლავ დეფიციტური გახდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ელექტროენერგეტიკულ სიმძლავრეთა გამოყენების დონე ჯერ კიდევ დაბალია და რომ აუცილებელია სიმძლავრეთა შემდგომი სწრაფი ზრდა. განსაკუთრებით აუცილებელია მდიდარი ჰიდროენერგორესურსების ათვისება (დღეისათვის ათვისებულია ტექნიკურ შესაძლებლობათა მხოლოდ 12-13 და ეკონომოკურის მხოლოდ 30 პროცენტი). იდროენერგეტიკის განვითარებას ხელს უშლის ეკოლოგიური ფაქტორი და ხშირ შემთხვევაში მისი გაზვიადებული წარმოჩენა. მაგალითად ამ მიზეზით შეწყდა ხუდონჰესის მშენებლობა და იმავე მიზეზით ფერხდება მასზე სამუშაოების გაგრძელება. არადა, ელექტკოენერგის უკმარისობა უფრო მეტ როგორც ეკოლოგიურ, ისე ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს.

[170] ცხრილი გაანგარიშებულია სემეკის წლიური ანგარიშების მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამუშაოები ელექტროენერგეტიკაში გააქტიურდა, მაინც სერიოზული პრობლემები რჩება: დაბალია ენერგომოწყობილობათა ტექნიკური მაჩვენებლები, რის გამოც მაღალია სათბობის ხვედრი ხარჯი ელექტროენერგიის წარმოებაზე, პროდუქციის ელექტროტევადობა და დანაკარგები ელექტროქსელში. ასევე თითქმის არაფერი კეთდება ელექტროენერგიის მოხმარების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით დას ხვ.

ნავთობი. შორეულ წარსულში იღებს სათავეს ქართული ნავთობის ისტორია. იგი გამოიყენებოდა საწვავად, სამკურნალოდ, განათებისთვის, სამეურნეო საქმიანობისა და საომარი მიზნებისათვის.

პირველი ცნობები საქართველოში ნავთობის მოპოვების თაობაზე ჯერ კიდევ ბერძნულ მითოლოგიაში გვხვდება. ლეგენდების თანახმად, ბერძნებს ნავთობი გაჰქონდათ კოლხეთიდან საწვავი ნარევის დასამზადებლად და იყენებდნენ საომარი მოქმედებების დროს. ამ საიდუმლო იარაღს „ბერძნულ ცეცხლს“ უწოდებდნენ. ცნობილი მოგზაური მარკო პოლო, რომელიც 1286 წელს ჩინეთიდან ვენეციაში აღმოსავლეთის გზით ბრუნდებოდა, თავისი შთაბეჭდილებების წიგნში წერს:[171] “სომხეთის ჩრდილოეთით ძევს გეორგიანა, ადგილი შესანიშნავი წყაროებით, რომლებიდანაც მოედინება ზეთის მაგვარი პეტროლიუმის სითხე და მას ხმარობენ არა საჭმელად, არამედ წვავენ ლამპებში და იყენებენ როგორც საკმაოდ სასარგებლო საშულებას ბევრი ავადმყოფობის დროს, ხოლო ეს წყაროები ისე სწრაფად მოედინებიან, რომ იმით ტვირთავენ აქლემებს და მიაქვთ მეზობელ რაიონებში”.

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოში მცხოვრებნი ნავთობს ორმოებსა და ჭებში აგროვებდნენ და საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საჭიროებისათვის იყენებდნენ. ყველაზე ძველ საბადოებად ითვლება ნავთლუღის, შირაქისა და ელდარის ნავთობის წყაროები.

პირველი ცნობა შირაქისა და ელდარის ნავთობის შესახებ 1846 წლით თარიღდება, როდესაც ვინმე ისმაილ მაშად ოღლიმ განცხადებით მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს, ნავთობის მოპოვების მიზნით ამ მიწების მისთვის გამოყოფის თაობაზე. საბადოებზე 1865 წელს მოქმედი 53 ჭიდან წელიწადში 785 ტონა ნავთობი მოიპოვეს. 1867-1878 წლებში შირაქისა და ელდარის ნავთობსარეწები ეკუთვნოდა პრუსიელ ვალტერ სიმენსს. 1869-1876 წლებში აქ გაიბურღა 122 ჭაბურღილი, რომელთა სიღრმე 8-65 მეტრის ფარგლებში ცვალებადობდა. ჭაბურღილებიდან ნავთობი ტუმბოების საშუალებით ამოჰქონდათ. 1869-1876 წლებში შირაქისა და ელდარის საბადოებზე მოპოვებულ იქნა 12.399 ტონა ნავთობი, გაიბურღა 122 ჭაბურღილი, რომელთა სიღრმე ცვალებადობდა 8-65 მეტრის ფარგლებში და მხოლოდ ერთი მათგანი აღწევდა 107 მეტრს. სიმენსმა წითელწყაროში მოაწყო ფოტოგენის ქარხანა, სადაც გამოხდის პირველად პროდუქტს ნავთობი წარმოადგენდა. ქარხანაში მიიღებოდა ნავთი, ბენზინი და მძიმე ზეთები. შემდგომ წლებში პროდუქტების რაოდენობა გაიზარდა. მიიღებოდა გაზოლი, ლიგროინი, სოლაინისა და მანქანის ზეთები, ხოლო ნარჩენებისაგან მზადდებოდა – ასფალტი, ასფალტის ლაქი, ფისი, ყავარი სახურავებისათვის, კოქსი და გუდრონი.

შირაქის, ელდარისა და მირზაანის საბადოების გარდა, სამხრეთ კახეთის ნავთობის წყაროებიდან ცნობილი იყო: ბაიდა, კაპიჩი, კიდურმა, ახტაპაბასიდა, ნაზამბარები.

1978 წელს გურიაში, სოფელ საღვთოს მახლობლად, ბურღვითი ოპერაციების შემდეგ ნავთობის შადრევანმა ამოხეთქა.

საქართველოში შემდგომ პერიოდში დიდი ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა საბადოების ბურღვისა და ნავთობის მოპოვების ტექნიკის გასაუმჯობესებლად.

1930 წლის 7 იანვარს საქართველოში ჩამოყალიბდა ტრესტი “საქნავთობი”, რომელმაც თავის ხელში აიღო ნავთობის მრეწველობის გეოლოგიურ-საძიებო და საწარმოო-ტექნიკური სამუშაოები და განახორციელა ძველი ნავთობშემცველი რაიონების ღრმად შესწავლისა და ახალ საბადოთა აღმოჩენის სამუშაოები. გამოვლინდა ნავთობშემცველი უბნები კახეთში, ქართლში, იმერეთში, გურიასა და რაჭაში.

1933-1936 წლებში საქართველოში გაიბურღა 41885 მეტრი და აშენდა 38 ჭაბურღილი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ექსპლუატაციაში შევიდა მირზაანის მცირე ზომის ნავთობსახდელი ქარხანა. 1937 წელს, 1932 წელთან შედარებით, ნავთობის მოპოვება 36-ჯერ გაიზარდა. 1940 წლისათვის “საქნავთობის” სისტემის საექსპლოატაციო ფონდში უკვე 162 ჭაბურღილი ირიცხებოდა, შენდებოდა მირზაან-კაჭრეთის ნავთობსადენი.

II მსოფლიო ომის დაწყების გამო ღრმა საძიებო სამუშაოები შეწყდა ყველა უბანზე, საექსპლუატაციო ბურღვა მიმდინარეობდა მხოლოდ მირზაანისა და პატარა შირაქის საბადოებზე. ომის შემდეგ კვლავ განახლდა საძიებო ბურღვა მირზაანში, ნორიოში, კავთისხევში, მლაშისხევსა და სუფსაში, შემდეგ კი ლელუბან-ღვთაების, ჭალადიდის, ყულევის, ქვადონისა და პატარძეულის მოედნებზე. მაგრამ, მიუხედავად საბურღი სამუშაოების დიდი მოცულობისა, საძიებო სამუშაოთა ეფექტიანობა მაინც ძალზე დაბალი იყო. ამ გაბურღვების შედეგად არც ერთი ახალი საბადო არ

[171] ხმალაძე გ., ხმალაძე ნ. საქართველოს ნავთობ მრეწველობა გარდამავალ პერიოდში. თბილისი ”თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2002.

აღმოჩენილა. 1954 წლიდან თითქმის შეწყდა საექსპლუატაციო გაბურღვა, რაც მხოლოდ 1965 წელს განახლდა.

მნიშვნელოვანი წარმატებები ნავთობის მოპოვების საქმეში მიღწეულ იქნა 1974 წლიდან. აღნიშნულ წელს გურიაში წყალწმინდის მოედანზე 42-ე ჭაბურღილის გამოცდისას 3600 მ სიღრმეზე განლაგებული ფენიდან დღე-ღამეში მიღებულ იქნა 150 ტონა ნავთობი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში სამგორის საბადოზე 7-ე ჭაბურღილიდან რამდენიმე დღის შემდეგ ამოხეთქა ნავთობის შადრევანმა 123 ტონა საწყისი დებიტით დღე-ღამეში. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა გეოლოგიურ-საძიებო და გეოფიზიკური სამუშაოების გაძლიერება.

1974 წლიდან მოყოლებული, თითქმის 10 წლის განმავლობაში, ნავთობის მოპოვება სულ უფრო იზრდებოდა. მისი მოპოვება მომგებიანი გახდა. ეს ძირითადად განაპირობა სამგორ-პატარძეულის მაღალმწარმოებლური საბადოს ექსპლუატაციამ, საიდანაც ნავთობი შადრევნული წესით მოიპოვებოდა. ნავთობის მოპოვების ზრდამ განაპირობა სამგორი-გაჩიანის ნავთობსადენის მშენებლობა, სიგრძით – 22 კმ, რათა შეეერთებინა მაღალმწარმოებლური საბადო ბაქო-ბათუმის ნავთობსადენთან. მოგვიანებით აშენდა სამგორი-ბათუმის ახალი ნავთობსადენი, თუმცა 1984 წელს ნავთობის მოპოვება მოულოდნელად შემცირდა. ეს განაპირობა სამგორი-პატარძეულის საბადოს ინტენსიურმა გაწყლოვანებამ, რისი მთავარი მიზეზიც ამ საბადოს პოტენციური შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება იყო.

ნავთობის მოპოვება საქართველოში 1990 წლამდე ხორციელდებოდა ოთხ ნავთობსარეწზე, რომელიც მოიცავდა ათ საბადოს და ორ სადაზვერვო მოედანს.

სამგორი-პატარძეულის საბადო დამუშავებაში შევიდა 1974 წელს. 1980 წელს დადგენილი იქნა ნავთობის საბალანსო მარაგი – 74,5 მლნ ტონა. მაგრამ, 1984 წელს სპეციალური შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ეს მარაგი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და იგი მხოლოდ 22,2 მლნ ტონა იყო. ამ საბადოზე ნავთობის მაქსიმალური მოპოვება 1981 წელს შეადგენდა 3,2 მლნ ტონას. 1990 წელს ეს მაჩვენებელი 116 ტონამდე შემცირდა. სამგორის სამხრეთ გუმბათის საბადო გაიხსნა 1979 წელს. ბუდობის სიგრძეა 4,8, ხოლო სიგანე – 1,1 კმ. ამ საბადოზე 1990 წლისათვის ნავთობის მოპოვება შეადგენდა 32,5 ათას ტონას წელიწადში, ანუ 1983 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 15,9%-ს. თელეთის საბადო გაიხსნა 1977 წელს. მისი სიგრძეა 6,7, ხოლო სიგანე 2,4 კმ. ბუდობის ნავთობის მარაგი თანდათან მცირდებოდა, ამის მიზეზია ჭაბურღილის ინტენსიური გაწყლოვანება. მირზაანის საბადო ექსპლუატაციაში შევიდა 1930 წელს. ამ საბადოზედაც ნავთობის მოპოვება თანდათან შემცირდა და 1995 წელს მაქსიმალური დებიტის მხოლოდ 8,2% შეადგინა. ფენების გაწყლოვანება 39%-ს შეადგენდა. ნორიოს საბადოზე ნავთობის ამოღება 1939 წელს დაიწყო. აქ ნავთობის დებიტმა მაქსიმალური 20,7 ათასი ტონიდან 2,1 ათას ტონამდე დაიწია. გაწყლოვანება 57,0%-ს შეადგენდა. საცხენისის საბადო ექსპლუატაციაშია 1956 წლიდან. 1990 წელს აქ მოიპოვებოდა მაქსიმუმის მხოლოდ 40%, ანუ 1,1 ათასი ტონა ნავთობი. პატარა შირაქის საბადო მოქმედებაშია 1932 წლიდან. ნავთობის დებიტი მუდმივად მცირდებოდა და 1990 წლისათვის 8,9 ტონას შეადგენდა, ანუ მაქსიმალურ დებიტზე 12,3-ჯერ ნაკლებს. არდაბნის საბადო მოქმედებაში შევიდა 1969 წელს. მისი სიღრმე 2300-2700 მეტრია. ნავთობის დებიტი ამ საბადოზე შედარებით სტაბილურია იყო, გაწყლოვანება 21%-ს შეადგენდა. ჭალადიდის საბადო ამუშავდა 1969 წლიდან 2000 მეტრის სიღრმეზე. 1979 წლიდან ნავთობის მოპოვება თანდათან შემცირდა და 1990 წლისათვის 200 ტონა შეადგინა, ე.ი. 17,5-ჯერ შემცირდა. გაწყლოვანება მაღალია – 57%. სუფსის საბადო 1939 წელს ამოქმედდა და ნავთობის დებიტი აქ შედარებით სტაბილურია. რუსთავის საბადო საცდელ დამუშავებაში იმყოფებოდა 1983 წლიდან.

როგორც ჩანს, ყველა საბადოზე ნავთობის მოპოვება მკვეთრად იკლებდა. ყოველივე ეს, განსაკუთრებით კი ნავთობის მოპოვების სწრაფი შემცირება სამგორის საბადოზე, კატასტროფულად აისახა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ძირითადი კაპიტალის გამოყენების დონე საქართველოს ნავთობმოპოვებაში 1980-1990 წლებში 26-ჯერ დაეცა, ხოლო შრომის მწარმოებლურობა თითქმის 15-ჯერ და მეტად შემცირდა. 1984 წლიდან დაწყებული, მოგება სწრაფად მცირდება და 1986 წელს ნავთობის მოპოვება არარენტაბელური გახდა.

ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება ძირითადად გამოწვეული იყო ასევე ობიექტური მიზეზით, რაც დაკავშირებულია ნავთობის მოპოვების თავისებურებებთან. მაგალითად, ამორტიზაციის ანარიცხები წარმოებდა მოწყობილობის პასპორტით განსაზღვრული მთელი ვადის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, მუშაობდა ჭაბურღილი, თუ არა. ჭაბურღილის ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემთხვევაშიც კი, ამორტიზაციის ანარიცხების დარიცხვა მაინც ხდება და ეს თანხა შედის იმ პროდუქციის თვითღირებულებაში, რომელიც წარმოებულ იქნა სხვა ჭაბურღილებში. საქართველოში კი ასეთი ჭაბურღილები დიდი რაოდენობით იყო, განსაკუთრებით 1988 წლამდე, კერძოდ, მანამდე, სანამ მთავრობის დადგენილებით არ მოხდა დიდი რაოდენობის ძირითადი კაპიტალის ჩამოწერა. მაგრამ ამის შემდეგაც ნავთობის თვითღირებულების მაჩვენებელი მაინც მაღალი რჩებოდა. გარდა ამისა, ეკონომიკურ მაჩვენებლებზე მოქმედებდა გეოლოგიურ-ფიზიკური პარამეტრები, რომლებიც თანდათან გაუარესდა.

ნავთობის გეგმაზომიერი სადაზვერვო და სამძებრო სამუშაოები საქართველოს ტერიტორიაზე

წარმოებს 1930 წლიდან. განსაკუთრებით დიდი მოცულობით აღნიშნული სამუშაოები იწყება 1975 წლიდან და 1980 წლისათვის იგი ორმაგდება. მიუხედავად ამისა, გეოლოგიურ-სამძებრო სამუშაოები ხასიათდებოდა ბევრი ნაკლოვანებებით, რის გამოც მათი ეფექტიანობა არასაკმარისი იყო. ხშირად არადამაკმაყოფილებლად ემზადებოდნენ სადაზვერვო ბურღვისათვის, რის გამოც ბევრი ჭაბურღილი ნაწილობრივ ან სავსებით ვერ ასრულებდა თავის საპროექტო დანიშნულებას. დაბალი იყო ბურღვის სიჩქარე, ხშირი იყო ავარიული შემთხვევები, რაც უმეტესწილად ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შედეგად ხდებოდა. მოწყობილობა, რომელიც გამოიყენებოდა სამძებრო-სადაზვერვო სამუშაოებში, არ შეესაბამებოდა საქართველოს რთულ გეოლოგიურ პირობებს.

ძლიერ ეცემა ნავთობის მოპოვების მოცულობა საქართველოში 1993 წლიდან. მაგალითად, თუ 1986-1991 წლებში ნავთობის მოპოვება წელიწადში 180 ათასი ტონით განისაზღვრებოდა, 1992 წელს 125 ათას, ხოლო 1993-1996 წლებში 25 ათას ტონას ვერ გადააჭარბა. მის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე აღინიშნა, იყო არსებული საბადოების შესაძლებლობების შემცირება, თუმცა, აქ დიდი როლი ითამაშა ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებამ. კერძოდ, ხდებოდა ნავთობის დატაცება სამგორი-ბათუმის ნავთობსადენებიდან და არსებული სარეწებიდან კუსტარული წესით ნავთობპროდუქტების მიღება. მექანიკური წესით მოქმედ ჭაბურღილებზე მოხდა ელექტროდანადგარებიდან ფერადი ლითონების დატაცება, რამაც მრავალი ჭაბურღილის უმოქმედობა გამოიწვია.

საქართველოს ნავთობის მოპოვების სფეროშიც გატარდა რეფორმები. თავდაპირველად საწარმოო გაერთიანება "საქნავთობის" ბაზაზე შეიქმნა დეპარტამენტი "საქნავთობი". შემდეგ დეპარტამენტი "საქნავთობი" გარდაიქმნა სახაზინო საწარმო სახელმწიფო კომპანია "საქნავთობად", რომელსაც მიენიჭა ქვეყნის ნავთობწარმოების მართვის ფუნქციები.

2006 წელს შეიქმნა "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" 100%-იანი სახელმწიფო წილით. კორპორაციის საწესდებო კაპიტალში შევიდა სს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის", სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" და სს "საქნავთობის" სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციები.

კორპორაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - ნავთობისა და გაზის რესურსების დაძიება, მათი ათვისება, მოპოვება, ამ სამუშაოთა დაპროექტება, ასევე ნავთობისა და გაზის, მათი პროდუქტების საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტირების, ტრანზიტის, ექსპორტის, იმპორტის, შენახვის, მომზადების, გადამუშავების, რეალიზაციისა და მარკეტინგის ოპერაციების წარმოება.

სსიპ "ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო" ახორციელებს ნავთობისა და გაზის ოპერაციების სამართლებრივ რეგულირებას, სააგენტო მოქმედებს "ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონის საფუძველზე და ეფუძნება ერთი გაჩერების პრინციპს, რაც გულისხმობს ერთიანი საინვესტიციო გარემოს შექმნას. "ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო" გასცემს უფლებამოსილებას ნავთობისა და გაზის ოპერაციებზე. სახელმწიფოს კუთვნილი ნავთობის განაწილებისა და განკარგვის კუთხით კი ნომინირებულია ეროვნული ნავთობკომპანია სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია".

ამჟამად საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 25 სალიცენზიო ბლოკად.[172] ბლოკებზე ნავთობისა და გაზის სარგებლობის გენერალური ლიცენზია ღია საერთაშორისო ტენდერების საფუძველზეა გაცემული. დღეისათვის 23 კომპანია ნავთობის 21 სალიცენზიო ბლოკზე მუშაობს, რომელთაგან 6 კომპანია უშუალოდ მოპოვებას ახორციელებს. 2013 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ნავთობის რეზერვები შემდეგია: დადასტურებული – 1. 42 მლნ ტონა, სავარაუდო – 5. 222 მლნ ტონა, შესაძლო – 21. 137 მლნ ტონა

საქართველოში წიაღისეულის მოპოვების დაწყებიდან საშუალოდ 27.7 მლნ ტონა ნავთობია მოპოვებული. ბოლო წლების განმავლობაში კი წლიური საშუალო მოპოვება 50 ათას ტონა ნავთობს შეადგენს. ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე მოცემულია ნავთობის მოპოვების მოცულობა 2007-2014 წლების მიხედვით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მოპოვება ყოველწლიურად მცირდება.

ამჟამად საქართველოში ნავთობისა და გაზის მოპოვების საქმიანობას ახორციელებენ შემდეგი ნავთობკომპანიები: "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია" (1997 წლიდან), „ნინოწმინდის ნავთობ-კომპანია" (1996 წლიდან), შპს "ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედი" (2010 წლიდან), „ჯორჯია ოილ ენდ გეზ ლიმიტედი" (2011 წლიდან), "ვექტრა პეტროლეუმ ლიმიტედი" (2012 წლიდან), შპს "ისკანდერ ენერჯი (ჯორჯია) ლიმიტედი" (2013 წლიდან).

[172] http://bfm.ge/ekonomika/navtobis-mopoveba-saqartveloshi-warmoeba-rezervebi-da-mompovebeli-kompaniebi/



გრაფიკი 1. ნავთობის მოპოვება საქართველოში, 2007-20014 წწ., ტონა

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ საქართველო გახდა **ნავთობის სატრანზიტო ქვეყანა.** 1998 წლის 10 დეკემბერს ბაქოში სანგაჩალის ტერმინალიდან "დასავლეთის მიმართულების" ნავთობსადენში ჩაიტვირთა პირველი ნავთობი და ამით აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმმა დაიწყო კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირება ბაქო-სუფსის მიმართულებით. 1999 წლის იანვრის პირველ კვირას ნავთობი საქართველოში შემოვიდა.

ნავთობსადენის მშენებლობის საერთო ღირებულებამ 590 მლნ დოლარი შეადგინა. აღდგა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენი, აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრიდან სამგორამდე აშენდა 39,5 კმ-იანი მილსადენი, სატუმბი და წნევის დამწევი სადგურები, ტერმინალი სუფსაში და საზღვაო ჩამტვირთავი მოწყობილობები. სულ აშენდა ოთხი ტერმინალი, თითოეული 40 000 ტონა ტევადობის, რომელთაც 26 ჰა მიწის ფართობი უკავიათ. ნავთობსადენის მშენებლობის ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, კომისიამ, რომელიც შექმნილი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, მოამზადა მილსადენის გასწვრივ არსებული მდგომარეობის დასკვნა, რომლის საფუძველზე მსოფლიოს ცნობილი ეკოლოგიური კომპანიების "დეიმს ენდ მურის" (ინგლისი), "დეტ ნორსკე ვერიტასის" (ნორვეგია) და საქართველოს სპეციალისტების შეფასებით ნავთობსადენი ეკოლოგიური ნორმების შესაბამისად იმუშავებს.

აზერბაიჯანიდან "აზარი-ჩირაგი-გიუნეშლის" საბადოდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირება "თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის" ნავთობსადენის მეშვეობით ხორციელდება. იგი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია. მისი მშენებლობა 4 მლრდ აშშ დოლარი დაჯდა. იგი მსოფლიოში ყველაზე გრძელი (სულ 1768 კმ, აქედან აზერბაიჯანზე – 443, საქართველოზე – 249, ხოლო თურქეთზე 1076 კმ მოდის) ნავთობსადენია. ამ ნავთობსადენით ნავთობის ტრანსპორტირება 2005 წლის მაისში დაიწყო.

ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა საქართველოში 1998 წლამდე წარმოდგენილი იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნით, რომელიც აშენდა 1929 წელს. იგი აწარმოებდა 70-ზე მეტი დასახელების ნავთობპროდუქტს: ზეთს, ბენზინს, ნავთს, სხვადასხვა სახის სათბობს, მაზუთს და სხვ. 1980 წელს აქ ნავთობის გადამუშავებაში საქართველოს ნავთობის წილი 70%-ს, 1990 წელს კი მხოლოდ 40%-ს შეადგენდა. შემდეგ წლებში იგი ძლიერ შემცირდა და დაახლოებით 5-7% შეადგინა. დღეისათვის აღნიშნული ქარხნა აღარ არსებობს. ამჟამად გათვალისწინებულია აშენდეს ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც თითქმის მთლიანად დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნას ნავთობპროდუქტებზე.

ქვანახშირის მრეწველობა. საქართველოში ქვანახშირის მოპოვებას და მის სამრეწველო დანიშნულებით გამოყენებას მცირე ხნის ისტორია აქვს. ამ დარგის განვითარებამ შედარებით მაღალ დონეს 900-იან წლებში მიაღწია. 1895 წ. ჩამოყალიბდა ტყიბულის ქვანახშირისა და ბრიკეტის წარმოების საზოგადოება, რომლის განკარგულებაში გადავიდა შახტი, საბრიკეტო ფაბრიკა და რკინიგზა. უკვე 1900 წ. მოპოვებულ იქნა 62820 ტ ქვანახშირი, ხოლო 1913 წელს- 67395 ტ. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ქვანახშირის მოპოვება მკვეთრად შემცირდა. 1917 წ. მან 42916 ტ შეადგინა. 1921-1922 წწ. ტყიბულის მაღაროებში მუშაობდა 700 მუშა, რომლებიც იღებდნენ 25 ათას ტონა ქვანახშირს. 1925-1926 წწ. ქვანახშირის წარმოება 87,9 ათას ტონამდე გაიზარდა.

პირველი ხუთწლედის ბოლოს ქვანახშირის მოპოვებამ რესპუბლიკაში 206 ათას ტონას მიაღწია, მთლიანად ხუთწლედში კი 534 ათას ტონას, ხოლო მის საბადოებში კაპიტალდაბანდებამ

16374 ათასი მანეთი შეადგინა. ამ წლებში ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა წარმოადგენდა იმ ძირითად ბაზას, რომელიც ქვანახშირით ამარაგებდა ამიერკავკასიის მთელ სამრეწველო ობიექ-ტებს.

პირველი ხუთწლედიდან იწყება აგრეთვე დიდი საძიებო სამუშაოები ტყვარჩელისა და გელათის ქვანახშირისა და ახალციხის მურანახშირის საბადოებში, განსაკუთრებით კი ტყვარჩელში, სადაც მაღალხარისხოვანი კოქსვადი ქვანახშირის დიდი მარაგია. 1928-1932 წწ. ქვანახშირის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებამ შეადგინა 32553 ათასი მანეთი, აქედან საკუთრივ ტყვარჩელის საბადოებზე მოდიოდა 26996 ათასი მანეთი, ანუ 82,9%. მისი ექსპლოატაცია დაიწყო 1934 წლიდან. ამ წელს ტყვარჩელის საბადომ მოგვცა პირველი 200 ტონა ქვანახშირი.

მეორე ხუთწლედში კაპიტალდაბანდებათა მთლიანმა თანხამ ქვანახშირის მრეწველობასი შეადგინა 76,3 მლნ მანეთი, ხოლო ქვანახშირის მოპოვებამ 400 ათასი ტონა. მასში ჩაბმული იყო 1765 მუშა. ერთი მუშის საშუალო წლიურმა მოპოვებამ 226,6 ტონა შეადგინა. 1940 წ. ქვანახშირის ამოღება რესპუბლიკაში გადიდდა 625 ათას ტონამდე.

ომის პერიოდში ქვანახშირის ამოღება საქართველოში არ შემცირებულა. 1945 წ. ბოლოს მან 661 ათას ტონას მიაღწია. მაგრამ მთელი შესაძლებლობით ქვანახშირის მრეწველობის განვითარება საქართველოში დაიწყო მხოლოდ ომის შემდგომ პერიოდში. მაგ., ხუთწლედების მიხედვით ქვანახშირის ამოღებამ შეადგინა (ათას ტონ.): 1950 წ.-1725; 1955 წ.-2712; 1960 წ.-2850; 1965 წ.- 2621; 1970 წ.-2298.

1958 წლიდან რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვება შემცირების ტენდენციას განიცდის. 1958 წ. მოპოვებული იყო 3014 ათასი, 1960 წ.-2850 ათასი, 1965 წ.-2621 ათასი, 1970 წ.-2298 ათასი, 1975 წ.-2050 ათასი ტონა. ქვანახშირის მოპოვების ასეთი შემცირება განპირობებული იყო ძველი შახტების მარაგის ამოწურვით და არსებული შახტების სიმძლავრეების შეზღუდულობით, სამთო-გეოლოგიური პირობების გაუარესებით.

შემდეგ წლებშიდაც ქვანახშირის მოპოვებას კლებადი ტენდენცია აქვს, მაგალითად 1975-1990 წლებში ქვანახშირის წარმოება 2,6-ჯერ შემცირდა, რაც მისი მოპოვების სამთო-გეოლიგიური პირობების გართულებასთან ერთად, საშახტო მშენებლობის კატასტროფული შემცირებით იყო გამოწვეულიო. 1990 წლის შემდეგ საქართველოს მიერ დამოკიდებლობის მოპოვების სირთუ-ლეებთან დაკავშირებული საერთო ეკონომიკური კრიზისის გამო, ქვანახშირის მოპოვებაც კატასტროფულად დაეცა. 2000 წელს ქვანახშირის მოპოვებამ საქართველოში მხოლოდ 7,3 ათას ტონა შეადგინა, ანუ 1990 წელთან შედარებით 130,8-ჯერ შემცირდა. 2000 წელს ნახშირის მოპო-ვებამ საქართველოში მხოლოდ 7,3 ათას ტონა შეადგინა, ანუ 1990 წელთან შედარებით შემცირდა 130,8-ჯერ

2006 წელს ტყიბულის შახტები შეისყიდა შპს „საქნახშირმა" (ჯი-აი-ჯი ჯგუფმა). მათ განხორციელეს მრავალმილიონიანი ინვესტიცია, რის შედეგადაც ქვანახშირის მოპოვება აღდგა ორ შახტში, ასევე აშენდა უმაღლესი ტექნოლოგიებითაღჭურვილი ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა. 2014 წელს საქნახშირმა მოიპოვა 350,000 ტონა ქვანახშირი. კომპანია ქვანახშირით მთლიანად ამარაგებს ადგილობრივ ბაზარს. იგი გეგმავს ქვანახშირის მოპოვების გაზრდას წელიწადში 2 მილიონ ტონამდე. მას ასევე დაგეგმილი აქვს უახლოეს პერიოდში ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურისა და კოქსის ქარხნის მშენებლობა, რაც გაზრდის ქვანახშირზე მოთხოვნას.

განახლებადი და არატრადიციული ენერგორესურსები. განახლებადი ენერგო-რესურსებიდან საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიდროენერგორესურსები.

ადამიანი წყლის ბორბლების მეშვეობით უხსოვარი დროიდან გამოიყენებდა წყლის ენერგიას. წყლის წისქვილები შემონახულია დღემდე თითქმის უცვლელი სახით. მანუფაქტურული წარმოების ენერგეტიკულ ბაზას წყლის ენერგია წარმოადგენდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში ორთქლის მანქანებმა შეავიწროვეს წყლის ბორბალი, მაგრამ ელექტრული მანქანების და ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადაცემის აღმოჩენის შემდეგ, ჰიდროტურბინათა გამოგონების შედეგად წყლის ძრავებმა კვლავ დაიბრუნა თავისი დაკარგული მნიშვნელობა. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ჰიდრონერგეტიკულ რესურსებს. მეტისმეტად უხვი ატმოს-ფერული ნალექი და მთის რელიეფი განაპირობებს წყლის ენერგიის უზარმაზარ მარაგებს.

საქართველოში არსებობს 26 ათასზე მეტი მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 39,8 ათასი კმ-ია. მდინარეთა ბუნებრივი ჩამონადენების ჯამური მოცულობა საქართველოს ტერიტორიაზე შეადგენს 56,0 მლრდ $მ^3$, ხოლო გარედან მიღებული ჩამონადენებისა (სომხეთიდან და თურქეთიდან) – 9 მლრდ $მ^3$. ყველა ზედაპირული და სატრანზიტო ჩამონადენის თეორიული ჯამური ენერგია საქართველოში შეადგენს 229 მლრდ კვტ-სთ, ხოლო შესაბამისი სიმძლავრე კი 26,1 მლნ კვტ. ტერიტორიის ერთეულზე ჰიდროენერგეტიკული რესურსების მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი პირველია მთელ მსოფლიოში.

ჰიდროენერგორესურსები საქართველოში ტერიტორიის მიხედვით განლაგებულია არათანაბარ-ზომიერად. დასავლეთ საქართველოზე მოდის 72 პროცენტი, ხოლო აღმო-სავლეთ საქართველოზე – მხოლოდ 28 პროცენტი. ჰიდროენერგეტიკული რესურსე-ბის ყველაზე დიდი კონცენტრაციაა მდინარეების: კოდორის, ჩხალთის, ენგურის, ბზი-ფის, ნენსკრის, კელასურის და ცხენის-წყლის

აუზებში. 6 ყველაზე დიდი მდინარე (ენ-გური, რიონი, მტკვარი, ცხენის-წყალი, კოდორი და ბზიფი) ფლობს ყველა ძირითადი წყალ-ჩამონადენის ჯამური სიმძლავრის 34 პროცენტს.

დღევანდელი ტექნიკური დონისათვის ასათვისებელი ჰიდროენერგორესურსების პოტენციალი შეადგენს 80-85 მლრდ კვტ.სთ, მცირე და ძლიერ მცირე მდინარეთა გამოყენების ჩათვლით. ტექნიკური პოტენციალი შესაძლებელია გაიზარდოს 90 მლრდ კვტ.სთ-მდე.

წყლის ენერგიის გამოყენებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მიუხე-დავად ამისა, ჰიდროენერგორესურსების გამოყენების დონე საქართველოში დაბალია. დღეისათვის იგი შეადგენს მთელი ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენ-ციალის მხოლოდ 10-12 პროცენტს. თუ ამ მაჩვენებლებს შევადარებთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებს, დავრწმუნდებით, რომ ჰიდრო-ენერ-გეტიკული რესურსების ათვისების დონე საქართველოში ძალზე დაბალია, ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისი მძვინვარებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ქვეყნები: იაპონიაში ათვისებულია ჰიდროენერგორესურსების 65 პროცენტი, იტალიაში – 71, შვეციაში – 82,5, საფრანგეთში – 89,5, შვეიცარიაში – 90 პროცენტი.

მზე ენერგიის უზარმაზარი წყაროა, რომლის სიმძლავრე შეადგენს 4.10^{23} კვტ-ს, საიდანაც დედამიწას მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი – 10^{14} კვტ ხვდება. დედამიწის განათებულ ერთ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ ერთი კვტ მზის ენერგია მოდის, თუმცა, ეს მაჩვენებელი სხვა-დასხვა ადგილებში ძლიერ არათანაბარია.

მზის ენერგია შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც სითბოს, ისე ელექტრო-ენერგიის გამოსამუშავებლად. დღეისათვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, შესაძლებე-ლია მხოლოდ სითბოს მიღება.

პირველი ჰელიომოწყობილობა მსოფლიოში გამოჩნდა 1952 წლის 6 იანვარს. ამის შემდეგ გამოგონებული იქნა ათასობით ჰელიოდანადგარი, დაწყებული უმარტივესი მადუღრებიდან, უზარ-მაზარ (რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი) პარაბოლურ სარკულ კონცენტრატებამდე (რომლის ფოკუსში ტემპერატურა 2500-3500°C აღწევს) და მზის კოშკური სახის ელექტროსადგურებამდე, რომელთა სიმძლავრე რამოდენიმე ათო-ბით მგვტ-მდეა.

მზის ენერგიის სითბურ ენერგიად გარდაქმნის სამუშაოები საქართველოში დაიწყო გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში. 1950 წელს წარმატებით იქნა გამოყენებული გასათბობი ჰელიოდანადგარი, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი 45% იყო. 1955-1957 წლებში საქართველოს სხვადასხვა რაიონში დადგმული იქნა 17 წყლის გამაცხელებელი ჰელიოდანადგარი, კოლექტორების საერთო ფართით – 1600 $მ^2$.

1959 წელს თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ბაზაზე აგებული იქნა მზის სინათ-ლის კონცენტრატორი, ინკუბატორში კვერცხების ჩალაგების წინ მათ დასასხივებლად. კონცენ-ტრატორი შედგებოდა 240 მინის სარკისაგან, რითაც სინათლის გამოსხივების ინტენსივობა იზრდებოდა 20-ჯერ. შემდეგში აგებული იქნა ორი მზის ღუმელი.

80-იან წლებამდე აღნიშნულმა სამუშაოებმა ვერ მიიღეს ფართო განვითარება. 80-იანი წლებიდან ამ პრობლემებზე მუშაობა კვლავ გაძლიერდა. ჩამოყალიბდა სპეცია-ლური სამმართველო "სპეცჰელიოთბომონტაჟი", რომელმაც ინტენსიურად დაიწყო მზის თბური კოლექტორების შექმნა და დანერგვა. ისინი ძირითადად ცხელი წყლით მოსამა-რაგებლად (მზის ენერგია საქართველოში შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ 40-500^{0}C ტემპერატურის წყალი), ასევე, კომპლექსში, თბოტურ-ბინებთან და სითბოს ტრადიციულ წყაროებთან ერთად, მთელი წლის განმავლობაში თბომომა-რაგებისთვისაც გამოიყენება. შემუშავდა ჰელიოდანადგარები მრავალოთახიანი სახლების გათ-ბობისა და კონდენციო-ნირებისათვის. ცდებმა აჩვენა, რომ ჰელიოდანადგარების გამოყენება ეფექტიანი იქნებოდა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების შრობისათვის.

საქართველოს პირობებში მზის ენერგიის გარდამქმნელები შესაძლებელია გამოვიყენოთ მთაგორიან ადგილებში მდებარე, ძნელად მისასვლელი და მცირედ დასახლებული სოფლების, მწყემსების, გეოლოგიური და სამთამადნო სამუშაოების, სამხედრო-საველე საქმიანობის, კავშირ-გაბმულობის (სატელეკომუნიკაციო) სადგურების, საავარიო სიტუაციების ენერგიით მოსამა-რაგებლად. საქართველოს ტერიტორია მიჩნეულია ისეთ ტერიტორიად, სადაც მიზანშეწონი-ლი და ეკონომიურად გამართლებულია მზის რადიაციის გამოყენება ენერგიის წყაროდ. ამისათვის საუკეთესო პირობებია შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობ და კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში.

1926 წლიდან თბილისში მუშაობს სადგური, რომლის მეშვეობითაც წარმოებს სისტემა-ტური დაკვირვება მზის პირდაპირ რადიაციაზე. ხოლო დაკვირვება გაბნეულ და ჯამურ რადიაციაზე წარმოებს 1937 წლიდან. 1950 წლიდან კი საქართველოს ტერიტორიაზე გაიხსნა კიდევ 6 სადგური.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს, რაც წელიწადში დღის ხანგრძლივობის მიხედვით, დაახლოებით 1900-2200 საათს შეადგენს. მზის წლიური ჯამური რადიაცია რეგიონების მიხედვით 1250-დან 1800 კვტ.სთ/$მ^2$-მდე დიაპაზონში მერყეობს, ხოლო მზის საშუალო რადიაცია დღეში 4,2 კვტ.სთ/$მ^2$-ს უტოლდება.

დღეისათვის საქართველოში მზადდება ჰელიოსაშრობები, საპლაჟე, საშხაპე კაბინები სხვადასხვა სახის მზის თბური კოლექ-ტორები: და სხვ. 1994 წლიდან ფირმა "მზე" საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად აწარმოებს გამოკვლევებს მაღალი კონცენ-ტრაციის ფოტოელეტრონული სისტემის შესაქმნელად, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მარგი ქმედების კოეფიციენტის ამაღლება და ელექტრო-ენერგიის თვითღირე-ბულების შემცირება.

1996 წელს ჰარარეში, მზის მსოფლიო კომისიის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, საქართველომ ხელი მოაწერა და შეუერთდა დეკლარაციას მზის ენერგიის გამოყენების შესახებ, რითაც მონა-წილე ქვეყნები ადასტურებენ მხარდაჭერას განახლებადი ენერ-გორესურსების ფართო მასშტაბის გამოყენებისათვის.

ქარის ენერგიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ბუნებრივი რესურსების საერთო ბალანსში. იგი საშუალოდ მზის რადიაციის ჯამური ენერგიის 2%-ს შეადგენს. საქართველოსაც ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია – 4 მლრდ კვტ.სთ წელიწადში. თუმცა, ამ ენერგიის ათვისების დონე დღეისათვის ძლიერ დაბალი რჩება.

ქარის ენერგიით უძველესი დროიდან სარგებლობენ. თავიდან იგი გამოიყენებოდა ნაოს-ნობაში, შემდეგ კი ადამიანის კუნთოვანი ძალის შესაცვლელად. პირველად ქარის უმარტივესი ძრავა აიგო ეგვიპტესა და ჩინეთში. ეგვიპტეში ახლაც შემონახულია ქარის წისქვილების ნაშთები. XVIII საუკუნიდან ქარის ძრავებმა დიდი გამოყენება ჰპოვეს დასავლეთ ევროპაში წყლის ამოსაღებად, თესლის დასამტვრევად და სხვადასხვა ჩარხის მოქმედებაში მოსაყვანად.

დღეისათვის ქარის ენერგიის გამოყენება ხდება ელექტროენერგიის მისაღებადაც. სულ უფრო პერსპექტიულად ითვლება დიდი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურები ვერტიკალური ღერძით.

ქარის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე მსოფლიოში თანდათან იზრდება. მაგალითად, დანიაში 1990 წელს 2000 ქარის ელექტროსადგური იყო, რომლებიც წელიწადში 1 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ კალიფორნიის შტატში ქარის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 2,5 მლრდ კვტ.სთ ტოლი იყო, ხოლო 1 კვტ.სთ ელექტროენერგიის ღირებულება 4,9 ცენტს არ აღემა-ტებოდა. საქართველოში ქარის ენერგიის თეორიული რესურსები 10^{12} კვტ-სთ-ის ტოლია, მათგან ეკონომიკურად გამართლებულად შესაძლებელია მიჩნეული იქნეს 2-3 მლრდ კვტ-სთ. სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის "ქარენერგოს" მიერ ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების მიხედვით, ქარის ელექტროსადგურების პირველი რიგის პოტენციურ ობიექტებს საქართველოში მიეკუთვნება: საბუეთის მთაზე, ფოთის ნავსადგურთან, კაპანდიდის რაიონში ჭოროხის რიყეზე, შესაბამისად 100, 5 და 50 მგვტ სიმძლავრისა და 550,7 და 105 მლნ კვტ.სთ გამომუშავების მქონე ქარის ელექტრო-სადგურები.

დანიურ, გერმანულ და იაპონურ ფირმებთან ერთად ამჟამად საქართველოში ხორციელდება ერთობლივი მუშაობა ქარის ენერგიის გამოყენების სფეროში. აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობა დამყარდა უკრაინის მთავრობასთან საერთაშორისო ცენტრ "ენკოს" მონაწი-ლეობით. ფირმა "კონსტრუქტორის" მიერ შემუშავდა და დამზადდა მცირე სიმძლავრის 200 ვტ-იანი ქარის ელექტროდანადგარი.

დღეისათვის საქართველოში ქარის დანადგარები არის მხოლოდ აბაშისა და გარდაბნის რაიონებში განათების, გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების მიზნით.

საბუეთის მთაზე დამონტაჟდა თანამედროვე ელექტრონული ხელსაწყო, რომლის მეშვეობით ქარის მონაცემთა მნიშვნელოვანი ექსპრეს-გაზომვები მიმდინარეობს.

ქარის ენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით საქართველოს ტერიტორია დარაიონებულია 4 ზონად: ქარის მაღალსიჩქარიანი ზონა – სამხრეთ საქართველოს თიანეთი, კახაბრის ვაკე და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი, ქარის ხანგრძლივობით 5000 სთ-ზე მეტი წელიწადში; ქარის ნაწილობრივ მაღალსიჩქარიანი და დაბალსიჩქარიანი ზონა – მტკვარის ხეობა მცხეთიდან რუსთავამდე, ჯავახეთის სამხრეთი ნაწილი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი (ფოთიდან კახაბრის ვაკემდე), ქარის ხანგრძლივობით 4500-5000 სთ-ზე მეტი წელიწადში; ქარის დაბალსიჩქარიანი ქედების ეფექტიანი ექსპლუატაციის ზონა – გაგრის ქედი, კოლხეთის დაბლობი და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობები; დაბალსიჩქარიანი ქედების შეზღუდული გამოყენების ზონა – იორის ზეგანი და სიონის წყალსაცავი;

საქართველოში გამოვლენილია ქარის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის რამდენიმე პერსპექტიული ადგილი: ფოთი (სიმძლავრე – 50 მგვტ, გამომუშავება – 110 მლნ კვტ.სთ), ჭოროხი (50 მგვტ, 120 მლნ კვტ.სთ), ქუთაისი (100 მგვტ, 200 მლნ კვტ.სთ), მთა-საბუეთი (150 მგვტ, 450 მლნ კვტ.სთ), მთა-საბუეთი II (600 მგვტ, 2000 მლნ კვტ.სთ), გორი-კასპი (200 მგვტ, 500 მლნ მლნ კვტ.სთ), ფარავანი (200 მგვტ, 500 მლნ კვტ.სთ), სამგორი (50 მგვტ, 130 მლნ კვტ.სთ), რუსთავი (50 მგვტ, 150 მლნ კვტ.სთ). მთლიანი სიმძლავრე – 1450 მგვტ, გამომუშავება – 4160 მლნ კვტ.სთ.

საქართველო მდიდარია **გეოთერმული წყლებითაც**. აქ დღეისათვის გამოვლენილია 300-მდე 30-110°C ტემპერატურის წყალი, რაც 500 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკვივალენტურია. გეოთერმული წყლების ასეთი რაოდენობით გამოყენება წელიწადში დაზოგავს 2 მლნ ტონა პირობით სათბობს.

თერმული წყლების პრაქტიკული ათვისება საქართველოში დაიწყო 1973 წლიდან. თერმული წყლით მარაგდებოდა თბილისი, ზუგდიდი, სამტრედია და ზოგიერთი სხვა ქალაქი. 1993 წელს თითქმის ყველა საბადოს ექსპლუატაცია, თბილისის ლისის საბადოს გარდა, შეწყდა.

ამჟამად მიტოვებული მუნიციპალური თბოელექტროსადგურების ადგილზე გეოთერმული ცირკულარული სისტემების აგების შედეგად შესაძლებელია გადაწყდეს თბილისის ცხელი წყლით მომარაგების პრობლემა. ასევე, საჭირო ინვესტიციების არსებობის შემთხვევაში პრაქტიკული გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია ზუგდიდის საბადოები, თუმცა, ამჟამად არსებული სარეწაო უბნები განადგურებულია.

ჰიდროგეოლოგიური შესწავლის თანამედროვე დონის შესაბამისად საქართველოში გეოთერმული წყლების პროგნოზული მარაგები აღწევს 250 მლნ. კუბ.მ-ს წელიწადში.

დღეისათვის ცნობილია 250-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნურად გაბურღული გამოსავლები, რომლებშიც გეოთერმული წყლის ტემპერატურა მერყეობს 30-110^{0}C-ის ფარგლებში, ხოლო მთლიანი დებიტი აღწევს 160 ათას მ^3-ს დღე-ღამეში. ეს გამოსავლები დაჯგუფებულია 44 საბადოდ. აქედან 350 მ^2-ზე განთავსებულია ისეთი ჭაბურღილები, რომელთა წყლის ტემპერატურები არის 85^{0}C და მეტია.

გეოთერმული საბადოების 80%-ზე მეტი განლაგებულია დასავლეთ საქართველოში. ზუგდიდი-ცაიშის გეოთერმულ ველზე დღეისათვის საექსპლუატაციოდ ვარგისად შეიძლება ჩაითვალოს 9 პროდუქტიული, 7 სარეინჟექციო და 3 სადამკვირვებლო ჭაბურღილი. დადგენილია, რომ საბადოებზე არსებობს ორი დამოუკიდებელი თერმოწყალშემ-ცველი ჰორიზონტი, რომლებზეც რეინჟექციის ორგანიზების შემთხვევაში შეიძლება სტაბილურად მოვიპოვოთ 30 ათასი მ^3 თერმული წყალი დღე-ღამეში.

ბიოგაზის ენერგიის გამოყენების მიმართულებით საქართველოში ჯერჯერობით მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა, თუმცა, ამის პოტენციალი არსებობს. აქ შესაძლებელია ქარხნის ტიპის დიდი დანადგარების მშენებლობა და მასში ბიოგაზის ენერგიის გამომუშავება ან საოჯახო დანადგარების დამზადება, რომელშიც მოსახლეობა თვით უზრუნველყოფს აღნიშნული ენერგიის მიღებას. პირველი მიმართულებით ქალაქის ნარჩენების ბიოთერმული დამუშავების საამქროს ბაზაზე შესაძლებელია სპეციალური დანადგარის მეშვეობით ბიოგაზის მიღება. მეორე მიმართულებით ფირმა "კონსტრუქტორის" მიერ მომზადებულია 7-10 მ^3 ტევადობის ბიოგაზის დანადგარის პროექტი, რომელიც შესაძლებელია თვით მეპატრონემ განახორციელოს.

საქართველოსათვის პერსპექტიულია შავი ზღვის ენერგეტიკული რესურსების გამოყენება. აქ ქიმიურ და ჰიდროლოგიურ რესურსებთან ერთად ენერგეტიკული რესურსები წარმოდგენილია ზღვის წყალში გახსნილი საწვავი აირების – გოგირდწყალბადის, მეთანისა და პროპანის სახით, რომელთა ჯამური რაოდენობა დაახლოებით 8 მლრდ ტონაა, ხოლო გოგირდწყალბადის განახლებადი ნაწილი კი რამდენიმე ათეული მლნ ტონა. შავი ზღვა ასევე წარმოადგენს უდიდესი პოტენციალის მქონე სითბოს ეფექტურ ცივ წყაროს. წყლის ტემპერატურა 31 მ სიღრმეზე 6-8 ტოლია და იგი მთელი წლის განმავლობაში მუდმივია.

მსოფლიოში შემუშავებულია გოგირდწყალბადის ზღვის წყლიდან მიღების სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი მეთოდი სრულყოფილი არ არის.

მეტად საინტერესოა ენერგეტიკის განვითარების სინერგიული კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ენერგიის სახეობათა კომბინირებულ გამოყენებას, რათა მივიღოთ უფრო მეტი ენერგოეფექტი, ვიდრე მათი ცალ-ცალკე გამოყენების შემთხვევაში. სინერგიული კონცეფცია არ გულისხმობს კოგენერაციას, ე.ი. ერთი სახის ენერგიისაგან ენერგიის რამოდენიმე სახის მიღებას. შესაძლებელია განვიხილოთ მზე-ქარის, მზე-ჰიდრო, ქარი-ჰიდრო, მზე-ქარჰიდრო სინერგეტიკული ელექტროსადგურები, ასევე ქარ-სათბობის სინერგეტიკული ელექტროსადგურები. ეფექტი ამ შემთხვევაში მიიღწევა იმით, რომ ენერგიის სხვადასხვა სახეობის ერთდროულად გამოყენება ავსებს იმ ნაკლოვანებას, რაც ენერგიის ცალ-ცალკე გამოყენებას ახლავს თან. მაგალითად, მხოლოდ ქარის ელექტროსადგური მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქარია და ეს შესაძლებელია სრულებითაც არ ემთხვეოდეს ელექტროენერგეტიკული სისტემის მოთხოვნას, ასევეა მზის ელექტროსადგურიც. მათი ჰიდროაკუმულაციურ ელექტროსადგურებთან ერთდროული გამოყენება ამ ნაკლოვანებებს ხსნის. შესაძლებელია განხილულ იქნეს სინერგეტიკული პროცესის არაერთი მაგალითი.

საქართველოში მზე-ქარ-ჰიდრო ელექტროსადგური მიზანშეწონილია აშენდეს თიანეთის რაიონში, ბეღელას ხევში, სადაც ქარის ან მზის ენერგიის ხარჯზე წყლის ატუმბვა შესაძლებელია განხორციელდეს 100, ხოლო ჩამოცლა 700 მ სიმაღლეზე. ქარი–სათბობის სინერტეგიკული სადგურის ასაშენებლად კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთა საბუეთის ფართობი, სადაც ქარის ჯამური სიმძლავრე 500-700 მგვტ შეადგენს, ხოლო გამოყენებული საათების რაოდენობა – 5000 სთ-ს, ქარის საშუალო წლიური სიჩქარე კი 40 მ სიმაღლეზე 12,1 მ/წმ-ის ტოლია.

მომავალში, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, აუცილებელია ენერგეტიკულ სიმძლავრეთა შესაბამისი ზრდა. ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისათვის აუცილებელია ენერგიის გენერაციისა და იმპორტის წყაროთა დივერსიფიცირება, ენერგეტიკაში ინვესტი-

ციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და სხვ.

საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნების ნაწილია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური გავითარებისათვის.

Ramaz Abesadze

DEVELOPMENT OF POWER IN GEORGIA

Annotation

Regularities of development of branches of power – electric power, oil and production of coal are investigated, positive and negative sides are revealed and relevant proposals are offered. Special attention is paid to possibility of use of renewable and nonconventional resources in economy of Georgia.

ნანული არევაძე

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების განვითარება საქართველოში

მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება ქვეყნის მრეწველობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დარგია, რამდენადაც ის თავისი პროდუქციით უზრუნველყოფს მთელ ეკონომიკას მანქანებით და მექანიზმებით, მათი სისტემებით და ავტომატიზებული ხაზებით, რობოტებითა და ავტომატებით. მის განვითარებაზეა დამოკიდებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოებაში, მისი დაჩქარებული განვითარება, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაცია და ეფექტიანობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ლითონდამუშავების წარმოებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, მანქანათმშენებლობის სპეციალიზებულ დარგად ჩამოყალიბება XX საუკუნის პირველი მეოთხედიდან იწყება. მანამდე საქართველოში წვრილი მექანიკური საწარმოები არსებობდა, რომელთა ძირითადი დანიშნულება საოჯახო ნაკეთობებისა და საბრძოლო აღჭურვილობის კუსტარულად დამზადება და მანქანების რემონტი იყო. პირველი მსოფლიო ომისა და ქვეყანაში ახალი ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობამ განაპირობა მოთხოვნის სწრაფი ზრდა ადგილობრივი წარმოების მანქანათმშენებლობის სხვადასხვა სახის პროდუქციაზე. მისი განვითარებისათვის აუცილებელ პირველ ბაზად კი არსებული წვრილი საწარმოები იქცა მათი გაფართოებისა და რეკონსტრუქციის საფუძველზე. მაგალითად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის არსენალის ბაზაზე ორგანიზებულმა მანქანათმშენებელმა ქარხანამ, რომელსაც ს. ორჯონიკიძის სახელი 1923 წ. ეწოდა, 1934 წლიდან დაიწყო მანქანების გამოშვება მედვინეობის, ჩაისა და აბრეშუმის საწარმოებისათვის, 1924 წელს თბილისის ავტოშემკეთებელი სახელოსნოს ბაზაზე შექმნილმა 26 კომისრის სახელობის ქარხანამ დაიწყო სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და მანქანების გამოშვება, მაგალითად ურიკები – ჭიათურის მარგანეცის მაღაროებისათვის, საწარმოო მოწყობილობები ჰიდროენერგეტიკული მშენებლობისათვის, ხიდური ამწეები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენები, სასოფლო ელექტროსადგურების ტურბინები და ა.შ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა შეიქმნა 1936 წ. წინა საუკუნეში დაარსებული სამსხმელო მექანიკური საწარმოს ბაზაზე, თავდაპირველად ამზადებდა ჩაის ფოთლის გადამმუშავებელ მანქანებს და ღვინის მრეწველობის მანქანა-მოწყობილობებს. შემდგომ ქარხანამ აითვისა სპირტისა და ეთერზეთების გამოსახდელი მოწყობილობების წარმოება.

ამავდროულად ფართოვდებოდა წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურა, შენდებოდა ახალი საწარმოებიც, მაგალითად, კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა აშენდა 1929-1933 წლებში და დაიწყო საჭირო მოწყობილობების წარმოება ნავთობის მრეწველობისათვის. 1937 წლიდან მოხდა მისი სპეციალიზაცია ჩარხების გამოშვების მიმართულებით, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ქვეყანაში ჩარხმშენებლობის ისტორია და მისი სწრაფი განვითარება ახალი მშენებლობების ბაზაზე, მაგალითად თბილისში აშენებულმა ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანამ დიდად შეუწყო ხელი შემდგომ მანქანათმშენებლობის განვითარებას.

დიდი სამამულო ომის წინა წლებში საქართველოს მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება აწარმოებდა ჩარხებსა და მანქანებს მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, კავშირგაბმულობის მოწყობილობებს, სხვადასხვა სახის ხელსაწყოებს, კულტურულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებს, სამეცნიერო და სავაჭრო მოწყობილობებს და ა.შ.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მანქანათმშენებლობა, სხვა დარგებთან ერთად, უშვებდა ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო დანიშნულების პროდუქციას, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო სამხედრო თვითმფრინავები, ტყვიამფრქვევები, ნაღმსარტყოცნები, პისტოლეტები, ნაღმები და

ა.შ. იმ მძიმე წლებში, როცა სამრეწველო წარმოება მთლიანად მცირდებოდა, მანქანათ-მშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია 56%-ით გაიზარდა და საერთოდ გაუმჯობესდა ბევრი მანქანათმშენებელი საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა. ამავე დროს, ომის წლებშივე მექანიკური სახელოსნოების ბაზაზე ამუშავდა ახალი მანქანათმშენებელი საწარმო – თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა, რომელმაც ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო ლითომჭრელი ჩარხების სერიული წარმოება, 1944 წელს კი რუსთავის მექანიკური ქარხანა უშვებდა მოწყობილობებს სამშენებლო ინდუსტრიისათვის, შემდგომ მას ამწესაშენებული ქარხანა ეწოდა.

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში გაფართოვდა არსებული და შეიქმნა მანქანათ-მშენებლობის რამდენიმე ახალი დარგი, მაგალითად, საავტომობილო მრეწველობა, ელექტრო-ტექნიკური მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა, სამთო-საშახტო და სამთამადნო მრეწველობა, ამწე-სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებ-ლობა და სხვა.

ავტომშენებლობის განვითარება საქართველოში დაიწყო ქ. ქუთაისში ავტოქარხნის ამოქმე-დებით 1951 წელს, რომელიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა მარკის სატვირთო ავტომობილებს "ზის-150", თვითმცლელ "კაზ-585", თვითმცლელ "კაზ-600", ავტოსაწევარებს და ა.შ. უშვებდა, თუმცა რენტაბელობისა და ხარისხის მიხედვით მაჩვენებლები სასურველობას დიდად ჩამორჩებოდა. მასთავისი ფილიალიც ჰქონდა აბაშის მექანიკური ქარხნის სახით.

განსაკუთრებით მძლავრად განვითარდა ქვეყანაში ელექტროტექნიკური მრეწველობა, რაც რიგი ახალი საწარმოს ამოქმედებაში გამოიხატა, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო ელმავალმშენებელი ქარხანა (1957), თბილისის ქარხანა "ელექტროშედუღება" (1958), "ელექტრო-გამშვები" (1956), "ელექტრო-აპარატი" (1956), "ელექტროიზოლიტი" (1959), ცხინვალის "ელექტრო-ვიბრო" მანქანა (1960) და ა.შ. შედეგად ძალზე გაფართოვდა მანქანათმშენებლობის ამ ქვედარგის პროდუქციის ნომენკლატურა, კერძოდ ის აწარმოებდა: მაგისტრალურ ელმავლებს, ელექტროშემდუ-ღებელ მოწყობილობებს, ამწე ელექტროძრავებს, არტეზიულ ტუმბოებს, მიკროძრავებს, საწარმოო პროცესების მართვის აპარატურას, ტრანსფორმატორებს, ელექტროსაიზოლაციო მასალებს, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებს, დაბალვოლტიან აპარატურას და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ძირითადად ვითარდებოდა საწარმოო დანიშნულების ელექტროტექნიკურ ნაკე-თობათა წარმოება, ხოლო საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა კი შედარებით ნაკლებად. საჭიროა ითქვას, რომ ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების გაღრმავებისა და შრომითი რესურსების მასშტაბური დასაქმების უზრუნველყოფის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, რამდენადაც მის მიერ წარმოებული პროდუქცია აუმჯობესებს საწარმოო პროცესებსა და შრომის პირობებს ეკონომიკის ყველა დარგში, ხოლო პროდუქციის წარმოებაში დახარჯული შრომის მაღალი ხვედრითი წონა მისი მაღალი შრომატევადობის მაჩვენებელია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში უკვე არსებობდა მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მათი მომზადების სათანადო ბაზა.

ხელსაწყოთმშენებლობა, როგორც ცნობილია, აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ტემპს, ამდენად, მის განვითარებას სათანადო ყურადღება უნდა დათმობოდა, თუმცა განვითარების დონის მხრივ შეიმჩნეოდა გარკვეული ჩამორჩენა საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ცენტრალურ რეგიონთან შედარებით, ამის მიუხედავად, მის მიერ წარმოებული ზოგიერთი სახის პროდუქცია ქვეყნის მოთხოვნილებას მთლიანად კმაყოფილებდა, მაგალითად, ლოკომოტივის სიჩქარის გამზომი ხელსაწყოები. ხოლო ქარხანა "ჰიდრომეტხელსაწყოს" პროდუქცია, რომელიც აწარმოებდა ხელსაწყოებს ჰიდრომეტეოლოგიური მოვლენების კვლევისათვის, მსოფლიოს ათეუ-ლობით ქვეყანაში იგზავნებოდა. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი იყო ქარხანა "სოხუმხელსაწყოს" მიერ წარმოებული ხელსაწყოებიც, რომელიც გეოდაზვერვისა და ქიმიური ანალიზის და მადნის მინერალური შედგენილობის განსაზღვრისათვის საჭირო ხელსაწყოებს ამზადებდა.

სამთო-საშახტო და სამთამადნო ჩარხთმშენებლობა უშვებდა მანქანებსა და მოწყობილობას ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის, აგრეთვე, ელექტროვიბრაციული ხერხით მადნეულის გამდიდრებისათვის და სხვა.

ამწე-სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა აწარმოებდა სამშენებლო კოშკურა ამწეებს ძირი-თადად ქვეყნის საჭიროებისათვის.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა უშვებდა მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს ბაღებისა და ბოსტნეულის დასამუშავებლად, ჩაის პლანტაციების კულტივატორებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღებს. ამ ქვედარგის მიერ წარმოებულ პროდუქციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩაის საკრეფი მანქანების წარმოება და სხვა.

1990 წელს საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობის შიგადარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილი იყო:

ელექტროტექნიკური მრეწველობა – 18%;

საავტომობილო მრეწველობა – 9,5%;

ხელსაწყოთმშენებლობა – 9,2%.

მძიმე ენერგეტიკულ და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა – 7,7%. ეს წელი ქვეყნის მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებისათვის წარმატებული არ ყოფილა, ამის მიუხედავად, მან გამოუშვა მაგისტრალური ელმავლები – 86 ცალი, ლითონმჭრელი ჩარხები – 1568 ცალი, სატვირთო ავტომობილები – 5,7ათასი ცალი, 0,5 -100კვტ სიმძლავრის ცვლადი დენის ელექტროძრავები – 187,7 ათასი ცალი, კოშკურა ამწეები – 547 მლნ მანეთის, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები – 46,5 მლნ მანეთის, სოფლისმეურნეობრივი მანქანები – 1,7 მლნ მანეთის. ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები – 67,8 მლნ მანეთის და ა. შ.

მნიშვნელოვნად შეიცვალა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების გეოგრაფიული განლაგებაც, თავიდან მისი საწარმოები ძირითადად თბილისში იყო, შემდეგ კი საწარმოები ამუშავდა ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქსა და ადმინისტრაციულ რაიონში, მ.შ. მცირე ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებშიც. საქართველოში იწარმოებოდა და მსოფლიოს 45 ქვეყანაში იგზავნებოდა ლითონმჭრელი ჩარხები, ამწის ელექტროძრავები, ელექტროამამუშავებლები, ელექტროსასიგნალო აპარატურა, ელექტროსაშემდუღებლო მოწყობილობები, ელექრტოურიკები, ელექტრომანქანური გამაძლიერებლები, კვების მრეწველობის მოწყობილობები, ჰიდრომეტეოროლოგიური მოწყობილობები, მიკროძრავები, მიწისსაწოვი დანადგარები და სხვა[173]. მაშინ ჩვენთან წარმოებულ ზოგიერთ ნაკეთობას, მაგალითად მიკროძრავებს, ჩინეთი და იაპონია ყიდულობდა, დღეს ჩვენ უფრო დაბალი ხარისხის საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიკროძრავებს ჩინეთისაგან ვყიდულობთ.

ამ პერიოდში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, საქართველო თავის მოთხოვნილებებს მანქანათმშენებლობის საკუთარი პროდუქციით მხოლოდ 58,7%-ით იკმაყოფილებდა, მათ შორის: ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე – 2,7 პროცენტით, ტრაქტორებზე, სოფლისმეურნეობრივ მანქანებსა და მათ სათადარიგო ნაწილებზე – 28,4 პროცენტით, საგზაო-სამშენებლო მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე – 30,5 პროცენტით, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებსა და მანქანებზე – 52,5 პროცენტით, სანიტარულ-ტექნიკურ და გაზის მოწყობილობაზე – 73,3 პროცენტით. მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე რესპუბლიკის მოთხოვნილების 41,3 პროცენტი შემოტანილი ნაწარმით კმაყოფილდებოდა. მათ შორის ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე – 97,5 პროცენტით, სამჭედლო-საწნეხ მოწყობილობებზე – 79,8 პროცენტით, ხელსაწყოებზე – 61,6, ავტომობილებსა და მათ სათადარიგო ნაწილებზე – 79,1 პროცენტით და ა.შ.

საქართველოს მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების განვითარების პარალელურად ვითარდებოდა მისი მეცნიერულ-ტექნოლოგიური ბაზაც სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროების სახით[174].

1990 წ. საქართველოს მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში დასაქმებული იყო 116,4 ათასი კაცი, საწარმოთა რაოდენობა 175 შეადგენდა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 1730 მლნ მანეთს, ხვედრითი წონა კი მთლიანად მრეწველობის მიერ წარმოებულ პროდუქციაში 14,3 პროცენტს უდრიდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 90-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე ძლიერი დარტყმა მრეწველობას და მის ზოგიერთ დარგს, მ.შ. მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებას მიაყენა, რასაც მოჰყვა დარგის საწარმოთა უმეტესობის მასობრივი გაჩერება, საწარმოო სიმძლავრეების დაქვეითება და, ხშირ შემთხვევაში, სრული ფიზიკური განადგურება. შედეგად, 1990 წლიდან თანდათანობით შემცირდა წარმოების მოცულობა, 1995 წელს მან 1990 წლის დონის მხოლოდ 13% შეადგინა და მისი ხვედრითი წონა მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში 5,9 პროცენტამდე დაეცა, რამდენადაც დარგის პროდუქციაზე შეკვეთები აღარ არსებობდა და წარმოებული პროდუქციის ხარისხი ვეღარ აკმაყოფილებდა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს, აშკარა გახდა, რომ მანქანათმშენებლობის პროდუქციის რეფორმამდელი რაოდენობა და ასორტიმენტი საჭირო აღარ იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მანქანათმშენებლობის საწარმოო ბაზა როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად მოძველებული იყო და თანამედროვე მოთხოვნებს აღარ შეესაბამებოდა. ამასთან, იმ განუკითხაობის წლებში, გაჩერებული საწარმოების მანქანა-მოწყობილობების დიდი ნაწილი გაიძარცვა, მას დახსნეს ფერადი ლითონებისაგან დამზადებული ნაწილები და საზღვარგარეთ გაყიდეს, დარჩენილი კი დაჭრეს და ასევე საზღვარგარეთ ჯართად გაყიდეს, შექმნილ სიტუაციაში ერთადერთ გამოსავლად საწარმოთა პრივატიზაცია იქნა მიჩნეული, რომელსაც უნდა განესაზღვრა ყოველი საწარმოს რეალური კონკურენტული შესაძლებლობები, ანუ რომელი საწარმო შეიძლებოდა კონკურენტუნარიანი გამხდარიყო, რომელ საწარმოთა ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო და რომელ საწარმოს უნდა დახმარებოდა სახელმწიფო, რომელიც, თავის მხრივ, მეტად მცირე შესაძლებლობებს და ფინანსურ რესურსებს ფლობდა. 90-იანი წლების ბოლოს განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად დარგის 80-მდე საწარმო სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა, მაგრამ გაჩერებულ საწარმოთა ამოქმედება ვერ მოხერხდა,

[173] ეკონომიკა, ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს სსრ, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1981, გვ. 118-158.

[174] ლ. ჩიქავა, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1995, გვ. 130-133.

რამდენადაც ნულოვან აუქციონებზე შეძენილი საწარმოების ახალ მესაკუთრეებს არც შესაბამისი ცოდნა, არც სათანადო ფინანსური რესურსები და არც სურვილები გააჩნდათ გაჩერებულ საწარმოთა ასამუშავებლად, მათ უფრო სხვა ინტერესები ამოძრავებდათ, ანუ ცდილობდნენ, იოლად ეშოვათ კაპიტალი. შედეგად ფუნქციონირება მხოლოდ საწარმოთა იმ ნაწილმა შეძლო, რომლებიც ცალკეული ფირმების მიერ ტენდერის საშუალებით იქნა შეძენილი კონკრეტული საპრივატიზაციო ვალდებულებებით.

დარგის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს საწარმოთა რეორგანიზაცია- რესტრუქტურიზაცია და ისეთი საინვესტიციო გარემოს შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს როგორც ადგილობრივი, ისე, განსაკუთრებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საუკეთესო პირობების შექმნა, წარმოებაში უახლესი მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფა.

საქართველოს მანქანათმშენებლობას ყველაზე უფრო ახლა სჭირდება პრიორიტეტული ეროვნული სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- ქვეყნის ეკონომიკაში სამამულო მანქანათმშენებლობის პროდუქციით იმპორტის მაქსიმალურად ჩანაცვლება;
- მანქანათმშენებლობის საწარმოო ბაზის რესტრუქტურიზაცია და მოდერნიზაცია უახლესი ტექნოლოგიებისა და მანქანა-მოწყობილობების (თუნდაც იმპორტის) ბაზაზე;
- კონკურენტუნარიანი, მაღალი და წამყვანი ტექნოლოგიებით ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების ათვისება;
- უახლესი სამხედრო ტექნიკის წარმოების მაქსიმალური ათვისება სამამულო საწარმოებში, თავდაცვის ეროვნული დოქტრინის შესაბამისად, ქვეყანაში არსებული რესურსების გამოყენებით.

1. მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვეის ზრდა უნდა ხდებოდეს უახლესი ტექნოლოგიების ათვისების საფუძველზე, რომლის მიმართულებით პირველი ნაბიჯები ახლა იდგმება საქართველოში, რამდენადაც საძირკველი ჩაეყარა თვითმფრინავების კომპოზიტური მასალების საფუძველზე წარმოებული დეტალებისა და კვანძების მწარმოებელი საწარმოს მშენელობას, რომელიც მსოფლიოს წამყვან საავიაციო ფირმებს შესაბამისი პროდუქციით მოამარაგებს.

2. მარკეტინგული კვლევის გაფართოების საფუძველზე აუცილებელია მანქანათმშენებლობის იმ ქვედარგების უპირატესი განვითარების შესაძლებლობების დაზუსტება, რომელთაც შეეძლებათ ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე ფუნქციონირებადი საწარმოების საწარმოო სიმძლავრეებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეს ეხება ელექტროტექნიკურ მრეწველობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას და მეცნიერებატევად დარგებს. აღნიშნული ღონისძიებების რეალიზაცია შეიძლება დღეს არსებული მდგომარეობის დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდეს.

Nanuli Arevadze

MECHANICAL ENGINEERING AND METAL WORK IN GEORGIA

Annotation

The article analyzes development aspects of mechanical engineering and metal work in pre-crisis and after-crisis periods. Some opinions are said in the direction of further development.

ნანული არევაძე

საქართველოს ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა საქართველოს მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგი იყო კრიზისამდელ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უძველესი დროიდან ხდებოდა ზოგიერთი წიაღისეულის: სპილენძის, დარიშხანის, ვერცხლის, მინერალური საღებავებისა და სხვ. წარმოება, მისი განვითარება ძირითადად XX საუკუნიდან იწყება. რევოლუციამდელ საქართველოში აღრიცხული იყო ხოლოდ 4 ქიმიური „წამოწყება“ 66 მუშით, თუმცა უცნობია მათი ზუსტი პროფილი, რამდენადაც, მაშინდელი კლასიფიკაციით, ქიმიურ საწარმოთა რიგს აკუთვნებდნენ საპნისა და პარფიუმერიის, ასანთისა და ძვლების დამამუშავებელ საწარმოებსაც კი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბათუმში მოქმედებდა საღებავების 2 ქარხანა, თბილისის ახლოს გლაუბერის მარილი იწარმოებოდა, ახალციხის რაიონში ხდებოდა დიატომიტის (ინფუზორული მიწის) მოპოვება, ასევე ბარიტის პირველი საბადოების ექსპლუატაცია ქუთაისის მახლობლად. მაგრამ მოპოვებული სამთო-ქიმიური ნედლეული მთლიანად ქვეყნის გარეთ გაჰქონდათ, რამდენადაც, ქვეყნის შიგნით შესაბამისი საწარმოების უქონლობის გამო, არ არსებობდა მათი გადამუშავების შესაძლებლობა. ამდენად დარგის შემდგომი განვითარებისათვის ბაზა ფაქტობრივად ძალზე სუსტი იყო. შესაძლოა სწორედ ამის გამო, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შემდგომ პერიოდში დარგის განვითარება ნელი ტემპით ხორციელდებოდა. XX ს. 30-იან წლებში

დიდი მუშაობა გაჩაღდა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის, კერძოდ, 1928-1931 წლებში აშენდა გუმბრინის მომპოვებელი საწარმო ქუთაისის მახლობლად, სოფ. გუმბრინში აღმოჩენილი ბენტონიტური თიხის დიდი მარაგების ბაზაზე აღდგენილ იქნა ბათუმის საღებავების ქარხანა, აშენდა ანდეზიტის მომპოვებელი და დამამუშავებელი საწარმო ყაზბეგის რაიონში, ამუშავდა ბარიტის მადაროები და წისქვილი ქუთაისში და დიატომიტის საწარმო ქისათიბში.

ქიმიური მრეწველობის განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანი იყო ქ. ქუთაისში ლითოფონის ქარხნის მშენებლობის დაწყება 1929 წ. მაგრამ მშენებლობის მეტისმეტი გაჭიანურების გამო, მისი დასრულება მხოლოდ 1939 წლისათვის გახდა შესაძლებელი.

ომამდელ პერიოდში აშენებული ქიმიური საწარმოებიდან აღსანიშნავია: ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა (1935) და ლაქ-საღებავების ქარხანა (1930) თბილისში, ბათუმის კოფეინის ქარხანა (1936), მინერალური საღებავების ქარხანა ქუთაისში (1935), რაჭისა და ცანის (სვანეთი) დარიშხანის შემცველი მადნების ამოღებისა და გადამუშავების სამთო-მეტალურგიული კომბინატები (1937).

შედეგად, 1940 წელს საქართველოს ქიმიური მრეწველობის ქარხნებმა აწარმოეს (ტონობით) ლითოფონი-4500, თეთრა-100, ოლიფა-500,ზეთის სრესილი საღებავები-1000, ზეთის ლაქები და სიკატივები-100. მოიპოვეს ბარიტი-38 000, გუმბრინი-80 000 [1]. მიღწეული შედეგები მეტად მნიშვნელოვანი იყო და 1941 წლის მონაცემებით, 1927/1928 წლების სათანადო მაჩვენებელს 13-ჯერ აღემატებოდა [2]. ამის მიუხედავად, იმის თქმა, რომ ქვეყანაში ქიმიური მრეწველობა სათანადოდ იყო განვითარებული, შეუძლებელია, რამდენადაც ჯერ კიდევ არ იწარმოებოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მინერალური სასუქები, ასევე არ არსებობდა ორგანული სინთეზის საწარმოები.ეს ნაკლოვანებები გამოსწორდა დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, როცა ექსპლუატაციაში შევიდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომლის კოქსის გაზის ბაზაზე შეიქმნა ამიაკის მიღების შესაძლებლობა, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდიდა ქიმიური მრეწველობის ფართო ასორტიმენტის პროდუქციის, პირველ რიგში აზოტოვანი სასუქების წარმოებას. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანამ პირველი პროდუქცია 1955 წ. აპრილში გამოუშვა შემოტანილი ამიაკის საფუძველზე. 1956 წ. თებერვალის დამლევიდან კი საკუთარი წარმოების ამიაკის მოხმარებაზე გადავიდა. 1959 წ. მან 22,2 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქი აწარმოვა, 1970 წ. კი - 467 ათასი ტონა. აზოტოვანი სასუქების წარმოების ზრდას ხელი შეუწყო ქარხნის (შემდგომ ქიმიური კომბინატის) გადაყვანამ ბუნებრივი აირის გამოყენებაზე (ტექნოლოგიური მიზნით). ამ საწარმოს მიერ გამოშვებული კაპროლაქტამის ბაზაზე, კომბინატის გვერდით აშენდა და 1965 წლიდან მუშაობა დაიწყო რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ. 1963 წელს ამოქმედდა სინთეზურ ნაკეთობათა ქარხანა ქ. წულუკიძეში, რომელმაც 1970 წ. აწარმოვა 3000 ტონა პოლიეთილენისა და პოლიქლორვინილის აფსკი.

ომის შემდგომ წლებში ფართოდ განვითარდა ასევე საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ლაქ-საღებავების მრეწველობა როგორც არსებული ქარხნების რეკონსტრუქციის, ისე ახალი საწარმოების მშენებლობის ბაზაზე. ახლადაშენებულ საწარმოთა შორის იყო პლასტმასისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნები სოხუმსა და თბილისში, რის შედეგადაც ამ ქვედარგების პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამ პერიოდში ადგილობრივი ქიმიური მინერალური ნედლეულის: ბარიტის, გუმბრინის და ასკანის ბაზაზე ვითარდებოდა სამთო-ქიმიური მრეწველობაც. ბარიტის ამოღება ძირითადად ჩორდის (რაჭა) და ქუთაისის ახლოს მდებარე საბადოებში ხორციელდებოდა, ბენტონიტური თიხებისა კი გუმბრინსა და ასკანაში. გუმბრინი გამოიყენება ნავთობის მრეწველობაში ნავთობპროდუქტებისა და ზეთ-ცხიმების მრეწველობაში ზეთების გასაწმენდად, ასკანის საბადოს ბენტონიტები: ასკანგელი, ასკანოლი და ასკანიტი ზეთ-ცხიმების, ღვინისა და ლითონის სამსხმელო წარმოებაში.

როგორც ცნობილია, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა ეკუთვნის ინდუსტრიის იმ დარგთა რიცხვს, რომელთა განვითარება უზრუნველყოფს ტექნიკურ პროგრესს ქვეყნის ეკონომიკაში, ამიტომ მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თითქმის ყველა ქვეყანაში (გამონაკლისია იაპონია).

საქართველოში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპები 1951-1970 წლებში აღინიშნა, როცა დარგის ხვედრითი წილი მრეწველობის საერთო პროდუქციაში 5-ჯერ გაიზარდა, 1940 წელთან შედარებით კი თითქმის 8-ჯერ. ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა ისეთი ქიმიური პროდუქციის წარმოება, როგორიცაა ზეთის სრესილი საღებავები - 22,8-ჯერ, შაბიამანი 29,7-ჯერ და ა.შ. შემდგომ პერიოდში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარებაში ზრდის ასეთი მაღალი ტემპი აღარ დაფიქსირებულა. 1990 წ. დარგში მოქმედ 56 საწარმოში დასაქმებული იყო 20,6 ათასი კაცი და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მიერ წარმოებულ პროდუქციაში 4,4%-ს შეადგენდა, წარმოებული პროდუქციის ღირებულება 527 მილიონი ლარი (დაახლოებით 244,8 მლნ დოლარი) იყო. პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით კი იწარმოებოდა (ათას ტონობით) მინერალური აზოტოვანი სასუქები - 130, კაპროლაქტამი - 40,1, ქიმიური ბოჭკო - 32,4, სინთეზური ამიაკი - 219, ლაქ-საღებავები - 528, ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგი - 13 და სხვა. მიუხედავად იმისა,რომ აღნიშნულ წელს დარგის საწარმოო სიმძლავ-

რეების გამოყენების მაჩვენებელი მხოლოდ 50,9%-ს შეადგენდა, განსაკუთრებით შესამჩნევი იყო პროდუქციის წარმოების ჩამორჩენა ლაქ-საღებავების, ნავთობქიმიური და საყოფაცხოვრებო ქიმიის საწარმოებში. დაკონსერვდა საწარმოო სიმძლავრეები კარბამიდისა და მიკრობიოლოგიურ წარმოებაში. ტექნიკურ გაუმჯობესებას ადგილი არ ჰქონია ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებში, სადაც ხელით შრომის ხვედრითი წილი ძალზე მაღალი იყო და 53-55% შეადგენდა. ამასთან, არ ახლდებოდა წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და არ მაღლდებოდა მისი ხარისხი, რომელიც არ შეესაბამებოდა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. შეწყდა სინთეზური საღებავების გამოშვებაც, ლითოფონის ქარხნის წარმოების მოცულობის 30%-იანი შემცირება ძირითადად ბარიტის კონცენტრატების შემცირებამ და მათი ხარისხის გაუარესებამ განაპირობა, ასევე, ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის მოძველებამ და ფიზიკურმა და მორალურმა ცვეთამ.

დარგში პრივატიზაციის პროცესი 1993 წელს დაიწყო, ე.წ. მცირე პრივატიზაციის განხორციელებით, ძირითადად წვრილი და ადგილობრივი მნიშვნელობის ქიმიურ, ანუ ლაქ-საღებავებისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის საწარმოებში. მომდევნო 1994-1996 წლებში კი ჩატარდა საშუალო და მსხვილ საწარმოთა პრივატიზაცია. ეს პროცესი ისეთივე ხარვეზებით წარიმართა, როგორც მთლიანად მრეწველობაში. შედეგად, ადგილი ჰქონდა როგორც ცალკეული საწარმოების გაერთიანებას - კომპანიების წარმოქმნას, ისე მათ დანაწევრებას. მაგალითად, სააქციო – ჰოლდინგური კომპანია „სამთო ქიმია“ თავდაპირველად დაიყო 13 სააქციო საზოგადოებად და ორგანიზაციად: სამთო ქიმია, სამთო ქიმია - 2000, ურეკი, ცანა, ასკანიტი, საქგუმბრინი, ანდეზიტი, საქცეოლითი, ქუთბარიტი, კრისტალტექნიკა, ხალიბი, მუხტი, თეძამი. შემდგომ ეტაპზე, მაგალითად „ქუთბარიტი“ კიდევ 3 სააქციო საზოგადოებად დაიყო, ასევე „საქგუმბრინი“, „ასკანიტი“ და ა.შ. პროცესი ახლაც გრძელდება.

ამჟამად ქიმიური და ნავთობქიმიური საწარმოების უმეტესობა გაუქმებულია, გაჩერებული ან ძალზე მცირე სიმძლავრით მუშაობს, მათ შორისაა ქუთაისის ლითოფონის და რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნები. ამის შედეგად, 2000 წლისათვის დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობა 1990 წლის დონესთან შედარებით 3,5- ჯერ ნაკლები იყო, ანუ შემცირდა 20,6 ათასიდან 5828 კაცამდე. 2010 წლის მდგომარეობით ქიმიური მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1990 წლის დონის მხოლოდ მეოთხედი იყო. არადა, დარგს განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, რამდენადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო მდიდარია ისეთი ნედლეულით, როგორიცაა: ბარიტი, გუმბრინი, ბენტონიტები, ცეოლითები, დიატომიტი, პერლიტი, ანდეზიტი, ტალკი, შპატი, ობსიდიანი და ა.შ. რომელთა ადგილზე დამუშავებით და შემდეგ ქვეყნის გარეთ გატანით შესაძლებელი გახდება ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოს გარკვეული გაუმჯობესება, ხოლო სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად აღიარების შემდგომ, ძალზე პერსპექტიული და მომგებიანი იქნება სოფლის მეურნეობის მთლიანი უზრუნველყოფა ორგანულ-მინერალური სასუქებითა და მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სხვადასხვა ქიმიური საშუალებებით, ქართველ მეცნიერ-ქიმიკოსთა მიერ შემუშავებული უახლესი ტექნოლოგიების ბაზაზე ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვების გადიდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო,“ თბილისი, 1975, გვ. 227-229.
2. მ. კუბლაშვილი, საბჭოთა საქართველოს ქიმიური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1964, გვ. 35.

Nanuli Arevadze

CHEMICAL AND PETROL-CHEMICAL INDUSTRY IN GEORGIA

Annotation

The article analyzes development aspects of chemical and petrol-chemical industry in pre-crisis and after-crisis periods with regard for raw material possibilities and current deplorable situation in Georgia. Some opinions are said in the direction of further development.

ნანული არევაძე

შავი და ფერადი მეტალურგიის მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

კრიზისამდელ პერიოდში (1990) შავი მეტალურგია საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი. 1990 წელს მასზე მოდიოდა

მთლიანად საქართველოს მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის 3,7%, მომუშავეთა რიცხოვნობის 4,5%, ანუ იქ დასაქმებული იყო 21 ათასი კაცი და დარგში ფუნქციონირებდა რვა საწარმო, რომელთა შორის ყველაზე მსხვილი რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იყო, არა მხოლოდ დარგში, არამედ მთელ მრეწველობაშიც.

შავი მეტალურგიის განვითარების ისტორია საქართველოში, როგორც ცნობილია, ბევრად ადრე დაიწყო, რამდენადაც რკინის კუსტარული წარმოება (რომელიც უმთავრესია მეტალურგიაში) ქვეყანაში უხსოვარი დროიდან არსებობდა, უშუალოდ თუჯის გამოდნობის ისტორია კი 1862 წლის ბოლოდან იწყება ფოლადაურის (ჩათახის) მეტლურგიულ ქარხანაში[175].

ფოლადაურის (ჩათახის) რკინის მადნის საბადოთი სპეციალისტთა დაინტერესება XIX ს. 40-იანი წლებიდან იწყება, თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება მასზე 60-იან წლებში გამახვილდა, როცა გადაწყდა საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დაწყების თაობაზე. მშენებლობისათვის საჭირო დიდი რაოდენობის შავი ლითონების წარმოებისათვის კი აუცილებელი გახდა მისი ადგილზე წარმოების ორგანიზება. ქარხანა 1862 წელს აშენდა, უცხოელი ე. ლიბის პროექტის მიხედვით. მისი ფუნქციონირება დაახლოებით 13 წელს გრძელდებოდა, რომლის განმავლობაში მან 5 728 ტონა რკინის მადანი გადაამუშავა და გამოუშვა 3 452 ტ თუჯი და მისი ნაკეთობები და 390 ტ რკინა. 1875 წელს ქარხანა დაიხურა, რამდენადაც არც ქარხნის მშენებლებს და არც მის შემდგომ მეპარტონეებს არ გააჩნდათ საკმარისი ფინანსური რესურსები, ვერ უწევდნენ სათანადო ხელმძღვანელობას ვერც ქარხნის მშენებლობას, ვერც მის ექსპლუატაციას. რკინის წარმოების ტექნოლოგიური სქემა მოძველებული იყო, წარმოების მასშტაბი მცირე, საწვავი – ხის ნახშირი – ძალიან ძვირი. ყველაფერმა ამან წარმოებული პროდუციის სიძვირე, დაბალი კონკურენტუნარიანობა და ქარხნის შემდგომი ექსპლუატაციის მიზანშეუწონლობა განაპირობა. შემდგომ იყო მისი აღდგენის არაერთი უშედეგო ცდა. ქარხნის აღდგენა მხოლოდ 1923 წელს გახდა შესაძლებელი. იმავე წლის მაისში საწარმომ პირველი ქართული ფოლადი გამოუშვა, მაგრამ, განვითარების უპერსპექტივობისა და რკინის მადნის ბაზის შეზღუდულობის გამო, 1926 წ. კვლავ განხორციელდა მისი კონსერვაცია[176].

მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოშიც და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც საჭირო შავი ლითონი ტერიტორიულად შორი რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარებასთან ერთად კი სულ უფრო იზრდებოდა შავ ლითონებზე მოთხოვნა. ხელისუფლება ცდას არ აკლებდა რეგიონისათვის საკუთარი მეტალურგიული ბაზის შექმნის პრობლემის გადაწყვეტას, რამდენადაც საჭირო ნედლეულისა და სათბობის ბაზა ყველასათვის გარკვეული იყო – დაშქესანის (აზერბაიჯანი) რკინის მადანი და ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირი. დაუზუსტებელი მხოლოდ ქარხნის ადგილმდებარეობის საკითხი იყო. თავდაპირველად განიხილებოდა ქალაქ განჯაში (აზერბაიჯანი) ქარხნის მშენებლობა, თუმცა შემდგომ, 1940 წლის სექტემბერში, სსრკ მაშინდელმა მთავრობამ მიიღო დადგენილება ქარხნის მშენებლობის შესახებ თბილისიდან 8 კილომეტრის დაშორებით, რკინიგზის სადგურ ველის მიდამოებში. 1941 წლის დასაწყიში შეირჩა სამშენებლო მოედანი და დაიწყო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები. ამავე დროს იქმნებოდა საბინაო ფონდი და მომავალი მშენებლობისათვის აუცილებელი დამხმარე საწარმოები. დიდი სამამულო ომის დაწყებამ სამუშაოები შეაჩერა, ხოლო აშენებული საბინაო ფონდი და სამშენებლო მოედნის დიდი ნაწილი თავდაცვის უწყებას გადაეცა.

1944 წელს საბჭოთა არმიის წინსვლისა და ზურგში დარჩენილთა თავდადებული შრომის შედეგად, შესაძლებელი გახდა სამოქალაქო მშენებლობისათვის სახსრების მოძიება. ერთ-ერთ პირველ ასეთ ობიექტად ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის განახლება იქცა, მაგრამ არა ძველ ადგილზე, არამედ რუსთავში დიდ და სწორ მინდორზე, რომლის ვრცელი ტერიტორია ფართო შესაძლებლობას, იძლეოდა როგორც ქარხნის, ისე მომავალი ქალაქისა და სამრეწველო საწარმოების მშენებლობისთვის[177]. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ პირველი სხმული 1950 წლის 27 აპრილს გამოუშვა.

ქარხნის აშენებამ საქართველოს ინდუსტრიული განვითარება ახალ საფეხურზე აიყვანა და ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში რუსეთის, უკრაინის და ყაზახეთის შემდეგ აქცია მეოთხე ქვეყნად, რომელიც აღნობდა თუჯს და აწარმოებდა 100-ზე მეტი დასახელების მეტალურგიულ პროდუქციას – ფოლადს, ფურცლოვან ფოლადს, ნაგლინს და ა.შ. ამასთან, ქარხანა ძირითადად ნავთობის მილების წარმოებაზე იყო სპეციალიზებული. წარმოებული ნაგლინის ორი მესამედი ამიერკავკასიაში მოიხმარებოდა, დანარჩენი არა მარტო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, არამედ საზღვარგარეთის 25 ქვეყანაში იგზავნებოდა და უკვე 1980 წლისათვის ქარხანა წელიწადში 562,1 მლნ მანეთის პროდუქციას აწარმოებდა. მიღწეულის მიუხედავად, ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა შეხედულება ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების თაობაზე

[175] ა. კოჭლავაშვილი, საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 1962, გვ 44.

[176] საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 207.

[177] იქვე, გვ. 210-211.

და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია. 1967 წელს უკრაინის მეტალურგიული ქარხნების სახ-სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა („უკრგიპრომეზმა“) დაასრულა დოკუმენტაციის შედგენა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გაფართოებისა და რეკონსტუქციის საპროექტო გაანგარი-შებების თაობაზე, რომლის პირველი ვარიანტის მიხედვით, 1968 წლის დონესთან შედარებით უნდა გაზრდილიყო თუჯის გამოდნობა – 2,4-ჯერზე მეტად, ფოლადისა და ნაგლინის წარმოება – 2,2-ჯერ, ფოლადის მილებისა ორჯერ და ა.შ. პროექტით გათვალისწინებული იყო წარმოების ფართო მექანიზაცია და ავტომატიზაცია, საბრძმედე და მარტენის პროცესების ინტენსიფიკაცია და სხვა. სსრკ მეტალურგიის სამინისტროში განხილვის დროს მასში სხვადასხვა ცვლილება შევიდა, რომელმაც წარმოების ზრდის მაჩვენებლები, განსაკუთრებით ფოლადისა და ნაგლინის მიხედვით, რამდენადმე შეამცირა. თუმცა, მისი განხორციელების შემთხვევაში, ეს იქნებოდა წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი, რომელიც, ქარხნის საქონლური პროდუქციის ორჯერ გადიდებასთან ერთად, ძირეულად გააუმჯობესებდა მისი მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. სამწუხაროდ, გეგმა ქაღალდზე დარჩა. 1970 წ. 10 მარტს სსრკ მეტალურგიის სამინისიტრომ ახლად დაამტკიცა ქართველი სპეციალისტების მიერ შედგენილი „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტ-რუქციისა და განვითარების პირველი რიგის საპროექტო მოცემულობა“, რომელშიც შემდგომ მორიგი ცვლილებები იქნა შეტანილი დაგეგმილი ზრდის შემცირების მიმართულებით. ამასთან, გამოვლინდა ზოგიერთი პრობლემაც, მაგალითად, ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი შეხედულება ფოლადის მიღების ტრადიციული ტექნოლოგიის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, გამოითქვა აზრი უკოქსო მეტალურგიის განვითარების მიმართულებით, რომელიც ემყარებოდა მეტალურგიული ციკლიდან საბრძმედე პროცესის გამორიცხვას[178]. ვერც აღნიშნული პროექტი განხორციელდა. ამის მიუხედავად, 1975-1980 წლებში, საქართველო წელიწადში საშუალოდ 800 ათას ტ თუჯს, 1,5 მლნ ტ ფოლადს, 500 ათას ტ ფოლადის მილებს აწარმოებდა[179].

1980 წლიდან ქარხანაში წარმოების ზრდა რამდენადმე შეფერხდა, 1990 წლიდან კი მკვეთრად დაეცა. ამჟამად რუსთავში ადრინდელი ქარხნის ბაზაზე ორი მეტალურგიული ქარხანა ფუნქ-ციონირებს, რომელთაგან პირველმა შეინარჩუნა ძველი სახელწოდება და დაკავებულია მხოლოდ მილების წარმოებით. მეორის სახელწოდებაა „ქართული ფოლადი“ და აწარმოებს მხოლოდ სამშენებლო არმატურას. ქუთაისშიც ფუნქციონირებს ინდური ინვესტიციით აშენებული მესამე მეტალურგიული ქარხანა ყოფილი რკინა-ბეტონის საწარმოს ბაზაზე, ისიც სამშენებლო არმატურის წარმოებითაა დაკავებული. სამივე ქარხანაში წარმოების მოცულობა ძალზე მცირეა, პროდუქციის ასორტიმენტი კი – ღარიბი. საქართველოს ფოლადის ბაზარზე ძირითადი მომწოდებელია ლუქსემ-ბურგში სათავო ოფისის მქონე „Arcelor Mittal“ კრივოი როგი.

ძველ პარამეტრებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აღდგენა-ფუნქციონირება შეუძ-ლებელია, რამდენადაც ის ძირითადი ნედლეულის გარეშეა დარჩენილი. ქარხანა ხომ თავიდანვე დაშქესანის (აზერბაიჯანი) რკინის მადნით მარაგდებოდა. ახლა ის მადანი აზერბაიჯანის მეტალურგიასაც ძლივს ჰყოფნის. ამჟამად ჩვენთვის მიუწვდომელია ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოც.

მეტალურგიული წარმოების აღმავლობა, სავარაუდოდ, ალბათ, ახალი სამრეწველო პოლი-ტიკის გატარებით იქნება შესაძლებელი, რომლის საფუძველი უნდა გახდეს სხვადასხვა შეღავათების გატარება.

მეტალურგიული მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი ქვედარგია ფეროშენადნობების წარმოება ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში. როგორც ცნობილია, ქარხნის მშენებლობა 1930 წ. დაიწყო ჭიათურის მანგანუმის მაღალხარისხოვანი მადნის, ტყიბულის ქვანახშირისა და რიონჰესის იაფი ელექტროენერგიის ბაზაზე. ქარხნის პირველი ელექტროსადნობი ღუმელი 1933 წ. 29 ოქტომბერს ამოქმედდა, საპროექტო სიმძლავრეს კი ქარხანამ 1937 წ. მიაღწია, როცა გამოშვებულ იქნა 11 სახეობის ფეროშენადნობი, რის საფუძველზეც ფერომანგანუმის ქარხანას ფეროშენადნობთა ქარხანა დაერქვა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, ქარხნის ძირეული რეკონსტრუქციის შედეგად, მისი სიმძლავრე 4-ჯერ, გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი კი 40-ზე მეტ დასახელებამდე გაიზარდა, მ.შ. იყო 4 სახის ნახშირბადიანი ფერომანგანუმი, რომელიც არა მხოლოდ რესპუბლიკის შიგნით, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში და მსოფლიოს 30 ქვეყანაში იგზავნებოდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა ძირითადი საწარმოო ობიექტების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, გაუქმდა გარემოს ძლიერი დამაბინძურებელი ძველი ღუმელები, დაიდგა ახალი დანადგარები, რის შედეგადაც ფერომანგანუმის წლიურმა წარმოებამ 100 000 ტ მიაღწია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად, დაინერგა კალციუმის კარბიდის წარმოების ტექნოლოგია, სილიკომანგანუმის ნაყარის წიდისაგან მანგანუმის რეექსტრა-გირების ტექნოლოგია და ა.შ.

---

[178] იქვე, გვ. 213-219.

[179] ეკონომიკა, ხალხის კეთილდღეობა, საქართველო სსრ, ქსე, თბ., 1981, გვ. 118-158.

პრივატიზაციის შედეგად, ქარხნის მფლობელი გახდა კომპანია „სილქრომექს ჰოლდინგს ლიმიტეტი“, შემდეგ შპს „ჯორჯიან მანგანეზი“, რომლის განკარგულებაში გადავიდა აგრეთვე ვარციხის ჰიდროელექტროსადგური და ჭიათურის მანგანუმის საბადო. როგორც ცნობილია, ეს საბადო 1846 წ. ცნობილმა გეოლოგმა აბიხმა აღმოაჩინა, თუმცა მისი ექსპლუატაცია მაშინვე არ დაწყებულა, რამდენადაც იმ დროს მეტალურგიაში მანგანუმის მადანზე მოთხოვნა მცირე იყო. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში მეტალურგიის განვითარებისა და მაგანუმზე მოთხოვნის ზრდის კვალობაზე, ჭიათურის მანგანუმის საბადოს ექსპლუატაცია დაიწყო და უკვე 1900 წ. მასზე მოდიოდა მანგანუმის მსოფლიო მოპოვებისა და ექსპორტის თითქმის ნახევარი. მიუხედავად იმისა, რომ მადნის მოპოვება და დამუშავება პრიმიტიული იარაღებით ხორციელდებოდა, 1913 წ. იქ მოპოვებული იქნა 966,8 ათასი ტონა მადანი. შემდეგ მისი მოპოვება შემცირდა და 1921 წლისათვის მთლიანად შეწყდა. ახალი ხელისუფლების პირობებში განახლდა, თუმცა მცირე მოცულობით, ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო. შექმნილმა ვითარებამ განაპირობა მადნის დამუშავების უცხოელ კონცესიონერებზე გადაცემის აუცილებლობა. ხელშეკრულება 1925 წ. დაიდო ახალ ხელისუფლებასა და ამერიკელ კაპიტალისტ ჰარიმანს შორის 20 წლის ვადით, გარკვეული პირობებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით ამერიკელთა მხრიდან, რომელთა უდიდესი ნაწილის შეუსრულებლობის გამო, ქართულმა მხარემ ხელშეკრულება მალევე გააუქმა[180]. 1928 წ. ჭიათურის მანგანუმის ტრესტის შექმნის შემდეგ მისი მართვა-ექსპლუატაცია ადგილობრივი ძალებით ხორციელდებოდა. თავდაპირველად, 30-იან წლებში აშენდა თხევად საწვავზე მომუშავე თბოელექტროსადგური, საბაგირო გზები, ცოტა მოგვიანებით, ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამოქმედების შემდეგ მოპოვებული და გამდიდრებული მადნის მნიშვნელოვანი ნაწილი ქარხანას მიეწოდებოდა, ნაწილი ქვეყნის გარეთ გადიოდა.

უკანასკნელ წლებში ჭიათურაში ძალიან მძიმე ვითარებაა შექმნილი, მაღაროების ექსპლუატაცია თითქმის შეწყვეტილია, რის გამოც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში საჭირო მანგანუმის კონცენტრატები ძირითადად მოანდას მაღაროდან გაბონი შემოაქვთ. ჭიათურაში კი, მადნის ღია წესით მოპოვების გამო, ძალზე გაუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა. შექმნილი ვითარება აუცილებლად მოითხოვს მაღაროების სწრაფ რეაბილიტაციას, მანგანუმის მადნის დახურული წესით მოპოვების აღდგენას, რათა ფერო და სილიკომანგანუმის წარმოება ძირითადად ადგილობრივი ნედლეულით მომარაგდეს, რამდენადაც ახლა ერთადერთი კონკურენტუნარიანი მეტალურგიული პროდუქცია, რომლის წარმოებაცა და მსოფლიო ბაზრისათვის მიწოდება საქართველოს შეუძლია, სწორედ ფერო და სილიკომანგანუმია. ასევე, იმის გათვალისწინებაც საჭიროა, რომ ქვეყანაში არსებობს მეტალურგიული ნედლეულის სხვა სახეებიც – კალცედონი, დოლომიტები და ა.შ.

საქართველოში უძველეს დროში ფერადი მეტალურგიის განვითარებაზე ჯერჯერობით დაუზუსტებელი მოსაზრებები არსებობს (საყდრისი). დადასტურებელი მხოლოდ ის არის, რომ არსებობდა სპილენძის სადნობი რამდენიმე წვრილი კუსტარული საწარმო. ფერადი მეტალურგიის პირველ საწარმოდ შეიძლება მივიჩნიოთ კვაისის ფერადი ლითონების გამამდიდრებელი ფაბრიკა (ყოფ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე), რომელიც 1949 წ. ამოქმედდა და ახდენდა კვაისის ფერადი ლითონების მაღაროში მოპოვებული ტყვია-თუთიის მადნების გამდიდრებას.

XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ფერადი მეტალურგია საქართველოში (დასახელებულ საწარმოსთან ერთად) წარმოდგენილი იყო რუსთავის მეორადი ნედლეულის სადნობი, ლითონური დარიშხანის მწარმოებელი რაჭის (ურავი) და სვანეთის (ცანა) ქარხნებით, აგრეთვე მადნეულის სპილენძისა და, ბარიტპოლიმეტალური კომბინატით, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქცია ფერადი მეტალურგიის ქარხნებისათვის ნახევარფაბრიკატს წარმოადგენდა და ალუმინის გარდა, რესპუბლიკის გარეთ იყიდებოდა. ჩამოთვლილთაგან ყველაზე პერსპექტიული მადნეულის – სპილენძისა და ბარიტპოლიმეტალური კომბინატია (დანარჩენთაგან უმეტესობა აღარ ფუნქციონირებს), რამდენადაც ეფუძნება მძლავრ სანედლეულო ბაზას – მადნეულის საბადოს, რომელიც, ფერადი ლითონების მარაგით, ერთ-ერთი უდიდესია ქვეყანაში (და ბევრი გავლენიანი ჯგუფის თუ ცალკეული პირის ინტერესების სფეროშია მოქცეული). როგორც კომპანია სს „მადნეული“ 1993 წლიდან ფუნქციონირებს, მისი სიმძლავრე თავიდან 1 700 000 ტ გადამუშავებული მადანი იყო, რომელიც 2003 წ. 2 მლნ ტონამდე გაიზარდა. მადნეულში ოქროს შემცველი მეორადი კაჟოვანი მადნიდან ძვირფასი ლითონების ამოკრეფა გამოტუტვის მეთოდით ხდება. 2012 წლის 14 ივნისამდე სს „მადნეული“ და შპს „კვარციტი“ დამოუკიდებლად ფუნქციონირებდნენ, შემდეგ გაერთიანდნენ. ისინი 120 მილიონ დოლარად იყიდა კომპანია „კაპიტალ ჯგუფმა“, რომლის აქციონერები არიან დიმიტრი კორჟევი და დიმიტრი ტროიცკი. წიაღისეულის მოპოვებაზე კი ლიცენზიის მფლობელი 110,5 მლნ დოლარად და 27 წლიანი ვადით გახდა კომპანია Mining Investmentsc, და ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი.

[180] საბჭოთა საქართველო, „მეცნიერება“, თბ., 1981,. გვ. 30-31.

მადნეულში წლიურად იწარმოება 3,5 ტ დორე შენადნობის ოქრო. საერთოდ, მადნეულში წარმოებული ლითონების ექსპორტის წილი ქვეყნის მთელი ექსპორტის მოცულობაში უკანასკნელ წლებში 10%-ის ფარგლებში იყო.

Nanuli Arevadze

SOME ASPECTS OF FERROUS AND NON-FERROUS METALLURGICAL INDUSTRY DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

The article analyses main aspects of development of ferrous and non-ferrous metallurgical industry in pre crisis and post crisis periods. In comparison with other industries the above-mentioned sector has more as less preserved its material and technical basis and production personnel, though has decreased the volume of production and assortment directly connected with the problems of resources supply. Special attention is devoted to Zestaphoni Ferroalloy plant, as ferro and silico manganese are the only competitive metallurgical production Georgia is possible to export to world markets.

ნანული არევაძე

საქართველოს ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა: რეალობა და შესაძლებლობები

ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა ინდუსტრიის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, რამდენადაც მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული მშენებლობის უწყვეტი მომარაგება ხის სამშენებლო მასალებით და მოსახლეობისა – ავეჯით, ქაღალდით, მუყაოთი და ა.შ.

საქართველოში აღნიშნული დარგის სამრეწველო განვითარება ფაქტიურად XIX ს. 60-იანი წლებიდან იწყება, როცა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით დაიწყო ავეჯისა და ხის სხვა ნაკეთობათა წარმოება მსხვილი სამრეწველო და საქალაქო მშენებლობისათვის. რისთვისაც 1913 წ. მაგალითად, საქართველოს ტყეებიდან გამოზიდულ იქნა 170 ათასი $მ^3$ მერქანი, რომელთაგან 60 ათასი $მ^3$ სამასალე მერქანი იყო.

XX ს. დასაწყისში ქვეყნის სატყეო მრეწველობის ახლად ამოქმედებული საწარმოები თბილისსა და ბათუმში ძირითადად ექსპორტისათვის მუშაობდა. იმ დროს თბილისში არსებული სამი საწარმოდან ავეჯის ფაბრიკა სკამებსა და პარკეტს უშვებდა, ხის დამმუშავებელი ფაბრიკა – კარ-ფანჯრებს, ფანერის ქარხანა კი – ძვირფასი ჯიშის მერქნის ანათალ ფანერას ევროპის ბაზრებისათვის, ასევე საზღვარგარეთ იგზავნებოდა ხის მასალები და ნაკეთობები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ დაიწყო ხე-ტყის მრეწველობის განვითარება და 1929–30 სამეურნეო წელს 1913 წელთან შედარებით 151,3%-ით მეტი მერქანი დამზადდა, 1940 წელს კი ზრდა უკვე 5,5-ჯერ მეტი იყო. მერქნის დამზადების ზრდამ ხელი შეუწყო ახალ საწარმოთა მშენებლობას და დარგის შემდგომ განვითარებას. ამუშავდა მრავალი ახალი საწარმო, მაგალითად ბორჯომის საკასრე ქარხანა (1926–1927); ზუგდიდის, კოდორის, რიკეთის, თბილისის, ცხინვალის, მცხეთის, ახმეტის და სხვა სახერხი ქარხნები (1928–40), თბილისის ქაღალდის ფაბრიკა (1935), ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი (1939)[181]. განვითარდა ავეჯის მრეწველობაც, მარელისში გრეხილი ავეჯის სპეციალიზირებული ფაბრიკა 1926 წ. ამუშავდა, რომელიც ადგილობრივი წიფლის ტყეებისა და მისი მერქნის ბაზაზე იმდენად მაღალხარისხოვან სკამებს უშვებდა, რომ მისი ნაწილის ექსპორტირებაც ხდებოდა. 1930–1932 წლებში ამოქმედდა თბილისის მეორე, მესამე და მეოთხე ავეჯის ფაბრიკები, 1938 წელს ადრინდელი კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო პიანინოების მწარმოებელმა ფაბრიკა – „საქართველომ".

მეორე მსოფლიო ომის წლებში აღნიშნული დარგი დიდ სიძნელეებს წააწყდა სხვა რესპუბლიკებიდან მერქნის შემოზიდვის შეუძლებლობის გამო, ადგილობრივი მერქანი კი საკმარისი აღარ იყო. დარგის საწარმოები ძირითადად სამხედრო დაკვეთებზე მუშაობდნენ. იმის დამთავრების შემდეგ გაგრძელდა ხე-ტყის მრეწველობის შემდგომი განვითარება და 1950 წელს დამზადდა 1146 ათასი $მ^3$ მერქანი, მ.შ. 403 ათასი სამასალე მერქანი იყო, შესაბამისად გადიდდა დახერხილი ხე-ტყის მოცულობაც და 1958 წ. მან 648 ათასი $მ^3$ შეადგინა[182].

ომის შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა ავეჯის მრეწველობაც, განხორციელდა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის გაფართოება-რეკონსტრუქცია, აშენდა ახალი საწარმოები:

---

[181] საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები. თბ., „საბჭოთა საქართველო", 1975, გვ. 300-301.

[182] საქართველოს სახალხო მეურნეობა 1967 წ. სტ. კრებული. გამომცემლობა „სტატისტიკის" საქართველოს განყოფილება, თბ., 1968, გვ. 74.

თბილისის საავეჯო კომბინატი, ახალდაბის, ქუთაისის, კოდორის საავეჯო ფაბრიკები. გაფართოვდა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატიც, რომლის სიმძლავრეებიც ცელულოზის მიხედვით 11500 ტონიდან – 16 ათას ტონამდე, ხოლო ქაღალდისა – 11700 ტონიდან – 24 ათას ტონამდე გაიზარდა. თბილისის საქაღალდე ფაბრიკაში მოეწყო 115 ტონა საკოლოფე მუყაოს გამოშვება, 1958–1959 წლებში კი აშენდა წყალგაუმტარი მუყაოს საამქრო.

1958 წელს საქართველო უკვე აწარმოებდა 30 ათას ტონა ქაღალდს ანუ 3-ჯერ მეტს 1940 წელთან შედარებით[183].

შემდგომ წლებში საქართველოს მთის ტყეების დიდი ნიადაგდაცვითი და საკურორტო დანიშნულების გამო გარკვეული ოდენობით შემცირდა ტყე-კაფვის წლიური ფონდი, რამაც ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივი ნედლეულით ხე-ტყის მრეწველობის შემდგომ განვითარებაზე, თუმცა დახერხილი ხე-ტყის რაოდენობის შემცირების მიუხედავად, ავეჯის წარმოება არა თუ არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა კიდეც 1965 წელს 50%-ით 1958 წლის მიმართ.

ამ პერიოდში დაიწყო სატყეო ქიმიის განვითარებაც, 1960 წელს ამოქმედდა საკვები საფუარის ქარხანა, წლიურად 2000 ტონა სიმძლავრით, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ნარჩენების ბაზაზე, 1963 წელს ფუნქციონირება დაიწყო ახმეტის საფუარის ქარხანამ (1500 ტ. სიმძლავრით). იმავე წელს თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადთან" ორგანიზებულ იქნა მერქან-ბურბუშელას ფილების საამქრო.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებშიც საქართველოს ტყეებიდან მცირდებოდა სამასალე მერქნის გამოზიდვა, არ შემცირებულა ავეჯის, მერქან-ბურბუშელას ფილების, სამშენებლო ნაკეთობების და ა.შ. წარმოება, რამდენადაც პროდუქციის ამ სახეების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის შემოტანა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან ხორციელდებოდა, საფუარი კი მერქნის გადამუშავების ნარჩენებიდან მიიღებოდა.

სხვა რესპუბლიკებიდან შემოდიოდა სამასალე მრგვალი მერქანი, დახერხილი ხე-ტყე, მუყაო, ქაღალდი, შეწებებული ფანერა, პარკეტი და სხვა; მაგალითად 1968 წელს საქართველოში შემოტანილ იქნა 737,6 ათასი $მ^3$ სამასალე მორები, 275 ათასი $მ^3$ დახერხილი ხე-ტყე, 117,7 ათასი ტონა მუყაო, 35,5 ათასი ტონა ქაღალდი, 18 ათასი $მ^3$ პარკეტი, 31,5 ათასი $მ^3$ შეწებებული ფანერა და სხვა[184].

აღნიშნილის მიუხედავად, კრიზისამდელ პერიოდში ანუ 1990 წელს დარგის პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობაში 3,3%-ს შეადგენდა და იქ დასაქმებული იყო 23,8 ათასი კაცი (5,2%). დარგი ფლობდა 300,4 მლნ მანეთის ღირებულების ძირითად კაპიტალს და მოიცავდა სამ ქვედარგს, ანუ ხე-ტყის წარმოებას (სახერხი ქარხნები), ხის დამმუშავებელ მრეწველობის (ავეჯის ქარხნები, სამშენებლო დეტალების, ფანერისა და ხის ტარის მწარმოებელი საწარმოები) და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საწარმოებს (ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი და მისი ფილიალი, მუყაო-რუბეროიდის ქარხანა). ჩამოთვლილთაგან ძირითადი ორი უკანასკნელი იყო.

თავის მხრივ, დარგისათვის 1990 წელი საუკეთესო არ ყოფილა, პირიქით, ამ წელს, მაგალითად 1958 წლის მიმართ პროდუქციის წარმოების მოცულობამ 12,2 პროცენტი შეადგინა, მ.შ. მუყაოს წარმოება შემცირდა 16,6 ათასი ტონით, ქაღალდის – 13,5 ათასი ტონით, დახერხილი მასალის – 38,1 ათასი $მ^3$, ანუ შემცირება ყველა ქვედარგისათვის იყო დამახასიათებელი, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის გარდა. ყველაზე ცუდი ვითარება შეიმჩნეოდა დახერხილი მასალის მრეწველობაში, სადაც საწარმოთა უდიდესი ნაწილი წვრილი და კუსტარული იყო და ფიზიკურად და მორალურად ძალზე მოძველებული ტექნიკით აღჭურვილი. ცოტა უკეთესი მდგომარეობა იყო ხის დამმუშავებელ მრეწველობაში, რომლის ავეჯის საწარმოები შედარებით ახალ საწარმოო მოწყობილობებს ფლობდნენ.

ცნობილია, რომ საქართველოში ტყით დაფარულია მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი, დაახლოებით ერთ მესამედზე მეტი. საქართველოს ტყის ფონდი შვეიცარიის ტყის ფონდის მოცულობისაა, თუმცა ბევრად უფრო ძვირფასი ჯიშის ხეებითაა დაფარული. საქართველოში ტიპიური მთის ტყეებია, რომლის 73% გაადგილებულია ზღვის დონიდან 1500 მ-ზე უფრო მაღლა, ხოლო მარაგების 66% ჩვეულებრივი მიწისზედა ხე-ტყის დამზადების სისტემებისათვის შეუღწევად ზონაშია. ამავე დროს, კორომების 55%-ის სიხშირე 0,6-ზე ნაკლებია, რაც გამორიცხავს ექსტენსიური ჭრების ჩატარების შესაძლებლობას. არასახარბიელოა ტყეების ასაკობრივი მაჩვენებლებიც, სადაც მწიფე და გადაბერებულ კორომებს მთლიანი მარაგების 45% და ფართობების 30% უკავია. შესაბამისად მცირეა საშუალო და ახალგაზრდა ტყეებით დაკავებული ფართობების მაჩვენებლებიც.

საქართველოს ტყეების საორიენტაციო ეკონომიკური სარგებლიანობის შეფასების თანახმად, მერქნულ რესურსებზე მოდის მთლიანი ღირებულების მხოლოდ 26,1%, დაცვით და რეკრეაციულ

[183] საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1975, გვ. 303.
[184] იქვე, გვ. 304.

ფუნქციებზე – 73,3%, ნახშირბადის სეკვესტრზე – 2,4%, ტყიდან დანარჩენ სარგებლიანობაზე – 0,3%[185].

მაშასადამე, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომ საქართველოს ტყეების ძირითადი დანიშნულება ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და საკურორტო ფუნქციაა. სწორედ მისმა უგულველყოფამ და ტყიდან მეტყევეთა მასობივმა „გამოდევნამ", ტყის დაცვითი ფუნქციების მოშლამ განაპირობა „წლის თითქმის ყველა სეზონზე გაუთავებელი წარღვნები, წყალდიდობები, ღვარცოფები და სტიქიური უბედურებები, რამაც ქვეყანას მილიონობით ზარალი მოუტანა"[186].

უკანასკნელ პერიოდამდე ტყის მასივები უკონტროლოდ ნადგურდებოდა და საზღვარგარეთ მორებად იყიდებოდა. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში საქართველოს უნიკალური ტყის ეკოსისტემა აღიქმებოდა, როგორც მხოლოდ მერქნული რესურსების მიღების წყარო და აქცენტი მისი გრძელვადიანი (49 წლიანი) არენდით გაცემაზე კეთდებოდა, შემდგომში მისი ყოველგვარი დაცვისა და შენარჩუნების ინსტიტუციური გარანტიების გარეშე, რაც სრული განადგურების ტოლფასი და ყოვლად დაუშვებელი იყო. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ აუქციონები, რომლის საფუძველზეც ხე-ტყის დამზადების ოცწლიანი ლიცენზიები გაიცემოდა საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით ტარდებოდა, გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე.

ამჟამად, საქართველოში მერქნის გადამუშავების მრეწველობა ფაქტობრივად გაჩერებულია, საშრობი საამქროები თითქმის გაუქმებულია, აღარ იწარმოება პარკეტი, თითქმის აღარ მზადდება ავეჯი, ბაზარი გადავსებულია ძალზე ძვირი და აბსოლუტურად უგემოვნო იმპორტული ავეჯით[187]. იმპორტი ექსპორტს რამდენჯერმე აღემატება. სწორედ ამიტომ ქვეყნის უზრუნველყოფა შესაბამისი პროდუქციით ძირითადად იმპორტით კმაყოფილდება. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის შეზღუდული რაოდენობის რესურსები გააჩნია, ჯერ უნდა შეიკვეცოს, შემდგომ კი საბოლოოდ აიკრძალოს საქართველოს ტერიტორიიდან მერქნული რესურსების ექსპორტიც და რეექსპორტიც. ყურადღება უნდა გამახვილდეს მზა ნაწარმის ექსპორტზე ადგილობრივი საწარმოების რეკონსტრუქციისა და განვითარების საფუძველზე. ჩვენ თვითონ უნდა ვიზრუნოთ მერქნული მასალის სხვა ქვეყნებიდან შემოტანაზე ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით. ქვეყნის შიგნით არსებული რესურსები კი მაქსიმალურად რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული, მაგალითად ადგილობრივი „წიფლის მერქნით ძირითადად უნდა დამზადდეს მასიური, კონკურენტუნარიანი, საექსპორტო ავეჯი; ავეჯის მოპირკეთებისათვის საჭირო წიფლის ანათალი ფანერის წარმოება უნდა გაიზარდოს იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მისი ექსპორტი. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, მისი სისქე შეიძლება 1-დან 0,5 მმ შემცირდეს. ამით მიიღწევა მისი კონკურენტუნარიანობა და ნედლეულის ეკონომია, მერქან-ბურბუშელოვანი ფილების საწარმოებლად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მეორადი რესურსები და მერქნის ნარჩენები"[188].

ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ბამბუკის ავეჯისა და მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოების აღდგენა. ასევე, ცელულოზის ადგილზე დამზადებით და მეორადი ნედლეულის გამოყენებით ქაღალდის მრეწველობის უზრუნველყოფა. საერთოდ მოხმარებული ნედლეულის სტრუქტურაში მეტი ყურადღება მეორადი ნედლეულის გამოყენებას უნდა მიექცეს.

ამჟამად არსებული სავალალო მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სახელმწიფოს ხელშეწყობისა და შესაბამისი პოლიტიკური ნების პირობებში, რაც, ყველა სხვა სიკეთეებთან ერთად, დიდად შეარბილებს შრომის ბაზარზე ამჟამად არსებულ სიტუაციას, რამდენადაც დარგის შესაბამისი განვითარების პირობებში დასაქმდება რამდენიმე ათასი კაცი, რასაც, წმინდა ეკონომიკური მიზანშეწონილობის გარდა, უზარმაზარი სოციალური მნიშვნელობაც აქვს.

Nanuli Arevadze

TIMBER WOODWORKING AND PULP-PAPER INDUSTRY OF GEORGIA: REALITY AND POSSIBILITIES

Annotation

The article analyzes some aspects of timber, woodworking and pulp-paper industry development. It is noted that in past century the sector development was more successive in contrast to current situation. At present because of

[185] თ. კანდელაკი, საქართველოს სატყეო დარგის განვითარების კონცეპციის მეთოდოლოგია და იმპლემენტაციის პრიორიტეტები, წიგნში საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 11, „სიახლე", თბ., 2013, გვ. 415.

[186] იქვე, გვ. 419.

[187] ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, გამომც. „ნეკერი", თბ., 2011, გვ. 209.

[188] დ. ჩომახიძე, სამრეწველო პოლიტიკის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები, წიგნში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 11, გამომც. „სიახლე", თბ., 2013, გვ. 439.

deplorable state of the sector the demand on its production is mainly satisfied by import. Certain difficulties of its fur-further stable development remain undecided because of the scare raw material resources and is supposed the necessity to more rational use of secondary resources.

ნანული არევაძე

საშენი მასალების მრეწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში

საშენი მასალების მრეწველობის პროდუქცია მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილია, ამდენად მის განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული მთლიანად მშენებლობის ზრდის ტემპი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკის ამ დარგში. XX საუკუნის ოციან წლებში შეიქმნა, მანამდე საშენი მასალები, მცირე მოცულობით, მხოლოდ კუსტარულ და ნახევრადკუსტარულ საწარმოებში იწარმოებოდა. მაგალითად 1913 წელს საქართველოში წარმოებულ იქნა აგური – 30 მილიონი ცალი, კირი – 420 ათასი ტონა, კრამიტი – 25 ათასი $მ^2$. საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების ისტორია, შეიძლება ითქვას, 1928 წლიდან იწყება, როცა ამუშავდა იმ დროისათვის ერთ-ერთი მსხვილი და ტექნიკურად სრულყოფილი – კასპის ცემენტის ქარხანა – წელიწადში 130 ათასი ტონის წარმადობით. XX საუკუნის 30-იან წლებში აშენდა და ამოქმედდა აგურის ქარხნები თბილისში, ნოსირში, ზუგდიდში, ხაშურში, ოზურგეთში, გურჯაანში, ლანჩხუთში და ა.შ. შედეგად, უკვე 1932 წელს, 1928 წელთან შედარებით, აგურის წარმოება ორჯერ გაიზარდა, კირისა და კრამიტის – სამჯერ. 1940 წელს კი წარმოებული იქნა ცემენტი – 119 ათასი ტონა, აგური – 91 მილიონი ცალი, ანუ 1928 წელან შედარებით 3,6-ჯერ მეტი, კრამიტი – 1207 ათასი $მ^2$, ანუ 17,5-ჯერ მეტი, კირი – 64 ათასი ტონა – 11-ჯერ მეტი და ა.შ. ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად, დარგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაპიტალური მშენებლობის ზრდის ტემპს, რის გამოც მწვავედ იგრძნობიდა საშენი მასალების დეფიციტი, განსაკუთრებით ცოტა იყო არამადნეული, შემკვრელი და საკედლე მასალები. [1. გვ. 271–272]

ომის პერიოდში, სამოქალაქო მშენებლობის თითქმის სრული შეწყვეტის გამო, დაიხურა აგურის, კრამიტის და კირის ქარხნების უმეტესობა, დანარჩენებმა მ.შ. ცემენტის ქარხნებმა წარმოება ძლიერ შეამცირეს. გამოცოცხლება დაიწყო 1944 წლიდან, როცა განახლდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების და ნახშირის მაღაროების მშენებლობა. ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რუსთავის ცემენტის ქარხნის აშენება მეტალურგიული ქარხნის ბრძმედის წიდის ბაზაზე.

კაპიტალური მშენებლობის შემდგომი აღმავლობის პირობებში, შესამჩნევი გახდა სამშენებლო მასალების წარმოების შემდგომი გადიდების აუცილებლობა. თუმცა არა მხოლოდ ტრადიციულის, არამედ ისეთი ახალი პროგრესული მასალების მიხედვით, როგორც იმ დროს იყო ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, ბეტონისა და სილიკატის საკედლე ბლოკები.

1965–1985 წლებში საგრძნობლად გაიზარდა საშენ მასალათა წარმოების საწარმოო სიმძლავრეები, გაფართოვდა წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდა ხარისხი (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საშენ მასალათა წარმოება საქართველოში ნატურალური გამოხატულებით 1965–1985 წლებში [2. გვ. 76]

	1965	1970	1975	1980	1985
1. რკინა-ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები და დეტალები – ათასი $მ^2$	672.0	923.2	1221.8	2139.4	2284.1
2. საკედლე მასალები (სამშენებლო აგური და საკედლე ბლოკები) – მილ. ცალი საკედლე აგური	493.4	667.0	711.6	703.7	791.8
მ.შ სამშენებლო აგური	332.9	387.7	361.4	319.7	307.8
კერამიკული ფილები იატაკისათვის, ათასი $მ^2$	106	126	159	156	182
3. ყორექვა (სასაქონლო) ათასი $მ^3$	618	447	453	515	338
4. ღორღი "	1663	2998	4174	5692	6997
5. ხრეში "	2457	2581	2911	3417	2726
6. სამშენებლო სილა "	1999	2573	3157	4962	4737

უნდა აღინიშნოს, რომ სამოციან წლებში, საქართველოს ცემენტის მრეწველობის საწარმოებში აითვისეს სწრაფად გამაგრებადი ცემენტის წარმოება, რომლის ეფექტიანობა ძალზე მაღალია ასაწყობი რკინა-ბეტონის ნაკეთობების დამზადების პროცესში. რამაც ამ პერიოდში ხელი შეუწყო ქვეყნიდან ცემენტის გატანის ზრდას, ასე მაგალითად 1960 წელს ქვეყნიდან გატანილ იქნა

478,5 ათასი ტონა, თუმცა, შემდეგ წლებში, გატანის მოცულობა შემცირდა 1965 წელს – 75,6 ათას ტონამდე, 1969 წელს – 17,4 ათას ტონამდე. ამავე წლებში საქართველოში სპეციალური დანიშნულების (მჟავაგამძლე, დეკორატიული და ა.შ.) ცემენტის შემოტანამ (რომელიც ჩვენთან არ იწარმოებოდა) შეადგინა, შესაბამისად 8,8; 30,6 და 159,4 ათასი ტონა.

XX ს. 80-იანი წლების ბოლოს საშენ მასალათა მრეწველობას ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა თავისი მნიშვნელობით, წარმოების მოცულობით, ასორტიმენტითა და ტვირთბრუნვით. მისი საწარმოო სიმძლავრეები (ცემენტის გარდა) არა მარტო აკმაყოფილებდა ქვეყნის შიგნით არსებულ მოთხოვნებს, არამედ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკებშიც გადიოდა (სახურავი, ლინოლეუმი, პერლიტი და სხვა).

1990 წელს სამშენებლო მასალების წარმოების ხვედრითი წონა წარმოებული პროდუქციის მიხედვით, მთელი მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში 5,1% იყო, ძირითადი კაპიტალის მიხედვით 9,8%. დარგში ფუნქციონირებდა 146 საწარმო (10,7%) და წარმოდგენილი იყო ისეთი ქვედარგებით, როგორიცაა ცემენტის, სახურავისა და ჰიდროსაიზოლაციო მასალების, საკედლე მასალების, სამშენებლო კერამიკის, არამეტალური მასალების, თბოსაიზოლაციო და სხვა სამშენებლო მასალების წარმოება. უნდა აღინიშნოს, რომ დარგისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიების მრავალფეროვნების, სირთულის და განსხვავებულობის გამო, ზოგიერთისათვის უპირატესად მასალატევადობა და ენერგოტევადობა იყო დამახასიათებელი, ზოგიერთისთვის კი შრომატევადობა და კაპიტალტევადობა.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მშენებლობის სრული პარალიზება გამოიწვია, რამაც ძლიერი დარტყმა მიაყენა საშენ მასალათა მრეწველობას და მისი მთლიანი დაცემა განაპირობა. ამ პერიოდში წლიდან წლამდე მცირდებოდა დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობა, რის შედეგადაც დარგში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 1990 წლის 5,1 პროცენტიდან 2,3 პროცენტამდე შემცირდა 1995 წლისათვის (მთლიანად მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის უპრეცედენტო შემცირების პირობებში). აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით კი 1995 წელს დარგის მიერ წარმოებული პროდუქცია 1990 წლის დონის მხოლოდ 4% იყო, ანუ შემცირება 25-ჯერადი იყო. მომდევნო წლებში შეიმჩნეოდა ერთგვარი გამოცოცხლება, თუმცა მეტად მცირე იმისათვის, რომ წინა წლებში არსებულ დაცემის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა. არადა მაშინ დარგში დამონტაჟებული ზოგიერთი მოწყობილობა იმდროინდელი მოთხოვნების შესაბამისი იყო, რამდენადაც 1986–1990 წლებში საშენ მასალათა მრეწველობაში ძირითადი კაპიტალის ცვეთის ანაზღაურება სხვა დარგებთან შედარებით, ოდნავ მაღალი იყო და 4,1%-ს შეადგენდა. რის საფუძველზეც ზოგიერთ საწარმოში განხორციელდა ტექნიკური გადაიარაღება, ზოგიერთში კი ეს ვერ მოხერხდა, მაგალითად კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნებში, რომლებიც ნამდვილად საჭიროებდნენ ტექნოლოგიური პროცესებისა და დანადგარების შეცვლას. ამასთან, ამ პერიოდში, ქვეყანაში არსებული სრული ქაოსისა და განუკითხაობის პირობებში, ბევრი ქარხნის მანქანა-მოწყობილობა მთლიანად განიძარცვა და მწყობრიდან გამოვიდა. შედეგად XXI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში ფაქტობრივად აღარ არსებობდა საშენ მასალათა მრეწველობის ერთიანი დარგი, რამდენადაც პროდუქციის გასაღების ბაზრების დაკარგვამ, ენერგეტიკულმა კრიზისმა, ენერგოშემცველებზე და სატრანსპორტო ტვირთებზე ტარიფების ზრდამ, კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებამ განაპირობა დარგის საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის კატასტროფულ მდგომარეობამდე მიყვანა, ამასთან სიძნელეები შეიმჩნეოდა დარგის საწარმოთა, განსაკუთრებით აგურის ქარხნების, ნედლეულით მომარაგების საქმეში თიხის კარიერების შემცირების გამო, რამდენადაც ქვეყნის მიწის ფონდს შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, გეოლოგიური სამუშაოების განხორციელებისას აქცენტი მთისწინა ადგილებზე განლაგებული „ძირითადი" თიხების ძიებაზე იყო გადატანილი. ამ და სხვა მიზეზების გამო, თუ 1990 წელს საქართველოში 58 აგურის ქარხანა ფუნქციონირებდა, შემდეგ ორიდა დარჩა. ფაქტობრივად შეწყდა ინერტული მასალების მოპოვება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, საბერძნეთისა და იტალიის მსგავსად, გამოირჩევა საშენი და მოსაპირკეთებელი ქვების სიუხვითა და მრავალფეროვნებით და მათი საუკეთესო ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, ის მაინც ვერ ახერხებს საერთაშორისო ბაზარზე გასვლას. არადა მას ამ ტიპის 231 საბადო გააჩნია, რომელთა მარაგების მოცულობა 1,5 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტია.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში მოპოვებული და დამუშავებული ქვები ფართოდ გამოიყენებოდა მოსკოვის, სანკ-პეტერბურგის, ვარშავისა და მრავალი სხვა ქალაქის შენობების, განსაკუთრებით მეტროპოლიტენების მოსაპირკეთებლად. სწორედ ქართული გრანიტით, ტეშენიტითა და მარმარილოთია მათი დიდი ნაწილი მოპირკეთებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთლიანად შეწყდა ამ ქვების ექსპორტი საქართველოდან. [3. გვ. 59] არათუ ექსპორტი, არამედ შიდა ბაზარიც ახლა მთლიანად დაპყრობილია თურქეთის, იტალიის, ირანის ქვების მწარმოებელი ფირმების მიერ, ქართული ქვა კი ძირითადად სასაფლაოებისა და ტროტუარების მოსაპირკეთებლად (ბაზალტი, ტოლერიტი) გამოიყენება. დეფიციტია ცემენტის წარმოებაშიც, არადა საქართველოში

არსებული კირქვისა და თიხის საბადოები სრულად საკმარისია იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს მძლავრი ცემენტის მრეწველობა. მართალია საქართველოში ახლა უკვე იწარმოება კონკურენტუნარიანი ცემენტი, თუმცა ის საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰაიდელბერგის (გერმანია) ქარხნიდანაც შემოიტანება. [3. გვ. 184] რაც იმის დასტურია, რომ საქართველოს არ ჰყოფნის თავისი წარმოების ცემენტი. ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში, ცემენტის დეფიციტ ქვეყანაში 1 მლნ. ტონას უდრიდა. [4. გვ. 72] მის შემდეგ მდგომარეობა ბევრად უფრო გაუარესდა, მაგალითად, 2005 წ. წარმოებული ცემენტის მოცულობა მხოლოდ 529, 5 ათასი ტონა იყო, საშენი აგური – 10,1 მლნ პირობითი ცალი, სამშენებლო კირი – 16,4 ათასი ტ.; საკედლე ბლოკი – 47,6 $მ^3$; ასფჰალტ-ბეტონი – 293,3 ათასი ტონა, ბუნებრივი ქვის მოსაპირკეთებელი ფილები – 32 ათასი $მ^3$; სასაქონლო ბეტონი 117,9 ათასი $მ^3$ და ა.შ. შემდგომ წლებში მდგომარეობა გაუარესდა [5. გვ. 166]

საქართველო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალზე მდიდარია ბუნებრივი წარმოშობის მრავალფეროვანი საშენი მასალებით, რომელთა რიცხვშია ვულკანური მსუბუქი შემავსებლები, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით წარმატებით უწევს კონკურენციას ხელოვნურად დამზადებულ მსუბუქ შემავსებლებს. იგი ბუნებრივ ქვებთან ერთად კარგი საექსპორტო პროდუქციაა. უნდა ითქვას იმაზეც, რომ ჯერ კიდევ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში დამუშავდა საშენი მასალების წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებების საპრეზიდენტო პროგრამა და 2001 წლის 25 თებერვალს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება №72, რომელიც მიზნად ისახავდა საშენი მასალების მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაციას, ტექნიკურ გადაიარაღებას, ახალ პერსპექტიულ საშენ მასალათა წარმოების ორგანიზაციისა და ათვისებისათვის ბიზნეს გეგმების შემუშავებას, მათი გამოყენების არეალის გაფართოებას და პოტენციურ ინვესტორებზე ინფორმაციის მოპოვებას. აღნიშნული პროგრამა, ასევე, უნდა დახმარებოდა პრივატიზებულ საწარმოთა ახალ ხელმძღვანელებს ინფორმაციის მოპოვებაში, რათა შეძლებოდათ მათ წინაშე არსებული პრობლემების შეფასება და მათი დაძლევის გზების მოძიება. პროგრამა მრავალმხრივი იყო და გეგმავდა არსებული ვითარების დეტალურ შესწავლას საშენი მასალების მრეწველობის ყოველი ქვედარგისა და თითოეული საწარმოს მიხედვით, რამდენადაც ითვალიწინებდა საშენი მასალების ცალკეულ სახეებზე მომძლავრებულ იმპორტს, რომელიც აშკარად მიუთითებდა დარგში არსებული სიმძლავრეების აღდგენისა და გამოყენების აუცილებლობაზე არა მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისათვის, არამედ საექსპორტოდაც. სამწუხაროდ, აღნიშნული პროგრამა, ბევრი სხვა ანალოგიური პროგრამის მსგავსად, განუხორციელებელი დარჩა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს გააჩნია შესაბამისი რესურსები იმისათვის, რომ იმპორტირებული პროდუქციის ნაცვლად ადგილზე აწარმოოს ცეცხლგამძლე და სამშენებლო აგური, მეტლახის ფილა, დეკორატიული კრამიტი, კაფელი, აბაზანის მოწყობილობა, სილიკონური შემავსებლები, ჰერმეტიკული პასტები, ექსტერიერისა და ინტერიერის ფილები და სხვა მასალები.

როგორც შესაბამისი მასალების ანალიზმა გვიჩვენა, მშენებლობის დღევანდელი ტემპებისა და სავარაუდოდ მომავალში მისი ზრდის პირობებში, აგრეთვე სამუშაო ძალის დასაქმების ამაღლებისათვის, განსაკუთრებით რეგიონებში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და შესაბამისად საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის საქართველოში აუცილებლად უნდა განხორციელდეს საშენი მასალების მრეწველობის აღორძინება. საჭიროა მხოლოდ მინიმალური სახელმწიფო მხარდაჭერა, რაც პირველ რიგში იმ ლიცენზიების გამოსყიდვაში უნდა გამოიხატოს, რომელიც წინა ხელისუფლებამ ასე უხვად და იაფად, შესაძლო შედეგის გათვალისწინების გარეშე, ძირითადად უცხოელ მსურველებზე გასცა და რომელთაგან ზოგიერთმა ლიცენზია მხოლოდ იმიტომ შეიძინა, რომ ადგილობრივი წარმოება გაეჩერებია და საკუთარი დაბალი ხარისხის მქონე ანალოგიური წარმოებისათვის კონკურენტი ჩამოეცილებინა. დღეს ეს საბადოები ამ და სხვა მიზეზების გამო გაჩერებულები არიან და ასეთ მდგომარეობაში დარჩებიან ლიცენზირების საკითხის გადახედვამდე. ასევე, სახელმწიფომ უნდა შეძლოს მეწარმეთა დაინტერესებაც მათთვის გარკვეული შეღავათების მინიჭებით. ამ და სხვა ღონისძიებების გატარებით შესაძლებლობა შეიქმნება დაბალანსდეს ქვეყანაში საშენ მასალებზე მოთხოვნისა და წარმოების შესაძლებლობა და მშენებლობა ძირითადად საკუთარი წარმოების საშენი მასალებით იქნეს უზრუნველყოფილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., საბჭოთა საქართველო, 1975.
2. Народное хозяйство Груз. сет, юбилейный ст сб. Тб., 1987.
3. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგელია, საქართველოს სოციალურ-ეკონომკური განვითარების პროგრამა, „ნეკერი", თბ., 2011.
4. სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეპცია, თბ., „მეცნიერება", 1990.
5. საქართველოს ეკონომიკა, მთ. რედაქტორი, რ. ასათიანი, თბ., „სიახლე", 2012.

Nanuli Arevadze

THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF CONSTRUCTION MATERIALS INDUSTRY IN GEORGIA

Annotation

The article analyzes the main problems and the results achieved in the development of building materials, which beforestands on the field of the advanced globalization and the economic crisis. It is concluded for the necessary revival of the industry, construction materials in Georgia. There is a great demand for construction materials and enough raw material resources in the country, unemployed labor force and the possibility of improving the range of exports products. For that will be require the implementation of certain measures, first of all lies in the interest of entrepreneurs and licensing policy change.

ნანული არევაძე

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა

მსუბუქი მრეწველობის განვითარებას, კვების მრეწველობასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური შინამრეწველობა საქართველოში უძველესი დროიდან იყო განვითარებული, როგორც დარგი, მსუბუქი მრეწველობა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ქვეყანაში მაშინ ხელსაყრელი პირობები არსებობდა აბრეშუმის, ბამბის და შალის ქსოვილების მანქანური წარმოების განვითარებისათვის. მაგრამ, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მის შემდეგ საფეიქრო მრეწველობა მნიშვნელოვნად დაქვეითდა, თუმცა სამხედრო უწყებათა დაკვეთების საფუძველზე გარკვეული აღმავლობა განიცადა ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოებამ. სხვა საწარმოები ან გაჩერებული აღმოჩნდნენ, ან მცირე დატვირთვით მუშაობდნენ და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1913 წლის შესაბამისი დონის მხოლოდ 15-25%-ის ფარგლებში იყო. მაუდის პირველმა ფაბრიკამ ქუთაისში პროდუქცია მხოლოდ 1924 წელს გამოიმუშავა. XX ს. 30-იან წლებში საქართველოში ამუშავდა მსუბუქი მრეწველობის არა მხოლოდ ახალი საწარმოები, არამედ შეიქმნა სრულიად ახალი ქვედარგები, მაგალითად, აბრეშუმძაფსახვევი, აბრეშუმსაქსოვი, მაუდ-კამვოლის, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, გალანტერიის და სხვა.

სწრაფი ტემპით განვითარდა მაუდ-კამვოლისა და ტრიკოტაჟის წარმოება. მსუბუქი მრეწველობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი აბრეშუმის წარმოებამ შეტანა, რომლის სანედლეულო ბაზის განვითარებასთან ერთად აშენდა აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკები ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში, თელავში და მოწეული აბრეშუმის პარკის გადამუშავება მთლიანად ამ ფაბრიკებში ხორციელდებოდა. ამუშავდა აგრეთვე საქსოვი ფაბრიკები თბილისსა და ქუთაისში.

თითქმის ახლად შეიქმნა სამკერვალო წარმოება, რომლის ფაბრიკები ამუშავდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში, სიღნაღში და სხვ. მთლიანი რეკონსტრუქცია განიცადა ტყავისა და ფეხსაცმლის წვრილმა საწარმოებმა. მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში თბილისში აშენდა ფეხსაცმლის ერთ-ერთი მსხვილი საწარმო და რამდენიმე საგალანტერიო ფაბრიკა.

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში დაიწყო ისეთი პროდუქციის წარმოება, როგორიცაა ბამბეულის ქსოვილები, წინდები, ტრიკოტაჟი, ხალიჩები და სხვა [1]. შედეგად, მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი სახეობების პროდუქციის წარმოება შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მსუბუქი მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება საქართველოში [2]

	1940	1970	1975	1980	1985	1986
ხამი აბრეშუმი (ტ)	312	424	441	403	389	381
ბამბის ძაფი (ათასი ტონა)	1.1	11.5	14.1	13.6	14.3	14.6
შალის ძაფი (ათასი ტონა)	1.3	6.0	6.5	7.9	7.2	6.8
უქსოვადი ქსოვილები, (მლნ გრძივი მეტრი)	...	1.6	3.2	4.3	7.7	9.0
სამკერვალო ნაწარმი (მლნ მან)	...	...	317.6	457.3	584.7	584.7
ქალისა და მამაკაცის წინდები, მლნ წყვილი	2.8	15.7	24.3	27.6	31.0	32.0
თეთრეული ტრიკოტაჟი, მლნ წყვილი	2.4	20.5	20.1	28.9	32.3	32.0
ზედა ტრიკოტაჟი. მლნ წყვილი	1.5	9.6	14.1	19.6	23.4	23.9
ფეხსაცმელი, მლნ წყვილი	8.7	14.6	13.4	16.1	17.1	17.9
ხალიჩები და ხალიჩების ნაკეთობები, მლნ კვ. მეტრი	–	0.6	0.7	1.3	1.2	1.1

მსუბუქი მრეწველობის მიერ პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შეინიშნებოდა 1960 წელს, როცა პროდუქციის გამოშვება 1950 წლის მიმართ 2,2-ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში ანალოგიური ტენდენცია აღინიშნებოდა მსუბუქი მრეწველობის ყველა

ქვედარგში, მაგრამ ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ბამბეულის ქვედარგში იყო, რაც ამ დარგის უმსხვილესი საწარმოს – გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგის ამოქმედებით იყო განპირობებული. ბამბეულის წარმოების სხვა მსხვილი საწარმოები იყო თბილისის ბამბის სართავი და ბამბის ფაბრიკა და თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი.

ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოთა შორის შედარებით მსხვილი იყო თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, რომელიც ბამბის სართავი და წინდებისა და კოტონის წინდების ფაბრიკებისაგან შედგებოდა და თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, რომელიც ამზადებდა ბამბის ქსოვილებს, ვისკოზის წინდებს და სხვა.

აბრეშუმის მრეწველობის ყველაზე მსხვილი საწარმოები იყო თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, სადაც, ნატურალური აბრეშუმის გარდა, ხელოვნური აბრეშუმისა და შტაპელისაგან მიღებული მაღალხარისხოვანი კრეპი და სხვა ქსოვილები მიიღებოდა.

შალის მრეწველობის საწარმოთა შორის მნიშვნელოვანი იყო თბილისის და ქუთაისის მაუდ-კამვოლის კომბინატები და სენაკის ხალიჩების საქსოვი კომბინატი.

ფეხსაცმლის მწარმოებელ საწარმოთა შორის სიდიდით გამოირჩეოდა თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“. სამკერვალო ფაბრიკებს შორის კი თბილისის პირველი მაისის და ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკები და ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანება. უნდა ითქვას, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოები რესპუბლიკის ტერიტორიაზე არათანაბრად იყო განლაგებული, რამდენადაც თბილისი, ქუთაისი და გორი აწარმოებდა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის 84%-ს, მაშინ, როცა დანარჩენ 20 ქალაქში იწარმოებოდა დარგის მთელი პროდუქციის 16%.

აღსანიშნავია, რომ მრეწველობის ყოველი დარგის განვითარება, პროდუქციის ხარისხი და თვითღირებულებაც კი დიდად არის დამოკიდებული სანედლეულო ბაზაზე, მის სიახლოვესა და მრავალფეროვნებაზე, მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ დარგის მომარაგება ძირითადი და ზოგიერთი დამხმარე მასალით თვით დარგის შიგნით წარმოებული პროდუქციით ხდება, ნაწილი კი გარედან შემოიზიდება, მაგ., ბამბის ბოჭკო მთლიანად ქვეყანაში შემოიტანებოდა, ბამბის ნართი კი ჭარბი რაოდენობით იწარმოებოდა და მისი ნაწილი – 5-6% რესპუბლიკიდან გაჰქონდათ კიდეც. შალის ნართი ქვეყნიდან გაჰქონდათ, შემოზიდვა კი უმნიშვნელო იყო. ხამი (ნედლი) აბრეშუმით ქვეყანა არათუ საკუთარ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა, არამედ წარმოებული პროდუქციის 33% ქვეყნის გარეთ გადიოდა. ბამბის ნართი შემოდიოდა ტაჯიკეთიდან. საფაბრიკო მატყლი – აზერბაიჯანიდან, აღდგენილი მატყლი – ბელორუსიიდან, შტაპელური ნართი – რუსეთიდან და ყაზახეთიდან, ხელოვნური აბრეშუმი – უკრაინიდან და იაპონიიდან, სინთეზური აბრეშუმი – იტალიიდან და გფრ-დან, შალის ნართი – საფრანგეთიდან და ინგლისიდან. თუმცა საქართველოს საფეიქრო მრეწველობისათვის ნედლეულის იმპორტის საერთო მოცულობა მცირე იყო [3].

სამკერვალო მრეწველობის მოთხოვნილება აბრეშუმის, ბამბეულისა და შალის ქსოვილებზე ძირითადად ადგილობრივი წარმოების ხარჯზე კმაყოფილდებოდა, ნაწილობრივ კი შემოდიოდა აბრეშუმის ქსოვილები პოლონეთიდან და უნგრეთიდან, შალის – პოლონეთიდან. მთლიანად შემოიზიდებოდა სელის ქსოვილები. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში წარმოებული ქსოვილების ასორტიმენტი არასაკმარისი იყო, ხოლო ხარისხი, განსაკუთრებით ბამბეულის ქსოვილებისა – არადამაკმაყოფილებელი. ფეხსაცმლის მრეწველობის მოთხოვნილება ტყავზე ძირითადად ადგილობრივი წარმოების ხარჯზე იფარებოდა და მხოლოდ ნაწილობრივ შემოზიდვის ხარჯზე – ინდოეთიდან, ირანიდან, არგენტინიდან, აშშ-დან. ხოლო თვით ტყავის ქარხნის მოთხოვნილება ტყავზე 50%-ით სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდვის ხარჯზე კმაყოფილედებოდა [4].

საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში მსუბუქი მრეწველობა პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით ყოველთვის მეორე ადგილზე იყო კვების მრეწველობის შემდეგ, მისი ხვედრი წონა 1975-1990 წლებში 19,9-21,2% ფარგლებში იყო, 1990 წ. დარგში დასაქმებული იყო 103,8 ათასი კაცი, ანუ მრეწველობაში მთლიანად დასაქმებულთა 22,6%, დარგს გააჩნდა 246 სამრეწველო საწარმო (18,0%) ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქში.

90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებულმა კრიზისმა ყველაზე მეტად მსუბუქი მრეწველობა დააზარალა, მაგ., 1995 წ. დარგში წარმოებულ იქნა 1990 წელს წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 4% და დარგის ხვედრითი წონა პროდუქციის წარმოების მიხედვით 2,2%-მდე დაეცა, 2000 წელს კი 1,1%-მდე, რომლის მიზეზებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. უკანასკნელ წლებში კი დარგის საწარმოთა უმრავლესობა გაჩერებულია ან ძალზე მცირე მასშტაბით მუშაობს და უშვებს დაახლოებით 70,8 მლნ ლარის პროდუქციას და ფლობს 29,1 მლნ ლარის ძირითად კაპიტალს. მომუშავე წვრილ საწარმოებში დასაქმებულია 4 800 კაცი ანუ 1990 წლის დონის 4,6%.

ყოველი ქვეყნის მოსახლეობისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ქვეყანაში მსუბუქი მრეწველობის განვითარებისა და ფუნქციონირების დონე. რამდენადაც, ის, როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას, ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის ადგილობრივი წარმოების სახალხო მოხმარების საქონლით უზრუნველყოფას, ფულის მიმოქცევის რეგულირებას, ბიუჯეტის შევსებას და მოსახლეობის მასობრივ დასაქმებას

ემსახურება. ამჟამინდელი მდგომარეობით მსუბუქი მრეწველობა სავალალო მდგომარეობაშია, მან დაკარგა არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო ბაზარიც, რომელიც არცთუ მაღალი ხარისხის იმპორტული, მაგრამ შედარებით იაფი საქონლითაა გადატვირთული. მასთან ბრძოლა კი ადგილობრივი მწარმოებლებისათვის გართულდება იქნება მომავალშიც, თუ სახელმწიფომ არ განახორციელა ზოგიერთი პროტექციონისტული ღონისძიება შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისა და დარგის აღორძინების მიზნით. ზოგიერთი ძალზე კვალიფიციური ეკონომისტი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს დარგის აღორძინებას ბაზრის დაკარგვის გამო, რაც, შესაძლოა, სწორია დღევანდელი თვალთახედვით, მაგრამ სათუო შეიძლება აღმოჩნდეს მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებით, განსაკუთრებით იმით, რომ საქართველომ უკვე დაიბრუნა „აბრეშუმის გზის“ ფუნქცია. ძნელია შეეგუო აზრს, რომ დარგში დასაქმებული 100 000 კვალიფიციური სპეციალისტი ვეღარასოდეს იშოვის სამუშაოს სპეციალობის შესაბამისად, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს რესურსები მის ასაღორძინებლად, საჭიროა მხოლოდ სახელმწიფო მხარდაჭერა ადგილობრივი წარმოების სანედლეულო ბაზის განვითარებისათვის – აბრეშუმის პარკი, მატყლი, ტყავი, ქიმიური ბოჭკო. აღარაფერს ვამბობთ ბამბაზე – ის ნამდვილად პრობლემატურია ნედლეულის არარსებობის გამო, თუმცა, მომავალში შესაძლებელია, ზოგიერთი ხელშემშლელი პირობების გადაჭრის შესაძლებლობაც გაჩნდეს. ასევე, სასურველია მსუბუქი მრეწველობის იმ ქვედარგების აღორძინებაც, რომლებიც საქართველოსათვის ტრადიციული იყო და ნედლეული გარედან შემოიტანებოდა, მაგ., სამკერვალო წარმოება და ა.შ. უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო გამოცდილებაც, რომლის მიხედვით განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ინდუსტრიის განვითარებას სწორედ მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგების განვითარებით იწყებს, რამდენადაც მოცემული დარგები დიდი კაპიტალტევადობით არ ხასიათდება და უკუგებასაც სწრაფად იძლევა, რაც ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების სიმცირის პირობებში, ამისათვის კი, პირველ რიგში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერა, რისთვისაც საჭიროა:

- აბრეშუმის პარკის დამზადების გადიდებული ზრდა, მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის სრულყოფა-გაფართოების პირობებში (თუთის ხეების დარგვა და მათი ავადმყოფობისაგან დაცვა);
- აბრეშუმის ძაფსართავ-საგრეხი ფაბრიკების რეკონსტრუქცია და გადაიარაღება ახალ, სრულყოფილ ტექნიკურ საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში;
- ნატურალური მატყლის და ტყავნედლეულის დამზადების გადიდება მესაქონლეობის, მეცხოველეობის და მეღორეობის შემდგომი განვითარების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისა და საკვები ბაზის განმტკიცების პირობებში;
- რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკომ“ კი უნდა უზრუნველყოს ისეთი სახის პროდუქციის წარმოება, რომელსაც გამოიყენებს საქართველოს მსუბუქი მრეწველობა;
- საკუთრივ აბრეშუმის ძაფის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების წარმოების გადიდება, რამდენადაც ნატურალურ აბრეშუმზე მოთხოვნა, სავარაუდოდ, არასდროს შემცირდება;
- ადგილობრივი სანედლეულო ბაზრის გაფართოების მიუხედავად, მომავალში ორიენტაცია აღებული უნდა იქნეს შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე პროდუქციის წარმოებაზეც და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საბჭოთა საქართველო, „მეცნიერება“, 1981, გვ. 45-48.
2. Народное хозяйство Грузинское ССР, Юбилейный Ежегодник, Тб. ``Сабчота Сакартвело``, 1987, ст 76-77.
3. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 312-313.
4. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 313-314.

Nanuli Arevadze

LIGHT INDUSTRY OF GEORGIA

Annotation

The article analyzes main aspects of light industry development. It is noted that light industry has been demaged more there other sectors of industry in precrisis and post crisis periods. There exist some opimions how to restore the secture in future.

ნანული არევაძე
ნანა ბიბილაშვილი

საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი

ნებისმიერ ქვეყანაში, კვების მრეწველობის განვითარებაზედიდად არის დამოკიდებული სურსათით მოსახლეობის უწყვეტი მომარაგება და, ამდენად, მათი კეთილდღეობა.

კვების მრეწველობა რესპუბლიკის ერთ-ერთი ძველი და ტრადიციული დარგია და, მიუხედავად იმისა, რომ XX ს. დასაწყისამდე საქართველოში ძნელად ვითარდებოდა მანქანური წარმოების ბაზაზე დაფუძნებული მსხვილი წარმოება განვითარება, XIX ს. ბოლოს კვების მრეწველობის ზოგიერთ დარგში მაინც წარმოიშვა კაპიტალისტური საწარმოები, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო: ვეტცელის ლუდის ქარხანა – 1869 წ., სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა – 1888 წ., ბოზანჯიანცისა და სხვათა თამბაქოს ფაბრიკები XIX ს. 90-იან წლებში [1].

ღვინის მრეწველობაში წარმოების კაპიტალისტური ფორმების გავრცელება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XIX ს. 80-იან წლებში, მაგალითად, სოფელ მუხრანში ი. ბაგრატიონმუხრანელის მეურნეობაში მეღვინეობა ვითარდებოდა "ევროპაში დიდი ხნის წინათ შემუშავებული ყველა წესის მიხედვით" [2]. ასევე, საუფლისწულო უწყების, კაპიტალისტ ანანოვისა და ზოგიერთი მემულის მეღვინეობის საწარმოებს კაპიტალისტური ხასიათი ჰქონდა, თუმცა მათი ხვედრითი წონა დარგის მთლიან პროდუქციაში უმნიშვნელო იყო.

XX ს. დასაწყისში საქართველოში კვების მრეწველობა განვითარებული იყო და ძირითადად შინამრეწველური საწარმოებით ხასიათდებოდა. ქვეყნის კვების მრეწველობის მსხვილი მანქანური ინდუსტრიის შექმნას საფუძველი 1926-1937 წლებში ჩაეყარა, როცა აშენდა 33-მდე ახალი ჩაის ფაბრიკა და განხორციელდა ადრე არსებული რამდენიმე ფაბრიკის ტექნიკური რეკონსტრუქცია, უმთავრესად საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნების მიერ წარმოებული ტექნიკით. აშენდა, აგრეთვე, თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა და მნიშვნელოვნად განვითარდა ღვინის სახელმწიფოებრივი მრეწველობაც..... შეიქმნა საკონსერვო და შაქრის მრეწველობა, ამუშავდა აგარის შაქრის, ქუთაისისა და გორის საკონსერვო ქარხნები [3].

ამავე პერიოდში ფართოდ განვითარდა პურის საცხობი, საკონდიტრო, მარგარინის, ერბოკარაქის, ყველის, თევზის, სამაცივრო და კვების მრეწველობის სხვა დარგები. თბილისსა და ფოთში აშენდა მძლავრი ახალი ტექნიკით აღჭურვილი წისქვილკომბინატები და სხვ.

1937 წ. კვების მრეწველობის საწარმოთა ხვედრითი წილი საქართველოს მთელი ინდუსტრიული წარმოების საერთო რაოდენობაში 51.3%-ს შეადგენდა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მიხედვით – 28.4%-ს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ქვეყნის კვების მრეწველობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოსახლეობისა და ფრონტის კვების მრეწველობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში, ომის შემდგომი წლები კი ხასიათდებოდა კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეებისა და ტექნიკური ბაზის სწრაფი ზრდით. 1951-1970 წლებში ამუშავდა პირველადი მეღვინეობის ქარხნები კარდანახში, კურდღელაურში, ტვიშში, საგარეჯოში და სხვ., ზეთსახდელი ქარხანა – ოჩამჩირეში, რძის კომბინატი – თბილისში, მიწისქვეშა ღვინის საცავი – ყვარელში, პირველადი მეღვინეობის ქარხნები და ჩაის ფაბრიკები, საკონსერვო ქარხნები, მინერალური წყლებისა და რძის ქარხნები და სხვა.

1961-1972 წლებში კვების მრეწველობის ძირითადი კაპიტალის ღირებულება 2,4-ჯერ გაიზარდა. მ.შ. ღვინის მრეწველობაში – 2,0-ჯერ, ჩაის მრეწველობაში – 1,7-ჯერ, პურის ცხობაში – 3,1-ჯერ, თამბაქოს მრეწველობაში – 2-ჯერ, ლუდის წარმოებაში – 1,6-ჯერ, კარაქის, ყველისა და რძის წარმოებაში – 3-ჯერ, ხორცის წარმოებაში – 2,4-ჯერ და ა.შ. [5].

1972 წელს კვების მრეწველობის წილად მოდიოდა საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 39,5%, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის – 16,2% და ძირითადი კაპიტალის 16,6%.

საქართველოს კვების მრეწველობისათვის ამ პერიოდში დამახასიათებელი იყო პეციფიკური და ფრიად მრავალფეროვანი დარგობრივი სტრუქტურა, რომელშიც წარმოდგენილი იყო კვების მრეწველობის თითქმის ყველა ქვედარგი, მაგრამ, გამომდინარე ბუნებრივი და კლიმატური პირობებიდან, ყველაზე ფართოდ განვითარებული იყო ჩაის პირველადი გადამუშავება, პირველადი მეღვინეობა, საკონსერვო, ეთეროვანი ზეთების, თამბაქოს საფერმენტაციო, ტუნგოს ზეთსახდელი მრეწველობა, მინერალური წყლების ჩამოსხმა [6].

1971-1985 წლები საქართველოს კვების მრეწველობაში ახალი მიღწევებით აღინიშნა. მთლიანი პროდუქცია 2,3-ჯერ გაიზარდა, მ.შ. ჩაის მრეწველობაში – 2,9-ჯერ, საკონსერვო მრეწველობაში – 4,8-ჯერ, მინერალური წყლების ჩამოსხმაში – 2,3-ჯერ, ხორცის მრეწველობაში – 2,4-ჯერ და ა.შ.

კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება 1840-1990 წლებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

კვების მრეწველობის პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება 1940-1990 წლებში[189]

		ზომის ერთეული	1940	1965	1970	1980	1985	1990	ზრდა %-ში 1990-1940

[189] ცხრილი შედგენილია: 1940-1970 წლებში – Народное хозяйство Груз. ССР за 60 лет. Тб., 1980, გვ. 79-80; 1980-1990 წლებში წიგნიდან – ლ. ჩიქავა, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1995, გვ. 161-162.

1	**შაქრის ფხვნილი**	ათ. ტონა	13.1	60.2	40.2	49.3	49.7	33.8	2.58-ჯერ
2	**ხორცი**	"–"	11.5	30.5	48.4	85.2	105.0	69.7	6.06-ჯერ
3	**ძეხვეულის საწარმო**	"–"	2.5	11.5	17.3	30.6	35.8	26.5	10.6-ჯერ
4	**მოუხდელი რძის პროდუქცია**	"–"	–	65.9	98.0	177	212	250	3.4-ჯერ
5	**ყველი ცხიმიანი**	"–"	1.6	15.1	19.1	22.3	28.0	16.0	10-ჯერ
6	**მცენარეული ზეთი**	"–"	4.6	6.8	8.8	9.0	11.0	13.8	3-ჯერ
7	**კონსერვები**	მლნ პირ.	29.1	140.5	234.0	497	744	677	23-ჯერ
8	**საკონდიტრო ნაწარმი**	ათ. ტონა	9.5	27.0	31.3	50.7	64.3	58.7	6.2-ჯერ
9	**პირველადი გადამუშ. ბაიხის ჩაი**	"–"	11.1	45.8	63.9	127.5	133.9	127.8	11.5-ჯერ
10	**ჩაი ნატურალური**	"–"	2.7	24.1	27.7	68.1	114	120	44.4-ჯერ
11	**ყურძნის ღვინოები**	მლნ დ.ლ.	2.2	8.6	14.4	13.5	27.0	18.1	8.2-ჯერ
12	**შამპანური**	მლნ ბ.	1.7	7.7	10.0	1.8	1.3	2.0	1.2-ჯერ
13	**მინერალური წყლები**	მლნ 0.5 ბ.	24.4	125.8	190.0	397.0	376	223	9.1-ჯერ

1 ცხრილის მონაცემების თანახმად, საქართველოს კვების მრეწველობაში შესამჩნევია ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოების შემცირების ტენდენცია 1980-1990 წლებში, მაგალითად, შაქრის ფხვნილის, ხორცის, ძეხვეულის, თევზის, მინერალური წყლების, ყურძნის ღვინის მიხედვით. ეს შემცირება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო 1988-1990 წლებში, ანუ კრიზისის წინა პერიოდში. ამის მიუხედავად, საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა

ქვეყნის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში ყველა სხვა დარგთან შედარებით მაღალი იყო და 37,4%-ს უდრიდა.

როგორც ცნობილია, 1985 წლიდან ყოფილ საბჭოთა სივრცეში დაიწყო ეგრეთ წოდებული გარდაქმნები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალიზებული კონტროლის შესუსტებასა და ინდივიდუალური ინიციატივების გაფართოებაში გამოიხატა, რასაც ქვეყანა და ეკონომიკის ყველა დარგი მოუმზადებული შეხვდა. დაიწყო ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რამაც გამოიწვია კვების მრეწველობის, ისევე, როგორც დარგების უმეტესობის, პროდუქციის წარმოების კატასტროფული დაცემა, მაგალითად, 2000 წ. 1990 წლის მიმართ პურისა და პურ-ფუნთუშეულის წარმოება 7,69-ჯერ შემცირდა, ფქვილის – 8,28-ჯერ, ბურღულის – 11,95-ჯერ, ყურძნის ღვინოების – 9,58-ჯერ და ა.შ. შედეგად, კვების მრეწველობის ხვედრითი წონა მთელი მრეწველობის პროდუქციაში 1990 წლის 37,4%-დან 2000 წ. 28,5%-მდე დაეცა, რაც, გარკვეულწილად, იმის მაჩვენებელიც იყო, რომ ამ პერიოდში ბევრად გაიზარდა აღურიცხავი პროდუქციის მოცულობა.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასაწყისი და შესაბამისი ეკონომიკური რეფორმები, რის შედეგადაც მთლიანად მრეწველობასა და მის ყოველ დარგში დაიწყო დიდი საწარმოების რესტრუქტურიზაცია და მცირე ბიზნესის განვითარება, რამაც განაპირობა უპირატესად მცირე საწარმოების ამოქმედება. შედეგად, თუ 1990 წელს კვების მრეწველობაში იყო 466 სამრეწველო საწარმო, რომელიც მთელ მრეწველობაში არსებულ საწარმოთა საერთო რაოდენობის (1365) 31,1% უდრიდა, 2000 წლისათვის კვების მრეწველობაში არსებული საწარმოთა საერთო რაოდენობამ 1732 ერთეული შეადგინა, რაც მთლიანად მრეწველობაში მაშინ აღრიცხული საწარმოების (3328) უკვე ნახევარზე მეტი იყო – 52%. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ დარგში დიდ საწარმოთა დანაწევრება მთელ მრეწველობასთან შედარებით ბევრად უფრო სწრაფად ხორციელდებოდა და იზრდებოდა კერძო საკუთრებაში გადასულ საწარმოთა ხვედრითი წონა [7]. ამასთან, ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა დარგში დასაქმებულთა ყოველწლიურ შემცირებას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ, მთელ მრეწველობასთან შედარებით, ტემპი უფრო დაბალი იყო, მთელ

მრეწველობაში – 4,79-ჯერ, კვების მრეწველობაში მხოლოდ 3,44-ჯერ. ამ პერიოდში 2-ჯერზე მეტად შემცირდა დარგში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასიც. მკვეთრად დაქვეითდა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონეც, 1990 წლის 56,9%-დან, 16,7%-მდე. 2000 წ. შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისეთ ქვედარგებში როგორიცაა ხორცის, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმის, ყველის, ჩაის პირველადი დამუშავების,
ეთერზეთების წარმოებისა და სხვა.

2000-2010 წლებში ქვეყანაში წარმოიქმნა კვების პროდუქტების მწარმოებელი რამდენიმე კომპანია, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს "სანტე", "ეკოფუდი", "სოფლის ნობათი" – აწარმოებენ ძირითადად რძის პროდუქტებს; "ნიკორა", "შინჰოფერი", "ზეიკიძე" – ძეხვეულისა და ხორცის პროდუქტებს. "სასკო", "კულა", "ჩემი ბებო" და სხვები – წვენებს, ჯემებს, მურაბებს, საწებლებს და ა.შ. ამის მიუხედავად, საქართველოს კვების მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების დაახლოებით მესამედის დაკმაყოფილება თუ ხდება, დანარჩენი იმპორტით იფარება. იმპორტის ძირითადი სახეებია: ხორბალი და სხვა მარცვლეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები, შაქარი, თევზი, რძე და რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი და მრავალი სხვა. პარადოქსია, რომ საქართველოში, ტრადიციულად ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებელ ქვეყანაში, შედარებით დაბალი ხარისხისა და ეკოლოგიურად დაბინძურებული ხილისა და ბოსტნეულის შემოტანა მეზობელი ქვეყნებიდან ხორციელდება, რომელზეც ყოველწლიურად ათეულობით მილიონი დოლარი იხარჯება. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით დასტურდება, რომ ქვეყანაში იმპორტირებული სურსათის ხვედრითი წონა მთლიან მოხმარებაში 37-47%-ია, მაშინ, როცა, ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 20%-ია და ძირითადად ცალკეული დელიკატესებისაგან შედგება [8].

1990-2013 წლებში კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოება საქართველოში, ღირებულებითი მაჩვენებლების მიხედვითაც კი მნიშვნელოვნად შემცირდა – 508 მლნ ლარიდან 2670 მლნ ლარამდე, ანუ 40,8 პროცენტული პუნქტით, ინფლაციის გათვალისწინების გარეშე. მაშინ, როცა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მარტო 2000-2010 წლებში სამრეწველო პროდუქციის ფასების საშუალო წლიურმა ინდექსმა 182,9% შეადგინა [9], რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზის – სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობის ნატურალური მაჩვენებლების შედარების დროს ისეთი პროდუქციის მიხედვით, როგორიცაა ჩაი, თამბაქო, ყურძენი, ხორცი და ა.შ. როცა შემცირების მაჩვენებელი პროცენტებით კი არა, არამედ ჯერადობით გამოიხატება.

საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში წარმოებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით, კვების მრეწველობა ყოველთვის პრიორიტეტული იყო და პირველ პოზიციაზე იმყოფებოდა, რაც განპირობებულია ქვეყანაში სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელი, მრავალფეროვანი ნიადაგობრივი და ბუნებრივი პირობებითა და ეკოლოგიური სისუფთავით, რომელიც ახლა მსოფლიოში პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი სულ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელი გასათვალისწინებელი კრიტერიუმი გახდა. ამ მხრივ საქართველოში წარმოებული სოფლისმეურნეობრივი და კვების მრეწველობის პროდუქცია მარტლაც რომ უკონკურენტოა, რასაც გამოყენება სჭირდება. ამდენად, საქართველოს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას, თუ ის სათანადოდ იქნება კაპიტალიზებული, შეუძლია დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიოს უზარმაზარი ბაზარისათვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების – ხორცის, რძის ნაწარმის, ბოსტნეულის, ხილის და უამრავი სხვა პროდუქტის შეთავაზება, ტრადიციულ, უნიკალურ ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებთან, მტკნარ და მინერალურ წყლებთან ერთად, ყველაფერი ეს კი საქართველოს ეკონომიკას რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის დამატებითი ღირებულების შექმნის შესაძლებლობით გაამდიდრებს.

იმის გათვალისწინებაც საჭიროა, რომ, ჩვეულებრივ, განვითარებად ქვეყნების საქართველოს ახლა სწორედ ეს სტატუსი გააჩნია) უმეტესობა ინდუსტრიულ განვითარებას სწორედ მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებით იწყებს. რამდენადაც ეს დარგები, როგორც ცნობილია, შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებებს საჭიროებს, უკუგებას კი სწრაფად იძლევა. საქართველო ახლა, შესაძლოა, ფინანსურ რესურსებზე არა ნაკლებ, დროის დეფიციტს განიცდის იმ დაკარგული წლების გამო, როცა ქვეყანაში უფრო მეტი სამრეწველო საწარმო განადგურდა, ვიდრე აშენდა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ განვითარებად ქვეყნების გამოცდილებაც და ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომებიც. თუ ეს ვერ შევძელით და ქვეყანა ინდუსტრიულ საფუძველზე ვერ გადავიყვანეთ, ჯერ კიდევ დიდხანს დავრჩებით განვითარებადი ქვეყნის სტატუსით და შესაძლოა მას თავი ვერც ვერასდროს დავაღწიოთ. ამისათვის, განსაკუთრებით კვების მრეწველობის განვითარებისათვის, მას თითქმის ყველა პირობა გააჩნია: ბუნებრივ-კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები, სანედლეულო ბაზების აღდგენისა და განვითარების შესაძლებლობა, შემორჩენილი კადრები და ტრადიციები. განა ჯერ კიდევ 30 წლით ადრე, დღევანდელისაგან განსხვავებით, საქართველოში ნახევარი მილიონი ტონა ჩაი არ იკრიფებოდა, განა ყოფილი საბჭოთა კავშირი თითქმის სრულად ქართული ჩაით არ კმაყოფილდებოდა?

როგორც ვხედავთ, საქართველოში მრეწველობის დარგებიდან განვითარების ყველაზე უკეთესი შანსები, შესაძლებლობები და პერსპექტივები სწორედ კვების მრეწველობას გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке. Тб, 1957, ст. 73.

2. П. К. Дзюбенко, Виноделие на Кавказе. Тифлис, 1886, с. 16.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1961 წლებში, პ. გუგუშვილის რედაქციით, თბილისი, 1961, გვ. 208.

4. იქვე, გვ. 209, 235.

5. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბ., 1975, გვ. 327.

6. იქვე, გვ. 332-333.

7. გ. ერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების საკითხები საქართველოში. თბ., 2004, გვ. 96.

8. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ., გამომცემლობა "ნეკერი", 2011, გვ. 243-247.

9. დ. ჩომახიძე, სამრეწველო პოლიტიკის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები, ციტირებულია საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის კრებულიდან, ტ. 11, გამომცემლობა "სიახლე", თბ., 2013, გვ. 425.

Nanuli Arevadze
Nana Bibilashvili

SOME ASPECTS OF FOOD INDUSTRY DEVELOPMENT OF GEORGIA

Annotation

The article deals with some aspects of food industry development inpre-crisis and post crisis periods. At present situation, the volume of production of the sector is lagged both by value and especially by natural indices in comparison with 1990. It is concluded that Georgia has the best conditions and possibilities for food industry development.

გიორგი ბრეგვაძე

სამშენებლო სექტორის განვითარება საქართველოში

მშენებლობა ერთ-ერთი უძველესი დარგია. საქართველოში დღესაც მრავლადაა შენობა-ნაგებობები ხიდების, გზების, ტაძრების, ციხესიმაგრეებისაზ და საცხოვრებელი სახლების სახით, რომლებიც არათუ საუკუნეების, ათასწლეულების წინაა აშენებული. ასე რომ, საქართველოში ამ დარგის განვითარების დიდი ტრადიცია არსებობს. ეს დარგი დღესაც საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი დარგია, მშენებლობის ხვედრითი წილი ეკონომიკის მთლიან სექტორში სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და ტრანსპორტის შემდეგ 7.2 შეადგენს.

ჩვენი ქვეყნის განვითარებაში მშენებლობის სექტორს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში მშენებლობის ინდუსტრია ძალზე განვითარებული იყო. მაგ., თვით 1990-1991 წწ. 2332 ათასი კვ მეტრი ფართის საცხოვრებელი სახლი იქნა ექსპლუატაციაში გადაცემული.

1992-1993 წლებიდან 1998 წლამდე მშენებლობის ზრდის ეტაპები საგრძნობლად იკლებს. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლით, მეორე მხრივ, ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლით. ამ პერიოდში იწყება საერთოდ ეკონომიკის ყველა დარგის დაქვეითება. ამას დაემატა საომარი მოქმედებები ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ აფხაზეთში. 1991 წლის ბოლოდან იწყება სამოქალაქო ომი, რასაც მოჰყვა ნგრევა და ქაოსი. კუპონი, ფულადი ერთეული, რომელიც მაშინ იქნა შემოღებული, სწრაფად გაუფასურდა. ქვეყანაში ძირითადად რუსული რუბლი და აშშ დოლარი მოქმედებდა. სხვადასხვა მაქინაციების შედეგად მოსახლეობის ანაბრები მთლიანად დაიკარგა, რამაც მათი სრული გაღატაკება გამოიწვია. ასეთ პირობებში ყოველგვარი მშენებლობა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ჩათვლით, შეწყდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილების თავმოყრამ ძირითადად თბილისში, ბინების ფასი საგრძნობლად ასწია, მხოლოდ ერთეულები, უმეტესად ახალგამდიდრებულები თუ ახერხებდნენ სახლების აშენებას ან უკვე აშენებული ბინების ყიდვას. მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გამო სახელმწიფომ ძალზე შეამცირა ინვესტიციები მშენებლობის ძირითად კაპიტალში და თუ 1990 წელს (შესადარ ფასებში) ის 77 მილიონ ლარს შეადგენდა, 1997 წელს მილიონ ლარამდე შემცირდა.

1995 წლიდან გატარდა ფულადი რეფორმა. შემოვიდა ეროვნული ფულადი ერთეული "ლარი", ასევე დაიწყო ეკონომიკური რეფორმების გატარება. ჩატარდა პრივატიზაცია. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილიზაციისთვის შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. გატარდა

ღონისძიებები კრიმინალური ვითარების გასაუმჯობესებლად. დამყარდა სტაბილურობა, რამაც საშ-საშუალება მისცა სა შენებლო ბიზნესს, განვითარების გზაზე დამდგარიყო. ამასთან, თუ 1990 წელს სახელმწიფო სამშენებლო კომპანიების რიცხვი 945 იყო, 1999 წლისათვის 177-მდე შემცირდა. სამაგიეროდ გაიზარდა არასახელმწიფო, კერძო სამშენებლო კომპანიების რიცხვი და მან 463 შეადგინა. მოყოლებული 1998-1999 წლებიდან, სამშენებლო ბიზნესი 2008 წლის აგვისტომდე, აქტიურად მზარდი ტემპით ვითარდებოდა. ასევე იზრდებოდა ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობაც. 2007 წელს დასაქმებული იყო 52572 კაცი.

1999 წლიდან მშენებლობის ეკონომიკური მაჩვენებელი ზრდის ტემპით ხასიათდება. იზრდებოდა ინვესტიციებიც. შესაბამისად შეიქმნა მრავალი დეველოპერული კომპანია. ისეთები, როგორიცაა: "ცენტრ პოინტი", "აქსისი", "არსი", "იბერია", "მაგი სტილი, "ბათუმი სითი ჯგუფი" და მრავალი სხვა, რომლებმაც წარმატებით წარმართეს თავიანთი ბიზნესი. თუმცა გაიზარდა ფასებიც. თუ 1995 წელს ახალი შენობის 1კვ მეტრის ფასი 100-200 აშშ დოლარი იყო, 2008 წელს 1000-1500 აშშ დოლარამდე ავიდა, ხოლო კომერციული ფართების ფასები კიდევ უფრო მეტი გახდა. სამშენებლო ბიზნესის განვითარებას საქართველოში თავისი მიზეზები გააჩნია, რომელთა შორის აღსანიშნავია: პირველი, ლტოლვილების დიდი რაოდენობით არსებობა, რაც ზრდის მოთხოვნას ბაზარზე, მეორე, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა, 90-იან წლებში, ანაბრების გაუფასურების გამო, ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობა დაიკარგა, ამიტომაც, მათ, ვინც სხვადასხვა გზით დიდი ფული დააგროვა, კაპიტალის დაბანდების სტაბილური შემოსავლების მომტან ერთ-ერთ ბიზნესად უძრავი ქონების შეძენა მიაჩნიათ, ვინაიდან ბინებისა და კომერციული ფართების ფასები მზარდი ტენდენციით ხასიათდება და მესამე, 2003 წლიდან ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები მიმართული იყო ახალი მშენებ-ლობისა და ძველის რესტავრაციისაკენ, რის შედეგადაც რესტავრაცია ჩაუტარდა ბევრ შენობას და აშენდა ბევრი ახალი ნაგებობა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. მაგალითად: პოლიციის შენობები, სამხედრო ყაზარმები, იუსტიციის სახლები, პარლამენტის შენობა ქუთაისში, პრეზი-დენტის სასახლე თბილისში და სხვა. ასევე აშენდა გზები, ხიდები, სტადიონები და სპორტული მოედნები თუ დარბაზები, შადრევნები, რკინიგზის სადგურები, სკვერები, სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყალმომარაგებასა და გაზმომარაგებას, ყოველივე ამისთვის ყოველწლიურად მილიარდ ლარამდე იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი.

აშენდა და გალამაზდა საქართველოს მრავალი ქალაქი, მათ შორის სიღნაღი, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, მცხეთა, ახალციხე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სამშენებლო ბიზნესში ჩაბმულთა რაოდენობა. სამშენებლო ბიზნესის განვითარებას მოჰყვა მათი მომიჯნავე დარგების განვითარება, კერძოდ, განვითარდა სამშენებლო და ხე-ტყის მასალების, მეტალო-პლასტიკური ნაკეთობების, ცემენტის, აგურის, ბლოკის, კრამიტის, საღებავების და სხვა დამხმარე მასალების ბიზნესი, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მრავალი ადამიანის დასაქმება.

ამ სფეროს განვითარების საქმეში, იპოთეკური კრედიტების გაცემით საბანკო სექტორებშიც დიდი როლი შესრულდა. 2007 წლის ჩათვლით, ბანკები თითქმის ყველა მსურველზე გასცემდნენ კრედიტს, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა კრედიტის ამღებს მისი დაფარვის საშუალება, რაც არ შეიძლება სწორ პოლიტიკად ჩაითვალოს. ეს პრაქტიკამაც დაადასტურა. იმის გამო, რომ მოსახლეობა ადრე აღებულ კრედიტებს ვერ ფარავდა, ბანკები კრედიტებს ადვილად ვეღარ გასცემდნენ, მშენებლობა ფაქტობრივად გაჩერდა. ამასთან, მანმადე ბევრი სამშენებლო კომპანია პირამიდის პრინციპით მოქმედებდა, რაც ამ კომპანიების არასწორი მენეჯმენტისა და არასწორი დაგეგმვის შედეგი იყო. ყოველივე ამან სამშენებლო სექტორში გამოიწვია კრიზისი. ამას დაემატა 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთთან. შედეგად, თბილისსა და სხვა ქალაქებში დაუსრულებელი შენობები მომრავლდა. თუმცა ამის შედეგად ბევრმა სამშენებლო კომპანიამ იხეირა კიდევაც. იმათ, ვინც ლტოლვილებს სახლები აუშენა.

ომის საშიშროებამ გადაიარა და 2010 წლიდან სამშენებლო სექტორიც ნელ-ნელა ფეხზე დადგა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კომპანია გაკოტრდა, შემორჩნენ ისეთები, რომლებმაც გაუძლეს კრიზისს და წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას.

2012 წელს მოსული ხელისუფლება აგრძელებს მშენებლობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების პოლიტიკას. 2012 წლიდან დღემდე 2,4 მილიარდი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 554 კმ გზას და 87 ხიდს. აშენდა 16 ახალი ხიდი. დაიგო 50 კმ ჩქაროსნული ავტომაგისტრალი. წყლის მიწოდება გაუუმჯობესდა 3 მუნიცი-პალიტეტს. ახალი საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილდა 700 დევნილი ოჯახი. ეკომიგრანტებზე განაწილდა 33 სახლი. აშენდა 20 ამბულატორია. გაზიფიცირებულია 58 სოფელი. 2013 წელს ელექტროფიცირდა 8 უშუქო სოფელი, 2014 წელს – 20 უშუქო სოფელი. 2013 წლიდან დღემდე ექსპლუატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური, 251 მლნ დოლარის მთლიანი ინვესტიციით. გარდაბანში მიმდინარეობს 230 მგკტ სიმძლავრის კომბინირებული თბოსადგურის მშენებლობა. დაიწყო ქარის სადგურის პროექტის განხორციელება. პირველ საპილოტე პროექტი ელექტრო-სადგური "ქართლი" იქნება. გარემონტდა 1498 ჰიდროტექნიკური ნაგებობა. აშენდა 9 ახალი სკოლა. შენდება 8 ახალი სკოლა. 1000 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. შენდება 20 ახალი საბავშვო

ბაღი. დაიწყო მეტროს სადგურ "უნივერსიტეტის" მშენებლობა, რომელიც ნავარაუდევია, დასრულ-დეს 2016-2017 წლისათვის.

რეაბილიტირდა 3000 კმ-მდე სარწყავი არხი. გაზიფიცირებულია გამყოფი ხაზის მიმდებარე ყველა 58 სოფელი. დაიწყო შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ანაკლიის ახალი პორტის განვითარების პროექტი.

სამშენებლო სფეროში დღესდღეობით 750 კომპანია მუშაობს და დასაქმებულია 51565 კაცი, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია საქართველოში დასაქმებულთა თვალსაზრისით.

2015 წელს ბიუჯეტში მილიარდ ლარამდეა გამოყოფილი. ეს ძალზე დიდი თანხაა. ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები ამ გზით დიდ მოგებას ნახულობენ. ფაქტობრივად გამოდის, რომ სამშენებლო სექტორი ჩვენთან, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით არსებობს და ვითარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ სახელმწიფო ბიუჯეტი არ გამოყოფს თანხებს, ბევრი კომპანია შეიძლება ერთ დღეს გაკოტრდეს, რაც გამოიწვევს ამ სფეროში დასაქმებული ბევრი ადამიანის უმუშევრად დარჩენას. ამას მოჰყვება მშენებლობის მომიჯნავე დარგების, სამშენებლო მასალების, მოვაჭრეთა და გადამზიდავ-დისტრიბუტორთა შემცირება და უმუშევრად დარჩენა. ამიტომ სახელმწიფო ფაქტობრივად იძულებულია, ხელი შეუწყოს ამ სფეროს, რათა არ გამოიწვიოს კრიზისი. ეს სიტუაცია კი არ შეიძლება საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღ განვითარებად ჩაითვალოს.

მშენებლობაც და მისი მომიჯნავე დარგებიც უმჯობესია და სასურველი, ვითარდებოდეს კერძო ინვესტიციების ხარჯზე. ამაშია სწორედ საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა მბრძანებლურ სოციალისტურ ეკონომიკასთან შედარებით. მართალია ინვესტიციები იზრდებოდა, მაგრამ არა იმ ოდენობით და ტემპით, რაც საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს, ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა შეემცირებინა.

თავისთავად, თითქოს ცუდი არაფერია იმაში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი და კერძო კომპანიები არიან მასში ჩართული, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს სიტუაცია არ არის გამართლებული. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიარდობით ლარის ხარჯვა ყოველწლიურად და ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ბევრი პროექტი საერთაშორისო ვალებით ხორციელდება, არ არის გამართლებული. ჯერ ერთი, ეს ვალები გადასახდელია ადრე თუ გვიან, მეორეც ასეთი დიდი თანხების გამოყოფა აზიანებს სხვა სფეროებს, მაგ., სოციალურ სფეროს, ჯანდაცვას, განათლებას, მეცნიერებას და სხვა. ამ დარგებისთვის 8 მილიარდიან ბიუჯეტში თანხები აღარ რჩება. ამიტომ სახელმწიფომ კარგად უნდა გააცნობიეროს პრიორიტეტები და უფრო მეტად შეუწყოს ხელი ინვესტორების მოძიებას, რომლებიც თავიანთი თანხებით ააშენებენ. ეს უფრო მეტად შეუწყობს ხელს სწორი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და ჯანსაღ კონკურენტუნარიანობას.

დასასრულ, მშენებლობის სექტორი საქართველოში ერთ-ერთი პერსპექტიული ბიზნესია. იგი სტაბილურად მზარდი ზრდის ტემპებით ხასიათდება. ვიმედოვნებთ, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს მონაცემები 2015წ.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2015წ.
3. გ.ბრეგვაძე თსუ პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტე სამეცნიერო შრომების კრებული 2009

George Bregvadze

CONSTRUCTION SECTOR DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

Article is considered the specifics and features of the construction industry in Georgia in recent years. Studied and analyzed the problems which are in this area and scheduled the ways to solve them.

როლანდ სარჩიმელია

მეცნიერების ეკონომიკის პრობლემები საქართველოში

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. დახასიათებულია მეცნიერული კოლექტივი, როგორც საშუალო რგოლი, რომელიც ქვეყანაში გაავრცელებს და გააფართოებს მეცნიერულ შედეგებს და გადასცემს მას შემდგომ სამეცნიერო ცვლას.

დახასიათებულია ცოდნის ეკონომიკა მეცნიერებისა და ტექნიკის გაძლიერების პირობებში. განხილულია მეცნიერი კადრი, როგორც ქვეყნის განვითარების მონაწილე და მისი გავლენა

ცოდნის ეკონომიკაზე. მითითებულია პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერებისა და განათლების ერთიანი თვითორგანიზებადი ეკონომიკური სისტემის დახვეწის აუცილებლობაზე.

განხილულია მეცნიერების ეკონომიკის განათლების სისტემასთან ურთიერთობების თავისებურებები, რომლის მიხედვითაც საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებლად ჩათვლილია ცოდნის ეკონომიკა.

მოყვანილია ფილიპე გოგიჩაიშვილის აზრი იმაზე. რომ, რაც უფრო წინ მიდიან ქართველები სწავლა-განათლებით, მით უფრო უკან ეწევიან ქვეყანას საეკონომიო ბარაქიანობით, თანაც იმას აღვნიშნავთ, რომ იგი დღესაც არ მოშლილა პოსტსაბჭოთა საქართველოში.

გლობალიზაციის პირობებში დახასიათებულია მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის პრობლემებზე საბაზრო ეკონომიკის გავლენა, როდესაც იგი, როგორც სისტემა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების განმტკიცებას ემსახურება. წინა პლანზეა წამოწეული საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისაკენ სწრაფვით მეცნიერებისა და განათლების ერთიანი სისტემის შექმნის პროცესი.

1. მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებების პროცესი. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში დამკვიდრებას იწყებს აზრი იმის შესახებ, რომ, თუკი მეცნიერული პროგრესის ამოცნობის უნარის მქონე მთავრობა აქტიურად მართავს სახელმწიფოს, მაშინ ქვეყანა განვითარების გზაზე დგას ისე, რომ, მისი ეკონომიკური წარმატებები გლობალიზაციის შენაკადიც ხდება.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოსახლეობის მდიდარი ფენის გაძლიერებას საქართველოში მოჰყვა სამეცნიერო ინტელიგენციის (მათ შორის მეცნიერ კადრთა) მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებში მოხვედრა. დროის ამავე პერიოდში უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, 1960-2000 წლებიდან მეცნიერ კადრთა რიცხოვნობა 9,1 ათასი კაციდან 1990 წელს 25,2 ათასამდე გაიზარდა.

1993 წელს მეცნიერ კადრთა რიცხოვნობამ მიაღწია 27,0 ათასს, ხოლო შემდგომ იგი 17,2 ათას კაცამდე შემცირდა და 2004 წელს 13,3 ათასი გახდა[190]. ამასთან ერთად, აღვნიშნავთ იმასაც, რომ მცირდებოდა მეცნიერებაში დასაქმებულების რიცხოვნობა, რაც განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა და განპირობებული იყო მეცნიერებაში დაფინანსების შემცირებით.

ქართველი მეცნიერები და მათი სამეცნიერო სკოლები დამსახურებული ავტორიტეტით ცნობილი იყვნენ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სამეცნიერო ცენტრად ითვლებოდა[191], ხოლო დროის ამავე პერიოდში მოსახლეობის საგანმანათლებლო მოძრაობისა და მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის მაჩვენებლები მკაცრად დახვეწილ სისტემას წარმოადგენდა. 80-იანი წლების საბჭოთა კავშირში მისი სტრუქტურა ასეთი იყო – ერთი მეცნიერებათა დოქტორი, 7 მეცნიერებათა კანდიდატი, 22 მეცნიერი მუშაკი, სამეცნიერო ხარისხის გარეშე 90 დამხმარე პერსონალი, მათ შორის სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო დაწესებულებათა საორიენტაციო სტრუქტურა თანამშრომელთა მინიმალური რიცხვით შეადგენდა 120 კაცს.

მეცნიერებაში სამუშაო ძალის გააქტიურება გავლენას ახდენს მეცნიერ კადრთა კვალიფიკაციის ცვლილებებზე. მეცნიერ კადრთა წარმატებას აზუსტებს კიბერნეტიკა, როდესაც წარმოიქმნება რამდენიმე დარგის გაერთიანებით ან ცალკეული მიმართულებების გამოყოფით ახალი შინაარსის დარგი. მაგალითად, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდები და ოპერაციათა გამოკვლევა.

მეცნიერ კადრთა კვალიფიციური დონის ამაღლება მსოფლიოში განაპირობებს მეცნიერის აღმოჩენების შეუზღუდავი მასშტაბებით გავრცელებას, თანაც, ზუსტდება მისი დამოკიდებულება იმ რეგიონის კონკრეტულ პრობლემებთან, სადაც მეცნიერი მოღვაწეობს. ამასთან, ყურადსაღებია დამხმარე პერსონალიც. ნორბერტ ვინერის აზრის თანახმად, ორიგინალური მეცნიერული შრომები განეკუთვნება 5%-ზე ნაკლები რაოდენობის მკვლევარს, ხოლო დანარჩენი 95% მეცნიერის თანამონაწილეობის გარეშე მიღებული შედეგი არ იქნებოდა აყვანილი კლასიკურ გამოყენებით დონეზე, რადგან მეცნიერთა კოლექტივი არის ის საშუალო რგოლი, რომელიც გაავრცელებს და გააფართოებს მეცნიერულ შედეგებს, გადასცემს მათ შემდგომ სამეცნიერო ცვლას, ამიტომ მეცნიერ კადრთა დინამიკის ოპტიმიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო კადრთა კვლავწარმოების რეგიონული პროცესების ანალიზს და მათი საშუალებით მეცნიერების მართვას[192].

21-ე საუკუნიდან პოსტსაბჭოთა საქართველოში გლობალიზაციის შესაბამისად დაიწყო განსაკუთრებული ზრუნვა მეცნიერული შედეგების წარმოებაში დასამკვიდრებლად.

---

[190] რ. სარჩიმელია, ლ. ჩარქიშვილი. მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. მეცნიერება და ცხოვრება №2(10) ეკონომიკური მეცნიერებანი. თბილისი, 2014, გვ. 53-54.

[191] იქვე, გვ. 53.

[192] რ. სარჩიმელია. ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელები შეზღუდვათა ცვლილებების პირობებში. თბილისი, „მეცნიერება", 1989, გვ. 131.

მეცნიერების ნებისმიერი პროგრესული ცვლილებები, განსაკუთრებით 21-ე საუკუნიდან, განაპირობებს განათლების სისტემის ძირეულ გარდაქმნებს უმაღლესი სკოლისა და ასპირანტურის ჩათვლით, და თუ ეს ასე არ არის, მაშინ იგი მიგვანიშნებს მეცნიერების, საშუალო პროფესიული და უმაღლესი განათლების სპეციალისტების მომზადების არსებული სისტემების ერთიანი დინამიკის მოშლაზე, ეს ისაა, როდესაც არ არის დაცული საჭირო პროპორციები მეცნიერებასა და განათლების სისტემებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფს შეუფერხებელ განვითარებას, წონასწორობის დამყარებას სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და ქვეყნისათვის საჭირო მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემებს შორის, რომელიც უნდა არსებობდეს ცივილიზებულ საზოგადოებაში.

განათლების მიღების, სპეციალობის დაუფლებისა და მეცნიერული კვლევის ერთმანეთისაგან მოწყვეტილად წარმოდგენა მათი დამოუკიდებელი ფუნქციონირების თვალსაზრისით, არ შეიძლება საქართველოს ეკონომიკაში საღ შეხედულებად მივიჩნიოთ. ცივილიზაციის სხვა დონეზე, მაგალითად, უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში, როდესაც სახელმწიფო მასშტაბები დიდია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სხვა ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობით, მაშინ შეიძლება ეფექტიანი იყოს მეცნიერებისა და მისი მხოლოდ რომელიმე წამყვანი სამეურნეო დარგის გაერთიანება, მათი ერთი სისტემით წარმოდგენა და ა.შ.

საქართველოში ამჟამად არსებული მდგომარეობა აუცილებელს ხდის, განათლების მიღებაზე, სპეციალობის დაუფლებასა და მეცნიერულ კვლევაზე დანახარჯები, შესაბამისი კაპიტალდაბანდებები ერთი უწყების ქვეშ გაერთიანდეს. ეს, ჩვენი აზრით, იქნება მეცნიერებისა და განათლების თვითორგანიზების ეკონომიკური სისტემა, სადაც რეგულატორი დაკომპლექტებული იქნება არა სახელმწიფოს ბიუროკრატი მოხელეებისაგან, არამედ სამეცნიერო შტაბით, სადაც წამყვანია მეცნიერთა ფართო ჯგუფი. მეცნიერული შემოქმედება მოსახლეობის განათლების ამაღლებასა და კვალიფიკაციის ეფექტიან მიღებაზე უშუალო პასუხისმგებელია თავისი ქვეყნის მოსახლეობის, სახელმწიფოსა და მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების წინაშე.

2. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის გაძლიერების პირობებში. ცოდნა ცხოვრების გონივრულად წარმართვის მთავარი ფაქტორია. იგი მართვას ეფექტურად ახორციელებს. ცოდნის ეკონომიკა სწავლობს ცოდნის წარმოებას (რასაც იგი ღირებულებით პარამეტრებში გამოსახავს) და სხვა მსგავს პროცესებთან დაკავშირებულ ეკონომიკურ ურთიერთობებსა და მათ ბაზაზე მოქმედ ეკონომიკურ კანონებს.

მეცნიერებისა და განათლების ცალკეული სისტემებისაგან განსხვავებით, ეს კანონები განაპირობებს სახელმწიფო ეკონომიკური სისტემის ფორმირებას. მასში მოსახლეობის საგანმანათლებლო საკვალიფიკაციო მოძრაობა (მსსმ) თითქოს უმნიშვნელო ფუნქციონირებას აგრძელებს. მისი გააქტიურება იქნება ცოდნის ეკონომიკის შემდგომი სრულყოფა მეცნიერებისა და განათლების ერთიან სისტემაში. ამაში ცოდნის ეკონომიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც იგი ქვეყანაში ცოდნის ღირებულების დადგენასა და კადრების ადგილზე დამაგრებას ემსახურება[193].

პოსტსაბჭოთა საქართველოში ეკონომიკური ზრდის უცხოური მოდელების გამოყენების სურვილები დღესაც დიდია.

ჩვენს ქვეყანაში არ იქნა გათვალისწინებული მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული საბაზრო ეკონომიკის მდიდარი გამოცდილება. შედეგად, ეკონომიკური ზრდის არც ერთი კლასიკური მოდელი ვერ იქნა გამოყენებული, რაც იმასაც ნიშნავს, რომ მისი განხორციელება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

საქართველო, მცდარ მონეტარულ პოსტულატებზე დაყრდნობით, კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა. არც ერთი ეტაპის პოლიტიკა არ განხორციელებულა კლასიკური მოდელის ჩარჩოებში და მათში ანარქიულობის ელემენტები ჭარბობდა. ეროვნული ეკონომიკა „ბუქსაობს", სულ უფრო და უფრო იღებს დეფორმაციულ ფორმას და ქვეყანა კარგავს ოდითგან უფლისაგან მინიჭებულ მეწარმეობის დიდ უნარსა და გამოცდილებას, არადა ერის მამა ილია ჭავჭავაძე გვახსენებს: ...„აქამომდე მივიწყებული ეკონომიკურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძებოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა"... ეს შეგონება დღესაც აქტუალურია[194].

აკადემიკოსი ლეო ჩიქავა [195] შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების სივრცისეული არეალის მსოფლიოში გაფართოების პროცესების დახასიათებას იძლევა, თანაც განსაკუთრებული ყურადღებით თანამედროვე გლობალიზაციის პირობებთან შესაბამისობაში. განიხილავს შემთხვევასაც, როცა შრომის მწარმოებლურობის ზრდა მაღალი მასშტაბისაა, მოჰყავს შესაბამისი რიცხვითი მაგალითები.

---

[193] ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფირმა „სიახლე". თბილისი, 2006, გვ. 444.

[194] რ. ასათიანი. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები 8. თბილისი, 2010, გამომცემლობა „სიახლე", გვ. 146.

[195] ლ. ჩიქავა. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები 8, თბილისი, 2010, გამომცემლობა „სიახლე", გვ. 14-31.

აკად. ლეო ჩიქავას ნაშრომიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ კაცობრიობა შევიდა ინოვაციური, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ეპოქაში, სადაც მეცნიერება გვევლინება, უშუალო მწარმოებლურ ძალად და ინტენსიურად მიმდინარეობს წარმოებასთან მეცნიერების შეერთება-შერწყმის პროცესი, ამასთან, ჩატარებულია მსჯელობა მაღალკვალიფიციურ მუშაკთა სპეციალური კატეგორიის ინჟინრებისა და ტექნიკოსების რაოდენობრივი ზრდის აუცილებლობაზე[196].

მნიშვნელოვანია იმის მინიშნებაც, რომ მაღალი ტექნოლოგიებით გამორჩეული დარგები განსაზღვრავენ მესამე ათასწლეულის ეკონომიკის ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესს[197]. აღნიშნულია სამუშაო დროის ეკონომიის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება[198].

ყურადღებას იპყრობს დასკვნები იმის შესახებაც, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედება, როგორც ფაქტორი, აისახება პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების – თავისუფალი დროის გაზრდაში. იგი ამავე დროს ნაწარმის ღირებულების შემცირებას, საქონლის გაიაფებას, მოსახლეობის რეალური შემოსავლების გაზრდას განაპირობებს.[199]

მაღალ მეცნიერულ დონეზე აყვანილი და ადამიანთა საზოგადოებაში გაძლიერებული ცოდნის ეკონომიკას მრავალმხრივი შესაძლებლობები უჩნდება, თუმცა მოსალოდნელია ზარალიც კი, მაგალითად, ასანთის წარმოების ტექნოლოგია ცივილიზაციის შესაბამისად იხვეწება და მარტივდება, მაგრამ, თუკი ცოდნის ეკონომიკა დავიწყებას მიეცემა, მაშინ ასანთის წარმოება თავიდან აღმოსაჩენი გახდება.

დღევანდელ ცივილიზებულ საზოგადოებაში, და მით უფრო საბაზრო ეკონომიკის გავლენით, ტექნოლოგიების ცოდნაზე ინფორმაციის დაკარგვა თითქმის გამორიცხულია, მაგრამ არის სხვა საშიშროება, რომლის პირობებს, დღესაც კი, შეიძლება ქმნიდეს საქართველოს მთიანი რეგიონები[200].

მეცნიერება განათლების გასაძლიერებლად და ტექნიკური პროგრესისათვის გზის გამკაფავია. იგი წამყვანია აღმოჩენების მისაღებად. ამაში მნიშვნელოვანია ცოდნის ეკონომიკა.

პოსტსაბჭოთა საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების გლობალიზაციის შესაბამისად წარმართვისათვის წამყვანი როლი მეცნიერ კადრებს ენიჭებათ. ამაში ცუდადაა ორგანიზებული გრანტის პროექტების განაწილება იმ მეცნიერ-კადრებზე, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით დაასრულონ ქვეყნის განვითარებისათვის დასმული პრობლემების გადაჭრა.

ჩვენი აზრითაც, მეცნიერებაში მოღვაწე დამსახურებული სახელის მქონე შემოქმედ მეცნიერს ნიშნავს, მიუხედავად იმისა, იგი თავისი „პროფილით" მუშაობს თუ არა. იგი, შეიძლება, უმუშევარი ან პენსიონერი იყოს.

მეცნიერი მუშაკი, მეცნიერ-კადრი ძველი ტერმინებია. ისინი სამეცნიერო მიმართულებას აკვალიანებენ, ქმნიან სიახლეებს, ამიტომ ვისარგებლებთ ტერმინით „მეცნიერ-კადრი".

საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, როცა წამყვანი პოზიციები, ინვესტორებთან ერთად, მეცნიერებს ენიჭებათ, მაშინ საიმედო ხდება ამ საქმის წარმატებები მენეჯერების თანამონაწილეობით. ბუნებრივია ისიც, რომ მეცნიერ კადრების აქტიური მონაწილეობა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, საიმედო მომავალს ქმნის.

ყოველივე ამას განაპირობებს მეცნიერებისა და განათლების დონე, ხოლო მაღალი დონის შედეგები იმ კოლოსალური შრომის შედეგია, რომელსაც თავისივე ქვეყნის პატრიოტი მეცნიერები იძლევიან მათი შემოქმედების მრავალმხრივი გაძლიერების შესაბამისად, ინვესტიციებითა და ინოვაციებით.

ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი იმისა, რომ ცხოვრების დონე დღეს უფრო მაღალია ვიდრე საუკუნის წინ, ტექნოლოგიური ცოდნის განვითარებაა, მათი უდიდესი ნაწილი ფირმებისა და ცალკეული გამომგონებლების კერძო კვლევების შედეგია; ამ შემთხვევაში ცოდნა საზოგადოებრივი საქონელია. მთავრობა დიდ როლს ასრულებს მეცნიერული კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის ხელშეწყობაშიც, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია კვალიფიციური სტრუქტურის შემდგომ ცვლილებებთან.

3. მეცნიერების ეკონომიკის განათლების სისტემასთან ურთიერთობის თავისებურებები და ტექნოლოგიურ ცოდნაზე ინფორმაციის შენახვა-განახლების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისათვის. მეცნიერება, განათლება და, მასთან ერთად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ქვეყნის უშიშროების საიმედო პირობების შექმნაში აქტიურად მონაწილეობს.

---

[196] იქვე, გვ. 21

[197] ლ. ჩიქავა. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები 8, თბილისი, 2010, გამომცემლობა „სიახლე", გვ. 23.

[198] იქვე, გვ. 27.

[199] იქვე, გვ. 30

[200] ფ. გოგიჩაიშვილი. ხელოსნობა საქართველოში. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976, გვ. 146-147.

მაგრამ ქვეყნის მნიშვნელოვანი პროგრამების შემუშავებაში მათი მონაწილეობა ყოველთვის არ არის დადებითად შეფასებული, რაც აყალიბებს მათი დაუფასებლობის გარემოს. მუხედავად ამისა, კვლევის ჩამტარებლები გავლენას მაინც ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე.

მეცნიერული ცოდნა და შესაბამისი აღმოჩენები ურთულესი შრომის შედეგია, რომლის სარგებლიანობას, გლობალიზაციის შესაბამისად, ცოდნის ეკონომიკა წარმოაჩენს და მორიგი გამოგონებისაკენ მიმართავს. მეცნიერების, განათლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტპ) გამაერთიანებლად შეიძლება ცოდნის ეკონომიკა ჩავთვალოთ, რომელსაც გეზი საბაზრო ეკონომიკისაკენ აქვს აღებული. იგი ახალი ცოდნის მიღებისა და მისი შემდგომი კვლევის პროცესებსაც აყალიბებს.

წარმოებაზე მეცნიერების ზემოქმედება დამოკიდებულია მისი მიღწევების გამოყენების დონეზე. მეცნიერება არა მარტო წარმოიშვა წარმოების საჭიროების საფუძველზე, არამედ მისი შემდგომი განვითარებაც განისაზღვრება ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებით, რომელიც მეცნიერების წინაშე აუცილებლად გადასაჭრელ, სულ ახალ და ახალ ამოცანებს აყალიბებს შემდგომი კვლევისათვის.

ის, რაც წარსულში ხდებოდა, აწმყოსა და მომავალში გამოვლინდება, რაც, თავის მხრივ, წარსულის ინერციის შედეგიცაა, თუმცა შეიძლება აღმოსაჩენი გახდეს. ამ მიმართულებით საკმაოდ საფუძვლიანი დასკვნები მოგვაწოდა დიდმა ეკონომისტმა და საზოგადო მოღვაწემ ფილიპე გოგიჩაიშვილმა. იგი აღნიშნავდა, რომ სხვა საკვირველებასთან ერთად, საკვირველება არის ისიც, რომ ჩვენ, ქართველები, რაც უფრო წინ მივდივართ სწავლა-განათლებით, მით უფრო უკან ვიწევთ საეკონომიო ბარაქიანობით და ნივთიერი კულტურით.

საუკუნის შემდეგ სწავლა-განათლების ეფექტი მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოში, შესამჩნევად მაღალი გახდა მოსახლეობის განათლების დონე, მათი პროცენტული ზრდა, მაგრამ შევნიშნავთ იმასაც, რომ, რაც ფილიპე გოგიჩაიშვილმა განათლების ეკონომიკის მიმართულების შესახებ საუკუნის წინ აღნიშნა, ამჟამადაც, პოსტსაბჭოთა საქართველოს თითქოს ახალი პრობლემაა. ესაა პრაქტიკული საქმიანობისათვის შესაფერისი „სულიერი მიდრეკილების განვითარება ახალგაზრდობაში". ამ მიმართებით სიძნელეთა შორის აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მეცნიერებისა და განათლების სისტემები ერთმანეთთან ორგანულად არ არის დაკავშირებული, მაშინ, როდესაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა მეცნიერებისა და განათლების ერთიანი ეკონომიკური სისტემის შექმნის წინა პლანზე წამოწევის ეფექტიანობის გარკვევა.

საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობრივი სიჭარბეა მასზე მოთხოვნასთან შედარებით, ეს ყოველთვის იყო და დღესაც ასეა. ხშირია შემთხვევა, როდესაც უმაღლესდამთავრებულთა მომზადება ბაზრის მოთხოვნების არაადეკვატურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა.

როგორც ცნობილია, მეცნიერება განვითარებას შუა საუკუნეების ინკვიზიციის პერიოდშიც კი ახერხებდა. არც ისაა გასაკვირი, რომ მეცნიერულმა იდეებმა, გამოკვლევებმა, განათლებამ, სპეციალობის დაუფლებამ და ა.შ. ამჟამადაც საზოგადოების წინსვლას გზა არა მარტო უნდა გაუკვალოს, არამედ პროგრესს უნდა განიცდიდეს მუდმივად. ეს ისაა, რასაც უმართვადობის პირობებში, მეოცე საუკუნემდე, განვითარების ზიგზაგისებური ხასიათი ჰქონდა, თუმცა, თვითორგანიზებისა და რეგულირებისაკენ მისწრაფება განვითარებისაკენ, წამყვან ადგილს ყოველთვის იკავებდა.

დღევანდელ საზოგადოებაში ტექნოლოგიების ცოდნაზე ინფორმაციის დაკარგვა თითქმის გამორიცხულია, მაგრამ არის სხვა შემთხვევა, სოფლად, საქართველოს მთიან რეგიონებში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია უძველესი ოჯახური უნიკალური ტექნოლოგიები, განსაკუთრებით ეს ეხება საკვები პროდუქციის მომზადების ტექნოლოგიებს, სამედიცინო მკურნალობის რიგ საოცრებებს. ამის დაკარგვის შესაძლებლობებს აძლიერებს სოფლის მთაგორიანი მოსახლეობის რიცხოვნობის კატასტროფულად შემცირება.

ამის შესახებ მეოცე საუკუნეში დიდი ქართველი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე ფილიპე გოგიჩაიშვილი წერდა[201], რაც არ იყო ერთეული შემთხვევა.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მით უფრო წარმატებული ხდება, რაც უფრო მეტს ხარჯავს იგი მშპ-დან მეცნიერებაში. ამ მხრივ საქართველოში მძიმე მდგომარეობაა, რომლის მიუხედავად, ქვეყანას აქვს წარსულის გამოცდილების განახლების შესაძლებლობა, რომელსაც ამჟამადაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ჩვენი ქვეყნის ყველა თაობის პატრიოტიზმის და ერის კეთილდღეობისათვის მეცნიერულ აზრობრივ ხედვასაც აძლიერებს, რაც კიდევ უფრო არსებითი გახდება ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში, რასაც მომავალი აქვს...

პაატა გუგუშვილი აღნიშნავდა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა იბრძვის არა იმდენად არსებობის საშუალებებისთვის, რამდენადაც ცხოვრების აზრისთვის (იგულისხმება მომავალიც), რაც ამჟამად ცოდნის ეკონომიკის ღირებულების მქონეა და ბოლომდე შეუფასებელ შემადგენლობას განეკუთვნება[202].

---

[201] ფ. გოგიჩაიშვილი. წერილები, მოგონებები. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1993.

[202] პ. გუგუშვილი. ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები. თბილისი „განათლება", 1981, გვ. 29.

განათლებასა და მეცნიერებაში გასათვალისწინებელია ბევრი რამ, თუმცა ამას კეთილ-სინდისიერი საზოგადოება, დროში წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც არეგულირებს, რაც ადამიანთა საზოგადოებაში წერა-კითხვის სწავლიდან დაწყებული, სიღრმისეული საკითხების განხილვა-დაუფლებასთან ერთად ძლიერდება. ცოდნის გადაცემით მიმდინარეობს გონების წვრთნა და განათლების მაღალ დონეზე აყვანა, სპეციალობის დაუფლება-სრულყოფა. მეცნიერული დონე მცირე დოზით მაინც ყოველ ადამიანში ყალიბდება, რაც ცოდნის ეკონომიკაში უფრო ნათლად გამოვლინდება. ადამიანის მოღვაწეობა მეცნიერების, ხელოვნების ან სხვა სფეროებში ბევრად აქტიურდება, როდესაც ცდილობს თავისი შედეგები უცხოეთში გაიტანოს ან აამაღლოს ისეთ დონემდე, რომ გლობალიზაციის ტალღას მაინც მიჰყვეს და დაფასდეს მისი შრომა ან, საერთოდ, მსოფლიოს მეცნიერული შედეგები არ დაეკარგოს.

ანალოგები შესაძლებლობას იძლევა, გამჭვირვალედ წარმოვიდგინოთ ზემოთ დახასიათებული მეცნიერული ცოდნის შექმნის რთული პროცესი. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ მაგალითი. **როდესაც მოლუსკს არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მისთვის სახიფათო გარეშე სხეულის ზემოქმედებას. მისგან მიღებული უარყოფითი ქმედებების გასაუვნებლად მოლუსკი თავისი უნიკალური რეაქციის უნარით ამ უცხო სხეულის შემოფარგვლისთვის მარგალიტს გამოიმუშავებს. ამით მოლუსკი ამ გაჭირვებიდან თავს მაინც ვერ დააღწევს, მაგრამ მძიმე მდგომარეობას** შეიმსუბუქებს და თავისდაუნებურად იშვიათ საგანძურს – მარგალიტს ქმნის...[203]

ის, რაც მოლუსკს დიდი გაჭირვების მდგომარეობიდან გამოსაყვანად ახასიათებს მარგალიტის შექმნით, ნიჭიერი ადამიანის, თან როგორც გენიოსის, „დაავადების" ანალოგიაა. ამიტომ გენიოსის მოღვაწეობის სიმძიმე პოსტკომუნისტურ საქართველოშიც არც ისე ადვილი გადასატანია. იშვიათია ისიც, რომ ადამიანი თავისი გენიალური შემოქმედის შესაბამისად სიცოცხლეშივე დაფასდეს. მოსალოდნელია, საზოგადოებამ დროულად ვერ აღიქვას გენიოსი. თუ ადამიანს არ მიეცა საშუალება, გამოავლინოს თავისი ნიჭიერება, მაშინ ასეთი ადამიანი იგივურ კანონზომიერებებს მიეკუთვნება: გაჩნდა, იარსება და იგივური კანონზომიერებით ქვეყნისგან „ჩამოწერა". გარდა-ცვალების შემდეგაც დედამიწაზე ადამიანის უკვდავება ასევე გენიოსის ხვედრია, რადგან იგი იგივეობა არ არის. ამის ახსნის საშუალებას სინერგიის ეფექტიანობის გათვალისწინება იძლევა.

უდიდესი სინერგიის მატარებელია ეროვნული სახელმწიფო, თუ იგი ქვეყნის შიგნით ორგა-ნიზებულია პატრიოტული ძალებით და, ამასთან, გააქტიურებულია გენეტიკური პროცესებით. ფიზიკური გამრავლება, კერძო საკუთრებაში დამცავი მექანიზმებით გამოწვეული სიმდიდრე, სამართლიანი გზებით ახალ თაობებს გადაეცემა და ა.შ.

მეცნიერების განვითარება კიდევ უფრო მაღალი სინერგიული დონის გახდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეცნიერება და რელიგია შინაარსობრივადაც ერთიანდება. ისინი ერთმანეთს ავსებენ. სინერგია ღვთისა და ადამიანის ენერგიის შერწყმა და გამოვლინებაა[204].

ბედნიერია ის საზოგადოება, რომელსაც აქვს უნარი, შეკრიბოს ყოველგვარი სიკეთის მიმარ-თულებით მოღვაწე გენიოსები და შეუქმნას მათ პროგრესულ შესაძლებლობათა სრული გამო-ვლენის პირობები, პირველ რიგში, ქვეყნის სასიკეთოდ, იმ ქვეყნისა, სადაც გენიოსი მოღვაწეობს, ხოლო შემდგომ ამ შედეგების გასავრცელებლად მსოფლიოში.

მტპ-ის მიღწევებმა, ცივილიზაციის გზაზე დაყენებით, ძირფესვიანად შეცვალა ადამიანთა ცხოვრების პირობები, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისიდანვე მეცნიერების ყველა ცვლილება[205] კაცობრიობის კეთილდღეობისაკენ არის მიმართული, რაც ინფორმაციული საზოგადოების განვი-თარებას უწყობს ხელს სტუდენტთა გაცვლით მტპ-ის ფართო გამოყენების დასაჩქარებლად, რაც ახალი ცოდნის წარმოებას აძლიერებს.

მეცნიერებისა და განათლების პრობლემებზე ანალოგიური აზროვნებით განპირობებული და გაერთიანებული ცოდნის ეკონომიკაა, რომელსაც გამაძლიერებელ იმპულსებს გლობალიზაცია აძ-ლევს, რაც პოსტსაბჭოთა საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარებისაკენ წარიმართება.

4. გლობალიზაციის პირობებში მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკურ პრობლემებზე საბაზრო ეკონომიკის გავლენა. მეცნიერება და განათლება, როგორც სისტემა, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების საფუძველია და არა მარტო მოსახლეობის კეთილ-დღეობის სრულყოფისა და უშიშროების საიმედო პირობების შექმნაში აქტიურად მონაწილეობს, არამედ ქვეყნის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტასაც ემსახურება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერებას და განათლებას არ ჰქონდა შექმნილი დამოუ-კიდებელი განვითარების პირობები, ხოლო „ცივი ომის" გავლენით პირველი კატეგორიის დაფი-ნანსება, გამორჩევით, ფიზიკა-მათემატიკურ და ტექნიკური დარგებისაკენ იყო წარმართული, რასაც დაემატა მოჩვენებითი იმედებით ზრუნვა კიბერნეტიკასა და იმ დროისათვის მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ახალ მიმართულებებზე. დანარჩენი კი, მათ შორის ეკონომიკის, ფილოსოფიის,

---

[203] ბუნების ასეთი საოცრება რეალური რომც არ იყოს, მაინც მივანიშნებდით, რადგან მეცნიერებისთვის მსგავსი „შემოქმედება" დამახასიათებელია.

[204] საქართველოს პატრიარქის ილია II სიტყვა, „კრიალოსანი" 2009, გვ. 4-5.

[205] В. Макаров. Об экономическом развитии и не только в контексте будущих достижений науки и техники. Вопросы экономики. 2008. стр. 39-43.

სამართლის დარგები და ა.შ. პოლიტიკური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. კნინდებოდა მეცნიერების ცალკეული დარგების მნიშვნელობა და ბუნდოვანი იყო მეცნიერულ ცოდნაზე მოთხოვნის რეალური სინამდვილე.

ყოფილ საბჭოთა კავშირს კოლოსალურად ძვირი უჯდებოდა „ცივი ომით" განპირობებული სამხედრო კომპლექსების განვითარება, რასაც მან ვეღარ გაუძლო. ანალოგიურ მდგომარეობაშია, თუმცა შედარებით ნაკლები შესაძლებლობებით, ამჟამინდელი რუსეთი. იგი ვერ ახერხებს ქვეყნის შიგნით წარმოშობილი „სამხედრო აგრესიის" მოთოკვას.

ყურადსაღებია რუსეთსა და საქართველოში ერთდროულად მოღვაწე (მეოცე საუკუნის ბოლო წლებსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში) გამორჩეული მეცნიერის, ივერი ფრანგიშვილის დასკვნები, ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო პატრიოტული შემართებით ჩატარებული მსჯელობებით, დაკავშირებული 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გარდაქმნის მსოფლიო მასშტაბის სიძნელეებსა და იმ ვარაუდთან, რომ ინტელექტუალურმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს მატერიალური და სულიერი სამყაროს ინტეგრაცია; განსაკუთრებით იმის გამო, რომ პოსტსაბჭოთა ეკონომიკა და მეცნიერება ჩიხში აღმოჩნდა მსოფლიოში მიმდინარე რთულ პროცესებში და ვერ შეძლო რეალური სამომავლო პროგნოზების განსაზღვრა.

საერთოდ ასეა, რომ მეცნიერული ცოდნა და შესაბამისი აღმოჩენები ურთულესი შრომის შედეგია, რომლის სარგებლიანობას, გლობალიზაციის შესაბამისად, ცოდნის ეკონომიკა წარმოაჩენს და გამოგონებისაკენ მიმართავს. მეცნიერების, განათლების და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტპ) გამაერთიანებლად შეიძლება ცოდნის ეკონომიკა ჩავთვალოთ. საქართველოში მტპ-ის შედეგების მსოფლიო დონეზე აყვანა, შესაბამისი ინვესტიციების დეფიციტის გამო, შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი აერთიანებდა მხოლოდ მეცნიერებისა და განათლების სისტემებს. თუმცა იყო წინადადებები მათი ერთ სისტემაში გაერთიანების ეფექტიანობაზე. უკვე 21-ე საუკუნიდან, პოსტსაბჭოთა საქართველოში განათლებასთან გაერთიანებული აღმოჩნდა მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც დარჩა მეცნიერთანამშრომლების რიცხოვნობის 1,5-ჯერ კვეცის, სამუშაოების შემცირებების რეალობის წინაშე. საერთოდ ქვეყანაში ცოდნის ინვესტიციების შემდგომი დაფუძნებით და ცოდნის ეკონომიკის გააქტიურებით მიმდინარეობს ცოდნის გადაცემა თაობებს შორის.

დღემდე არსებული მართვის სისტემის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს მისი ერთგვარი ფუნქციური გათიშულობა, რის გამოც ინოვაციური პროცესების მართვას არ აქვს ერთიანი სისტემური ხასიათი: დაგვიანებით ხდება ახალი პროგრამულ-მეთოდური დამუშავების განზოგადება და დანერგვა, რამდენადაც მათგან მოწყვეტილია კადრების მომზადებისა და გადამზადების პროგრამები; საგამომცემლო თუ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმები არ არის შეთანხმებული განათლების ახალ შინაარსზე გადასვლის გეგმებთან და სხვ.

მეცნიერების ზემოქმედება წარმოებაზე დამოკიდებულია მისი მიღწევების გამოყენების დონეზე. მეცნიერება არა მარტო წარმოიშვა წარმოების საჭიროების საფუძველზე, არამედ მისი შემდგომი განვითარებაც განისაზღვრება ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებით, რომელიც მეცნიერების წინაშე აუცილებლად გადასაჭრელ სულ ახალ და ახალ ამოცანებს სახავს.

საქართველოს ეკონომიკა ხშირად იყო კრიზისულ მდგომარეობაში, ხოლო ქვეყნის მეწარმეებს არ გააჩნდათ შესაძლებლობა და თავისუფალი ფინანსური სახსრები წარმოების დასაწყებად და განსავითარებლად ცდილობდა ქვეყანაში უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანას.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში დღესაც არის იმის პირობები, საწარმოებმა დაინტერესება გამოავლინონ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გამოყენებაზე. საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიური დონე ბევრად ჭარბობს სამამულოს და ჯერჯერობით ჩვენი მეწარმეების თავისუფალი სახსრები მნიშვნელოვნად მწირია. აღნიშნული იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, რომ პირველ რიგში, ისევ სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა იზრუნოს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებაზე, რათა მეცნიერება მზად შეხვდეს ეკონომიკური განვითარების იმ დონეს, როდესაც ქართულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროდუქციას გაუჩნდება ბაზარი და პირდაპირი დამფინანსებელიც.

უნდა აღინიშნოს იმის გათვითცნობიერების აუცილებლობა, რომ სიმდიდრე ადამიანების ტვინშია (აზროვნებაში) და არ არის საჭირო ხელაღებით ხაზგასმა, რომ ქვეყანა მდიდარია, როცა აქვს ნავთობი, გაზი, წყალი და სხვა. უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ კარგად მანამდე, სანამ არ დავეუფლებით ცოდნის ეკონომიკის პრობლემების კვლევას.

პრობლემების ასეთი განხილვისას შეიქმნება იმის პირობები, რომ შრომის მწარმოებლურობის მაქსიმიზაციის პირობით, პოსტსაბჭოთა საქართველოში დადგინდეს სპეციალისტებზე მოთხოვნის შესაბამისი გამოშვება. ამისათვის აუცილებელია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა კონკრეტული მონაცემებით გაანალიზოს და შეაფასოს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის არსებული მდგომარეობა, ამასთან, პერსპექტივაც. ამას რეალური ბაზის შექმნა სჭირდება, როდესაც ფუნქციონირებას დაიწყებს მეცნიერების და განათლების ერთიანი თვითორგანიზებადი მდგრადი სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის, დადგინდეს თუ რა რაოდენობით სჭირდება ქვეყანას მაღლკვალიფიციური, მათ შორის მეცნიერებისა და განათლების კადრები.

საქართველოში მეცნიერების ეკონომიკის პრობლემები ბოლომდე გამოკვლევას დღესაც არ ექვემდებარება, განსაკუთრებით საბაზრო ურთიერთობის პირობებში. მიუხედავად ამისა, მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების ყოველდღიური სრულყოფა (ალბერტ აინშტაინი). იგი, ჩვენი აზრით, რთულია ყოველდღიური გლობალიზაციის პრინციპების დაცვით, განსაკუთრებით ცოდნის ეკონომიკისა და მისი განათლების სისტემასთან კავშირის გათვალისწინებით. მეცნიერებისა და განათლების პრობლემების კვლევა მეცნიერებისათვის კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს ავსებს, რომლის გათვალისწინება მეცნიერების კვლევაში აუცილებელია.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა ის, რომ ასეთი სისტემის ფორმირებას ძველი სისტემების მოშლა სჭირდებოდეს. პირიქით, საჭიროა ძველი სისტემის გარდაქმნა ერთიან მმართველობით სამეცნიერო თვითორგანიზებად სისტემაში, რაც შეიძლება დაიწყოს ფასიანი და სხვა რიგი სასწავლო ინსტიტუტების (გარდა სახელმწიფო უნივერსიტეტებისა) მიერთებით შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. ეს უნდა ატარებდეს ორგანულ ხასიათს. ამას საერთო პროფილი და სამეცნიერო პერსპექტივა განაპირობებს, ამასთან, ერთიანი კაპიტალდაბანდება და საერთო ხელმძღვანელობა. როდესაც მათთან ერთად და პარალელურად ფუნქციონირებს სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთიანი სისტემა მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, აქ ორი სავარაუდო ვარიანტი შეიძლება გამოიყოს: უნივერსიტეტებმა რეგიონული და პროფილის შესაბამისად შეიერთონ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ან უნივერსიტეტები დაექვემდებარონ მეცნიერებათა აკადემიას მის სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან თანაბარ უფლებებში.

ამ წინადადების გამაგრების ერთ-ერთი რეალობა იქნება კაპიტალდაბანდების ეფექტიანობა, რომელიც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს მეცნიერული მართვის ახალი სისტემის ფუნქციონირებას.

კაპიტალდაბანდებების დეფიციტის გამო, მინიშნებული სისტემის ფორმირება უნდა მოხდეს თანდათანობით, ცალკეული ინსტიტუტების გაერთიანებითა და ზოგიერთის დაშლის პროცესში. აქ მთავარია მიმართულების სწორი ორიენტაცია, რომელიც უნდა უზრუნველყოს ამ საქმით დაინტერესებულმა სახელმწიფო ორგანოებმა. ეს მცირე ექსკურსი ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად არ არის საკმარისი, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს ის საწყისებია, რომელმაც თვითონ, როგორც თვითორგანიზებადმა სისტემამ, დამოუკიდებლად უნდა გაიკვლიოს გზა, ამასთან, აქტიურად გააგრძელონ გლობალიზაციასთან დაკავშირებული შემოქმედება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი მეცნიერი ცდილობს, უკეთეს შემთხვევის შესაბამისად, თავის ქვეყანაში საწყისი განათლება მიიღოს და სამეცნიერო შედეგები უცხოეთში გაიტანოს, რომელიც გლობალიზაციით კიდევ უფრო ძლიერდება.

Roland Sarchimelia

PROBLEMS OF SCIENCE ECONOMY IN GEORGIA

Annotation

The article deals with the characteristics of skilled scientific staff structure and its scientific body. Sharing its advanced scientific results with a new generation.

There is considered the process and adequate goals of functioning by knowledge economy the common system of science and education in the conditions of globalization.

The discussion concerns the necessity of streng thening the formation of market economy together with scientific-research institutes in the common system of science, education and knowledge economy.

პრობლემა 5.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემები

ვახტანგ ბურდული

რეგიონული განვითარების პრობლემები

შესავალი

რიგი წლების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დაიწყო თანამედროვე გლობალიზაციის ეკონომიკური მექანიზმის განვითარება, მრავალ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში ხდებოდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგიონული კოორდინაციის სისტემის გარდაქმნა და სრულყოფა, მიმართული მართვის რეგიონული ორგანოების ფუნქციების და უფლებამოსილებების გაფართოებაზე არა მარტო ინფრასტრუქტურული და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, არამედ ბიზნესის განვითარების კოორდინაციაში. შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის პროცესების პარალელურად ვითარდება შიდაქვეყნური რეგიონალიზაციის პროცესებიც. ესე იგი, გლობალიზაციის პროცესები, რომლებიც, მაგალითად, ეკონომიკურ სფეროში ვლინდება რეგულირების და დაკრედიტების გლობალური და ქვეყნებსშორისი რეგიონული ორგანოების *(მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო სავალუტო ფონდი, ევროკავშირის შესაბამისი ორგანოები და ა. შ.)* ფუნქციების ევოლუციაში, იწვევენ მათ მიმართ კოორდინაციის და რეგულირების სახელმწიფო და შიდაქვეყნური რეგიონული ორგანოების ადაპტაციის აუცილებლობას. იმ ქვეყნების მაგალითად, რომლებშიც კოორდინაციის რეგიონული მექანიზმები თანამედროვე პირობებისადმი წარმატებულად არიან ადაპტირებული, შეიძლება მოვიყვანოთ საფრანგეთი და სამხრეთი კორეა *(რეგიონული კოორდინაციის სრულყოფის პროცესები ამ ქვეყნებში ფართოდ არის გაშუქებული სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში).* ევროპულ ქვეყნებში განხორციელებულმა რეგიონალიზაციის ზოგიერთმა ღონისძიებამ ასახვა პოვა ევროპულ ქარტიაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. მისი დებულებებით ხელმძღვანელობს ბევრი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების რეგიონული და ადგილობრივი კოორდინაციის მექანიზმების სრულყოფის დროს (მაგრამ მასში გაშუქებული არ არის რეგიონების განვითარების ცენტრალიზებული სახელმწიფო კოორდინაციის საკითხები და, ასევე, ბიზნესის განვითარების და მხარდაჭერის სახელმწიფო და რეგიონული კოორდინაციის საკითხები). პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ტრანსფორმაციული პერიოდის პირობებში, ასევე დაიწყო ყოველი გარკვეული ქვეყნისათვის მიზანშეწონილი, გლობალიზაციის პირობებთან შეგუებული რეგიონების ეკონომიკური განვითარების მექანიზმის ძიება და ცენტრალური ევროპის რიგ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში მოხდა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებისადმი შესატყვისი კოორდინაციის მექანიზმების ფორმირება. გლობალიზაციის გამოწვევებზე რეგიონების ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის სისტემების ადაპტაციისათვის ღონისძიებების ჩატარების სფეროში რამდენადმე იგვიანებს ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყანა, მათ შორის საქართველოც. ამიტომ, წინამდებარე ნარკვევში განიხილება ამჟამინდელი პერიოდისათვის ქვეყნის რეგიონებში წარმოქმნილი მდგომარეობა, ასევე, სიტუაცია რეგიონული ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში და ამის საფუძველზე დასახული და დასაბუთებულია ასეთი კოორდინაციის სრულყოფის გზები თანამედროვე გლობალიზაციით წამოყენებული პირობების ადეკვატურად და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

1. რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო და რეგიონული კოორდინაციის სრულყოფა როგორც მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იმ ღონისძიებათა ერთობლიობის, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ტემპების ზრდაზე

თუ ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის ამსახველ მაჩვენებლებს შევადარებთ ეკონომიკის დაცემის წინა პერიოდის მაჩვენებლებთან (მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს წარმოება უმეტესწილად მოძველებული ტექნოლოგიებით იყო აღჭურვილი), აღმოვაჩენთ, რომ ბევრი თანამედროვე მაჩვენებლის სიდიდე ჯერ კიდევ დაცემისწინა მაჩვენებლების სიდიდეებს არ უტოლდება (ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში). მრეწველობის ზრდას დიდი ხანი საკმაო ყურადღება არ ექცეოდა, შეიკვეცა მრავალი აქტუალური ტრადიციული დარგის საქმიანობა, სოფლის მეურნეობაში კი წარმოება უკანასკნელ პერიოდში მცირდებოდა. ამიტომ, იმისათვის, რომ დაცემისწინა პერიოდში არსებული დონე მიღწეული და გადაჭარბებული იყოს, თანამედროვე პერიოდში საჭიროა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევა, პირველ რიგში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების ზრდის ტემპების მატების ხარჯზე. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა საქმიანობის სახეების ჭრილში ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფაზე მიმართული რიგი ღონისძიებების რეალიზაცია, უფრო რაციონალური სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გატარება და სხვა.

ამ მიზნის რეალიზაციის ხელშემწყობი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ისეთი ქმედითი რეგიონული პოლიტიკის ჩატარებაში მდგომარეობს, რომელიც მიმართული იქნება როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე.

ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასთან დაკავშირებული ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიცაა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდის დაჩქარება, სამრეწველო კვანძების და ინოვაციური ცენტრების განვითარება, წარმოების ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური სტრუქტურების სრულყოფა, რეგიონული მეურნეობის დივერსიფიკაცია, რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავება და ა. შ., სხვა ღონისძიებების ჩატარებასთან ერთად **საჭიროა რეგიონული და ადგილობრივი ტერიტორიული წარმონაქმნების დონეზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო და რეგიონული კოორდინაციის როლის გაძლიერება**, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პირველ დონეზე, ესე იგი რეგიონებში (მხარეებში).

მტკიცედ ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში საჭიროა ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის დამატებითი ზომების გატარება ისეთი ბიზნესწრეების ჩამოსაყალიბლად, რომლებსაც ექნებათ მაღალეფექტიანი მეურნეობის ორგანიზაციის უნარი და თანამედროვე პირობებში კონკურენტუნარიანები იქნებიან. ამიტომ, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირებაში, მათ შორის რეგიონულ დონეზე, ტრანსფორმაციული პერიოდის პირობებში **უფრო მეტი ყურადღება,** მტკიცედ ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისაგან განსხვავებით, **უნდა ექცეოდეს ბიზნესის და შესაბამისი ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობის საკითხებს.** ამჟამად სწორედ ეს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის, მათ შორის რეგიონულ დონეზე, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

იმისათვის, რომ დავსახოთ და დავასაბუთოთ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო და რეგიონული კოორდინაციის მექანიზმების სრულყოფის გზები, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა **რეგიონების ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის სტატისტიკური კვლევის ჩატარება, ეკონომიკის განვითარების დონის ქვეყნის შიდა და ქვეყნებსშორისი შედარებებით უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით და ამის საფუძველზე რეგიონებში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებების გამოვლენა.**

2. საქართველოს რეგიონების თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი

ისევე, როგორც ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე ფასდება, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის ერთ სულზე შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის **(მშპ)** მაჩვენებლით, ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეც პირველ რიგში ფასდება რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების **(მდღ)** მაჩვენებლით, რომელსაც, მრავალი შესაბამისი სამეცნიერო და სტატისტიკური კლევის პრაქტიკაში, ეწოდება მთლიანი რეგიონული პროდუქტი **(მრპ).** თუ შევადარებთ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე შექმნილ მშპ მაჩვენებელს სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, აღმოჩნდება, რომ საქართველო ამ მაჩვენებლის მიხედვით (2013 წელს 3.52 ათასი დოლარი/მოსახლეობის ერთ სულზე) საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება.

გავაანალიზოთ, როგორია მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში. ცხრილი 1-ის მიხედვით შეიძლება რეგიონების ჭრილში შექმნილი მდღ (მრპ)-ს მოცულობისა და, ასევე, რეგიონებში შექმნილი მდღ (მრპ)-ის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლების შეფასება და შედარება, ცხრილი 2 კი გვაძლევს შესაძლებლობას, შევადაროთ საქართველოს ყოველ რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე შექმნილი მრპ რუსეთის და უკრაინის რიგი რეგიონის მაჩვენებელს (მეორე ცხრილში მოცემულია რამდენიმე რეგიონი შესაბამისი ქვეყნისათვის მაღალი, საშუალო და დაბალი მაჩვენებლით, რეგიონის რანგი (რეიტინგი) კი შესაბამის ქვეყანაში მითითებულია ამ ცხრილის პირველ სვეტში).

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მრპ-ის მაჩვენებელი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს, რომლითაც ფასდება მოსახლეობის კეთილდღეობის (ან სიღარიბის) ხარისხი. გარკვეულ რეგიონში სხვა რეგიონებთან შედარებით ამ მაჩვენებლის დაბალი დონე ცხადყოფს მისი მოსახლეობის კეთილდღეობის უფრო დაბალ (ან სიღარიბის უფრო მაღალ) დონეზე.

რეგიონული ეკონომიკის განვითარებისა და მისი დივერსიფიკაციის დონეზე გარკვეულწილად თვალნათელ წარმოდგენას გვაძლევს რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების (მრპ-ს) განაწილება საქმიანობის სახეების ჭრილში (ცხრილი 3). რეგიონული განვითარების ხარისხის შეფასებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიანობის კონკრეტული სახეების ჭრილში მთლიანად ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში კონკრეტული რეგიონების მიერ შეტანილი წვლილის გამოვლენას (ცხრილი 4). ამიტომ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჭრილში, ჩვენ გავაკეთეთ რეგიონების მრპ-ს ფორმირებისა და, ასევე, ქვეყნის მასშტაბებით ეკონომიკური საქმიანობის ყოველი სახის მიხედვით შექმნილ დამატებულ ღირებულებაში ყოველი რეგიონის მიერ შეტანილი წვლილის ანალიზი მე-3 და მე-4 ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.

რეგიონული ეკონომიკის განვითარების ხარისხზე არაპირდაპირ წარმოდგენას, ასევე, გვაძლევს საქმიანობის ყოველი სახის მიხედვით ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებული დამატებული ღირებულების მაჩვენებელი (ცხრილი 5). საქართველოს ეკონომიკის შესაბამისი მაჩვენებლების შედარებისათვის განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებთან ამ პარაგრაფში ასევე წარმოდგენილია რიგი განვითარებული ქვეყნის ასეთი მაჩვენებლები (დამატებული ღირებულება/ერთ დასაქმებულზე) სოფლის მეურნეობისა (ცხრილი 6) და დამამუშავებელი მრეწველობისათვის (ცხრილი 7)[206].

ცხრილი 1

საქართველოში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება და მდგ მოსახლეობის ერთ სულზე რეგიონების მიხედვით 2013 წ.[207]

	მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი	პროცენტებში ქვეყნის მშპ-სთან საბაზისო ფასებში	მოსახლეობის რიცხოვნობა (2014.01.01) ათასი კაცი	მდგ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი) მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი ლარი	მდგ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი) მოსახლეობის ერთ სულზე, აშშ ათასი დოლარი	რანგი
ქ. თბილისი	11300.9	48.4	1175.2	9.62	5.66	1
აჭარის არ	1.790.1	7.7	396.6	4.53	2.67	3
გურია	476.9	2.0	138.8	3.44	2.02	5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2670.4	11.4	749.2	3.56	2.10	4
კახეთი	1.331.5	5.7	405.0	3.29	1.93	8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1574.0	6.7	476.3	3.30	1.94	7
სამცხე-ჯავახეთი	693.8	3.0	213.7	3.25	1.91	9
ქვემო ქართლი	2063.1	8.8	513.1	4.88	2.87	2
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	1426.4	6.1	422.4	3.38	1.99	6
მშპ საბაზისო ფასებში	**23847.4**	**100.0**	**4490.5**	**5.20**	**3.06**	
(+) გადასახადი პროდუქციაზე	3659.5					
(–) სუბსიდიები პროდუქციაზე	147.2					
მშპ საბაზრო ფასებში	**26847.4**		**4490.5**	**5.98**	**3.52**	

[206] უნდა აღინიშნოს, რომ მეექვსე და მეშვიდე ცხრილების მაჩვენებლები მიახლოებითია: სხვადასხვა წყაროში ზოგიერთი ერთი და იგივე მაჩვენებელი განსხვავდება 10%-მდე, ასევე, ერთი და იმავე წყაროს სხვადასხვა წლის ცალკეული მაჩვენებლები რამდენადმე გადაისინჯება (ხდება მათი კორექტირება), ამასთან, მეექვსე და მეშვიდე ცხრილებში მოცემული მაჩვენებლები ჩვენ მიერ აღებულია დიაგრამებიდან.

[207] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების მონაცემების საფუძველზე: საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2013 (სტატისტიკური კრებული). თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015, გვ. 81; საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. სტატისტიკის ეროვნული სამ-სახური. 30.04.2014. http://geostat.ge/index.php?action=wnews&lang=geo&npid=300

ცხრილი 2

რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ზოგიერთი რეგიონის (სუბიექტის) ნუსხა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მთლიანი რეგიონული პროდუქტის მიხედვით[208]

რანგი	**რეგიონი (სუბიექტი)**	**მდღ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი)** მოსახლეობის ერთ სულზე, აშშ ათასი დოლარი[209]
	რუსეთის ფედერაცია (2013 წელი):	
5	მოსკოვი	29.27
28	კრასნოდარის მხარე	9.13
43	ვორონეჟის ოლქი	7.99
57	ვლადიმირის ოლქი	6.57
71	სტავროპოლის მხარე	5.19
76	ივანოვოს ოლქი	4.57
	უკრაინა (2012 წელი):	
1	კიევი	12.19
2	დნეპროპეტროვსკის ოლქი	5.56
5	პოლტავას ოლქი	4.81
12	ჩერკასის ოლქი	4.10
21	ჟიტომირის ოლქი	2.45
27	ჩერნოვცის ოლქი	1.82

ცხრილი 1-დან ჩანს, რომ მდღ-ის თითქმის ნახევარი (48.4%) შექმნილია ქ. თბილისში (ამასთან, მისი მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს საქართველოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 1/4 ნაწილს – უფრო ზუსტად, 26%). ამასთან, ქ. თბილისის მდღ (მრპ)-ს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებელი 1,97-ჯერ აღემატება მეორე ადგილზე მყოფ ქვემო ქართლის მაჩვენებელს და 2,96-ჯერ ამ მაჩვენებლის მიხედვით უკანასკნელ ადგილზე მყოფ სამცხე-ჯავახეთს. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ასეთი სიტუაცია, როცა დედაქალაქის ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა მკვეთრად აღემატება სხვა რეგიონების მაჩვენებლებს, დამახასიათებელია ბევრი სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნისათვისაც, ამასთან, განსხვავება რეგიონებს შორის უფრო მკვეთრადაა გამოკვეთილი. მაგალითად, მოსკოვის მაჩვენებელი (2927 ათასი დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე), რომელსაც რეიტინგის მიხედვით მე-5-ე ადგილი უკავია (ამ მაჩვენებლის მიხედვით მოსკოვს უსწრებს ოთხი სუბიექტი, სადაც დიდი ოდენობით ხდება ბუნებრივი აირის და ნავთობის მოპოვება), 3,21-ჯერ უფრო მაღალია ვიდრე კრასნოდარის მხარის მაჩვენებელი (რეიტინგი 28) და 6.40-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე მყოფი ივანოვოს ოლქის (რეიტინგი 76) მაჩვენებელი. უკრაინაში ქ. კიევის მაჩვენებელი (12.19 ათასი აშშ დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე) 2.19-ჯერ აღემატება მეორე ადგილზე მყოფ დნეპროპეტროვსკის ოლქის მაჩვენებელს და 6.70-ჯერ ბოლო ადგილზე მყოფ ჩერნოვცის ოლქის მაჩვენებელს.

როგორც თბილისის, ასევე საქართველოს სხვა რეგიონების მრპ (მდღ)-ს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლები გაცილებით უფრო მცირეა რუსეთის და უკრაინის რეგიონების მაჩვენებლებზე, რაც მეტყველებს საქართველოს რეგიონების მნიშვნელოვან ჩამორჩენილობაზე. ასე მაგალითად, თბილისის მაჩვენებელი (რომელშიც არ შედის სოფლის მეურნეობის შემადგენელი, რომელიც პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და, განსაკუთრებით, საქართველოში, ქვემოთ გაშუქებული მიზეზების გამო, ძალიან ამცირებს საერთო რეგიონულ მაჩვენებლებს) 2.15-ჯერ უფრო მცირეა ვიდრე კიევის მაჩვენებელი და 5.17-ჯერ უფრო მცირე, ვიდრე მოსკოვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქ. თბილისის მრპ (მდღ) მაჩვენებელი მკვეთრად, თითქმის 2-3-ჯერ, აღემატება დანარჩენი რეგიონების ამ მაჩვენებლებს, ამასთან, თვით დანარჩენ რეგიონებს შორის განსხვავება ამ მაჩვენებლის მიხედვით უმნიშვნელოა (ამით სიტუაცია საქართველოში განსხვავდება სიტუაციისაგან რუსეთში, სადაც, დადაქალაქის გარდა, სხვა დანარჩენ რეგიონებს შორის ასევე არსებობს მკვეთრი განსხვავება ამ მაჩვენებლის სიდიდეში). მაგალითად, მეორე ადგილზე მყოფი ქვემო ქართლის მაჩვენებელი (4.8 ათასი ლარი/მოსახლეობის ერთ სულზე

[208] Валовой региональный продукт – Википедия https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%B0%D0%BB%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%B9_%D1%80%D0%B5%D0%B3%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%B4%D1%83%D0%BA%D1%82 ამ ფაილში იხ.: Список регионов России по ВРП на душу населения და Список регионов Украины по ВРП на душу населения.

[209] რუსეთის მონაცემები ჩვენს მიერ გადაყვანილია რუბლებიდან დოლარებში 2013 წლის ბოლო თვეში რუბლის დოლარის მიმართებაში არსებული კურსის შესაბამისად, უკრაინის მონაცემები – 2012 წლის ბოლო თვეში გრივნის დოლარის მიმართებაში არსებული კურსის შესაბამისად.

მხოლოდ 1.50-ჯერ აღემატება უკანასკნელ ადგილზე მყოფ სამცხე-ჯავახეთის მაჩვენებელს (3.25 ათასი ლარი/მოსახლეობის ერთ სულზე). ამასთან, ამ მაჩვენებლის მიხედვით მეორე და მესამე (აჭარა – 4.53 ათასი ლარი/მოსახლეობის ერთ სულზე) ადგილებზე მყოფი რეგიონების მაჩვენებლებს გააჩნია გარკვეული დაშორება შემდეგ ადგილებზე მყოფ მაჩვენებლებისაგან, სადაც მეოთხე ადგილზე მყოფი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მაჩვენებელი (3.56 ათასი ლარი/მოსახლეობის ერთ სულზე) მხოლოდ 1.10-ჯერ აღემატება უკანასკნელ ადგილზე მყოფ სამცხე-ჯავახეთის მაჩვენებელს.

ახლა შევეცდებით ავხსნათ, თუ რატომ უსწრებს თბილისის რეგიონის მრპ-ს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მაჩვენებლის სიდიდე 2-3-ჯერ საქართველოს დანარჩენი რეგიონების მაჩვენებლების სიდიდეებს. უპირველეს ყოვლისა, ეს იმით აიხსნება, რომ რეგიონებში უფრო მცირე წვლილი მრპ-ში უკავია საქმიანობის ზოგიერთ იმ სახეებს, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ქმნიან დამატებული ღირებულების დიდ მასას (ამასთან, ერთ დასაქმებულზე შექმნილი მდღ მათში სოფლის მეურნეობის მაჩვენებელთან შედარებით მაღალია), ისეთების, როგორიცაა მრეწველობა (განსაკუთრებით, გადამამუშავებელი), ვაჭრობა, საფინანსო შუამავლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. მაგალითად, საფინანსო შუამავლობაში ბანკებს შეიძლება ჰქონდეთ ფილიალები რეგიონებში, მაგრამ, ოპერაციების უმეტესება წარმოებს თბილისში (ან სხვა ქალაქში, რომელშიც განლაგებულია ცენტრალური ოფისი) და ამ საქმიანობით შექმნილი დამატებული ღირებულება ძირითადად აღირიცხება თბილისში (ასეთივე პრაქტიკა მიღებულია რუსეთშიც). დამატებული ღირებულება, შექმნილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის საბითუმო და საცალო ვაჭრობის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, აღირიცხება თბილისში და სხვა მსხვილ ქალაქებში. ასევე, თბილისში და ზოგიერთ სხვა ქალაქში განლაგებულია ისეთი მსხვილი სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც ქმნიან დამატებულ ღირებულებას საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების შედეგად. რაც შეეხება მრეწველობას, მნიშვნელოვანი წვლილი ამ დარგს აქვს კიდევ სამ რეგიონში. გარდა ამისა თბილისში არ არსებობს სოფლის მეურნეობა. ამასთან, სოფლის მოსახლეობის წილი შეადგენს საქართველოს მთელი მოსახლეობის 46,3%, ამასთან, თბილისის გარდა, სხვა დანარჩენ რეგიონებში გაცილებით უფრო მეტს, მაგალითად, კახეთში – 77.2%, გურიაში – 73,5%, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სსვანეთის რეგიონში – 80.2%, იმერეთში – 52,2%. სოფლად კი დამატებული ღირებულების უმეტესი წილი იქმნება სოფლის მეურნეობაში საქმიანობით. საქმიანობის სხვა სახეებით მიღებული წილი კი სოფლად ძალიან მცირეა (პროდუქციის გადამუშავების შინამეურნეობების მიერ, ტექნიკის რემონტისა და განათლების გამონაკლისით). ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე წარმოებული (შექმნილი) მდღ-ს მაჩვენებელი საქართველოში ძალიან დაბალია საქმიანობის სხვა სახეების მაჩვენებლებთან შედარებით. ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს თბილისის მრპ-ს მოსახლეობის ერთ სულზე შექმნილი მაჩვენებლის სიდიდის აღნიშნულ განსხვავებას სხვა რეგიონების მაჩვენებლების სიდიდეებისაგან.

ახლა გადავიდეთ ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჭრილში რეგიონების მრპ ფორმირების ანალიზზე (ცხრილები 3, 4), ამასთან, საქმიანობის ყოველი სახის მიხედვით ერთ დასაქმებულზე შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებლის განხილვით (ცხრილი 5).

ამ უკანასკნელი მაჩვენებლის მხედველობაში მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისა და მისი რეგიონების ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და დივერსიფიკაციის დროს ისეთი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, რომლის შედაგად მიღწეული იქნება მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნის მშპ-ს და რეგიონების მრპ-ს მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდა და, მაშასადამე, ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხობრივად ახალ დონეზე გადასვლა (ამასთან საქმიანობის სახეების ჭრილში ასეთი მაჩვენებლების ცოდნა მოგვცემს დასაქმებულების სავარაუდო გადანაწილების, უმუშევრობის შემცირების, ახალი სპეციალობების ათვისების (შესაბამისი სწავლების შედეგად) მიმართულებების პროგნოზირების შესაძლებლობას ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესში).

მაშასადამე, გადავიდეთ ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჭრილში რეგიონების მრპ ფორმირების განხილვაზე.

ცხრილი 3

საქართველოს რეგიონებში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების პროცენტული სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით[210] 2013 წ.

	თბილისი	აჭარის არ	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	ქვეყნის მშპ-ის პროცენტული სტრუქტურა
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და ტევზჭერა	0.0	7.4	28.3	14.4	29.1	20.5	29.9	17.4	18.5	**9.4**
მრეწველობა	10.3	8,5	5.4	10.8	12.2	10.0	3.6	40.5	23.4	**14.5**
პროდუქციის გადამუშავება შინა-მეურნეობების მიერ	1.0	3.5	6.9	5.1	6.3	4.9	5.8	3.7	4.6	**2.8**
მშენებლობა	10.0	12.5	1.7	1.6	2.5	4.1	7.3	1.9	4.5	**6.7**
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	24.5	13.6	3.2	5.3	5.0	5.7	5.3	5.6	5.7	**17.3**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	18.5	6.8	0.9	0.9	0.8	14.4	0.9	0.9	3.1	**10.5**
სახელმწიფო მმართველობა	11.9	10.0	8.4	13.6	10.9	12.1	15.5	9.9	17.9	**10.1**
განათლება	2.7	6.7	11.4	10.0	7.9	6.6	12.6	6,0	4.1	**5.2**
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	5.4	6.7	7.4	8.4	6.6	4.1	5.5	2.9	5.4	**5.7**
მომსახურების სხვა სახეები	15.7	24.4	26.4	29.9	18.5	17.4	13.4	10.5	12.8	**17.8**
მდღ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი)%	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**	**100.0**
მდღ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი) საბაზისო ფასებში, მლნ ლარი	**11300.9**	**1798.1**	**476.9**	**2670,4**	**1331.5**	**1574.0**	**693.8**	**2063.1**	**1426.4**	**ქვეყნის მშპ 23335.0**

სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა. ცხრილი 3-დან ჩანს, რომ რეგიონების მიხედვით საქმიანობის ამ სახეში პროცენტულად რეგიონულ მრპ-თან ყველაზე მეტი დამატებული ღირებულება შექმნილია სამცხე-ჯავახეთში (29.9%), კახეთში (29.6%) და გურიაში (28.3%). მაგრამ რეგიონების მიხედვით მრპ-ს თანხის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, უფრო მკვეთრ წარმოდგენას ყოველი კონკრეტული რეგიონის მიერ შეტანილ წვლილზე ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში გვაძლევს კონკრეტულ რეგიონებში საქმიანობის ამ სახეში შექმნილი დღ-ის თანხის პროცენტული მაჩვენებელი ამ დარგში ქვეყნის მასშტაბებით შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებაში. ცხრილი 4-დან ჩანს, რომ ყველაზე მეტი დამატებული ღირებულება საქმიანობის ამ სფეროში შექმნილი იყო კახეთსა (17.7%) და იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (17.5%), სამეგრელო-ზემო სვანეთში შექმნილი იყო 14.7%, შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთში 12.0%.

[210] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების საფუძველზე: საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2013 (სტატისტიკური კრებული). თბილისი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015. გვ. 81-90, უკანასკნელი სვეტი – გვ. 25,26.

ცხრილი 4

ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჭრილში საქართველოში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების პროცენტული სტრუქტურა რეგიონების მიხედვით[211] 2013 წ.

	ქ. თბილისი	აჭარის არ	გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	საქართველო სულ	მშპ მლნ ლარი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	0.0	6.1	6.1	17.5	17.7	14.7	9.5	16.4	12.0	**100.0**	**2195.0**
მრეწველობა	41.3	4.5	0.8	8.6	4.8	4.6	0.8	24.7	9.9	**100.0**	**3378.3**
პროდუქციის გადამუშავება შინამეურ-ნეობების მიერ	12.7	9.5	5.0	20.8	12.7	11.6	6.1	11.6	9.9	**100.0**	**658.4**
მშენებლობა	66.4	14.3	0.5	2.7	2.2	4.1	3.3	2.5	4.1	**100.0**	**1568.2**
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	80.4	6.1	0.4	3.5	1.7	2.2	0.9	2.9	2.0	**100.0**	**4026.8**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	81.4	5.0	0.2	0.9	0.4	9.3	0.2	0.8	1.8	**100.0**	**2451.2**
სახელმწიფო მმართველობა	37.1	7.6	1.7	15.4	6.1	8.1	4.6	8.6	10.8	**100.0**	**2365.4**
განათლება	22.3	10.0	4.5	22.2	8.7	8.7	7.3	11.4	4.9	**100.0**	**1202.5**
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	46.9	9.0	2.6	16.8	6.6	4.9	2.9	4.5	5.8	**100.0**	**1338.5**
მომსახურების სხვა სახეები	42.7	10.6	3.0	19.3	6.0	6.6	2.2	5.2	4.4	**100.0**	**4150.3**
ქვეყნის მშპ	**48.4**	**7.7**	**2.0**	**11.4**	**5.7**	**6.7**	**3.0**	**8.8**	**6.1**	**100.0**	**23335.0**

საქართველოში, როგორც ქვეყნის საქმიანობის სხვა სახეებთან, ასევე განვითარებულ ქვეყნების სოფლის მეურნეობასთან შედარებით, ძალიან დაბალია სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე წარმოებული მდღ-ს მაჩვენებელი – 1.0 ათასი ლარი ერთ დასაქმებულზე[212] (ანუ დაახლოებით 0.6 ათასი აშშ დოლარი ერთ დასაქმებულზე). საქართველოში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება შესაბამისად რუსეთის (3 ათასი აშშ დოლარი ერთ დასაქმებულზე 2010 წელს[213]), ბელარუსის (5.9 ათასი), ბრაზილიის მაჩვენებლებს (4 ათასი) და ძალიან ჩამორჩება ამ დარგის მიხედვით მოწინავე ქვეყნების მაჩვენებლებს: საფრანგეთში – 58 ათასი აშშ დოლარი ერთ დასაქმებულზე, აშშ – 51 ათასი, ნიდერლანდებში – 49 ათასი, კანადაში – 45 ათასი, იტალიაში – 31 ათასი, დიდ ბრიტანეთში – 20 ათასი, არგენტინაში – 13 ათასი (ცხრილი 6). ზოგიერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში მხოლოდ სულ ოდნავ ჩამორჩება ანოლოგიურ მაჩვენებელს დამამუშავებელ მრეწველობაში, რომელიც, მაგალითად, საფრანგეთში 2010 წელს ერთ დასაქმებულზე 70 ათასი აშშ დოლარი იყო.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე წარმოებული მდღ-ს მაჩვენებლის ასეთი დაბალი დონე გარკვეულწილად განპირობებულია სოფლის მეურნეობაში არასასაქონლო ხასიათის წარმოების ძალიან დიდი ოდენობის შინამეურნეობების არსებობით (რომლებშიც დასაქმებულები სტატისტიკურ ანგარიშგებაში გადიან კატეგორიით "თვითდასაქმებულები"), სადაც შრომის მწარმოებლურობა უკიდურესად დაბალია, მაგრამ, მთლიანობაში, ეს განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური აღჭურვილობის ჩამორჩენილობით, მსუბუქი მრეწველობისათვის წარმოებული ნედლეულის (მაგალითად, მატყლის) დაბალი ხარისხით და

[211] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების მონაცემების საფუძველზე: საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2013 (სტატისტიკური კრებული). თბილისი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015. გვ. 81-90, უკანასკნელი სვეტი – გვ. 25,26.

[212] მუდმივ 2003 წლის ფასებში.

[213] ყველა მაჩვენებელი მოცემულია მუდმივ 2000 წლის ფასებში.

არასტანდარტულობით, ბოლო წლებში პირუტყვის სულადობის შემცირებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოუყენებლობით და ა. შ.

მრეწველობა[214]**.** მრეწველობაში დამატებული ღირებულების უდიდესი ნაწილი (66.0%) იქმნება ორ რეგიონში. თბილისის რეგიონში მრეწველობაში შექმნილი მდღ-ს წილი შეადგენს მრპ-ის 10.3% (ცხრილი 3), მაგრამ ეს საქართველოს მრეწველობაში შექმნილი მდღ-ს 41.3%-ია (ცხრილი 4). ძალიან მაღალია მრეწველობაში შექმნილი მდღ-ს წილი ქვემო ქართლის მრპ-ში – 40.5%, რაც საქართველოს მრეწველობაში შექმნილი მდღ-ს 24,7% უტოლდება. ეს გასაგებია, რადგანაც თბილისი ამჟამად წარმოადგენს საქართველოს მთავარ სამრეწველო კვანძს, ქვემო ქართლში კი განლაგებულია სამრეწველო ქალაქი რუსთავი და, ასევე, მძლავრი თბოელექტროსადგურები გარდაბნის რაიონში, რომლებსაც საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვთ მრეწველობაში შექმნილ მდღ-ში. საქართველოს კიდევ ოთხი რეგიონის მრეწველობაში შექმნილია მრპ-ის 10%-ზე მეტი წილი: შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში – 23,4% (საქართველოს მრეწველობაში შექმნილი მდღ-ს 9.9%) (კერძოდ, აქ განლაგებულია სამშენებლო მასალების წარმოების რამდენიმე მსხვილი ქარხანა), იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 10.8% (საქართველოს მრეწველობაში შექმნილი მდღ-ს 8.6%), კახეთში – 12% (4,8%), სამეგრელო-ზემო სვანეთში – 10.0% (4.8%). ამ უკანასკნელ რეგიონში რამდენადმე შემცირდა ქ. ფოთის, როგორც სამრეწველო კვანძის, მნიშვნელობა 1990 წელთან შედარებით. ამიტომ, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოში ამჟამად არსებობს ორი შედარებით მსხვილი სამრეწველო ცენტრი – ქალაქებში თბილისსა და რუსთავში. შემცირდა ქალაქების – ქუთაისის და ფოთის, როგორც სამრეწველო ცენტრების როლი.

საქართველოში ერთ დასაქმებულზე წარმოებული მდღ-ს მაჩვენებლის სიდიდე მრეწველობაში სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ დაბალია – 13.6 ათასი ლარი/ერთ დასაქმებულზე (დაახლოებით 8 ათასი აშშ დოლარი/ერთ დასაქმებულზე მთლიანად მრეწველობაში 2013 წელს). აშშ-ში დამამუშავებელ მრეწველობაში ეს მაჩვენებელი 2012 წელს უდრიდა 130 ათას დოლარს/ერთ დასაქმებულზე, იაპონიაში – 89 ათას დოლარს, გერმანიაში 84 ათას დოლარს (სხვა მონაცემებით – 90 ათას დოლარს), ჩინეთში – 22 ათას დოლარს (2009 წ.), რუსეთში – 20 ათას დოლარს (2012 წელს – 25 ათას დოლარს) (ცხრილი 7).

საქართველოს შედარებით დაბალი მაჩვენებელი მდღ/ერთ დასაქმებულზე აიხსნება მრეწველობაში არსებული ტექნოლოგიების უმეტესობის შედარებით დაბალი დონით, ახალი მაღალტექნოლოგიური საწარმოების ძალიან იშვიათი გაჩენით, ზოგიერთი კონკურენტუნარიანი პროდუქციის საექსპორტო გასაღების სიძნელეებით, სხვა ქვეყნების გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან ინტეგრაციული საწარმოო ურთიერთობების უქონლობით (უფრო სწორედ, თითქმის სრული უქონლობით), არასაკმარისი აქტივობით რეგიონული სამრეწველო კვანძების ჩამოყალიბებაში. ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოებს, მსოფლიოში მიმდინარე სამრეწველო-ტექნოლოგიური და სავაჭრო საერთაშორისო ინტეგრაციის პირობებში, არ შეუძლიათ შრომის მწარმოებლურობის მხრივ კონკურენციის გაწევა მსხვილი ქვეყნების ტრანსეროვნული კორპორაციებისათვის. ამიტომ, პერსპექტივაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში საჭიროა ორიენტაციის აღება ისეთი საშუალო ერთ დასაქმებულზე წარმოებული მდღ-ს მაჩვენებლის მიღწევაზე, რომელიც თანამედროვე რუსეთის მაჩვენებლებზე ოდნავ უფრო მაღალი იქნება. მაგრამ ისეთი საწარმოების ჩამოყალიბება, რომლებიც ჩართულნი იქნებიან საერთაშორისო ინტეგრაციულ ჯაჭვებში დამატებული ღირებულების გარკვეული ნაწილის შესაქმნელად განსაზღვრული საბოლოო პროდუქტის გამოშვების მიზნით, შესაძლებელს გახდის ასეთ საწარმოებში ერთ დასაქმებულზე წარმოებული ძალიან მაღალი დღ-ს მიღებას.

პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ. საქმიანობის ამ სახეზე მთლიანად საქართველოში არც ისე დიდი წილი მოდის – ქვეყნის მშპ-ს მხოლოდ 2.8%. უმეტესწილად შინამეურნეობებში ხდება სოფლის-მეურნეობრივი საკვები პროდუქციის გადამუშავება (ყველის, მაწვნის, ჩურჩხელის, ღვინის და ა. შ. სახით). თბილისში საქმიანობის ამ სახის წილზე მრპ-ს მხოლოდ 1.0% მოდის, რაც შეადგენს მთლიანად საქართველოში საქმიანობის ამ სახეში შექმნილი მდღ-ს 12.7%. რა თქმა უნდა, საქმიანობის ამ სახის მიხედვით პროდუქციის უმეტეს ნაწილს აწარმოებენ სოფლად ან მცირე მუნიციპალურ ქალაქებში. ამიტომ დანარჩენი რეგიონების მრპ-ში შინამეურნეობებში პროდუქციის გადამუშავებით შექმნილი დამატებული ღირებულების წვლილი ბევრად მეტია: გურიაში – 6.9% (რაც შეადგენს ქვეყანაში საქმიანობის ამ სახეში შექმნილი დამატებული ღირებულების 5.0%), იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 6.9% (საქმიანობის ამ სახეში შექმნილი მდღ-ს 20.8%), კახეთში – 6.3% (შინამეურნეობებში შექმნილი მდღ-ს 12.7%) და ა. შ. სტატისტიკურ ანგარიშგებაში საქმიანობის ამ სფეროში მდღ/ერთ დასაქმებულზე მოცემულია სოფლის მეურნეობასთან ერთად, სტრიქონში "სოფლის მეურნეობა და

[214] სამწუხაროდ, სტატისტიკურ კრებულებში მონაცემები რეგიონებისათვის არ არის მოცემული ცალ-ცალკე მთლიანად მრეწველობის შემადგენელი სექტორების ჭრილში: სამთომოპოვებითი მრეწველობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერგიისა, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება. ცნობისათვის აღვნიშნავთ რომ მათი წილი ქვეყნის მშპ-ში არის, შესაბამისად, 0.9, 10.6 და 3.0%, შიგა მრეწველობაში კი, მათი წილი შესაბამისად შეადგენს 6.2, 73.1 და 20.7%.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ; თევზჭერა" (იხ. ცხრილი 5). ამიტომ, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, გავაანალიზოთ შრომის მწარმოებლურობა საქმიანობის ამ სფეროში, თუმცა სოფლად ამ საქმიანობაში ჩართული მუშაკები იმავდროულად დაკავებულები არიან სხვა საქმიანობით, ძირითადად სოფლის მეურნეობაში (თბილისში, რა თქმა უნდა, სიტუაცია სხვანაირია). ამიტომ, ცალსახად შრომის მწარმოებლურობის განსაზღვრა საქმიანობის სფეროში "პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ" ფაქტობრივად შეუძლებელია.

მშენებლობა. მშენებლობაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების უმეტესი ნაწილი – 66.4% თავმოყრილია თბილისის რეგიონში (ცხრილი 4), რაც შეადგენს თბილისის რეგიონში შექმნილი მრპ-ს 10.0% (ცხრილი 3). 14.3% შექმნილია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაც შეადგენს აჭარაში შექმნილი მრპ-ს 13.6%. ე.ი. ყველა დანარჩენ რეგიონზე ჯამში მოდის მთელი ქვეყნის მშენებლობაში შექმნილი დამატებული ღირებულების 19.3%. სამეგრელო-ზემო სვანეთში და, ასევე, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში შექმნილია მშენებლობის დამატებული ღირებულების, შესაბამისად 4.1 და 4.1%, დანარჩენებში კიდევ უფრო ნაკლები.

ამ დარგის მდღ/ერთ დასაქმებულზე (9.7 ათასი ლარი), უფრო დიდია, ვიდრე ქვეყნის მშპ/ერთ დასაქმებულზე საბაზისო ფასებში (4.0 ათასი ლარი), მაგრამ ჩამორჩება მრეწველობას (13.6 ათასი ლარი) და რამდენიმე სხვა საქმიანობის სახის მაჩვენებელს (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

ერთ დასაქმებულზე წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულება მუდმივ 2003 წლის ფასებში

(ათასი ლარი/წელიწადში)[215]

	2009	2013
სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ, თევზჭერა	1.0	1.0
მრეწველობა	11.1	13.6
მშენებლობა	8.0	9.7
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	5.1	6.3
სასტუმროები და რესტორნები	13.4	13.7
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	8.7	11.5
საფინანსო შუამავლობა	30.9	37.7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	7.2	10.9
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	1.7	1.6
განათლება	1.1	1.2
ჯანდაცვა	2.3	2.6
ფინანსური შუამავლების მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	14.2	16.6
მომსახურების სხვა სახეები	3.0	3.2
მთლიანი დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე საბაზისო ფასებში	**3.3**	**4.0**
გადასახადები პროდუქციაზე მინუს სუბსიდიები პროდუქციაზე	0.2	0.2
მთლიანი დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე საბაზრო ფასებში	**3.5**	**4.2**

ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი. საქმიანობის ამ სახეში დამატებული ღირებულების უმეტესი ნაწილი – 80.4% თავმოყრილია თბილისის რეგიონში (ცხრილი 4), რაც შეადგენს თბილისის რეგიონში შექმნილი მრპ-ს 24.5% (ცხრილი 3). საქმიანობის ამ სახეში დამატებული ღირებულების კიდევ 6.1% შექმნილია აჭარაში, რაც შეადგენს აჭარაში შექმნილი მრპ-ს 13.6%. დანარჩენ რეგიონებში საქმიანობის ამ სფეროში შექმნილი დღ-ს წილი შესაბამის მრპ-ში უფრო მცირეა. ყველა დანარჩენი რეგიონის ჯამური წილი საქმიანობის ამ სახის მდღ-ში შეადგენს მხოლოდ 14.5%. ამასთან, საქმიანობის ამ სფეროში ქვეყანაში შექმნილია 4026.8 მლნ ლარის ოდენობის დამატებული ღირებულება (იხ. ცხრილი 4), რაც შეადგენს ქვეყნის მშპ-ს 17.3%. ამ საქმიანობის სახეში იქმნება ყველაზე მეტი დამატებული ღირებულება საქმიანობის სახეებს შორის, მეორე ადგილზე მყოფ საქმიანობის სახეში – მრეწველობაში იქმნება 14.5% (ცხრილ 4-ში მომსახურების სხვა სახეებში შექმნილი დამატებული ღირებულება (მშპ-ს 17.8%) უფრო დიდია, მაგრამ ამ სტრიქონში შეკრებილია (შეჯამებულია) რამდენიმე საქმიანობის სახის მონაცემები). ზემოთ უკვე ახსნილია, თუ რატომაა თავმოყრილი საქმიანობის ამ სახეში შექმნილი დამატებული ღირებულება ძირითადად ქ. თბილისში.

"ვაჭრობაში; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში" ერთ დასაქმებულზე წარმოებული მდღ-ს მაჩვენებელი შეადგენს 6.3 ათას ლარს. ეს

[215] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2013 (სტატისტიკური კრებული). თბილისი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015. გვ. 128.

უფრო მეტია ვიდრე ერთ დასაქმებულზე წარმოებული ქვეყნის მშპ-ს მაჩვენებლი (4.0 ათასი ლარი), რომელსაც ძალიან აქვეითებს სოფლის მეურნეობის შემადგენელი, მაგრამ უფრო დაბალია სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობის სახეების მაჩვენებლებზე.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. საქმიანობის ამ სახეში მდღ-ს უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ქ. თბილისში – 81.4%, რაც შეადგენს თბილისის რეგიონის მრპ-ს 18.5%. სამეგრელო-ზემო სვანეთში შექმნილია "ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის" მთლიანი დამატებული ღირებულების 9.3%, რაც შეადგენს ამ რეგიონის მრპ-ს 14.4%. აჭარაში – 6.8, რაც შეადგენს ამ რეგიონში შექმნილი მრპ-ს 5.0%. შიდა ქართლში და მცხეთა მთიანეთში – 1.8%, რაც შეადგენს ამ რეგიონის მრპ-ს 3.1%. დანარჩენ რეგიონებში საქმიანობის ამ სახეში შექმნილი დამატებული ღირებულება შესაბამისი რეგიონების მრპ-ს 1%-ზე ნაკლებ წილს შეადგენს. სამწუხაროდ, შესაბამის სტატისტიკურ კრებულში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მონაცემები ცალ-ცალკე არ არის მოცემული. ქვეყნის ფარგლებში კი ტრანსპორტში შექმნილია 1789.2 მლნ ლარი დამატებული ღირებულება (ქვეყნის მშპ-ს 7.7%), კავშირგაბმულობაში – 662.0 მლნ ლარი (ქვეყნის მშპ-ს 2.8%), ე. ი. ტრანსპორტის წილი ამ ორ დარგს შორის 73.0%-ია, კავშირგაბმულობის წილი კი – 27.0%. ქ. თბილისის დიდი წილი აიხსნება იმით, რომ რკინიგზის გადაზიდვებით მიღებული დღ-ს ძირითადი ნაწილი ირიცხება თბილისის რეგიონში, ასევე თბილისის აეროპორტის გადაზიდვებით მიღებული დღ, თბილისზე ასევე მოდის სამოქალაქო გადაზიდვების დიდი წილი. საზოგადოებრივი მაუწყებლობისა და კავშირგაბმულობის სხვა ქსელების წილი ასევე ძალიან მაღალია თბილისში. აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის შედარებით დიდი წილი აიხსნება, კერძოდ იმით, რომ იქ განლაგებულია საზღვაო პორტები, სადაც წარმოებს საქონლის გადატვირთვა გემებიდან ტრანსპორტის სხვა სახეებზე და პირიქით, ასევე, ამ პორტებზე მიწერილია საქართველოს გემები, რომლებიც საქონლის გადაზიდვებს და მგზავრების გადაყვანას ახორციელებენ.

ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ერთ დასაქმებულზე წარმოებული მდღ საკმაოდ მაღალია – 11.5 ათასი ლარი. მისი მატება შესაძლებელია სატრანსპორტო გადაზიდვების მოცულობის ზრდის შემთხვევაში.

მომსახურების სხვა სახეები. სამწუხაროდ, რეგიონულ სტატისტიკაში განცალკევებულად არ არის მოცემული მდღ მოცულობა შექმნილი მომსახურების რიგი საქმიანობის სახეების მიხედვით. ამ მომსახურების სახეებში ჯამში 2013 წელს შექმნილია 4150 მლნ ლარი დღ, რაც ქვეყნის მშპ-ს 17.8% შეადგენს. მოვიყვანთ მომსახურების ამ სახეების ჩამონათვალს, მათ მიერ შექმნილი მდღ-ს ქვეყნის მშპ-ში პროცენტული წილის აღნიშვნით და ფრჩხილებში ერთ დასაქმებულზე წარმოებული მდღ-ს მაჩვენებლის მითითებით: სასტუმროები და რესტორნები – 2.3% (13.7 ათასი ლარი); საფინანსო საქმიანობა – 3.0% (37.7 ათასი ლარი); ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხარებლებისათვის მომსახურების გაწევა – 5.8% (10.9 ათასი ლარი[216]); საკუთარი საცხოვრებლის გამოყენების პირობითი რენტა – 3.4% (მონაცემი არ არსებობს[217]); კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა – 4.6% (მონაცემი არ არის); შინამომსახურების საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის (მონაცემი არ არის); ფინანსური შუამავლების მომსახურების არაპირდაპირი შეფასება – მინუს 1.9% (16.6 ათასი ლარი/ერთ დასაქმებულზე).

"მომსახურების სხვა სახეებზე" ყველა რეგიონის მრპ-ში საკმაოდ მაღალი წილი მოდის: თბილისში – 15.7% (ამ საქმიანობის სახეში ქვეყანაში შექმნილი მდღ-ს 42.7%), აჭარაში – 24.4% (ამ საქმიანობის სახეში შექმნილი მდღ-ს 10.6%), იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 29.9% (ამ საქმიანობის სახეში შექმნილი მდღ-ს 19.3%), რეგიონულ მრპ-ში აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე ნაკლებია ქვემო ქართლში – 10.5% (ამ საქმიანობაში შექმნილი მდღ-ს 5.2%).

სხვადასხვა რეგიონში "მომსახურბის სხვა სახეების" გამსხვილებულ სექტორში შემავალი საქმიანობის სახეებს შესაბამისი რეგიონების მრპ-ს ფორმირებაში სხვადასხვა როლი აკისრიათ. თბილისში, მაგალითად, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მეტია "საფინანსო შუამავლობის" როლი, ასევე, თბილისსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში უფრო მნიშვნელოვანია ისეთი მომსახურების სახეების როლი, როგორიცაა "კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა", "სასტუმროები და რესტორნები", "ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლებისათვის მომსახურების გაწევა". საქმიანობის ორ უკანასკნელ სახეობაში დღ-ს საკმაოდ დიდი ნაწილი ფორმირდება ტურიზმის ხარჯზე და ამიტომ იმ რეგიონებში, სადაც ტურიზმი უფრო მეტად არის განვითარებული, "მომსახურების სხვა სახეებში" დამატებული ღირებულების წილი შესაბამის მრპ-ში სავარაუდოდ უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე სხვა რეგიონებში *(ტურიზმისაგან მიღებული დამატებული ღირებულების ცალკე გამოყოფა რთულია, რადგანაც ის ნაწილდება მომსახურების სხვადასხვა სახეებს შორის, თან, "მომსახურების სხვა სახეების" გამსხვილებულ სექტორში შემავალი საქმიანობის სახეების გარდა, საქმიანობის სხვა სახეებშიც, მაგალითად, "ტრანსპორტში და კავშირგაბმულობაში"),* რადგანაც იმ რეგიონებში, სადაც ტურიზმი უფრო განვითარებულია

[216] ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა.
[217] მონაცემის გაანგარიშება შეუძლებელია.

(მაგალითად, თბილისის გარდა, აჭარასა და გურიაში), ამ სტრიქონის დღ-ს წილი შესაბამის მრპ-ში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რეგიონებში.

ცხრილი 6

ერთ დასაქმებულზე სოფლის მეურნეობაში წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულება აშშ დოლარებში მუდმივ 2000 წლის ფასებში (ათასი დოლარი/ერთ დასაქმებულზე)[218]

	1990	1995	2000	2005	2010
საფრანგეთი	22	27	38	44	58 (2009)
აშშ	19	20	36	47	51
ფინეთი	17	21	26	31	49
ნიდერლანდი	24	29	34	39	49
კანადა	29	34	40	46	45 (2009)
იტალია	10	16	21	26	31
დიდი ბრიტანეთი	20	22	24	28	24
რესპუბლიკა კორეა	5.8	6.7	10	13	20
არგენტინა	7	8.5	9.8	10.8	13
ბელარუსი	2	2	2.2	4	5.9
ბრაზილია	1,9	2.1	2.2	2.5	4
რუსეთი[219]	2 (1993)	2	2	2.2	3
საქართველო					0.6

ცხრილი 7

ერთ დასაქმებულზე გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულება აშშ დოლარებში (ათასი დოლარი/ერთ დასაქმებულზე)[220]

	1990	1995	2000	2005	2010	2012
აშშ			74 (90)	100 (120)	130 (134)	135
იაპონია	53	85	80	81 (84)	89	107
გერმანია	38 (1992)	59	46	73	84 (90)	88
საფრანგეთი	46	59	50	74	70	70
ჩინეთი				15	22 (2009)	
რუსეთი			4 (2001)	10	20	25
საქართველო (მთელ მრეწველობაში)						8

მაშასადამე, რეგიონების ეკონომიკის სტატისტიკური ანალიზიდან გავარკვიეთ შემდეგი:

1. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მრპ-ს მაჩვენებელი თბილისის რეგიონში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია (2-3-ჯერ), ვიდრე საქართველოს დანარჩენ რეგიონებში.

2. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მრპ-ს მაჩვენებელი საქართველოს ყველა რეგიონში მნიშვნელოვნად უფრო მცირეა, ვიდრე რუსეთის და უკრაინის რეგიონებში.

3. რეგიონების ჭრილში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით შექმნილი დამატებული ღირებულების განაწილების (ცხრილები 3 და 4) ანალიზიდან ირკვევა: ა) რომ საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან სახეში, როგორიცაა მრეწველობა, შექმნილი დამატებული ღირებულების უმეტესი ნაწილი (41.3% + 24.7%) შექმნილია ორ რეგიონში, თბილისსა და ქვემო ქართლში, რაც მეტყველებს საქართველოს დანარჩენ რეგიონებში მრეწველობის უფრო სუსტ განვითარებაზე ამ ორ რეგიონთან შედარებით. კერძოდ, დაქვეითდა ზოგიერთ რეგიონში განლაგებული სამრეწველო კვანძების მნიშვნელობა (ქუთაისში, ფოთში, ბათუმში); ბ) საქმიანობის ისეთ საკვანძო სახეებში, როგორიცაა "ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა", "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" და "მშენებლობა" დამატებული ღირებულების უმეტესი ნაწილი (შესაბამისად, 81.4%, 80.4% და 66.4%) შექმნილია ქ. თბილისში; გ) ცხრილებში 3 და 4 მოცემულ სტრიქონში – "მომსახურების სხვა სახეები" – შემავალი სახეებიდან "საფინანსო საქ-მიანობაში" შექმნილი დამატებული ღირებულების უდიდესი ნაწილი თავმოყრილია ქ. თბილისში (ასეთი სიტუაცია დამახასიათებულია რუსეთისა და უკრაინისათვისაც, რადგანაც დედაქალაქებში განლაგებულია ყველაზე მნიშვნელოვანი კომერციული ბანკების ცენტრალური ოფისები,

[218] Refru.ru/cost48.pdf. Валовая добавленная стоимость в сельском хозяйстве на одного работника (Из книги «Российские реформы в цифрах и фактах» http://refru.ru). wyaroSi miTiTebulia pirveladi wyaroebi: World Bank, World Data Bank.

[219] რუსეთისათვის აღნიშნულ წყაროში ასევე მოცემულია განახლებული მონაცემებიც (2005 წლის მუდმივ ფასებში), შესაბამისად, 4, 3.5, 4, 5, 5 და 2013 წლისათვის 6 ათასი დოლარი/ერთ დასაქმებულზე.

[220] ცხრილი (გარდა საქართველოს მონაცემების) შედგენილია შემდეგი წყაროების საფუძველზე: Re-fru.ru/management.pdf. Калабеков И. Г. Российские реформы в цифрах и фактах. Показатели эффективности экономики и управления, с. 9; kaig.ru/rf/vdsobr.pdf ; kaig.ru.html

რეგიონებში განლაგებული მათი ფილიალები კი დამატებულ ღირებულებას ქმნიან შედარებით მცირე ოდენობით). ცხრილებში 3 და 4 მოცემულ სტრიქონში "მომსახურების სხვა სახეები" შემავალ დანარჩენ სახეებს "კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა", "სასტუმროები და რესტორნები" და "ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებ-ლებისათვის მომსახურების გაწევა" მრპ-ში (ცხრილი 3) თბილისის რეგიონთან შედარებით გარკვეულწილად თანაზომიერი წილი უკავიათ.

4. ერთ დასაქმებულზე წარმოებული საქმიანობის სახეების მიხედვით მდღ-ს მაჩვენებლის ანალიზიდან ირკვევა, რომ: ა) საქართველოში საქმიანობის სხვადასხვა სახეში ერთ დასაქმებულზე წარმოებული მდღ-ს მაჩვენებლების სიდიდეები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება, უკიდურესად მცირეა ის სოფლის მეურნეობაში – 1.0 ათასი ლარი/ერთ დასაქმებულზე, ყველაზე დიდია "საფინანსო შუამავლობაში" – 37.7 ათასი ლარი/ერთ დასაქმებულზე, "მრეწველობაში" – 13.6 ათასი ლარი, "სასტუმროები და რესტორნებში" – 13.3 ათასი ლარი და "ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა, კომერციულ საქმიანობაში" – 10.9 ათასი ლარი/ერთ დასაქმებულზე. ამიტომ, რეგიონებს, რომელთაც მრპ-ში შექმნილი დამატებული ღირებულების მიხედვით დიდი ხვედრითი წილი გააჩნიათ საქმიანობის სახეებს ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებული მდღ-ს მაღალი მაჩვენებლით, აქვთ უფრო მაღალი მრპ/მოსახლეობის ერთ სულზე მაჩვენებლები, რადგანაც ყოველ რეგიონში მოსახლეობის რიცხოვნობა ამა თუ იმ ზომით პირდაპირ პროპორციულია რეგიონში დასაქმებულთა რიცხოვნობასთან. ესე იგი იმ რეგიონებში, სადაც უფრო მეტია დასაქმებულების რაოდენობა საქმიანობის სახეებში მაღალი მდღ/ერთ დასაქმებულზე მაჩვენებლით, უფრო მაღალია მრპ/მოსახლეობის ერთ სულზე მაჩვენებელიც. ბ) მდღ/ერთ დასაქმებულზე საქართველოს სოფლის მეურნეობაში უკიდურესად უფრო მცირეა განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მაგალითად, 60-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საფრანგეთში, 22-ჯერ, ვიდრე არგენტინაში და 10-ჯერ, ვიდრე ბელარუსში. ასევე, საქართველოში უფრო მცირეა სხვა ქვეყნებთან შედარებით მდღ/ერთ დასაქმებულზე დამამუშავებელ მრეწველობაში, მაგალითად, ის 9-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე საფრანგეთში და 3-ჯერ უფრო მცირე, ვიდრე რუსეთში.

3. რეგიონებში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების ძირითადი გზები

ახლა გავჩერდეთ სიტუაციის გაუმჯობესების გზებზე ეკონომიკის ამა თუ იმ პარამეტრების განვითარების საფუძველზე.

1. **გაუმჯობესება ახალი საწარმოების და ორგანიზაციების შექმნის ხარჯზე.** მრეწველობაში საჭიროა სამრეწველო კვანძების განვითარების ინიცირება (ზოგიერთ რეგიონულ ქალაქში) მათში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამრეწველო საწარმოების განთავსებით. საქართველოში, როგორც სატრანზიტო ქვეყანაში, შეიძლება ასევე ეგრეთ წოდებული "ინდუსტრიული ტრანზიტის"[221] ხერხის გამოყენება (მაგალითად, ფოთსა და ბათუმში), როდესაც ხორციელდება სატრანზიტო ტვირთების ნაწილის ამა თუ იმ ზომით სამრეწველო გადამუშავება ძირითადად იმ ქალაქებში, სადაც ხდება მათი გადატვირთვა (მაგალითად, გემიდან სატვირთო ავტომობილებზე ან პირიქით). განსაკუთრებით საჭიროა მაღალტექნოლოგიური საწარმოების დაარსება, რომელთა რაოდენობა ამჟამად საქართველოში ძალიან მცირეა, ან რეალური უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე, ან ადგილობრივი მეწარმეების მიერ საჭირო ტექნოლოგიების შესყიდვის გზით შექმნილი საწარმოების საერთაშორისო ტექნოლოგიურ ჯაჭვებში ჩართვით. სოფლის მეურნეობაში საჭიროა უმოქმედო სასოფლო-სამეურნეო ფართობების ათვისება, ასევე, საკვები კულტურებით (ხორბალი, სიმინდი, სამყურა, იონჯა) დაკავებული ფართობების ზრდა ხორცის და რძის პროდუქტების, მატყლის, ტყავის და ა. შ. წარმოების ზრდის მიზნით (რადგანაც ამ პროდუქტების ადგილობრივი წარმოების უკმარისობას ძალზე ნეგატიური წვლილი შეაქვს ექსპორტ-იმპორტის სალდოში). რეგიონებში ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მიწის ექსპლუატაციის გაუმჯობესებას, მათ შორის, ზოგიერთ, არაეფექტიანად გამოყენებულ მიწაზე კულტივირებადი მცენარეების (საზამთრო, უხარისხო ჯიშების ვაშლი და ა. შ.) შეცვლას სხვა მცენარეებით. საქართველოს მცირემიწიანობის გამო საჭიროა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სხვა კატეგორიებში გადაყვანის სრული აკრძალვა. ასევე სრულად უნდა აიკრძალოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან რეალიზაციის მიზნით ნიადაგის (ჰუმუსის) მოხსნა (ასეთი ოპერაციები 2000-იან წლებში გავრცელებული იყო საქართველოში, ამასთან, ხშირად ჰუმუსის საექსპორტო რეალიზაციის მიზნით). უახლოეს პირიოდში, საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის სულ უფრო მზარდი დეფიციტის გამო, გარდაუვალია რამდენიმე მცირე, საშუალო და დიდი ჰეს-ის აშენება[222]. ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ მიწებიდან, რომლებიც წყალსაცავებით დატბორვას ექვემდებარება, ნიადაგი (ჰუმუსი) გადატანილ იქნეს სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. ასევე,

[221] Юданов Ю. Европейские корпорации в условиях глобализации. – МЭиМО, 2001, № 11, с. 73.

[222] კახა კალაძე – ელექტროენერგიის ძალიან დიდი დეფიციტი გვაქვს, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. 12-09-2015. http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/345107-kakha-kaladze-eleqtroenergiis-dzalian-didi-deficiti-gvaqvs-romelic-yoveltsliurad-izrdeba.html

რეგიონებში უნდა გაგრძელდეს მომსახურების სფეროში საქმიანობის ზოგიერთი სახის წინმსწრები განვითარება (შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნის საფუძველზე). ასეთი ტენდენცია არსებობდა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც დროის ხანგრძლივ მონაკვეთებში ხდებოდა სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილის გადადინება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგიდან (მათში შრომისმწარმოებლურობის სწრაფი ზრდის შედეგად სამუშაო ძალის ნაწილის გამოთავისუფლების გამო).

2. გაუმჯობესება პროდუქტულობის ზრდის ხარჯზე (ე. ი., ფაქტობრივად, მდღ/ერთ დასაქმებულზე ზრდის ხარჯზე). მრეწველობაში პროდუქტულობის ზრდა ძირითადად უნდა ხდებოდეს ახალი ტექნოლოგიების ათვისების ხარჯზე (ამ ტექნოლოგიებზე მუშაობისათვის კადრების თავისდროული მომზადებით). მაღალტექნოლოგიურ დარგებში კი, ასევე, ქვეყანაში აშენებული საწარმოების ჩართვით საერთაშორისო ტექნოლოგიურ ჯაჭვებში, რომლებშიც ეს საწარმოები შექმნიან დამატებული ღირებულების გარკვეულ ნაწილს განსაზღვრული საბოლოო პროდუქტის გამოსაშვებად *(მაგალითად, საქართველოში ახლა უნდა დაიწყოს ისეთი საწარმოს მშენებლობა, რომელმაც თვითმფრინავებისათვის უნდა აწარმოოს კომპოზიტური მასალებისაგან შექმნილი დეტალები და კვანძები. ასეთი საწარმო ფაქტობრივად იქნება საბოლოო პროდუქტის (თვითმფრინავების) შექმნის ტექნოლოგიური ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, რომელიც შესაბამის დეტალებს და კვანძებს მიაწოდებს სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულ ქარხნებს, რომლებიც გამოუშვებენ საბოლოო პროდუქტს – სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავს),* მაგრამ საჭირო ა ისეთი კორპორაციების შექმნაც, რომლებშიც ქვეყნის ფარგლებში იქნება განლაგებული საბოლოო პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიური ჯაჭვის რგოლების უმეტესი ნაწილი (ეს შესაძლებელია მცირე ქვეყანაშიც, მაგალითად, "ნოკია" – ფინეთში, მეტალურგიული ქარხნები – ლუქსემბურგში). სოფლის მეურნეობაში პროდუქტულობის ზრდა შესაძლებელია მოსავლიანობის ზრდის ხარჯზე. მაგალითად, ამჟამად, ქვეყანაში მარცვლეულის მოსავლიანობა ორჯერ და უფრო მეტად ნაკლებია, ვიდრე ქვეყნებში განვითარებული სოფლის მეურნეობით. უფრო კარგი შედეგების მისაღებად საჭიროა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენება, ასევე, იქ, სადაც აუცილებელია, მიწების რეკულტივაციის ღონისძიებების განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწების ექსპლუატაციას მთიან რაიონებში. ტრანსპორტში პროდუქტულობის ზრდა შესაძლებელია ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის მოცულობის ზრდის ხარჯზე.

3. გაუმჯობესება პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტაციის ხარჯზე. მრეწველობაში სხვადასხვა მიდგომაა საჭირო ტრადიციულ და მაღალტექნოლოგიურ დარგებთან მიმართებაში. ტრადიციული დარგებიდან ყველაზე მეტად ხელმიშვებულია მსუბუქ მრეწველობაში შემავალი დარგები. მოსახლეობა, თითქმის მთლიანად, იმპორტის ხარჯზე მარაგდება, რომლის მოცულობა მსუბუქ მრეწველობაში 6.9-ჯერ აღემატება ადგილობრივ წარმოებას და 11.7-ჯერ ექსპორტს. ამიტომ რეგიონების უმეტესობაში საჭიროა მსუბუქი მრეწველობის საწარმოების შექმნა, არსებულებში კი პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ტყავის პირველადი დამუშავების ისეთი საწარმოების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიანი ტყავის გამოშვებას ფეხსაცმლის მრეწველობისათვის (მათი დამუშავების ამჟამინდელი ხარისხი არ აკმაყოფილებს არავითარ თანამედროვე სტანდარტს და, ამიტომ, საქართველოში წარმოებული ფეხსაცმელიც გარკვეულწილად ამის გამო უხარისხოა). ასეთნაირად დამუშავებულ ტყავზე მოთხოვნა ნაკლებია, რის გამოც სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის სფეროში იკარგება საკმაო ოდენობის დამატებული ღირებულების შექმნის შესაძლებლობა. ასევე საჭიროა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ცხვრის ჯიშის შეცვლა, რადგანაც, ამჟამად არსებული ცხვრის მატყლი არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და, ამიტომ, მოთხოვნა ამ მატყლზე სუსტია. პარალელურად, რეგიონულ ქალაქებში საჭიროა საშუალო ზომის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფეხსაცმლის, საფეიქრო (საქსოვი), მათ შორის აბრეშუმის საქსოვი, და სამკერვალო ფაბრიკების დაფუძნება.

შედარებით კარგია მდგომარეობა სამშენებლო მასალების მრეწველობაში. მაგრამ იმისათვის, რომ ამ დარგში ექსპორტის მოცულობამ გადააჭარბოს იმპორტის მოცულობას, საჭიროა სამშენებლო მასალების წარმოების ზრდა მისი პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტაციით. შიდა ქართლში, სადაც ამჟამადაც განლაგებულია სამშენებლო მასალების რამდენიმე შედარებით დიდი საწარმო, შეიძლება სამშენებლო მასალების წარმოების სამრეწველო კვანძის ჩამოყალიბება კიდევ რამდენიმე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ახალი საწარმოების ჩამოყალიბების საფუძველზე. ამ რეგიონში სამშენებლო მასალების მრეწველობის საწარმოების საკმაო დიდი ოდენობით კონცენტრაცია მოგვცემს ამავე რეგიონში შესაბამისი პროფილის ინოვაციური ცენტრის შექმნის, საბოლოო პროდუქციის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მიღწევისა და, ასევე, პროდუქციის ექსპორტული გასაღების ხელშემწყობი ცენტრის ორგანიზაციის შესაძლებლობას.

მრეწველობაში თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საწარმოების ჩამოსაყალიბებლად (მდღ/ერთ დასაქმებულზე მაღალი მაჩვენებლით), როგორც ითქვა, საჭიროა ტრანსეროვნული

კორპორაციების საწარმოების მოზიდვა, ადგილობრივი მეწარმეებმა კი უნდა შეისყიდონ შესაბამისი თანამედროვე მაღალი საწარმოო ტექნოლოგიები და უზრუნველყონ საერთაშორისო ტექნოლოგიურ ჯაჭვებსა და ექსპორტული გასაღების სისტემებში ჩართვა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს (გარკვეული ნაწილი კი ეკოლოგიურად უფრო სუფთაა სხვა ქვეყნების ანოლოგიურ პროდუქციასთან შედარებით). მაგრამ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობა უკანასკნელ პერიოდში ნაწილობრივ ხელმიშვებული იყო. მაგალითად, შემცირდა კარგი ჯიშების ვაშლის წარმოება. ამიტომ საჭიროა ხილის ღირებული ჯიშების წარმოების სრული მოცულობით აღდგენა, ის ფართობები კი, სადაც ამჟამად იწარმოება ისეთი ხილი, რომლის რეალიზაცია საშინაო ბაზრებზეც კი რთულია, გამოყენებული უნდა იქნეს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის. სოფლის მეურნეობის კიდევ ერთი პრობლემაა არაკონდიციური ცხვრის მატყლის წარმოება. ძნელად ხორციელდება ცხვრის ხორცის რეალიზაციაც, მატყლის ამჟამინდელ ჯიშზე კი მოთხოვნა არაა გადამამუშავებელი საწარმოების მხრიდან (რადგანაც მისგან შეუძლებელია თანამედროვე პირობებში კონკურენტუნარიანი ქსოვილების წარმოება).

4. გაუმჯობესება წარმოების თანამედროვე ორგანიზაციის ხარჯზე. მრეწველობაში საჭიროა ასოციაციების შექმნა მწარმოებლების საბოლოო პროდუქტების მიხედვით, რომლებიც ბიზნესის დონეზე შეიმუშავებენ დარგობრივ სამრეწველო პოლიტიკას. ასეთი ასოციაციების ფარგლებში შეიძლება, მაგალითად, ექსპორტული გასაღების ხელშემწყობი ორგანიზაციების შექმნა (შესაბამისი ფირმის რამდენიმე მეწარმის მიერ ერთობლივი დაფუძნების სახით). საჭიროა, ერთი მხრივ, მსხვილ და საშუალო ფირმებს, და მეორე მხრივ, მცირე ფირმებს (რომლებიც აწარმოებენ ცალკეულ დეტალებს ლიდერ-საწარმოებისათვის) შორის საწარმოო თანამშრომლობის პრაქტიკის შემოღება (ასეთი პრაქტიკა გავრცელებულია აშშ-ში, იაპონიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში). ასევე საჭიროა ტექნოლოგიების ტრანსფერის თანამედროვე ქსელის შექმნა, ლიდერ კომპანიით ცენტრში და მისი წარმომადგენლებით რეგიონებში. ტექნოლოგიების ტრანსფერის ორგანიზაციებში საჭიროა ინჟინირინგული განყოფილებების არსებობა, რომლებიც მეწარმეებს ხელს შეუწყობენ შესყიდვისათვის ტექნოლოგიების არჩევასა და შეძენაში, დაეხმარებიან ტექნოლოგიების დანერგვის პროცესებში. სოფლის მეურნეობაში, სადაც არის ამის აუცილებლობა, საჭიროა მეურნეობების გამსხვილება, კერძოდ, კოოპერატივების ორგანიზაციის ხარჯზეც. საჭიროა სოფლის მეურნეობის მწარმოებლების (ხორცის, რძის, მატყლის, აბრეშუმის პარკის და ა. შ.) მონაწილეობის უზრუნველყოფა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მწარმოებლების შესაბამის ასოციაციებში.

4. რეგიონული განვითარების კოორდინაციის თანამედროვე მდგომარეობა

დიდი ხნის განმავლობაში, უკანასკნელი წლების გამონაკლისით, საქართველოში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა რეგიონების ჭრილში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირებას. აქამდე არაა შემუშავებული კონკრეტული რეგიონების განვითარების სტრატეგიები (რომელთა შემუშავება განსაკუთრებით საჭიროა საბჭოური სისტემის რღვევის პროცესში ბევრი მოძველებული ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტის პირობებში), რეგიონულ (სამხარეო) დონეზე ჯერ კიდევ არ არსებობს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, რაც განვითარებული ქვეყნებისათვის იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ისეთ მცირე ქვეყანაშიც, როგორიცაა, მაგალითად, დანია, არსებობს ეფექტიანი სამდონიანი საბიუჯეტო საგადასახადო სისტემა [223], მით უმეტეს ასეთი სისტემები არსებობს საშუალო ზომისა და მსხვილ ქვეყნებში. ადგილობრივი საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემები კი აგებულია ისეთი მექანიზმის საფუძველზე, სადაც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უმეტესი წილი მოდის ცენტრალურ ტრანსფერებზე, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების წილი კი უმნიშვნელოა, რაც აქვეითებს ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას, ამცირებს მათ განკარგვით უფლებებს და ინიციატივას ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯვის მიმართ.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს ტერიტორიული მართვის ერთსაფეხურიანი სისტემა, რომლის თანახმად შექმნილია ადგილობრივი თვითმმართველობის 69 ერთეული: 64 მუნიციპალიტეტი და 5 თვითმმართველი ქალაქი. ამ ერთეულების ფარგლებში ხდება ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირება. 2009 წლის ბოლოს მიღებული საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების საკუთარ შემოსულობებად ითვლება ადგილობრივი გადასახადები (ქონების გადასახადი) და მოსაკრებლები, გამათანაბრებელი ტრანსფერი და სხვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემოსულობები. არასაკუთარ (მოზიდულ) სახრებს მიეკუთვნება მიზნობრივი და სპეციალური ტრნასფერები და სხვა საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული შემოსულობები. ადგილობრივ ბიუჯეტებში არაა გათვალისწინებული ანარიცხების წარმოება შესაბამის ტერიტორიაზე მობილიზებულ ძირითად საერთოსახელმწიფოებრივი გადასახადებიდან, რომლებითაც ხდება ქვეყანაში საგადასახადო შემოსულობების ძირითადი მასის ფორმირება (საშემოსავლო და მოგების გადასახადები, დამატებული

[223] Кузьмин С., Кузьмин Д. К становлению местного самоуправления: экономика и социальное развитие населения. – Экономист, 2003, №3, с. 56.

ღირებულების გადასახადი, აქციზები, გადასახადი იმპორტზე). აქედან ჩანს ადგილობრივი ტერი-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში საკუთარი შემოსულობების წილის უმნიშვნელო როლი. ამ ბიუჯეტების ფორმირებაში სულ უფრო მეტ როლს თამაშობს საბიუჯეტო-სატრანსფერო პოლიტიკა.

რეგიონული განვითარების სფეროში პოზიტიური როლი ითამაშა უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ზოგიერთმა რეფორმამ. ასე მაგალითად, 2007 წელს კანონში "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" შეტანილი იყო დამატება ახალი ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც განკუთვნილი იყო პროექტებისათვის, რომლებიც ხორციელდებოდა საქართველოს რეგიონებში (მხარეებში). ეს დამატება შემდეგ შეტანილი იყო 2009 წლის ახალ საბიუჯეტო კოდექსში. ამ ფონდიდან სახსრები გამოიყოფა სწორედ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ერთეულების პირველი საფეხურის – რეგიონების (მხარეების) ჭრილში. რეგიონების ეკონომიკის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობდა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების სახსრები.

2002 წელს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მინისტრის მიერ გამოცემული იყო ბრძანება "საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდური რეკომენდაციების შესახებ", რომლის საფუძველზე 2003-2005 წლებში ხდებოდა რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავება, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონი "ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის საფუძვლების შესახებ" რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემუშავება შეწყდა[224]. მიუხედავად ამისა, რეგიონულ განვითარებაზე მიმართული იყო რიგი საერთოსახელმწიფოებრივი პროგრამა და პროექტი, ისეთები, როგორიცაა "მილენიუმი" (უზრუნველყოფილი იყო აშშ-ს მთავრობის გრანტით), პროექტი "რეგიონული განვითარების ფონდი", პროგრამა "იაფი კრედიტი", "დასაქმების პროგრამები" და სხვა[225]. ასეთი პროგრამების რეალიზაციამ თავისი წვლილი შეიტანა რეგიონების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, მაგრამ უფრო მიზანშეწონილია მიზნობრივი და სხვა სახის პროგრამების შემუშავება კონკრეტული რეგიონების მიხედვით.

რეგიონული ფისკალური და საფინანსო სისტემების ნაკლოვანებებს შეიძლება მიეკუთნოს მუდმივი რეგიონული საინვესტიციო, სოციალური და სხვა სახის ფონდების არარსებობა (ან მათი პერიოდული ფუნქციონირება მცირე დოზებით), რომლებშიც სახსრების მოზიდვა უნდა ხდებოდეს ნაწილობრივ საბიუჯეტო სახსრებიდან, ნაწილობრივ სხვადასხვა სახის გრანტებიდან (მათ შორის კერძო). რეგიონებში, ისევე, როგორც ქვეყანაში საერთოდ, არაა აქტივიზირებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი რეალურ სექტორში ინვესტიციების უფრო მასშტაბური განხორციელების მიზნით.

საქართველოში ძალიან ნელი ტემპებით ვითარდება რეგიონული ცენტრების და სხვა რეგიონული ქალაქების ეკონომიკა. ამასთან, მცირე ქალაქების ეკონომიკის განვითარება განვითარებულ ქვეყნებში გადაიქცა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად[226], თუმცა შესაბამისი ღონისძიებების გატარება იქ დაიწყო გაცილებით უფრო ადრე[227]. ასე, მაგალითად, უკვე 80-ანი წლების პერიოდში დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დაიწყო მეურნეობის დივერსიფიკაცია ეგრეთ წოდებულ "მონოქალაქებში" (პირველი ბიძგი ამ პროცესს მისცა ინგლისში სამუშაოს გარეშე დარჩენილი მეშახტეების პროტესტებმა). ამჟამად რუსეთშიც ფიქრობენ ამაზე: "სახელმწიფომ უნდა მისცეს ადამიანებს ფულის გამომუშავების შესაძლებლობა. მაგალითად, "მონოქალაქების" გეგმური ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტით"[228]. საქართველოს რეგიონულ ცენტრებში ჯერჯერობით არ ხდება ისეთი დამხმარე სტრუქტურების ფორმირება, როგორიცაა ინჟინირინგული, მარკეტინგული და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან ფირმებს ტექნოლოგიების ათვისებისა და ფუნქციონირების და, ასევე, პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობაში. არ იქმნება მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ისეთი საფინანსო ცენტრები, როგორიცაა რეგიონული დეპოზიტარიები, სოფლის მეურნეობების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრები და ა. შ. არაა გააზრებული მოქმედებები ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ზოგიერთი სხვა საჭირო ელემენტის ჩამოყალიბების თაობაზე.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა რეგიონული სამრეწველო კვანძების განვითარებას. საბჭოურ პერიოდთან შედარებით დაქვეითდა ისეთი რეგონული სამრეწველო ცენტრების როლიც

---

[224] მესხია ი., გველესიანი ე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი: 2010, გვ. 185, 186.

[225] იქვე, გვ. 186-193.

[226] ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე. თბილისი: "მერიდიანი", 2006. გვ. 160-178; Лопатников Д. Л. Экономическая география и регионалистика. – М.: Гардарики, 2006; Региональная политика стран ЕС, М.: ИМЭМО, 2009.

[227] Didier P. Le Nord – Pas-de-Calais fase aux nouvelles dynamiques economiques: practiques et ejeux de l'amenagement regional. – Hommes et terres Nord, 1989, #4; Martin P. Nonn H. Stratégies des acteurs publics en Alsace en matière de dévelopment économique et d'amenagement:1982-1989. – Hommes et terres nord, 1989,№4.

[228] Мы после кризиса. Интервью В. Никитиной с директором ИМЭМО А. А. Дынкиным. – АиФ, 2010, №35, с. 7.

კი, როგორიცაა ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი და ფოთი. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყოველ რეგიონში მსხვილი სამრეწველო კვანძის შექმნა, მაგრამ სადაც ამისათვის არის ხელსაყრელი პირობები, როგორც, მაგალითად, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში ან სამეგრელო-ზემო სვანეთში (ქალაქები ზუგდიდი და ფოთი) – ეს უნდა გაკეთდეს. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ქალაქებში დაიწყო ცალკეული თანამედროვე სამრეწველო საწარმოების გახსნა (მაგალითად, მეტალოპლასტიკების წარმოების ქარხანა თბილისში, საყოფაცხოვრების ტექნიკის ამწყობი ქარხანა ქუთაისში), მაგრამ ეს აშკარად არაა საკმარისი. საჭიროა მიზანმიმართული სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია საქართველოს რეგიონების სამრეწველო კვანძებში ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების მიერ თანამედროვე საწარმოების დაფუძნების ხელშეწყობის მიზნით.

იმ ნაკლოვანებებს, რომელთა გამო რეგიონებში ვერხდება სოფლის მეურნეობის ჯეროვანი განვითარება, შეიძლება მიეკუთნოს შემდეგი:

ა) საქართველოს ყველა რეგიონში სოფლის მეურნეობაში დაქვეითდა სავარგულების გამოყენება (ბევრი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არ გამოიყენება), იაფი იმპორტის ზეწოლისა და სხვა გარემოებების გამო მოხდა როგორც მცენარეული, ისევე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დაცემა და სხვა იმ პროდუქტების, რომელთა წარმოებისას გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ნედლეული. ამასთან საცალო ბაზრებზე იმპორტული პროდუქცია იყიდება მომატებულ ფასებში, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ არსებობს სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების დაბრკოლების ხელოვნური მექანიზმი, რომელიც ემსახურება შესაბამისი მეწარმეების – იმპორტიორების ინტერესებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სამამულო სასოფლო-სამეურნეო სასურსათო პროდუქციის უმეტესი სახეები ეკოლოგიურად უფრო სუფთა და ხარისხიანია;

ბ) სათანადო ყურადღება არ მახვილდება მსხვილი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო წარმოებების და სოფლად ეგრეთ წოდებული "შინაური მეურნეობების" ინსტიტუციურ ორგანიზაციაზე. კერძოდ, დაბალია კოოპერატივების წილი, რომელთა ფარგლებში შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უფრო ეფექტიანი წარმოება, შინაური მეურნეობები და მცირე ფერმერული მეურნეობები არ არის უზრუნველყოფილი დამხმარე ორგანიზაციების და წარმოებების მომსახურებით, ამასთან, მცირე მეურნეობებისათვის, მაგალითად, ძნელია ძვირადღირებული ტექნიკის შესყიდვა, რომელიც, სპეციალიზებული სამსახურების არსებობის შემთხვევაში, მოემსახურებოდა ბევრ მეურნეობას (ფერმებს და შინაური მეურნეობებს);

გ) შემცირდა მოთხოვნა სასელექციო და სანაშენო სადგურების (ფერმების) მომსახურებაზე, რის გამოც მცირდება ან საერთოდ წყდება ზოგიერთი ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვება, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი კონკურენტუნარიანობა. ასე მაგალითად, მკვეთრად შემცირდა მაღალი ხარისხის ისეთი ვაშლის წარმოება, როგორიცაა "ივერია" ან "ანტონოვკა". მეცხოველოების დაცემის ერთ-ერთი მიზეზია (განსაკუთრებით მეცხვარეობაში) ის, რომ არ არსებობს სანაშენო ფერმები კონკურენტუნარიანი ჯიშების გასავრცელებლად;

დ) სათანადო ყურადღება არ ეთმობა საწარმოო ურთიერთკავშირების გაღრმავებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებებსა და მათი პროდუქციის გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოებს (კვების და მსუბუქ მრეწველობებში) შორის, ასევე, მათ შორის ინსტიტუციური ურთიერთკავშირების მოწესრიგებას;

ე) ჯერჯერობით საკმარისად ეფექტიანები არ არის ბაზრებზე (განსაკუთრებით საგარეო) საქონელწაწევის მარკეტინგული და სხვა სამსახურები; არ არსებობს საკონსულტაციო სამსახურები (როგორც ეს მიღებულია განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში, სადაც ასეთი ორგანიზაციები განთავსებულია ძირითადად რეგიონულ ცენტრებში), რომლებმაც ფერმერებს უნდა გაუწიონ კონსულტაციები ან მიაწოდონ ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ეფექტიანი განხორციელების თაობაზე, ამა თუ იმ კულტურის დათესვის ვადებზე, საამინდო პირობებზე, სასუქებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო პროდუქციის შესყიდვის პირობებზე და სხვა;

ვ) ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ინოვაციებს სოფლის მეურნეობაში. საჭიროა, მაგალითად, აშშ-ის და ევროპული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება მიწის რეკულტივაციის, მისი ნაყოფიერების ამაღლებისა და მოსავლიანობის ზრდის მიმართულებით (მაგალითად, მარცვლეულის მოსავლიანობა საქართველოში 2,5-ჯერ უფრო დაბალია ვიდრე აშშ-სა და ევროპის მოწინავე ქვეყნებში);

ზ) მცირემიწიანობის პირობებში ყურადღება არ ექცეოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შენარჩუნებას. მაგალითად, საქალაქო მშენებლობისათვის ხშირად გამოიყოფოდა ქალაქების გარეუბნებთან მომიჯნავე მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, იმის მაგივრად, რომ ახალი მაღალსართულიანი სახლების მშენებლობა უზრუნველყოფილი იყოს ამორტიზირებული შენობების ადგილზე.

5. რეგიონული განვითარების სტრატეგიის სრულყოფა

რეგიონული განვითარების სტრატეგიაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გათვალისწინებულ იქნეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგიონული და ადგილობრივი რეგულირების მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობა. მსოფლიოში ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და საგარეო და საშინაო ბაზრებზე კონკურენციის გამწვავების შედეგად ჩნდება სიძნელეები ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი წარმოებების განვითარებაში, ასევე, რეგიონებში არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამის შედეგად კი იზრდება უმუშევრობის დონე და მწვავდება სიღარიბის პრობლემები. ამ პირობებში გაიზარდა რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე საწარმოების ფუნქციონირების აქტივიზაციის მნიშვნელობა, რის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი საუზრუნველყოფო ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი მასტიმულირებელი ინსტრუმენტების გააზრებული გამოყენება.

ახალ პირობებში **გაიზარდა ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ინტერესების კომპრომისის საკითხის ეფექტიანი განსაზღვრის მნიშვნელობა**. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა რეგიონების მნიშვნელობა სხვადასხვა სახის ინოვაციური პროცესების განხორციელებაში, იზრდება რეგიონული ქალაქების და ადგილობრივი მეწარმეების როლი ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებიც მოითხოვს რეგიონული და ადგილობრივი კოორდინაციის მექანიზმის როლის გაძლიერებას (მაგრამ ცენტრიც უნდა ახდენდეს ზეგავლენას სოფელში საწარმოო პროცესების აქტივიზაციაზე). ამიტომ, ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად საჭიროა ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობების გაზრდა ეკონომიკური განვითარების კოორდინაციაში. მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, მცირე ქვეყნებშიც) ვითარდება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, რაც მოითხოვს სოციალური უზრუნველყოფის რიგი ფუნქციის გადაცემას მმართველობის რეგიონული და ადგილობრივი დონეებისათვის. ამიტომ, კომპეტენციისა და უფლებამოსილებების რაციონალური გამიჯვნა მართვის დონეებს შორის (რომლებშიც უნდა მოქმედებდეს საჭირო ინსტიტუტები და მოწესრიგებული იქნეს კოორდინაციის ინსტრუმენტების სისტემა) დღეისათვის ქვეყნის სწრაფი განვითარების და რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირების მნიშვნელოვან წანამძღვარს წარმოადგეს *(უფრო ვრცლად ეს საკითხი განხილულია ამ ნარკვევის უკანასკნელ პარაგრაფში).*

სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე უნდა განხორციელდეს ინსტიტუციური წყობის სრულყოფა. საქართველოში ამჟამად მცირეა რეგიონული დონის მართვის ორგანოების შესაძ-ლებლობანი (ქ. თბილისის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა). ამასთან, მრავალ განვი-თარებულ ქვეყანაში რეგიონული სახელისუფლებო ორგანოები პასუხისმგებლები არიან რეგიო-ნული სოციალური და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიით დასახული მიზნების კოორდინაციაზე, მეწარმეობის ხელშეწყობაზე, რეგიონებში მიზიდულობის ცენტრების განვითა-რებაზე. ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა რეგიონული ორგანოების უფლებამოსილებების გაზრდა (სახელისუფლებო ორგანოებში შტატების გაბერვის გარეშე), მათთვის შესაბამისი ბერკეტების მინიჭებით და მათი პასუხისმგებლობის გაზრდით. ასევე უნდა გაიზარდოს ადგი-ლობრივი ორგანოების უფლებამოსილებები, განსაკუთრებით დასაქმების ხელშეწყობაში, სიღარიბის დონის შემცირებისათვის შესაბამისი ადგილობრივი დონის სოციალური პაკეტის შექმნაში (სოციალური პაკეტის მექანიზმები უნდა არსებობდეს ყოველ სახელისუფლებო დონეზე და კოორდინირებულად მოქმედებდეს დასახული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით).

რეგიონული განვითარების სტრატეგიაში ასახული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის დამყარების ხელშეწყობის ამოცანები. რეგიონულ დონეზე ეს ნიშნავს რეგიონის პირობების და თავისებურებების გათვალისწინებით, განვითარებისათვის პრიორიტეტული დარგების არჩევას (ქალაქებში და სოფლად), რეგიონული მიზიდულობის ცენტრების და ინოვაციური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას და სხვა, რაც უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას ექსპორტორიენტირებული, იმპორტჩანაცვლებითი და სხვა აქტუალური საწარმოების განვითარებისა და მათი ფუნქციო-ნირებისათვის საჭირო დამხმარე ობიექტების და საწარმოების შექმნის ხელშეწყობის საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში დამატებითი აქტუალიზაცია მიიღო **რეგიონული წარმოების (სოფლად და ქალაქებში) დივერსიფიკაციის პროცესმა**. ჯერ კიდევ 60-80-იან წლებში განვი-თარებულ ქვეყნებში ამ დონეზე წარმოების დივერსიფიკაციით ხდებოდა მონოსპეციალიზებული ან სპეციალიზაციის ვიწრო სპექტრის მქონე რეგიონების (ქალაქების) ეკონომიკურ დეპრესიაში ვარდნის ალბათობის შემცირება (რომელიც რიგ შემთხვევაში ძალიან ამწვავებდა სიღარიბის პრობლემას განვითარებული ქვეყნების ზოგიერთ რეგიონში). თანამედროვე პირობებში განვი-თარებული ქვეყნების ზოგიერთ რეგიონში დეპრესიული მდგომარეობის გაჩენა ასევე გაიზარდა ზოგიერთი პროდუქტის (განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურის) და თვით ამ პროდუქციის მწარმოებელი ტექნოლოგიების მცირე სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებით. ამიტომ, ამჟამად, რეგიონულ დონეზე წარმოების დივერსიფიკაციის საჭიროების აუცილებლობა საყოველთაოდ აღიარებულია. სოფლად, წარმოების რეგიონული დივერსიფიკაციის მნიშვნელობა გაიზარდა ბუნებრივი პირობების მდგრადობის გარკვეული გაუარესებისა და ასევე სხვა მოვლენების გამო

(მაგალითად, რომელიმე კულტურის მავნებლების გავრცელება). საქართველოში სოფლად წარმოების დივერსიფიკაციის აუცილებლობას ასევე განაპირობებს ქვეყნის რელიეფის თავისებურებანი, ასევე გლობალიზაციის პირობებში ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე მოთხოვნის მოულოდნელი ზრდა ან შემცირება. მაშასადამე, რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციის განხორციელება წარმოადგენს რომელიმე საქონელზე ან მომსახურებაზე საბაზრო კონიუნქტურის გაუარესების გამო, სიღარიბის უეცარი გამწვავებისაგან დაზღვევის მნიშვნელოვან თანამედროვე ხერხს. ამასთან ერთად რეგიონული დივერსიფიკაცია უსათუოდ წარმოადგენს სიღარიბის დონის თანდათანობითი შემცირების ეფექტიან ხერხს.

წარმოების დივერსიფიკაციის წახალისება ქალაქებში უფრო მიზანშეწონილია იმ საქონლის მიხედვით, რომელზეც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა იზრდება. ამასთან, არ უნდა იქნეს დავიწყებული ტრადიციული დარგები (ისეთები, როგორიცაა ავეჯის, ქსოვილების, ტანსაცმლის და ა. შ. წარმოება). სოფლად წარმოების დივერსიფიკაციისას იმ დარგებს უნდა მიექცეს ყურადღება, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ზრდას, და, ასევე, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი.

უკანასკნელ პერიოდში ბევრ განვითარებულ ქვეყანაში გახშირდა რეგიონულ დონეზე **სპეციალური პროგრამების მიღება**, რომლებშიც განსაზღვრულია ღონისძიებები ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიური წყობის განვითარების ხელშეწყობის, "წერტილოვანი" დარგობრივი დივერსიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური და საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების დინამიკის ჰარმონიზაციისათვის და ა. შ., რაც ხელს უწყობს ტერიტორიული განვითარების მოქნილობის ზრდას, ჩამორჩენილი რეგიონების დაჩქარებულ განვითარებას და ა.შ.[229]. რა თქმა უნდა, ყველა ისეთი ღონისძიება, რომელსაც აქვს გრძელვადიანი ხასიათი, ხორციელდება შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე და უზრუნველყოფს რეგიონებში მოსახლეობის კეთილდღეების ამაღლებას ან დაცვას გრძელვადიან ასპექტში, ჩამორჩენილ რეგიონებში კი – სიღარიბის დონის მნიშვნელოვან შემცირებას.

რეგიონებში საჭიროა მცირე და საშუალო ზომის **მიზიდულების ცენტრების განვითარების სტრატეგიის შემუშავება,** უპირველეს ყოვლისა, რეგიონული (სამხარეო) ცენტრების ბაზაზე, ასევე ხელსაყრელი პირობების მქონე რაიონული ცენტრების ბაზაზე. ასეთ ცენტრებში საჭიროა სხვადასხვა სახის რეალური სექტორის და დამხმარე საწარმოების მოზიდვა, რაც უზრუნველყოფს ეკონომიას ინფრასტრუქტურული დანახარჯების შემცირების ხარჯზე, დაასაქმებს ყველა შესაბამის ქალაქში მცხოვრებ უმუშევარს და სოფლებიდან ქალაქებში მიგრირებულ უმუშევრებს. რამდენიმე მიზიდულობის ცენტრის ხელსაყრელ ადგილებში (სადაც შესაძლებელი იქნება ბევრი სამუშაო ადგილის შექმნა და სოფლიდან და სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგიერთ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფი ქალაქებიდან მიგრირებულების დასაქმება) განვითარება საჭიროა, კიდევ, საქართველოში სიღარიბის დაძლევისათვის, რომლის არსებობა ძალიან აკავებს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის შესაძლებლობებს. გაეროს პროგნოზების მიხედვით კი, იმ შემთხვევაში, "თუ ცხოვრების დონე საქართველოში უახლოეს წლებში მკვეთრად არ გაიზრდება, 40 წლის შემდეგ მოსახლეობის რიცხოვნობა ერთი მილიონით შემცირდება"[230]. ამიტომ, საჭიროა სხვადასხვა პირობების მიხედვით ხელსაყრელ ადგილებში მდებარე ქალაქების მიზიდულობის ცენტრებად აღიარება და მათი სწრაფი განვითარებისათვის ბიზნესის წამოწყებისა და მოსახლების ზრდისათვის მიმზიდველი ეკონომიკური და სოციალური გარემოს შექმნა. **ამასთან, მიზიდულობის ცენტრების სივრცობრივი ზრდა უნდა ხდებოდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვის პირობებში.**

ცხადია, რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარება **უზრუნველყოფს რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციის გაღრმავებასა და სიღარიბის გამამწვავებელი რეგიონული ასპექტების შემცირებას**. როგორც ითქვა, განვითარებულ ქვეყნებში ასეთი ტენდენცია არსებობს ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ამ პრობლემას უფრო მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, ვიდრე წინათ[231]. კონტრასტი სადედაქალაქო რეგიონსა და პროვინციას შორის ხდება მეურნეობის ტერიტორიული დონის მოწიფულობის შეფასების ერთ-ერთ უმნიშველოვანეს ინდიკატორად. ეს კონტრასტი რაც უფრო გამოკვეთილია, მით უფრო დაბალია ქვეყნის განვითარების დონე"[232]. საქართველოს ტერიტორიის სიმცირის გამო, საქართველოს ქალაქების უმეტესობისათვის (ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და რუსთავის გარდა) მიუღებელია ტერმინის – "ზრდის პოლუსი" გამოყენება, რადგანაც ის უფრო მეტად გულისხმობს მეგაპოლისის ან ახლომდებარე ქალაქების ფართო აგლომერაციის განვითარებას. ჩვენი აზრით, საქართველოს რეგიონებში არსებული პირობებისათვის უფრო მისაღებია ტერმინის – "მიზიდულობის ცენტრი"

[229] იხ., მაგ., Абдурасулова Д. Промышленная политика Южной Кореи. – Экономист, 2009, №1; Региональная политика стран ЕС. – Москва, ИМЭМО РАН, 2009 и др.

[230] Кипиани И. Пять тысяч крестников Илии II // Аргументы и факты, 2010, №38, გვ. 12.

[231] იხ., მაგ.: Лопатников Д. Л. Экономическая география и регионалистика. – Москва, ГАРДАРИКИ, 2006, с. 93 и др.; Региональная политика стран ЕС. – Москва, ИМЭМО РАН, 2009, с. 131-133 და სხვა.

[232] Лопатников Д. Л. Экономическая география и регионалистика. – Москва, ГАРДАРИКИ, 2006, с. 46-47.

გამოყენება. ასეთი წარმონაქმნის განვითარების საფუძველში ჩადებული უნდა იყოს ეკონომიკის დივერსიფიკაციის აუცილებლობა, ამასთან, ძირითად წარმოებასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს სხვადასხვაგვარი დამხმარე წარმოება (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ექსპორტის და ა. შ. პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად). ასევე აშკარა თანამედროვე ტენდენციას წარმოადგენს ქალაქებში – მიზიდულობის ცენტრებში ინოვაციური სექტორის განვითარება.

ძირითადი (რეალური) სექტორის განვითარება (რაც ქვეყანაში და მის რეგიონებში სიღარიბის გამომწვევი ელემენტების გავლენის შემცირების ძირითადი პირობაა) **შეუძლებელია შესაბამისი დამხმარე ინსტიტუტების მოქმედების გარეშე** როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში. **მნიშვნელოვანია რეგიონებში საბაზრო ეკონომიკისათვის თვისებრივი დამხმარე სამსახურების და ფირმების (სოფლად ფერმების) შექმნის და ფუნქციონირების წახალისების სტრატეგიის შემუშავება.** მიზიდულობის ცენტრების ფარგლებში, სახელმწიფო და კერძო საფინანსო სამსახურების (ფონდები, ბანკები ან მათი ფილიალები, რეგიონული დეპოზიტარიები, სადაზღვევო ორგანიზაციები) გარდა, ეს არის ინჟინირინგული, საკონსულტაციო, მათ შორის საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელების დასახმარებლად, საინფორმაციო (მდგომარეობა შესაბამის გასაღებისა და საჭირო ნედლეულის და პირუტყვისათვის საკვების შეძენის ბაზრებზე და სხვა) საწარმოები და ორგანიზაციები. სოფლად, ასევე უპირატესი ყურადღება უნდა მიექცეს სასელექციო და სანაშენო მეურნეობებს, რომლებიც, თანამედროვე ტერმინოლოგიის თანახმად, მიეკუთვნებიან საინოვაციო სექტორს, მცირე მეწარმეების ტექნიკური უზრუნველყოფის საწარმოები, ასევე, სამელიორაციო, მიწის რეკულტივაციის, ტყის მოვლის სამსახურები (თუმცა სამი უკანასკნელი მეტწილად მიეკუთვნება ბუნებრივი გარემოს დაცვის სექტორს). მნიშვნელოვანია ასევე კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციების დაწესება, რათა მეწარმეებმა და დაქირავებულმა მომუშავეებმა (როგორც ქალაქებში – მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ., ასევე სოფლად) მიიღონ შესაბამისი ცოდნა თანამედროვე პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის. ჩამოთვლილი ორგანიზაციების არსებობა უზრუნველყოფს ქალაქებში და სოფლად ინვესტიციური აქტიურობის ზრდას, კერძოდ, სოფლებში (სხვა დამცავ ღონისძიებებთან კომპლექსში) დაიწყება გამოუყენებელი მიწების ექსპლუატაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მცირემიწიან საქართველოში. ამასთან, არ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე მიყიდვა, რადგანაც ეს უფრო გაართულებს ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას და მოახდენს მისი რიცხოვნობის შემდგომ შემცირებას, ე.ი. გააღმავებს უარყოფით დემოგრაფიულ ტენდენციებს. ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში (ავსტრალია, ისრაელი, ჩინეთი, შვედეთი და სხვ.) საერთოდ არ არსებობს მიწაზე კერძო საკუთრება[233].

ამჟამად საქართველოს მცირე ქალაქებში, კერძოდ, სამხარეო და რაიონულ ცენტრებში, უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. ამიტომ, **ასეთი ქალაქებისათვის** (განსაკუთრებით რეგიონული მიზიდულობის ცენტრებისათვის), სიღარიბის დონის შემცირების მიზნით, **რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისას დასახული უნდა იქნეს რეალური სექტორის საწარმოების განვითარების გზები.**

ამასთან, **სიღარიბის დონის შემცირებისათვის მნიშვნელოვანია მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის შეფარდების სწორი სტრატეგიის შემუშავება.** შეუძლებელია ეკონომიკის მდგრადი განვითარება მსხვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოების გარეშე. რეგიონული განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული რეგიონების თავისებურებების მხედველობაში მიღებით (სადაც ეს შესაძლებელია) რომელიმე კონკრეტულ დარგში (თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნების გათვალისწინებით) ახალი მსხვილი საწარმოების ჩამოყალიბება (ადგილობრივი მეწარმეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების შესყიდვისა და ათვისების ბაზაზე, ან ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების ქვეყნის რეგიონების ქალაქებში განთავსებით, ან წინათ არსებული მსხვილი საწარმოების რეანიმაციით ახალი კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების ბაზაზე). როგორც ვიცით, მსხვილი საწარმოები კოოპერაციული ურთიერთობების საფუძველზე ასაქმებენ ბევრ საშუალო და მცირე ზომის საწარმოს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრი მსხვილი საწარმოს ჩამოყალიბება მცირე ქვეყნის რეგიონებში შეუძლებელია, მაგრამ რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და სიღარიბის დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს მრავალ დარგში **საშუალო და მცირე საწარმოების** დაარსებას როგორც წარმოების ძირითად სექტორში, ასევე ინფრასტრუქტურულ და მომსახურების სექტორებში. სოფლად ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდისათვის საჭიროა საოჯახო მეურნეობების ბაზაზე კოოპერატივების დაარსება. მაგრამ, ქვეყნის რთული რელიეფის და სხვა მიზეზების (მაგალითად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება, სოფლების დაცარიელების თავიდან აცილება და სხვა) გამო, საჭიროა ასევე სოფლად თანამედროვე ინტენსიური[234] ხასიათის

[233] Коробейников М. Крестьянство и власть: ответственность и интересы. – Вопросы экономики, 2010, №2, с.151.

[234] ტერმინი "ინტენსიური" აქ არ გულისხმობს ნიადაგის ინტენსიურ გამოყენებას მისი გაფუჭების ხარჯზე, პირიქით, იგულისხმება თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე მისი ხარისხის და ნაყოფიერების გაუმჯობესება. ამასთან, ასეთი ტექნოლოგიები ჩვეულებრივებზე ოდნავ უფრო მეტად შრო-

მცირე მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა და წახალისება. მცირე მეურნეობების ინტენსიური ეფექტიანი ფუნქციონირების პრაქტიკა შეიძლება ათვისებულ იქნეს ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე. შემოთავაზებული სტრატეგია **უზრუნველყოფს** ყველა ზომის საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გააძლიერებს მათ შორის ტექნოლოგიური და ტრანსაქციური ურთიერთობების სიმჭიდროვეს, წარმოების ინტენსიფიკაციას (ამასთან, ქალაქებში ბუნებრივი გარემოს დაბინძურების გარეშე, სოფლად კი, ამის გარდა, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფით), მოსახლეობის დასაქმებას და მისი შემოსავლების ზრდას და სხვა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სიღარიბის დონის მკვეთრ შემცირებას (რადგანაც ყველა ეს პარამეტრი წარმოადგენს სიღარიბის (კეთილდღეობის) ამსახველ ფაქტორს.

რეგიონული ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას ასევე წარმოადგენს მონაწილეობა ინოვაციური საქმიანობის განვითერების სტრატეგიის შემუშავებაში. არსებობს ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის რამდენიმე ძირითადი ფორმა. ამჟამად ინოვაციური საქმიანობა განვითარებულ და ახალ ინდუსტრიალ ქვეყნებში ხორციელდება: მსხვილი კორპორაციების შესაბამის ჰოლდინგებში, მათ შორის ვენჩურული კაპიტალის მონაწილეობით; საუნივერსიტეტო ლაბორატორიებში, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში (ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში, ფონდებში); ტექნოპოლისებში, ტექნოპარკებში, ინოვაციურ ცენტრებში, ინოვაციების ინკუბატორებში და ა. შ. ამჟამად ინოვაციური საქმიანობის განხორციელება, განსაკუთრებით მცირე ქვეყანაში, რთულია ამ საქმიანობაში საერთაშორისო კოოპერაციის გარეშე. ასეთი კოოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ქვეყანაში რეციპიენტში შესაბამისი პროფილის უცხოური კაპიტალის მონაწილების საფუძველზე ტრანსეროვნული კორპორაციების შესაბამისი ორგანიზაციებისა და ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის სახით და, ასევე, ახალი ტექნოლოგიების და ლიცენზიების შესყიდვის მეშვეობით. ასევე აუცილებელია ქვეყნის ინოვაციური ორგანიზაციების ჩართვა საერთაშორისო ქსელურ სისტემებში.

რეგიონული კოორდინაციის საგანი შეიძლება იყოს, მაგალითად, სპეციალური ინოვაციური ჰოლდინგების შექმნის ინიცირება დაინტერესებული საწარმოების საინვესტიციო სახსრების მობილიზაციის საფუძველზე. მაგრამ ინოვაციური განვითარების კუთხით რეგიონული კოორდინაციის ძირითად საგნად ამჟამად უნდა გახდეს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით ისეთი ცენტრების შექმნა და ფუნქციონირების დაფინანსება, სადაც ინოვაციების შემუშავებისათვის თანამშრომლობენ სპეციალური საუნივერსიტეტო ლაბორატორიები (ან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქვედანაყოფები) და დაინტერესებული კერძო ფირმები. ევროპაში მოწინავე ტექნოლოგიების განვითარების პროცესმა ახალი იმპულსი მიიღო 70-იანი წლების ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ, თუმცა მანამდესაც შესაბამის პროცესს დიდი ყურადღება ეთმობოდა. უპირველეს ყოვლისა "სამეცნიერო კვლევების შედეგების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის უნივერსიტეტებში შექმნილი იყო შესაბამისი სტრუქტურები, შემდეგ დაიწყო მოწინავე ტექნოლოგიების ცენტრების შექმნა, რომელთა მთავარი მიზანი იყო წარმოებაში საუნივერსიტეტო ლაბორატორიების შემუშავებების დანერგვის დაჩქარება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების კომერციონალიზაციის გარდა, ევროპის ინოვაციური სტრუქტურები წარმოადგენს რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს. მათ უნდა გაუწიონ დახმარება მცირე და საშუალო ქალაქებს საზოგადოებრივი წარმოების რესტრუქტურიზაციის პირობებში"[235]. ინოვაციების გავრცელების ასეთი ფორმა მცირე ქვეყნებშიც არსებობს. მაგალითად, ფინეთში (მოსახლეობის რიცხოვნობა – 5,3 მლნ კაცი), ტექნოპარკების და ტექნოლოგიური ცენტრების ბაზაზე "ნოუ-ჰაუს" შემუშავებას ახორციელებს 21 ინოვაციური ცენტრი. ეს ცენტრები წარმოადგენენ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების და ბიზნესის ძალისხმევის გაერთიანების ფორმას და ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიების კონკურენტუნარიანობის და რეგიონების ინოვაციური კლიმატის გაუმჯობესებას. შესამჩნევ საფინანსო მხარდაჭერას უწევენ მათ საქალაქო ხელისუფლებები[236]. ასეთი ფორმა გავრცელებულია მეზობელ თურქეთშიც. მაგალითად, თურქეთში სამეცნიერო-კვლევითი "მარმარა-ცენტრი" (ქ. გებრე) აერთიანებს ცხრა პროფილურ ინსტიტუტს, სტამბულის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ბაზაზე კი შექმნილია უმსხვილესი ტექნოლოგიური პარკი, რომლის ძირითადი ინვესტორები არიან აშშ-ის და ევროკავშირის ქვეყნები[237]. ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ინოვაციური საქმიანობის ასეთი ფორმის განვითარება საჭირო საქართველოშიც (გლობალურ სამყაროში კონკურენციის გამწვავების პირობებში მსგავსი ცენტრების საჭირო რაოდენობის გახსნის გარეშე მოსახლეობის

მატევადია, მაგრამ მათ ბაზაზე შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა და სხვა ძვირადღირებული პროდუქციის წარმოება სამომხმარებლო ბაზრებზე რეალიზაციის ან შემდგომი გადამუშავებისათვის.

[235] Никитина М. Модели инновационного развития на примере республики Турция. – Мировая экономика и международные отношения. 2006, №6. С. 101.

[236] Региональная политика стран ЕС. – Москва: ИМЭМО РАН, 2009, gv. 132.

[237] Никитина М. Модели инновационного развития на примере республики Турция. – Мировая экономика и международные отношения. 2006, №6. С. 102, 103.

კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის დონის შემცირების პრობლემა საქართველოში გადაუწყ-გადაუწყვეტელი დარჩება). ასეთი სისტემების დაწესება შეიძლება, პირველ ხანებში, დაწყებულ იქნეს მეცნიერებისათვის სახელმწიფო საგრანტო სისტემის რეორგანიზაციასთან ერთად. კერძოდ, საკონკურსო სისტემის საფუძველზე საჭიროა ინოვაციური ხასიათის საგრანტო საკვლევი თემების განაწილება უნივერსიტეტების და ინსტიტუტების თანამშრომლებს შორის. ასეთი ფორმა შეიძლება გახდეს სახელმწიფოს მიერ კოორდინირებადი ინოვაციური საქმიანობის საწყისი ეტეპი. მაგალითად, სოფლის მეურნეობის კუთხით შეიძლება გაიცეს საგრანტო თემები, რომელიც მიმართული იქნება მოსავლიანობის ზრდის, მიწის რეკულტივაციის ტექნოლოგიების შემუშავებაზე (მოწინავე ქვეყნების შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გაცნობისა და გააზრების საფუძველზე).

რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრისას უნდა დაისახოს **ახლომდებარე ქვეყნებსა და მსხვილი ქვეყნების რაიონებს შორის ეკონომიკური რეგიონალიზაციის პროცესების განვითარების გზები**, რაც წარმოადგენს შესაბამისი ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ ელემენტს. ამისათვის რეგიონული ეკონომიკის კოორდინაციის მექანიზმში გათვალისწინებული უნდა იქნეს **მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაციის საშუალებები**, რომელთა ნაირსახეობები აპრობირებულია მრავალ ქვეყანაში. ეკონომიკური კოოპერაციის გაღრმავება **ახლომდებარე** ქვეყნებთან, განსაკუთრებით ამჟამინდელი სატრანსპორტო დანახარჯების ზრდის პირობებში, წარმოადგენს ამ პროცესში ჩართული ქვეყნების შესაბამისი რეგიონების მეურნეობის ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს და, ასევე, ამ რეგიონებში დასაქმების ზრდის მნიშნელოვან საშუალებას, ე. ი. წარმოადგენს შესაბამის რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირების მიღწევის მნიშვნელოვან შესაძლებლობას. რეგიონული განვითარების ამ მიმართულების რეალიზაციის განხორციელების გზას წარმოადგენს ახლომდებარე ქვეყნებთან ან მათი რეგიონების ხელისუფლებასთან, ასევე სამეწარმეო წრეებთან, შეთანხმებების მიღწევა აღნიშნული ინფრასტრუქტურის კოორდინირებული განვითარებისა და საწარმოო-ტექნოლოგიური კოოპერაციის შესახებ.

რეგიონებში სიღარიბის ამსახველი ზოგიერთი ელემენტის დონის შემცირებისა და კეთილ-დღეობის ამსახველი ელემენტების დონის ზრდისათვის საჭიროა **ბუნებრივი გარემოს დაცვის რეგიონული სტრატეგიის შემუშავება და მისი რეალიზაციის მარეგულირებელი მექანიზმის შექმნა**. რა თქმა უნდა, მხოლოდ სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე შეუძლებელია საწარმოო საქმიანობით გამოწვეული ბუნებრივი გარემოს დაბინძურებასთან სრულფასოვანი ბრძოლა, მაგრამ ყველა განვითარებულ ქვეყანაში წარმოებს ბრძოლა ადგილობრივ დამაბინძურებელ ფაქტორებთან და ხდება გარემოს დაცვის და მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების წახალისება. განვითარებულ ქვეყნებში ყველა საწარმოს, რომელსაც აქვს ბუნების დამაბინძ-ურებელი ამონაბოლქვები, აიძულებენ გამასუფთავებელი (დასაცავი) დანადგარების დადგმას, წარმოების მავნე ნარჩენები კი ექვემდებარება შესაბამის უტილიზაციას. თუ საწარმო შესაბამის მოთხოვნებს არ ემორჩილება, მაშინ საწარმოს აჯარიმებენ, აიძულებენ მიყენებული ზარალის დაფარვას და, შემდეგ, უმეტეს შემთხვევებში, ხურავენ. საქართველოში, სადაც ამჟამად მცირეა ბუნების გამაბინძურებელი საწარმოების რაოდენობა, არ უნდა იქნეს დაშვებული მსგავსი საწარ-მოების მშენებლობა დამცავი ფილტრების (დანადგარების) გამოყენების გარეშე. ამ ტიპის ყველა მოქმედმა საწარმომ კი, სადაც არ არის დასაცავი დანადგარები, უნდა შეიძინოს და დააყენოს საჭირო მოწყობილობები, რაც ქვეყნის კანონმდებლობაში შესაბამისი დებულებების დადგენით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტყის გაჩეხვის გამო, ასევე ნიადაგის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების გამო, ქვეყანაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში გახშირდა მეწყერების რაოდენობა, რომელთა შედეგად მცირდება ნაყოფიერი ნიადაგის ფართობები, ასევე სხვადასხვა მიზეზთან დაკავშირებული ნიადაგის არასწორი ექსპლუატაციის გამო უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ქვეითდებოდა მისი ხარისხი (ბოლო ათწლეულში კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნიადაგის ზემო ფენა ბევრ ადგილზე იყო აცლილი და ექსპორტირებული). ამასთან, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა აღნიშნა, რომ **"ხალხი, რომელიც აფუჭებს თავის ნიადაგს, – თავის თავს ანადგურებს"**. ამიტომ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, კანონმდებლობაში შეაქვთ დებულებები, მიმართული ნიადაგის დაცვაზე და მისი რეკულტივაციის სტიმულირებაზე, სოფლის მეურნეობაში იგეგმება და ინერგება ნიადაგდამცამი და ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებები. მაგალითად, აშშ-ში 1985 წელს პრეზიდენტ ღონალდ რეიგანის ინიციატივით კონგრესმა მიიღო კანონი "აშშ-ის სასურსათო უსაფრთხოების შესახებ". "ყველა იმ ფერმერს, რომელიც ჩართულია ნიადაგის ეროზიის მაღალი დონით მქონე მიწის რესურსების დამუშავებაში, კანონმა დაავალა ნიადაგის დამცავი ზომების გატარება. წინაამღდეგ შემთხვევაში, ფერმერი კარგავდა ყველა სახელმწიფო სუბსიდიას". ასევე, "კანონმა დაავალა ყველა მეურნეობას წარედგინა სოფლის მეურნეობის სამინისტროში ნიადაგდამცავ ღონისძიებათა გეგმა 1990-1995 წლებისათვის"[238]. 1990 წლის აშშ-ის

[238] კოღუაშვილი პაატა. რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან. – ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი VIII, №1, 2015, გვ. 20, 21.

კანონმა "სოფლის მეურნეობის დაცვის, სურსათის უზრუნველყოფისა და ვაჭრობის შესახებ" (რო-(რომელიც "გახდა 1985 წლის კანონის ლოგიკური გაგრძელება"), "რამდენიმე ცვლილება შეიტანა სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების პროგრამებში მათი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. მან მკაცრად დაუკავშირა სოფლის მეურნეობის განვიტარების ახალი პროგრამის ამოქმედება გარემოს დამცავი ნორმების დაცვას"[239]. ჯერ კიდევ ცარიზმის პერიოდში რუსეთში შემუშავდა ნიადაგის დაცვის ეფექტიანი სისტემა, თესლბრუნვის და ბუნებრივი სასუქების რაციონალური გამოყენების ხარჯზე (სოვეტოვის სისტემა, რომელიც საბჭოურ პერიოდში გადაიზარდა ვილიამსის სისტემაში); რა თქმა უნდა, ნიადაგის დაცვისას ამ მეთოდების რეაბილიტაციის გარდა, ათვისებულ უნდა იქნეს ნიადაგის ხარისხის დაცვის, რეკულტივაციის და ნაყოფიერების ამაღლების ყველა მიზანშეწონილი თანამედროვე მეთოდი, რომელთა საფუძველზე იზრდება მოსავლიანობა, ხდება ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება, ინერგება მიწის დამუშავების მოწინავე ტექნოლოგიები.

რეგიონებში საჭიროა მასშტაბური ღონისძიებების დაფინანსება ტყის დამცავი ფუნქციის აღდგენისა და სატყეო ფართობების ზრდისათვის (ამასთან, ამ პროცესში მნიშვნელოვანი წილი შეიძლება შეიტანონ მეწარმეებმა, განსაკუთრებით სწრაფად მზარდი ხის სახეობების გაშენებაში, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ბიზნესეფექტს). საქართველოში მცირე მასშტაბებით ხორციელდება ზოგიერთი ღონისძიება, მაგრამ, ჯერჯერობით, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული (არ არის ჩამოყალიბებული) საჭირო მასტიმულირებელი ღონისძიებების სისტემური მექანიზმი.

6. რეგიონული განვითარების კოორდინაციის (მათ შორის სტიმულირების) ინსტრუმენტების სრულყოფის მიმართულებები

ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო და მოქმედი საწარმოების ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური კლიმატის ჩამოსაყალიბებლად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საჭიროა ასეთი კლიმატის უზრუნველყოფის რეგიონული ასპექტების სრულყოფა რეგიონულ და ადგილობრივ წარმონაქმნებში. ასეთი კლიმატის შექმნა ტერიტორიულ წარმონაქმნებში გულისხმობს რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე შესაბამისი ინსტიტუტების-ორგანიზაციების (სამმართველო, საფინანსო, საწარმოო) და რეგულირების ინსტრუმენტების არსებობას და, ასევე, ტერიტორიული წარმონაქმნების დონეზე ამ ინსტრუმენტების გონივრულ მიზანმიმართულ გამოყენებას ერთიან კომპლექსში საერთო-სახელმწიფოებრივ (ცენტრალურ) ინსტრუმენტებთან.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ (სამხარეო) და ადგილობრივ ორგანოებს შორის ინტერესების კომპრომისის მიღწევის ისეთი მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში ხორციელდებოდა ეკონომიკური მართვის ზოგიერთი ფუნქციის დეცენტრალიზაციის პროცესი, ყველა დონის ბიუჯეტებში თანდათანობით იზრდებოდა ბიუჯეტების ინვესტიციური ნაწილის წილი, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში (განსაკუთრებით ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნიათ მძლავრი საექსპორტო პოტენციალი) კერძო სექტორის პრიორიტეტული დარგების მხარდასაჭერად ფუნქციონირებს სპეციალური ანგარიშების ბიუჯეტი[240], რომელთა სახსრების გამოყენება ხდება ან უშუალოდ, ან ამისათვის შექმნილი სპეციალიზებული ორგანიზაციების მეშვეობით (მაგალითად, ინვესტიციური ბანკი და დეპრესიული კარტელები – იაპონიაში), სასურსათო ექსპორტის მხარდასაჭერად ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სპეციალური ორგანიზაციები. დონეებს შორის კომპრომისის მიღწევა, ზოგიერთი მმართველობითი ფუნქციის დეცენტრალიზაციის გარდა, გულისხმობს ადეკვატურ ზომებში საბიუჯეტო სახსრების დეცენტრალიზაციის პროცესს. მაგალითად, ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში საინვესტიციო (ბიზნესის და წარმოების მხარდასაჭერად, პერსონალის ან უმუშევრების კვალიფიკაციის ამაღლების და ახალი სპეციალობების ათვისებისა და სხვა მიზნებისათვის), საპენსიო, სადაზღვევო და სხვა სახის ფონდების (სახსრები რომლებისთვის ამა თუ იმ ზომით გამოიყოფა საბიჯეტო თანხებიდანაც) ფორმირება ხშირად ხდება რეგიონულ დონეზეც. კომპეტენციის გარკვეულ ზომებში დეცენტრალიზაცია ზრდის რეგიონული ორგანოების პასუხისმგებლობას შესაბამისი ტერიტორიული წარმონაქმნის მოსახლეობის კეთილდღეობის (და მაშასადამე, სიღარიბის დონის შემცირების) მიღწევაზე, ბიზნესის (მეწარმეობის) განვითარებაზე და ეფექტიან ფუნქციონირებაზე. დონეებს შორის კომპრომისის მიღწევის შედეგად განაწილებული ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფა ხდება საბიუჯეტო სახსრების შესაბამისი განაწილებით. ზოგიერთ ქვეყნებში სახსრების უმეტესი ნაწილის მობილიზაცია ხდება ცენტრალურ ბიუჯეტში (80%-ზე მეტი) და შემდეგ ხდება მათი განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სხვადასხვაგვარი ტრანსფერების მეშვეობით (ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში ტრანსფერებს ეწოდება სხვადასხვანაირად, სახელწოდება განსხვავებულია ასევე დანიშნულების მიხედვით, მაგალითად, სუბსიდია-დოტაცია, სუბვენცია, სპეციალური სუბსიდია). მაგრამ მრავალ ქვეყანაში რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტები,

[239] იქვე, გვ. 22, 23.
[240] Сенчагов В. К. О японском опыте управления. – Вопросы экономики, 1990, №5, с. 144.

ადგილობრივი გადასახადებით მოზიდული სახსრების გარდა, ივსება მოცემულ ტერიტორიაზე აკრეფილი ცენტრალური გადასახადებიდან ანარიცხების ხარჯზე.

რეგიონული ფისკალური მექანიზმის სრულყოფა მოითხოვს საგადასახადო და საბიუჯეტო მექანიზმების თანამედროვე პირობებისადმი შესატყვისი მექანიზმის ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრით, ამ კუთხით ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა მოითხოვს გარკვეულ სრულყოფას. ჯერ ერთი, არ არსებობს სამხარეო (რეგიონულ) დონეზე საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, ეს მაშინ, როდესაც გლობალური განვითარების პირობებში რეგიონული მმართველობის ფუნქციები განვითარებულ ქვეყნებში იზრდება, განსაკუთრებით ბიზნესის მხარდაჭერაში და რეგიონული მასშტაბის საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნაში. საჭიროა სამხარეო დონეზე შესაბამისი სისტემის შექმნა. აჭარის ავტონომიის მაგალითი მეტყველებს, რომ ეს მეტად სასარგებლოა ბიზნესის მხარდაჭერის (განვითარების სტიმულირების), დასაქმების ზრდისა და რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირების თვალსაზრისით. მეორე, საქართველოში არსებული რიგი მოსაკრებელი ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნაში (მაგალითად აშშ-ში) მიიჩნევა რეგიონულ და ადგილობრივ გადასახადებად და ჩაირიცხება შესაბამისი დონის ბიუჯეტებში. მესამე, დასაქმების ზრდის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი ქვეყნის რეგიონებში მიღებულია საგადასახადო შეღავათების მინიჭების პრაქტიკა გარკვეული რაოდენობის ახალი სამუშაო ადგილის შექმნის შემთხვევაში, რაც მიზანშეწონილია შემოღებულ იქნეს საქართველოს რეგიონებშიც.

რეგიონული საფინანსო პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე დაფუძნებული საწარმოების ჩამოყალიბების **სტიმულირებაზე და არსებულების ეფექტიანი ფუნქციონირების მხარდაჭერაზე.** ამასთან, საწარმოს პრიორიტეტულობის ან ეფექტიანი ფუნქციონირების კრიტერიუმებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოდიოდეს მათი საექსპორტო და იმპორტჩანაცვლებითი შესაძლებლობები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ეფექტიანი (სათანადო ხელფასებით და გრძელვადიანი დასაქმების გარანტიით) დასაქმების შესაძლებლობები. რეგიონულ საფინანსო პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იყოს საინვესტიციო და სხვა სახის ფონდების ჩამოყალიბება (არა მარტო საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე, არამედ დაინტერესებული მეწარმეების შემოწირულობებისა და უცხოური გრანტების საფუძველზეც; მომავალში, საბაზრო კონკურენციის პირობებში, რეგიონული ორგანოების მმართველობითი კომპეტენტურობის ზრდასთან ერთად, შესაძლებელი გახდება ასეთი ფონდების შევსება რეგიონული ობლიგაციების გამოშვების ხარჯზეც, მაგრამ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში რეგიონული ობლიგაციების გამოშვებას არ მოუტანია დადებითი შედეგები). ასეთი ფონდების სახსრების სხვადასხვა საშუალებით წარმოების განვითარებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდის მიზნებზე მიმართვა ირიბ გავლენას მოახდენს სიღარიბის დონის შემცირებაზე. ამასთან, ბევრ ქვეყანაში რეგიონული საფინანსო (ან ფისკალური) პოლიტიკის ფარგლებში იქმნება სპეციალური ფონდები, რომელთა თანხები იხარჯება სოციალურად დაუცველი ადამიანების მხარდასაჭერად.

რეგიონებში და ადგილობრივ წარმონაქმნებში საჭიროა მეურნეობის (სახელმწიფო და კერძო საწარმოების და მათ შორის ურთიერთობების) ინსტიტუციური წყობის განვითარება. განვითარებული ქვეყნების ანალოგიურად უნდა გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოების ეკონომიკური მართვის მექანიზმების ნაირსახეობები, ასევე, კონტრაქტების ნაირსახეობები სახელმწიფო და კერძო საწარმოებს შორის სახელმწიფო, რეგიონული ან მუნიციპალური ორგანოების მიერ შეკვეთილი სამუშაოების შესასრულებლად[241]. ქალაქებში უნდა ხდებოდეს კერძო სექტორის საჭირო ქარხნების ჩამოყალიბება-განვითარების და მათ შორის საწარმოო ურთიერთობების სტიმულირება სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ინსტრუმენტების გამოყენების მეშვეობით. ამასთან, მსხვილი, საშუალო, მცირე ეროვნული (რომლებსაც აკონტროლებენ რეზიდენტი-მესაკუთრეები) და მიზანშეწონილი უცხოური საწარმოების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის და მათ შორის ურთიერთობების გაღრმავებისათვის არჩეულ უნდა იქნეს სტიმულირების ყველაზე ეფექტიანი მექანიზმები. ბევრს ლაპარაკობენ მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების აუცილებლობაზე, რაც სავსებით სამართლიანია. მაგრამ ამჟამად, საბჭოური სისტემის დაშლის შემდეგ, ვერა და ვერ ხერხდება მსხვილი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება (უცხოური მაღალტექნოლოგიური საწარმოების მოზიდვის ხარჯზეც კი). ამასთან, შეუძლებელია თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის აშენება, მოსახლეობის სრულფასოვანი დასაქმება, ექსპორტული პოტენციალის რადიკალური ზრდა ქვეყანაში მსხვილი საწარმოების საკმაო რაოდენობის არსებობის გარეშე. მცირე მასშტაბების განვითარებულ ქვეყნებშიც კი (სინგაპური, ლუქსემბურგი, ბელგია, ნორვეგია, დანია, ფინეთი) არსებობს მრავალი მსხვილი საწარმო, რომელიც კოოპერაციული ურთიერთობების მეშვეობით ასაქმებს მრავალ მცირე და საშუალო დონის საწარმოებს და, თანამედროვე პირობებში, ინდივიდუალურ მეწარმეებსაც. სოფლის მეურნეობაში საჭიროა კოოპერატივების გაჩენის სტიმულირება (უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი ტექნიკის შესაძენად, საველე სამუშაოების

[241] Дерябина М. Государственное и частное партнерство: теория и практика. – Вопросы экономики, 2008, №8, с. 64; Клинова М. Глобализация и инфраструктура: новые тенденции во взаимоотношениях государства и бизнеса. – Вопросы экономики, 2008, №8, с. 79; Смотрицкая И., Черных С. Институт контрактных отношений на рынке государственных заказов. – Вопросы экономики, 2008, №8, с. 110,111,117.

ჩასატარებლად შეღავათიანი კრედიტების გამოყოფის სახით). ასევე, ქვეყანაში რთული რელიეფის არსებობის, ზოგიერთი კულტურის მოვლის თავისებურებებისა და ამჟამად მსოფლიოში თანამედროვე ეკოლოგიურად სუფთა მცირე სასოფლო მეურნეობების მომსახურებისათვის ინტენსიური და ეფექტიანი ტექნოლოგიების გაჩენის[242], სოფლად სრულფასოვანი დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევის უზრუნველყოფის აუცილებლობის გამო საჭიროა საშინაო მეურნეობების მცირე სასაქონლო მეურნეობებად გადაქცევის სტიმულირება (განვითარებული ქვეყნების მაგალითის მიხედვით სპეციალიზებული დამხმარე ორგანიზაციების, საწარმოების, ფირმების დაარსებისა და მცირე მეწარმეებისათვის საქმის განვითარებისათვის სუბსიდიების გამოყოფით).

რეგიონულ დონეზე დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ასევე ისეთ ინსტიტუციურ ურთიერთობებს (ინსტრუმენტებს), რომლებიც ხორციელდება **დიალოგის და ხელშეკრულებების დადების საფუძველზე**, ჯერ-ერთი, რეგიონული მართვის ორგანოებსა და მეწარმეებს და, მეორე, რეგიონულ ორგანოებს, პროფკავშირებსა და მეწარმეებს შორის. ასეთი პრაქტიკა წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების თანამედროვე ელემენტს, რომელიც, კერძოდ, უზრუნველყოფს რეგიონებში სიღარიბის დონის შემცირებას.

საბაზრო კოორდინაციის მექანიზმი გულისხმობს ასევე მეწარმეების ჯგუფების მიერ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში გარკვეულ ბაზრებზე, გარკვეული პერიოდის მანძილზე (ერთი კვირის, ორი კვირის და ა.შ. განმავლობაში), გარკვეულ საქონელზე განსაზღვრული **საშუალო ან ფიქსირებული ფასების დადგენას**[243]. ასეთმა პრაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს წარმოებული პროდუქციის სრული მოცულობით რეალიზაციას, კერძოდ, ხელმისაწვდომ ფასებში მოსახლეობის ღარიბი ფენების მიერ მისი შესყიდვის ხარჯზე (განსაკუთრებით ეს ეხება სასურსათო პროდუქციის რეალიზაციას).

რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარების სტიმულირება უნდა ხდებოდეს შემდეგი გზებით: ძირითადად სახელმწიფო და ტერიტორიული ბიუჯეტების და შესაბამისი ფონდების სახსრების ხარჯზე კომუნალური ინფრასტრუქტურის ისეთი ობიექტების მშენებლობის დაფინანსება, რომელთა შექმნის სურვილი კერძო მეწარმეებს არ გააჩნიათ (მაგალითად, კერძო მეწარმეები დიდი მზადყოფნით იღებენ თავის თავზე სატრანსპორტო მომსახურებას, მაგრამ უფრო ხშირად მათთვის მიუღებელია გზების მშენებლობა; ამასთან, არაა სასურველი კერძო მეწარმეებისათვის იმ ობიექტების გადაცემა, რომლებსაც გააჩნიათ სტრატეგიული მნიშვნელობა, მაგალითად რკინიგზისა და სხვა სატრანსპორტო კომუნიკაციების); ფისკალური და საფინანსო სტიმულირება რეალური სექტორის საწარმოების და იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების, რომლებიც ხელს უწყობენ (მათ შორის სოფლად) რეალური სექტორის საწარმოებისა და მეურნეობების შექმნასა და ფუნქციონირებას.

როგორც ითქვა, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება (როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში) შეუძლებელია შესაბამისი დამხმარე ორგანიზაციების და საწარმოების გარეშე. ასეთი დაწესებულებების და საწარმოების შექმნის და ფუნქციონირების სტიმულირება უნდა ხდებოდეს შესაბამისი პროპაგანდით, რეკლამირებით, საჭირო შემთხვევებში ფისკალური და საფინანსო შეღავათების გამოყენებით, დახმარებით საინვესტიციო და სხვა სახის რეგიონული ფონდებიდან, სახელმწიფო და ტერიტორიული ბიუჯეტებიდან სუბსიდიების გამოყოფით. ქვეყნის მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დაწესებულებების შექმნა (ან რეანიმაცია) და ფუნქციონირება, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის მეურნეობის განვითარებას, მაგალითად, ზოგიერთი სასელექციო და სანაშენო სადგურის და ზოგიერთი სხვა საინოვაციო სამსახურის, უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით[244], ან სახელმწიფოს მიერ სუბსიდიების გამოყოფით), ასეთი საწარმოების პროდუქციის ათვისების აუცილებლობის შესაბამისი პროპაგანდის შემთხვევაში სახელმწიფო წაგებაში არ დარჩება. მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად შემცირდა ისეთი უმაღლესი ხარისხის ვაშლის ჯიშების წარმოება, რომელთა ტოლფასი მსოფლიოში არ არსებობს, გახშირდა არაკონდიციური ყურძნის წარმოების შემთხვევები. ამიტომ საჭიროა სანაშენე და სასელექციო ფირმების პროდუქციის პოტენციურ მყიდველებზე (ე. ი. შესაბამისი პროფილის მეწარმეებზე) პროპაგანდისტული, მარკეტინგული და სხვა წამახალისებელი ზეწოლის განხორციელება, მით უმეტეს, რომ ელიტარული ჯიშების წარმოება და რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის ამ

---

[242] ტექნოლოგიებში იგულისხმება არა მარტო შესაბამისი იაფი ტექნიკა, მოწყობილობები, არამედ წარმოების პროცესის განხორციელების თავისებურებები, რომელშიც საერთო წესების განხორციელების გარდა, უნდა გათვალისწინებული იქნეს კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო ზონის ყველა ბუნებრივი თავისებურება.

[243] Маневич В. О закономерностях становления рынка. – Вопросы экономики, 1993, №3, с. 109.

[244] რა თქმა უნდა, ასეთი საწარმოები ძირითადად უნდა არსებობდეს კერძო სექტორში, მაგრამ სოფლად საბაზრო ურთიერთობების ჯერჯერობითი არასრულყოფილების გამო, შესაბამისი პროფილის კერძო ფერმები არ იქნებიან მომგებიანი. ამასთან ქვეყნებში სრულად ჩამოყალიბებული საბაზრო ურთიერთობებით ასეთი ფირმები იღებენ მნიშვნელოვან მოგებას, მაგრამ, როგორც ვიცით, სახელმწიფოს მიერ საფერმერო მეურნეობების ყოველწლიური სუბსიდირების პირობებში (ამჟამად სუბსიდირება ხორციელდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების ჩარჩოებში).

მეწარმეების კეთილდღეობას და უზრუნველყოფს მოსახლეობის შესაბამის ფენებში სიღარიბის გამწვავების ტენდენციის შეწყვეტას[245].

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, უკანასკნელი პრობლემის გადასაწყვეტად (სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერა) ბევრი რამ უკვე კეთდება. კერძოდ, ამ კუთხით სასტუმრო "რედისონში" პროექტის "დანერგე მომავალი" პრეზენტაციის დროს (2015-02-21) პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „დღეს ვიწყებთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტს სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ეს პროექტი მიზნად ისახავს ჩვენ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწების მაქსიმალურად ათვისებას და მიზნობრივად გამოყენებას. პროექტი ითვალისწინებს 2 კომპონენტს: ერთი გახლავთ მრავალწლიანი კულტურების - ბაღების გაშენება, ხოლო მეორე - სანერგე მეურნეობების მოწყობა. სათანადო კრიტერიუმების და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში სახელმწიფო თანადაფინანსების პრინციპით დაეხმარება მეწარმეებს ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობის შექმნის ხარჯების დაფინანსებაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება მართლაც წარმატებული პროექტი, რომელიც ჩვენმა მთავრობამ ბოლო 2 წლის განმავლობაში განახორციელა სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ეს პროექტიც ასევე ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და საშუალებას მისცემს ჩვენს მეწარმეებს და ფერმერებს, აწარმოოს ისეთი ხარისხის პროდუქცია, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე თამამად გაუწევს კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქციას და ამასთან ერთად გაიზრდება ჩვენი ქვეყნის აგრარული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი". მისივე თქმით, პროექტი ახალი საწარმოების და მათი საშუალებით სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს[246].

რეგიონული განვითარების სტიმულირების მექანიზმში უნდა ჩაიდოს თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირება. თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში დომინირებს მეხუთე ტექნოლოგიური წყობის ელემენტები, მაგრამ სულ უფრო ფართოვდება იმ ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც მიეკუთვნება მეექვსე ტექნოლოგიურ წყობას[247].

ჩვენი აზრით, რეგიონულ დონეზე თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ახალი დარგის წარმოების ჩამოყალიბება შეიძლება რეგიონების მიზიდულობის ცენტრებში ტექნოპარკების შექმნის გზით. უფრო მიზანშეწონილია განვითარებულ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებული ახალი დარგების ტექნოლოგიების მოზიდვა ადგილობრივი მეწარმეების მიერ მათი შესყიდვის გზით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე წარმოებული პროდუქციის გასაღებაში პრობლემები არ შეიქმნება არც საშინაო და არც საგარეო ბაზრებზე. რეგიონული მიზიდულობის ცენტრებში ასეთი ტექნოლოგიების დანერგვისათვის არსებობს სამი ძირითადი გზა.

პირველი გზაა ადგილობრივი მეწარმეების მიერ ახალი ლიცენზირებული ტექნოლოგიების შესყიდვა ძირითადად საზღვარგარეთ. ამისათვის ქვეყანაში უნდა არსებობდეს ტექნოლოგიების ათვისების ხელშემწყობი შესაბამისი დამხმარე ცენტრები, რეგიონებში კი უნდა მომზადდეს სპეციალისტები და მუშახელი ამ ტექნოლოგიებით მუშაობისათვის. ასეთი სამამულო საწარმოების ჩამოყალიბების წასახალისებლად (მეწარმეების მიერ საჭირო ტექნოლოგიების შესყიდვის საფუძველზე) რეგიონულმა მთავრობამ უნდა მიმართოს წახალისების ფისკალურ და ფინანსურ ზომებს, დაჩქარებული ამორტიზაციის ჩათვლით, შესაბამისი დარგი პრიორიტეტულად გამოაცხადოს და მისი განვითარებისათვის ჩართოს სტიმულირების საერთო-სახელმწიფოებრივი ინსტრუმენტები ზოგიერთი დარგისათვის (სადაც ეს გათვალისწინებულია) წარმოებული პროდუქციის ექსპორტის საფინანსო მხარდაჭერის ჩათვლით. საჭიროა მარკეტინგული მხარდაჭერაც, განსაკუთრებით პროდუქციის საზღვარგარეთ რეალიზაციის დროს.

რეგიონული მიზიდულობის ცენტრში ახალი საწარმოო დანიშნულების ტექნოლოგიების გავრცელების მეორე გზაა ტრანსეროვნული კორპორაციის საწარმოს მოზიდვის წახალისება. ამ შემთხვევაში წახალისების ჩვეულებრივი ფისკალური ზომების გარდა, მნიშვნელოვანია კორპორაციის დაინტერესება შედარებით იაფფასიან კოოპერაციაში ადგილობრივ საწარმოებთან აუტსორტინგის პროცესის გამოყენების საფუძველზე.

მესამე გზას წარმოადგენს ფრენჩაიზინგის მექანიზმის გამოყენება.

სოფლად ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, სასელექციო და სანაშენე მეურნეობებში, ასევე, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის მიზნით და ა.შ. ამასთან, ადრე საქართველოში არსებობდა უნიკალური ტექნოლოგიებიც ხილის, განსაკუთრებით, ვაშლისა და

---

[245] Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. – Тбилиси: Изд-ство ТГУ, 2014, с. 251-252; Абесадзе Р., Бурдули В. Региональные аспекты ускорения темпов экономического развития Грузии. – Общество и экономика, 2011, №7, с. 97.

[246] სახელმწიფო მეწარმეებს სოფლის მეურნეობის სექტორში თანადაფინანსების ახალ პროექტს სთავაზობს (2015-02-21). http://www.epn.ge/?id=224

[247] Глазьев С. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. – Вопросы экономики, 2009, №3, с. 31.

ყურძნის (მაგალითად, ვარდისფერი რქაწითელი) წარმოებაში, რომელთა რეანიმაცია და გამოყენება ამჟამადაც აქტუალურია.

წარმოების დივერსიფიკაციის სტიმულირება ქალაქებში უფრო მიზანშეწონილია იმ პროდუქტების ჭრილში, რომლებზეც მოთხოვნა საგარეო და საშინაო ბაზრებზე მზარდია. ამასთან არ უნდა იყოს დავიწყებული ის ტრადიციული დარგები, რომლებშიც წარმოება ეკონომიკის პოსტსაბჭოური ჩავარდნის შემდეგ პრაქტიკულად ნულამდე შეიკვეცა, ისეთები, როგორიცაა ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის და ა. შ. წარმოება, განსაკუთრებით ამ დარგების ის ქვედარგები, რომლებისათვის არსებობს ნატურალური სანედლეულო ბაზა. სოფლად, წარმოების დივერსიფიკაციისას, ძირითადი ყურადღება უნდა მიენიჭოს იმ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან დარგებს, და, ასევე, დარგებს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი (კერძოდ, ხარისხიანი ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების შემდეგ).

სახელმწიფოს ძალისხმევის გარდა, **სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებაში (კოორდინაციაში) მნიშვნელოვანია რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა.**

მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა მრავალ ქვეყანაში გამოიწვია მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუარესების ტენდენცია როგორც სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის რეგიონულ დონეზე (შემცირდა სოციალური უზრუნველყოფისათვის დანიშნული სახსრების მოცულობა, კერძოდ, შეიქმნა სხვადასხვა პრობლემა საპენსიო სისტემაში), ასევე კერძო სექტორშიც (გართულდა მცირე ბიზნესის პრობლემები), გაძვირდა ზოგიერთი სახის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სოციალური მომსახურება. გაიზარდა უმუშევრობის დონე, კრიზისის დაწყებამდე გაცილებით უფრო ადრე გაჩნდა საშუალო ფენის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია, და ამასთან დაკავშირებით დაქვეითდა მოსახლეობის შედარებით ფართო ფენის მსყიდველობითი უნარიანობა.

ამ პირობებში რეგიონული ხელისუფლების ძალისხმევა უნდა გაძლიერდეს წარმოების სტიმულირების ყველა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. განსაკუთრებით ღრმად შესწავლილი და გამოყენებული უნდა იქნეს დაახლოებით საქართველოს ზომის მცირე ქვეყნების წარმატებული განვითარების (მათ შორის სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმის) მაგალითები, ისეთების, როგორიცაა დანია, შვეიცარია, ფინეთი და სხვა.

კერძოდ, სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ამ ქვეყნების მაგალითის მიხედვით უნდა ხდებოდეს რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე უფრო მეტი ოდენობის სახსრების მობილიზაცია, რათა გაიზარდოს მათი ხარჯვის მიმართულებები (სამედიცინო მომსახურებაში, საქალაქო ტრანსპორტის სისტემის განვითარებაში და სხვა). ქ. თბილისის მსგავსად, რეგიონების სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმში გათვალისწინებული უნდა იქნეს პენსიების ზრდა რეგიონული ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში რეგიონულ დონეზე სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით ხდება **დასაქმების დონის ზრდის სტიმულირება**, რაც ეკონომიკის რეგიონული კოორდინაციის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. სამხრეთ კორეაში მაგალითად ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პროგრამები რეგიონების მიხედვით, რომელთა ეფექტიანობა, უზრუნველყოფილი სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმით, შედარებით მაღალია[248]. ნაკლებად ეფექტიანია გრძელვადიანი პროგრამები და სტრატეგიები, რომლებშიც დასაქმების ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს (მომუშავეთა მომზადების უზრუნველყოფით და სხვა წამახალისებელი ელემენტებით). ასეთი მექანიზმები გამოიყენება ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში (პორტუგალია, ესპანეთი). შედარებით ეფექტიანია დასაქმების ხელშეწყობის უფრო მობილური მექანიზმები, მიღებული, მაგალითად, ფინეთში, რომელთა ფარგლებში მომუშავეები იძენენ დამატებით სპეციალობებს უმუშევრებად დარჩენის რისკის შესამცირებლად. ასეთ ქვეყნებში, ასევე სახელმწიფო ხარჯებით, ხდება უმუშევრების სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით მომზადება. სიღარიბის მაღალი დონის თავიდან ასაცილებლად ასეთი მექანიზმი უფრო მოქნილ საშუალებას წარმოადგენს.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად საფრანგეთში, რეგიონული ორგანოები, გარკვეული რაოდენობის მუშახელის სამსახურში მიღებისას მეწარმეებს უმცირებენ ზოგიერთ ადგილობრივ გადასახადს ან მისი გადახდისაგან მთლიანად ათავისუფლებენ.

დასაქმების ზრდის და ამის მეშვეობით სიღარიბის დონის შემცირების სტიმულირების ძირითად მექანიზმებს, მაშასადამე, წარმოადგენს არა კონკრეტული მექანიზმები, პირდაპირ მიმართული დასაქმების ზრდაზე და სიღარიბის დონის შემცირებაზე, არამედ წამახალისებელი მექანიზმების მთელი სპექტრი, მიმართული წარმოების განვითარებაზე, მისი სწრაფი და ეფექტიანი განვითარებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნაზე, ნიადაგის და ბუნებრივი გარემოს სხვა შემადგენლების დაცვაზე და ა.შ.

[248] Абдурасулова Д. Промышленная политика Южной Кореи. – Экономист, 2009, №1.

7. საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის შესახებ

ტერიტორიული დაყოფა და ტერიტორიული საჯარო მართვის მექანიზმები საქართველოში ჯერ სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული. ამჟამად, როგორც ვიცით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პირველ დონეზე საქართველოში არსებობს 12 რეგიონი (მხარე). ევროკავშირში მიღებული ტერიტორიული ერთეულების სტატისტიკური აღრიცხვის ნომენკლატურის (NUTS) მიხედვით ყველა მხარე (ქ. თბილისის გარდა) დაახლოებით მიეკუთვნება (NUTS)-ით განსაზღვრული რეგიონების მესამე დონეს [249]. ამის გარდა არსებობს დაყოფა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებად, რომლებსაც მიეკუთვნებიან მუნიციპალიტეტები, მსხვილი ქალაქების რაიონები (რომლებსაც გააჩნიათ მართვის საკუთარი ორგანო – გამგებლობა) და სასოფლო ტერიტორიული წარმონაქმნები. მაგრამ მხარეები (რეგიონები) ფაქტიბრივად ფორმალურად არსებობს, რადგანაც მათ (თბილისის და აჭარის გარდა) არ გააჩნიათ ფუნქციონალური მართვის ორგანოები და მართვის საფინანსო ბერკეტები (საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ჩათვლით). შემდეგ, მუნიციპალურ წარმონაქმნებში (რაიონებში) შედიან სოფლები, მაგრამ სოფლების დონეზე ჯერ არ არსებობს ადგილობრივი მეურნეობის განკარგვის სათანადო მექანიზმი. ამასთან საერთოდ არ არის გამოყოფილი მუნიციპალიტეტებში არსებული რაიონული დონის ქალაქები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ქვედა დონის საჯარო მართვის სუბიექტს.

ტერიტორიული დაყოფა მკვეთრად უნდა იყოს ასახული კანონმდებლობაში (მაგალითად, საბიუჯეტო კოდექსში ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი მხარეებზე და ქვედა დონის წარმონაქმნებზე (სოფლები და რაიონებში შემავალი ქალაქები). მკვეთრი დაყოფა დონეებზე ასახული უნდა იყოს შესაბამის კანონებში, როგორც ეს მიღებულია, მაგალითად, საფრანგეთში, სადაც არსებობს ოთხდონიანი სისტემა: ცენტრი, რეგიონი, დეპარტამენტი, კომუნა. რა თქმა უნდა, ქვედა დონეზე სასოფლო წარმონაქმნებთან ერთად, კანონმდებლობაში საჭიროა რაიონული მნიშვნელობის ქალაქების დაფიქსირება, ასევე სამხარეო მნიშვნელობის ქალაქებისა, სხვანაირად კანონმდებლობაში ისევ დარჩება გაურკვევლობის ელემენტი.

შესაბამისი ტერიტორიული წარმონაქმნების ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკურ კოორდინაციაში მართვის ტერიტორიული ორგანოების როლის გაძლიერებისათვის საჭიროა, მისაღებ ფარგლებში, საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელება. მაგრამ, ზოგჯერ დეცენტრალიზაცია არასწორადაა გაგებული. მაგალითად, თავის დროზე პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანა დეცენტრალიზაციად იყო მიჩნეული, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია, რადგან ქვეყნის პარლამენტი წარმოადგენს ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოს. სინამდვილეში კი დეცენტრალიზაცია წარმოადგენს ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ ტერიტორიული წარმონაქმნების თვითმმართველობის ორგანოებისათვის (რეგიონული და ადგილობრივი) ზოგიერთი ფუნქციის და უფლებამოსილების გადაცემის პროცესს, ე. ი. ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოების უფლებამოსილებების წრის გაფართოებას ზემდგომი ორგანოების ხარჯზე **(ვერტიკალური დეცენტრალიზაცია).**

დეცენტრალიზაცია საჯარო სექტორში ასევე შეიძლება ნიშნავდეს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ საქმიანობის ზოგიერთ სფეროში პრობლემების გადასაწყვეტად გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ან მართვის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების დელეგირებას სპეციალიზებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც შექმნილია ან თავად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, ან კერძოა, მაგალითად, საბინაო ასოციაციები ან კომუნალური მომსახურების საწარმოები **(ფუნქციური დეცენტრალიზაცია).**

განასხვავებენ კიდევ **ფისკალურ** (ან **ბიუჯეტურ**) **დეცენტრალიზაციას.** შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არსებობს საბიუჯეტო დეცენტალიზაციის ორი ძირითადი ალტერნატიული სქემა – ფრანგული და გერმანული (სუფთა გაგებით არც ერთ ქვეყანაში ეს სქემები არ გამოიყენება, არსებობს სხვადასხვა დონით შერეული ვარიანტები, გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებიდან და არსებული გარემოებებიდან). ე. ი. ყველა ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემები წარმოადგენს შერეულ ვარიანტებს პირველი ან მეორე ალტერნატიული სქემის ელემენტების უპირატესი გამოყენებით. ფრანგულ სისტემაში ქვედა დონეებზე (დეპარტამენტები და კომუნები) ბიუჯეტის შევსება ხდება უმეტესად ზემდგომი ბიუჯეტებიდან ტრანსფერების ხარჯზე, რომლებსაც სუბსიდიები და დოტაციები ეწოდება. რეგიონებში კი, საჭიროებების შემთხვევაში, სახსრების მობილიზაცია წარმოებს ანარიცხებით ცენტრალური და ქვემდგომი (დეპარტამენტები და კომუნები) ბიუჯეტებიდან. ადგილობრივი გადასახადებით და მოსაკრებლებით შემოსული თანხები ტერიტორიების (დეპარტამენტების და კომუნების) ბიუჯეტების შედარებით მცირე ნაწილია. გერმანიაში კი ძირითადი სახელმწიფო გადასახადებიდან (საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების) საშუალო (მიწა) და ქვედა (თემი) დონეებზე არსებობს ფიქსირებული ანარიცხები ადგილობრივ ბიუჯეტში (შესაბამის ტერიტორიულ წარმონაქმნებში მობილიზებული თანხებიდან), რომელთა განაკვეთები ხანდახან, მაგრამ იშვიათად, გადაისინჯება საკანონმდებლო წესით. ცენტრალური ტრანსფერების როლი უმნიშვნელოა. არსებობს ასევე საფინანსო დახმარების პრაქტიკა

[249] Региональная политика стран ЕС. – Москва: ИМЭМО РАН, 2009, გვ. 11.

შედარებით "მდიდარი" ტერიტორიული წარმონაქმნებიდან უფრო "ღარიბ", ჩამორჩენილ ან "დეპრესიულ" წარმონაქმნებზე. თუმცა შედარებით ჩამორჩენილი აღმოსავლეთ გერმანიის მიწების მიერთების შემდეგ, ცენტრალური ბიუჯეტიდან მათთვის საფინანსო დახმარების მექანიზმი რამდენადმე გააქტიურდა. პირველი სქემის უპირატესობა ის არის, რომ უფრო ადვილია სახსრების ცენტრალიზებული გადანაწილება უფრო "მდიდარი" ტერიტორიული წარმონაქმნებიდან უფრო "ღარიბ", ჩამორჩენილ ან დეპრესიულ წარმონაქმნებში. მეორე სქემის ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ იზრდება ადგილობრივი და რეგიონული მართვის ორგანოების დაინტერესება წარმოებისა და ბიზნესის განვითარებით საქვეუწყებო ტერიტორიაზე, რაც მათ უბიძგებს განვითარების შესაბამისი მასტიმულირებელი მექანიზმების გონივრული გამოყენებისაკენ. ჩვენი აზრით, საქართველოში, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე მისაღებია სქემა ფრანგული ტიპის მოდელის ელემენტების უპირატესი გამოყენებით (რეგიონებს შორის ეკონომიკური განვითარების დიდი განსხვავების გამო), შემდეგ შესაძლებელი გახდება ზომიერად შერეული ვარიანტის გამოყენება.

განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა დონის სუბიექტებს შორის ფუნქციების გამიჯვნა და ყოველი დონის მმართველობის ფუნქციების მოწესრიგება დეცენტრალიზაციის ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში ხდება. თანამედროვე სახელმწიფოების საჯარო მართვის ევოლუციის უპირატეს ტენდენციას წარმოადგენს მართვის თანდათანობითი დეცენტრალიზაცია და სულ უფრო მეტი სახელმწიფო ფუნქციის გადაცემა ტერიტორიული ორგანოებისათვის (რეგიონული, ადგილობრივი) [250]. ამასთან, XX საუკუნის მეორე ნახევარში ბევრ განვითარებულ ქვეყანაში იყო პერიოდები, როდესაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში დეცენტრალიზაციის პროცესები მიმდინარეობდა საკმაოდ სწრაფად და ფუნდამენტურად, შემდეგ კი, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ხორციელდებოდა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები. ამასთან, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში დეცენტრალიზაციის ხაზით ჩატარებული ყველა ღონისძიება აისახება კანონმდებლობაში, ქვესაკანონმდებლო აქტებში და სამთავრობო დოკუმენტებში. მაგალითად, საფრანგეთში ფართომასშტაბიანი დეცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა XX საუკუნის 70-იან წლებში, რის შემდეგაც ყველა შემოღებული ფუნქცია და უფლებამოსილება ოფიციალურად იყო დამტკიცებული კანონში დეცენტრალიზაციის შესახებ [251]. დიდ ბრიტანეთში ვერტიკალური დეცენტრალიზაციის პროცესი ჭარბობდა 40-იანი წლების ბოლოდან 70-იანი წლების შუალედამდე, 80-იან წლებში კი – ფუნქციონალური დეცენტრალიზაციის პროცესი [252], ამასთან, დეცენტრალიზაციის ღონისძიებები აისახებოდა კანონმდებლობაში. მაგალითად, ფუქციონალური დეცენტრალიზაციის პროცესების ჩარჩოებში "მთავრობამ გამოაქვეყნა კანონები, რომელიც მიმართული იყო კონკურენციის გაძლიერებაზე იმ ზოგიერთი ფუნქციის განხორციელების უფლების მოპოვებაზე, რომელიც მართვის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა" [253]. როგორც ვიცით, დეცენტრალიზაციის განხორციელებისას ამჟამად ხელმძღვანელობენ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის" დებულებებით, რომელსაც საქართველო მიუერთდა 2004 წელს. ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის პროცესი დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში და ამჟამინდელი პერიოდისათვის იქ შექმნილია მეტნაკლებად თანამედროვე მოდელები [254]. მაგრამ პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტესობაში, მათ შორის საქართველოშიც, ინტენსიური დეცენტრალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

საქართველოში დეცენტრალიზაციის ღონისძიებების რეალიზაციისას საჭიროა განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება. ყოველ ქვეყანაში საჯარო მართვის დეცენტრალიზაცია ხორციელდება ქვეყნის თავისებურებებისა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით. სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბებული მოდელები ერთიმეორისაგან განსხვავდება და, ამიტომ, საქართველოში დეცენტრალიზაციის განხორციელებისას საჭიროა ორიგინალური "არაშაბლონური" გადაწყვეტილებების მიღება, ამასთან, სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის სისტემებიდან მიზანშეწონილი ელემენტების გადმოღებით. *ბოლო პერიოდში, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, საქართველოში გარკვეული პროგრესია ამ საკითხის გადაწყვეტაში. ასე მაგალითად, 2013 წ. 21 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მოიწონა "საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლისათვის", რომელიც გატანილია საზოგადოებრივ განხილვაზე. სოფლების დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით ასევე აქტუალურია კანონპროექტი "სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ" (ე. ტრიპოლსკი, გ. ჟორჟოლიანი).*

დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელებისა და დეცენტრალიზაციის დონის განსაზღვრისას (როგორც სხვადასხვა რანგის ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებების

---

[250] ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, 2002, გვ. 101.

[251] იქვე, გვ. 102-103.

[252] Григорьев С. Местное самоуправление в Великобритании. – Вопросы экономики, 1991, №5, გვ. 54.

[253] იქვე, გვ. 54.

[254] იხ., მაგ.: Современные финансовые модели децентрализации публичной власти: опыт Словакии. 2012. your-lib.net/content/view/7446/87/ და სხვა.

განსაზღვრის დროს, უპირველეს ყოვლისა, საფინანსო ბაზის მობილიზაციისა და მისი განკარგვის სფეროში, ასევე შესასრულებელი ფუნქციების ნუსხისა და მათი კოორდინაციის მეთოდების განსაზღვრისას) განვითარებულ ქვეყნებში ხელმძვანელობენ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, სოციალური სამართლიანობის ზრდისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესებით.

დეცენტრალიზაციის მიზნები. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ დეცენტრალიზაციის ძირითადი მიზნებია: სახელმწიფოს საზოგადოებრივი ინსტიტუტების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის უფლებამოსილებების ისეთი გამიჯვნა, რომელშიც ჩადებულია მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვის უზრუნველმყოფი მექანიზმები; ტერიტორიული წარმონაქმნების საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; სუსტად განვითარებულ და დეპრესიულ რეგიონებში და ადგილობრივ წარმონაქმნებში ინფრასტრუქტურის (კომუნალური, საკომუნიკაციო) განკარგვის, დაფინანსებისა და მართვის, ასევე, საერთო დანიშნულების დარგების განვითარების რეგულირების მექანიზმების (პროგრამული კოორდინაცია, წამახალისებელი ფისკალური და საფინანსო მეთოდები, სუბსიდირება) სრულყოფა; მცირე და საშუალო ქალაქების სტიმულირებისა და მათი ტერიტორიულ ცენტრებად (მიზიდულობის ცენტრებად) ჩამოყალიბების ხელშეწყობის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბება; აგრარული ტერიტორიული წარმონაქმნების განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის (კერძოდ, სოფლად კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების, მიწების რეკულტივაციისა და ა. შ.) რეგულირების მექანიზმის სრულყოფა და სხვა. ამასთანავე, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში დეცენტრალიზაციის მიზნებში შედის უმსხვილეს ქალაქებში მოსახლეობისა და მრეწველობის კონცენტრაციის შეკავება, მონოპროდუქტიულ ქალაქებში წარმოების დივერსიფიკაციის სტიმულირების მექანიზმის სრულყოფა, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში კი ისეთი რეგულირების გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე მოძველებული საწარმოო საშუალებებით აღჭურვილი საწარმოების რეკონსერვაციას.

საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ამ მიზნებზე ორიენტაციასთან ერთად, დეცენტრალიზაციაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, უპირველეს ყოვლისა, რეგიონული და ადგილობრივი წარმონაქმნების მმართველი ორგანოების შემდეგი ფუნქციების გაძლიერებაზე:

– საქართველოში ამჟამად სოფლის მეურნეობაში ბევრი ფაქტობრივად დაუსაქმებელი (ან ნაწილობრივ დასაქმებული) პირია, რომელთა რაოდენობა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან ერთად გაიზრდება. ამ პირობებში კიდევ უფრო იზრდება რაიონული ქალაქების, უპირველეს ყოვლისა, რეგიონული ქალაქების (რეგიონული მიზიდულობის ცენტრების)[255] სწრაფი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობა (რათა მოხდეს ამ ქალაქებში რეალური დასაქმების მიზნით სოფლიდან მოსახლეობის გარკვეულ ზომებში მიგრაცია). რეგიონულ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლებამოსილებები და ფუნქციები ასეთი ცენტრების უზრუნველველმყოფი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;

– იმისათვის, რომ რეგიონული ცენტრები ბიზნესის განვითარებისათვის უფრო მიმზიდველი გახდეს, საჭიროა რეგიონების დონეზეც ხელისუფლებას ჰქონდეს ბიზნესის განვითარების პროგრამირების, მისი სტიმულირებისა და, საჭირო შემთხვევებში, მხარდაჭერის ბერკეტები;

– დეცენტრალიზაციის თანამედროვე ტენდენციად ასევე მიიჩნევა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საერთო დანიშნულობის (ე. ი. არაკომუნალური) კერძო მეწარმეობის (ბიზნესის) მხარდაჭერის ფუნქციების გაფართოება. სხვადასხვა ქვეყანაში რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ხდება მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტული სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციის სტიმულირება, ვლინდება საკუთარი რეგიონული და ადგილობრივი ინიციატივა სამრეწველო სტრუქტურების მხარდაჭერასა და განმტკიცებაში, მართვის ტერიტორიული ორგანოებისა და კერძო სექტორის დარგობრივი ასოციაციების მონაწილეობით იქმნება „მეწარმეობის ინკუბატორები“, ინოვაციური ცენტრები, გადამზადების ცენტრები, საინვესტიციო ფონდები, ხდება მცირე და საშუალო საწარმოების შექმნისა და განვითარების სტიმულირება, ისახება „სამრეწველო ზონების“ შექნის პირობები და ხდება მათი ჩამოყალიბების სტიმულირება და ა.შ. ასეთი ღონისძიებების რეალიზაცია სისტემური ხასიათი მიიღო ჯერ კიდევ 70-იან წლებში საფრანგეთში “საგეგმო კონტრაქტების“ და სხვა მექანიზმების საფუძველზე და ამა თუ იმ ფორმით გავრცელდა ბევრ ქვეყანაში. ჩვენი აზრით, საქართველოში, მიზანშეწონილობის მიხედვით, თანდათანობით ასევე უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ღონისძიებები;

– დიდი მნიშვნელობაა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში კრიზისული მოვლენების არსებობის ფონზე, გააჩნია ტერიტორიული კოორდინაციის მექანიზმების, კერძოდ, საფინანსო-

[255] ბურდული ვ. საქართველოში რეგიონული სოციალური და ეკონომიკური “მიზიდულობის ცენტრების” განვითარების გზები. – ჟ. საქართველოს ეკონომიკა, 2006, №11; ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე. – თბილისი, “მერიდიანი”, 2006; Абесадзе Р., Бурдули В. Региональные аспекты ускорения социально-экономического развития Грузии. – Общество и экономика, 2011, №7.

საბიუჯეტო საქმიანობის (მათ შორის სუბსიდირების) მოწესრიგებას, მეურნეობრიობის ქვედა დონეზე.

დეცენტრალიზაციის პროცესის მიმდინარეობისას ტერიტორიული თვითმმართველობა საქართველოში ძირითადად უნდა გაძლიერდეს რეგიონული (სამხარეო) და ადგილობრივი თვითმმართველობის ქვედა (სოფელი, ქალაქი-რაიონის ცენტრი) დონეებზე. ამასთანავე, ჩვენი აზრით, რეგიონულ დონეზე არ არის საჭირო ძირითადი საქმიანობისაგან მოწყვეტილი დეპუტატების ინსტიტუტის შექმნა, არამედ საჭიროა მხოლოდ რეგიონული საბჭოს შექმნა მისი წევრების ანაზღაურების გარეშე, მაგრამ მათი სატრანსპორტო, სამივლინებო და ა. შ. ხარჯების დაფარვით, როგორც ეს მიღებულია ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში.

მაგალითად, ინგლისის რეგიონებში (არამეტროპოლიტენურ საგრაფოებში) და ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე რგოლში (არამეტროპოლიტენური და მეტროპოლიტენური საგრაფოებისა და დიდი ლონდონის რაიონები და ლონდონის მუნიციპალიტეტი) ადგილოებრივი საბჭოები იქმნება არაანაზღაურებადი დეპუტატების განსაზღვრული რაოდენობით, რომლებსაც შეუძლიათ გამოაცხადონ პრეტენზია ან ერთსახოვან საგადასახადო შედავათზე, ან იმ საფინანსო დანაკარგების ანაზღაურებაზე, რომლებიც გამოწვეულია მათი საქმიანობით საბჭოში, ასევე ხდება მათი სატრანსპორტო, სამივლინებო და ა. შ. ხარჯების ანაზღაურება. ისინი აირჩევიან 4 წლის ვადით, საბჭოში არჩევის კანდიდატი ან ქვეყნის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია, ან ასახავს ორგანიზაციულად გაფორმებულ ადგილობრივ ინტერესებს, ან დამოუკიდებელია[256]*. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტის აღნიშვნა საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის დიდი ბრიტანეთის გამოცდილებიდან. "1985 წლის აპრილამდე დიდ ლონდონს და მეტროპოლიტენურ საგრაფოებს ჰქონდათ საკუთარი საბჭოები, მაგრამ ადგილობრივი მართვის უფრო ეფექტიანი, ეკონომიური და კონტროლს დაქვემდებარებული სისტემის შექმნის მიზნით ისინი გაუქმებდა ადგილობრივი მართვის შესახებ 1985 წლის სამთავრობო აქტით. ამის შედეგად ბევრი ფუნქცია, რომელსაც ასრულებდნენ დიდი ლონდონის საბჭო და მეტროპოლიტენური საგრაფოების საბჭოები, გადაეცა ამ ტერიტორიების რაიონულ საბჭოებს"*[257].

ასეთი საბჭოს წევრები თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღებენ გადაწყვეტილებებს, ასევე საჭიროა მცირერიცხოვანი აღმასრულებელი ორგანო (სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი ორგანო; ქალაქებში, რა თქმა უნდა, მერია), რომელიც წარმართავს საფინანსო და სხვა სამეურნეო საქმიანობას და მიიღებს მონაწილეობას საქვეუწყებო ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში. ამასთან, რამდენადაც, აღნიშნული მიზეზების გამო, საჭიროა ტერიტორიული მიზიდულობის ცენტრების განვითარება, მიზანშეწონილია, რამდენიმე შერჩეულ რეგიონულ (სამხარეო) ცენტრს განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭოს (მაგალითად, ახალციხეს, ბათუმს, რუსთავს, ქუთაისს) გამკარგავი ფუნქციებისა და საბიუჯეტო უფლებების გაფართოებული ნუსხით (*მაგალითად, საფრანგეთში განსაკუთრებული სტატუსი აქვს ქქ. პარიზს, ლიონს და მარსელს* [258]). ქ. ფოთს კი, სტრატეგიული გეოეკონომიკური მდებარეობის გამო, მიზანშეწონილია რეგიონის (მხარის) სტატუსი მიეცეს (მაგალითად, ქქ. ჰამბურგს და ბრემენს გერმანიაში აქვთ "მიწის" ანუ რეგიონის სტატუსი).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოში სოფლის დონეზე საჭიროა საჯარო საფინანსო ნაკადების რეგლამენტაციის შესახებ კანონმდებლობის კარდინალური გაუმჯობესება. მაგალითად, ქვეყანაში აგრარული კრიზისის წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი იყო ირიგაციული, განსაკუთრებით, და, ასევე, მელიორაციული სისტემების ფუნქციონირების მხარდაჭერისათვის საჭირო სამუშაოების (რომლებიც მიეკუთვნება საჯარო სამუშაოების კლასს) დაუფინანსებლობა, რომელთა დაფინანსება, კერძო სახსრების გამოყენებასთან ერთად, უნდა ხდებოდეს სახელმწიფო და ტერიტორიული ბიუჯეტების ხარჯზე. ამიტომ, კანონმდებლობაში საჭიროა სოფლად აღნიშნული და სხვა საჯარო სამუშაოების დაფინანსების წესების მკვეთრი რეგლამენტირება.

დასკვნა

ამჟამად საქართველოში არსებული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავების სისტემა და ამ განვითარების კოორდინაციის მოქმედი მექანიზმი სრულად არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ამის შედეგად კი ძნელდება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ყველაზე სრული და ეფექტიანი ამოქმედება და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევა.

ჩვენი აზრით, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და რეგიონული მართვის ორგანოების *(დეცენტრალიზაციის თანამედროვე ნორმებისა და რეგიონული (სამხარეო) ხელისუფლების ინსტიტუტების ჩამოყალიბების შემდეგ)* კოორდინირებული ძალისხმე-

[256] ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე. თბილისი, "მერიდიანი", 2006, გვ. 29, 30; Григорьев С. Местное самоуправление в Великобритании. – Вопросы экономики, 1991, №5, გვ. 56, 56.

[257] Григорьев С. Местное самоуправление в Великобритании. – Вопросы экономики, 1991, №5, გვ. 55.

[258] Одинцова А. Территориальное управление во Франции. – Вопросы экономики, 1991, №5, გვ. 63.

ვით და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით საჭიროა თანამედროვე პირობებში აქტუალური და დასაბუთებული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მეურნეობრიობის რეგიონულ დონეზე გლობალიზებულ მსოფლიო-მეურნეობრივ სისტემაში უფრო ღრმა ჩართვისა და გლობალიზაციის მიერ მოცემული შესაძლებლობლების რაციონალური გამოყენების აუცილებლობის მხედველობაში მიღებით. სტრატეგიაში, კერძოდ, დასახული უნდა იყოს რეგიონების ჭრილში ბიზნესის განვითარების, რეგიონული წარმოების დივერსიფიკაციის, რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარების, ინოვაციური საქმიანობის განვითარების რეგიონული კოორდინაციის სრულყოფისა და ა. შ. გზები.

უახლოეს წლებში, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სრულყოფის სფეროში, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გააზრების საფუძველზე, საქართველოს სპეციფიკური თავისებურებებისა და ტრანსფორმაციული პერიოდის თავისებურებების მხედველობაში მიღებით, საჭიროა კოორდინაციის შესაბამისი სისტემის შემუშავება დეცენტრალიზაციის მიზანშეწონილი დონით და ბიზნესის განვითარებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობის სისტემის გაღრმავების აუცილებლობის გათვალისწინებით, ამ სისტემის სიფრთხილით და, სადაც შესაძლებელია, თანდათანობით დანერგვით *(თუმცა, სოფლის მეურნეობაში, მისი კრიტიკული მდგომარეობის გამო, "თანდათანობა" შეუძლებელია)*, ამასთან, კანონმდებლობაში შესაბამისი გადაწყვეტილებების ასახვით.

Vakhtang Burduli

PROBLEMS OF REGIONAL DEVELOPMENT

Annotation

This work suggests that the current coordination mechanism for regional development in post-Communist countries should be adapted to the conditions of globalization. Statistical analysis of the economic condition of Georgia was carried out. Statistical analysis showed: the gap of regions of Georgia according to GRP per capita indices from that of regions of Russia and Ukraine; the uneven level of welfare between the regions of Georgia; the low level of development in industry and some other activities in several regions of Georgia. Statistical analysis also revealed a low level of value added per one employed by the main activities. The main directions of improving the economic situation in the regions are outlined. Modern state of the coordination of regional development in Georgia is considered. Taking into account the experience of developed countries and of the peculiarities of transformation period the directions for improving strategy of the economic and social development of regions and for improving the system of coordination and stimulation of such development are given and grounded. Taking into account the modern experience of some developed and developing countries the ways of decentralization of public administration in Georgia are offered.

პრობლემა 6.

ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში

გიორგი ბერულავა
თეიმურაზ გოგოხია

ადამიანისეული კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ბიზნესის განვითარება საქართველოში

1. შესავალი

კონკურენტული უპირატესობის ზრდა არის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზაზე. კონკურენტუნარიანობა არის სახელმწიფოს უნარი, მიაღწიოს მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეებს და მოიპოვოს როგორც საექსპორტო, ასევე შიდა ბაზრების დიდი წილი. მსოფლიო გამოცდილება გვთავაზობს, რომ სახელმწიფოს (განსაკუთრებით, განვითარებადი ეკონომიკის პატარა სახელმწიფოს) კეთილდღეობა და განვითარება იმდენად არ არის დამოკიდებული მის ბუნებრივ სიმდიდრეზე, როგორც მის უნარზე, მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა უწყვეტი განახლებით და ადგილობრივი მრეწველობის სხვადასხვა დარგის გაუმჯობესებით. ეს უნარი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს სახელმწიფო უზრუნველყოს "ძირითადი ბაზა" იმ საქმიანობებისათვის, რომელიც "...იქნება ყველაზე პროდუქტიული სამუშაო ადგილების, ძირითადი ტექნოლოგიების და ყველაზე თანამედროვე კვალიფიკაციების ადგილი"[259]. შრომითი რესურსები წარმოდგენილია იმ ძირითად ფაქტორებს შორის, რომელიც მოიცავს ამგვარ "ძირითად ბაზას" და აქედან გამომდინარე განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

ქვეყნის შრომითი რესურსების კონკურენტული პოტენციალი ნიშნავს არა მხოლოდ პერსონალის რაოდენობას და ხარჯს, არამედ რთულ უნარ-ჩვევებს, რომელიც შეძენილია უმაღლესი განათლების და თანამედროვე კვლევების და მომზადების გზით, მენეჯერების კრეატულობით და ვალდებულებებით რესურსების გამოყენებაში, მენეჯერების უნარით, გარდაქმნას ადამიანური კაპიტალი უმაღლესი ხარისხის ფართო სამომხმარებლო საქონლად და მიაღწიოს მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ფაქტორების მრავალფეროვნება განსაზღვრავს ქვეყნის შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობას. ესენია: საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა, სიღარიბე და თანასწორობა; ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სისტემის საიმედოობა; და ინდივიდუალური კომპანიების მიერ დაქირავებული შრომითი რესურსების სტრატეგიების ეფექტურობა. სხვადასხვა შემსრულებლები და დაინტერესებული მხარეები პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე, კონკურენტუნარიანობა შრომითი რესურსების სფეროში მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას მთავარ დაინტერესებულ მხარეებს, ე.ი. მთავრობას, კერძო სექტორს და სამუშაო ძალას შორის.

ამ დოკუმენტის მიზანია, შეიქმნას წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეძლებს საქართველო გაზარდოს მისი მწარმოებლურობა და წარმოადგინოს შრომითი რესურსები და კომპანიების სპეციალიზებული უპირატესობები. ჩვენ დავიწყებთ არსებული მდგომარეობის და რეფორმების აღწერით შესაბამის დარგებში, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება და საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემები. მეორე, დავადგენთ არსებულ პრობლემებს და შესაძლებლობებს ამ სფეროებში. მესამე, განხილულ იქნება თითოეული დაინტერესებული მხარის ფუნქცია და მათი პოტენციალი, ხელი შეუწყონ საქართველოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის გაზრდას. მეოთხე, დეტალურად დამუშავდება პოლიტიკის რეკომენდაციები როგორც მთავრობის, ასევე კერძო სექტორისთვის.

2. არსებული მდგომარეობის ანალიზი

ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ არსებულ მდგომარეობას სფეროებში, რომელიც განსაზღვრავს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობას.

ეკონომიკური მდგომარეობა. დამოუკიდებლობის და 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, საქართველომ მიიღო ძლიერი დარტყმა მის სავაჭრო ურთიერთობების და ელექტროენერგიის იმპორტის შეფერხების გამო. 1990-იანი წლების შუა პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ მიაღწია მაკროეკონომიკურ სტაბილურობას "სტაბილიზაციის პროგრამის" განხორციელებით და, მოგვიანებით, 2003 წელს "ვარდების რევოლუციამ" ახალი ბიძგი მისცა ეკონომიკურ განვითარებას. მთავრობის მიერ დაწყებული ამბიციური რეფორმის პროგრამა ორიენტირებული იყო კორუფციასთან ბრძოლაზე, საქართველოში ბიზნესის პირობების მართვის გაუმჯობესებასა და

[259] პორტერი, მ.ე. (1990), სახელმწიფოების კონკურენტული უპირატესობა, თავისუფალი პრესა, ნიუ-იორკი, Ny, (გვ. 19).

გაძლიერებაზე. საქართველოს მიერ მსოფლიო ბანკისგან მიღებული მაღალი რეიტინგი[260], ასევე GDP-ს (მთლიანი შიდა პროდუქტი) რეალური ზრდის სტაბილური ტემპები მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ბიზნესის პირობების რეფორმის პროცესში.

მიუხედავად ამისა, ამჟამინდელი ეკონომიკის ზრდა არ იწვევს დასაქმების სხვადასხვა მაჩვენებლების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. დასაქმების სფეროში ძირითადი ტენდენციები რჩება სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის შემცირება და უმუშევრობის დონის ზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დასაქმების სტრუქტურამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები აღნიშნულ გარდამავალ პერიოდში. გარდამავალი პროცესის პირველი გავლენა დასაქმების ტენდენციაზე აისახება სახელმწიფოს სექტორის შემცირებულ გავლენაში დასაქმებაზე. მეორე, დასაქმების სტრუქტურაში თვით დასაქმებულთა წილი არსებითად იზრდება ოფიციალურად დასაქმებულთა წილის ხარჯზე. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება დასაქმების სტრუქტურაში იყო გადასვლა სამრეწველო და მომსახურების სფეროებიდან (ფართო განმარტებით) აგრარული სექტორში. განხილვის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წილი ორჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო წილი.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ დასაქმების, განსაკუთრებით თვითდასაქმების ზრდა, მოწინავე გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებში, ჩვეულებრივ, უკავშირდება მცირე და საშუალო ბიზნესის გაფართოებას. ეკონომიკური რეფორმები ამცირებს ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს, აქედან გამომდინარე, შესაძლებელს ხდის, მცირე და საშუალო საწარმოებმა გააფართოონ მათი საქმიანობა, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და გაზარდონ დასაქმება და პროდუქციის გამოშვება. თუმცა ეს ასე არ იყო საქართველოს შემთხვევაში. სხვა მოწინავე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში თვითდასაქმების წილის ზრდა ძირითადად დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სექტორის საქმიანობებთან. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საქმიანობები ძირითადად ორიენტირებულია ადგილზე მოხმარებაზე და რომ "სასოფლო-სამეურნეო სექტორში მომუშავეთა" მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ფერმაში მცხოვრებ, უფასოდ მომუშავე წევრებს, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ გაზრდილი თვითდასაქმება საქართველოში, ფაქტობრივად, მხოლოდ შენიღბულ უმუშევრობას ასახავს.

შრომის ბაზარზე, უკანასკნელი მოვლენების პირობებში, გასაკვირი არ არის, რომ ეკონომიკის ზრდამ უმნიშვნელო გავლენა მოახდინა სიღარიბესა და უთანაბრობაზე. როგორც აბსოლუტური სიღარიბის დონე – იმ მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომელიც ცხოვრობს საარსებო მინიმუმს ქვემოთ – ასევე, უთანაბრობა მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირდა განხილვის პერიოდში. საქართველოს კვლავ აქვს უდაბლესი მაჩვენებლები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (CEE) და ყოფილი საბჭოთა კავშირის (FSU) რესპუბლიკებს შორის ორივე შემთხვევაში. ჩვენ გვჯერა, ასეთი სიტუაცია იმ ფაქტის გამო არსებობს, რომ ამჟამინდელმა ეკონომიკურმა ზრდამ სტიმული ვერ მისცა ფორმალურ დასაქმებას და ვერ შეამსუბუქა უმუშევრობის პრობლემა.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მიღწევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მწარმოებლურობის ზრდა. მწარმოებლურობა ასახავს სამუშაო ძალის განათლების დონეს და წარმატებებს ტექნოლოგიის განვითარებაში და არის ეკონომიკური განვითარების მდგრადობის კარგი საზომი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველომ აჩვენა სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდის დადებითი ტემპები, საქართველოს ეკონომიკის ეფექტურობა კვლავ დაბალია. საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) ერთ სულ მოსახლეზე რჩება ერთ-ერთ ყველაზე დაბალ დონეზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი დაბალია ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა (FSU) რესპუბლიკებთან შედარებით და მნიშვნელოვნად დაბალია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) ან ბალტიისპირეთის ქვეყნებთან შედარებით. საქართველოში შრომის მწარმოებლურობა ასევე უფრო სუსტია, ვიდრე სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. მაგალითად, შრომის მწარმოებლურობა საქართველოში შეადგენს დაახლოებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (ჩეხეთი, უნგრეთი და ესტონეთი) მესამედს და მაღალ განვითარებადი ქვეყნების (ჰონკონგი, სინგაპური) და განვითარებული ქვეყნების (აშშ, გერმანია და იაპონია)[261] მეექვსედს.

შრომის მწარმოებლურობის ამგვარი დაბალი სიდიდე განსაზღვრავს, თუ რატომ არ არის საქართველოს ეკონომიკა კონკურენტუნარიანი და ასევე არ მეტყველებს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაზე. ეკონომიკური განვითარების ქვეყნების კონკურენტუნარიანობა უფრო და უფრო დამოკიდებულია კვალიფიციური და სამეწარმეო სამუშაო ძალის მისაწვდომობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელსაც შეუძლია აამაღლოს ქვეყნის მწარმოებლურობის დონეები

[260] ბიზნესის კეთება. 2009. როგორც განხორციელდება რეფორმა. www.doingbusiness.org

[261] წყაროები: Pen World Table Version 6.2, პენსილვანიის უნივერსიტეტში წარმოების, შემოსავლის და ფასების საერთაშორისო შედარების ცენტრი, მისაწვდომია: http://pwt.econ.upenn.edu/php_site/pwt62/pwt62_form.php.

და გაზარდოს დასაქმების მაჩვენებლები, არის კვალიფიკაციების ხარისხი, რომელსაც ფლობენ მუ-მუშაკები და ცოდნის დონე, რომელსაც უზრუნველყოფს განათლების სისტემა.

განათლება განათლება გადამწყვეტ როლს თამაშობს შრომითი რესურსების უნარ-ჩვევებითა და ცოდნით, და იმ ფაქტორებით უზრუნველყოფაში, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკურენტ-უნარიანობის ხელშეწყობასა და სახელმწიფოს მყარი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში. საქართ-ველოში განათლება და ცოდნა მისი ისტორიის მანძილზე ყოველთვის იმსახურებდა მაღალ შეფასებას. ამის ერთ-ერთი ნათელი სურათია ქვეყნის ძალიან მაღალი საერთო განათლების მაჩვენებელი (0.91) და მოზარდთა განათლების 100 პროცენტიანი მაჩვენებელი[262]. თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესმა, რომელიც საქართველოში დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისში, ღრმა კრიზისში ჩააგდო საქართველოს განათლების სისტემა. ეკონომიკურმა სირთულეებმა გამოიწვია განათლების დაფინანსების არსებითი შემცირება, რომელმაც მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა განათლების მთელ სისტემაზე, როგორიცაა განათლების ინფრასტრუქტურის გაუარესება, მასწავლებლების და სხვა პერსონალის დაბალი მოტივაცია, კორუფცია, სასწავლო მასალის და მოწყობილობის არასაკმარისობა და მოძველებული სასწავლო პროგრამა. გარდა ამისა, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლას თან არ ახლავს შესაბამისი ცვლილებები განათლების სტრატეგიასა და მეთოდებში. პრობლემის გადაწყვეტის შესწავლის და სტუდენტების კრიტიკული მოსაზრების კვალიფიკაციების და შესაძლებლობების ხელშეწყობის ნაცვლად, განათლების სისტემაში გამოიყენება სტანდარტული, მასწავლებელზე ცენტრირებული მეთოდები, რომელიც მიმართულია ინფორმაციის სტუდენტების თავში "ჩადებაზე".

განათლების სისტემის სოციალური არაეფექტურობის რეალიზების გათვალისწინებით, მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით საქართველოს მთავრობამ, დაიწყო ამბიციური რეფორმის პროგრამა მიმდინარე დეკადის დასაწყისში. ამ რეფორმის მიზანი იყო მოწინავე განათლების დონეების დადგენა საქართველოში მართვის, დაფინანსების და ხარისხის კონტროლის ახალი მეთოდების გამოყენებით. აღნიშნულმა რეფორმებმა შექმნა საკანონმდებლო საფუძველი უმაღლესი განათლების შესახებ კანონისთვის, რომელიც მიღებულია 2004 წელს, საერთო განათლების შესახებ კანონისთვის, რომელიც მიღებულია 2005 წელს და პროფესიული განათლების შესახებ კანონისთვის, რომელიც მიღებულია 2007 წელს. ქვემოთ ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ამ რეფორმის ძირითად ასპექტებს განათლების სამ სექტორში: საშუალო, უმაღლესი და პროფესიული განათლება.

საშუალო განათლება ამ რეფორმის ძირითადი საფუძვლები აღნიშნულ სექტორში არის შემდეგი:

- ზოგადი განათლების 12 წლიან პროგრამაზე გადასვლა, რომელიც მოიცავს სამ ეტაპს (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) და 12 წლიანი ზოგადი განათლების უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისთვის;
- მართვის დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის ხელშეწყობა და სკოლების დამოუკიდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო-სამართლებრივ პირებად დაფუძნებით და სკოლის არჩეული სამეურვეო საბჭოს წარდგენით, რომელიც ახორციელებს ფუნქციას, როგორც გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო სასკოლო ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან საკითხში;
- ცვლილებები დაფინანსების სტრუქტურაში, რომელიც ახორციელებს ვაუჩერული სისტემის დანერგვას ან სასწავლო დაწესებულებების გადართვას ერთ სულზე დაფინანსების სისტემაზე.

- ეროვნული სასწავლო პროგრამის და შეფასების ცენტრის დაფუძნება და ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება, რომლის სტანდარტები დაცული უნდა იყოს ყველა საგან-მანათლებლო დაწესებულების მიერ.
- ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის განხორციელება განათლების და მეცნიერების სამინისტროს (MES) მიერ, რომელიც აფასებს სასწავლო პროცესის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სკოლის აკრედიტაციის პროცესის მეშვეობით.
- მასწავლებელთა დონის და პირობების გაუმჯობესება მასწავლებელთა სასწავლო (ტრენინგი) პროგრამების უზრუნველყოფით და მატერიალური წახალისების სისტემის დანერგვით.
- სკოლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სასკოლო მოწყობილობების კომპიუტე-რიზაცია.

უმაღლესი განათლება. ამ რეფორმის მთავარი მიზანი აღნიშნულ სექტორში არის საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრაცია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში. ამ მიზნის მისაღწევად მიმდინარე პერიოდში უმაღლესი განათლების სისტემაში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

[262] UNDP. საქართველოს ჰუმანური განვთარების ანგარიში 2008: რეფორმები და რეფორმების მიღმა. 2008. http://hdrstats.undp.org/countries/data_sheets/cty_ds_GEO.html

• ეროვნული საგამოცდო ცენტრის დაფუძნება უნივერსიტეტის სტანდარტიზებული მისაღები გამოცდების ადმინისტრირების მიზნით.

• უნივერსიტეტის სტანდარტიზებული სახელმწიფო მისაღები გამოცდების დანერგვა, რომელმაც შეამცირა კორუფცია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და უზრუნველყო პროცესის გამჭვირვალობა და აბიტურიენტების შეფასების ობიექტურობა.

• ჩამოყალიბდა განათლების პროცესის ხარისხის ეფექტური კონტროლის და მისი უწყვეტი გაუმჯობესების სისტემა, დაინერგა ინსტიტუტების და პროგრამის აკრედიტაციის წესები.

• დაინერგა ევროპული კრედიტის გადაცემისა და აკუმულირების სისტემა (ECTS) უმაღლესი განათლების სამივე დონეზე (ბაკალავრი, მაგისტრატურა და დოქტორის ხარისხი).

• განათლების პროცესი გახდა უფრო მოქნილი, ის საშუალებას აძლევს სტუდენტებს, განახორციელონ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის ფორმულირება, მიიღონ უფრო მეტი სპეციალიზებული ცოდნა და შეისწავლონ მათთვის განსაკუთრებული ინტერესის დისციპლინები.

• საერთო ჯამში, უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა მიიღო მეტი დამოუკიდებლობა.

პროფესიული განათლება. პროფესიული განათლება მოიცავს განათლების ორ დონეს: პირველი, ქვედა დონე, პროფესიული უნარ-ჩვევების შესწავლისთვის (რომელსაც ახორციელებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული "პროფესიული ცენტრები" და, პოტენციურად, კერძო სკოლები), და მეორე – პროფესიულ-ტექნიკური უმაღლესი განათლებისთვის. პროფესიული განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, პროფესიული განათლების მთავარი მიზნებია: უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკა სამუშაო ძალით, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზრებზე; უზრუნველყოს ინდივიდუალური პროფესიული განათლების მყარი სისტემის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბევრი მოქალაქისთვის; გაზარდოს დასაქმება ქვეყანაში და უზრუნველყოს სოციალური დაცვის გარანტია.

განსაზღვრული მიზნის მისაღწევად პროფესიული განათლების რეფორმის მიმართულებები არის შემდეგი: პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ქსელის შექმნა ქვეყნის ამჟამინდელი, ასევე მომავალი მოთხოვნების სათანადოდ გათვალისწინებით; პროფესიული სწავლების დაკავშირება ცალკეული რეგიონების პირდაპირ მოთხოვნებთან და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის უზრუნველყოფა იმ შესაძლებლობით, რომ მიუახლოვდეს და საბოლოოდ ინტეგრირდეს ევროპული განათლების სივრცეში.

ამბიციური რეფორმის პროგრამებს განათლების ყველა სფეროში შეხვდა სერიოზული დაბრკოლებები, რის შედეგადაც რეფორმის შედეგები ხშირად არ შეესაბამებოდა სასურველ მიზანს.

• ამ რეფორმის ძირითადი საფუძველი იყო განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და სასწავლო დაწესებულებების "ავტონომიით" უზრუნველყოფა. თუმცა, სინამდვილეში, მეცნიერების და განათლების მთელი სახელმწიფო სექტორის სახელმწიფო მართვა კვლავ უკიდურესად ცენტრალიზებულია. საგანმანათლებლო ინსტიტუტების აღიარებული "ავტონომია" დარჩა უბრალო განცხადებად, რომელსაც მცირე კავშირი აქვს რეალურ სიტუაციასთან. განათლების და მეცნიერების სამინისტროს კვლავ გააჩნია ძლიერი პოლიტიკური ინსტრუმენტები, გამოიყენოს დისკრეციული უფლება სასწავლო დაწესებულებების ფუნქციონირებაში საოპერაციო დონეზეც კი.

• განათლების სისტემაში არსებობს დაბრკოლებები, რომელიც ხელს უშლის მუდმივი უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის შექმნის შესაძლებლობებს. მაგალითად, პროფესიული განათლების მქონე სტუდენტებს, რომლებიც შევიდნენ პროფესიულ ცენტრებში საშუალო განათლების ატესტატის გარეშე (რომელიც ნებადართულია კანონით), კანონის შესაბამისად არ აქვთ შესაძლებლობა, გააგრძელონ სწავლა მომდევნო მაღალ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დონეზე, ამისათვის საჭირო საშუალო სკოლის ატესტატი. ამ სტუდენტებისთვის არჩეული განათლების გზა გახდა გამოუვალი ჩიხი, რადგან მათ არ შეუძლიათ დაასრულონ საშუალო სწავლება პროფესიული ცენტრის ფარგლებში.

• განათლების მიმდინარე რეფორმის მთავარი მიზნები იყო განათლების პროცესის ტრადიციული მეთოდების, ფორმების, ორგანიზაციების, სისტემების შეცვლა ახალი "პროგრესული" მეთოდებით, რაც უზრუნველყოფდა განათლების ხარისხს. უმეტეს შემთხვევაში, ამგვარი ცვლილებები იყო "ფორმალური" სახის და მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა ჰქონდა საგანმანათლებლო პროცესების ხარისხზე.

• ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია სამაგისტრო და სადოქტორო დონის პროგრამებისთვის, რომლებიც ხშირად არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი სახელმძღვანელოებით და მასალებით. გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების შინაარსს შორის. სადოქტორო დონეზე სწავლების ხარისხი შემცირდა კიდეც რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით.

• ზოგადად, უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა ვერ უზრუნველყვეს სასწავლო პირობები, რომელიც სტიმულს აძლევს დამოუკიდებლობას, კრეატულობას და სამეწარმეო მიდგომას – რომელთაგან ყველა ძალზე მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების განვითარებისთვის.

• მოვლენების ანალიზმა შრომით ბაზარზე აჩვენა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა კურსდამთავრებულების ცოდნას, რომელიც გამოავლინეს უნივერსიტეტებიდან და სხვა სასწავლო დაწესებულებებიდან, და იმ კვალიფიკაციებს შორის, რომელიც მოთხოვნილებით სარგებლობს ბაზარზე. ეს მიუთითებს სასწავლო დაწესებულებებსა და კერძო ბიზნესს შორის თანამშრომლობის ნაკლებობას.

საერთო ჯამში, განათლების სისტემამ, მიუხედავად ამბიციური რეფორმის მცდელობისა, კვლავ ვერ უზრუნველყო განათლებული და კვალიფიციური შრომითი რესურსების აღზრდა, რომელთაც აქვთ სწრაფი ადაპტირების უნარი გარემოებების შეცვლის შემთხვევაში.

3. ნაკლოვანებისა და შესაძლებლობების ანალიზი

მიმდინარე სიტუაციის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ ფაქტორების ორი დიდი ჯგუფი, რომელიც აფერხებს კონკურენტულ შრომით რესურებს საქართველოში, ესენია: "მოთხოვნის" და "მიწოდების" ფაქტორები.

მთავარი ნაკლოვანება მოთხოვნის მხარეზე, დაკავშირებულია მთავრობის უუნარობასთან, უზრუნველყოს მყარი ეკონომიკური განვითარების გარემო, სადაც ყურადღება ექცევა ბიზნესის აყვავებას, ინოვაციებზე დაფუძნებულ ინვესტიციებს და მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემას, და სადაც შექმნილია სამუშაო ადგილები და არსებობს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი შრომითი რესურსების მოთხოვნა.

საქართველომ განახორციელა ძირითადი რეფორმები, რომლის მიზანია ბიზნესპირობების გაუმჯობესება და მიაღწია ზრდის მაღალ ტემპებს. თუმცა, ეკონომიკური ზრდის ხარისხი კვლავ დაბალი რჩება ეკონომიკური და სოციალური მდგრადობის თვალსაზრისით. კერძოდ, აღნიშნული ზრდა არ უკავშირდება არც ინოვაციებს და ინვესტიციას მაღალი ტექნოლოგიების სამრეწველო დარგებში, და არც მცირე და საშუალო მეწარმეების საქმიანობის გაფართოებას, არც სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას და თანაბრობას შემოსავლების განაწილებაში, არც სიღარიბის შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესპირობების გაუმჯობესებამ გაზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი, ზრდა საქართველოში უმთავრესად უკავშირდება ჭარბ აბსორბციას და კრედიტის გაფართოებას, ასევე უცხოურ ინვესტიციებს, ძირითადად არა სავაჭრო საქონლის წარმოების სექტორებში. ზრდის დაბალი ხარისხი ნიშნავს იმას, რომ ძალიან რთული იქნება მისი შენარჩუნება მომავალში, განსაკუთრებით მაშინ, როცა პრივატიზაციის პროცესი და თანმხლები კაპიტალის შედინება დასრულდება. ჩვენ განვსაზღვრეთ ფაქტორების ორი დიდი კატეგორია, რომელიც გამორიცხავს მდგრადი ეკონომიკის განვითარების მიღწევას საქართველოში. ეს ფაქტორებია: "საბაზრო ნაკლოვანებები" და "სახელმწიფო ნაკლოვანებები".

"საბაზრო ნაკლოვანებები" ასახავს იმ ფაქტს, რომ ქართული ეკონომიკა შეჩერდა წონასწორობის დაბალ დონეზე, რომელიც ხასიათდება არასაკმარისი ინვესტიციით ინოვაციასა და ტექნოლოგიაში და შესაბამისად განვითარებისთვის უმნიშვნელო შანსებით. არც საბაზრო ძალებს, არც სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება "ჩაურევლობის" პრინციპს, არ შეუძლია უზრუნველყოს საჭირო "ბიძგი" მაღალი დონის წონასწორობისთვის და აქედან გამომდინარე მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპისთვის.

"სახელმწიფო ნაკლოვანებები" საქართველოში ძირითადად გულისხმობს პრობლემებს სამართლის ნორმების დადგენასა და დაცვაში საზოგადოებაში და სასამართლო სისტემის ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში. სამართლის ნორმების უნდობლობა ხელს უშლის გრძელვადიანი ინვესტიციების სტიმულირებას ტექნოლოგიის განვითარებაში და ინოვაციებში; ასევე ვერ უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა ეკონომიკური წარმომადგენლისთვის და შესაბამისად აფერხებს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

ამგვარ ეკონომიკურ პირობებში ძალიან დაბალია კომპანიების მოტივაცია, შეიძინოს "თანამედროვე დონის" ტექნოლოგიები და შეისწავლოს ღირებული შრომითი უნარ-ჩვევები. არსებული პრობლემების გადაწყვეტა, ე.ი. ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ყურადღებით შემუშავება, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციებზე და მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემაზე, თანაბარი პირობების უზრუნველყოფა ყველა ეკონომიკური წარმომადგენლისათვის და კონკურენტულ გარემოს შექმნა, თავისთავად წარმოადგენს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი შრომითი რესურსების მოთხოვნის განვითარების შესაძლებლობას.

ამ მედლის მეორე მხარე არის ის, რომ ეკონომიკამ ვერ უზრუნველყო კვალიფიციური შრომითი რესურსების მიწოდება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამგვარი მოთხოვნა არსებობს. მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა მასშტაბურ ინფრასტრუქტურის პროექტებზე (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი) ან უძრავ ქონებაზე (სასტუმროები, დასასვენებელ შენობა-ნაგებობებზე), სადაც სამშენებლო სამუშაოები სრულდებოდა ძირითადად "უცხოელი" სამუშაო ძალის მიერ. საკითხის არსი არის ის, რომ შრომის ადგილობრივმა ბაზარმა ვერ უზრუნველყო შრომითი რესურსები იმ უნარ-ჩვევებით, რომელიც საჭიროა ამ პროექტების განხორციელებისთვის. მაღალი ხარჯების მიუხედავად, უცხოელმა ინვესტორებმა ამჯობინეს, გამოეყენებინათ სათანადოდ კვალიფიციური "უცხოელი" მუშები, ვიდრე იაფი ადგილობრივი შრომითი რესურსები, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები. შესაბამისად, ის, რომ საქართველოს განათლების სისტემამ ვერ უზრუნველყო საჭირო მსოფლიო

კლასის კვალიფიკაციები ან, ნაწილობრივ, სწრაფად ვერ დააკმაყოფილა ახალი ბაზრის მოთხ-მოთხოვნები, განსაზღვრავს თუ რატომ ვერ შექმნა სამუშაო ადგილები ან არ შეამცირა სიღარიბე ახლანდელმა უზარმაზარმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ და თანმხლებმა მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ.

საქართველოს განათლების სისტემის არაადეკვატურობის სხვა ნათელი სურათი მოწინავე კვალიფიციური შრომითი რესურსების უზრუნველყოფაში არის ქართული ღვინის წარმოების მრეწველობის მდგომარეობა. ამ მრეწველობის, რომელიც ასე მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის, კონკურენტუანარიანობის უკანასკნელმა ანალიზმა აჩვენა, რომ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, ღვინის წარმოებას აქვს შეზღუდული შესაძლებლობა მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა მსოფლიო ბაზარზე[263]. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ღვინის მრეწველობის კონკურენტუნარიანობას, არის თანამედროვე შრომითი უნარ-ჩვევების ნაკლებობა. მიუხედვად იმისა, რომ, როგორც ჩანს, საქართველოს აქვს უპირატესობა დაბალკვალიფიციურ სამუშაო ძალაში, როგორც ხარჯების, ასევე მისაწვდომობის თვალსაზრისით, არსებობს მნიშვნელოვანი დაბრკოლება კვალიფიციური შრომითი რესურსების ხელმისაწვდო-მობასთან, ხარისხსა და ხარჯთან დაკავშირებით. უპირველესად, არსებობს მაღალკვალიფიციური ღვინის ტექნოლოგების, მევენახეობის მენეჯერების და მარკეტინგის სპეციალისტების დიდი ნაკლებობა. კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი დიდად არის ურთიერთდაკავშირებული მევენახეობის დაბალი დონის მენეჯმენტთან და უუნარობასთან, სრულად იქნეს გამოყენებული საქართველოს კლიმატური უპირატესობანი. თუმცა, არსებობს სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, როგორიცაა მეღვინეობის და მევენახეობის ინსტიტუტები და რამდენიმე სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულება საქართველოში, მათი გავლენა ღვინის მრეწველობის ეფექტურობაზე ძალიან დაბალია, ექსპერტების აზრის შესაბამისად. ყველაზე მოწინავე კომპანიები ამჯობინებენ, მოამზადონ სპეციალისტები და მიიღონ თანამედროვე ცოდნა და ტექნოლოგიები საზღვარგარეთიდან. ეს ნაწილობრივ ხსნის ქართული ღვინის მრეწველობის კვალიფიციური შრომითი რესურსების, თანამედროვე ტექნოლოგიების და მევენახეობის მართვის გამოცდილების ნაკლებობას. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მდგომარეობა ქართული მრეწველობის სხვა დარგებში თანამედროვე კვალიფიციური შრომითი რესურსების არსებობასთან დაკავშირებით, დაახლოებით ანალოგიურია იმ მდგომარეობის, რომელშიც იმყოფება ღვინის მრეწველობა.

ჩვენ წინა ნაწილში განვიხილეთ მთავარი სისუსტე და ნაკლოვანება საქართველოს განათლების სისტემაში. აშკარაა, ამ სისტემის გაუმჯობესება წარმოადგენს დიდ შესაძლებლობას მეტი კონკურენტული შრომითი რესურსების უზრუნველსაყოფად. თუმცა, ჩვენი სურვილია, აღვნიშნოთ შესაძლებლობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მწარმოებლურობის და შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ჩვენი აზრით, ძლიერი კავშირების დამყარება კერძო სექტორსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის მნიშვნელოვნად გაამარტივებს და ხელს შეუწყობს ბაზარზე მოთხოვნილი კვალიფიკაციებით და კომპეტენციებით აღჭურვილი შრომითი რესურსების ზრდას.

შემდეგ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ თითოეული დაინტერესებული მხარის როლს ამ პროცესში.

4. თითოეული დაინტერესებული მხარის შესაძლო როლის განსაზღვრა

მსოფლიო გამოცდილების შეთავაზების შესაბამისად, სახელმწიფოს კონკურენტული შრომითი რესურსების წარმატებით განვითარების მიზნით, საჭიროა თანამშრომლობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებს, ე.ი. კერძო სექტორს, მთავრობას და სამუშაო ძალას შორის. ბიზნესის პირობების ანალიზი საქართველოში გვთავაზობს, რომ ურთიერთკავშირი მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის რეგულირდება უნდობლობით და არა ერთობლივი ფასეულობებით. თითოეული მონაწილე ცდილობს, მაქსიმალურად გაზარდოს საკუთარი სარგებელი (მაგ., მთავრობა ცდილობს, გაზარდოს შემოსავლები გადასახადებისგან, მომუშავეები ცდილობენ ხელფასების გაზრდას, კერძო ბიზნესი – მოკლევადიან მოგებას) მთელი სისტემის ღირებულების მაქსიმალურად გაზრდის ხარჯზე. აქედან გამომდინარე თანამშრომლობის ხელშეწყობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის ერთობლივი ღირებულებების, ღონისძიებების და პოლიტიკის შექმნაში, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიღწევაზე არის კიდევ ერთი შესაძლებლობა შრომითი რესურსების განვითარებისთვის. ქვემოთ ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ თითოეული მონაწილის როლს ამ პროცესში.

მთავრობამ უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი საერთო სისტემის ხელშეწყობაში, რომლის მიზანია კონკურენტული შრომითი რესურსების წახალისება როგორც "მოთხოვნის", ასევე "მიწოდების" მხარეზე გავლენის საფუძველზე.

[263] გ. ბერულავა. "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გავლენები ევროკავშირთან ქართული ღვინის მრეწველობაზე: კონკურენტუანრიანობის ანალიზი". GEPLAC კვლევის დოკუმენტი, 2008 წლის დეკემ-ბერი.

“მოთხოვნის-მხარის” პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ საქართველოს მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს “ჩაურევლობის” პრინციპისგან და აწარმოოს ეკონომიკური განვითარების აქტიური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია საწარმოო სტრუქტურების დინამიკურ გარდაქმნაზე. მთავრობამ ასევე უნდა შექმნას ბიზნეს და სამართლებრივი გარემო, რაც ხელს შეუწყობს ეფექტური ბაზრის მექანიზმების გამოვლენას და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა ეკონომიკური წარმომადგენლისათვის გაფართოების მიზნით. აღნიშნული პოლიტიკა შექმნის ძლიერ მოთხოვნას თანამედროვე უნარ-ჩვევებსა და მაღალპროდუქტიულ შრომით რესურსებზე.

“მიწოდების მხარის” პოლიტიკა გავლენას ახდენს ეკონომიკის უნარზე, უზრუნველყოს კონკურენტული ადამიანური კაპიტალი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განათლების სოციალური ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება კერძო სარგებელს, “ჩაურევლობის” სისტემის საფუძველზე წარმოიქმნება შესაბამისი განათლების და სწავლების დეფიციტი. “ბაზრის ნაკლოვანებების” გადაწყვეტის მიზნით, მთავრობა უნდა იყოს მთავარი ინვესტორი განათლების სექტორში. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ინსტიტუტების საქმიანობა, რაც უზრუნველყოფს განათლებულ და კრეატიულ შრომით რესურსებს და ხელს შეუწყობს სწრაფ და კომპლექსურ კვლევას და განვითარებას. მთავრობამ ასევე სტიმული უნდა მისცეს კომპანიებს და სამუშაო ძალებს, განახორციელონ ინვესტიცია განათლებასა და შრომითი რესურსების განვითარებაში.

კერძო ბიზნესს შეუძლია შეასრულოს ასევე მნიშვნელოვანი როლი შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის განვითარებაში. ქართულმა კომპანიებმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს მათი ხარჯები პერსონალის განათლებასა და მომზადებაზე, მათი ორიენტაციის შეცვლაზე მოკლევადიანი შემოსავლებიდან (იაფი, არაკვალიფიციური მუშახელის გამოყენება) გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიმართულებით (რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე, კვალიფიციური, მაღალპროდუქტიული შრომითი რესურსების დაქირავებაზე). კერძო ბიზნესს ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს სასწავლო დაწესებულებებს იმით, რომ უზრუნველყოს ისინი უნარ-ჩვევების და კომპეტენციების ჩამონათვალით, რომელიც მოთხოვნილებით სარგებლობს ბაზრებზე. სხვა ძირითადი გზა, რომლის მეშვეობითაც კერძო ბიზნესს შეუძლია შეიტანოს წვლილი სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობაში, არის თანამედროვე შრომითი რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკის და სტრატეგიების გამოყენება.

კერძო ბიზნესის და მთავრობის მსგავსად, სამუშაო ძალამ ასევე უნდა გაინაწილოს პასუხისმგებლობა შრომითი რესურსების განვითარებისთვის ჩადოს ინვესტიცია კვალიფიკაციასა და განათლებაში, რომელიც მოუტანს დიდ კერძო სარგებელს. მუშაკების პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნების და უნარ-ჩვევების შეძენის პროცესში და მწარმოებლურობის გაზრდაში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფის მიზნით, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სოციალურ ასპექტს. ბიზნესისა და მართვის შესახებ ლიტერატურიდან ცნობილია, რომ შრომითი რესურსების პროდუქტიულობა და კრეატულობა განისაზღვრება ბიზნესში მათი რისკის და სოციალური სამართლიანობის აღქმით. ამ კონტექსტში, საქართველოს შრომის კოდექსმა, რომელიც მუშაკებს უფლებებს ართმევს დამქირავებლის სასარგებლოდ და შესაბამისად უზრუნველყოფს სოციალური უსამართლობის საფუძვლებს, შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს შრომითი რესურსების მონაწილეობაზე მწარმოებლურობის და კონკურენტუნარიანობის ზრდის პროცესში.

მნიშვნელოვანი მხარდაჭერა თანამშრომლობის გამარტივებაში მთავრობას, მენეჯმენტსა და მუშახელს შორის შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, UNDP (გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა) და სხვები. აღნიშნულ ორგანიზაციებს გააჩნიათ დიდი მსოფლიო გამოცდილება და შეუძლიათ უშუალოდ გაუწიონ დახმარება დაინტერესებულ მხარეებს პროგრამების შემუშავებაში, რაც უზრუნველყოფს განათლების გაუმჯობესებულ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს არსებული შრომითი რესურსების პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამგვარი დახმარების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია მსოფლიო ბანკის მიერ საწარმოების რესტრუქტურიზაციის და მართვის ხელშეწყობის პროექტი (CERMA), რომელიც განხორციელდა საქართველოში 1990-იანი წლების შუა პერიოდში. ამ პროგრამამ შეუფასებელი წვლილი შეიტანა კერძო სექტორის განვითარებაში საქართველოში, რომელიც ამარაგებს ადგილობრივ საწარმოებს თანამედროვე მმართველობითი კვალიფიკაციით და ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას.

5. დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჩვენ ყურადღებით დავამუშავეთ რეკომენდაციების ორი დიდი ჯგუფი, შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის პრობლემის ორი ასპექტის შესაბამისად. რეკომენდაციების პირველი ჯგუფი ორიენტირებულია “მოთხოვნის მხარის” ფაქტორებზე და მისი მიზანია ეკონომიკური განვითარების პროცესის შემდგომი ზრდა საქართველოში დაბრკოლებების გადალახვის გზით, რომელიც შეიქმნა როგორც “საბაზრო ნაკლოვანებების”, ასევე “სახელმწიფო ნაკლოვანებების” შედეგად. კერძოდ:

- საქართველოს მთავრობამ თავი უნდა აარიდოს “ჩაურევლობის” პრინციპს და აწარმოოს ეკონომიკური განვითარების აქტიური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია საწარმოო სტრუქტურების დინამიკურ გარდაქმნაზე. ამგვარი პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს: იმ სექტორების

დადგენას, რომელიც წარმოადგენს სამრეწველო განვითარების საფუძველს (ეს უნდა იყოს არატრადიციულ ექსპორტზე ორიენტირებული სექტორები, რომელიც მოიცავს ახალ ტექნოლოგიებს და ცოდნას); განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ორიენტირებულია ინვესტიციების სტიმულირებასა და მოზიდვაზე მრეწველობის შერჩეულ დარგებში; უზრუნველყოფს სამრეწველო პოლიტიკის საიმედო წარმოებას, რომელიც ნიშნავს მკაცრი კონტროლის განხორციელებას საწარმოების საქმიანობაზე და დისციპლინის დამყარებას.

• მთავრობამ უნდა შექმნას ბიზნესგარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური ბაზრის მექანიზმების გამოვლენას კონკურენციის პროცესის და ახალი საწარმოების შექმნის პროცესების სტიმულირების მეშვეობით; რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ შეღწევას ბაზარზე; აქტიურად აწარმოებს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას; აღადგენს ანტიმონოპოლიურ სააგენტოებს და ანიჭებს სათანადო უფლებამოსილებას და სტატუსს, ეფექტურად აწარმოოს კონკურენტული პოლიტიკა; ადგენს მკაფიო წესებს ბაზრის წარმოებისთვის ყველა ეკონომიკური წარმომადგენლისათვის გამონაკლისის გარეშე და ხელს უშლის ნებისმიერ შესაძლებლობას არაპროდუქტიულ და გამოძალვით საქმიანობებთან დაკავშირებით; გამორიცხავს ნებისმიერ შესაძლებლობას მთავრობისთვის, მონაწილეობა მიიღოს საკუთრების გადანაწილების პროცესში.

• დღესდღეობით საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის გაუმჯობესება სამართლებრივი და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებით, თუ უნდა მიაღწიოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების მიზნებს.

• რეკომენდაციების მეორე ჯგუფი ორიენტირებულია ქართული ეკონომიკის შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს შრომითი რესურსები, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე და საჭირო კვალიფიკაციებით და ცოდნით. კერძოდ:

• მთავრობამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ინვესტიციები განათლებაში, უპირველესად, ყველასათვის უნდა უზრუნველყოს საბაზო განათლების ხელმისაწვდომობა. ყურადღებით უნდა შემუშავდეს სპეციალური პოლიტიკა განათლების გაუმჯობესების და სკოლის დატოვების შემცირების მიზნით. ყველა აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ადამიანები აღიჭურვონ სათანადო ცოდნით, მათ შორის საბაზო უნარ-ჩვევებით რომელიც წარმოადგენს წინაპირობას კვალიფიკაციების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

• მთავრობამ უნდა განახორციელოს სპეციალური მასტიმულირებელი ღონისძიებები კერძო სექტორისთვის, რათა გააფართოოს მისი მონაწილეობა განათლებასა და შრომითი რესურსების განვითარებაში. მაგალითად, კორპორაციული გადასახადების შემცირება შეიძლება დაკავშირებული იყოს მოტივაციებთან მომზადებასა და აღჭურვაში გაზრდილ ინვესტიციებთან დაკავშირებით.

• რომ გაიზარდოს შრომითი რესურსების პროდუქტიულობა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუშაკთა სოციალური დაცვა. ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს შრომის კოდექსში, რაც უფლებამოსილებას მიანიჭებს მუშაკებს მათ დამქირავებლებთან ურთიერთობაში. აღნიშნულმა ცვლილებებმა კანონმდებლობაში ასევე უნდა უზრუნველყოს ის, რომ დაქირავებულებმა მიიღონ უწყვეტი მომზადების და სწავლის შესაძლებლობები.

• სასწავლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს სამეწარმეო კულტურა, რაც საჭიროებს ამ დაწესებულებების ხელმძღვანელობის მეთოდების მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს ცვლილებები აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო დაწესებულებების შესაძლებლობები, შექმნას ახალი კვალიფიკაციები ახალი სამუშაო ადგილების საპასუხოდ, ასევე გააუმჯობესოს შრომითი რესურსების ადაპტირების უნარი.

• სასწავლო დაწესებულებებში სწავლების მეთოდები და სასწავლო გეგმა მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად: სასწავლო პროგრამაში გადაცემადი უნარ-ჩვევების შეტანა სწავლების ყველა დონეზე; გამოცდის და ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებული მეთოდები; სწავლების და კვლევის მეტი ინტერდისციპლინურობა; სასწავლო პროგრამების სოციალური და ეკონომიკური რელევანტობა და პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო განათლების დონეზე.

• ხელი უნდა შეეწყოს მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას კერძო ბიზნესსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის შეთავაზებულ კვალიფიკაციებსა და კომპეტენციას და მოთხოვნილ კვალიფიკაციებსა და კომპეტენციას შორის შეუსაბამობის გამორიცხვის მიზნით. ამ მიზნით ხელსაყრელი პირობა უნდა შეიქმნას თანამშრომლობისთვის სასწავლო დაწესებულებებსა და საწარმოებს შორის. ამგვარი თანამშრომლობა უნდა გახდეს სასწავლო დაწესებულებების სტრატეგიის ნაწილი, ამავე დროს, კერძო საწარმომ უნდა დააფუძნოს სპეციალური საბჭო სასწავლო დაწესებულებებთან ურთიერთობის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს უწყვეტი იდენტიფიკაციით ბაზრებზე მოთხოვნილებით მოსარგებლე კვალიფიკაციების გაუმჯობესება / განახლებას და სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებას.

• განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს უწყვეტი განათლების შესაძლებლობები სამართლებრივ და მარეგულირებელ სტრუქტურაში არსებული დაბრკოლებების გამორიცხვით, მაგალითად, საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს განათალებას შორის გაუმჯობესებული გადასვლის უზრუნველყოფით.

• კერძო საწარმოებმა უნდა გამოიყენოს თანამედროვე შრომითი რესურსების მართვის მეთოდები, რომელიც ორიენტირებულია მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და სამუშაო ადგილზე მომზადების და განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე, მაგ., კვალიფიკაციების შედგენის და კომპეტენციის გამოსახვის მეთოდები.

George Berulava
Teimuraz Gogokhia

THE ENHANCEMENT OF THE COMPETITIVENESS OF HUMAN RESOURCES AND BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

The goal of this paper is to provide insight into how Georgia can increase its productivity and give its human resources and companies specialized advantages. In this study the current situation and reforms in relevant areas such as economic development and education is described. The existing problems and opportunities in these spheres as well as the role of each stakeholder and their potential to contribute to the enhancement of Georgia's human resource competitiveness is identified. On the basis of above analysis some policy recommendations for both government and private sector are elaborated.

ეთერ კაკულია

მცირე ბიზნესის განვითარების კანონზომიერებები საქართველოში

მცირე ბიზნესის არსი, მნიშვნელობა და კრიტერიუმები. ბიზნესი ინგლისურენოვანი ტერმინია, მის სამშობლოდ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია ამერიკის შეერთებულიშ ტატები. ამ ტერმინმა დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა და უამრავ მონათესავე ტერმინთა მნიშვნელობა შეითავსა: პროფესია, საქმე, მეწარმეობა, გარიგება, საქმიანი წრეები, საქმიანი ცხოვრება, უბრალოდ, წყარო შემოსავლისა და ა.შ. [8, გვ.11]. დღეისათვის ეკო ნომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის უამრავი განმარტება არსებობს. მკვლევართა უმრავლესობა ბიზნესს მოგების მიღების წყაროდ მიიჩნევს. ზოგიერთი ავტორი არამომგებიანი ბიზნესის არსებობასაც უშვებს. მაგალითად, დ. ნიდლი ბიზნესს განიხილავს, როგორც ფართო ცნებას, რომელიც მოიცავს როგორც მომგებიან (როგორიცაა ფირმები და ბანკები), ასევე არამომგებიან საწარმოებს (მაგალითად, სკოლები და საავადმყოფოები)... მცდარია შეხედულება, რომ ბიზნესი მხოლოდ-დამხოლოდ მოგებაზეა ორიენტირებული, ბიზნესის სისტემები და მეთოდიკა მოქმედებს ყველა ტიპის ორგანიზაციაში [3, გვ. 2]. ამ მოსაზრებას შეიძლება დავეთანხმოთ, ვინაიდან ასეთი ბიზნესის არსებობისას ბიზნესმენი ვერ იღებს მოგებას, მაგრამ იღებს შემოსავალს.

მცირე ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ აგრეგატს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესსისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველწყაროა.

მცირე ბიზნესი, როგორც ტერმინი, წარმოდგება არა იქიდან, რომ მცირე ბიზნესი, ერთობლიობაში, პროდუქციის მცირე რაოდენობას ქმნის, არამედ იქიდან, რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო. წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მონაცემები მოწმობს, რომ მცირე ბიზნესში იწარმოება ამ ქვეყნების მშპ-ს ნახევარზე მეტი და მოდის დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 60 %-ზე მეტი.

მცირე საწარმო, წარმოების ეს უძველესი ფორმა, როგორც კატეგორია, პირველად 1931 წელს გამოიყენა ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა მ. მილანმა დიდიბრიტანეთის სამრეწველო და საფინანსო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოსვლისას. აშშ-ში მცირე საწარმოს პირველი განმარტება გამოჩნდა 1948 წელს კანონში "გარკვეული სახეობის მომსახურების შესახებ" და 1953 წელს კანონში "მცირე ბიზნესის შესახებ".

მცირე ბიზნესის საწარმოთა ზომის განსაზღვრა არსებითია, რათა ხელისუფლებამ შეძლოს სწორი პოლიტიკის შემუშავება მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. მცირე ბიზნესისათვის საწარმოების მიკუთვნებისას აღნიშნულ კანონში განისაზღვრა შემდეგი რაოდენობრივი კრიტერიუმები [7, გვ.12]: საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა (ყველაზე მეტად გავრცელებული კრიტერიუმი); წარმოების წლიური მოცულობა; რეალიზაციის წლიური მოცულობა; აქტივების საბოლოო წლიური საბალანსო ღირებულება; საწარმოს წილი ბაზარზე.

დიდ ბრიტანეთში 1971 წელს შეიქმნა მცირე ბიზნესის გამოკვლევის კომისია. მისი მუშაობის შედეგი ცნობილია "ბოლტონის ანგარიშის" სახელწოდებით. ამანგარიშში მოცემული იყო მცირე ფირმის განმარტების პირველი სერიოზული მცდელობა. „ბოლტონის ანგარიშის" მიხედვით, მცირე საწარმოს განსაზღვრისათვის შემდეგი კრიტერიუმები იქნა მიღებული: მრეწველობაში, მშენებლობასა და სამთო საქმე/დამუშავებაში - დასაქმებულთა რაოდენობა; საცალო ვაჭრობაში, საბითუმო ვაჭრობაში, ავტომობილებით ვაჭრობასა და მომსახურებაში გწლიური ბრუნვის მოცულობა; საგზაო ტრანსპორტში -

სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა; საზოგადოებრივ კვებაში – ყველა საწარმო, ერთგვარი ტიპის მაღაზიებისა და ლუდის ქარხნების გარდა.

აშშ-ში განასხვავებენ სამი ტიპის მცირე საწარმოს: მცირე საწარმოებს, რომელ- თაც გაფართოების შესაძლებლობა არაქვთ (მათ „სიცოცხლის უზრუნველმყოფ" საწარმოებს და ასევე პირად და ოჯახურ მცირე ბიზნესს უწოდებენ), საწარმოებს, რომლებიც ნელ-ნელა ვითარდება (საწარმოები სტატუსკვოს შენარჩუნებით) და მცირე საწარმოებს, რომლებიც საწყის ეტაპზე იქმნება მცირე კაპიტალის დაბანდებით (ინოვაციების დანერგვით) შემდგომ მისი სწრაფი გაფართოების მიზნით („სწრაფად- განვითარებადი" საწარმოები). აშშ-ში ამჟამად მცირე საწარმოები ძირითადად ორი კრიტერიუმით ფასდება: დასაქმებულთა რაოდენობით და წლიური ბრუნვის მოცულობით. დასაქმებულთა რაოდენობა იცვლება 1-დან 500 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა – 3-დან 12 მილიონ დოლარამდე [9, გვ. 2].

გერმანიაში მცირე ბიზნესის საწარმოების შეფასების კრიტერიუმად მიღებულია დასაქმებულთა რაოდენობა და წლიური ბრუნვის მოცულობა. აშშ-გან განსხვავებით, აქ მცირე ბიზნესის საწარმოები დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა: 20-დან 49-მდე, 50-დან 99-მდე, 100-დან 199-მდე, 200-დან 499 კაცამდე, ხოლო წლიურმა ბრუნვამ უნდა შეადგინოს 3,5- დან 11,5 მილიონამდე ევრო.

იაპონიის მრეწველობაში მცირე ბიზნესს მიეკუთვნება კომპანიები დასაქმებულთა რიცხოვნობით 300 კაცამდე და საწესდებო კაპიტალით 100 მლნ იენამდე; საბითუმო ვაჭრობაში, შესაბამისად, 100 კაცამდე და 30 მლნ იენამდე და საცალო ვაჭრობაში 50 კაცამდე და 10 მლნ იენამდე.

საფრანგეთში მცირე საწარმოებს მიაკუთვნებენ საწარმოებს, დასაქმებით 10-დან 50 კაცამდე [7, გვ. 12].

საინტერესოა პოსტკომუნისტური ქვეყნების მაგალითებიც: ბელორუსში მცირე საწარმოებს განეკუთვნება კომპანიები დასაქმებულთა საშუალო სიობრივი რიცხოვ ნობით: მრეწველობასა და ტრანსპორტში – 100; სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში – 60; მშენებლობასა და საბითუმო ვაჭრობაში – 50; საცალო ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – 30; არასაწარმოო სფეროს სხვა დარგებში – 25 კაცამდე.

რუსეთის ფედერაციაში მცირე საწარმოების კრიტერიუმად აღებულია დასაქმებულთა რაოდენობა: მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში – 100; სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში – 60; საბითუმო ვაჭრობაში – 50, საცალო ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – 30 კაცამდე.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც ჩანს, დღეისათვის არარსებობს მცირე საწარმოს ზომის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა, მისი შეფასების ერთნაირი კრიტერიუმი. თუმცა, ვფიქრობთ, საყოველთაო კრიტერიუმად შეიძლება ვაღიაროთ საწარმოში (ფირმაში) დასაქმებულთა რაოდენობა, თუმცა მათი სტატისტიკური სიდიდე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, რაც გამოწვეულია ეკონომიკის განსხვავებული მასშტაბებითა და განვითარების დონით. საწარმოების მცირე ბიზნესზე მიკუთვნების უამრავი მეთოდიდან არცერთი მეთოდი არ ჩაითვლება უნაკლოდ, თუმცა ამერიკელი სპეციალისტების [8, გვ. 100] მიერ შემოთავაზებული მცირე საწარმოს შეფასების მიდგომები შედარებით ხსნის ამ სიძნელეებს, მაგრამ ისიც არ არის ხარვეზებისგან დაზღვეული.

აღნიშნული სიძნელეების თავიდან აცილებაში, ვფიქრობთ, დაგვეხმარება მცირე ბიზნესის განმარტება და მათი კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების ჩვენეული შეფასება[1]. მიგვაჩნია, რომ მცირე ბიზნესზე საწარმოების მიკუთვნებისას უნდა ამოვიდეთ ქვეყნის მასშტაბიდან და მისი ეკონომიკური განვითარების დონიდან, ასევე დარგობრივი თავისებურებებიდან. კრიტერიუმებად კი უნდა ავიღოთ: დასაქმებულთა რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების საკითხის გადასაწყვეტად მიგვაჩნია, დარგების მიხედვით გავიანგარიშოთ საერთოდ ეკონომიკაში ერთ საწარმოზე მოსული ზემოაღნიშნულ კრიტერიუმთა სიდიდეები. მცირე საწარმოს მივაკუთვნოთ ის, რომლის მაჩვენებლებიც ნაკლები იქნება საშუალოზე, საშუალოს რომლის მაჩვენებლებიც ტოლი იქნება მიღებული საშუალო სიდიდისა, ხოლო მსხვილ საწარმოს ის, რომლის მაჩვენებლებიც მეტი იქნება საშუალოზე. პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მონაცემ- ბი შევცვალოთ საშუალო სიდიდეების ცვლილების შესაბამისად.

მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმების სიდიდეების გადამოწმება უნდა ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად. იგი შეიძლება მოიცავდეს 3-5 წლიან ინტერვალს.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის განვითარების რეალური სურათის დანახვა აუცილებლად მოითხოვს ქვეყანაში შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობას და ამ მიმართულებით ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობის შეფასება, უწინარესად, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მშპ, დასაქმებულთა რიცხოვნობა, ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, იმპორტი, ექსპორტი, უმუშევრობა, ინფლაცია და ა.შ.) მისი გავლენის დადგენაში უნდა გამოიხატებოდეს.

ამერიკელი სპეციალისტების [6, გვ. 106] თვალსაზრისით, მცირე ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკაში გამოიხატება: სამუშაო ადგილების შექმნაში; ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების დანერგვაში; მსხვილი კორპორაციების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში; სპეციალიზებული

საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფაში.

აშშ-ში შექმნილი სამუშაო ადგილების ნახევარზე მეტი მოდის იმ ფირმებზე, სადაც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 100 კაცს (აქ მცირე ბიზნესზე მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 21, მშენებლობის – 80, საბითუმო ვაჭრობის – 86, ხოლო მომსახურების სფეროს – 81%). ჯერ კიდევ 1990 წელს სამუშაო ძალის საერთო მოცულობაში მცირე ბიზნესს ეჭირა აშშ - ში – 40, ხოლო გერმანიაში – 49 პროცენტი [9, გვ.4].

აღნიშნული მონაცემები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მცირე ბიზნესს აქვს უნარი, ფართო მასშტაბებით უზრუნველყოს შრომითი რესურსების გამოყენება. სწორედ ამაში ვლინდება მცირე ბიზნესის სოციალური როლი და როგორც მაკროეკო- ნომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. მცირე საწარმოს, თავისი საქმიანობის კიდევ ერთი არსებითი თვისებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ზრდაში. ეს არის საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა დანერგვა. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, მნიშვნელოვანი დამუშავებების (განსაკუთრებით ახალი ნაწარმის შექმნა) 98 %-ს ახორციელებს მცირე ბიზნესი. მაშინ, როცა ქვეყანაში კვლევასა და დამუშავებაზე გამოყოფილი სახსრების საშუალოდ 5%-ზე ნაკლებს ხარჯავს მცირე საწარმოები. მცირე ბიზნესის (მცირე საწარმოების) ეფექტიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი ერთეულ დანახარჯზე (1 დოლარზე) ნერგავენ 17-ჯერ მეტ სიახლესა და გამოგონებას ვიდრე მსხვილი საწარმოები, რომლებზედაც ახალი ტექნოლოგიების მხოლოდ 10% მოდის (დანარჩენ 90% -ს მცირე საწარმოები და დამოუკიდებელი გამომგონებლები ნერგავენ) [9, გვ.2].

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მცირე საწარმო შეუცვლელია ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სფეროში. იგი ორიენტირებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეების შემუშავება-დანერგვაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზარზე გასვლა და საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამ მიმართულებით უცხოეთში ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგად იმ ფირმების მაღალი აქტიურობა იქნა ნაჩვენები, რომლებშიც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 100 კაცს. აშშ ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ყოველ დოლარზე, ფირმები, სადაც დაკავებულია არაუმეტეს 100 კაცისა, 4-ჯერ მეტ სიახლეებს ნერგავდა, ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000-დან 10 000-მდე ადამიანი, და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები, სადაც დასაქმებულია 10 000 კაცზე მეტი [7, გვ.18].

მცირე ბიზნესი ქმნის სპეციალიზაციისა და კოოპერაციის მაღალ დონესა და ნაყო- ფიერ სამეწარმეო კლიმატს. იგი სწრაფად გამოსყიდვადია და ა.შ.

მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსხვილი კორპორაციების საქმიანობაში მათი მომარაგებით, პროდუქციის გასაღებით და მათთვის მომსახურების გაწევით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირად არსებობს მცირე და მსხვილი ბიზნესის ინტეგრაციის (დაახლოების) ობიექტური აუცილებლობა. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და მსხვილი ბიზნესის ურთიერთობების ძირითადი ფორმებია: ლიზინგი, სუბარენდა, ფრანჩაიზინგი, ლიცენზიური შეთანხმებანი და ვენჩურული დაფინანსებები.

ამერიკის სამეწარმეო პრაქტიკაში მთელ რიგ უმსხვილეს საწარმოთა სტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს მცირე საწარმოებთან ურთიერთობას. მცირე ფირმები ხელსუწყობს მსხვილ კომპანიებს, იყვნენ მოქნილნი და უბიძგებს მათ უახლოესი ტექნოლოგიების დანერგვისაკენ.

იაპონიაში ურთიერთობა მცირე და დიდ ფირმებს შორის განსხვავებულ ხასიათს ატარებს. აქ მცირე საწარმოთა უმრავლესობა სუბარენდული სისტემით არის დაკავშირებული დიდ ბიზნესთან. იაპონიაში მცირე ბიზნესი მსხვილი ბიზნესისათვის მოქნილობისა და შემოქმედებითი ფხიანობის წყაროს წარმოადგენს. აქ მათი ურთიერთობა ურთიერთშევსების საფუძველზეა აგებული და მიმართულია მთელი ეკონომიკისა და მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სრულყოფისაკენ.

ამდენად, მცირე საწარმოები ხელსუწყობ სმსხვილი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და ამით მთელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღ- ლებას საერთაშორისო არენაზე.

მნიშვნელოვანი განსხვავება მცირე და მსხვილ ბიზნეს სშორის ვლინდება არა მხოლოდ ოპერაციათა მასშტაბებში, არამედ ბიზნესის ორგანიზაციულ სტრუქტურაში. მაგალითად, აქ მართვის როგორც ოპერატიულ, ისე სტრატეგიულ ფუნქციებს ასრულებს ხელმძღვანელი – კომპანიის მესაკუთრე. მცირე საწარმოებში, როგორც წესი, არსებობს მმართველური გადაწყვეტილების მიღების მხოლოდ ერთი ცენტრი. ასეთ საწარმოებში (ფირმებში), რესურსების სიმცირის გამო, დაგეგმვის პერიოდი მოკლეა და არ აღემატება ერთწელს. ამდენად, აღინიშნება შემდეგი დამოკიდებულება: რაც ნაკლებია საწარმოს ზომები, მით ნაკლებია მმართველური გადაწყვეტილებების ციკლი.

ხშირად მცირე ფირმის არსებობა განპირობებულია იმით, რომ ისინი უზრუნველყოფენ მომხმარებლების დაკმაყოფილებას იმ სპეციალიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელთა სერიული წარმოება ან მსხვილი მომსახურების რგოლების შექმნა ეკონომიკურად გაუმართლებელია. ასეთი საქონლის ბაზარი, ცხადია, არა რის დიდი, მაგრამ მცირე ფირმები, რომლებიც მომხმარებელს უნიკალური სახის საქონელს აწვდიან, პოულობენ თავიანთ ნიშას ბიზნესის სამყაროში, რითაც ხელს უწყობენ ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

მცირე ბიზნესი მაღალი მოქნილობით ხასიათდება ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი.

მცირე ბიზნესის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს გაკოტრების მაღალ მაჩ- ვენებლებში.

მცირე საწარმოების თითქმის 50% იხურება საქმიანობის პირველ ორ წელს. წარმატებულია მცირე ბიზნესის მხოლოდ 15%. გაკოტრება გამოწვეულია რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებით, მაგრამ, ამავე დროს, გაკოტრების პროცესი ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. იგი იძლევა საშუალებას, თავი დავაღწიოთ არა ეფექტიან წარმეობას, ამავე დროს, იძლევა უნარიანი ბიზნესმენების გამოვლენის შესაძლებლობას. ამიტომაც, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოები ცდილობენ, გაკოტრება რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული იყოს ბიზნესმენე-ბისათვის. ამთვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მოიძებნოს გამაწონასწორებელი ბალანსი ბიზნესმენის საქმიან აქტიურობასა და ბიზნესმენის მინიმალური პასუხისმგებლობის დონეს შორის. ამასთან, არსებითია სახელმწიფოს მხრიდან მცირე საწარმოს გაკოტრების სწორი მექანიზმის შემუშავება, რათა დავიცვათ საზოგადოება ეკონომიკური რესურსების არაეფექტიანი გამოყენებისაგან. ამდენად, უნდა გამოიყოს მცირე ბიზნესის ერთ-ერთი თვისება, რომ აქ ხორციელდება ეკონომიკური რესურსების გამოყენების ექსპერიმენტი.

გამოყოფენ მცირე საწარმოთა ეკონომიკური სტრატეგიისს ხვადასხვა ტიპებს, რომლებიც განსაზღვრავს მათ ადგილს ეროვნული ეკონომიკის აღწარმოებაში. ესენია: ვიოლენტური, პატიენტური (ნიშისშემქმნელი), კომუტანტური (შემგუებლური), ექსპლერენტული (პიონერული).

ვიოლენტური სტრატეგია ეყრდნობა კონკურენციას დაბალი წარმოების დანახარ- ჯების საფუძველზე; ამ დროს იწარმოება საშუალო ხარისხის სტანდარტული პროდუქცია.

პატიენტურ სტრატეგიას ირჩევენ მცირე საწარმოები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ, დასპეციალდნენ მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც ორიენტირებულია სპეციფიკურ მოთხოვნაზე და დომინირებს ბაზრის ვიწრო სეგმენტზე.

კომუტანტური სტრატეგიის შერჩევისას მცირე ფირმები ორიენტაციას იღებენ მცირე მოცულობის ხანმოკლე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამდენად, მათ, მოთხოვნილების ცვლილებების შესაბა-მისად, ხშირად უწევთ საქმიანობის სახეობის შეცვლა.

ექსპლერენტული სტრატეგია დამახასიათებელია ინოვაციური ფირმებისათვის. მცირე საწარმოები ასეთი სტრატეგიით ორიენტირებულნი არიან ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიის შემუშავებაზე, მათ დანერგვასა და ამის საფუძველზე მაღალი მოგების მიღებაზე.

მცირე ბიზნესის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. იგი არის საბაზრო ეკონომიკის ბიზნესსისტემის პირველწყარო, რომელიც ფუნქციონირებს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხს, სტრუქტურას და ქვეყნის კონკურენტ-უნარიანობას. ეს მოვლენა თანამედროვე ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნის მნიშვნელოვანი საფუძველია.

საბაზრო მექანიზმის სფეროში მცირე ბიზნესის როლი იმაში ვლინდება, რომ იგი ახერხებს ბრძოლას მონოპოლიასთან, რასაც აღწევს ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მისი მოქნილობით.

მცირე ბიზნესით ხორციელდება საზოგადოებრივი მოთხოვნის სრულყოფილი დაკმაყოფილება ბაზრის ნიშების შევსების ხარჯზე, რომელთა იგნორირებას ახდენს მსხვილი და საშუალო ბიზნესი. მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ მსხვილი ფირმების წარმოების შესაძლო სპეციალიზაციას. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ბოლო წლებში, მსხვილმა საწარმოებმა წვრილი სპეციალიზებული საწარმოების სასარგებლოდ თავი დაანებეს დამხმარე და დამამზადებელი ვიწრო საწარმოო რგოლების შექმნას.

საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის სფეროში მცირე ბიზნესი მასთან დაკავშირებულ და დასაქმებულ ადამიანებს უყალიბებს მესაკუთრის ფსიქოლოგიას, უნარს, დამოუკი- დებლად მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით.

მცირე ბიზნესი ადამიანს ეხმარება პიროვნების რეალიზაციაში, საშუალებას აძლევს, იგრძნოს თავი, როგორც რთული ამოცანების გადაჭრის უნარისმქონემ.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სფეროში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ეგრეთ-წოდებული საშუალო ფენის ფორმირების საფუძველს, რომელიც დღეისათვის საბაზრო ტიპის საზოგადოების ძირითადი ნაწილია.

მცირე ბიზნესი აყალიბებს საგადასახადო შენატანების დიდ მასას, მოსახლეობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფს არსებობის საშუალებებით.

კონკურენტული გარემოს შექმნის სფეროში მცირე საწარმო ახერხებს ზეწოლას მსხვილ საწარმოებზე და ამით სტიმულს აძლევს მათ ინოვაციურ საქმიანობას. ისინი, თავიანთი განსხვავებული სტრატეგიებით, ხელსუწყობენ დარგის კონკურენტუნარიანი გარემოს შენარჩუნებას. მცირე ბიზნესს აქვს შემდეგი კონკურენტული უპირატესობანი: დინამიკურობის მაღალი დონე; გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა; კაპიტალის სწრაფი გადასროლის შესაძლებლობა; მცირე აუნაზღაურებადი (დაუბრუნებადი) დანაკარგები; კაპიტალზე დაბალი მოთხოვნილება; პროდუქციის ასორტიმენტსა და წარმოებაში სწრაფი ცვლილებების შეტანის უნარი; მოკლე ტექნოლოგიური ციკლი; დამამთავრებელ წარმოებაში მარაგების სიმცირე; საშუალებების სწრაფი ბრუნვა (რაც ადიდებს შემოსავლებს, ამცირებს ამოსყიდვის ვადებს, ამცირებს ეკონომიკური რისკის დონეს); წარმოების ორგანიზაციისა და მართვის უკიდურესად რაციონალური სტრუქტურის გამო, დამატებითი (ზედნადები) ხარჯების სიმცირე;

პროდუქციის გასაღების მდგრადობა კონკრეტულ მომხმარებელზე ორიენტაციის წყალობით; სწრაფი შემგუებლობა ბაზრის მოთხოვნის ცვლილებებთან; მმართველობითი ინფორმაციის გადაცემის მაღალი სისწრაფე, რაც მცირე ფირმებს აძლევს შესაძლებლობას, ოპერატიულად შეძლონ რეაგირება კონკურენციის პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე.

ამასთან, მცირე საწარმოები ფლობენ მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებს, რაც იწვევს მათი კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას, რომელიც განაპირობებს მცირე საწარმოების გაკოტრების მაღალ პროცენტს.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარება საქართველოში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველო საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზას დაადგა. ბუნებრივია, ქვეყანა ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: საჭირო იყო ეროვნული ეკონომიკის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, საბაზრო ტიპის ინსტიტუტების შექმნა, ქვეყანაში სრულიად უცხოფენომენის ბიზნესის ფორმირება და ა. შ.

ძველი ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის, ხოლო ახლის ჯერ არ არსებობის გამო, მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილმა საწარმოებმა მუშაობა შეწყვიტა, რასაც სახელმწიფოს მთელი ეკონომიკის მოშლა მოჰყვა.

თავდაპირველად მოსახლეობამ, სტიქიურად, გაუცნობიერებლად, ლეგალურად თუ არალეგალურად, ხელი მოჰკიდა მცირე ბიზნესს, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის გაუმჯობესების საქმეში მან დღემდე ვერ შეძლო თავისი ადგილის დამკვიდრება. თუმცა, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში მცირე ბიზნესს არსებითი როლის შესრულება შეუძლია.

განსაკუთრებით დიდია მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის დროს, ვინაიდან იგი არის უმუშევრობის შემცირებისა და, საერთოდ, ეკონომიკური სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მცირე ბიზნესის ამ შესაძლებლობებმა განაპირობა ის, რომ საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში ეკონომიკის დაცემას არ მოჰყოლია სოციალური ხასიათის გამოსვლები.

მცირე ბიზნესის სისუსტე ვლინდება რესურსების სიმცირეში, ინვესტიციების მიღების სირთულეში და ა. შ. ამით არის განპირობებული მისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ქმედითი მექანიზმის არსებობის აუცილებლობა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის მცირე ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას, რომლის დანიშნულებაა, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, ქვეყნის ეკონომიკაში მცირე ბიზნესის უპირატესობათა რეალიზაციის უზრუნველყოფა და მისი განვითრებისათვის აქტიური ხელშეწყობა.

საქართველოში **მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების პირველ ეტაპად** შეიძლება აღიარებულ იქნეს 1991-1999წწ-ის პერიოდი, როცა ქვეყანაში 1991 წელს მიღებული კანონით „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატი ზაციის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე 1992 წლიდან დაიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზება, საბჭოური მცირე საწარმოებით; პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც 1991 წლის ოქტომბერში ღია საჯარო ვაჭრობით აუქციონით მოახდინა პრივატიზების პირველი აქტი მაღაზია „გოლიათის“ პრივატიზებით. საქართველოში მიმდინარეობდა მცირე საწარმოების მასობრივი პრივატიზაცია, რომელმაც პიკს 1995 - 1996 წლებში მიაღწია, თუმცა ეს პროცესი თითქმის 2000 წლამდე გაგრძელდა. სწორედ ამ წლებში საქართველოში ვლინდება მცირე ბიზნესის უნარი – ეკონომიკური კრიზისის დროს ხელი შეუწყოს სოციალური და პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარებას, მოსახლეობის დასაქმებას, შეეგუოს გარემოს, იყოს მაღალ მანევრირებადი.

საქართველოს რესპუბლიკაში მიღებულ იქნა კანონები და მთავრობის დადგენილებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში კერძო სექტორის ჩამოყალიბებასა და მეწარმეობის განვითარებას. მათგან შეიძლება აღინიშნოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991), „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ (1991) და მთავრობის დადგენილებები: „სახელმწიფო საწარმოთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“(1992), „ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1992), „ინდივიდუალური მეწარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოების დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1993), „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1993). კანონი „მეწარმეობის შესახებ“ (1994) და ა. შ..

1995 წლის 1 მარტამდე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის (მიღებულ იქნა 1994 წელს) შესაბამისად, კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები დაექვემდებარა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოები კი გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად. აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის 11 აპრილს მიიღო დადგენილება (№196), რითაც უნდა უზრუნველყოფილიყო საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია. რეგისტრაცია მოხდა არა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში (მერია, გამგეობა), სადაც საწარმოებმა პირველადი

რეგისტრაცია გაიარეს და ამისათვის საკმაოდ დიდი კანონიერი თუ უკანონო ხარჯები გაიღეს, არამედ რაიონული სასამართლოების ნებართვის გავლით საჯარო რეესტრში (რომელიც 1994 წელს შეიქმნა). მეორადი რეგისტრაციისათვის დამწყებ მეწარმეებს ხელახლა დასჭირდათ ახალი მოსაკრებლების შეტანა, საბუთების შეცვლის, ბეჭდისა და შტამპის დამზადებისა და სხვა ხარჯების გაწევა. მრავალი ახლად შექმნილი მცირე ფირმა, ფინანსების უქონლობის გამო, დროულად ვერ გატარდა რეგისტრაციაში და ამის გამო გაუქმებულად გამოცხადდა. საწარმოთა ხელახალმა რეგისტრაციამ ხელი შეუწყო მათი საქმიანობის კანონდაქვემდებარებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელი შეუშალა ბიზნესის ფორმირებას. 1999 წლამდე, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გრადაციით, მცირე საწარმოების კრიტერიუმად მიღებული იყო დასაქმებულთა რაოდენობა დარგობრივ ჭრილში. მცირე საწარმოს მიეკუთვნებოდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოები დასაქმებულთა რიცხვით – 50 კაცამდე; მშენებლობაში – 35 კაცამდე; განათლებისა და სამეცნიერო პროფილის ორგანიზაციებში – 30 კაცი; საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და მომსახურებისსფეროში – 20 კაცი; სხვა ორგანიზაციებში – 25 კაცი (ე. ი. მცირედ ითვლებოდა ის საწარმოები, სადაც 1-დან 50-მდე იყო დასაქმებულთა რაოდენობა).

მცირე ბიზნესის ფორმირება - განვითარების მეორე ეტაპი იწყება 1999 წლიდან და გრძელდება 2002 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით.

ქვეყანაში მცირე ბიზნესის ფორმირების ერთ-ერთ შემაფერხებელ მოვლენად შეიძლება დასახელდეს ის, რომ 1999 წლამდე არ იყო კანონით რეგლამენტირებული მცირე საწარმოს ცნება, მისი შეფასების კრიტერიუმები და მათი სტატის- ტიკური სიდიდეები.

1999 წლის 23 ივლისს საქართველოში ძალაში შევიდა კანონი ,,მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ", რომლის მიხედვით, მცირე საწარმოების შეფასების კრიტერიუმად, დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად, აღიარებულ იქნა საწარმოს წლიური ბრუნვის მაჩვენებელი, რომელთა სტატისტიკური სიდიდე დარგობრივ ჭრილში არ აღემატებოდა შემდეგ ზღვრულ ოდენობას: მრეწველობაში – 40 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს; მშენებლობაში – 20 დასაქმებულსა და 300 ათას ლარს; ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 20 დასაქმებულსა და 200 ათას ლარს; სოფლის მეურნეობაში – 20 დასაქმებულსა და 150 ათას ლარს; საბითუმო და საცალო ვაჭრობაში - 10 დასაქმებულსა და 50 ათას ლარს; განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და კულტურაში – 25 დასაქმებულსა და 60 ათას ლარს; სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას –15 დასაქმებულსა და 100 ათას ლარს (ე.ი. ამ ჯერზე მცირე ბიზნესის სტატუსი განისაზღვრა ორი კრიტე- რიუმით გდასაქმებულთა რაოდენობით და წლიური ბრუნვით, რომელთა სტატის- ტიკური სიდიდეები განისაზღვრა 1-დან-40-მდე კაცით და 500 ათას ლარამდე წლიური ბრუნვით).

2002 წელს იწყება **მცირე ბიზნესის ფორმირება - განვითარების მესამე ეტაპი** 2002 წლის მეორე ნახევრიდან და გრძელდება 2006 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით.

2002 წელს მიღებულ იქნა კანონი „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ (2002 წლის 4 ივლისი. №1641–რს), რომლის მიხედვითაც 1. საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

ა) მცირე საწარმოებისათვის – 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;

ბ) საშუალო საწარმოებისათვის 100 დასაქმებულსა და 1.500 ათას ლარს.

ხოლო კანონს „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ", ეწოდა კანონი „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ" .

აღსანიშნავია, რომ როგორც მცირე, ისე საშუალო საწარმოთა სიდიდის განსაზღვრა დასაბუთებას მოკლებული იყო. პრაქტიკამ აჩვენა ის, რომ ვერც თავდაპირველმა (1999) და ვერც შეცვლილმა (2002) კანონმა, დროის მოთხოვნებს ვერ უპასუხა, ამასთან, მთავრობის სტრატეგიამ, ბიზნესის ყველა ფორმა ჩაეყენებინათ თანაბარ მდგომარეობაში, განაპირობა ის, რომ კანონი „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ" (2002) გაუქმდა 2006 წლის ივლისში.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მეოთხე ეტაპი მოიცავს 2006 წლის მეორე ნახევრიდან 2011 წლის პერიოდს.

აღსანიშნავია, რომ კანონის – „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ" – გაუქმების შემდეგ, ამავე წელს განსაზღვრებები მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ გადატანილ იქნა კანონში „საქართველოს ეროვნული საინ- ვესტიციო სააგენტოს შესახებ", რომელიც გვაძლევს მცირე ბიზნესის განსაზღვრებას, კერძოდ: კანონის „მეწარმეთა შესახებ" შესაბამისად, მცირე საწარმო არის ყველა ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს, ხოლო წლიური ბრუნვა გ 500 000 ლარს.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2002 წლიდან დასაქმებულთა რაოდენობა განისაზღვრა 20 კაცით, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მაჩვენებელი 500 000 ლარი დარჩა უცვლელი.

მცირე ბიზნესის ფორმირება - განვითარების მეხუთე ეტაპი მოიცავს 2011-დან 2014 წლამდე პერიოდს.

2011 წელს ახალი საგადასახადო კოდექსით რეგლამენტირებულია მიკრო და მცირე ბიზნესი. ამასთან, მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მცირე ბიზნესის სტატუსი კი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

მიკრო ბიზნესი საქართველოში ბიზნესის ახალი ფორმაა. დღეისათვის საქართველოში არსებული ბიზნესფორმები ევროკავშირის ბიზნესფორმების (მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი) ადეკვატურია, თუმცა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით ამას ვერ ვიტყვით.

როგორც ჩანს, საგადასახადო კოდექსში წარმოდგენილი მცირე ბიზნესის სტატუსი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ კანონში მოცემული განსაზღვრებისგან რადიკალურად განსხვავდება. გამოდის რომ, ეს ორი კანონი ერთსა და იმავე ეკონომიკურ მოვლენას (სუბიექტს) – „მცირე ბიზნესს“ და მის წარმომადგენელს ეკონომიკაში „მცირე საწარმოს“ სტატუსს ანიჭებს სხვადასხვა მახასიათებლებით.

საკითხის შესწავლა იმ დასკვნის შესაძლებლობას იძლევა, რომ მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარებაში თითქმის 25 წლიანი პერიოდის გამოცდილების მიუხედავად დღემდე არ არის მიღწეული, არათუ მისი შესაძლებლობების, თვისებებისა და როლის ეკონომიკის ზრდაში გამოყენების მნიშვნელობა, არამედ ეკონომიკურად დასაბუთებული მისი სტატუსის განსაზღვრაც კი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რაც არსებობს მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრასთან მიმართებაში. მიღებულ იქნეს „კანონთა პაკეტი“ მცირე ბიზნესის სამართლებრივი, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სახელმწიფო მხარდაჭერის დარეგულირების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის სტატუსს და დაარეგულირებს მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს (მცირე ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების პაკეტის შექმნის შესახებ მოსაზრებანი ჩვენ მიერ ბევრჯერ იქნა წამოყენებული [1;4]). კანონთა პაკეტი შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის მოთხოვნებთან, რასაც ითხოვს „საქართველო-ევროკავშირის ასოცირება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ ხელშეკრულება.

2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოსთვის **მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მიმართულებით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მეექვსე პერიოდი** იწყება.

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პერიოდი დადგა. 2014 წლის 1 სექტემბერს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი, ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წინასწარ ამოქმედდა. 18 დეკემბერს კი ევროპარ- ლამენტმა დიდი უმრავლესობით უყარა კენჭი შეთანხმებას, რითაც დაადასტურა ასოცირების პროცესის მხარდაჭერა [14]. აღნიშნული დოკუმენტები ბევრ წინაპირობას უყენებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დანერგვა ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ევროინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებადაა მიჩნეული, ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ეროვნულ ეკონომიკაში მცირე ბიზნესისათვის თავისი ადგილის დამკვიდრების საქმეში ევროკავშირის პოლიტიკის პრინციპები და ინსტრუმენტები. დღეს ქვეყანას ეძლევა უდიდესი შესაძლებლობა, ასოცირების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელებით, მდგრადი გახადოს ეკონომიკის და მისი პირველწყაროს მცირე ბიზნესის განვითარება.

მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში. ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ბიზნესის (წარმოების) განვითარება, იგი არის ის ფუნდამენტი, რომელზეც დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკა. იზნესის ფორმებს შორის, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, მცირე ბიზნესის განვითარების რეგულირების მეთოდებისა და სახელმწიფო მაკრომარეგულირებელი მექანიზმის დანერგვა მთლიანობაში განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წარმატებას, უმუშევრობის შემცირებას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მსოფლიო ბანკის განმარტებით, გლობალურ ეკონომიკაში კერძო სექტორი 10-დან 9 სამუშაო ადგილს ქმნის. აქედან გამომდინარე, ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნა (მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის და ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის) და კერძო სექტორის განვითარება ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური წინსვლისა და სიღარიბის შემცირების უმთავრესი ფაქტორია.

საქართველოში 2013 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის – „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ მიხედვით – „ქართული ინოვაციური საწარმოები 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან და ისინი, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზრებზე, არაინოვაციურ საწარმოებთან შედარებით, გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანები არიან. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ბანკი წინა პლანზე აყენებს მეწარმეობის ზრდის ხელშეწყობას, ინოვაციური და უფრო პროდუქტიული ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

ოუკენის კანონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-ის ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს. ე.ი. ის გვიჩვენებს სამუშაო ძალაში დაუსაქმებელთა წილის თითოეული პროცენტი რა დანაკარგს იძლევა ქვეყნის ეკონომიკისათვის და როგორ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის (დაუსაქმებლის) სოციალურ-ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2014წელს, 2013 წელთან შედარებით, 1,2 პროცენტული პუნქტით კი შემცირდა, მაგრამ შეადგინა 12,2%. 2014 წელს, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 11,6% იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ [11]. უმუშევრობის შემცირების მიზნით ქვეყანაში განხორციელებულმა სახელმწიფო პროგრამებმა და სხვა სახის ღონისძიებებმა ჯერჯერობით სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, აქ, აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში, დიდი როლი უნდა ითამაშოს მცირე ბიზნესის განვითარებამ და ქვეყნის ეკონომიკაში მისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებამ.

მიკრო და მცირე საწარმოები ბიზნესის ის ფორმებია, სადაც შესაძლებელია დასაქმდეს ნებისმიერი სამუშაო ძალა (როგორც მაღალი, ისე დაბალი კვალიფიკაციით და ა.შ.) და სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილი, რომელსაც შეუძლია იშრომოს (პენსიონერები, 15 წლამდე მოზარდი და ა.შ.). ამდენად იგი ეკონომიკაში უმუშევრობის შემცირების და შრომის სურვილის და უნარის მქონე მოსახლეობის დასაქმების მძლავრი იარაღია.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესწავლა-გაანალიზებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში არცთუ ისე მცირე სამუშაოებია ჩატარებული, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფონდების მიერ. ღონისძიებები იქით იყო მიმართულ რომ მოსახლეობას გასჩენოდა ბიზნეს ინიციატივები.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემატიკას სწავლობს და განიხილავს ქართველ მეცნიერთა, პრაქტიკოსთა და მკვლევართა დიდი ნაწილი. მცირე და საშუალო ბიზნესის გნვითარების საქმეში არსებული დადებითი თუ უარყოფითი საკითხები მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის განსახილველად ქვეყნის 10-ზე მეტ სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის ჟურნალს გამოაქვს. ამ საკითხებს ეძღვნება პუბლიკაციები ქვეყნის წამყვან გაზეთებში. სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში ეწყობა ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციები, მრგვალი მაგიდა. ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებს ეძღვნება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო შრომების კრებუ ლები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კვლევებს საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ. ბიზნესის, კერძოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით დამაკვალიანებელ რეკომენდაციებს იძლევა მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელობით (დაფინანსებით) სრულდება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, მცირე და საშუალო ბიზნესმა ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი. როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, მცირე საწარმოების წილი ბრუნვასა და გამოშვებაში ჯერ კიდევ შესაბმისად 9 და 10%-ს ბევრად ვერ ასცდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, როგორც ცხრილიდან ჩანს 2012 წელს საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 42048.0 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, მთლიანი ბრუნვის 83.0% მსხვილ ბიზნესზე მოდის; 7.7% – საშუალო ბიზნესზე, მცირე ბიზნესის წილი კი 9.3%-ია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი – 57.1%; საშუალობიზნესი – 13.8%; მცირე ბიზნესი – 29.1%. აქვე ნათლად ჩანს პროდუქციის გამოშვების, განაწილების სურათი. მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესზე იგი შესაბამისად შეადგენს: 82.3%; 7.5% და 10.2%.

2014 წლისსტატისტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარებისთვის ჯერ კიდვ ბევრია გასაკეთებელი. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2014 წელს, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, **საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ** 50.1 მლრდ ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 26.1 მლრდ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საწარმოთა ზომების მიხედვით:

ბრუნვამ შეადგინა: მსხვილ ბიზნესში – 81.9 ; საშუალო ბიზნესში – 8.7; და მცირე ბიზნესში – 9.4 პროცენტი.

პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ კი: მსხვილ ბიზნესში – 80.2 ; საშუალო ბიზნესში – 9.5; მცირე ბიზნესში – 10.3 პროცენტი.

საწარმოებში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 592.1 ათასი კაცი, მათ შორის საწარმოს ზომის მიხედვით: მსხვილ ბიზნესში – 56.2; საშუალოში – 15.4; მცირეში – 28.4 პროცენტი შეადგინა.

საწარმოთა მთლიანმა დანახარჯებმა ერთ პერსონალზე შეადგინა 5470.6 მლნ ლარი, რომელმაც საწარმოთა ზომის მიხედვით შეადგინა: მსხვილში – 75.6; საშუალოში დ 12.5; მცირეში – 11.9 პროცენტი. როგორც აღნიშნული მონაცემიდან ჩანს, ქვეყნის მცირე ბიზნესის ტექნიკა-ტექნოლოგიით აღჭურვის მეტად დაბალი დონეა საქართველოში.

საშუალოთვიურმა ხელფასმა ბიზნესსექტორში შეადგინა 800.5 ლარი, საწარმოთა ზომის მიხედვით კი: მსხვილში – 1029.5 ლარი, საშუალოში – 636.9 ლარი, მცირეში – 375.2 ლარი [11].

ცხრილი 1

ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება საქართველო საწარმოთა ზომების მიხედვით: (2008-2014 წწ.)

წლები		ბრუნვა		პროდუქციის გამოშვება		დასაქმება		ხელფასი	შრ. მწარ.
		მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	კაცი	%	ლარი	ლარი
2010	სულ	24400. 7	100	13303. 7	100	397 806	100	592.7	33 443
	მსხვილი	20469. 2	83.9	10859. 6	87.6	224 354	56.4	755.2	48 404
	საშუალო	2350. 3	9.6	1461. 5	11.0	91 943	23.1	395.0	15 895
	მცირე	1981. 2	6.5	982. 6	7.4	81 500	20.5	312.9	12 055
2011	სულ	36726.2	100	19239. 1	100	503 236	100	622.6	38 232
	მსხვილი	29435.0	80.1	15437. 8	80.2	273 581	54.4	820.7	56 429
	საშუალო	3839.6	10.5	2095. 1	10.9	103 004	20.5	457.0	20 342
	მცირე	3451.6	9.4	1706. 9	8.9	126 651	25.1	283.1	13 477
2012	სულ	42048.0	100	23096. 0	100	534 340	100	714.3	43 219
	მსხვილი	34919.1	83.0	19002. 5	82.3	305 340	57.1	928.2	62 234
	საშუალო	3223.6	7.7	1740. 2	7.5	73 661	13.8	528.1	23 624
	მცირე	3905.3	9.3	2353. 3	10.2	155 396	29.1	338.1	12 144
2013	სულ	44327.9	100	23553.6	100	55088,5	100	750,1	42756
	მსხვილი	36240.3	81.8	19031.0	80,8	315447	57,3	969,9	60330
	საშუალო	4295.6	8.7	2242.3	9,5	97090	17,6	565,8	23095
	მცირე	3792.1	8.6	2280.3	9,7	134348	25,1	372,2	16482
2014	სულ	50064.7	100	26068.6	100	592147	100	800,5	44024
	მსხვილი	41026.2	81.9	20901.8	80,2	332731	56,2	1029,5	62819
	საშუალო	4378.0	8.7	2489,0	9,5	90937	15,4	636,9	27371
	მცირე	4660.6	9.3	2677,8	10,3	168480	28,9	375,2	15894

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა ზომების მიხედვით გამოშვებული პროდუქციის განაწილების სურათს გვაძლევს მეორე გრაფიკი, სადაც ნათლად ჩანს მცირე და საშუალო ბიზნესში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიუღებლად დაბალი დონე მსხვილ ბიზნესთან მიმართებაში, რაც დღემდე გრძელდება.

ამდენად, როგორც ჩანს, ქვეყანაში აქტიური ეკონომიკის 80-85% მოდის მსხვილ ბიზნესზე, მაშინ, როდესაც მცირე ბიზნესზე მოდის 9-10%, ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე ბიზნესი, თამამად შეიძლება ითქვას, განვითარებული არ არის.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, მცირე და საშუალო ბიზნესის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია ქვეყანას. დღეს მცირე ბიზნესს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქციაში უკავია მხოლოდ 9-10%, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ხასიათდება 60-70%-ით.

დღეს ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, მაშინ, როცა იგი გლობალიზაციის პირობებში (გარემოცვაში) აშენებს ეკონომიკის საბაზრო მექანიზმს, აუცილებელია, ქვეყანაში შეიქმნას მცირე ბიზნესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების ხელშემწყობი ერთიანი, მუდმივმოქმედი სახელმწიფო მექანიზმი. ქვეყანაში ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გატარებული, ინექციური და ლოკალური ხასიათის ღონისძიებანი ვერ იძლევა სასურველ შედეგს. ამის ნათელი მაგალითია საქართველო, აქ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის და სიღარიბის მაჩვენებლის მაღალი დონე.

გრაფიკი 2

პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დღეს ქვეყანაში ბევრი კეთდება კარგი, განსაკუთრებით ეკონომიკის ინფრას- ტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით, ახლა აუცილებელია ქვეყანაში ისეთი ინსტიტუტების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს უმუშევრობის შემცირებას და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული ტემპით აღორძინებას. ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია მცირე ბიზნესი.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის შესწავლიდან ჩანს, რომ ქვეყანაში იგრძნობა მცირე ბიზნესის სამართლებრივი ვაკუუმი, სახელმწიფო მხარდამჭერი ორგანიზაციების არარსებობა; ანალიზიდან ჩანს, რომ საჭიროა ქვეყნის მცირე ბიზნესის სტრუქტურის სრულყოფა ეკონომიკური საქმიანობისა და რეგიონების მიხედვით.

ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებით არსებული სიძნელეების დაძლევის მიზნით მიგვაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები: უნდა შეიქმნას მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი სახელმწიფო (მაკრომარეგუ- ლირებელი) მექანიზმი. რომელმაც უნდა მოიცვას ინსტიტუციური – სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებანი.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი სიცოცხლის-უნარიანი ვერ იქნება, თუ, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული არ იქნება მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმები და მცირე საწარმოს ზომები. ამ დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ არა რომელიმე სხვა ქვეყნის მონაცემებით, არამედ აუცილებელია, გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ საქართველოსათვის მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმად მიღებულ იქნეს: რეალიზებული პროდუქციის წლიური მოცულობა; ბრუნვა; დასაქმებულთა რაოდენობა; მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობა; მცხოვრებთა რაოდენობა ერთ მცირე საწარმოზე; 1000 მცხოვრებზე მცირე საწარმოთა რაოდენობა. ეკონომიკაში მისი როლის შეფასებისათვის (განსაზღვრისათვის) მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი: მშპ-ში, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, საწარმოთა საერთო რაოდენობაში; მცირე ბიზნესის საწარმოებში დასაქმე-ბულთა საშუალო თვიური ხელფასი.

მცირე ბიზნესის განმარტება და მათი კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების ჩვენეული შეფასება ასეთია: მიგვაჩნია, რომ მცირე ბიზნესზე საწარმოების მიკუთვნებისას უნდა ამოვიდეთ ქვეყნის მასშტაბიდან და მისი ეკონომიკური განვითარების დონიდან, ასევე, დარგობრივი თავისებურებებიდან. კრიტერიუმებად უნდა ავიღოთ დასაქმებულთა რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა (ბრუნვის მოცულობა). მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების საკითხის გადასაწყვეტად მიგვაჩნია, დარგების მიხედვით გავიანგარიშოთ საერთოდ ეკონომიკაში ერთ საწარმოზე მოსული ზემოაღნიშნულ კრიტერიუმთა სიდიდეები. მცირე საწარმოს მივაკუთვნოთ ის, რომლის მაჩვენებლებიც ნაკლები იქნება საშუალოზე, საშუალოს რომლის მაჩვენებლებიც ტოლი იქნება მიღებული საშუალო სიდიდისა, ხოლო მსხვილ საწარმოსის, რომლის მაჩვენებლებიც მეტი იქნება საშუალოზე. პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მონაცემები შევცვალოთ საშუალო სიდიდეების ცვლილების შესაბამისად.

საქართველოში უნდა შეიქმნას ინსტიტუტები: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ადმინისტრაცია; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი, ეროვნული

ტექნოპარკი, მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად საჭიროა შეიქმნას განშტოებული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: ბანკებს, სადაზღვევო, ლიზინგურ, ფაქტორინგულ, კონსალტინგურ, ვენჩურულ, აუდიტორულ კომპანიებს, ბიზნესინკუბატორებს, სამრეწველო ტექნოლოგიურ ცენტრებს, საარბიტ-რაჟო სასამართლოს და სხვ.

სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, „სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას".დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს მცირე ბიზნესი მარეგულირე- ბელი სპეციფიკური საკანონმდებლო ბაზა.

მიგვაჩნია, რომ დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო ბაზის ფორმირების მიზნით უნდა მომზადდეს კანონთა შემდეგი პაკეტი:

1. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ";
2. საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა ურთიერთგარანტიების საზოგადოებათა შესა-ხებ";
3. საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის შესახებ";
4. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ";
5. საქართველოს კანონი „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ".

სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს მეწარმეების მოსამზადებელ ცენტრებს; ბიზნესინკუბატორებს; ინოვაციურ ცენტრებს ან ტექნოპარკებს; სავაჭრო-სამრეწველო პალატებს (ცენტრალური, რეგიონული); მეწარმეობის მხარდამჭერ ფონდებს.

ამდენად, ქვეყნის განვითარებისათვის, უმუშევრობის შემცირებისათვის მთავრობის მხრიდან მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ დასაყრდენს და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესი. სოფლიო პრაქტიკამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ მცირე საწარმოებს ნამდვილად შესწევთ უნარი, მოკლე დროში განახორციელონ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა. მცირე საწარმოთა ქსელის შექმნა უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ბაზარზე სასაქონლო მოცულობის ზრდას და მომხმარებელთა მომსახურებას. იგი ხელს უწყობს ეკონომიკაში ჯანსაღი კონკურენციის არსებობას, რაც განაპირობებს ეკონომიკის ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას. ისინი ერთპიროვნულად ემსახურებიან ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის გაუმჯობესებას.

მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერა საქართველოში

ინგლისელი მკვლევარი [3] მცირე ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალს უწოდებს. მცირე ბიზნესის სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე საწარმოები წარმატებით ფუნქციონირებენ და წამყვან მდგომარეობას (მათთვის განკუთვნილადგილს) იკავებენ ეკონომიკის სისტემაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემუშავებულია და ხორციელდება მცირე მეწარ-მეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტიანი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ეკონომიკური პოლიტიკა.

მცირე ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგია ის, რომ აშშ-ი მთლიან დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში მცირე ბიზნესზე მოდის 65%, ინგლისში – 49%; გერმანიაში – 80% [8]. ტაი-ვანის ეკონომიკაში დომინირებს მცირე და საშუალო ბიზნესი და შეადგენს ფირმების საერთო რაო-დენობის 98%-ს, სადაც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 78%. უმუშევრობის დონის ყვე-ლაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო ოცი წლის განმავლობაში იყო 2001 წელს და უდრიდა 3,1%-ს [4].

საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების საქმეში ჩართულია ბიზნესის ხელშემწყობი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ბანკები, საერთაშორისო ორგანიზაციების მისიები, ესენია: ბიზნესის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების მისიები საქართველოში: ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს; ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა საქართველოში; გაეროს განვითარების პროგრამა; გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება; კერძო სექტორის ხელშეწყობა საქართ ველოში; ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი; ვორლდ ვიჟენი; ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო; კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; ლტოლვილთა დანიის საბჭო; მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი; ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო; ოქსფამ ჯიბი იმ ჯორჯია; პროექტი ჰარმონია საქართველოში; საერთაშირისო დახმარების და განვითარების სააგენტო; საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტი; სი ეიჩ ეფ ინტერნეიშენალ; შვედეთის განვითარების სააგენტო; შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში; ჯეპლაკი ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ამერიკული საკონსულტაციო ცენტრი. მიკროსაფინანსო

ორგანიზაციები საქართველოში: კრისტალი; თბილმიკროკრედიტი; კრედო. ბანკები: ბანკი რესპუბლიკა; თიბისი ბანკი; საქართველოს ბანკი; ქართუ ბანკი; პროკრედიტ ბანკი; ბაზის ბანკი.

2010 წლის 10 სექტემბერს დაარსდა საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია – GAMEA, მისი მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვა, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული პირობების შექმნის ხელშეწყობა, ასევე მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის მხრიდან აქტიური კომუნიკაციის დამყარება სახელმწიფოს ტრუქტურებთან, საფინანსო ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასოციაციის დამფუძნებლები, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელებთან ერთად, არიან შემდეგი ბიზნეს გაერთიანებები: AmCham – ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, EUGBC – „ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო“ ბრიუსელი, ბელგია; ICC-Georgia „საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნულიკომიტეტი“ BAG – „საქართველოს ბიზნესასოციაცია“ .

საქართველოს მთავრობის ინიციატივის (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს) „აწარმოე საქართველოში“ – ფარგლებში 2014 წლის 20 ოქტომბერს შემუშავებულ იქნა ახალი პროგრამა – „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“. პროგრამამ მუშაობა დაიწყო 2014 წლის ბოლო თვეებში. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო აწარმოებს. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი არის 20 მილიონი ლარი და ის გაგრძელდება 26 თვის განმავლობაში. ფინანსური მხარდაჭერის კუთხით პროგრამა ითვალისწინებს თანამო- ნაწილეობრივი დაფინანსების გაცემას დამწყებ და არსებულ მეწარმე სუბიექტზე ან, მაქსიმუმ 3 ბენეფიციარისგან შემდგარი მეწარმე სუბიექტთა ჯგუფზე. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 5 000 ლარით ერთ მეწარმეზე, რაც მეწარმეთა სამკაციანი ჯგუფის შემთხვევაში 15 000 ლარს შეადგენს. ბენეფიციარების მხრიდან თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20%-სა. პროგრამა გათვლილია რეგიონის მოსახლეობაზე (თბილისის გარდა) და ითვალის- წინებს მიკრო და მცირე ბიზნესის დაფინანსებას რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციულად.

შეიქმნა ყველაზე მაღალი დონის ოფიციალური ინსტიტუტი–ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების საბჭო, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შეთანხმების განხორციელებაზე ზედამხედველობისთვის, რომელმაც პირველი სხდომა 2014 წლის პირველ ნოემბერს ჩაატარა.

ასოცირების შეთანხნმების /ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელების ეტაპობრივი პროგრამები მოიცავს საქართველოს ეკონო- მიკის განვითარების სხვადასხვა მიმართულებებს. განსახორციელებლად დღემდე წარმოდგენილ პროგრამებში განსაკუთ- რებული ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო ბიზნესს.

2015 წლის 15 იანვარს ევროკავშირ-საქართველოს შორის დაიდო ფინანსური ხელშე- კრულება, ამით დაიწყო 44.5 მლნ ევროს მოცულობის ახალი სამწლიანი პროგრამა, რომელიც დაეხმარება საქართველოს ხელისუფლებას ასოცირების შესახებ შეთანხმების/ ღრმა და ყოვლის- მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) განხორციელებაში და ხელს შეუწყობს კერძოსექტორის განვითარებას. ამ პროგრამის ფოკუსირებისთვის საქართველოს ვალდებულება იყო, განესაზღვრა საჭიროებანი, ევროკავშირის მისიის წარმომადგენლის შეფასებით საქართველომ სწორად განსა- ზღვრა საჭიროება იმისა, რომ “მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუ- ზიური ეკონომიკური ზრდისთვის მცირე ბიზნესის ხელშეწყობა აუცილებელია, ამ საჭიროებას ევროკავშირი პასუხობს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ინსტრუმენტით, რომელიც ავსებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ახალ პროგრამას და მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას[10]. “DCFTA-ს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ინსტრუმენტი, ეს არის ევროკავშირისა და ევროპის ფინანსური ინსტიტუტების (უპირველესად ევროპის განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის) რეგიონული ინიციატივა, (ამ ინიციატივის ფარგლებში საქართველოში უკვე ხორციელდება რამდენიმე პროგრამა), რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირიდან დაახლოებით 150 მილიონი ევროს ოდენობის გრანტის მობილიზებას საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინაში მცირე და საშუალობიზნესში დაახლოებით 1.5 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიციების ასამოქმედებლად. ამ ინიციატივის ფარგლებში ევრო- კავშირმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 2014 წლის დეკემბერში ხელი მოაწერეს მცირე და საშუალო ბიზნესის პირდაპირი დაფინანსების ახალ, 10 მილიონი ევროს ოდენობის პროგრამას, რომელიც პირდაპირ შეუწყობს ხელს ამ სამ ქვეყანაში ინვესტირებას მცირე და საშუალო ბიზნესში, დაახლოებით 70 მილიონი ევროს სესხების გარანტიის უზრუნველყოფის გზით [14]. ამ პირობებში პირველ ეტაპზე ალბათ არსებითი იქნება საქართველოს მცირე და საშუალო ზნესის პრობლემათა კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირბის მექანიზმი საქართველოში. თბ., 2009.

2. მ. თოქმაზიშვილი, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (ღირებულებათა ზრდის განვითარება). თბ., 2011.
3. დ. ნიდლი, ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი, თბ., BGC biznes, 2003.
4. ე. კაკულია. მცირე ბიზნესი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული ტ.4; თბ., „მეცნიერება",
5. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. თბ., 2011.
6. Горфинкел В., Швандар В. Малый бизнес организация экономика управление. М., «ЮНИТИ», 2003.
7. Мазоль **С.** Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004.
8. Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д. Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995.
9. http:/open-referat.djenbo.com/referats/vldoc.5531.html. Биржевое дело, реферат на тему «Малый Бизнес». 2005.
10.http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2015/20150115_01_ka.pdf
11. www.geostat.ge
12. www.economy.ge
13. www.resonancedaily.com [7/22/2011]
14. http://netgazeti.ge/business/38011/ 16. 01 2015netgazeti.ge

Eter Kakulia

REGULARITIES OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

The article emphasizes the regularities characteristic to small business in economic system (peculiarities, significance, essence, role). As a result of the research the formation – development of small business in Georgia is presented in five steps from the beginning of transition period to present days. We speak about the sixth step of small business formation-development in Georgia from the beginning of 2016. Right policy must be worked out. The implementation of principles and instruments of EU policy must begin in this sphere. In spite of the fact that European integration is the national strategic policy, state policy of European countries to support small business development has not been realized yet. One of the demands of EU is to stimulate social role and significance of small business, its support from government side. Is also studied a current state of small business development and the issues of support in Georgia.

მარინე ცუცქირიძე

ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარება და მისი დარგობრივი ასპექტები

თანამედროვე პირობებში საბაზრო ურთიერთობების განვითარება საქართველოში ძირითადად უკავშირდება ბიზნესის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციულ სისტემაში ფუნქციონირებადი ფირმების მართვის, მათი საწარმოო და საბაზრო ურთიერთობების მოწესრიგება.

ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მიზნების მიღწევა წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისა და ბიზნესის საქმიანობაში დარგობრივ სახეობათა გაფართოების საფუძველზეა შესაძლებელი. იგი ევროინტეგრაციული პროცესების გააქტიურების ვითარებითაა გამოწვეული და ფირმათა შორის ურთიერთობების გამყარების, მასზე ორგანიზაციული და ტექნიკური ფაქტორების ზემოქმედების გაუმჯობესებას განაპირობებს.

თანამედროვე ბიზნესის განვითარება და მისი კანონზომიერებების დაცვა ძირითადად დაკავშირებულია წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებასთან. ევროინტეგრაციული პროცესების გააქტიურების დროს ბიზნესის განვითარებაზე განსაკუთრებით ზემოქმედებს ორგანიზაციული და ტექნიკური ფაქტორები. ამ ფაქტორების გავლენითა და ბიზნესის საქმიანობის საბოლოო შედეგებით შესაძლებელი ხდება ინოვაციური ეფექტის მიღება, წარმოებისა და მომსახურების დანახარჯების შემცირება და მათი მომგებიანობის გადიდება. იგი ბიზნესის საქმიანობის რაციონალურად წარმართვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამ მიმართულებით მისი მთავარი საფუძველია ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების ის ასპექტები, რომლებიც ფირმათა ნორმალურ ფუნქციონირებას განაპირობებს,. ხოლო წარმოებისა და მომსახურების სისტემისათვის გაწეული დანახარჯების შემცირება პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების, მისი საბაზრო კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველზეა შესაძლებელი და ფირმათა ეფექტიანობის გადიდების საშუალებად გვევლინება.

ევროინტეგრაციული ურთიერთობების პირობებში ძირითადია ბიზნესის ინოვაციური განვითარებისა და მისი სოციალური მიზანდასახულობის გაძლიერების სტრატეგიული ასპექტები. გარდა

ამის ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენით გამოირჩევა საბაზრო და ინფლაციური ასპექტები. ბიზნესის შემოსავლებზე მათი გავლენა აისახება პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის შედეგების საშუალებით. ფირმათა საქმიანობის საბოლოო შედეგების – პროდუქტებისა და მომსახურების საბაზრო მიწოდებათა ორგანიზებულობა და მასზე ინფლაციის პროცესის გავლენა საბაზრო შეყოვნებათა და მასთან დაკავშირებული რისკის გაძლიერების ძირითად მიზეზად გვევლინება.

წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემის ფუნქციონირება საქართველოში უმთავრესად უკავშირდება ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას. იგი ფირმების ორგანიზაციული და ტექნიკური განახლების საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ ინოვაციური ასპექტის გაძლიერება წარმოებისა და მომსახურების დარგებში არსებულ ფირმათა პრივატიზების, მმართველობითი სისტემის გარდაქმნის, საწარმოების რესტრუქტურიზაციის პროცესების მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს. ამას ისიც განაპირობებს, რომ აღნიშნული ინოვაციური ეფექტის მიღების შესაძლებლობას იძლევა, რაც ფირმათა ორგანიზაციული და ტექნიკური საფუძვლების გარდაქმნით შეიძლება იქნეს მიღწეული.

ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარება და მისი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა დამოკიდებულია წარმოების ძირითად ორგანიზაციულ ფაქტორებზე. მათი ურთიერთგავლენა კი ფირმათა ტექნიკური, შრომითი და რესურსული პოტენციალის ურთიერთშესაბამისობით აისახება. ორგანიზაციული ფაქტორების ზემოქმედება ბიზნესის განვითარებაზე ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვით, პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობით, ფირმათა საწარმოო და საბაზრო შედეგების გაუმჯობესებით გამოიხატება. მას ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირების გააქტიურება უდევს საფუძვლად. წარმოებაზე აღნიშნული ფაქტორების გავლენა განაპირობებს ბიზნესის ორგანიზაციულ სისტემაში ფუნქციონირებადი ფირმების საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მათი მოგებისა და შრომითი შემოსავლების ზრდას, მმართველობითი კაპიტალის რაციონალურად გამოყენებას, რესურსების დანახარჯების შემცირებას. იგი წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემისათვის ინოვაციური ეფექტის გადიდების საშუალებათაგანია, რაც განპირობებულია ამ სისტემის ტექნიკური დონის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებათა გატარებით მიღწეული საბოლოო შედეგებით. ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციული ფაქტორების გავლენას ფირმათა საბაზრო საქმიანობაზე. ინოვაციურ ასპექტებთან დაკავშირებით ძირითადია: 1. წარმოებისა და მომსახურების სისტემაში დასაქმების გაუმჯობესება; 2. მისი ტექნიკური დონის სრულყოფა; 3. ტექნოლოგიური სიახლეების – ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვა და ათვისება; 4. ბიზნესის მმართველობითი ეფექტის ამაღლება და საბაზრო რისკის წარმომქმნელი ფაქტორების შემცირება.

დასაქმების ფაქტორების (დასაქმებულთა კვალიფიკაცია, ბიზნესისათვის საჭირო შრომითი გამოცდილება და სხვ.) გავლენა ბიზნესის განვითარებაზე, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ინოვაციებთან ერთად, უკავშირდება შრომითი სიახლეების ათვისებას და დასაქმების დონის ამაღლებას. იგი ფირმებში დასაქმების სისტემის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. წარმოებისა და მომსახურების ტექნიკური დონის სრულყოფა ძირითადად ინოვაციური ტექნიკის მოზიდვის ან შექმნილის ათვისების მიზნით, საბაზრო არეთა გაფართოების აუცილებლობას განაპირობებს. წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისებაა. იგი ბიზნესის საწარმოო სისტემის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. ბიზნესის საქმიანობა და მისი მმართველობითი ეფექტის მიღწევა ძირითადად ფირმის საბაზრო პროცესების მართვის ხარისხის გაუმჯობესებას უკავშირდება. მართვის მიზნით დასახულ პრობლემათა გადაჭრა კი – ამ დროს წარმოქმნილ რისკზე და მის შესაბამის მმართველობით გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ბიზნესის შემოსავლების ზრდა ხორციელდება საბაზრო რისკის პირობებში. ამდენად, საბაზრო რისკის განმაპირობებელი ფაქტორების გავლენის შემცირება მმართველობით გადაწყვეტილებათა საიმედობის საშულებასაც წარმოადგენს.

სოციალურ ასპექტებთან განუხრელადაა დაკავშირებული ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარება. ამასთან, ძირითადია დასაქმების საბაზრო პროცესების გაუმჯობესება, შრომითი შემოსავლების ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება. იგი თანამედროვე ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ასევე ძირითადია დასაქმებისა და შრომითი პროცესების სრულყოფა ბიზნესის ორგანიზაციულ სისტემაში გაერთიანებული ფირმებისა და მომსახურების ობიექტებზე, მისი შესაბამისი ღონისძიებების გატარება. აღნიშნული საქართველოში ფუნქციონირებად ბიზნესსექტორში შრომითი დანახარჯების ზრდის ტემპის შემცირების საფუძვლად გვევლინება. ბიზნესის ორგანიზაციული სისტემისათვის ასევე დამახასიათებელია წარმოებასა და მომსახურებაზე დანახარჯების შემცირება, რაც მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი საფუძველია. იგი შესაძლებელი გახდა საწარმოებისა და მომსახურების დარგებში არსებული ფირმების პრივატიზების ახალი სისტემის შემოღებით და რესტრუქტურიზაციის განხორციელების შედეგად. მისი წინაპირობაა საწარმოო ტრანსფორმაციული პროცესის გატარება, რომელმაც წარმოების პროცესების გარდაქმნის გზით ბიზნესის შიდასისტემური ელემენტებისა და ძირითადი საწარმოო ფაქტორების გაუმჯობესება განაპირობა.

ბიზნესსექტორში გატარებულ საწარმოო და საბაზრო გარდაქმნებთან ერთად, განსაკუთრებული ადგილი უკავია მისი სოციალური მიზნების მისაღწევად საჭირო ეკონომიკური და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ბიზნესის განვითარების სოციალური მიზნების შესრულებისთვის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება მისი დარგობრივი ორგანიზაციის გაფართოება. იგი ძირითადად მშენებლობისა და ტრანსპორტით მომსახურების, ასევე ახალი საბაზრო სისტემების წარმოქმნის გზით ხორციელდება. ეს შრომისუნარიანთა დასაქმების პროგრამისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებათა გატარებისათვის საჭირო წანამძღვარს წარმოადგენს. ამან გამოიწვია ბიზნესსექტორში, შრომითი დანახარჯების ზრდის ტემპის შემცირებასთან ერთად, დასაქმების დონისა და მათი შრომითი შემოსავლების გადიდება.

საქართველოში წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციულ სისტემაში განხორციელებული გარდაქმნების ძირითად შედეგს ინოვაციური სტრატეგიისა და სოციალური მიზნების ფირმების საქმიანობაში რეალიზება წარმოადგენს. იგი თანამედროვე ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია საბაზრო ურთიერთობებისა და ინტეგრაციული ურთიერთკავშირების პირობებში.

ბიზნესის განვითარება და მისი შემოსავლების ზრდა ძირითადად განპირობებულია მისი საქმიანობის დარგობრივი ასპექტების გაუმჯობესებასთან. ბიზნესის საქმიანობის რაციონალურად წარმართვის ერთ-ერთი საფუძველია მისი დარგობრივი ობიექტების წარმოქმნა, ამ გზით ფირმათა საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოება, რაც ბიზნესის ინოვაციური სტრატეგიის განხორციელებისათვის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

დარგობრივი საქმიანობა ბიზნესისა და მისი ორგანიზაციული სისტემის განვითარების პროცესში, უშუალოდ უკავშირდება ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირის დამყარებას საქართველოსა და სახღვარგარეთის ეკონომიკაში ფუნქციონირებად სისტემათა შორის.

ამასთან მიმართებაში ასეთს წარმოადგენს ურთიერთშესაბამისი დარგობრივი, საბაზრო, სამეურნეო და სავაჭრო ობიექტების ფუნქციონირება. მათი ინტეგრაციის დროს გაითვალისწინება ბიზნესის დარგობრივი და ასევე მისი საწარმოო, ტექნოლოგიური სტრუქტურა და რეგიონული დიფერენცირების თავისებურებანი, რითაც ბიზნესის განვითარება დროში მოწესრიგებული და ფირმათა ურთიერთშეთანხმებული მოქმედების პირობას ექვემდებარება.

წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციულ ასპექტებთან დაკავშირებით ძირითადს მიკროსოციალური გარემო წარმოადგენს. იგი ბიზნესის სისტემაში სტრუქტურული ნაწილის და მისი დარგობრივი ელემენტის ფუნქციას ასრულებს. ამით ძირითადი ადგილი უკავია ბიზნესსისტემის ჩამოყალიბებასა და მისი განვითარების კანონზომიერებათა დაცვის პროცესში.

ამრიგად, ბიზნესის ორგანიზაციული სისტემა მოიცავს ეკონომიკის სუპერსისტემაში გაერთიანებული დარგების – მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, მშენებლობის, ვაჭრობისა და სოციალური დარგების და მომსახურებისათვის საჭირო ფირმების, კომპანიების კოლექტიურ და აქციონერულ საზოგადოებათა განსაზღვრულ რაოდენობას. ასეთი დარგობრივი ასპექტები მნიშვნელოვანია ბიზნესის შემოსავლების გადიდებისათვის, საბაზრო ეკონომიკისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარებისათვის.

ასეთი ბიზნესსისტემა წარმოადგენს დარგებისა და ქვედარგების, ასევე რეგიონული ეკონომიკისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმათა საფუძველზე ფუნქციონირებადი ფირმების საწარმოო და საბაზრო მიზნებისა და ინტერესების დაცვისათვის აუცილებელ მის ერთ-ერთ საშუალებას.

ბიზნესის დარგობრივი საწარმოო ელემენტები და მათი ურთიერთკავშირი წარმოადგენს პროდუქციის წარმოებასა და მომსახურებაზე დანახარჯების სტრუქტურის და რესურსების, ასევე საბაზრო კონიუნქტურის დასადგენად, ფირმათა საქმიანობის დაბალანსებული მართვისა და საბაზრო რეგულირებისათვის საჭირო საფუძველს, რაც აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული წონასწორობის მისაღწევად. აღნიშნული მიანიშნებს, რომ ბიზნესის ორგანიზაციული სისტემა აისახება ფირმათა საქმიანობის შედეგების საბაზრო მოხმარებისა და შემოსავლების ზრდის, წარმოებისა და მომსახურების ფუნქციის შემსრულებელი საწარმოთა ჯაჭვური მთლიანობითი სისტემის საშუალებით. მისი შემადგენლებია საბაზრო ურთიერთობის გზით დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი საწარმოო ობიექტები, როგორც კომერციული, საბაზრო სისტემაში მოქმედი იურიდიული პირი. მისთვის დამახასიათებელია რეგულირებადი საბაზრო პროცესისათვის საჭირო ფასწარმოქმნის მექანიზმი და მასთან ურთიერთკავშირში კი – დარგობრივი დიფერენცირების ელემენტები.

ფირმების მმართველობის, კომერციული საქმიანობის, მისი მესაკუთრეთა კაპიტალის გამოყენების გაუმჯობესებისა და მათი ნორმალური ფუნქციონირების მიზნები ბიზნესის დარგობრივი საქმიანობის არეთა გაფართოების აუცილებლობას განაპირობებს. ამ მიმართულებით ბიზნესის განვითარების ძირითადი მიზნებია: 1. ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის მმართველობითი ფუნქციების განმტკიცება სტრატეგიული დაგეგმვის, კომერციული საქმიანობის თვითკონტროლისა და თვითშეფასების, გადაწყვეტილებათა მიღებისა და მისი განხორციელების გზით; 2. ფირმათა ეფექტიანი ფუნქციონირება მმართველობითი რაციონალიზმისა და სიტუაციური მართვის მექანიზმის საფუძველზე, რომლითაც ბიზნესის სისტემაში ხორციელდება საბაზრო გარემოში წარმოქმნილ სიძნელეებზე რეაგირება და დანახარჯების შემცირების რეზერვების

გამოვლენა; 3. ერთი დარგის საწარმოო ან მომსახურების სისტემაში არსებულ ფირმათა შორის საწარმოო ურთიერთკავშირების დამყარება. მისი გატარებისათვის გამოიყენება საინვესტიციო გარემო, პროდუქციისა და მომსახურების ასორტიმენტის დივერსიფიკაცია (დივერსიფიცირებული გაფართოება), დარგობრივი მმართველობითი სტრატეგია, დანახარჯების რეგულირების სისტემა.

ამრიგად, ბიზნესის საქმიანობაში დარგობრივ სახეობათა წარმოქმნა და გაძლიერება წარმოადგენს წარმოებისა და მომსახურების პროცესების რაციონალური ორგანიზაციისა და მათი ეფექტიანად წარმართვის საშუალებას. აღნიშნული მიზნების რეალიზების ძირითად გზას ბიზნესის საქმიანობის ორგანიზება და მის საშუალებას, ამ საფუძველზე წარმოქმნილი ორგანიზაციული სისტემა წარმოადგენს. მისი შემადგენლებია: 1. ბიზნესის დარგობრივი საწარმოო და მომსახურების ელემენტები; 2. ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებთან შესაბამისობაში წარმოქმნილი საწარმოები და კომერციული საზოგადოებები; 3. ბიზნესის რეგიონულ ორგანიზაციის შემადგენლები.

ბიზნესის დარგობრივი საწარმოო ელემენტების წარმოქმნა და ფუნქციონირება საქართველოს ეკონომიკის ძირითადი დარგების მიხედვით ხორციელდება. მათ შორის ბიზნესის საქმიანობასთან ურთიერთშესაბამისობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა და მისი სამეურნეო ობიექტები; სამთომომპოვებელი მრეწველობა და დამამუშავებელი მრეწველობა; ელექტროენერგეტიკისა და ენერგეტიკის სხვა დარგების ობიექტები; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; მომსახურების სისტემაში არსებული დარგები (კვების, კომუნალური, სოციალური და სხვა სახის ობიექტები); მშენებლობა; ვაჭრობა და საწარმოო, ასევე საბაზრო მომსახურება; სოციალური სისტემის დარგობრივი ელემენტები (განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური მომსახურების ობიექტები). ამ დარგობრივ საქმიანობას დროის უკანასკნელი პერიოდისათვის ძირითადი ადგილი უკავია ბიზნესის სხვა დარგობრივ სახეობებთან შედარებით.

ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებთან ურთიერთშესაბამისად ბიზნესის სისტემის ფუნქციონირება ხორციელდება კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირის – ფირმების, ინდივიდუალურ მეწარმეთა და საჯარო სამართლის სუბიექტი ორგანიზაციების გზით. მათ შორის ძირითადს წარმოადგენს წარმოებისა და მომსახურების დარგების კომერციული საწარმოები და საზოგადოებები (სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის და სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოებები). ბიზნესრეგისტრის მონაცემების მიხედვით განსაკუთრებით ფართოა ინდივიდუალური მეწარმეობისა და კომერციულ საზოგადოებათა საბაზრო შესაძლებლობები და მაღალია მათი ფირმების კონკურენტუნარიანობა.

ბიზნესის სუბიექტების აქტიურობასთან მისი რეგიონული ორგანიზაციის ურთიერთშესაბამისობა განაპირობებს დიდი ქალაქების, დასავლეთისა და აღმოსავლეთის რეგიონებში ბიზნესის განვითარებას, რაც რეგიონული ეკონომიკისა და მისი სოციალური სისტემის ფარგლებში ხორციელდება. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს ბიზნესსექტორის ფუნქციონირების შედეგად გამოშვებული პროდუქციისა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის, შრომითი და რესურსების დანახარჯების შემცირების და ამით ბიზნესის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის საჭირო საფუძველს.

დარგობრივი და ორგანიზაციული ასპექტების გაფართოება საქართველოს ბიზნესის სისტემისათვის საერთაშორისო ბიზნესკონტაქტების დამყარების, ფირმათა დარგობრივი, საბაზრო ურთიერთკავშირების განვითარების, მათი ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი საშუალებათაგანია.

საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოება და ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის ეფექტიანობის ამაღლება საქართველოში მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს თანამედროვე ვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებები პოსტკომუნისტურ საქართველოში. საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები საქართველოში", თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

2. Берулава Г. О роли неформальных и формальных институтов в регулировании межфирменных отношении, Сб. материалов междун. конференции, Тбилиси, изд. Института экономики им. П.Гугушвили, 2011.

3. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიკსი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

4. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა, ტ. II, თბილისი, „სამშობლო", 1996.

5. წერეთელი გ. საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები, სამეცნიერო შრომების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", ტ. I, თბილისი, „მეცნიერება", 2000.

6. ცუცქირიძე მ. პროგნოზირების ძირითადი ასპექტები და მისი მახასათებლების ანალიზის საკითხები, ჟ. „ეკონომისტი", №3, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

7. www.geostat.ge/?action=page&lang=geo,2004-2013
8. www.geostat.ge/action=page&8P.Jd=469&lang=geo2015/1-06

Marine Tsutskiridze

THE DEVELOPMENT OF BUSINESS ORGANIZATION SYSTEM AND ITS SECTORAL ASPECTS

Annotation

The article analysis the organization aspects of business development. There are given the characteristics of results of functionings organization system of business, of its sectoral aspects and its influencing on the business development processes in Georgia.

თეა ლაზარაშვილი
მედეა მელაშვილი

სახელმწიფო საწარმოების მართვის თავისებურებანი საქართველოში და ეფექტიანობის ამაღლების გზები

პოსტსაბჭოთა სივრცეში უკანასკნელი წლების განმავლობაში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მიზნით გატარებული რეფორმების მიმდინარეობამ თვალნათლივ დაგვანახა უსწრაფესი ტემპებით გატარებული პრივატიზაციისა და სახელმწიფო სექტორის ხელაღებით რეფორმირების მცდარი სტრატეგიის სრული არაეფექტიანობა. თანამედროვე პირობებში სახელმწიფო რეგულირების უფრო მოქნილი და საკმაოდ ძლიერი სისტემის შექმნის აუცილებლობა ჩნდება.

სახელმწიფო სექტორის წილი ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში იგი საკმაოდ მაღალია და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში იმ დროისათვის არსებული საზოგადოებრივი სისტემის დემონტაჟი დაიწყო, რაც მიმართული იყო საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისაკენ. დღეისათვის, სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების პრობლემებისა და მისი მეთოდების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი ნაშრომი არსებობს, თუმცა მათში მაინც იკვეთება ერთი ძირითადი აზრი, რომ სწრაფი ტემპებით გატარებულმა პრივატიზაციის პროცესმა და სახელმწიფო სექტორის ხელაღებით რეფორმირებამ არაეფექტური შედეგი გამოიღო. სამეურნეო გარდაქმნების არსებული გამოცდილება იმაზე მეტყველებს, რომ ეკონომიკის ტოტალურ კაპიტალიზაციას არ შესწევს ძალა, თავისთავად გადაწყვიტოს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემები, აქ ყურადსაღებია, თუ მართვის რა კონკრეტული მექანიზმების შერჩევა მოხდება.

სახელმწიფო სექტორისათვის მონოპოლიზმის სხვადასხვა ფორმით გამოვლენა უარყოფით მომენტს წარმოადგენს, რაც მის მოუქნელობაში გამოიხატება. მოუქნელობა უფრო მეტად იზრდება პოლიტიკური მოტივების გავლენითაც. გაძნელებულია აღრიცხვიანობაც, რაც, თავის მხრივ, ეფექტურობის მაჩვენებლების მონიტორინგს აძნელებს, ამიტომ, სასურველია ისეთი მექანიზმების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სექტორში კონკურენციის გაზრდას, მონოპოლიზმის პროცესის შეფერხებას და ა.შ.

რიგი უცხოელი ეკონომისტების აზრით, ინდუსტრიულ ეპოქაში ჩამოყალიბებული უზარმაზარი ზეცენტრალიზებული სახელმწიფო სექტორი, რომელიც რესურსების გაუაზრებელი ფლანგვით, ურთიერთობების ზედმეტი რეგულირებით ხასიათდება, უკვე აღარ პასუხობს ქვეყნის დინამიური განვითარების, სწრაფი სტრუქტურული ცვლილებების, გლობალური კონკურენციის თანამედროვე მოთხოვნებს.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფო საკუთრებაში დიდი ადგილი უჭირავს განათლების, ჯანდაცვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა სფეროებს.

სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართვისა და საკუთრების სფეროში მიმდინარევ ტენდენციებითა და ეროვნული ინტერესებით განისაზღვრება.

2009 წლის ოქტომბრიდან საქართველოს კონტროლის პალატამ სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემის მონიტორინგი დაიწყო. საწარმოთა მართვის სააგენტოს აუდიტმა მრავალი დარღვევა-ნაკლოვანება გამოავლინა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

– საწარმოთა მართვის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული 1426 საწარმოდან 2008 წლის ფინანსური ანგარიში არ წარუდგინა 506-მა სახელმწიფო საწარმომ. ამასთან, სააგენტოს მათ შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდა;

– სააგენტოს, როგორც სახელმწიფოსაგან უფლებამოსილ პარტნიორს, აღნიშნული და სხვა არამომგებიანი საწარმოების მიმართ შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია;

– არ არის აღრიცხული რა ქონებას ფლობენ სახელმწიფო საწარმოები და შესაბამისად, ეს ქონება არ არის სათანადოდ ჩართული ეკონომიკურ ბრუნვაში;

– ჯეროვანი კონტროლი არ ხორციელდებოდა დივიდენდების სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვაზე;

საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ სათანადოდ არ ხორცილედებოდა საწარმოთა მართვის ბიზნესგეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი: 2009 წელს 1426 საწარმოდან მხოლოდ 258 საწარმოს ბიზნეს-გეგმა იყო დამტკიცებული და ესეც, რიგ შემთხვევაში, ფორმალურ ხასიათს ატარებდა:

– ხშირად, სახელმწიფო საწარმოები ისე იღებდნენ ვალდებულებებს, რომ ამის შესახებ სააგენტო არ იყო ინფორმირებული: შედეგად, ვალების ხელოვნური და დაუსაბუთებელი გაზრდით საწარმოთა გადახდისუნარიანობა შემცირდა;

– საწარმოების ხარჯები ფაქტობრივად უფრო მეტი ოდენობით იყო გაწეული ვიდრე ეს ბიზნესგეგმით იყო განსაზღვრული, შესაბამისი ცვლილებებისა და სააგენტოს თანხმობის გარეშე;

– ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საწარმოების მიერ უძრავი ქონების იჯარით გაცემას სააგენტოს თანხმობის გარეშე, ან სააგენტოს თანხმობით, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი ფასის გაუთვალისწინებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლის პალატამ საწარმოთა მართვის სააგენტოს მისცა რეკომენდაცია სახელმწიფო საწარმოთა შემდგომი ფუნქციონირების ან სახელმწიფოს მართვაში შენარჩუნების მიზანშეწონილობის საკითხზე სისტემურად მსჯელობის, აგრეთვე, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად, ეკონომიკის იმ პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც სახელმწიფო საწარმოები გააგრძელებენ ფუნქციონირებას, ხოლო დანარჩენი – დაექვემდებარება განკერძოებას.

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, საწარმოთა მართვის სააგენტომ დაიწყო მუშაობა სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემურ მოწესრიგებაზე [2].

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 344 სახელმწიფო საწარმოა, რომელთაგან 24 საწარმო მართვის უფლებით გადაცემული აქვთ სხვადასხვა სამინისტროებს თუ კერძო ინვესტორებს, მათგან 10 საწარმო ლიკვიდაციას ექვემდებარება. 2014-2015 წლებისთვის კიდევ 50-მდე სახელმწიფო საწარმოს ლიკვიდაციაა დაგეგმილი.

საქართველოში სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ პოლიტიკას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო განსაზღვრავს. სააგენტოს ევალება, სახელმწიფო საწარმოებში განახორციელოს პარტნიორის უფლებამოსილებები, მიიღოს გადაწყვეტილებები საწარმოს კაპიტალში ცვლილებების განსახორციელებლად.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 310 საწარმო სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება, თუმცა მათგან საჭიროა გამოვყოთ ძირითადი სექტორები:

1. სამედიცინო მომსახურება – 88 საწარმო;
2. ტრანსპორტი, ტრანსპორტირება – 16 საწარმო;
3. კომუნიკაცია – 3 საწარმო;
4. წყალმომარაგება – 2 საწარმო;
5. სამშენებლო სერვისები – 17 საწარმო;
6. ტურიზმი – 13 საწარმო.

სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფინანსურად შედარებით გამართული საწარმოები სს საპარტნიორო ფონდს აქვს საკუთრებაში გადაცემული, რომლის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით. ფონდის აქტივების პორტფელი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

1. საქართველოს რკინიგზა – 100% წილით;
2. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია – 100% წილით;
3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა – 100% წილით;
4. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი – 100% წილით;
5. სს თელასი – 24,5% წილით.

გარდა აღნიშნული საწარმოებისა, ფონდს თავის საკუთრებაში კიდევ რამდენიმე კომპანია ფლობს [2].

აუდიტის პერიოდში (2012-2013) ქვეყანაში არსებული საწარმოების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო და 1129-ს აღწევდა. აუდიტის მიზანი იყო, არამომგებიანი, ზარალიანი საწარმოები გამოევლინა, მოეხდინა მათი ლიკვიდაცია, შერწყმა ან გაკოტრება. ამისათვის ზოგიერთი საწარმო მართვის უფლებით კერძო სუბიექტებსაც კი გადაეცა. მოხდა რიგი საწარმოების პრივატიზება. საბოლოოდ, ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად, 2013 წლის ბოლოსათვის უკვე დარჩენილ სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი 373-ს შეადგენდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2012 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში 1129 საწარმოდან ფუნქციონირებდა 71 საწარმო, ინფორმაციას კი იძლეოდა 64

საწარმო. 2013 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული 373 საწარმოდან მხოლოდ 74 ფუნქციონირებდა და მათგან ინფორმაციას მხოლოდ 66 საწრმო აწვდიდა.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო საწარმოებში, მათი სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, იგულისხმება მხოლოდ ის საწარმოები, რომლებშიც სახელმწიფო უშუალოდ პირდაპირ ფლობს წილს. მაგრამ, გარდა აღნიშნული ტიპის საწარმოებისა, არსებობს სახელმწიფო ისეთი საწარმოები, რომლებიც წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით სახელმწიფო საწარმოებად არ ითვლებიან, თუმცა ისინი თვისებრივად დიდად არ განსხვავდებიან სახელმწიფო საწარმოებიდან. ეს საწარმოებია:

– ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დაფუძნებული საწარმოები – საწარმოში წილი შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივ თვითმმართველობას ან საქართველოს შემადგენლობაში შემავალ რომელიმე ავტონომიურ რესპუბლიკას, რომლებიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ერთეულებია და მათ მიერ დაფუძნებული საწარმოები სამართლებრივად სახელმწიფო საწარმოების კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, თუმცა ისინი ემსახურებიან ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ ავტონომიური რესპუბლიკის მიზნებს, ეს უკანასკნელნი კი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილებია.

– სახელმწიფო საწარმოების შვილობილი კომპანიები – აღნიშნული კომპანიები არ ითვლებიან სახელმწიფო საწარმოებად, რადგან მათში წილის უშუალო მესაკუთრე არის არა სახელმწიფო, არამედ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი. თუმცა სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, ფაქტობრივი კონტროლი განახორციელოს აღნიშნულ კომპანიებზე მათ მიერ დაფუძნებული სახელმწიფო საწარმოების მეშვეობით.

– არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები – აღნიშნული ტიპის ორგანიზაციები საწარმოებად არ ითვლებიან, რადგანაც არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას (არ არიან მოგებაზე ორიენტირებულნი), თუმცა მათ საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს კერძო საწარმოები, რომლებზეც სახელმწიფოს კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა აქვს.

– სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სსიპ-ების მიერ დაფუძნებული კერძო საწარმოები – აღნიშნული საწარმოები აგრეთვე არ ითვლებიან სახელმწიფო საწარმოებად, რადგანაც სსიპ დამოუკიდებელი სამართლებრივი ერთეულია და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი, როგორც იურიდიული პირის, სტატუსით/სახელით [2].

სააგენტოს ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი და მომგებიანი საწარმოების სახელმწიფო მართვაში დარჩენა, ხოლო არამომგებიანი და ზარალიანი საწარმოების ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და ა.შ.

სახელმწიფოს მიერ საწარმოების ფლობის ძირითადი მიზანი სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაა. ამისათვის კი აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა მდგომარეობაა სახელმწიფო საწარმოების კუთხით. თუმცა არსებული სიტუაცია სულაც არ გვაძლევს დამაიმედებელი პროგნოზების გაკეთების შესაძლებლობას.



გრაფიკი 1

გრაფიკზე გამოსახულია საწარმოები, რომლებიც 5 კატეგორიად არიან დაყოფილნი. კატეგორია "კარგის" მდგომარეობაში მხოლოდ ორი საწარმო იმყოფება, 21 საწარმო იმყოფება ერთით ქვედა დონეზე, ანუ კატეგორია "საყურადღებოში". საწარმოების დაახლოებით 75% საკმაოდ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია, ხოლო კატეგორიაში – "ცუდი" – მყოფი საწარმოები, სააგენტოს შესაბამისად ვერ აწვდიან საკმარის ინფორმაციას.

იმ სახელმწიფო საწარმოების, რომლებიც იმყოფებიან სხვა სამინისტროების მმართველობის სფეროში და აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოების მიმართ, ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის კლასიფიცირება არ განხორციელებულა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და არასახარბიელო. ამის მრავალი მიზეზი არსებობს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო საწარმების მიმართ მრავალი კანონდარღვევის ფაქტი იქნა გამოვლენილი: სახელმწიფო საწარმოების მიმართ საერთოდ არ მოქმედებდა კონტროლის მექანიზმი, შტატები იყო გაბერილი, არ ფუნქციონირებდა მაკონტროლებელი სისტემა, სახელმწიფო სახსრები არამიზნობრივად და არაეფექტიანად იხარჯებოდა. სწორედ ასეთმა დარღვევებმა და სახელმწიფო საწარმოების არაეფექტიანობამ გამოიწვია აუდიტის ჩატარების აუცილებლობა.

აუდიტის მიზანს სახელმწიფო საწარმოების მმართველობითი სისტემის შესწავლა და შეფასება წარმოადგენდა, რომელსაც უნდა გამოევლინა არაეფექტიანობის მიზეზები და შესაბამისად მოეხდინა მათი აღმოფხვრის გზების მოძიება. აუდიტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის – OECD-ს კრიტერიუმებით სახელმწიფო საწარმოთა მართვის საკითხებზე. აუდიტი აგრეთვე ხელმძღვანელობდა მსოფლიოში არსებული პრაქტიკით.

ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საწარმოთა დაარსებისათვის საჭირო კრიტერიუმები არ არის შემუშავებული საქართველოში. აგრეთვე საფუძველი იმისა, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სახელმწიფო საწარმოს დაფუძნება და ა.შ. თუმცა მსოფლიოს რიგ ქვეყნებში (პოლონეთი, სლოვენია, შვეიცარია, ფინეთი, საფრანგეთი და სხვა) მრავალი სახის სამართლებრივი დოკუმენტი არსებობს სახელმწიფო საწარმოთა დაარსების შესახებ. ამ სამართლებრივი დოკუმენტის არარსებობის გამო ძნელდება განისაზღვროს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საწარმოები, მათი როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, სტრატეგია და ა.შ.

მაგალითად, OECD-ის მიერ ის კრიტერიუმებია შემუშავებული, რომლებიც, თეორიულად, სახელმწიფო საწარმოების დაფუძნების საფუძველს წარმოადგენს. ასეთ კრიტერიუმად მიჩნეული უნდა იყოს სწორედ ის კონკრეტული საქონელი თუ მომსახურება, რომელიც ქვეყნისთვის აუცილებელია, თუმცა კერძო სუბიექტებისათვის კი არამიმზიდველი; ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ჯანდაცვა, განათლება და ა.შ.

ქვეყანაში უნდა არსებობდეს ერთიანი მიდგომა სახელმწიფო საწარმოების მიმართ, უნდა შემუშავდეს სახელმწიფო საწარმოთა მართვის ძირითადი ნორმები და პრინციპები, რამაც უნდა უზრუნველყოს საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანი ფუნქციონირება.

სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანი მართვა უნდა განხორციელდეს მსოფლიო პრაქტიკაში არსებული გამოცდილების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რა ფორმით უნდა განახორციელოს სახელმწიფომ თავისი უფლებამოსილებები. მსოფლიო პრაქტიკაში კორპორაციული მართვის 3 ძირითადი მოდელია ცნობილი: დეცენტრალიზებული, ორმაგი მმართველობის სისტემა და ცენტრალიზებული. თუმცა არსებობს კიდევ გარდამავალი, ანუ ჰიბრიდული მმართველობის ფორმები, რომლებიც მრავლადაა მსოფლიო პრაქტიკაში. აღნიშნულ მოდელებს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები და ცალსახად თქმა, თუ რომელი მოდელი იქნება საქართველოსთვის მისაღები, რა თქმა უნდა, საკმაოდ ძნელია, თუმცა OECD-ს რეკომენდაციებით ყველაზე მისაღები მაინც ცენტრალიზებული მმართველობის მოდელია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს, გადავიდეს ცენტრალიზებული მმართველობის მოდელზე, სადაც მხოლოდ ერთი ორგანო ახორციელებს პარტნიორის უფლებამოსილებას ყველა სახელმწიფო საწარმოში. ცენტრალიზებული მმართველობის მოდელი განსაკუთრებით ეფექტიანად შეიძლება იქნეს გამოყენებული განვითარებადი და მცირე ზომის ქვეყნებისათვის სადაც, იმის გამო, რომ შრომითი ბაზარი არასაკმარისადაა განვითარებული, რთულდება შესაბამისი მაღალი დონის პროფესიული ცოდნის თავმოყრა სხვადასხვა სამინისტროებში. ცენტრალიზებული მოდელისათვის აგრეთვე დამახასიათებელია სხვა მოდელებთან შედარებით მოქნილი და ძლიერი ზედამხედველობა, რაც სახელმწიფო საწარმოებიდან ზუსტი და დროული ინფორმაციის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ შეიძლება ითქვას, დეცენტრალიზებული მოდელია შემორჩენილი, რომლის მთავარი ნაკლოვანებაა სამინისტროებსა და საწარმოს მმართველ ორგანოებს შორის ფუნქციების გაუმიჯნაობა და საწარმოების შესახებ აგრეგირებული ინფორმაციის მიწოდება.

რადგან განვითარებადი ქვეყნებისათვის ძნელია მმართველობის ცენტრალიზებულ მოდელზე გადასვლა, ამიტომ მათთვის უფრო მისაღებია ამ ორ მოდელს შორის შუალედური მოდელის შერჩევა, რომელიც დუალისტურ მოდელადაა ცნობილი. მმართველობის დუალისტური მოდელის გამოყენება გაუადვილებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, მომავალში უფრო ადვილად გადავიდნენ მმართველობის ცენტრალიზებულ მოდელზე

დასკვნა

სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართვისა და საკუთრების სფეროში მიმდინარე ტენდენციებითა და ეროვნული ინტერესებით განისაზღვრება.

2014 წლის მონაცემებით საქართველოში 344 სახელმწიფო საწარმოა, რომელთაგან 24 საწარმო მართვის უფლებით გადაცემული აქვთ სხვადასხვა სამინისტროებს თუ კერძო ინვესტორებს, მათგან 10 საწარმო ლიკვიდაციას ექვემდებარება. 2014-2015წლებისთვის კიდევ 50-მდე სახელმწიფო საწარმოს ლიკვიდაციაა დაგეგმილი.

აღნიშნული მონაცემებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და არასახარბიელო. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. სახელმწიფო საწარმების მიმართ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, მრავალი კანონდარღვევის ფაქტები იქნა გამოვლნილი: სახელმწიფო საწარმოების მიმართ საერთოდ არ მოქმედებდა კონტროლის მექანიზმი, შტატები იყო გაბერილი, არ ფუნქციონირებდა მაკონტროლებელი სისტემა, სახელმწიფო სახსრები არამიზნობრივად და არაეფექტიანად იხარჯებოდა. სწორედ ასეთმა დარღვევებმა და სახელმწიფო საწარმოების არაეფექტიანობამ გამოიწვია აუდიტის ჩატარების აუცილებლობა.

ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საწარმოთა დაარსებისათვის საჭირო კრიტერიუმები არა არის შემუშავებული.

ამ სამართლებრივი დოკუმენტის არ არსებობის გამო ძნელდება განისაზღვროს სახელმ-წიფოსათვის მნიშვნელოვანი საწარმოები, მათი როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, სტრატეგია და ა.შ.

ქვეყანაში უნდა არსებობდეს ერთიანი მიდგომა სახელმწიფო საწარმოების მიმართ, უნდა შემუშავდეს სახელმწიფო საწარმოთა მართვის ძირითადი ნორმები და პრინციპები, რამაც უნდა უზრუნველყოს საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანი ფუნქციონირება.

სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანი მართვა უნდა განხორციელდეს მსოფლიო პრაქტიკაში არსებული გამოცდილების საფუძველზე. მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა ფორმით უნდა განახორციელოს სახელმწიფომ თავისი უფლებამოსილებები. მსოფლიო პრაქტიკაში კორპო-რაციული მართვის 3 ძირითადი მოდელია ცნობილი: დეცენტრალიზებული, ორმაგი მმართველობის სისტემა და ცენტრალიზებული.

რაც შეეხება საქართველოს აქ შეიძლება ითქვას დეცენტრალიზებული მოდელია შემორ-ჩენილი, რომელიც მთავარი ნაკლოვანებაა სამინისტროებსა და საწარმოს მმართველ ორგანოებს შორის ფუნქციების გაუმიჯნაობა და საწარმოების შესახებ აგრეგირებული ინფორმაციის მიწოდება.

რადგან განვითარებადი ქვეყნებისათვის ძნელია მმართველობის ცენტრალიზებულ მოდელზე გადასვლა. ამიტომ მათთვის უფრო მისაღებია ამ ორ მოდელს შორის შუალედური მოდელის შერჩევა, რომელიც დუალისტურ მოდელადაა ცნობილი. მმართველობის დუალისტური მოდელის გამოყენება გაუადვილებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს მომავალში უფრო ადვილად გადავიდნენ მმართველობის ცენტრალიზებულ მოდელზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შოთა მურღულია, ლევან გოგელაშვილი. საჯარო ფინანსების სტრუქტურა და მართვის პრინციპები საქართველოში. ბიულეტენი №116.
2. სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. 2015.
3. საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2014-2017.
4. სოლომონ პავლიაშვილი. სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფისათვის. ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", №4, 2010, გვ. 129-136.

Tea Lazarashvili
Medea Melashvili

PECULIARITIES OF STATE ENTERPRISE MANAGEMENT IN GEORGIA AND THE WAYS TO INCREASE EFFICIENCY

Annotation

The article deals with the peculiarities of formation of state sector, particularly state in Georgia. Is analyzed the situation on state sector and exposed main shortages. Is also characterized the policy connected with the management of state property and disposal to wards state enterprises are shown negative sides and envisaged the ways to increase the efficiency of state enterprise.

პრობლემა 7.

საფინანსო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში

თეა ლაზარაშვილი
მედეა მელაშვილი

საფინანსო სისტემის თავისებურებანი საქართველოში

საქართველოში საფინანსო სისტემის განვითარება და სრულყოფა დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე გლობალიზაციისა და ინოვაციური ეკონომიკის პირობებში. გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ჩართვის პირობებში, მნიშვნელოვანია საფინანსო პოლიტიკის რეგულირებისა და განვითარების სფეროში მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. ამ კუთხით ყურადსაღებია საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნებისა და მოთხოვნების გაზიარება.

საფინანსო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და იგი სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად შემუშავებული ღონისძიებების ერთობლიობაა.

იმის და მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარების დონე, შესაბამისად განისაზღვრება საფინანსო პოლიტიკის შინაარსი, მიზნობრიობა და ეფექტიანობა.

მსოფლიო პრაქტიკაში საფინანსო სისტემის ერთიანი განმარტება არ არსებობს, თუმცა იგი მოიცავს საბანკო სისტემას, ფინანსურ ბაზრებს, სადაზღვევო და საპენსიო სისტემებს და ა.შ.

საბანკო სისტემა. საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ აღმოჩნდა საბჭოური საბანკო სისტემით. საქართველომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო, იგი ადმინისტრაციულ-ბრძანებლური ეკონომიკიდან უნდა გადართულიყო საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაზე. ამასთან, მას მემკვიდრეობით ერგო საბჭოური საბანკო სისტემა, რომელიც არ პასუხობდა საბაზრო ეკონომიკის პირობებს. იმ დროისათვის ქვეყანას არ გააჩნდა საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საბანკო სისტემისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა, მეთოდოლოგია, გამოცდილება და სხვა. ყოველივე ამან გამოიწვია, ის რომ, საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა თავიდან არაჯანსაღად განვითარდა და მრავალი ნაკლოვანება და უარყოფითი მხარე გამოვლინდა.

საბანკო სფეროში ტრანსფორმაციის პროცესი ძალზედ რთულად მიმდინარეობდა, თუმცა ასეთ ვითარებაში მხოლოდ საქართველო არ ყოფილა. ასეთი ბედი ერგუნა საბჭოთა კავშირში შემავალ თითქმის ყველა რესპუბლიკას.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების პირველი ნაბიჯი საბანკო სისტემის ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნით დაიწყო, როდესაც 1991 წლის აგვისტოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონები: “საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ”, “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ” და “საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ”. კომერციულ ბანკებს ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის უცხოურ ვალუტაში ანგარიშების გახსნისა და წარმოების უფლება მიეცათ. ქართული ბანკების მიერ უცხოეთის ბანკებში საკორესპოდენტო ანგარიშების გახსნა დაიწყო.

1993 წლიდან ძალაში შედის ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნის წესები და აგრეთვე რეზიდენტებისათვის მიმდინარე სავალუტო ანგარიშების გახსნის წარმოების წესები. ბევრი დადებითი ნაბიჯის მიუხედევად, ამ პროცესებს ბევრი ნაკლოვანებაც გაჩნდათ. ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ 1994 წლებში გამოიწვია კუპონის კიდევ უფრო მეტად გაუფასურება, რის გამოც, ის ვეღარ ასრულებდა ფულის ფუნქციებს. ამას დაემატა ისიც, რომ 1992-1995 წლებში კატასტროფულად იზრდება ბანკების რაოდენობა, რომლებიც ე.წ. “ჯიბის ბანკების” სახელით გახდა ცნობილი. ამ ბანკების გაუაზრებელმა პოლიტიკამ 60 ათასზე მეტ მეანაბრეს მიაყენა ზიანი, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია მოსახლეობის ნდობა ბანკების მიმართ.

უარყოფითი მოვლენების კვალდაკვალ, მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური გარდაქმნები. ეროვნულ ბანკში იქმნება ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი, რომელიც ხელს უწყობდა კომერციული ბანკების დაკრედიტებას საბაზრო კონკურენტული პრინციპებით. ამასთან მტკიცდება კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში განსათავსებელი აუცილებელი რეზერვების ფონდის შექმნის შესახებ წესი და აგრეთვე რეზერვის ნორმები. აგრეთვე მიღებულ იქნა ახალი კანონი “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ”.

1996 წელს ეროვნული ბანკი იწყებს ახალ ანგარიშთა გეგმის დანერგვას, რაც საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისია. 1997 წელს კი კომერციული ბანკებისათვის მინიმალური საწესდებო ფონდის ოდენობის შესახებ ახალი მოთხოვნები წესდება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდგომ მნიშვნელოვანი დარტყმა მიადგა საქართველოს საბანკო სისტემას, რომელიც კიდევ უფრო მეტად დამძიმდა ამ პერიოდში განვითარებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად.

საქართველოს მთავრობა აგრძელებდა კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებას და "საგადასახადო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების" დებულების დამტკიცებით, მოაწესრიგა საგადასახადო სისიტემის მონაწილე სუბიექტებს შორის ურთიერთობა და გარდამტეხი როლი ითამაშა საბანკო სისტემის კრიზისიდან გამოყვანის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი დადებითი მოვლენა იყო აგრეთვე, ეროვნული ბანკის მიერ 2011 წლის სექტემბერში "ბაზელ II/III"-ის დანერგვის გეგმის გამოცხადება და ა.შ.

დღესდღეობით საქართველოს საბანკო სისტემა მნიშვნელოვნად განვითარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომერციული ბანკების განვიტარება და ფუნქციონირება. ამ პროცესებმა განაპირობეს ფინანსურ სისტემაში დადებითი ტენდენციების ჩამოყალიბება.

დღესდღეობით საქართველოს გააჩნია ორდონიანი საბანკო სისტემა. პირველ დონეს მიეკუთვნება ეროვნული ბანკი, ხოლო მეორე დონეს – კომერციული ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები.

საქართველოში 2014 წელს სრულყოფილად ამოქმედდა ბაზელ II/III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს 1-ლი და 2-ე პილარის კომპონენტები. ამავე წლიდან განახლებული რეგულაცია შევიდა ძალაში, რომლის მოთხოვნების დაცვაც საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისთვის სავალდებულოა.

ბაზელ II/III-ის 1-ლი პილარი უფრო მეტად რისკებზეა დაფუძნებული და არსებულ პირობებში კომერციულ ბანკებს მინიმალური კაპიტალი მოეთხოვებათ საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებისათვის.

რაც შეეხება ბაზელ II/III-ის 2-ე პილარს, აქ კომერციული ბანკები ვალდებული არიან საკუთარი რისკის პროფილის გათვალისწინებით მოახდინონ მათთვის მატერიალური რისკების იდენტიფიცირება და დაითვალონ საჭირო კაპიტალის ოდენობა. მე-2-ე პილარის უპირატესობას წარმოადგენს ეკონომიკური კაპიტალის გაანგარიშების საშუალების შესაძლებლობა, რომელიც კარგადაა მორგებული ბანკის უშუალო რისკებზე და მათი მატერიალიზაციის შემთხვევაში, იძლევა ზარალის დაფარვისათვის საჭირო კაპიტალის გაანგარიშების შესაძლებლობას.

2014 წელს რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) მოქმედების წესი შევიდა ძალაში, რომლის მიზანია კომერციული ბანკების რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პროცესის ფორმალიზაცია.

საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ შეაფასებდა მის მიერ განხორციელებულ საზედამხედველო რეფორმებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. 2014 წელს დაიდო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის მიერ განხორციელებული "ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა (FSAP)", რომლის ფარგლებშიც ეროვნული ბანკის საქმიანობა დადებითად შეფასდა და იგი მაღალი ხარისხით აკმაყოფილებს ბაზელის კომიტეტის "ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს". მისიამ დადებითად შეაფასა ეროვნული ბანკის მიერ დანერგილი ინოვაციური პრაქტიკა სხვადასხვა სფეროში და აგრეთვე ეროვნული ბანკის მიმდინარე საქმიანობა და ხედვები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ სექტორში რისკების მართვის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას.

2014 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის (BCBS) ბაზელის საკონსულტაციო ჯგუფის (Basel Consultative Group, BCG) წევრი გახდა. ამ ჯგუფის წევრობის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ჩაერთო ბაზელის ძირითადი კომიტეტის ზედამხედველობის დანერგვის ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც საერთაშორისო საზედამხედველო პოლიტიკის მოწინავე მიდგომების დანერგვაზე მუშაობს და რომლის მიერ შემუშავებული ზედამხედველობის პრინციპებიც საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ფინანსური სექტორის გამჭვირვალობის კუთხითაც, რომელიც ეროვნული ბანკის პრიორიტეტს წარმოადგენს და მუდმივად მიმდინარეობს ამ კუთხით რეფორმების გატარება.

მიუხედავად აღნიშნული დადებითი ტენდენციებისა, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი და ხარვეზი გამოსასწორებელი. მნიშვნელოვანია მოხდეს საქართველოს საბანკო სისტემის ტრანსფორმირება. ფინანსური სისტემა ეკონომიკური პროცესების განვითარების ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მთელი სამეურნეო ციკლის მონაწილე სუბიექტთა შორის ფულადი ურთიერთობები. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში ფინასნური სისტემის ეფექტიანობა, შესაბამისად იცვლება მაკროეკონომიკური განვითარების დონეც.

ფასიანი ქაღალდების ბაზრი. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში "ფინანსური ბაზრის" ცნება პრაქტიკულად არ არსებობდა. ფინანსური ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი საწინდარია. იმის გამო, რომ განვითარებადი ქვეყნები განიცდიან საკუთარი კაპიტალის ნაკლებობას, მათთვის მნიშვნელოვანს საინვესტიციო კაპიტალის

მოზიდვა წარმოადგენს, ამისთვის კი ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ ფინანსური ბაზრების განვითარება წარმოადგენს.

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დადგა. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა დამოუკიდებელი საფინანსო პოლიტიკისა და სისტემის ჩამოყალიბება იყო. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას მრავალი პრობლემა უძროდა წინ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი ძალზედ მგრძნობიარეა ქვეყნის ეკონომიკაში არსებული პრობლემების მიმართ. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ჩამოყალიბება განპირობებული იყო იმ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკით, განსაკუთრებით პრივატიზაციის პროცესით და აგრეთვე სხვადასხვა ფინანსური დახმარებებით. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ საფონდო ბირჟაზე ძალიან მცირე ან თითქმის არ იყო ისეთი ინსტიტუციური ინვესტორები, როგორიცაა საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა. თუმცა, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას თავისი დადებითი მხარეც ქონდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე მიმდინარეობდა და საქართველოც ესე ვთქვათ გაკვალულ გზაზე მიდიოდა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანს საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ინვესტორების მოზიდვისათვის ერთ-ერთ წინაპირობას ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური, კრიმინოგენური გარემო, საგადასახადო კანონმდებლობა, სახელმწიფო პოლიტიკა და ა.შ. წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი ისევე, როგორც საბანკო სესხების ბაზარი ფინანსური ბაზრის შემადგენილი ნაწილია. საბანკო სესხებისაგან განსხვავებით ფასიანი ქაღალდები გრძელვადიან დაბანდებებს წარმოადგენს.

ძირითად ნაკლოვანებას თავდაპირველ ეტაპზე ის წარმოადგენდა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ძირითად ინსტრუმენტს სწორედ აქციები და ობლიგაციები წარმოადგენს. შესაბამისად აქციების ძირითადი გამომშვები კორპორაციები და სააქციო საზოგადოებებია, რომლებიც ძირითადად გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი, ხოლო სახელმწიფოსა და ადგილობრივ ხელისუფლებათა ვალდებულებებს, რომლებსაც საკმაოდ დიდი სეგმენტი უკავიათ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ძირითადად მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებებია.

ინვესტორებისათვის კორპორაციათა აქციებს უფრო მეტი მიმზიდველობა გააჩნიათ, ვიდრე სახელმწიფო ობლიგაციებს, თუმცა უკანასკნელი ნაკლებრისკიანია, რადგან გარანტად ამ შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის.

2007 წლიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც მოხდა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ლიკვიდაცია და დაიწყო რადიკალური ცვლილებების გატარება. ეს ცვლილებები პირველ რიგში ეხებოდა საკანონმდებლო ბაზის შეცვლას, რაც გულისხმობდა საკანონმდებლო ბაზის თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებას და მისი რეგულირების პრინციპრბის სრულყოფას.

"ფასიანი ქაღალდების ბაზრის" შესახებ საკანონმდებლო ბაზა ხასიათდებოდა რიგი ნაკლოვანებებით. კერძოდ, იმ დროისათვის არსებული ნორმატივები არ შეესაბამებოდა ბაზარზე არსებულ რეალობას და ხელს უშლიდა ბაზრის რეგულირებას. არსებული ნორმატივები მონოპოლიურ უფლებებს ანიჭებდა ზოგიერთ მონაწილეს. ინვესტორები არ იყვნენ დაცულები და ყოველივე ეს ხელს უშლიდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

ცვლილებები, რომლებიც 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მიზნად ისახავდა არსებული კანონმდებლობის დახვეწას, მის ლიბერალიზაციას, რაც თავის მხრივ ხელ სშეუწყობდა კომპანიების განვითარებას.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თუკი რეფორმამდე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დაშვებული იყო მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიებით და მხოლოდ საფონდო ბირჟაზე, არსებული კანონმდებლობით ინვესტორს უფლება არ ქონდა ბროკერის ან საბროკერო კომპანიის შუამავლის გარეშე განეხორციელებინა ფასიანი ქაღალდებით გარიგება. ამასთან ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ერთადერთ ადგილად საფონდო ბირჟა მოიაზრებოდა. აღნიშნული დამატებით ხარჯებს და სხვა ქმედებებს მოითხოვდა. ღეფორმის შემდგომა, ინვესტორებს საშუალება მიეცათ დამოუკიდებლად გადაეწყვიტად სჭირდებოდათ თუ არა საბროკერო კომპანიის მომსახურება და საფონდო ბირჟაზე გარიგების დადება. ახალმა კანონმდებლობამ ე.წ. ფიქსინგის ვალდებულების განსაზღვრით შესაძლო გახადა "ორმაგი გარიგებების" მცდელობის თავიდან აცილება. ახალმა კანონმდებლობამ ხელი შეუწყო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას. დადებითი ძვრები მოხდა საქართველოში "ფასინი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც მნიშვნელოვნად ამარტივებდნენ ზედამხედველობასთან და რეგულირებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა იმ ბირჟათა ნუსხის განსაზღვრას, რომელთა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორები სანდო რეპუტაციით სარგებლობდნენ, და თუ აღნიშნულ ბირჟებზე საჯარო ფასიანი ქაღალდებით უკვე მოხდებოდა ვაჭრობა, მათი ხელმეორედ სავაჭრო განთავსებისათვის დამატებით ნებართვის აღება საჭირო არ იყო. 2010 წლისათვის ახალი კანონქვემდებარე

ნორმატივის დაწესებით განისაზღვრა აღიარებული ბირჟების ნუსხა და შესაბამისად ამ ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების განთავსებისათვის მინიმალური მოთხოვნები დადგინდა. ყოველივე ამან, უკვე 2012 წლისათვის საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან ინტერესების გაზრდა გამოიწვია. შემდგომ წლებში ეტაპობრივად მოხდა თითოეული მონაწილის საერთაშორისო საერთაშორისო სტანსარტებზე გადასვლა და ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობის ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება.

2011 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი გახდა ეროვნული საიდენტიფიკაციო ნორმების სააგენტოს ასოციაციის პარტნიორი, როგორც ფასიანი ქაღალდებისათვის ნორმის მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანო. ამ პარტნიორობის საფუძველზე ეროვნულმა ბანკმა მოიპოვა საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნორმების გაცემის უფლება და აგრეთვე საერთაშორისო ნორმების მინიჭება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისთვისაც. დღესდღეობით, ეროვნულ ბანკს ორგანიზაციის საინფორმაციო ბაზასთან აქვს წვდომა და პერიოდულად ახდენს ინფორმაციის განახლებას ქართული ფასიანი ქარალდების ნორმების მინიჭებაზე, ან ცვლილებების შეტანაზე.

დადებითი ძვრების მიუხედავად ფასიანი ქაღალდების ბაზართან მიმართებაში მაინც საკმაოს ბევრი ნაკლოვანება არსებობდა. ერთ-ერთი მათგანი უკავშირდებოდა უშუალოდ კანონმდებლობას. იმ ნორმატიული აქტით, რომელიც ძალაში 2012 წელს შევიდა, განისაზღვრა ბაზრის მონაწილეების შესაძლო დარღვევების ნუსხადა შესაბამისი ზომები, რომლებიც აღნიშნული დარღვევების დროს იქნებოდა გამოვლენილი. ამ ნორმატიული აქტის მიღების შემდგომ, მრავალი მოქმედი საწარმო აღმოჩნდა ცუდ მდგომარეობაში, რადგან ისინი მხოლოდ ფორმალურად იყვნენ ანგარიშვალდებულნი, რაც ძირითადად 90-იანი წლების პრივატიზაციის შედეგს წარმოადგენდა. პრივატიზაციის შემდგომ საწარმოები გარდაიქმნენ სააქციო საზოგადოებებად და შესაბამისად მათი ფასიანი ქაღალდებიც კანონის შესაბამისად განთავსებული იყო საფონდო ბირჟაზრ. თუმცა საწარმოების უმრავლესობა არ ვაჭრობდა ფასიანი ქაღალდებით და არ იყო საჯარო კომპანიების მსგავსად კლასიკური ფუნქციის მატარებელი. ამ პრობლემის გადასაჭრელად 2010 წელს ნორმატიულ აქტებში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც იმ კომპანიებს, რომელთაც ბოლო 2 წლის განმავლობაში არ ქონდათ ნავაჭრი საფონდო ბირჟაზე, ყავდათ 50-ზე ნაკლები აქციონერი და ის საწარმოები, რომლებიც იყვნენ გადახდისუუნარონი ან რეაბილიტაციის პროცესში, ათავისუფლებდა ანგარიშგებისაგან. ყოველივე ამას, დაემატა ისიც, რომ 2012 წელს საქართველოს მთავრობამ განახორციელა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ანგარიშვალდებულ საწარმოთა საქმიანობის, აქტიურობის, ფინანსური მდგომარეობისა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, სტატუსის მოხსნას.

წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში დაინერგა ინფორმაციის, ანგარიშების წარმოდგენის ელექტრონული პრაქტიკა, რამაც საფუძველი დაუდო სრულყოფილი ელექტრონული რეესტრის შექმნას, რომელსაც ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი ეროვნულ ბანკში პერიოდულად წარადგენს.

ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შემდეგი სურათი ჩამოყალიბდა:

2012 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 1 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 10 საბროკერო კომპანია (რომელთაგან 3 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო) და რეგისტრატორი ეწეოდა საქმიანობას. რეგისტრატორების მიერ იწარმოებოდა 651 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი. 2013 წელს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მონაწილეობას ღებულობდა 1 საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების 1 ცენტრალური დეპოზიტარი, 9 საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი. აღნიშნული პერიოდისათვის იწარმოებოდა 782 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი, რაც 131 სააქციო საზოგადოებით მეტია წინა წელთან შედარებით. 2014 წლის ბოლოსათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შესაბამისად 1 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 8 საბროკერო კომპანია (რომელთაგან 2 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო) და 3 ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი საქმიანობდა. 2014ვ წელს მართალია ერთით შემცირდა მოქმედი საბროკერო კომპანიების რაოდენობა, თუმცა რეგისტრატორების მიერ 818 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი იწარმოებოდა, რაც 2013 წელთან შედარებით 36 სააქციო საზოგადოებით მეტი იყო.

რაც შეეხება მოქმედ საბროკერო კომპანიებს, 2012 წლის ბოლოსათვის მათი აქტივების საერთო მოცულობა 46,6 მლნ ლარი იყო, რაც წინა წელს 4%-ით აღემატებოდა. ვალდებულებების საერთო მოცულობამ 17,6 მლნ ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა. კაპიტალის საერო მოცულობამ 29 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 5%-ით ნაკლებია.

2013 წლის ბოლოს მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობა 30,3 მლნ ლარი იყო, რაც 35%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ვალდებულებების საერთო მოცულობა 6,1 მლნ ლარი იყო, რაც შესაბამისად წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე 65%-ით ნაკლებია. კაპიტალის საერთო მოცულობამ 24,1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 17%-ით ნაკლებია.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი შემდეგი სურატი გვაქვს: მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობა 33,7 მლნ ლარი იყო, რომელიც 11%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. შესაბამისად ვალდებულებების საერთო მოცულობა 8,4 მლნ ლარი, რაც 37%-ით მეტია 2013 წელთან შედარებით, ხოლო კპიტალის საერთო მოცულობამ კი 25,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 5%-ითაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით.

რაც შეეხება უშუალოდ ფასიან ქაღალდებს, 2012 წლის ბოლოსთვის საფონდო ბირჟის სისტემაში 133 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი იყო დაშვებული, გარიგებათა საერთო მოცულობამ კი 735,6 მლნ ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით ფასიანი ქაღალდებით დადებულ გარიგებათა ღირებულება 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო მოცულობა კი 1,73-ჯერ შემცირდა. 2013 წლის ბოლოსათვის კი საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 129 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე მთლიანად დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულება 52,5 მლნ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემებზე 14-ჯერ ნაკლებია, ხოლო მოცულობა შესაბამისად 4,28-ჯერ გაზრდილი. 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში მხოლოდ 128 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი დაიშვა, ხოლო მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ 47,4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 1,11-ჯერ შემცირდა, მოცულობა კი – 2,96-ჯერ.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ის ჯერ კიდევ რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება. და სრულყოფას საჭიროებს.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, თუმცა ეს ცვლილებები რადიკალურ მოსაზრებებს იწვევს სპეციალისტებს შორის, იგი საკმაოდ დასახვეწია. ძირითად ნაკლოვანებას მაინც კანონმდებლობის გამჭირველეობა წარმოადგენს. ინვესტორების მხრიდან არა არის საკმარისი ნდობა, რაც ფასიან ქაღალდებზე ფასებისა და შესაბამისად გარიგებების რაოდენობის შემცირებას იწვევს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დაბალი დონე გამოწვეულია კიდევ იმით, რომ მოსახლეობა სკეპტიკურადაა განწყობილი ამ ინსტიტუტებისადმი. მნიშვნელოვანია, თუ სახელმწიფო განახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების გრძელვადიანი განვითარებისაკენ იქნება მიმართული. ამისთვის კი აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ინვესტიციების დაბანდებას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, მოიზიდოს უცხოური პორტფელური ინვესტიციები, აგრეთვე უნდა მოხდეს საფონდო ბაზრის განვითარებისათვის ხელშეწყობა, რომელიც ქვეყანაში სტაბილური ნაკადისა და სტაბილური ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას საფინანსო სისტემის სტაბილურობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2009 წლიდან ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია როგორც საფინანსო ბაზრის ცალკეულ მონაწილეთა, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობასა და რეგულირებაზე. ფინანსური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს, სწორედ ფინანსური სტაბილურობის მიკრო და მაკრო ასპექტების ერთი ორგანიზაციის ქვეშ მოქცევა წარმოადგენს.

სადაზღვევო და საპენსიო სისტემა. ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სოციალური დაზღვევა წარმოადგენს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა სოციალური დაზღვევის ახალი სისტემის ჩამოყალიბება. საერთაშორისო პრაქტიკაში სოციალური დაზღვევის შემდეგი ფორმებია ცნობილი: სახელმწიფო, კერძო და ინდივიადუალური სოციალური დაზღვევა.

ყველასათვის ცნობილია, რომ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემა ყოველთვის დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მდომარეობასა და ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაზე. სადაზღვევო ბაზარმა სწრაფი განვითარება დაიწყო და მისადმი ინტერესი სულ უფრო მეტად იზრდება.

სადაზღვევო პროდუქტზე მოთხოვნაც არაერთგვაროვანია (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1
სადაზღვევო პროდუქტზე არსებული მოთხოვნა

მნიშვნელოვანია შეეხოთ საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის სექტორში არსებულ მდგომარეობას. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა 2008-2012 წლები. საქართველოში 2006 წელს დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაზღვევის 100,000-მდე ბენეფიციარი, თუმცა მათი უმრავლესობა დედაქალაქში იყო კონცენტრირებული და მთლიანად არ მოიცავდა ყველა ქალაქსა თუ რეგიონს. იმისათვის, რომ აღნიშნული დისბალანსი გამოსწორებულიყო 2007 წლის სექტემბერში თბილისსა და იმერეთში 196,000 უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქისათვის საქართველოს მთავრობამ დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა დაიწყო. ამ პროგრამის ფარგლებში უკვე 2008 წელს 740,000 ბენეფიციარი მოხვდა. მნიშვნელოვანი იყო კიდევ ის გარემოება, რომ დაზღვევის ეს პროგრამა შეეხო არა მარტო უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეებს, არამედ მასწავლებლებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, იმ მოქალქეებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რაიონებში, მსახიობებს, მხატვრებს, რუსტაველის პრემიის ლეურეატებს და ა.შ.

მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ დაზღვევის არსებულ სახელმწიფო პროგრამას, გაფართოებულ სახელმწიფო პროგრამასთან ერთად, რომელიც 2012 წელს უნდა ამოქმედებულიყო, უნდა მოეცვა 2,1 მილიონი ადამიანია, რაც რეალურად ბენეფიციართა გასამმაგებას ითვალისწინებდა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2 წლის ანგარიშის შესაბამისად, 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაზღვეული იყო 1 618 460 ადამიანი. 2014 წლის 1 დეკემბრისათვის კი უკვე რეგისტრირებული იყო 2 882 238 ადამიანი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ხორციელებოდა შემდეგი პროგრამები: სოფლის ექიმთა პროგრამა(ამო პროგრამის ფარგლებში სოფლის ექიმებსა და ექთნებს 2014 წლის 1 მაისიდან 30%-ით გაეზარდათ დაფინანსება, ამავე წლის მონაცემებით სულ საქართველოს მასშტაბით 1 258 სოფლის ექიმი და 1 511 ექთანია), C ჰეპატიტის პროგრამა. დიდი ყურადღებაა გამახვილებული დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კი, 2014 წლის 1 ივნისიდან დაიწყო მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები, დადებითი ძვრებია სასწრაფო სამედიცინო დახმარების კუთხითაც. მნიშვნელოვანია ინფრასტუქტურული პროექტებიც, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებს მოიცავს.

აღნიშნული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, სადაზღვევო ბაზარი ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განვითარებული და ბევრი ნაკლოვანება ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ დღითიდღე იზრდება სადაზღვევო კომპანიების (დღევანდელი მონაცემებით 15 სადაზღვევო კომპანია მოქმედებს საქართველოში) და მათ მიერ შემოთავაზებული პროდუქტების რაოდენობა, დაზღვეულთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. სრულყოფას მოითხოვს სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაც. საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია სადაზღვევო კულტურა და ა.შ.

საქართველოში საპენსიო სისტემის შექმნა და განვითარება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საქართველოს საპენსიო სისტემის დაყოფა ორ ნაწილადაა შესაძლებელი: სახელმწიფო საპენსიო სისტემა და კერძო საპენსიო სისტემა, რომელიც ჩამოყალიბების საწყის ეტეპზეა.

როგორც ცნობილია სახელმწიფო საპენსიო სისტემამ მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები განიცადა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსასწორებელი. 2012 წლისათვის პენსია 100 ლარს შეადგენდა, 2013 წელს კი იგი 125 ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2013-2014 წლებში პენსიის ოდენობამ 150 ლარია შეადგინა და 2016 წლის ბოლოსკენს კიდევ 10 ლარითაა ნავარაუდევი გაზრდა. 2014 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით სახელმწიფო პენსიას 697 240 პირი იღებდა და ყოველთვიურად 105 539 429 ლარი გაიცემოდა. დადებითი მოვლენაა ის ფაქტიც, რომ 2013 წელს პენსიონერთა 8000-ით გაზრდა გამოწვეული იყო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით. ქვემოთ უფრო დეტალურადაა მოცემულია საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღებთა მდგომარეობა 2010-2014 წლებში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საპენსიო პაკეტისა და სოციალური პაკეტის მიმღებები

	2010	2011	2012	2013	2014
საპენსიო პაკეტისა და სოციალური პაკეტის მიმღები – სულ	**835901**	**826750**	**856990**	**857011**	**866170**
მათ შორის:					
საპენსიო პაკეტის მიმღები (ასაკით პენსიონერები)	662288	666367	682886	686675	697240
სოციალური პაკეტის მიმღები	–	–	174104	170336	168930
აქედან:					
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	138614	129599	122055	122940	123722
მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი	32120	28469	28063	27080	25844
პოლიტრეპრესირებულები	2539	2050	1567	1284	1026
სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები	–	–	9464	9411	9707
საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებები	–	–	12724	9467	8533
სხვა	340	265	231	154	98

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მასალები

მნიშვნელოვანი ძვრებია სოციალური დახმარების მხრივაც. 2013 წლის ივლისიდან გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემწეობის ოდენობა და ოჯახის უხუცეს წევრზე შეადგინა 60 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო წევრზე 48 ლარი. თითქმის გაორმაგდა და ერთ დევნილზე, ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე ყოველთვიურმა შემწეობამ 2014 წლის 1 მარტიდან 45 ლარი შეადგინა. 2014 წელს ამოქმედდა "კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების" ქვეპროგრამა, რომელიც 1000 ლარის ფარგლებში უზრუნველყოფს ასეთი ოჯახების კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, აუცილებელი ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით მომარაგებას. ამ პროგრამს ფარგლებში უკვე 850 ოჯახს გაეწია დახმარება. მნიშვნელოვანი ძვრებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების კუთხითაც.

აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს საპენსიო სისტემა, რა თქმა უნდა, არაა სრულყოფილი და მნიშვნელოვან გარდაქმნებს მოითხოვს. აქტიურადაა საუბარი იმაზე, რომ საქართველოში მოქმედი საპენსიო სისტემის მოდელი განსხვავებული სქემით ამოქმედდეს, რომ უფრო მეტად ეფექტიანი გახდეს. არსებული მოდელის ნაკლოვანებად მიიჩნევენ იმიას, რომ: მინიმალურია საპენსიო უზრუნველყოფის საკანონმდებლო გარანტიები, იგი მძიმე ტვირთად აწევს საჯარო ფინანსების სექტორს, არსებული პენსიის ოდენობა სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ უზრუნველყოფს პენსიის შეცვლილ ცხოვრების პირობებთან ადეკვატურობას და ა.შ.

დღესდღეობით მსოფლიო პრაქტიკაში მრავალი საპენსიო უზრუნველყოფის მოდელი მოქმედებს, თუმცა მათი გაერთიანება რამოდენიმე მსხვილ ჯგუფადაა შესაძლებელი. ესენია: საპენსიო უზრუნველყოფის სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელი, საპენსიო უზრუნველყოფის დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოდელი და საპენსიო უზრუნველყოფის შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი. აგრეთვე ცნობილია ნაციონალური მოდელები, რომელთაგან აღსანიშნავია: ამერიკული მოდელი, ევროპული მოდელი, ჩილეს მოდელი და იაპონური მოდელი. ყოველ მოდელს რათქმაუნდა თავის დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია და მათი ცალსახად საქართველოში გამოყენება რა თქმა უნდა არ იქნება ეფექტიანი, თუმცა ყველაზე ეფექტაიანდ საქართველოში შერეული მოდელის გამოყენებაა შესაძლებელი, მაგრამ ასეთ მოდელზე გადასვლა სახელმწიფოს მხრიდან დიდ ძალისხმევას, ფინანსებს და მნიშვნელოვან გარდაქმნებს მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით იაკობიძე. მოხსენება სემინარზე – საქართველოს საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობა. გლობალური კვლევების ცენტრი. 30.09.2013.
2. სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. 2015.
3. საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2014-2017.
4. სოლომონ პავლიაშვილი. სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფისათვის. ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", №4, 2010, გვ. 129-136.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში. 2014.
6. საპენსიო რეფორმა – გლობალური და ქართული პერსპექტივა. საჭიროა თუ არა საპენსიო რეფორმა? 2013.
7. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამისნისტრო. 2 წლის ანგარიში. 2014.
8. შოთა მურღულია, ლევან გოგელაშვილი. საჯარო ფინანსების სტრუქტურა და მართვის პრინციპები საქართველოში. ბიულეტენი №116.

9. www.nbg.gov.ge
10. www.geostat.ge
11. www.moh.gov.ge

Tea Lazarashvili
Medea Melashvili

PECULIARITIES OF FINANCIAL SYSTEM IN GEORGIA
Annotation

The article shows the current state and peculiarities of financial system in Georgia, namely the development of bank system state, the formation and development of securities market and the peculiarities of pension and insurance system state. Are exposed positive and negative sides of the sphere and are designed main directions of their improvement.

თინათინ ქურდაძე

საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხისათვის

საქართველოში დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება-არშესრულების საკითხი ანუ საგადასახადო სისტემის სრულყოფილება, საკმაოდ აქტუალური და მწვავე პრობლემაა. იგი საინტერესო კვლევის საგანი იყო, არის და იქნება ყოველთვის, როგორც თეორეტიკოსი მეცნიერების ისე პრაქტიკოსი ეკონომისტებისათვის. ამიტომ არც თუ იშვიათია მსგავსი შრომები წლებისა და ეკონომიკური ცვლილებების კვალდაკვალ, განსხვავებულ ჭრილში და კონტექსტში.

დღეისათვის ქვეყანაში არსებული საგადასახადო სისტემა საკმაოდ პროგრესულია და შესაბამისობაშია მსოფლიოში მიღებულ საერთასორისო სტანდარტებთან. ამ სისტემის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს პრობლემად გვევლინება საბიუჯეტო რეგულირებისადმი, სუბიექტური მიდგომები და მისი აღსრულების წესი, რაც გულისხმობს საბიუჯეტო სისტემის ელემენტებს შორის (ცენტრალური, ადგილობრივი და სხვა ბიუჯეტებს შორის) შემოსავლების განაწილებას სამართლიანობის პრინციპების უსაფუძვლობასა და უთანასწორობაში.

ეკონომიკის ამ პრობლემებიდან ერთ-ერთი არის სრული სიახლე ჩვენი ქვეყნისათვის, ცნობილი - ფულის დაგრძელების, ან გრძელი ფულის პროექტის სახელით. ეს მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობის მიერ დამტკიცებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაა, რომლის მიხედვითაც 2020 წლისათვის ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება იგეგმება და მაგალითად, დღეს თუ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 5811, 7 ლარია, 2020 წელს ის 13 ათასი ლარი უნდა გახდეს, უმუშევრობა კი 15%-დან 12%-მდე უნდა შემცირდეს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს უფრო გარკვეულწილად ხვალინდელ დღეზე პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების პოლიტიკას გავს. მსგავსი მოსაზრების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს დღეისათვის ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკის ზრდის ტემპები და ის ინტერვიუები რაც პრესის ფურცლებზე ვრცელდება, რომლის მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ მსგავსი მოდულაცია მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას და ერთმანეთთან წინააღმდეგობაშიც კი მოდის. კიდევ ძალზედ საინტერესოა ის რომ ქართულ კანონმდებლობაში ტერმინი უმუშევრობა შეიცვალა ტერმინით დასაქმების მაძიებელი, როგორც ბევრ ევროპულ და დსთ-ს ქვეყნებში. ძალიან კარგი, მაგრამ სახელის შეცვლა თუ ცვლის მის შინაარსობრივ დატვირთვას კარგია, მაგრამ არც ისე დამამშვიდებელია, რადგან ევროპაშიც და რუსეთშიც ჩვენზე უკეთესი მდგომარეობაა როგორც დასაქმების ისე მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით. თან მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მიღებულ უმუშევრობის კონფენსაციაზე საუბარი კი ჯერ მხოლოდ ოცნების საგანია. ეს ისე ლირიული გადახვევა.

დღევანდელ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ორიენტირებულია სოციალურ-ლიბერალური ამოცანების სწორად განსაზღვრასა და აღსრულებაზე. ესაა უმთავრესი პრობლება ჩვენი აზრით, რომ დროულად და მართლზომიერად მოხდეს მისი გადაწყვეტა და არა მისი გახანგრძლივება. ამ ამოცანებიდან უნდა გამოვყოთ სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ორგანიზაციული და სტაბილური სისტემის შექმნა და მისი სწორად წარმართვა. აქ იგულისხმება ძირითადად ის, რომ საბიუჯეტო პროცესმა უნდა განსაზღვროს ქვეყნის ტერიტორიაზე გაწეული ხარჯების მთლიანობა და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი ოდენობის საბიუჯეტო შემოსავლებით, მაგალითად, 2013 წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ვერ შესრულდა და დანაკლისმა 600 მილიონი ლარი შეადგინა, ასევე დააკლდა ხარჯებსაც, მაგრამ მთლიანად ყველა ძირითადი მიმართულებით ხარჯები შესრულდა იმაზე მეტად, ვიდრე 2012 წელს. ამის საპირისპიროდ 2014 წლის იანვარში ეკონომიკური ზრდა 8% -იანი იყო, პირველი კვარტალის მონაცემებით ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა 7%, იმედია ეს მაჩვენებელი შენარჩუნებული იქნება მომავალშიც, წინასწარი

პროგნოზის 6,3%-ის ფარგლებში მაი3ნც, რასაც გვიდასტურებენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ ჩატარებული წინასწარი გათვლები.

განვითარებულ სახელმწიფოებში როგორებიცაა: აშშ, ევროპის ქვეყნები და დსთ-ში შემავალი ქვეყნები, საბიუჯეტო პროცესის წარმართვისათვის იყენებენ სწორედ ბიუჯეტის შედგენის პროგრამულ-მიზნობრივ მეთოდს (პმმ), თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს მეთოდი უცილობლად შედეგს მპოგვცემს, რადგანაც პირველრიგში გათვალისწინებულ უნდა იქნას ქვეყნის ტრადიციები და სპეციფიკა. იგი სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე სხვა არსებულ მეთოდებს აღემატება თავისი შესაძლებლობებით და ეფექტიანობით. ამრიგად ეს მეთოდი არის საბიუჯეტო სახსრების დაგეგმვისა და მართვის მეთოდი მოკლე და საშუალოვადიანი პერსპექტივისათვია საგადასახადო პროცესის ყველა სტადიაზე, გარდა იმ ხანგრძლივი ანუ გრძელი ფულის პროექტისა, რაც საქართველოს ეკონომიკურ სინამდვილეში დღეისათვის მიმდინარეობს. იგი ითვალისწინებს საგადასახადო სისტემის დამუშავებასა და რეალიზაციას ლიბერალიზაციის კუთხით, მათი აღსრულების სპეციალური ინდიკატორების გამოყენებით, რათა შეფასდეს საბოლოო შედეგი და გაწეული ხარჯების ეფექტიანობა, რომელიც კონკრეტულ შედეგებზეა ორიენტირებული.

როგორც ცნობილია რეალური ბიუჯეტის შედგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს შემოსავლებისა ხარჯების სწორი პროგნოზირება წაარმოადგენს. მაგრამ რამდენად პარადოქსული არ უნდა იყოს სწორედ პროგნოზი ხშირად არ ემყარება რეალობას. შედეგად კი ბიუჯეტში დაგეგმილი მაჩვენებლები ვერ სრულდება. უმეტეს შემთხვევაში ობიექტური და და განსაკუთრებით სუბიექტური ფაქტორების გამო, რაც ასევე საკმაოდ დიდი პრობლემაა, სწორედ ამიტომ საჭირო, საბიუჯეტო კანონმდებლობაში ამოქმედდეს ისეთი მუხლი, რომელიც წარმოაჩენს პასუხიხმგებელ პირებს. ეს შესაძლებელია ისევ დას ისევ პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის დანერგვით, რადგან ამით რეგულირდება ყველა პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა ვინაობა.

ისევ მნიშვნელოვან საბიუჯეტო პრობლემად რჩება დეფიციტი. ეს საყოველთაო პრობლებაა. თუმცა იგი ყოველთვის არ მიუთითებს ქვეყნის სავალალო მდგომარეობაზე. როცა დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში უმნიშვნელოა, მაშინ ეს საზოგადოებისათვის სასიშროებას არ წარმოადგენს, თუ დიდია და სამნიშნა ციფრს აღემატება მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია. ბიუჯეტის დაფიციტის მაჩვენებლები მშპ-თან მიმართებაში და მისი დინამიკა. 2013 წელს ეკონომიკური ზრდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობით საქართველო 116-ე ადგილზეა მსოფლიოში, ნაცვლად 2012 წელს 115-ე ადგილისა. ვითომ არის პროგრესი? რის ხარჯზე? საინტერესოა, როცა იზრდება უმუშევრობა და ღრმავდება ინფლაციური პროცესები. არ მინდა ძალზედ კრიტიკული ვიყო დღევანდელი მთავრობის მიმართ, მაგრამ რეალობა და წარმოჩენა სრულიად არაიდენტურია.

ასევე აქცენტი კეთდება კერძო საინვესტიციო ფონდების შექმნაზე, რაც ძალზედ კარგია, მაგრამ თუ სახეზეა ფინანსებზე დაბალი ხელმისწაწვდომობა და მაღალი პროცენტები სესხებზე, ნაცვლად ახალი მთავრობის მიერ შეპირებული დაბალი საპროცენტო განაკვეთისა გადასახადებზე, მაშინ მსურველი იმისა რომ საკუთარი სახსრები ჩადოს არაკონკურენტულ გარემოში ნაკლებია, რაზეც ფინანსთა მინისტრიც კი საუბრობს სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ასე რომ გამოთქმა ჭრელი პეპელას დატვირთვით სახეზეა, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები. ბიუჯეტი კი ადგილზეა, ბუქსაობს. ეკონომიკური კრიზისი კი სახეზეა, გათვლები და შეპირებები ცალკე, რეალობა კი ცალკე.

და ბოლოს, თანამედროვე ეტაპზე, როდესაც კარზეა მომდგარი არჩევნები, საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაციისა და რუსეთთან უვიზო რეჟიმის საკითხები, ზოგადად ბიუჯეტის და საგადასახადო სისტემის ზოგიერთი პრობლემები მეტ აქტუალობას იძენენ ყველა თვალ-საზრისით. ამიტომაც საჭიროა ის რომ ბიუჯეტის შესრულების მისი დაგეგმვისა და პროგნო-ზირების პრობლემები პირდაპირ კავშირში განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის მსოფლო სტანდარ-ტებთან და მაჩვენებლებთან კავშირში, უფრო გლობალურად. ყველა ეს პრობლემა არა მარტო მოქმედი ეკონომისტების, არამედ მეცნიერ-ეკონომისტების კვლევის საგანიცაა, რაზეც მეტყველებს ჩვენი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციაც. ამისათვის საჭიროა მეტი აქტიურობა, ერთობლივობა, რეკომენდაციებისა და წინადადებების შეტანა სამთავრობო დონეზე, ხოლო რამდენად ეს მოგვცემს შედეგს ამას მომავალი გვიჩვენებს.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური აღმავლობა პირდაპირ კავშირშია საგადასახადო სისტემის განვითარებასთან. ამიტომ საქართველოში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ობიექტურად მოითხოვს საგადასახადო კლიმატის გაჯანსაღებასა და სრულყოფას, მისი ნორმალური ფუნქ-ციონირებისათვის, ასევე ქვეყნის სტრატეგიის განსაზღვრას, რომელიც პირდაპირ მიბმულია საერთო გლობალიზაციის პროცესებთან თანამედროვე ეტაპზე. გლობალიზაცია როგორც ცნო-ბილია საყოველთაო პროცესია და მოიცავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. აქედან ნათელია რომ, საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წინა პლანზე წამოწია საგადასახადო სისტემაში ღრმა ცვლილებების აუცილებლობა და, შესაბამისად, ეკონომიკის რეგულირების საგადასახადო მეთოდებისა და ბიუჯეტური პროცესის სრულყოფის მექნიზმების ფორმირების საკითხების შესწავლის აქტუალობაც.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით საგადასახადო სისტემის უზრუნველყოფა ბიუჯეტების გათანაბრების ორი ძირითადი მიმართულებით ხდება – ჰორიზონტალური და ვერტიკალური. საბიუჯეტო ფედერალიზმის კონცეფცია გვთავაზობს ვერტიკალურ გათანაბრებას და ბიუჯეტების დაბალანსების შესაძლებლობას ხსნის ორმხრივად:

1. მხარჯავი დაწესებულებების დონის მიერ ხარჯების მიხედვით აღებულ ვალდებულებათა მოცულობა;

2. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის პოტენციურ შესაძლებლობათა მოცულობა.

ბიუჯეტების გათანაბრებაზე განსაკუთრებულ როლს ცხადია, შემოსავლების ზუსტი განსაზღვრა წარმოადგენს, რომელიც უნდა განისაზღვროს კონსტიტუციურ საწყისებზე. როდესაც საუბარია ვერტიკალურ გათანაბრებაზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს რეგიონული ბიუჯეტების გათანაბრება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. როგორც ჩანს, საბიუჯეტო დაბალანსების ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია ვერტიკალური ფინანსური გათანაბრებით, თუ ის არ არის შერწყმული ბიუჯეტების ჰორიზონტალურ ფინანსურ გათანაბრების პროცესთან.

თეორიული თვალსაზრისით, ფინანსური გათანაბრება არის სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ფინანსური საშუალებების გათანაბრებით ფინანსური მექანიზმების შემუშავება. აქედან გამომდინარე, განსხვავებული დონის ბიუჯეტების ფინანსური გათანაბრების პრობლემის გადაწყვეტა უნდა დავიწყოთ ამ დონის ბიუჯეტების ურთიერთქმედებისა და ერთმანეთისადმი საბიუჯეტო უფლებების მკაცრად დადგენილი პრინციპებით. ამ მხრივ კი საქართველოში ბიუჯეტების ფინანსური გათანაბრების აუცილებლობის პრობლემა დგას. ამ პრობლემის გადაწყვეტის ნათელი მაგალითია, 20011წლის სექტემბრიდან მთლიანი ქვეყნის მასშტაბით ზოგადად საპენსიო თანხების ოდენობის ზრდას და მის თანხობრივ გათანაბრებას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის, ამით აღდგენილ იქნება სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი სხვადასხვა დაქვემდებარების ბიუჯეტებს შორის, რაც მისასალმებელია და მოითხოვს ამგვარი პოლიტიკის გაფართოებასა და განვრცობას სხვადასხვა მიმართულებებით, მომავალში კი, ალბათ ა/წ სექტემბრიდან იგეგმება უფრო მაღალი პენსიები დაენიშნოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პენსიონერებს, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, უმნიშვნელო მაგრამ, მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი და მანევრი არ იქნება მარტო, რისი იმედიც გვაქვს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ზრდა შეადგენს მხოლოდ 10%-ს, ხოლი სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდამ ბოლო პერიოდში შეადგინა 33%, აქედან დასკვნა, პროცესები უნდა გახდეს შეუქცევადი და მიიღოს პერმანენტული ხასიათი, რათა გაუთანაბრდეს სამომხმარებლო კალათით გათვალისწინებული თანხების ოდენობას, ამის პარალელურად კი დაწესდეს კონტროლი საბაზრო ფასებზე მათი რეგულიებისათვის,

დამოუკიდებლობა – ეს არის საბიუჯეტო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი. ვერტიკალური დაბალანსების ურთიერთობაში უნდა გამოვლინდეს, პირველ რიგში ფედერალური ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებანი, ფინანსური რესურსების საერთოსახელმწიფო ფონდის შინაარსი, ხოლო ჰორიზონტლურ დაბალანსებაში იგულისხმება რაიონებს შორის შემოსავლების გათანაბრებასთან ერთად მოსახლეობისათვის სახელმწიფო მომსახურების გაწევა.. ამასთან, ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობას. ასეთ პირობებში გადასახადების აკრეფის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ყველა სხვადასხვა დონეებს შორის შეთანხმებული ურთიერთზემოქმედებით.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან ტერიტორიულ ბიუჯეტებში გადასახაცემი ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების სწორად განსაზღვრა. გარდა ამისა, ვერ მოხერხდა გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით შემოსავლების მობილიზების ობიექტური ტენდენციების დადგენა და გართულდა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში გადასახადების აკრეფის დონის განსაზღვრა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა ხარჯვითი მუხლი, რომელიც ტერიტორიული ამოცანების შესრულებისათვის არის გათვალისწინებული, უნდა დაეფუძნოს ეკონომიკურ მიზანშეწონილობას, სამართლიანობასა და რაციონალურობას. სწორედ ამ პრინციპების დეფიციტურობით გამოირჩეოდა რეგიონული ტრანსფერტები, რომლის აღმოფხვრასაც ემსახურება ბოლო პერიოდის ინიციატივები მიღებული ეკონომიკური გუნდის მიერ. რაც შეეხება საერთო ტრანსფერტს, იგი განსხვავებული მეთოდოლოგიით გამოითვლება ისე, რომ მისი დანიშნულება ცნობილი არ არის და, შესაბამისად, მოხმარდება ადგილობრივ ბიუჯეტს. მისი მეშვეობით უნდა გაწონასწორდეს განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე. საერთოდ ტრანსფერტების გაანგარიშების მეთოდოლოგია რაიონის საგადასახადო ბაზას ეფუძნება.

შემოსავლების მოცლობა. რეგიონებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება და, შესაბამისად, მოსახლეობის ერთ სულზე ამონაგების დონის სხვადასხვა მაჩვენებელი აუცილებელს ხდის ტრანსფერტების ფორმულაში შეტანილ იქნას ისეთი კომპონენტი, რომელიც რეგიონებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე ამონაგებს გაათანაბრებს და, შესაბამისად, შეინარჩუნებს ხარჯების თანაბარ დონეს.. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსფერტების გამოთვლის მექანიზმის

სრულყოფა ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირის სისტემის ოპტიმიზაციას გამოიწვევს. ამასთან, მეტი ყურადღების ქვეშ მოექცევა ადგილობრივი ორგანოების ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერებაც.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ანალოგიურად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას ცენტრალურ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის შემოსავლების განაწილებას ამა თუ იმ გადასახადის ფორმირების საქმეში საფუძვლად დაედოს ტერიტორიული ერთეულების მონაწილეობის ხარისხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის მმართველი ორგანოები გადასახადების გაზრდით ჩაახშობენ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივასა და სტიმულს. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ასეთი დეცენტრალიზებული ხერხები გამოიწვევენ ინფლაციას, უმუშევრობის ზრდასა და ფინანსური ბაზრის არასტაბილოურობას.

ნებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე. ყველაზე გავრცელებული მოსაზრება არის ის, რომ რაც უფრო დაბალია საგადასახადო ტვირთი, მით უფრო დინამიურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა: რაც ნაკლებია გადასახადები, მით მაღალია ეკონომიკის ზრდის ტემპი. ამასთან მაგალითისათვის მოჰყავთ აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ 80-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული რეფორმები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეისათვის თვით აშშ-ში საგადასახადო რეფორმების – „რეიგანომიკის“ – მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, ხოლო გადასახადებით დაბეგვრის თეორიაში პოსტულატი „დაბალი გადასახადები – მაღალი ეკონომიკა“ დღემდე არ არის დამტკიცებული და დასაბუთებული. პირიქით, მრავალი უცხოელი ეკონომისტი დარწმუნებულია, რომ გადასახადების შემცირებამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას.

როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, აშშ-ში შემოსავლების ეკონომიკური ზრდა განპირობებული იყო აგრეთვე იმით, რომ დაბალი გადასახადების გადახდის პირობებში მდიდარ ამერიკელებს საგრძნობლად შეუსუსტდათ თავიანთი შემოსავლების დამალვის სტიმული, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა ადრე დამალული შემოსავლების ასახვას ეროვნულ სტატისტიკურ ანგარიშგებაში. ამრიგად, სრულებით არ არის ადვილი იმის გამოთვლა, ნამდვილად შეუწყო თუ არა ხელი საშემოსავლო გადასახადის შემცირებამ ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

აღსანიშნავია, რომ თითქოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და საბაჟო ტარიფები, ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ განაკვეთებთან შედარებით, მაღალი არ არის, უფრო მართებული იქნებოდა მიზეზი საგადასახადო ტვირთის არათანაბარ, მხოლოდ პატიოსან გადამხდელებზე განაწილებაში მოგვეძებნა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის დაცული გადასახადების აკრეფაში მთავარი –სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი.

გადასახადების განაკვეთების შემცირების მომხრეებს მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ მათი აზრით, ამ გზით შესაძლოა „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ ლეგალიზება და საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესება, რაც თავისთავად მცდარი შეხედულებაა. ჩვენი აზრით, თუ გადასახადის განაკვეთის გაზრდა, სუსტი საგადასახადო ადმინისტრაციისა და პერსონალური (კანონიერი და უკანონო) შედავათების პირობებში, ზღუდავს ლეგალურ საქმიანობას და მეწარმეებს აიძულებს გადაინაცვლონ „შავ ბაზარზე“, ასეთ პირობებში საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ არ შეიძლება სათანადო უკუეფექტი მოგვცეს. აქ საქმე გვაქვს ე. წ. „მოწესრიგების ასიმეტრიულობასთან“, როდესაც შემთხვევაშიც კი არ უჩნდება სურვილი, გამოვიდეს ლეგალურ ბაზარზე და ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ადრე იხდიდა. საქმიანობის ლეგალიზების აუცილებელი წინაპირობაა ისეთი გარემოს შექმნა, როდესაც ყველა გადამხდელი დარწმუნებული იქნება, რომ გადასახადის გადაუხდელობისათვის საკადრისად დაისჯება ან შეიძლება წახალისდეს კიდეც.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება ხდება აგრეთვე უცხოური გრანტების მეშვეობით. უცხოური გრანტების ძირითადი წყაროებია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები (მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, გლობალ ფონდი და სხვა), უცხო ქვეყნების მთავრობებიდან და მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები (აშშ, გერმანია, იაპონია, ნიდერლადები, ლუქსემბურგი, უკრაინა, იაპონია, ატვია, ლიტვა, გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი, იაპონია), რომელშიც შედის მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების გრანტები.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების მხრივ მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი გრანტების თვალსაზრისით. ბოლო წლების დინამიკა და სტრუქტურა იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება უფრო და უფრო მეტ იმედს ამყარებდა უცხოურ გრანტებზე. პრობლემა შემდეგშია:

•გრანტებით არ ხდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომელთათვისაც არის ეს გრანტები გამოყოფილი;

•გრანტებით ხდება ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება, რაც ყოვლად დაუშვებელია;

სწორედ ამ პრობლემებით არის განპირობებული ყოველწლიურად მისაღები გრანტების ოდენობათა ხშირი ცვალებადობა, რაც დამაჯერებლად ჩანს მოცემულ თვალსაჩინოებაში.

თუ ეს პრობლემა დიდხანს გაგრძელდა, საქართველოს შეელახება საერთაშორისო ავტორიტეტი, და ბოლოს დარჩება საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა კიდევ ბევრი თვალსაზრისით. შესაბამისი თვალსაზრისით კი ქვეყანა კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დადგება.

ამრიგად, სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის მისიაა, ერთის მხრივ შექმნას მოსახლეობის ჰარმონიული განვითარებისათვის ხელსაყრელი საფინანსო, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა სახის პირობები, მეორეს მხრივ კი – განამტკიცოს ფისკალური პოლიტიკა, ქვეყნის ეკონომიკასთან ერთიერთკავშირში ფუნქციონირებადი რეგიონალური ფინანსური და ინფრასტრუქტურული განვითარების საფუძველზე. დასახელებული მიზნების რეალიზაციის საშუალებად უნდა ჩაითვალოს ქვეყნის კომპლექსურად გლობალური საფინანსო-ეკონომიკური

საგადასახადო შემოსავლების აკუმულაციის პირობები. რეგიონებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება და, შესაბამისად, მოსახლეობის ერთ სულზე ამონაგების დონის სხვადასხვა მაჩვენებელი აუცილებელს ხდის ტრანსფერების გაანგარიშებაში შეტანილ იქნას ისეთი კომპონენტი, რომელიც რეგიონებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე ამონაგებს გაათანაბრებს და, შესაბამისად, შეინარჩუნებს ხარჯების თანაბარ დონეს..

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას ცენტრალურ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის შემოსავლების განაწილებას ამა თუ იმ გადასახადის ფორმირების საქმეში საფუძვლად დაედოს ტერიტორიული ერთეულების მონაწილეობის ხარისხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის მმართველი ორგანოები გადასახადების გაზრდით ჩაახშობენ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივასა და სტიმულს. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ასეთი დეცენტრალიზებული ხერხები გამოიწვევენ ინფლაციას, უმუშევრობის ზრდასა და ფინანსური ბაზრის არასტაბილურობას.

ნებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე. ყველაზე გავრცელებული მოსაზრება არის ის, რომ რაც უფრო დაბალია საგადასახადო ტვირთი, მით უფრო დინამიურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა: რაც ნაკლებია გადასახადები, მით მაღალია ეკონომიკის ზრდის ტემპი. ამასთან მაგალითისათვის მოჰყავთ აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ 80-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული რეფორმები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეისათვის თვით აშშ-ში საგადასახადო რეფორმების – „რეიგანომიკის“ – მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, ხოლო გადასახადებით დაბეგვრის თეორიაში პოსტულატი „დაბალი გადასახადები – მაღალი ეკონომიკა“ დღემდე არ არის დამტკიცებული და დასაბუთებული. როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, აშშ-ში შემოსავლების ეკონომიკური ზრდა განპირობებული იყო აგრეთვე იმით, რომ დაბალი გადასახადების გადახდის პირობებში მდიდარ ამერიკელებს საგრძნობლად შეუსუსტდათ თავიანთი შემოსავლების დამალვის სტიმული, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა ადრე დამალული შემოსავლების ასახვას ეროვნულ სტატისტიკურ ანგარიშგებაში. ამრიგად, სრულებით არ არის ადვილი იმის გამოთვლა, ნამდვილად შეუწყო თუ არა ხელი საშემოსავლო გადასახადის შემცირებამ ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოთვლაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ უსაფრთხოებას. არსებობს შეხედულება, რომ ასეთი მდგომარეობა ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის პირობებში არსებული მაღალი საგადასახადო დატვირთვის შედეგია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის დაცული საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციაში მთავარი – სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი და თითქოსდა შეიმჩნევა მისი მცირეოდენი აღმოფხვრის პროცესებიც. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ის რაც შეიძლება მისაღები იყოს განვითარებული ქვეყნებისათვის, მიუღებელი იყოს ჩვენთვის. აქ იგულისხმება ბოლო პერიოდში გაზრდილი გადასახადები ან, როგორც მათზე ამბობენ კომუნალურ გადასახადებზე მიბმული გადასახადები, რაც სრულებით გაუგებარია, აქ იგულისხმება დასუფთავების გადასახადი. ასევე მცირე მეწარმეების დასჯა უკვე მესამედ შეცვალონ სალარო-აპარატები, წყლისა და ელექტროენერგიის მრიცხველები. ასევე სხვა უკანონო სანქციები, რომელიც მიღებულ იქნა ქვეყანაში არსებული გლობალური უმუშევრობისა და სიდუხჭირის პირობებში.



ჩვენი აზრით, თუ გადასახადის განაკვეთის გაზრდა, სუსტი საგადასახადო ადმინისტრაციისა და პერსონალური (კანონიერი და უკანონო) შეღავათების პირობებში, ზღუდავს ლეგალურ საქმიანობას და მეწარმეებს აიძულებს გადაინაცვლონ „შავ ბაზარზე“, ასეთ პირობებში საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ არ შეიძლება სათანადო უკუეფექტი მოგვცეს. აქ საქმე გვაქვს ე. წ. „მოწესრიგების ასიმეტრიულობასთან“, როდესაც უკვე არალეგალურ სფეროში მომუშავე მეწარმეს, საგადასახადო განაკვეთების შემცირების შემთხვევაშიც კი არ უჩნდება სურვილი, გამოვიდეს ლეგალურ ბაზარზე და ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ადრე იხდიდა. საქმიანობის ლეგალიზების აუცილებელი წინაპირობაა ისეთი გარემოს შექმნა, როდესაც ყველა გადამხდელი დარწმუნებული იქნება, რომ გადასახადის გადაუხდელობისათვის საკადრისად დაისჯება ან, პირიქით, შეიძლება წახალისებულ იქნეს, რაც ჩვენს პრაქტიკაში ჯერჯერობით მხოლოდ სუბიექტური ხასიათისაა.

Tinatin Kurdadze

THE ISSUE OF TAX SYSTEM IMPROVEMENT

Annotation

The main task for government for improving of budget-tax (fiscal) system first of all is establishing advantageous finance, economic and social conditions for people and after this strengthening fiscal policy by connection of economy based on infrastructural development.

გიორგი სიგუა

მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური ფაქტორები

2007 წელს დაწყებული გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზების ახსნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ობიექტურ და მთავარ ფაქტორად სახელდება ტექნოლოგიური დეტერმინიზმი (პარადიგმალური ციკლის თეორია – პერესი [1], ტექნოლოგიურ წყობილებათა შენაცვლება – გლაზიევი, კონდრატიევის ციკლის ახალი გრძელი ტალღის წამოწევა – ჰირუკა, დემენტიევი, “ინოვაციური პაუზა”– პოლტეროვიჩი [2]). ეს არის მარქსისტული თეორიის შემოქმედებითი განვითარება (ტექნოლოგიური განვითარება წარმოადგენს ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობათა წარმოქმნის საკვანძო ფაქტორს). იგი ფატალურად წინასწარგანსაზღვრულობის ფორმაში ხის – რაიმეს პროგნოზირება შეუძლებელია (ეს კი მეცნიერების მთავარი ფუნქციაა), დამნაშავეც არავინაა. ყველაფერი იქამდე მიდის, რომ ყველა პრობლემა – ეს არის მთლიანობაში განვითარების და პროგრესის სწორი გზის ნაკლოვანებები (“ხანძარი გეგმის მიხედვით მიდის”). ამიტომ არავის მიერ არ შეისწავლება, და შეიძლება შეგნებულადაა მიჩუმათებული, კრიზისის რეალური და კონკრეტული მიზეზები შედეგად, არ სურთ რა თუნდაც მცირედი შეცვალონ გლობალური ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციონალურ მოწყობაში (ან ეშინიათ რა დადანაშაულებულნი იყვნენ ანტიამერიკანიზმში), თვით ნობელიანტები კრუგმანი, აკერლოფი, სტიგლიცი და სხვა ავტორიტეტული მეცნიერები და პრაქტიკოსები გვთა-

ვაზობენ კრიზისიდან გამოსვლის მეტად საეჭვო (ბაზრის ფულით გაჯერების ტიპის) რეცეპტებს [3,4,5,6]. შედეგად 2008-2012 წლებში დოლარის ემისიამ შეადგინა დაახლოებით 20 ტრლნ.

ყველა მიზეზის ანალიზი მოითხოვს ჩვენეული მიდგომის გადმოცემას ცალკე, საკმაოდ დიდ სტატიაში. ჩვენ შემოვიფარგლებით ფუნდამენტური და კონკრეტული ფაქტორების მხოლოდ ჩამოთვლით, მცირე კომენტარების დართვით.

1. მთავარი ფუნდამენტალური ფაქტორი – ბაზრის მიერ თვითორგანიზაციის და შესაბამისად, თავისი ექვსი ფუნქციიდან ხუთის შესრულების უნარის დაკარგვა (ყველასი, პირველის გამოკლებით): საშუამავლო, ფასწარმომქმნელი, საინფორმაციო, მარეგულირებელი, მასტიმულირებელი, გამაჯანსაღებელი. კაცობრიობამ (უფრო ზუსტად – ეკონომიკურმა აგენტებმა, უოლ სტრიტმა) თავისდასაუბედუროდ ისწავლა ბაზრის მართვა და მანიპულირება და "ბაზრის უხილავი ხელი" (ადამ სმიტის მიხედვით), რომელიც ადრე უზრუნველყოფდა წონასწორობას ბაზარზე (თუნდაც კრიზისებით, გადახრათა კორექციით) ჩაანაცვლა ბაზრის ხელით მართვამ: ობიექტური, რეალური ინფორმაციის ნაცვლად ბაზარი იღებს "ასიმეტრიულ" (მანიპულიატორებისათვის მომგებიან), უფრო სწორად კი – ცრუ, დამახინჯებულ ინფორმაციას კომპანიების ეკონომიკური მდგომარეობის, ამა თუ იმ საფინანსო დაწესებულების (მაგ. ბანკის ან დარგის) პერსპექტივების, საფონდო ან საფინანსო ბირჟებზე პროგნოზების, ვალუტების კურსების და ა.შ. შესახებ, და ამით წარმოქმნის ცრუ მოლოდინებს და წარმართავს პროცესებს საჭირო კალაპოტში. აუდიტორული და სარეიტინგო კომპანიების ნურიელ რუბინის ტიპის [7] ექსპორტ-ორაკულების "შემოქმედებასთან" შედარებით ჯორჯ სოროსის თამაშები (საფინანსო ბირჟებზე ჭორების გავრცელება) XX საუკუნის 70-იან წლებში სრულიად უვნებელ საბავშო გართობას ჰგავს [8, 9].

თვითორგანიზებადმა ბაზარმა, რომელიც გაჩნდა სმიტის, მარქსის, კეინსის მიერ აღწერილი ვაჭრობის წარმოქმნის დროიდან შეწყვიტა არსებობა.

2. კიდევ ერთი ფუნდამენტური და საშიში მოვლენა დაკავშირებულია ფულთან, როგორც საბაზრო ეკონომიკის და, საერთოდ, ეკონომიკურ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტთან. გარდა იმისა, რომ ფული აღარ არის ღირებულების საზომი, იგი უკვე აღარ არის დაგროვების და დანაზოგების წარმოქმნის საშუალება! ფედერალური სარეზერვო სისტემის რეფინანსირების გათვლითი განაკვეთი – 0,12% (გასული საუკუნის 70-იანების ბოლოს იყო 14-16%), ევროპის ცენტრალური ბანკის – 1% ოფიციალური წლიური ინფლაციის 3-4%-ის პირობებში. ბანკის მეანაბრეები ღებულობენ 0,5 – 1,5%-ს.

ეს ორი მოვლენა დიდწილადაა დაკავშირებული რეიგანის და ჰრინსპენის (18 წელი ხელმძღვანელობდა ფედერალურ სარეზერვო სისტემას) პოლიტიკასთან, რომლებმაც უარყვეს ფრანკლინ რუზველტის ყველა პრინციპი.

დღეს ამერიკელებს არ გააჩნიათ დანაზოგები, აქვთ მხოლოდ კრედიტები (ყველაფერი შეჭმულია 10-15 წლით ადრე, მარტო იპოთეკური დავალიანება 10 ტრლნ დოლარს შეადგენს, საერთო დავალიანება (მხოლოდ საოჯახო მეურნეობების) – 26 ტრლნ დოლარს, მაშინ როცა აშშ-ს მშპ 16 ტრლნ დოლლარს უდრის.

სამაგიეროდ ამერეიკელების 55% არიან აქციების მფლობელები (რომელთა ფასი არ ასახავს ემიტენტის მდგომარეობას და თამაშობენ ბირჟაზე, სადაც ყველა კოზირი კრუპიეს – ანუ ზემოთხსენებულ მანიპულატორთა ხელთაა.

დავამატებთ, რომ აშშ-ს სახელმწიფო ვალი 17 ტრლნ დოლარია, ხოლო კორპორატიული – 35-40 ტრლნ დოლარი.

3. მსოფლიო საფინანსო ბაზრების ჰიპერტროფირებული მასშტაბები.

საფინანსო ოპერაციების ყოველწლიური მოცულობები – 800 ტრლნ დოლარია (დღეში –3-3,5 ტრლნ, მაშინ როცა 1973 წელს წლიური მოცულობა იყო 2,5 ტრლნ, ყოველდღიური კი – 10 მლრდ დოლარი) მსოფლიო მშპ –75 ტრლნ და ვაჭრობის – 19 ტრლნ დოლარის (15 ტრლნ– საქონელი, 4 ტრლნ – მომსახურება) პირობებეში. საქონელი – რეალური პროდუქტი მოიცავს მხოლოდ 2%-ს. მთავარ საქონლად გადაიქცა ფული და დერივატივები [11}. საფინანსო ოპერაციებს მოაქვთ ისეთი მოგება, რომ წარმოება აზრს კარგავს (ახალი ეკონომიკის გარდა – საინფორმაციო ტექნოლოგიების, რომელთა რენტაბელობა შეიძლება გაუტოლდეს 1000, ზოგჯერ კი 10000%-ს). წარმოება კარგავს ინტელექტუალურ კადრებს. ჯერ კიდევ ლი იაკოკა, გასული საუკუნის 80-იან წლებში აღწერდა, თუ როგორ ამბობდა ყველა უარს ემუშავათ ძალიან წარმატებულ "კრაისლერში" იმის იმედით, რომ საფინანსო დაწესებულებაში შეძლებდნენ გამოემუშავათ მილიონი 2 წელში [12]. შედეგად, როგორც წერს ფუკუიამა [13], აშშ-ში უკვე აღარ არსებობს საშუალო კლასი და ინჟინერთა კლასი, ხოლო რეალური პროდუქტის წილი მშპ-ში – მხოლოდ 20%-ს (3ტრლნ დოლ.) უდრის. საავტომობილო წარმოებაც კი, რომელიც ოდესღაც ქვეყნის წამყვან დარგს წარმოადგენდა, იყო ეკონომიკის ლოკომოტივი, გახდა დაბალრენტაბელური. აღსანიშნავია, რომ სინგაპურმა შეაჩერა ელექტროტექნიკის წარმოება (?!), რადგანაც იღებს წელიწადში 100 მლრდ დოლლარს ბირჟაზე (იქ საფონდო და საფინანსო ბირჟები გაერთიანებულია).

სიტუაციის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ განვითარებულ ქვეყნებში ხდება ეკონომიკის რეალური სექტორის დეინვესტიცია. ესმით რა, რომ ვიღაცამ უნდა გააჯეროს ბაზარი პურით, ხორცით, რძის პროდუქტებით, ქვანახშირით, მეტალით და სხვ., ეს ქვეყნები მსოფლიო საფინანსო

ინსტიტუტების მეშვეობით ისწრაფვიან შეინარჩუნონ შრომის საერთაშორისო დანაწილების არსებული მდგომარეობა: უფრთხილდებიან რა თავიანთ ლიდერობას ზემომგებიან დარგებში (IFC არასოდეს არ აძლევს საქართველოს და უკრაინას კრედიტებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის, აქ მათ კონკურენტი არ სჭირდებათ), ისინი დიდი მზადყოფნით აძლევენ ამდაგვარ ქვეყნებს დიდ კრედიტებს სოფლის მეურნეობის და რეალური სექტორისათვის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა სოფლის მეურნეობის და რეალური სექტორის სხვა დარგის განვითარების მიზნით მოზიდულ იქნეს ისეთი დაბალპროცენტული გრძელვადიანი კრედიტები, ანდა შეიძლება ინვესტიციები, ხოლო სახელმეიფო ინვესტიციები (მაგ. 1 მლრდ. ლარი, გამოყოფილი სოფლის მეურნეობისათვის) მიმართულ იქნეს მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებისაკენ.

4. ბაზარმა შეაჩერა გამაჯანსაღებელი ფუნქციის შესრულება.

არაეფექტურ და არარენტაბელურ საწარმო-გიგატებს და ბანკებს განვითარებული ქვეყნები გადაარჩენენ გადასახადების გადამხდელების ხარჯზე [14], და ამ საბიუჯეტო დანახარჯებს ამართლებენ ამ საწარმოების სისტემაშემქმნელი როლით – "Too big to fail". ზოგიერთი "ჭკვიანი" ბიზნესმენები იღებენ მოსახლეობის ფულებს და შემდეგ აცხადებენ თავიანთ თავს ბანკროტად (საქართველოს ექსპრეზიდენტის "პოპულარული" მეგობარი ტრამპი გამდიდრდა ოთხი გაბანკროტების შედეგად, კიდევ ერთი მაგალითი – "ლემონ ბრაზერსი"). გაბანკროტება უკვე აღარ არის ექსცესი, არამედ არის გამდიდრების საშუალება.

5. სავალუტო ომმა ფედერალურ სარეზერვო სისტემასა და ევროპის ცენტრალურ ბანკს შორის, რომლებიც 2000 წლიდან ცდილობენ დასცენ დოლარის და ევროს შესაბამისი კურსი კონკურენტული უპირატესობის მისაღებად, ექსპორტის სტიმულირების და იმპორტის შემცირების მიზნით, ანუ სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად გამოიწვია რწმენის დაცემა ორივე სარეზერვო ვალუტის მიმართ.

6. უმეტესი ქვეყნების სახელმწიფო ვალის კატასტროფული ზრდა. ევროკავშირში არავინ, სლოვენიის გარდა, არ იცავს მაასტრიხის ნორმატივებს (სახელმწიფო ვალი – არა უმეტეს მშპ-ს 60%-ისა, ხოლო საბიუჯეტო დეფიციტი – არა უმეტეს 3%-ისა), ისეთი წამყვანი სახელმწიფოებიც კი, როგორიცაა გერმანია და საფრანგეთი (80%-ზე მეტი). მხოლოდ დიდი შვიდეულის G7 სახელმწიფო ვალი უტოლდება 37 ტრლნ დოლარს (იაპონიას – 190%). დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს დავალიანება არასოდეს არ იქნება დაფარული, რადგანაც საბიუჯეტო ხარჯების შემცირება სოციალურ პროგრამებზე პოპულიზმის ეპოქაში ნიშნავს მმართველი პარტიის პოლიტიკურ თვითმკვლელობას (ყველა ცდილობს ამ ვალის რესტრუქტურიზაციას).

7. ჩვენს მიერ მოტანილი მოკლე მიმოხილვა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მოქმედმა ეკონომიკურმა პარადიგმაა ამოწურა განვითარების რესურსების უდიდესი ნაწილი და საჭიროებს ძირეულ განახლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Перес К. Технологические революции и финансовый капитал. Москва, изд-во «ДЕЛО». 2011г. – 232 с.
2. Фролов Д. Теория кризисов после кризиса: технологии Versus институты. – Вопросы экономики, №7. – 2011г. – С.17-33.
3. Paul Krugman. End This Depression Now! – New York, London. W.W. Norton & Company. 2012. – 259 p.
4. Стиглиц Дж. Крутое пике: Америка и новый экономический порядок. Москва, «ЭКСМО». 2011. 512 с.
5. Доклад Стиглица о реформе международной валютно-финансовой системы: уроки глобального кризиса. Доклад Комиссии финансовых экспертов ООН. М., изд. «Международные отношения». 2012 г. – 328 с.
6. Акерлоф Дж., Шиллер Р. SpiritusAnimalis, или как человеческая психология управляет экономикой и почему это важно для мирового капитализма. – Москва, издательство ООО «Юнайтед Пресс». – 2011. – 273 с.
7. Н. Рубини, С. Мим. Нуриель Рубини: как я предсказал кризис. – М., ЭКСМО. – 2011 г. – 384 с.
8. Сорос Дж. Алхимия финансов. – Москва, издательство «ИНФРА-М».- 1998. – 416 с.
9. Сорос Дж. Кризис мирового капитализма. – Москва, издательство «ИНФРА-М». – 1999. – 262 с.
10. Гринспен А. Эпоха потрясений: Проблемы и перспективы мировой финансовой системы. – Москва, Альпина Бизнес Букс. – 2009. – 520 с.
11. Луцишин З.О. Трансформація світової фінансової системи в умовах глобалізації. – Київ, видавничий центр «ДрУк». – 2002. – 320 с.
12. Якокка Л., Клайнфилд С. Карьера менеджера: послесловие. – Минск: «Попурри». – 2007. 384 с.
13. Фукуяма Ф. Куда пропал бунт леваков. – «Spiegel», 6 февраля 2012 г.
14. Папава В. Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. – Вестник Института Кеннана, выпуск 15. – Москва, 2009. – С. 37-48.

George Sigua

FUNDAMENTAL FACTORS OF WORLD FINANCIAL CRISIS

Annotation

This article highlights fundamental factors of the ongoing global economy systemic crisis, analyzes causes of market self-organization capacity loss, emphasizes the fact of paper currency no longer being a means of accumulation.

პრობლემა 8.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და გლობალიზაცია

იზა ნათელაური
თამარ თაფლაძე

საქართველოს საგარეო ვაჭრობა საგადასახდელო ბალანსების სისტემაში

საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები რეტროსპექტივაში, რაოდენობრივი, სტრუქტურული და გეოგრაფიული ოპტიმიზაციის თავისებურებები პერსპექტივაში, განპირობებულია შემდეგით:

1. საქართველო ტერიტორიულად პატარა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის და განსაკუთრებული გეოპოლიტიკური უპირატესობების ქვეყანაა;

2. იგი განეკუთვნება მცირე ღია ეკონომიკებზე ორიენტირებული ქვეყნების რიცხვს; მცირე ღია ეკონომიკები მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებული ეროვნული მეურნეობებია, რომლებიც უარს აცხადებენ საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში სახელმწიფოს მონოპოლიაზე, შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში ხელმძღვანელობენ შეფარდებითი უპირატესობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრინციპებით, ქმნიან საწარმოებს უცხოური კაპიტალის თანამონაწილეობით და სპეციალურ (თავისუფალ) ეკონომიკურ ზონებს, ნაკლებ ორიენტირებული არიან საკუთარ რესურსებზე და ავითარებენ არატრადიციულ დარგებს;

3. ჩვენმა ქვეყანამ, გარე სამყაროსთან მიმართებაში, გაიარა საბჭოთა პერიოდი; მოიპოვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობა; გაუძლო სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დემონტაჟს და ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობების გლობალურ სისტემაში ინტეგრირებას პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით;

4. საქართველო ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანაა. თავის ეკონომიკურ განვითარებაში ხელმძღვანელობს შეფარდებითი უპირატესობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრინციპებით; გააჩნია მზაობა, გაითვალისწინოს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენციები: ა) ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების გლობალიზაცია, ბ) ეროვნული მეურნეობების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა (თანამედროვე ქვეყნები აქტიურად ზემოქმედებენ ურთიერთ ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე, დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებასა და სპეციალიზაციაზე, ვითარდებიან ეკონომიკური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დამუშავებული წესებისა და ნორმების გათვალისწინებით, ერთიანდებიან რეგიონულ ინტეგრაციულ ბლოკებში, ზრუნავენ საკუთარ ეკონომიკურ უშიშროებაზე, ეკოლოგიურ, ენერგეტიკულ და ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და თავდაცვითუნარიანობაზე); გ) ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკური ფუნქციის შეცვლა;

5. საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი არადამაკმაყოფილებელია, დაბალია დასაქმების ზრდის მაჩვენებელი, სოციალური ფონი ჯერ კიდევ დაძაბულია, შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთშია სამუშაოდ, ექსპორტი "სიღარიბისაა", იმპორტში ჭარბობს ფართო მოხმარების საქონელი და საგარეო ვაჭრობის ბალანსი ქრონიკულად დეფიციტურია.

ყოველივეს გათვალისწინებით, შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა საქართველოს საგარეო ვაჭრობა. ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი დაფუძნებულია საგადასახდელო ბალანსებზე, რომელთა პირველ ნაწილში-მიმდინარე ოპერაციების ანგარიშში, საქართველოს შემთხვევაში, ძირითადი ადგილი განეკუთვნება საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობას, განსაკუთრებით საქონლით საგარეო ვაჭრობას [5].

საანალიზოდ შევარჩიეთ 1994–2002 და 2002-2012 წლები. ამ წლებში საქართველოს საგადასახდელო ბალანსების მაჩვენებლები აღრიცხულია აშშ დოლარებში, შესაბამისი ცხრილები დამუშავებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, მისი წევრი ქვეყნებისთვის შემოთავაზებული ერთიანი მეთოდიკით. საქონლით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები აღრიცხულია კონტრაქტის კომერციული პირობით FOB (თავისუფალი გემი და თავისუფალი აეროპორტი). მომსახურებით საგარეო ვაჭრობა წარმოდგენილია ძირითადად სატრანსპორტო მომსახურებით (საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო, მილსადენი და სხვ. ტრანსპორტით მომსახურება; საერთაშორისო მასშტაბით ამ კატეგორიას განეკუთვნება აგრეთვე ტრანსპორტირება შიდა წყლებით, ანუ მდინარეებით და ტრანსპორტირება კოსმოსურ სივრცეში, სატრანსპორტო საშუალებების არენდა, აწყობა, ტვირთის შენახვა და შეფუთვა და ა.შ.), ტურიზმით (იგულისხმება არარეზიდენტების მოგზაურობა ერთ წელზე ნაკლები დროით, მათ მიერ შეძენილი საქონელი და მომსახურება, ცხოვრება სასტუმროში, კვება, ბილეთების შეძენა გასართობ პროგრამებზე, სუვენირებისა და საჩუქრების შეძენა და სხვ.), საფინანსო (საკრედიტო ხაზის გახსნა, საფინანსო ლიზინგი, უცხოური ვალუტითა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები, აქტივების მართვასთან

დაკავშირებული მომსახურება და სხვ.) და საკომუნიკაციო მომსახურებით. საერთაშორისო მასშტაბით მომსახურების ამ ფორმებს ემატება სამშენებლო მომსახურება, დაზღვევა (ტვირთის დაზღვევა, უბედური შემთხვევების და ავარიების დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა და სხვ.), კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება (მ.შ. როიალტი – გადასახადი პატენტებით, საავტორო უფლებებით, სასაქონლო ნიშნებით ლიცენზიებით და ნოუ–ჰაუთი სარგებლობისათვის), პირადი მომსახურება და სხვ.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ცხრილებში, 1994-2002 წლების პერიოდისათვის, ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლები სტატისტიკურად ასე გამოიყურება:

საქონლის ექსპორტი და რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისთვის გაწეული მომსახურება – 1994 წელს 482,7 მლნ. აშშ დოლარი, 1995 წელს 400,0 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს 470,3 მლნ. აშშ დოლარი, 1997 წელს 545,8 მლნ. აშშ დოლარი, 1998 წელს 669,7 მლნ. აშშ დოლარი, 1999 წელს 557,8 მლნ. აშშ დოლარი, 2000 წელს 696,6 მლნ. აშშ დოლარი, 2001 წელს 810,0 მლნ. აშშ დოლარი, 2002 წელს 993,3 მლნ. აშშ დოლარი. საშუალოდ საქონლის ექსპორტის წილი ექსპორტის საერთო მოცულობაში 65%–ია, მომსახურების 35%-ი;

საქონლის იმპორტი და არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისთვის გაწეული მომსახურება – 1994 წელს 893,3 მლნ. აშშ დოლარი, 1995 წელს 816,8 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს 779,3 მლნ. აშშ დოლარი, 1997 წელს 1368,2 მლნ. აშშ დოლარი, 1998 წელს 1358,4 მლნ. აშშ დოლარი, 1999 წელს 1164,5 მლნ. აშშ დოლარი, 2000 წელს 1235,0 მლნ. აშშ დოლარი, 2001 წელს 1284,2 მლნ. აშშ დოლარი, 2002 წელს 1451,4 მლნ. აშშ დოლარი. საშუალოდ საქონლის იმპორტის წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 80,19%-ია, მომსახურების 19,81%-ი;

წმინდა ექსპორტი (საქონლითა და მომსახურებით საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდო) – 1994 წელს –410,6 მლნ. აშშ დოლარი, 1995 წელს -416,8 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს -309,0 მლნ. აშშ დოლარი, 1997 წელს -822,4 მლნ. აშშ დოლარი, 1998 წელს -688,7 მლნ. აშშ დოლარი, 1999 წელს -606,7 მლნ. აშშ დოლარი, 2000 წელს -538,4 მლნ. აშშ დოლარი, 2001 წელს -472,4 მლნ. აშშ დოლარი, 2002 წელს -458,1 მლნ. აშშ დოლარი. საშუალოდ საქონელის წმინდა ექსპორტის წილი წმინდა ექსპორტის საერთო მოცულობაში 98,3 %–ია, მომსახურების 1,7%-ი;

საგარეო სავაჭრო ბრუნვა – 1994 წელს 1376,0 მლნ. აშშ დოლარი, 1995 წელს 1216,8 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს 1249,6 მლნ. აშშ დოლარი, 1997 წელს 1914,0 მლნ. აშშ დოლარი, 1998 წელს 2028,1 მლნ. აშშ დოლარი, 1999 წელს 1722,3 მლნ. აშშ დოლარი, 2000 წელს 1931,6 მლნ. აშშ დოლარი, 2001 წელს 2092,4 მლნ. აშშ დოლარი, 2002 წელს 2444,7 მლნ. აშშ დოლარი. საშუალოდ საქონლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობაში 74,82%–ია, მომსახურების 25,18%-ი;

სტატისტიკა მოწმობს, რომ 1994-2002 წლებში საქონლის ექსპორტი წლიდან წლამდე მზარდია, ორი გამონაკლისი წლის გარდა, როცა წინა წელთან შედარებით საქონლის ექსპორტი შემცირდა, ეს წლებია 1995 და 1998 წელი. 1995 წელს საქონლის ექსპორტი შემცირდა 380,7 მლნ. აშშ დოლარიდან 289,5 მლნ. აშშ დოლარამდე, 1998 წელს 377,8 მლნ. აშშ დოლარიდან 304,5 მლნ. აშშ დოლარამდე. მთლიანად საანალიზო პერიოდში საქონლის ექსპორტი გაიზარდა 380,7 მლნ. აშშ დოლარიდან 601,7 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 1,6-ჯერ. არათანაბარზომიერი ზრდით ხასიათდებოდა საქონლის იმპორტიც. კლების ტენდენცია შეიმჩნევა 1994-1996 წწ-ში და 1997-1999 წწ-ში, დანარჩენ წლებში საქონლის იმპორტის მაჩვენებლები მზარდია. 2002 წელა 1994 წელთან შედარებით საქონლის იმპორტი გაიზარდა 1,46 ჯერ. საქონლის ექსპორტი რაოდენობრივად ბევრად ჩამორჩება იმპორტს. ეს სხვაობა საშუალოდ წლიურად შეადგენს 516 მლნ. აშშ დოლარს, ან რაც იგივეა იმპორტი ექსპორტზე მეტია საშუალოდ წლიურად 2,3-ჯერ.

რაც შეეხება მომსახურებას, კრედიტის ნაწილში (რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისთვის გაწეული მომსახურება) 1994-2002 წლების პერიოდში გაიზარდა 102,2 მლნ. აშშ დოლარიდან 391,6 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 3,8-ჯერ. წლების მიხედვით ამ მაჩვენებელის ცვლილება არაკანონზომიერია. დებეტის ნაწილში (არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისთვის გაწეული მომსახურება) საანალიზო პერიოდში გაიზარდა 149,4 მლნ. აშშ დოლარიდან 376,7 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 2,5–ჯერ. არც ამ მაჩვენებლის ცვლილებაში შეიმჩნევა რაიმე კანონზომიერება.

საანალიზო პერიოდში საგარეო სავაჭრო ბალანსის ყოველწლიური დეფიციტი განპირობებულია საქონლით საგარეო ვაჭრობის დეფიციტით, ანუ იმპორტის მნიშვნელოვანი სიჭარბით ექსპორტთან შედარებით. მომსახურებით საგარეო ვაჭრობის სალდო უარყოფითია 1994,1997,1998 და 1999 წლებში; დანარჩენ წლებში დადებითი. მომსახურებით საგარეო ვაჭრობის სალდომ შეადგინა 1994 წელს –47,2 მლნ. აშშ დოლარი, 1995 წელს +4,9 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს +4,3 მლნ. აშშ დოლარი, 1997 წელს –147,8 მლნ. აშშ დოლარი, 1998 წელს +19,4 მლნ. აშშ დოლარი, 1999 წელს –8,4 მლნ. აშშ დოლარი, 2000 წელს –6,5 მლნ. აშშ დოლარი, 2001 წელს +77,1 მლნ. აშშ დოლარი, 2002 წელს +24,9 მლნ. აშშ დოლარი.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ცხრილებში, 2002-2012 წლების პერიოდისათვის, ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლები სტატისტიკურად ასე გამოიყურება:

საქონლის ექსპორტი და რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისთვის გაწეული მომსახურება – 2003 წელს 1272,563 მლნ. აშშ დოლარი, 2004 წელს 1631,0649 მლნ. აშშ დოლარი, 2005 წელს

2171,2771 მლნ. აშშ დოლარი, 2006 წელს 2567,451 მლნ. აშშ დოლარი, 2007 წელს 2328,439 მლნ. აშშ დოლარი, 2008 წელს 3688,4188 მლნ. აშშ დოლარი, 2009 წელს 3201,2114 მლნ. აშშ დოლარი, 2010 წელს 4060,9726 მლნ. აშშ დოლარი, 2011 წელს 5262,6496 მლნ. აშშ დოლარი, 2012 წელს 6045,9818 მლნ. აშშ დოლარი. საშუალოდ საქონლის ექსპორტის წილი ექსპორტის საერთო მოცულობაში 62,34%-ია, მომსახურების 37,66%-ი;

საქონლის იმპორტი და არარეზიდენტების მიერ რეზიდენტებისთვის გაწეული მომსახურება – 2003 წელს 1836,028 მლნ. აშშ დოლარი, 2004 წელს 2490,9885 მლნ. აშშ დოლარი, 2005 წელს 3311,685 მლნ. აშშ დოლარი, 2006 წელს 4412,902 მლნ. აშშ დოლარი, 2007 წელს 3984,463 მლნ. აშშ დოლარი, 2008 წელს 7498,9566 მლნ. აშშ დოლარი, 2009 წელს 5231,3364 მლნ. აშშ დოლარი, 2010 წელს 6137,5926 მლნ. აშშ დოლარი, 2011 წელს 8009,0031 მლნ. აშშ დოლარი, 2012 წელს 9161,132 მლნ. აშშ დოლარი. საშუალოდ საქონლის იმპორტის წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 83,06%-ია, მომსახურების 16,94%-ი;

წმინდა ექსპორტი (საქონლითა და მომსახურებით საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდო) – 1994 წელს –410,6 მლნ. აშშ დოლარი, 1995 წელს -416,8 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს -309,0 მლნ. აშშ დოლარი, 1997 წელს -822,4 მლნ. აშშ დოლარი, 1998 წელს -688,7 მლნ. აშშ დოლარი, 1999 წელს -606,7 მლნ. აშშ დოლარი, 2000 წელს -538,4 მლნ. აშშ დოლარი, 2001 წელს -472,4 მლნ. აშშ დოლარი, 2002 წელს -458,1 მლნ. აშშ დოლარი, 2003 წელს –583,463 მლნ. აშშ დოლარი, 2004 წელს –859,9236 მლნ. აშშ დოლარი, 2005 წელს –1140,846 მლნ. აშშ დოლარი, 2006 წელს –1845,45 მლნ. აშშ დოლარი, 2007 წელს –1653,024 მლნ. აშშ დოლარი, 2008 წელს –3810,5378 მლნ. აშშ დოლარი, 2009 წელს –2024,125 მლნ. აშშ დოლარი, 2010 წელს –2076,6198 მლნ. აშშ დოლარი, 2011 წელს – 2746,3528 მლნ. აშშ დოლარი, 2012 წელს –3115,1503 მლნ. აშშ დოლარი.. საქონლით საგარეო ვაჭრობის ბალანსში წმინდა ექსპორტის მაჩვენებელმა შეადგინა –23169,409 მლნ.აშშ დოლარი, მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსში კი + 3314,0 მლნ. აშშ დოლარი.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა – 1994 წელს 1376,0 მლნ. აშშ დოლარი, 1995 წელს 1216,8 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს 1249,6 მლნ. აშშ დოლარი, 1997 წელს 1914,0 მლნ. აშშ დოლარი, 1998 წელს 2028,1 მლნ. აშშ დოლარი, 1999 წელს 1722,3 მლნ. აშშ დოლარი, 2000 წელს 1931,6 მლნ. აშშ დოლარი, 2001 წელს 2092,4 მლნ. აშშ დოლარი, 2002 წელს 2444,7 მლნ. აშშ დოლარი, 2003 წელს 688,547 მლნ.აშშ დოლარი, 2012 წელს 5316,85 მლნ.აშშ დოლარი. საშუალოდ საქონლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობაში 74,82 %–ია, მომსახურების 25,18%–ი, 1994–2002 წლების პერიოდისათვის;

სტატისტიკა მოწმობს, რომ 1994–2002 წლებში საქონლის ექსპორტი წლიდან წლამდე მზარდია, ორი გამონაკლისი წლის გარდა, როცა წინა წელთან შედარებით საქონლის ექსპორტი შემცირდა, ეს წლებია 1995 და 1998 წელი. 1995 წელს საქონლის ექსპორტი შემცირდა 380,7 მლნ. აშშ დოლარიდან 289,5 მლნ. აშშ დოლარამდე, 1998 წელს 377,8 მლნ. აშშ დოლარიდან 304,5 მლნ. აშშ დოლარამდე. მთლიანად საანალიზო პერიოდში საქონლის ექსპორტი გაიზარდა 380,7 მლნ. აშშ დოლარიდან 601,7 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 1,6–ჯერ. არათანაბარზომიერი ზრდით ხასიათდებოდა საქონლის იმპორტიც. კლების ტენდენცია შეიმჩნევა 1994–1996 წწ–ში და 1997–1999 წწ–ში, დანარჩენ წლებში საქონლის იმპორტის მაჩვენებლები მზარდია. 2002 წელა 1994 წელთან შედარებით საქონლის იმპორტი გაიზარდა 1,46 ჯერ. საქონლის ექსპორტი რაოდენობრივად ბევრად ჩამორჩება იმპორტს. ეს სხვაობა საშუალოდ წლიურად შეადგენს 516 მლნ. აშშ დოლარს, ან რაც იგივეა იმპორტი ექსპორტზე მეტია საშუალოდ წლიურად 2,3–ჯერ. შესაბამისად 2003–2012 წლებში საქონლის ექსპორტი გაიზარდა 4,2–ჯერ, იმპორტი კი 5,3–ჯერ.

რაც შეეხება მომსახურებას, კრედიტის ნაწილში (რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისთვის გაწეული მომსახურება) 1994–2002 წლების პერიოდში გაიზარდა 102,2 მლნ. აშშ დოლარიდან 391,6 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 3,8–ჯერ, 2003–2012 წლებში 5,7–ჯერ. წლების მიხედვით ამ მაჩვენებელის ცვლილება არაკანონზომიერია. დებეტის ნაწილში (არარეზიდენტების მიერ რეზიდენ-ტებისთვის გაწეული მომსახურება) საანალიზო პერიოდში გაიზარდა 149,4 მლნ. აშშ დოლარიდან 376,7 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 2,5–ჯერ, 2003–2012 წლებში 3,7–ჯერ. არც ამ მაჩვენებლის ცვლილებაში შეიმჩნევა რაიმე კანონზომიერება.

საანალიზო პერიოდში საგარეო სავაჭრო ბალანსის ყოველწლიური დეფიციტი განპი-რობებულია საქონლით საგარეო ვაჭრობის დეფიციტით, ანუ იმპორტის მნიშვნელოვანი სიჭარბით ექსპორტთან შედარებით. მომსახურებით საგარეო ვაჭრობის სალდო უარყოფითია 1994,1997,1998 და 1999 წლებში; დანარჩენ წლებში დადებითი. მომსახურებით საგარეო ვაჭრობის სალდომ შეადგინა 1994 წელს –47,2 მლნ. აშშ დოლარი, 1995 წელს +4,9 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს +4,3 მლნ. აშშ დოლარი, 1997 წელს –147,8 მლნ. აშშ დოლარი, 1998 წელს +19,4 მლნ. აშშ დოლარი, 1999 წელს – 8,4 მლნ. აშშ დოლარი, 2000 წელს –6,5 მლნ. აშშ დოლარი, 2001 წელს +77,1 მლნ. აშშ დოლარი, 2002 წელს +24,9 მლნ. აშშ დოლარი.

რაც შეეხება საქართველოს საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ცვლილების ტენდენციებს,

საქონლის ექსპორტი და მომსახურება კრედიტის ნაწილშ–1995 წელს, წინა წელთან შედარებით შემცირდა 82,7მლნ. აშშ დ–ით (ანუ აბსოლუტურმა ნაზრდმა ამ წელს შეადგინა –82,7

მლნ. აშშ დოლარი), წლიურმა ზრდის ტემპმა 0,83; 1996 წელს შესაბაბისად +70,3 მლნ. აშშ დოლა-დოლარი და 1,18; 1997 წელს +75,5 მლნ. აშშ დოლარი და 1,16; 1998 წელს+123,9 მლნ. აშშ დოლარი და 1,23; 1999 წელს –138,9 მლნ. აშშ დოლარი და 0,80; 2000 წელს +138,8 მლნ. აშშ დოლარი და 1,23; 2001 წელს +113,4 მლნ. აშშ დოლარი და 1,16; 2002 წელს +183,3 მლნ. აშშ დოლარი და 1,23;

საქონლის იმპორტი და მომსახურება დებეტის ნაწილში– 1995 წელს, წინა წელთან შედარებით შემცირდა 76,5 მლნ. აშშ დ–ით (ანუ აბსოლუტურმა ნაზრდმა ამ წელს შეადგინა –76,5 მლნ. აშშ დოლარი), წლიურმა ზრდის ტემპმა 0,91; 1996 წელს შესაბამისად –37,5 მლნ. აშშ დოლარი და 0,95; 1997 წელს +578,5 მლნ. აშშ დოლარი და 1,76; 1998 წელს –9,8 მლნ. აშშ დოლარი და 0,99; 1999 წელს –193,9 მლნ. აშშ დოლარი და 0,86; 2000 წელს +70,5 მლნ. აშშ დოლარი და 1,06; 2001 წელს +41,4 მლნ. აშშ დოლარი და 1,04; 2002 წელს 169,0 მლნ. აშშ დოლარი და 1,13;

საქონლითა და მომსახურებით საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტ – 1995 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6,2 მლნ. აშშ დოლარით (ანუ აბსოლუტურმა ნაზრდმა ამ წელს შეადგინა +6,2 მლნ. აშშ დოლარი), წლიურმა ზრდის ტემპმა 1,02; 1996 წელს შესაბაბისად –107,8 მლნ. აშშ დოლარი და 0,74; 1997 წელს +513,4 მლნ. აშშ დოლარი და 2,66; 1998 წელს –133,7 მლნ. აშშ დოლარი და 0,84; 1999 წელს –82,0 მლნ. აშშ დოლარი და 0,88; 2000 წელს –68,3 მლნ. აშშ დოლარი და 0,89; 2001 წელს –66,0 მლნ. აშშ დოლარი და 0,88; 2002 წელს –14,3 მლნ. აშშ დოლარ,ი და 0,97;

საგარეო სავაჭრო ბრუნვა – 1995 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 159,2 მლნ. აშშ დოლარით (ანუ აბსოლუტურმა ნაზრდმა ამ წელს შეადგინა –159,2 მლნ. აშშ დოლარი), წლიურმა ზრდის ტემპმა 0,88; 1996 წელს შესაბაბისად +32,8 მლნ. აშშ დოლარი და 1,11; 1997 წელს +664,4 მლნ. აშშ დოლარი და 1,73; 1998 წელს +114,1 მლნ. აშშ დოლარი და 1,06; 1999 წელს –305,6 მლნ. აშშ დოლარი და 0,85; 2000 წელს +209,3 მლნ. აშშ დოლარი და 1,12; 2001 წელს +160,8 მლნ. აშშ დოლარი და 1,08; 2002 წელს +352,3 მლნ. აშშ დოლარი და 1,17.

1994-2002 წლების პერიოდისათვის – ა) საერთო აბსოლუტურმა ნაზრდმა შეადგინა– საქონლის ექსპორტისა და მომსახურება კრედიტის ნაწილში 510,6 მლნ. აშშ დოლარი, საქონელის იმპორტისა და მომსახურება დებეტის ნაწილში 561,1 მლნ. აშშ დოლარი, წმინდა ექსპორტისთვის – 47,8 მლნ. აშშ დოლარი. საგარეო სავაჭრო ბრუნვისთვის 1068.7 მლნ. აშშ დოლარი; ბ) საშუალო წლიურმა ნაზრდმა შეადგინა, – საქონლის ექსპორტისა და მომსახურება კრედიტის ნაწილში 56,73 მლნ. აშშ დოლარი, საქონლის იმპორტისა და მომსახურება დებეტის ნაწილში 62,3 მლნ. აშშ დოლარი, წმინდა ექსპორტისთვის –5,31 მლნ. აშშ დოლარი. საგარეო სავაჭრო ბრუნვისთვის 118,44 მლნ. აშშ დოლარი; გ) საერთო ზრდის ტემპმა შეადგინა, – საქონლის ექსპორტისა და მომსახურება კრედიტის ნაწილში 2,0578, ანუ 205,78 %, საქონლის იმპორტისა და მომსახურება დებეტის ნაწილში 1,6281, ანუ 162,81%, წმინდა ექსპორტისთვის –1,12, ანუ 112%. საგარეო სავაჭრო ბრუნვისთვის 1,86, ანუ 186 %.

პირველ პერიოდში (1994-2002 წლებში) საქართველოს ექსპორტი, ტრადიციულად, სანედლეულო იყო, იმპორტი კი იყო წარმოდგენილი ძირითადად შუალედური და ერთჯერადი მოხმარების საქონლით. ექსპორტის წილის ცვლილების ტენდენცია კლებადი იყო, იმპორტის კი მზარდი. მეორე პერიოდში (2002-2012 წლებში) ექსპორტის სტრუქტურა შეიცვალა, თუმცა იგი კვლავ "სიღარიბის ექსპორტად" დარჩა. ექსპორტის სტრუქტურის ცვლილებასთან ერთად, ამ პერიოდში, განხორციელდა პარტნიორთა წრის დივერსიფიკაციაც. კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებლები საჭიროებდა ოპტიმიზაციას. ოპტიმიზაციის ერთერთ მიმართულებად შეიძლებოდა განგვეხილა ექსპორტის გაფართოვება, - მისი რაოდენობრივი ზრდა და სტრუქტურული გაუმჯობესება. საგარეო ვაჭრობის ოპტიმიზაციის საწყის ეტაპზე აუცილებელი იყო ექსპორტის დივერსიფიკაცია. ექსპორტის დივერსიფიკაცია სხვადასხვა გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. საქართველოს რეალობაში ერთ–ერთი იყო საქმიანი ტურიზმი [1].

ექსპორტის გაფართოება და ოპტიმიზაცია საქართველოში დღემდე რჩება ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად; მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ინტეგრაციის ბედი საერთაშორისო თანამეგობრობაში, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების პრობლემების მოგვარება ქვეყნის შიგნით. ექსპორტის გარდა სტრუქტურული ოპტიმიზაციის აუცილებლობა შეეხო იმპორტსაც, რადგან ექსპორტის დივერსიფიკაცია ქვეყანას საშუალებას მისცემდა შეემუშავებინა წარმოების განვითარების სტრატეგია. ამის შემდგომ სტიმულირდებოდა ინვესტიციებზე მოთხოვნა. ინვესტიციებზე მოთხოვნა, თავის მხრივ, აუცილებლად შეცვლიდა იმპორტის სტრუქტურას. ერთჯერადი მოხმარების საქონლის ნაცვლად გაჩნდებოდა მოთხოვნა წარმოების განვითარების ხელშემწყობ საქონელზე. ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის გარდა, ოპტიმიზაციის პრობლემა ეხებოდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიასა და პარტნიორთა წრესაც.

ექსპორტსა და იმპორტთან ერთად საგარეო ვაჭრობის ოპერაციებიდან საქართველოში უმნიშვნელოვანესია რეექსპორტის ოპერაცია. ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს სატრანსპორტო დერეფანი. თავისი პერსპექტივითა და მნიშვნელობით. აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში ბადებს საგარეო ვაჭრობის თვისებრივი განვითარების პერსპექტივას. კერძოდ, განვითარდება მომსახურებით ვაჭრობა, გაიზრდება ქვეყნის შემოსავლები, შეიქმნება იმპორტის

სტრუქტურის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა. საქონლის ექსპორტსა და იმპორტს ჩაეჩაენაცვლება მომსახურებით საგარეო ვაჭრობა. თუ არ შემცირდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მას ექნება გამართლება იმ მხრივ, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები, ექსპორტიცა და იმპორტიც, რაოდენობრივად მზარდი იყო. ამ მხრივ წლების მანძილზე ჩამოყალიბებული კანონზომიერება დაირღვა რამოდენიმეჯერ, პოლიტიკური მიზეზებით (ვარდების რევოლუცია, 2008 წლის ომთან დაკავშირებული ურთიერთობების გაუარესება რუსეთთან) [1,4]. რაოდენობრივი თვალსაზრისით ანალოგიური სიტუაცია ფიქსირდება ამჟამადაც. 2013–2015 წლებში, კერძოდ, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ექსპორტი შემცირდა 23%–ით, იმპორტი 10,12%–ით; 2013 წელთან შედარებით ექსპორტი შემცირდა 24,27%–ით, იმპორტი კი 3,59%–ით[4]. მსგავსი ცვლილებები ამჟამადაც პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა აქტიური განსჯის საგანია. მიზეზებს შორის განიხილება: პოლიტიკური ფაქტორი, რამეთუ საგარეო ვაჭრობის სფერო ეკონომიკის სხვა სფეროებთან შედარებით უფრო მეტად პოლიტიზირებულია; საგარეო ეკონომიკური ფაქტორი,– ეკონომიკური სიტუაცია ჩვენს ძირითად პარტნიორ ქვეყნებში (თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი და სხვ.) [2]; ლარის კურსის ცვლილება დოლართან და ევროსთან მიმართებაში, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნათელაური ი. საერთაშორისო ეკონომიკისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში (თეორია და პრაქტიკა). თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013
2. ნათელაური ი. საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. ჟურნ. „ეკონომისტი“, 2015, № 1
3. საქართველოს საგადასახდელო ბალანსები, http://www.nbg.gov.ge
4. http://www.geostat.ge
5. Синецкий Е.И. Внешнеторговые операции. М., „Международные отношения“, 1987

Iza Natelauri
Tamar Tapladze

GEORGIAN FOREIGN TRADE IN TAX BALANCE SYSTEM

Annotation

Based on Georgian tax balancy information the article analyzes the country foreing trade in commodities and services. Is exposed and estimated the tendencies of their change in this period.

როლანდ სარჩიმელია

საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობები

საგარეო ვაჭრობის ძირითადი შემადგენლები ექსპორტი და იმპორტია. იგი ქვეყანაში დაბალანსებულ ვაჭრობაში მსჯელობის დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა [9, გვ. 847]. მათ მთავარ პერსპექტიულ მიმართულებას მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების დინამიკა წარმოადგენს.

რაც უფრო შემოქმედებითად არის დაკონკრეტებული საგარეო ვაჭრობის მიზანი, მით მაღალია მისი ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც სავაჭრო პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება.

21-ე საუკუნის გლობალიზაციის შესაბამისად, საგარეო ვაჭრობა მსოფლიოში ფორმირებადი ვაჭრობის შემადგენელი ხდება. მისი შესაძლებლობები ღრმავდება, ფართოვდება და მდგრადობის უნარსაც უძლიერებს ქვეყანას, განსაკუთრებით ევროკავშირს საგარეო ვაჭრობაში.

1. ევროკავშირთან საქართველოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის სიძნელეების გამოვლენა. საქონლის ერთიანი ბაზრის ფუნქციონირების საფუძველია კონკურენციის პირობების შექმნა, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის ზონა ქვეყნების ჯგუფია, რომლის გადალახვის პირობების შექმნასაც ის ემსახურება. მასში გაუქმებულია საბაჟო და სხვა სავაჭრო ბარიერები [3].

ევროპულ სავაჭრო ურთიერთობებში ქვეყნის ინტეგრაცია დადებით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი კომპანიების წარმოქმნასა და განვითარებას. საქართველოსთვის ევროპული ინტეგრაცია მთავარ პრიორიტეტად რჩება.

შემოკლებული სახით მოგვყავს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის დამყარების ზოგიერთი ინფორმაცია. იგი ეხება 1993 წლიდან ევროპაში კაპიტალის და სამუშაო ძალის, საქონელსა და მომსახურებაზე შეზღუდვებს და მათ გადაადგილებას.

2007 წლის ბოლოსათვის ევროკავშირის წევრი გახდა 27 ქვეყანა, მეტწილად ევროპის ქვეყნები. ამაში რუსეთის ევროპული ნაწილი არ შედიოდა. ევროკავშირის ეს ქვეყნები ქმნიდა ძლიერ სავაჭრო ბლოკს, რაც განაპირობებდა წარმოების დანახარჯების შემცირებას და მათი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების პირობებს.

ევროკავშირი ხელს უწყობს ინვესტიციების შექმნას და მათი პროექტების რეალიზაციას, მიმზიდველი გარემოს ჩამოყალიბებას, ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებას და ა.შ. ევროკავშირის ადგილსამყოფელია სტრასბურგი, ხოლო ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭო შეიქმნა 2006 წელს ბრიუსელში.

საგარეო ვაჭრობა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორია. იგი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, მოიცავს ექსპორტს და იმპორტს, ხოლო როგორც ინდიკატური დაგეგმვა, მასში განსაზღვრულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების სისტემა და მათი რეალიზაციის გზები [8, გვ. 143, 296, 148].

ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები იწვევს ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას და, ასევე, ინვესტიციების მოზიდვას.

გლობალიზაციისაკენ სწრაფვა მსოფლიოში კიდევ უფრო გააძლიერა აშშ-ის ევროპასთან სამხედრო პოლიტიკამ და მისი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობამ. მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის მოშლამ დახურული ეკონომიკური პოლიტიკის არაპერსპექტიულობა გამოავლინა. ამასთან, სავაჭრო ურთიერთობები მსოფლიოში ქვეყნების ეკონომიკური გაძლიერების საფუძვლად ჩამოყალიბდა [4, გვ. 54, 83].

საქართველოში საკმაოდ ფართოა საგარეო ვაჭრობის მასშტაბები.

ნოდარ ჭითანავას ნაშრომში [10, გვ. 105] აღნიშნულია, რომ 2008 წელს საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა 128 ქვეყანასთან, სადაც საგარეო ვალმა 2,9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში წევრად მიღება განხორციელდა 1999 წელს. გარდა ამისა, აღინიშნებოდა ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ფინანსური კრიზისი. 2002 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7555,8 მლნ აშშ დოლარი გამოავლინა, აქედან ექსპორტზე 1497,7, ხოლო იმპორტზე 6058,1 მლნ აშშ დოლარი მოდიოდა, ანუ 4-ჯერ მეტი. აღსანიშნავია, რომ 2000 წელთან შედარებით იმპორტი გაიზარდა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდის ტემპი 1,02 იყო, ხოლო 2013-2014 წლებში აშშ დოლარის მიხედვით იმპორტი ექსპორტს 3-ჯერ აჭარბებდა.

იაკობ მესხიამ აღნიშნა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დაარსდა როგორც 1948 წლიდან მოქმედი გაეროს დაწესებულების ვაჭრობასა და ტარიფებზე საერთაშორისო შეთანხმების შემცველი დაწესებულება [11], რაც პროგრესულს წარმოადგენს პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკისათვის.

პოსტსაბჭოთა საქართველოში საპრივატიზაციოდ გამოყოფილი ქონების რაციონალურ განაწილებასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, მაგალითად, მიწა მფლობელობაში იმისდა მიხედვით უნდა გადაეცეს მის ახალ მფლობელს, რომ მას შეეძლოს მიწის მოვლა და პატრონობა, რაც პოსტსაბჭოთა საქართველოში მეტწილად შეუძლებელია.

ყურადსაღებია თინა ჩხეიძის სტატია საქართველოში მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებული შეცდომების გამოსწორების აუცილებლობის შესახებ.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 2003 წლის 3 მაისი. სტატიის სათაურია: „მიწის გაყიდვა დღეისათვის დამღუპველია" (იგულისხმება პოსტსაბჭოთა საქართველოში).

ცნობილია, რომ საქართველოში მიწის მყიდველი მეტწილად მდიდარი ბიზნესმენია. იგი კერძო ინტერესისათვის მიწის დიდ ფართობს შეისყიდის და შემდეგ მას, როგორც დეფიციტურს, მაღალ სპეკულაციურ ფასებში ცალკეულ მომხმარებელს მიჰყიდის. ამიტომ, სჯობს, სახელმწიფომ თავისივე მიწას მოუნახოს კეთილსინდისიერი დამამუშავებელი ისე, რომ მიწა მთლიანად დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში.

მიწას მაღალი მოსავლიანობის მისაღებად წლობით მომზადება და შესაბამისი პატრონობა სჭირდება, ამასთან იგი (პატრონი) დღეს იძულებულია, უცხოელი ინვესტორების იმედით საგარეო ვაჭრობით მოგების მიღებაზეც იზრუნოს, მცირე სიმძლავრის საოჯახო მეურნეობითაც და ა.შ. (რ. სარჩიმელია, მ. დიასამიძე. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2003წ., 9 ივლისი).

დღესაც კი, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს შესაძლებლობები მიწა დაამუშაოს ისე, როგორც ის ქვეყანას სჭირდება და იძულებულია, უცხოელი ინვესტორების იმედით იზრუნოს საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებაზეც.

ქვეყნის მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით საქართველოში სახნავი მიწების დეფიციტი ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობისათვუს აუცილებელ შეზღუდვებს ქმნის, რაც ზიანს აყენებს საქართველოს ეკონომიკას. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია ამირან ჯიბუტის წინადადება, რომ კანონით აიკრძალოს პოსტსაბჭოთა საქართველოს არამოქალაქეებზე მიწის გაყიდვა [12].

რევაზ კაკულია აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა პროდუქტი ევროკავშირის ბაზარში შესვლისთანავე საბაზრო ტარიფისაგან გათავისუფლდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში საბაზრო რესურსები შეზღუდულია [6, გვ. 82] მაგალითად, მიწა. განსაკუთრებით

მისი სახნავ-სათესი ფართობები. რადგან მიწების აღწერა პოსტსაბჭოთა საქართველოში არ ჩატარებულა, დაუდგენელია მიწის რეალური ფასი. ამით სოფლის მეურნეობის არსში (იგულისხმება მოვლა-პატრონობა და მოსავლის მიღება) დილეტანტებს ექმნება შესაძლებლობა, მიწა გამოიყენონ მხოლოდ ვაჭრობისათვის, ყიდვა-გაყიდვით, ხოლო ქვეყნის ინტერესები უგულებელყონ.

თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირს შორის აღრმავებს სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს, სადაც საიმედო გახდება ჩვენი მიზნის რეალობა, ვაწარმოოთ მსოფლიო სტანდარტების დონის კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ისწრაფვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ, რაც გარკვეულწილად ზღუდავს ეროვნული ეკონომიკის შიდა ბაზრის პროტექციონისტური დაცვის შესაძლებლობას. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ღია ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ზრუნვა [6, გვ. 94].

გლობალიზაცია ქვეყნებისა და ერების ინტეგრაციის პირობებსაც ქმნის, ამასთან, მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციებს.

ევროკავშირი თავისი ევოლუციური პროცესებით გაფართოვდა მისი სრულუფლებიანი და ასოცირებული წევრთა რაოდენობრივი ზრდით, რასაც სიღრმისეული გაფართოებაც ახლავს. ამაში იგულისხმება სამეურნეო მექანიზმების ფორმირება. ამ მხრივაც 21-ე საუკუნის ევროკავშირი წარმოადგენს მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას [13]

საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებით მერაბ კაკულიას შრომაში [1] ჩატარებულია მსჯელობა თავისუფალ საგარეო ვაჭრობაზე და ინვესტიციების შემოდინების ეფექტიანობაზე გლობალიზაციის პირობებში როგორც არასავაჭრო, ასევე საქართველოს ვაჭრობის სექტორებში ორიენტირებით.

მაკროეკონომიკური კავშირების მიხედვით საქართველოს და ევროკავშირს შორის დამოკიდებულება, მრავალმხრივ პრობლემებთან ერთად, განხილულია ისეთი დამოკიდებულებით, რომლის გაძლიერებას შეუძლია გავლენა „ბიძგის მიცემით" მოახდინოს ინვესტიციების „შემოდინებაზე" საქართველოში.

ყურადსაღებია სავაჭრო დეფიციტზე მსჯელობა, რომ ექსპორტის დამატებითი წინმსწრები ზრდა იმპორტთან ხელს შეუწყობს სავაჭრო ბალანსის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ქვეყანაში.

2. გლობალიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა საგარეო ვაჭრობაში. გლობალიზაცია ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის მსოფლიო შედეგია. მისი ამოსავალი ეტაპია ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობა და ა.შ. გლობალიზაციის შესაბამისობის მიხედვით ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებულია საგარეო ვაჭრობის როლი. რეგიონებს შორის ყველაზე პერსპექტიულია ევროკავშირი.

გლობალიზაციის ეფექტიანობა დაფუძნებულია ღია ეკონომიკის კონცეფციაზე, რომლის მიხედვით ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიმართულებებს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციები განსაზღვრავს [5, გვ. 118].

დღეს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები აღწევენ იმ დონეს, რომელიც სტიმულს აძლევს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. გლობალიზაციის შედეგად ეროვნული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ძლიერდება საგარეო ვაჭრობის ექსპორტის როლი და იზრდება მისი წილი მსოფლიოში [5, გვ. 121].

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მიისწრაფვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღია ეკონომიკის ზეგავლენის შეფასებას ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე [4, გვ. 115]. ამასთან დაკავშირებით საგარეო ვაჭრობა გლობალიზაციასთან შესაბამისობაში მრავალ ფაქტორს მოიცავს, რაც მაკრო და მეტწილად მიკროეკონომიკის კვლევის ობიექტი ხდება.

მაღალი დონის გლობალიზაციის პირობებში იზრდება საგარეო ვაჭრობის ექსპორტის როლი და წილი მსოფლიოში [4, გვ. 92].

ექსპორტის იმპორტთან ერთგვაროვანი ტვირთის მიწოდებაზე ზრუნვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას გლობალიზაციის შესაბამისად იძენს საგარეო ვაჭრობაში. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ევროკავშირში საგარეო ვაჭრობის შეღწევის შესაძლებლობები, რაც მრავალმხრივი ბარიერების დაძლევის პირობებს უქმნის საქართველოს საგარეო ვაჭრობას.

3. წრფივი დაპროგრამების ახალი ამოცანები და მოდელები საგარეო ვაჭრობაში. დავსვათ ამოცანა, რომელიც ითვალისწინებს მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე ერთგვაროვანი პროდუქციის მიწოდების ორგანიზებას. ამ ამოცანაში მიზანი ემყარება შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური მოგების მიღებას და ექსპორტის იმპორტთან დაბალანსების პრობლემას. რაც უფრო მეტად დაბალანსებულია ექსპორტი იმპორტთან, მით უფრო რთულდება ქვეყნის ეკონომიკის მართვა საგარეო ვაჭრობაში.

საგარეო ვაჭრობაზე ზრუნვა არამარტო მოგების მაქსიმიზაციას წარმოადგენს, ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფულად ერთეულებში გამოსახულ სავაჭრო პროდუქციის ექსპორტის იმპორტთან გადაჭარბებას.

საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის იმპორტთან ურთიერთობას სიმარტივისა და თვალსაჩინოებისათვის სქემის სახით წარმოვადგენთ.

ფულად ერთეულებში ერთგვაროვანი პროდუქცია	1	2	3	იმპორტი
1	x_{11}	x_{12}	x_{13}	b_1
2	x_{21}	x_{22}	x_{23}	b_2
3	x_{31}	x_{32}	x_{33}	b_3
ექსპორტი	α_1	α_2	α_3	b / α

სქემა

სქემაში იგულისხმება, რომ ყველა პროდუქცია, ამ შემთხვევაში სამი სახეობის, გამოსახულია ერთი და იმავე ერთეულებში (დოლარი).

x_{ij} არის i -ური სახეობის პროდუქციის ექსპორტი, ხოლო j იმპორტის სახეობაა (იგულისხმება ერთი წლის განმავლობაში, შეიძლება იგი ეხებოდეს დროის აღებულ მომენტს).

$b_i = \sum_{j=1}^{3} x_{ij}$ სამი სახეობის i -ური პოდუქციის რაოდენობაა, ხოლო $\alpha_i = \sum_{i=1}^{3} x_{ij}$, სამივე სახეობის j -ური პროდუქცია.

ყველა პროდუქციის არაუარყოფილობა გამოისახება პირობით $x_{ij} \geq 0$, $i = 1,2,3$; $j = 1,2,3$.

პროდუქციის ექსპორტის იმპორტთან დაბალანსების პირობაა $\alpha = b$. როცა $\alpha < b$, მაშინ ექსპორტი ნაკლებია იმპორტზე, თუ $\alpha > b$, მაშინ ექსპორტი აჭარბებს იმპორტს.

ნავაჭრი ექსპორტის მთლიანი რაოდენობა (ან მოცულობა) აღნიშნულია $x^{\text{ექსპ.}}$, ხოლო იმპორტი $x^{\text{იმპ.}}$. საგარეო ვაჭრობით პროდუქციის ერთეულზე ექსპორტზე მიღწეული მოგებაა $\bar{c}^{\text{ექსპ.}}$, ხოლო იმპორტის შემთხვევაა $\bar{c}^{\text{იმპ.}}$.

ექსპორტითა და იმპორტით განხორციელებული საგარეო ვაჭრობის მოგება შემდეგნაირად გამოისახა:

$$c(\bar{x}) = \sum_{j=1}^{n} \alpha_j \bar{c}_j^{\text{ექსპ.}} + \sum_{i=1}^{3} b_i \bar{c}_i^{\text{იმპ.}}$$

მთლიანი მოგება წრფივი დაპროგრამების ამოცანით წარმოვადგინეთ:

$$c(\bar{x}) \to \max \qquad (1)$$

$$x_{ij} \geq 0, \; i = 1,2,3; \; j = 1,2,3 \qquad (2)$$

$$\sum_{j=1}^{3} x_{ij} = b_i, \; i = 1,2,3 \qquad (3)$$

$$\sum_{i=1}^{3} x_{ij} = \alpha_j, \; j = 1,2,3 \qquad (4)$$

(1) – (4)-ში, როცა $\alpha = b$, მაშინ მივიღებთ დაბალანსებულ საგარეო ვაჭრობის მოდელს (ამ შემთხვევაში მოდელი და ამოცანა შინაარსით ერთმანეთს ემთხვევა).

როცა $\alpha < b$, მაშინ ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის დეფიციტია, ხოლო, როცა $\alpha > b$, მაშინ სავაჭრო უპირატესობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო პოლიტიკის შედეგები მეტწილად მიკროეკონომიკურია, ვიდრე მაკროეკონომიკური. თავისუფალი ვაჭრობა კი ქვეყნის ეკონომიკას საშუალებას აძლევს, აკეთოს ის, რაც თითქმის ყველა მოქალაქის ეკონომიკურ მდგრადობას გააუმჯობესებს. ყოველივე ეს

გათვალისწინებას მოითხოვს წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ სქემასა და შესაბამის ოპტიმიზაციის ამოცანაში (იმავდროულად მოდელში).

ყოველი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ისეთი თავისებურების ჩართვაც აუცილებელია წარმოდგენილ მოდელში, როგორიცაა ფულად ერთეულებში გამოსახული სავაჭრო პროდუქტების მიხედვით ექსპორტის იმპორტთან გადაჭარბება და მისი ზრდა.

გარდა წრფივი დაპროგრამების მოდელებისა, რომელიც წარმოდგენილია ნაშრომში საერთაშორისო და საგარეო ვაჭრობისათვის ყურადღებას იპყრობს რიგი მოდელები წარმოდგენილ წიგნში [14, გვ. 298-299]. სადაც მოცემულია ეკონომიკის დინამიკის მოდელი, რომლისათვის შესაძლებელია გამოვიკვლიოთ საერთაშორისო ვაჭრობის მოდელი.

ისევ ვუბრუნდებით წრფივი დაპროგრამების გამოყენების პერსპექტივას ახალი შესაძლებლობების გამოვლენით საგარეო ვაჭრობაში. ამ შემთხვევაში საიმედოა წრფივი დაპროგრამების თეორიული აპარატი: ორადი შეფასებები (თაკერის სქემა და სხვ.). შედარებით რთულია მიზანდასახული დინამიკური სქემის გამოყენება საგარეო ვაჭრობაში, მიზანმიმართული პერსპექტივის გათვალისწინება, პროგნოზირება დაშვება-შემოწმებით [15].

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით რეალურ მონაცემთა წინდაწინ მოპოვებას სირთულეები ახლავს. მათი დაზუსტება ჯერჯერობით მხოლოდ დაშვება-შემოწმებით შეიძლება (რაც უფრო პირობითია).

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. კაკულია. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტი. საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია. შრომები, 8. გამომცემლობა „სიახლე", თბილისი, 2010. გვ. 150-169.

2. რ. სარჩიმელია. ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომეტრიკაში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2014. გვ. 151-163.

3. ე. სარჯველაძე, დ. წულაია. საქართველო-ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ბარიერები. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", ივლისი-აგვისტო, 2010. გვ. 177-188.

4. ე. ეთერია. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2009. გვ. 54, 83, 92-97,

5. ი. ნათელაური. საგარეო ვაჭრობის განვითარების გლობალიზაციის ფაქტორის გათვალისწინებით. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული V, თბილისი, 2012, გვ. 118, 121.

6. რ. კაკულია. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება და ქვეყნის მომავალი. საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია. შრომები, 12. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2015. გვ. 82, 97.

7. ვ. კაკაბაძე, მ. ხუსკივაძე. საქართველოს ეკონომიკა საგარეო ვაჭრობის ჭრილში. ხარისხის მართვის უნივერსიტეტი. თბილისი, 2004.

8. რ. ასათიანი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. გამომცემლობა „სიახლე", თბილისი, 2000. საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია. გვ. 143, 296, 148.

9. გ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, „დიოგენე", 2000. თარგმანი ინგლისურიდან. გვ. 847, 891.

10. ნ. ჭითანავა. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. გამომცემლობა „სიახლე". თბილისი, 2010. გვ. 105

11. ი. მესხია. საერთაშორისო ვაჭრობა. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2011. გვ. 375.

12. ა. ჯიბუტი. საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები. თბილისი, 2014. გვ. 286.

13. რ. ჯავახიშვილი. ევროკავშირი ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა, მისი შექმნა და კანონზომიერებები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული VI. თბილისი. 2013. გვ. 78.

14. თ. ჩილაჩავა, ც. ძიძიგური. მათემატიკური მოდელირება. თბილისი, 2008. გვ. 269-272.

15. რ. სარჩიმელია, მ. ქებურია. ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომეტრიკის ელემენტებით. თბილისი, 2005. გამომცემლობა „ინტელექტი". გვ. 38-54; 64-67; 82-83; 110-116.

Roland Sarchimelia

THE POSSIBILITIES OF FOREIGN TRADE OF GEORGIA

Annotation

The article discusses actual problems of economy connected with the formation of free trade of Georgia with EU as well as contradictions, ignore of which results in damage and makes barriers in foreign trade economy.

Are characterized the possibilities of entry of Georgia in EU and economic efficiency of foreign trade in globalization conditions.

A new problem of liner programming has been put and presented an adequate model concerning the possibility of enlargement of foreign trade.

რამაზ აბესაძე

გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი

ტერმინი გლობალიზაცია დაკავშირებულია არა მხოლოდ ეკონომიკასთან, არამედ ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროსთან – მეცნიერებასთან, კულტურასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, სპორტთან, სოციალურ სფეროსთან, პოლიტიკასთან და ა.შ. იგი წარმოდგება სიტყვისგან – "globe" (დედამიწა) და, მაშასადამე, **წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრივობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში. გლობალიზაციას აქვს საერთოპლანეტარული ხასიათი.** თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება (საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინტერნეტი, თანამგზავრული ტელევიზია, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები და ა. შ.) ბიძგს აძლევს დედამიწის ერთიან გლობალურ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი; თავბრუდამხვევი ტემპებით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დომინირებს არა საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ორგანიზება უშუალოდ საზღვარგარეთ; ხორციელდება მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირება და მათი არნახული დივერსიფიკაცია; ძლიერდება უნიფიკაციის ტენდენცია ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში; ხორციელდება მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელის დივერსიფიკაცია; ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციონალურ გაფორმებას. მათი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად ხდება იურიდიულად აუცილებელი ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოებისათვის; გლობალიზაცია შეიჭრა შიგასახელმწიფოებრივ სფეროშიც და თანდათან ხდება შიგა ცხოვრების ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობებს; ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან; სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ებმება გლობალიზაციის პროცესებში, ყალიბდება გლობალური ცივილიზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ. ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ მთავარ ძალას მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების დასაჩქარებლად. სწორედ მათი საქმიანობა გარდაქმნის მსოფლიო მეურნეობას საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ცოდნის ერთიან ბაზრად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა გლობალიზაციის წარმომშობ მიზეზებთან დაკავშირებით. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ გლობლიზაცია არის ისტორიული განვითარების ობიექტური შედეგი, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ იგი ორგანიზებულია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ ეროვნული რესურსების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენების, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული სახელმწიფოების გაუქმებისა და ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ობიექტური ხასიათისაა, ადგილი ჰქონდა საზოგადოების ყველა ეტაპზე და მას ძირითადად განაპირობებს: 1. ადამიანთა საზოგადოების დაუოკებელი მისწრაფება ცხოვრების კეთილდღეობის დონის ამაღლებისაკენ, რითაც დაინტერესებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა. 2. მეწარმეთა პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მოტივაცია, მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება. 3. მსოფლიოში გადაუჭრელი გლობალური პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტაც ცალკეულ ქვეყნებს არ შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესში ყველა ქვეყანა ღებულობს გარკვეულ სარგებელს, ამ სარგებლის ხარისხი და რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაა. პრიორიტეტული მდგომარეობა ფაქტია, განვითარებულ ქვეყნებს უჭირავთ, ვინაიდან სწორედ ისინი ფლობენ ჭარბი რაოდენობისა და შესაბამისი ხარისხის წარმოების ფაქტორებს, ისინი აწარმოებენ მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციას. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ განვითარებული ქვეყნები მსოფლიო მასშტაბით: 1. იყენებენ გაცილებით იაფ სამუშაო ძალასა და რესურსებს 2. იზიდავენ მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალას 3. ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში გააქვთ დაბალი ხარისხის პროდუქცია 4. აწარმოებენ ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკის გატანას 5. ექმნებათ ხელსაყრელი პირობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ამისათვის საჭირო უზარმაზარი რესურსების მოზიდვის საფუძველზე მსოფლიო მასშტაბით.

სხვა ქვეყნები გლობალიზაციის პროცესში: 1. იყენებენ მსოფლიოში დაგროვებულ დიდ გამოცდილებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოეს მიღწევებს. 2. იღებენ დიდ ფინანსურ დახმარებებს 3. წყვეტენ მრავალ (სიღარიბის, ეკოლოგიურ, სამედიცინო) პრობლემას.

იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის პირობებში, როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე წარმოების ფაქტორთა გატანას ადგილი აქვს ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, ადასტურებს ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მშობელი კომპანიების უდიდესი ნაწილი სწორედ განვითარებულ ქვეყნებშია განლაგებული. ამასთან, ტრანსნაციონალური კორპორაციები უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ ინვესტიციებს, ვინაიდან ისინი ღებულობენ თავისუფალ დაშვებას სხვა ქვეყნების ბუნებრივ და შრომით რესურსებზე, უერთებენ რა მათ თავიანთ საკუთარ რესურსებს – კაპიტალს, ცოდნას, ტექნოლოგიასა და მეწარმეობრივ უნარს [1; გვ. 60-64].

მაშასადამე, გლობალიზაციას აქვს სუბიექტური ხასიათიც. ამიტომ დადებით მხარეებთან ერთად მას აქვს უარყოფითი ხასიათიც. მისი წარმართვა შესაძლებელია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით.

გლობალიზაციის დადებითი მხარეებიდან უნდა გამოიყოს:

1. **მან მნიშვნელოვნად განაპირობა საბაზრო მექანიზმზე დამყარებული ეკონომიკური და მეტნაკლებად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.** იგი აიძულებს ცალკეული ქვეყნების მთავრობებს აღმოფხვრან ვოლუნტარიზმი და კორუფცია, ჩამოაყალიბონ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა

2. გლობალიზაციის პირობებში ახალი ტექნოლოგიები ვრცელდება ისევე სწრაფად, როგორც კაპიტალი.

3. იგი განაპირობებს მსოფლიო რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას.

4. მსოფლიო არენაზე უმსხვილესი კორპორაციების ფუნქციონირება შესაძლებელს ხდის მასშტაბის ეკონომიის მაქსიმალური ნიშნულის მიღწევას.

5. გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გაძლიერება და ერთობლივი ძალებით უმსხვილესი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხორციელება კიდევ უფრო აჩქარებს ტექნოლოგიის სრულყოფას და ინოვაციების გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით, რაც უპირველეს ყოვლისა სასარგებლოა მომხმარებლებისათვის.

6. იგი შესაძლებელს ხდის გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები გადაჭრას მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევის გაერთიანების შედეგად, რესურსების მობილიზაციისა და მოქმედებათა კოორდინაციის საფუძველზე და სხვ.

გლობალიზაციის უარყოფითი მხარეებიდან შეიძლება გამოიყოს:

1. დღეისათვის გლობალიზაციის პირობებში თანდათან იზრდება განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის მიხედვით [2]. სამართლიანობა მოითხოვს, რომ გლობალიზაციის პირობებში განსხვავება უნდა მცირდებოდეს და რაც შეიძლება სწრაფად. სხვა შემთხვევაში ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გლობალიზაციის გზაზე.

2. იგი ხელს უწყობს ერთ რომელიმე რეგიონში წარმოშობილი ნეგატიური პროცესების (მათ შორის კრიზისების) გავრცელებას მსოფლიოს მასშტაბით.

3. წინააღმდეგობა გლობალიზაციასა და ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტს შორის.

4. გლობალიზაციამ შეასუსტა რა სახელმწიფო რეგულირების სფერო, ამასთანავე არ ჩამოყალიბებულა მისი შემცვლელი საერთაშორისო რეგულირების ქმედითი ორგანოები.

5. გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება ნარკობიზნესის გავრცელება და იარაღით არალეგალური ვაჭრობა.

6. ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებადი ქვეყნების საზიანოდ.

7. ხდება პლანეტის მთელი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალის თავმოყრა რამოდენიმე ქვეყანაში.

8. რეალური ხდება პროცესის არასწორად წარმართვის შემთხვევაში გლობალური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე, რაც საზოგადოებას კატასტროფით ემუქრება და სხვ.

მაშასადამე, გლობალიზაცია მოიცავს როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების, ისე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ **სამართლიანი გლობალიზაციის** განხორციელება. ამაში უდიდესი წვლილი ეკუთვნით ლიდერ (დიდ) სახელმწიფოებს. სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გლობალიზაციის ბედი.

მაინც როგორია გლობალიზაციის პერსპექტივა?

გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია რეალური პროცესია, რომლის გაუქმებაც არც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანას არ შეუძლია. გლობალიზაციის პროცესი არის მსოფლიო ბაზრის სუბიექტებს და სახელმწიფოებს შორის დიდი კონკურენციის, მაგრამ ამავე დროს დიდი ურთიერთდახმარების პროცესი. ამიტომ საჭირო არა გლობალიზაციის საერთოდ უარყოფა, არამედ თითოეული სახელმწიფოს მისწრაფება, რათა ეს პროცესი წარმართოს დიდი სიფრთხილით და ყველა ქვეყნის ინტერესთა გათვალისწინებით. თითოეულმა ქვეყანამ უნდა იბრძოლოს გამარჯვები-

სათვის დიდ კონკურენციულ ბრძოლაში, მაგრამ, რასაკვირველია, არა ძალით, არამედ ცოდნით, მეცნიერების განვითარებით, უმაღლესი ტექნოლოგიების შექმნით, კულტურის სრულყოფით, ინტელექტის ამაღლებით და ა.შ. გლობალიზაციის შედეგად ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს სხვა ქვეყნის სიკეთით. ამავე დროს შენარჩუნებული იქნეს ეროვნული თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, სარწმუნოება, ტერიტორია და ა. შ.). ასეთ პირობებში საჭირო აღარ იქნება ომები, სხვისი ტერიტორიების მითვისება. თანდათან უნდა შემცირდეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა. საჭიროა ყველამ გაიაზროს, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, რომ ჩვენ ყველა ერთ "ქვეყანაში" – დედამიწაზე ვცხოვრობთ და ყველამ ერთად უნდა მივხედოთ მას. სამართლიანი გლობალური ინტერესები უნდა დადგეს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა. მართალია, წარმოიშობა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ახალი ტრადიციები, შესაძლებელია დაიკარგოს ზოგიერთი ეროვნული ტრადიცია, წესი და ადათი და ა.შ., მაგრამ შენარჩუნებული უნდა იქნეს ძირითადი ეროვნული ღირებულებები, რომელიც თითოეული ქვეყნისათვის ძვირფასია. ეს მიიღწევა მაშინ, როდესაც გამოირიცხება ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება და ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება საერთო თანხმობის შედეგად. სხვა მიმართულება გლობალიზაციისა კატასტროფით შეიძლება დასრულდეს.

გლობალიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებზე, მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას, ვინაიდან მისი ფუნქციები დაიკარგება. მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. **მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება, მაგრამ იგი იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალებისაკენ, დახმარებების ეფექტიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ.** გლობალიზაცია ამაღლებს ცხოვრების ხარისხს, მაგრამ ნაციონალური სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების გარეშე ეროვნული ეკონომიკა მუდამ იქნება წამყვანი ქვეყნის შედარებით მოძველებული ტექნოლოგიებისა და სამომხმარებლო პროდუქციის გამსაღებელი. გლობალიზაცია არის ობიექტური პროცესი, მაგრამ მისი რეგულირება აუცილებელია ეროვნული სახემწიფოების თანასწორობის საფუძველზე შექმნილი ზეეროვნული ორგანოების მიერ.

გლობალიზაციის გავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე ძირითადად ვლინდება შემდეგში:

1. ეროვნული ეკონომიკები ხდებიან არა მხოლოდ გლობალიზაციის უბრალო მაყურებლები, არამედ მისი ორგანიზატორები და ცხოვრებაში გამტარებლები.

2. ხორციელდება სახელმწიფო სექტორის კიდევ უფრო შეკვეცა. პრივატიზება შეეხო ისეთ დარგებსაც კი, რომლებიც ადრე მკაცრი რეგულაციის დარგებად ითვლებოდა (ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სხვ.).

3. სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტი ხდება სოციალური პოლიტიკა. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შემცირების გამო გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსები სოციალურ სფეროში გამოიყენება.

4. ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების გალენა, რომელთა წესების შესაბამისად ფუნქციონირებს ეროვნული ეკონომიკის დიდი ნაწილი. ეს ორგანიზაციებია, უპირველეს ყოვლისა, გენერალური შეთანხმება ტარიფისა და ვაჭრობის შესახებ **(GATT)**, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია **(VTO),** საერთაშორისო სავალუტო ფონდი **(IMF),** მსოფლიო ბანკი **(WB).**

5. მიმდინარეობს შრომის დანაწილების ახალი ეტაპი, რომლის დროსაც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ სხვა ქვეყნები.

6. ხდება ეროვნულ ეკონომიკაზე ეგზოგენური ფაქტორების გავლენის ზრდა.

7. მსოფლიო საფინანსო-საკრედიტო სისტემა, რომლის გლობალიზაციის დონემ წინ გაუსწრო რეალურ სექტორში გლობალიზაციას, დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირებაზე.

დღეისათვის ეკონომიკურ ინტეგრაციას მნიშვნელოვნად ჩამორჩება შესაბამისი საერთაშორისო რეგულირების სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რაც გარკვეულწილად განპირობებულია პოლიტიკური ინტეგრაციის ჩამორჩენით ეკონომიკურისაგან. სწორედ არასაკმარისი შეთანაწყობა გლობალური და ეროვნული ინტერესებისა არის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისებისა. გლობალიზაციის პროცესის რეგულირება აუცილებელია, რისთვისაც ერთმანეთს უნდა შეერწყას რეგულირება მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკების მასშტაბით [5]. მოფლიო მასშტაბით რეგულირებაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ყველა ქვეყანა თანაბარი უფლებებით. ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური გამოთანაბრებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ.

ამა თუ იმ ქვეყნის გლობალიზაციაში ჩართულობის შესაფასებლად არსებობს სხვადასხვა მაჩვენებელი. მაგალითად, ერთ-ერთი არის გლობალიზაციის KOF ინდექსი (KOF Index of Globalization), რომელიც შემუშავდა შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტში (KOF Swiss Economic Institute), შვეი-

ცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტის (Swiss Federal Institute of Technology) მონაწილეობით. იგი ითვალისწინებს **ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ** გლობალიზაციას.

ეკონომიკური გლობალიზაცია მოიცავს: საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას; საერთაშორისო საქმიან აქტიურობას; სავაჭრო ნაკადებს; საერთაშორისო ინვესტიციებს; სატარიფო პოლიტიკას; შეზღუდვებს და გადასახადებს საერთაშორისო ვაჭრობაზე და ა. შ.

სოციალური გლობალიზაცია მოიცავს: კულტურული ინტეგრაციის დონეს; უცხოელი მოსახლეობის პროცენტს; საერთაშორისო პირად კონტაქტებს; სატელეფონო გრაფიკისა და საფოსტო გზავნილების მოცულობას; საზღვარგარეთ ფულადი გზავნილების მოცულობას; საინფორმაციო ნაკადების მოცულობას; საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვ.

პოლიტიკური გლობალიზაცია მოიცავს: სახელმწიფოს წევრობას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მისიებში; საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებების რატიფიკაციას; ქვეყანაში საელჩოებისა და სხვა უცხოური წარმომადგენლობების რაოდენობას და ა. შ.

ბოლო შეფასებების შესაბამისად [6] ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ ოცეულში იმოფებიან – ირლანდია, ნიდერლანდები, ავსტრია, სინგაპური, შვეცია, დანია, უნგრეთი, პორტუგალია, შვეიცარია, კვიპროსი, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ესპანეთი, ფინეთი, საფრანგეთი, სლოვაკია, ნორვეგია. ოცეულში ვერ მოხვდნენ ისეთ ქვეყნები, როგორიცაა: აშშ, იტალია, იაპონია, გერმანია. ყველაზე ნაკლებად გლობალიზებული ქვეყნებია: ტონგა, სომალი, სან მარინო, პუერტო რიკო, მონაკო, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, ანდორა და სხვ.

ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით პირველ ოცეულში იმყოფება – სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდები, უნგრეთი, შვედეთი, ბაჰრეინი , არაბთა გაერთიანებული ემირატები, ესტონეთი, ჩეხეთი, დანია, ავსტრია, კვიპროსი, სლოვაკეთი, პორტუგალია, ფინეთი, ჩილე, მონტენეგრო. ბოლო ადგილებზეა: მიკრონეზია, დომინიკა, ჯიბუტი, კუბა, ბუტანი და სხვ.

სოციალური გლობალიზაციის მიხედვით პირველ ოცეულში იმყოფება – კვიპროსი, ირლანდია, სინგაპური, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია, ნიდერლანდები, კანადა, დანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ნორვეგია, გერმანია, შვეცია, ესპანეთი, კუვეიტი, ლუქსერმბურგი. ბოლო ადგილზეა სომალი, სან მარინო, მონაკო, ნიკრონეზია და სხვ.

პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით პირველ ოცეულში იმყოფება – იტალია, საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეცია, ჰოლანდია, პორტუგალია, კანადა, ეგვიპტე, ნიდერლანდები, დანია, თურქეთი, გერმანია, არგენტინა, ნორვეგია, საბერძნეთი. ბოლო ადგილზეა: გრენლანდია, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, პუერტო რიკო და სხვ.

ამ ინდექსის მიხედვით საქართველო 208 ქვეყნიდან 69-ე, ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით 29-ე, სოციალური გლობალიზაციის მიხედვით 88-ე, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით 139-ე ადგილზე იმყოფება.

ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით ესტონეთი იმყოფება 26-ე, უკრაინა 44-ე, ლიტვა 48-ე, რუსეთი 47-ე, ლატვია 50-ე, მოლდავეთი 67-ე, აზერბაიჯანი 83-ე, ყაზახეთი 76-ე, სომხეთი 97, ბელორუსია 105-ე, ტაჯიკეთი 159-ე, თურქმენეთი 167-ე, უზბეკეთი 170-ე ადგილზე.

ქვეყნების გლობალიზაციის მაჩვენებლები წარმოდგენას იძლევა ცალკეული ქვეყნის ინტეგრაციაზე მსოფლიო პროცესებში და არა მსოფლიოს გლობალიზაციის ხარისხზე. ამიტომ, უმჯობესია ამ მაჩვენებლებს ქვეყნის ინტეგრაციის ინდექსი ერქვას, ხოლო მსოფლიოს გლობალიზაციის დონის დასახასიათებლად შემოღებულ იქნეს მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსი. იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიცავდეს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტრანსერობნული კორპორაციების საქმიანობა, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, დანახარჯები სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროექტებზე, მსოფლიოში შემოსავლების უთანაბრობის (ქვეყნებს შორის), სიღარიბის, სამხედრო ხარჯების, სამხედრო კონფლიქტების, მიზნობრივი (სავალუტო, საკრედიტო და სხვ.) საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციონირების, საერთაშორისო ორგანოებში ცალკეული ქვეყნების მონაწილეობის თანაბრობის მაჩვენებლებს.

საამართლიანი გლობალიზაცია გულისხმობს რა მსოფლიოს ხალხთა დაახლოებას და მათ ჰარმონიულ თანაარსებობას, ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ბუნებასთან რაციონალური თანაარსებობის პროცესებთან ანუ ადამიანის საქმიანობის განვითარებასთან ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ბუნების კვლავწარმოების პროცესებს. ბიოსფერო თანდათან გადადის **"ნეოსფეროში" [3],** სადაც ადამიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს. გლობალიზაცია და ნეოსფეროს ჩამოყალიბების პროცესი განაპირობებენ და აძლიერებენ ერთმანეთს. სამართლიანი გლობალიზაცია ადამიანთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდისკენაა მიმართული, რასაც სრულიად ახალი ტექნოლოგიების ჩამოყალიბება უწყობს ხელს. ამჟამად განვითარებული სამყარო შედის ახალ ეპოქაში – "მოაზროვნე ტექნოსფეროს" ("thinking technology'') ეპოქაში, რომელიც კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს შექმნის სამართლიანი გლობალი-

ზაციისათვის კაცობრიობის სასარგებლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., „მერიდიანი", 2006.
2. Бердсолл Н. Усиление неравенства в новой глобальной экономике // Вопросы экономики. 2006. № 4.
3. Вернадский В.И. Биосфера и ноосфера. – М.: Айрис-пресс, 2007.
4. Фукуяма Ф. Конец истории? // Вопросы философии.-1990.-№3.
5. Hirst P., Thompson G. Globalization and the Future of the Nation State // Economy and Society. 1995. Vol. 2 №3.
6. http://globalization.kof.ethz.ch/static/pdf/rankings_2012.pdf

Ramaz Abesadze

GLOBALIZATION AND SOME ASPECTS OF ITS IMPACT ON NATIONAL ECONOMY

Annotation

The article deals with modern actual issues of globalization and its impact on national economy. According to the author's explanation globalization is the formation process of the world as an economic, technological, political and cultural entity in the conditions of maintaining the statehood and national identity of separate countries. Globalization has objective as well as subjective features. That's why globalization includes unprecedented possibilities of development of human society and the threat of its existence. Positive results are achieved when any exposure of abuse is excluded and all decisions are received as a result of common consensus. Other trends of globalization might be ended with disaster. The article discusses many other issues of globalization and the functioning of national economy under globalization.

პრობლემა 9.

სოფლის ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში

ზურაბ რევიშვილი

სოფლის ეკონომიკის ტრანსფორმირება

ეკონომიკური "ტრანსფორმაცია" გულისხმობს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ინსტიტუციების, "ეროვნული ეკონომიკის დაგეგმვის, კოორდინაციისა და საკუთრების სფეროში" არსებული მთელი რიგი წესების, მთლიანად "ეკონომიკური წესრიგის" თვისებრივი გარდაქმნის პროცესს[1, გვ. 244-245]. დღეისათვის, მეტად აქტუალურია ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გეგმური ეკონომიკების კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკად ტრანსფორმაციის პროცესების შედეგების, დადებითი და უარყოფითი მხარეების, არსებული პრობლემების შეფასება. ეს ეხება როგორც მთლიანად ეროვნულ ეკონომიკებს, ისე მის მნიშვნელოვან სექტორებსაც.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ეფუძნებოდა ფორმით საზოგადოებრივ, ხოლო შინაარსით სახელმწიფო-მონოპოლისტური საკუთრებაზე დამყარებულ ცივილიზებული მსოფლიოსგან მნიშვნელოვნად იზოლირებულ ეკონომიკურ სისტემას. 80-იანი წლებისათვის იგი წარმოადგენდა ინდუსტრიალ-აგრარულ ქვეყანას, სადაც წარმოების ძირითადი საშუალებების 90%-ს და მეტს სახელმწიფო საკუთრება შეადგენდა, კოლმეურნეობათა საკუთრებაც ფაქტობრივად სახელმწიფო დიქტატს ექვემდებარებოდა და როგორც სახელმწიფო საწარმოები, ისე კოოპერატიულ-საკოლმეურნეო სექტორიც, იმართებოდა მკაცრად ვერტიკალური სტრუქტურის მქონე ერთპარტიული აპარატით და მბრძანებლური მეთოდებით. სისტემას ახასიათებდა ხელოვნური, ცენტრიდან განსაზღვრული, ინტეგრაციული კავშირები, რომელიც უგულვებელყოფდა ღირებულებითი კატეგორიების გათვალისწინების აუცილებლობას. სისტემას არ შესწევდა უნარი განეხორციელებინა წონასწორობა დარგების განვითარებასა და კვლავწარმოების პროპორციებს შორის. იგი უმწვავესი პრობლემების დაძლევას ახერხებდა, მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების მეშვეობით.

70-იანი წლების დამლევსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში აშკარად გამოჩნდა ცენტრალიზებული დაგეგმვის არაეფექტურობა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პრობლემები, რამაც აქტუალური გახადა საბაზრო მექანიზმების ამოქმედების ობიექტური საჭიროება. სისტემას ვერ უშველა "პერესტროიკამაც", 80-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად დაიწყო სისტემის დაშლა, გაძლიერდა დეზინტეგრაციული პროცესები და სსრკ-ს აღარ შესწევდა უნარი არც ეკონომიკური ზრდისა და არც, დაპირისპირებულ ძალებთან სამხედრო პარიტეტის განხორციელებისა, რამაც საბოლოოდ განაპირობა მისი დაშლა.

საქართველოს გასაბჭოების პერიოდში (1921-1991წწ.), სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დომინირებდა სახელმწიფო საკუთრება. მიწა მთლიანად, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგული, სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა. 1987 წლის მონაცემებით საქართველოში ყველა კატეგორიის მეურნეობა სარგებლობდა (რესპუბლიკის გარეთ სასოფლო-სამეურნეო მიწების ჩათვლით) 3268,7 ათასი ჰა-ით. რესპუბლიკაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი სულ შეადგენდა 3174,1 ათას ჰა-ს, აქედან კოლმეურნეობების სარგებლობაში იყო 1414,9 ათასი ჰა(44,6%/), საბჭოთა მეურნეობები სარგებლობდნენ 1451,4 ათასი ჰა-ით (45,7%), სამეურნეობათაშორისი გაერთიანებები სარგებლობდნენ – 121,7 ათასი ჰა-ით (3,8%), კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობის ფართობი სულ შეადგენდა – 180,2 ათას(5,7%) ჰა-ს, ხოლო კოლექტიური მებაღეობა იყენებდა 5,9 ათას ჰა-ს (0,2%). სარგებლობაში არსებული სავარგულების 24,7%-ს შეადგენდა სახნავ მიწებს, 10,5% მოდიოდა მრავალწლიან ნარგავებზე, ხოლო სათიბები და საძოვრები შეადგენდნენ 64,8%-ს [19, გვ. 6, 8, 9, 11, 12, 13, 15]

1991 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ფონდების საერთო ღირებულებიდან 66,5% ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების წილად მოდიოდა 27% და პირადი საკუთრება შეადგენდა 6,5%. აღსანიშნავია, რომ კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრებას ნაკლებად ახასიათებდა კოოპერაციული საკუთრების ნიშნები, რეალურად იგი სახელმწიფო საკუთრების ნაირსახეობას წარმოადგენდა. 1990 წელს საქართველოში საკარმიდამო ანუ პირადი დამხმარე მეურნეობა სარგებლობდა მთლიანი სახნავი მიწების 12%-ით და მრავალწლიანი ნარგავების 27%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ პირად დამხმარე მეურნეობას არ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თუ სხვა წარმოების ძირითადი საშუალებების საკუთრებაში ფლობის უფლება. მთლიანად, ამ დროისათვის, პირადი დამხმარე მეურნეობა სარგებლობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 6,5%-ით(ამ მაჩვენებელში არ არის გათვალისწინებული საერთო საძოვრებით სარგებლობა) და ამავე დროს ამ სექტორში იწარმოებოდა

რესპუბლიკაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 47%[4, გვ. 70, 73]. უნდა აღინიშნოს რომ, ძირითადად, სწორედ პირადი დამხმარე მეურნეობებისათვის სავარგულების ფართობების (0,15–0,25ჰა) საკუთრებაში გადაცემის და მათი განსაზღვრული (1,25ჰა-მდე) შევსების საფუძველზე ჩამოყალიბდა ოჯახური სასოფლო შინამეურნეობები.

სსრკ-ს ცენტრალიზებული, გეგმური ფასწარმოქმნის და ფასების პოლიტიკის შედეგად საქართველოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამეურნეობათაშორისო საწარმოებების საერთო რაოდენობის – 1549 ერთეულიდან, 1151 ანუ 74,3% ზარალიანი და დაბალრენტაბელური იყო, ხოლო დანარჩენ მეურნეობებს(25,7%) რენტაბელობა 25%-ზე მეტი ჰქონდათ; 404 საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა და სამეურნეობათაშორისო საწარმო უპერსპექტივოდ იყო მიჩნეული და საჭიროებდა სახელმწიფო დოტაციას 7, გვ. 61].

აღსანიშნავია, რომ მთლიანად საქართველოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში 1986-1988წწ.-ში 1975-1980წწ.-თან შედარებით საშუალო წლიური ფონფშეიარაღება (ერთ საშუალოწლიურ მუშაკზე გაანგარიშებით) გაიზარდა 1,9-ჯერ, ხოლო ფონდუზრუნველყოფა(100 ჰა სავარგულზე გაანგარიშებით) – 1,6-ჯერ; ამავე პერიოდებში ენერგოშეიარაღება გაიზარდა 1,23-ჯერ, ხოლო ენერგოუზრუნველყოფა (100 ჰა ნათეს ფართობზე) –1,13-ჯერ შესაბამისად და შეადგინა 6,5 ც.ძ. და 536 ც.ძ. [20, გვ. 9, 10]. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საქართველოს 80-იანი წლების ბოლოს სსრკ-ში ყველაზე დაბალი დონე ეკავა ენერგოშეიარაღების მაჩვენებლის მიხედვით, ასევე დაბალი იყო მთლიანად ფონდშეიარაღებაც. კერძოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის ფონდშეიარაღების დონის მაჩვენებლით (1988წ.) 1,8-ჯერ ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო სსრკ-ს მაჩვენებელს; ხოლო ენერგოშეიარაღების მაჩვენებლი 4,2-ჯერ ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო სსრკ-ს მაჩვენებელს[20, გვ. 9, 10, 80, 81].

აღნიშნული ჩამორჩენის მიაუხედავად, საქართველოში მიღწეულ იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის გარკვეული დონე, კერძოდ საზოგადოებრივ მეურნეობებში მექანიზებული იყო ძროხების წველის სამუშაოთა 60%, წყლის მიწოდება ფერმებსა და კომპლექსებში (%-ში): მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მრპ) – 74, მეღორეობის –65, მეფრინველეობაში –99; საკვების დარიგება: მრპ –42, მეღორეობაში–38, მეფრინველეობაში–95; სადგომის გასუფთავება: მრპ–72, მეღორეობაში –65 და მეფრინველეობაში 99; კომპლექსური მექანიზაცია შეადგენდა: მრპ-ში–37, მეღორეობაში–30 და მეფრინველეობაში–95%. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტრაქტორებით უზრუნველყოფა 100 ჰა სახნავზე გაანგარიშებით 1988 წელს შეადგენდა 40 ერთეულს, ხოლო მარცვლეულის ასაღები კომბაინების რაოდენობა 100 ჰა მარცვლეულის ნათეს ფართობზე(სიმინდის გარდა) შეადგენდა 3 ცალს [20, გვ. 9, 10; 80, 81].

გასული საუკუნის 70–იან და 80-იან წლებში შეიმჩნეოდა ტენდენცია სოფლის მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილის შემცირებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დარგებსა და არაწარმოებრივ სფეროებში დასამების გადიდებისა. ასე მაგალითად, 1979 წელს სოფლის მოსახლეობის მთლიანი დასაქმების სტრუქტურა შეადგენდა: სოფლის მეურნეობაში(საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები) – 63,7%; მრეწველობაში –8,2%; მშენებლობაში –4,1%; ტყის მეურნეობაში – 0,6%; ტრანსპორტში – 3,4%; კავშირგაბმულობაში – 0,9%; ვაჭრობა და საზკვება–2,7%, საბინაო-კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში–1,6%, ჯანდაცვასა, ფიზკულტურასა და სოცუზრუნველყოფაში – 3,2%, განათლებასა და კულტურაში – 6,5%, მართვაში–2,4% და სხვა სფეროებში – 2,7% [19, გვ. 27].

სსრკ-ს დაშლის შემდგომ, მრეწველობისა და სხვა ინდუსტრიული დარგების საწარმოების მკვეთრი შემცირება შეეხო არა მხოლოდ მსხვილ, საშუალო და პატარა ქალაქებს, არამედ რაიონულ ცენტრებს, დაბებს. არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების სფეროების შემცირების გამო ქალაქის ტიპის დასახლებების, რაიონული ცენტრებისა და დაბების უმეტეს ნაწილში გაიზარდა სოფლისმეურნეობრივი წარმოებისა და შრომის მნიშვნელობა ოჯახური მეურნეობების თვითუზრუნველყოფაში. 90-იან წლებში საქართველოს სოფლის მოსახლეობის დასაქმებაში სწრაფად გაიზარდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა, კერძოდ ოჯახურ სასოფლო მეურნეობებში თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა და შემცირდა არასასოფლო-სამეურნეო სექტორებშა და სფეროებში დასაქმების წილი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა სოფლის მეურნეობა წარმოაგენს უმთავრეს წარმოებით სექტორს სოფლისა, მაგრამ სოფლის ეკონომიკა ასევე მოიცავს აქ არსებულ გადამამუშავებელ მრეწველობას, საწარმოო თუ სოციალური მომსახურების რიგ სფეროებს, რომელთა წილი პერსპექტივაში უნდა გაიზარდოს. ამდენად, ჩვენ ვიზიარებთ პოზიციას, რომ სოფლის ეკონომიკა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სოფლის მეურნეობის განხილვით [13, გვ. 196].

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ფართოდ განიხილებოდა ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი, სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებათა დაძლევის საკითხები. განსხვავებათა შინაარსის, სტრუქტურის ანალიზისას გამოიყოფოდა ძირითადი ჯგუფები: ა)სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის ძირითად საწარმოო სფეროებს შორის; ბ)განსხვავებანი დაკავშირებული წარმოების საშუალებებზე საკუთრების ორი, საერთო-სახალხო და

კოოპერაციულ-საკოლმეურნეო, ფორმის არსებობასთან; გ)სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დონეებსა, პირობებსა და წესებს შორის; დ) განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში [10, გვ.7]. სოფელი ასევე განიხილებოდა, როგორც სპეციფიური ელემენტი საზოგადოების სოციალურ-დასახლებითი სტრუქტურისა [11, გვ. 95-97].

სოფელი წარმოადგენს საზოგადოების ერთ-ერთ, მნიშვნელოვან სოციალურ-დასახლებით ელემენტს. მთავარი თავისებურება სოფლისა, როგორც ამ სტრუქტურის ელემენტისა მდგომარეობს იმაში, რომ მისი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის საწარმოო საქმიანობა დაკავშირებულია მიწასთან და სოფლის მეურნეობასთან. სასოფლო დასახლებების მოსახლეობის სიმცირის გამო, აქ ნაკლებადაა განვითარებული სოციალური მომსახურება და ადამიანთა შორის დომინირებს უშუალო კონტაქტები, სოფელი ხასიათდება ფასეულობითი ორიენტაციების სპეციფიური სისტემით და ქცევის ნორმებით, ასევე მოსახლეობის ცხოვრების წესით, რომელიც ახდენს კონცენტრირებას თავის თავში ყველა ზემოთ დასახაელებული თავისებურებებისა [12, გვ.23].

მეცნიერულ ლიტერატურაში და სტატისტიკურ პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა პოზიციები სოფლის ცნებასთან დაკავშირებით. ერთთა აზრით, "სოფლის" ცნება მოიცავს ყველა მრავალ სასოფლო სასოფლო-სამეურნეო დასახლებას [12, გვ.24], მეორენი თვლიან, რომ უნდა განვასხვავოთ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებული სოფელი და ამ მხრივ ნაკლებად განვითარებული, ჩამორჩენილი სოფელი [10, გვ.26].

ცნება სოფელი (თუ სასოფლო დასახლება) შინაგანად არაერთგავაროვანია, შეიძლება გამოვყოთ მსხვილი სასოფლო დასახლებები, რომლებშიც სოფლისმეურნეობრივ წარმოებასთან ერთად განვითარებულია გადამამუშავებელი და სხვა სფეროები, დასახლებების ხასიათით და საყოფაცხოვრებო პირობებით, ქალაქებთან თუ რაიონული ცენტრებთან კავშირების სისტემით, უახლოვდება ქალაქის ტიპის დასახლებებს. ამავე დროს, იგი მოიცავს მრავალ მცირე და საშუალო დასახლებას, რომლებშიც ძირითადი დასაქმების სფერო სოფლის მეურნეობაა, ესაა მცირე თუ პატარა დასახლებები, რომელთაც ახასიათებთ ქალაქებთან თუ რაიონულ ცენტრებთან, საგზაო-სატრანსპორტო კავშირების განუვითარებლობა, სოციალური და სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაბალი დონე.

რესურსების კონცენტრაცია ქალაქებში, რა თქმა უნდა ქმნიდა და ქმნის წინაპირობებს, საარსებო პირობების გაუმჯობესებისა, კულტურული განვითარებისა, განათლებისა და გონებრივი შრომით დასაქმებისა, ხოლო სოფლების, სოფლის მოსახლეობის სივრცობრივი გაადგილება, ტერიტორიალური განცალკევებულობა, აუცილებლობა მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ფიზიკური შრომით დასაქმებისა, აფერხებდა მათ განვითარებას.

ჩვენი აზრით, საქართველოს თავისუფალ საბაზრო ურთიერთობების რეფორმირების თანამედროვე პირობებში, საჭიროა განისაზღვროს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის ფაქტიური მიზეზები, დადგინდეს სოფლის უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, განისაზღვროს სოფლებისა და ქალაქების, როგორც განსახლების სისტემების განვითარების პრიორიტეტები, რათა შემუშავდეს სათანადო სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევასა და პერსპექტივაში მის მდგრად განვითარებაზე.

სოფლის ქალაქისგან ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს: ა)სოფლისა და ქალაქის ძირითად წარმოებრივი სფეროების, სოფლის მეურნეობასა და ქალაქში განვითარებულ ძირითადი წარმოებრივი სფეროების (მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვა) განვითარების სხვაობაში; ბ)განსხვავებაში, რომლებიც გაპირობებულია სოფლისა და ქალაქის დასახლებებისა და განსახლებების თავისებურებებით, რაც ობიექტურად განსაზღვრავს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობებს; გ)შრომისა და ცხოვრების პირობების და ცხოვრების დონეების სხვაობაში.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია ავითარებდა მოსაზრებას, რომ კლასობრივ-ანტაგონისტური წარმოების წესების პირობებში მწვავდება დაპირისპირება სოფელსა და ქალაქს შორის, ქალაქი უწევდა ექსპლოატაციას სოფელს და ამით უბიძგებდა მას მუდმივი ჩამორჩენილობისაკენ. ქალაქი უკვე წარმოადგენს ფაქტს მოსახლეობის, წარმოების იარაღების, კაპიტალის, სიკეთეების მიღების, მოთხოვნილებების კონცენტრაციისა, მაშინ როდესაც სოფელში შეინიშნება დიამეტრალურად საპირისპირო ფაქტი – იზოლირებულობა და განცალკევებულობა[14, გვ. 50]. კაპიტალიზმის განვითარება, მრეწველობის განვითარებასა და კაპიტალის კონცენტრაციას რომ განაპირობებდა დიდ ქალაქებში, ქალაქი სოფელს სხვადასხვაგვარ ექსპლუატაციას უწევდა, მათ შორის "ფასების მაკრატელის" მეშვეობით, ხდებოდა სოფლის გაღარიბება და ჩამორჩენილობის გაღრმავება.

XX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებამ რიგ განვითარებულ ქვეყნებში განაპირობა მანქანათა სისტემების გამოყენება სოფლის მეურნეობაში, შედეგად სოფლის მეურნეობა გადაიქცა მაღალნაყოფიერი წარმოების სფეროდ. ამასთან წარმოების ინდუსტრიალიზაციამ სოფლის მეურნეობაში, ერთის მხრივ, განაპირობა სოფლად ქალაქური ყოფის ელემენტების განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ, ამან გამოიწვია მცირე, არამექანიზირებული

გლეხური და ფერმერული მეურნეობების შემცირება, გამოდევნა. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის შეფარდებითი და აბსოლუტური შემცირება.

სოფლის განვითარების საკითხებს რომ განიხილავს ევროგაერთიანების სხვადასხვა ქვეყანაში, ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე, ფ. მანტინო გამოყოფს სამ სასოფლო განვითარების კონცეფციას, როლებიც აქ გამოიყენებოდა: ა)კონცეფცია, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას სოფლის განვითარებისა და აგროსამრეწველო კომპლექსისა; ამ კონცეპციით უმთავრესად მიიჩნევა სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება; ბ)კონცეფციას, რომელიც სოფლის განვითარებას უკავშირებს უპირველეს ყოვლისა განსხვავების შემცირებას, განსხვავებულ, ყველაზე მეტად ჩამორჩენილ სასოფლო რაიონებსა და ეკონომიკის ჩამორჩენილ სხვა დარგებს შორის(დაახლოების კონცეფცია) და გ)კონცეფცია, როელიც სოფლის განვითარების იდენტიფიცირებას ახდენს მთლიანად სასოფლო რაიონების განვითარებასთან, ყველა რესურსის გამოყენების გზით, რომლებიც არსებობს მოცემულ რაიონში(ადამიანური, ბუნებრივი, ლანდშაფტური და სხვ.) და ადგილობრივ დონეზე, ყველა კომპონენტისა და დარგების ინტეგრაციით. ეს კონცეფცია იყენებს ტერიტორიის შესაძლებლობებს, მისი ყველაზე ფართო გაგებით. აღნიშნული მიდგომები(კონცეპციები) ძირითადად განმსჭვალულია ორმხრივი(ორგვარი)- დარგობრივი და ტერიტორიული მიდგომით; თუმცა განიხილება მესამე მიდგომა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სოფლის განვითარების პოლიტიკის განაწილებით ფუნქციასთან. მანტინოს აზრით აღნიშნულ სამ კონცეფციას შეესაბამება სამი განსხვავებული, თუმცა არაფორალიზებული მოდელი, რომლებიც გამოიყენებიან სასოფლო ტერიტორიების განვითარების პოლიტიკის გაშუქებისას. იგი გამოყოფს: ა)დარგობრივ, ბ)გადანაწილებით და გ)ტერიტორიულ მოდელებს. პირველის თანახმად სოფლის განვითარება ეფუძნება სოფლის მეურნეობის განვითარებას; მეორე – სოფლის მეურნეობას განიხილვს როგორც საშუალებას განსხვავების შემცირებისა, ყველაზე ჩამორჩენილ სასოფლო რაიონებსა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის; ხოლო მესამე – სოფლის განვითარებას განიხილავს, როგორც შედეგს ლოკალური ეკონომიკის შიდა ურთიერთკავშირების ფორმირებისა [15, გვ. 1-3, 15].

მთლიანად ეკონომიკის თუ კერძოდ სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციის პერიოდების განხილვისას ქართველ ეკონომისტთა შორის განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით [5, გვ. 59-60; 6, გვ.19-25; 2, გვ.97-104; 7, გვ.62-68; 8, გვ.5]. ასევე გავრცელებულია მოსაზრება, რომ რადიაკალური ეკონომიკური რეფორმების ათვლის წერტილად საქართველოში უნდა მივიჩნიოთ 1992 წლის პირველი ნახევარი [3, გვ. 74].

ჩვენი აზრით, როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის, ისე კერძოდ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის რეფორმირების თვალსაზრისით უნდა გამოიყოს 4 პერიოდი: I-ლი 1990-1991წწ; II-ე 1992-2003წწ.; III-ე 2004-2012წწ. და IV-ე მიმდინარე პერიოდი - 2013-2015წწ.

1990-1991წწ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი "გარდამავალი პერიოდის შესახებ" (14.11.1990) და არსებული კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი დებულებების გადაუდებელ ცვლილებებთან ერთად შეუდგა ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადებას. 1991წ. 31 მარტის რეფერენდუმზე მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე და უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ყურადსაღებია, რომ 1991წ. 20 იანვარს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება "სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობების დებულების შესახებ", რომელი უზენაესი საბჭომ მიიღო ცნობად (30.01.1991) და ამავე დროს დაავალა შესაბამის კომისიებს "დაჩქარონ მიწის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შემუშავება". 1991წლის 14 ივნისს მიღებული იქნა კანონი "საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ"; 25 ივლის მიღებულ იქნა კანონები: "სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ"; "დასაქმების შესახებ"; "საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ"; "უცხოური ინვესტიციების შესახებ". 2 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონები "ეროვნული ბანკის შესახებ", "ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შეახებ" და "ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ". 9 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონები "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ" და "საინვესტიციო საქმიანობის შესახებ".

ამ პერიოდის შეფასებისას, საინტერესო დასკვნებს გვაძლევს პროფ. ნოდარ ჭითანავა. იგი თვლის, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წელს "წამოაყენა ქვეყნის(ეკონომიკის) განვითარების კონვერგენციული მიდგომის (პრინციპების) გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. ეს ფაქტობრივად ნიშნავდა თანამედროვე მიდგომებით და არა ცალკეული "იზმების" გავლენით ჩამოყალიბებული დოგმებით ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებას. იმ დროისათვის ასეთი პოლიტიკურ თეორიული მიდგომა (მსოფლმხედველობრივი პოზიცია) ობიექტურიც იყო და პრინციპულიც"[5, გვ. 58-59].

საქართველოს, 70 წლიანი საბჭოთა მმართველობის შედეგად, სრულიად დაკარგული ჰქონდა ქვეყნის დამოუკიდებლად ფუნქციონირების ქმედითი სახელმწიფო ინსტიტუტები, არ გააჩნდა საბაზრო ურთიერთობების ფორმირებისა და მართვის არავითარი გამოცდილება, არ ჰყავდა სპეციალისტები რომელთაც მიღებული ექნებოდათ წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების სახელმ-

წიფოს ეკონომიკური და სამართლებრივი მოწყობის, კანოშემოქმედებითი საქმიანობის სათანადო თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება. მიუხედავად, ამისა უმოკლეს ვადებში მომზადდა და ამოქმედდა დასავლური ტიპის, თავისუფალ საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებაზე და განვითარებაზე ორიენტირებული სისტემური და ორგანული ეკონომიკური კანონები, რომლებიც სრულად იზიარებდნენ დასავლურ ლოგიკას, სტანდარტებს, პრინციპებს და ქვეყნის მოცემულ ეტაპზე განსაზღვრავდნენ მის აუცილებელ, თვისობრივ ტრანსფორმაციას. ყოფილ სსრკ-ს სივრცეში, საქართველო იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, სადაც გამოიყო და გაიმიჯნა ცენტრალური (ეროვნული) და კომერციული საბანკო საქმიანობის ფუნქციები, ჩამოყალიბდა მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ათი ფორმა, მოხდა დაშვება, რომ მეწარმეობის განხორციელება შეუძლია, არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ ფიზიკურ პირსაც და ა.შ.

ვფიქრობთ, რომ 1991 წელს პრივატიზაციის პრაქტიკულ განხორციელებამდე ჩატარდა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები და სამთავრობო ქმედებები. 1991 წლის 9 აგვისტოს მიღებული კანონის - "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ" თანახმად, სახელმწიფო საწრმოთა პრივატიზაცია უნდა განხორციელებულიყო აუქციონისა და კონკურსის ფორმით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წელს არჩევნებით მოსული მთავრობა არ ჩქარობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განკერძოებას, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ნაჩქარევ დაშლას. საქართველოს დამოუკიდებლობიკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა, შექმნა შესაძლებლობა სოფლის მეურნეობაში არსებითი გარდაქმნების განხორციელებისა. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო რეფორმირება მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, განკერძოების საკითხი კერძოდ, საქართველოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობისა და პრობლემატურობის გამო, მოითხოვდა მსოფლიოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკების რიგ გამოცდილებათა მეცნიერულ გააზრებას, ქვეყნისათვის მისაღები სოფლის მეურნეობის განვითარების მოდელების ფართო განხილვის საფუძველზე, ქვეყნისათვის მისაღები ვარიანტის შერჩევასა და სათანადო სამთავრობო სტრატეგიის შემუშავებას. ამრიგად, ამ პერიოდში, როდესაც იურიდიულად სსრკ არ იყო დაშლილი, მიმდინარეობდა კონცეპტუალური გააზრება სოფლის ტრანსფორმირებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების განსახელმწიფოებრიობისა. სსრკ-ის დაშლის წინაპირობებმა და ჭეშმარიტად ეროვნული ორიენტაციის საქართველოს მთავრობის არჩევამ, შექმნა შესაძლებლობა სოფლად მთლიანად და კერძოდ სოფლის მეურნეობაში არსებითი გარდაქმნების განხორციელებისა. სოფლის მეურნეობის რეფორმირება საჭიროებდა კომპლექსურ მიდგომას, მას უნდა მოეცვა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება და ოპტიმალური ზომის მეურნეობების ფორმირება, არამედ ასევე მეტად მნიშვნელოვანი იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განაწილებისა და ტექნიკით მომსახურების პირობების, ტექნიკით მომსახურების ორგანიზაციული თუ საკუთრეთი საკითხების გააზრება; რეფორმირების მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა ყოფილიყო ახლადშექმნილი მეურენეობების აგრონომიული და ზოოვეტერინალური მომსახურების სისიტემების ფორმირება; რეგიონებსა და რაიონებში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ქსელის შექმნა; ასევე მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა ყოფილიყო სოფლის მეურნეობის საკრედიტო სისტემის რეორგანიზაცია და მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა. რეორმირებას უნდა მოეცვა საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ფუნქციონირება და სხვა.

გარე ძალების ხელშეწყობით პროვოცირებულმა, სამხედრო გადატრიალების შედეგად მოსულმა "დროებითმა მთავრობამ სპონტანურად შექმნილ რევანშისტულ ძალებზე დაყრდნობით, დააჩქარა კერძო კაპიტალისტურ ეკონომიკაზე (ტრადიციული მოდელი) ეროვნული მეურნეობის გადასვლის პროცესი" [5, გვ. 58-59]; რამაც განაპირობა ქვეყნისათვის კატასტროფული, ანარქიული მოვლენები, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაჩქარევ განაწილებასა და კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ქონების გაუაზრებელ დაშლასა და რიგ შემთხვევებში ძარცვაშიც აისახა.

საქართველოს რესპუბლიკის მონისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 6 თებერვლის №128, 10 მარტის №290 და სხვა სამთავრობო დადაგენილებების საფუძველზე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაჩქარევი განაწილება, რამაც განაპირობა მათი დიდი ნაწილის დანაწევრება-დაქუცმაცება და მეტად მცირე მიწიანი, უპერსპექტივო, ნატურალური მეურნეობისათვის განწირული, ოჯახური შინამეურენეობების წარმოქმნა, რამაც, ჩვენი აზრით, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და სოფელს, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკურ განვითარების პერსპექტივას.

კანონით "სასოფლო-სამეურენო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", რომელიც მოგვიანებით 1996 წელს იქნა მიღებული განისაზღვრა, რომ "საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით (მუხლი 4, პუნქტი-3). ამ კანონის 2000 წლის ცვლილების თანახმად განისაზღვრა, რომ "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში აქვს, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (მუხლი4, პუნქტი-1). კანონის მიზანს შეადგენდა მიწის რაციონალური გამოყენების საფუძვლზე ორგანიზებული მეურნეობისა და "აგრარული სტრუქტურის

გაუმჯობესების" უზრუველეყოფა; მიწის ნაკვეთების დაქუცმაცებისა და არარციონალური გამოყენების თავიდან აცილება. კანონი არ ითვალისწინებდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისებას, თავიდან იცილებდა უფრო მდიდარი ქვეყნების მოქალაქეთა მიერ იაფი მიწის მასობრივი შესყიდვის საშიშროებას.

1996 წელს მიღებულ იქნა ასევე კანონი "სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ", რომელიც შემუშავდა "იჯარის შეახებ" საქართველოს რესპუბლიკის მომქმედი კანონის შესაბამისად. იგი ადგენდა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესს, ვადებს, მხარეთა უფლებამოსილებებს და სხვა პირობებს. აღნიშნული კანონი მოქმედებდა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე (25.11.1997წ.). 1996 წელს იქმნება კანონი "მიწის რეგისტრაციის შეახებ", ხოლო 1997 წელს მიღებულ იქნა კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვალგებო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ". ამ კანონის 2007 წლის დამატებებით, არსებითად გაადვილდა სასოფლო-სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიწებად გადაქცევის მექანიზმი. ვფიქრობთ, რომ საკომპენსაციო თანხები არ აყო სათანადოდ გათვალისწინებული და დიდი ქალაქებისა თუ სარეკრეაციო ადგილების მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებს ადვილად ეცვლებოდათ კატეგორია და ამგვარმა ვითარებამ ხელი შეუწყო სასოფლო სამეურნეო სავარგულების შემცირებას..

1992 წლის სამხედრო გადატრიალებამ და ამის შედეგად სახელმწიფო მეურენობების და კოლმეურნეობების ნაჩქარევმა დაშლამ, მთლიანად ქვეყანაში გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ამ მეურნეობების კუთვნილი პირუტყვის რაოდენობების მკვეთრი შემცირება. ასე, მაგალითად, 1995 წელს 1990 წელთან შედარებით ტრაქტორების რაოდენობა შემცირდა თითქმის 1,5-ჯერ, სათვირთო მანქანების რაოდენობა – 1,5-ჯერ, კომბაინების რაოდენობა 30%-ით; 1990-1999წწ. პერიოდში შემცირებამ შეადგინა: ტრაქტორების – 2,8-ჯერ; სატვირთოების – 2,7-ჯერ; კომბაინების – 44%[21, გვ. 182]. მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 1991-1993წწ შემცირდა 30%-ით, მათ შორის ფურების – 12%-ით, ღორების რაოდენობა შემცირდა 2-ჯერ, ხოლო ცხრისა და თხის რაოდენობა შემცირდა 1,5-ჯერ. უნდა აღინიშნოს, რომ 1991-1997წწ. ცხვრისა და თხის რაოდენობა შემცირდა 2,5-ჯერ [27, გვ. 58]

1990-1995წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მთლიანდ შემცირდა (ფაქტიურად მომქმედ ფასებში) 2,8-ჯერ; მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში – 6,1-ჯერ; ხოლო ოჯახურ მეურნეობებში – 1,8-ჯერ. თუ 1990 წელს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგინა 34,7%, 1995 წელს, მრეწველობისა და სხვა დარგების პროდუქციის წარმოების მკვეთრი შემცირების შედეგად, თითქმის ნახევარი ქვეყნის მშპ-სა სოფლის მეურნეობაში იწარმოებოდა [21, გვ. 26-27; 180].

2005 წელს მიღებულ იქნა კანონი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ", რომლითაც განისაზღვრა მიწის პრივატიზაციის ფორმები: სპეციალური აუქციონი, ღია აუქციონი; რომელთაც 2007 წელს დაემატა პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმები. კანონი ითვალისწინებდა ასევე მიწის პრივატიზების ფორმას – უსასყიდლო გადაცემას, საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე. 2007 წელს მიღებულ იქნა ასევე კანონი "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ".

ამავე პერიოდში განხორციელდა მრავალი ცვლილება კანონში "სასაოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ" (1996წ.), კერძოდ დაშვებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო საკუთრების უფლება არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეზე, კომლსა და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე, არამედ "უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე" (მუხლი 4. პუქტი-1), ამასთანავე განისაზღვრა, რომ "უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ პირს საკუთრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს, ხოლო უცხოელს – აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე". აქვე კანონი ავალდებულებდა უცხოელ და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს სასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაესხვისებინათ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე(მუხლი 4, პუნქტი 1.1). აღსანიშნავია, რომ საქართველოში მომქმედი რეგულაციებით, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ადვილად შეეძლო დაეფუძნებინა შეზღუდული პასუხისმდებლობის თუ სხვა ტიპის საზოგადოება, რომელშიც მას ექნება საკონტროლო პაკეტი და არ ექნება შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენისა და ფლობისა.

2011 წლის 14 აპრილს დანიელმა მოქალაქემ ჰეიკე ქრონქვისტმა შეიტანა სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაოდ მიიჩნევდა ნორმას რომლის თანახმად უცხოელ ფიზიკურ პირის მიერ საკუთრების შეძენისა და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება ხდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით "სადაო ნორმამ ვერ წარმოაჩინა" თუ რა კავშირი იყო უცხოელზე სასოფლო-სამეურნეო საკუთრების აკრძალვასა და ამ კანონის

მიზნებს, კერძოდ, "აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესებას" შორის. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უცხოელისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის აკრძალვა იმ პირობებში, როდესაც ამავე უცხოელს შესაძლებლობა ჰქონდა, მის კონტროლქვეს მყოფი იურიდიული პირის საშუალებით ეყიდა მიწა, ალოგიკური იყო. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და "სასოფლო-სამეურენეო დანისნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის მე-4 მუხლის ის ნაწილი სცნო არაკონსტიტუციურად, რა ნაწილშიც უცხოელს ეზღუდებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა[35].

შედეგად არსებითად გაადვილდა უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეძენის პროცესი და უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სავარგულების გასხვისებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. ასე, თუ 2010 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებზე შეძენილ იქნა 1000 ჰა-ზე ნაკლები, 2011-2012წწ. მათზე გაყიდულმა ფართობმა შეადგინა 9972,8 ჰა; სულ 2003-2012 წწ. მათ მიერ შეძენილი იყო 18479 ჰა, აქედან იურიდიულ პირებს ეკუთვნოდა 14155,7 ჰა. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე, რომელთა მეწილეები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2003-2013წწ. უსასყიდლოდაა გაცემული რეგისტრირებული მიწის ფართობი – 2611,9 ჰა[36].

უნდა აღინიშნოს, რომ 2003-2012წწ. განმავლობაში მთავრობა სრულ იგნორირებას ახდენდა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების საკითხებისადმი. ამ პერიოდის ეკონომიკის წამყვანი, "წონიანი" სამთავრობო ავტორიტეტის აზრით საქართველოს სოფლის მეურნეობა არ იყო კონკურენტუნარიანი და ამიტომ აზრი არ ჰქონდა მის დახმარებას. მთავრობა მხოლოდ წინასაარჩევნოდ, სოფლის მოსახლეობის გულის მოგების მიზნით ახდენდა ერთჯერად დახმარებებეს, ურიგებდა მოსახლეობას საწვავის, სასუქებს ან ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, იმპორტირებულ სიმინდის თესლის მცირე პარტიებს. ამ პერიოდისათვის ნიშანდობლივია სოფლის მეურნეობის მინისტრების აბსოლუტური არაპროფესიონალიზმი და მათი მხრიდან ისეთი პროექტების გაჟღერება, როგორიც იყო საქართველოში "ბაყაყებისა და ნიანგების მოშენების" თუ "ბურების ჩამოსახლების" პროექტები. მთავრობა ხელს უწყობდა იაფი, უხარისხო სურსათის იმპორტს და ამით არაპერსპექტულს ხდიდა საოჯახო შინამეურნეობების თუ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საქმიანობას, უბიძგებდა სოფლის მოსახლეობის მიგრაციას.

საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 28 ივნისს 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეაჩერა 'სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულები მიწის საკუთრების შესახებ" კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის რიგი ნაწილების მოქმედება, რომლებიც ეხებოდა უცხოელებზე და უცხურ იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეძენის უფლებებს. მორატორიუმის მოქმედების პერიოდში მთავრობა მიზნად ისახვდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით. მიწაზე უცხოელის საკუთრების არსებობის ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფდა საჯარო ინტერესების დაცვას, სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე უარყოფითი გავალენის თავიდან აცილებას და ამაცე დროს მისაღებ პირობებს შეუქმნიდა სასოფლ-სამეურნეო მიწის შეძენის მსურველ უცხოელებს.

2014 წლის 24 ივნის საქარტველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე "ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", არსებითი განხილვის გარეშე არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა "სასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების სესახებ" კანონის ნორმა, რომლითაც უცხოელებს და უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეუჩერდათ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების უფლება [9, გვ. 20-23].

ვფიქრობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრებითი ცვლილება არ უნდა იყოს ისვე თავისუფალი, როგორც სხვა კაპიტალის შემთხვევაში. ის გარემოება, რომ მიწა მთლიანად და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მიწა შეუცვლელია და არ ექვემდებარება გამრავლებას, წარმოადგენს განსაზღვრულ საარსებო რესურს და არ შეიძლება რომ სრულად იყოს მინდობილი თავისუფალ საბაზრო ძალების გაუთავლისწინებელ "თამაშს" და ცალკეულ პირთა ეგოისტურ შეხედულებებს. მიწასთან მიმართებაში საჭიროა მეტად იყოს გათვალისწინებული საზოგადოებრივი ინტერესები, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში.

ვფიქრობთ, რომ საქრთველოს პარლამენტმა და მთავრობამ უნდა განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც სასოფლო ოჯახური მეურნეობების და სოფლად მომქმედი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პერსპექტულ განვითარებას, ისე მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას და დაცვას. ამასთან ქვეყნის უსაფრთხოებიდან, სახელმწიფოს ეკონომიკური სტაბილურობის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო მიწაზე უცხო ქვეყნების მოქალაქის თუ იურიდიული პირების საკუთრების შეზღუდვის მსოფლიოსა თუ ევროკავშირის ქვეყნების (განსაკუთრებით ახალი წევრი ქვეყნების) კანონმდებლობა და პრაქტიკა.

საქართველოში 2003 წლის 1 აპრილისათვის ფაქტიურად 1110,8 ათას ოჯახს (კომლს) საკუთრებაში გადაეცა 930,0 ათასი ჰა მიწის ფართობი, მათ შორის 763 ათასი ჰა სასოფლო-

სამეურნეო სავარგული; მათ შორის სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლს, პირად სარგებლობაში არსებული ნაკვეთების (0,15-0,25ჰა) ჩათვლით, საკუთრებაში გადაეცა 690,1 ათასი ჰა ფართობი (საშუალოდ - 0,89 ჰა); აქედან ყოფილ კოლმეურნეობათა წევრებს და სახელმწიფო მეურენობათა მუშა-მოსამსახურეების 713,1 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა 632,3 ათასი ჰა; ხოლო სოფლად მცხოვრებ სხვა დასაქმების სფეროების მუშაკების 59,4 ათას ოჯახს გადაეცა 57,8 ათასი ჰა (საშუალოდ - 0,97ჰა). ამავე დროს ქალაქად მცხოვრებ 338,3 ათას ოჯახს გადაეცა 72,9 ათასი ჰა (საშუალოდ 0,22 ჰა). ამ პერიოდისათვის მთლიანად საქართველოში საკუთრებაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მთლიანი რაოდენობის (3023,5 ათასი ჰა) 25,2%. ამასთან ერთად, 40,2 ათას ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ათასი ჰა (საშუალოდ - 11,8 ჰა) და 4,2 ათას იურიდიულ პირზე გაიცა 432,0 ათასი ჰა (საშუალოდ - 102,9 ჰა) [23, გვ. 1-3].

2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდნენ 3025,8 ათას ჰა-ს, აქედან კერძო საკუთრებაში ამ პერიოდისათვის იყო გადაცემული სულ 767,3 ათასი ჰა(25,4%), სახელმწიფო საკუთრებაში იყო დარჩენილი 2258,5 ათასი ჰა (74,6%). კერძო საკუთრებაში იყო გადაცემული სახნავი ფართობი 438,5 ათასი ჰა (54,7%), მრავალწლიანი ნარგავები 180,5 ათასი ჰა(68,4%), სათიბები 44,0 ათასი ჰა (30,6%), საძოვრები 84,5 ათასი ჰა (4,7%) და ასევე 19,8 ათასი ჰა შენობების და ეზოების ფართობი [25, გვ. 24, 25].

მიწების განაწილების პროცესი, ნაჩქარევად განხორციელების გამო, მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობდა. მთლიანად განაწილების პროცესმა აჩვენა, რომ იგი საჭიროებდა თვითეული რეგიონისათვის სათანადო გააზრებას და კონკრეტული მიწის რესურსების და სავარგულების გაადგილების, სარგებლობის პირობების სრულად გათვალისწინებას. ასევე, უნდა განსაზღვრულიყო სასოფლო შინამეურნეობების ოპტიმალური ზომები, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონების დონეზე, ხელი უნდა შეწყობოდა მათი განვითარების ხელშემწობი პირობების, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას.

სასოფლო შინამეურნეობების მნიშვნელოვან მახასიათებლებს იძლევა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომელმაც სასოფლო შინამეურნეობებთან ერთად, მოიცვა რაიონულ ცენტრებსა და მცირე ზომის ქალაქის ტიპის დასახლებებში არსებული შინამეურნეობები, ასევე 820 სასოფლო-სამეურნეო საწარმო და 475 სხვა ტიპის მეურნეობა. აღწერით მოცული 729542 ყველა ტიპის მეურნეობიდან 728247 შეადგენდა ოჯახურ მეურნეობას (99,8%), მათგან დაახლოებით 595 ათასი შინამეურნეობა (82%) განთავსებული იყო სასოფლო ადგილებში [25, გვ. XXIII; 3-5].

აღწერის მონაცემებმა აჩვენა რომ, სასოფლო სამეურნეო მიწების მქონე შინამეურნეობების 43,2%-ს ქონდა 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 0,5-0,99 ჰა მიწა ჰქონდა 32%-ს მეურნეობებისას ე.ი. 1 ჰა-ზე ნაკლები ჰქონდა 75,2%-ს მეურნეობებისა; 1-1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ 18,3%-ს მეურნეობებისა; 2-2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა ჰქონდა 1,4 %-ს შინამეურნეო-ბებისა. ამასთან, მეურნეობების მცირე ზომის ფართობები დანაწევრებულია, ნაკვეთები გაბნეულია და მნიშვნელოვნადაა ერთმანეთს დაცილებული. აღწერის მონაცემებით ერთ ნაკვეთიანი მეურნეობები შეადგენდა მთელი მეურნეობების 33,9%-ს, 2-3 ნაკვეთიანი იყო მეურნეობათა 48,8%; 4-5 ნაკვეთიანი მეურნეობა იყო 13% მეურნეობებისა და 6-9 ნაკვეთიანი იყო 3,9% მეურნეობებისა [25, გვ. 51-54, 87].

საქართველოს რეგიონები არსებითად განსხვავდებიან ოჯახური შინამეურნეობის საშუალო ფართობების მიხედვით. თუ მთლიანად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო ადგილებში, საშუალოდ ერთი ოჯახური მეურნეობა სარგებლობდა 1,05 ჰა-ით; რეგიონებში ეს მონაცემი შეადგენდა (ჰა-ში): აჭარის არ–0,5; გურია–0,82; იმერეთი–0,64; კახეთი–1,9; მცხეთა მთიანეთი-0,99; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი-0,89; სამეგრელო-ზემო სვანეთი–0,71; სამცხე-ჯავახეთი–2,21; ქვემო-ქართლი–0,95 და შიდა ქართლი 0,9. არსებითადაა განსხვავებულია რეგიონებში ოჯახური მეურნეობების ფართობების საშუალო ფრაგმენტაცია (ნაკვეთების რაოდენობა), ასე თუ აჭარის არ-ში და ქვემო ქართლში იგი შეადგენდა 1,8-ს; სამეგრელო-ზედა სვანეთში–1,5-ს; გურიაში–2,6; იმერეთში–2,5; კახეთში და მცხეთა-მთიანეთში–2,3-ს; შიდა ქართლში იგი შედგენდა-2,8-ს; რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სავნეთში - 3,2 და სამცხე-ჯავახეთში - 3,8-ს. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა შეადგენდა (ჰა-ში): იმერეთში-0,25; აჭარის არ–0,27; რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სავანეთში–0,28; გურიაში–0,31 შიდა ქართლში–0,32; მცხეთა-მთიანეთში-0,43; სამეგრელოსა და ზემო-სვანეთში–0,46; ქვემო-ქართლში–0,52; სამცხე-ჯავახეთში–0,59; კახეთში–0,82; მთლიანად ქვეყნაში იგი შეადგენდა–0,45 ჰა-ს [25, გვ. 84-86]. .

შინამეურნეობის საშუალო ზომა წარმოდგენას გვიქმნის მის ეკონომიკურ პოტენციალზე, გვიჩვენებს მეურნეობათა განვითარების დონეს. საქართველოში საშუალოდ ერთ სასოფლო შინამეურნეოზე გაანგარიშებით 2004წ. მოდიოდა: 3,59 წევრი, მათ შორის 15-65 წლამდე 2,3 წევრი. იგი ფლობდა(ჰა-ში): 1,21 სასოფლის-სამეურნეო სავარგულს, მათ შორის 0,68 სახნავს, 0,14 მრავალწლიან ნარგავს, 0,35 სათიბ-საძოვრს და 0,05 სხვა კატეგორიის მიწას. საშუალოდ ერთი მეურნეობა ფლობდა: მსხვილფეხა (კამეჩის ჩათვლით)–1,71 სულს, მათ შორის ფურსა და ფურკამეჩს–1,01 სულს; ღორს 0,7 სულს, ცხვარსა და თხას–1,04 სულს, ფუტკარს–0,22 სკას, ფრინველს–13,8 ფრთას; ცხენს, ვირსა და ჯორს–0,08 სულს [25, გვ. 39, 42, 45, 58, 61, 221, 224, 227, 259].

სასოფლო შინამეუნეობათა დიდი ნაწილის მცირემიწიანობა, მათში პირუტყვის სულადობის სიმცირე, სამუშაოთა შეზღუდული მასშტაბები და მეტად დაბალი პროდუქტიულობა, ოჯახის

ასაკოვანი წევრების მხოლოდ ნაწილის დასაქმების (თვითდასაქმების) შესაძლებლობებს იძლევა; ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ამ მეურნეობებში ნაწილობრივაა დატვირთული ან ფაქტიურად უმუშევარია. ვფიქრობთ, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის დადგენის მომქმედი მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლითაც ფიქსირდება მხოლოდ დასაქმების(თვითდასაქმების) თუ შინამეურნეობაში მონაწილეობის ფაქტი, არ გვაძლევს რეალურ სურათს, რადგან მათში არ აისახება სასოფლო შინამეურნეობებისთვის დამახასიათებელი არასრული, ნაწილობრივი დასაქმება თუ ფარული უმუშევრიობა. ამგვარი ვითარება, ქვეყნის ქალაქებში მაღალი უმუშევრობის დონე და მათში დასაქმების უპერსპექტივობა და პრობლემატურობა, რეალურად ქმნის საფრთხეებს სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ქვეყნიდან მიგრაციისა.

მცირე და საშუალო სასოფლო შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია თვითუზრუნველყოფაზე და მთლიანად ახასიათებს მეტად დაბალი სასაქონლო წარმოების დონე. ამ მეურნეობათა შემოსავლების დაბალი დონე, მათში ფულადი შემოსავლების დაბალი ხვედრითი წილი და ნატურალური შემოსავლების მაღალი ხვედრითი წონა, განაპირობებს სასოფლო შინამეურნეობების წარმოების უნივერსალურობის აუცილებლობას და მნიშვნელოვან წილად პირადი მოხმარების ნატურალურ ხასიათს.

მცირე და საშუალო ზომის სასოფლო შინამეურნეობებს მეტად შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ ბანკის კრედიტის აღებასთან დაკავშირებით. კრედიტის აღების შემთხვევაში კი, აღსანიშნავია ის მაღალი რისკები, რომელიც დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის სირთულეებთან და ფასების მერყეობასთან, რაც ფაქტობრივად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის კრედიტისა და პროცენტის დაბრუნებას.

2004 წლის აღწერის მონაცემებით მეურნეობების მხოლოდ 2,1%-ს გააჩნდა საკუთრებაში რომელიმე სახეობის ტრაქტორი (ბორბლიანი, მუხლუხა, მინი); 2,8%-ს გააჩნდა ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი); 0,16% ფლობდა კომბაინს; 2,6%-ს ფლობდა სატვირთო ავტომობილს; 8,4% ფლობდა სხვა სახის ავტომობილს. ამავე დროს, მეურნეობების 52,3%-მა ისარგებლა რომელიმე სახეობის ტრაქტორით; 7,4%-მა ხელის ტრაქტორით; 10,8%-მა – კომბაინით; 23,8%-მა – სატვირთო მანქანით და 10,4%-მა კი ისარგებლა სხვა მანქანით. ამრიგად, შინამეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის დონე მეტად დაბალია [25, გვ. 251, 254]. რიგი რეგიონებისა განსაკუთრებულად მწვავედ განიცდის ტრაქტორების, მისაბმელების, კომბაინების დეფიციტს. ნაკვეთების დაქსაქსულობის, მცირე ზომების გამო, იხარჯება მეტი საწვავი, ტექნიკა გამოიყენებოდა არაეფექტურად, ასევე სამუშაოები ხორციელდება არადროულად, ირღვეოდა აგროვადები. მთლიანად იკვეთება ტენდენცია, მექანიზირებული სამუშაოების შემცირებისა და ცოცხალი გამწევი ძალით (ხარი, ცხენი) თუ ხელის იარაღებით შრომის წილის გადიდებისა. ასევე, იზრდება დაუმუშავებელი, გაკორდებული სახნავების წილი. შინამეურნეობის აღნიშნული პრობლემები გავლენას ახდენენ მათ მოსავლიანობაზე და პროდუქტიულობაზე.

2000-2012 წლებში საქართველოში საშუალო მოსალიანობისა და პროდუქტიულობის მკვეთრ რყევებთან ერთად ადგილი ჰქონდა მათი შემცირების ტენდენციას. თუ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობისა და თევზჭერის წილი 2000წ. შეადგენდა 20,6%-ს, 2008 წელს მან შეადგინა – 8,9% [26, გვ. 18]; 2010წ. შეადგინა 8,4%, 2011 წელს – 8,8%, 2012წ.–8,6%. მხოლოდ 2013 წელს, სოფლის მეურნეობის "ოცნების" კოალიციის სამთავრობო ხელშემწყობი პოლიტიკის შედეგად, მან მნიშვნელოვნად მოიმატა და შეადგინა 9,4%, თუმცა 2014 წელს (წინასწარი მონაცემი) მან კვლავ იკლო და შეადგინა – 9,2%[27, გვ.15; 28, გვ.17].

საქართველოში, ერთი მხრივ, საფუძვლიანად მოიშალა წანა სისტემისათვის დამახასიათებელი, სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი სამსახურების და მეორეს მხრივ, მატად დაბალი ტემპებით ან პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა ახალი რეალობიდან გამომდინარე, გლეხური და სხვა საშუალო თუ მსხვილი მეურნეობების განვითარების ხელშემწობი სამსახურების ტრანსფორმაცია. ისეთი რეგიონული და რაიონული სამსახურები, როგორიც იყო მცენარეთა დაცვის სადგური, თესლის ხარისხის ინსპექცია, ზოო-ვეტერილალური სადგური, დერატიფიკაციის ბიოლაბორატორია, ხელოვნური დათესვლის პუნქტი, ჯიშთა გამოცდისა და სელექციის სადგური, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის ხარისხის ინსპექციის განყოფილება, წყალთა მეურენობის (მელიორაციის) სამმართველო და სხვა ან ვერ ახორციელებდნენ თავიანთ მომსხურებას და პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებდნენ ან საქმიანობდნენ მეტად შეზღუდული მასშტაბებით. მთლიანად წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობისა სამინისტრო ვერ ახორციელებდა მის ფუნქციებს.

მართებულია პროფ. ა. ჯიბუტის მიერ 90-იან წლებში აგრარულ სფეროში განხორციელებული შეფასებები, რომ: "რეფორმები ნაჩქარევად და არათანმიმდევრულად განხორციელდა", "ქვეყანაში არ იქნა შემუშავებული აგრარული რეფორმის გატარების და მისი ეფექტიანი მართვის წინადადებები და რეკომენდაციები", "არ იყო განსაზღვრული აგრარული პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები" [7, გვ. 3].

სახელმწიფომ პრაქტიკულად უარი თქვა ახლადშექმნილი საოჯახო მეურნეობების მხარდაჭერაზე, მთლიანად აგროსამრეწველო სექტორის ზრდის ხელშემწყობ პოლიტიკაზე. სოფლის მეურნეობაში წლების განმავლობაში, სამთავრობო ინვესტიციების მოცულობა არ აღემატებოდა

წლიური ხარჯის 0,5%-ს, ხოლო დაბანდებები საშუალოდ მშპ-ის 2%-ს შეადგენდა; ყოველივე აღნიშნულმა გამოიწვია სოფლის მეურნეობრივი წარმოების კატასტროფიული შემცირება[7, გვ. 3-4].

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 20-ე საუკუნის 90-იან და 2000-იანი წლების განმავლობაში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მთლიანად შეიმჩნეოდა ოჯახური შინამეურნეობების წილების ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილების შემცირების ტენდენცია. უნდა აღინიშნოს, რომ 2010-2014 წწ. ცალკეულ კულტურების თუ პროდუქციის წარმოებაში იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი, მაგრამ მთლიანად ოჯახური მეურნეობები წარმოების მოცულობები მნიშვნელოვნად ამეტებენ საწარმოების მასშტაბებს. ასე მაგალითად, 2010-2014 წლებში მთლიან წარმოებაში ოჯახურ შინამეურნეობათა წილებმა შეადგინა: ხორბლის წარმოება 85% და 93%; ქერის –98 და 97%; სიმინდის – 99 და 98%; კარტოფილის – 100 და 98%; ბოსტნეულის – 100 და 98%; ბაღჩეული – 100 და 100%; ხილი – 99,7 და 99,4%; ყურძენი – 92,3 და 95,1; ციტრუსი – 99.9 და 100%; ამავე დროს, ჩაის წარმოებაში მისი წილი მნიშვნელოვნად შემცირდა 68,0-დან 58,9%-მდე. ამ პერიდში, შინამეურნეობებს წილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობაში შეადგენდა 97,7%-ს, ხოლო ფურების რაოდენობაში გაიზარდა 99,6-დან 99,7%-მდე; ცხვრის და თხის რაოდენობაში გადიდდა 96,6%-დან 97,6%-მდე. თუმცა, აღნიშნულ წლებში, შემცირდა მისი წილი ღორის რაოდენობაში 99,4-დან 90,8%-მდე; ასევე ფრინველის რაოდენობაში 76,7-დან 71,6%-მდე; ფუტკრის ოჯახთა რაოდენობაში ცვლილება უმნიშვნელო იყო: 99,9 და 99,8%[28, გვ. 32, 45, 59].

2015 წელს(1 ოქტომბრის მდომარეობით) სოფლის მეურნეობასა, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში რეგისტრირებული იყო 5470 იურიდიული პირი, რომელთაგან აქტიური იყო მხოლოდ 1117 ე.ი. 20% ფუნქციონირებდა, რაც შედგენდა 0,9%-ს მთლიანად მომქმედი საწარმოებისა 37], და ისინი აწარმოებდნენ მთლიანად (2014წ.) გამოშვებული პროდუქციის 1,2%-ს[38].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა და თევზჭერა, როგორ საინვესტიციო სფეროები, ჯერ-ჯერობით ნაკლებად მიმზიდველნი არიან. ასე, მაგალითად 2007-2012 წლებში. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციებიდან სოფლის მეურნეობაზე და თევზჭერაზე მოდიოდა 1,2%, ხოლო 2013-2014 წლებში მან მხოლოდ 0,9% შედგინა[39].

აღნიშნული მონაცემები, გვიჩვენებენ სასოფლო შინამეურნეობების განვითარების ხელშემწობი პოლიტიკის განხორციელების აქტუალობასა და მნიშვნელობას. თუმცა ფაქტები მეტყველებენ, რომ ამ მიმართულებით არ იდგმება სასურველი ნაბიჯები. საქართველოს რეგიონების უმეტეს ნაწილში განუვითარებელია ინფრასტრუქტურები, რომლებიც მოამარაგებენ შინამეურნეობებს თესლებით, შხამ-ქიმიკატებით, სასუქებით და წარმოების სხვა საშუალებებით. ასევე განუვითარებელია სამსახურები, რომლებიც გაუწევენ მათ კონსულტაციებს, ახალი აგრო-ტექნოლოგიების დანერგვაში, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდაში, სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში. უმრავლეს შემთხვევაში, შინამეურნეობების წევრებს აქვთ არასწორი ან არასრული ცოდნა აგრო-ტექნიკურ და ზოო-ვეტერინალურ საკითხებზე, არა აქვთ სათანადო ინფორმაცია ახალ თესლებზე, პირუტყვის ჯიშებზე და ეფექტურ აგრო-ტექნოლოგიებზე. მრავალი წვრილი, განუვითარებელი შინამეურნების არსებობა მეტად ართულებს ერთგავროვანი ნედლეულის შექმნისა თუ შეკრების შესაძლებლობებს, რაც ბუნებრივია, სერიოზული ბარიერია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში.

მეტად მცირე ნაწილი სასოფლო შინამეურნეობებისა ფლობს ან სარგებლობს მიწის, შრომისა და კაპიტალის საკმარისი რესურსით, მათი უმეტესი ნაწილს, გააჩნია შედარებით ჭარბი ოჯახური სამუშაო ძალა და მცირე ზომის სავარგული (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავი), მაგრამ ფულადი შემოსავლების სიმცირის გამო, არ გააჩნია სადანადო შემოსავალი ტექნიკის დასაქირავებლად, თესლების, სასუქების და შხამ-ქიმიკატების შესაძენად. სასოფლო შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი იძულებულია გამოიყენოს წინა წლების მარცვლეულის თუ ბოსტნეულის მოსავლის ნაწილი სათესლე მასალად და აწარმოოს მინერალური სასუქის, შხამ-ქიმიკატების, მორწყვის გარეშე, ბუნებრივი მოვლენების იმედად. ასეთი წარმოება, ჩვეულებრივ იძლევა ძალიან დაბალ მოსავალს, ხოლო გვალვების, სარეველების მომძლავრების, მღრნელებისა თუ მწერების შემოსევის, მცენარეთა დაავადებების შემთხვევებში, ისინი საერთოდ უმოსავლოდ რჩებიან.

სასოფლო შინამეურნეობის განვითარების საფუძველია მათი სპეციალიზაცია. სპეციალიზაციის დროს ხდება შრომის დანაწილება და ფუნქციების გამიჯვნა, არა მხოლოდ მარცვლეულის მწარმოებლებსა და პირუტყვის მომშენებლებს შორის, არამედ ასევე სხვა მრავალ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობათა შორისაც. სწორედ სპეციალიზაცია განაპირობებს შინამეურნეობათა სტრუქტურულ ცვლილებებს. შინამეურნეობებში სტრუქტურული ცვლილებების, ტრანსფორმირების ანალიზისას, განიხილავენ 3 ძირითად მიმართულებას, კერძოდ, ესაა: 1.ახალი ბიოლოგიური, ქიმიური და მექანიკური წარმოების საშუალებების გამოყენება; 2.ახალი ტექნიკური და ორგანიზაციული ცოდნის გამოყენება; და 3.სოფლისმეურნეობრივი სასაქონლო პროდუქციის ფართო ბაზრებში შეღწევა[16, გვ. 35].

მეურნეობათა სპეციალიზაცია, ფერმერულ მეურენეობებად გარდაქმნა, როდესაც მთავარ ორიენტირად იქცევა სასაქონლო წარმოება, განაპირობებს მათ მიერ 1-2 კულტურის წარმოებაზე ან ერთი სახეობის პირუტყვისა თუ ფრინველის მოშენებაზე რესურსების მიმართვას.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შინამეურნეობებისათვის განკუთვნილი აგროტექნოლოგიების კვლევების განმახორციელებელი ინსიტუტებისა თუ სამეცნიერო ცენტრების დაფინანსებას, რომელთაც რეგიონებსა თუ რაიონებში ექნებათ საცდელ-სადემონსტაციო სადგურები, რომლებიც განახორციელებენ ჯიშთა გამოცდას, შერჩევასა და დარაიონებას, სასელექციო სამუშაოების ჩატარებას. საჭიროა განვითარდეს სოფლების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების და ტექნიკური მომსახურების რაიონული ცენტრები(უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ სამსახურების ეტაპობრივად შექმნისათვის) და მათ უნდა სრულად იტვირთონ მცირე, საშუალო და მსხვილი შინამეურნეობების ინფორმაციული და საკონსულტაციო მომსახურება, ხელი შეუწყობენ ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გავრცელებას, დაეხმარებიან ფერმერებს ტექნიკის შეძენასა და რემონტის განხორციელებაში, ახალი ჯიშების და კულტურების დანერგვაში, წარმოების შიდა და გარე ბაზრებზე სწორ ორიენტაციაში.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის საწყის პერიოდში იღებდა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების განსაკუთრებულ აქტიურ დახმარებას, რეფორმირების ხელშემწობი პროექტების სახით, რაც მომდევნო ეტაპებზეც გაგრძელდა, როგორც მთლიანად ეკონომიკურ სფეროში, ისე სოფლის მურნეობის სექტორში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია: ევროგაერთიანების "TACIS" პროექტები: "სურსათის განაწილება" (FD), "ინტეგრირებული ტექნიკური დახამარება საქართველოს სოფლის მეურნეობას" (ITAGA), მსოფლიო ბანკის: "სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი" (ADP), "ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა განვითარების პროექტი" (IDCDP), "სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების" პროექტი (ARET), "ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების (ENPARD) და სხვ. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების – გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ), CARE-ის, Mercy Corps-ის და სხვათა პროექტები. ამ პროექტებმა უდაოდ შეუწყო ხელი ქვეყნის სოფლის მეუნების საბაზრო ურთიერთებობზე გადასვლას, დასავლური ტიპის წარმატებული ტექნოლოგიების აპრობირებას, პროექტებში მონაწილე ფერმერების, შინამეურნეობების წარმომადგენლების, სპეციალისტების მენტალურ პროგრესულ ცვლილებებს. თუმცა უნდა ითქვს რომ აღნიშნული პროექტები მოქმედების მაშტაბის მხრივ, მეტად თუ ნაკლებად, შეზღუდულნი იყვნენ და მათი შედეგების გათვალისწინება და გავრცელება სამთავრობო პოლიტიკის საქმეა.

სახელმწიფო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური კულტურების და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობის და პროდუქტულობის გადიდებას. მან უნდა ასტიმულიროს შინამეურენობების გაერთიანება, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება. ამგვარი სასოფლო შინამეურნეობების გაერთიანებანი უნდა უადვილებდნენ მის წევრებს, ერთობლივად კრედიტების აღებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო მასალების ერთობლივ შეძენას, ერთგვაროვანი ნედლეულის წარმოებასა და წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციას.

ისტორიულად, საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი(ყურძნის, მარცვლეულის და პირუტყვის ენდემური ჯიშების სიმრავლე, ადგილობრივ პირობებთან მისადაგება, საუკეთესო გემობრივი თვისებები და სხვა), იყო შედეგი საუკუნოვანი ბუნებრივი შერჩევისა და ადამიანური ცოდნის დაგროვების ხანგრძლივი პროცესისა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. საბჭოთა სისტემამ საქართველოში, XX-ე საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში, გლეხობის ჩამოცილებით მათი ტრადიციული საქმინობისგან, მიწის, საქონლისა და სხვა სამეურნეო საკუთრების წართმევით, შეძლებული გლეხების გადასახლებითა და ფიზიკური განადგურებით, ძალდატანებით დანერგილი, ხელოვნურად გამსხვილებული კოლმეურნეობებითა და სახელმწიფო მეურნეობებით, გლეხობის შიშზე და იძულებაზე დამყარებული მუშაობით, დაანგრია სოფლის მეურნეობის ტრადიციული, ისტორიულად და ლოგიკურად განვითარებადი ფორმები, მოსპო მამაპაპური მამულის მოყვარული "ადგილის კაცის" ფენომენი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 80-იან წლებში ფუნქციონირებდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის 60-მდე პროფესიული სასწავლებელი, ასევე ფუნქციონირებდა ზოო-ვეტერინალური ინსტიტუტი და აგრარული უნივერსიტეტი; აგრარული მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფართო სისტემა. დღეისათვის, მეტად შეჭირვებულად ფუნქციონირებს მხოლოდ რამოდენიმე პროფესიული სასწავლებელი, გაუქმებულია ზოო-ვეტერინარიის ინსტიტუტი (შეუერთეს აგრარულ უნივერსიტეტს), მნიშვნელოვნად შეიკვეცა სასოფლო-სამეურნეო სპეციალობების სწავლება; დაიხურა მრავალი სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტი.

ვფიქრობთ, რომ რეგიონებში უნდა აღდგეს და განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო განათლების ქსელი, დაწყებული სასოფლო სკოლებიდან, სადაც მოსწავლე დაეუფლება რიგ სასოფლო-

სამეურნეო საქმიანობებს, შეიძენს სათანადო ცოდნასა და შრომით ჩვევებს. ასევე, უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს სპეციალიზებული პროფესიული ტექნიკუმების და სპეციალიზებული სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტების სისტემა. საჭიროა მომზადდეს და გადამზადდეს კვალიფიცირებული აგრონომები, ვეტერინარები და ზოო-ტექნიკოსები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან სასოფლო შინამეურნეობების დახმარებაზე, მცირე და საშუალო მეურნეობების საჭიროებებზე.

მოსავლიანობის ამაღლება არ არის დამოკიდებული მხოლოდ ახალ წარმოების საშუალებებზე თუ აგროტექნოლოგიებზე. ტექნოლოგიურ სიახლეებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეთა (გლეხთა, ფერმერთა) აგროტექნოლოგიური პროცესების ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მიღებულია თაობების მიერ და ეფუძნება მეურნეობრიობის ადგილობრივი პირობების ზედმიწევნით ცოდნას, მათ დაკვირვებებს წარმატებულ თუ წარუმატებელ პერიოდებში.

2013-2015 წლებში კოალიცია "ოცნების" მთავრობამ არსებითად შეცვალა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, დაიწყო მცირე და საშუალო ზომის ოჯახური შინამეურენობების დახმარება სავარგულების დამუშავების, წარმოების საშუალებებითა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში. 2013 წლის 12 ივლის მიღებულ იქნა მეტად აქტუალური კანონი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შეხაებ". "მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტით", "შედავათიანი აგროკრედიტის პროექტით", "დანრგე მომავალი" - მრავალწლიანი კულტურების გაშენების ხელშეწყობის პროექტით, პროგრამით "აწარმოე საქართველოში", "ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამით 2013-2018 წლებისათვის", "სურსათის და ცხოველთა საკვების უვნებლობის სფეროში კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმით", "სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების პროექტით", "ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტით", "სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2010 წლების სტრატეგიით" საქართველოს მთავრობა შესძლებს დაძლიოს სოფლის მეურნეობაში და მთლიანად სოფლად არსებული, მწვავე ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალურ პრობლემები.

ამჟამად, საქართველოს სასოფლო განსახლება ხასიათდება მრავალი მცირე, პატარა დასახლებებით, რომელთაც ახასიათებთ, კავშირ-ურთიერთობების სისტემის დაბალი დონე, რაც განაპირობებს ამ დასახლებების შეფარდებით იზოლირებულობას. სასოფლო განსახლების ამგვარი თავისებურება, ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც შედეგი სოფლის მეურნეობის სივრცობრივი გაადგილების აუცილებლობისა და სოფლის მეურნეობის სექტორის და სოფლის სხვა საწარმოო სფეროების ფაქტიური კონცენტრაციის დაბალი დონისა. სოფლის განსახლების არსებული სისტემის მდგრადობას და განვითარებას, განაპირობებდა სოფლის ცხოვრებისა და შრომის სპეციფიურობა.

სასოფლო განსახლების სისტემა, მცირე, პატარა და საშუალო ზომის სოფლების მაღალი ხვედრითი წილი, სასოფლო განსახლების სისტემაში, ზემოქმედებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებეზე, ზღუდავს რა შრომითი დასაქმების სფეროს, მოცემულ სოფელში არსებული ძირითადი წარმოებრივი სფეროს, საწარმოებისა თუ არაწარმოებრივი ობიექტების არსებობით.

ასევე აღსანიშნავია, რომ სოფელს ზოგადად ახასიაებს, მსხვილ ქალაქებთან შედარებით უკეთესი ეკოლოგიური პირობები, ადამიანის ბუნებასთან მეტი სიახლოვე, მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვე და ა.შ., რაც სოფელს ანიჭებს მნიშვნელოვან რეკრეაციულ ფუნქციას და მიმზიდველობას.

თანამედროვე დიდი ქალაქების მოსახლეობის სიჭარბე, სატრანსპორტო საშუალებების მაღალი კონცენტრაცია, დამძიმებული ეკოლოგიური პირობები, ქმნიან მათ ნეგატიურ მახასიათებლებს. პერსპექტივაში, XXI-ე საუკუნის ტექნიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული შესაძლებლობები ქმნიან სოფლის იზოლირების დაძლევის, კავშირურთიერთობის თანამედროვე სისტემებში მისი სრულად ჩართვის, ყოფის გაუმჯობესების შესაძლებლობებს(დენი, გაზი, ინტერნეტი, ტელევიზია), რაც მნიშვნელოვნად ცვლის სოფლის საყოფაცხოვრებო და კულტურულ პირობებს, და მნიშვნელოვნად უახლოვებს მათ ქალაქის დონეს.

სოფელში უნდა გაუმჯობესდეს ცხოვრებისა და შრომის პირობები; ამასთან ერთად, უნდა მოხდეს ქალაქისა და სოფლის წარმოებრივი და არაწარმოებრივი სფეროების მაქსიმალური ინტეგრაცია, უნდა განვითარდეს განსახალების ტერიტორიული, რეგიონული სისტემები, სადაც სოფელი და ქალაქი(ან რაიონული ცენტრი) შეადგენენ ერთიან ინტეგრირებულ, მჭიდრო კავშირში მყოფ განსახლების სისტემას, სადაც ოპტიმალურად განთავსდება საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა და როგორც ქალაქის მცხოვრებთ, ისე სოფლის მოსახლეობას ექნება საშუალება, როგორც დასაქმებისა, ისე სოციალური მომსახურების სიკეთეებით(განათლება, სამედიცინო და სხვა მომსახურება) სარგებლობისა.

უკანასკნელი ორი ათწლეულის პერიოდში, შეიმჩნევა სოფლის მოსახლეობის ქანქარული მიგრაციის გაძლიერება, რაც აფართოვებს მათი დიდ ქალაქებში დასაქმების შესაძლებლობებს, ზრდის სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს, თუმცა იგი იწვევს მათ მნიშვნელოვან დროისა და თანხების დანახარჯებს. რიგ შემთხვევებში ქანქარული მიგრაცია ხელს უწყობს სოფლებიდან ახალგაზრდობის გადასვლას, წასვლას დიდ ქალაქებსა და სხვა ქვეყნებში სამუშაოდ. ამდენად

ქანქარული მიგრაცია წინააღმდეგობრივი მოვლენაა. მისი უარყოფითი მხარეები რომ არ გაძლიერდეს, საჭიროა ხელი შეეწყოს, როგორც სოფლებში დასაქმების სფეროების განვითარებას, სოფლისმეურნეობრივი შრომის პირობების და მისი მიმზიდველობის გაუმჯობესებას, ასევე უნდა განვითარდეს მუნიციპალურ (რაიონულ) ცენტრებსა და პატარა ქალაქებში გადამამუშავებელი და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სადაც სოფლის ახალგაზრდობას ექნება დასაქმების შესაძლებლობა.

საქართველოში 1989 წლის აღწერის მონაცემებით სახეზე მყოფმა მოსახლეობამ შეადგენდა 5443,4 ათას კაცს, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 3035,8 ათას, ხოლო სოფლის მოსახლეობა – 2407,6 ათას კაცს, ანუ მთლიანი მოსახლეობის 44,2%-ს. მომდევნო წლებში შეიმჩნევა სოფლის მოსახლეობის შემცირება და ქალაქის მოსახლეობის გადიდება. შედეგად 1991 წელს მთლიანად სახეზე მყოფმა მოსახლეობამ შეადგინა 5464,2 ათას კაცი, აქედან ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 3073,0 ათას, ხოლო სოფლის მოსახლეობა – 2391,2 ათას კაცს, ანუ მთლიანი მოსახლეობის 43,8%-ს [30, გვ.5-6]. 1991 წლიდან, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მკვეთრად მცირდება მოსახლეობის რაოდენობა და შედეგად 2002 წელს სოფლად ცხოვრობდა 2087 ათასი კაცი, რაც შედგენდა 47,7%-ს მთლიანი მოსახლეობისა [31]. 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფლის მოსახლეობა კიდევ უფრო მკვეთრად შემცირდა და შეადგინა 1590 ათასი კაცი და რამაც შეადგინა მთლიანი მოსახლეობის 42,6% [39].

1989 წლის აღწერის მონაცემებით სასოფლო დასახლებული პუნქტების რაოდენობა მთლიანად საქართველოში შეადგენდა 4477 ერთეულს, აქედან 4314 იყო დასახლებული, ხოლო 163 დაუსახლებელი; აქედან დაუსახლებელი სოფლები შეადგენდა: აფხაზეთის არ–30, სამხრეთ ოსეთის აო–61, ხოლო ქვეყნის დანარჩენ რაიონებში 72 სოფელს. ამ დროს სოფლის მუდმივი მოსახლეობა

ცხრილი 1

საქართველოს სოფლის მოსახლეობის დინამიკა აღწერის მონაცემებით 1979-2014წწ.(სახეზე მყოფი მოსახლეობა, ათასი)[30, გვ.9; 31, გვ. 14-15; 39]

წლები	სოფლის მოსახლეობა	% მთლიან მოსახლეობაში
1979	2414,3	48,1
1989	2407,6	44,2
2002	2087,0	47,7
2014*	1590,0	42,6

* 2014წ. აღწერის წინასწარი მონაცემები

შეადგენდა – 2409,5 ათასი ადამიანს, აქედან აფხაზეთის არ-ზე მოდიოდა 482 სოფელი და მათში მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 277,5 ადამიანს; სამხრეთ ოსეთის აო-ზე მოდიოდა 417 სოფელი და მათში ცხოვრობდა 49,1 ათასი ადამიანი [29, გვ. 3, 6-9].

2002 წლის მონაცემებით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აღწერილ იქნა 3668 სასოფლო პუნქტი, რომლის მუდმივმა მოსახლეობამ შეადგინა 2086,7 ათასი ადამიანი(ანუ 1989 წლის აღწერასათან შედარებით 322,7 ათასი ადამიანით (18,4%-ით) ნაკლები. ამ პერიოდში (2002) აღწერამ მოიცვა მხოლოდ კოდორის ხეობისა და გულრიფშის რაიონის(აჟარის თემის საკრებულო) 23 სოფელი და აგრეთვე ახალგორის რაიონის 83 სოფელი.

2002 წლის მონაცემებით 3668 სოფლიდან მოსახლეობის გარეშე იყო 162 სოფელი. 2014 წელს (1 მარტის მდგომარეობით) საქართველოს ტერიტორიაზე სულ იყო 4627 სოფელი, აქედან კონტროლირებად ტერიტორაზე იყო 3629 სოფელი, ხოლო არაკონტროლირებად ტერიტორიებზე კი იყო 998 სოფელი [31].

კლების ძირითადი მიზეზია, რუსეთის ფედერაციის გავლენითა და ჩარევით პროვოცირებული, საქართველოს ყოფილ აფხაზეთის არ-ის და ოსეთის აო-ის ტერიტორიებზე, არაკონტროლირებადი ტერიტორიების წარმოქმნა. კლება ასევე გარკვეულად გამოიწვია სოფლის მოსახლეობის მიგრაციამ(ძირითადად სხვა ქვეყნებში), დაბალმა შობადობამ და მაღალმა მოკვდაობამ და სხვა.

90-იანი წლების დასწყისში მრეწველობასა და სხვა ინდუსტრიული დარგების საწარმოების შემცირება შეეხო არა მხოლოდ მსვილ, საშუალო და პატარა ქალაქებს, არამედ რაიონულ ცენტრებსა და დაბებს. არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების სფეროების შემცირების გამო ქალაქის ტიპის დასახლების, რაიონული ცენტრების და დაბების უმეტეს ნაწილში გაიზარდა სოფლისმეურნეობრივი წარმოების მნიშვნელობა დასაქმებასა და თვითდასქმებაში.

1979 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში იყო 111 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება, მათ შორის 51 ქალაქი და 60 ქალაქის ტიპის დასახლება [19, გვ. 32]. 1991 წლის მდგომარეობით საქართველოში სულ იყო 112 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება(დაბა), მათ შორის 61 ქალაქი (რომელთაგან 42 წარმოადგენდა რაიონულ ცენტრს) და ხოლო 51 – ქალაქის ტიპის დასახლებას (დაბას) [29, გვ. 1,2]. 2014 წელს (1 მარტის მდგომარეობით) საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა 110 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება, აქედან 62 ქალაქი, 48

დაბა(ქალაქის ტიპის დასახლება); აქედან კონტროლირებად ტერიტორიაზე განთავსებულია 54 ქალაქი, 39 დაბა [40].

ცხრილი 2

სოფლის დასახლებული პუნქტების დაჯგუფება ტიპების და მუდმივი მოსახლეობის მიხედვით 1989 და 2002 წლებში [29, გვ. 6-7; 31, გვ. 14-15]

	სულ, %	5 და ნაკლ.	6-10	11-25	26-50	51-100	101-200	201-500	501-1000	1001-2000	2001-3000	3001-5000	5001 და მეტი
1989წ. დასახლებული პუნქტები	100	2,0	2,4	5,8	7,2	10,4	13,3	25,8	17,3	10,5	3,0	1,8	0,5
მათში მოსახლეობა	100	0,0	0,0	0,2	0,5	1,4	3,5	15,6	22,0	26,2	13,0	11,8	5,7
2002წ. დასახლებული პუნქტები	100	2,1	2,2	4,8	6,4	10,3	13,7	26,0	17,7	10,6	3,5	1,8	0,8
მათში მოსახლეობა	100	0,0	0,0	0,1	0,4	1,3	3,4	14,7	21,0	24,8	14,6	11,2	8,4

საქართველოს სასოფლო განსახლება ხასიათდება მრავალი მცირე, პატარა დასალებით, რომელთაც ახასიათებთ კავშირურთიერთობის სისტემის დაბალი დონე, რაც განაპირობებს ამ დასახლებების შედარებით იზოლირებულობას. სასოფლო განსახლების არსებული სისტემა, მცირე, პატარა და საშუალო ზომის სოფლების მაღალი ხვედრითი წონა, სასოფლო განსახლების სისტემაში, გავლენას ახდენს ძირითადი წარმოებრივი სფეროს – სოფლის მეურნეობისა და სხვა წარმოებრივი თუ არაწარმოებრივი ობიექტების განვითარებაზე, განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

1989-2002 წლებში შეიმჩნევა ტენდენცია მცირე სოფლების რაოდენობის(100 და ნაკლები მცხოვრები) და მათში მცხოვრები მოსახლეობის შემცირებისა.

მონაცემები გვიჩვენებენ, რომ 1989 წელს 100 ნაკლებ მცხოვრები სოფლები შეადგენდნენ მთელი დასახლებული სოფლების 27,8%-ს და მათში ცხოვრობდა სოფლის მოსახლეობის 2,1%; ხოლო რომ 2002 წელს 100 ნაკლებ მცხოვრები სოფლები შეადგენდნენ მთელი დასახლებული სოფლების 25,8%-ს და მათში ცხოვრობდა სოფლის მოსახლეობის 1,8%.

ამავე პერიოდში გარკვეულად გაიზარდა 101-დან 200-მდე მცხოვრებით სოფლების რაოდენობა, თუმცა ამავე დროს გარკვეულად შემცირდა მათში მცხოვრები სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი; 1989 წელს 101-დან 200-მდე მაცხოვრებლით სოფლები შეადგემდნენ – 13,3%-ს სოფლებისა და მათში ცხოვრობდა 3,5%% სოფლის მოსახლეობისა; ხოლო 2002 წელს 101-დან 200-მდე მცხოვრები სოფლები შეადგენდნენ 13,7% და მათში მოსახლეობა შეადგენდა 3,4%-ს. ამ პერიოდში მოიმატა სოფლების წილმა 201-500 მცხოვრებით 25,8%-დან 26%-მდე, თუმცა მოსახლების წილი აქ შემცირდა 15,6%-დან 14,7%-მდე. მსგავს ტენდენციას ვხედავთ სოფლებში 501-დან 2000-მდე მცხოვრებით.

ამავე დროს სოფლებში სადაც მაცხოვრებლები შეადგენდნენ 2001-დან 3000-მდე შეიმჩნევა ტენდენცია, როფორც სოფლების, ისე მათში მოსახლეობის ზრდისა. გარკვეულად გაიზარდა სოფლების რაოდენობა 3001-დან 5000-მდე მცხოვრებით, თუმცა ამ სოფლებში შემცირდა მოსახლეობის წილი. ამავე დროს გაიზარდა სოფლების რაოდენობა 5001 და მეტი მცხოვრებით და ასევე გაიზარდა ამ სოფლებში მოსახლეობის წილი.

ამრიგათ, მთლიანად, შეიმჩნევა ტენდენცია სასოფლო დასახლებებში მცირე ზომის სოფლების შემცირებისა და ამ სოფლების მოსახლეობისგან დაცლისა და ამავე დროს მთლიანობაში შეიმჩნევა ტენდენცია საშუალო და მსხვილი ზომების სოფლების ხვედრითი წილების გადიდებისა, თუმცა რიგ შემთხვევაში ამ სოფლების მოსახლეობის წილი არ იზრდება შესაბამისად ან გარკვეულად მცირდება.

საქართველოში ვხვდებით სოფლის დასახლების ან განსახლების სხვადასხვა ტიპებს. განასხვავებენ ძირითადად ორ – აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს – ტიპს: ა) როდესაც საცხოვრებელი სახლები და ეზოები ახლოს არიან, დასახლება კომპაქტურია და მთლიანად სოფელი მოშორებულია სავარგულების ძირითად ნაწილს და ბ)როდესაც სახლები და ეზოები დაშორებულია ერთმანეთს, სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი საცხოვრებელ სახლებთანაა განთავსებული. ამგვარი მდგომარეობა სოფლების ისტორიული განვითარების და ბუნებრივ-კლიმატური პირობების შედეგია. აღმოსავლეთ საქართველოში, ერთის მხრივ, დაბლობ ადგილებში, მეტი სიცხე, სადაც განთავსებული იყო სავარგულების უმეტესი ნაწილი და მტრის მოულოდნელად შემოსევის საფრთხე (მტერი ჩვეულებრივ მდინარეების კალაპოტებს და დაბლობ ადგილებს მოჰყვებოდა) განააპირობებდა სოფლის მაღლობ, შეუმჩნეველ ადგილებში შენებას. სოფლის კომპაქტური განსახლება ახასიათებთ მაღალმთიან სოფლებსაც, სადაც მკაცრი ზამთარი, მტრისგან ერთობლივად თავდაცვის საჭიროება, ქმნიდა სოფლის მჭიდროდ დასახლების აუცილებლობას. დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში ეს პრობლემები არ იდგა ისე მწვავედ, რელიეფის კონფიგურაცია, კლიმატი და მტრის შემოსევისაგან, შედარებით მეტი

დაცულობა, იძლეოდა სოფლის დასახლების მეტად გაადგილების შესაძლებლობას. სოფლის განგანსახლების ტიპებს ახასათიათებთ გარკვეული მდგრადობა, თუმცა მოსალოდნელია, რომ მომავალში ფერმერული მეურნეობების განვითარებამ გარკვეულად განაპირობოს ცვლილებები სასოფლო განსახლებებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. კლუმპი, ეკონომიკური პოლიტიკა. მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები. ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს გამ-ბა, 2015

2. რ. ასათიანი, საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი, თბ., გამ-ბა "სიახლე", 2014

3. რ. ასათიანი, XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტები, თბ., გამ-ბა "სიახლე", 2015

4. ნ. ჭითანავა. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. გამ-ბა: "საქართველო", თბ., 1993

5. ნ. ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები, თბ., გამ-ბა "ივერიონი", 2012

6. ნ. ჭითანავა, საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., გამ-ბა "ივერიონი", 2015

7. ა. ჯიბუტი. საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები. თბ., "დარბეგი", 2014

8. საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრანსფორმირება: დამოუკიდებლობის 20 წელი (შუალედური ანგარიში), EI-LAT 2012 "ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისი", http://ei-lat.ge

9. "იმიგრაციის გავლენა მიწის გასხვისებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საქართველოში (საბოლოო ანგარიში)", "ევროპული ინციატივა–ლიბერალური აკადემია თბილისი", 2014, http://ei-lat.ge

10. Проблемы преодоления социально-экономических различии между городом и деревней, М., «Наука», 1976, отв. ред. Е.И. Капустин

11. Методология и методика системного изучения советской деревни, отв.ред. Т.И. Заславская и Р.В. Рывкина, изд.-во «Наука», Новосибирск, 1980

12.. Методологические проблемы системного изучения деревни, отв. ред. Т.И. Заславская и Р.В. Рывкина, Новосибирск,«Наука», 1977

13. Р. Абесадзе, В. Бурдули, Структурные и инновационные проблемы экономического развития, Тб., Институт экономики Паата Гугушвили ТГУ, 2014

14. Маркс К., Енгельс Ф., изд. 2, соч., т. 3, с. 50.

15. Francesco Mantino, Rural Development Policies in the EU: The Main Progreses after Agenda 2000 amd the Challenges Ahead. Contributed papaer presented at the Inernational Conference Agrikultural Policy Reform and the WTO: where are we heading?, Capri, Italy, June 23-16, 2003

16. T.P. Tomich, P. Kilbey and B.E. Johnston. Transforming Agrarian Economies, Opportunities Seized, Opportunities Missed. Cornell U-ty Press, Ithaca, New York, 1995

17. ზ. რევიშვილი, საქართველოს სოფლის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია, სამეცნიერო შრომების კრებული, VII, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამ-ბა, თბ., 2014

18. Земельный фонд Грузинской ССР, Краткий стат. сборник, Госкомстат ГССР, Тб., 1988

19. Итоги Всесоюзной переписи 1979г. по Грузинской ССР, т.1, Тб., 1980

20. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობა, სტატ. კრებული, თბ., სტატისტიკის სახ. კომიტეტი, 1989,

21. საქართველოს სტატისტიკური წელიწდრული 2000 საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2000

22. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2001 წ. მდგომარეობით, თბ., 2001

23. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2003 წ. მდგომარეობით, თბ., 2003

24.საქართველოს სტატ. წელიწდეული 2005. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005,

25.საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურენო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005

26. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2009

27. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2013, სტატ. პუბლიკაცია, საქ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2014
28. საქართვლოს სოფლის მეურნეობა 2014წ., სტატ. პუბლიკაცია, საქ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2015,
29. საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა(მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით), სტატ. ცნობარი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, თბ., 1991
30. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა, სტატ. კრებული. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთა არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, თბ., 1991
31. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები(საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2003
32. მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2001
33. საქართველოს მიწის კანონმდებლობა, თბ., გამ.-ბა "RISE", 2009
34. http://constcourt.ge/index.php?land_id=GEO&sec_id=12&info_id=966
35.საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემები
36. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=4698lang=geo
37. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=211&lang=geo
38. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=139&lang=geo.
39. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=151&lang=geo
40. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

Zurab Revishvili

TRANSFORMATION OF RURAL ECONOMY

Annotation

The article has shown the essence and reasons of problem of rural lagging from city in the post-soviet period and how to overcome them; has shown important stages of transformation of rural and agriculture and their results.

Has analyzed regularities and tendencies of changes of different types of villages and rural population.

Have developed ideas, the consideration of which will promote to correct the errors of reformation, sustainable development of small and medium rural settlements, overcoming of rural social-economic lagging.

ზურაბ რევიშვილი

სოციალური მდგომარეობა სოფლად

გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომკაზე გადასვლის შოკურმა პროცესმა, საქართველოში ეკონომიკის ვარდნამ გამოიწვია სოციალური მდომარეობის მკვეთრი გაუარესება. სსრკ-ს დაშლის შემდგომ პოლიტიკურმა უწესრიგობამ, რუსეთის ჩარევით მომხდარმა ყოფილი აფხაზეთის არ და სამხრეთ ოსეთის აო ტერიტორიების ჩამოცილებამ და შედეგად ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულთა დიდი რაოდენობის წარმოქმნამ და სხვა ცნობილმა მიზეზებმა განაპირობა, რომ, სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისგან განსხვავებით, ეკონომიკის აღდგენა და სოციალური სისტემის დანერგვა ძალიან დაბალი დონიდან დაიწყო და ჯერ კიდევ შორსაა ისნორმალური მდგომარეობიდან. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა, რომ საქართველოს სამთავრობო სოციალური პოლიტიკა ძირითადად უმწვავეს პრობლემებზეა ორიენტირებული.

საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის, პრობლემების განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს: სიღარიბის, დასაქმების, სოციალური დაცვისა და სოციალური დახმარების საკითხები.

საქართველოსათვის, ისევე, როგორც მრავალი განვითარებადი და რიგი განვითარებული ქვეყნებისათვის, სიღარიბის დაძლევა რჩება ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად. მისი გადაწყვეტის მიმართულებით ქვეყანაში უკვე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, თუმცა, სამწუხაროდ, სამთავრობო პოლიტიკაში მას ყოველთვის არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება. სასოფლო შინამეურნეობების სიღარიბის პრობლემა მთლიანად, სიღატაკის რეალური მდგომარეობა, ჯეროვნად არ არის შესწავლილი, არ არის სათანადოდ გააზრებული მათი გამომწვევი მიზეზები და დაძლევის სტრატეგიული გზები. საქართველოში სოფლის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წონა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და ქვეყნის მთლიან დასაქმებაში შინამეურნეობების განსაკუთრებული მნიშვნელობა, განაპირობებს სასოფლო შინამეურნეობების სიღარიბის კვლევის, ფაქტობრივ მდგომარეობის, მიზეზების დადგენის, ასევე მისი დაძლევის გზების, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის აქტუალობას.

ფ. გოგიჩაიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ "ერი ვერ განვითარდება და ვერ აღორძინდება, თუ უდიდესი ნაწილი ამ ერისა მუდამ სიღარიბეში იღრჩობა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრით თავისთვის ადამიანური ცხოვრება ვერ შეუქმნია . . . მისი ინტერესების უარყოფა მთელი ერის უარყოფასა და განწირვას ნიშნავს"[1, გვ. 29-30]. ეს ნათქვამი, რა თქმა უნდა, ეხება ქვეყნის ისეთ მნიშვნელოვან ნაწილს, როგორიცაა სოფლის მოსახლეობა, მის სოციალურ მდგომარეობას.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული "ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა" (2003), ქვეყნის განვითარების პოლიტიკური და მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, უდავოდ მნიშვნელოვანი იყო [2], თუმცა, ვფიქრობთ, რომ იგი სათანადოდ არ მოიცავდა სასოფლო შინამეურნეობების, მთლიანად სოფლის სიღარიბის საკითხებს, მასში არ იყო სათანადოდ განხილული აგრარული სექტორის განვითარების რეალისტური გზები და მათი მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის სიღარიბის დაძლევაში. სოფლების მცირე ნაწილისათვის ტრაქტორის გადაცემით, სასუქისა თუ დიზელის საწვავის მცირე პარტიების ჩუქებით ან სავარგულების დახვნისა და სხვა აგროტექნოლოგიური დახმარებებით, რასაც უდავოდ აქვს დადებითი გავლენა სასოფლო შინამეურნეობების უმწვავესი პრობლემების მოგვარებაში, ვერ განხორციელდებოდა სიღარიბის არსებითად შემცირება.

მთავრობამ, ექსპერტებისა და მეცნიერ-სპეციალისტების ფართოდ ჩართვის საფუძველზე უნდა განახორციელოს სასოფლო შინამეურნეობათა სიღარიბის მიზეზების, პრობლემების და მათი დაძლევის გზების შემსწავლელი სათანადო კომპლექსური კვლევა, რომელმაც უნდა მოიცვას რეგიონული თავისებურებები და პრობლემები. ამ კვლევებისა და საერთაშორისო გამოცდილებების შემოქმედებითად გათვალისწინების საფუძველზე უნდა შემუშავდეს სასოფლო შინამეურნეობების განვითარებისა და სოფლად სიღარიბის დაძლევის სათანადო გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრამა. ვფიქრობთ, სტატისტიკის სამსახურმა უნდა აღადგინოს საარსებო მინიმუმის საფუძველზე გათვლილი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის მონაცემების დამუშავება და პუბლიკაცია, რომელიც რეალურად ასახავს სიღარიბის დონეს. სიღარიბის სიღრმისა და სიმწვავის მონაცემებიც უნდა გაანგარიშდეს საარსებო მინიმუმის მიმართ, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს მეცნიერულად სწორ მეთოდოლოგიურ მიდგომებს. ამავე დროს, მინიმალური სასურსათო კალათის დადგენისას და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისას მეთოდოლოგიური ცვლილებები უნდა ემყარებოდეს სათანადო მეცნიერულ არგუმენტაციას, ამავე დროს, საარსებო მინიმუმზე ინფალაციური ცვლილებების გავლენა უნდა იყოს რეალისტური. მხოლოდ სწორი, შეულამაზებელი, დინამიკაში შესადარებლად ვარგისი ინფორმაცია იძლევა პრობლემის მეცნიერული ანალიზისა და მთავრობის მხრიდან სწორი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას.

მცირე და საშუალო შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი სოფლად ორიენტირებულია თვითუზრუნველყოფაზე და მთლიანად მათ შემოსავლებსა და ხარჯებს, ქალაქის შინამეურნეობების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, ახასიათებს მეტად დაბალი სასაქონლო წარმოების დონე და მაღალი ნატურალური წარმოებისა და მოხმარების ხვედრითი წონები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში სასოფლო შინამეურნეობებში შეიმჩნეოდა როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავლების, ისე ნატურალური შემოსავლების ხვედრითი წონების შემცირების ტენდენცია. მთლიანად, სასოფლო შინამეურნეობების შემოსავლების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქის შინამურნეობების შესაბამის მაჩვენებელს. 2006-2014 წწ. ქალაქის შინამეურნეობის ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავალი გაიზარდა 2,9-ჯერ და შეადგინა 309,9 ლარი, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი გადიდდა 2,4-ჯერ და შეადგინა 238,3 ლარი; შედეგად, თუ 2006 წელს სოფლის ეს მაჩვენებელი შეადგენდა ქალაქის მონაცემის 95%-ს, 2014 წელს მან შეადგინა 77%. 2006 წელს სოფლის მოსახლეობის მიღებულ მთლიან ფულად და არაფულად სახსრებში ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები შეადგენდა 51,8% (მათ შორის შემოსავალმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან – 16,3%); სხვა ფულადმა სახსრებმა შეადგინა 11,6%, ხოლო არაფულადმა შემოსავლებმა – 36,6%. 2014 წელს შესაბამისად შეადგენდა: 70,2%; (15%); 12,5% და 17,3%[18].

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო შინამეურნეობების ფულად შემოსავლებსა და ტრანსფერტებში მთლიანად მაღალი და მზარდი ხვედრითი წილი უკავია პენსიების, დახმარებების და სტიპენდიების ჯგუფს (სავარაუდოდ, სტიპენდიების წილი მეტად უმნიშვნელო უნდა იყოს). ასე მაგალითად, თუ 2006 წელს სოფლის შინამეურნეობების ფულად შემოსავლებსა და ტრანსფერტებში მას ეკავა 16,9%, 2014 წელს მან შეადგინა 27,6%; შედეგად, 2006 წელს სოფლის შინამეურნეობების მიერ მიღებული პენსიების, დახმარებებისა და სტიპენდიების აბსოლუტური მაჩვენებელი 6,3%-ით აღემატებოდა შესაბამის ქალაქის მაჩვენებელს, ხოლო 2014 წელს ამ გადამეტებამ 30,2% შეადგინა [18].

აღსანიშნავია ასევე უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების მნიშვნელობა ქალაქისა და სოფლის შინამეურნეობების ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების ფორმირებაში. 2006 წელს შინამეურნეობების ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების მთლიან რაოდენობაში აღნიშნულ გზავნილებს ეკავა 3,7%, 2011 წელს – 6,1%, ხოლო 2014 წელს 3,5%; სოფლის შინამეურნეობების უცხოეთიდან მიღებული მთლიანი შემოსავლები 2006 წელს 3,1-ჯერ ნაკლები იყო

ქალაქის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით; 2011 წელს სოფელი ამ მაჩვენებლით ქალაქს ჩამორჩებოდა 1,3-ჯერ, ხოლო 2014 წელს – 2,3-ჯერ [18].

2006-2014 წწ. ქალაქის შინამეურენობის საშუალო თვიური სამომხმარებლო ფულადი და არაფულადი ხარჯი საშუალოდ ერთ სულზე გაიზარდა 2,6-ჯერ და შეადგინა 304,8 ლარი, ხოლო სოფლის შინამეურნეობის შესაბამისი ხარჯი გადიდდა 2,06-ჯერ და შეადგინა 228,1 ლარი; შედეგად, თუ 2006 წელს სოფლის მაჩვენებელი შეადგენდა ქალაქის მაჩვენებლის 95%-ს, 2014 წელს მან შეადგინა – 74,8% [18].

2006 წელს ქალაქის შინამეურნეობის მთლიან ხარჯში სამომხმარებლო ფულადი ხარჯი შეადგენდა 83,4% (მათ შორის სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე ხარჯი შეადგენდა 40,0%-ს); სამომხმარებლო არაფულადი ხარჯი 5,4%, ხოლო არასამომხმარებლო ფულადი ხარჯი – 11,2%. ამავე დროს, სოფლის შინამეურნეობაში შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა: 54,9; (28,5%); 33,1%; 12%. 2014 წელს ქალაქის შინამეურნეობის მთლიან ხარჯში სამომხმარებლო ხარჯი შეადგენდა 73,6% (მათ შორის სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე ხარჯი შეადგენდა 25,1%-ს); სამომ-ხმარებლო არაფულადი ხარჯი შეადგენდა 2,5%, ხოლო არასამომხმარებლო ფულადი ხარჯი – 23,9%; სოფლის შინამეურნეობის მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა: 55,9%; (22,8%); 18,1% და 26,0% [18].

ღარიბი, უპირატესად მცირე და საშუალო ზომის შინამეურნეობები, მნიშვნელოვანწილად არიან ორიენტირებულები საკუთარ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე, მთლიანად წარმოებულ პროდუქციაში მეტად მცირე ადგილი უკავია ბაზარზე ორიენტირებულ პროდუქციას, შედეგად მათ აქვთ მეტად მცირე ფულადი შემოსავლები. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, შინამეურნეობათა 81,5%-მა აჩვენა, რომ აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის და 17,8%-მდე კი – რეალიზაციისათვის [14, გვ. 27].

შინამეურნეობების ხარჯების შედარება საშუალოდ ერთ წევრზე გაანგარიშებით 2006-2014 წწ. გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში, გარკვეული ზრდის მიუხედავად, ქალაქის შინამეურნეობის ფულადი დანახარჯები სოფლის შინამეურნეობას ამეტებდა: სურსათის, სასმელის და თამბაქოს მოხმარებში 48%-ით; ტანასაცმლის და ფეხსაცმლის მოხმარებაში 2006 წ. ქალაქი ამეტებდა სოფელს 41%-ით, ხოლო 2014 წ. 73%-ით; საოჯახო მოხმარების საქონლის მოხმარებით შესაბამისად ქალაქი ამეტებდა 25% და 48%-ით; ჯანმრთელობის დაცვაზე დანახარჯით ამეტებდა – 46% და 48%-ით; სათბობსა და ელექტროენერგიაზე დანახარჯით ამეტებდა – 65%-ით და 98%-ით; ტრანსპორტირებაზე დანახარჯით – 38%-ით და 84%-ით; განათლებაზე დანახარჯით ამეტებდა – 2,27-ჯერ და 6,82-ჯერ. ამავე დროს სოფლის შინამეურნეობის მაჩვენებელი ამეტებდა ქალაქისას სოფლის მეურნეობაზე გაწეული დანახარჯებით: 2006 წ. 7-ჯერ და 2014 წ. 13-ჯერ [19].

უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბ შინამეურნეობებს მეტად დაბალი აქვთ როგორც საწარმოო მოხმარება, ისე დაბალია მათი წევრების პირადი მოხმარებაც. მათ რეალურად არ შესწევთ უნარი, დახმარების გარეშე განახორციელონ წარმოების განვითარება, პროდუქტიულობის გაზრდა, თვითღირებულების შემცირება და რამდენადმე მნიშვნელოვანი სასაქონლო პარტიების წარმოება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო რყევებისა და ანარქიული მოვლენების დროს მათ თვითგადარჩენის მაღალი უნარი გააჩნიათ.

ამრიგად, მცირე და საშუალო ზომის სასოფლო შინამეურნეობებს რეალურად არ აქვთ კრედიტის აღების შესაძლებლობა, არ გააჩნიათ ხარისხიანი თესლების, შხამქიმიკატების, სასუ-ქების და სხვა წარმოების შესაძენი ფულადი სახსრები; არ შესწევთ უნარი ახალი კულტურების, ჯიშების, აგრო-ტექნოლოგიების დანერგვის, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავ-ლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდისა, სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და მისი რეალიზაციისა.

ცხრილი 1-ის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2000-2004 წწ. საარსებო მინიმუმის მიმართ სიღა-რიბის დონე სოფელში იზრდებოდა და, ამავე დროს, ის მცირდებოდა ქალაქში. ეს ტენდენცია ასევე ჩანს ქალაქისა და სოფლის შინამეურნეობების საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის სიღრმისა და სიმწვავის ცვლილებებში. შედეგად, თუ 2000 წელს სიღარიბის დონის, სიღრმისა და სიმწვავის აღნიშნული მაჩვენებლებით ქალაქში უფრო მძიმე ვითარება იყო ვიდრე სოფელში, 2004 წელს ვითარება დიამეტრალურად იცვლება და სოფელი სიღარიბის მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად ამე-ტებს ქალაქს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციური პროცესების გავლენით საარსებო მინიმუმს ახასიათებს ყოველთვიური ცვლილებებისა და მთლიანად ზრდის ტენდენცია. ასე მაგალითად, 2004 წელს საარსებო მინიმუმი (დეკემბრის თვის) საშუალო მომხმარებლისთვის შეადგენდა 85,2 ლარს, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის – 96,2 ლარს, ხოლო საშუალო ოჯახისთვის 161,4 ლარს; 2014 წელს (დეკემბერი) აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა: 141,2; 159,4 და 267,4 ლარს [20]. ამრიგად, ლარის კურსის მნიშვნელოვანი რყევები და სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასების ზრდა განაპირობებს როგორც ქალაქად, ისე სოფელში, სიღარიბის დონის, სიღრმისა და სიმწვავის მაჩვენებლების მკვეთრ გაუარესებას.

ქალაქისა და სოფლის სიღარიბის დონის მედიანური მოხმარების მიმართ მაჩვენებლები განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. 2000-2014 წწ. სიღარიბის დონის მედიანური მოხმარების 60%-ის

მიმართ შეიმჩნევა ქალაქად მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია, ხოლო სოფელში კი მნიშვნელოვნად გაუარესების. რაც შეეხება მედიანური მოხმარების 40%-ს მიმართ (ანუ სიღატაკის მაჩვენებელი) 2000-2008 წწ. სოფლად ეს კატეგორია იზრდებოდა, ხოლო 2008-2014წწ. კი შეიმჩნევა მის კლების ტენდენცია. სოფლად გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ არსებითად ვერ შეიცვალა სოფლის სიღარიბისა და სიღატაკის უარესი მდგომარეობა ქალაქის შესაბამის მახასიათებლებთან შედარებით.

არსებითი განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის (შინამეურნეობების) მთლიან შემოსავლებსა და მოხმარების დონეებს, მათ სტრუქტურებს შორის განაპირობებს, ქალაქთან შედარებით სოფლად სიღარიბის უფრო მაღალ დონეს (ღარიბი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში), ასევე სიღარიბის მეტ სიღრმეს (ღარიბი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრამდე დაშორებას) და სიღარიბის მეტ სიმწვავეს (ღატაკების რაოდენობა - ღარიბთა შორის მოხმარების მიხედვით ნულის მახლობლობაში მყოფი მოსახლეობა). სიღარიბის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლების გაუარესება როგორც ქალაქში, ისე სოფელში, განაპირობებს საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ზრდას (რეგისტრირებული სიღარიბე).

თუ 2007 წელს რეგისტრირებული შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ქვეყანაში შეადგენდა მოსახლეობის 6,4%-ს, 2014 წელს მან შეადგინა – 11,6%[19]. სოფლად სიღარიბის მაჩვენებლების გაურესების ტენდენცია იმაზე მეტყველებს, რომ აქ უფრო სწრაფად, ვიდრე ქალაქად, იზრდება შემწეობის მიმღებთა რაოდენობა.

ცხრილი 1

შინამეურნეობების სიღარიბის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები ქალაქი-სოფლის ჭრილში (%-ში) [17, გვ. 265; 16, გვ. 89, 90, 91; 15, გვ. 57; 19]

	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი.	ქალაქი	სოფელი.	ქალაქი	სოფელი.
	2000	2000	2004	2004	2008*	2008*	2012*	2012*	2014*	2014*
სიღარიბის დონე (საარსებო მინიმუმის მიმართ)	57,0	46,1	50,3	53,7	–	–	–	–	–	–
მედიანური მოხმ. 60%-ის მიმართ	25,0	20,8	19,0	24,8	18,0	26,2	17,5	27,0	15,1	27,4
მედიანური მოხმ. 40%-ის მიმართ	10,0	10,5	7,4	12,2	7,0	11,9	6,7	11,7	5,2	10,7
სიღარიბის სიღრმე (საარსებო მინიმუმის მიმართ)	21,9	18,3	18,1	22,0	–	–	–	–	–	–
მედიანური მოხმ. 60%-ის მიმართ	7,5	7,6	5,8	9,1	5,3	8,7	–	–	–	–
მედიანური მოხმ. 40%-ის მიმართ	2,7	3,7	2,1	4,4	1,8	3,6	–	–	–	–
სიღარიბის სიმწვავე (საარსებო მინიმუმის მიმართ)	11,1	10,2	8,9	12,2	–	–	–	–	–	–
მედიანური მოხმ. 60%-ის მიმართ	3,4	4,1	2,6	4,9	2,3	4,2	–	–	–	–
მედიანური მოხმ. 40%-ის მიმართ	1,2	2,0	1,0	2,4	0,7	1,7	–	–	–	-

* მედიანური მოხმარების მიმართ;
– მონაცემები აღარ მუშავდება ან ვერ იქნა მოპოვებული.

ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, ხოლო თითქმის 12% კი უკიდურესად გაჭირვებულ, ღატაკურ პირობებში ცხოვრობს, მიგვითითებს, გამართული და მდგრადი სოციალური დაცვის სისტემის შექმნის აუცილებლობაზე.

საქართველოს სოციალური დახმარების პოლიტიკა მიმართულია უკიდურესი სიღარიბისგან გამოწვეული შოკისგან დაცვაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში დათვლილი სიღარიბის დონე, მეთოდოლოგიური პრობლემების გამო, ვერ ავლენს მოსახლეობის უღარიბეს ფენას, ექსპერტების აზრით, დღეში 2,5 აშშ დოლართან მიმართებაში განსაზღვრული სიღარიბის ზღვარი უფრო ზუსტად წარმოაჩენს საქართველოს მოსახლეობის უღარიბესი ოჯახების წილს. 2008-2014 წლებში დღეში 2,5 აშშ დოლართან მიმართებაში განსაზღვრულ სიღარიბის დონეს საქართველოში ახასიათებს გარკვეული კლების ტენდენცია, რაც ექსპერტებს აძლევს საშუალებას, უკიდურესი სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით, სოციალური დახმარების პროგრამა შეაფასონ როგორც მაღალი მიზანმიმართულობის შემცველი. თუმცა დახმარების ეფექტი არ არის ადეკვატურად შეფასებული, რის გამოც ამ დახმარების გავლენა შეზღუდულია – ბენეფიციარი ოჯახების გარკვეულ ნაწილს სიღარიბისგან ამოსვლა უჭირს, ხოლო მრავალი ოჯახი საერთოდ დახმარების გარეშე რჩება. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა უმწეოთა გამოვლენის მეთოდოლოგიის კიდევ უფრო დახვეწა, ისევე როგორც საჭიროებაზე დაფუძნებული ბენეფიტების

ზრდა. სოციალური დაცვის სისტემის მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს ქრონიკულ სიღარიბეში მყოფთა დახმარება. სოციალური პრობლემების გადასაჭრელად სოციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს სიღარიბის მკვეთრი შემცირება უკიდურესად ღარიბთა (ღატაკთა) შორის და ჯგუფის მინიმალური საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა, აგრეთვე, სიღარიბის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორების – კატასტროფული სამედიცინო ხარჯების გამო კიდევ უფრო მეტი გაღარიბებისგან დაცვა [6].

განსხვავება საქართველოს შინამეურნეობების უკიდურესი დეცილური ჯგუფების მთლიან შემოსავლებში (2008) საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე შეადგენდა 27:1-თან. ამგვარი მნიშვნელოვანი სხვაობა დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის ზეპოლარული მოდელისათვის, როდესაც შემოსავლების დიფერენციაციის დონე უკიდურეს დეცილურ ჯგუფებში შეაგდენს 20-30 : 1-თან. ცნობილია, რომ თეორიაში განიხილება შემოსავლების დიფერენციაციის ოთხი მოდელი: ზეპოლარული, ზომიერად პოლარული, ზომიერი და ეგალიტარული (არასაბაზრო) [3, გვ. 75; 13, გვ. 29].

2006-2014 წწ. პერიდში მთლიანი შემოსავლების განაწილების უთანაბრობის მაჩვენებელი (ჯინის კოეფიციენტი) საქართველოში შემცირდა 0,45-დან 0,41-მდე, ხოლო მთლიანი მოხმარების განაწილების მაჩვენებელი უცვლელი დარჩა და შეადგინა 0,40. ეს მონაცემები მეტყველებს, ერთი მხრივ ქვეყანაში მთლიანი შემოსავლების აბსოლუტური უთანაბრობის გარკვეული შემცირების ტენდენციაზე, თუმცა ამ ტენდენციამ ვერ იქონია გავლენა მთლიანი მოხმარების განაწილების აბსოლუტურ უთანაბრობაზე[20].

შინამეურნეობების ყველაზე დაბალი ორ დეცილური ჯგუფის მთლიან შემოსავლებში მაღალი ხვედრითი წილი (52% და 46%) უკავია პენსიებსა და დახმარებებს, ხოლო მათ სამომხმარებლო ხარჯებში მეტად მაღალია (65%-მდე) კვებაზე გაწეული ფულადი და არაფულადი დანახარჯი. უკიდურეს დეცილურ ჯგუფებში მეტად არსებითი სხვაობებია სურსათზე, ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სათბობისა და ელექტროენერგიის და სხვა სამომხმარებლო დანახარჯებს შორის. ამასთან აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა დეცილურ ჯგუფს დაბალი აქვს დანახარჯები სოფლის მეურნეობაზე და ასევე დაბალია მათი შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან [15, გვ. 64].

ღარიბ შინამეურნებებში საინვესტიციო გადაწყვეტილებები ფოკუსირდება მისი წევრების შრომის განაწილებაზე (გამოყენებაზე) და შემოსავლის განაწილებაზე, საწარმოო საშუალებებში ინვესტირებასა და საარსებო მოხმარებას შორის. ინვესტიციებში იგულისხმება საწარმოო ფაქტორებში რაოდენობრივი ცვლილებები, კერძოდ, ეს გამოიხატება უკეთესი პირუტყვის, ნერგების, ჩითილების თუ თესლების შეძენაში, წარმოების ახალი მეთოდების და ტექნოლოგიების შესწავლისათვის დანახარჯების გაწევაში და სხვა. ამგვარ საინვესტიციო გადაწყვეყილებებს შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს შინამეურნეობების საწარმოო პოტენციალზე, თუმცა გარეშეთათვის ის შეიძლება არ იყოს დიდად შესამჩნევი. ღარიბი შინამეურნეობები საჭიროებენ მისი წევრების დიდ ძალისხმევას, რათა მოიპოვონ საარსებო საკვები, ოჯახის არსებობისათვის აუცილებელი კალორიების რაოდენობა, შეამცირონ ქრონიკული შიმშილის სიმწვავე და, ამავე დროს, გამოიმუშაონ მცირე შემოსავალი (ნატურალური თუ ფულადი), რათა შეძლონ წარმოების განახლება.

ღარიბი შინამეურნეობები მეტად მგრძნობიარენი არიან მოუსავლიანობის, პირუტყვის დაცემის, მოსავლის დასეტყვის, გვალვების თუ სხვა სტიქიური მოვლენების, ასევე მისი წევრების ავადმყოფობის თუ გარდაცვალების მიმართ. ამგვარი შემთხვევებისას მათ აღარ შესწევთ უნარი, დაფარონ გაუთვალიწინებელი დანაკარგები, ხარჯები თუ ზარალი მწირი შემოსავლიდან. ამგვარად, შინამეურნეობები გადაწვეტილებების მიღებისას იძულებულნი არიან გაითვალისწინონ მათ წინაშე რეალურად არსებული საშიშროებანი და რისკები. აღნიშნული დანაკარგების შემთხვევაში ოჯახი ვარდება გამოუვალ ფინანსურ, გაღატაკებულ მდგომარეობაში.

ქვეყნებს, სადაც შინამეურნეობებს აქვთ დაბალი შემოსავლები, თავიანთი დროის 35-50%-ს ახმარენ არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს. კერძოდ, ისინი აკეთებენ ტანსაცმელს, ნაკეთობებს, ავეჯს, ინვენტარს, გადაამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს სურსათად, მონაწილეობენ მშენებლობებში. შინამეურნეობების წევრები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ხშირად ეუფლებიან სხვა არასასოფლო-სამეურნეო პროფესიებს. ასეთი დროებითი გადასვლა სასოფლო შინამეურნეობებიდან სხვა საქმიანობებში, მიზნად ისახავს ისეთი პროფესიის ან საქმინობის ცოდნის დაუფლებას, რომელზეც არის ფაქტობრივი მოთხოვნა მოცემულ კონკრეტულ სოფელში თუ ახლოს მდებარე სოფლებსა თუ ქალაქებში. აქვე უნდა ითქვას, რომ შინამეურნეობების წევრები, სოფლად უარესი კომუნალური პირობების და დაბალი ფულადი შემოსავლების გამო, მნიშვნელოვან დროს ხარჯავენ სასმელი წყლის მოტანაზე, შეშის თუ ფიჩხის შეგროვებაზე და სახლების გათბობაზე, პურის გამოცხობაზე და ა.შ. ამდენად, შინამეურნეობები იძულებულნი არიან, სოფლის მეურნეობასთან ერთად განახორციელონ სხვა მძიმე არასოფლისმეურნეობრივი საქმიანობებიც [8, გვ.36].

საქართველოს სასოფლო შინამეურნეობების წევრების უმეტესი ნაწილი თვითდასაქმებულთა ან ოჯახურ მეურნეობებში უსასყიდლოდ, დამხმარედ მომუშავეთა კატეგორიას შეადგენენ, ხოლო მცირე ნაწილი დაქირავებით მუშაობს როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ისე სოფლისა

და ქალაქის სხვა, არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში. სოფლად დასაქმებულთაგან (2008) დაქირავებით დასაქმებული იყო 163,7 ათასი (16%), ხოლო თვითდასაქმებული შეადგენდა 848,3 ათას კაცს, ანუ სოფლად დასაქმებულებისა 84%-ს. თვითდასაქმებულთა რაოდენობიდან მეწარმე (მეურნე) დამქირავებელი შეადგენდა 0,4%-ს, არასასოფლო-სამეურნეო სფეროში თვითდასაქმებული – 4,9%, ხოლო სოფლის მეურნეობაში თვითდასქმებული შეადგენდა 371,7 ათას კაცს და ოჯახურ საწარმოში (მამულში) უსასყიდლოდ მომუშავე და დამხმარე შეადგენდა 423,4 ათას კაცს. ამრიგად, სასოფლო ოჯახურ შინამეურნეობაში თვითდასაქმებულთა და უსასყიდლოდ მომუშავეთა მთლიანი რაოდენობა შეადგენდა 795,1 ათას კაცს, ანუ სოფლად თვითდასაქმებულთა 93,7%-ს და ქვეყანაში მთლიანად დასაქმებულთა 49,6%-ს[15, გვ. 21].

ოფიციალური მონაცემებით, 2006-2010 წლებში საქართველოში უმუშევრობის დონე სოფლად გაიზარდა 4,6%-დან 7,9%-მდე, ქალაქად იგი გადიდდა 26,1%-დან 27,2%-მდე; ხოლო 2010-2014 წლებში უმუშევრობის დონე მცირდება: სოფლად 5,4%-მდე და ქალაქად – 22,1%-მდე[21]. ამ მონაცემებით სოფლად უმუშევრობა ნაკლებადაა და აქ დასაქმების უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ქალაქში.

სასოფლო შინამეურნეობათა დიდი ნაწილის მცირემიწიანობა, მათში პირუტყვის მცირე რაოდენობა, სამუშაოთა შეზღუდული მასშტაბები და მეტად დაბალი პროდუქტიულობა ოჯახის ასაკოვანი წევრების მხოლოდ ნაწილის დასაქმების (თვითდასაქმების) შესაძლებლობებს იძლევა; ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ამ მეურნეობებში ნაწილობრივადაა დატვირთული ან ფაქტობრივად უმუშევარია. ამდენად, ვფიქრობთ, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის დადგენის მოქმედი მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლითაც ფიქსირდება მხოლოდ დასაქმების (თვითდასაქმების) თუ შინამეურნეობაში მონაწილეობის ფაქტი, არ გვაძლევს რეალურ სურათს, რადგან მათში არ აისახება სასოფლო შინამეურნეობებისთვის დამახასიათებელი არასრული(ნაწილობრივი) დასაქმება და ფარული უმუშევრობა [5].

თავისუფალ საბაზრო სისტემაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში თავს იჩენს როგორც სრული უმუშევრობისა თუ დაუსაქმებლობის, ისე არასრული დასაქმებისა თუ ფარული უმუშევრობის ფაქტები და მოვლენები. აღნიშნული საკითხები არასათანადოდაა შესწავლილი როგორც მთლიანად სოფლად, ისე კერძოდ, სასოფლო შინამეურნეობებში. სასოფლო შინამეურნეობებში არასრული დასაქმების და ფარული უმუშევრომის ფორმების დასადგენად, რეალური მდგომარეობის გასარკვევად კვლავაც აქტუალურია სწორი მეთოდოლოგიური კრიტერიუმების და მიდგომების განსაზღვრა.

ოფიციალური კრიტერიუმებით, რომლითაც სარგებლობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმებულად ან თვითდასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა(სულ მცირე ერთი საათით მაინც) შემოსავლის მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ. დასაქმების დონე იანგარიშება დასაქმებული მოსახლეობის პროცენტული წილით 15 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობაში [16, გვ.6-7].

უმუშევრად, მკაცრი კრიტერიუმით, ითვლება პირი (16 წლის და ზევით ასაკის), რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში არ არის დასაქმებული, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებს სამუშაოს და შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას; ხოლო, შერბილებული კრიტერიუმით, ითვლება პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში არ არის დასაქმებული, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაეწურა შოვნის იმედი, მაგრამ მისი შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას. უმუშევრობის დონე იანგარიშება უმუშევართა რიცხოვნობის შეფარდებით ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობასთან [16, გვ. 6-7]. ამრიგად, ოფიციალური კრიტერიუმები ითვალისწინებს მხოლოდ დასაქმების (თვითდასაქმების) თუ შინამეურნეობაში შრომითი მონაწილეობის ფაქტს. საქართველოს შინამეურნეობების სისტემატური შერჩევითი თუ სასოფლო-სამეურნეო აღწერის კვლევები არ ითვალისწინებს სოფლად არასრული დასაქმებისა თუ ფარული უმუშევრობის დადგენას.

წარმოშობის ფაქტორების მიხედვით განასხვავებენ ფრიქციულ, სტრუქტურულ და ციკლურ უმუშევრობას. უმუშევრობის, როგორც მოვლენის გამოვლენის, პროცესის შეფასების თვალსაზრისით, განასხვავებენ სრულ უმუშევრობასა და ნაწილობრივ ე.წ. ფარულ უმუშევრობას. უმუშევრობისა თუ არასრული დასაქმების ფორმების მიხედვით განასხვავებენ სეზონურ, ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ, რეგიონულ, დემოგრაფიულ, შეჩერებულ და ნებაყოფლობით სახეობებს.

ფარული უმუშევრობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც მცირე ზომის მეურნეობაში (ფერმაში) მუშაობს იმაზე მეტი პირი, ვიდრე ეს ესაჭიროება ამ მეურნეობის მასშტაბებს, რაც, ბუნებრივია, ამცირებს ამ მეურნეობის ეფექტიანად წარმართვას.

არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის პრობლემა შეიძლება ეხებოდეს იმათაც, ვინც ფაქტობრივად მუშაობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ გამოიმუშავებს მეტად დაბალ, სიღარიბის ზღვარზე ნაკლებ შემოსავალს. არასრული დასაქმება თუ ფარული უმუშევრობა შედგება სხვაგვარი დასაქმების ფორმების ამსახველი მაჩვენებლებისგან. საჭიროა გავიაზროთ, თუ სად გადის უმუშევრობის საზღვრები. იგი შეიძლება იწყებოდეს ერთი უკიდურესი (ექსტრემალური)

მდგომარეობიდან, მაგალითად, “ღია უმუშევრობიდან” ურბანულ გარემოში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ნამუშევარი საათებისა და შემოსავლის რაოდენობა არის ნულის ტოლი. ამ ექსტრემალური პირობების გარეთ, უმუშევრობისა თუ დაუტვირთაობის მდგომარეობის განსაზღვრისათვის გამოიყენება ოთხი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი [8, გვ. 475; 9, გვ. 152]. ესენია: 1. დროის კრიტერიუმი; 2. შემოსავლის კრიტერიუმი; 3.სასურველობის კრიტერიუმი; და 4. პროდუქტიულობის (ნაყოფიერების) კრიტერიუმი.

სასოფლო შინამეურნეობებში, მათი მცირე ზომების შემთხვევის დროს, დახარჯული შრომის სიდიდე (დასაქმებულთა რაოდენობა) და წარმოებული საარსებო პროდუქტის ოდენობა ყოველთვის არ არის ადეკვატური. დასაქმებულთა ზრდა აქ ყოველთვის არ იწვევს პროდუქტიულობის გადიდებას და გარკვეულ შემთხვევაში მარჟინალური, ზღვრული (მინიმალურად ეკონომიკურად ეფექტური) პროდუქტიულობა ამგვარ ფერმებში შეიძლება ნულის ტოლი იყოს [9, გვ. 115]. სწორედ ამგვარ მოვლენას უკავშირდება “შენიღბული უმუშევრობა”.

არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის გამჭოლი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ “შრომითი გაჭირვება” ეხება იმათაც, ვინც ფაქტობრივად მუშაობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ გამოიმუშავებს მეტად დაბალ, სიღარიბის ზღვარზე ნაკლებ შემოსავალს. ფარული დაუსაქმებლობა შედგება სხვა დასაქმების პრობლემის ამსახველი მაჩვენებლებისგან. “ღია იძულებითი უმუშევრობის” გარდა, არის ისეთი მდგომარეობები, როდესაც საქმე გვაქვს “დაუტვირთაობასთან” და “ფარულ უმუშევრობასთან”.

დიაგრამა 1 გვიჩვენებს შინამეურნეობაში წარმოებული პროდუქციის გადიდებასა და წევრების რაოდენობის ზრდას შორის ურთიერთდამოკიდებულებას. წარმოებული პროდუქცია საშუალოდ შინამეურნეობის ერთ წევრზე გაანგარიშებით, დავუშვათ, შეადგენდა 600 ლარს. შინამეურნეობის წევრების გადიდების შემთხვევაში ორამდე, დასაშვებია, რომ მთლიანი პროდუქცია გარკვეულად გაიზრდება (დავუშვათ – 800 ლარამდე), თუმცა შინამეურნეობის წევრების შემდგომი გადიდება არ ზრდის წარმოებულ პროდუქციას.

მცირე მიწის ფართობი, მოსავლიანობის გამადიდებელი ტექნოლოგიების არარსებობა, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის მეტად შეზღუდული რაოდენობა და მათი დაბალი პროდუქტიულობა არ ქმნის მთლიანად წარმოებული პროდუქციის დადიდების პირობებს.



დიაგრამა 1



დიაგრამა 2



დიაგრამა 3

დიაგრამა 2 ასევე ნათლად აჩვენებს, რომ მთლიანი პროდუქცია მაქსიმალურ ზღვარს აღწევს შინამეურნეობის ორი წევრის საქმიანობისას, თუმცა ამ შემთხვევაშიც საშუალოდ ერთ წევრზე მცირდება პროდუქტიულობა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ შინამეურნეობის მეორე წევრი, პროდუქტიულობის კრიტერიუმით, არ არის სრულად დასაქმებული. რაც შეეხება მესამე და მეოთხე შინამეურნეობის წევრებს, მათი შრომა აბსოლუტურად არაპროდუქტიულია და სავსებით შესაძლებელია მათი ჩართვა უმუშევართა კატეგორიაში. ამრიგად, იმ დროს, როცა ზღვრული პროდუქტიულობა შრომისა (წ1) B1 წერტილშია მხოლოდ, B2 წერტილში (წ2) კი მთლიანდ წარმოებული პროდუქციის ზრდის მიუხედავად გარკვეულად მცირდება ზღვრული პროდუქტიულობა, წევრები – წ3 და წ4 არიან ზღვრულ ფარგლებში, რაც გვიჩვენებს ფარულ (შენიღბულ) უმუშევრობის სიდიდეს.

დიაგრამა 3 აჩვენებს ურთიერთდამოკიდებულებას შინამეურნეობის 1 წევრზე ზღვრულ (მარჟინალურ) პროდუქტიულობასა და შინამეურნეობის წევრების რიცხოვნობას შორის. თუ ზღვრული პროდუქტიულობა X ერთ წევრზე შეადგენდა 600 ლარს, ხოლო ორ წევრზე – 400 ლარს, 3 წევრზე – 267 ლარს, ხოლო 4 წევრზე მან შეადგინა 200 ლარი. ამრიგად, ზღვრული პროდუქტიულობა საშუალოდ 1 წევრზე შეიძლება შემცირდეს მთლიანად წარმოებული პროდუქციის გადიდების შემთხვევაში, ხოლო თუ დავუშვებთ, რომ ის წარმოადგენს არსებობის ფიზიკური მინიმუმის აბსოლუტურ ზღვარს, ამის შემდგომ შინამეურნეობის წევრების ზრდა გამოიწვევს საშუალოდ ერთ წევრზე მოხმარების შემცირებას ფიზიკური მინიმუმის ზღვარს ქვემოთ. დიაგრამა 3 ასევე გვიჩვენებს დამოკიდებულებას შინამეურნეობებში ზღვრულ პროდუქტიულობასა და მასში მყოფ წევრებსა თუ დასაქმებულთა ოდენობების ოპტიმალურ და ზღვრულ თანაფარდობებს, შინამეურნეობების განვითარების შესაძლებლობებს თუ უპერსპექტივობას.

მოცემული დიაგრამების მიზანია, მთლიანად წარმოებულ პროდუქციაზე მეურნეობის წევრების ცვლილების გავლენის ჩვენება, მათში არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიებისა თუ კაპიტალის ცვლილებები, მათში უცვლელად განიხილება აღნიშნული საწარმოო ფაქტორები. არასრული დასაქმება თუ ფარული უმუშევრობა ხშირად არ არის ხილვადი, იგი შენიღბულ ხასიათს ატარებს, პერიოდული, ეპიზოდური, სეზონური შრომის შეზღუდული დოზებით გამოყენება შინამეურნეობაში ჩართული წევრებისა, ქმნის ამის პირობებს.

შინამეურნეობის წევრების არაპროდუქტიული შრომა შეიძლება იყოს შემცირებული წარმოების შედეგებზე გავლენის გარეშე. თუ გარკვეული წევრები (მუშები) წავლენ მეურნეობიდან, დანარჩენები შეძლებენ, აწარმოონ იგივე რაოდენობა მთლიანი პროდუქციისა, თუმცა შეიძლება მოუწიოთ უფრო ხანგრძლივი და მონდომებული შრომა. თუ შრომის "ზღვრული პროდუქტიულობა გარკვეულ საზღვრებში (ჩარჩოებში) არის ნული" [11, გვ.3-5]., რატომ გამოიყენება ასეთი შრომა და ეს ხომ არ ეწინააღმდეგება რაციონალურ აზრს. რეალურად, წარმოების პროცესში მეტი შრომა კი არ იხარჯება, არამედ უფრო მეტი წევრები ხარჯავენ იმავე სიდიდის შრომას. ასეთ შენიღბულ უმუშევრობას ნორმალურად სჭირდება სამუშაო საათების ნაკლები რაოდენობა ერთ დასაქმებულზე წელიწადში. მაგალითად, სამი ძმა მწყემსავს ცხვრის ფარას, თითოეულ ძმას უწევს მწყემსვა ყოველ მესამე დღეს. ითვლება, რომ სამივე დასაქმებულია, ფაქტობრივად კი მხოლოდ ერთი მწყემსის სამუშაოა.

ამრიგად, ზღვრული პროდუქტიულობა შეიძლება იყოს გარკვეულ საზღვრებში(ჩარჩოებში) ან უდრიდეს ნულს და ის შეიძლება იყოს შრომის ნაკლებად ინტენსიური ფორმა, როდესაც ადამიანები უფრო ნაკლებად შრომობენ.

არის გარკვეული წინააღმდეგობა ფარულ უმუშევრობასა და რაციონალურ ქცევას შორის. გლეხური, ოჯახური შინამეურნეობების ნაწილობრივი დასაქმება ბუნებრივად ფარავს, ნიღბავს უმუშევრობას. მიწის ნაკვეთს, რომლის დამუშავებასაც სჭირდება ორი წევრი(მუშა), ფაქტობრივად შეიძლება უვლიდეს ოთხი წევრი; თუ ოჯახური შინამეურნეობის 4 მომუშავე წევრს არ აქვს სხვა დასაქმების შესაძლებლობა, ამას აკეთებენ თვითდასაქმებით შინამეურნეობაში.

საქართველოში სამუშაო ადგილებისა და უმუშევრობის შემცირების მიზნით, მთავრობამ აქცენტი უნდა გააკეთოს როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების სტიმულირებაზე. მოთხოვნის მხარეს საჭიროა ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, სასოფლო შინამეურნეობების ხელშეწყობა სასაქონლო წარმოების ზრდაში, სპეციალიზაციის გაღრმავებაში, პროდუქტიულობის გადიდებასა და თვითღირებულობის შემცირებაში, თანამედროვე ინოვაციური აგროტექნოლოგიების დანერგვასა და სწორი მარკეტინგული გადაწვეტილებების მიღებაში. მიწოდების თვალსაზრისით, თანამედროვე მსოფლიო გამოცდილებათა გათვალისწინებით, ქვეყანას სჭირდება, სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის, განათლების სისტემის ფორმირება, რათა გაიზარდოს სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობები და უნარი, ადეკვატურად და დროულად უპასუხოს საბაზრო ეკონომიკის სწრაფად ცვალებად საჭიროებებს. აღნიშნული განათლების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს როგორც ხარისხობრივ და შინაარსობრივ ცვლილებებს, ისე სოფლის მოსახლეობისათვის მის მისაწვდომობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში, თბ., თსუ-ს გამ.-ბა, 1976.

2. ლ. პაპავა, სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები, შრომები - 7, საქართველოს ეკონომიკურ მეცნირებათა აკადემია, საგამ. ფირმა "სიახლე", თბ., 2009.
3. რ. ასათიანი, "ახალი სოციალური საკითხი და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა", საქართველოს ეკონომიკური აკადემიის შრომები, ტ. II, თბ., საგამომცემლო ფირმა "სიახლე", 2001.
4. ზ. რევიშვილი, სასოფლო შინამეურნეობების პრობლემები და აგრარული პოლიტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2009.
5. ზ. რევიშვილი, სასოფლო შინამეურნეობებში არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის დადგენის საკითხისათვის, სამეც. შრომათა კრებული III, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, თბ., 2010.
6. სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, შემაჯამებე-ლი დასკვნა, დასაქმების, სოციალურ საქმეთა და ინკლუზიის მთავარი დირექტორატი, ევროპის კომისია, 2011. http//:ec.europa.eu/social/BlobServlet?docld=6886&langId=ka
7. საქართველოს სოციალური დაცვის რეფორმა, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2006. www.transparency.ge
8. Raj Krishna, Unemploiment in India", Economic and Political Weekly, 3 March 1973.
9. Gerald M. Meier, Leding Issues in Economic Development, Fifth Ed., Oxford Un-ty Press, 1989.
10. Edgar O. Edwards, ed., Employment in Developing Nations, 1974.
11. Ragner Nurkse, "Expres Population and Capital Construction", Malayan Economic Reviw, 1957.
12. T.P. Tomich, P. Kilbey and B.E. Johnston, Transforming Agrarian Economies, Opportunities Seized, Opportunities Missed, Cornell U-ty Press, Ithaca, New York, 1995.
13. Журн. "Общество и Экономика", 2000, №8
14. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურენო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.
15. საქართველოს შინამეურნეობები 2008წ. სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2009.
16. შრომის ბაზარი 1998-2003წ. საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, სტატისტიკური კრებული, თბ., 2004.
17. შრომის ბაზარი საქართველოში 2009, სტატ. პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატ. დეპარტამენტი, თბ., 2009.
18. http//geostat.ge/index.php?action=page&p-id=181&lang=geo
19. htpp://geostat.ge//index.php?action=page&p_id=187&lang=geo
20.http//geostat.ge/index.php?action=page&p-id=178&lang=geo21
21.http//geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/

Zurab Revishvili

SOCIAL CONDITION IN RURAL AREA
Annotation

The article analyzes the conditions and causes of the rural household's poverty, unemployment and other social problems in Georgia. There are shown the differences between the levels and structures of city and rural household's incomes, consumptions. It focuses attention on importance of research of some metodological issues of rural povety. Are also, focused attentin on the ways how to reduse rural households poverty.

The article also analyzes critically the current methodological approaches to employment and unemployment in rural households. Is analyzed the relationship between marginal productivity and members of households; has shown that partial employment and hidden unemployment are often invisible and deeply disguised. There are examined several forms of partial employment and hidden unemployment in rural area; are also proposed some ideas about the causes of hidden unemployment in the peasant household when the marginal productivity of which is zero.

ზურაბ რევიშვილი

სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები

ეკონომიკურ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკაში, კერძოდ ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის თუ ჩაურევლობის საკითხს. XVIII-ს 30-იანი წლებიდან საფრანგეთსა და ინგლისში ვრცელდება გამოთქმა "Laisser faire, laissez passer", რომელიც იქცა ცნობილ ლოზუნგად

თავისუფალი ვაჭრობისა და სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობისა, რაც შინაარსობრივად გულისხმობს: მიუშვით ადამიანები აკეთონ თავიანთი საქმე, მიუშვით საქმეები, იარონ თავისი გზით. მიჩნეულია, რომ პირველი ნაწილი ეხება წარმოების თავისუფლებას, ხოლო მეორე კი ვაჭრობის თავისუფლებას [15, გვ. 88-89]. "ბუნება მხოლოდ მიუშვით იმოქმედოს" აღნიშნავდა პიერ ლეპეზან დე ბუაგილბერი (1646-1714) ამ იდეასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად ბუაგილბერი არ უარყოფდა სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს, რადგან მისი დონის რეალისტისათვის და პრაქტიკოსისათვის ეს წარმოუდგენელი იყო. იგი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო, განსაკუთრებით გონივრული საგადასახადო პოლიტიკის დახმარებით, ხელს შეუწყობდა ქვეყანაში მოხმარებისა და მოთხოვნის მაღალ დონეს [2, გვ. 285-287].

აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური აზრი სახელმწიფის ეკონომიკაში ჩარევის თაობაზე განიცდიდა და ამჟამადაც განიცდის ადამ სმითის გავლენას [12, გვ. 747-748]. ა. სმითი გმობდა მთავრობისა და კერძო პირების ისეთ ქმედებებს, რომლებსაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეკონომიკურ სფეროში თავისუფალი კონკურენცია. მისი აზრით სამართლიანი უფლებრივი სისტემა, რომელიც ყოველ ადამიანს მისცემს საშუალებას თავისუფლად და შეუზღუდავად იღწვოდეს საკუთარი სარგებლისათვის და ამავე დროს არ მიანიჭებს ვინმეს განსაკუთრებულ პრივილეგიებს ან შეზღუდვებს, – ესაა საუკეთესო საშუალება ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის [3, გვ. 89-112].

უნდა აღინიშნოს, რომ ნეოკლასიკური მიმართულებები უარყოფენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას. ისინი ემხრობიან "კერძო მეწარმეობის თავისუფლებას", ხოლო ეკონომიკაზე, წარმოებასა და დასაქმებაზე სახელმწიფო ზემოქმედების ცდას "ნეომერკანტილიზმს" უწოდებენ და ამ ტერმინში აქსოვენ უარყოფით აზრს. მათი გაგებით ყოველი ასეთი სახელმწიფოებრივი ზემოქმედება იწვევს პიროვნების თავისუფლების შებღალვას და არ შეესაბამება "დასავლეთის იდეალებს".

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის გავითარებამ XX-ე საუკუნის დასაწყისში და 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა განაპირობეს არსებითი ცვლილებები ეკონომიკურ აზროვნებაში, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის როლის ახლებურად გააზრებაში. ამ პირობების შესატყვისი ეკონომიკური იდეები და ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების ამსახველი ამოცანები ყველაზე სრულყოფილად აღწერა ჯონ მეინარდ კეინზმა [11, გვ. 32]. კეინზმა უარყო სმითისეული მიდგომები და წინა პლანზე წამოსწია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მაკროეკონომიკური რეგულირების საკითხები[[18, გვ. 33-35].

კეინზი თვლიდა, რომ კაპიტალიზმს აღარ შეეძლო არსებობა თვითრეგულირების საფუძველზე და ეკონომიკის რეგულირების ამოცანა თავის თავზე სახელმწიფოს უნდა აეღო. კეინსის სახელმწიფო რეგულირების უმთავრეს მიზნად მიაჩნდა გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაზრდის სტიმულირება. გადახდისუნარიან მოთხოვნას, წარმოების ზრდასთან შედარებით, ქრონიკული ჩამორჩენის ტენდენცია რომ ახასიათებს, საჭიროებს სახელმწიფოებრივ სტიმულირებას. სწორედ ამ სტიმულირების მეშვეობით იყო შესაძლებელი ჭარბწარმოების კრიზისების, საწარმოთა დაუტვირთაობის და უმუშევრობის დაძლევა. სახელმწიფომ საჭიროა სისტემატურად უბიძგოს კაპიტალისტებს, რათა მათ განახორციელონ ინვესტიცია, შექმნან ახალი საწარმოები ან გააფართოონ წარმოება.

კეინზის აზრით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ფულის სიუხვე და "სიაფე", ე.ი. სასესხო სარგებლის დაბალი განაკვეთი. რაც განაპირობებს ბანკიდან სესხის აღების სტიმულირებას, საქმიანობათა ინვესტირებას. კეინზი დასაშვებად მიიჩნევდა იმპორტის შეზღუდვას, დემპინგს და ვალუტის კურსით მანევრირებას. იგი თვლიდა, რომ პროტექციონიზმს შეუძლია დაეხმაროს ქვეყანას დასაქმების პრობლემის გადაჭრაში და მხარს უჭერდა ეკონომიკურ ნაციონალიზმს[4, გვ. 340].

"ნეომერკანტილიზმის" კრიტიკოსებს არ უნდათ დაინახონ რომ, "ნეოკეინზიანური" პოზიციები ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის საჭიროებაზე, წარმოადგენენ ეკონომიკური პრობლემების დაძლევის ობიექტურ აუცილებლობას. სხვაგვარად კაპიტალიზმს უკვე არ შეუძლია თავი გაართვას მის წინაშე წარმოშობილ პრობლემებს.

როდესაც განვითარებადი ან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები იყენებენ პროტექციონიზმს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებას, იგი პრინციპულად განსხვავდება იმ პროტექციონიზმისაგან, რომელსაც მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებში იყენებენ გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლაში. განვითარებად ქვეყნებში პროტექციონიზმი მიმართულია ეროვნული წარმოების შექმნისაკენ და მეტწილად პროგრესულ ხასიათს ატარებს, ესაა შიდა პრობლემების მოგვარების დროებითი ზომა.

XX საკუნეში აშშ ყველაზე ახლო იყო, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მდგომარეობასთან "Laisser faire". ამის შედეგი იყო თითქმის ასწლიანი სწრაფი ეკონომიკური წინსვლა და ინდივიდუალური თავისუფლების გარემო. თუმცა ამის შედეგი ასევე იყო, პერიოდული ეკონომიკური ციკლები, ბუნებრივი აღუდგენადი რესურსების ძარცვა და გამოლევა, უკიდურესი სიღარიბისა და სიმდიდრის გაპირობება, სახელმწიფო აპარატის გახრწნა ჯგუფების მიერ, მონოპოლიების მიერ თვითრეგულირებადი კონკურენციის გამოდევნა. ადამიანს დღეს, გაუძნელდება იხელმძღვანელოს იმ მოსაზრებით, რომ "ყველაზე უკეთ არეგულირებს ის სახელმწიფო, რომელიც

ყველაზე ნაკლებად არეგულირებს". წინააღმდეგობის მიუხედავად, ნელ-ნელა, ალექსანდრე ჰამილთონის მეთოდებმა დაიწყეს გამოყენება თომას ჯეფერსონის მიზნების მისაღწევად: ძალაუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საკონსტიტუციო უფლებების ფართოდ გააზრება და მათი გამოყენება "საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად" და ეკონომიკურ სისტემაში "წესრიგის დასამყარებლად"; "დემოკრატია წარმოშობს ისეთ სახელმწიფოს, როგორც მას სურს" [13, გვ.152].

ბაზრის წარუმატებლობას ნურსკე განიხილავდა, როგორც "სიღარიბის მანკიერ წრეს"[5], ხოლო ლეიბენშტეინის მიხედვით ესაა – "წონასწორობის მახე ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის პირობებში" [6]. ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის აუცილებელია: ლეიბენშტაინის აზრით – "გარდამტეხი მინიმალური ძალისხმევა", როზენშტეინ-როდანის მიხედვით – "დიდი ბიძგი" [7], როსტოუს მიხედვით – "აფრენა" [8].

"აფრენისათვის" აუცილებელი კაპიტალდაბანდებების განხორციელება, რომლებიც შეადგენენ "სოციალურ ზედნადებ ხარჯებს", უნდა განახორციელოს მთავრობამ, რადგან კერძო სექტორს არ შეუძლია უზრუნველყოს საკმაო ინვესტიციები მზარდი "მაშტაბის ეფექტის" თუ "არასაბაზრო ეფექტების" გამო, რაც უკავშირდება ტექნიკისა და "საზოგადოებრი სიკეთეების" სპეციფიკას.

ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი მთლიანად უნდა ასრულებდეს ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელ როლს. განსაკუთრებული მნიშვნელოვანი როლი მან უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობის გარდაქნასა და მოდერნიზაციაში. საბაზრო მექანიზმს არ შესწევს უნარი უზრუნველყოს ისეთი სტრუქტურული ცვლილებანი, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისათვის [9; 10, გვ. 40-57]

სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების თვალასაზღისით, საინტერესოა განვიხილოთ ზოგიერთი გამოცდილება, რომელთაც შეასრულეს გარკვეული როლი რიგი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების აგრარული სექტორის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ ქვეყნებს, უმეტეს შემთხვევაში, გააჩნდათ და გააჩნიათ, საკუთარი აგრარული პოლიტიკა და ეს გარემოება განაპირობებდა სოფლის მეურნეობის, სურსათის წარმოებისა და ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მთელ რიგ თავისებურებებს.

3. ლინდერტი მსოფლიო ბანკის ეკონომისტების გამოკვლევების საფუძველზე ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის რიგ პროდუქტებზე პროტექციონისტული პოლიტიკის მახასიათებლებს, რომ განიხილავს 70-იან წლებში, გვიჩვენებს მათი "დაცვის ნომინალურ კოეფიციენტებს" (nominal protection coefficient). ეს მაჩვენებელი გვაძლევს საშუალებას შევადაროთ ფასი, რომელსაც მწარმოებელი იღებს რეალურად თავის პროდუქციაში, იმ ფასთან, რომელიც მას შეეძლო მიეღო იმ შემთხვევაში, რომ გაუქმებულიყო ყველა ბარიერი საგაერო ვაჭრობაში და მოცემული ქვეყნის ვალუტა ახალ წონასწორულ ღირებულებაში გადასულიყო, რომელიც შეესაბამებოდა უფრო თავისუფალი ვაჭრობის პირობებს. აღნიშნული კოეფიციენტი იაპონიის ბრინჯზე შეადგენდა 2,03-ს, რაც გვიჩვენებს, რომ იაპონელი ფერმერები მიიღებდნენ დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებ შემოსავალს, ამ ქვეყანაში რომ ყოფილიყო ბრინჯით თავისუფალი ვაჭრობა. ეგვიპტის ბამბისათვის ეს კოეფიციენტი 0,44-ს შეადგენდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ეგვიპტის ფერემერები იღებდნენ თავიანთ ბამბაში 44%-ს მსოფლიო ფასისა. "დაცვის ნომინალური კოეფიციენტი" ხორბალზე შეადგენდა: გერმენიის ფედერაციულ რესპუბლიკა – 1,49; საფრანგეთი – 1,26; იაპონია – 2,81; დიდი ბრიტანეთი - 1,15; სამხრეთ კორეა – 1,76; ეგვიპტე – 0,76; კენია – 1,13; პაკისტანი – 76; ინდოეთი – 0,80; ბანგლადეში – 0,63; არგენტინა – 0,64, კენია – 1,13. ხორბლის, ბრინჯის, შაქრის, ბამბის და რიგი მეცხოველეობისა და სხვა პროდუქტებისა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ანალიზის საფუძველზე ლინდერტი გვიჩვენებს, რომ რაც უფრო შეძლებულია ქვეყანა, მით უფრო მეტად ჰქონდა ტენდენცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლების პროტექციონისტული დაცვისა. ქვეყნები, რომელთაც ახასიათებდათ ეკონომიკის განვითარების შედარებით დაბალი დონე ცდილობენ დაბეგრონ თავისი სოფლის მეურნეობის მწარმოებლები მეტი დაგასახადებით და იღებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საერთაშორისო ფასებთან შედარებით უფრო დაბალ ფასებს. თუმცა აქაც არის გამონაკლისები და ვხედავთ მაგალითებს, როდესაც განვითარებადი ქვეყნები(მაგალითად, კენია) ცდილობენ დაიცვან საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლები [14, გვ. 218-221].

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმებით (GATT) სოფლის მეუნეობის პროდუქტები გამოეყო სხვა საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტულ ობიექტებს. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობაში არ იყო აკრძალული დემპინგი, საექსპორტო სუბსიდიები, საიმპორტო ქვოტები, დისკრიმინაცია და საერთაშორისო კარტელები.

ამჟამად, მსოფლიოს ქვეყნების უმეტესი ნაწილი აქტიურად უჭერს მხარს საკუთარ ფერმერებს, მთლიანად სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას. სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას ახდენენ ევროკავშირის განვითარებული ქვეყნები, აშშ და იაპონია. სახელმწიფოებრი მხარდაჭერა უპირატესად დაიყვანება ინდიკატური ფასის დონის დადგენაში, რომელიც ითვალისწინებს მაღალ და დაბალ ზღვრებს, რომელთა სამთავრობო გარანტირება ფერმერებისათვის საბიუჯეტო სახსრების მეშვეობით ხდება. ამ სისტემის გამოყენება დაიწყო 30-იან წლებში აშშ-ში.

ხოლო 60-იანი წლებიდან იგი გამოიყენებოდა საერთო ბაზრის ქვეყნებში, როგორც ერთიანი აგრარული პოლიტიკის ინსტრუმენტი. ამჟამად ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ფინასური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში 1,5–2-ჯერ აღემატება მისი პროდუქციის საბაზრო ღირებულებას; ასე, მაგალითად სუბსიდიებმა ევროკავშირის ქვეყნებში უკვე მიაღწიეს 45-50%-ს ფერმერთა პროდუქციის ღირებულებისა, იაპონიასა და ფინეთში – მიაღწიეს 70%-ს; აშშ სოფლის მეურნეობის განვითარებაში 30%-ზე მეტი საშუალებების დაბანდება ხდება(პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით), ვიდრე სხვა დარგებში[16].

განვითარებულ ქვეყნებში ვხვდებით ფერმერების მხარდაჭერის ორ სახეობას. ერთი უფრო ხშირად გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში, მორე აშშ-ში. ევროპული ეკონომიკა სოციალურადაა ორიენტირებული. სახელმწიფო მხარადჭერა ორიენტირებულია ისეთი სოციალური პრობლემების თავიდან აცილებაზე, რომლებიც განაპირობებენ აგრარულ სექტორში დასაქმებულების რიცხვის შემცირებას, სხვადასხვა რეგიონების სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების შემოსავლების დონეების გამოთანაბრებას და ამ შემოსავლების ეკონომიკის სხვა დარგებში დასაქმებულების შემოსავლებთან დაახლოებას.

დოტაციის დონე ევროპის ქვეყნებში აღწევს სოფლის მეურენეობის მთლიანი პროდუქციის 50% და მეტს. ჩვეულებრივ სახელმწიფო განსაზღვრავს "მიზნობრივ" ფასებს – საორიენტაციო ღირებულებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ახდენს მის მხარადჭერას, შეისყიდის ზედმეტ პროდუქციას ჭარბწარმოების შემთხვევისას. ასე, საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში, სადაც დასაქმებულია დაახლოებით 7% შრომისუნარიანი მოსახლეობისა, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების დასახმარებლად იხარჯება 38 მლრდ ევრო წელიწადში. საფრანგეთში შემოსავლის თანხის გაანგარიშება, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, ხდება მიწის კადასტრის მონაცემების, პროდუქციის საშუალო ღირებულების მაჩვენებლების, საწარმოო ხარჯების, კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გათვალისწინებით.

სახელმწიფო რეგულირების წარმატებულ დამოცდილებას გვიჩვენებენ საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო პალატები[20]. მათ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს ფერმერთათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. საფრანგეთის ყოველ დეპარტამენტში(სულ 93-ია) ფუნქციონირებს სასოფლო-სამეურნეო პალატა, რომლებიც ერთიანდებიან რეგიონების პალატებში(23 რეგიონი), ხოლო ისინი თავის მხრივ ერთიანდებიან სასოფლო-სამეურნეო პალატების ეროვნულ ასამბლეაში. დეპარტამენტის პალატას კომუნებში აქვს ფილიალები, სადაც სხვადასხვა სფეროს კონსულტანტები მუშაობენ. კონსულტანტები უშუალოდ ახორციელებენ ფერმერთა მომსახურებას, ეხმარებიან მათ წარმოების ორგანიზებაში და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში. გაწეული კონსულტაციების ნაწილი უფასოა ფერმერებისათვის და მათი ანაზღაურება ხდება პალატის ბიუჯეტიდან, ხოლო ნაწილი – გამომდინარე მათი ტიპიდან – ფასიანია. ამასთან ერთად, სახელმწიფო სისტემატურად ეხმარება ფერმერებს და მათ გაერთიანებებს, როგორც გრძელვადიანი, შეღავათიანი(20-30 წლიანი) კრედიტების გამოყოფით, ასევე მიწის კანონმდებლობის სრულყოფით.

სასოფლო-სამეურნეო პალატის ბიუჯეტის შევსების წყაროებია: გადასახადები სასოფლო-სამეურნეო მიწების მფლობელებისაგან; დეპარტამენტიდან მიღებული ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები; სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული ასოციაციიდან მიღებული სახსრები; დოტაციები ევროგაერთიანებიდან, საფრანგეთის მთავრობიდან და რეგიონული ბიუჯეტიდან; შემოსავალი, მიღებული გადასახადიდან ფერემერებისათვის გაწეულ მომსახურებაზე.

საფრანგეთს აქვს მეტად საინტერესო გამოცდილება კოოპერატივებისა და ასოციაციების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებაში. საკრედიტო თუ საგადასახადო შეღავათებით აქ ასტიმულირებენ სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის კოოპერატივების საქმიანობას. ეს შეიძლება იყოს მცირე, ნათესაური (მამა და შვილები) გაერთიანება ან მრავალრიცხოვანი გაერთიანება მეტად ძვირად ღირებული ტექნიკური საშუალების შესაძენად. ერთი ფერმერი ხშირად მონაწილეობს რამდენიმე კოოპერატიულ გაერთიანებაში.

კოოპერატიული პროცესის განვითარების შედეგად საფრანგეთში არის მრავალი სხვადასხვა დონის დარგობრივი(რძის, ხორცის, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების) ფერმერული გაერთიანებანი, რომლებიც შეიქმნენ ერთობლივად ნედლეულის გადამუშავების, შენახვის, სასაქონლო წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით ან ერთობლივად წარმოების საშუალებების (თესლების, სასუქების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სხვ.) შეძენისა და კოლექტიურად სარგებლობის მიზნით.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ე.წ. "ჩამრევმა სამსხურებმა", რომლებიც აქტიურად ფუნქციონირებდნენ XX-ე საუკუნის 50-იან, 60-იან და 70-იან წლებში. კერძოდ ფუნქციონირებდნენ მარცველეულის, ყურძნის, ღვინის, ხილის, ბოსტნეულის და მეცხოველეობის პოდუქტების სამსახურები. აღნიშნული სამსახურები იყვნენ მობილიზებულნი, რათა ხელი შეეწყოთ საფრანგეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და საექსპორტო რელიზაციისათვის.

აღნიშნული სამსახურები იქმნებოდა პარიტეტულად, ნაწილობრივ არჩევისა და ნაწილობრივ დანიშვნის საფუძველზე. ირჩევდნენ კონკრეტული პროდუქტის წარმოებაში ან გადამუშავებაში

ცნობილ ბიზნესმენებს, ამავე დროს სოფლის მეურნეობის მინისტრი ნიშნავდა ცნობილ სპეციალისტებს.

"ჩამრევი სამსახურები" ახორციელებდნენ კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურის თუ პროდუქტის წარმოებისა და რელიზაციის, მარკეტინგული პრობლემების, ექსპორტ-იმპორტის საკითხების შესწავლას, რის საფუძველზე წაუყენებდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (მთავრობას) მოცემულ პროდუქტთან დაკავშირებულ სტრატეგიულ მოსაზრებებს. ამ მოსაზრებებს მთავრობა ითვალისწინებდა თავის საქმიანობაში და მათ საფუძველზე ხორციელდებოდა სათანადო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული სამთავრობო აგრარული პოლიტიკების გამტარებლები ფუნქციონირებენ ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკისა და კანონების, სუბსიდიებისა და ქვოტების ურთიერთშეთანაწყობის პირობებში, რომელიც მიმართულია ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების დაბალანსებისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი "ფასების მხარდაჭერა" გეგმიანად მცირდება 1990 წლიდან, თუმცა ამჟამადაც გამოიყენება პრაქტიკაში, განსაკუთრებით თუ ფასები მსოფლიო ბაზარზე მცირდება დაგეგმილზე უფრო მეტად. ფრო ხშირად გამოიყენება ფინანსური დახმარებები, თუ მეურნეობა პასუხობს განსაზღვრულ მოთხოვნებს: ზრუნავს ეკოლოგიაზე, იყენებს სამამულო ტექნიკას და ა.შ.

გერმანიაში ფერმერები შემოსავლების დონის მიხედვით დაყოფილია სამ კატეგორიად. მცირე შემოსავლის მქონე კატეგორია იხდის ყველაზე დაბალ ერთობლივ გადასახადს, რომელიც ანგარიშდება გამოყენებული მიწის ფართობის საფუძველზე. შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება გადასახადი, და ასევე იზრდება მისი გამოთვლის სირთულე. ამის გარდა, აქ არსებობს სოფლისმეურნეობრივი დაკრედიტების პროგრამა, რომლის მიზანია შრომის რაციონალიზაციისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ინვესტიციური ღონისძიებების მხარდაჭერა. კრედიტის მიღება შეუძლია, მხოლოდ სოფლის მეურნეობის მეწარმეს, რომლის შემოსავლები არ აღემატება დადგენილ საზღვრებს. მძიმე კლიმატური პირობების მქონე ოლქებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს კრედიტების 5%-ს დაფარვას, ნორმალური პირობების მქონე ოლქებში – 3%-ს. კრედიტის შეღავათიანი პირობებია გათვალისწინებული ახალგაზრდა, საქმის დამწყები, ფერმერებისათვის.

აშშ მთავრობა არ ახდენს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ფასებისა და კრედიტების სუბსიდირებას. თუმცა, აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი ეხმარება ფერმერებს თავიანთი პროდუქციის რეალიზაციაში: ფერმერს შეუძლია ფასის მნიშვნელოვნად დავარდნისას ჩააბაროს პროდუქცია სახელმწიფოს შესანახად საგირავნო ფასებში და საბაზრო ვითარების გაუმჯობესების შემთხვევაში, ფერმერს შეუძლია დაიბრუნოს თავისი პროდუქტი სარეალიზაციოდ და შემოსავლიდან სახელმწიფოს გადაუხადოს მიღებული თანხა.

აშშ საბიუჯეტო ხარჯები სოფლის მეურნეობაზე მნიშვნელოვნადაა დამიკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კრიზისების წლებში ისინი იზრდებიან, ხოლო სტაბილურ პერიოდებში სახელმწიფო სუბსიდირება მნიშვნელოვნად მცირდება. ამასთან, ერთდროულად გამოიყენება რამოდენიმე ეკონომიკური ბერკეტი ფერმერების ხელშეწყობისა: გადახდები ბიუჯეტიდან, წარმოების დანახარჯების კომპენსაცია, ფასების მხარდაჭერა, საწარმოო სტრუქტურის სრულყოფის სუბსიდირება, შემუშავება და განხორციელება სხვადასხვა პროგრამისა. აშშ ფერმერებს აქვთ რიგი უპირატსობანი: მათ შეუძლიათ შეამცირონ შემოსავლის საგადასახადო ბაზა, შეამცირონ დაუბეგრავი მინიმუმით ან სოციალურ ფონდებში გადასახდელებით მთლიანი დასაბეგრი თანხა. ფერმერულ მეურენეობებს უფლება აქვთ გამოიყენონ საწარმოო განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ინვესტირებაში 25% დასაბეგრი მოგებისა და არ გადაიხადონ დაბანდებულ კაპიტალზე გადასახადი. ამ მიმართულებებს აკუთვნებენ: წყლის დამცავ ღონიძიებებს, წარმოებისა და სამეურნეო ობიექტების მოდერნიზაციას. ამასთან, მათ შეუძლიათ გადაიხადონ გადასადი სამწლიანი საშუალო წლიური შემოსავლიდან [16].

რამდენადაც სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორს ყოველი ქვეყნის ეკონომიკისათვის და მასზე უშუალოდაა დამოკიდებული ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება, სახელმწიფოს მუდმივ კონტოლს ექვემდებარება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები: მათი საბაზრო ფასების სავარაუდო გაძვირების ტენდენციის დროს სახელმწიფო იღებს ზომებს მათი შემცირებისათვის(მაგალიათად, ფერმერულ მეურნეობებს ეძლევათ სპეციალური დოტაციები) ან, პირიქით, ჭარბწარმოების კრიზისების პერიოდში და შედეგად, ფასების შემცირებით სახელმწიფო ხელოვნურად ცდილობს შეაჩეროს ფასები არსებულ დონეზე(მაგალითად, ყიდულობს ფერმერებისგან ჭარბ სასურსათო პროდუქციას).

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის თვალსაზრისით მსოფლიო საავაჭრო ორგანიზაციის (მსო) ნორმატივები ითვალისწინებენ სამ "ყვითელ (ქარვის), ცისფერ და მწვანე კალათას". "ქარვისფერი კალათა" გულისხმობს სამთავრობო პირდაპირ დოტაციებს და სუბსიდიებს. პროგრამები, რომლებიც მოიცავენ "ქარვისფერ კალათას" მსო-ს მკაცრი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენენ და მათი წილი განვითარებულ ქვეყნებში მცირდება. პირდაპირი დახმარებების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არაეფექტური საწარმოები ვერ ახერხებენ სწორედ გამოიყენონ სუბსიდიები, ხოლო ეფექტურ საწარმოებს შეუძლიათ მათ გარეშე ფუნქციონირება.

“ცისფერი კალათის” პროგრამები, მომლებიც მიმართულნი არიან წარმოების შემცირებაზე და დარგის კონკურენტუნარიანობის ხელოვნურ ცვლილებაზე. ეს შეიძლება იყოს გადასახდელი კრედიტების გადავადება, შეღავათები გადასახადებში, შეღავათიანი ან უპროცენტო კრედიტები, ვალების ჩამოწერა ან რესტრუქტურიზაცია, სასოფლო-სამეურნეო მეწარმეთა ვალების გადატანა სამთავრობო შიდა ვალის რიგში. “მწვანე კალათა” – ესაა ღონისძიებები, რომლებიც არ არის დარგთან პირდაპირ კავშირში, მაგრამ მაინც არიან მისი მხარის დამჭერნი: სასოფლო რაიონების ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მეურნეობის სფეროში სამეცნიერო კვლევები, ვეტერინარული სამუშაოები, ეკოლოგიური პროგრამები, ნიადაგის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ეს “კალათა” არ რეგულირდება მსო-ის ჩარჩოებით და სურვილის შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია დააბანდოს განუსაზღვრელი თანხები. როგორც აჩვენებს პრაქტიკა, ეს ღონისძიებანი გრძელვადიან პერსპექტივაში არ არიან ნაკლებად ეფექტურნი, ვიდრე პირდაპირი სუბსიდიები. ამერიკელი მკვლევარების მონაცემებით, აშშ-ს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მატება უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში 50%-ით უზრუნველყოფილი იყო იმ მეცნიერების დარგების სახელმწიფო დაფინანსებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობასთან[16].

საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებას მრავალმხრივი მნიშვნელობა და გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე. ერთის მხრივ, ის მიაწვდის სურსათს და ნედლეულს ეკონომიკის სხვა სექტორებს, მეორეს მხრივ, იგი შრომითი და ფინანსური რესურსების გადანაწილებით დაეხმარება სხვა განვითარებად სექტორებს; მესამე მხრივ, სხვა სექტორების პროდუქციას რომ შეიძენს და სოფლის მეურნეობის მოთხოვნას რომ გაზრდის მათზე, ამით ხელს შეუწყობს სხვა არასასოფლო-სამეურნეო სექტორების გაფართოვებას, მთლიანად საშინაო ბაზრის მასშტაბების გადიდებას. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და მისგან წარმოებული პროდუქციის ექსპორტის განვითარებით, იგი გამოიმუშავებს მეტ სავალუტო შემოსავალს და მოახდენს დადებით გავლენას საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებზე; სურსათის იმპორტის ჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოებით, შემცირდება იმორტის საჭიროება და ხელი შეეწყობა დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირებას.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების მიზანი მდგომარეობს სასიცოცხლო მნიშვნელობის კვების, სურსათის ხარისხის გაუმჯობესებაში, ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. აგრარული პოლიტიკა უნდა განაპირობებდეს სასოფლო არეალებში, საბაზრო ფაქტორის გაძლიერებას, ღარიბი ოჯახების უკეთ თვითუზრუნველყოფას, მათ ჩართვას ადგილობრივ თუ საგარეო ბაზრებში. იგი მოიცავს მიწას, ფინანსურ კაპიტალს, შრომას და რიგ შემთხვევაში სარწყავი წყლით(ირიგაციით) თუ დრენაჟით უზრუნველყოფას და გარემოს სათანადო პირობებს, სასოფლო ოჯახების მონაწილეობას შრომის ბაზარში, მათ მაქსიმალურ ჩართვას თანამედროვე აგრარულ სწავლებასა და სასოფლო-სამეურნეო ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელებაში.

სახელმწიფობრივი რეგულირების მოქმედების არეალი არ შემოისაზღვრება მხოლოდ სექტორის ფარგლებით, იგი ვრცელდება საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, გადამამუშავებელ მრეწველობასა და სხვა სექტორებზე და სფეროებზე. აგრარული პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს მრავალგვარ, განსხვავებულ პრობლემებზე: ესაა, მეურნეობის(ფერმის) ოპტიმალური, ეფექტური ზომების დამკვიდრება თუ მეურნეობების კრედიტებით, ტექნიკით, ტექნოლოგიებით და წარმოების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა თუ გასაღების ბაზრების გაფართოება, სოფლის მოსახლეობის სიღარიბის შემცირება და ა.შ.

აგრარული სექტორის რეგულირებას, რომელიც რიგ ქვეყნებში სურსათის წარმოებასა და მეთევზეობის ქვესექტორებს მოიცავს, ხუთ ძირითად მიზანს მოიცავს. თავის მხრივ ეს მიზნები მოიცავენ რიგ შემადგენელ ამოცანებს. უპირველეს მიზანს შეადგენს მოსახლეობის დაცვა და ჯანსაღი კვება. იგი მოიცავს: საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ხელშეწყობას; ფიტო და ზოოვეტერინალური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას; განსაკუთრებული შემთხვევებისათვის საკვები პროდუქტების მომარაგების დაგეგმვასა და სამთავრობო რეზერვების შექმნას; წყალდიდობისა და სანაპირო ეროზიის საწინააღმდეგო მოქმედებების ხელშეწყობას. შემდგომ მიზანს შეადგენს: სოფლისა და სასოფლო ადგილების გარემოს გაცვა, რომელიც გულისხმობს სოფლის ეკონომიკურ ხელშეწყობას, განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობების რეგიონებსა და რაიონებში; წყლისა და გარემოს სხვა დაბინძურების შემცირებას, ზღვის დაცვას, მისი ფლორისა და ფაუნის ჩათვლით; გარემოს დაცვას და ბიოლოგიური მრავალფეროვნების გაუმჯობესებას. უმნიშვნელოვანესი მიზანია სოფლის მეურენეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეკონომიკის გაძლიერება. ამის მისაღწევად საჭიროა საერთო აგრარული პოლიტიკის განხორციელება, კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; პირობების შექმნა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეფექტური განვითარებისათვის; პირუტყვთა, ფრინველთა და მცენარეთა დაავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა.

მნიშვნელოვან მიზანს შეადგენს პირუტყვთა და მცენარეთა დაცვა, რაც გულისხმობს სათანადო ნორმების შემუშავებასა და ღონისძიებათა განხორციელებას. მნიშვნელოვან მიზნად მიიჩნევა აგრარული პოლიტიკის გამტარებელთა ეფექტური საქმიანობა, რაც გულისხმობს სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური მომსახურებით უზრუნველყოფას, რესურსების სათანადო, ოპტიმალურ გაადგილებას (განაწილებას) და მათ ეფექტურ მართვას.

სამთავრობო რეგულირების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტების ჯგუფს შეადგენს: სამთავრობო ხარჯები; სექტორის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა (ირიგაცია, მარცვლეულისა და სხვა მოსავლის საცავები); ტრანსპორტირება და მარკეტინგში ხელშეწყობა; სექტორისათვის სასურველი საკრედიტო გარემოს ფორმირება; შეღავათიანი კრედიტების ორგანიზება; სასოფლო-სამეურნეო კვლევების ორგანიზება; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელების ორგანიზება; მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვის პროგრამების დაფინანსება; მიწების დაცვისა და გაუმჯობესების პროგრამების დაფინანსება და სხვა [1, გვ. 19-22].

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირებისა წარმოადგენს სამთავრობო ხარჯები. ბიუჯეტიდან გაწეული სათანადო ხარჯებით აგრარულ სექტორში შესაძლებელია მრავალგვარი მიზნების განხორციელება. რიგი ხარჯებით ხორციელდება ინვესტიციები ისეთ ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა ირიგაცია და დრენაჟი, მოსავლის შესანახი საცავები, საგზაო-სატრანსპორტო კომუნიკაციები. ხარჯებით ხორციელდება მარკეტინგული კვლევები, ასევე მწარმოებლების პირდაპირი უზრუნველყოფა შეღავათიანი კრედიტებით თუ კრედიტების საპროცენტო გადასახადების სუბსიდირება; დაფინანსება კვლევებისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელება, სათანადო პროგრამებით მარცვლეულის წარმოებისა და შესყიდვის დაფინანსება ადგილობრივი წარმოების პრობლემების დასაძლევად, მიწის საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების თუ სხვა პროგრამების მხარდაჭერა და განხორციელება.

მეორე ჯგუფს, სახელმწიფო ინტერვენციული ინსტრუმენტებისა, მიაკუთვნებენ კონტროლის ინსტრუმენტებს. ეს ჯგუფი, აგრარული პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტებისა, მოიცავს სხვადასვაგვარ მაკონტროლებელ საქმიანობებს. ესაა, სასოფლო სამეურნეო წარმოების, სურსათის ხარისხისა და სურსათით ვაჭრობის პირობების კონტროლი; ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწების ხარისხობრივი და ირიგაციის ფუნქციონირების მდგომარეობა და სხვა. კერძოდ, ხორციელდება ზედამხედველობა: ფასებზე (განსაზღვრულ შემთხვევებში) და სავაჭრო სექტორზე(პროდუქციის ხარისხი, შესაბამისობა), სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე(სარგებლობის პირობები, ხარისხობრივი პარამეტრები) და საირიგაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე; ასევე ხორციელდება ფიტო-სანიტარული და ზოო-ვეტერინალური კონტროლი და სხვა.

აღსანიშნავია ტენდენცია, რომ მთელს მსოფლიოში, მთავრობები ცდილობენ გამოიყენონ პოლიტიკის არაპირდაპირი ინსტრუმენეტები, ვიდრე პირდაპირი კონტროლი.

აგრარული სამთავრობო პოლიტიკის ინსტრუმენტების მესამე ჯგუფს, რიგ ქვეყნებში შეადგენს, პირდაპირი მართვა სასოფლო სამეურნეო თუ კვების მრეწველობის საწარმოებისა და მათი მარკეტინგისა. ეს ეხება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ობიექტებს. მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია სახელმწიფო სექტორის აღნიშნულ საწარმოთა შემცირებისა, თუმცა რიგ ქვეყნებში ისინი არსებობენ.

აგრარული პოლიტიკა ასევე მოიცავს ინსტრუმენტების განსხვავებულ ფართო სპექტრს, კერძოდ ესაა: სურსათზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე ექსპორტისა და იმპორტის სატარიფო განაკვეთები, ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოებისათვის წარმოების საშუალებების საიმპორტო ტარიფები, ფერმერთა დახმარებები (გრანტები), სერტიფიცირების სისტემები, სურსათის ხარისხის რეგულირება, მეთევზეობის ლიცენზირება, სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდების სტატუსის განსაზღვრა, მიწის რეგისტრაციის სისტემის რეგულირება; აგრარული პოლიტიკის გამტარებელი სტრუქტურების ფორმირება და ფუნქციონირებაში ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო კვლევების, მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვა-გავრცელებისა და კონსულტირების ღონისძიებათა განხორციელება; საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების საკუთრებრივი და მმართველობითი პასუხისმგებლობების განსაზღვრა; წყლის მომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბება, პრივატეზაციის განხორციელება, სასოფლო გარემოს დაცვის, სამთავრობო სასოფლო საფინანსო სისტემების ჩამოყალიბება, სასურსათო დახმარებები ღარიბებისათვის და სხვა.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირება, დღეისათვის, მეტად უნდა იყოს კოორდინირებული ეკონომოკური პოლიტიკის სხვა არეალებთან და სხვა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ მის განხორციელებას: მაგალითად, ცენტრალური ბანკი მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს სასოფლო ფინანსურ პოლიტიკას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების – საკუთრებით თუ იჯარით გაცემის – საკითხებს, ფინანსების სამინისტრო მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს სასოფლო-სამეურნეო კვლევების, ირიგაციის და დრენაჟის პროგრამების დაფინანსებას, გარემოსდაცვითი სამინისტრო, მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური დაცვის საკითხებს და ა.შ.

სამთავრობო სფეროებში აგრარული განვითარების პოლიტიკა უნდა იყოს მზარდად მნიშვნელოვანი მრავალი სამინისტროსა და სააგენტოსათვის(თუ აგრარული პოლიტიკის სხვა გამტარებლებისათვის). ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მთავრობების (ავტონომიური, რეგიონნული), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა კოოპერატივების, წყლის მომხმარებელთა ასოციაციების, სექტორზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების, და სხვა დეცენტრალიზებული ორგანიზაციების, კონკრეტული აგრარული თუ სასურსათო სექტორის ხელშემ-

წყობი საქმიანობების კარგი დაგეგმვა და განხორციელება. ამასთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა ეკავოს ცენტრალური ადგილი და აგრარული პოლიტიკის მაკორდინებელი როლი.

სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, წესრიგის პოლიტიკის ფარგლებში, სათანადო საკაანონმდებლო ჩარჩოების უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ, განაპირობებს სექტორის განვითარების არჩეული მოდელის განხორციელებას. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს სექტორის წინსვლა, მხარი დაუჭიროს მის ეკონომიკურ აქტიურობას და მასში არ უნდა იყოს ჩადებული დესტრუქციული, თუ განვითარების პროცესების შემაფერხებელი მოსაზრებები. ამავე დროს უნდა განხორციელდეს სწორი კომპლექსური ღონისძიებები, როგორც მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის, ისე გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. შრომითი, სავაჭრო, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კანონები, ასევე მიწის საკუთრებისა თუ საიჯარო კანონმდებლობა, სრულად უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს აგრარული სექტორისა თუ სასოფლო სფეროების თავისებურებებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სოფლისა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრიბივი რეგულირებისა არის ხელშეწყობა ადექვატური ინსტიტუტებისა თუ სტრუქტურების ფორმირებისათვის და განვითარებისათვის, რათა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის განვითარების მზარდი მოთხოვნა, მარკეტინგიდან დაწყებული, შინამეურნეობების მომსახურებებით დამთავრებული, განხორციელდეს მეურნეობათა თუ გადამამუშავებელ საწარმოთა სათანადო ფინანსებით (კრედიტებით) უზრუნველყოფა.

ამ მხრივ უკანასკნელი სამი წლის (2013-2015) განმავლობაში საქართველოს მთავრობამ და კერძოდ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ამოქმედდა "შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი", "სამთავრობო პროგრამა – აწარმოე საქართველოში", "სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი", "მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი"; ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა; ყველა მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა და დაიწყო ფუნქციონირება სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა და ა.შ. აგრარული სტრატეგიის წარმატებულად განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ პროექტებისა და პროგრამების სათანადოდ განხორციელებაზე, ამასთან, ისინი ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობრივი წარმოების, მთლიანად სასოფლო ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებს.

სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის გარდაქმნა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს: სასოფლო შინამეურნეობებისა და საწარმოების ოპტიმალური საშუალო ზომების ფორმირებას და შესაბამისად სავარგულების გადანაწილებას; რეგიონების, ტერიტორიების შიდადარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავებას, სოფლის მეურნეობის ხელშემწობი მომსახურების სფეროებისა და ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებას და ა.შ. აღნიშნული პროცესი მოითხოვს მნიშვნელოვან სამთავრობო ფინანსურ მხარდაჭერას.

სასოფლო-სამეურნეო რეფორმირება მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, განკერძოების საკითხი კერძოდ, საქართველოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობისა და პრობლემატურობის გამო, მოითხოვდა მსოფლიოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკების რიგ გამოცდილებათა მეცნიერულ გააზრებას, ქვეყნისათვის მისაღები სოფლის მეურნეობის განვითარების მოდელების ფართო განხილვის საფუძველზე, საუკეთესო ვარიანტის შერჩევასა და სათანადო სამთავრობო სტრატეგიის შემუშავებას.

მართებულად მიგვაჩნია პროფ. ნ. ჭითანავას პოზიცია, რომ " საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე ეკონომიკის, კერძოდ აგრარული მეურნეობის გადასვლის პროცესში ფაქტობრივად იგნორირებული იყო ეკონომიკის განვითარების, პროგნოზირების, პროგრამირებისა და დაგეგმვის ფუძემდებლური პრინციპები"; "საჭირო იყო განვითარების რეალური სინამდვილის სისტემური (კომპლექსური) ანალიზი-შეფასება და მის საფუძველზე ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიზნის, ამოცანების, ეტაპების, მექანიზმების სწორად განსაზღვრა განხორციელება. საჭირო იყო რესურსების კონცენტრაცია და არა დაქსაქსვა, ორგანიზება და არა სტიქიის აშვება, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და არა ამბიციების დაოკების გარემოს შექმნა" [19, გვ. 117-120; 148].

მიწის, დასაქმების სფეროს სიდიდის, ქვეყნის რეალური განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსის, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარების, ქვეყნისათვის ჯანსაღი კვების პროდუქტების წარმოებისა და სასურსათო უსაფრთხოების, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გარე მიგრაციისაგან დაცვის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობა კვლავაც რჩება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საწარმოო სფეროდ.

გარდამავალ პერიოდში კეინზის თეორიის სწორედ და შემოქმედებითად გააზრება მეტად მნიშვნელოვანი იყო, როგორც საერთოდ ე.წ. ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის, ისე კერძოდ საქართველოს ეკონომიკის სწორი ტრანსფორმაციისათვის. სწორად მიგვაჩნია პროფ. რ. ასათიანის პოზიცია, რომ "კეინზიანური მოდელი დღესაც აქტუალურია" საქართველოსთვის. ჩვენ ვიზიარებთ მის მოსაზრებას, რომ "კეინზიანურმა რევოლუციამ" "დიდი როლი შეასრულა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში, ამასთან, რაც მთავარია, დააჩქარა კაპიტალიზმის გადაზრდა ახალ თვისობრიობაში – საბაზრო, რეგულირებად ეკონომიკაში"[18, გვ. 35].

შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ საქართველოს სოფლის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, სასოფლო შინამეურნეობათა საშუალო ზომის ოპტიმალურად გადიდებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, იგი უნდა ზღუდავდეს მეტად დიდი მეურნეობების და შესაბამისად მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნასა და ფუნქციონირებას. სავარგულების პრივატიზებისა თუ ყიდვისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლად მცხოვრებ და სოფლისმეურნეობრივი გამოცდილების მქონე ფიზიკურ პირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო შინამეურნეობების განვითარებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა და უქმნის მთავრობების მიერ განხორციელებული ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობს სურსათისა და სოფლისმეურნეობრივი საქონლის იმპორტის, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, არ ითვალისწინებს იმპორტ-ჩამნაცვლებელი და ექსპორტ-გამავითარებელი წარმოების წინაშე არსებულ პრობლემებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშემწყოფი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი კრედიტების აღების სირთულე, მცირე და საშუალო ზომის შინამეურნეობების უმეტესი ნაწილისათვის და მეტად მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ინვესტიციების სიმცირე ან ხელმიუწვდომლობა, შინამეურნეობების წარმოების საშუალებებით მომმარაგებელი და პროდუქციის რეალიზაციის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა და ა.შ., განაპირობებენ სასოფლო შინამეურნეობების დაბალპროდუქტიულობას, სასაქონლო წარმოების დაბალ დონეს, მთლიანად მათი განვითარების სირთულეს და უპერსპექტივობას.

საქართველოში, გამომდინარე არსებული ვითარებიდან და სასოფლო შინამეურნეობების მდგრადი განვითარების აუცილებლობიდან, საჭიროა მიწების გადანაწილების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს შინამეურნეობათა საშუალო ზომების გადიდებას 2-3 ჰა-მდე. ამავე დროს, ადგილობრივი მიწის რესურსებიდან გამომდინარე, რეგიონებისათვის დიფერენცირებულად უნდა განისაზღვროს მეურნეობების საშუალო, მაქსიმალური თუ მინიმალური ზომა, დადგინდეს იჯარით გასაცემი მიწის ზღვრული სიდიდე. აგრარული პოლიტიკა, მიმართული უნდა იყოს მცირე და საშუალო შინამეურნეობების გაერთიანებისაკენ, გლეხური და ფერმერული კოოპერატივების, ასოციაციების შექმნისაკენ. ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მოსახლეობის საჭიროებების და მოთხოვნის შესწავლას, მარკეტინგული მომსახურების განვითარებას, სოფლად აქტიურად მოქმედი საკრედიტო კავშირების ორგანიზებას. ასევე აუცილებელია, სოფლის პრობლემების დაძლევის კომპლექსური რეგიონული პროექტების შექმნა და მათი სახელმწიფო დაფინანსება.

სამთავრობო პოლიტიკამ, ერთის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს შინამეურნეობების გაერთიანებების, კოოპერატივების შექმნას და მათთვის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტექნიკური საშუალებების შესაძენად შეღავათიანი საკრედიტო სისტემების ორგანიზებას, ხოლო მეორეს მხრივ, სათანადო პროექტებითა და კრედიტებით, სოფლად უნდა განავითაროს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით მომსახურეობის განმახორციელებელი ცენტრები (საკუთრების სხვადასხვა ფორმით), რომლებიც უზრუნველყოფენ შინამეურნეობების სათანადო მომსახურებას. ამგვარი ხელშეწყობა განაპირობებს, მთლიანად სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის განვითარებას და შინამეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ეფექურად გამოყენების პროცესს.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შინამეურნეობებისათვის განკუთვნილი აგროტექნოლოგიების კვლევების განმახორციელებელი ინსიტუტებისა თუ სამეცნიერო ცენტრების დაფინანსებას, რომელთაც რეგიონებსა თუ რაიონებში ექნებათ საცდელ-სადემონსტაციო სადგურები და რომლებიც განახორციელებენ ჯიშთა გამოცდას, შერჩევასა და დარაიონებას, სასელექციო სამუშაოების ჩატარებას. საჭიროა გაფართოვდეს და გამრავალფეროვნდეს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების საქმიანობა, რომლებმაც უნდა იტვირთონ მცირე, საშუალო და მსხვილი შინამეურნეობების ინფორმაციული და საკონსულტაციო მომსახურება. მათ ხელი უნდა შეუწყონ ახალი, გაუმჯობესებული კულტურების, ჯიშების და ტექნოლოგიების გავრცელებას, მათი წარმოების სწორ ორიენტაციას, შიდა და გარე ბაზრების მოთხოვნებზე.

სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური კულტურების და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობის და პროდუქტულობის გადიდებას, ხოლო მეორე მხრივ, მან უნდა ასტიმულიროს შინამეურენობების გაერთიანება, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება. ამგვარი სასოფლო შინამეურნეობების გაერთიანებანი უნდა უადვილებდნენ მის წევრებს, ერთობლივად კრედიტების აღებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო მასალების ერთობლივ შეძენას, ერთგვაროვანი ნედლეულის წარმოებასა და წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციას. მან ასევე უნდა ასტიმულიროს შინამეურენობათა მდგრადი განვითარება, ხელი უნდა შეუწყოს მოწინავე აგროტექნოლგიების თუ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პირობების კარგად მცოდნე, მეურნეების(გლეხები, ფერმერები) ჩამოყალიბებას.

აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი ტენდენციაა წარმოების ოპტიმალური კონცენტრაციაა, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურენობათა საშუალო ზომების გადიდების ტენდენცია

და მამულების კონსოლიდაცია მიმდინარეობს, როგორც საბაზრო ძალების ზეგავლენით, ისე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენით. ვფიქრობთ, კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს ოპტიმალური ოჯახური მეურენობების შენარჩუნებას. იგი არ უნდა უწყობდეს ხელს არც ძალიან მსხვილი მეურენეობების შექმნას და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას.

საჭიროა გამოვყოთ სასოფლო ტერიტორიები, რომლებიც წარმოებრივი სფეროების სტრუქტურით, სოციალური მომსახურების პირობებით, დასახლებების ხასიათით და მათში ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით, კავშირურთიერთობების სისტემით, მნიშვნელოვნად უახლოვდებიან ქალაქს. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, სასოფლო ადგილებს, რომლებიც რაიონული ცენტრების ბაზაზე ვითარდებიან, მსხვილ სასოფლო დასახალებებს, რომელთა საწარმოო ფუნქციები ცდება სოფლის მეურნეობას, რომელშიც ფუნქციონირებენ სამრეწველო, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, სოციალურ-კულტურული საწარმოები და ობიექტები.

ამავე დროს, არსებობენ სასოფლო დასახლებები, რომელშიც შრომის გამოყენების სფერო, მხოლოდ სოფლის მეურნეობაა, მათ ახასიათებთ დასახლების მცირე ზომები, ქალაქებთან, რაიონულ ცენტრებთან, სხვა სოფლებთან საგზაო-სატრანსპორტო კავშირების შეზღუდულობა და განუვითარებლობა, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მეტად დაბალი დონე ან არ არსებობობა. ეს ხშირ შემთხვევაში, მთიანი რეგიონებში ან ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს მნიშვნელოვნად დაცილებული სოფლებია.

საჭიროა ცალკეული რეგიონების, მუნიციპალიტეტების ფარგლებში გამოიყოს ყველაზე დაშორებული ან საგაზაო-სატრანსპორტო კავშირებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე სასოფლო დასახლებები, გაირკვეს მათი საწარმოო, რეკრეაციული თუ სხვა ფუნქციების მნიშვნელობა, განისაზღვროს მათი შენარჩუნებისა და განვითარების პერსპექტივები. ყოველ ადმინისტრაციულ რეგიონს და მუნიციპალიტეტს უნდა გააჩნდეს ტერიტორიალური განვითარების პროგრამმები, სადაც კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, დასახული იქნება პრობლემების მქონე სასოფლო დასახლებების გადარჩენის კონკრეტული, რეალისტური გეგმები.

სოფლის განვითარება უნდა განიხილებოდეს მთლიანად ქვეყნის ტერიტორიულ-საწარმოო და განსახლებითი(როგორც ქალაქის, ისე სოფლის) სისტემების განვითარების ასპექტში. ამ სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭიროა: ა)ცალკეული რეგიონების, ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომპლექსური გააზრება, მწარმოებლური და არამწარმოებლური დარგების ეფექტური განვითარების, რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით; ბ)ხელი უნდა შეეწყოს მრეწველობის (კვების, მსუბუქი) საწარმოების ჩამოყალიბებას როგორც საშუალო, პატარა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, ისე სასოფლო ტერიტორიებზე, აუცილებელია მსხვილი ქალაქების (განსაკუთრებით ეს ეხება ქ. თბილის) განტვირთვა (გადაჭარბებული მშენებლობებისგან, ტრანსპორტისგან, საწარმოო თუ მომსახურების ობიექტებისგან); გ)ხელი უნდა შეეწყოს ოპტიმალური ზომის, სიცოცხლის უნარიანი სასოფლო სამეურნეო შინამეურნეობების ფორმირებას და განვითარებას, მათ წარმოებათა ტექნიკური და ტექნოლოგიური პირობების ეტაპობრივ გაუმჯობესებას და მათი სპეციალიზაციის, სასაქონლო წარმოებისა და შემოსავლების ზრდას; დ)უნდა განვითარდეს კომუნიკაციათა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ, როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო კავშირებს, მოცემული მუნიციპალიტეტის (რეგიონის) ფარგლებში, რაც ხელმისაწვდომს გახდის, ყველა სასოფლო დასახლებისათვის, საჭირო ინფორმაციის თუ მომსახურების მიღებას, ან რაიონულ ცენტრებსა თუ ქალაქებში განთავსებული სხვადასხვა სიკეთეებით ან მომსახურებებით სარგებლობას; ე)უნდა ხელი შეეწყოს განათლების, სამედიცინო მომსახურების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვა მომსახურების ტერიტორიული სისტემების ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ ტერიტორიაზე, ყველა დასახლებული პუნქტის მცხოვრებს, ამ მომსახურეობათა მიღების შესაძლებლობებით; ვ)უნდა გაიზარდოს სასოფლო ადგილების რეკრეაციული ფუნქცია, განვითარდეს სასოფლო სასტუმროების, დასასვენებელი სახლების, სასოფლო ტურისტული ობიექტების სისტემა.

პერსპექტივაში საქართველოს ქალაქებსა და მუნიციპალიტეტურ ცენტრებში მრეწველობისა და სხვა ინდუსტრიული სექტორების განვითარებამ და სოფლის მეურენობაში შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის ამღლებამ უნდა შექმნას სოფლის მოსახლეობაში დასაქმებულთა შემცირების ტენდენცია. თუმცა ამჟამად როდესაც ქალაქებშიც მეტად მაღალია უმუშევრობის დონე, აქცენტი უნდა გაკეთდეს სოფლად დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებაზე.

საჭიროა დაიგეგმოს პატარა, საშუალო და დიდი ქალაქების განვითარებაც, მოხდეს მათი წარმოებრივი სფეროების ოპტიმალური სპეციალიზაცია, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების გამოთანაბრება, გაუმჯობესდეს ქალაქებს შორის საგზაო-სატრანსპორტო და სხვა კავშირების სისტემები. სხვადასხვა ქალაქებისა და სასოფლების სისტემების ტერიტორიების ჩართვა საერთო საწარმოო-განსახლებით სისტემათა ჩარჩოებში, შექმნის შესაძლებლობებს მათი ეკონომიკური და სოციალური განსხვავებების ნიველირებისა, "ქალაქი–სოფელი" ან "მუნიციპალიტეტის ცენტრი–სოფელი" ერთიანი ტერიტორიულ განსახლებითი სისტემების ფორმირებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Roger D. Norton. Agricultural Development Policy: Concepts and Experiences, Published: John Willey &Sons Ltd, West Sussex, England, 2004; Cop.: FAO of the UN, 2004.
2. I. A. Schumpeter. History of Economic Analysis, N. Y., 1954.
3. Erskine Mckinley. The Theory of Economic Growth in the English Classical School, Theoties of Economic Growth, ed. Bert F. Hoselitz et al. Glencoe, Ill.; Free Press, 1960.
4. E.F. Hecksher. Mercantilism. vol.2. L., 1955.
5. Nurske R., Problems of Capital Formation in Undeveloping Countries and Patterns of Trade and Development. New York, Oxford Univercity Press, Galaxy Books, 1967.
6. Leibensteine H., Theory of Economic-Demografher Development. Princetion University Press, 1954.
7. Rosenstein-Rodan P., Notes on the Theory of the Big Push, - Ellis H. S. and Wallich H. C. (eds.), Economic Development in Latin America, N. Y. , Macmillan, 1961.
8. Rostow W., Stages of Economic Growth, Cambridge, Cambridge University Press, 1960.
9. Tinbergen I., The Design of Development. Baltimore, Johns Hopkons Press, 1958.
10. Chenery H., The Role of Industrialization in Development programs. – American Economic Review 45(May 1955).
11. Дж. М. Кейнс, Общая теория занятости, процента и денег, М., Изд-во иностр. Лит-ры, 1948.
12. Джер Р. Берман, "Теория экономического развития", в кн. Современная экономическая мысль, под. ред. Сиднея Вайнтрауба, (перевод с английского), изд.-во Прогресс, М., 1981г.
13. П. Самуельсон, Экономика, т. 1, М., НПО "Алгон", 1992.
14. П.Х. Линдерт. Экономика мирохозяйственных связей, пер. с англ., М., изд.-во "Прогресс", 1992.
15. А. В. Аникин, Юность Науки: жизнь и идеи мыслителей до Маркса. 3-е изд., М., Политиздат, 1979.
16. Л. Б. Зимина, Сельское хозяйство - 3 март 2012 - 16 апреля 2012 – budjet.ru/article/177647.php
17. Формирование основных направлений сельскохозяйственной политики ЕС http://coolref.ru/kontrolnaya/7431.html
18. რ. ასათიანი, საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი, გამ.-ბა "სიახლე", თბ., 2014
19. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. II ნაწილი, თბ., 1999წ.
20. The Information of Study Tour in France, DFID Facilitation of World Bank Competitive Grants Scheme Project (Landell Mills, France), CA 17 International, 2002.

Zurab Revishvili

THE PROBLEMS OF STATE REGULATION OF RURAL ECONOMY

Annotation

The paper discuses same theoretical aspects of state intervention in the economy. Is shown the international experiences of state interventions in agriculture. The article also deals with agricultural objectives and instruments.

Special attention is paid to the agriculture and rural development problems and their state regulation priorities in Georgia.

At the end of the article developed the idea of "city-village" common resettlement and socio-economic systems formation in Georgia.

ლინა დათუნაშვილი

სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, რომლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ, გეოგრაფიულმა თავისებურებებმა და რეგიონების მიხედვით განსხვავებულმა მრავალფეროვანმა ნიადაგურ-კლიმატურმა და ეკონომიკურმა პირობებმა. აღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ტრადიციული პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავდა და დღესაც განსაზღვრავს ქვეყნის ადგილსა და როლს შრომის საერთო დანაწილებაში, წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში.

ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმების ფონზე, აგრარული სფერო ჯერ კიდევ არ არის გამოსული კრიზისული მდგომარეობიდან, რაც, ძირითადად, განპირობებულია მეურნეობების დაქუცმაცებულობით, მისი ექსტენსიური და ნატურალური ხასიათით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირით და მისი გამოყენების დაბალი დონით. ასეთ პირობებში მაღალია ხელით შრომის ხვედრითი წილი, შეზღუდულია ფერმერთა ფინანსური შესაძლებლობები. შეინიშნება სოფლად მიკროსესხების უკმარისობა და სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემის განუვითარებლობა.

აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, ქვეყანაში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეალური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების გაანგარიშების გარკვეულ სირთულეს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

2006 წლის შემოდგომაზე, საქართველოში გატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად, სტატისტიკოს-აღმრიცხველთა ინსტიტუტი გაუქმდა. მანამდე კი, სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს ადგილობრივი საკრებულოს სტატისტიკოს-აღმრიცხველთა მიერ საკრებულოს დონეზე მოწოდებული მონაცემები წარმოადგენდა, რაც, შეჯერების შედეგად, ინფორმაციის რაიონულ დონეზე წარმოდგენის საშუალებას იძლეოდა. 2006 წლიდან ინფორმაციის ძირითად წყაროს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა წარმოადგენს (დაახლოებით 5000 მეურნეობა), რაც არ არის საკმარისი რაიონის დონეზე მაჩვენებელთა უმეტესი ნაწილისათვის სარწმუნო შეფასების მისაღებად, რამდენადაც საიმედო სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით კეთდება ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების მეცნიერული კვლევა. ამდენად, ადგილობრივი საკრებულოების სტატისტიკოს-აღმრიცხველთა შემცირება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ეს განყოფილება უნდა აღდგეს და განაახლოს ფუნქციონირება. მათთან ერთად შეიძლება შერჩევითი გამოკვლევაც ვაწარმოოთ და მათ მიერ მოძიებული ინფორმაციის შედეგების ერთმანეთთან შეჯერებით შეიძლება უფრო საიმედო სტატისტიკური მონაცემები მივიღოთ.

საქართველოში ბოლო წლებში სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები არასტაბილურია და შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც, ზემოთ აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, მემცენარეობაში ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან (გვალვა, სეტყვა, წვიმები, წყალდიდობა), ხოლო მეცხოველეობაში ეპიდემიური დაავადებების (ქათმის გრიპი, ღორის ცხელება) გავრცელებასთან არის დაკავშირებული, რის გამოც ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-თან მიმართებაში 2000-2014 წლებში 20,6%-დან 9,2%-მდე შემცირდა, ასევე იკლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილმა ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავალში, რაც 2000 წელს 15,5%-ის ტოლი იყო, ხოლო 2014 წელს 7,9% შეადგინა, სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა ამავე პერიოდში 2127 ათასი კაციდან 2079 ათას კაცამდე შემცირდა. კლების ტენდენცია შეინიშნება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობაშიც.

მიუხედავად სოფლის მეურნეობაში ძირითადი მაჩვენებლების შემცირების ტენდენციისა, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მიმდინარე ფასებში მლნ ლარი) 2000-2014 წლებში 1632,7 მლნ ლარიდან 3378,1 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც, ჩვენი აზრით, სხვა მიზეზებთან ერთად, ინფლაციის მაღალი დონითაც არის განპირობებული, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ წლებში გაიზარდა სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასი (ლარი/კგ): ძროხის ხორცის – 3,71 ლარიდან 12,68 ლარამდე; ღორის ხორცის – 3,64 ლარიდან 11,70 ლარამდე; ქათმის ხორცის – 4,48 ლარიდან 6,5 ლარამდე; გაყინული თევზის – 2,82 ლარიდან 5,35 ლარამდე; მზესუმზირის ზეთის – 1,97 ლარიდან 3,22 ლარამდე; იმერული ყველის – 3,22 ლარიდან 8,02 ლარამდე [2].

ზრდის ტენდენცია ფიქსირდება კარტოფილის, ხმელი ლობიოს, კვერცხის, შაქრის, ჩაისა და სხვა სასურსათო პროდუქტების ფასებშიც. ამასთან, მცირდება ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ). 2000-2013 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა: ხორბლის წარმოება 2კგ-ით; ბოსტნეულის 34 კგ-ით; ხილის 9 კგ-ით; ყურძნის 2 კგ-ით; ხორცის 14კგ-ით; რძის 10 ლ-ით, ხოლო კარტოფილის წარმოება გაიზარდა 3კგ-ით; კვერცხისა კი 28 ცალით, სიმინდის – 14 კგ-ით.

ჩვენ მიერ მოყვანილი მასალის ანალიზის მიუხედავად, მაინც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის ბუნებრივი, ნიადაგურ-კლიმატური პირობები მნიშვნელოვან რეზერვს ფლობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურისა და დარგის ფართო და მაღალეფექტიანი განვითარებისათვის, რაც ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდია ქვეყნის ცალკეული რაიონის, მხარისა და რეგიონის შესაძლებლობა სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ კულტურისა და დარგის უპირატესი განვითარების მიმართულებით და სწორედ მათი ოპტიმალური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება უნდა გახდეს აგრარული სფეროს შემდგომი განვითარების საფუძველი.

საანგარიშო პერიოდში (2000-2014წწ.) შეიცვალა თანაფარდობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში მემცენარეობის, მეცხოველეობის და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წილებს შორის (პროცენტულად):

ცხრილი №1 [2,3]

	2000	2010	2014
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება სულ	100	100	100
მემცენარეობა	48	42	44
მეცხოველეობა	52	55	51
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	–	3	5

მემცენარეობის წილი: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში წლების განმავლობაში ტოლი იყო 1996 წელს – 55%-ის; 1999 წელს – 57%-ის, 2005 წელს – 53%, ხოლო 2014 წელს ეს მაჩვენებელი 44%-მდე შემცირდა. შესაბამისად გაიზარდა მეცხოველეობის წილი. ბოლო პერიოდში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში, რომელთა წილი ნათესი ფართობების მიხედვით ასეთია (ცხრილი №2):

ცხრილი №2 [2,3]

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ჰა)

კულტურების დასახელება	**2000**	**%**	**2014**	**%**
სულ ნათესი ფართობი	610,8		316,6	
საშემოდგომო მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, ჭვავი)	119,5	19,6	61,5	19,4
საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი, პარკოსანი კულტურები)	266,9	43,7	184,8	58,3
სულ მარცვლოვანი პარკოსნები	386,4	63,3	236,3	77,7
			2008 წელი (მზესუმზირა)	**2008 წელი**
ტექნიკური კულტურები (მზესუმზირა, სოია, თამბაქო, არაქისი)	69,8	11,4	29,7	9,0
კარტოფილი და ბოსტნეული	93,1	15,2	46,9	14,8
საკვები კულტურები (მრავალწლიანი კულტურები, ერთწლიანი ბალახები)	61,5	10,1	23,6	7,5

ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში ცვლილებები შეინიშნება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში. როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ამ პერიოდში გაიზარდა მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ხვედრითი წილი 63,3%-დან 77,7%-მდე. 2000-2008 წლებში ტექნიკური კულტურების ფართობი 69,8 ათასი ჰა-დან 29,7 ათას ჰა-მდე შემცირდა.

ტექნიკური კულტურებიდან საქართველოში აწარმოებდნენ შაქრის ჭარხალს, რომელსაც ძირითადად იყენებდნენ შაქრის ფხვნილის მისაღებად. გასული საუკუნის 90-იან წლებში იწარმოვა 55 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, ხოლო საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 488 ცენტნერი. ამ კულტურის წარმოებით ძირითადად დაკავებული იყო შიდა ქართლის რაიონები: ქარელი, ხაშური და გორი. 2008 წლიდან შაქრის ჭარხლის ადგილობრივი წარმოება შეწყვეტილია, რაც ერთ-ერთ უარყოფით მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. ქვეყანაში მზესუმზირასაც მცირე რაოდენობით აწარმოებდნენ, 2008 წელს მზესუმზირის ნათესმა ფართობმა 29,3 ათასი ჰა, ხოლო წარმოებამ 15 ათასი ტონა შეადგინა. ეს კულტურა ძირითადად გაადგილებულია კახეთის რეგიონში. მეთამბაქოეობა საქართველოში განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. ქვეყანა 1985 წელს 20 ათას ტონა თამბაქოს აწარმოებდა, ძირითადად აჭარის რეგიონში, 2006 წელს თამბაქოს წარმოება 0,3 ათას ტონამდე შემცირდა. დღეისათვის თამბაქოს წარმოება აჭარაში ასეთია: რეგიონში თამბაქო მოჰყავთ 110 ჰა ფართობზე, ხოლო წლიურად 250 ტონამდე ხმელი თამბაქო იწარმოება, რომლის რეალიზაცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ხდება. 1 კგ თამბაქოს საბითუმო სარეალიზაციო ფასი 5-25 ლარის ფარგლებში მერყეობს.

თამბაქოს ფოთლის ეს რაოდენობა ოჯახურ მეურნეობებშია წარმოებული. აჭარაში ფუნქციონირებს ქართული სიგარის მწარმოებელი კომპანიები: შპს „Adjarian Tobacco“ (2007 წელს დაარსებული); შპს „იმერი“ (1991 წელს დაარსებული); შპს „გოლდი“ (1996 წელს დაარსებული). 2008 წლის შემდეგ სტატისტიკურ კრებულებში თამბაქოს წარმოება აღარ აღირიცხება.

2000-2014 წლებში თითქმის განახევრდა კარტოფილისა და ბოსტნეულის ფართობი (93,1 ათასი ჰა-დან 46,9 ათას ჰა-მდე). მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში გარკვეული ზომით შეიცვალა ერთწლიანი კულტურების სტრუქტურა. გასათვალისწინებელია ტექნიკური კულტურების რეალური მდგომარეობა და ამ კულტურების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ კულტურების წარმოებას გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს, რაც მათ სუბსიდირებაში და ამ კულტურების წარმოებაში დასაქმებული მეურნეებისთვის შეღავათიანი კრედიტის გაცემაში უნდა გამოიხატოს, ასევე გასათვალისწინებელია კოოპერატივების შექმნის აუცილებლობა.

საანგარიშო პერიოდში შეიცვალა მრავალწლიანი კულტურების სტრუქტურა, რაზედაც მიგვანიშნებს ცხრილი №3-ის მონაცემები.

ცხრილი №3 [2,3]

მრავალწლიანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა)

მრავალწლიანი კულტურების დასახელება	წლები					
	1995		2000		2014	
	ათასი ტ	%	ათასი ტ	%	ათასი ტ	%
1. ხილი	383,9	39,0	250,0	47,7	229,0	43,1
2. ყურძენი	422,4	44,0	210,0	40,1	224,9	42,3
3. ციტრუსი	118,0	13,0	40,0	7,6	76,2	14,3
4. ჩაი	38,5	4,0	24,0	4,6	1,8	0,3
სულ	962,8	100	524,0	100	531,9	100

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ხილის წარმოება შემცირდა როგორც 1995 წლის (154,9 ათასი ტონით), ასევე 2000 წლის (21 ათასი ტონით) მაჩვენებლების მიხედვით. აღნიშნულ პერიოდში თითქმის განახევრდა ყურძნის წარმოება; 41,8 ათასი ტონით იკლო ციტრუსის, ხოლო კატასტროფულად შემცირდა ქვეყნის ტრადიციული დარგის – ჩაის წარმოება.

ბოლო 20 წლის განმავლობაში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები შეინიშნება მეცხოველეობის დარგების მიხედვით.

ცხრილი №4 [2,3]

პირუტყვის, ფრინველისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა საქართველოში ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი სული)

დასახელება	წლები		
	1995	2000	2014
1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მ.შორის ფური და ფურკამეჩი	944,1 514,4	1122,1 640,1	1278,0 665,2
2. ღორი	366,9	411,1	204,8
3. ცხვარი და თხა	793,3	633,4	919,6
4. ფრინველი. ათასი ფრთა	13846,7	7825,5	7272,6
ფუტკრის ოჯახი. ათასი სკა	54,7	97,6	403,4

როგორც ცხრილი №4-ის მონაცემებიდან ჩანს, მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და საანგარიშო პერიოდში ნამატმა 333,9 ათასი სული შეადგინა, ასევე ზრდა დაფიქსირდა ცხვრისა და თხის სულადობაში – 126,3 ათასი სული, რაც ძირითადად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სოფლად თითო კომლს გასული საუკუნის 90-იან წლებამდე არ ჰქონდა უფლება, ჰყოლოდა ორ სულ საქონელზე მეტი. ახლა ეს შეზღუდვა მოხსნილია და მეურნეს რამდენი სული საქონლის მოვლის საშუალებაც აქვს, იმდენი სული პირუტყვი შეუძლია ჰყავდეს. ქვეყანაში 2007-2008 წლებში გავრცელებულმა ფრინველის გრიპმა და ღორის ცხელებამ ნეგატიური გავლენა იქონია ფრინველისა და ღორის სულადობაზე, რომელთა რაოდენობა 2000-2014 წლებში თითქმის განახევრებულია. სოფლად მეურნეს გარკვეული შიში გააჩნია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ვირუსული დაავადებები კიდევ არ გავრცელდეს. ვფიქრობთ, საჭიროა, მეტი ყურადღება გამახვილდეს ცხოველთა და ფრინველთა დაავადებების წინააღმდეგ, რისთვისაც ვეტერინარული სამსახურები მობილიზებული უნდა იყვნენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის დროული ვაქცინაციისათვის.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში ფიქსირდება ფუტკრის ოჯახის მნიშვნელოვანი ზრდა (348,7 ათასი სკა), რაც დადებითი მოვლენაა. ქართულმა ფუტკარმა დიდი მოწონება და აღიარება მოიპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ქართული ფუტკარი, თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო (მას შეუძლია შორ მანძილზე ფრენა და თავისი გრძელი ხორთუმით ნექტრის შეგროვება), საჯიშედ გაჰყავთ სხვადასხვა ქვეყანაში. მეფუტკრეობას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მისდევენ (მაღალმთიანი რეგიონების გარდა).

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, 2000-2014 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები შეინიშნება. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში შემცირდა როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი (294,2 ათასი ჰა), ისე ამ კულტურების წარმოება (235,4 ათასი ტ). შეიცვალა თანაფარდობა სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებს შორის. 48%-დან 44%-მდე შემცირდა მემცენარეობის, 1%-ით მეცხოველეობის, ხოლო 5%-ით გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურეობის ხვედრითი წილი სოფლის მეურ-ნეობის პროდუქციის გამოშვებაში.

ერთწლიანი კულტურების სტრუქტურაში გაიზარდა მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ხვედრითი წილი 14,4 პროცენტული პუნქტით. შემცირდა ტექნიკური კულტურების,

კარტოფილისა და ბოსტნეულის, ასევე საკვები კულტურების ხვედრითი წილი შესაბამისად: 2,4; 0,4; 2,6 პროცენტული პუნქტით.

2000-2014 წლებში ტექნიკური კულტურებიდან მნიშვნელოვნად შემცირდა მზესუმზირის, მინიმუმამდე დავიდა თამბაქოს, ხოლო წარმოებიდან იქნა ამოღებული შაქრის ჭარხალი.

მრავალწლიანი კულტურებიდან გაიზარდა ყურძნის (14,9 ათასი ტ) და ციტრუსის (36,2 ათასი ტ), ხოლო შემცირდა ხილის (21,0 ათასი ტ.) და მინიმუმამდე დავიდა ჩაის ფოთლის წარმოება.

ბოლო 14 წლის მანძილზე შეიცვალა მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურა: გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (155,9 ათასი სული), ცხვრისა და თხის სულადობა (286,2 ათასი სული) და ფუტკრის ოჯახის რაოდენობა (305,8 ათასი სკა). შემცირდა ყველა სახის ფრინველისა (559,9 ათასი ფრთა) და ღორის (206,3 ათასი სული) სულადობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის არსებული მდგომარეობა საქართველოში. გასული საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების გამო და საფეიქრო მრეწველობის დაკნინების ფონზე მეაბრეშუმეობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს, ტრადიციულ და უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა, დღეს აღარ არსებობს.

ვფიქრობთ, ქვეყანაში მიმდინარე ყოველგვარი ცვლილება, მათ შორის სოფლის მეურნეობაში, უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი წარმოების სურსათით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას და მთლიანობაში ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, რისთვისაც ქვეყანაში არსებობს გარკვეული პოტენციური შესაძლებლობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. დათუნაშვილი. სასურსათო უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ.VI. თბილისი 2013.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული. თბილისი. 2005.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი. 2015.
4. http://adjara.gov.ge/branches.

Lina Datunashvili

STRUCTURAL CHANGES IN GEORGIAN AGRICULTURE

Annotation

The article analyzes structural changes in Georgian agriculture in 2000-2014, reflected in agricultural production, the decrease of plant-growing share, the increase of agriculture service share, the decrease of the share of technical cultures, potato and vegetable, as well as of folder crops, the increase of leguminous plants, cereals in the structure of annual cultures, in perennial cultures; the increase of grape and citrus production, the decrease of fruit and especially tea leaf production.

the article proves that in sectoral structure of cattle-breeding the number of cattle, goat and sheep, and bee hives as well, the number of pigs and poultry has been increased; silk-worm breeding sector has disappeared quite.

ლინა დათუნაშვილი

ერთწლიანი კულტურების წარმოების პრობლემები საქართველოში

ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ქვეყნის ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში. ამ პერიოდში გაიზარდა მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ხვედრითი წილი 63,3%-დან 77,7%-მდე. 2000-2009 წლებში შემცირდა ტექნიკური და საკვები კულტურების ხვედრითი წილი 11,4%-დან 7,0%-მდე; უმნიშვნელოდ გაიზარდა კარტოფილის, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და სხვა კულტურების ხვედრითი წილი.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში შეიცვალა თანაფარდობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების მიხედვით ოჯახურ მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის. 1990-2013 წლებში 20,7%-დან 95%-მდე გაიზარდა ოჯახური მეურნეობების ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთლიან ნათეს ფართობებში. ამავე პერიოდში ქვეყანაში მთლიანად 610,8 ათასი ჰექტარიდან 316,6 ათას ჰექტრამდე შემცირდა ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი. შესაბამისად იკლო ერთწლიანი კულტურების წარმოებამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1215,5 ათასი ტონიდან 980,1 ათას ტონამდე.

2014 წელს რეგიონების ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების მიხედვით ასეთია: კახეთის რეგიონის წილი შეადგენს 31,3%-ს (99,0 ათასი ჰა); იმერეთის – 16,9% (53,5 ათასი ჰა); სამეგრელო-ზემო სვანეთის – 14,2%-ს (45,1 ათასი ჰა), ქვემო ქართლის – 10,6%-ს (33,6 ათასი ჰა); შიდა ქართლის – 9,7%-ს (30,7 ათასი ჰა); სამცხე-ჯავახეთის – 92% (29,0 ათასი ჰა); დანარჩენი რეგიონებისა – 8,1%-ს (25,6 ათასი ჰა).

ერთწლიანი კულტურებიდან **მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი** კულტურების ნათესი ფართობი ქვეყნის რეგიონების მიხედვით 2000-2013 წლებში 386,4 ათასი ჰექტარიდან 236,3 ათას

ჰექტრამდე, ანუ 134,3 ათასი ჰექტრით შემცირდა. ამ პერიოდში შემცირების ტენდენცია შეიმჩნეოდა შიდა ქართლის (5,1%), ქვემო ქართლის (5,6%), სამცხე-ჯავახეთის (3,7%) და დანარჩენ რეგიონებში (0,2%); ზრდა დაფიქსირდა იმერეთის (0,6%); სამეგრელო – ზემო სვანეთის (3,0%); კახეთის (8,9%) და გურიის (1,8%) რეგიონებში. აღნიშნული კულტურების ნათესი ფართობების შემცირების მიუხედავად, 2000-2013 წლებში გაიზარდა მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების წარმოება 73,3 ათასი ტონით, რაც მოსავლიანობის საშუალო დონის 1,3 ტ/ჰა-დან 2,1 ტ/ჰა-მდე მატებამ განაპირობა. ამ პერიოდში ამაღლდა ხორბლის (0,8ტ/ჰა); შვრიის (1,1ტ/ჰა); ლობიოს (0,2ტ/ჰა); ქერის (0,6ტ/ჰა) და სიმინდის მარცვლის (0,8ტ/ჰა) საშუალო მოსავლიანობა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

მარცვლოვან და მარცვლოვან-პარკოსან კულტურებში **ხორბლის** კულტურას საქართველოს რეგიონებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. 2000-2013 წლებში ხორბლის ნათესი ფართობი 105,2 ათასი ჰექტარიდან 45,0 ათას ჰექტრამდე, ანუ 60,2 ათასი ჰექტრით შემცირდა. შესაბამისად იკლო ხორბლის წარმოებამ 306,5 ათასი ტონიდან 81,0 ათას ტონამდე, ანუ 225,5 ათასი ტონით. ხორბლის ფართობი შემცირდა შიდა ქართლის (21,7 ათასი ჰა); კახეთის (18,6 ათასი ჰა); ქვემო ქართლის (11,8 ათასი ჰა); იმერეთის (1,5 ათასი ჰა); მცხეთა-მთიანეთის (2,4 ათასი ჰა); სამცხე-ჯავახეთის (4,2 ათასი ჰა) რეგიონებში;

ხორბლის წარმოება გაიზარდა კახეთისა (17,3 ათასი ტ) და იმერეთის (1,1 ათასი ტ) რეგიონებში. შემცირება დაფიქსირდა შიდა ქართლის (23,2 ათასი ტ), ქვემო ქართლის (1,5 ათასი ტ), მცხეთა-მთიანეთის (1,3 ათასი ტ) და სამცხე-ჯავახეთის (1,2 ათასი ტ) რეგიონებში.

ბოლო 13 წლის განმავლობაში ხორბლის მოსავალი რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი იყო 2001 და 2003 წლებში, როდესაც საქართველოში 306,5 და 225,4 ათასი ტონა ხორბალი აწარმოეს, რასაც ხელი შეუწყო ხორბლის საშუალო მოსავლიანობის ზრდამ შესაბამისად 2,7ტ/ჰა-თი და 1,9ტ/ჰა-თი, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ წლებში ხორბლის მაღალი მოსავლის პირობებში გაძნელდა მისი რეალიზაცია, რაც ნაწილობრივ ქვეყანაში წარმოებული ხორბლის მაღალმა თვითღირებულებამ და შესაბამისად მაღალმა ფასმაც განაპირობა, რომელიც მაღალი იყო იმპორტული ხორბლისა და ფქვილის ფასზე, რის გამოც ქვეყანაში წარმოებული ხარისხიანი ხორბლის დიდი ნაწილი საფურაჟედ იქნა გამოყენებული. ამ და სხვა ფაქტორებმა გარკვეული ზომით ხორბლის მწარმოებელი ფერმერების იმედგაცრუება გამოიწვია და შემდგომ წლებშიც იქონია გავლენა ხორბლის წარმოების შემცირებაზე.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში შეიმჩნევა ხორბლისა და მესლინის დიდი რაოდენობით იმპორტის და მცირე რაოდენობით ექსპორტის ზრდა. 2007-2012 წლებში ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით ზრდა დაფიქსირდა ხორბლისა და მესლინის როგორც ექსპორტში, შესაბამისად ღირებულებით მაჩვენებელში 6944 ათასი დოლარიდან 59062 ათას დოლარამდე, ხოლო ნატურალურ მაჩვენებელში 26726 ტ-დან 174396 ტ-მდე, ისე იმპორტში 139189 ათასი დოლარიდან 239953 ათას დოლარამდე და 559943 ტ-დან 897589 ტ-მდე.

საქართველოში მნიშვნელოვან მარცვლოვან კულტურას წარმოადგენს **სიმინდი**, რომელიც, იმის გარდა, რომ სასარგებლო საკვებია მოსახლეობისათვის, ასევე გამოიყენება საფურაჟედ და სასილოსედ, როგორც პირუტყვის საკვები. გარდა ამისა, სიმინდისაგან მიიღება გლუკოზო-ფრუქტოზული სიროფი, რომელიც ფართოდ გამოიყენება საკონდიტრო, ღვინისა და სპირტის წარმოებაში. სიმინდისაგან ასევე იღებენ საკვებ ზეთს, სიმინდის ექსტრაქტს და სხვა პროდუქტებს.

ქვეყანაში 2000-2013 წლებში შემცირდა სიმინდის ნათესი ფართობი 219,6 ათასი ჰა-დან 150,4 ათას ჰა-მდე, ანუ 69,2 ათასი ჰექტრით. რეგიონების მიხედვით ეს პროცესი ასეთ სურათს იძლევა: სიმინდის ნათესი ფართობი შემცირდა: იმერეთის (24,9 ათასი ჰა); სამეგრელო-ზემო სვანეთის (13,9 ათასი ჰა); გურიის (4,0 ათასი ჰა); ქვემო ქართლის (9,5 ათასი ჰა) და დანარჩენ რეგიონებში (10,6 ათასი ჰა); ამ პერიოდში უმნიშვნელოდ გაიზარდა სიმინდის ნათესი ფართობი კახეთის რეგიონში (3,7 ათასი ჰა).

სხვა სურათია სიმინდის წარმოების მხრივ. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სიმინდის წარმოება 68,0 ათასი ტ-ით გადიდდა. ქვეყნის რეგიონების მიხედვით სიმინდის წარმოება გაიზარდა იმერეთის (16,6 ათასი ტ); გურიის (17,6 ათასი ტ); კახეთის (51,1 ათასი ტ); ქვემო ქართლის (6,9 ათასი ტ) და დანარჩენ რეგიონებში (3,6 ათასი ტ). სიმინდის წარმოება ამ პერიოდში შემცირდა მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის (27,8 ათასი ტ) რეგიონში. სიმინდის წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა 2013 წელს, 2000 წელთან შედარებით, ამ კულტურის მოსავლიანობის ამაღლებამ, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 1,6 ტ/ჰა-დან 2,4 ტ/ჰა-მდე გაიზარდა, სამეგრელოს-ზემო სვანეთის არ შეცვლილა და იყო 2,3 ტ/ჰა. სიმინდის მოსავლიანობა ყველაზე მაღალი იყო გურიის რეგიონში 4,2 ტ/ჰა. ეს მაჩვენებელი კახეთის, ქვემო ქართლის და დანარჩენ რეგიონებში 2,1; 2,5 და 2,6 ტ/ჰა-მდე გაიზარდა. ბოლო პერიოდში ქვეყანაში ადგილი აქვს სიმინდის როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდის ტენდენციას. 2007-2012 წლებში ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით ზრდა დაფიქსირდა სიმინდის როგორც ექსპორტის ღირებულებით მაჩვენებელში – 4046 ათასი დოლარიდან 7678 ათას დოლარამდე და ნატურალურ მაჩვენებელში 17255 ტ-დან 22980 ტ-მდე, ისე იმპორტში, შესაბამისად 3349 ათასი დოლარიდან 9445 ათას დოლარამდე და 16400 ტ-დან 22983 ტ-მდე.

მთელი მსოფლიოს მსგავსად, საქართველოშიც, დიდია მოთხოვნილება ხორბალსა და სიმინდზე, როგორც ძვირფას საკვებსა და საფურაჟე კულტურაზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე თბილისის ბაზარზე ერთი კილოგრამი სიმინდის ფქვილის ფასი 70-90 თეთრს არ აღემატებოდა. 2007 წლის გაზაფხულზე ერთი კილოგრამი სიმინდის ფქვილის ფასი 1,50 ლარი გახდა, ხოლო 2012 წლიდან დღემდე მისი ფასი ორ ლარს გაუტოლდა. სიმინდის ფქვილზე ფასების მატება, ვფიქრობთ, მასზე მოთხოვნილების ზრდამ და ინფლაციურმა პროცესმაც განაპირობა.

ბოლო პერიოდში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მარცვლოვან კულტურებს ფართოდ იყენებენ მწვავე ენერგეტიკული პრობლემის შესარბილებლად, ენერგოსაწვავის – ეთანოლის მისაღებად, რომელიც შიდაწვის ძრავებში ბენზინის ნაცვლად გამოიყენება. მსოფლიოში ბოლო წლებში ხორბლისა და სიმინდის ფასის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რაც ძირითადად აზიის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის მიერ მარცვლოვანი კულტურების მოხმარების ზრდამ და აღნიშნული პროდუქტების დიდი რაოდენობით ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენებამ განაპირობა. ენერგეტიკული მიზნებით (საწვავის მისაღებად) ამ კულტურების გამოყენება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ კულტურებზე ფასების კიდევ უფრო გადიდებას. მარცვლოვან კულტურებზე ფასების ზრდა იწვევს მეცხოველეობის პროდუქტებზე ფასების შესაბამის გადიდებას.

საქართველოში 2001-2003 წლებში მარცვლოვანი კულტურების მაღალი მოსავალი გვაფიქრებინებს ამ კულტურების წარმოებაში დიდი რეზერვის არსებობას, რომელიც ეფექტურად უნდა გამოიყენონ მარცვლეულის მწარმოებელმა ფერმერებმა, რამდენადაც მარცვლეულის წარმოება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების საფუძვლად არის მიჩნეული. ამიტომ ყველა ღონისძიებით უნდა ავამაღლოთ მარცვლეული კულტურების წარმოება საქართველოში, რათა გარკვეული ზომით დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება აღნიშნულ სურსათზე. აუცილებელია მარცვლეულის წარმოების გადიდებასთან ერთად ფერმერებს გააჩნდეთ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციისათვის მყარი გარანტიები, რასაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საკონტრაქტო სისტემის დანერგვა.

საქართველოს რეგიონებში მოსახლეობა მისდევს გარკვეული რაოდენობით **ქერის** წარმოებას. აღნიშნული კულტურის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით 2000-2013 წლებში 41,1 ათასი ჰა-დან 29,9 ათას ჰა-მდე შემცირდა. ქერს აწარმოებენ შიდა ქართლის, კახეთის, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, სადაც ქერის ნათესი ფართობი გაიზარდა შიდა ქართლის (4,4-დან 10,2 ათას ჰა-მდე) და კახეთის (11,1-დან 11,9 ათას ჰა-მდე), ხოლო შემცირდა ქვემო ქართლის (9,8-დან 0,8 ათას ჰა-მდე) და სამცხე-ჯავახეთის (13,9-დან 6,2 ათას ჰა-მდე) რეგიონებში. მიუხედავად ქერის ნათესი ფართობის შემცირებისა, აღნიშნულ წლებში გაიზარდა ამ კულტურის წარმოება რეგიონების მიხედვით 5 ათასი ტონით; ზრდა დაფიქსირდა შიდა ქართლის (3,5 ათასი ტ-ით) და კახეთის (7,9 ათასი ტ) რეგიონებში, ხოლო შემცირდა ქვემო ქართლის (4,7 ათასი ტ) და სამცხე-ჯავახეთის (1,0 ათასი ტ) რეგიონებში. ქერის წარმოების ზრდა განაპირობა მოსავლიანობის ამაღლებამ კახეთის (0,7 ტ/ჰა), ქვემო ქართლის (0,6 ტ/ჰა) და სამცხე-ჯავახეთის (0,8 ტ/ჰა) რეგიონებში. 2007-2012 წლებში ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა ქერის ექსპორტში, შესაბამისად ღირებულებით მაჩვენებელში 230 ათასი დოლარიდან 8 ათას დოლარამდე, და ნატურალურ მაჩვენებელში 1019 ტონიდან 11 ტონამდე, ისე იმპორტში 602 ათასი დოლარიდან 123 ათას დოლარამდე და 3415 ტ-დან 395 ტონამდე. ქერის წარმოების ამაღლებას ხელი უნდა შეუწყოს მასზე მოთხოვნილების გადიდებამ.

ქვეყნის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკვებ პარკოსან კულტურას წარმოადგენს **ლობიო**, რომლის ნათესი ფართობი 2000-2013 წლებში საქართველოს რეგიონებში 11,4 ათასი ჰექტრიდან 8,4 ათას ჰექტრამდე შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ლობიოს მოსავალი 2,5 ათასი ტონიდან 10,5 ათას ტ-მდე გაიზარდა, რაც მოსავლიანობის ამაღლებით იქნა მიღწეული. ამ კულტურის მცირე რაოდენობით მწარმოებელია აჭარის არ, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები, ლობიო უფრო დიდი რაოდენობით მოჰყავთ იმერეთის (2,4 ათასი ტ); შიდა ქართლის (2,4 ათასი ტ) და ქვემო ქართლის (1,7 ათასი ტ) რეგიონებში. ლობიო ის პარკოსანი კულტურაა, რომელმაც ქვეყნის მოსახლეობას კრიზისის წლებში (1993-2005) მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა კვების პროდუქტებზე მოთხოვნილება. სხვადასხვა ჯიშის ლობიოს ერთი კილოგრამის ფასი აღნიშნულ პერიოდში 1,50 ლარიდან 4,50 ლარამდე მერყეობდა. მომავალში ამ პარკოსანი კულტურის წარმოება უნდა გაიზარდოს და მან, როგორც ყოველთვის, გარკვეული ადგილი უნდა დაიკავოს ქვეყნის მოსახლეობის კვების რაციონში (როგორც ერთ-ერთმა ტრადიციულმა კულტურამ სიმინდთან ერთად).

წლების მანძილზე საქართველოში ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებული იყო ეთერზეთოვანი კულტურების, მზესუმზირის, თამბაქოსა და სხვათა წარმოება. 2001-2008 წლებში მზესუმზირის ნათესი ფართობი 43,7 ათასი ჰა-დან 29,5 ათას ჰა-მდე, მთლიანი მოსავალი 41,8 ათასი ტ-დან 15,1 ათას ტ-მდე, ხოლო საშუალო მოსავლიანობა 1 ტ-დან 0,5 ტ-მდე შემცირდა. მზესუმზირა ძირითადად მოჰყავთ კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

მზესუმზირის სამშობლოდ ჩრდილოეთ ამერიკა (ამერიკის შეერთებული შტატები) ითვლება. ეს მცენარე ტენის, სითბოსა და სინათლის მოყვარულია, გვალვასაც უძლებს და ხანმოკლე

სუსხსაც იტანს, კარგად ხარობს ტენიან, ჰაერ და წყალგამტარ შავმიწა ნიადაგზე. მზესუმზირის ზეთს იყენებენ კულინარიაში, ხოლო მზესუმზირის ჩენჩოზე 10%-იანი სინთეზური წებოს დამატებით და დაწნეხით იღებენ მოზაიკურ, ძვირფას საავეჯო ფილებს და სხვა ნივთებს. მისგან აწარმოებენ ქაღალდს. ეს მცენარე ევროპაში პირველად მე-16 საუკუნეში შემოიტანეს.

მზესუმზირას აქვს უნიკალური თვისება – შეუძლია შეამციროს და ამოიღოს ნიადაგიდან ტოქსიკური ელემენტები (ტყვია, დარიშხანი, ურანი). ბირთვული კატასტროფის შემდეგ ბევრმა მოხალისემ დარგო მზესუმზირა, ამ ნივთიერებებისაგან რადიოაქტიური ნიადაგის გასაწმენდად. მზესუმზირის მარცვლები ნერვების დასამშვიდებლად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ეს ანტიდეპრესანტები თითქოს აძინებენ ნერვულ სისტემას.[1]

იმის გამო, რომ ქვეყანაში წარმოებულ მზესუმზირის თესლზე დაბალი იყო მოთხოვნა და მისი რეალიზაცია ფერხდებოდა, შემცირდა მისი წარმოება. ბოლო პერიოდში სურათი შეიცვალა. სასურსათო პროდუქტებზე, მათ შორის იმპორტულ ზეთზე ფასების მატება ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების გამოცოცხლებას. მზესუმზირის ზეთის გამოსახდელად კახეთის რეგიონში უნდა აშენდეს მცირე სიმძლავრის, ახალი ტექნოლოგიით აღჭურვილი საამქროები. ამ საკითხით უნდა დაინტერესდნენ ბიზნესმენები, რადგან ქვეყანაში წარმოებული მზესუმზირის თესლი და მისგან დამზადებული ზეთი ეკოლოგიურად გაცილებით უფრო სუფთაა, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი აღნიშნული სახის პროდუქცია.

2007-2012 წლებში, ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით, შემცირდა მზესუმზირის თესლის ექსპორტი როგორც ღირებულებით მაჩვენებელში 1007 ათასი დოლარიდან 102 ათას დოლარამდე, ისე ნატურალურ მაჩვენებელში 2300 ტ-დან 55 ტ-მდე; ხოლო იმპორტი შესაბამისად 29334 ათასი დოლარიდან 13724 ათას დოლარამდე და 27014 ტ-დან 21440 ტ-მდე.

ამავე პერიოდში გაიზარდა ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით მზესუმზირის და ბამბის ზეთის როგორც ექსპორტი ღირებულებით მაჩვენებელში 1391 ათასი დოლარიდან 1738 ათას დოლარამდე და ნატურალურ მაჩვენებელში 949 ტ-დან 1370 ტ-მდე, ისე იმპორტი, შესაბამისად, 29334 ათასი დოლარიდან 56228 ათას დოლარამდე და 27014 ტ-დან 40312 ტ-მდე.

საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში მოჰყავთ მაღალი ხარისხის **თამბაქო**, რომლის ნათესები ძირითადად გაადგილებულია აჭარის არ მაღალმთიან, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში; ქვემო ქართლის – მარნეულის; კახეთის რეგიონის – ლაგოდეხის რაიონებში. საქართველოში გავრცელებულია „სამსუნგის“ და „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო. ამ კულტურის ნათესი ფართობები 2000 წელს 1,9 ათას ჰა-ს, წარმოებული პროდუქცია 1,9 ათას ტონას, ხოლო მოსავლიანობა 1 ტ/ჰა-ს შეადგენდა.

2012 წელს ქვეყანაში შემცირდა როგორც თამბაქოს ნათესი ფართობი, ისე მოსავლიანობა და შესაბამისად წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, რამაც დიდი გავლენა იქონია საქართველოდან თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან დამზადებული სიგარებისა და სიგარეტების ექსპორტზე, რომელიც 2007-2012 წლებში ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით ღირებულებით მაჩვენებელში 59 ათასი დოლარიდან 5 ათას დოლარამდე, ხოლო ნატურალურ მაჩვენებელში (ათასი ცალი) 8417-დან 40-მდე შემცირდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა (თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან) სიგარებისა და სიგარეტების იმპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით, ღირებულებით მაჩვენებელში – 39075 ათასი დოლარიდან 90565 ათას დოლარამდე, ხოლო ნატურალურ მაჩვენებელში (ათას ცალობით) – 2 098 086-დან 5 990 552-მდე.

მეთამბაქოეობა მაღალშემოსავლიანი დარგია, ამიტომ ქვეყანაში თამბაქოს მწარმოებელთა ინტერესი დარგის განვითარებისადმი დიდია. საქართველოში წარმოებული თამბაქო გამოირჩევა საუკეთესო არომატით, უხვი მოსავლით, მაღალი ხარისხითა და ნიკოტინის დაბალი შემცველობით. მეთამბაქოეობის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია ამ დარგით დაინტერესებულ ბიზნესმენებზე და მათ მიერ დარგში ჩასადები ინვესტიციების მოცულობაზე.

კარტოფილის წარმოება დღეისათვის მსოფლიოში ხორბლის წარმოების შემდეგ ერთ-ერთ საპატიო ადგილზეა. იგი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტია, რაც მისი მაღალი კვებითი ღირებულებით და მრავალმხრივი გამოყენებით არის განპირობებული. კარტოფილი, როგორც ნედლეული, ფართოდ გამოიყენება სპირტისა და სახამებლის წარმოებაში. სახამებლისგან მიღებულ ბადაგსა და გლუკოზას ფართოდ იყენებენ როგორც დამატკბობელ საშუალებას წვენების, ხილ-კენკროვანთა კონსერვების, კომპოტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და სხვათა წარმოებაში. ეს კულტურა სითბოს მოყვარული არ არის, ამიტომ ძირითადად მთიან რეგიონებში მოჰყავთ. ისე, როგორც სხვა პროდუქტების ფასი, კარტოფილის ფასიც გაიზარდა და 2000-2013 0,42 თეთრიდან 0,90 თეთრს გაუტოლდა.

აღნიშნულ პერიოდში კარტოფილის ნათესი ფართობი 37,3 ათასი ჰა-დან 26,2 ათას ჰა-მდე შემცირდა, შესაბამისად იკლო კარტოფოლის წარმოებამ 302,0 ათასი ტ-დან 296,6 ათას ტ-მდე, ხოლო გაიზარდა ამ კულტურის საშუალო მოსავლიანობა 8,9 ტ/ჰა-დან 11,3 ტ/ჰა-მდე. ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალი (13,2 ტ/ჰა) იყო სამცხე-ჯავახეთის და აჭარის არ (13 ტ/ჰა) რეგიონებში. მსოფლიო სტანდარტების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოზე დაბალ მოსავლიანობად

ითვლება, კარტოფილის მწარმოებელი ტრადიციული ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.

საქართველოდან კარტოფილის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2009-2012 წლებში თანხაში გამოხატული 128 ათასი დოლარიდან 97 ათას დოლარამდე, ხოლო ნატურალურ მაჩვენებელში 1489 ტ-დან 350 ტ-მდე შემცირდა. ამავე პერიოდში ახალი ან შეყინული კარტოფილის იმპორტი თანხაში გამოხატული 12 188 ათასი დოლარიდან 6 571 ათას დოლარამდე, ხოლო ნატურალურ მაჩვენებელში 52 436 ტ-დან 30 163 ტ-მდე შემცირდა.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოში ფერმერები და გლეხური მეურნეობები დაბალი შემოსავლის გამო ვერ ახერხებენ საჭირო რაოდენობის მაღალი ფასის მქონე მინერალური სასუქების შეძენას, ამიტომ ქვეყანაში წარმოებული კარტოფილი შედარებით ეკოლოგიურად სუფთაა. ამის გამო მეკარტოფილეობის რეგიონებიდან დიდი რაოდენობით კარტოფილი გადის ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც შედარებით მაღალ ფასად იყიდება, თბილისის ბაზრები კი გაჯერებულია შედარებით დაბალი ხარისხის იმპორტული კარტოფილით. იმის გამო, რომ მაღალია საწვავის ფასი, ქართველ ფერმერებს უჭირთ ამ პროდუქციის შორ მანძილზე სარეალიზაციოდ გადაზიდვა.

მეკარტოფილეობის შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია: კარტოფილის წარმოების ასამაღლებლად გაუმჯობესდეს რეგიონების მოსახლეობის უზრუნველყოფა ამ კულტურის მწარმოებელი კარტოფილის მაღალმოსავლიანი ჯიშებით. ამისათვის აუცილებელია განვითარდეს სპეციალიზებული სათესლე და სანერგე მეურნეობები. ასევე საჭიროდ მიგვაჩნია სერვისცენტრების შექმნა, რომლებიც ფერმერისაგან მისაღებ ფასად, ადგილზე შეიძენენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის პროდუქციას და ამით შეღავათს მისცემენ მათ როგორც მატერიალური ხარჯების, ისე დროის ეკონომიის თვალსაზრისით. კარტოფილის სამრეწველო გადამუშავების თვალსაზრისით, ასევე კარტოფილის გადასაზიდი ხარჯებისა და სასაწყობო მეურნეობებში მათი შენახვით გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობთ, რაციონალური და მიზანშეწონილი იქნება ამ კულტურის მოსაყვანად გამოყენებულ ფართობებზე აშენდეს კარტოფილისგან სახამებლის და სხვა სახის პროდუქციის საწარმოებლად მინიქარხნები ან მცირე სიმძლავრის ახალი დანადგარებით აღჭურვილი საამქროები.

ბოსტნეული (პომიდორი, კიტრი, ჭარხალი, კომბოსტო, წიწაკა, ნიორი, ხახვი, მწვანილი, სტაფილო, ბადრიჯანი) ერთ-ერთი აუცილებელი საკვებია მოსახლეობისათვის. სხვადასხვა სახის ბოსტნეულს, მეტ-ნაკლები რაოდენობით, ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში აწარმოებენ. 2000-2013 წლებში ბოსტნეულის ნათესი ფართობი 46,1 ათასი ჰა-დან 20,9 ათას ჰა-მდე შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში იკლო ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობამ 9,3 ტ/ჰა-დან 8,3 ტ/ჰა-მდე. ნათესი ფართობის და მოსავლიანობის შემცირებამ, სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობა ბოსტნეულის წარმოების 354,2 ათასი ტ-დან 204,8 ათას ტ-მდე შემცირება.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2006-2013 წლებში საქართველოში გაიზარდა ბოსტნეულის წარმოება ცალკეული კულტურის მიხედვით (ათასი ტონა): პომიდორის – 5,1; კიტრის – 12,1; ჭარხლის – 4,2; ნიორის – 4,2; ხახვის – 1,0; მწვანილის – 4,7; სტაფილოს – 8,7; ხოლო შემცირდა კომბოსტოს – 9,5; წიწაკის – 0,6 და ბადრიჯნის წარმოება – 4,9 ათას ტონამდე.

საქართველოდან ბოსტნეულის (ახალი და შეყინული) ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2007-2012 წლებში თანხაში გამოხატული 607 ათასი დოლარიდან 5 212 ათას დოლარამდე, ხოლო ნატურალურ გამოხატულებაში 1353 ტ-დან 6 931 ტ-მდე გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა პომიდორის, თავიანი ხახვის და ნიორის, თავიანი კომბოსტოს, სტაფილოსა და ჭარხლის ექსპორტში ღირებულებით მაჩვენებელში შესაბამისად (ათასი დოლარი): 329; 26; 29; 18; ხოლო ნატურალურ მაჩვენებელში შესაბამისად (ტონა): 645; 15; 145; 89.

უფრო მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულის (ახალი ან შეყინული) იმპორტის მხრივ ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით, აღნიშნულ წლებში თანხაში გამოხატული 2185 ათასი დოლარიდან 6630 ათას დოლარამდე, ხოლო ნატურალურ გამოხატულებაში 5422 ტ-დან 6948 ტ-მდე. ზრდა დაფიქსირდა პომიდორის, კომბოსტოს, სტაფილოსა და ჭარხლის, ასევე კიტრის იმპორტში ღირებულებით მაჩვენებელში შესაბამისად (ათასი დოლარი) 2732; 5085; 1277; 2765; ხოლო ნატურალურ მაჩვენებელში შესაბამისად (ტონა): 3756; 692; 2749; 3190.

ბაღჩეული კულტურები სხვადასხვა ოდენობით მოჰყავთ ქვეყნის იმ რეგიონში, სადაც მისი მოყვანისათვის კარგი ბუნებრივი პირობებია: იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლისა და დანარჩენ რეგიონებში. ბაღჩეულის ნათესი ფართობი 2000-2013 წლებში 9,3 ათასი ჰა-დან 2,7 ათას ჰა-მდე შემცირდა, მიუხედავად აღნიშნულ პერიოდში ბაღჩეულის საშუალო მოსავლიანობის 9,8 ტ/ჰა-დან 24,1 ტ/ჰა-მდე ზრდისა, ამ კულტურების წარმოება 80,0 ათასი ტონიდან 66,4 ათას ტონამდე შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ კახეთის რეგიონში ბაღჩეულის მოსავლიანობის დონეს – 25,7 ტ/ჰა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არსებობს დარგის განვითარების რეზერვები, რაც უნდა გამოიყენონ ამ დარგში დასაქმებულმა ფერმერებმა.

საქართველოს რეგიონებში საკვები კულტურებიდან გარკვეული ადგილი უკავია **ერთწლიან ბალახებს**, რომელთა ნათესი ფართობი 2000-2013 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა (24,3 ათასი ჰა-დან 0,9 ათას ჰა-მდე). ამ კულტურების შედარებით დიდი ნათესი ფართობი გავრცელებულია ქვემო

ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, შედარებით მცირე ფართობი აჭარის არ-ის, იმერეთის, შიდა ქართლის, კახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. აღნიშნულ წლებში ერთწლიანი ბალახების ნათესი ფართობი შემცირდა ქვემო ქართლის (3,6 ათასი ჰა), სამცხე-ჯავახეთის (18,3 ათასი ჰა) და სხვა რეგიონებში (1,5 ათასი ჰა). მიუხედავად ამ კულტურების მოსავლიანობის ზრდისა, ქვემო ქართლისა (5,0 ტ/ჰა) და სამცხე-ჯავახეთის (3,2 ტ/ჰა) რეგიონებში ერთწლიანი კულტურების წარმოებამ მაინც იკლო რეგიონების მიხედვით (19,1 ათასი ტ-დან 2,7 ათას ტ-მდე); აღნიშნული ტენდენცია დაფიქსირდა ქვემო ქართლის (3,7 ათასი ტ), სამცხე-ჯავახეთის (11,9 ათასი ტ) და სხვა რეგიონებში (0,8 ათასი ტ);

მეცხოველეობისათვის ერთწლიან კულტურებთან ერთად მნიშვნელოვან საკვებ კულტურებს წარმოადგენს **მრავალწლიანი ბალახები**, რომელთა ნათესი ფართობი მთლიანად რეგიონების მიხედვით 34,0 ათასი ჰა-დან 9,3 ათას ჰა-მდე შემცირდა. ამ კულტურების ნათესი ფართობი უმნიშვნელოდ გაიზარდა შიდა ქართლის (0,5 ათასი ჰა), ხოლო შემცირდა ყველა დანარჩენ რეგიონში. მიუხედავად მრავალწლიანი კულტურების ნათესი ფართობის შემცირებისა, მათი წარმოება აღნიშნულ პერიოდში 32,4 ათასი ტ-დან 38,4 ათას ტ-მდე გადიდდა. ზრდა დაფიქსირდა შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, შესაბამისად 2,8 და 9,8 ათასი ტონა. მრავალ-წლიანი კულტურების წარმოების გადიდება მოსავლიანობის ამაღლებამ განაპირობა მთლიანად რეგიონებში 4,5 ტ/ჰა-მდე, ქვემო ქართლის (5,3 ტ/ჰა-მდე), სამცხე-ჯავახეთის (5,4 ტ/ჰა-მდე) და სხვა რეგიონებში (3,3 ტ/ჰა-მდე).

ახლო მომავალში ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები კულტურების წარმოების ამაღლება საქართველოში ხელს შეუწყობს მეცხოველეობის დარგების შემდგომ განვითარებას.

საკვლევ პერიოდში მარცვლოვნების, პარკოსნების, კარტოფილისა და ბაღჩეულის წარმოებაში ოჯახური მეურნეობების ხვედრითი წილი შესაბამისად 93, 100, 100, 94 პროცენტამდე ამაღლდა. საქართველოში განხორციელებული მიწის რეფორმის შედეგად მოხდა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების დანაწევრება. საკარმიდამო ნაკვეთები ძალზე მცირეა ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით და შესაბამისად ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღწევად. ასეთი მცირე ფართობები ხელს უშლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებას და ამცირებს წარმოების ეფექტიანობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შედარებით დიდი ზომის ფართობის მართვა და გაძღოლა ასევე ძნელია ქართველი ფერმერისათვის, რამდენადაც მათ თითქმის არ გააჩნიათ საკ-მარისი საბრუნავი სახსრები, მექანიზაციის საშუალებები და სხვა. თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ პირობებში ფერმერულ და გლეხურ მეურნეთა დუხჭირ ცხოვრებას და მათ ფინანსურ მდგომარეობას, ორივე შემთხვევაში მათ მიერ ასეთი ფორმის მეურნეობის გაძღოლა აღნიშნულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა ახლო პერსპექტივაში მაინც გამოიწვევს მიწის ნაკვეთების გამსხვილებას. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო დაუმუშავებელია პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარკვეული ფართობი, რაც ნეგატიურად აისახება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე.

გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში (პროცენტობით).

წლები	1990	2000	2005	2013
მარცვლოვანი კულტურები	38,5	63,3	65,8	76,1
ტექნიკური კულტურები	4,7	7,5	7,3	
კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული	9,9	15,2	17,5	15,6
საკვები კულტურები	46,9	10,1	9,4	8,3

საკვლევ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში ასეთი სახის ცვლილებები (მარცვლოვანი კულტურების ხვედრითი წილის ზრდა 38,5%-დან 76,1%-მდე) მოსალოდნელი იყო. ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო სრულად მარაგ-დებოდა მარცვლეულით საერთო საკავშირო ფონდიდან. ამის გამო საქართველოში არსებული შესაძლებლობები მარცვლეულის წარმოების მხრივ შედარებით ნაკლებად იყო გამოყენებული. დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყანაში მკვეთრად უნდა ამაღლდეს მარცვლოვანი კულტურების პროდუქციის წარმოება, რათა გარკვეული ზომით დაკმაყოფილდეს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება ადგილობრივი წარმოების მარცვლეულით, რისთვისაც აუცილებელია მარცვლოვანი კულტურების წარმოებაში დასაქმებული ფერმერების კიდევ უფრო გააქტიურება. მარცვლეულის წარმოების გადიდებასთან ერთად, საჭიროა გარანტიები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის.

როგორც კარტოფილის, ისე ბოსტნეულის და ბაღჩეულის წარმოების ასამაღლებლად საჭიროა მაღალი ხარისხის სათესლე და სანერგე მასალა, რაც სანერგე მეურნეობების განვი-თარებით უნდა განხორციელდეს. ორი ათეული წლის წინ, ქვეყანაში არსებული გარკვეული სანედლეულო ბაზის და გადამამუშავებელი საწარმოების არსებობის პირობებში, საქართველოში

გადამამუშავებელ ქარხნებს გეგმაზომიერად მიეწოდებოდა აღნიშნული სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც, თავის მხრივ, აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის პროდუქციას მაღალი ხარისხის კონსერვების, წვენების, ჯემების და სხვათა სახით, როგორც ადგილობრივი მოხმარებისათვის, ისე საექსპორტოდ. საბაზრო ურთიერთობის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის გამოცოცხლებით გაიზრდება მოთხოვნა ზემოთ აღნიშნულ კულტურებზე, რაც გარკვეული სტიმული იქნება ამ კულტურების მწარმოებელი ფერმერებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისა და დარგის შემდგომი განვითარების მიზნით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას. ახლო მომავალში უნდა ამაღლდეს იმ კულტურებისა და დარგების ხვედრითი წილი, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნას სურსათზე. ამ ეტაპზე მარცვლოვანი კულტურების წარმოების ამაღლება ყველა დონეზე განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა მოექცეს, რამდენადაც საქართველოში გარკვეული ხელშეწყობით ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის ყველა პირობა და შესაძლებლობა არსებობს. ამას ემატება ისიც, რომ ბოლო წლებში მსოფლიოში გაიზარდა მარცვლეულზე მოთხოვნა და შესაბამისად ფასიც. ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზის გამო შეუქცევადია. ამიტომ მარცვლოვანი კულტურების ადგილობრივი წარმოების გადიდებით უნდა მივაღწიოთ სურსათის ამ სახეობაზე მოსახლეობის მოთხოვნილების გარკვეული ზომით დაკმაყოფილებას.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს როლი უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობის დარგებისადმი დიფერენცირებულ მიდგომაში, რაც პრიორიტეტების დადგენასა და მათზე სახელმწიფოს ხელშემწყობ ღონისძიებათა თავმოყრაში, ჩამოყალიბებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში უნდა გამოიხატოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათუნაშვილი ლ. დათუნაშვილი მ., საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების რეალური მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები. სამეცნიერო შრომების კრებული. „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“. თბილისი, 2010.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2008. 2013, თბილისი.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი 2009.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2012.
5. ჩხეიძე თ., სასურსათო უსაფრთხოება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, 2011.
6. http: // ucnauri.com/ 212135.

Lina Datunashvili

THE PROBLEMS OF ANNUAL CULTURES PRODUCTION IN GEORGIA

Annotation

The article analyzes current situation of annual cultures in Georgia in 2000-2013 (wheat, maize, technical cultures, sunflower, tobacco, potato, vegetable, melon, water melon etc) according to crop areas, average productivity and volume of output. The analysis of aforesaid shows - that the indices are low in the country and is characterized by downward tendency; for the improvement of the situation the article maps out some measures to perfect the sectoral structure of agriculture.

ლინა დათუნაშვილი

მეხილეობის განვითარების პრობლემები საქართველოში

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მეხილეობა საქართველოში საუკუნეების მანძილზე ფრიად განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. მიწათმოქმედების მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყანა ძველი დროიდანვე იქცა ხეხილის ერთიან ბაღნარად, რითაც სამართლიანად იმსახურებდა უცხო მოგზაურთა აღფრთოვანებასა და ქებას.

ფრანგი მოგზაური ჟ. შარდენი საქართველოს მეხილეობის შესახებ ასე წერდა: „აქ ხილი განსაკუთრებით ბლომად იყო და ამასთან ძალიან კარგი და ყოველგვარი. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი, აზიაშიც არ მოდის უკეთესი ბროწეული. თბილისის მიდამოები განსაკუთრებით შემკულია მშვენიერი ბაღებით, რომელიც ამავე დროს ამშვენებენ, ჩრდილსა და სიგრილეს ავრცელებენ ქალაქში“ [8].

პ. ჟუკოვსკის შეფასებით „ქართველები უძველესი მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მატარებლები არიან და სრულიად ბუნებრივია, რომ აქ ხეხილ-მცენარეთა მრავალი ენდემური სახეობაა შემორჩენილი“ [9].

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში საქართველოს მეხილეობა ასეა აღწერილი: ბაღებში ანუ წალკოტში მრავალია: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ქლიავი, მრავალგვარი ლეღვი, ბალი, ალუბალი, მსხალი და ვაშლი, მრავალგვარი კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი [1].

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მეხილეობის სამრეწველო განვითარებას ხელს უწყობდა უპირატესად ძვირფასი თესლოვანი ხეხილის უცხო ჯიშების შემოტანა. ეს ის პერიოდია, როდესაც მეფის რუსეთი ცდილობს საქართველოს გადაქცევას იაფი სამრეწველო ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმწოდებლად. ევროპიდან შემოტანილი ხილის ნერგები გაშენებულ იქნა ქართლში ი. ფურცელაძის მიერ სოფ. მერეთში, ნ. კეცხოველის მიერ – სოფ. ტყვიავში და ს. ხეთაგურის მიერ სოფ. ნიქოზში. ამ პიროვნებების დიდი დამსახურებაა ის, რომ პირველებმა მათ ჩაუნერგეს მოსახლეობას ხილის უცხო ჯიშების გავრცელების ინტერესი. ი. ფურცელაძის მიერ შექმნილი საკოლექციო ბაღი სოფ. მერეთში ბოლო პერიოდამდე საუკეთესო ბაღს წარმოადგენდა, სადაც ხეხილის 200-ზე მეტი ჯიში იყო გაშენებული, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ადგილობრივ ჯიშებს ეკუთვნოდა, როგორიცაა: კეხურა, თურაშაული, აბილაური, გულაბი და სხვა.

სამრეწველო სახით მეხილეობის განვითარებისათვის აუცილებელი იყო ნერგები, რომლის გამოყვანის საქმეს ისევ ი. ფურცელაძემ, ნ. კეცხოველმა და ს. ხეთაგურმა მოჰკიდეს ხელი. შემდგომ პერიოდში კახეთში შეიქმნა იყალთოს სანერგე, რომელიც თავისი მასშტაბით, კულტურათა და ჯიშთა მრავალფეროვნებით სრულად ვერ აკმაყოფილებდა ამ რეგიონში ხეხილის ნერგებზე მოთხოვნილებას. ამასთან ქართლის სანერგეებიდან ნერგებით მარაგდებოდა ახალციხისა და იმერეთის რეგიონები. დასავლეთ საქართველოში მეხილეობის განვითარებისათვის ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა აგრონომი ე. ნაკაშიძე, რომელიც ხეხილის სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ ეწეოდა მუშაობას, რამდენადაც აღნიშნული დაავადება საკმაოდ გავრცელებული იყო ამ რეგიონში და ძლიერ აზიანებდა ნერგებს.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 20-იან წლებამდე სამრეწველო ხილის რეალიზაციის საქმე მოვაჭრე ადამიანების – ჩარჩ-ვაჭრების ხელში იყო, რომლებიც მართალია იაფად, მაგრამ ადგილზე იძენდნენ და შემდეგ ძვირად ყიდდნენ ხილს, რითაც გარკვეულ სტიმულს აძლევდნენ ხილის მწარმოებლებს დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოში თუ 1917 წელს ხეხილ-კენკროვნების ფართობი 32,4 ათას ჰა იყო, მისი ფართობი გასაბჭოების პერიოდისათვის 30,8 ათას ჰა-ს შეადგენდა [4].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო აქტიური სამუშაოები მეხილეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის. ქვეყნის სხვადასხვა მხარეში იქმნებოდა მეხილეობის ამხანაგობები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მეხილეობის შემდგომი განვითარების საქმეში. მეხილეობის ინტენსიური განვითარების მიზნით, მაგალითად, გორში შეიქმნა მეხილეობის მიმართულების ამხანაგობა „ქართლი“, რომელმაც თავის თავზე აიღო ხეხილის გაშენება-მოვლისა და მოსავლის აღების საქმე. მეხილეობის მიმართულების ამხანაგობები ყალიბდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აღნიშნული ამხანაგობების აქტიური მუშაობით ქართული ხილი უკვე ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. ხდებოდა გლეხთა დაქუცმაცებული ხეხილის ფართობების გაერთიანება „სახალხო მამულებში“, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენდა როგორც საკუთარი მეურნეობების რაციონალური მოწყობა, ისე გლეხური მეურნეობების გაუმჯობესებისათვის დახმარება – ვაზისა და ხეხილის ნამყენის, გაუმჯობესებული სათესლე მასალის და საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მიწოდება [3].

საქართველოში პირველი სამრეწველო ხეხილის ბაღების მასიური გაშენება 30-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო; ხეხილის ბაღებისათვის ნერგების მიწოდება გადაუდებელ ამოცანას წარ-მოადგენდა, რის გამოც 30-იანი წლების შუა ხანებში ქარელის რაიონში სოფ. ბებნისში თესლოვანი ხეხილისათვის, ხოლო გორის რაიონში კურკოვანი ხეხილისათვის შეიქმნა სანერგეები. აღნიშნული სანერგეების მიერ წარმოებულმა ნერგებმა დადებითად იმოქმედა ამ რეგიონში მეხილეობის შემდგომ განვითარებაზე.

ამ დარგის აღმავლობის მიმართულებით საქართველოში დაარსდა მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც შევიდა სკრის, თელავისა და ქარელის საცდელი სადგურები. მთელი რიგი პრობლემების გადაჭრასთან ერთად ეს დაწესებულებები აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ხეხილის ადგილობრივი პერსპექტიული ჯიშების გამოვლენის, უცხოური ჯიშების გამოცდის და ახალი ჯიშების გამოყვანის მიმართულებით. აღნიშნულ ორგანიზაციებთან ერთად დარგს ემსახურებოდა მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრა. ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილ იქნა მაღალი სამეურნეო თვისებების მქონე ვაშლის ჯიშები: გორული სინაპი, საგამოფენო ივერია, საქართველოს პიონერი; მსხლის: აისი, სკრის

მდნარი; ატმის – ნობათი, გორული საადრეო, ერისთავის ვარდისფერი, პიონერი და სხვა. 70-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა ხეხილის 25 სანერგე მეურნეობა, სადაც ყოველწლიურად დაახლოებით 4,5-5 მლნ ნერგი მზადდებოდა.

საქართველოში მრავალწლიანი ნარგავების მთლიან ფართობში პირველი ადგილი წლების განმავლობაში ხეხილის ფართობს ეკავა, შემდეგ მოდიოდა ვენახი, ჩაის პლანტაციები, ციტრუსები და სხვა.

1990 წლამდე მეხილეობა სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებულ დარგს წარმოადგენდა. 1975 წელს ხეხილის ფართობი 159,1 ათასი ჰა იყო, 1985 წელს – 142,6 ათასი ჰა, 1990 წელს – 126,5 ათასი ჰა, რაც 1998 წელს 65,3 ათას ჰა-მდე, ხოლო 2008 წელს 44,6 ათას ჰა-დე შემცირდა.

ქვეყანაში 2000-2013 წლებში ხილის წარმოება 32,4 ათასი ტონით შემცირდა (250 ათასი ტ-დან 217,6 ათას ტ-მდე). ხილის წარმოება შემცირდა აჭარის არ-ში (4,9 ათასი ტ); იმერეთის (30,8 ათასი ტ); გურიის (22,7 ათასი ტ) და ქვემო ქართლის (0,6 ათასი ტ) რეგიონებში, ხოლო ზრდა დაფიქსირდა სამეგრელო და ზემო სვანეთის (7,7 ათასი ტ); შიდა ქართლის (3,8 ათასი ტ); სამცხე-ჯავახეთის (8,0 ათასი ტ); კახეთისა (2,2 ათასი ტ) და დანარჩენ რეგიონებში (4,9 ათასი ტ).

ხილის სტრუქტურაში მაღალია **თესლოვანი ხილის** ხვედრითი წილი. საკვლევ პერიოდში თესლოვანი ხილის წარმოება შემცირდა 34,5 ათასი ტ (122,4 ათასი ტ-დან 87,9 ათას ტ-მდე). შემცირება დაფიქსირდა გურიის (7,9 ათასი ტ); იმერეთის (18,1 ათასი ტ); სამეგრელო და ზემო სვანეთის (2,2 ათასი ტ); ქვემო ქართლისა (3,3 ათასი ტ) და დანარჩენ რეგიონებში (14,4 ათასი ტ), ხილის წარმოება გაიზარდა აჭარის არ (5,3 ათასი ტ); სამცხე-ჯავახეთის (4,8 ათასი ტ) და შიდა ქართლის რეგიონებში (1,3 ათასი ტ).

საქართველოში თესლოვანი ხილიდან ვაშლს, რომელიც განეკუთვნება ვარდყვავილოვანთა ოჯახს, ვაშლოვანთა ქვეოჯახის გვარს, თავისი გავრცელების არეალისა და მოსავლიანობის მიხედვით წამყვანი ადგილი უკავია. ვაშლის მოსავლიანობა დამოკიდებულია მის ბიოლოგიურ თავისებურებაზე, ნიადაგის შემადგენლობასა და ჰავაზე, აგრეთვე მაღალი ხარისხის საძირეებზე, აგროღონისძიებათა კომპლექსის დროულად და მაღალხარისხიანად გატარებაზე და სხვა.

მკვლევართა აზრით, მსოფლიოს სხვადასხვა მხარის მაგ., კავკასიური, შუაზიური, ევროპული და ამერიკული ვაშლის ჯიშები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნებოდა. შემდეგში ჯიშების ურთიერთშეჯვარებამ გაამდიდრა და გადაასხვაფერა კულტურული ჯიშების მემკვიდრული ბუნება.

ვაშლის ადგილობრივ ჯიშებს შორის ყველაზე გავრცელებულია თურაშაულის ტიპის ჯიშები, როგორიცაა რაჭა-ლეჩხუმის თურაშაული, ქართლური და კახური თურაშაულები, რომლებიც გამოირჩევიან წვენის დიდი რაოდენობით, შეიცავენ გარკვეული რაოდენობის სიმჟავეებს და დაბალი არომატით ხასიათდებიან.

კიტრა ვაშლის ტიპები ზამთრის ჯიშებს განეკუთვნება და ხასიათდებიან მოტკბო, საშუალო მჟავიანობით. აბილაურის ტიპის ვაშლებიც მომჟავო-მოტკბო გემოსია. ნაყოფი ხშირად მდარე ხარისხისაა. ხომანდულის ტიპის ვაშლები კი ტკბილი გემოსია. საქართველოში ასევე ფართოდ არის გავრცელებული ვაშლის ჯიშები: ივერია, კეხურა, ლაგოდეხის რენეტი, ლეჩხუმური შაფრანი, რაჭული ვაშლი, საირმულა, ქონა ვაშლი, შაქარა და სხვა.

ადგილობრივი ჯიშის ვაშლებს გამძლეობის, ტრანსპორტაბელურობისა და შენახვის კარგი უნარი ახასიათებს.

ვაშლის წარმოება საქართველოში 2000-2013 წლებში 14,4 ათასი ტ-ით შემცირდა (83,0 ათასი ტ-დან 68,6 ათას ტ-მდე). მეტ-ნაკლები ოდენობით შემცირდა ვაშლის წარმოება იმერეთის (11,2 ათასი ტ); ქვემო ქართლის (1,1 ათასი ტ); სამეგრელო-ზემო სვანეთის (0,2 ათასი ტ) და დანარჩენ რეგიონებში (6,4 ათასი ტ); ხოლო ვაშლის წარმოება გაიზარდა ამ კულტურის ძირითად მწარმოებელ შიდა ქართლის რეგიონში (4,7 ათასი ტ).

ხეხილოვან კულტურებში ვაშლის შემდეგ მსხალს მეორე ადგილი უკავია. 70-იან წლებში მსხლის კულტურას 14 ათას ჰა-ზე მეტი ფართობი ეკავა, ხოლო 2008 წელს მისი მთლიანი ფართობი 1,4 ათას ჰა-ს არ აღემატებოდა. მსხალი გამოირჩევა შეხამებული გემური თვისებებით. მას გააჩნია რიგი უპირატესობები. იგი უფრო გვალვაგამძლეა, ვიდრე ვაშლი, ნაკლებად ზიანდება დაავადებებითა და მავნებლებით, ადვილად ხარობს სხვადასხვა საძირეზე და მძლავრი ხე იზრდება, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

მსხლის კულტურული ჯიშების უმრავლესობა მსხმოიარობაში უფრო ადრე შედის, ვიდრე ვაშლის ჯიშები. ხანგრძლივი სიცოცხლის უნარით ხასიათდებიან მსხლის ადგილობრივი ჯიშები: ხეჭეჭურა, გრძელი მსხალი, თავრეჟულა და სხვა, რომელთა ჯიშების ასწლიან ხეებს ახლაც ვხვდებით მესხეთში. საქართველოში გავრცელებული მსხლის ადგილობრივი ჯიშების უმრავლესობა მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება.

მსხლის ადგილობრივი ჯიშებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება: აყირო, თიბათვის მსხალი, გრძელი მსხალი, კახური გულაბი, სესელა, სამარიობო, ქართული გულაბი, შაქარა, გვერდწითელა, გოგრამსხალი, კაცისთავა, შავი მსხალი, თავრეჯულა, ხეჭეჭური, თაფლა, კვირისთავა და სხვა. ადგილობრივი ჯიშებიდან ასევე გავრცელებულია შემოდგომა-ზამთრის ჯიშები: გვერდწითელა, ნესვა მსხალი, ბორბალა, შავი მსხალი, ხეჭეჭური და სხვა.

მსხლის კულტურა ძირითადად გავრცელებულია ქვეყნის ხუთ რეგიონში. 2000-2013 წლებში მისი წარმოება 17,2 ათასი ტ-ით (34,2 ათასი ტ-დან 17,0 ათას ტ-მდე) შემცირდა. წარმოების შემცირება დაფიქსირდა თითქმის ყველა რეგიონში: აჭარის არ – 2,2 ათასი ტ; გურიის – 2,1 ათასი ტ; იმერეთის – 5,1 ათასი ტ; სამეგრელო და ზემო სვანეთის – 1,5 ათასი ტ; შიდა ქართლის – 3,8 ათასი ტ და დანარჩენ რეგიონებში – 2,5 ათასი ტ.

ახალი ვაშლის, მსხლისა და კომშის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2007-2012 წლებში შემცირდა 1404 ტ-ით (2053 ტ-დან 649 ტ-მდე), რაც ღირებულებით მაჩვენებელში ტოლია 223 ათასი დოლარის (480 ათასი დოლარიდან 257 ათას დოლარამდე).

ახალი ვაშლის, მსხლისა და კომშის იმპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით გაიზარდა 2113 ტ-ით (1088 ტ-დან 3201 ტ-მდე), რაც ღირებულებით მაჩვენებელში ტოლია 1265 ათასი დოლარის (668 ათასი დოლარიდან 1933 ათას დოლარამდე);

ხილის თესლოვან კულტურათა სამრეწველო ჯიშები რიგ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: ადრე უნდა შედიოდეს მსხმოიარობაში; გააჩნდეს გარემო პირობებისადმი კარგად შეგუების უნარი; გამოირჩეოდეს უხვი და მაღალხარისხიანი მოსავლით; არ უნდა იყოს მეწლე; უნდა ჰქონდეს მაღალი სასაქონლო გამოსავალი; დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ გააჩნდეს ბრძოლის უნარი; იძლეოდეს ნორმალური სიდიდისა და შეფერილობის ნაყოფს და ხის ვარჯი იძლეოდეს მისი კარგად მოვლის საშუალებას.

აღნიშნული პირობების დაცვა უზრუნველყოფს სამრეწველო ბაღის მაღალ რენტაბელობას, შრომის ნაყოფიერების მაღალ დონეს და პროდუქციის დაბალ თვითღირებულებას.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, **კურკოვანი ხილი** (ატამი, ქლიავი, ბალი, ალუბალი, ტყემალი) გავრცელებულია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. საკვლევ პერიოდში კურკოვანი ხილის წარმოება შემცირდა 26,6 ათასი ტ-ით (76,1 ათასი ტ-დან 49,5 ათას ტ-მდე). რეგიონების მიხედვით კურკოვანი ხილის წარმოების შემცირება დაფიქსირდა: აჭარის არ – 5,3 ათასი ტ-ით (6,5 ათასი ტ-დან 1,2 ათას ტ-მდე); გურიის 5,4 ათასი ტ-ით (6,6 ათასი ტ-დან 1,3 ათას ტ-მდე); იმერეთის 12,9 ათასი ტ-ით (18,7 ათასი ტ-დან 5,8 ათას ტ-მდე); სამეგრელო და ზემო სვანეთის 5,5 ათასი ტ-ით (9,5 ათასი ტ-დან 4,0 ათას ტ-მდე) და ქვემო ქართლის 2,1 ათასი ტ-ით (3,5 ათასი ტ-დან 1,4 ათას ტ-მდე) რეგიონებში, ხოლო ამ სახის ხილის წარმოება გადიდდა კახეთის – 5,9 ათასი ტ-ით (13,3 ტ-დან 19,2 ათას ტ-მდე); შიდა ქართლის 2,1 ათასი ტ-ით (10,2 ათასი ტ-დან 12,3 ათას ტ-მდე); მცხეთა-მთიანეთის 1,7 ათასი ტ-ით; რაჭა-ლეჩხუმის – 0,6 ათასი ტ-ით და სამცხე-ჯავახეთის – 2,1 ათასი ტ-ით, რეგიონებში.

კურკოვანი ხილის სახეობებიდან 2000-2013 წლებში ქვეყანაში შემცირდა ქლიავის წარმოება 10,4 ათასი ტ-ით (19,1 ათასი ტ-დან 8,7 ათას ტ-მდე); ქლიავის წარმოება შემცირდა იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და დანარჩენ რეგიონებში ათასი ტონით შესაბამისად: 1,2; 3,4; 2,2; 0,7; 2,1; 2,4; ხოლო გაიზარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1,5 ათასი ტ-ით.

ბალისა და ალუბლის წარმოება აღნიშნულ პერიოდში შემცირდა 7,1 ათასი ტ-ით (12,7 ათასი ტ-დან 5,6 ათას ტ-მდე). ამ სახის ხილის წარმოება შემცირდა აჭარის, იმერეთის, კახეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის და დანარჩენ რეგიონებში ათასი ტ-ით შესაბამისად: 1.0; 2,3; 1,8; 1,1; 0,7; 1,4; ხოლო გაიზარდა შიდა ქართლის რეგიონში 1,2 ათასი ტ-ით.

ტყემლის წარმოება საკვლევ პერიოდში 19,5 ათასი ტ-ით შემცირდა (29,8 ათასი ტ-დან 10,3 ათას ტ-მდე). ამ სახის ხილის წარმოება შემცირდა აჭარის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო და ზემო სვანეთის და დანარჩენ რეგიონებში ათასი ტონით შესაბამისად: 3,1; 8,0; 4,3; 2,7; 1,4.

კურკოვანი ხილის აღნიშნული სახეობებისაგან განსხვავებით 2000-2013 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად, 10,9 ათასი ტ-ით, გაიზარდა ატმის წარმოება, რაც ძირითადად კახეთის რეგიონში ატმის წარმოების გადიდებამ განაპირობა (10,8 ათასი ტ-ით) ამ სახეობის ხილის წარმოების ზრდა შეინიშნებოდა შიდა ქართლის (3,1 ათასი ტ-ით) და დანარჩენ რეგიონებში (0,6 ათასი ტ-ით); ხოლო მცირე ზომით, მაგრამ მაინც, შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა აჭარის არ, გურიის, იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში ათასი ტ-ით შესაბამისად: 0,2; 0,9; 1,5; 0,9; 0,2.

კახეთის რეგიონის აგროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგი მეხილეობის განვითარებისათვის კარგ საფუძველს იძლევა. აქ მართალია მრავალი სახეობის ხილი იწარმოება, მაგრამ ატმის წარმოება ბოლო წლებში უფრო შესამჩნევი გახდა. ამ მხრივ დიდი პოტენციალი გააჩნია გურჯაანის და ლაგოდეხის, ხოლო ნაწილობრივ თელავის, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებს.

გურჯაანი ძირითადად ატმის, ხოლო ლაგოდეხი ხურმის, ქლიავის, ვაშლისა და სხვა სახეობის ხილის მწარმოებელია. ამ რეგიონს გააჩნია კარგი სანედლეულო ბაზა საკონსერვო მრეწველობის განსავითარებლად. თესლოვანი ხილის წარმოებაში უმნიშვნელო, ხოლო კურკოვანი ხილის წარმოებაში კახეთს დანარჩენ რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს 46,1-70,4% (2000-2013 წლები), რამდენადაც ბოლო 13 წლის განმავლობაში ამ რეგიონში ატმის წარმოება მკვეთრად გაიზარდა, რაც კარგი ტენდენციაა.

2007-2012 წლებში გაიზარდა ახალი გარგარის, ალუბლის, ატმის და ქლიავის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით, 983 ტ-ით (443 ტ-დან 1426 ტ-მდე), რაც ღირებულებით გამოხატულებაში ტოლია 663 ათასი დოლარის (175 ათასი დოლარიდან 838 ათას დოლარამდე).

ამავე პერიოდში გაიზარდა აღნიშნული ხილის იმპორტი ჰარმონიზებული სისიტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 852 ტ-ით (146 ტ-დან 998 ტ-მდე), რაც ღირებულებით გამოხატულებაში ტოლია 407 ათასი დოლარის (88 ათასი დოლარიდან 495 ათას დოლარამდე).

კაკლოვანი ხილი მეტ-ნაკლები ზომით გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. განსხვავებით ხილის სხვა სახეობებისაგან, კაკლოვანი ხილის წარმოება 2000-2013 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად (21,3 ათასი ტ-ით) გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა გურიის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, აჭარის არ და კახეთის რეგიონებში ათასი ტ. შესაბამისად: 5,7; 13,4; 4,8; 2,3; არ შეცვლილა კაკლოვანი ხილის წარმოება იმერეთის რეგიონში და საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 7,8 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო შემცირდა დანარჩენ რეგიონებში 4,8 ათასი ტ-ით.

კაკლოვანი ხილის სახეობებიდან კაკლის წარმოება ქვეყანაში 2000-2013 წლებში 4,7 ათასი ტ-ით შემცირდა (15,5 ათასი ტ-დან 10,8 ათას ტ-მდე). კაკლის წარმოება შემცირდა აჭარის არ, იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში ათასი ტ. შესაბამისად: 2,6; 1,8; 1,1; 0,1; 0,1; 0,4; ხოლო უმნიშვნელოდ გადიდდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, ქვემო ქართლის და დანარჩენ რეგიონებში შესაბამისად (ათასი ტ): 0,2; 0,1; 0,1.

ბოლო პერიოდში კაკლოვანებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თხილმა, როგორც საექსპორტო კულტურამ, რომელიც გაადგილებულია ძირითადად გურიის, იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის და დანარჩენ რეგიონებში. ეს პროცესი შესამჩნევია თხილის მწარმოებელ ყველა რეგიონში: გურიის (5,7 ათასი ტ); იმერეთის (1,9 ათასი ტ); სამეგრელო და ზემო სვანეთის (14,5 ათასი ტ) და დანარჩენ (3,4 ათასი ტ) რეგიონებში.

საქართველოში კაკლის და სხვა ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციე-ბის მიხედვით 2007-2012 წლებში გაიზარდა 4030 ტ-ით (11650 ტ-დან 15680 ტ-მდე), რაც ღირებულებით გამოხატულებაში ტოლია 18537 ათასი დოლარის (65122 ათასი დოლარიდან 83659 ათას დოლარამდე).

საქართველოს ექსპორტში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (საექსპორტო ათეულში) თხილს და კაკალს 2013-2014 წლებში ეკავა 2,8 და 2,7 პროცენტული წილი. ღირებულებით გამოხატულებაში ეს მაჩვენებელი 2999,8 ათასი დოლარით გადიდდა (22192,1 ათასი დოლარიდან გაიზარდა 25191,9 ათას დოლარამდე), რაც კარგი ტენდენციაა.

კაკლის და სხვა იმპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით გაიზარდა 422 ტ-ით (386 ტ-დან 808 ტ-მდე), რაც ღირებულებით გამოხატულებაში ტოლია 765 ათასი დოლარის (1253 ათასი დოლარიდან 2018 ათას დოლარამდე);

საქართველოს ბუნებრივი პირობები ქმნის იმის საშუალებას, რომ ხეხილი მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყოს ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში. ხეხილი გვხვდება როგორც ბაღების, ისე ერთეული ძირების სახით. რესპუბლიკის მეხილეობის რაიონებში ხეხილი ძირითადად ერთიან ფართობებზე იყო გაშენებული ბაღების სახით. მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში და იქ, სადაც მეხილეობა დამხმარე დარგია, ხეხილი ერთეული ნარგაობით არის წარმოდგენილი.

წარსულში რესპუბლიკაში წარმოებული ხილის 20%-ის გადამუშავება ხდებოდა გადამამუ-შავებელი მრეწველობის მიერ. წლების განმავლობაში გადამამუშავებელი ქარხნების უმოქმედოდ ყოფნამ, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობის დატაცებამ და განიავებამ დიდი პრობლემები შეუქმნა ამ დარგს. ამიტომ პრივატიზებული ქარხნების მფლობელებმა საბაზრო პირობების შესა-ბამისად უპირატესობა უნდა მიანიჭონ საწარმოების აღჭურვას ახალი მაღალი წარმადობის მქონე ტექნოლოგიური ხაზებით, რომლებიც უდანაკარგოდ გადაამუშავებენ ცოცხალ ხილს და გამოუშვებენ სხვადასხვა ასორტიმენტის მაღალხარისხიან ხილფაფებს, მურაბებს, კონსერვებს და სხვა პროდუქციას, რომელზედაც ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო როგორც ადგილობრივ, ისე რუსულ ბაზარზე.

მსოფლიო ბაზარზე ასევე დიდი მოთხოვნილებაა მაღალი ხარისხის ხილის წვენებზე და კონცენტრატებზე, რომლებიდანაც ამზადებენ სხვადასხვა სახის ნატურალურ პროდუქციას, ბავშვე-ბის საკვებს, პარფიუმერიულ და ფარმაცევტულ ნაწარმს და სხვა.

მეხილეობის რაიონებში უნდა გაფართოვდეს ხეხილის ფართობები ძირითადად ნაკლებ-შრომატევადი, მაღალმოსავლიანი, ნახევრადჯუჯა საძირეებით, რომელთა რგვის სიხშირე არ აღემატება 320 ხე/ჰა-ს. აღნიშნული სახის ხეხილის ბაღი 4-5 წელიწადში შედის ექსპლუატაციაში. ეკონომიურობის თვალსაზრისით აღნიშნული ბაღების გაშენება ძვირადღირებულია, რადგან საჭიროებენ დიდ ყურადღებას როგორც წვეთოვანი რწყვის, ისე გამუდმებულ მზრუნველობას დროული აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნულისა, მეხილეობის სწრაფი აღდგენის თვალსაზრისით, ასეთი სახის დაბალშტამპიან-ადრემსხმოიარე ბაღებს უნდა მიეცეს უპირატესობა.

ხეხილის ბაღების ფორმირების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხეების გასხვლასა და მათთვის ნაკლებ შრომატევადი პალმისებრი ფორმის მიცემას. მეხილეობის განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ხეების ასეთი ფორმით ჩამოყალიბების პროცესს. მაღალი ოსტატობით ჩატარებული გასხვლით მებაღეები უფრო ადვილად აღწევენ ტოტებზე კვირტების განლაგების, ხილის ზომისა და ფორმის რეგულირებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის შესაბამისად უნდა შეიცვალოს სოფლად ფერმერების მომსახურება. სასურველია ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო სამსახური, რომელიც სხვადასხვა სახის მომსახურებასთან ერთად ამ დარგში მეცნიერების უახლეს მიღწევებს გააცნობს მებაღეებს.

მეხილეობამ განვითარების პიკს 1985-1990 წლებში მიაღწია, როდესაც 142,6 და 126 ათასი ჰექტარი ფართობის პირობებში ხილის მთლიანი მოსავალი 724 და 591 ათას ტონას შორის მერყეობდა. ხილის მწარმოებლებმა ამ წლებში ხეხილის ბაღის ერთი ჰექტრიდან ხილის ყველაზე მაღალი მოსავალი – 70,8 და 58,0 ცენტნერი მიიღეს. ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში მეხილეობა ძირითადად ექსტენსიურად – ხეხილის ფართობის გადიდების გზით ვითარდებოდა. საქართველოში ხეხილის მთლიანმა ფართობმა 1975 წელს – 159,1 ათას ჰა-ს მიაღწია. 1995 წელს 94,9 ათას ჰა-მდე, ხოლო 2008 წელს 44,6 ათას ჰა-მდე შემცირდა. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი ხილის მთლიანი მოსავალის მხრივაც (ათასი ტ) 1975 წელს 368; 1995 წელს 383,9; 2008 წელს 113,6.

ბოლო ათწლეულში საქართველოში ხეხილის ფართობისა და შესაბამისად ხილის მთლიანი მოსავლის შემცირებას რიგი მიზეზი განაპირობებდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო ცოცხალი და გადამუშავებული ხილის პროდუქციის გასაღების ბაზრის მოულოდნელი და სწრაფი მოშლა, ქვეყანაში ნაჩქარევად განხორციელებული მიწის პრივატიზაცია, რომლის შედეგად დაქუცმაცდა ხეხილის დიდ ფართობზე გაშენებული ბაღები, რასაც დაერთო ქვეყნის შიგნით საწვავზე მაღალი ფასები, საჭირო ტრანსპორტის ნაკლებობა, შესაფუთი მასალისა და ტარის დეფიციტი, უკვე დაშლილი სამეურნეო კავშირების ძნელად და ნელა აღდგენის პროცესი. ამას დაემატა აღნიშნულ პერიოდში სათბობი რესურსების დეფიციტი, რამაც უბიძგა მოსახლეობას, გაეჩეხა და გასათბობად გამოეყენებინა ხეხილის როგორც დაბალრენტაბელური და დაბერებული ბაღები, ისე სხვა ნარგაობაც, რასაც, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის მიერ მიწის ნაკვეთების სხვა დანიშნულებით გამოყენების საჭიროებაც მოითხოვდა. ამ ვითარებას ამწვავებდა ხეხილის ბაღების მომსახურებისათვის საჭირო მექანიზაციის საშუალებების დაბალი დონე, ქიმიური საშუალებების, მინერალური და ორგანული სასუქების როგორც დეფიციტი, ისე დაბალი ხარისხი და მათი მაღალი ფასი, რასაც ემატებოდა არსებულ ხეხილის ბაღებში მეჩხერიანობის მაღალი დონე და ახალგაზრდა ნარგავების დაბალი ფიზიკური მდგომარეობა.

მეხილეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია: აუცილებლად ჩატარდეს ხეხილის ბაღებისა და ერთეული ნარგავების აღწერა-პასპორტიზაცია.

დარგის განვითარება უნდა წარიმართოს როგორც ხეხილის ფართობის გადიდების (ექსტენსიურ), ისე ინტენსიურ საფუძველზე დარგის უპირატესად განვითარების გზით. მეხილეობაში ინტენსიფიკაციის ამაღლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ხეხილის ფართობებში ორგანული და მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზებით გამოყენება, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ხილის მოსავლიანობას და გააუმჯობესებს მის ხარისხობრივ მაჩვენებელს.

საჭირო სოფლად მეურნეობების მაღალხარისხიანი სტანდარტული ნერგებით მომარაგების უზრუნველყოფა. მუშაობა ძირითადად უნდა წარიმართოს ვირუსისა და ხეხილის ნარგავთა სხვადასხვა დაავადებების მიმართ გამძლე საძირეებზე გაუმჯობესებული ჯიშების სელექციის მიმართულებით. ამ საქმეში მეცნიერული კვლევის დიდი გამოცდილება გააჩნდა მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, რომელსაც წარსულში საცდელი მეურნეობების ფართო ქსელი ჰქონდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. ამავე დროს, სახელმწიფოს მხარდაჭერით, შეძლებისდაგვარად, ფუნქციები უნდა აღადგინოს „საქნერგმა“, რომელიც წარსულში 26 სახელმწიფო სანერგეს ხელმძღვანელობდა და ახორციელებდა ამ დარგში სანერგე მასალის გამრავლებას და მეხილეობის მეურნეობების ნერგებით უზრუნველყოფის საკითხს. ამასთან, ხელი უნდა შეეწყოს კერძო სანერგეების საქმიანობასაც, რომლებიც გაცემული ლიცენზიის საფუძველზე წარმართავენ თავიანთ საქმიანობას და ხეხილის სტანდარტული ნერგით მოამარაგებენ მოსახლეობას.

ახლო პერსპექტივაში, მეხილეობის რაიონებში ამოძირკული ბაღების ადგილას ახალი ბარების გაშენებისას, თავი უნდა შევიკავოთ უცხოური და ადგილობრივი უპერსპექტივო ხეხილის ჯიშებისაგან, რომლებსაც დაბალი ხარისხის ნაყოფთან ერთად ახასიათებს მეწლეობა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ხეხილის ისეთ ჯიშებს, რომლებიც მსხმოიარობაში ადრე შედიან, აქვთ უხვი და რეგულარული მოსავალი და მათი ნაყოფი მაღალი ღირსებით გამოირჩევა, გააჩნია არომატული და მიმზიდველი შეფერილობის ნაყოფი.

მეხილეობაში – ხილის წარმოების, ნაყოფის დახარისხების, შეფუთვისა და მათი საცავებში შენახვის, აგრეთვე ტრანსპორტირების საკითხის დასარეგულირებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მებაღეების მიერ წარსულში გავრცელებული პრაქტიკის – კოოპერატივებისა და ამხანაგობების

ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომელთა საფუძველზეც შეიძლება საკუთარი მცირე წარმადობის მქონე ხილის გადამამუშავებელი საამქროების ფორმირება და ფუნქციონირება. ამის გარდა, საქართველოს მთავრობის დახმარებით, აუცილებელია მიზნობრივად გამოვიყენოთ „TASIS“-ის პროგრამა, რომელიც წარმატებით განხორციელდა რუსეთსა და უკრაინაში.

აუცილებელია დაკარგული საბაზრო სივრცის აღდგენა და დაბრუნება (ამ მიმართულებით გარკვეული მოლაპარაკებები მიმდინარეობს რუსეთთან). ამასთან, ხილის სარეალიზაციო არეალის გაფართოება უნდა განხორციელდეს წარსულში მოკავშირე, ამჟამად ახლო და შორეული უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველზე.

მეხილეობის კლასიკურ ქვეყნებთან ერთად (უნგრეთი, მოლდავეთი, პოლონეთი და სხვა), საქართველომაც უნდა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი ამ პროცესში ხილის წვენების, კონცენტრატების, ხილფაფების, მურაბების და სხვა მაღალხარისხიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოების მიმართულებით.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოში ამ დარგში დასაქმებული სამეცნიერო დაწესებულებების დაკავშირება მეხილეობის კლასიკური ქვეყნების სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, მათთან ამ დარგში მიღებული ახალი მეცნიერული მიღწევების ურთიერთგაზიარებისა და გაცვლის თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს მეხილეობის შემდგომ განვითარებას.

ახლო პერსპექტივაში სამრეწველო მეხილეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა თავისი ინფრასტრუქტურით საბაზრო ეკონომიკის რელსებზე უნდა დადგეს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ხელსაყრელი ინვესტიციების მოზიდვამ, მეცნიერული მიღწევების დანერგვამ და ქართველი მეურნის განსაკუთრებულმა სიყვარულმა ამ ტრადიციული დარგის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973.
2. დათუნაშვილი ლ. აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული თავისებურებები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2008.
3. პავლიაშვილი დ. მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974.
4. საქართველოს ისტორია. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. II, თბილისი, 1962.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2005-2014.
6. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2007-2012.
7. საქართველოს მეხილეობა (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო), ტ. 3, თესლოვანი კულტურები. მთავარი რედაქტორი პროფ. ნ. ხომეზურაშვილი, თბილისი „მეცნიერება“, 1973.
8. Путешествие Шардена по Кавказию. Тиф., 1902.
9. Жуковский П. М. Культурные растения и их сородичи, М., 1974.

Lina Datunashvili

THE PROBLEMS OF FRUIT-GROWING DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

The article focuses its attention to the positive opinions of foreign travelers about fruit-growing in Georgia as owing to natural conditions fruit-growing in Georgia was developed enough for ages (Sharden, Zhukovski).

Is studied the activity of Georgian enthusiasts at the end of XIX and at the beginning of XX century to develop fruit-growing in Georgia concerning fruit-free nursing and provision of population with local and European fruit plants as well.

In addition from the second part of XX century the attention is focused to the services of institutions functioning in the country for the development of industrial fruit-growing.

The article analyses subjective and objective reasons of decreasing the area of fruit, yield, fruitfulness of not only fruit-trees as a whole but of its various species: seed (apple, pear), nut (wall-nut, hazel-nut), stone (peach, plum, cherry). The article shows in details the ways and measures helping the development of fruit-growing in perspective.

ლინა დათუნაშვილი

მეცივტრუსეობის განვითარების პრობლემები საქართველოში

საქართველო ცნობილია სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოებით. გასული საუკუნის 70 წლიან პერიოდში ჩვენი ქვეყანა ამ სახის ხილის ერთ-ერთ ძირითად მწარმოებელს და მიმწოდებელს წარმოადგენდა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. ამ პერიოდში შრომის საერთო

დანაწილებაში საქართველო სწორედ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურებით იყო წარ-წარმოდგენილი. საკვლევ პერიოდში სუბტროპიკული ხილის წარმოება შემცირდა თითქმის ყველა რეგიონში (აჭარაში – 0,8 ათასი, იმერეთში – 2,2 ათასი, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1,5 ათასი და გურიაში – 2,2 ათასი ტონით). აღნიშნული სახეობის ხილის წარმოების ზრდა შეინიშნება ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონში.

ჩვენი აზრით, ამ დარგის განვითარება, ძირითადად, უნდა განხორციელდეს სამხრეთული და სუბტროპიკული ხილის ნაყოფის ხარისხის ამაღლების მიმართულებით, რამდენადაც, საბაზრო ეკონომიკა დიდ მოთხოვნებს უყენებს საქონლის ხარისხს და იმას, თუ რამდენად კონკურენტ-უნარიანია ეს საქონელი ბაზარზე.

სუბტროპიკული მეხილეობა იმ ხეხილოვან მცენარეებს მოიცავს, რომლებიც საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში იზრდება.

სუბტროპიკული კულტურები, უმთავრესად მრავალწლოვანი, მარადმწვანე, იშვიათად ფოთოლ-მცვივანი ხეები და ბუჩქებია, რომლებიც გაადგილებულია სუბტროპიკულ რაიონებში. ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულ სუბტროპიკულ კულტურებს განეკუთვნება ციტრუსები (ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, გრეიპფრუტი).

ციტრუსოვან მცენარეთა (ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი, გრეიპფრუტი) ნაყოფი გამოირ-ჩევა სასიამოვნო გემოთი, არომატითა და მაღალი კვებითი ღირებულებებით. ისინი საუკეთესო ნედლეულია საკონსერვო და საკონდიტრო წარმოებისათვის. წლების მანძილზე მცენარეთა ნაყოფი სუბტროპიკული ზონის მოსახლეობისათვის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

ციტრუსებში დიდი რაოდენობით არის A, B, C ვიტამინები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისათვის. ციტრუსები ძირიტადად ნედლი სახით მოიხმარება, ამავე დროს მას იყენებენ კვების მრეწველობაში. ამ სახის ხილისაგან ამზადებენ სხვადასხვა სასმელს, მურაბას, ჟელეს, მარმელადს, ხილფაფას და სხვა. გადამუშავებული ხილი თავისი კვებითი თვისებებით დიდხანს ინახება. ციტრუსოვანი კულტურების ჩამოცვენილი ყვავილის, ქერქისა და ფოთლებისაგან ხდიან ეთეროვან ზეთებს, რომლებიც გამოიყენება პარფიუმერიაში, საკონდიტრო და სხვა მიზნებისათვის.

თავისი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობით საქართველო უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა ცნობილ სატრანზიტო დერეფანს. მას დიდი აბრეშუმის გზის მეშვეობით მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ჩინეთთან, შუა აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან. კოლხეთიდან ხილის დიდი რაოდენობა გაჰქონდათ საბერძნეთში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში.

ციტრუსებზე წერს თეიმურაზ პირველი თავის თხზულებათა სრულ კრებულში, რომ ეს მცენარეები წარმოადგენენ საქართველოს შემოდგომის პეიზაჟის მშვენებას.

ვახუშტი ბატონიშვილს თავის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ მოყვანილი აქვს ცნობები, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მდ. ალაზნის, იორის, მტკვრის დაბლობებში გავრცელებულია ბროწეულის, ლეღვის, ზეთისხილის, დასავლეთ საქართველოში კი ნარინჯი, თურინჯი ლიმო (ლიმონი) ზეთისხილი, ბროწეული, ლეღვი, ხურმა და თხილი.

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ციტრუსები საქართველოში XI საუკუნეში უკვე კარგად ცნობილი ხილია.

ციტრუსოვნები ზომიერად წყლის და სინათლის მოყვარულ მცენარეებს განეკუთვნება. აღნიშნული ფაქტორები კომპლექსურად მოქმედებს მათ ზრდა-განვითარებაზე.

რამდენადაც მცენარე ფესვთა სისტემით იღებს მისთვის საჭირო მინერალურ და ორგანულ ნივთიერებებს, ამდენად ნიადაგის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ციტრუსოვნები კარგად ხარობს ჰუმუსით მდიდარ წითელმიწა და ნეშომპალა კარბონატულ ნიადაგებზე.

რელიეფის მხრივ სუბტროპიკები კარგად ხარობს ფერდობ ადგილებში, მათ შორის კი ჩრდილო ფერდობზე, სადაც ნიადაგი უფრო ტენიანია და მისი ჩამორეცხვის პროცესი ნელა მიმდინარეობს.

ციტრუსები მრავლდება თესლით და მყნობით, აგრეთვე კალმით. ციტრუსოვანთა საძირედ უპირატესად იყენებენ ტრიფოლიატს, რომელიც კარგად გრძნობს თავს სუსტ-მჟავე ნიადაგებში. აღნიშნულ საძირეებზე დამყნილი ციტრუსის ნერგები შედარებით გამძლეა დაბალი ტემპერატურის მიმართ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921-1922 წლებში, შეიქმნა პირველი სუბტროპიკული მეურნეობები აჭარაში, ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის სახით, შემდგომ შეიქმნა ციხისძირისა და მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობები. ამ პერიოდში ციტრუსების ფართობი 100 ჰა-ს შეადგენდა. ძირითადად ეს იყო მანდარინის ნარგავები, ფორთოხლისა და ლიმონის ფართობი 3-4 ჰა-ს არ აღემატებოდა.

1931 წელს ჩამოყალიბებული საკავშირო „ლიმონტრესტის“ მიერ დიდი მუშაობა ჩატარდა ციტრუსოვანთა ნერგების მოვლისა და მათი ფართობის გადიდების მიმართულებით. აღნიშნული ტრესტის ხელშეწყობით 1933-34 წლებში შეიქმნა: ოზურგეთის რაიონში გრიგოლეთის და აჭარაში – ურეკის პირველი სპეციალიზებული სანერგე მეურნეობები. ამავე დროს ციტრუსების სანერგეები

შეიქმნა უფრო დიდ მეციტრუსეობის ს/მეურნეობებში (კვირიკეს, კოხორის, გონიოს და ანაკლიის მეურნეობებში).

ციტრუსოვანთა ნერგების გარკვეული ნაწილი შემოჰქონდათ ამერიკიდან, იაპონიიდან და ალჟირიდან. ამ ნერგების ნაწილი ეძლეოდა მეციტრუსეობის ს/მეურნეობებს, ხოლო ნაწილი სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს შემდგომი სელექციური მუშაობისათვის. ლიმონის შემოტანილი ჯიშებიდან აღსანიშნავია „ლისბონი“ და „ვილა ფრაკა“, რომლებიც ნაწილობრივ შემორჩა მეურნეობებს. უფრო მეტი უპირატესობა მიენიჭა ლიმონის „მაიერის“ ჯიშის ნერგებს, როგორც შედარებით ყინვაგამძლე ჯიშს. ფორთოხლის შემოტანილი ჯიშებიდან აღსანიშნავია „გამლინის“ ჯიშის ნერგები, რომელთა მოსავალი ადრე შემოტანილ „ვაშინგტონ ნაველის“ მოსავალს რამდენჯერმე აღემატებოდა. მანდარინის „სილვერხილის“ ჯიში შემოტანილ იქნა ამერიკიდან, ხოლო „კოვანო ვასეს“ ჯიში – იაპონიიდან. ასევე შემოტანილ იქნა გრეიპფრუტის ჯიშები: „დუნკანი“, „ფოსტერი“ და „მარში“.

1929-35 წლებში გაიზარდა ციტრუსების ფართობი, მ. შორის მანდარინის – 4,9-ჯერ, ლიმონის – 4,3-ჯერ, ფორთოხლის 11-ჯერ, გრეიპფრუტის – 2,9-ჯერ **[1].**

ახალი ფართობის ათვისებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა ძველი ნარგავების მოვლა-პატრონობას.

სამოცდაათწლიანი სოციალისტური წყობილების მანძილზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიხედვით შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში საქართველოს ადგილი ძირითადად სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოებით განისაზღვრებოდა. რესპუბლიკა 80-იანი წლების დამდეგისათვის აწარმოებდა მთელი კავშირის მასშტაბით წარმოებული ჩაის 94,6%-ს ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების 89,6-100%-ს, ყურძნის – 14, ხილის – 7,5 და ბოსტნეულის 2 პროცენტს. როგორც ციფრობრივი მონაცემები გვიჩვენებს, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს როლი და ადგილი შრომის საკავშირო დანაწილებაში.

1935-1940 წწ-ში მნიშვნელოვნად გაიზარდა ციტრუსოვნების ფართობი – დაახლოებით 301 ჰა-თი. მ.შორის მანდარინის ნარგავების ფართობი 104 ჰა-თი, ლიმონის 121 ჰა-თი, ფორთოხლის 26 ჰა-თი, გრეიპფრუტისა და სხვა სუბტროპიკული ნარგავების ფართობი 50 ჰა-თი. 1941-1942 წლები, არსებულთან შედარებით, ჰაერის დაბალი ტემპერატურით გამოირჩეოდა, რის გამოც აღნიშნული წლების ზამთარში დაიღუპა ლიმონის 6,8, ფორთოხლის 12,8 და მანდარინის 2,4 პროცენტი. შემდგომ წლებში ახალი ფართობების გაშენება აღარ წარმოებდა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო არსებულის რემონტსა და ყინვისაგან დაღუპული ნარგავების ხელახლა გაშენებაზე.

1941-1942 წლების სუსხიანი ზამთრის გამო დაიღუპა ციტრუსოვანთა ნერგების დიდი რაოდენობა. 1946-1950 წწ-ში მთელი რიგი ღონისძიებების გატარებით გაიზარდა ციტრუსოვანთა ფართობები.

ბუნების ჭირვეულობასთან ერთად, ციტრუსოვანთა ნარგაობას დაავადებებიც დაერთო. ლიმონის ნარგავების ძირითადი დაავადება „მალსეკო“ 40-იან წლებში შეიმჩნა და წლიდან წლამდე პროგრესულად ვითარდებოდა ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის და ფოთის რაიონებში, ხოლო 50-იანი წლების ბოლოს დაავადება „მალსეკო“ გავრცელდა მეციტრუსეობის სხვა რაიონებში და ძირითადად დაზიანდა ლიმონის „ახალი ქართული“-ის ჯიშის ნარგავები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დაავადება თითქმის არ გავრცელებულა ხობისა და აფხაზეთის ასსრ-ს მეციტრუსეობის რაიონებში.

70-80-იან წლებში რესპუბლიკის მთავრობამ რიგი ღონისძიებები განახორციელა აღნიშნული დარგის განვითარების მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1968 წლის მაისის დადგენილება მეციტრუსეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში 1968-1970 წლებში 3270 ჰექტარი პლანტაციის გაშენებას. ამავე დროს, რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში გამოიყო ციტრუსების გასაშენებლად გამოსადეგი ფართობები, რის საფუძველზეც 1975 წელს საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობაში ციტრუსოვანთა ფართობმა 18,3 ათას ჰა-ს მიაღწია.

მეციტრუსეობა მაღალრენტაბელური დარგია, რაც განაპირობებს ამ დარგით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაინტერესებას. წლების მანძილზე ციტრუსების საშუალო მოსავლიანობა და არსებული ჩაბარების ფასები ხელს უწყობდა, ამ დარგში მიღებული ყოფილიყო შემოსავლის ის ოდენობა, რომელიც მოკლე ვადაში აანაზღაურებდა მის მოვლა-პატრონობაზე გაწეულ დანახარჯებს.

რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდებოდა საკონსერვო მრეწველობის სანედლეულო ბაზა, რასაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მისი გადამმუშავებული მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეების ზრდა. აღნიშნული მნიშვნელოვან შეფერხებას იწვევდა ამ ნედლეულის გადამუშავებაში, რაც უარყოფითად მოქმედებდა პროდუქციის ხარისხზე. საქართველოში ნედლეულის დამზადებასა და გადამუშავების სიმძლავრეებს შორის (საკონსერვო მრეწველობა) გარკვეული დისპროპორცია შეინიშნებოდა. 1970-1980 წლებში რესპუბლიკაში ხილის დამზადება 2,1-ჯერ, ციტრუსებისა 3,1-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში საკონსერვო მრეწველობის სიმძლავრეების ზრდა 54 პროცენტს არ აღემატებოდა.

ხილ-ბოსტნეულის მეურნეობათა სამინისტროს სისტემაში 1980-92 წლებში შედიოდა 45 საკონსერვო ქარხანა, რომლებიც ძირითადად აწარმოებდნენ ხილის, მათ შორის ციტრუსების გადამუშავებას. ქარხნების წლიური სიმძლავრე შეადგენდა 330,6 მლნ პირობით ქილას. ძირითადად ქარხნების სიმძლავრეები დატვირთული იყო, მაგრამ შეინიშნებოდა ქარხნების არაპროპორციული განლაგება სანედლეულო ბაზის მიმართ. სამინისტროს 45 საკონსერვო ქარხნიდან საწარმოო სიმძლავრეებს სრული დატვირთვით ვერ იყენებდა 29 ქარხანა, ხოლო დანარჩენებიდან მრავალს არ ჰყოფნიდა საწარმოო სიმძლავრეები. მაგ., ადიგენის რაიონში არსებული საკონსერვო ქარხნის საშუალო სიმძლავრე 5 მლნ პირობით ქილას შეადგენდა, ფაქტობრივად ქარხნის სიმძლავრეთა დატვირთვა შეადგენდა 76%-ს, ხოლო იქვე, მეზობლად მდებარე ახალციხის საკონსერვო ქარხნის საწარმოო სიმძლავრე საკმარისი არ იყო ნედლეულის გადასამუშავებლად. ანალოგიური მდგომარეობა იყო ბათუმის მეციტრუსეობის კომბინატში, რომლის ფაქტობრივი საშუალო სიმძლავრე 23,6 მლნ პირობითი ქილა იყო. ქარხანას სეზონზე შეეძლო გადაემუშავებინა 4000-4500 ტონა ციტრუსის ნაყოფი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკიდან სხვა საკონსერვო ქარხნებში გადასამუშავებლად უნდა გაეტანათ ათასობით ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ბათუმის ქარხნის სიმძლავრეების უკმარისობის გამო. 80-იანი წლების დამდეგისათვის გარკვეული ტემპით იმატა გადასამუშავებელი ციტრუსების რაოდენობამ, ხოლო ამავე პერიოდში საწარმოო სიმძლავრეები ძირითადად უცვლელი დარჩა. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი აფხაზეთის ასსრ, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების საკონსერვო ქარხნებშიც.

ციტრუსების წარმოებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ინტეგრაციის პროცესი თავისთავად გულისხმობს ხილ-ბოსტნეულის სამინისტროს სისტემაში არსებული ქარხნების სიმძლავრეებისა და წარმოებული ნედლეულის ოდენობას შორის თანაფარდობას, რომელიც უზრუნველყოფდა ციტრუსების, როგორც მალფუჭადი პროდუქციის თავისდროულ, ნორმალურ შეუფერხებელ გადამუშავებას.

საკონსერვო ქარხნების საქმიანობის ძირითად მაჩვენებელს რეალიზებული პროდუქციის მოცულობა წარმოადგენს. აღნიშნულ პერიოდში შეინიშნება ზოგიერთი სახის პროდუქციის – მაგალითად, მანდარინის ჯემის, მურაბის და წვენების ნაკლები რეალიზაცია, რასაც ძირითადად მათი ხარისხი და მაღალი საცალო ფასები განაპირობებდა. მართალია ხორციელდებოდა საცალო ფასების სეზონური შემცირება, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება რადიკალურ ცვლილებებს ვერ იწვევდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ციტრუსების კონსერვების წარმოება რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

როგორც მალფუჭადი პროდუქცია, ციტრუსოვნები მაცივრებსა და საცავებში ინახებოდა, რისთვისაც არსებობდა და ფუნქციონირებდა სათანადო სამაცივრო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიუხედავად ამისა, საჭირო იყო რესპუბლიკაში არსებული სპეციალიზებული სამაცივრე საცავების გაფართოება და შეძლებისდაგვარად ახლის მშენებლობა.

ეს ყველაფერი 1992-93 წლამდე ფუნქციონირებდა. შემდეგ კი, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიური კატაკლიზმების შედეგად, 90-იანი წლების ბოლოს მოიშალა და განადგურდა გადამამუშავებელი საწარმოების საწარმოო სიმძლავრეები, რაც გადაურჩა დატაცებას მორალურად და ფიზიკურად მოძველებულია. ამიტომ თითქმის არ ფუნქციონირებს გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითადი ობიექტები, და თუ რომელიმემ დაიწყო მუშაობა, ეს არის მინიმალური დონე. მიწის პრივატიზაციამ, რომელიც ხშირ შემთხვევაში ნაუცბათევად განხორციელდა და ყველაზე დიდი ზიანი მრავალწლიან ნარგავებს მიაყენა, ხელი შეუწყო ხილის, მათ შორის ციტრუსოვანთა ფართობების დაქუცმაცებას. ეკონომიური სიდუხჭირის გამო გლეხებმა, რომლებსაც გადაეცათ აღნიშნული ფართობები, ვერ შეძლეს მინერალური და ორგანული სასუქების, შხამქიმიკატებისა და საწვავის შეძენა და გაუჭირდათ მათი მოვლა, რამაც გავლენა იქონია მეციტრუსეობის დღევანდელ მდგომარეობაზე, რაზედაც წარმოდგენას გვაძლევს ცხრილში მოყვანილი მასალა.

1985 წელს ციტრუსების მთლიანმა ფართობმა ყველაზე დიდ ნიშნულს – 26,1 ათას ჰა-ს მიაღწია. მ. შორის 17,8 ათას ჰა-ს შეადგენდა ნაყოფის მომცემ ასაკში მყოფი ციტრუსოვანთა ფართობი.

აღსანიშნავია, რომ 1995 წლიდან მკვეთრად მცირდება ციტრუსოვანთა მთლიანი ფართობი. ამ წლებში ზემოთ მოყვანილ მიზეზებს დაემატა ის ფაქტი, რომ აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციაში აღარ შედის.

ქვეყნის შიგნით ციტრუსების მხოლოდ 11-12 პროცენტი მოიხმარებოდა. შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში საქართველოს, როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მწარმოებლისა და მიმწოდებლის როლიდან გამომდინარე, დანარჩენი ციტრუსოვანთა ნაყოფი ცენტრალიზებული წესით ორგანიზებულად იგზავნებოდა ძირითადად რუსეთსა და უკრაინაში, ძირითადად აფხაზეთის გავლით. 1992-93 წლების სამოქალაქო ომმა, აფხაზეთის ბლოკადამ და სხვა მიზეზებმა გამოიწვია გზების ჩაკეტვა და ამით ციტრუსების გატანის ძირითადი არტერია მოისპო. ამის გამო ქართველმა მეციტრუსეებმა დიდი ზარალი განიცადეს.

ციტრუსოვანთა კულტურების თითქმის 97 პროცენტს შეადგენს მანდარინი, რომელიც ციტრუსოვანთა ერთადერთი სახეობაა, რომელსაც აქვს უნარი გაუძლოს მაღალ ტენიანობას და

ზამთრის დაბალ ტემპერატურას, რომელიც ზამთრის პერიოდში ეცემა -6^{0}C –მდეც კი, რაც 12-15 წელიწადში ერთხელ თითქმის ნარგავთა მესამედზე მეტის გამორგვას და ახლით შეცვლას იწვევს. ციტრუსოვან ნარგავთა დანარჩენი 3 პროცენტი ლიმონისა და ფორთოხლის ფართობს უკავია.

იმის გამო, რომ ციტრუსოვანთა ეს კულტურები ნაკლებ ყინვაგამძლეა, ამიტომ მკაცრი ზამთრის პირობებში უფრო მეტ მოვლას საჭიროებს, ძირითადად შეფუთვის თვალსაზრისით, რაც იწვევს ციტრუსოვანთა ნაყოფის თვითღირებულების გადიდებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მეციტრუსეობაში დიდ პრობლემას წარმოადგენს გასაღების ბაზარი. რუსეთის დიდ ბაზარზე ჩვენს ადგილს უპრობლემოდ იკავებს სხვა ქვეყნების პროდუქცია, საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის სიძვირე, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მხრიდან პრობლემები, რაც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის იურისდიქციიდან მათ გასვლასთან. ამ პრობლემას დაემატა რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის შემოღება, რამაც მკვეთრად გააუარესა სუბტროპიკული ზონიდან ციტრუსების, ხოლო შიდა ქართლის რაიონებიდან ხილის გატანის პროცესი.

სავარაუდოა, რომ ქართული იაფფასიანი ციტრუსებისათვის ბაზარი ალბათ იქნება რუსეთსა და უკრაინაში, მაგრამ თუ აღნიშნული პრობლემები არ მოგვარდა, აუცილებელი გახდება ციტრუსების ქვეყნის შიგნით გადამუშავება და ასეთი სახით საექსპორტოდ გატანა, რისთვისაც აუცილებელი იქნება გადამამუშავებელი მრეწველობის გამოცოცხლება და შემდგომი განვითარება.

საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციას 1995-1998 წწ-ში მლნ დოლარებში წარმოადგენდა: ფეროშენადნობი, ღვინო, აზოტი, ელექტროენერგია, თხილი, კაკალი, ჩაი, ნედლი ნავთობი, ციტრუსები, მინერალური წყლები. ამ პერიოდში გაიზარდა ღვინისა და თხილის, აგრეთვე კაკლის ექსპორტი. შემცირდა ჩაის, ციტრუსის, მინერალური წყლების, ნედლი ნავთობის, ელექტროენერგიის და აზოტის სასუქების წარმოება და შესაბამისად ექსპორტი.

როგორც თესლოვანი და კურკოვანი ხილის, ისე მეციტრუსეობის განვითარებისათვის უახლოეს მომავალში საჭიროდ მიგვაჩნია მეცნიერული კვლევა-ძიების გაგრძელება ახალი ჯიშების შექმნის (სელექციური მუშაობის გაუმჯობესების), საუკეთესო სანერგე მასალის შერჩევის, ბაღების გაშენების, ციტრუსების ნაყოფის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების, ახალი გადამუშავების ტექნოლოგიის შემუშავების მიმართულებით, გასაღების ბაზრის შენარჩუნებისათვის აუცილებელია პროდუქციის წარმოების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება. მაღალხარისხიანი სასაქონლო პროდუქციის სახის შესანარჩუნებლად საჭიროა შეიქმნას ციტრუსების შეფუთვის, მაცივრებში შენახვის და ბაზარზე გატანისათვის მეციტრუსეთა კოოპერატივები, რომლებსაც უფრო გაუადვილდებათ მცირე სიმძლავრის დამხარისხებელი და შემფუთავი მანქანა-დანადგარების შეძენა.

პერსპექტივაში მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს სამუშაოები ციტრუსოვანთა დაავადებების, განსაკუთრებით ლიმონის დაავადების „მალსეკოს“ წინააღმდეგ და აღნიშნული დაავადებისადმი შედარებით მდგრადი ჯიშების გამოყვანის მიმართულებით. სპეციალისტები უპირატესობას აძლევენ პროფ. ფ. მამფორიას მიერ გამოყვანილ ლიმონის ჯიშს „დიოსკურიას“, რომელიც გაცილებით უკეთ იტანს დაავადებას და უფრო მსხმოიარეა ლიმონის სხვა ჯიშებთან შედარებით.

ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების საქმეში მნიშვნელოვანი რეზერვია პლანტაციებში მეჩხერიანობის ლიკვიდაცია.

მეციტრუსეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დარგის განვითარებას ინტენსიური გზით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ამ დარგში ციტრუსოვანთა ნაყოფის საჰექტარო მოსავლიანობის გადიდებას, ამ კულტურათა გავრცელების არეალის შეზღუდულობის გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი, ტ. 9. 591 გვ.
2. ბ. ალავიძე. მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობები საქართველოში. თბილისი. 1960.
3. საქართველოს მეხილეობა. ტ. III, თბილისი, 1973.
4. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი მეორე. ტფ., 1934.
5. ჟან-შარდენის მოგზაურობა საქართველოში 1672-1673 წწ. ტფ., 1935.
6. მ. დედაბრიშვილი, დ. პავლიაშვილი. მეხილეობის ისტორიული მიმოხილვა. „საქართველოს მეხილეობა“, ტ. I, 1969. თბილისი.
7. დ. პავლიაშვილი. მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში. „მეცნიერება“. თბ., 1974.
8. ზ. გელიაშვილი. მეხილეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები საქართველოში. თბილისი. 1979.
9. ს. ქოქაშვილი. მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა და ორგანიზაცია საქართველოში. თბ., 1975.
10. ნ. კვარაცხელია. სუბტროპიკული მეხილეობა. თბ., 1949.Алавидзе. Цитрусовые совхозы Грузии. Тб., 1960.

Lina Datunashvili

THE PROBLEMS OF CITRUS-GROWING DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

The article studies and analyzes some historical aspects of citrus-growing. The attention is focused on citrus area (tangerine, lemon, orange, grapefruit); on harvest and productivity during 70 years of socialism; on the fact that the place of Georgia in all-union distribution according to labor regarding agricultural production was mainly determined by the production of southern and subtropical cultures.

The article shows that citrus production in 2000-2014 has been increased from 40.000t. to 70.2th. tons. In parallel with production growth it is necessary to increase the export of perishable citrus to Russian and Ukrainian markets; This requires measures to be taken recommended in the article.

ლინა დათუნაშვილი

საქართველოს მეჩაიეობაში კრიზისის დაძლევისა და დარგის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები

ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მოიცვა პოსტკომუნისტური ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ერთბაშად არ დაწყებულა. 1971-1980 წლებში საქართველოში ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 6,5%-ს და მრეწველობის პროდუქციისა 6,9%-ს შეადგენდა. 1989-1990 წლებში ეს მაჩვენებელი 1,6% და 2,2%-მდე დაეცა. რეალურად, 1989 წლიდან საქართველოში დაიწყო წარმოების ფონის დაცემა, 1990 წელს, 1988 წელთან შედარებით, ეროვნული შემოსავალი 11%-ით შემცირდა.

საქართველოს ეკონომიკა სსრკ სახალხო მეურნეობის ერთიანი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, სადაც სხვადასხვა რესპუბლიკაში გაადგილებული საწარმოები ტექნოლოგიურად და ორგანიზაციულად იყვნენ ურთიერთკოოპერირებული და ცენტრალიზებული განაწილების მეშვეობით აწვდიდნენ ერთმანეთს განსაზღვრული რაოდენობის მზა პროდუქციას ან ნედლეულს. აღნიშნულის დასადასტურებლად საქართველოს აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსიც გამოდგება, რომლის საწარმოები რსფსრ-დან იღებდა მათთვის საჭირო საწარმოო საშუალებების 76%-ს.

1993 წლის შემდეგ საქართველოში მომხდარმა კატაკლიზმებმა სწრაფად მოშალა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, რასაც შედეგად მოჰყვა სამეურნეო კავშირების გაწყვეტა. ეს კი ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა.

ქვეყანაში დაიწყო მოუფიქრებელი ეკონომიკური რეფორმები იქ, სადაც რეფორმების განხორციელების არავითარი პირობა არ არსებობდა და არსებული რეალობაც ნაკლებად იყო გათვალისწინებული, ამიტომ კრახი გარდაუვალი იყო.

განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობისათვის აუცილებელი საკრედიტო-საფინანსო, საბანკო, საინოვაციო, სამარკეტინგო და სხვა სამსახურები საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა. ეს პროცესი ძნელი და ხანგრძლივია, ჩვენ კი სწრაფად და იოლად გვინდოდა განგვეხორციელებინა, სწრაფად დავანგრიეთ არსებული, მაგრამ მისი მაგიერი საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მმართველობითი და საწარმოო სისტემების და სტრუქტურების შექმნა ვერ მოვახერხეთ.

ქვეყნის ეკონომიკის მართვის მოშლის, ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის ფონზე განვითარება იწყო ადგილობრივმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სეპარატიზმმა.

ეკონომიკურ კრიზისს, რომელსაც 80-იან წლებში სტრუქტურული ხასიათი ჰქონდა და 90-იანი წლების დასაწყისიდან საყოველთაო ხასიათი მიიღო, უკიდურესად მძიმე შედეგები მოჰყვა, რაც ეროვნული სიმდიდრის სისტემატურ შემცირებაში, საწარმოო საშუალებების ფიზიკურ ცვეთაში, სამეცნიერო-ტექნიკურ პროდუქციაზე მოთხოვნილების დაცემაში, ეკონომიკის საფინანსო-აღწარმოებითი სტრუქტურის ღრმა დეფორმაციაში გამოიხატა.

აღნიშნულმა მოვლენებმა მძიმე დაღი დაასვა ქვეყნის ყველაზე განვითარებულ დარგს – მეჩაიეობას. ამ დარგის კრიზისი ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზებით არის განპირობებული, ეს არის წარმოების მკვეთრი შემცირება, რაც გამოიწვია ტრადიციული სამეურნეო კავშირების გაწყვეტამ და მოშლამ. ათეული წლების განმავლობაში დარგის მზა პროდუქციის 97-98% ექსპორტზე გადიოდა, უპირატესად რსფსრ-ს ბაზარზე. აქედან გამომდინარე, ქართული ჩაის რეალიზაციის არეალი მკვეთრად შეიზღუდა.

კრიზისის გამო მოიშალა დარგის ინდუსტრიული ბაზა და ინფრასტრუქტურა, შეწყდა ჩაის ფაბრიკების დანადგარ-მოწყობილობების, ჩაის ხელით საკრეფი აპარატებისა და მობილური მანქანების დამამზადებელი ქარხნების, ლაბორატორიების და საკონსტრუქტორო ბიუროების საქმიანობა.

ენერგოკრიზისმა შეუძლებელი გახადა სტანდარტული ტექნოლოგიური პროცესების დაცვა, რის შედეგადაც შემცირდა წარმოებული პროდუქცია, გაუარესდა მისი ხარისხი, გაიზარდა საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა, ამაღლდა პროდუქციის თვითღირებულება. დაეცა ცხოვრების დონე მეჩაიეობის რეგიონებში, ამას მოჰყვა მოსახლეობის მიგრაცია. თავის გატანის

მიზნით მოსახლეობის დიდი ნაწილი მოაწყდა თბილისს, რომელთა უმრავლესობას თავი გააქვს ვაჭრობითა და მცირე ბიზნესით, რაც მათთვის არადამახასიათებელი საქმიანობაა.

მეჩაიეობის კრიზისმა განაპირობა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დასუსტება, განადგურდა საცდელი სადგურები და საკვლევი ცენტრები. მკვეთრად შემცირდა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი. თუ ადრე საქართველოდან 120-130 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქცია გადაიტვირთებოდა, ბოლო წლებში იგი 10-16 ათას ტონამდე შემცირდა. დღეს არსებული ფასებით ეს თანხაში გამოხატული 120-130 მლნ აშშ დოლარიდან 15-16 მლნ აშშ დოლარამდეა შემცირებული.

1996 წელს 1 კგ ექსპორტირებული პროდუქციის საშუალო სარეალიზაციო ფასი 1,04 აშშ დოლარი იყო, მომდევნო წლებში იგი შესაბამისად 0,92 და 0,87 აშშ დოლარამდე შემცირდა, რაც რეალიზებული პროდუქციის სტრუქტურის შეცვლით (გრანულირებული ჩაის ექსპორტის ზრდა) და სხვა მიზეზებითაც იყო განპირობებული.

საქართველოს ეკონომიკაში მეჩაიეობის დარგის მნიშვნელობის დასახასიათებლად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოში 80-იან წლებში ჩაის პლანტაციების ფართობი, რომელიც ძირითადად 30-იან წლებში გაშენდა, 60 ათასი ჰექტარი იყო. ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება 450-550 ათას ტონას შეადგენდა. აქედან 120-130 ათასი ტონა ჩაის მზა საექსპორტო პროდუქცია იწარმოებოდა. დარგს ემსახურებოდა 48 პირველადი და 22 მეორადი გადამწონი ფაბრიკა, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ მაღალი დონის ტექნიკური დანადგარებით და დამფასოებელი ხაზებით. აქ დასაქმებული იყო 170-180 ათასი ადამიანი.

მეჩაიეობის დარგის განვითარებას ემსახურებოდა უდიდესი შესაძლებლობების მქონე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელი და ექსპერიმენტული დაწესებულებების ფართო ქსელი. იქ მუშაობდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ადამიანები.

90-იან წლებში ქვეყანაში დაინერგა ჩაის სხვადასხვა პროდუქციის კონცენტრატების, უალკოჰოლო სასმელების, ჩაის გრანულების წარმოება, გადაწყვეტილი იყო სამკურნალო მცენარეებით გამდიდრებული ჩაის გამოშვება, ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა-იარაღების და გადამამუშავებელი ტექნოლოგიური დანადგარების წარმოება. მაგრამ ყველაფერი ეს ქვეყანაში 1990-1992 წლების მოვლენების შემდეგ დაინგრა, განიავდა, განადგურდა.

როგორც აღვნიშნეთ, მეჩაიეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი იყო გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. ამ წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ ქვეყანაში აგროსამრეწველო კომპლექსი ღრმა კრიზისმა მოიცვა. განსაკუთრებით დაზარალდა მეჩაიეობა. საქართველო ჩაის ექსპორტიორი ქვეყნიდან იმპორტიორ ქვეყნად იქცა. მეურნეობრივი ფორმების შეცვლამ, მიწის პრივატიზაციამ, მეჩაიეობისადმი უყურადღებო დამოკიდებულებამ დარგი თითქმის განადგურებამდე მიიყვანა. ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილი ჩაის ჯიშებით გაშენებული მაღალმოსავლიანი ჩაის პლანტაციები 1990 წლისათვის 18 ათას ჰექტარს შეადგენდა. დღეს კი მოუვლელობითა და სხვა მიზეზების გამო ჩაის ფართობი მინიმუმამდე არის შემცირებული. შესაბამისად შემცირებულია ჩაის ფოთლის წარმოება 2000-2014 წლებში 24,0 ათასი ტონიდან 1,8 ათას ტონამდე. რეგიონების მიხედვით ჩაის ფოთლის წარმოება შემცირდა აჭარის არ – 2,9 ათასი ტ-დან 0,2 ათას ტ-მდე, იმერეთში 2,7 ათასი ტ-დან 0,0 ათას ტ-მდე, სამეგრელო და ზემო სვანეთი – 11,4 ათასი ტ-დან 1,2 ათას ტ-მდე, ხოლო გურიის რეგიონში – 7,0 ათასი ტ-დან 0,4 ათას ტ-მდე.

მეჩაიეობა სპეციფიკური დარგია, მისი განვითარებისათვის საქართველოში კარგი ნიადაგი, ბუნებრივი და კლიმატური პირობებია. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ნიადაგზე, სადაც ჩაი იყო გაშენებული, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა ვერ ხარობს. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალმა პერიოდმა, ძველი ურთიერთობების მოშლამ, ბოლო 20 წლის მანძილზე განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, მრავალწლიანი ნარგავების ნაჩქარევმა პრივატიზაციამ, დარგის შრომატევადობამ და მექანიზაციის საშუალებების თითქმის არარსებობამ, დარგის დაკნინება გამოიწვია.

დარგის რეაბილიტაციის მიზნით, ვფიქრობთ, უნდა მოხდეს ჩაის ნარგავების პასპორტიზაცია, რის საფუძველზეც უნდა დადგინდეს ნარგავების ასაკი, ჯიშური შემადგენლობა, მეჩხერიანობა, მელიორაციული ფონი და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას სჭირდება ფინანსები, რაც გრანტების და ინვესტიციების მოზიდვით უნდა განხორციელდეს. ამასთან, უნდა ჩამოყალიბდეს ფერმერთა გაერთიანებები: სააქციო საზოგადოებები და კოოპერატივები, რომლებიც ერთიანი ძალისხმევით შექმნიან ისეთ მეურნეობრივ სტრუქტურას, რომელიც ეტაპობრივად, სახელმწიფოს ხელშეწყობით და, რაც მთავარია, ჩაის ფოთლის ხარისხის ამაღლებით მიაღწევს დარგის რეაბილიტაციის გარკვეულ დონეს.

ბოლო ხანებში შეინიშნება მოთხოვნილების ზრდა როგორც ფოთლოვან, ისე გრანულირებულ ჩაიზე, რაც განპირობებულია რიგი მიზეზებით. მსოფლიოში შეინიშნება ჩაის ფოთლის წარმოებასთან შედარებით, ჩაიზე მოთხოვნილების დაახლოებით 39%-ით წინმსწრები ტემპი. მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებში ჩაის მოხმარების ზრდა და შესაბამისად ექსპორტის შემცირება ფიქსირდება. ეს ტენდენცია შეიძლება გაგრძელდეს 50 წლის განმავლობაში.

ქართული ჩაის ტრადიციულ მომხმარებელ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთში, ფინანსური კრიზისის გამო შემცირდა ძვირადღირებული ჩაის იმპორტი და მეტი ყურადღება გამახვილდა

საქართველოში წარმოებულ იაფ მზა ჩაიზე. ქართულ ჩაიზე მოთხოვნილების ზრდა გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი პარტნიორის მოძებნაზე, რომელიც წინასწარ აანაზღაურებს პროდუქციის ღირებულებას, მომსახურე ბანკის გარანტიას და სხვა, რაც მეწარმეს მეტი აქტიური მოქმედების საშუალებას მისცემს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ჩაის, ზოგიერთი ჩაის მწარმოებელი ქვეყნის მსგავსად, დაუმკვიდრდა დაბალი ხარისხისა და ფასის მქონე პროდუქტის რეპუტაცია, რომელიც უცხოეთის ფირმების მიერ გამოიყენება ძვირადღირებულ ჩაიში შესარევად მათი რეალური ფასის ასაწევად და დამატებითი მოგების მისაღებად. ქართული ჩაი ძირითადად იყიდება ტომრებში ჩაყრილი, რაც, წვრილად დაფასოებულ პროდუქციასთან შედარებით თითოეულ კილოგრამზე 35-45 თეთრით ნაკლებია.

ჩაის ფაბრიკებსა და მეჩაიეობის მეურნეობებს, მიუხედავად საკუთრებისა და ორგანიზაციული ფორმებისა, უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა აქვთ. აღნიშნული მდგომარეობის შერბილება, ვფიქრობთ, უნდა განხორციელდეს მეჩაიეობის დარგის საინვესტიციო ფონდის შექმნით, რომლის შევსების წყარო, ადგილობრივთან ერთად, უცხოური დახმარებებიც იქნება. ამასთან, ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებთან ერთად უფრო მასიური ხასიათი უნდა მიიღოს როგორც ჩაის ფაბრიკების, ისე პლანტაციების პრივატიზაციის პროცესმა. ასევე გარკვეული პერსპექტივა გააჩნია საზღვარგარეთის ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობებს. ჩაის ფოთლის წარმოების ზრდასთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს მის ხარისხობრივ მაჩვენებელზე და ჩაის ექსპორტი ძირითადად დაფასოებული სახით უნდა განხორციელდეს.

დასკვნები და წინადადებები

1. ჩაის კულტურას საქართველოში არანაკლებ საუკუნენახევრის ისტორია აქვს. მისი მაღალი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მეჩაიეობის რაიონებში, რომელიც დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილს მოიცავს, მეჩაიეობას მისი მაღალი მოსალოდნელი შემოსავლის გათვალისწინებით, ალტერნატივა არ გააჩნია.

2. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ საერთო ფაქტორებთან ერთად, დარგს გააჩნია სპეციფიკური მიზეზები, რომელთა ზემოქმედებით დარგი, მიუხედავად ოდნავი გამოცოცხლებისა, ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის: სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების რღვევა, აქედან გამომდინარე პროდუქციის რეალიზაციის ტრადიციული ბაზრების დაკარგვა და ახლის აუთვისებლობა; აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუტარებლობით ჩაის ბუჩქის დეგრადაცია, გატყევება და შესაბამისად წარმოების მკვეთრი დაცემა. ჩაის ფოთლის გადამამუშავებელ ფაბრიკებში მოწყობილობა-დანადგარების დატაცება-განიავება. დარჩენილი ტექნოლოგიური ხაზების ფიზიკური და მორალური მოძველება და სხვა.

3. საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე კატასტროფულად შემცირდა როგორც ჩაის ფოთლის კრეფა, ისე მზა პროდუქციის გამოშვება. აგროტექნიკური ღონისძიებების გაუტარებლობით პლანტაციების მკვეთრი შემცირება და დარჩენილი პლანტაციების ექსპლუატაციაში შესაყვანად დიდი კაპიტალდაბანდებების აუცილებლობამ, დარგი, რომელიც 2 ათეული წლის წინ ქვეყანაში ეკონომიკურად, ფინანსურად და ტექნოლოგიურად ყველაზე მეტად იყო განვითარებული, განადგურების პირას მიიყვანა. ამავე დროს, წარმოებული პროდუქცია, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, მდარე ხარისხისაა, რაც ექსპორტირებული პროდუქციის დაბალი ფასის მიზეზია.

4. ბოლო პერიოდში გაიზარდა მოთხოვნილება გრანულირებულ ჩაიზე. ყოველი ღონისძიებით უნდა ვეცადოთ ახალი ბაზრების ათვისებას და დაკავებულ ბაზრებში პოზიციების განმტკიცებას, რაც ჩაის ხარისხის გაუმჯობესებით უნდა იქნეს გარანტირებული. პროდუქციის ექსპორტის გადიდებით გაიზრდება შემოსავლები და შემცირდება საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო.

5. გატყევებული და დაუმუშავებელი პლანტაციები ხანგრძლივი ვადით უნდა გადაეცეს არენდით ამის მსურველ მეურნეებს პლანტაციიდან ჩაის ამოძირკვის აკრძალვის პირობით, და ეს ფართობი გარკვეული პერიოდით მიწისა და ქონების გადასახადისაგან უნდა გათავისუფლდეს.

6. ახლო პერსპექტივაში მეჩაიეობის დარგის განვითარება მეჩაიეთა მცირე კოოპერაციული საზოგადოებების შექმნით გვესახება, რომლებიც მათ მიერ შექმნილ ნედლეულს საკუთარი მცირე წარმადობის საამქროებში გადაამუშავებენ: ჯერ მცირე კოოპერაციული საზოგადოებები, შემდგომ კავშირების ასოციაციების შექმნა ნებაყოფლობითი დარგობრივი გაერთიანებების შექმნით. შემდეგ კი შეიძლება უფრო მაღალი ტიპის გაერთიანებების ფორმებზეც ვისაუბროთ.

7. დარგს რეაბილიტაციისათვის სამი ათეული მილიონი ლარი ინვესტიცია ესაჭიროება, რომლის გაღება არც სახელმწიფო ბიუჯეტს და არც კერძო ინვესტორს არ შეუძლია. უნდა შეიქმნას დარგის საინვესტიციო ფონდი, რომლის შევსების წყარო, ადგილობრივთან ერთად, უცხოური დახმარებებიც იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11. თბილისი. გვ. 70-77.
2. С. Гарлер. Чайная культура и торговля чаем. 1956, перевод с англииского. ст. 134.

3. Т. Кварацхелия. История культуры Чайного растения в Грузии. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XI- , თბ., 1941.
4. К. Бахтадзе. Биология, селекция и семеноводства чайного растения. М., 1948.
5. ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის.
6. გ. ქარჩავა. ჩაი, მისი წარმოება და მოხმარება. თბილისი. 1960.
7. ი. ორაგველიძე. ჩაის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია. თბილისი. 1960.

Lina Datunashvili

POSSIBILITIES TO OVERCOME THE CRISIS IN TEA-GROWING AND FURTHER DEVELOPMENT OF THE SECTOR

Annotation

The article studies and analysis the degradation of agro industrial complex and the economy as a whole in Georgia on the background of 20 years of cataclysms in the country (economic and energy crisis, hasty economic reforms, breach of economic relations, separatism, civil war, great flow of refugees etc). Is also noted a great damage done to the most developed sector in the country – tea-growing, the 90% of production of which was exported mainly to Russian markets and other Soviet republics.

In addition tea-growing service branches and infrastructure degraded, as a whole, decreased tea-growing areas and correspondingly tea production in Georgia. The reasons led to such deterioration are known. Recommendation are given and a complex of measures is proposed for further development of the sector .

ლინა დათუნაშვილი

მევენახეობის განვითარების პრობლემები საქართველოში

მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და პრიორიტეტული დარგია საქართველოში, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი მძლავრი სფეროა. ყურძენი და მისგან დამზადებული პროდუქტები (ყურძნის წვენი, ბადაგი, ღვინოები, არაყი, სპირტი და სხვა) სამკურნალო, დიეტური და კვებითი ღირებულებით ფრიად სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისა და ფიზიოლოგიური აქტივობის ამაღლების საქმეში. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია ვაზის ჯიშების მრავალ-ფეროვნებითა და სიუხვით. აქ ვენახის 500-მდე ჯიშია დაფიქსირებული, რომელთაგან ბევრია აბორიგენული ჯიში.

პოსტსაბჭოთა საქართველოში მრავალწლიან ნარგავებს 1985 წელს 360 ათასი ჰა ფართობი ეკავა. აქედან ვენახს 128 ათასი ჰა. მათ შორის მსხმოიარე იყო 113 ათასი ჰა. 1988 წელს ქვეყანაში აწარმოეს 815 ათასი ტონა ყურძენი, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი იყო რეგიონში. საქართ-ველოში გავრცელებული უნიკალური ვაზის ჯიშები გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება სამარკო ღვინოების დასამზადებლად, ისეთების, როგორიცაა: ქინძმარაული (ყვარელი), მანავი (გურჯაანი, თელავი), კახური სუფრის (კახეთის რაიონები), ხვანჭკარა (რაჭა), იზაბელა (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) და სხვა. ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა ამ ჯიშის ვენახის ფართობები. გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ამზადებდნენ 35 სახის ორდინალურ ღვინოს, 11 სახის კონიაკს. ამ პერიოდში ქვეყანაში ღვინის პირველადი დამუშავების 112 ქარხანა ფუნქციონირებდა. ქართული ღვინის ჩამოსხმა წარმოებდა 11 ადგილობრივ და 7 ყოფილ სსრკ-ს სხვადასხვა რეგიონში. ქ. თბილისში მოქმედებდა თანამედროვე ტიპის შამპანური ღვინოებისა და სამარკო კონიაკის ქარხნები, რომელთა პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. ამაზე მეტყველებს მედლების ის კოლექცია, რომლებიც მიღებული აქვს მათ სხვადასხვა გამოფენებზე და აუქციონებზე. 90-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში მევენახეობის მსხვილი 27 საბჭოთა მეურნეობა იყო. ყურძენს აწარმოებდნენ ასევე კოლმეურნეობები და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში წარმოებული ყურძნის ყველა პროდუქტის ძირითად მომხმარებელს რუსეთის დიდი ბაზარი წარმოადგენდა. 2006 წელს რუსეთის მხრიდან პოლიტიკური მოტივით გამოცხადებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ და მევენახეობის პროდუქციაზე ემბარგომ ნეგატიურად იმოქმედა ამ დარგზე. ამ პერიოდში შემცირდა ყურძნის წარმოება (2005 წელს 250,3 ათასი ტონიდან 175,8 ათას ტონამდე 2008 წელს, და 120,7 ათას ტონამდე 2010 წელს), ხოლო შემდგომ წლებში ქვეყანაში ყურძნის წარმოების ზრდა ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოში ყურძნის წარმოებასა და მის რეალიზაციაში დისპროპორცია შეინიშ-ნებოდა. მაგ., 2007 წელს ყურძნის წარმოება 227,3 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო მისი რეალიზაცია შესაბამისად ვერ ხერხდებოდა. მაგ.,კახეთში, რომელიც ქვეყანაში ყურძნის ძირითადი მწარმოე-ბელია, თითო-ოროლას გარდა, არ ფუნქციონირებდა ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები. იმის გამო, რომ ყურძნის შესყიდვა ფერხდებოდა გადამამუშავებელი საწარმოების მიერ, რეგიონის

ზოგიერთ რაიონში ყურძენი არ იკრიფებოდა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, იყო ფერმერების მიერ ვაზის გაჩეხვის შემთხვევები, რასაც ხელს უწყობდა მევენახეებისათვის ძალიან დაბალი ფასის შეთავაზება ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების მესვეურთა მხრიდან, რაც 0,18 თეთრიდან – 0,30 თეთრამდე მერყეობდა. ქარხნების ეზოებში 2-3 დღე იდგა ყურძნით დატვირთული მანქანები. ფერმერები შეწუხებული აცხადებდნენ, რომ მომავალში ისინი ვენახის ფართობზე სახამთროს გააშენებენ, რომელსაც არ სჭირდება იმდენი ფიზიკური შრომა, მატერიალური ხარჯი და გაცილებით მომგებიანია. დღეისათვის აღნიშნული პრობლემა თანდათან გვარდება. ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები შედარებით უფრო მაღალ ფასში იბარებენ სხვადასხვა ჯიშის ყურძენს, რაც ქართველი მეურნისთვის მისაღებია. ვფიქრობთ, ყურძნის რეალიზაციის საქმეში სახელმწიფოს როლი უფრო უნდა გაიზარდოს. მოწეული ყურძნის რეალიზაცია ფერმერებმა ქვეყნის სხვა რეგიონშიც უნდა მოახდინონ და სამართალდამცველებისაგან, შეძლებისდაგვარად, ხელის შეშლა არ უნდა იქნეს დაშვებული. ვენახის მოვლა ფრიად შრომატევადია და მის მოვლაზე ხარჯი მაღალია, ვიდრე სხვა რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე. ფერმერი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით უვლის ვაზს, ეწევა ხარჯს კარგი მოსავლის მისაღებად და ელოდება მაღალ შემოსავალს, რომელიც ოჯახის საჭიროებისა და ყურძნის შემდგომი კვლავწარმოებისათვის უნდა დაიხარჯოს, შემოდგომაზე მოსავლის აღების შემდეგ ხედავს, რომ ვერ იღებს გაწეული ფიზიკური და მატერიალური დანახარჯის მინიმუმსაც კი.

ვფიქრობთ, მევენახეებსა და ყურძნის სხვადასხვა შემსყიდველებთან, მათ შორის ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნის წარმომადგენლებთან, ყურძნის შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულება წლის დასაწყისში უნდა დაიდოს, რომ ფერმერმა იცოდეს, როგორ გაიყიდება მის მიერ წარმოებული პროდუქცია.

2008 წლის მონაცემებით, ვენახის ფართობი საქართველოში 49,1 ათას ჰექტარს შეადგენდა. მათ შორის მსხმოიარე იყო 46,3 ათასი ჰექტარი. ყურძნის მთლიანი მოსავალი 157,6 ათასი ტონა, ხოლო საშუალო მოსავლიანობა 3,4 ტონა იყო.

ყურძნის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა)

	2000 წელს	2014 წელს
სულ	210,0	224,9
იმერეთი	52,5	12,3
შიდა ქართლი	10,5	16,0
კახეთი	105,0	171,3
დანარჩენი რეგიონები	42,0	25,0

როგორც ციფრობრივი მონაცემები ცხადყოფს, აღნიშნულ პერიოდში საქართველოში 66,3 ათასი ტონით გაიზარდა ყურძნის წარმოება, ძირითადად კახეთის რეგიონის ხარჯზე, რასაც ვერ ვიტყვით იმერეთისა და დანარჩენ რეგიონებზე. კახეთის რეგიონი ყოველთვის იყო და დღესაც არის ქვეყანაში ყურძნის ძირითადი მწარმოებელი რეგიონი, სადაც მევენახეობის უნიკალურ მიკროზონებში ტრადიციულად იწარმოება წარმოშობის ადგილის დასახელებისა და სხვა მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოები. ასეთი სახის 18 დასახელების ღვინიდან 14 კახეთში იწარმოება. დღეს საქართველოს ვენახების 65-70% კახეთშია გაადგილებული. ამ რეგიონს ვენახის ფართობის მიხედვით პირველი ადგილი უკავია, შემდეგ მიდის იმერეთისა და ქართლის რეგიონები.

ქართული ღვინო საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა. 2006 წელს, ქართული ღვინის ექსპორტზე რუსეთის ემბარგოს გამოცხადების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა ქართული ღვინის ექსპორტი, ხოლო 2012 წელს ქართული ღვინო ყველაზე მეტი რაოდენობით უკრაინაში, ყაზახეთსა და ბელორუსში გაიყიდა, შედარებით ნაკლები უზბეკეთში, ყირგიზეთსა და მოლდავეთში. ღვინის გარდა საქართველოდან ექსპორტზე გადიოდა და დღესაც გადის სხვა ალკოჰოლური სასმელებიც. მაგ. ბრენდის (კონიაკი) და ჭაჭის არაყი. ამ პროდუქციის ძირითადი გასაღების ბაზარი 10 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა. ამ ქვეყნებში აღნიშნული სახის სასმელები სტაბილურად მზარდი ჯამური გაყიდვებით ხასიათდება. ჩამოსასხმელი სახის ღვინომასალების ექსპორტში წამყვანი ადგილი ისევ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უკავია. მათ შორის ყველაზე დიდი წილი უკრაინაზე, ბელორუსზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე მოდის.

დარგის შემდგომი განვითარების მიზნით, სახელმწიფომ გარკვეული ღონისძიებები უნდა განახორციელოს, სახელდობრ: სხვადასხვა ექსტრემალურ სიტუაციაში (გვალვა, სეტყვა, წყალდიდობა და სხვა) გაიღოს სუბსიდია ან დაეხმაროს ფერმერებს დაბალპროცენტიანი კრედიტის მიღებაში, რომელსაც ფერმერი გარკვეულ პერიოდში დაფარავს. ასევე უნდა გაფართოვდეს ამ დარგში დაზღვევა. ეტაპობრივად შეიქმნას კოოპერაციული და სააქციო საზოგადოებები, რომლებიც უფრო მობილიზებულად გამოიყენებენ მექანიზაციის საშუალებებსა და ხელს შეუწყობენ ყურძნის რეალიზაციის საქმეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი. 2008-2014.

2. http://www.nplg. gov.ge
3. http://www.government. gov.ge

Lina Datunashvili

THE PROBLEMS OF WINE-GROWING DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

The article deals with the situation in wine-growing as one of the ancient and priority branch of agriculture in Georgia. It is stated that during last 20 years significant changes have been done in the country with regard for wineyard areas and grape production. In 1995-2014 grape production decreased by 197,5 th. tons.

The article shows the reasons causing the current situation in wine-growing (breach of ald relations, robbery and ruin of machines and equipment of wine-processing plants moral and physical obsolescence of the rest)

Fine wines and wine products of Georgia were exported mainly to Russia and post-soviet republics. At present this area is significantly reduced.

The article gives recommendations and outlines measures to increase wine-growing production.

ლინა დათუნაშვილი

მეცხოველეობის განვითარების პრობლემები საქართველოში

მეცხოველეობა, მემცენარეობასთან ერთად, ქვეყნის აგრარული სფეროს ძირითად დარგს წარმოადგენს. იგი იძლევა ადამიანის ცხოველმყოფელობისთვის აუცილებელ კვების პროდუქტებს, ასევე მსუბუქი (ტყავს, მატყლს, აბრეშუმის პარკს, ბეწვს და სხვ.), ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობისთვის სხვადასხვა ნედლეულს, ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობას ამარაგებს მეტად საჭირო ბუნებრივი ორგანული სასუქით.

მეცხოველეობის წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში 2000-2014 წლებში ერთი პროცენტული პუნქტით შემცირდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საკვლევ პერიოდში 100,6 ათასი სულით გადიდდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (ფურკამეჩის ჩათვლით).

ცხრილი 1

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და ფუტკრის ოჯახის რაოდენობა

რეგიონების დასახელება	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (ათასი სული)		ღორის სულადობა (ათასი სული)		ცხვრის და თხის სულადობა (ათასი სული)		ყველა სახის ფრინველის რაოდენობა (ათასი ფრთა)		კვერცხის წარმოება (მილიონი ცალი)		ფუტკარი (ათასი სკა)	
	წლები		წლები		წლები		წლები		წლები		წლები	
	2000	2014	2000	2014	2000	2014	2000	2014	2000	2014	2000	2014
საქართველო მ. შორის	1177,4	1278,0	443,4	204,8	627,6	919,6	7825,5	7272,6	361,4	549,4	97,6	403,4
აჭარის არ	123,2	95	–	–	–	–	–	–	–	–	7,8	56,1
იმერეთი	267,7	211,6	93,5	31,6	15,3	7,6	1766,4	1244,9	71,2	59,4	23,6	15,2
სამეგრელო და ზემო სვანეთი	192,2	278,4	129,4	64,3	14,3	10,4	1812,0	1260,8	72,8	41,8	8,7	114,7
შიდა ქართლი	84,6	86,0	–	–	—	–	414,4	526,8	26,6	28,3	–	–
კახეთი	117,8	119,5	81,3	29,7	218,8	511,0	1114,9	1263,3	54,2	87,1	17,7	55,1
ქვემო ქართლი	129,5	196,1	21,3	28,6	131,1	196,2	768,7	1990,0	44,1	286,1	9,0	26,9
გურია		–			9,2	6,5	–	–	–	–		
სამცხე-ჯავახეთი	98,6	156,7	–		114,9	80,5	–	–	–	–	10,7	38,4
მცხეთა-მთიანეთი		–			57,4	48,7	–	–	–	–	–	–
დანარჩენი რეგიონები	163,8	134,7	117,9	50,6	66,6	57,1	1947,1	986,9	92,5	46,7	20,1	96,9

ცხრილში მოყვანილი მონაცემებით პირუტყვის სულადობის მეტ-ნაკლები ზომით ზრდა შეინიშნება უმეტეს რეგიონებში, გარდა აჭარის არ-ის, იმერეთისა და დანარჩენი რეგიონებისა. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში არ შეიძლებოდა თითოეულ ოჯახს პირუტყვის განსაზღვრულ სულადობაზე მეტი ჰყოლოდა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეს შეზღუდვა მოხსნილია. სოფლად ფერმერს შეუძლია იყოლიოს იმდენი სული პირუტყვი, რამდენის მოვლასაც შეძლებს. თუ ადრე სოფლად პირუტყვის ჯოგს ჰყავდა მეთვალყურე, რომ საქონელი არ გადასულიყო კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან გლეხის პირად დამხმარე მეურნეობაში, რისთვისაც პირუტყვის პატრონს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, ამჟამად ეს შეზღუდვაც მოხსნილია. აღნიშნულმა ღონისძიებებმა დადებითად იმოქმედა პირუტყვის სულადობის ზრდაზე. საყურადღებოა, რომ სოფლად ფერმერის ოჯახის ძირითად საკვებს რძე და რძის პროდუქტები წარმოადგენს, ხოლო მეცხოველეობის ნამატი სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციით იგი

გარკვეულ შემოსავალს იღებს. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები რძესა და რძის პროდუქტებზე, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ფერმერთა შემოსავალზე და გარკვეული ზომით დააზარალა მომხმარებელი. აქვე ხაზგასასმელია ინფლაციური პროცესების გააქტიურება, რომელიც ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს მომხმარებლის საოჯახო ბიუჯეტზე.

ვფიქრობთ, მეძროხეობის პროდუქციის გადიდების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება, ძროხის ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ყურადღება მიექცეს სანაშენე ფერმებისა და ჯიშთსაშენების მშენებლობას; მესაქონლეობის შესაბამის რეგიონებში უშობლების მაღალ-პროდუქტიული იმპორტული ჯიშების შემოყვანას; მერძეული მეძროხეობის პროდუქტიულობის ასამაღლებად ყურადღება გამახვილდეს როგორც ექსტენსიურ (ზომიერად ფურების სულადობის ზრდა), ისე ინტენსიურ ფაქტორებზე, ანუ მივაღწიოთ პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლე-ბისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და ახლო მომავალში ფურის საშუალო წველადობის 2100-2200 ლიტრამდე გადიდებას, რისთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საკვებწარმოების არსებული დონე და განვითარების შესაძლებლობები. 2000-2014 წლებში ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები კულტურების ნათესი ფართობი 61,5 ათასი ჰა-დან 11,8 ათას ჰა-მდე შემცირდა. შესაბამისად იკლო ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოებამ 51,5 ათასი ტონიდან 43,9 ათას ტონამდე. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა საკვების წარმოება სახნავ მიწაზე და ამ ფონზე გადიდდა ბუნებრივ საკვებ სავარგულზე წარმოებული საკვების ხვედრითი წილი.

აღსანიშნავია, რომ საკვების წარმოების დაბალი დონე შეინიშნებოდა როგორც პოსტსაბჭოთა პერიოდში, ისე დღესაც, რასაც რიგი ობიექტური ფაქტორები განაპირობებს, სახელდობრ: ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნება, ძალზე დანაკვთული რელიეფისა და დიდი ქანობების სიმრავლე, მცირე მიწიანობა, სახნავი ფართობების სიმცირე და მათი გამოყენების დაბალი დონე. ამასთან ერთად, დაბალია სასილოსე კულტურების, ძირხვენებისა და ბალახების მოსავლიანობა. თუ გავითვალისწინებთ ნათესი ბალახების სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობას, რითაც ჩვენი ქვეყნის ნათესები გამოირჩევა, მათი მოსავლიანობა და საკვები კულტურებით დაკავებული მიწის ფართობების გამოყენების დონე საკმაოდ დაბალია.

საკვებწარმოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სახნავი მიწების სრული ათვისება, საირიგაციო სისტემის მოწესრიგება, ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები ბალახების ფართობისა და შესაბამისად წარმოების ხვედრითი წილის გადიდება და სხვა.

ღორის მოშენებას საქართველოში ადრეული პერიოდიდან მისდევენ. მის განვითარებას განსაკუთრებით დიდი ყურადღება გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მიექცა. სოციალიზმის პერიოდში ქვეყანაში ფუნქციონირებდა მეღორეობის სანაშენო ფერმები და სამრეწველო კომპლექსები, რომლებმაც 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ საქმიანობა შეწყვიტეს.

საქართველოში მეღორეობას მისდევენ ყველგან, ბარში და მთიან ზონებში, გარდა აჭარის არ-ის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისა. საკვლევ პერიოდში ქვეყანაში ღორის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია (238,6 ათასი სული) ფიქსირდება მეტ-ნაკლები რაოდენობით თითქმის ყველა რეგიონში, ამასთან ერთად, შეინიშნება ღორის ჯიშობრივი მაჩვენებლების გაუარესება. ღორის სულადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ვირუსული დაავადება, რომელიც 2007 წლის ზაფხულში „ღორის ცხელების“ სახელწოდებით გარკვეული კერების სახით კახეთის, სამეგრელოს, ზემო სვანეთის და იმერეთის რეგიონებში დაფიქსირდა. ასეთი დაავადებების ლოკალური გავრცელება დღესაც უარყოფითად მოქმედებს ღორის სულა-დობის ზრდაზე.

ღორის მოშენების, როგორც მეხორცული მეცხოველეობის ქვედარგის განვითარებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რისთვისაც მეღორეობის ტრადიციულ რაიონებში უნდა აღდგეს სანაშენო ფერმების საქმიანობა, ამასთან ერთად, ბარის ზონაში უპირატესობა უნდა მიეცეს ფერმების, ხოლო სხვაგან სამომთაბარო მეღორეობის განვითარებას.

საქართველოში მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს, განსაკუთრებით მთიანი ზონის რაიონების მეურნეობებისათვის, რომლებიც მაღალ შემოსავალს იღებდნენ ამ დარგიდან. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ მთლიან ფულად შემოსავალში მეცხვარეობის დარგიდან მიღებული თანხის ხვედრითი წილი ტოლი იყო 90-95%-ის.

საქართველოში მეცხვარეობა განვითარებულია კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის, ხოლო შედარებით ნაკლებად იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, ასევე გურიის რეგიონებში. 2000-2014 წლებში ცხვრის სულადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა კახეთისა და ქვემო ქართლის, ხოლო შემცირდა სხვა ყველა რეგიონში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში მეცხვარეობა ქვეყანაში მეცხოველეობის ერთ-ერთ განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. მეცხვარეობის ცალკეულ რაიონს გააჩნდა როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის საძოვრები და მეცხვარეები საზოგადოებრივი მეურნეობების ცხვარს (საკუთარ ცხვართან ერთად) სეზონების მიხედვით ერეკებოდნენ ხან ზამთრის და ხან ზაფხულის საძოვრებზე.

ისტორიულად საქართველოში, მომთაბარე მეცხვარეობა იყო ჩამოყალიბებული, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში მაღალმთიანი საზაფხულო საძოვრებისა და ბარის ზონის – ზამთრის საძოვრების არსებობით, რომელთა ათვისება ამ სახის (მომთაბარე-საძოვრული) მეცხვარეობის განვითარებით არის შესაძლებელი. ამასთან ერთად, არსებობს სტაციონარული და ნახევრადსტაციონარული მეცხვარეობა. საქართველოში გავრცელებულია თუშური, იმერული და ქართული ნახევრადნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი პროდუქტიულობით და გააჩნიათ სხვა უპირატესობებიც. ქართული ჯიშის ცხვარი პოპულარული იყო და არის როგორც ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. იგი ექსპორტის საგანს წარმოადგენს. ამ ჯიშის ცხვარი გაჰყავდათ როგორც ახლო, ისე შორეულ ქვეყნებში ადგილობრივ ცხვრებთან შეჯვარებისა და ახალი ჯიშის გამოყვანის მიზნით. ცხვრის ადგილობრივი ჯიშები საუკუნეების მანძილზე კარგად ადაპტირებულია ქვეყნის კლიმატურ პირობებთან. ვფიქრობთ, მთიან რეგიონებში მეცხვარეობის აღორძინება და შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და ამ რეგიონის სოფლებში მოსახლეობის ადგილზე დაკავებას.

მეფრინველეობა ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი განვითარებული დარგია. საკვლევ პერიოდში ყველა სახის ფრინველის რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემცირდა 552,9 ათასი ფრთით, მათ შორის, იმერეთის (521,5 ათასი ფრთა), სამეგრელო და ზემო სვანეთის (551,2 ათასი ფრთა) და დანარჩენ რეგიონებში (960,2 ათასი ფრთა), ხოლო გაიზარდა შიდა ქართლის (110,4 ათასი ფრთა), კახეთის (148,4 ათასი ფრთა) და ქვემო ქართლის (1221,3 ათასი ფრთა) რეგიონში.

მიუხედავად ფრინველის რაოდენობის შემცირებისა, ქვეყანაში გაიზარდა ფრინველის კვერცხის წარმოება 188,0 მილიონი ცალით. ზრდის ტენდენცია შეინიშნება კახეთის (32,9 მილიონი ცალი), ქვემო ქართლისა (242,1 მილიონი ცალი) და შიდა ქართლის (1,7 მილიონი ცალი) რეგიონებში. დანარჩენ რეგიონებში ფიქსირდება კვერცხის შემცირების ტენდენცია.

მეფრინველეობასა და მეღორეობაში არსებული მდგომარეობა ძირითადად განაპირობა წინა წლებში ლოკალურად გავრცელებულმა ინფექციურმა დაავადებებმა, რაც ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების დაბალ დონეზე მიუთითებს. ამას ემატება ეკოლოგიურად დაბინძურებული გარემო, სადაც საოჯახო და სხვა ნარჩენები გაფანტულია ყველა დასახლებულ ადგილას, რითაც მცირდება საძოვრებად გამოსაყენებელი ფართობი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორი აღნიშნული ნარჩენებით იკვებება, რაც იწვევს მათ დასნებოვნებას.

მეფრინველეობის შემდგომი განვითარება კოოპერატივების ბაზაზე სანაშენე მეურნეობების ჩამოყალიბებით უნდა განხორციელდეს.

საკვლევ პერიოდში საქართველოში მთლიანად შემცირდა მეცხოველობის პროდუქციის წარმოება 107,9 ათასი ტონიდან 54,8 ათას ტონამდე. მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 28,7 ათასი ტონით, ღორის ხორცის – 21,4 ათასი ტონით, ცხვრისა და თხის ხორცის წარმოება – 4,8 ათასი ტონით, ხოლო ზრდა დაფიქსირდა ფრინველის ხორცის (1,5 ათასი ტონა), რძის (37,3 ათასი კგ), კვერცხის (188,0 მილიონი ცალი), მატყლის (0,2 ათასი ტონა) და თაფლის (2,7 ათასი ტონა) წარმოებაში.

2000-2014 წლებში საქართველოში მაღალია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ასევე ფრინველის დაცემის ფაქტები. ამ პერიოდში დაცემული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 65,8 ათასი სულით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი მეტ-ნაკლები რაოდენობით გადიდდა აჭარის არ-ის, იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და დანარჩენ რეგიონებში შესაბამისად: 4,0; 6,5; 4,1; 1,0; 6,3; 3,6; 18,5.

დაცემული ღორის რაოდენობა ამ პერიოდში 23,3 ათასი სულიდან 62,4 ათას სულამდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი გაიზარდა იმერეთის, სამეგრელოს და ზემო სვანეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში შესაბამისად: 7,7; 14,0; 3,2; 0,1; 2,9 5,7, ხოლო შემცირდა რაჭა-ლეჩხუმისა (2,1 ათასი სული) და დანარჩენ (28,2 ათასი სული) რეგიონებში.

საქართველოში დაცემული ცხვრისა და თხის რაოდენობა საკვლევ პერიოდში 18,9 ათასი სულიდან 69,6 ათას სულამდე, ანუ 50,7 ათასი სულით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი გაიზარდა ყველა რეგიონში მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და დანარჩენ რეგიონებში შესაბამისად: 0,5; 21,7; 14,5; 5,1; 8,9.

საკვლევ პერიოდში დაცემული ყველა სახის ფრინველის რაოდენობა 2298,2 ათასი ფრთით გაიზარდა, მათ შორის იმერეთის, სამეგრელოს და ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო ქართლის რეგიონებში შესაბამისად: 396,4; 671,2; 197,4; 84,5; 366,2; 350,7 ათასი ფრთით, ხოლო დანარჩენ რეგიონებში ზრდამ 231,7 ათას ფრთას გადააჭარბა.

მეცხოველეობის დარგში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ასევე ყველა სახის ფრინველის დაცემა ასეთი რაოდენობით მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ამ დარგში დაბალია ვეტერინარული მომსახურება და არსებობს სხვა ობიექტური მიზეზებიც (წყალდიდობა, სეტყვა). პოსტსაბჭოთა პერიოდში აგრარული სფეროს ინფრასტრუქტურა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეს და სხვა სახელმწიფო სამსახურები ქვეყნის ბიუჯეტიდან ვერ ფინანსდება და ისინი გაუქმებულია. ვფიქრობთ, მათი

ფუნქცია უნდა იკისროს ინფრასტრუქტურის მომსახურე კომერციულმა სამსახურებმა, ასევე კოოპერატივებმა.

მეფუტკრეობა საქართველოში ერთ-ერთ ტრადიციულ დარგს წარმოადგენს. იგი ყოველთვის იყო და არის გლეხურ, ფერმერულ მეურნეობაში გაადგილებული მეცხოველეობის ერთ-ერთი ქვედარგი, რომლის წარმოება საკვლევ პერიოდში 1,4 ათასი ტონიდან 4,1 ათას ტონამდე გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ფუტკრის ოჯახის რაოდენობის 97,6 ათასიდან 403,4 ათას სკამდე გადიდებამ.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის შიგნით თაფლზე და მეფუტკრეობის სხვადასხვა პროდუქტზე მომხმარებლის მოთხოვნილება. ასევე გასათვალისწინებელია აღნიშნულ პროდუქტზე საგარეო ბაზრის მოთხოვნაც. სწორედ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ქართული ფუტკრის სანაშენო დედის, ამონაყარის, თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქციის წარმოება, რისთვისაც საჭირო, პირველ ყოვლისა, იმ ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლება, ვინც დაკავებულია ამ სფეროში. ამასთან ერთად, აუცილებელია საფუტკრე ინვენტარის წარმოების საკითხის მოგვარება, ხოლო თაფლის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნით უნდა მოწესრიგდეს თაფლის ხარისხის დადგენა, ჩამოსხმა და ტარის ლამაზად გაფორმება.

საქართველოში მრავლად არის წაბლის, ცაცხვის და სხვა ჯიშის ხეების ტყეები და კორომები, ასევე მრავალწლიანი ხეხილის ბაღები, რომელთა რესურსები მინიმალურად არის ათვისებული. ფუტკრის ოჯახების რაოდენობის ზრდა ხელს შეუწყობს ამ რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას.

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი, ტრადიციული და უმნიშვნელოვანესი დარგია. აბრეშუმის ძაფისგან დამზადებული ქსოვილი გამოირჩევა ჰიგიენურობით, სილამაზით, სიფაქიზით, დიდი სიმტკიცითა და გამძლეობით.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აბრეშუმის პარკის დამზადება წარმოების მოკლე პერიოდით გამოირჩევა. იგი საუკეთესო პირობებს ქმნის სოფლად შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ოჯახური კოოპერირებისათვის. მეაბრეშუმეობა სოფლად მოსახლეობის დასაქმების, ოჯახური შინამეურნეობების დამატებითი შემოსავლის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის განმტკიცების საშუალებას წარმოადგენს.

საქართველოში აბრეშუმის პარკის წარმოებამ განვითარების პიკს 1966-1968 წლებში მიაღწია, როდესაც დამზადდა 4,1 და 3,7 ათასი ტონა. აბრეშუმის პარკის აღნიშნული რაოდენობა სრულად აკმაყოფილებდა რესპუბლიკის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების მოთხოვნას ნედლეულზე. ხარისხიანი აბრეშუმის პარკისაგან ამოხვეული ძაფით მზადდებოდა მაღალი ხარისხის ნატურალური ქსოვილები: აბრეშუმი, კრეპდიშინი, კრეპჟორჟეტი, კრეპშიფონი და სხვა. შედარებით დაბალი ხარისხის ნედლეული გამოიყენებოდა თექის, ფარდაგების, გობელენისა და სხვათა დასამზადებლად.

1980-1990 წლებში აბრეშუმის პარკის წარმოება 1,7 ათასი ტონიდან 1,5 ათას ტონამდე შემცირდა, რაც აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის – თუთის ნარგავების მიკროპლაზმურმა დაავადებამ „წვრილფოთოლა ხუჭუჭიანობამ“ გამოიწვია.

1990-1998 წლებში აბრეშუმის პარკის წარმოება ქვეყანაში მინიმუმამდე შემცირდა. 2000 წლიდან საქართველოში აღარ წარმოებს გრენის და, შესაბამისად, აბრეშუმის პარკის დამზადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში აბრეშუმის პარკის წარმოების ტრადიცია, დარგის თანამედროვე მდგომარეობა და მისი დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა გვიჩვენებს მეაბრეშუმეობაში დაგროვილი პრობლემების ლიკვიდაციისათვის კომპლექსური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.

ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული მასალა მემცენარეობასა და მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ გვარწმუნებს ქვეყნის აგრარული სექტორის გარკვეულ პოტენციურ შესაძლებლობებში. შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და დაფინანსების წყაროების მოზიდვის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელი იქნება ქვეყნის შიგა ბაზრის გარკვეული ზომით გაჯერება ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი წარმოების პროდუქციით. იმისათვის, რომ განხორციელდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების გარკვეული ზომით დაკმაყოფილება და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის პოზიციების განმტკიცება, საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს რიგი ღონისძიებები, მათ შორის: სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, გადამამუშავებელი საწარმოების და მელიორაციული სისტემების რეაბილიტაცია; კომერციული შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი (საკონსერვო) წარმოების ინტეგრაცია; სოფლად კოოპერირების ფორმების განვითარება, საშინაო და საგარეო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისთვის ხელშეწყობა, პრიორიტეტულ დარგებში ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათუნაშვილი ლ. მეაბრეშუმეობის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები საქართველოში. მონოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ., 2004.

2. დათუნაშვილი ლ. მეცხოველეობის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი საქართველოს რეგიონებში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთ. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული – „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე"; პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2010.

3. კოდუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. აგრარული საწარმოს ეკონომიკა. თბ., 2010.

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა. თბ., 2005 და 2015 წლები.

5. ჭითანავა ნ. საქართველოს სოფლის მეურნეობა; ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბ., 2015.

Lina Datunashvili

THE PROBLEMS OF CATTLE-BREEDING DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

The article studis current situation in cattle-breeding as one of the main branch of agrarian sphere in the country. There are analyzed factors influencing the changes in the number of cattle, pigs, sheep and goats, as well as in the production of poultry, eggs, honey and milk. The attention is payd to current situation and possibilities of development of silk-warm breeding and food production.

Is shown the decrase in the output of livestock products, the existence of subjective and objective reasons, are also fixed the reasons of losses of cattle, pigs, sheep and goats (including paultry). Are pointed out a very law level of infrastructural development of zootechnical and vet service and agrarian sphere in Georgia in 2000-2014.

The article proposes recommendations and designs measures for further development of cattle-breeding in Georgia.

თენგიზ ქავთარაძე

ფასწარმოქმნისა და რენტაბელობის პრობლემები მეცხოველეობაში

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების დაწესების ობიექტური ეკონომიკური საფუძველი, ისე, როგორც სამრეწველო წარმოების საქონლისა, არის ღირებულება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა და მისი მოცულობა უშუალოდ დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის წარმოების დონეზე. თავის მხრივ, შესყიდვების სისტემა, მისი ფორმები და შესყიდვების ფასები გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებაზე. შესყიდვის პოლიტიკის მიზანია, სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მეშვეობით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვების ორგანიზაციულად მოწყობა და მათი გამოყენება მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის განვითარების პირობების შესაბამისად იცვლება შესყიდვა-დამზადების პოლიტიკა და მისი ორგანიზაცია. ამ თვალსაზრისით პოსტსაბჭოურ პერიოდში ცნობილი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ორი ფორმა: სასურსათო გაწერა (შესყიდვა) და სასურსათო გადასახადი (ნატურაში). სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადების წესების, მისი ფორმებისა და მეთოდების თანმიმდევრული განვითარების ისტორიულ-ეკონომიკურ მიმოხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკულად მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებაში. 1917 წელს, ყოფილი საბჭოთა ქვეყნის წინაშე გადაჭრით დადგა სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა-დამზადების მოწესრიგებისა და მოსახლეობის საარსებო მინიმუმით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ამ მიზნით შეიქმნა სასურსათო სახალხო კომისარიატი, საბჭოებთან მოეწყო სასურსათო კომისიები, გამოქვეყნდა დეკრეტი მარცვლეულის საცავების ნაციონალიზაციის შესახებ. გამოცხადდა დაუნდობელი ბრძოლა სპეკულანტებისა და მოროდიორების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ შეეფერხებინათ სასურსათო მომარაგების საქმე, ღონისძიება ითვალისწინებდა განსაზღვრულ ფარგლებში მოწყობილიყო სახელმწიფო მასშტაბით სწორი საქონელგაცვლა, ე.ი. სამრეწველო საქონლის ნაწილი გარკვეული წესით და ნორმით გაეცვალათ სასურსათო პროდუქტებზე იმ მიზნით, რომ გაძლიერებულიყო პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების სახელმწიფო დამზადება. მაგრამ 1918 წლის გაზაფხულიდან დაწყებულმა უცხოეთის ინტერვენციამ და სამოქალაქო ომმა არ მისცა საშუალება სახელმწიფოს, განეხორციელებინა დასახული ღონისძიებანი. უკიდურესობამდე გამწვავდა ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყანას აღარ გააჩნდა სამრეწველო საქონელი სურსათსა და ნედლეულზე გადასაცვლელად.

1918 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა დეკრეტი (სოფლის მეურნეობის ნატურალური გადასახადით დაბეგვრის შესახებ), რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ პროდუქტების ნაწილის მტკიცე ფასებში გადარიცხვას, რაც საკუთარ მოხმარებას აღემატებოდა. აღნიშნული ნატურალური გადასახადი წარმოადგენდა გარდამავალ ფორმას სასურსათო გაწერაზე

გადასვლისათვის. “სასურსათო გაწერით” გლეხს ევალებოდა, მთლიანად ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული, გარდა თესლის, ოჯახის წევრებისათვის აუცილებელი საჭირო პროდუქტებისა და პირუტყვის გამოსაკვები ფურაჟისა, რაც განსაზღვრული იყო სათანადო ნორმებით. ჩაბარებულ პროდუქტებში სახელმწიფო უხდიდა ფულს. ეს იყო იძულებითი დროებითი ღონისძიება სოფლად სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პირობებში წარმოების ძლიერ დაცემის პერიოდში. გაჩანაგებულ და ჩამორჩენილ ქვეყანაში 1918-1919 წლებში სახელმწიფომ შეაგროვა 110 მილიონი ფუთი პური; მომდევნო მეორე წელს – 220; მესამე წელს – 285 მილიონ ფუთზე მეტი.

სასურსათო გაწერის, 1921 წლის გაზაფხულისათვის მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შედეგად, ქვეყანა ეკონომიკურად ისე იყო დასუსტებული, რომ მრეწველობას არ შეეძლო სოფლისათვის სურსათის სანაცვლოდ მიეცა სამრეწველო საქონლის ის რაოდენობა, რაც ქვეყნისთვის იყო საჭირო. აღნიშნულის გამო, სოფელსა და ქალაქს შორის გაშლილ საქონელმიმოქცევაზე გადასვლისათვის მიღებულ იქნა გარდამავალი ფორმა – ერთი მხრივ ნატურალური გადასახადი, რაც გულისხმობდა სახელმწიფოს მიერ გლეხობისაგან პროდუქტების სრულიად უეკვივალენტოდ მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი პროდუქტების მიღებას საქონელგაცვლის სახით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვაში ფართოდ იქნა ჩაბმული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვა სპეციალური ორგანიზაციები. სასურსათო გაწერა შეიცვალა ნატურალური სასურსათო გადასახადით.

სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა გლეხობის მდგომარეობა და სავსებით გაამართლა თავისი თავი,, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. გლეხს უფლება ეძლეოდა, თავისი სურვილისამებრ გამოეყენებინა საკუთარი შრომით შექმნილი პროდუქტები. სახელმწიფომ გაათავისუფლა გლეხი ნატურით გადასახადისაგან და ნება დართო, გადასახადის ნაწილი ფულით დაეფარა.

აღნიშნულმა ღონისძიებამ გამოიწვია საქონელმიმოქცევის შემდგომი გაფართოება და ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესება. სამეურნეო ცხოვრების გამოცდილებამ გამოიწვია ბაზრის გაფართოება, საქონელბრუნვის ზრდა, რამაც შესაძლებელი გახადა პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება მთლიანად შესყიდვის გზით განხორციელებულიყო. ყოველივე ამის შედეგად, 1924 წლის იანვარში სასურსათო გადასახადი სრულად გაუქმდა და შეიცვალა ფულადი გადასახადით. სახელმწიფო მთლიანად გადავიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შედყიდვის წესით დამზადებაზე.

საბჭოთა საქართველოში მიწის ნაციონალიზაციის შედეგად გლეხობამ დამატებით მიიღო 896 ათასი ჰექტარი მიწა, რომელიც მემამულეების, ბურჟუაზიის, ხაზინის, მონასტრებისა და ეკლესიის საკუთრებას შეადგენდა. გლეხები გათავისუფლდნენ მემამულეთა მიწების სარგებლობისათვის ყოველწლიურად 802,2 ათასი მანეთი ღალისა და მიწის იჯარით აღებისათვის 2500 ათასი მანეთი ოქროთი გადასახადისაგან [5]. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იქნა შემოღებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და სასურსათო გადასახადი. შეიქმნა სპეციალური ორგანო – სასურსათო სახალხო კომისარიატი, რომელმაც დანიშნა დამზადების რწმუნებულები მაზრებში. მათ ეკისრებოდათ სასურსათო პროდუქტების დამზადება ცენტრის დირექტივების მიხედვით. მათ არ ჰქონდათ უფლება დამზადებულ პროდუქციაზე განკარგულების გაცემის უფლება ცენტრის ნებადაურთველად. წარმოება მეტწილად გაცვლითი ოპერაციის სახით – სასურსათო სახალხო კომისარიატის განკარგულებაში არსებულ სამრეწველო საქონელზე გადაცვლით და ფულზე შესყიდვით ხორციელდებოდა. ამ წესითვე ხორციელდებოდა პურეულისა და სხვა სასურსათო პროდუქტების დამზადება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ გაიშალა მუშათა კოოპერატივების ქსელი.

საქართველოს კოოპერატივების გაერთიანების ცენტრს და რაიონულ კოოპერაციულ კავშირებს ევალებოდათ, დაემზადებინათ სასურსათო პროდუქტები და ნედლეული, ხოლო მუშათა კოოპერაციას ეკისრებოდა პროდუქტების განაწილება და სამეურნეო ანგარიშზე გადასულ საწარმოთა მომარაგება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შემოღებულ იქნა ნატურალური გადასახადი. პურისა და მატყლის, ასევე რძის პროდუქტებზე, ხორცზე, მევენახეობის პროდუქტებზე დაწესდა ნატურალური გადასახადები. ხორცის ნატურალური გადასახადი დაკისრებული ჰქონდა როგორც სოფლის, ისე ქალაქის მცხოვრებს, ვისაც კი ჰყავდა გარკვეული რაოდენობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორი. რძის პროდუქტების ნატურალური გადასახადის აკრეფისათვის დაწესებული იყო 5 ზონა და თითოეულ ზონაში განაკვეთების 4 ჯგუფი ძროხების რაოდენობის მიხედვით. საქართველოს სსრ სასურსათო-სახალხო კომისარიატს უფლება ჰქონდა, ნება დაერთო ცალკე მეურნეობისათვის ერთი სასურსათო პროდუქტი შეეცვალა მეორეთი სათანადო ეკვივალენტით[7].

თითოეული მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობას აწესებდა სამაზრო ნატურალური გადასახადის კომისია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნატურალური გადასახადით არ იბეგრებოდა მეურნეობა: ერთი ძროხის ყოლის შემთხვევაში – რძის პროდუქტებით; 11 სულამდე ცხვრის ყოლის შემთხვევაში – რძის პროდუქტებითა და მატყლით; თუ ჰქონდა ერთ დესეტინამდე ხორბლისა და ნახევარ დესეტინამდე სიმინდის ნათესი-პურის გადასახადი; თუ ჰყავდა მოზარდი პირუტყვი 2 წლამდე, ღორი 1 წლამდე, აგრეთვე ერთი ძროხა და დედა ღორი არ იბეგრებოდა ხორცით.

ქვეყანას არ გააჩნდა იმდენი სამრეწველო საქონელი და ფული, რომ საჭირო რაოდენობით შეესყიდა სასურსათო პროდუქტები და ნედლეული წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად და საწარმოების მოსამარაგებლად. ამისათვის აუცილებელი იყო სასურსათო გადასახადის შემოღება და ამ გადასახადის განაკვეთებისა და მოცულობის განსაზღვრა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გათვალისწინებით. სასურსათო გადასახადის შესახებ დეკრეტის გამოცემამდე დაწვრილებით იქნა შესწავლილი მიწათსარგებლობის პირობები, სოფლის მეურნეობის განვითარების დონე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მოხმარების ფორმები, საწარმოთა მოთხოვნილება და სხვა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება ეყრდნობოდა საქონლის გაცვლით ოპერაციებს. ამასთან ერთად, საქონელბრუნვაში დაშვებული იყო კერძო მწარმოებელიც, რადგან სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული საქონლის მარაგი არ იყო საკმარისი სოფლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სასურსათო გადასახადის საშუალებით საქართველოში 120 ათას ფუთამდე ხორბალი შეგროვდა. ნატურალური გადასახადის აკრეფა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. გადასახადის სიმრავლე ზღუდავდა გლეხობის ინიციატივას სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების საქმეში და იწვევდა მათ უკმაყოფილებას. ყველა ნატურალური გადასახადის გამარტივებისა და გაერთიანებისათვის 1922-23 წელს შემოღებულ იქნა ერთიანი ნატურალური გადასახადი, 11 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე დადებული გადასახადი გადაყვანილ იქნა ხორბალზე. გადამხდელთ უფლება მიეცათ, გადასახადი შეეცვალათ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით, აგრეთვე ფულადი ეკვივალენტით. სასურსათო გადასახადი გატარებული იყო კლასობრივი პრინციპის მიხედვით და ეკისრებოდა კულაკობას, შეძლებულ და საშუალო გლეხობას, ხოლო ღარიბი გლეხობა თავისუფლდებოდა მისგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს რესპუბლიკას მოთხოვნილება პურზე თავისი მოსავლით არასოდეს დაუკმაყოფილებია, მაგრამ პურის დამზადება ყოველთვის წარმოებდა და წარმოებს იმ რაიონებსა და მეურნეობებში, რომელთაც ამის საშუალება აქვთ.

სასურსათო გადასახადი 1924 წლიდან მთლიანად გაუქმდა და ფულადი გადასახადით შეიცვალა. სახელმწიფო დამზადება წარმოებდა თავისუფალი საბაზრო შესყიდვის წესით. იგი წარმოადგენდა ქალაქსა და სოფელს შორის ისეთ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომლის დროსაც ერთპიროვნული გლეხები მთელ თავის სასაქონლო პროდუქციას ასაღებდნენ თავისუფალი გაყიდვის წესით, ხოლო სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას გლეხობისაგან შესყიდვის გზით, რომლთაც გამოჰქონდათ პროდუქტები გასაყიდად. გამახვილდა ყურადღება – ფართოდ მოემარაგებინათ ბაზარი საჭირო რაოდენობის სამრეწველო საქონლით მოსავლის რეალიზაციის მომენტისათვის. ქვეყნის ხელისუფლება სისტემატურ აგრონომიულ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას უწევდა ღარიბ და საშუალო გლეხობას მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. ხელისუფლებამ დიდძალი სახსრები გაიღო დანგრეული და გაჩანაგებული სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებამ, კერძოდ, მშომელი გლეხობის მატერიალური დაინტერესების პრინციპის გატარებამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამის შედეგად 1925 წელს დამთავრდა სოფლის მეურნეობის აღდგენითი პერიოდი. თუ 1913 წელს ნათესი ფართობი შეადგენდა 747,4 ათას ჰექტარს, 1925 წელს მან მიაღწია 790 ათას ჰექტარს, ე.ი. 105,7 პროცენტს. 1919 წელს საშუალოდ წლიური სასურსათო პურეულის მოსავალი შეადგენდა 742928 ტონას, 1925 წელს მიღებულ იქნა 749246 ტონა, ე.ი 6318 ტონით მეტი ვიდრე 1913 წელს.

დამზადების ახალი წესი – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საბაზრო შესყიდვა – 1924-დან 1928 წლამდე არსებობდა. მან უფრო მეტად წაახალისა, მძლავრი სტიმული მისცა გლეხობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების განვითარების საქმეში. თითქმის ერთიორად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება ცეკავშირისა და ძირითადი სამომხმარებლო კოოპერატივების ხაზით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საწარმოო-გამსაღებელ გაერთიანებათა უკვე ჩამოყალიბებული ფორმების განვითარებას, სოფლის მეურნეობის საარტელო და კოლექტიური სახეების ჩამოყალიბებას. ყურადღება ექცეოდა საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას, როგორც კოოპერაციის ყველაზე უფრო მასობრივ და ყოვლისმომცველ ფორმას, რომელსაც შეეძლო მიეზიდა გლეხობის ყველაზე ფართო ფენები და უშუალოდ მომსახურებოდა გლეხურ მეურნეობათა მრავალფეროვან საწარმოო საჭიროებებს. 1925 წლიდან ცეკავშირს (სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრს) ჩამოშორდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის საქმე და ამის უფლება გადაეცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სამეურნეო ცენტრს. მისი საორგანიზაციო საქმიანობა მიმართული იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა მოწყობისათვის (ამხანაგობა, არტელი და კომუნა) სპეციალური დარგების მიხედვით: მეღვინეობის, მეხილეობისა და მებოსტნეობის, წვრილი და მსხვილი მეცხოველეობის (მეცხვარეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მერძევეობა და სხვა), მებამბეობის, მეთამბაქოეობის, მეფუტკრეობის, ჩაის კულტურისა და სხვა სპეციალურ კულტურათა; ხოლო იმ რაიონებში, სადაც სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანი, შერეული ხასიათისა იყო, ეწყობოდა შერეული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია თავის მოკავშირე კოოპერატივთა შემწეობით აწარმოებდა სხვადასხვა სახით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამ-

ზადებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი საწყობებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასამუშავებელი საწარმოების მშენებლობას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ძირითადი დამამზადებელი ორგანიზაციები იყვნენ წარმოკავშირი (შემდეგ მას ეწოდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული კავშირი), ანუ ცეკავშირი. სოფლად კოოპერაციის განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის გაწევრიანებისა და თანამშრომლობისათვის, კერძო შუამავლის გარეშე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ორგანიზაციისა და სამრეწველო-სამეურნეო საქონლით მომარაგების საქმეში. ძირითადად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებებით წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადება, გასაღება და გლეხობის მომარაგება სამრეწველო და სამეურნეო საქონლით.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ამოცანები და ხელმძღვანელობის ახალი მეთოდები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამეურნეო ცხოვრებაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და მისი ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორიცაა ფული, ფასი, სამეურნეო ანგარიში, მოგება. სოფლის მეურნეობის დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლა მოითხოვს ფასწარმოქმნის სისტემის გაუმჯობესებას. ფასები უნდა შეესაბამებოდეს შრომის საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს. თუ ფასები მოწყვეტილია ღირებულებას, რომლის ფულად გამოხატულებასაც იგი წარმოადგენს, ირღვევა აღნიშნული საჭირო შესაბამისობა, როცა ფასები ღირებულებასთან შედარებით ძალზე მცირეა, ქრება იმის პერსპექტივა, რომ კარგი მუშაობით ანაზღაურდება დანახარჯები და მიღებული იქნება სათანადო მოგება, ხოლო როცა ფასები ღირებულებაზე დიდია, თავისთავად, კარგი მუშაობისაგან დამოუკიდებლადაც მიიღწევა მნიშვნელოვანი მოგება.

წარმოების რენტაბელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფასებთან, ამიტომ რენტაბელობისა და ფასების ურთიერთობის გარკვევას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, საჭიროა გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ ფასების დაწესების დროს ისეთ ფერმერულ მეურნეობაში, სადაც მრავალი სახის პროდუქცია იწარმოება, რენტაბელობა რა ასპექტით უნდა იქნეს განხილული მთლიანად ფერმერული მეურნეობის თუ ცალკეული კულტურების მიხედვით.

ცნობილია, რომ რენტაბელობის ნორმა არ შეიძლება ერთნაირი იყოს არა მარტო სხვადასხვა სახის პროდუქციაზე, არამედ თვით ერთი და იმავე პროდუქციაზე სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში. ამიტომ, თუ შესყიდვის ფასების დაწესების დროს მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ „მთლიანი რენტაბელობა“ და ანგარიში არ გაეწევა დარგობრივ რენტაბელობას, ფერმერულ მეურნეობაში აღმოჩნდება ისეთი კულტურები, რომლებიც იძლევიან ძალიან დიდ წმინდა შემოსავალს, მაგრამ, ამავე დროს, იქნება ისეთი კულტურებიც, რომლებიც დიდ ზარალს იძლევა, და ეს ზარალი იფარება მაღალშემოსავლიანი დარგების წმინდა შემოსავლით. ჩვენი აზრით, შესყიდვის ფასების დაწესებას „მთლიანი რენტაბელობის“ პრინციპის მიხედვით არავითარი გამართლება არ აქვს. შესყიდვის ფასების დაწესების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა დარგის რენტაბელობა. ერთი დარგის მეორე დარგის ხარჯზე მუდმივად შენახვა მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

1.1. რძის შესყიდვის პრობლემები საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში თავის დროზე ფუნქციონირებდნენ მერძევეობის მსხვილი ფერმები. თითოეული ასეთი ფერმა თავის მხრივ, წარმოადგენდა რძის ფაბრიკას. ფერმის ტერიტორიაზე რძის მისაღებად და შესანახად მოწყობილი იყო სარძევე, საძროხისაგან იზოლირებული, მიშენებული ან სპეციალური შენობა, რომელსაც ჰქონდა რძის პირველადი გადამუშავებისა და შესანახი განყოფილება, სამრეცხაო, სატუმბავი და საქვაბე. რამდენიმე საძროხის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ცალკეულ საძროხესთან არსებული სარძევეებიდან რძის მისაღებად ცენტრალური სარძევის ცალკე შენობაში მოწყობა. სარძევეში მოწყობილი იყო რძის ლაბორატორია.

იმ თვეებში, როცა კლიმატური პირობების მიხედვით შეიძლებოდა პირუტყვის დღე-ღამის განმავლობაში საძოვარზე ყოლა, ცხოველების საწველ და დასასვენებელ ადგილებზე ეწყობოდა სარძევე, რძის პირველადი დამუშავებისა და გაცივების შემდეგი შენახვისათვის, ვიდრე ის ცენტრალური მეურნეობების ან სახელმწიფო რძის ქარხანაში გაიგზავნებოდა.

საზოგადოებრივ მეურნეობებში გათვალისწინებული იყო: ა) ფერმის სარძევე ყველა საქონლის ეზოსთან; ბ) ცენტრალური სარძევე, როცა ერთ მეურნეობას რამდენიმე საძროხე გააჩნდა.

ფერმის სარძევეები უზრუნველყოფდნენ: ა) პირუტყვის ბაკში რძის მიღებას შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვით. ბ) უზრუნველყოფდნენ წველის შემდეგ რძის პირველად გადამუშავებას და შენახვას რძის ქარხნებში ან სავაჭრო ქსელში გაგზავნამდე; გ) სისტემატურად აღრიცხავდნენ მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობას; დ) იკვლევდნენ რძის შემადგენლობას როგორც ცალკეული ძროხის, ისე ნაწველის საშუალო სინჯის მიხედვით, რათა დაედგინათ ნახირის რძის ხარისხი და გამოევლინათ პირუტყვის ჯიშობრივი ღირსებები; ე) უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მეურნეობის მეცხოველეობის ფერმები მოხდილი რძით, რძის გადამუშავების სხვა პროდუქტებით ხბორების, გოჭების, ბატკნების გამოსაზრდელად; ვ) ეწყობოდა რძის ჭურჭლის, ინვენტარისა და საწველი მანქანების გულმოდგინე დაორთქვლა და დეზინფექცია, ფურების ცურის თბილი წყლით ჩამობანა, აგრეთვე მეურნეობის ფერმის სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება,

რაც უზრუნველყოფდა სუფთა, მაღალხარისხოვანი ვარგისი რძის მიღებას როგორც გადასამუშავებლად, ისე უმი სახით მოხმარებისათვის; ზ) ფერმის მუშაკთა შორის ეწყობოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მერძევეობის საქმის საერთო და საწარმოო კულტურის ამაღლებისათვის [2].

ცენტრალური სარძევეები ვალდებულნი იყვნენ: ა) მიეღოთ რძე ფერმის სარძევეებიდან, გადაემუშავებინათ, შეენახათ და უმი სახით ჩაებარებინათ მომხმარებლებისათვის; ბ) თვალყური ედევნებინათ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარებისა და რძის პროდუქტების მიყიდვის გეგმის დროულად შესრულებისათვის; გ) მიეღოთ და გადაემუშავებინათ მეურნეობებიდან და მოსახლეობიდან ჩაბარებული რძე; დ) ეწარმოებინათ სტანდარტული შემადგენლობისა და ხარისხის კარაქის, ყველის, ხაჭოს, არაჟნის გადამუშავება და შენახვა, თუ ისინი სისტემატურად აწარმოებდნენ რძის გადამუშავებას. ე) იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობას არ ჰქონდა ფერმის სარძევე, მის ყველა მოვალეობას ასრულებდნენ ცენტრალური სარძევეები.

რძის მოძრაობის ასეთი სისტემა შესაძლებლობას იძლეოდა, მომხმარერბლისათვის მიეწოდებინათ ახალი რძე და რძის პროდუქტები. მეცხოველეობის ფერმები მოზარდი პირუტყვის გამოსაკვებად მარაგდებოდნენ მოხდილი რძით. ამასთან, რძის ქარხანა მეურნეობას აძლევდა მოგებას, მისი საქმიანობა ეკონომიკურად გამართლებული იყო.

დღეს რძის მოძრაობის აღნიშნული სისტემა მთლიანად მოშლილია. მერძევეობის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები იგნორირებულია. იგი დაიყვანება გლეხების მიერ წარმოებული რძის, რძის შემკრებ პატარ-პატარა პუნქტებში ჩაბარებით. მაგალითად, დმანისის რაიონის რძის ქარხანა ყოველდღიურად იღებდა და ამუშავებდა 50-60 ტონა რძეს. მზადდებოდა შვეიცარული ყველი, კარაქი, სულგუნი, ქართული ყველი და სხვა. დღეს ქარხანა ნახევრად გაჩერებულია. მოსახლეობა რძეს აბარებს სულგუნის დამზადების პატარა საოჯახო საწარმოებს. რძის ნაწილი კი სეზონის მიხედვით იგზავნება ცისტერნით თბილისში რძის კომბინატ „სანტეში". რიგი რძის ქარხნები მოსახლეობისაგან რძეს აღარ იღებენ. ისინი ამჯობინებენ რძის ფხვნილის გამოყენებას. მოსახლეობა ეკონომიკურად ზარალდება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, რძის სტანდარტის მოთხოვნილებანი განისაზღვრებოდა ГОСТ 13264-70 სტანდარტით. დღეს საქართველოში 1,3 მილიონი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, აქედან მეწველი ძროხაა დაახლოებით 800 ათასი სული.

ურთიერთკავშირი ერთი მხრივ ფერმერულ მეურნეობებსა და მოსახლეობას, მეორე მხრივ, რძის მრეწველურ საწარმოებს შორის უნდა გამყარდეს საკონტრაქტო ხელშეკრულებებით, რომლითაც განისაზღვრება რძისა და რძის ნაწარმის მიყიდვისა და შესყიდვის პირობები, აგრეთვე ორივე მხარეს შორის ურთიერთვალდებულებანი. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს რძისა და რძის ნაწარმის რაოდენობა და ხარისხი, რომელსაც ყიდის ფერმერი ან მოსახლე წელიწადში კვარტლებისა და თვეების დაყოფით რძის საწარმოებისათვის. რძის საწარმოებმა ვალდებულება უნდა აიღონ, თავის დროზე მიიღონ ეს პროდუქტები, დაამუშაონ, შეინახონ და რეალიზაცია გაუკეთონ. ჩვენი აზრით, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ წლის დასაწყისში რძის ქარხნები სოფლად რძის მწარმოებელ ფერმერებზე გასცემენ ფულად ავანსს, რომელიც შემდგომში პროდუქციის მიყიდვით თანდათან დაიფარებოდა. ორივე მხარემ მატერიალური პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. ამრიგად, რძისა და რძის პროდუქტების გაყიდვისა და შესყიდვის ურთიერთსახელშეკრულებო ვალდებულებანი შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ფერმერულ მეურნეობებს, მუდმივი მყიდველები ჰყავდეთ რძის საწარმოების სახით, ხოლო ამ უკანასკნელთ ჰქონდეთ მტკიცე ნედლეულის ბაზა.

საქართველოში ცნობილია რძის მრეწველობის შემდეგი დარგები: კარაქის, ყველის, მოუხდელი რძისა და რძის კონსერვების და სხვა. ყველა ამ დარგს უნდა გააჩნდეს ძირეული დამამზადებელი ქსელი, რომელიც შემდეგი რგოლებისაგან შედგება: მიმღები პუნქტი ძირეული რგოლია. მისი მოვალეობაა რძის მიღება ფერმერული მეურნეობებიდან და მოსახლეობიდან. აქ უნდა წარმოებდეს რძის გაცივება, შენახვა და ტრანსპორტირება. აქვე უნდა იყოს მოწყობილი სასეპარატორო განყოფილება. მიმღები პუნქტები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო ინვენტარით, ჭურჭლით, ცივი და ცხელი წყლით. გარდა რძის ძირეული მიმღები პუნქტებისა, ყურადღება უნდა მიექცეს შარაგზებსა და სოფლებთან არსებული მიმღები პატარა პუნქტების არსებობას, სადაც რძეს მიიღებენ ახლო მდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობიდან.

სასეპარატორო განყოფილება რძეს იღებს მოსახლეობიდან და ფერმერული მეურნეობებიდან. მიღებულ რძეს ნაწილობრივ სეპარატორში ატარებს. ნაღებს აციებენ და გზავნიან ქარხანაში. მოხდილ რძეს უბრუნებენ ჩამბარებლებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოზარდეულის საკვებად და ნაწილობრივ იყენებენ ხაჭოს დასამზადებლად.

ძირეული რძის ქარხნები უნდა ჰქონდეთ რძის მრეწველობის საწარმოებს. ქარხნები რძეს იღებენ მიმღები პუნქტებიდან, ახლო მდებარე ფერმერული მეურნეობებიდან, სასეპარატორო განყოფილებებიდან, ამუშავებენ მას და გზავნიან ცენტრალურ ან მთავარ რძის ქარხნებში. ძირეული ქარხნები, არსებითად მთავარი ან ცენტრალური ქარხნების ფილიალებია. ისინი კარგად უნდა იყვნენ აღჭურვილი სათანადო მოწყობილობებით, ორთქლით, სიცივითა და ელექტროენერგიით.

რძის ცენტრალური ქარხნები კარგად აღჭურვილი თანამედროვე საწარმოებია. ისინი რძეს იღებენ რძის ძირეული ქარხნებიდან, სასეპარატორო განყოფილებებიდან, აგრეთვე ახლომდებარე ფერმერული მეურნეობებიდან. ადმინისტრაციულ-ფინანსური მხრიდან რამდენიმე ძირეული ქარხანა ერთ ცენტრალურს ემორჩილება. ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელს მთავარი ქარხანა, ანუ კომბინატი ეწოდება.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ადგილობრივ, რაიონულ და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სამეურნეო ერთეულების დონეზე არ წარმოებს სათანადო მუშაობა რძის წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციულ საკითხებზე, ძნელი დასადგენია რაიონის დონეზე რამდენი რძის მიმღები პუნქტია, რამდენია სასეპარატორო განყოფილება, ძირეული რძის ქარხანა და სხვა. მათ ფუნქციონირებას სოფლად მოსახლეობის დამაგრების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსახლეობა რძის პროდუქტებს ადგილებზე შემოსავლების მიღების მიზნით ხალისით აბარებს რძის დამამზადებელ ქსელს.

სამეცნიერო მონაცემებისა და სხვა მასალების საფუძველზე რესუბლიკის ცალკეული ზონებისათვის უნდა დაწესდეს რძის საბაზისო ცხიმიანობა, ე.ი. მოცემული ზონისათვის რძის ცხიმიანობის საშუალო პროცენტი წლის მანძილზე. ამიტომ რძის მიმღები პუნქტების მიერ შესყიდული რძის ფასი დიფერენცირებული უნდა იყოს ზონების მიხედვით საბაზისო ცხიმიანობის საფუძველზე. ძროხის რძე, რომელსაც ყიდიან ფერმერული მეურნეობები და ინდივიდიალური ჩამბარებლები, უნდა იყოს ახალი, ნატურალური და შეესაბამებოდეს სათანადო ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. არ შეიძლება გაიყიდოს ფურის მიერ ხბოს მოგების პირველ შვიდ დღეში (ხსენი) და ფურების გაშრობის უკანასკნელი 10-15 დღის განმავლობაში ნაწველი რძე[4]. ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ ჩამბარებლებს უკეთესი ხარისხის რძის მიყიდვისათვის სტიმულირების მიზნით უნდა დაუწესდეთ ძირითადი ფასის ზევით დანამატი ან მოხდეს ფასდაკლება.

პირუტყვის პროდუქტიულობისა და ჯიშობრივი თვისებების გამოსავლენად, გენოფონდის შენარჩუნების მიზნით, ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდიალურ მეურნეობებსა და რძის მიმღებ საწარმოებში დიდი ყურადღება უნდა დაერთმოს რაოდენობრივი აღრიცხვის წარმოების სპეციფიკას მერძევეობაში. ანდა წარმოებდეს: რძის რაოდენობის გაანგარიშება ლიტრებიდან კილოგრამებად და პირიქით; რძეში ცხიმის აბსოლუტური რაოდენობის განსაზღვრა; ერთპროცენტიან რძეზე გადაანგარიშება; რძის რაოდენობის გადაანგარიშება საბაზისო ცხიმიანობაზე; ლაქტაციის პერიოდში რძის ცხიმის საშუალო პროცენტის განსაზღვრა; რძის გადაანგარიშება 4%-იან ცხიმიანობაზე; ცხიმის საშუალო პროცენტის განსაზღვრა რძის რამდენიმე პარტიაში; სეპარატორში გატარებულ მოხდილ რძეში გადასული ცხიმის რაოდენობის გამოანგარიშება და სხვა.

რძე მისი მიღების მომენტიდან ნატურალური სახით, ან რძის პროდუქტების სახით, მომხმარებლამდე თავის თვისებებს ინარჩუნებს მხოლოდ სიცივით დამუშავების პირობებში. ამიტომ ყველა რძის საწარმოს ფერმერული და ინდივიდუალური მერძევეების ფერმებს უნდა ჰქონდეთ პირობები და საშუალებები რძის პროდუქტების გაცივებისა და შენახვისათვის.

სიცივე შეიძლება მივიღოთ ხელოვნური გზით სპეციალური მანქანების მეშვეობით ან ბუნებრივი წყაროების გამოყენებით რძის გასაცივებლად. ამ საკითხის მოგვარება სოფლად, განსაკუთრებით მთიანი დასახლებებისათვის ან რაიონული ცენტრებიდან დიდად მოცილებული სოფლებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. მთის სოფლების მოსახლეობაში რომ მოეწყოს რძის გამაცივებელი შესანახი ადგილები, საიდანაც კვირაში ერთხელ ან ორჯერ ავტოცისტერნა გაციებულ რძეს რძის ქარხანაში გადაიტანდა, მოსახლეობას ადგილებზე შემოსავალი გაუჩნდებოდა. მაგალითად, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი სამთაწყარო რაიონული ცენტრიდან მოცილებულია 50 კმ მანძილზე, ტრანსპორტი რაიონულ ცენტრამდე ნაკლებად მოძრაობს, მოსახლეობას კარგად განვითარებული რძის წარმოება აქვს, მათი პრობლემაა რძისა და რძის როდუქტების რეალიზაცია. თუ სამთაწყაროში მერძევეობის ოჯახურ ფერმებში მოეწყობოდა რძის გამაცივებელი, მაშინ კვირაში ერთხელ ან ორჯერ შეიძლებოდა ცივი რძის ცისტერნით დედოფლისწყაროს ყველ-კარაქის ქარხანაში გადატანა.

რძის დამზადებაში მნიშვნელოვანი რგოლია ტრანსპორტირების ორგანიზაციის საკითხი. დღეს სოფლად ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში რძის დამზადების ძირითადი ფორმაა: ფერმერული მეურნეობა – დამზადების პუნქტი. რძის დამზადების აღნიშნულ მეთოდს ბევრი უარყოფითი მხარე აქვს. მაგალითად, ფერმერული მეურნეობები რძის გადაზიდვის სატრანსორტო საშუალებებით ცუდად არიან უზრუნველყოფილნი. უმეტეს მათგანს არ გააჩნია სპეციალური რძის საზიდი ცისტერნა, ხოლო ვისაც აქვს მას რაციონალურად ვერ იყენებს, რადგან უმეტეს მეურნეობათა სარძევე ფერმები სულადობის მიხედვით პატარაა და შესაბამისად ნაკლებ რძეს აწარმოებენ. იმ ფერმერულ მეურნეობებში, რომლებიც რძეს სატვირთო მანქანებით ბიდონებში ზიდავენ არა ერთი და იმავე, არამედ ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მანქანით უხდებათ ტრანსორტირება. რძის ჩაბარებასაც სხვადასხვა მძღოლი აწარმოებს, რომლებიც რძის ჩაბარების წესებს ცუდად იცნობენ და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენაში არ მონაწილეობენ. ამასთან ერთად, რძის ტრანსორტირების შემდეგ სატვირთო მანქანები სხვადასხვა სამუშაოზე გამოიყენება, რაც მანქანის ძარის გაჭუჭყიანებას იწვევს და ხშირ შემთხვევაში რძის ტრანსპორტირებისათვის მოუმზადებელი მანქანით ხდება პროდუქციის გამოზიდვა. ფერმერულ

მეურნეობებსა და რძის მრეწველობის საწარმოებს პროდუქციის ჩაბარების გრაფიკი არა აქვთ და თუ აქვთ, მის განრიგს არ იცავენ, რის შედეგადაც დილით და საღამოთი რძის ჩაბარების დროს, ტრანსპორტის დიდ მოცდენას აქვს ადგილი, რაც ჩასაბარებელი პროდუქციის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს და სატრანსპორტო ხარჯებს ადიდებს. ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომლებიც რძეს დამზადების პუნქტებში თავიანთი ტრანსპორტით ზიდავენ, უხდებათ ცისტერნებით, სატვირთო ავტომანქანებით, ტრაქტორებითა და ურმებით ბიდონებში ამ პროდუქციის ტრანსპორტირება. რძის ბიდონები მწყობრიდან მალე გამოდის. იუანგება (წყალს უშვებს), ხშირ შემთხვევაში სახურავები კარგად ვერ ეხურება და სისუფთავის დაცვა ძნელდება. ზოგჯერ მეურნეობები იძულებულნი არიან მაღალი ტვირთამწეობის მანქანით დღეში ორჯერ წაიღონ რძე შესყიდვის პუნქტებში, რის შედეგადაც ტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტი მცირდება, ტრადიციული მეთოდით რძის ზიდვასთან შედარებით ცენტროზიდვას დიდი უპირატესობა აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რძის ქარხნის ავტოტრანსპორტს შედგენილი უნდა ჰქონდეს რძის შემკრები პუნქტებიდან რძის ზიდვის გრაფიკი. რძის ცენტროზიდვის დანერგვით სატრანსპორტო ხარჯებისაგან მეურნეობები თავისუფლდებიან, ხოლო რძის მრეწველობის საწარმოები ხდებიან პასუხისმგებელნი რძის დაბინავებაზე. რძის ცენტრო-ზიდვის დანერგვით დამამზადებელ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სატრანსორტო საშუალებები და მნიშვნელოვნად შეამცირონ ერთი ტონა რძის ტრანსპორტირების ხარჯები, რაც შრომის ნაყოფიერებას მნიშვნელოვნად ზრდის.

სხვადასხვა მეთოდით რძის ტრანსპორტირების ხარჯების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მართალია, რესუბლიკაში ჯერ კიდევ არ არსებობს რძის გამოზიდვის პროგრესული მეთოდის რაციონალურად გამოყენების პირობები, მაგრამ მას მაინც გარკვეული უპირატესობა აქვს. რძის გამოზიდვის ორივე მეთოდის შემთხვევაში საერთო სატრანსპორტო დანახარჯების სტრუქტურაში მეტი ხვედრითი წონა მოდის შრომის ანაზღაურებაზე. ოღონდ ფერმერული მეურნეობის ტრანსპორტით გამოზიდვისას აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია, დამამზადებლის ტრანს-პორტის რძის გამოზიდვასთან შედარებით. რძის ქარხნებს თავიანთი ავტოცისტერნებით ფერმე-რული მეურნეობებიდან რძის გამოზიდვაზე გაწეული სატრანსპორტო დანახარჯების სტრუქტურაში შრომის ანაზღაურების ხვედრითი წონა დაბალია, ვიდრე მაშინ, როცა ფერმერული მეურნეობებში სატრანსორტო ხარჯების სტრუქტურაში შრომის ანაზღაურებას შესაბამისად 55-70% უკავია.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ ფერმერულ მეურნეობათა ავტოტრანსპორტის მძღოლებს ხელფასთან ერთად დამატებით ეძლევათ აგრეთვე ბიდონების დატვირთვა ჩამოტვირთვაზე მირე-ბული რძის რაოდენობასა და ხარისხზე პასუხისმგებლობისათვის, მათ ეძლევათ აგრეთვე ექსპედი-ტორობაზე განსაზღვრული პროცენტიც, ხოლო დამზადების ორგანიზაციის ავტოცისტერნის მძღოლი, არ არის რა რძის ხარისხზე პასუხისმგებელი და პროდუქციის დატვირთვა-ჩამოტვირთვაც ამ შემთხვევაში მექანიზებულია, დამატებითი ანაზღაურება არ ეძლევა. ამასთან ერთად, იმ ფერმერულ მეურნეობებს, რომელთა ავტოცისტერნის გამოყენების კოეფიციენტიც მაღალია, ერთი ტონა რძის ტრანსპორტირება შედარებით იაფი უჯდებათ, ხოლო სადაც ეს მაჩვენებელი დაბალია, ერთი ტონა რძის ტრანსპორტირებაც შესაბამისად ძვირი ჯდება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი ტონა რძის გამოზიდვის ხარჯები ავტოტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტის პირდაპირ-პროპორციულია. ჩვენი აზრით ცალკეულ რძის ქარხნებს რაიონებში, თვით ქალაქებშიც რამდენიმე ავტოცისტერნის შენახვის სათანადო პირობები არ გააჩნიათ, ამიტომ სახეზე არსებული ტრანს-პორტი რაიონის რომელიმე გარაჟთან უნდა ჰქონდეთ გაერთიანებული და მის ტექნიკურ მზად-ყოფნაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს, რაც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის უფრო რაციონალურად გამოყენებას. იმ ქალაქებში კი, როგორიც არის თბილისი, უნდა შეიქმნას სპეციალური ავტობაზა, რომელიც რძის კომბინატებს, მიმღებ პუნქტებსა და ფერმერულ მეურნეობებს მოემსახურება. რესუბლიკაში რძის ცენტროზიდვის დანერგვას და მის ეფექტიანობის ამაღლებას მნიშვნელოვნად აფერხებს ფერმებთან მისასვლელი გზების უქონლობა. დაგროვილი საკითხების მოგვარება დიდად შეუწყობს ხელს ფერმერულ მეურნეობებსა და მოსახლეობაში რძის შესყიდვისა და ტრანსპორ-ტირების პროგრესული ფორმების დანერგვას.

1.2. პირუტყვის შესყიდვისა და ტრანსპორტირების პრობლემები საქართველოში

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირუტყვის ყველა სახის ხორცის წარმოების გადიდებას და შესყიდვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებასთან უშუალოდ არის დაკავ-შირებული მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობა. მათ მიერ გამოშვებული პრო-დუქციის სათანადო ხარისხი და ასორტიმენტის მრავალფეროვნება მომხმარებელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილების სათანადო დამოკიდებულების აუცილებელი პირობაა. საკითხის შესწავ-ლით ირკვევა, რომ 2000 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა საქართველოში შეად-გენდა 1177,4 ათას სულს, 2004 წელს შესაბამისად 1242,4 ათას სულს. 2014 წელს კი 1300 ათას სულს, მათ შორის მეწველი ძროხისა – 728 ათას სულს. 2000 წელს ცხვრისა და თხის სულადობა შეადგენდა 627,6 ასთას სულს, 2004 წელს 722,3 ათას სულს, 2014 წლის პირველი იანვრის მონა-ცემებით, მილიონამდე სულს. ღორის სულადობა შეადგენდა 411,1 ათას სულს, 12003 წელს – 473,3

ათას სულს, 2014 წელს – 480 ათას სულს. 2000 წელს საქართველოში წარმოებული იქნა ხორცი დაკლული წონით 107,9 ათასი ტონა, 2003 წელს – 108,9 ათასი ტონა, 2014 წელს 109 ათასი ტონა.

სტატისტიკური მასალები პირუტყვის სულადობის, აგრეთვე ხორცისა და რძის წარმოების ზრდის ტენდენციებს გვიჩვენებს. 1999 წლიდან მოყოლებული, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა საქართველოში წელიწადში საშუალოდ 3%-ით იზრდება, მეწველი ძროხებისა და ცხვრისა და თხისა – 5%-ით, ხოლო ღორისა 6%-ით. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპები შედარებით დაბალია (ხორცის წარმოება საშუალოდ 1% წელიწადში, ხოლო რძისა და კვერცხის წარმოებისა – 4%). ხორცის წარმოების ზრდისა და შესყიდვის პრობლემების საფუძვლიან შესწავლას ხელს უშლის შემდეგი გარემოება: 2005 წლამდე საქართველოში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელიც შემდეგ განიხილებოდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწის რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მიწის ბალანსში აისახებოდა მიწის კატეგორიებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საკუთრებათა სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამიწათმოწყობო ინსტიტუტი და ლაბორატორიები, გაჩერდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები. შეწყდა მიწათმომწყოფთა კადრების გამოშვება. დღეს ვერავინ გეტყვით რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში, რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების მიხედვით. არავინ იცის რამდენი ვენახის, ხილის, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა კულტურების ფართობია დღეს საქართველოში [3]. აღრიცხვის მოუწესრიგებლობა ხელს უშლის ხორცის წარმოებისა და შესყიდვის რეზერვების გამოვლინებას. დღეს ვერავინ გეტყვით მეწველი ფურების სულადობის კონცენტრაციას ოჯახურ ფერმერულ მეურნეობებში; არ ვიცით მიწის სავარგულებიდან რამდენი ჰექტარი ეთმობა და რამდენია საჭირო, ვთქვათ, სათიბ-საძოვრებისათვის, რამდენი ჰექტარი სახნავია გამოყოფილი მარცვლოვან, სენაჟისა და სასილოსე კულტურებისათვის, საკვებწარმოებაში ყურადღება არ ექცევა საკვები კულტურების სწორად შერჩევას. ნათესი ფართობების დაგეგმვის დროს არ წარმოებს შედარებითი ეკონომიკური შეფასება, რომელმაც უნდა გვიჩვენოს, თუ რომელი კულტურა და რატომ უნდა იყოს პრივილეგირებული მოცემულ ზონაში ან მეურნეობაში.

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ყველა სახის პირუტყვის ხორცის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მოცულობის მკვეთრ გადიდებასთან ერთად; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის ხარისხის განუხრელ ამაღლებას. ამ თვალსაზრისით სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის სისტემის გაუმჯობესებას. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების რენტაბელობის უზრუნველსაყოფად არ წარმოებს სათანადო მუშაობა. არ ვიცით შესყიდვის მოქმედი საბაზრო ფასები რამდენად შეესაბამება ფერმერული მეცხოველეობის განვითარების რეალურ პირობებს. ცნობილია, რომ მსოფლიოში მეცხოველეობა დოტაციური დარგია. მეცხოველეობის განვითარების მიზნით ქვეყანაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ფერმერულ მეურნეობებს სახელმწიფოს მიერ განისაზღვროს მეცხოველეობის შესასყიდ პროდუქციაზე დოტაცია-დანამატები ისე, როგორც ეს იყო 1965 წლის 1 მაისიდან, როდესაც საზოგადოებრივი მეურნეობებიდან ჩაბარებული ხორცის მოქმედ ფასზე შემოღებული იყო საშუალო დანამატები – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (უმაღლესი, საშუალო და საშუალოზე ნაკლები შეხორცებისა) ხორცის ფასს ემატებოდა 55%, ღორის საბეკონე, მსუქანი და სახორცე ნაკვებობის) ხორცს – 70%, ცხვრისა და თხის (უმაღლესი, საშუალო და საშუალოზე ნაკლები ნაკვებობის) ხორცს მაღალმთიანი რაიონების მეცხვარეობისათვის – 100%, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში 10%. დღეს კახეთში წარმოებულ თეთრ ყურძენზე სახელმწიფო გლეხს დოტაციის სახით ყოველ კილოგრამზე უხდის 30 თეთრს, შავ ყურძენზე კი 75 თეთრს, ციტრუსზე შესაბამისად 15-25 თეთრს. თუ ყურძნის და ციტრუსის წარმოებაა დოტაციური, რატომ არ უნდა იყოს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება დოტაციური? ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნას, რომლებიც სტიმულს მისცემენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ აღმავლობას. ამ მიზნით საჭიროა სოფლის მეურნეობისა და მათ შორის მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის რამდენიმე წლის სტაბილური გეგმების შედგენა და ზეგეგმით შესყიდულ პროდუქციაზე წამახალისებელი (მოქმედ ფასებთან შედარებით 50%-ით გადიდებული) ფასების შემოღება და სხვა. ხორცის შესყიდვის ფასს საფუძვლად უნდა დაედოს პირუტყვის ნაკვებობა და ამ უკანასკნელის მიხედვით შესყიდვის ფასის დონე მკვეთრად უნდა იცვლებოდეს. მაგალითად, საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ერთი ცენტნერი ღორის ხორცის (ცოცხალი წონით) შესყიდვის ფასი მსუქანი და საბეკონე ნაკვებობისა 225,5 მანეთს შეადგენდა იმ დროს, როდესაც სახორცე ნაკვებობის 195,5 მანეთს და გამხდარი (არასტანდარტული) ნაკვებობის კი 156,4 მანეთს არ

აღემატებოდა, ანუ მსუქანი და საბეკონე ნაკვებობის ღორის შესყიდვის ფასის მიმართ შესაბამისად 34 (14,85) და 73,1 (31,9%) მანეთით ნაკლები იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ პირუტყვის ნაკვებობის ამაღლებას თან სდევს ცოცხალი წონის მკვეთრი მატება. სახორცე პროდუქტიულობა რაოდენობრივად უმთავრესად დამოკიდებულია პირუტყვის ცოცხალ წონასა და ნაკვებობის ხარისხზე, ხოლო ხარისხობრივად სახორცე პროდუქტიულობა განპირობებულია ჯიშით, ასაკით, კვებითა და სხვა ფაქტორებით. ფერმერული მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეურნეობებში ყურადღება არ ექცევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ხშირად ხორცის შესყიდვა ხდება დიდი რაოდენობის დაბალი ნაკვებობის და მცირე წონის პირუტყვის ხარჯზე. ცენტრალური სტატისტიკური მასალების ანალიზიდან არ ჩანს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნახირის სტრუქტურა, უმჯობესდება თუ უარესდება უმაღლესი და საშუალო ნაკვებობის პირუტყვის ხვედრითი წონა და სხვა. პირუტყვის ცოცხალი წონა და რაოდენობრივად სახორცე პროდუქტიულობა უმთავრესად დამოკიდებულია ნაკვებობაზე. მაგალითად, 1968-1971 წლების საშუალო მონაცემების მიხედვით, საზოგადოებრივი მეურნეობებიდან რეალიზებული ერთი სული უმაღლესი ნაკვებობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო ცოცხალი წონა 242 კგ, საშუალო ნაკვებობის პირუტყვისა - 228 კგ, საშუალოზე დაბალი ნაკვებობის პირუტყვისა – 196 კგ, გამხდარისა კი 117 კგ შეადგენდა. ნაკვებობის მიხედვით ასეთივე შეუსაბამობაა ერთი სული ღორის, ცხვრისა და თხის საშუალო ცოცხალ წონაში. მაგალითად, ერთი სული უმაღლესი და საშუალო ნაკვებობის ცხვრის ცოცხალი წონა 35-45 კგ ფარგლებშია. ერთი სული საშუალოზე დაბალი და გამხდარი ნაკვებობის ცხვრის და თხის ცოცხალი წონა 20კგ-ზე მცირეა და ზოგჯერ 16 კგ არ აღემატება.

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირუტყვის გამოზრდა-სუქება უნდა წარიმართოს როგორც ბაგურ პირობებში, ისე საძოვარზე. მსოფლიო მეცხოველეობაში დიდი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურად სუფთა და იაფი პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით პირუტყვის საძოვრულ სუქებას. საძოვრულ სუქებაზე დროულად უნდა იქნეს დაყენებული პირუტყვის სახორცე სულადობა, ისეთ ვადებში, როდესაც წარმოებული იქნება მაღალი ხარისხის იაფი პროდუქცია მინიმალური დანახარჯებით. სპეციალისტების აზრით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სუქება და რეალიზაცია შეიძლება წლის ყველა პერიოდში, მაგრამ უკეთესია გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში (საიალაღოდ) ღორის – ზამთარში, ხოლო ცხვრისა - შემოდგომით.

მეცნიერული კვლევის შედეგებითა და მოწინავეთა პრაქტიკული გამოცდილებით დადგენილია, რომ პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სანაშენო მუშაობის გათვალისწინება. საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლის შედეგად შინა მეურნეობებში ყურადღება არ ექცევა ხორცის წარმოების გადიდების მიზნით სამეცნიერო მიღწევების დანერგვას. მაგალითად, ფერმერულ მეურნეობებში არ წარმოებს პირუტყვის სამრეწველო შეჯვარება, ხელოვნური განაყოფიერება, პირუტყვის სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების ასაკობრივ ვადებში სუქებაზე დაყენება და სუქებიდან მოხსნა. არ დგება პირუტყვის ნაკვებობის მიხედვით შესყიდვის ფასები. ყურადღება არ ექცევა სათანადო ტრანსპორტით პირუტყვის ხორცკომბინატებში ტრანსპორტირებას.

საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლის შემდეგ გაუქმდა გაჩიანისა და თბილისის ხორცკომბინატები, ფასანაურის, ჟინვალის, დმანისისა და სხვა რაიონების კაპიტალურად მოწყობილი ცხოველმზადების პუნქტები. მაგალითად, ფასანაურში მოქმედებდა ცხოველმზადების პუნქტი – პირუტყვის კაპიტალური სადგომები, ბაკები, პირუტყვის ასაწონი სასწორი, სასაკლაოთი, რომელსაც ემსახურებოდა ვეტერინარი ექიმი. ცხოველმზადების პუნქტი მუშაობდა წლიური დატვირთვით. შემოდგომით იალაღობის დამთავრების შემდეგ მთიულეთ-გუდამაყრის ყველა კატეგორიის მეურნეობებიდან იბარებდა დიდი რაოდენობის პირუტყვს. მისი ფუნქციონირება ეკონომიკურად გამართლებული იყო. ყოფილი ჩინოვნიკის მიერ ნატახტრის სასაკლაოს აშენების შემდეგ თითქმის ყველგან აიკრძალა პირუტყვის დაკვლა ნატახტრის სასაკლაოს გარდა. სასაკლაოზე დაკლული პირუტყვის მომსახურეობისათვის პირუტყვის პატრონს ახდევინებენ დაკლული პირუტყვის წონის ათ პროცენტს, რაც ფერმერისათვის მეტად კაბალური აღმოჩნდა. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ბაზრებში ხორცის ფასების მკვეთრი მატება.

სამეურნეო ეკონომიკური თვალსაზრისით ფერმერულ მეურნეობებში ყურადღება არ ექცევა პირუტყვის სუქების შედეგად მიღწეული წონამატის შენარჩუნებას. ამისთვის საჭიროა ხორცკომბინატებამდე პირუტყვის ტრანსპორტირებისა და შესყიდვის სწორი ორგანიზაცია. ცნობილია პირუტყვის ტრანსპორტირების ორი მეთოდი: 1. როდესაც მეურნეობებს თავისი ტრანსპორტით გადაჰყავთ პირუტყვი ხორცკომბინატებში და იქ ხდება შესყიდვა-ჩაბარება. 2. ხორცის საწარმოები პირუტყვს ადგილებზე მეურნეობებიდან ღებულობენ და თავიანთი ტრანსპორტით გადაჰყავთ ხორცკომბინატებში.

უნდა აღინიშნოს, რომ 1984 წელს ხორცკომბინატებში საზოგადოებრივი მეურნეობების ტრანსპორტით გადაყვანილი იყო დამზადებული პირუტყვის 74,2%, ხოლო ცენტრალიზებული წესით წარმოების ადგილზე მიღებული და დამამზადებლის ტრანსპორტით გადაყვანილ იქნა 25,8%. პირუტყვის უშუალო წარმოების ადგილზე მიღებას და დამამზადებლის ტრანპსორტით გამოზიდვას დიდი უპირატესობა აქვს ტრანსპორტირების ტრადიციულ მეთოდთან შედარებით. ეს მეთოდი ეკონომიკურად ხელსაყრელია, მისი დანერგვით მნიშვნელოვნად მცირდება დანაკარგი, ხარისხის

გაუარესება გამორიცხულია, ავტოტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტი იზრდება, დამზადების ხარჯები მცირდება და ასე შემდეგ. შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ცოცხალი მასის დანაკარგი პირუტყვის ტრანსპორტირების მანძილის პირდაპირ პროპორციულია, რამდენადაც მეტია ხორცკომბინატამდე მანძილი, იმდენად იზრდება ცოცხალი მასის დანაკარგიც.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის გამოკვლევებით დადგინდა, რომ 5 კილომეტრზე ღორის ტრანსპორტით გადაყვანის დროს ცოცხალი მასის დანაკარგი არ აღინიშნება, 10 კილომეტრ მანძილზე ცოცხალი მასის დანაკარგმა გადაყვანილი პირუტყვის წონის 2,07% შეადგინა, შესაბამისად 30 კილომეტრზე გადაყვანის დროს – 2,7% და 50 კილომეტრ მანძილზე – 3,9%. ამ შემთხვევაში პირუტყვი ტრანსპორტზე დატვირთეს ხელით. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ცოცხალი მასის დანაკარგი პირუტყვის ავტოტრანსპორტში ტრაპის საშუალებით დატვირთვის დროს შედარებით ნაკლების. მაგალითად, ამ მაჩვენებელმა 10 კილომეტრ მანძილზე 1,6% შეადგინა, 30 კილომეტრზე – 1,9 და 50 კილომეტრზე – 2,9%,მაშინ როცა ხელით დატვირთვისას ცოცხალის მასის დანაკარგი 3,9% იყო. როგორც ცნობილია, მეცხვარეებს ცხვარი ხორცკომბინატებში გადაჰყავთ როგორც ავტოტრანსპორტით, ისე გადარეკვით. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ცხვრის გადარეკვის დროს მის ტრანსპორტირებასთან შედარებით ცოცხალი მასის დანაკარგი ნაკლებია, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში პირიქითაა. მაგალითად, ამბროლაურის რაიონიდან ტყიბულის ხორცკომბინატამდე 40 კმ მანძილზე ზრდასრული მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის გადარეკვის შედეგად ცოცხალი მასის დანაკარგმა 7,29% შეადგინა, 50 კმ მანძილზე 10,55%. როგორც მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სპეციალიზებული ავტოტრანსპორტით გადაყვანა უფრო ხელსაყრელია გადარეკვასთან შედარებით, მეცხვარეობაში კი პირიქით. გამოკვლევებიდან მტკიცდება, რომ პირუტყვის უშუალოდ წარმოების ადგილზე მიღება და დამამზადებლის ტრანსპორტით გადაყვანა ხელს უწყობს პირუტყვის შეხორცების შენარჩუნებას, დამზადებისა და ტრანსპორტირების დროს ცოცხალი მასის დანაკარგებისა და დანახარჯების შემცირებას.

ფერმერულ მეურნეობებში პირუტყვის შესყიდვის და ტრანსპორტირების პროგრესული ფორმები დანერგვისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით უნდა შემუშავდეს ინსტრუქცია, რომელშიც მოცემული იქნება პირობები და წესები, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ მწარმოებლები და პირუტყვის შემსყიდველები. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ პირუტყვის გადარეკვისა და ტრანსპორტირების დროს (პირუტყვის წონის ხუთი-ექვსი პროცენტის დანაკარგების პირობებში ქვეყანა წელიწადში კარგავს დაახლოებით 5-6 ათას ტონა ხორცს.) ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ ხორცკომბინატების დაქვემდებარებაში მოექცევა ფერმერული მეურნეობებიდან ცხოველმზადების პუნქტებში პირუტყვის შესყიდვის ორგანიზება და სპეციალიზებული ტრანსპორტით ხორცკომბინატებში გადმოყვანა. პირუტყვის შესყიდვა უნდა წარმოებდეს ფერმერული მეურნეობებიდან და ცხოველმზადების პუნქტებიდან ხორცკომბინატის მიერ წინასწარ შედგენილი ყოველდღიური და საათობრივი გრაფიკით, რომელიც გაითვალისწინებს პირუტყვის სახეს, რაოდენობას და წონას, ტრანსპორტის მეურნეობაში მისვლის დროს. გრაფიკის დამრღვევმა მეორე მხარის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს ჯარიმა. უშუალოდ წარმოების ადგილზე პირუტყვის მიღების დროს ხორცკომბინატი ვალდებულია გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში მიაწოდოს ტექნიკურად გამართული, სუფთა, დეზინფიცირებული, საჭირო ინვენტარით და მოწყობილობით აღჭურვილი პირუტყვის გადასაყვანი სპეციალიზებული ავტოტრანსპორტი, რომელიც უნდა პასუხობდეს ტრანსპორტირების ზოოვეტერინარულ პირობებს. ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმო ან დამზადების პუნქტი ვალდებულია, გრაფიკით ავტოტრანსპორტის მისვლამდე მოამზადოს ჩაბარებისათვის გამოყოფილი პირუტყვის პარტია, ჩაატაროს ვეტერინარული შემოწმება, გააფორმოს პირუტყვზე ვეტერინარული მოწმობა, დაახარისხოს და დააჯგუფოს სახეების, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების, შეხორცების კატეგორიების მიხედვით და დააკომლექტოს პირუტყვის პარტიები. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ფერმერული მეურნეობები ავტოტრანსპორტს პირუტყვის გადაზიდვის დროს არარაციონალურად იყენებენ. არის შემთხვევები, როდესაც მაღალი ტვირთამწეობის სატვირთო მანქანით 100 და მეტ კილომეტრზე 5-10 სული პირუტყვი გადაჰყავთ, ტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტი 0,3 – 0,5 შეადგენს, ხოლო სატრანსპორტო ხარჯები გადაზიდვის ერთიან ტარიფთან შედარებით 2-3-ჯერ მეტია. მაშასადამე, პირუტყვის წარმოების ადგილზე შესყიდვისა და დამამზადებლის (ხორცკომბინატის) ტრანსპორტით გამოზიდვის დანერგვა სახალხო მეურნეობისათვის ეკონომიკურად სასარგებლოა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შემსყიდველის ტრანსპორტით პირუტყვის გამოზიდვის დროს სატრანსპორტო ხარჯების დონე გამოზიდვის მანძილის პირდაპირპროპორციულია. პირუტყვის შესყიდვა-ჩაბარების შედეგად ხორცკომბინატსა და მეურნეობებს შორის ცოცხალი წონის დადგენაში დიდი სხვაობა აღინიშნება ხორცკომბინატების სასარგებლოდ. მაგალითად, თიანეთის რაიონში ამ მაჩვენებელმა ხორცკომბინატის სასარგებლოდ საშუალოდ 4,5% შეადგინა, თეთრი წყაროს რაიონში შესაბამისად 1,9% და წითელ წყაროს რაიონში – 1,6%, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეურნეობებში დაბალ დონეზეა პირუტყვის წონის დადგენის სისწორე და აღრიცხვიანობა. ამიტომ, პირუტყვის შესყიდვის წესის დაცვის ობიექტურობა და სისწორე, ზემდგომი ორგანოების რეგულარულ შემოწმებასა და კონტროლს მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგადი ასპექტები. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2013.
2. ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე. „მერიდიანი", თბილისი, 2006.
3. კოღუაშვილი პ. მოვიყვანოთ მიწის კანონმდებლობა იდეალურ კონდიციამდე. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქ-ტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2015.
4. რეკომენდაციები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემის შესახებ, თბილისი, 1982.
5. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. „მეცნიერება", თბილისი, 2003.
6. ყამარაული ს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისა და ორგანიზაციის სრულ-ყოფის გზები. „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1985.
7. ხანთაძე დ. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1972.

Tengiz Kavtaradze

THE PROBLEMS OF PRICING AND PROFITABILITY IN CATTLE-BREEDING

Annotation

The article studies the most significant measures of economic policy in the country. Directed at the realization of agricultural product purchase. A proposal to consider the profitability of all sectors in the process of pricing is offered. It is not expedient to have one sector be permanently dependent on the other. The article also studies current problems of milk and cattle purchase in Georgia. The attention is focused on the improvement of qualitative indices of animal product purchase, For the first time is proposed to subsidize animal production

პრობლემა 10.

მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში

მამუკა ხუსკივაძე
ზურაბ ნოზაძე

მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში

მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გააქტიურების პარალელურად მნიშვნელოვნად დაჩქარდა მსოფლიო ეკონომიკური განვითარება. საწარმოო პროცესების მასშტაბების გაფართოებით, რაც ძირითადად ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეუზღუდავმა გამოყენებამ განაპირობა, მრავალ ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ეკონომიკური ზრდის ტემპები.სხვადასხვა კვლევის შედეგების მიხედვით ბოლო ასი წლის განმავლობაში მსოფლიოში შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა საშუალოდ 5-ჯერ, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში 6-ჯერ, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში-6,5-ჯერ.

ამავე პერიოდში მომპოვებელი მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის ჯამურმა პროდუქციამ მსოფლიო მშპ-ის მიახლოებით 12-15% შეადგინა და ამჟამადაც ხასიათდება ზრდის ტენდენციით. აღნიშნული ნათლად ადასტურებს გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების გაძლიერებას, რისი შედეგიც გახდა პლანეტაზე ეკოლოგიური წონასწორობის რღვევა და ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. კიდევ უფრო გაღრმავდა ისტორიულად ჩამოყალიბებული დისბალანსი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მათი კვლავწარმოების მასშტაბებს შორის.

პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ტექნოგენური განვითარების ტიპი და კაცობრიობა შეეჯახა ისეთ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორიცაა: ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, მჟავური წვიმები, გაუდაბნოება, ბიომრავალფეროვნების შემცირება და სხვა. დედამიწაზე სასიცოცხლო პირობების მკვეთრი გაუარესების გამო ეკონომიკური ზრდის ტრადიციული მოდელი სულ უფრო და უფრო ვედარ უზრუნველყოფდა საზოგადოების განვითარების აქტუალური პრობლემების გადაჭრას. ეკონომიკის ეკოლოგიზაციისა და სოციალიზაციის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა მსოფლიო სოციუმისათვის განვითარების ახალი მოდელის შექმნის საკითხი, რომელსაც შეეძლებოდა პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნება და საზოგადოების შემდგომი დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა.

სწორედ განვითარების ახალი მოდელისა და პრინციპების შემუშავების მიზნით 1987 წელს გაერთიანემული ერების ორგანიზაციისა და განვითარების კომისიის მოხესნებაში „ჩვენი საერთო მომავალი“ შემოთავაზებულ იქნა მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა ისეთ ეკონომიკური განვითარების ვექტორს, რომელიც შეძლებდა ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების მოთხოვნილებებების დაკმაყოფილებასათვის საფრთხის შექმნის გარეშე ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ მშპ-ის ზრდას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გარეშე.

უფრო მოგვიანებით, 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაეროს ეგიდით ჩატარებულ წარმომადგენლობით კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული მოდელის, აგრეთვე ეკოტევადი განვითარების შენარჩუნების პირობებში ცივილიზაციის მონაპოვარი, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ჩათვლით განწირულია გაქრობისათვის და მონაწილე ქვეყნების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მდგრად განვითარებაზე გადასვლისა და მისი პრინციპების რეალიზაციის აუცილებლობის შესახებ.

მდგრადი განვითარების მოდელის იდეებმა განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა ბოლო ათწლეულებში. პრაქტიკულად, მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება , აგრეთვე მრავალი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები შეიცავს დებულებას მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების აქტივიზაციას, რათა თაობებიდან თაობებამდე არ დაქვეითდეს ადამიანების ცხოვრების ხარისხი, უსაფრთხოება და გადაწყდეს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვთარების ანუ კოევოლუციის ამოცანა.

ამჟამად, მრავალ ქვეყანაში მიღებულია მდგრადი განვითარების კონცეფცია მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, სრულყოფას განიცდის სამართლებრივი ბაზა, იქმნება სხვადასახვა კომისიები და ა.შ.მდგრადი განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლის მიზნით სულ უფრო და უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს მდგრადი წარმოებისა და მდგრადი მოხმარების მოდელები და მატულობს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (მეცნიერების, ბიზნესმენების და სხვა)მონაწილეობის ხარისხი მდგრადი განვითარების პრობლემების გადაჭრაში.

მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობის შესაფასებლად გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ შემოთავაზებულ იქნა მეთოდიკა, რომლის კრიტერიუმები და ინდიკატორები ახასიათებენ მდგრად განვითარებას ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ინსტიტუციურ ასპექტებში.

აღნიშნული მეთოდიკით მდგრადი განვითარება ეკონომიკურ ასპექტში იზომება ორი მაჩვენებლით:

ა) კონკურენტუნარიანობის ინდექსით, რომელსაც აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (8)

ბ) ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით, რომელსაც ქვეყნებისათვის განსაზღვრავს The hezitage Foundation-ის ცენტრი (7)

მდგრადი განვითარების შეფასება ეკოლოგიურ ჭრილში ხდება ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსით, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს იელის უნივერსიტეტის ეკოლოგიური კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცენტრი (6)

სოციალური-ინსტიტუციური თვალსაზრისით მდგრადი განვითარება ხასიათდება ორი ინდექსით:

ა) ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც გაიანგარიშება გაეროს მიერ (9)

ბ) ცხოვრების ხარისხი, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს საერთაშორისო ორგანიზაცია International living (5)

როგორც ცნობილია, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დაადგა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გზას. ეს პროცესი სხვადასხვა სახის ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებთან ერთად ხასიათდებოდა გარემოსდაცვითი პრობლემების გაღრმავებითაც.

შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო გარდაქმნების პერიოდში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლება უპირატესად ორიენტირებული იყო ეკონომიკური შედეგების მიღებაზე და არასათანადო ყურადღება ექცეოდა მდგრადი განვითარების პრინციპებისათვის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის მორგებას. მდგრადი განვითარების იდეების მხარდაჭერა ზოგიერთ დოკუმენტში მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა შეექმნა წანამძღვრები მდგრადი განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლისათვის. კერძოდ, საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება ან არასათანადო დონეზე ხდებოდა ისეთი პრიორიტეტების გამოყოფა, როგორიცაა:

- ეფექტიანი მდგრადი წარმოებისა და მდგრადი მოხმარების მოდელებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმების შემუშავება;
- ეკოტექნოლოგიური მოდელების გამოყენება;
- ენერგორესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და ენერგოდაზოგვის უზრუნველყოფა;
- სიღარიბის დონის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი მექანიზმების შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება;
- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის დეგრადაციის სხვადსახვა სახის გამოვლინების ნეიტრალიზაცია;
- ეფექტიანი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება;
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის შექმნა;
- ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ეკოსტრუქტურული მოდერნიზაცია და ეკოლოგიურად ორიენტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა;
- განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ა.შ.

აღნიშნული არც არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, საქართველოში არ გამხდარა აქტუალური მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება და მისი განხორციელების მექანიზმების ფორმირება. მოგვიანებით საქართველომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით აიღო მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების ვალდებულება, თუმცა ეს საკითხი დღემდე არ გადაჭრილა. მიმდინარე პერიოდში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით ჩვენს ქვეყანას უფრო მეტი ვალდებულება და პასუხისმგებლობა ეკისრება მდგრადი განვითარების მიმართულებით საქმიანობის აქტივიზაციისათვის. ევროკავშირის ქვეყნები და მათი მოსახლეობა ეკონომიკური კეთილდღეობის გარდა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევენ ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებასა და ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრებას. ამიტომ ლოგიკურად უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში უახლოეს პერიოდში აუცილებლად დადგება მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავების აუცილებლობის საკითხი.

მდგრადი განვითარების ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალურ-ინსტიტუციური კრიტერიუმების მიხედვით სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების შედეგების მიხედვით საქართველოში მდგომარეობა არ თუ ისე სახარბიელოა. კერძოდ:

კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ბოლო წლების მიხედვით საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება (დიაგრამა 1) და 2014-2015 წლებში ის 69-ე პოზიციაზე იმყოფება. მისი სარეიტინგო ქულა 7 შესაძლებლიდან შეადგენს 4,22 და სამი საფეხურითაა გაუმჯობესებულია ადგილი 2013-2014 წლებთან შედარებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის 12 ინდიკატორის 114 კომპონენტიდან 2014-2015 წლებში საქართველოს შედარებითი უპირატესობა გააჩნია 33, ხოლო არახელსაყრელი მდგომარეობა 81 კომპონენტში. საქართველოს პოზიციის გაუმჯობესება კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგში განაპირობა ძირითად მოთხოვნებში (აქ გაუმჯობესდა მაკროეკონომიკური გარემო 13 პოზიციით), ეფექტიანობის მასტიმულირებელ ფაქტორებში და ბაზრის ეფექტიანობაში დაწინაურებამ. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: ფინანსებთან ხელმისაწვდომობა,ინფრასტრუქტურის არასაკმარისი მიწოდება, საფინანსო ბაზრის განვითარება, განათლებული მუშახელის შეუსაბამობა და სხვა. საქართველო ჩამორჩება ისეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, როგორიცაა: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი.



დიაგრამა 1

წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება 5 კრიტერიუმის მიხედვით (სამთავრობო ხარჯების მოცულობა,საკუთრების უფლების დაცულობა და სასამართლო, ჯანსაღი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობის თავისუფლება, კრედიტების, დასაქმებისა და ბიზნესის რეგულაციები) საქართველო 2015 წელს 157 ქვეყანას შორის მე-11 ადგილზეა 7,83 კოეფიციენტით და 5 პუნქტით აქვს გაუმჯობესებული მდგომარეობა 2014 წელთან შედარებით.

სოციალურ-ინსტიტუციონალურ ასპექტში მდგრადი განვითარების მდგომარეობის შესაფასებლად ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით გაეროს 2015 წლის მონაცემებით საქართველოს მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით არ გაუარესებულა და მსოფლიოს 188 ქვეყანას შორის 76-ე ადგილი უჭირავს 0,754 კოეფიციენტით. აღნიშნული ინდექსის გამოთვლისას ითვალისწინებენ შემდეგ მაჩვენებლებს: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც საქართველოში 2015 წლისათვის შეადგენს 74,9 წელს, ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონე (სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო რაოდენობა, რომელიც შეადგენს 13, 8 წელს), გენდერული განვითარების ინდექსი (ტოლია 0,962-ის) და მშპ ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც მიმდინარე წელს შეადგენს 7,164 ათას დოლარს.ამ რეიტინგში საქართველო მნიშვნელოვნდა ჩამორჩება ლიდერ ქვეყნებს ნორვეგიას(0,944, პირველი ადგილი), ავსტრალიას (0,935, მეორე ადგილი) და შვეიცარიას (0,93, მესამე ადგილი).

იელის უნივერსიტეტის ეკოლოგიური კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცენტრის მიერ გაანგარიშებული ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსის (მასში შედის ეკოსისტემის მდგომარეობის, ეკოლოგიური სტრესის, მოსახლეობის ჯანმრთელობის და ა. შ. ამსახველი მაჩვენებლები)მიხედვით 2014 წლის მონაცემებით საქართველო 178 ქვეყნიდან იმყოფება 101-ე ადგილზე. უფრო კონკრეტულად - ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე ეკოლოგიური პრობლემების მიხედვით საქართველო 73-ე ადგილზეა, ჰაერის ხარისხის მიხედვით - 110-ე, სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური ასპექტების მიხედვით - 126-ე და ბიომრავალფეროვნებისა და ცხოველთა და

მცენარეთა გავრცელების არეალის დაცვის მიხედვით კი 138-ე ადგილზე. რაც არ უნდა პარა-პარადოქსული იყოს საუკეთესო მაჩვენებელი (მე-16 ადგილი) ტყეების გავრცელებასა და დაცვაში გვაქვს.

როგორც წარმოდგენილი შეფასებიდან ჩანს განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა მდგრადი განვითარების აღიარებული კრიტერიუმების მიხედვით საქართველოს გააჩნია ეკოლოგიურ ჭრილში.

საქართველო არ არის მდიდარი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით, თუმცა არც ღარიბი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. მისი ტერიტორიის კლიმატური და გეოლოგიური თვისებები განაპირობებს გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მრავალფეროვნებასა და მდიდარ მინერალურ-რესურსულ ბაზას. ქვეყნის მინერალურ-რესურსული ფონდი მოიცავს 950 საბადოსა და გამოვლინებას. რესურსული ფონდის 62,8% წარმოადგენს მსხვილ (ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის) საბადოს, 30,9%–ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოს, 6,2% კი გამოვლინებას. ის შედგება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ქიმიური და აგროქიმიური რესურსების, მიწისქვეშა მინერალური წყლებისაგან და სხვა.

ქვეყანა მდიდარია ტყის რესურსებით და ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის ვარგის ნაყოფიერი მიწის რესურსებს. ის ასევე გამოირჩევა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, კარგ პირობებს ქმნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის. თუმცა ძალიან დაბალია მათი გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი. ზოგიერთი გათვლებით ის არ აღემატება 25%-ს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. მაგალითად, იაპონიაში ის აღწევს 39%-ს, აშშ-ში – 36%, გერმანიაში – 35%-ს. ეს მაშინ, როცა ევროკავშირის ქვეყნებისათვის მდგრადი განვითარების სტიმულირება ითვალისწინებს რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას და ნაკლებ დანაკარგებს. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ამოწურვად და აღუდგენელ ბუნებრივ რესურსებს. ამ მიზნით ევროკავშირში არსებობს ე.წ. „ხარჯი-სარგებლის“ მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით გაიანგარიშება რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები და ხდება მათი შედარება. თუ ამგვარი შედარების შედეგად სამეურნეო პროექტის ხარჯი-სარგებელი ეკოლოგურ ასპექტში უარყოფითია, მისი განხორციელება არ ითვლება მიზანშეწონილად.

შეიძლება ითქვას, რომსაქართველოში გარემოსდაცვითი ეკონომიკური პრობლემების უმრავლესობის გენეზისი მოხდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პირობებში და გაღრმავდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის დროს ბუნებათსარგებლობის სფეროში პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა ეკონომიკური მეთოდები, ბუნებრივი რესურსები განიხილებოდა უფასო სიმდიდრედ და მისგან წარმოებულ პროდუქციაზე დირექტიულად დადგენილი ფასები უბიძგებდა საწარმოებს მისი შეუზღუდავი და არარაციონალური გამოყენებისაკენ, ბუნებრივ სიმდიდრეზე სახელმწიფო მონოპოლიის არსებობა ასევე განაპირობებდა მის ზეექსპლუატაციურ და არაოპტიმალურ გამოყენებას. გარემოს სისუფთავის ხარისხზე კონტროლი და მისი მართვა დამყარებული იყო ეკოლოგიური ნორმატივებისა და სტანდარტების სისტემაზე (მაგალითად, ჰაერსა და წყალში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ამსახველი პარამეტრები), თუმცა ადგილი ჰქონდა მხოლოდ დეკლარირებულ ეკონომიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას ამგვარი ნორმატივებისა და სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში.

1991 წლიდან ანუ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისში ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა ცხადია გავლენა მოახდინა ეკოლოგიურ სიტუაციაზე. ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო საწარმოების მიერ მოხმარებული დაბინძურებული წყლებითა და სასოფლო-სამეურნეო შხამქიმიკატებით წყლის რესურსების გაჭუჭყიანება, იკლო აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მასშტაბებმა. თუმცა, საავტომობილო გზების,საკანალიზაციო და სხვა კომუნალური სისტემების, ჩამდინარე წყლების ფილტრაციის და სხვა სისტემების მოშლამ გაზარდა ეკოლოგიურ პროცესებზე არასამრეწველო სფეროს ზეგავლენა. ფაქტიურად გაუქმდა საყოფაცხოვრებო და პირადი ნაცრენების შეგროვების სისტემა და შეუძლებელი გახდა მათი მართვის პროცესის განხორციელება. ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების გაუარესების გამო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობამ მიიღო შეუზღუდავი და სტიქიური ხასიათი. გაფართოვდა ნიადაგის ეროზიისა და გაუდაბნოების მასშტაბები და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერება.

თავი იჩინა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ნეგატიურმა შედეგებმა გარემოს დაცვის სფეროში. როგორც ცნობილია მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებისას პირველი მსხვერპლი ხდება დანახარჯები გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1993-94 წლებში საერთოდ არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტიც კი. ამდენად, სათანადო სახსრების არ ქონის გამო სახელმწიფო ვეღარ უზრუნველყოფდა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს სისუფთავის დაცვის მონოტორინგს

და ეკოლოგიური სამსახურების დაფინასებას. ამ პერიოდში საერთოდ მოიშალა სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემა გარემოს დაცვის სფეროში.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის დასაწყისში ეკოლოგიური დესტაბილიზაციის გაღრმავებას გარემოსდაცვითი პოლიტიკის არაეფექტიანობასთან ერთად ხელი შეუწყო ახალმა ინსტიტუციურმა პარადიგმამ. კერძოდ, ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლების განისაზღვრელობამ, მათზე ხელისუფლების სხვდასხვა დონეებს შორის საკუთრების უფლების არასწორმა განაწილებამ ხელი შეუწყო არასწორ ფასწარმოქმნას შემცირების მიმართულებით. ამან გაზარდა მოთხოვნა ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალზე და საფუძველი ჩაუყარა არარაციონალურ ბუნებათსარგებლობას, დააჩქარა მისი დეგრადაცია და ზეექსპლუატაცია.

ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ცენტრალიზებული რეგულირების მეთოდთან ერთად გადაწყვიტა საბაზრო რეგულატორების დამკვიდრება და შეეცადა მათი ოპტიმალური შეთანაწყობის მოდელის მოძებნას. 1999 წელს შემუშავებულ იქნა ინსტრუქცია მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ. ამ ინსტრუქციის მიხედვით განისაზღვრა გადასახდის გადამხდელები, დაბეგვრის ობიექტები, გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ჩამონათვალი, გადასახადის განაკვეთები, გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა და შესაბამისი სანქციები. ამავე წელს შემუშავებულ იქნა აგრეთვე ინსტრუქცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. ინსტრუქციით დადგენილ იქნა გადასახადის გადამხდელები, გადასახადით დაბეგვრის ობიექტები, წიაღით, ტყის ფონდით, საქართველოს „ წითელ წიგნში“ შეტანილი მერქნული რესურსების სახეობებით, საქართველოს ტერიტორიაზე გარემოდან ამოღებული მცენარეული რესურსებით, წყლის რესურსებით და ა.შ. სარგებლობსათვის გადასახადის ოდენობა, შეღავათები გადასახადებში, კონტროლის მექანიზმი გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში და სხვა.

მაშასადამე, ამ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 1972 წელს შემოტანილი პრინციპის „ გამჭუჭყიანებელი იხდის“ დამკვიდრების მცდელობას.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის აღნიშნულ ეტაპზე ეკონომიკის ეკოლოგიზაციისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფის მიზნით მიღებულ იქნა ისეთი კანონები, როგორიცაა: გარემოს დაცვის შესახებ (1996), ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996), ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ (1995), დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996), წიაღის შესახებ (1997), წყლის შესახებ (1997), გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ (1998), ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ(1999), კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და დაცვის სესახებ(1998). მიღებულ იქნა, აგრეთვე, საქართველოს ტყის კოდექსი (1999).

საქართველოს კანონების გარდა ამ პერიოდის გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა მოიცავს, ასევე, მთელ რიგ საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებს.

მიუხედავად ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფის მცდელობისა, სერიოზული ნაკლოვანებებით წარიმართა პრივატიზაციის პროცესი ეკოლოგიურ ასპექტში. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს კანონის „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ არარსებობა. პრივატიზაციის პროცესი ფაქტიურად არ ითვალისწინებდა ეკოლოგიურ საკითხებს და საწარმოებს აძლევდა ეკოლოგიური დანახარჯების არარსებობის გამო ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომიის საფუძველს. ამ პერიოდში ძალზედ მწვავედ იდგა ე.წ „ ეკოლოგიური იმპერიალიზმის“ საფრთხე, როცა უცხოურ კომპანიებს გადააქვთ „ ჭუჭყიანი“ წარმოება იმ ქვეყნებში, სადაც ეკოლოგიური შეზღუდვები არ არის გამკაცრებული.

შეიძლება ითქვას, რომ 2003 წლამდე საქართველოში ეკოლოგიურად დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების ფორმირებისა და სრუყოფის მიმართულებით გატარდა გარკვეული ღონისძიებები. თუმცა, გარემოს სისუფთავის მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო რჩებოდა და კიდევ უფრო მწვავდებოდა გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრობლემები. შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობის გააზრების შედეგად საქართველოს ხელისუფლების მიერ 2001 წელს მიღებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამაში სათანადო ადგილი დაეთმო გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამას, რომლითაც განისაზღვრა განსახორციელებელი ღონისძიებები შესაბამისი მაკროეკონომიკური შედეგებით. მათგან შეიძლება გამოიყოს:

- ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა
- ბუნებრივი რესურსების პროდუქტიულობის ამაღლებისა და მათი კვლავწარმოებისათვის ნორმალური პირობების შექმნა
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების სისტემის სრულყოფა და საგადასახადო სისტემის ეკოლოგიზაცია

- ნიადაგის ეროზიისა და გაუდაბნოების პროცესების შეფასება, პროგნოზირება და მათ წინააღმდეგ მიმართული სპეციალური პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია
- განახლებადი ენერგეტიკის ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება
- ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილების მექანიზმების ფორმირება
- ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა
- გარემოსდაცვით საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ინტეგრაცია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროგრამა დროულად და სწორად იყო შედგენილი, თუმცა მასში შემავალი ღონისძიებების უმრავლესობა საერთოდ არ განხორცილებულა, ხოლო ნაწილი განხორციელდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

2003 წლიდან ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეკოლოგიური სიტუაცია ქვეყანაში არ გაუმჯობესებულა და შეიძლება ითქვას კიდევ უფრო გაღრმავდა გარემოსდაცვითი პრობლემები. ეკონომიკური პროცესების გააქტიურებამ გაზარდა მრეწველობის, ენერგეტიკის, საავტომობილო ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის უარყოფითი ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და მიწის რესურსების სისუფთავის მდგომარეობაზე, არ შემცირებულა პირადი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებით გარემოს გაჭუჭყიანების მასშტაბები.

ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის საკანონმდებლო ბაზა შეივსო შემდეგი კანონებით: ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007), გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007), თბილისის ეროვნული პარკის შესახებ (2007), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთვის მოსაკრებლის შესახებ (2004), ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ (2007), ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ(2012), საქართველოს ტყის ფონდის მართვის შესახებ (2011) და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდებში ნაკლები აქტიურობა შეიმჩნევა ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიმართულებით.

2003 წლიდან ქვეყანაში გატარებული რეფორმები ნაკლებად ან საერთოდ არ ითვალისწინებდა ეკოლოგიურ ასპექტებს და შეიძლება ჩაითვალოს ეკოლოგიურად არადაბალანსებულ რეფორმებად. ეკოლოგიური რეგულირების სფეროში აქცენტი კეთდებოდა უპირატესად ადმინისტრაციულ მეთოდებზე და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეკონომიკურ-ეკოლოგიური სტიმულირების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა:

- ეკოლოგიური გადასახადები
- შედავათიანი დაკრედიტება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლებისათვის, მათი სუბსიდირება და სუბვენცირება
- ეკოლოგიური რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის ფორმირება
- ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბება
- გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის ფორმირება
- „გამჭუჭყიანებელი იხდის“ პრინციპის სრულყოფილი რეალიზაცია და სხვა.

ამჟამად საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ დგას ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემა, რომლის ძირითად გამაჭუჭყიანებლებს მრეწველობისა და ენერგეტიკის დარგებთან ერთად წარმოადგენს ავტოტრანსპორტი (ნახ. 1)



ნახ. 1

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ევროკავშირის მდგრადი განვითარების მიდგომებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სატრანსპორტო პოლიტიკას და მისი სრულყოფის საკითხებს. ავტოტრანსპორტით გარემოს დაბინძურების მასშტაბები თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში დღითი-დღე იზრდება. მაგ. აშშ-ში მისი წილი მთლიან გაჭუჭყიანებაში უკვე აჭარბებს 63 %-ს. ეკონომიკის ამ

დარგის მიერ გარემოს დაბინძურება განსაკუთრებით თავს იჩენს ურბანიზებულ ქალაქებში, ამიტომ ეს პრობლემა მწვავედ დგას თბილისში, სადაც სატრანსპორტო საშუალებების თითქმის 38%-ია თავმოყრილი.

საქართველოში ბოლო წლებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მატულობს ამ დარგის წილი მშპ-ის მოცულობაში.

ჩვენს ქვეყანაში ავტოტრანსპორტით გარემოს დაბინძურებას განაპირობებს მთელი რიგი მართვადი და არამართვადი ფაქტორები. კერძოდ, საწავავის სახეობები და მათი ხარისხი, მეტეოროლოგიური პირობები, სეზონურობა, ურბანული თავისებირებები, ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობა და ავტომობილების რიცხოვნობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობა. საქართველოში სჭარბობს მეორადი და ხშირ შემთხვევებში ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ავტომობილებიდან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა და ტოქსიკურობა დიდწილადაა დამოკიდებული მის ტექნიკურ გამართულობაზე, ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების გადაწევა 2017 წლამდე კიდევ უფრო გააურესებს გარემოს სისუფთავის მდგომარეობას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო სისტემა უფრო და უფრო მეტად ხდება გლობალური საწარმოო ციკლის აქტიური კომპონენტი და ბოლო წლებში ბევრ ქვეყანაში ფართოდ ინერგება „ზუსტად დროში“ (JIT) პრინციპი. ეს არის მარაგების მართვის ეფექტიანი სისტემა, რომელიც გულისხმობს პროდუქციისა და ნედლეულის მიწოდებას ზუსტად საჭირო დროს ზუსტად საჭირო რაოდენობით. ცხადია, ამ დროს იზრდება გადაზიდვების რაოდენობა. ამიტომ, საქართველოში, რომელიც წარმოადგენს სატრანსპორტო დერეფანს, მოსალოდნელია როგორც სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ინტენსივობის, ასევე, მისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგების ზრდა.

საქართველოში, ბოლო წლებში, საინვესტიციო და ბიზნეს აქტიურობის ზრდის კვალობაზე გაიზარდა სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა და მათ შორის მავნე ნივთიერებების გამომშვები საწარმოების რიცხოვნობა (ცხრილი 1)

ცხრილი 1

	2000	2005	2010	2011	2012	2015
მავნე ნივთიერებების გამფრქვევი საწარმოების რიცხვი	117	153	1059	1365	1398	1835

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ავტოტრანსპორტისა და მრეწველობის დარგებთან ერთად გარემოს მნიშვნელოვანი გამაჭუჭყიანებელია ენერგეტიკა. ამ დარგიდან გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოშვება(გოგირდის დიოქსიდი და სხვა) გამოწვეულია ქვანახშირის, ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი და თხევადი აირის მოხმარებით. ენერგორესურსების მოხმარების მასშტაბების ზრდამ განაპირობა ამ დარგის ხვედრითი წილის ზრდა გარემოს დაბინძურების საერთო მოცულობაში.

ზემოთ აღნიშნულ დარგებთან შედარებით ნაკლებია სოფლის მეურნეობის წილი გარემოს გაჭუჭყიანებაში. თუმცა, უნდა ავღნიშნოთ, რომ ბოლო წლებში ქვეყნის ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამების რეალიზაციამ გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და მეცნიერულად დასაბუთებული ეკოლოგიური ნორმების გათვალისწინების გარეშე (სტანდარტები და ნორმები ნიადაგის მელიორაციაში, განოყიერებაში, ქიმიზაციაში, რეკულტივაციაში და სხვა), შესაძლებელია გაამწვავოს გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები.

მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობა საკმაოდ არასახარბიელოა როგორც ეკონომიკური,ისე ეკოლოგიური და სოციალური მიმართულებებით და ის შეიძლება ჩაითვალოს სუსტ სასტარტო მდგომარეობად. ამას ემატება ისიც, რომ გარემოს კომპონენტების გაჭუჭყიანების მასშტაბები კიდევ უფრო მატულობს, ღრმავდება ეკოლოგიური დეგრადაცია და მწვავდება გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები. აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფისა და ეკონომიკის ეკოლოგიზაციის პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მდგრადი ეკონომიკური განვითარება-XXI საუკუნის გამოწვევა. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 1, თბ, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2008.

2. აბესაძე რ. მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის 110-წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“ თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”,2015

3. თოდუა ლ, მურღულია შ. მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები. shttp://weg.ge/wp-content/uploads/2012/11/lia_shota_geo.pdf

4. ჩხეიძე თ., ხუსკივაძე მ. მდგრად განვითარებაზე გადასვლის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. „ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში". საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბ., 2007.

5. ხუსკივაძე მ. გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორ-მაციის პირობებში საქართველოში (თანაავტორობით). თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული,. თბილისი, "თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა",2014

6. ხუსკივაძე მ. მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები და პერსპექტივები გლო-ბალიზაციის პირობებში საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული "ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია". თბილისი, "თსუ პ. გუგუ-შვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

7. Quality of Life Index // International Living. [Електронний ресурс]. – Режим доступу: http://www.il-ireland.com/il/qofl2015/

8. 2015 Environmental Performance Index (EPI) // Sedac socioeconomic data and applications center [Електронний ресурс]. – Режим доступу: http://sedac.ciesin. columbia.edu/es/epi/downloads.html.

9. Explore the Data // The Heritage Foundation [Електронний ресурс]. – Режим доступу: http://www.heritage.org/index/explore?view=by-region-country-year

10. Global Competitiveness Report 20014-20015 // World economic forum [Електронний ресурс]. – Режим доступу: http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_-10.pdf

11. Human development statistical tables // Human Development Reports. [Електронний ресурс]. – Режим доступу: http://hdr.undp.org/en/media/ HDR_2010_EN_Tables_reprint.pdf.

12. http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1

Mamuka Khuskivadze
Zurab Nozadze

CURRENT STATE OF SUSTAINABLE DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

In Georgia current state of sustainable development is unfavorable enough both in ecological as well as in social directions and it might be considered as a weak starting condition. In addition the scales of pollution of environmental components are growing, ecological degradation is deepening and economic problems of environmental protection become more strained. All these make necessary to form an efficient policy of natural resources use and environmental protection, to improve economic and legal mechanism of nature use and solve the problems of ecologization of economy.

თინა ჩხეიძე

ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში

ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას საფუძვლად უდევს იმ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის (მიწა, წყალი, ტყე, ჰაერი და ა.შ). ოპტიმალურად გამოყენება, რომელიც გააჩნია ქვეყანას.

ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად წერენ „ეკოლოგიური კრიზისის" და მოსალოდნელი „ეკოლოგიური კატასტროფის" შესახებ, რომელთა გარდაუვალობას უკავშირებენ გარემოს მზარდ გაჭუჭყიანებას, ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის მოსალოდნელ დეფიციტს და ბუნებრივი ეკო-ლოგიური წონასწორების დარღვევას.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წ. 10 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი ეკოლოგიური რესურსებისა და გარემოს დაცვის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „ამ სტრატეგიის შემუშავების მიზანია სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა ეკოლოგიური უსაფრთ-ხოების გათვალისწინებით".

გარემოს დაცვის ძირითადი პრობლემაა ბუნებაზე საზოგადოების გონივრული ზემოქმედების ორგანიზაცია მისი უფრო ეფექტური და მრავალმხრივი გამოყენების მიზნით და იმ საზღვრების დადგენა, რომელიც არ უნდა გადალახოს ადამიანმა მის მიერ ბიოსფეროს ეკოსისტემის აქტიური გამოყენებისას. საჭიროა ბუნებრივი რესურსების მკაცრი აღრიცხვა და მათი რაციონალურად გამოყენება.

1. მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება

ბუნებრივი რესურსებიდან ერთ-ერთი უნივერსალური რესურსი არის მიწა. მიწას, როგორც წარმოების ძირითად საშუალებას, კაცობრიობა თავისი არსებობის შესანარჩუნებლად იყენებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული მიწასთან.

მიწას, როგორც წარმოების ძირითად ფაქტორს, ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები, რითაც იგი განსხვავდება წარმოების სხვა საშუალებებისაგან: მას ახასიათებს შეუნაცვლებლობა, ე.ი. მისი შეცვლა სხვა საშუალებით შეუძლებელია. მისი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე საწარმოო თავალსაზრისით ან მისი ექსპორტი და იმპორტი შეუძლებელია.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი პირობებით, მაგრამ იგი მცირემიწიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის მცირე ნაწილი ვაკეა (13%), დიდი ნაწილი მთებსა (54%) და მთისწინებზე (33%) მოდის, რომელიც მიწათმოქმედებისათვის უავარგისი, არახელსაყრელი ან არარენტაბელურია [19].

ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელ წლებში განიცადა სისტემური გარდაქმნა, რომელიც შეეხო როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ისე სახელმწიფო წყობას.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა მიწაზე კერძოსაკუთრებითი ურთიერთობის საფუძველზე საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფა.

საქართველოში მიწის რეფორმამ აამოქმედა მიწის პრივატიზებით მიწაზე კერძო საკუთრების, იჯარის, გირავნობის კანონები.

მიწას, როგორც სპეციალური თავისებურებების მქონე წარმოების ძირითად საშუალებას, საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობისას მრავალი განსხვავებული და მისთვის დამახასიათებელი თვისება გააჩნია საქონელბრუნვაში მონაწილე სხვა ნივთებთან შედარებით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი, როგორც საქონლის, გასხვისების პირობებსა და ხელსაყრელობაზე, რომელიც ნაწილობრივ ზღუდავს კიდეც მის თავისუფალ ყიდვა-გაყიდვის და განფასების შესაძლებლობას. პირველ რიგში აღსანიშნავია მიწის ნაკვეთის უძრავი მდგომარეობა.

მიწის ბაზრის ფუნქციონირების დარეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო – ის განსაზღვრავს გადასახადის განაკვეთს, ერევა ფასების განსაზღვრაში და შეუძლია დაბლოკოს ფასწარმოქმნა.

წარმოების სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით, მიწის, როგორც წარმოების ფაქტორის, მითვისება-განაწილება და გამოყენება უფრო ღრმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხება, მოითხოვს საკანონმდებლო რეგულირებას, მისი საბაზრო ბრუნვაში ჩართვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთების უფლებით [1].

მიწაზე კერძო საკუთრება მოითხოვს მიწის ბაზრის არსებობას, ხოლო მიწის ბაზარი, თავის მხრივ, საჭიროებს პრივატიზებული მიწების შესახებ აუცილებელ საინფორმაციო სისტემას.

მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობის და მიწათსაკუთრების უფლების დაკანონებასთან ერთად, ახალი ეკონომიკური მექანიზმის ამუშავების ძირითად საშუალებად მიღებულ იქნა მიწის გადასახადი, რომელიც დგინდება მიწის ხარისხობრივი შეფასების მაჩვენებლების მიხედვით.

მიწაზე გადასახადის დასადგენად საჭირო ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, რადგან ნიადაგის ნაყოფიერების დონით ფასდება მიწის ვარგისიანობა. მიწის ნაკვეთის ფასის დასადგენად ტარდება ნიადაგის ბონიტირება და კადასტრი. ყურადღება ექცევა ნაკვეთის ადგილმდებარეობას, ბუნებრივ პირობებს, მიკროგეოგრაფიულ მონაცემებს, ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას, ნიადაგის დაშორებას ქალაქიდან და ცენტრალური მაგისტრალიდან. თითოეული ფაქტორის შეფასების შემდეგ მიიღება კომპლექსური კოეფიციენტი, რომელიც ახლავს ნაკვეთის თვისებებს და აქედან გამომდინარე მის ღირებულებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ნაკვეთზე მიწის გადასახადს.

საქართველოს მიწის ფონდი დაიყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები კი, თავის მხრივ, კიდევ დაიყო 2 ნაწილად, რომელთაგან ერთი ნაწილი გადაეცა რეფორმის ფონდს, რომლებიც ოჯახებს (კომლებს) დაურიგდა, მეორე ნაწილი კი სახელმწიფომ დაიტოვა საკუთრებაში და მისი იჯარით გაცემა დაიწყო.

1992 წელს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რითაც დაიწყო მიწის რეფორმის პერიოდი (1992-1998). საქართველოს მოქალაქეთა ოჯახებზე (კომლებზე) გაცემული მიწის ნაკვეთები 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკე, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები მათ საკუთრებად გამოცხადდა. მილიონამდე ოჯახმა უსასყიდლოდ მიიღო მიწის ნაკვეთები. გლეხებს, რომლებსაც ჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთები, ნაკვეთის ფართობი გაუდიდდათ 1,2 ჰექტრამდე.

1998 წლის მდგომარეობით მოსახლეობის მიწით უზრუნველყოფის დინამიკა გვიჩვენებს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შემცირდა დამუშავებული მიწის ნორმა თითქმის 2-ჯერ, ხოლო სახნავისა კი კიდევ უფრო მეტად.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საშუალო სულადობრივი ნორმა საქართველოსათვის 0,5 ჰა-ს შეადგენს, ერთ მცხოვრებზე დამუშავებისათვის ვარგისი 0,2 ჰა მიწა მოდის (სოფლის ერთ მცხოვრებზე 0,4 ჰა). მიწით უზრუნველყოფის ეს მაჩვენებელი მეტად დაბალია და ჩამოუვარდება მრავალი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელს.

მიწა – შიმშილისა და სიღარიბის დაძლევის საწინდარი. სიღარიბის პრობლემა მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ეს მტკივნეული მოვლენა განსაკუთრებით ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა ვერ იკმაყოფილებს საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილებას, რის გამოც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს. სიღარიბე–შიმშილი–უმუშევრობა ეს ისეთი ჯაჭვის რგოლებია, რომლებიც მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

მოსახლეობის ზრდასა და სასურსათო უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით კარგად ვლინდება, როდესაც ვეხებით ***მიწის*** რესურსების გამოყენების საკითხს. ერთის მხრივ მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ზრდას მოითხოვს, ხოლო მეორე მხრივ ადგილი აქვს ნაყოფიერი მიწების შემცირებას როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. ასე მაგალითად: დადგენილია, რომ მიმდინარეობს ნიადაგის დეჰუმინიზაციის პროცესი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაყოფიერების დაცემასა და ხარისხობრივად დაბალ კატეგორიებში გადაყვანის მიზეზია, ასევე აღინიშნება დიდძალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ქვეყანაში საშუალოდ კვების პროდუქტების მოხმარება 1990 წლიდან მკვეთრად შემცირდა. არც ერთი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ფიზიოლოგიურ ნორმებს. მაშინ, როდესაც ჩატარებულ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგად დადგენილია, რომ ქვეყანაში არსებობს საკმაო სასურსათო პოტენციალი, რომლის რეალიზაცია დამოკიდებულია ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალურად გამოყენებისა და აგრარული პოლიტიკის სწორ მიზანმიმართულ გატარებაზე

მიწა და სასურსათო უსაფრთხოება. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ზრდის ფონზე მისი სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება წარმოადგენს თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს, ამიტომ საზოგადოების მთელი ძალისხმევა მიმართულია სასურსათო მარაგის ხარისხიანი და რაოდენობრივი მაჩვენებლის გაზრდისაკენ.

შექმნილი სიტუაცია მოითხოვს როგორც გლობალური მასშტაბით, ისე ცალკეული სახელმწიფოს მხრიდან, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას. ამავე დროს მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული პლანეტაზე არსებული ყველა შესაძლებლობები ისე, რომ არ დაბინძურდეს გარემო და არ დაირღვეს ბიოსფეროს წონასწორობა.

სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდა გახდა მასობრივი სოციალური მღელვარების მიზეზი. საკვებ პროდუქციაზე ფასების გაძვირებას ორი მიზეზით ხსნიან: **1.** ცვლილება მოხმარებაში: ჩინეთში, ინდოეთში და ა.შ. თავისი კეთილდღეობის გამო სურსათის მეტი მოხმარება დაიწყეს, ვიდრე ადრე მოიხმარდნენ. **2.** გაძვირების ძირითად მიზეზად მიაჩნიათ მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) ენერგეტიკული მიზნისთვის გამოყენება.

საკვების გაძვირების ზემოთ განხილული ორი მიზეზის გარდა არ შეიძლება არ განვიხილოთ არანაკლები მნიშვნელობის **მესამე** მიზეზი, რომელიც ***მიწას*** შეეხება. მოსახლეობის ზრდისა და საკვებით უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით ვლინდება, როცა ვეხებით მიწის რესურსის გამოყენების საკითხს.

ბუნებრივი რესურსები სასურსათო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად მსოფლიოში უკიდურესად შეზღუდულია. მათი განაწილების საკითხი ყოველთვის და ყველგან ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. იგი უფრო გამწვავდება მომავალში, ადამიანის მოთხოვნილება განუსაზღვრელად იზრდება, ხოლო სურსათის წარმოების რესურსები განსაზღვრულია.

მეოთხე მიზეზი, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას დედამიწის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხს, არის სახნავი მიწების ფართობების განუსაზღვრელი შემცირების ტენდენცია.

არსებობს სახნავი მიწების შემცირების რამდენიმე მიზეზი:

4.1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ხშირად გამოიყენება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის, მაგ., ქალაქის მშენებლობისათვის, სამრეწველო ობიექტებისათვის, აეროდრომების, გზების და ა.შ. დანიშნულებისათვის, რაც სახნავ მიწებს აკლდება.

4.2. სახნავი მიწების შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორია წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, დაჭაობება, მეორადი დამლაშება და ა.შ. ბოლო 100 წელიწადში პლანეტის სასოფლო-სამეურნეო ფონდმა მარტო ეროზიის გამო დაკარგა 27% სახნავი მიწა. საერთო ჯამში, კაცობრიობის ისტორიაში სახნავი მიწების დანაკარგი 2 მილიარდ ჰექტარს შეადგენს, მეტს, ვიდრე ახლა არის დამუშავებაში.

4.3. ბოლო დროს სახნავი მიწები შემცირდება გაუდაბნოების გამო. ასე მაგალითად, ბოლო 50 წელიწადში საჰარის უდაბნომ "ჩაყლაპა" მეზობელი მიწების 650 ათასი კვ.კილომეტრი, რომელიც გამოიყენებოდა მიწათმოქმედებაში.

4.4. არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი მოსავლიანობის შემცირებისა არის ნაყოფიერი მიწების **დეგრადაცია.** დღეისათვის ცნობილია, რომ მსოფლიოს სახნავი მიწების ნაყოფიერება საგრძნობლად დაეცა. ისინი ვეღარ იძლევიან ისეთ უხვ მოსავალს როგორც იძლეოდნენ რამდენიმე წლის წინ [12].

პლანეტის მოსახლეობა კი იზრდება ყოველ წელიწადს თითქმის 100 მილიონი ადამიანით.

სასურსათო პრობლემა მსოფლიო გლობალურ პრობლემათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის გადაწყვეტა ორგანულად დაკავშირებულია პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ფაქტორებთან. ამიტომ, აღნიშნული პრობლემების გლობალური მასშტაბისა და ***მიწის***, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის განსაკუთრებული და ერთ-ერთი ძირითადი შეუცვლელი ფაქტორის მიშვნელობის გათვალისწინებით, საჭიროა ეს საკითხი საერთაშორისო დონეზე გადაწყდეს. საჭიროა დაწესდეს მონიტორინგი მსოფლიო მიწის რესურსის რაციონალურად გამოყენებაზე. აიკრძალოს მარცვლეული კულტურების ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენება.

გაუდაბნოება. XXI საუკუნის ეკონომიკურ-ეკოლოგიურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას გაუდაბნოება წარმოადგენს. დიდი ხანია საერთაშორისო საზოგადოებამ გაუდაბნოება აღიარა უმთავრეს გლობალურ გარემოსდაცვით პრობლემად.

უდაბნოს დედამიწაზე უკავია უზარმაზარი მიწის რესურსები. ეს მიწები ყველა იქნებოდა გამოყენებული აქ საკმარისი ტენიანობა რომ იყოს. მზის ენერგიაც და ნიადაგში საკვები ელემენტებიც საკმარისია, რის გამოც აქ შეიძლება წელიწადში 2-3-ჯერ მივიღოთ მოსავალი თუ იქნება წყალი.

1994 წლის 17 ივნისს პარიზში მიღებულ იქნა კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს გაუდაბნოებასთან ბრძოლას.

საქართველომ აღნიშნულ კონვენციას ხელი მოაწერა 1994 წელს, ხოლო რატიფიკაცია მოახდინა 1999 წლის ივლისს, რითაც ვალდებულებები აიღო, შეიმუშაოს გაუდაბნოებასთან ბრძოლისა და გვალვის შედეგების შემცირებისაკენ მიმართული სათანადო ღონისძიებები.

მიწის – გარემოს დაცვის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. საზოგადოების განვითარების ისტორიამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იზოლირებულად, გარე სამყაროსაგან მოწყვეტით განვითარება, ეს ნათლად გამოჩნდა მე-20 საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ფონზე,

რაც შეეხება გარემოს დაცვის პრობლემას, ეს საკითხი მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადისათვის უპირველესია. ეს პრობლემა ქვეყნებს არ აძლევს საშუალებას ინტეგრაციის დროს აირჩიონ მათთვის ხელსაყრელი პირობები ან შეარჩიონ შესაფერისი პარტნიორები. გარემოს დაცვა ყველა ქვეყნისათვის აუცილებლობას წარმოადგენს.

გარემოს დაცვის პრობლემა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის მტკივნეულია, რადგან ეკოლოგიურ ფაქტორს სახელმწიფო საზღვრები არ გააჩნია. ამის საუკეთესო მაგალითია ჩერნობილის კატასტროფის ტრაგედია ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ მძლავრი ლოკალური ზემოქმედება როგორ სწრაფად იწვევს გლობალურ ეფექტს.

1995 წლის კონსტიტუციით საქართველომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემო, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას. 1996 წელს მიღებულ იქნა კანონი გარემოს დაცვის შესახებ.

ჩვენ აქ შევეხებით გარემოს დაცვის კუთხით გლობალიზაციის საკითხის ერთ-ერთ პრობლემას, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, კერძოდ ***მიწის*** რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხს. ეს პრობლემა მრავალმხრივი და მრავალასპექტიანია, თითოეული ასპექტი თავის მხრივ კიდევ შედგება შემადგენელი ნაწილისაგან. მაგალითად, მიწის რესურსის რაციონალურად გამოყენების საკითხში საჭიროა განიხილებოდეს: ნიადაგის ***წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, მიწის გაუდაბნოების, ნიადაგის ქიმიური ნივთიერებებითა და რადიაქტიული ნივთიერებებით დაბინძურება, ნიადაგის ნაყოფიერების კლების ტენდენცია, დაშლამების, დაჭაობებისა*** და სხვა საკითხები, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარე ეკოლოგიურ პროცესებთან დაკავშიერებით გლობალური ხასიათის შესწავლას მოითხოვს.

2. მიწის რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგი

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოში ჩატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, მათ შორის იყო აგრარული რეფორმა, 1992 წელს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რითაც დაიწყო მიწის რეფორმის პერიოდი (1992-1998), რომელმაც აამოქმედა მიწის პრივატიზებით მიწაზე კერძო საკუთრების, იჯარის, გირავნობის კანონები.

მიწის რეფორმა საქართველიში ჩატარდა ნაჩქარევად და ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე.

მიწაზე კერძო საკუთრება მოითხოვს მიწის ბაზრის არსებობას, ხოლო მიწის ბაზარი თავის მხრივ საჭიროებს პრივატიზებული მიწების შესახებ აუცილებელ საინფორმაციო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს პრივატიზებული მიწის ყოველი ნაკვეთის ყოველმხრივ აღრიცხვას და მის დიფერენცირებულ შეფასებას, რადგანაც მიწას, როგორც გაყიდვის ობიექტს, უნდა გააჩნდეს გასაყიდი ფასი.

კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ“ საქართველოს პარლმენტმა მიიღო მხოლოდ 1996 წელს.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, მიუხედავად ამისა, მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი ყოველ წელიწადს სულ უფრო და უფრო იკლებს და მცირდება, რასაც განაპირობებს სხვადასხვა სახის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაყოფიერების დაცემა, რის გამოც ისინი დაბალი კატეგორიის მიწის ფონდში ხვდებიან (ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის არავითარი ღონისძიება არ ტარდება).

2. საქართველოსთვის ერთ-ერთი საჭირბოროტო პრობლემა, რომელიც იწვევს ნიადაგების დეგრადაციას და მათი სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღებას, არის **ეროზია.** ეროზიის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანთეოპოგენური და სხვა ბუნებრივი პროცესებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3 მილიონი ჰექტარიდან 1 მილიონზე მეტი ე.ი. 35% დეგრადირებულია, აქედან სახნავი მიწები 380 000 ჰექტარს შეადგენს (დეგრადირებული ნიადაგი 30-50%-ით ნაკლებ მოსავალს იძლევა). უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის მიწების ფონდს ეროზიის გამო 50 ათასი ჰექტარი გამოაკლდა.

3. სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობის შემცირების შემდეგი მიზეზია მათი არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენება (მშენებლობები, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების, ნავთობსადენების ფართობების გაზრდა და სხვ.).

მოსახლეობის ზრდასა და სასურსათო უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით კარგად ვლინდება, როდესაც ვეხებით მიწის რესურსების გამოყენების საკითხს. ქვეყნის მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენებას და სასურსათო უსაფრთხოებას ბაზარი ვერ დაარეგულირებს, ეს სახელმწიფოს პროგრამაა, რასაც არ ცნობს „მიწის პრივატიზების" კანონი.

სიღარიბის დონის შემცირების და მოშიმშილე მოსახლეობის დაპურების აუცილებლობა მოითხოვს, სასურსათო პროდუქციის გაზრდის მიზნით, გაზარდოს ნიადაგის ნაყოფირება და ფართობის ერთეულზე პროდუქციის მოსავლიანობა, რისთვისაც საჭიროა სპეციალური აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება. რასაც ვერ ახერხებს მცირე მეწარმე (ფერმერი).

შეიძლება დავასკვნათ რომ, ძირითადი ხარვეზი, რაც დაშვებული იქნა მიწის რეფორმის დროს, ეს არის სახელმწიფოს როლის შეუფასებლობა და მიწის ფონდის მთლიანად განსახელმწიფოებრიობა.

კაპიტალურ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, როგორიც არის მაგ., საირიგაციო ქსელის გაყვანა, ეროზია და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ჭაობების დაშრობა და ა.შ., რომელსაც ვერ ჩაატარებს მიწის კერძო მესაკუთრე (ფერმერი), უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფო.

საბჭოთა პერიოდში მიწა უფასო იყო, რამაც მეტად ნეგატიურად იმოქმედა მისდამი დამოკიდებულებაზე, წარმოშვა მისი უყაირათოდ გამოყენების პრეცედენტი და დაუფასებლობა.

მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობის და მიწათსაკუთრების უფლების დაკანონებასთან ერთად, ახალი ეკონომიკური მექანიზმის ამუშავების ძირითად საშუალებად მიღებულ იქნა მიწის გადასახადი, რომელიც დგინდება მიწის ხარისხობრივი შეფასების მაჩვენებლების მიხედვით.

საქართველოში მიწის პრივატიზება დაიწყო სამოქალაქო ომის დროს, სათანადო მეთოდოლოგიური და მატერიალური ბაზის მოუმზადებლობის პირობებში, არ ჩატარებულა მიწის კადასტრი, ბონტირება, პასპორტიზაცია, მიწის რეფორმა არსებითი დარღვევებით მიმდინარეობდა, ადგილი ჰქონდა მიწის თვითნებურ მიტაცებას, ნადგურდებოდა საცდელი სადგურების მიწები, 1990-1995 წწ. საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის საწარმოო და ტექნიკური პოტენციალი, ფუნქციონირება შეწყვიტა ათობით მეცხოველეობის კომპლექსმა, მეფრინველეობის ფაბრიკამ და სასათბურე კომბინატმა, ამოიძირკვა მრავალი ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები. მაგ., ხეხილის ფართობი 1990 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა 60 ათ. ჰექტარით, ვენახი 65 ათ. ჰექტარით, ასევე შემცირდა ჩაის (15 ათ. ჰექტარი), ციტრუსების ნარგაობა (5,4 ათ. ჰექტარი).

1950 წ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთელი ტერიტორიის 49,6%-ს შეადგენდა, რომელიც 1998 წლისათვის 43%-მდე დავიდა.

შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაც, გაიზარდა ნაკლებინტენსიური ბუნებრივი (საკვები) სავარგულების ხვედრითი წილი, ხოლო დამუშავებული მიწები გამუდმებით ავლენს კლებით ტენდენციას (1950-1990წწ. სათიბ-საძოვრების წილი გაიზარდა 20,5 ათ. ჰექტარით, ხოლო დამუშავებული მიწების წილი, შესაბამისად შემცირდა).

მხოლოდ 1996 წ. 22 მარტს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ", რომელმაც სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეუზღუდავი კერძო მესაკუთრის ჩამოყალიბების სამართლებრივი საფუძვლები შექმნა. მიწის საკუთრების სამართლებრივი ბაზის შექმნით გამოიკვეთა მიწის საბაზრო მექანიზმში ჩართვის პირობები. მიწის რეფორმამ აამოქმედა საქართველოში მიწის საკუთრების, იჯარის, გირავნობის კანონები.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა ტრანსფორმაცია განიცადა. კერძოდ, დამუშავებული მიწების დიდი ნაწილი გადაყვანილია ნაკლებად ინტენსიურ სავარგულებში და დაბალპროდუქტიულ საძოვრებში, ხოლო გარკვეული ფართობები საერთოდ გამოითიშა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან, ე.ი. გადაყვანილია სოფლის მეურნეობისათვის გამოუყენებელ (მიგდებულ) მიწებში. ბოლო 50 წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდს გამოაკლდა 50 ათასი ჰა-რი. ამავე დროს

არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ათვისებული იყო 150 ათასი სხვა მიწა, ანუ მთლიანად 200 ათასი ჰა. საშუალოდ ყოველწლიურად, არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოიყენებოდა 4 ათასი ჰექტარი ახალი მიწა.

ამჟამად, საადგილმამულო მეურნეობები მცირემიწიანი ნაკვეთებით არის წარმოდგენილი და ორიენტაცია აქვთ არსებული მეურნეობის ნატურალურ ფორმაზე. მეურნეობები შეძლებისდაგვარად ცალ-ცალკე წყვეტენ მიწის დამუშავების, მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით და წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფის, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლის დაკანონება სრულებითაც არ ნიშნავს სახელმწიფო საკუთრების მიწის მთელი ფართობის კერძო სექტორში გადასვლას. სახელმწიფო, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის უნდა დარჩეს მიწის ძირითად მესაკუთრედ თავისი მიზნების (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური) განსახორციელებლად როგორც მიწა, ასევე სხვა ბუნებრივი რესურსი უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრებაში, რადგან ის ეკუთვნის ხალხს, სახელმწიფო მიწის ფონდის მთლიანად განსახელმწიფოების ნაცვლად, იგი მხოლოდ იჯარით უნდა გაიცეს. კერძო სექტორმა არ უნდა ჩაიგდოს ხელში მიწის რენტა, რადგან ის არის არა კონკრეტული სუბიექტის, არამედ მთლიანად საზოგადოების საკუთრება. კერძო სექტორს (მეწარმეს) შეუძლია მიიღოს შემოსავალი არა მიწის რენტიდან, მიწის ბუნებრივი ნაყოფიერებიდან, არამედ მის მიერ მიწაზე დახარჯული ძალისხმევის შედეგად მიღებული მოგებიდან. მიწის რენტა უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო.

ქვეყანაში ბოლო ათწლეულში შექმნილი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში ჩატარებული მიწის რეფორმა წარუმატებელი აღმოჩნდა. მიწის რეფორმა, როგორც აღვნიშნეთ, მთელი რიგი ხარვეზებით ჩატარდა. მიწის მთელ რიგ საპრივატიზაციო ნაკვეთებს არ ჩატარებიათ ბონიტირება და კადასტრი, რამაც უარყოფითად იმოქმედა მიწის გადასახადის დადგენაზე. აღინიშნა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ფაქტები. საგრძნობლად შემცირდა ქვეყნის სახნავი მიწის ფართობი, დაუმუშავებელი დარჩა (სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით) როგორც პრივატიზებული, ისე სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სახნავი ფართობები.

3. წყლის რესურსების დაცვის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები საქართველოში

წყალი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია, იგი ბიოსფეროში სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს და მასზეა დამოკიდებული ცოცხალი სამყაროს განვითარება. წყალში ჩაისახა და განვითარდა სიცოცხლე. წყალი მონაწილეობას იღებს ყველა იმ პროცესში, რომელიც მიმდინარეობს როგორც დედამიწის ზედაპირზე, ისე მის წიაღში.

დედამიწაზე არ არსებობს არც ერთი ისეთი ცოცხალი არსება, თუნდაც ის იყოს პრიმიტიული, რომელიც თავის შემადგენლობაში არ შეიცავდეს წყალს და შეეძლოს მის გარეშე არსებობა.

თავისი თვისებებით წყალი უნივერსალურია, იგი არის მონაწილე ყველა ტექნოლოგიური პროცესის, მის გარეშე შეუძლებელია მრეწველობის, ტრანსპორტის მშენებლობის განვითარება. ქალაქად და სოფლად იგი მთავარი სანიტარია [4].

დედამიწის ფართობის უდიდესი ნაწილი წლით არის დაფარული და იგი წარმოდგენილია ოკეანეების, ზღვების და კონტინენტური წყალსაცავების სახით, დედამიწის ფართობის 510.0 მლნ. კვადრატული კილომეტრი, რომლის 71%, ანუ 362,1 მლნ კვადრატული კილომეტრი, უკავია მსოფლიო ოკეანეებს, რაც ქმნის ილუზიას, რომ წყლის რესურსი ამოუწურავი და ულევია. სინამდვილეში ჰიდროსფეროს საერთო მარაგის (1388,1 მლნ კუბური კილომეტრი) 17,5%, ანუ 1353,3 მლნ კუბური კილომეტრი სამეურნეო საქმიანობებისათვის გამოუსადეგარია მისი მარილიანობის გამო. ხოლო მტკნარი წყლის წილად, რომელიც ბუნებაში მდინარეების, მყინვარების, მიწისქვეშა წყლების, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავების სახით არსებობს, მხოლოდ 2,5%, ანუ 34,7 მლნ კუბური კილომეტრია. აქედან კი დღეისათვის გამოიყენება მტკნარი წყლის საერთო მოცულობის მხოლოდ 12%, ანუ 4,16 მლნ კუბური კილომეტრი რაც ნათლად მოწმობს მტკნარი წყლის მსოფლიო პრობლემას.

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე 26 060 მდინარე მიედინება. საქართველოს დასავლეთიდან აკრავს შავი ზღვა, რომლის სანაპირო ზოლის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 315 კმ-ია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წყლის უკმარისობა არ არის დამოკიდებული დედამიწაზე წყლის სიმცირეზე და არც წყლის ბუნებრივი წრებრუნვის შეფერხებაზე. წყლის საერთო დეფიციტს ადგილი აქვს მისი წყაროების თანდათანობით დეგრადაციისა და დაბინძურებების გამო. ამის მიზეზია წყლის ობიექტების არასაკმრისად გაწმენდილი ჩამდინარე წყლებით და სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურება, ბუნებრივი და წყალშემკრები ფართობების შემცირება, ტყის მასობრივი განადგურება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასწორი მორწყვა და ა.შ..

წყლის ძირითადი მომხმარებელი სოფლის მეურნეობაა. დიდი რაოდენობის წყალი იხარჯება მორწყვაზე, რის გამოც იზრდება აორთქლება, იზრდება ატმოსფეროში წყლის რაოდენობა, რომე-

ლიც ზოგ რაიონში იწვევს უხვ ნალექიანობას, ასევე დიდი რაოდენობის წყალს აორთქლებს ხელოვნურად შექმნილი წყალსაცავები.

მსოფლიოში სოფლის მეურნეობის წყლის ხარჯი 1900 წელს თუ იყო 350 კუბური კილომეტრი, 1975 წელს გახდა 2100 კმ^3, ხოლო 2000 წელს გაიზარდა 3400 კმ^3-მდე, ამავე პერიოდში წყალმომარაგება გაიზარდა 30 კმ^3 -დან 63 კმ^3-მდე.

ასევე დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარს მრეწველობა მაგ., 1 ტონა ფოლადის გამოსადნობად საჭიროა 250-330 კმ^3 წყალი, 1 ტონა ქაღალდის საწარმოებლად 550 კმ^3-დან 750 კმ^3-მდე წყალი, ხოლო 1 ტონა ხელოვნური ბოჭკოს საწარმოებლად 470-730 კმ^3. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება წყლის ხარჯი ТЭС და АЭС-ის გაცივებაზე.

არანაკლებ სახიფათოა წყლის სითბური გაჭუჭყიანება. განსაკუთრებით საჭიროა აღინიშნოს ზღვებში რადიოაქტიური ნარჩენების დამარხვის შესახებ, მათი დამარხვის მიზანია მათი იზოლირება დასახლებული პუნქტებისაგან, იმდენი დროით რა დროც არის საჭირო რადიოაქტიური ნივთიერების დაშლისათვის. ეს მეთოდი გამოყენებული აქვს მრავალ ქვეყანას.

შავ ზღვაზე შეიმჩნევა საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობა, მის ირგვლივ მდებარე თითქმის ათივე სახელმწიფოს მიერ ხდება სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დიდი რაოდენობით დამაბინძურებელი ბიოგენური ნივთიერებების ჩაშვება, თუ ათვლას დავიწყებთ ორმოცდაათიანი წლებიდან თითქმის 10-ჯერ გაიზარდა შავ ზღვაში ჩაშვებული ნაგვის რაოდენობა.

ბუნებრივი წყლების სისუფთავის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გადაჭრა დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან და, პირველ რიგში, ჩამდინარე წყლების მოცულობის სიდიდესთან.

ბუნებრივი წყლების დამაბინძურებელი წყაროებია:

1. ატმოსფერული ნალექები, რომლებიც შეიცავს ჰაერიდან ჩამორეცხილ სამრეწველო პოლუტანტებს.

2. სამრეწველო ჩამდინარე წყლები, რომლებიც შეიცავს შავი მეტალურგიის, ქიმიურ, ხეტყის, ნავთობმრეწველობის ნარჩენებს.

3. ქალაქის ჩამდინარე წყლები, რომლებიც შეიცავს საყოფაცხოვრებო ჩანადენს, დეტენგეტებს და სხვა დამაბინძურებლებს.

დამაბინძურებლები, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს სასმელ წყალში:

ნავთობი: შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ნავთობი წარმოადგენს ოკეანის ყველაზე მეტად გავრცელებულ და, ამავე დროს, ყველაზე მდგრად გამჭუჭყიანებელს. მსოფლიო ოკეანის წყლებში ნავთობპროდუქტების ყოველწლიურმა მოხვედრამ ამჟამად მიაღწია 10 მლნ ტონას.

ნავთობის თხელი აპკი, როგორც ფილტრი, თავს უყრის მთელ რიგ ტოქსიკურ ნივთიერებებს, პესტიციდებს, მძიმე მეტალებს, რომლებიც დიდ საშიშროებას წარმოადგენს ბიოტის ცხოველმოქმედებისათვის.

ნავთობის ტოქსიკური ზეგავლენა ზღვის ბიოტაზე მეტად ძლიერი და მრავალფეროვანია.

მძიმე მეტალები. მეტად საყურადღებოა მძიმე მეტალებით წყალსაცავების დაბინძურების შემთხვევები. ყველაზე მეტად გვხვდება კალიუმი, სპილენძი, ვერცხლისწყალი. 0,001 მლ/გ კონცენტრაციაც კი მოქმედებს პლანქტონურ ორგანიზმზე. ყოველწლიურად ბიოსფეროში ხვდება 1,5-2 ათასი ტონა ვერცხლისწყალი, 3,5 ათასი ტონა ტყვია, 566 ათასი ტონა სპილენძი.

ტყვია ყოველწლიურად ატმოსფეროში გამოიყოფა 1 მილიონი ტონა. დაბინძურების წყაროა ეთილიზირებული ბენზინი და თამბაქოს ბოლი. სასმელ წყალში მისი არსებობის 0,04 მლგ კონცენტრაციის დროს ხდება ადამიანის ქრონიკული მოწამვლა.

ტყვიის დაგროვებაში დიდ როლს ასრულებს მცენარეები, რომლებიც ტყვიას ღებულობენ არა მარტო ატმოსფეროდან, არამედ ნიადაგიდანაც. **ვერცხლისწყალი**. ვერცხლისწყალი და მისი ნაერთები ძლიერი მომწამვლელია. თუ ის მოხვდა სასმელ წყალში, იწვევს სიკვდილს, დღე-ღამეში 75-300 მლგ სასიკვდილოა (სულემა).

დამღუპველად მოქმედებს ვერცხლისწყალი თევზებსა და წყლის სხვა ორგანიზმებზე – 0,006-0,01 მლგ იწვევს დამბლას, მხედველობისა და სმენის მოშლას.

ბუნებრივი წარმოშობის შხამები. წყალმცენარეების მიერ გამოყოფილი შხამები დიდ როლს თამაშობს წყლის ხარისხისა და ადამიანის ბიოლოგიურად სრულფასოვან ფორმირებაში.

წყალსატევების ერთ-ერთი პოტენციური დამაბინძურებელია მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებიდან გაუწმენდავი ჩამდინარე წყლები. როგორც ძველი, ისე ახლად შექმნილი ფერმები არ არის აღჭურვილი ეფექტური გამწმენდი ნაგებობით, ნაკელის შემკრები და უტილიზაციის სისტემებით.

წყლის რესურსების დაბინძურების ერთ-ერთ დიფუზიურ წყაროს წარმოადგენს ქალაქების ნაგავსაყრელები და პოლიგონები. საქართველოსათვის პრობლემატურია აგრეთვე ის ტრანსნაციონალური პროექტები, რომლებიც ამჟამად განხორციელების პროცესშია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა ზრდის შიდა წყლების დაბინძურების რისკფაქტორებს როგორც თავად მშენებლობის პროცესში, ასევე მშენებლობის შემდეგ. ამ მხრივ საფრთხის ქვეშ არის ბორჯომ-ბაკურიანის წყალშემკრები ზონა და სოფელი დაგვარა, ასევე წალკის წყალსაცავი.

წყლის რესურსების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ფარმაცევტული და კოსმეტიკური საწარმოები, საყოფაცხოვრებო ქიმია ანუ ჰაუზჰოლდები (სარეცხი ფხვნილები და სინთეტიკური საღებავები).

საერთოდ, საქართველოში ბოლო წლებში ვერ ხერხდება წყლის დაბინძურების რეალური მონიტორინგი, რისი მიზეზიც სანიტარული სამსახურებისა და შესაბამისი საანალიზო ლაბორატორიების არასრულყოფილი ბაზაა.

თვითგაწმენდა. წყლის რესურსები ხასიათდება შესანიშნავი თვითგანახლების თვისებით (უნარით).

ჰიდროსფეროს თვითგასუფთავება დაკავშირებულია ნივთიერების წრებრუნვასთან. წყალსაცავში იგი უზრუნველყოფილია იქ მობინადრე ორგანიზმების ცხოველქმედებით.

წყალსატევის თვითგაწმენდის პროცესი მრავალგვარი და მრავალფეროვანია. პირობითად იგი შეიძლება დავაჯგუფოთ ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ გაწმენდად.

დედამიწაზე წყალი განიცდის მუდმივ მოძრაობას, მდინარეებში წყლის ცვლა მიმდინარეობს საშუალოდ წელიწადში 30-ჯერ, ე.ი. ყოველ 12 დღეში. გამდინარე ტბების წყლები იცვლება ყოველ ათწლეულში, ხოლო გაუმდინარის – 200-300 წელიწადში ერთხელ. მსოფლიო ოკეანის წყლის განახლება საშუალოდ 3000 წელიწადში ერთხელ ხდება.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ბუნებათდაცვითი ამოცანაა – შევუნარჩუნოთ ჰიდროსფეროს თვითგაწმენდის უნარი.

წყლის რესურსების დაცვა. ამრიგად, წყლის რესურსებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ხელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების, გარემოს შენარჩუნებისათვის და ა.შ. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის წყლით უზრუნველყოფა იყო და ამჟამადაც არის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

წყლის რესურსების მართვა საქართველოში კანონებით „გარემოს დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საქართველოს ზღვების, წყალსაცავებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირების და საინჟინრო დაცვის შესახებ“ – გარემოს დაცვის სამინისტროს ნორმატიული აქტებით რეგულირდება.

არჩევენ 2 სახის გამჭუჭყიანებელს:

1. ქალაქები, რომელთა ჩამდინარე წყლები ხვდება ბუნებრივ წყალსატევებში კანალიზაციის მილებით. ასეთ წყლებს „სტაციონარული“ ანუ წერტილოვანს უწოდებენ.

2. მეორე სახის გამჭუჭყიანებლები ახასიათებს სოფლებს. ამ შემთხვევაში ჩამდინარე წყლები ბუნებრივ წყალსაცავებში ჩაედინება ფართო ზედაპირით. შეიძლება ეს იყოს მდინარის, ტბის ნაპირი. მათ ხაზოვან, ანუ არაწერტილოვანს უწოდებენ.

ცალკე შესწავლის საკითხია **ნავთობით** დაბინძურებული ზღვებისა და ნიადაგების გასუფთავება.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ღონისძიება ტარდება ზღვების გაჭუჭყიანებისაგან დასაცავად, ყველაზე კარგ დამცავ საშუალებად მაინც **გაფრთხილება** მიიჩნევა. ამიტომ არის საჭირო წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიის გამოყენება და ჩაკეტილი წრის ტექნოლოგიის დანერგვა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასმელი წყალი გადის ექსპორტზე, საქართველოს მთელი რიგი რეგიონები სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის, რაც არის შედეგი არა წყლის რესურსების სიმცირის, არამედ მათი არარაციონალურად გამოყენებისა. წყლის რესურსების დაცვა ნიშნავს, მოინახოს ბუნებაში ის ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადავაბიჯოთ, რათა წყალმა მოახერხოს ბუნებისაგან მინიჭებული თვითგაწმენდის უნარის განხორციელება. უნდა დადგინდეს, როგორია ამა თუ იმ ბუნებრივი ჩამდინარე წყლის ის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის ათვისებაც არ შეუძლიათ, რათა იგი არ გადაიქცეს ბოროტების მატარებელ წყალვარდნილად. მთავარია წყლის ხარჯი მუდმივად არ აღემატებოდეს მისი რეზერვების შევსების სიჩქარეს.

აკვაკულტურის განვითარების პრობლემები საქართველოში. აკვაკულტურა, როგორც მცირე ბიზნესის სფეროს საქმიანობა, საქართველოში ჯერჯერობით ჯეროვნად ვერ განვითარდა მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით თევზეულზე (და, ზოგადად, ზღვის ნობათზე) მოსახლეობის მხრიდან დიდი მოთხოვნაა.

როცა სრულფასოვან კვებაზეა ლაპარაკი, მხედველობაშია კვების ის სამედიცინო ნორმები რაც აუცილებელია ადამიანისათვის. აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცილოვანი პროდუქტების წარმოების გადიდებას.

თევზი იძლევა არა მარტო ცილას და ცხიმს, არამედ ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო ვიტამინებს და მინერალურ ნივთიერებებს.

თევზი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ბუნების მოწყალება, საჭიროა, მას გამრავლებისათვის სათანადო პირობები შეექმნას. თევზჭერა შეაფერხა არარაციონალურმა ექსპლუატაციამ.

გარდა არარაციონალური რეწვისა, ერთ-ერთი მიზეზი, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას დედამიწის მოსახლეობის კვებით რაციონს, ეს არის ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურება – მათზე ანთროპოგენური დატვირთვის გამო.

რაც შეეხება საქართველოს შიდა წყლებს (მათ შორის ტბორებს), მინიმალურადაც არ არის გამოყენებული მეთავზეობის განვითარების შესაძლებლობები. რამდენიმე წლის წინ საქართველოში მათ 50 000 ჰა ფართობი ეკავა.

საქართველოს წყლებში თევზის რეწვა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისი მოხმარების ხვედრითი წილი არც კი განიხილება.

ნედლი თევზი ფუფუნების პროდუქტია საქართველოს მცხოვრებთათვის,

საქართველოში იქთიოცენოზის განვითარების ერთ-ერთი ნათელი წერტილია მეკალმახეობა. ხელოვნურად შექმნილი წყალსატევები და ტბორები გამოიყენება მცირე მეწარმეობის საქმიანობის – „მეკალმახეობის განვითარებისათვის“.

იქთიოცენოზის დაცვის აუცილებლობის საკითხისათვის. დღეს მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცილოვანი პროდუქტების წარმოების გადიდებას და ადამიანთა სრულფასოვანი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საკითხს. ამ პრობლემის რეალიზაციაში თავისი წვლილი შეაქვს **მეთევზეობას**, მით უმეტეს, რომ მსოფლიოში წარმოებული ხორცის საერთო ბალანსში თევზის ხვედრითი წილი 45%-ზე მეტია. თევზი დიეტური საკვებია, შეიცავს დიდი რაოდენობით ცილას. ყოველი 100 გრამი თევზის ცილიდან ადამიანი ითვისებს 40 გრამს. იმავე რაოდენობის ღორის ხორცის ცილიდან 20 გრამს, ხოლო ძროხის ხორცის ცილიდან 15 გრამს. ცხოველური ცილის 7% თევზის ცილაზე მოდის.

იქთიოცენოზის დაცვის და გამრავლების საუკეთესო საშუალებაა აკვაკულტურა. აკვაკულტურას ტრადიციულ მეთევზეობასთან შედარებით უპირატესობა აქვს. აკვაკულტურის განვითარება მეტად მომგებიანია, ასე მაგალითად, მსხვილრქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობა შეადგენს 0,34 ტ/ჰა-ზე, ხოლო აკვაკულტურა იძლევა 120 და 600 ტონას ჰექტარ ზღვაზე და, როგორც ირკვევა, ეს ზღვარი არ არის, ეს დამოკიდებულია გენეტიკოსებსა და სელექციონერებზე.

რაც მთავარია, აკვაკულტურის განვითარებაზე დანახარჯი სწრაფად ამოიგება. მაგ., წყნარი ოკეანის ორაგულის მოშენება მეტად მომგებიანია. მის მოშენებაზე აშშ-ი ერთ დოლარ დანახარჯზე 7 დოლარს იღებენ, ხოლო იაპონიაში – 15 დოლარსაც კი. ასევე შრომის დანახარჯი ტონა თევზის მოშენებაზე 8-ჯერ უფრო მცირეა ვიდრე ღორის მოშენებაზე.

4. ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების პრობლემები საქართველოში

ტყე გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილია, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით ტყისათვის მიკუთვნებულ ხეებს, მათი გავრცელების არეალში მოქცეულ მიწას, აგრეთვე ბუჩქებს, ბალახებს, ცხოველებს და სხვ. ერთობლიობას და გავლენას ახდენს ერთმანეთსა და გარემოზე [6].

ტყე გავლენას ახდენს ჰაერის შემადგენლობაზე, ცვლის ტემპერატურას, ტენიანობას და ჰაერის მასების მოძრაობას, ტყე ფილტრაციას უკეთებს ჰაერს, ასუფთავებს მას ტექნიკური შენაერთებისაგან.

ბუნებრივი ტყის ხემცენარეები გამოყოფს 300-მდე სხვადასხვა შემადგენლობის ქიმიურ ნივთიერებებს, არომატულ ნაერთებს, ეთერზეთებს, ტყე გამოყოფს განსაკუთრებულ ნივთიერებას – ფიტონციდებს, რომელიც ანადგურებს მავნე ბაქტერიებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსხვილი დასახლებული პუნქტების სიახლოვეს არსებულ ტყეს, რომელსაც გააჩნია სუფთა ჰაერის მიწოდებისა და ქარდაცვის ფუნქცია.

ტყე ბიოსფეროს, ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს მდგრადობის უნივერსალური ფაქტორია. მას პლანეტის „მწვანე ფილტვებს“ უწოდებენ. მისი მეშვეობით ბალანსირდება ატმოსფეროში ჟანგბადის, ნახშირორჟანგისა და აზოტის საჭირო რაოდენობა.

ტყე გადამწყვეტ როლს ასრულებს მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნებაში, ეროზიული პროცესების სტაბილიზებაში, სინოტივის მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ქარსაცავი ზოლების გაშენებას მოსავლიანობის გადიდებაში.

ტყეებს დედამიწაზე 40 მლნ კმ^2, ანუ თითქმის 1/3 უკავია. მათი უმეტესი ნაწილი ბუნებრივად ვითარდება.

მსოფლიოში ყოველწლიურად 150 ათასი კმ^2-მდე ტყიანი ტერიტორია უტყეო ხდება, განსაკუთრებით ინტენსიურად მერქნის მარაგებით გამორჩეული ტროპიკული ტყეები იჩეხება, თითქმის მთლიანად არის განადგურებული ამგვარი ტყეები ცენტრალურ ამერიკაში.

ჩრდილოეთის ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს ტყეების განახლება, ყოველწლიურად მსოფლიოში 56 ათას კმ^2-ზე ხორციელდება ტყეების აღდგენა.

ხეტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში სწრაფად ინერგება ახალი ტექნოლოგიები, უნარჩენო წარმოება. მაგალითად, ავეჯის წარმოებაში გამოიყენება ხეტყის ნარჩენები. ზოგიერთმა ქვეყანამ შეძლო ხეტყის მაგივრად ახალი, ალტერნატიული ენერგიის წყაროს გამოყენებაც. ასეა ტუნისში, სადაც საწვავად პლანტაციებში მოყვანილ სპეციალურად გამოყვანილ კაქტუსს იყენებენ.

ტყეების გადარჩენის მიზნით არაერთმა სახელმწიფომ აკრძალა ხეტყის სამრეწველო მიზნით გადამუშავება. ზოგიერთმა კი შეიმუშავა ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების გრძელვადიანი პროგრამები. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი, შევინარჩუნოთ ძვირფასი ტყეები, მსოფლიო ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგიური გარემო.

ტყეს მისი დანიშნულების მიხედვით ყოფენ სამ ჯგუფად:

- ტყე, როგორც ბუნებრივი რესურსი (ადამიანი მოიპოვებს მერქანს, სამკურნალო მცენარეულობას და ა.შ.);
- ტყე, როგორც ბუნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი (ტყე იცავს ნიადაგს, ინარჩუნებს ტენს, ასუფთავებს და აჯანსაღებს გარემოს, ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს, ინარჩუნებს ბიომრავალფეროვნებას);
- ტყე, როგორც ეკონომიკური და სოციალური ფენომენი.

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა, მისი ტერიტორიის მესამედი ტყეს უკავია. სახელმწიფო ტყის ფონდი პრივატიზებას არ ექვემდებარება. ტყის ფონდის ფართობი 3007,8 ათას ჰა-ს შეადგენს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის (6949,4 ათასი ჰა) 43%-ს. ტყის ფონდის საერთო ფართობებიდან საკუთრივ ტყეს (ტყით დაფარული მიწები) უკავია 2822,5 ათასი ჰა, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40,6% (ტყიანობის %). ტყეებში მერქნის სავარაუდო საერთო მარაგი შეადგენს 451,2 მლნ $მ^3$-ს, ხოლო მერქნის მარაგის საშუალო წლიური შემატება შეადგენს 3,75-4,5 მლნ $მ^3$-ს. ერთ სულ მოსახლეზე მოდის საშუალოდ ზემდგომი მოცულობა ჰექტარზე 176 $მ^3$.

როგორც ცნობილია, ტყის მიწების მერქნულ და არამერქნულ პროდუქტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

საქართველოს ტყეების საშუალო ასაკი დაახლოებით 100-120 წელია. დომინირებს ფართოფოთლოვანი ტყე, რომელიც მოიცავს ტყის 80%-ს, აქედან 50% წიფელია. ტყეების უდიდესი ნაწილი გავრცელებულია ციცაბო ფერდობებზე. დღეისათვის მხოლოდ 600 000 ჰა, ანუ სატყეო მიწის 21% არის მიჩნეული კომერციული თვალსაზრისით საექსპლუატაციო ტყეებად. საქართველოს გააჩნია ტყიანობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, რომლის მიხედვით ის განეკუთნება ტყით მდიდარი ქვეყნების რიგს.

ადრეულ პერიოდში სატყეო სექტორის წვლილი წლიურ მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 4-5%, 1990 წლამდე მონაცემები ასე გამოიყურებოდა: ჭრები – 14%, ხის გადამამუშავებელი მრეწველობა – 69%, მერქნისა და ქაღალდის მრეწველობა – 17%; 1980-1990 წლისათვის ხის გადამამუშავებელი მრეწველობების მონაცემებით: სახერხები – 10,4% და 9%, ავეჯის მრეწველობა – 55% და 60%, სამშენებლო დეტალები – 12,1% და 11%, შესაფუთი მასალები – 7,25% და 6%, სხვა სახის ხის მასალები – 15,3% და 14%.

დღეისათვის მდგომარეობა მეტად რთულია, სატყეო კომპლექსის საწაროები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მძიმე პროცესშია. ძირითადად ამ დარგში ხდება ხეტყის მასალის ექსპორტი. ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება ჭრა და მრგვალი მორების პირველადი დამუშავება, შემდგომ კი მათი საზღვარგარეთ გატანა. ნებისმიერი მიზნით მრგვალი მორების სრული მოხმარება დაახლოებით 2,55მლნ $მ^3$ შეადგენს. სატყეო დეპარტამენტის მონაცემებით, ის ტოლია 420 000 $მ^3$-ისა. დახერხილი მერქნის ოფიციალური ექსპორტი შეადგენს 37 000 $მ^3$ ან 80 000-90 000 $მ^3$ მრგვალი მორების ეკვივალენტში, რაც საბოლოოდ მოგვცემს მრგვალი მორების მთლიან შიდა მოხმარებას დაახლოებით 1,17 მლნ $მ^3$ ფარგლებში.

ტყეების ჭრას უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით მთიან რეგიონებში მოსდევს. დიდი დახრილობის ფერდობებზე ტყეების ჩეხვას გეოდინამიკური პროცესების (მეწყერების, ღვარცოფების და ა.შ.) გააქტიურება მოჰყვება, რის გამოც მეურნეობა დიდ დანაკარგს განიცდის.

გარდა მერქნისა, საქართველოს ტყის მიწებს გააჩნია მრავალფეროვანი პროდუქტი და მომსახურება:

- ტყის არამერქნული პროდუქტები (თესლები, თხილი, კენკრები, სოკო, ფურაჟი შინაური ცხოველებისთვის, სამკურნალო მცენარეები);
- საძოვრები საქონლისათვის;
- ნადირობისათვის;
- თევზაობისათვის;
- სულიერი, კულტურული და რეკრეაციული გამოყენებისათვის;
- ტურიზმისათვის.
- წყალშემკრები აუზის დაცვისათვის.

არამერქნული ტყის პროდუქტები. ყველაზე გავრცელებული არამერქნული პროდუქტი კომერციული თვალსაზრისთ არის მაღალი ხარისხის სოჭის თესლი, რაც გამოიყენება დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში საექსპორტოდ საახალწლო ნაძვის ხეების გამოსაზრდელად.

სამონადირეო მეურნეობა კარგად იყო ორგანიზებული საქართველოში. არსებობდა ორგანიზაცია „მონადირეთა კავშირი“, რომელშიც გაერთიანებული იყო 80 000 წევრი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებული ქსელი მთლიანად განადგურდა.

ტურიზმი. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოს ყოველ წელიწადს დაახლოებით 4 მლნ ტურისტი სტუმრობდა. საქართველოს გააჩნდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა ტურიზმისათვის: 102 კურორტი, 15 000 ისტორიული ძეგლი (მათგან 4 შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხაში). მხოლოდ ერთ რეგიონში სახელმწიფო ყოველწლიურად 90 000 რუბლს ხარჯავდა და ტურიზმს 1 000 000 რუბლეზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა. ამ მონაცემებთან შედა-

რებით – ახლანდელი 90 500 ლარი. ასეთივე პერსპექტივა გააჩნია თითქმის ყველა ტყით დაფარულ ტერიტორიას საქართველოში.

უკანონო ჭრების დონემ 2004 წელს შეადგინა 50 000 m^3. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ოფიციალური მონაცემებით 1/3-ით გაიზარდა. უკანონო ჭრებმა ტყის მიწების დეგრადაცია გამოიწვია. პრობლემას უფრო ართულებს რეალური უკონტროლობის მექანიზმის არსებობა.

რაც შეეხება ტყის მასივების პრივატიზებას და კერძო სექტორში გადაცემას, მას უარყოფითი შედეგი მოჰყვა. საქართველოში ტყე სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს. ტყის კერძო სექტორზე გადაცემამ მსოფლიოში ტყის მთელი მასივები გაანადგურა. ამის დასტურია აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი. ამ ქვეყნებში ტყის მასივები პრივატიზებას არ დაქვემდებარებია, მაგრამ სტრუქტურიზაციის შედეგად ყოფილ მეპატრონეებს დაბრუნებული ტყეები გაჩანაგდა.

ამჟამად მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში უკუპროცესი მიმდინარეობს. ტყის მასივებზე სახელმწიფო საკუთრების უპირატესობასა და აუცილებლობაში დარწმუნებული მთელი რიგი სახელმწიფოები, სხვადასხვა დროს კერძო მფლობელებზე გადაცემული ტყეების შესყიდვას აწარმოებენ.

ტყე სახელმწიფო ზრუნვის საგნად უნდა გადაიქცეს, რომელზეც კონსტიტუციურად უნდა დამკვიდრდეს სახელმწიფო მართვის ორგანული სისტემა. სატყეო მეურნეობა აღიარებული უნდა იყოს, როგორც სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი წამყვანი ორგანო, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ წყლის ბუნებრივი განახლების პირობების 47% ტყეზე მოდის.

საჭიროა ტყის რესურსების და მისი გამოყენების დაცვის სხვადასახვა შესაძლებლობების სერიოზული ეკონომიკური შეფასება და საუკეთესო ვარიანტის ამორჩევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზარანდია ც., ბუცხრიკიძე გ., ფანჩულიძე ჯ., საქართველოს მიწის რესურსების ადმინისტრირების პრობლემები, რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ბათუმი, 2011.
2. გაუდაბნოების ბრძოლის კონვენციის შესახებ > თბილისის ფორუმი ... mforum.ge/?showtopic=34355410&f=&st= Feb 11, 2012 - 5 posts - 3 authors გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის თანახმად "გაუდაბნოება" ნიშნავს მიწის დეგრადაციას..
3. დავითაშვილი ზ., ელიზბარაშვილი ნ., გობალური გეოგრაფია, 2012.
4. Амстиславский А. Плюс марикультура, Ч. и П. №11, 1985.
5. Поздняков В.Я. -Экономика природоползования. М., 2003.
6. წერეთელი გ. – ლაგოდეხის სახ. ნაკრძალის წიფლნარების ფიტომასალა და ნახშირბადის მარაგი – თსუ კონფერენციის მასალები 2013.
7. Kalmaxi.Ge - / მეთევზეობა – მთავარი kalmaxi.ge/მეთევზეობა–/n44
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2004.
9. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2008.
10. საქართველოს კანონი – „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", 22 მარტი, 1996.
11. ზონენაშვილი ჟ. – საქართველოს მიწის რესურსები – საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი – 1998, №16.
12. კოღუაშვილი პ. შიმშილის პრობლემას გლობალური განზომილება გააჩნია, 2010.
13. Рочинский В. – Земельные рессурсы – Ч иП. 1982, # 1, стр.56
14. ჩხეიძე თ., მიწის გაყიდვა დღესდღეობით დამღუპველია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2003.
15. ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ.VII, 1956. გვ. 36, გვ. 257-258.
16. ცეცხლაძე მ., მიწის რესურსების ეფექტურად გამოყენების ზოგიერთი ასპექტი, რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ბათუმი, 2011.
17. banksanddfinance.ge/villige/ 1944 – სოფლის მეურნეობა. htmi – კრიზისმა მსოფლიოში სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაზარდა ...
18. european.ge - სოფო ბუჩუკური, ქართული სოფელი, 2011-03-03 european.ge/?page=statistics&id=61
19. posted by აპოლო ფაჩულია at 1:47 PM # commento
20. Засуха - Оценка управления и смягчение воздействие, 2006.
21. Бабанов А. Человек и пустыня -2 и П. 8. 1978
22. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1996.
23. ჩხეიძე თ. მიწის გაყიდვა დღესდღეობით დამღუპველია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2003.
24. კანდელაკი კ. საქართველოს საპატრიარქო ტყეების სტატუსი, საქ. ეკონ. მეც. აკადემია, შრომები, ტ. 10, 2012.

25. ხუსკივაძე მ. საქართველოში ხე-ტყის მრეწველობა და ავეჯის წარმოების განვითარების სტრატეგია – გუგუშვილის ეკ. ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2014.
26. www.financial.ge/.../ –საქართველო თვეში 80 ტონა კალმახს მოიხმარს 76180
27. Кожанов С. Беседа о природде ж. ЧиП 11/1977
28. www.kalmaxi.ge – საქართველოს აკვაკულტურის განვითარების ზოგადი ...
29. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – წყლის რესურსები 2010.
30. www.icode.ge/2012/04/ საქართველოს წყლის რესურსები.
31. საქართველოს წელიწდეული 2012
32. И. Никонороов. Рыба внутрреных водоемов. ж. ЧиП 11, 1987.

Tina Chkheidze

ECONOMIC PROBLEMS OF USE AND PROTECTION OF NATURAL RESOURCES IN GEORGIA

Annotation

The article analyzes economic problems of use and protection of natural resources, particularly land, water, forest resources. Is estimated current situation of the mentioned natural resources: e.g. the tendency of gradual decrease of arable land area in land fund of Georgia the main reason of which is soil erosion, desertification, degradation and the use of agricultural lands in nonagricultural aims. In addition, the use ocornsi wheat, maise for energetic purposes. The analysis of current state of the country water resources use and protection is done, that exposed a high level of its pollution, because of which water resources, become more and more useless for livelihood goals. Besides the article deals with the problems of rational use and protection of forest resources and their negative economic results. Namely, is shown that unotherized mass cutting of forest has stipulated the breach of water regulating regime, land protection, air cleaning functions resulting in the activization of erosive landslide processes.

The article discusses the system of measures to be realized for rational use and protection of country natural resources promoting the formation of prerequisits for sustainable economic development in Georgia.

The article exposes the negative tendencies creating a great danger for rational use and protection of natural resources of Georgia (land, water, forest), that will negatively be reflected on sustainable economic development of the country.

ლია დვალიშვილი

ატმოსფეროს დაცვა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი პრობლემა საქართველოში

გარემოს დაცვის პრობლემა, მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნისათვის, უპირველესია. ეს პრობლემა ქვეყნებს არ აძლევს საშუალებას, ინტეგრაციის დროს აირჩიონ მათთვის ხელსაყრელი პირობები ან შეარჩიონ შესაფერისი პარტ-ნიორები. გარემოს დაცვის საკითხში სახელმწიფოთა გლობალიზაცია ობიექტურობას წარმოადგენს.

დღესდღეობით გლობალიზაციისაგან გვერდზე გადგომა შეუძლებელია და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს, ნეგატიურთან ერთად, აქვს უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს, აფართოებს ქვეყნების პარტნიორულ ურთიერთობებს სწრაფი ტემპით ახდენს ბიზნეს-საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, აყალიბებს ისეთ ბიზნეს-გარემოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები და ა. შ.

ადამიანის და ბუნების ურთიერთობა ჩვენს პლანეტაზე ადამიანის გაჩენის დღიდან იწყება. ის გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს გარემომცველ ბუნებაზე. თავდაპირველად ადამიანი უძლური იყო და მისი გავლენაც უმნიშვნელო. დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდამ, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ადამიანს ბუნებრივი რესურსების გამოყენება გაუადვილა.

თანამედროვე ეტაპზე საყოველთაოდ აღიარებული მიზანი გახდა – კაცობრიობის და ბუნების ერთობლივი განვითარების უზრუნველყოფა – მდგრადი განვითარება.

ბოლო წლების ყველა საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის პროგრამული დოკუმენტი შეიცავს თეზისს, მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რომელიც გულისხმობს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიულ განვითარებას მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

„ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოცვაში; ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს და სრული

ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაოს და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ".*

ამჟამად მსოფლიოში ჩამოყალიბებული ტექნოგენური განვითარების ტიპი წარმოადგენს სხვადასხვა დონის, ხასიათის, მასშტაბის მქონე ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობისა და გამწვავების მიზეზს. ეკოლოგიური სიტუაცია დედამიწაზე პერმანენტულად უარესდება. ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება ნიადაგის, წყლის და ატმოსფერული ჰაერის ანთროპოგენური გაჭუჭყიანება. მატულობს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები: ატმოსფეროს ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, გაუდაბნოება, ნიადაგის, ტყის ფართობებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირება.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში აქტუალური გახდა ატმოსფეროს დაბინძურების პრობლემა მთელ მსოფლიოში.

ცნობილია, რომ ადამიანი ყოველდღიურად დაახლოებით 1 კილოგრამ საკვებს, ერთნახევარ კილოგრამ წყალს, ხოლო ჰაერს მოსვენებულ მდგომარეობაში 12 კგ-ს და ფიზიკური დატვირთვისას 10-ჯერ მეტს იღებს. ამასთან, საკვების ვარგისიანობის შემოწმება შესაძლებელია, ასევე დაბინძურებული წყლის გაწმენდაც, მაგრამ ჰაერს ადამიანი ღებულობს ისეთს, როგორიც გარემოში არის. აქედან გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის დაცვა მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისაგან.

ზოგადად, ატმოსფეროს დაბინძურება არის ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში დამბინძურებელი ნივთიერებათა არსებობის შედეგად. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას განაპირობებს როგორც ტექნოგენური, ასევე ბუნებრივი დაბინძურების წყაროების ფუნქციონირება. მაგრამ უმთავრესი დამბინძურებელი ანთროპოგენური წყაროებია: ტრანსპორტი, სამრეწველო საწარმოები, ენერგეტიკული ობიექტები და სოფლის მეურნეობა.

გარემოს დაბინძურების, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება.

გარემოს ზეგავლენას განიცდის როგორც საზოგადოება, ასევე ეკონომიკაც. სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი ატმოსფეროს გამჭუჭყიანებელი ნივთიერებები გადაიტანებიან ჰაერის მასების მიერ და ვრცელდებიან საკმაოდ დიდ მანძილებზე. ასეთი გზით წარმოიქმნება ატმოსფეროს გლობალური დაჭუჭყიანება.

ჩემი აზრით, თანამედროვე სამყაროსთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემები.

ერთ-ერთ უპირველეს გლობალურ პრობლემად, ეკონომისტები მსოფლიო ეკოლოგიურ პრობლემას მიიჩნევენ.

მსოფლიო მოსახლეობის ზრდამ, ბუნებრივი რესურსების ინტენსიურმა გამოყენებამ, გარემო პირობების დაბინძურებამ და გაღარიბებამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია კაცობრიობის ცხოვრებაში. აღნიშნულმა და სხვა მსგავსმა მოვლენებმა მეოცე საუკუნეში გაანადგურა 1/4 მსოფლიო მიწის სავარგული, 2/3 – ტყის მასივი. არასასურველი სამრეწველო ნარჩენების მოცულობამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მოიმატა 2,5-ჯერ, წყლის დაბინძურება ამავე პერიოდში გაიზარდა 10-ჯერ.

მსოფლიო გლობალური ეკოლოგიური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მხოლოდ 60-იანი წლებიდან, ბირთვული იარაღის ტესტირებიდან გლობალური კლიმატის ცვლილებამდე, თუმცა გარემოსდაცვითი პრობლემები არ გაჩენილა XX საუკუნეში.

ადამიანს არსებობისთვის სჭირდება ისეთი გარემო, სადაც იქნება სუფთა ჰაერი, წყალი, ჯანსაღი კლიმატი.

გარემოს დაცვის საკითხები 21-ე საუკუნეში უფრო და უფრო აქტუალური ხდება წამყვანი ქვეყნებისთვის და მაშასადამე მთელი მსოფლიოსთვისაც. ეს განაპირობა იმან, რომ იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების ნაკლებობა, რისმა შემცირებამაც შეიძლება წარმოუდგენელი ზიანი მიაყენოს მსოფლიო ეკონომიკას.

ადამიანი ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრეა. ადამიანის და ბუნების სხვა შვილთა სიცოცხლე და კეთილდღეობა დედამიწაზე, თავისთავად ღირებულებაა. ეს ფასეულობები მნიშვნელოვანია იმისდა მუხედავად, თუ რა სარგებლობა მოაქვს დედამიწას და მის რესურსებს კაცობრიობის მიზნებისათვის, შესაბამისად, კაცობრიობას არ აქვს უფლება გაანადგუროს დედამიწაზე არსებული რესურსების მრავალფეროვნება საკუთარი სასიცოცხლო მიზნების დაკმაყოფილებისათვის.

ადამიანი ბუნებისგან 100%-ს ითხოვს, ხოლო თვითონ 15%-საც კი არ აბრუნებს. უამრავი გამონაბოლქვის კერები, როგორიცაა ქარხნები, მანქანები და ა. შ. ზიანს აყენებს იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებში მომავლის შიშმა დაისადგურა და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე, სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ამის შედეგია ის, რომ ქვეყნები ცდილობენ მივიდნენ კონსენსუსამდე გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ

* საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37

საკითხზე, შეამცირონ გამონაბოლქვი და აღმოაჩინონ წარმოების ახალი გზები, რომელიც გარემოსთვის არ იქნება ზიანის მომტანი. ფორმდება უამრავი ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს ქვეყნებს კონკრეტული კრიტერიუმების დაცვას, რომლის შედეგადაც უნდა შემცირდეს ისეთი საწარმოების რიცხვი, რომელიც გარემოსთვის ზიანის მომტანია. მაგ.: კიოტოს პროტოკოლი, კოპენჰაგენის სამიტი, მეხიკოს სამიტი და სხვ. თუმცა ეს აქტიურობა გარემოს დაცვაში ხშირ შემთხვევაში პატიოსანი მიზნებით არ არის განპირობებული. ხშირად ქვეყნებისთვის დაცვა კი არ არის პრიორიტეტული, არამედ ამ საკითხის როგორც პოლიტიკური ბერკეტის გამოყენება.

მიუხედავად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვისა სამრეწველო, ენერგეტიკულ თუ სატრანსპორტო სექტორებში, ჰაერის დაბინძურება მთელ მსოფლიოში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. აღსანიშნავია საავტომობილო პარკის თანამედროვე ზრდის ტემპი, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ატმოსფეროს ეკოლოგიურ მდგომარეობას. ავტოტრანსპორტი ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული სათბობ-ენერგეტიკული მასალების 20%-ზე მეტს მოიხმარს. ცნობილია, რომ მსოფლიოს დიდ ქალაქებში ყველა სახის ტოქსიკური ნაერთების ჯამური რაოდენობის 40-60% საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის.

ავტოტრანსპორტი 200-ზე მეტ მავნე დამაბინძურებელს გამოყოფს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული – ნახშირბადის ოქსიდი, ნახშირწყალბადები, აზოტის ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ჭვარტლი, ბენზოფილინი და ნახშირბადის დიოქსიდია.

დადგენილია, რომ ერთი მსუბუქი ავტომობილი ყოველწლიურად შთანთქავს საშუალოდ 4 ტ ჟანგბადს, ნამუშევარ აირებთან ერთად გამოყოფს დაახლოებით 800 კგ ნახშირბადის მონოოქსიდს, 40 კგ აზოტის ოქსიდებს და თითქმის 200 კგ სხვადასხვა ნახშირწყალბადს. [9]

პრობლემა უნივერსალურია, რადგან ჰაერის ნაკადები შეიძლება მოძრაობდეს სხვადასხვა კონტინენტზე. ერთი სიტყვით, ატმოსფერო, ბიოსფერო ჰიდროსფერო და ლითოსფერო მთელი პლანეტისათვის ერთია.

საქართველოში ატმოსფერო ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით ბინძურდება. მათგან ურბანიზებული გარემოს ძირითადი დამბინძურებელია ავტოტრანსპორტი და ენერგოსექტორი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ავტოტრანსპორტის და ენერგოსექტორის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობები და შესაბამისად იზრდება ამ სექტორებიდან მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევები.

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საერთო გაფრქვევებში, დაწყებული 2006 წლიდან პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი (CO), 2013 წლის მონაცემებით იგი შეადგენდა 20,3%-ს, შემდეგ ნახშირწყალბადები, მყარი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ამიაკი. [5]

სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერი ძირითადად მესაქონლეობისა და მეფრინველეობის დარგების მიერ ბინძურდება. თუმცა, მას შემდეგ, რაც მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსები გაუქმდა და მცირე საწარმოები შეიქმნა, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება უფრო ლოკალური ხასიათისაა და სხვა სექტორების ფონზე ნაკლები ხარისხობრივი გავლენით გამოირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ სამრეწველო სექტორიდან ჰაერის დაბინძურება საგრძნობლად შემცირდა, ბოლო პერიოდში იზრდება და ფართოვდება ადგილობრივი ბიზნეს-სექტორი, რაც თავის მხრივ გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე.

მრეწველობის სექტორიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ატმოსფეროში მტვერი, აქროლადი ორგანული ნაერთები (აონ-ები), აზოტისა და გოგირდის ოქსიდები გაიფრქვევა, რომელთა რაოდენობრივი ცვლილების ხასიათი განპირობებულია საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი ცვლილებით. საქართველოში განსაკუთრებით დიდი მტვერგაფრქვევით ხასიათდება მრეწველობის ისეთი ქვედარგები, როგორიცაა: ცემენტის, გაჯის, ასფალტ-ბეტონის წარმოებები.

დღეისათვის მრეწველობის სექტორში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რამოდენიმე მსხვილი ობიექტი, კერძოდ: ქვემო ქართლში – სს „ენერჯი ინვესტი" (საწარმო „აზოტი") და შ.პ.ს. „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" – რუსთავცემენტი, იმერეთში – შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანეზი" – ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, შიდა ქართლში – შ.პ.ს. „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" – კასპიცემენტი, ხოლო აჭარაში – შ.პ.ს. „ბათუმის ოილ ტერმინალი". [9]

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2002 წლიდან მოყოლებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა გაიზარდა, დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ კვლავ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი რჩება. კერძოდ, ნახშირჟანგის გაფრქვევათა 87%; აზოტის ჟანგეულების 70%; გოგირდის დიოქსიდი – 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების – 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში. 2000 წელს საქართველოში 1000 მოსახლეზე 70 სატრანსპორტო ერთეული მოდიოდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში ავტომობილების საერთო რაოდენობა 581,7 ათ. ერთეულით ანუ 2,8-ჯერ გაიზარდა, მათ შორის მსუბუქი ავტომობილების – 483,5 ათ. ერთეულით ანუ 2,9-ჯერ. 2014 წლისათვის, 2002 წელთან

შედარებით, მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა თითქმის გასამმაგებული იყო. ბოლო მონაცემებით საქართველოში ყოველ 100 კაცზე 16 მსუბუქი ავტომობილი მოდის. [5]

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2002 წლიდან მოყოლებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა გაიზარდა, დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ კვლავ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი რჩება. კერძოდ, ნახშირჟანგის გაფრქვევათა 87%; აზოტის ჟანგეულების 70%; გოგირდის დიოქსიდი – 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების – 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მანქანების უმეტესობა 10 წელზე მეტი ხნის არის, ბევრ მანქანას ტექნიკური პრობლემები აქვს, რაც კიდევ უფრო ზრდის დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფას ჰაერში. გასათვალისწინებელია საწვავის დაბალი ხარისხი.

ეკონომიკის განვითარებას დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირორჟანგის გაზი, ოზონის ფენის გაღარიბება, სითბური ეფექტები, რომლებიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს. ამცირებს ბუნებრივი სამეურნეო რესურსების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობებს, მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე, რომელიც დროთა ვითარებაში შეიძლება გადაიზარდოს სტიქიურ კატაკლიზმებში.

მავნე ნივთიერებათა უმრავლესობა ადამიანის ორგანიზმში სასუნთქი ორგანოებიდან ხვდებიან ნაწლავების 50%-ში, აღწევს ფილტვებში და ილექება. ორგანიზმში შეღწეული ნივთიერებები იწვევენ ტოქსიკურ ეფექტს.

დადგენილია საკმაოდ კარგი სტატისტიკური კავშირი ჰაერის დაჭუჭყიანების დონესა და ისეთ დაავადებათა შორის, როგორებიც არის ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადება, გულის უკმარისობა, ბრონქიტი, ასთმა, პნევმონია, ფილტვების ეფიზემა და სხვა.

როგორც მედიკოსები აღნიშნავენ, ჭვარტლის მიკროსკოპული ნაწილაკების შემცველი ჰაერის ჩასუნთქვა, ვენების თრომბოზის რისკს ზრდის. ახალი კვლევების მიხედვით, დაბინძურებული აირი აუტიზმისა და შიზოფრენიის განვითარების წინა პირობაც ყოფილა. ბოლო დროს მომატებული სიმსივნური დაავადების მიზეზად, მედიკოსები დაბინძურებულ ატმოსფეროსაც ასახელებენ. დედაქალაქში ჰაერის დაბინძურება სისხლძარღვებისა და ქრონიკული დაავადების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზადაა მიჩნეული.

ქვეყანაში სატრანსპორტო გაფრქვევების დიდი რაოდენობის შესამცირებლად სხვადასხვა უწყების მიერ კომპლექსური მიდგომაა საჭირო, კერძოდ, ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია, იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების დასაშვები ასაკობრივი ზღვარის დაწესება და მისი თანდათანობით შემცირება, საავტომობილო საწვავის ხარისხის და ავტომობილების გამონაბოლქვის ნორმების ეტაპობრივი გამკაცრება და მათი კონტროლი, ელექტროტრანსპორტის განვითარება და ა. შ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტის რაოდენობის ზრდის პარალელურად, საზოგადოებრივი დანიშნულების გამწვავებული ტერიტორიები სულ უფრო მცირდება. შესამჩნევი ხდება ღია სივრცეებისა და მწვანე ზონების სიმწირე, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების განაშენიანებულ ტერიტორიებზე.

ზოგადად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამრეწველო ობიექტების გამწვანებასა და ტყის მეურნეობის განვითარებას – ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. ტყე პირდაპირ კავშირშია ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებასა და წყლის რესურსების დაცვასთან, რადგან ჟანგბადის შევსება ძირითადად ფოტოსინთეზის გზით ხდება. 1 ჰა ტყე 10-15-ჯერ მეტ ჟანგბადს გამოყოფს, ვიდრე ნებისმიერი ფოტოსინთეზი.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. დღეს აქცენტი კეთდება რესურსდამზოგველ და ნაკლებნარჩენებიან ტექნოლოგიებზე, ხარისხზე, ნოუ-ჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქტის შექმნაზე, ახალ სტანდარტებზე და ა. შ.

XXI საუკუნეში საზოგადოების მდგრადი განვითარება წარმოუდგენელია მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების გარეშე. თუმცა XX საუკუნეში ეკოლოგიურმა აზროვნებამ დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებიდან გარემოს დაბინძურების რეგულირება. რათა მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ჰაერში, ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საქმიანობისათვის საშიში არ ყოფილიყო.

მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

ეკოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი და ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს დედამიწის დაცვა მომხმარებლური დამოკიდებულებისაგან, რათა უზრუნველვყოთ მომავალი თაობების უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვებების რეგულარული წარმოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ჰაერის ფაქტიური მდგომარეობის შესახებ ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის მისაღებად, რომლის განზოგადება სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

ეკონომიკის სტაბილურობის პერიოდში საქართველოს 11 ქალაქში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვების 33 სტაციონარული ჯიხური ფუნქციონირებდა (მათ შორის 8 დაკვირვების პუნქტი თბილისში), სადაც დღე-ღამეში 4-ჯერ იზომებოდა ძირითადი დამბინძურებელი ნივთიერებები: მტვერი, ნახშირბადის მონოოქსიდი, აზოტის ოქსიდები, გოგირდის ანჰიდრიდი. გარდა ამისა, ქალაქებში განლაგებულ წარმოებათა კონკრეტული საწარმოო ციკლიდან გამომდინარე დამატებით იზომებოდა სპეციალურ კომპონენტთა კონცენტრაციებიც.

ბოლო 15-20 წლის მონაცემები საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ მეტად მწირია. სადამკვირვებლო სადგურების სიმცირის, დაკვირვებად ნივთიერებათა არასაკმარისი რაოდენობისა და გაზომვების სიხშირის გამო (დღე-ღამეში 3-ჯერ) ვერ ხერხდება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსის გაანგარიშება და საქართველოს ტერიტორიის დაყოფა დაბინძურების დონეების მიხედვით.

ჰაერის ხარისხის მონიტორინგს აწარმოებს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო. დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებს მხოლოდ ხუთ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონსა და რუსთავში განთავსებული 7 სადამკვირვებლო ჯიხურის საშუალებით. ამათგან 3 ახალი სადგური (2 თბილისში, 1 რუსთავში) ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს მხოლოდ 2009 წლის ბოლოს დაემატა. 2010 წლიდან თბილისში დაიწყო მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის გაზომვები.

მოცემულ ქალაქებში ჰაერის ხარისხი დასაშვებ დონეზე დაბალია. სადამკვირვებლო სადგურების სიმცირე არ იძლევა საშუალებას ჰაერის ხარისხი სრულყოფილად შეფასდეს თუნდაც ამ ხუთი ქალაქის მთელ ტერიტორიაზე, ამიტომ ქვეყანაში ჰაერის ხარისხის შესახებ რეალური სურათის შესაქმნელად აუცილებელია დაკვირვების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია, რათა საკმარისი სიზუსტით დადგინდეს, თუ მოსახლეობის რა ნაწილი იმყოფება დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ.

საერთაშორისო პროექტების შედეგად ბოლო წლებში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიიღო თანამედროვე ლაბორატორიული ტექნიკა (სპექტროფოტომეტრები, ქრომატოგრაფები და სხვა), რის შედეგადაც მათი მონაცემების საიმედოობა გაიზარდა. სადამკვირვებლო ჯიხურები და ნიმუშების აღების მეთოდოლოგია საჭიროებს განახლებასა და გაუმჯობესებას.

ჰაერის მონიტორინგის მონაცემები თვეში ერთხელ ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პირობებში მოსალოდნელია სამრეწველო სექტორის განვითარება და, შესაბამისად, ემისიების მატება, რაც საწარმოო ობიექტების გარემოსდაცვითი რისკების საფუძვლიანი შეფასების გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების სათანადო კონტროლის უზრუნველყოფას მოითხოვს. აუცილებელია დაინერგოს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ახალი და სუფთა ტექნოლოგიები, რომლებიც ყველაზე უფრო ეფექტიანი იქნება გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების თვალსაზრისით. „XXI საუკუნის დღის წესრიგი" მოიცავს რა ბუნების დაცვის და სოციალურ ამოცანათა ყველაზე ფართო დიაპაზონს, მოუწოდებს ყოველ ეროვნულ მთავრობას გამოიმუშავონ საკუთარი მდგრადი განვითარების სტრატეგია. ჩვენი პრობლემის შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობების უფლება, ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება თავისთავად აუცილებლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული მისი მიღების წინ.

ყოველი ეკონომიკური პროექტი წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული, მისი ეკონომიკური სარგებლობისა და ბუნებაზე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადი განვითარების არსის და პრინციპების დაცვის ფარგლებში.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მთავარ პასუხისმგებელ უწყებას ქვეყანაში გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს, რომელიც ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს. ასევე სამინისტროს ფუნქციაა ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა და ჰაერის მონიტორინგი. ამ უკანასკნელს ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი გარემოს ეროვნული სააგენტო.

საქართველოში გარეომსდაცვითი სამართლებრივი ბაზა დიდი რაოდენობის ნორმატიულ დოკუმენტებს მოიცავს. ესენია, როგორც საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ასევე საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტები.

საქართველო დაახლოებით 50 მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმების მხარეა და თითოეული შეთანხმება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ქვეყანას. საქართველომ დააფიქსირა საერთაშორისო თანასაზოგადოების წინაშე საკუთარი პოლიტიკური ნება წვლილი შეიტანოს გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტებია:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია UNFCCC (რიო-დე-ჟანეიროს, 1992 წ.) და კიოტოს ოქმი (კიოტო, 1997 წ.);

2. „ოზონის შრის დაცვის შესახებ" 1985 წლის ვენის კონვენცია და „ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ" 1987 წლის მონრეალის ოქმი;

3. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსასაზღვრო დაბინძურების შესახებ" (ჟენევა, 1979 წ.);

4. გაეროს კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ" (სტოკჰოლმი, 2001 წ.);

5. გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია (ორჰუსის კონვენცია, ორჰუსი, დანია, 1998 წ.).

„გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი ე. წ. „ჩარჩო კანონი" (მიღებულია 06.12.1996) არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი (ძალაშია 01.01.2008 წ-დან) განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერიტზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების საკითხებს.

„ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის (ძალაშია 01.01.2008 წ-დან) მიხედვით ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოს ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი (მიღებულია 1999 წ.) წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის სფეროში და მიზნად ისახავს უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსთვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, გაუმჯობესება და შენარჩუნება. კანონი განსაზღვრავს იმ მარეგულირებელ და მართვის მექანიზმებს, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით ქვეყანაში და მოიცავს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ნორმებს, სტაციონარული, მოძრავი და დისპერსიული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო რეგულირებას, ჰაერის ხარისხის მონიტორინგს და ა. შ.

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის არსებული სისტემის პრობლემას დღესდღეობით მონაცემთა შეგროვების მკვეთრი დაცემა წარმოადგენს, რაც ფინანსური რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობით აიხსნება. არსებული ქსელი არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს დაკვირვების პუნქტების რაოდენობისა და განლაგების, მონაცემთა აღების, შენახვის, დამუშავებისა და ანგარიშგების მეთოდების თვალსაზრისით.

საქართველოში ატმოსფერული პურის ხარისხის და მასთან დაკავშირებული ანთროპოგენური დაბინძურების პროცესების ეფექტურად მართვის გასაძლიერებლად აუცილებელია ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის რეაბილიტაცია, თანდათანობით ავტომატიზაცია და მოდერნიზაცია. გარემოს მონიტორინგის თანამედროვე ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება, გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღების, რესურსების ყოველდღიური მართვის და მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

საქართველო ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას. ეკონომიკური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია, თუმცა, ამავდროულად, ეს პროცესი ზეწოლას ახდენს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობები უკეთესი ტექნოლოგიური და მენეჯერული უზრუნველყოფით უნდა განვითარდეს, რაც მნიშვნელოვნად შეაკავებს გარემოზე დატვირთვის ზრდას.

საქართველოს დამოუკიდებლად ვერ ძალუძს პრობლემებთან გამკლავება. ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანას არ გააჩნია გადამამუშავებელი ქარხნები, ანუ სპეციალური ტექნიკა, რომლის საშუალებითაც გადამუშავებული იქნება ნაგავი.

გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით საქართველოში ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პრობლემაა. პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხს.

ამჟამად საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული შეგროვება ძირითადად, მხოლოდ მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხორციელდება. სოფლებში მოსახლეობა, როგორც წესი, ნარჩენებს უახლოეს ხევში, გზისპირას ან მდინარის ნაპირებზე ყრი. ეს ტერიტორიები არ სუფთავდება და შესაბამისად, მცირე ზომის უკონტროლო ნაგავსაყრელები წარმოიქმნება. ნაგავსაყრელების ნაწილი მდინარის ნაპირზე ან წყალგამტარ ხევებშია განთესილი, რაც ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების საშიშროებას ქმნის. ნაგავსაყრელებზე სპონტანურად

მიმდინარეობს ნარჩენების დაბალტემპერატურული ღია წვა, რაც იწვევს ჰაერში მავნე დამბინძურებლების, დიოქსინების და ფურანების გაფრქვევას.

გარემო ასევე ბინძურდება სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავებელი წარმოებების აკუმულირებული ნარჩენებისა და შლამებისაგან, ასევე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებისაგან, განსაკუთრებით პესტიციდებისაგან, რომელთა სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებისაგან, განსაკუთრებით პესტიციდებისაგან, რომელთა ნარჩენები დიდი რაოდენობითაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილი. აუცილებელია აღნიშნული ნარჩენების გაუვნებელყოფის საკითხის გადაწყვეტაც.

საქართველოში დღემდე არ არსებობს ნარჩენების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია. კანონმდებლობა ძალზე სუსტი და ფრაგმენტულია. ამჟამად საქართველოში ექსპლუატაციაში 63 აღრიცხული ნაგავსაყრელი და დაუდგენელი რაოდენობის სპონტანურად წარმოქმნილი სანაგვე ადგილები.

ნარჩენების მართვის სფეროს გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, რესურს-ეფექტურობას და ნარჩენების წარმომქნის თავიდან აცილებას და შემცირებას, მეორეს მხრივ, ნარჩენების გაცალკევებულად შეგროვებას, ხელმეორედ გამოყენებას და რეციკლირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბეს გარემოზე სერიოზული ზეგავლენა აქვს, სიმდიდრეს კი უარესი. სიმდიდრე იძლევა იმის საშუალებას, ადამიანები უფრო მეტად დაინტერესდნენ გარემოს ხასიათით, გამომდინარე იქიდან, რომ მდიდრები იყენებენ დიდი რაოდენობით რესურსებს და წარმოქმნიან ასევე დიდი რაოდენობით ნარჩენს. სიმდიდრე იძლევა ახალი ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობებს გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის, გარემოს დეგრადაციისა და რესურსების უარყოფითად გამოყენების შესამცირებლად.

აშშ-ში და ბევრ მდიდარ ქვეყანაში ჰაერი, წყალი, მდინარეებისა და ტბების უმრავლესობა უფრო სუფთაა, ვიდრე 1970-იან წლებში იყო.

სიმდიდრე იძლევა შესაძლებლობას, დაფინანსდეს გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რომლებიც გამყარებულია მეცნიერული კვლევებითა და ტექნოლოგიური მიღწევებით.

დღეისათვის, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში მიმდინარე ცვლილებების პირობებში აუცილებელია ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად კარგი იქნებოდა ადამიანთა შეგნების ამაღლებაც, რათა არ დააბინძურონ გარემო სხვადასხვა სახის ნაგვით. ეს გარემო ხომ ჩვენი არსებობის – სიცოცხლის გარანტია. ამ ნაგავს ბუნება დიდი ხნის მანძილზე ვერ ამუშავებს.

ბუნება განიხილება როგორც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა საჭიროებების და სურვილების დაკმაყოფილების საშუალება. ადამიანმა უნდა მიმართოს თავისი გამომგონებლობა და ტექნოლოგიები დედამიწის სასიცოცხლო სისტემების უსასრულოდ სამართავად ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

ადამიანებს შეუძლიათ და უნდა მართონ კიდეც დედამიწა კაცობრიობის სასარგებლოდ, მაგრამ ამასთანავე უნდა იყვნენ პასუხისმგებლიანი ხელმძღვანელები, ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სასარგებლო ფორმებს და უარი თქვან გარემოსათვის საზიანო ფორმებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება, თბ., 2015
2. დვალიშვილი ლ. ატმოსფეროს დაბინძურების შემცირების პრობლემები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. VII, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014
3. დვალიშვილი ლ. მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფციალური საფუძვლები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. IV, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2011
4. დვალიშვილი ლ. ატმოსფეროს დაცვის საკითხები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული., თბ., 2015
5. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2014
6. ყაჯრიშვილი თ. რა საფრთხის წინაშე დგას დედაქალაქი და რატომ გახშირდა სიმსივნური დაავადებები. უ. გზა, №40, 2014
7. moe.gov.ge
8. garemos dabinzureba
9. sangu.ge
10. ka. wikipedia.org
11. www.geostat. ge

12. greenalt.org
13. Intermedia.ge
14. ekologia.blogpost.com
15. www. timer.ge

Lia Dvalishvili

PROTECTION OF ATMOSPHERE – ONE OF THE PROBLEMS OF ENVIRONMENTAL PROTECTION IN GEORGIA

Annotation

Ecological problems are the most dangerous for modern world.

Humanity needs an environment with pure air, water and healthy climate for the existence.

The world pays great attention to the protection of air from the pollution resulted in anthropogenic activity.

We consider that one of the main points of ecological policy must be the protection of the earth from consumer attitude in order to maintain safe environment for future generations.

At present under the conditions of ongoing changes in economic and legal spheres new approaches in environmental protection policy and legislation must be on agenda. In ecological sphere the state policy must define long-term aims and directions, goals and principles according to long-term requirements of environmental protection and nature use.

პრობლემა 11.

ევროინტეგრაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიული პრობლემები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები

ალფრედ კურატაშვილი

ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემები

ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია თანამედროვე პირობებში, როდესაც მრავალი სახელმწიფო მიისწრაფვის ევროპის კავშირში ინტეგრაციისაკენ, რაც გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ სახელმწიფოები და ხალხები ეძებენ უკეთესი მომავლის გზებს.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ევროკავშირი უდავოდ წარმოადგენს ევროპულ სახელმწიფოთა მნიშვნელოვან გაერთიანებას, *რომელიც ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში არსებული ხალხის ცხოვრების მაღალი დონის და სხვა უპირატესობების შედეგად ამ კავშირში იზიდავს მრავალ სახელმწიფოს,* უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირთან დაკავშირებით, *ისევე, როგორც საერთოდ მსოფლიო მასშტაბით,* მრავალი თეორიული და პრაქტიკული პრობლემა არსებობს.

აღნიშნული პრობლემების არსებობა გასაკვირიც არ არის, თუ გავითვალისწინებთ არსებულ დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობას თანამედროვე მსოფლიოში, ტერორიზმის გაძლიერებას და მძვინვარებას, ფაქტობრივად ყველა სახელმწიფოში ტერორისტული აქტების მოხდენის პოტენციურ შესაძლებლობას და ტერაქტების მოლოდინს, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში ევროპაში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უთანაბრო ეკონომიკურ განვითარებას და ა. შ.

ზემოაღნიშნული პრობლემები საფუძვლიანი და მრავალმხრივი მეცნიერული ანალიზისა და ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს.

რაც შეეხება უშუალოდ ჩემს საკვლევ თემას – ევროინტეგრაციის თეორიულ პრობლემებს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ მიუხედავად ევროპის კავშირში ინტეგრაციის უდავოდ დიდი და პრინციპული მნიშვნელობისა, სახელმწიფოებმა პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისას ერთმანეთში არ უნდა აურიონ მიზანი და საშუალება, რასაც არცთუ იშვიათად აქვს ადგილი, ანუ საშუალება (და საერთოდ, საშუალებები) მიზნად არ უნდა გამოაცხადონ და თვითმიზნად არ უნდა აქციონ.

უდავოდ საყურადღებოა, რომ ევროპის ქვეყნებში ნაკლებად მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც წინააღმდეგი იქნებიან ევროკავშირში ინტეგრაციისა, მაგრამ პრინციპულად მნიშვნელოვანია ევროპის კავშირში ინტეგრაციის მსურველთა და მხარდამჭერთა მიერ იმის კარგად გაცნობიერება, რომ სიღრმისეულ თეორიულ, პოლიტიკურ და პრაქტიკულ შეცდომას წარმოადგენს, როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელმძღვანელები და/ან სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ევროინტეგრაციას საზოგადოებისა და სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნად აცხადებენ.

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის სტრატეგიულ მიზნად გამოცხადება სერიოზულ შეცდომას წარმოადგენს, რადგან ევროკავშირში ინტეგრაცია მიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ის უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ადამიანის – ხალხის – ინტერესების რეალიზაციის აუცილებელი საშუალება.

ხომ ცხადზე ცხადია, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს გაერთიანება ნებისმიერ სახელმწიფოთა კავშირში უდავოდ იწვევს სახელმწიფო სუვერენიტეტის – სახელმწიფოს დამოუკიდებლობის – გარკვეულ შეზღუდვას, რის გამოც სახელმწიფოთა კავშირში, *მათ შორის ევროპის კავშირში,* ინტეგრაცია უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ობიექტური აუცილებლობა – მხოლოდ როგორც აუცილებელი საშუალება, მხოლოდ როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციის ეფექტიანი სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის პირობების შექმნის შესაძლებლობა.

მაშასადამე, როდესაც მსჯელობაა სახელმწიფოს პოლიტიკურ ორიენტაციაზე, პრინციპულად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია იყოს არა დასავლური, არა აღმოსავლური, არა ჩრდილოური ან სამხრეთული, არამედ ადამიანის – ხალხის – ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოლიტიკურ ორიენტაცია უნდა იყოს გამიზნული სწორედ ადამიანის – ხალხის – ინტერესების რეალიზაციაზე.

ამრიგად, სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია მიმართული უნდა იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჰუმანოსოციალური მიზნის რეალიზაციაზე, ანუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის პოლიტიკური ორიენტაცია უნდა იყოს – ორიენტაცია ადამიანზე (ყოველ ადამიანზე – ხალხზე), ადამიანის უფლებების დაცვაზე და მისი ინტერესების რეალიზაციაზე, რადგან, *როგორც მე ჯერ კიდევ 1980 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში ვწერდი,*

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირების საქმეში ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი ემსახურებიან სოციალურ (ჰუმანოსოციალურ) მიზანს – თუ ისინი ემსახურებიან ხალხის (ყოველი ადამიანის) ინტერესებს, და თუ ისინი ამავე დროს გამორიცხავენ ანტისოციალურ, ანტიჰუმანურ, ანტიზნეობრივ მოვლენებს [1, გვ. 93].

ამრიგად, ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ (ჯერ კიდევ 1980 წლამდე, ხოლო უფრო ზუსტად – ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში) ჩემ მიერ შექმნილი და შემოთავაზებული იქნა მომავალი – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირების ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური და პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლები, ანუ შეიქმნა იმ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები, რომელიც ხალხის ინტერესებს – სოციალური მიზნის რეალიზაციას – ემსახურება.

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სახელმწიფო – *ნებისმიერი ზნეობრივი სახელმწიფო,* რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ ცივილიზებულად ითვლებოდეს, ან რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ ცივილიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, უნდა ხელმძღვანელობდეს სწორედ ჩემ მიერ კონსტრუირებული ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომით, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებად იქნება გამოყენებული და ხალხის ინტერესები მხოლოდ ცარიელ – *ხალხისავე მოსატყუებელ* – ცრუ ლოზუნგად დარჩება, რასაც ჭეშმარიტ ცივილიზებულობასთან არაფერი საერთო არ ექნება.

პრინციპულად მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ ჩემ მიერ შემუშავებული და ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგიური მიდგომა სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში ევროპის კავშირში ინტეგრაციასთან.

უფრო მეტიც, პირიქით, რადგან ამ შემთხვევაში მსჯელობაა მხოლოდ სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებაზე, კერძოდ კი მსჯელობაა იმაზე, რომ ევროპის კავშირში ინტეგრაცია უნდა განიხილებოდეს არა როგორც მიზანი, არამედ – როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ხალხის – ყოველი ადამიანის – ინტერესებს, ანუ რომელიც უნდა ემსახურებოდეს სოციალური – ჰუმანოსოციალური – მიზნის რეალიზაციას, და რომელიც ამავე დროს უნდა გამორიცხავდეს ანტისოციალურ, ანტიჰუმანურ, ანტიზნეობრივ მოვლენებს.

რაც შეეხება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნისა და საშუალებების ერთმანეთში არევას, *უფრო ზუსტად კი,* რაც შეეხება საშუალებათა ფილოსოფიაზე დამყარებულ მცდარ მეთოდოლოგიურ მიდგომას, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

თუ გავითვალისწინებთ, რომ "ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური აზრის განვითარების მთელი ისტორია, ისევე როგორც საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემებზე მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და ა. შ. თანამედროვე შეხედულებები და მიდგომები, *ჩემი ღრმა რწმენით,* ემყარებოდა და ემყარება, *როგორც მე მას ვუწოდებ,* საშუალებათა ფილოსოფიას" [2, გვ. 113], სულაც არ არის გასაკვირი, როდესაც საშუალებებს მიზნად და თვითმიზნად აცხადებენ (?!).

"ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიმაჩნია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ, – *როგორც მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ ვწერდი,* – საშუალებათა ფილოსოფიაში მე ვგულისხმობ მეცნიერულად ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ იმ ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემას, რომელიც ჩემ მიერვე შექმნილი მიზნის ფილოსოფიისაგან და სოციალური მიზნის ფილოსოფიისაგან განსხვავებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების არსის კრიტერიუმად მიიჩნევს არა მიზანს, არა სოციალურ მიზანს და მის რეალიზაციას, არამედ საშუალებებს" [2, გვ. 114].

"საშუალებათა ფილოსოფიის პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს ფაქტები, როდესაც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ საშუალებებით, კერძოდ, ტექნიკით, სახელმწიფოს ინდუსტრიული განვითარების დონით და ა. შ.

საშუალებათა ფილოსოფიის გამოვლინების მაგალითებს წარმოადგენს აგრეთვე საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავება საკუთრების ფორმებით, მართვის მეთოდებით და ა. შ.

ხოლო ჩემ მიერ შექმნილი მიზნის ფილოსოფიის პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების ერთმანეთისაგან განსხვავება არა საშუალებების, არამედ მიზნის საფუძველზე.

კერძოდ, მიზნის ფილოსოფიის გამოვლინებას წარმოადგენს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავება იმ მიზნის საფუძველზე, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა ემსახურება: ემსახურება ის სოციალურ მიზანს – ხალხის ინტერესების რეალიზაციას, თუ ემსახურება ეკონომიკურ მიზანს – ფულს, მოგებას, კაპიტალს?!" [2, გვ. 116-117].

ამრიგად, სოციალური მიზნის ფილოსოფია წარმოადგენს ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემას, რომელიც, ისევე როგორც მიზნის ფილოსოფია, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური) წყობილების არსის კრიტერიუმად მიიჩნევს არა საშუალებებს,

არამედ – მიზანს, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა ემსახურება [2, გვ. 118].

ამასთანავე, სოციალური მიზნის ფილოსოფია განსხვავდება მიზნის ფილოსოფიისაგან იმით, რომ, თუ მიზნის ფილოსოფია წარმოადგენს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავების კრიტერიუმს და მათი კლასიფიკაციის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, და თუ მიზნის ფილოსოფიას საერთოდ ფაქტობრივად მიეკუთვნება როგორც სოციალური მიზნის ფილოსოფია, ისე ეკონომიკური მიზნის ფილოსოფია, რომელიც საშუალებათა ფილოსოფიის პრაქ-ტიკული გამოვლინების გარკვეულ სახესხვაობას წარმოადგენს, სოციალური მიზნის ფილოსოფია ამავე დროს არის პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნის ფილოსოფიას წარმოადგენს – ჭეშმარიტად ადამიანური მიზნის ფილოსოფიას წარმოადგენს, და რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველია [2, გვ. 118-119].

მაშასადამე, "სოციალური მიზნის ფილოსოფია – ეს არის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების მიზნობრივი მიმართულების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს" [2, გვ. 119], ანუ "სოციალური მიზნის ფილოსოფია – ეს არის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნის ფილოსოფია" [2, გვ. 120].

ამასთან, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების სოციალური მიზნობრივი მიმართულება კონცენტრირებულად გამოხატულია ფორმულით, *რომელიც მრავალი წლის წინ იქნა შექმნილი ჩემ მიერ და გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1980 წელს.*

ეს ფორმულაა: „ა – მ – ა[1], სადაც ამოსავალი არის ა – ადამიანი, მისი ობიექტურად განპი-რობებული სოციალური მიზნით, საიდან გამომდინარეც და რომლის შემდეგაც იწყება: მ – მოღ-ვაწეობა, და როგორც შედეგი ისევ ა[1] – ადამიანი, მაგრამ უკვე ადამიანის მიზნის რეალიზაცია და ახალი მოთხოვნილებებისა და მიზნის დაბადება (სწორედ ამიტომ – ა[1]), რომელსაც შემდეგ მოჰყვება კვლავ მოღვაწეობა და როგორც შედეგი ა[2] და ა. შ. ... ა[...n]" [3, გვ. 39; და სხვა].

ამრიგად, ევროინტეგრაციის მიზანი უნდა იყოს საზოგადოებაში და სახელმწიფოში სწორედ სოციალური – ჰუმანოსოციალური – მოზნის რეალიზაცია, ხოლო თვითონ ევროპის კავშირში ინტეგრაცია უნდა განიხილებოდეს როგორც ამ მიზნის რეალიზაციის აუცილებელი საშუალება.

ევროინტეგრაციისა და ევროკავშირის ფუნქციონირების თეორიულ პრობლემებთან დაკავ-შირებით განსაკუთრებით შევეხები ისეთ ევროპულ ფასეულობებს, როგორებიც არის: ეგრეთ წოდებული "დემოკრატია", "კანონის უზენაესობა" და "საბაზრო ეკონომიკა" [4].

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ "დემოკრატიას" – რაც შეეხება ყველაფერ იმას, რასაც "დემოკრატიას" უწოდებენ, *უფრო სწორად კი* – რასაც სრულიად უსაფუძვლოდ "დემოკრატიას" მიაწერენ, ეს სრული უაზრობაა, რადგან "დემოკრატია" ნიშნავს მხოლოდ ერთადერთ რამეს – ნიშნავს იმას, რომ თითქოსდა სახელმწიფოში ხალხი (ყველა ადამიანი) არის ხელისუფალი – თითქოსდა, *არისტოტელეს სიტყვებით თუ ვიტყვით,* სახელმწიფოში მთელი ხალხი (ყველა ადამიანი) ფლობს უზენაეს ხელისუფლებას [5, გვ. 856-857], რაც აშკარად განუხორციელებადია, *და რაც წარმოადგენს ყველაზე დიდ უაზრობას მსოფლიო ისტორიაში, და აგრეთვე თანამედროვე მეცნიერებაში და პოლიტიკაში* (?!).

კერძოდ, მაგალითად, რაც შეეხება ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების არჩევას – არჩევნების ჩატარებას, რასაც შეცდომით თითქოსდა "დემოკრატიის" დამადასტურებელ პროცესად მიიჩნევენ, სინამდვილეში ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სწორედ იმას, რომ ხალხი არ არის ხელისუფალი – ადასტურებს სწორედ იმას, რომ არ არსებობს ეგრეთ წოდებული "დემოკრატია", *რადგან სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ხელისუფლების ფლობა (თუნდაც ხალხის მიერ არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ხელისუფლების ფლობა) არ არის მთელი ხალხის მიერ უზენაესი ხელისუფლების ფლობა.*

მაშასადამე, სახელმწიფო ხელისუფლების არჩევნების არსებობა (არჩევნების ჩატარება) ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ არ არსებობს ეგრეთ წოდებული "დემოკრატია", ანუ ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ ეს არის არა ეგრეთ წოდებული "დემოკრატია", არამედ ადასტურებს, რომ, *როგორც მე მას ვუწოდებ,* ეს არის *კრატოკრატია* – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ხელი-სუფლების ფლობა, *რადგან ხალხი რომ იყოს ხელისუფალი, საჭირო აღარ იქნებოდა სახელმწიფო ხელისუფლების არჩევა.*

რაც შეეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, *რაც უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს,* ეს არის არა "დემოკრატია" – ეს არის არა მთელი ხალხის მიერ უზენაესი ხელისუფლების ფლობა, არამედ ეს აგრეთვე ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ ხალხი არ არის ხელისუფალი, და რომ სწორედ ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლება უზრუნველყოფს (უნდა უზრუნველყოფდეს – ვალდებულია უზრუნველყოფდეს) ადამიანის უფლებებისა და თავისუფ-ლებების დაცვას, ანუ ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო ამ შემთხვევაში *(ანუ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ის უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერე-*

სების დაცვას) არის არა ეგრეთ წოდებული "დემოკრატიული" სახელმწიფო, არამედ არის ჰუმანოსოციალური – ჭეშმარიტად ადამიანური – სახელმწიფო.

სახელმწიფოში სიტყვის თავისუფლება კი, *რაც აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია,* მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ეს საზოგადოება და სახელმწიფო არის პლურალისტული და არა ვითომდა "დემოკრატიული", რადგან სიტყვის თავისუფლება – *აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება* – სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ადგილი აქვს მთელი ხალხის მიერ უზენაესი ხელისუფლების ფლობას, *ანუ არ ნიშნავს იმას,* რომ თითქოს ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ "დემოკრატიას".

აქ აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ხელისუფლებისთვის ხალხის აზრს საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. *და ეს ხდება მაშინ, როდესაც* სახელმწიფო ხელისუფლება ხელმძღვანელობს პრინციპით: "ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის" (?!).

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება ითვალისწინებს ხალხის აზრს, სახელმწიფოს მაინც მართავს სახელმწიფო ხელისუფლება, და არა ხალხი, ანუ მაინც ადგილი აქვს – კრატოკრატიას, და არა ეგრეთ წოდებულ "დემოკრატიას".

ამრიგად, ეგრეთ წოდებული "დემოკრატია" არის განუხორციელებადი იდეოლოგიური ზღაპარი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ხალხის ტვინის გასაბრუებლად (?!).

"დემოკრატია" რომ არსებობდეს – დემოკრატიის არსებობა საერთოდ შესაძლებელი რომ იყოს, *ანუ ხალხის მიერ ხელისუფლების ფლობა აშკარა უტოპიას რომ არ წარმოადგენდეს,* მაშინ სახელმწიფო ხელისუფლება საერთოდ საჭირო აღარ იქნებოდა.

მაგრამ ეგრეთ წოდებული "დემოკრატია" – *ხალხის მიერ (ყველა ადამიანის მიერ) უზენაესი ხელისუფლების ფლობა* – აშკარად განუხორციელებადია, რადგან როგორც მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ აღვნიშნავდი:

იქ, სადაც არის სახელმწიფო – შეუძლებელია იყოს დემოკრატია, ხოლო იქ, სადაც არ არის სახელმწიფო – მით უმეტეს შეუძლებელია იყოს დემოკრატია.

მაშასადამე, სწორედ "დემოკრატიის" არარსებობა და განუხორციელებადობა ადასტურებს და განაპირობებს სახელმწიფო ხელისუფლების არსებობის აუცილებლობას და მის არსებობას.

ამასთანავე, სწორედ "დემოკრატიის" არარსებობა და განუხორციელებადობა ადასტურებს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ფლობას, ანუ ადასტურებს კრატოკრატიის არსებობას.

ამიტომ, ეგრეთ წოდებული "დემოკრატიის" შესახებ იდეოლოგიური ზღაპრით ხალხის გაბრუების ნაცვლად, მსოფლიოს სახელმწიფოთა ხელისუფლებებმა უნდა გააცნობიერონ "დემოკრატიის" სრული უსაფუძვლობა, უაზრობა და განუხორციელებადობა, და სახელმწიფოები უნდა წავიდნენ ადამიანის ინტერესების უზენაესობის გზით, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს კანონმდებლობა და სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა, *რის გამოც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ხელისუფლების მოღვაწეობას და მის პასუხისმგებლობას სახელმწიფოს მართვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.*

ამრიგად, მე წინააღმდეგი ვარ არა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა, წინააღმდეგი ვარ არა სიტყვის თავისუფლებისა და ასე შემდეგ, არამედ – პირიქით, *რადგან მთელი ჩემი ცხოვრება ვიბრძვი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის, ვიბრძვი სიტყვის თავისუფლებისათვის, ვიბრძვი სამართლიანობისათვის,* მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ სრულიად უაზრო და უტოპიური ტერმინისა – „დემოკრატია", *რადგან ეგრეთ წოდებული "დემოკრატია" – აშკარად განუხორციელებადია.*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება შეკითხვა:

ნუთუ ვერასოდეს ვერ გააცნობიერებენ ეგრეთ წოდებული "დემოკრატიის" "მღაღადებლები", რომ "დემოკრატია" – სრულიად უსაფუძვლო, არარსებული და განუხორციელებადი მითია?!

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

გარდა ამისა, ყურადღებას იმსახურებს ტერმინი "კანონის უზენაესობა", მაშინ როდესაც საზოგადოებაში და სახელმწიფოში, *ჩემ მიერ შექმნილი* ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის [6] შესაბამისად, უნდა იყოს არა კანონის ბატონობა, არა კანონის უზენაესობა (*მიუხედავად იმისა, რომ კანონის უზენაესობა აღიარებულია მთელ მსოფლიოში),* არამედ უნდა იყოს ხალხის ინტერესების უზენაესობა, *ანუ უზენაესობა უნდა ეკუთვნოდეს ადამიანის ინტერესებს – ხალხის ინტერესებს,* ხოლო კანონები უნდა განიხილებოდეს როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელი საშუალებები, *რომლებსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ იურიდიული ძალა, თუ ისინი ემსახურებიან ხალხის ინტერესებს.*

მაშასადამე, საზოგადოებაში და სახელმწიფოში უზენაესობა უნდა ეკუთვნოდეს არა კანონებს, არამედ ადამიანის – ხალხის – ინტერესებს, რადგან "კანონები იქმნება და ფუნქციონირებს ადამიანისათვის (ხალხისათვის), და არა ადამიანი იბადება და ცხოვრობს კანონებისათვის" [6, გვ. 161].

რაც შეეხება "საბაზრო ეკონომიკას", განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არასაბაზრო ეკონომიკა საერთოდ არ არსებობს – არ არსებობს ეკონომიკა წარმოებისა და გაცვლის გარეშე,

რის გამოც, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, სრულიად აშკარაა, რომ ტერმინი ”საბაზრო ეკონომიკა” – უაზრობაა (?!).

თუმცა, ტერმინში ”საბაზრო ეკონომიკა” ფაქტობრივად იგულისხმება არა ჩვეულებრივ ეკონომიკა, რომელიც ხალხისათვის უნდა ფუნქციონირებდეს, არამედ იგულისხმება ბაზრის ბატონობა ეკონომიკაში და საზოგადოებაში, იგულისხმება ბაზრის, ფულის, კაპიტალის ბატონობა ადამიანზე – ხალხზე, მაშინ როდესაც უნდა იყოს პირიქით.

ამრიგად, ევროპულ ფასეულობებს უნდა მიეკუთვნებოდეს არა ”საბაზრო ეკონომიკა”, არამედ ადამიანის – ხალხის – სამსახურში ფუნქციონირებადი ეკონომიკა, რომელშიც თავისთავად იგულისხმება საბაზრო ურთიერთობები, და რასაც რეალურად აქვს ადგილი.

დასკვნისას განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული – ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემები, ფაქტობრივად წარმოადგენს არა მარტო ევროინტეგრაციის და ევროკავშირის თეორიულ პრობლემებს, არამედ ეს პრობლემები წარმოადგენს აგრეთვე საკაცობრიო მნიშვნელობის ზოგადთეორიულ პრობლემებს, რომლებიც, ჩემი ღრმა რწმენით, გასათვალისწინებელია ასევე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Кураташвили Альфред А. Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: "Актуальные проблемы теории" (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: "Мецниереба", 1980.

2. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებასა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2003.

3. Кураташвили Альфред А. Социально-экономический закон движения и проблемы исходного и основного воспроизводственных отношений. Материалы Республиканской научной конференции: "Актуальные проблемы теории" (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: "Мецниереба", 1980.

4. Европейские ценности.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%95%D0%B2%D1%80%D0%BE%D0%BF%D0%B5%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B5_%D1%86%D0%B5%D0%BD%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8

5. Раймон Арон. "Демократия и тоталитаризм". Мухаев Р.Т. Хрестоматия по теории государства и права, политологии, истории политических и правовых учений. – М.: "Издательство ПРИОР", 2000.

6. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

Alfred Kuratashvili

THEORETICAL PROBLEMS OF EUROPEAN INTEGRATION

Annotation

In scientific work are examined theoretical problems of Eurointegration.

Particular attention is given to the goal and means of the state, the so-called "democracy", "supermacy of law" and "market economy".

რევაზ ჯავახიშვილი

ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება და ღრმავდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, რაც ახალ დიდ შესაძლებლობებს ქმნის ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის. მსოფლიო მასშტაბით ახალ-ახალი სავაჭრო ბლოკების შექმნა და მათი გავლენის გაძლიერება მიუთითებს ქვეყნების სწრაფვაზე მათ შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავების შესახებ, რომლის მიზანია სამამულო კომპანიებისათვის ახალ-ახალი ბაზრების შექმნა და ბიზნესსაქმიანობის არეალის გაფართოება, ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური ინტეგრაციის როლი ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებასა და მათი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. გლობალიზაციის ეპოქაში ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია ეკონომიკის გლობალიზაციისა და მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების

ფონზე ხორციელდება. იგი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდაახლოების პროცესია, რომელიც მათ შორის მსგავსი ბიზნესგარემოს შექმნას, ცხოვრების დონისა და ხარისხის გამოთანაბრებას გულისხმობს. ისევე, როგორც ეკონომიკური გლობალიზაცია, ეკონომიკური ინტეგრაციაც საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების დონითაა განსაზღვრული. განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია შედარებით სუსტად, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის ის უფრო ძლიერად ვლინდება.

ინტეგრაციული გაერთიანების შექმნა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მიზეზებითაა განპირობებული. ინტეგრაცია განსაკუთრებით ხელსაყრელია პატარა ქვეყნებისათვის, რომელთაც უფრო მეტი საშუალება ეძლევათ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისათვის. მეორე მხრივ, იგი საშუალებას იძლევა ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. სწორედ ამითაა განპირობებული თანამედროვე მსოფლიოში მათი ქსელის სწრაფი გაფართოება. ამჟამად მსოფლიოში 367-ზე მეტი საინტეგრაციო დაჯგუფება და 70 საინტეგრაციო ბლოკია. საინტეგრაციო შეთანხმებები ფართოდ გავრცელდა დედამიწის ყველა კუთხეში, რომელთა რიცხვმა დაახლოებით 400-ს მიაღწია [8, 132-133].

სადღეისოდ ეკონომიკურ ინტეგრაციულ გაერთიანებათა შორის ყველაზე მძლავრი და სიცოცხლისუნარიანია ევროკავშირი, რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უდიდესი პოტენციალი. თავისი ნახევარსაუკუნოვანზე მეტი ხნის არსებობის მანძილზე, ევროკავშირმა მიაღწია არნახულ წარმატებებს, მან დაამყარა მშვიდობა თავის წევრ-სახელმწიფოებს შორის, შექმნა გაერთიანების მძლავრი ეკონომიკური ბაზა და დიდი კეთილდღეობა მოუტანა ინტეგრაციაში შემავალი ქვეყნების მოქალაქეებს, რასაც ცალ-ცალკე ვერც ერთი ქვეყანა ვერასოდეს მიაღწევდა.

ევროინტეგრაციულმა კავშირმა თავისი შექმნისა და განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო. 1952 წელს ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ (ბელგია, გფრ, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანეთი) ხელი მოაწერა შეთანხმებას ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების (ECSE) შექმნის შესახებ. შეთანხმება მიზნად ისახავდა დარგობრივი ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც საშუალებას შექმნიდა ამ დარგების გამოცოცხლებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. გაერთიანებამ ბინა დაიდო ლუქსემბურგში.

ევროპული თანამშრომლობა მომავალში უფრო გაღრმავდა და 1957 წელს დაიდო ხელშეკრულება (ე.წ „რომის ხელშეკრულება"), რის შედეგადაც შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა (EEC), ატომური ენერგეტიკის განვითარების მიზნით კი – „ევრატომი" (EURATOM). ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ვაჭრობის თავისუფალი ზონის შექმნას, რომლის მიზანი იყო ტარიფების, კვოტებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა; ინტეგრაციაში შემავალ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება; სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკის შექმნა; კაპიტალის გადაადგილების წასახალისებლად საინვესტიციო ფონდისა და საბაჟო კავშირის შექმნა.

ევროკავშირმა თავისი ევოლუციის პროცესში განიცადა გაფართოება როგორც სივრცეში, ისე სიღრმეში. სივრცობრივი გაფართოება გამოიხატა ევროკავშირის სრულუფლებიანი და ასოცირებული წევრების რაოდენობის გაზრდაში. კერძოდ, ევროკავშირის დამფუძნებელ 6 წევრ-ქვეყანას მიემატა – 1973 წელს დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია; 1981 წელს – საბერძნეთი; 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია; 1995 წელს – ფინეთი, ავსტრია, შვეცია; 2004 წელს – კვიპროსი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვენია. ასეთი გაფართოებით ევროკავშირის წევრი-ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა 25-მდე, რომელთა მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 452 მლნ კაცი, მშპ-მ 8,2 ტრლნ დოლარი [21, 491]. სულ მალე – 2007 წელს ევროკავშირს შეუერთდა ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო მოგვიანებით – ხორვატია. ამჟამად ევროკავშირი აერთიანებს 28 სუვერენულ სახელმწიფოს, სადაც ცხოვრობს 500 მლნ კაცი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს ბაზარს მთელ მსოფლიოში.

ევროკავშირის სიღრმისეული გაფართოება გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანების შიგნით სამეურნეო მექანიზმების ფორმირებასა და სრულყოფას, საქმიანობის იმ სფეროთა გაფართოებას, რომელიც მოიცავს გაერთიანების შიგნით სახელმწიფოთაშორის რეგულირებასა და უნიფიკაციას. თავისი არსებობის მანძილზე ევროკავშირმა არაერთი ნაბიჯი გადადგა გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულებით.

სადღეისოდ, ევროინტეგრაციის საქმიანობა არ არის აგებული მხოლოდ წმინდა მერკანტილურ ინტერესებსა და ეკონომიკურ მოსაზრებებზე. მისი ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს, აგრეთვე, საერთო იდეოლოგია, ფასეულობათა ერთიანი სისტემა და მთელი ევროპული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა. ინტეგრაციულ გაერთიანებას აქვს საერთო მიზნები: მშვიდობის შენარჩუნება, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ფორმირება-განვითარება და ა.შ.

გაერთიანების უმთავრესი ეკონომიკური მიღწევა არის შიდა საერთო ბაზრის ფორმირება და ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღება. სწორედ ეს იყო ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების მიერ

1993 წელს ხელმოწერილი მაასტრიხტის ხელშეკრულების მიზანი, რის შედეგადაც, იმავდროულად, ევროპულმა თანამეგობრობამ მიიღო „ევროპული კავშირის'' სახელწოდება.

ევროკავშირში, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნითა და ერთიანი ვალუტის შემოღებით, ფაქტობრივად დაიწყო ევროინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა. მას ჰქონდა უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა. ექსპერტთა შეფასებით, ევროკავშირის კომპანიებს, გაერთიანების ქვეყნებს, სხვადასხვა ნორმატიულ აქტებთან წინააღმდეგობათა დასაძლევად, ყოველწლიურად უხდებოდათ 260 მლრდ დოლარის გაღება. ერთიანი ვალუტის შემოღებას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობისთვის, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობის დროს ყოველწლიურად 25-დან 30 მლრდ-მდე დოლარს ხარჯავდნენ სასტუმრო-ტურისტული მომსახურებისა და საქონლის შეძენისათვის, თავიანთი ეროვნული ვალუტის უცხო ვალუტაზე გადაცვლასთან დაკავშირებით [21, 52, 57].

ევროკავშირის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად შეიქმნა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, სადაც აღმოფხვრილია საბაჟო და სავაჭრო ბარიერები. საერთო ბაზრის შექმნამ უზრუნველყო გაერთიანების ფარგლებში კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის მიღწეულმა შეთანხმებებმა უზრუნველყო ცალკეულ დარგებში – ენერგეტიკაში, ტრანსპორტზე, სოცილური და რეგიონული განვითარების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის გატარება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინტეგრაციაში გაერთიანებული ქვეყნების საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღმრავებას, მათი სოციალ-ლურ-ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებასა და ეკონომიკური განვითარების დონეთა ურთიერთდაახლოებას. სადღეისოდ ევროკავშირი წარმოადგენს ყველაზე დიდ და მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას, სადაც ხორციელდება წევრ-ქვეყნებს შორის აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით: ეკონომიკის, სავალუტო-საფინანსო, ჰუმანიტარულ, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, მიკრო და მაკროეკონომიკის, სამართლის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკოლოგიის, რეგიონული და სოციალური განვითარების სფეროებში.

ევროკავშირი ღია, გახსნილი ორგანიზაციაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში გაწევრიანება შეუძლია ყველა ევროპულ ქვეყანას, თუკი ის აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რითაც ფასდება კანდიდატი-ქვეყნის მზადყოფნა ინტეგრაციულ კავშირში გასაერთინებლად. ამასთან, ეკონომიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილებამდე, იგი პოლიტიკურად დაახლოებული უნდა იყოს ევროკავშირთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირში შესვლამდე ქვეყანა ჯერ უნდა გახდეს მისი პოლიტიკური ორგანოს – ევროსაბჭოს წევრი და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას განაცხადი შეიტანოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

საქართველომ, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდანვე, მიზნად დაისახა ევროკავშირში გაწევრიანება, რაც ჩვენი ქვეყნის ევროპული ღირებულებებისაკენ დიდი ხნის ლტოლვის აშკარა გამოხატულება იყო. ქვეყანამ ჯერ კიდევ 1993 წელს, გაეროში გაწევრიანების შემდეგ, აქტიურად დაიწყო ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე მუშაობა. ეს შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 1996 წელს ქალაქ ლუქსემბურგში, რითაც განისაზღვრა ძირითადი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც უნდა წარმართულიყო საქართველო-ევროკავშირს შორის სამომავლო ურთიერთობები.

გაეროში გაწევრიანების შემდეგ, ქვეყანაში გატარებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების შედეგად, სულ მალე იგი გაწევრიანდა მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდში. მოგვიანებით, კი 1999 წელს, იგი გახდა ევროკავშირის პოლიტიკური ორგანოს – ევროსაბჭორს წევრი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მიმდინარეობდა სისტემატიური პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ევროკავშირისა და ევროპულ ღირებულებებთან მნიშვნელოვანი დაახლოება. ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2013 წლის ოქტომბერში ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ ხელშეკრულების პარაფირებას, ხოლო 2014 წლის 27 ივნისს ამავე ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერასა და დეკემბერში კი მის რატიფიკაციას, რითაც, საბოლოოდ, შეუქცევადი გახდა სამომავლოდ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი.

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განისაზღვრა მისი უმთავრესი ამოცანები და გამოწვევები:

- საერთო ღირებულებებსა და მჭიდრო კავშირზე დაფუძნებული პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა, რაც მიღწეული უნდა იქნეს ევროკავშირის პოლიტიკაში, პროგრამებსა და სააგენტოებში საქართველოს მონაწილეობის გააქტიურების მეშვეობით;
- საერთო ინტერესთა ყველა სფეროში გაღრმავებული პოლიტიკური დიალოგისათვის გაძლიერებული ჩარჩოს შექმნა, რაც საშუალებას მისცემს მხარეებს, განავითარონ მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები;

• საქართველოში დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობის ხელშეწყობა;

• რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, დაძაბულობის კერების აღმოფხვრა, საზღვრების უსაფრთხოების გაძლიერება და კეთილმეზობ-ლური ურთიერთობების წახალისება;

• კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება;

• თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება, რომლის მიზანია კანონის უზენაესობის განმტკიცება, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა;

• საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებით საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისათვის ძალისხმევის მხარდაჭერა;

• ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი დამკვიდრება ღრმა და ყოვლის-მომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის გზით;

• საერთო ინტერესთა სხვა სფეროებში უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის სათანადო პირობების შექმნა [7,11].

ასოცირების შეთახმებით განსაზღვრული მიზნების რეალურ სანამდვილედ ქცევა გულისხ-მობს, პირველ რიგში, ევროპული ღირებულებების აღიარებასა და სრულყოფილად დაუფლებას. თუმცა, ევროინტეგრაციული კავშირის მოთხოვნები და, შესაბამისად, საქართველოს გამოწვევები მარტო ევროპული ღირებულების აღიარებასა და ცხვორებაში პრაქტიკულ დანერგვაში როდია. ამ მხრივ ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა ეკონომიკის სფეროშია, სადაც რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარებით ქვეყანამ უნდა უზრუნ-ველყოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და მისი იმ დონემდე აყვანა, რომელიც უნდა პასუხობდეს მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს:

• ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტს;

• სახელმწიფო ვალი არ უნდა აჭარბებდეს მთლიანი შიდა პროდუქცის 60 პროცენტს;

• უნდა შენარჩუნდეს ფასების სტაბილურობა და ინფლაციის საშუალო დონის მაჩვენებელი შემოწმებამდე ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ ინფლაცია ერთნახევარ პროცენტზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი-სახელმწიფოს მაჩვენებელს;

• უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმა-ტებული ქვეყნის მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს 2 პროცენტზე მეტად;

• უნდა მოხდეს ევროპის სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსის მექანიზმით გათვალისწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში.

ურთიერთავსებადობის აღნიშნული კრიტერიუმების მთავარი დანიშნულებაა, რომ ეკონომი-კურმა განვითარებამ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შიგნით პრობლემები არ შეუქმნას წევრ-სახელმწიფოებს. როგორც კრიტერიუმების შინაარსიდან ჩანს, აქ ლაპარაკია, პირველ რიგში, ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის მქონე ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლებიც მაქსიმალურად უნდა იქნეს მიახლოებული გაერთიანების წევრი-ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან, რის გარეშეც ევროკავშირში გაწევრიანებაზე ლაპარაკი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს საქართველოში?

ქვეყნის განვითარების დონის მთავარი განმაზოგადებელი მაჩვენებლის – მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მიხედვით სურათი შემდეგნაირია: 2013 წელს საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი უდირდა 3596,6 აშშ დოლარს და წინა წელთან (3523,4 დოლ.) შედარებით 3,2 პროცენტით გაიზარდა [15]. ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია შესაბამის საშუალო მსოფლიო (10 ათ.დოლ.) და გაცილებით უფრო ნაკლები ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, სადაც იგი 7 ათასიდან 78 ათას დოლარამდე მერყეობს [14,185]. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ევროკავშირში შემსვლელი ქვეყნისათვის იგი არ უნდა იყოს 4900 ევროზე ნაკლები, აშკარაა, რომ ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი.

ზემოთ აღნიშნულის დასადასტურებლად ის ფაქტიც საკმარისია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებელი 2013 წელს შეადგენდა რეფორმამდელი პერიოდის (1990) ანალოგიური მაჩვენებლის დაახლოებით 85%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ეკონომიკის განვითარების საბჭოურ დონეს, ანუ თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე მან ვერ მოახერხა აღედგინა ეკონომიკური განვითარების უკვე მიღწეული დონე. ეს მაშინ, როდესაც პოსტსაბჭოური ქვეყნების უმრავლესობას (რუსეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი, ზერბაიჯანი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) დიდი ხნით ადრე (2008) უკვე მიღწეული ჰქონდათ მშპ-ს წარმოების რეფორმამდელი (1990) დონე [5,31] .

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ეკონომიკის მკვეთრი ვარდნის და ქონების პრივატიზაციის პროცესში დაშვებული უხეში შეცდომების გამო, მნიშვნელოვნად გაუარესდა სხვა მაკროეკო-

ნომიკური მაჩვენებლებიც: ინფლაციის, დასაქმებისა და უმუშევრობის, საგარეო ვალისა და სხვა მაჩვნელებლები, კერძოდ, 2012-2013 წწ. ქვეყანაში ინფლაციის დონე შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2014 წელს კი, წინა წელთან შედარებით, იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა (3,1%), რაც ძირიდადად ფასების ცვლილებითა და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებით უნდა აიხსნას. 2015 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში გაუტოლდა 2,39-ს, ნაცვლად 2013 წლის ბოლოს არსებული 1,75-ისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი დაცემა მარტო საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. ბოლო პერიოდში (2014 წლის აპრილიდან 2015 წლის აპრილამდე), ეროვნული ვალუტის გაუფასურების მასშტაბის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა პოსტსაბჭოურ სივრცეში მე-6 ადგილს იკავებდა. პირველ პოზიციაზე იყო უკრაინული გრივნა (82,9 %), შემდეგ მოდიოდა რუსული რუბლი (61,9%), ბელორუსული რუბლი (54,4%), მოლდავური ლეი (35,4%), აზერბაიჯანული მანათი /34,6%/, ქართული ლარი (27,2%), თურქმენული მანათი (22,8%), ყირგიზული სომი (17,2%), სომხური დრამი (14%), უზბეკური სუმი (10%) და ყაზახური ტენგე (1.8%) [18].

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის უმთავრეს გამოწვევას უმუშევრობისა და მოსახლეობის სიღარიბის დონის დაძლევის პრობლემა წარმოადგეს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს შრომის ბაზარზე მომხდარი პოზიტიური ცვლილებების გამო უმუშევრობის დონე 2013 წელს, წინა წლებთან შედარებით, 0.4%-ით შემცირდა და მან 14,6% შეადგინა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს უმუშევრობის ფაქტობრივი დონის შემცირებას, რამდენადაც იგი გამოწვეულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობისა და აქტიურობის დონის შემცირებით. სინამდვილეში, მეცნიერ-ეკონომისტთა და ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია და იგი 40-50% ფარგლებში მერყეობს [4, 111,115; 19, 72].

უმუშევრობა მრავალწახნაგოვანი მაკროეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. სავსებით სწორად მიგვაჩნია პროფ. რ. აბესაძის მოსაზრება, რომ „ხანგრძლივი უმუშევრობა ამცირებს საზოგადოებაში ადამიანისეული კაპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება; უმუშევრობის დროს, ადგილი აქვს რა გამომუშავებული პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანაზოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც. უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობას და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესიტციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზდრასთან [1, 224].

ასოცირების შესახებ შეთანხმებაში პირდაპირაა მითითებული, რომ საქართველომ უნდა გააძლიეროს ევროკავშირთან თანამშრომლობა ღირსეული შრომის პირობების, დასაქმების პოლიტიკის, სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სოციალური დიალოგის, სოციალური დაცვის, სოციალური ჩართულობის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, ასევე კორპორაციული პასუხისმგებლობის ხელშეწყობა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნის, სიღარიბის შემცირების, გაძლიერებული სოციალური ინტეგრაციის, მდგრადი განვითარებისა და გაუმჯობესებული ცხოვრების დონის უზრუნველყოფაში [7,202-203].

ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მისი საგარეო ვალის მაჩვენებელს, რომელიც სისტემატიურად იზრდება. 2005 წელს იგი უდრიდა 3210 მლნ აშშ დოლარს, 2010 წელს – 10 105.0 მლნ, 2011 წელს – 11 567,8, 2012 წელს – 13 501,6, 2013 წელს – 13,6, ხოლო 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით – 13,4 მლრდ აშშ დოლარს (29,9 მლრდ ლარი), ანუ ქვეყნის მშპ-ს 89,8%-ს. მხოლოდ 2005-2014 წწ. ქვეყნის საგარეო ვალი 4,3 ჯერ გაიზარდა [15].

ცხადია, საგარეო ვალის ასეთი მაღალი მაჩვენებელი, ისეთი დაბალი გადამხდელუნარიანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, დიდ ტვირთად აწვება მას, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის სავალუტო რესურსებისა და ბიუჯეტის ფორმირებაზე და, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებაზე. სახელმწიფომ მის შესამცირებლად თუ არ განახორციელა გადამჭრელი ღონისძიებები, უახლოეს მომავალში იგი აუცილებლად ნეგატიურად იმოქმედებს პოლიტიკური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. სავსებით ვეთანხმებით, პროფ. ი. მესხიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „..მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ვალების დაფარვას შიდა საკუთარი რესურსებით, რის გამოც იღებენ ახალ სესხებს ძველი სესხების დასაფარავად. ამის შედეგად წარმოიშობა სესხების აღებისა და დაფარვის უწყვეტი ციკლი, რომლის განმავლობაში სახელმწიფო ვალის მოცულობა თანდათანობით მატულობს და უახლოვდება კრიტიკულ ზღვარს, რომლის ზემოთ სახელმწიფო თანდათანობით კარგავს თავის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ეს

კი, ხშირ შემთხვევაში, მცირე ზომისა და განუვითარებელი ქვეყნისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის ტოლფასია" [12,69].

საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთი თვალის გადავლებითაც აშკარაა, რომ ევროპისგან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს ვართ და პრობლემების დასაძლევად დიდი გზა გვაქვს გასავლელი, რისთვისაც საჭიროა გულმოდგინე და მუხლჩაუხრელი შრომა. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ დაეთანხმო პროფ. ნ. ჭითანავას აზრს იმის შესახებ, რომ „ქვეყნის ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა წარმოადგენს რთულ კვანძებად ჩამოყალიბებულ პრობლემათა ერთობლიობას, რომელთა გადაწყვეტა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ ინვესტიციებს, თანამედროვე მენეჯმენტს და, რაც გადამწყვეტია, საზოგადოების, მთელი მოსახელობის ერთიან ნებას, ერის ყველა თაობის ცოდნისა და ენერგიის გამთლიანებას, ერთიანი მიზნისკენ წარმართვას და ორგანიზებულობის მაღალ დონეს მოითხოვს" [20,99].

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მაკროეკონომიკური თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, სადაც ვკითხულობთ: „ევროკავშირმა და საქართველომ ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესს თავიანთი ეკონომიკების ძირეული პრინციპების უკეთ გაცნობიერების, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის გზით. საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი ფინანსური და ეკონომიკური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება" [7, 180].

ევროკავშირთან ასოცირების გზაზე, ქვეყნის წინაშე განსაკუთრებით დიდი გამოწვევებია სავაჭრო, საბაჟო და საგადასახადო სფეროებში. ამ მხრივ ძალზე დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს, რომელთა გამოცდილების გაზიარება აუცილებელია საქართველოს წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობის გაფართოებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2006 წელს საქართველოს გამოუცხადა ცალმხრივი სავაჭრო ემბარგო, რითაც აიკრძალა რუსეთის ბაზრებზე ქართული პროდუქციის რეალიზაცია. ამან, თავის მხრივ, განსაზღვრა ქვეყნის ძალისხმევის ზრდა ახალი, პირველ რიგში, ევროპული ბაზრების მოძიების მიმართულებით. ამის შედეგად განხორციელდა ევროპულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის დივერსიფიკაცია და საქართველოს იმპორტში ევროკავშირის წილის საგრძნობი გადიდება.

ბოლო პერიოდში ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაღრმავდა. 2013 წელს მათ შორის სავაჭრო ბრუნვამ 2879 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა წლებთან შედარებით 3%-ით გაიზარდა და ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 27% დაიკავა. ამავე წელს ევროკავშირთან ექსპორტი 72%-ით გადიდდა და ქვეყნის ექსპორტის 21, ხოლო იმპორტი 7%-ით შემცირდა და მთლიანი იმპორტის 29% შეადგინა [15].

საქართველო-ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდის ტენდენცია 2014 წელსაც გაგრძელდა. 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვა 4% -ით გაიზარდა და 2990 მლნ აშშ დოლარი, ანუ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 26,1% შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტი 2%-ით გადიდდა და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 22% დაიკავა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 4%-ით და მან ქვეყნის მთლიანი იმპორტის 28% შეადგინა.

სამომავლოდ, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმებით განისაზღვრა ახალი ამოცანები და რეგულაციები. მხარეები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT-ის) და მისი სამართალმემკვიდრე – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმოს-ს) მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ:

- შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე;
- სპეციალურ დანართში ჩამოთვლილი სატარიფო კვოტების ფარგლებში, გადასახადის გარეშე უნდა იქნეს იმპორტირებული საქონელი ევროკავშირში, გადაჭარბებით იმპორტირებისას კი გამოყენებული უნდა იქნეს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი საბაჟო გადასახადის განაკვეთი;
- შეთანხმებიდან ხუთი წლის შემდეგ მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის მასშტაბის გაფართოებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირთან ასოცირების გზაზე საქართველოს მოუწევს დიდი ძალისხმევა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების დაძლევის მიმართულებით. სადღეისოდ ამ მხრივ განსხვავება ძალზე დიდია. საქართველომ უნდა განახორციელოს სერიოზული სამუშაოები ევროკავშირის ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის სისტემებთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით. საქართველო ვალდებულია, ყოველმხრივ დაიცვას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები.

ვაჭრობის ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოების პროცესში საქართველომ თავი უნდა შეიკავოს თავისი ჰორიზონტალური და სექტორული კანონმდებლობის ცვლილებებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფს კანონმდებლობის პროგრესულ დაახლოებასა და დაახლოების დონის შენარჩუნებას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან. ამასთან, საქართველომ წინასწარ უნდა აცნობოს ევროკავშირს მოსალოდნელი ცვილებების შესახებ. გარდა ამისა, საქართველომ ეტაპობრივად უნდა მიიღოს ევროპული სტრანდარტების ნაკრები ეროვნულ სტრანდარტებად, რომელთა ნებაყოფლობითი გამოყენება იძლევა საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანილი ევროკავშირის კანონდმებლობასთან შესაბამისობის პრეზუმფციას. ამასთან, მათი მიღების პარალელურად, საქართველომ უნდა გააუქმოს ევროპულ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მყოფი ეროვნული სტანდარტები, ეტაპობრივად შეასრულოს ევროპის სტრანდარტიზაციის ორგანიზაციის სრული წევრობისათვის საჭირო სხვა პირობები.

საქართველოსა და ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზების ურთიერთდაახლოების პროცესში, მეწარმეებსა და ექსპორტიორებთან კონსულტაციის გზით, უნდა განისაზღვროს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორები. პარალელურად, უნდა დაჩქარდეს ევროკავშირის სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმების ქართულ ენაზე თარგმნა, გაძლიერდეს თანამშრომლობა საზომთა საერთაშორისო თავსებადობის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი ლაბორატორიების შესაქმნელად. მხარეთა კანონმდებნლობის ჰარმონიზება სწორედ ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორებიდან უნდა დაიწყოს. ამასთან, უნდა დაინერგოს სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრის ევროპული მოდელები, რამაც უნდა უზრუნველყოს დაბალი რისკის მქონე საქონლის სავალდებულო სერტიფიცირებისა და განმეორებითი ტესტირების თავიდან აცილება.

ევროპულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის პოზიციის დამკვიდრება პირდაპირ კავშირშია მათ მიმართ წაყენებული სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. ეს ნაკარნახევია, ჯერ ერთი, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა სურვილით, ყოველმხრივ უზრუნველყონ საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა და, მეორე მხრივ, ევროკავშირის ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის შექმნით, არასტანდარტული პროდუქციის ბაზარზე შეღწევისა და დაბალი თვითღირებულების მქონე საქონლის რეალიზაციის გზით, გარკვეული საბაზრო უპირატესობის მოპოვების აღსაკვეთად. ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების დაძლევის სიძნელე იმითაცაა განპირობებული, რომ ისინი დამტკიცებულია ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტებისა და ევროკავშირის წევრ-ქვეყნების კანომდებლობით, რომელიც სისტემატურად იცვლება და საჭიროებს მკაცრ მონიტორინგს.

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის საბაჟო სამსახურის არსებითი რეფორმირება და სრულყოფა. საქართველომ სერიოზულად უნდა გააუმჯობესოს თანამშრომლობა ევროკავშირთან ამ სფეროში, რათა უზრუნველყოს კანონიერი ვაჭრობის განვითარებისა და საბაჟო სამსახურზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საჯარო პოლიტიკის ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ვაჭრობის ხელშეწყობას უსაფრთხოების, თაღლითობის თავიდან აცილებასა და მათ შორის დაბალანსებულ მიდგომას.

საქართველომ სერიოზულად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ საბაჟო საქმიანობისა და ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა იყოს სტაბილური და ყოვლისმომცველი, საბაჟო პროცედურები უნდა გახადოს პროპორციული, გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული და მიუკერძოებელი. საქონლის საბაჟო გაშვების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული თანამედროვე საბაჟო ტექნიკა და ტექნოლოგიები, რისკის შეფასების, გაფორმების, კონტროლისა და კომპანიის აუდიტის ევროპული მეთოდები, საბაჟოსა და ვაჭრობის სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება, გლობალური ვაჭრობის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის შესახებ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ჩარჩო-სტანდარტები და ევროკომისიის საბაჟო სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები [7,53-54].

საქართველომ უნდა იზრუნოს საბაჟო რეგულირებისა და პროცედურული მოთხოვნების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმების თანაზომადობისა და არადისკრიმინაციულობის უზრუნველმყოფი წესების შემოღებაზე, რომელთა აღსრულებამ საბაჟო საქმიანობაში გაუმართლებელი და უსაფუძვლო შეფერხებები არ უნდა გამოიწვიოს; საბაჟოს მიერ მიღებული ზომების გასაჩივრების უფლების გარანტიაზე, ხელმისაწვდომობასა და მასთან დაკავშირებული ხარჯების მინიმიზაციაზე; საბაჟო ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, საბაჟო საქმიანობის კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტების დანერგვასა და შენარჩუნებაზე; საზღვრის ერთობლივი მართვის პროცესში, სასაზღვრო უწყებათა შორის კოორდინაციის სრულყოფაზე; საბაჟო რეფორმების გატარების მიზნით, ტექნიკური დახმარებებისა და შესაძლებლობების განვითარების ერთობლივ პროგრამებში მონაწილეობაზე; ევროკავშირისა და საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობასთან საქართველოს საბაჟო კანომდებლობის ეტაპობრივ მიახლოვებაზე.

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო და საბაჟო კავშირების შემდგომი გაღრმავების მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟო ქვეკომიტეტის სხდომას, რომელიც გაიმართა თბილისში მიმდინარე წლის აპრილის თვეში. სხდომაზე განხილულ იქნა შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების

ეტაპობრივი შესრულების პირველი შედეგები და მიღებულ იქნა ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული თანამშრომლობის ახალი დოკუმენტი – „საბაჟო სფეროში თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო-ფორმატი ევროკავშირსა და საქართველოს შორის“, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას სამი ძირითადი მიმართულებით: უსაფრთხო და მოქნილი სავაჭრო დერეფანი, რისკების მართვა და ინვესტირება საბაჟო მოდერნიზებაში.

აღნიშნული დოკუმენტი, რომლის მსგავსი უკვე შეიქმნა და მოქმედებს უკრაინასა და მოლდოვასთან, გამოხატავს ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მზადყოფნას, უფრო გააღრმავონ საქართველოსთან თანამშრომლობა.

საქართველო-ევროკავშირს შორის საბაჟო სფეროში თანამშრომლობის ჩარჩო-ფორმატის ხელმოწერა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს მხარეთა შორის სავაჭრო ურთიერთობების დინამიურ განვითარებას. ასეთი დოკუმენტის შექმნა კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა იმ მხარდაჭერისა, რომელსაც საქართველო იღებს ევროკავშირისაგან, ასევე, თვალსაჩინო დადასტურებაა მხარეთა ურყევი ნებისა, რომ განხორციელდეს საქართველოს კიდევ უფრო მეტი ინტეგრაცია ევროკავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ახალი დიდი ამოცანები და გამოწვევები დგას ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების წინაშე, რომლებიც მოიცავს შემდეგ სფეროებს: სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების საკითხებზე თანამშრომლობის ხელშეწყობა; ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პოლიტიკის დაგეგმვა, შეფასება და განხორციელება; სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება და ბაზარზე ყველა დაინტერესებული მხარისათვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა; ღვინის წარმოებისა და აგროტურიზმის განვითარება; ფერმერთა მომსახურების ცენტრების შექმნა და მათი ხელშეწყობა; საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში დარგის განვითარების პრობლემების ჰარმონიზაციისაკენ სწრაფვა [7, 197,198].

აღნიშნული ამოცანების წარმატებით შესრულება ბევრადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის მთავარი წარმოების საშუალების – მიწის მართვის სწორი პოლიტიკის შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაზე. ამჟამად ქვეყანაში სახნავი მიწების დიდი ნაწილი პრივატეზებულია, თუმცა, მიწების რეგისტრაციის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია, აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფო, მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწები. სადღეისოდ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ 20-30%-ია რეგისტრირებული [17]. საჭიროა ქვეყანაში გაკეთდეს მიწის ბალანსი, რომელიც არ შემდგარა მას შემდეგ, რაც 2004 წელს ქვეყანაში გაუქმდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის რაციონალური მართვა გულისხმობს მიწის კონსოლიდაციას, რაც ესოდენ აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მიწის ბაზრის ფორმირება-განვითარების სრულყოფისათვის. სოფლის მეურნეობის რეფორმირებისა და მიწების პრივატიზების პროცესში დაშვებულ უხეშ შეცდომებს შედეგად მოჰყვა მიწებისა და მეურნეობების დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაციის პროცესის გაღრმავება. 2004 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით მიწათმოსარგებლეთა თითქმის 67% ფლობდა მხოლოდ 0,1-დან 1 ჰექტრამდე მიწას, 1-დან 5 ჰექტრამდე – 23,3, 50-დან 500 ჰექტრამდე კი მხოლოდ 0,15% [17]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თითოეული ჰექტარი მიწა ზოგჯერ წარმოდგენილია რამდენიმე ნაკვეთად, ცხადი გახდება, რომ დღეს მათი კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია დარგის ნორმალური ფუნქციონირება.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ვეძიოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნაში, რომლის მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობის მიერ. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ", რომლის საფუძველზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. სწორედ მან უნდა აიღოს თავის თავზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, შეფუთვის, შენახვისა და რეალიზაციის, აგრეთვე, დაფინანსებისა და კოოპერატივის წევრთა მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფაზე მთელი პასუხისმგებლობა. ეს საკითხი ძალზე აქტუალურია. იშვიათი როდია, როცა წარმოებული სოფლის მეურნების პროდუქტები (ყურძენი, ხილი, ბოსტნეული, ციტრუსები, ღვინის პროდუქცია და სხვ.), სათანადო ბაზრის არარსებობის გამო, ვერ რეალიზდება, რაც უარყოფითად მოქმედებს ამ პროდუქტების წარმოების სტიმულირებასა და მთლიანად დარგის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

ბოლო წლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები როგორც მიწის დამუშავებული ფართობებისა და წარმოებული პროდუქციის ზრდის, ისე საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობის გადიდებასა და მათი ასორტიმენტის გაფართოებას. მაგალითად, 2000 წელს აღნიშნული სახის პროდუქტების ექსპორტი 93 მლნ დოლარიდან (184 მლნ ლარი) 2014 წელს

825,9 მლნ დოლარამდე (1379,2 მლნ ლარი) გადიდდა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ღვინის, მინერალური წყლების, თხილისა და კაკლის, უალკოჰოლო სასმელების, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, სანელებლებისა და სხვათა ექსპორტი. სამომავლოდ ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს. ამასთან, საჭიროა სახელმწიფომ ამ მიმართულებით უფრო მეტად გააააქტიუროს თავისი საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის აგროსამრეწველო სექტორის საექსპორტო პოტენციის შემდგომ ამაღლებას.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების, კეთილდღეობის დონის ამაღლებასა და სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან სფეროს. ამჟამად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყანაში დასაქ-მებული სამუშაო ძალის 52%, რომელთა შორის აბსოლუტურად დიდი ნაწილი (98%) თვით-დასაქმებულია. მათი საშუალო ხელფასი დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მხოლოდ 64%-ს შეადგენს. ბოლო პერიოდში ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლებს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად გადიდდა. ამასთან, წლების მანძილზე მთლიან შემოსავალში იზრდება დაქირა-ვებული შრომიდან მიღებული შემოსავალი, თუმცა, მისი აბსოლუტური მაჩვენებელი ძალზე მცირეა და არ აღემატება 11,6%-ს [15].

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სოფლად ფულად-სასაქონლო ურთიერ-თობები ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, სოფლის მეურნეობაში ჭარბობს ნატურალიზაციის პროცესი და სოფლად პროდუქციის დიდი ნაწილი იწარმოება მხოლოდ საკუთარი მოხმარე-ბისათვის. სწორედ ესაა სადღეისოდ სოფლისა და სოფლის მეურნეობის ყველაზე დიდი გამოწვევა და მწვავე პრობლემა, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა აამოქმედოს ყველა საფინანსო-ეკონომიკური ბერკეტი მისი უმოკლეს ვადაში გადაჭრის მიზნით. ამასთან, პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სოფლად არასასოფლო საწარმოების შექმნა და ფუნქციონირება ისეთ სფეროებში, როგორიცაა საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო, სპორტულ-კულტურული მომსახურება. ამ მიმართულებით ქვეყანაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების მდიდარი გამოცდილება.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სოფლად სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია, მათი ფუნქციონირების ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის ამაღლება, წყლის რესურ-სების ოპტიმალური განაწილება და სატარიფო სისტემების სრულყოფა, საირიგაციო სისტემების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში სამელიორაციო სამსახურის არეალის გაზრდა და, თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობა სტიქიური მოვლენების მიმართ (მიწის-ძვრები, წყალდიდობა, მეწყერი, თოვლის ზვავები, სეტყვა, ძლიერი ქარები, გვალვა და სხვ.) მეტად მგრძნობიარე და დიდ რისკებთან დაკავშირებული დარგია. ასეთი მოვლენები დიდად აზარალებს არა მარტო სოფელსა და სოფლის მეურნეობას, არამედ მთლიანად ეკონომიკას. არსებული რისკებიდან გამომდინარე, საჭიროა ქვეყანაში გაძლიერდეს სტიქიური მოვლენების პროგნოზი-რებისა და მათი თავიდან აცილების სამსახური როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდებში, ამაღლდეს მისი ფუნქციონირების ეფექტიანობა.

გარდა ამისა, ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს აგროდაზღვევის განვითარება, რომელიც ძალზე რთულია და სიძნელეებთანაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ სადაზღვევო კომპანიები ხშირად თავს იკავებენ მაღალრისკიან დარგებში სადაზღვევო საქმიანო-ბისაგან. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყანაში ფერმერთა რაოდენობა ძალზე მცირეა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სადაზღვევო კომპანიების დანახარჯებს, რის გამოც მათ ურჩევნიათ სადაზღვევო საქმიანობა უფრო მსხვილ ობიექტებზე განახორციელონ.

მისასალმებელია, რომ 2014 წლის სექტემბრიდან ქვეყანაში ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო აფინანსებს სადაზღვევო პრემიის მნიშვნელოვან ნაწილს. ამასთან, სერიოზულ დახვეწას მოითხოვს სოფლის მეურნეობის დაზღვევის არსებული სისტემა, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ევროკავშირსა და მთელ მსოფლიოში აპრობირებული სადაზღვევო სისტემების საქმიანობის მიღწეული შედეგები, უფრო მეტად დაიხვეწოს ამ სფეროში არსებული პროგრამები, პირველ რიგში, სადაზღვევო რისკების მართვის მექანიზმები და სადაზღ-ვევო ბაზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

ევროკავშირთან ასოცირების გზაზე ქვეყნის წინაშე დიდი გამოწვევებია მრეწველობის განვითარების, სამრეწველო საწარმოთა პოლიტიკის ფორმირებისა და ტრანსპორტის ფუნქციო-ნირების სრულყოფის მიმართულებით. საქართველომ უნდა განამტკიცოს ევროპასთან თანამშრომ-ლობა სამრეწველო საწარმოთა პოლიტიკის სფეროში, რაც დიდად შეუწყობს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკის სუბიექტისთვის. ქვეყნის მრეწველობის განვითარების დროს განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე და საშუალო საწარმოებზე. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმარ-თულებაა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ადმინისტრაციული და მარეგულირებელი მიზნების ჩარჩოების დახვეწას, რაც უნდა

დაეფუძნოს ევროკავშირის სამრეწველო, მცირე და საშუალო საწარმოთა პოლიტიკას, ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება უმეტესად ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და დანაზოგების სტიმულირებაზე, აგრეთვე, გრძელვადიან სახელმწიფო პროგრამებზე იყოს ორიენტირებული.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულია მნიშვნელოვანი ამოცანები ტრანსპორტის განვითარების სფეროში, რომლის მიზანია სატრანსპორტო სისტემის შექმნისა და განვითარების, მხარეთა მიერ თავიანთ ტერიტორიებს შორის სატრანსპორტო კავშირების სრულყოფის, ტრანსპორტის ეფექტიანი და უსაფრთხო მუშაობის ხელშეწყობა. ასოცირების პროცესში საქართველომ უნდა უზრუნველყოს:

- მდგრადი ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკის შექმნა და განვითარება, რომელიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეს, განსაკუთრებით ეკონომიკურად სუფთა, ეფექტიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
- ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკის ჭრილში ტრანსპორტის დარგობრივი სტრატეგიის შექმნა და განვითარება, სადაც აისახება საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო და მილსადენი ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვილობასა და სატრანსპორტო პარკების განახლებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ინფრასტრუქტურული პოლიტიკის გაძლიერება ტრანსპორტის სხვადასხვა სახეებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის;
- ტრანსპორტის დაფინანსების პოლიტიკის განვითარება, რომელიც ორიენტირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობაზე, სატრანსპორტო ქსელების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე, ასევე სატრანსპორტო პროექტებში კერძო სექტორის ჩართულობის გააქტიურებასა და ხელშეწყობაზე;
- საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციებში გაწევრიანება და მათ შეთანხმებებთან მიერთება;
- თანამედროვე სატრანსპორტო ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;
- სატრანსპორტო საშუალებების მართვისა და ოპერირების სრულყოფის მიზნით, გონივრული სატრანსპორტო სისტემებისა და უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა, კოსმოსური სისტემებისა და ტრანსპორტის ხელშემწყობი კომერციული კომპიუტერული პროგრამების შექმნისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში დახმარება [7, 185, 186].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით საქართველოს აქვს უდიდესი სატრანზიტო ფუნქცია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელების პროცესში. საქართველოზე გადის არაერთი სატრანზიტო მარშრუტი ენერგომატარებლების – ნავთობისა და გაზის აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ევროპულ ბაზრებზე შეუფერხებელი მიწოდებისათვის. ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველოს ევალება ტერიტორიაზე ენერგომატარებლების უწყვეტი და უსაფრთხო გატარება. მან უნდა მიიღოს ყველა ზომა ტრანზიტის პროცესში ენერგოპროდუქტების უსაფრთხოების დაცვის, ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირის მხრიდან სხვადასხვა სახით უკანონო მითვისების მცდელობის თავიდან აცილებისა და ასეთ შემთხვევებზე სათანადო რეაგირებისათვის.

ასოცირების შეთანხმებით საქართველო ვალდებულია, ენერგორესურსების ტრანსპორტირებისას მიიღოს საჭირო ზომები, რათა მოხდეს: ტრანზიტის ავარიული შეწყვეტის ან შემცირების მინიმიზაცია, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში მიწოდების ნორმალურ, დაჩქარებულ რეჟიმში აღდგენა. ასეთ შემთხვევებს კი არაერთხელ ჰქონდა ადგილი საქართველოში, როცა ავარიული სიტუაციების გამო შეფერხდა აღმოსავლეთიდან ევროპულ ან სხვა ქვეყნებში ენერგომატარებლების მიწოდება. ასე იყო სულ ახლახან, დარიალის ხეობაში მეწყერის ჩამოწოლის გამო, როცა სერიოზულად დაზიანდა რუსეთიდან სომხეთში მიმავალი გაზის მილსადენი, რომლის დროული აღდგენა განახორციელა საქართველოს მთავრობამ.

ასოცირების შესახებ შეთანხმებაში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი სატრანსპორტო მომსახურების სრულყოფის პრობლემებს. კერძოდ, საქართველომ უნდა უზრუნველყოს კომერციულ საწყისებზე ტვირთებთან შეუზღუდავი დაშვების პრინციპის ეფექტიანი გამოყენება, საერთაშორისო საზღვაო მომსახურების მიწოდების თავისუფლება.

შეთანხმება ითვალისწინებს, აგრეთვე, საჰაერო ტრანსპორტის ლიბერალიზაციას, რომელსაც საფუძვლად დაედება ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის და მის წევრ-სახელმწიფოებს შორის შეთანხმება.

ასოცირების შეთანხმებით, ქვეყნის წინაშე დიდი გამოწვევებია ჯანდაცვასა და განათლებაში. უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით საქართველომ უნდა განავითაროს ევროკავშირთან თანამშრომლობა შემდეგ სფეროებში:

- საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაძლიერება, რაც გულისხმობს დარგის დროულ რეფორმირებას და რაც უნდა განხორციელდეს მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველ-

ყოფის, დარგში ადამიანისეული რესურსებით რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის გზით, ჯანდაცვის მმართველობისა და დაფინანსების სრულყოფის საშუალებით;

• ეპიდემოლოგიური ზედამხედველობა და გადამდებ სნეულებათა კონტროლი, როგორიცაა – შიდსი, ვირუსული ჰეპატიტი, ტუბერკულოზი და სხვა ანტიმიკრობული დაავადებები. გარდა ამისა, ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჯანმრთელობის წინაშე მდგარი საფრთხეებისა და საგანგებო სიტუაციების მიმართ მზაობის ზრდა;

• არაგადამდებ სნეულებათა პრევენცია და კონტროლი, რაც მიიღწევა სათანადო ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლით, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობით, ჯანმრთელობის იმ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა კვება, ნიკოტინის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულება;

• ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და ცოდნა, იმ საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინება, რომლებიც აღიარებულია მსოფლიოში, კერძოდ, ჯანდაცვის შესახებ საერთაშორისო რეგულაციები და „თამბაქოს კონტროლის შესახებ" ჩარჩო-კონვენცია;

• ჯანდაცვის სფეროში არსებული ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება [7, 204-205].

განათლების სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიმართული იქნება შემდეგი ძირითადი სფეროების განვითარებისაკენ:

• მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების ხელშეწყობა, რაც ადამიანებს საშუალებას მისცემს, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

• განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნა, სწავლების ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, განათლების ყველა საფეხურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა – ადრეულ ასაკში განათლების მიღებიდან დაწყებული, უმაღლესი განათლების ჩათვლით;

• ევროკავშირის „უმაღლესი განათლების დღის წესრიგისა" და „ბოლონიის პროცესიდან" გამომდინარე, უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება;

• განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, ევროკავშირის თანამშრომლობის პროგრამებში მონაწილეობა, სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილურობის გაზრდა;

• უცხო ენების სწავლების ხელშეწყობა;

• სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის დონის არსებითი ამაღლება;

• პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა, აგრეთვე, ევროკავშირ-აღმოსავლეთის პარტნიორობის შესახებ ცოდნისა და განათლების ამაღლება და ევროკავშირის შესაბამის პროგრამებში მონაწილეობის გაღრმავება [7, 205-206].

ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული საქართველოს ეკონომიკური გამოწვევების პრაქტიკული რეალიზაცია ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში თანამედროვე სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სისტემის დანერგვაზე. ამ მხრივ საქართველომ უნდა გააძლიეროს და განამტკიცოს ევროკავშირთან თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო დონეზე შედარებად და საიმედო სტატისტიკური ინფორმაციის უზრუნველყოფის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. საქართველომ უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი მდგრადი და ეფექტიანი ეროვნული სტატისტიკის სისტემის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს მას, მიაწოდოს ევროკავშირს, მის მოსახლეობასა და ცალკეულ ბიზნესმენებს, ფირმებსა და კომპანიებს სწორი, უტყუარი და საიმედო ინფორმაცია სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირის სტატისტიკური ნორმებისა და სტანდარტების გამოყენებას, ეროვნული სტატისტიკური სისტემის სრულყოფასა და განვითარებას. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ქვეყანამ უნდა გააააქტიუროს მუშაობა ევროპის სტატისტიკის ორგანოებთან შემდეგ სფეროებში: მაკროეკონომიკური სტატისტიკა, მათ შორის, ეროვნული ანგარიშები, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა, დემოგრაფიული სტატისტიკა, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკა, ბიზნეს-სტატისტიკა, ენერგეტიკის სტატისტიკა, რეგიონული სტატისტიკა, ხარისხის მართვის სტატისტიკა და სხვ. [7, 184].

ქვეყანამ უნდა განახორციელოს ეროვნული სტატისტიკის ძირეული რეფორმირება, რომლის პროცესში ფართოდ უნდა გამოიყენოს ამ სფეროში დაგროვილი ევროპული გამოცდილება, ყველა ღონე უნდა იხმაროს საქართველოს სტატისტიკის კანონმდელობის ევროკავშირის სტატისტიკის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად მაქსიმალური მიახლოებისათვის.

როგორც ვხედავთ, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებამ ახალი დიდი ამოცანები და გამოწვევები დააყენა ქვეყნის ეკონომიკის წინაშე, რომელთა წარმატებული გადაწყვეტა და პრაქტიკული რეალიზაცია უაღრესად პროგრესული და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამასთან, იგი დიდ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს და მოითხოვს საქართველოს თითოეული მოქალაქის მუხლჩაუხრელ შრომას, მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზებას, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური

ცხოვრების ძირეულ რეფორმირებას შეთანხმებით განსაზღვრული ისტორიული ამოცანებისა და ვალდებულებების ‍ვარმატებით შესრულებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ.11, თბ., 2013.
2. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ., 2005.
3. ანთაძე ი., რა მანძილია ევროპამდე? გაზ. „24 საათი", №123, 2007.
4. არჩვაძე ი., შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობაზე, ჟურნ. „მიგრაცია", №6, 2013.
5. ასათიანი რ., გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბ., 2010.
6. ასათიანი რ., საით მიდის საქართველო? თბ., 2014.
7. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, თბ., 2014.
8. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2014.
9. ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემები ცენტრალურ კავკასიაში, თბ., 2009.
10. ვეშაპიძე შ. და სხვები, ევროპული ღირებულებები – მთავარი საზრუნავი საქართველოს გადარჩენისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", №1(9), 2014.
11. კაკულია მ., საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ.8, თბ., 2010.
12. მესხია ი., საქართველოს საგარეო ვაჭრობის ახალი ვექტორი; სილაგაძე ა., ათანელიშვილი თ., ევროკავშირის მთავარი ინდიკატორები და საქართველო, თსუ პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე ‍ წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2015.
13. მესხია ი., სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: რეალობა და გამოწვევები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 12, თბ., 2015.
14. საერთაშორისო ბიზნესი, თ. შენგელიას რედაქციით, თბ., 2011.
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
16. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები.
17. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალები.
18. გაზ. „რეზონანსი", 3 აპრილი, 2015.
19. ჩიქავა ლ., დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, თბ., 2012.
20. ჭითანავა ნ., საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები და პერსპექტივები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 11, თბ., 2013.
21. Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, М., 2006.

Revaz Javakhishvili

EUROPEAN INTEGRATION REQUIREMENTS AND CHALLENGES OF THE GEORGIAN ECONOMY

Annotation

Deepening of integration processes in the era of globalization is the top tendency of the world economy development that leads to establishment of economic unions. The best example of this is the most powerful and viable community - the European Union, which is nowadays the highest form of economic integration, and which has the greatest potential for sustainable economic development.

The new big challenges and objectives of accelerated development of a country's economy and its separate branches were determined byGeorgia-EU Association Agreement. The paper analyzes the sustainability challenges in the macroeconomic and also, challenges in separate branches and spheres of the economy. According to Association requirements, special attention is given to the country's economic reforms, improving of the legal and normative basis and their gradual convergencewith the EU legislation, standards, and regulations.

ნატა დავლაშერიძე

ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ინდიკატორები

ინოვაციები ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ინსტრუმენტია. ამიტომ ასევე მნიშვნელოვანია ინოვაციური განვითარების ინდიკატორთა სისტემის შემუშავება, თუმცა ინოვაციათა მრავალფეროვნების გამო ამ ამოცანის გადაჭრა საკმაოდ რთულია.

ინოვაციური განვითარების მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების სისტემის სრულყოფისათვის, მონაცემთა აგრეგირების მიზნით, ფართოდ გამოიყენება სტატისტიკური და ეკონომიკური მეთოდები. თუმცა, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შემუშავებული ინდიკატორები უფრო რაოდენობრივ

ხასიათს ატარებს და ასახავს გლობალურ ფაქტორებს, მაგრამ ვერ იძლევა ქვეყნის ინოვაციური პროცესების ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასებას.

მაჩვენებელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სისტემას, რომელიც მთელ მსოფლიოშია აღიარებული, წარმოადგენს **გლობალური ინოვაციური ინდექსი – GII (Global Innovation Index)**[264]. ამ ინდექსის გამოსათვლელად ყველა ფაქტორი ორ ჯგუფად არის გაყოფილი. შემომავალ ფაქტორებად, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციებს და გამომავალ ფაქტორებად, რომლებიც ინოვაციების დანერგვის შედეგების დემონსტრირებას ახდენს. პირველში შედის ინსტიტუციური მახასიათებლები, ადამიანისეული კაპიტალი, საერთო და ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, ბაზრისა და საქმიანი წრეების სრულყოფა. მეორეს მიეკუთვნება შენობები, კონკურენტუნარიანობა და კეთილდღეობა. ამ ინდექსის ღირსებაა მის მიერ ინოვაციური საქმიანობის ყველა სფეროს მოცვა (გათვალისწინებულია 100-ზე მეტი მაჩვენებელი). ინდექსის ნაკლოვანებას წარმოადგენს ისეთი საბოლოო მაჩვენებლების არარსებობა, რომლებიც უშუალოდ ასახავენ უკუგებას ინოვაციებიდან, კერძოდ, ინოვაციური პროდუქციის მოცულობას, ექსპორტირებულ ინოვაციურ ტექნოლოგიებს და სხვა. აქედაქნ გამომდინარე, მოცემული ინდექსი აფასებს უფრო ინოვაციურ პოტენციალს, ინოვაციების განვითარებისთვის საწირო ინფრასტრუქტურას და არა თვით ინოვაციების შედეგიანობას.

სტატისტიკის ერთიანი მაჩვენებლების გამოყენება ევროკავშირის ქვეყნებში, შესაძლებელს ხდის განისაზღვროს ინოვაციური განვითარების ლიდერები და აუტსაიდერები, ასევე შეფასდეს ინოვაციური საქმიანობა ძირითად კონკურენტებთან - აშშ-სთან და იაპონიასთან შედარებით, გამოვლინდეს და გამოყენებულ იქნეს საუკეთესო გამოცდილება.

2008 წელს ევროკავშირის მიერ ამოქმედებულ იქნა მასშტაბური ინოვაციური პროექტი – PRO INNO Europe, რომელმაც გააერთიანა ყველა ინოვაციური ინიციატივა ევროკავშირისა და მისი ცალკეული ქვეყნების დონეზე. პროექტში წარმოდგენილია ევროკავშირის ინოვაციური განვითარების რაოდენობრივი გაზომვის სტრატეგიის ძირითადი ინსტრუმენტები: **ევროპის ინოვაციური ტაბლო; ინოვაციური ბარომეტრი; მონაცემთა ბაზა ევროპის ინოვაციური პოლიტიკის ღონისძიებათა მიხედვით; ახალი ინოვაციური პროექტების შეფასების მეთოდიკა; ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ყოველწლიური მიმოხილვა;** ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყოველწლიური ანგარიშგებები საუკეთესო ინოვაციურ მიღწევების შესახებ.

2013 წელს ევროპის კომისიის მიერ წარმოდგენილ იქნა **ინოვაციის შედეგების ინდიკატორი (The Innovation Ouput Indicator)** [265]. იგი ზომავს ინოვაციური სექტორიდან იმ იდეების ხარისხს, რომელთაც შეუძლია ბაზარზე გასვლა, საუკეთესო საამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა და ევროპის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

წარმოდგენილი მაჩვებელი ეფუძნება ოთხ, პოლიტიკაში გამოსაყენებლად შერჩეულ, კომპონენტს: ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რომელიც იზომება პატენტების რაოდენობით; მომუშავეებს საქმიანობის მეცნიერებატევად სახეებში, როგორც პროცენტს საერთო დასაქმებიდან; მეცნიერებატევადი საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობას. იგი ეფუძნება როგორც საშუალო და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წვლილის შეფასებას მთლიან სავაჭრო ბალანსში, ისე მეცნიერებატევადი მომსახურების წილს მომსახურების მთლიან ექსპორტში; დასაქმებულთა წილს ინოვაციური დარგების სწრაფად მზარდ ფირმებში.

ინობარომეტრი (Innobarometer) წარმოადგენს ინოვაციებთან დაკავშირებული საქმიანობასა ურთიერთობების მიმოხილვის შესახებ. ბარომეტრი ყოველწლიურად კრებს შეხედულებებსა და გამოხმაურებებს სახელმწიფო და ევროპული საწარმოებიდან და პოლიტიკოსებისათვის უზრუნველყოფს იყოს პირდაპირი ინფორმაციის უნიკალური წყარო. ინობარომეტრი-2015 აღწერს ინოვაციური საქმიანობის ძირითად მოდელებსა და ტენდენციებს ევროკავშირის საწარმოებში [266].

რეგიონული ინოვაციური ტაბლო (Regional Innovation Scoreboard - RIS) უზრუნველყოფს ევროპული რეგიონების შედარებით შეფასებას ინოვაციების სფეროში[267]. იგი მოიცავს ევროკავშირის 190 რეგიონს, ნორვეგიასა და შვეიცარიას. ახდენს ევროპული რეგიონების კლასიფიკაციას ინოვაციური საქმიანობის 4 ჯგუფის მიხედვით, ისევე, როგორც ევროპული ინოვაციური ტაბლო: 34 რეგიონი შედის "ინოვაციური ლიდერების" პირველ ჯგუფში, 57 რეგიონი მიეკუთვნება „ლიდერების მიმედვარ" მეორე ჯგუფს, 68 რეგიონი – "ზომიერ ინოვატორებს" და 31 რეგიონი მეოთხე - «მოკრძალებული ინოვატორების» ჯგუფს.

ევროპული კომისია ახორციელებს ინოვაციურ პოლიტიკას ინოვაციების საიმედო და თანმიმდევრული ინდიკატორების შემუშავების სფეროში, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება

[264] Global Innovation Index 2015 https://www.globalinnovationindex.org/content/page/GII-Home/
[265] Measuring innovation output in Europe: towards a new indicator http://ec.europa.eu/research/press/2013/pdf/indicator_of_innovation_output.pdf
[266] http://ec.europa.eu/growth/industry/innovation/facts-figures/innobarometer/index_en.htm
[267] Regional Innovation Scoreboard 2014 http://bookshop.europa.eu/en/regional-innovation-scoreboard-2014-pbNBBC14001/

სახელწოდებით **"ევროპული ინოვაციური ტაბლო"** (European Innovation Scoreboard). ხოლო 2010 წლიწლიდან, როგორც – **"ინოვაციური კავშირის ტაბლო"** (Innovation Union Scoreboard) [268].

2001 წლიდან დაწყებული, ტაბლოს 14 გამოშვება შესაძლებელს ხდის შედარებულ იქნეს ინოვაციური მიღწევები ევროკავშირის ქვეყნებში, აუცილებლობის შემთხვევაში ევროკავშირში სტრატეგიის შემდგომი კორექტირების პრესპექტივით.

ყოველწლიური ინოვაციური ტაბლოს შესადგენად იყენებენ როგორც რეგულარულ სტატისტიკურ მონაცემებს (Community Innovation Survey, CIS), ისე შერჩევით გამოკვლევებს. ამ უკანასკნელით ივსება შედეგები და ანალიზი უკეთდება ინოვაციების ცალკეულ ასპექტებს 3,5 ათასი შემთხვევით შერჩეული ევროკავშირის კომპანიების გამოკითხვის მეშვეობით.

2015 წლის მდგომარეობის მიხედვით, ევროპულ ინოვაციურ ტაბლოში მონაწილეობას იღებდა 41 ქვეყანა (27 - ევროკავშირის წევრი, აგრეთვე ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია, ხორვატია, თურქეთი, ისრაელი, აშშ, კანადა, ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და უკრაინა (2 უკანასკნელი პროექტში მონაწილეობს 2007 წლიდან).

ამ ქვეყნების პული (pool) უზრუნველყოფს მსოფლიოს ინოვაციური აქტივობის 95%-ს. საუკეთესო ინოვაციური პრაქტიკა ყოველი ქვეყნის მიერ ყოველწლიურ მოხსენებებში აღწერილია დამოუკიდებლად, ხოლო ყველა ქვეყნებისათვის საერთო "სინთეზური" მოხსენებები აღარ კეთდება.

ინოვაციურობა იზომება კომპოზიციური ინდიკატორის - **ინოვაციების ჯამური ინდექსის** (Summary Innovation Index, SII) დახმარებით, რომელშიც იკრიბება სხვადასხვა მაჩვენებლები. ტაბლო მოიცავს ინდიკატორების 3 ძირითად ტიპს - ფირმების შესაძლებლობებს, საქმიანობასა და შედეგებს, გაერთანებულს 25 მაჩვენებლის მქონე 8 ძირითად ქვეჯგუფში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ევროპული ინოვაციური ტაბლოს 2015 (IUS) მაჩვენებლები

ჯგუფი	ქვეჯგუფი		ინდიკატორები
შესაძლებლობები	ადამინისეული რესურსები	1	მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში 25-34 წლის ასაკის მქონე კურსდამთავრებულთა რაოდენობა (PhD) მოსახლეობის 1000 კაცზე.
		2	30-34 წლის ასაკის უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის პროცენტი მთელ მოსახლეობაში
		3	საშუალო განათლების მქონე 20-24 წლის ასაკის მქონე ახალგაზრდების პროცენტი
	ღია კვლევითი სისტემების მიმზიდველობა და უპირატესობები	4	საერთაშორისო ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციები 1 მილიონ მოსახლეზე
		5	მეცნიერული პუბლიკაციები მსოფლიოში ყველაზე მეტად ციტირებული მეცნიერული პუბლიკაციების 10% -ში, ქვეყნის მთელი მეცნიერული პუბლიკაციების მიმართ
		6	ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების სტუდენტები, ნასპირანტები %-ში ასპირანტების საერთო რაოდენობასთან
	დაფინანსება და სახელმწიფო მხარდაჭერა	7	სახელმწიფო დანახარჯები კვლევებსა და დამუშავებებზე %-ში მშპ-ის მიმართ
		8	ვენჩურული კაპიტალი %-ში მშპ-ის მიმართ
ფირმების საქმიანობა	კომპანიების ინვესტიციები	9	დანახარჯები სკსსს სამეწარმეო სექტორში %-ში მშპ-ის მიმართ
		10	დანახარჯები ინოვაციებზე, რომელიც არ ეკუთვნის სკსსს-ს %-ში საქონელბრუნვის მიმართ
	ურთიერთქმედება და მეწარმეობა	11	მცირე და საშუალო საწარმოების განახლება %-ში მათ საერთო რაოდენობასთან
		12	სხვა მსს კოოპერირებული ინოვაციურ მსს-თან %-ში, მათ საერთო რაოდენობასთან
		13	საზოგადოებრივი და კერძო პუბლიკაციები 1 მილიონ მოსახლეობაზე
	ინტელექტუალური კაპიტალი	14	საპატენტო განაცხადების რაოდენობა, დარეგისტრირებული საპატენტო კოოპერაციის შესაბამისად (Patent Cooperation Treaty, PCI) მილიარდ მშპ მპმ-ის მიხედვით (ევრო)
		15	საპატენტო განკვეთების რაოდენობა სოციალური ამოცანების (ეკოლოგია, ჯანდაცვა) გადასაწყვეტად მილიარდ მშპ-ზე

[268] Innovation Union Scoreboard 2015 http://ec.europa.eu/growth/industry/innovation/facts-figures/scoreboards/files/ius-2015_en.pdf

		16	სავაჭრო მარკები, დარეგისტრირებული ევროკავშირში (და არა ქვეყანაში) მილიარდ მშპ-ზე
		17	სამრეწველო ნიმუშები, დარეგისტრირებული ევროკავშირში (და არა ქვეყანაში), მილიარდ მშპ-ზე
შედეგები (outputs)	ფირმა -ინოვატორების	18	მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტების საერთო რაოდენობაში
		19	მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ მარკეტინგულ ან ორგანიზაციულ ინოვაციებს %-ში მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიქტების საერთო რაოდენობაში
		20	ინოვაციური ორგანიზაციების მაღალი ზრდა (ინდიკატორი ჯერ ჩართული არ არის)
	ეკონომიკური ეფექტი	21	დასაქმება მეცნიერებატევად დარგებში(წარმოება და მომსახურება) %-ში სრულ დასაქმებასთან
		22	საშუალო და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ხვედრითი წილი ექსპორტის საერთო მოცულობაში, %-ში ექსპორტთან
		23	მეცნიერებატევადი მომსახურების ხვედრითი წილი, %-ში ექსპორტთან
		24	ბაზრებისა და ფირმებისთვის ახალი პროდუქციის გაყიდვა %-ში საერთო საქონელბრუნვასთან
		25	საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავალი პატენტებისა და ლიცენზიების გაყიდვიდან, %-ში მშპ-თან

2015 წლების მონაცემებმა აჩვენა, რომ შვეიცამ დაადასტურა თავისი ლიდერობა ინოვაციების სფეროში. შემდეგ მოდიან დანია, ფინეთი, გერმანია - ინოვაციების ევროპელი ლიდერები. 2014 წელთან შედარებით, ინოვაციური საქმიანობის ინდექსი გაიზარდა ევროკავშირის 15 ქვეყანაში. მთლიანად, ევროკავშირის ინოვაციური საქმიანობის ზრდის ტემპმა 1,0%-ით გადააჭარბა 2007 -2014 წლების რვაწლიანი პერიოდის საშუალო მაჩვენებელს.

13 წევრი ქვეყნისთვის ინოვაციური საქმიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდა 2014 წელს, რაც, სავარაუდოდ, ეკონომიკური კრიზისის შედეგია.

ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, სლოვენია და დიდი ბრიტანეთი მოხვდნენ "ლიდერთა მიმდევრების" ჯგუფში, მაჩვენებლით, რომელიც ახლოა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან.

ხორვატიის, კვიპროსის, ჩეხეთის, ესტონეთის, საბერძნეთის, უნგრეთის, იტალიის, ლიტვის, მალტის, პოლონეთის, პორტუგალიის, სლოვაკეთის და ესპანეთის საქმიანობა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის ტოლია ან ჩამორჩება მას. ეს ქვეყნები «ზომიერი ინოვატორები» არიან.

ბულგარეთი, ლატვია და რუმინეთი «მოკრძალებულ ნოვატორებს» მიეკუთვნებიან.

განყოფილებაში "ბენჩმარკინგი გლობალურ კონკურეტებთან შედარებით" - მოყვანილია ევროკავშირის შედარება ზოგიერთ ქვეყანასთან ძირითადი ეკონომიკური კონკურენტებიდან, რომელთა შორისაა: ავსტრალია, ბრიკსის ქვეყნები (ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა), კანადა, იაპონია, სამხრეთ კორეა და აშშ.

სამხრეთ კორეას, აშშ-სა და იაპონიას უპირატესობა აქვთ ევროკავშირის მიმართ. წამყვან ქვეყანას წარმოადგენს სამხრეთ კორეა, მისი ინოვაციების ზრდის ტემპები ევროკავშირთან შედარებით ორჯერ მაღალია. თავის მხრივ, ინოვაციური საქმიანობის მაჩვენებლები ევროკავშირში უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე აშშ-სა და იაპონიაში.

ევროკავშირი აგრძელებს თავის უპირატესობას ავსტრალიის, კანადის და ბრიკსის ყველა ქვეყნის მიმართ, ამ ქვეყნებიდან მხოლოდ ჩინეთმა შეძლო უფრო მაღალი ტემპებით ზრდა, ვიდრე ევროკავშირმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. European Innovation Scoreboard, 2015
2. Regional Innovation Scoreboard, 2014
3. OECD. Science, Technology and Industry Scorecard 2015. Innovation For Growth and Society
4. JOHNSON Cornell University, INSEAD, and World Intellectual Property Organization (WIPO): The Global Innovation Index 2015
5. IMD World Competitiveness Yearbook 2015 Results

6. Gogodze, Joseph. Composite indicator ECAICI and positioning of Georgia's innovative capacities in Europe-Central Asia Region. 2013. MPRA Paper

Nata Davlasheridze

INDICATORS AND INDICES OF INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE EUROPEAN UNION

Annotation

The article discusses the measures and statistical indicators allowing EU countries to define leaders and outsiders of innovative development, to make an assessment of innovative activity in comparison with the main competitors – the USA and Japan, to reveal and make use of the best experience. At the same time it is noted that the problem of unambiguity of estimates of innovative development can't be considered as the solved.

რამაზ აბესაძე

ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში

ინოვაცია (ინგლისურად *innovation*) ლათინური "novatio"-დან წარმოდგება, რაც "განახლებას" ნიშნავს. "In" წინსართი კი ლათინურად ითარგმნება, როგორც "მიმართულებით". მაშასადამე, სიტყვა სიტყვით "Innovatio" ნიშნავს – "განახლების მიმართულებით". მართლაც, ინოვაციის მთავარი არსი მდგომარეობს განახლებაში, უფრო პროგრესულის დანერგვაში. ეკონომიკაში ტერმინი ინოვაცია პირველად ავსტრიელმა ეკონომისტმა ჯოზეფ შუმპეტერმა შემოიტანა, თუმცა, არსობრივად, სხვა ტერმინით იგი მანამდეც გამოიყენებოდა. ადამ სმითი მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმის ორგანიზაციული მექანიზმის როლს ასრულებს არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკა, არამედ კონკურენცია, რომელიც აიძულებს მეწარმეს აამაღლოს ეფექტიანობა ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლით[269], ანუ ახლანდელი ტერმინოლოგიით - ინოვაციების მეშვეობით.

ნ. კონდრატიევმა თავის თეორიაში კონიუნქტურის დიდი ციკლების შესახებ დაასაბუთა დიდი ციკლების არსებობა 50-60 წლიანი ხანგრძლივობით. მისი აზრით, დიდი ციკლის აღმავალი ტალღის დაწყების წინ ხდება ღრმა თვისებრივი ცვლილებები საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში, რომელიც გამოიხატება ტექნიკასა და ტექნოლოგიებში მომხდარი არსებითი სიახლეებით, როგორც წარმოების, ისე გაცვლის სფეროში[270]. რასაკვირველია, ამ ცვლილებებში იგულისხმება ინოვაციების განხორციელება ეკონომიკაში.

კონდრატიევის ციკლი მოიცავს 4 ფაზას – გამოცოცხლება და აღმავლობა (აღმავალი სტადია), დაცემა და დეპრესია (დაღმავალი სტადია). გერმანელმა მკვლევარმა ერჰარდ მენშმა უჩვენა, რომ ინოვაციური პროცესი იწყება სწორედ კონდრატიევის ციკლის დეპრესიის ფაზაში[271]. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან აღმავლობის ფაზაში ახალი ინოვაციები ჯერ მხოლოდ ახლა იკრებს ძალას, დეპრესიის ფაზაში ისინი მოძველებულნი არიან და საჭიროა მათი ახლით შეცვლა, რასაც ნათლად გრძნობს ბიზნესიც და სახელმწიფოც.

მიგვაჩნია, რომ გრძელი ტალღების არსებობა უდავოა, მაგრამ მისი პერიოდულობა შეიძლება დაარღვიოს დიდმა აღმოჩენებმა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებაში. მაგალითად, ახლა მიიჩნევა, რომ მსოფლიო ეკონომიკა იმყოფება დაღმავლობის სტადიაში[272], მაგრამ თუ ათვისებული იქნება თერმობირთვული რეაქცია მშვიდობიანი მიზნით ან ლითონის ზეგამტარობის თვისების გამოყენება ეკონომიკურად შესაძლებელი გახდება, დაღმავლობის სტადია შემცირდება. საერთოდ, ინოვაციების სასიცოცხლო ციკლი თანდათან მცირდებოდა სამრეწველო რევოლუციის შემდეგ 90 წელიწადიდან 25 წლამდე დღეისათვის. ინოვაციების დიფუზიის პერიოდი დღეისათვის გრძელდება 25-30 წელი[273]. ამასთან, ინოვაციების გავრცელება (დიფუზია) არ ხდება სწორხაზობრივად, თავდაპირველად დიფუზია მიმდინარეობს მზარდი სიჩქარით, ხოლო შემდეგ იწყება სიჩქარის შემცირება და სრულდება ბაზრების გაჯერება ინოვაციებით[274].

---

[269] *Смит А.* Исследование о природе и причинах богатства народов. — М.: Эксмо, 2007.

[270] Кондратьев Н. Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М.: Экономика, 2002.

[271] **Mensch G.** Stalemate in Technology- Innovations Overcame the Depression – New York: Ballinger Publishing Company, 1979.

[272] **Яковец Ю.В.** Эпохальные инновации XXI века. – М: «Экономика», 2004.

[273] **Hiroka M.** Innovation Dynamism and Economic Growth. A Nonlinear Perspective. – Cheltenham, UK – Northampton, MA, USA^ Edward Elgar, 2006.

[274] **Мэнсфилд Э.** Экономика научно-технического прогресса. – М.: «Прогресс», 1970.

გარდა კონდრატიევის გრძელი ტალღებისა, არსებობს ს. კუზნეცის "საშუალო ტალღები" (18-25 წელი)[275], კ. ჟუგლიარის ასევე საშუალოვადიანი ციკლი (7-11 წელი)[276] და ჯ. კიტჩინის მოკლე ციკლები[277] (2-3 წელი).

ს. კუზნეცი "საშუალო ტალღებს" უკავშირებდა დემოგრაფიულ ცვლილებებს, მაგრამ ამ შეხედულებას არ იზიარებენ და თვლიან, რომ ის არის ტექნოლოგიური ციკლი, რომლის დროსაც მიმდინარეობს ძირითადი ტექნოლოგიის მასიური განახლება[278]. მაშასადამე, მას იქვს ინოვაციური ხასიათი, ამიტომ იგი კარგად ემთხვევა კონდრატიევის ციკლებს.

კ. ჟუგლიარის ციკლი დაკავშირებულია როგორც ძირითადი საწარმოო სიმძლავრეების, ასევე ძირითად კაპიტალში ინვესტიციების რხევებთან.

ჯ. კიტჩინის მოკლე ციკლები არ არის დაკავშირებული ინოვაციებთან და იგი გამოწვეულია დროის ლაგის, ინფორმაციის მიწოდების შეფერხების გამო ფირმებისათვის.

სოციოკულტურულ სფეროში ინოვაციური განვითარების საფუძვლები შექმნა პ. სოროკინმა. მისი აზრით, კულტურის რომელიმე ტიპის გაბატონება განსაზღვრავს ყოველი საზოგადოების დამახასიათებელ ნიშნებს, სტრუქტურის თავისებურებებს, დინამიკას[279].

როგორც აღვნიშნეთ, პირველად ტერმინი "ინოვაცია" ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოიტანა ჯოზეფ შუმპეტერმა, რომელმაც განავითარა ნ. კონდრატიევის თეორია ინოვაციების შესახებ. იგი განიხილავს 5 ახალ კომბინაციას, რომელსაც უნდა ახორციელებდეს საწარმო. ეს კომბინაციებია: 1. მომხმარებლისათვის ჯერ კიდევ უცნობი სიმდიდრის დამზადება ან რომელიმე ახალი ხარისხის მქონე სიმდიდრის შექმნა; 2. წარმოების ახალი, ჯერ კიდევ უცნობი მეთოდის დანერგვა; 3. გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ეს ბაზარი; 4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროების ათვისება, დამოუკიდებლად იმისა, არსებობდა ის მანამდე, თუ არა; 5. შესაბამისი რეორგანიზაციის განხორციელება[280]. მან ინოვაციების განხორციელება მეწარმის საქმიანობას დაუკავშირა. შუმპეტერის მიერ მეწარმეობის (და მეწარმის) არსის გახსნის შემდეგ მეწარმეობრივი უნარი აღიარებული იქნა წარმოების მეოთხე ფაქტორად, მოგება კი მეწარმის და არა კაპიტალის შემოსავლად, როგორც ეს ჟ. ბ. სეის სამფაქტორიან მოდელში ითვლებოდა.

შუმპეტერი მეწარმეებს უწოდებდა სწორედ იმ სამეურნეო სუბიექტებს, რომელთა ფუნქციაა ახალი კომბინაციების (ანუ ინოვაციების) განხორციელება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ი. შუმპეტერის შემდეგ ეკონომიკურმა თეორიამ და პრაქტიკამ დიდი ცვლილებები განიცადა, მის „ახალ კომბინაციებს" უნდა დაემატოს შემდეგი კომბინაციები: 6. ინსტიტუციების სრულყოფა (მიკროდონეზე); 7. ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფა; 8. მაღალი ტექნოლოგიების შექმნა (ან ათვისება); 9. ინფორმაციის სრულყოფა.

მნიშვნელოვანი წვლილი ინოვაციის თეორიის განვითარებაში ეკუთვნის ინგლისელ მეცნიერს ჯონ ბერნალს. იგი მიუთითებს, რომ მეცნიერებაში აყვავების პერიოდები ემთხვევა ეკონომიკური აქტივობის ზრდას და ტექნიკურ პროგრესს, როგორც ინოვაციების გამოყენების შედეგი[281].

განავითარა რა ჯ. შუმპეტერისა და ჯ. ბერნალის იდეები, ნობელის პრემიის ლაურეატმა სეიმონ კუზნეცმა კიდევ უფრო გაამდიდრა ინოვაციების თეორია. მან შემოიტანა ეპოქალური ინოვაციების ცნება, რომ სწორედ მათი მეშვეობით ხდება ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორეზე გადასვლა და რომ ეკონომიკური ზრდის ახალი წყარო გახდა მეცნიერების დაჩქარებული განვითარება[282].

ბ. ტვისი მიუთითებს ინოვაციური საქმიანობის შემოქმედებით ხასიათზე, როდესაც გამოგონება და სამეცნიერო იდეა იძენენ ეკონომიკურ შინაარსს[283]. საინტერესოა აკადემიკოს ა. ანჩისკინის მოსაზრებები, რომელსაც მიაჩნია, რომ უნდა გამოიყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამი ეპოქალური გადატრიალება (სამი სამრეწველო რევოლუცია): პირველი – XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასასრულის; მეორე XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედისა და XX საუკუნის დასასრულის; მესამე, რომელიც დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან[284].

ინოვაციების არსის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ კლასიფიკაციას. XX საუკუნის 30-იან წლებში ა. პიგუს, ჯ. შუმპეტერისა და კ. ვიკსელის მიერ გამოყოფილი იქნა

---

[275]Kuznets S. Secular Movements in Production and Prices. Their Nature and their Bearing upon Cyclical Fluctuations. Boston: Houghton Mifflin, 1930.

[276] Des Crises commerciales et leur retour periodique en France, en Angleterre, et aux Etats-Unis Paris: Guillaumin, 1862

[277] Kitchin, Joseph (). «Cycles and Trends in Economic Factors». *Review of Economics and Statistics* **5** (1): 10–16,1923.

[278] Forrester J. W. New Perspectives on Economic Growth. *Alternatives to Growth — A Search for Sustainable Futures* / Ed. by D. L. Meadows. Cambridge, MA: Ballinger, 1977. P. 107—121.

[279] Сорокин П. С. Социальная и культурная динамика. 2000.

[280] Шумпетер Й. А. Теория экономического развития. М.: Прогресс, 1982

[281] Бернал Дж. Наука в истории общества. М.: ИЛ – 1956.

[282] Simon Kuznetz, «Modern economic growth: Findings and reflections», Nobel lecture delivered in Stockholm, Sweden, December 1971 and published in the American Economic Review 63 (September 1973).

[283] Твисс Б. Управление научно-техническими нововведениями. М.: Экономика, 1989.

[284] Анчишкин А.И. Наука-Техника-Экономика. М.: Экономика - 1986

შრომისდამზოგი, კაპიტალდამზოგი და ნეიტრალური ინოვაციები. შემდგომში მათ დაემატა ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, ეპოქალური, ბაზური, მიკრო, ფსევდო, ანტიინოვაციები და სხვ[285].

ინოვაციების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასევე ადამ იაფემ, ჯ. ლარნერმა, ს. შტერნმ, ა. გამბარელამ, ა. არორამ, კ. მაკონელმა, ლ. ბრიუმ, მ. გიარატანამ, ა. პაგანომ, მ. ტოდარომ, ბ. კუზიკმა, ი. იაკოვეცმა და სხვებმა[286].

ინოვაცია არ არის რაღაც დამოუკიდებელი ქმედება. მის განხორციელებას ემსახურება საბაზრო მექანიზმი და სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა, ქვეყანაში არსებული მთელი ინოვაციური სისტემა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ინოვაციები მეცნიერთა, გამომგონებელთა, მეწარმეთა, ნოვატორთა, სახელმწიფო მოხელეთა დაუღალავი შრომის შედეგია. თუმცა მამოძრავებელი ძალა არის კონკურენცია და ადამიანთა ლტოლვა უკეთესი მერმისისათვის.

საზოგადოების პროგრესი განუყრელადაა დაკავშირებული ინოვაციებთან. ინოვაციები არსებობდა ნებისმიერი ფორმაციის დროს და მან განაპირობა არნახული პროგრესი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროსა და ყოფაცხოვრებაში. სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება ტექნოლოგიური პროგრესი, რომელსაც მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან წარმოების პროცესში, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი, როგორც ფიზიკურ კაპიტალში, ასევე წარმოების ორგანიზაციის ფორმებში, ადამიანისეულ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, ინსტიტუციებში, ადამიანთა ცოდნაში, უნარ-ჩვევებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა.შ.

ინოვაციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის კონკურენციაში გამარჯვების იარაღი. მაგრამ მან თანამედროვე ეტაპზე გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. იგი არის გლობალური პრობლემების (ეკოლოგიური, სიღარიბის, სასურსათო და სხვ.) გადაჭრის უმთავრესი საშუალება.

ინოვაციებს ადგილი აქვს ნებისმიერი წყობილების დროს, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ინოვაციები ღებულობენ უწყვეტ ხასიათს და ხდებიან განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს პროცესები მსოფლიოში დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. ამიტომაა, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკას **ინოვაციურ ეკონომიკას** უწოდებენ.

ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. მეცნიერება, გამოგონება, ინოვაცია ასეთ ეკონომიკაში განვითარების ერთიან ორგანულ ფაქტორს წარმოადგენს.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ქვეყნის საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება. პირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რაც, მაგალითად, ითვალისწინებს ისეთი კანონების მიღებას როგორიცაა: კანონები ინოვაციების; ინოვაციური საქმიანობის; მეცნიერების; განათლების; პატენტის შესახებ და მრავავალი სხვ. ქვეყნის საინოვაციო პოლიტიკაზე მნითვნელოვან გავლენას ახდენს ამ სფეროში არსებული საერთაშორისო რეგულაციები, მაგალითად: მსოფლიო დეკლარაცია ინტელექტუალური საკუთრების შესახებ; ევროპის დეკლარაცია საპატენტო დეკლარეციის შესახებ; ევროპის საპატენტო დეკლარეცია და სხვ. საქართველოზე განსაკუთრებულ გავლენას მოახდენს ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილია შეთანხმება ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, უმთავრესია მასში სახელმწიფოს, მეცნიერებისა და ბიზნესის მჭიდრო კავშირი, ინოვაციების გავრცელების მხარდაჭერა ყველა დონეზე (მთელი კავშირი, რეგიონი, საწარმო) და ყველა სფეროში (მრეწველობა, სოფლის ეკონომიკა, ტრანსპორტი კავშირგაბმულობა და ა. შ.). იგი მოიცავს ათასობით ღონისძიების განხორციელების მოთხოვნებს

2. საინოვაციო სისტემის შექმნა. საინოვაციო სისტემა თავისთავად მოიცავს: შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემას, კონკურენტულ მეწარმეობას, საინოვაციო ინფრასტრუქტურას და სხვ. სახელმწიფომ საინოვაციო პოლიტიკის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ინოვაციების განხორციელებისათვის წამახალისებელი გარემო, მოახდინოს

---

[285] Блауг М. Экономическая мысль в ретроспективе. Пер. с англ., 4-е изд. – М.: «Дело Лтд», 1994.

[286] მაგალითად: Innovation Policy and the Economy, Volume 5, National Bureau of Economic Research, Adam B. Jaffe, Josh Lerner, and Scott Stern: The MIT Press, Cambridge, Massachusetts – 2005; Arora A. and Gambardella A.: " Bridging the Gap". In A. Aurora and A. Gambardella, eds., From Underdogs to Tigers: The Rise and Growth of the Software Industry in Some Emerging Economies. Oxford, UK: Oxford University Press. - 2005; Макконнелл К.Р., Брю С.Л. Экономикс: Принципы, проблемы и политика. В 2т.: Пер. с англ. – М. 1997 Т.2; Giarratana M., Torrisi S., and Alessandro Pagano: "The Role of MNCs in the Evolution of the Software Industry in India, Ireland and Israel". In A. Aurora and A. Кузык Б.Н., Яковец Ю.В. Россия – 2050: стратегия инновационного прорыва. – М.: ЗАО «Издательство Экономика», 2004.

ინოვაციების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დაფინანსება (შეღავათები, საგადასახადო შეღავა-თები, რისკების დაზღვევა და სხვ.) საინოვაციო სისტემამ უნდა შეძლოს ინოვაციების გენერირება ან იმპორტი (გარე ინოვაციების დიფუზია ეროვნულ ეკონომიკაში). საქართველოში ინოვაციურ განვითარებას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. შესაბამისი გამოკვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით ვითარდება არაინოვაციური გზით. წინა ხელისუფლება ამას ხსნიდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის უპირატესობით, რომ, თითქოს, მხოლოდ საბაზრო მექანიზმმა უნდა მოაწესრიგოს ეკონომიკის ყველა სფერო. ჯერ ერთი, ჩვენს ქვეყანაში ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა არ არსებობდა, ვინაიდან მასში უხეშად ერეოდა სახელმწიფო და, მეორეც, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა სრულიადაც არ გამორიცხავს სახელმწიფოს აქტიურ ეფექტიან ჩარევას ეკონომიკაში. პირიქით, სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები ეკონომიკის სწორი მიმართულებით განვითარებისა. ამჟამად სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ქვეყნის ინოვაციური განვითარების აუცილებლობა, მაგრამ რეალური ნაბიჯები, მცირედი გამონაკლისებისა არ ხორციელდება.

3. სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება. დამოუკიდებელ საქართველოში **არც** მეცნიერების განვითარებას ექცეოდა ყურადღება. პირიქით, ეკონომიკურმა დაქვეითებამ და ამ სფეროში წინა ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი: მოშლილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; წლების განმავლობაში მხოლოდ მეცნიერებს ჰქონდათ ყველაზე დაბალი (სიმბოლური) ხელფასი; კატასტროფულად შემცირდა მეცნიერთა რაოდენობა, ბევრმა მოწინავე მკვლევარმა თავი დაანება მცნიერულ საქმიანობას და სხვა სფეროში გადავიდა სამუშაოდ; კატასტროფულად გაუარესდა მეცნიერთა ასაკობრივი სტრუქტურა, ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებული სამეცნიერო საქმიანობით; მსოფლიოში თითქმის ყველაზე დაბალია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერების დაფინანსების ხვედრითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში და ა.შ.

ამჟამად სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება მეცნიერებისადმი გაიზარდა (ამაღლდა ხელფასები, ტარდება რეფორმები მეცნიერების ინსტიტუციური მოწყობის მიმართულებით), მაგრამ აშკარად არასაკმარისია. აუცილებელია მატერიალური უზრუნველყოფის გაზრდა, რისთვისაც კვლავ უნდა ამაღლდეს ხელფასები, გაძლიერდეს საგრანტო სისტემა, მოწესრიგდეს სამუშაო ადგილები და ა. შ.

რაც ყველაზე მთავარია, უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის. ამ მიმართულებით გადამწყვეტი სიტყვა სახელმწიფოს ეკუთვნის.

4. გათლების სისტემას სრულყოფა. მიუხედავად ამ სფეროში განხორციელებული დადებითი რეფორმებისა, ნაკლოვანებები მაინც არსებობს. იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის ორიენტირებული ცოდნასა და ეკონომიკის განვითარების მოთხოვნაზე. განათლების მიღება ვერ გახდა მომავალში შემოსავლის ზრდის გარანტირებული საშუალება. განუვითარებელი და არაეფექტურია კადრების გადამზადების სისტემა და სხვ.

5. საინოვაციო ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში საინოვაციო ინფრასტრუქტურა თითქმის არ არსებობს (რაც არსებობს ისიც არაეფექტიანად ფუნქციონირებს, საერთოდ ქვეყანაში სუსტი საინოვაციო გარემოს არსებობის გამო). საინოვაციო ინფრასტრუქტურაში მოიაზრება ტექნოპარკები; ბიზნეს-ინკუბატორები; ინოვაციური ტექნოლოგიური ცენტრები; კონსალტინგური ფირმები; ინოვაციური, სატელეკომუნიკაციო ქსელები; ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის, ვენჩურული კაპიტალი და სხვ. მათ გარეშე შეუძლებელია კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემა.

6. სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემის სრულყოფა. საქართველოში წლების განმავლობაში ინგრეოდა ეს სისტემა და ამჟამად დაბალგანვითარებულია, ესენია: სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურები, საკონსულტაციო ცენტრები, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტროლოგიური, სეისმოლოგიური, სამოდელო, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. სამსახურები.

7. ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმების ამოქმედება. საქართველოში არსებობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანის დამამუხრუჭებელი მრავალი ფაქტორი - ცოდნის უქონლობა, პოლიტიკური ნებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის არარსებობა, ფინანსური რესურსების სიმწირე, პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა და სხვ. ამიტომ აუცილებელია ისეთი მექანიზმების შემოღება რომელიც შექმნის ინოვაციების იმპორტისათვის ხელსაყრელ პირობებს. ინოვაციური სისტემას არსებობა აუცილებელია არა მხოლოდ საკუთარი კვლევით ინოვაციების განსახორციელებლად, არამედ არაკვლევითი ინოვაციების განსახორციელებლადაც – მსოფლიოში შექმნილი ახალი ტექნოლოგიების შესახებ იმფორმაციის მიღება, შემოტანილი ტექნოლობიების მომსახურე კადრების მომზადება, აუცილებელი ფინანსური სახსრების არსებობა და ა, შ.

8. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დაჩქარება. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მცირე საწარმოებს გრანდიოზული როლის შესრულება შეუძლიათ ინოვაციების შექმნის საქმეში, ამიტომ მათი სახელმწიფო მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია ინოვაციების

განვითარებისათვის ქვეყანაში. ინოვაციაზე ორიენტირებულ მცირე საწარმოებს ინოვაციურ მცირე საწარმოებს უწოდებენ. საქართველოში საერთოდ არ არსებობს ასეთი ცნება და, ბუნებრივია არ არსებობს მცირე ინოვაციურ საწარმოთა მხარდაჭერის სახელმწიფო ინფრასტრუქტურა.

9. რეგიონული საინოვაციო საქმიანობის გამოცოცხლება და განვითარება. განსაკუთრებით ჩამკვდარია ინოვაციური საქმიანობა საქართველოს რეგიონებში. ჩენტრალური ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეუძლიას შეასრულონ მმართველობის ორგანოება.

10. დონორების მიერ განხორციელებული პროექტების დანერგვის მხარდაჭერა. საქართველოში მნისვნელოვანი პროექტები სრულდებოდა დონორების მიერ, მაგრამ მათი კომერციალიზაცია თითქმის არ ხდებოდა, უშედეგოდ იხარჯებოდა მნიშვნელოვანი ფინანსური და ინტელექტუალური სახსრები. ამიტომ მომავალში უნდა განხორციელდეს ისეთი პროექტები, რომელთა დანერგვა წარმოებაში აუცილებლად მოხდება.

11. კონკურენტუნარიანი მეწარმეობის განვითარება. ინოვაციების დანერგვა სწორედ ცალკეულ საწარმოებში ხორციელდება. ინოვაციების გაძლიერებაში აქ დიდ როლს თამაშობს კონკურენცია, ვინაიდან კონკურენციულ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც ნერგავს ინოვაციებს – იყენებს ახალ ტექნოლოგიებს, წარმოების ფორმებსა და მეთოდებს, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და აიაფებს მას. ამდენად, კონკურენტული მეწარმეობის განვითარება ინოვაციური სისტემას ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

12. სოფლის ეკონომიკის ინოვაციური განვითარება. ცნობილია, რომ საქართველოს სოფლის ეკონომიკა განვითარების მეტად დაბალი დონით ხასიათდება. თუ აქ შენარჩუნებული იქნა ძველი ტექნოლოგიები და წარმოების წესი, მნიშვნელოვანი წარმატებები მიღწევა შეუძლებელი იქნება. ეკონომიკის ეს სფეროც განვითარების ინოვაციურ გზას უნდა დაადგეს და ქვეყნის ეროვნული ინოვაციური სისტემას შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. დღევანდელი ნატურალური მეურნეობა სასაქონლო წარმოების წესით უნდა შეიცვალოს, სადაც იფუნქციონირებენ მაღალტექნოლოგიური ფერმები, რომლებიც თითქმის არაფრით არ იქნებიან განსხვავებული სამრეწველო და ფირმებისაგან.

13. საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემის განვითარება. საქართველოში თითქმის არ ხორციელდება საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციები, ქვეყანა რომ კონკურენტუნარიანი გახდეს მას უნდა გააჩნდეს საკუათარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემა.

Ramaz Abesadze

INNOVATIONS AND GENERAL DIRECTIONS OF FORMATION OF INNOVATIVE ECONOMY IN GEORGIA

Annotation

Meaning of innovations and innovative economy is conveyed and general directions of formation of innovative economy in Georgia are offered.

სხვა სამეცნიერო ნაშრომები

თენგიზ აფხაზავა
ქეთევან გოლეთიანი

ევროპა-აზიის ახალი საავტომობილო ინიციატივა (NELTI)

საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირმა **(International Road Transport Union – IRTU) TRACECA**-თან ერთად 2006 წელს შეიმუშავა და პრაქტიკულად ახორციელებს ახალ პროექტს – „ახალი ევროაზიის საავტომობილო ინიციატივა" **(New Eurasian Land Transport Initiative – NELTI).** პროექტი მიზნად ისახავს ჩინეთსა და ევროპას შორის რეგულარული საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთბრუნვის გაზრდას და ცენტრალური აზიის, კავკასიის და სხვა ქვეყნებში სატრანსპორტო მომსახურების სერვისის შექმნას. პროექტის განსახორციელებლად, საწყის ეტაპზე, საავტომობილო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვებისათვის შეირჩა სამი მარშრუტი: ჩრდილოეთის, ცენტრალური და სამხრეთის.

ჩრდილოეთის მარშრუტი ითვალისწინებდა ტვირთების გადატანას უზბეკეთიდან, ყაზახეთის და რუსეთის გავლით ევროკავშირის ქვეყნებში, ცენტრალური მარშრუტი – ცენტრალური ჩინეთიდან ყირგიზეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით ევროკავშირის ქვეყნებში, ხოლო სამხრეთის მარშრუტი – ყირგიზეთიდან, უზბეკეთის, თურქმენეთის და ირანის გავლით თურქეთში. პროექტით ტვირთების გადაზიდვა სამივე მარშუტებზე დაგეგმილი იყო 2008 წლის შემოდგომაზე, მაგრამ რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის გამო ცენტრალურ მარშრუტზე განხორციელდა მხოლოდ ერთი სატვირთო გადაზიდვა და ისიც საქართველოს გვერდის ავლით, კერძოდ, ტვირთის აზერბაიჯანიდან ევროპაში ტრანსპორტირება მოხდა ირანისა და თურქეთის ტერიტორიების გავლით. ამავე მიზეზით ცენტრალურ მარშურტზე დაგეგმილი ძირითადი ტვირთების ტრანსპორტირება ჩრდილოეთის მარშრუტზე მიმდინარეობდა ბელორუსის გავლით ევროკავშირში 2008 წლის 16 დეკემბრის მონაცემებით, ჩრდილოეთის მარშრუტით განხორციელდა 24, ცენტრალური მარშრუტით – 1 და სამხრეთის მარშრუტით – 16 სატვირთო გადაზიდვა.

გადაზიდული ტვირთი მრავალფეროვანია. გადაიზიდა როგორც სასურსათო პროდუქცია (საკონდიტრო ნაწარმი, შაქარი, ბოსტნეული, ხილი და სხვ.) და ნახევარფაბრიკატები (რეზინი, შალი, ქსოვილი, ბამბა და სხვ), ასევე დიპლომატიური და სამხედრო ტვირთები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ელექტრომოწყობილობები და დანადგარები.

სურათი 1. ჩრდილოეთის მარშრუტი

სურათი 2. ცენტრალური მარშრუტი

პროექტის განხორციელებისას, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული სირთულეები საზღვრების გადალახვის მომენტში წარმოიქმნა. ზოგიერთ საბაჟო გამშვებ პუნქტში კორუფციის მაღალი დონე დაფიქსირდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა რუსეთ-ლატვიის, ყირგიზეთ-უზბეკეთის და ყაზახეთ-რუსეთის სასაზღვრო გამშვები პუნქტები.განსაკუთრებით აღსანიშნავია ყაზახეთ-რუსეთის საზღვარი, სადაც რუსეთის საბაჟო თანამშრომლებმაგააჩერეს პროექტში მონაწილე რამდენიმე სატვირთო ავტომობილი ნარკოტიკების ძებნის საბაბით, თუმცა ნარკოტიკების არსებობა არც ერთ ავტომობილში არ დაფიქსირებულა. სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე სატვირთო ავტომობილების გაჩერებით წარმოქმნილი დამატებითი ხარჯები აწვებოდა გადამზიდველებს. ასევე სირთულეები დაფიქსირდა ბელორუსის სასაზღვრო პუნქტის გავლისა და ტვირთის ბელორუსის ტერიტორიაზე გატარებისას, რაც ბელორუსის მთავრობის მიერ ტვირთის გადაზიდვის წესების ცვლილებების შესახებ გადამზიდველი კომპანიებისათვის ინფორმაციის მიუწვდომლობამ განაპირობა. ასევე პრობლემა დაფიქსირდა კასპიის ზღვაზე ავტომობილის საბორნე გადაზიდვისას. კასპიის ზღვაზე არსებული საბორნე გადაზიდვები ძირითადად ემსახურება სარკინიგზო ეშელონების გადაზიდვებს და საავტომობილო სატვირთო გადაზიდვები ფაქტიობრივად, არ ხორციელდება.სამთავრობო სტრუქტურების ჩართვის შემდგომ ეს პრობლემა გადაწყდა. ამასთან, წარმოქმნილი პრობლემის დარეგულირების მიზნით, 2008 წლის 23 დეკემბერს აზერბაიჯანის სახელმწიფო კასპიის ზღვის სანაოსნოსა და **IRTU**-ს შორის ხელი მოეწერა გარიგების მემორანდუმს, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანის სანაოსნომ აიღო ვალდებულება, კასპიის ზღვის ქალაქებს – თურქმენბაშს, აქტაუს და ბაქოს შორის უზრუნველყოს სატვირთო ავტომობილების საბორნე გადაზიდვები.

სურათი 3. სამხრეთი მარშრუტი

ამრიგად, ყველაზე მეტი სატვირთო გადაზიდვების რაოდენობის მიუხედავად, ჩრდილოეთის მარშრუტი ყველაზე მძიმე და კორუფციულ მარშრუტად გამოიკვეთა. ამ მარშრუტზე დაფიქსირდა თანხის არაოფიციალური შეკრების (გამოძალვის) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და ის 1,67-ჯერ აღემატება ოფიციალურ ხარჯს. აღნიშნულიმაჩვენებელი სამხრეთის მარშრუტზე 57,9%-ია, ხოლო ცენტრალურ მარშრუტზე მხოლოდ 7%. მიუხედავად 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა (აზერბაიჯანიდან ევროკავშირში ტვირთის ტრანსპორტირება განხორციელდა ირანისა და თურქეთის გავლით), ცენტრალური მარშრუტი ყველაზე ეკონომიური და ნაკლებად კორუფციულია.

აღნიშნული მარშრუტის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტორები:

❖ საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე კორუფცია თითქმის აღმოფხვრილია და ტვირთების გაჩერება ფაქტობრივად არ ხორციელდება, ხოლო საქართველოს საპატრულო პოლიციის მუშაობა შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს (არ წარმოებს უმიზეზოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გაჩერება);

❖ აზერბაიჯანიდან ირან–თურქეთის ნაცვლად სატვირთო გადაზიდვები განხორციელდება საქართველოს გავლით, შავი ზღვის საბორნე გზით (როგორც ითვალისწინებს ცენტრალური მარშრუტი) და პირდაპირ შევა ევროკავშირის ქვეყნებსა (რუმინეთი, ბულგარეთი და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები) და უკრაინის პორტებში, რაც საგრძნობლად შეამცირებს მანძილს;

❖ შავ ზღვაზე საქართველოს, უკრაინისა და ევროკავშირის ქვეყნების (რუმინეთი, ბულგარეთი) პორტებს შორის არალეგალურად ხორციელდება საბორნე მიმოსვლა;

❖ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კასპიის ზღვაზე სატვირთო ავტომობილების საბორნე გადაზიდვის საკითხი ფაქტობრივად, დადებითადაა გადაწყვეტილი. მოსალოდნელია ცენტრალურ მარშრუტზე სატვირთო საავტომობილო გადაზიდვების მატება და ისტორიული აბრეშუმის გზით ავტოსატრანსპორტო სატვირთო გადაზიდვების ინტენსივობის და, შესაბამისად, სატრანზიტო ტვირთების რაოდენობის ზრდა. ამისათვის კი აუცილებელია საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო ინტეგრირება ევროკავშირის საავტომობილო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურასთან.

სატრანსპორტო სექტორის და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განვითარება პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო ტვირთების მოცულობის ზრდასთან, ხოლო ამ უკანასკნელის განვითარება დამოკიდებულია გარკვეულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპექტებსა და გარემოებებზე, კერძოდ, ეკონომიკის განვითარება და გადაზიდვების მოცულობის ზრდა, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, წარმოუდგენელია მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურის გარეშე. ეს ეხება როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა საბაზისო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, ძირითადად ავტომაგისტრალებზე უსაფრთხო და მაღალი გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გზების მახასიათებლების დაახლოება საერთაშოროსო მოთხოვნებთან, ყოველწლიურად ჩასატარებელია გზების ინფრასტრუქტურის მოვლის, რეაბილიტაციის, განვითარებისა და მშენებლობის სამუშაოები.

აუცილებელია ყველა რაიონულ ცენტრთან, ძირითად საკურორტო, ისტორიულ, კულტურულ ძეგლებსა და მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი გზების სრული რეაბილიტაცია, ასევე, გზების დიზაინის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. აუცილებელია დაზიანებული და შემდგომ რეაბილიტირებული მონაკვეთების მონიტორინგი და სახიდე გადასასვლელების და სხვა ხელოვნური ნაგებობების აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების უწყვეტად გაგრძელება. უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, საჭიროა ავტომაგისტრალების და გზების გასწვრივ განლაგებულ კომერციულ და სერვისულ ობიექტებთან მისასვლელი მეორეხარისხოვანი გზების შესაბამისობაში მოყვანა, ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის დინამიკის მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი, კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია, სისტემის სტანდარტიზაცია, უმნიშვნელოვანესია სატრანზიტო გადასახადების და მოსაკრებლების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი და რეგულირება და ა.შ.

პრიორიტეტები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის და საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის გაზრდას, არის თანამშრომლობის განმტკიცება ევროპისა და მეზობელ სახელმწიფოებთან, საზღვრის გადაკვეთის პროცედურების გამარტივება, საგზაო გადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და განმტკიცება შერჩევითი ღონისძიებებისა და რეფორმების გატარებით ტრანსპორტის სფეროებში, საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული საკითხების მოწესრიგება მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას აღმოსავლეთ-დასავლეთი დერეფნის სატრანზიტო მომსახურების განვითარების საქმეში და საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის მატების შესაძლებლობებს საქართველოში საგრძნობლად გაზრდის.

ევროკავშირში სულ უფრო მეტად ხდება შავი ზღვისა და კასპიისპირეთის რეგიონის მნიშვნელობის გაცნობიერება, მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის კუთხით.

ცივილიზებული მსოფლიო უკვე აკეთებს აქცენტს პოლიტიკის ჰარმონიზაციასა და ადმინისტრაციული სისტემების ინტეგრაციაზე, როგორც საქართველოს სატრანსპორტო ღერძების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და პრიორიტეტული პროექტების განხორციელების ფაქტორზე. აქედან გამომდინარე, ეს პერსპექტივა დასაბუთებულ მოლოდინს აჩენს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის აღქმისათვის.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი განუზომლად დიდია და მის გასამყარებლად მომავალშიც ბევრი ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი. საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და შიდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა, საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის ეფექტიანად გამოყენება, სატრანზიტო პროექტების სრულყოფილი რეალიზაცია სატრანსპორტო ტვირთების მოცულობის გაზრდას და ამ მიმართულების სრულყოფას გამოიწვევს. რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურებში და რეგიონის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველო, როგორც ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის მონაწილე ქვეყანა, მაქსიმალურად დაინტერესებული უნდა იყოს არა მარტო საკუთარი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებით, არამედ სხვა ქვეყნებშიც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კოორდინაციაში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს მეზობელი ქვეყნების ტვირთების გატარებას ან პირიქით – მეზობელი ქვეყნების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს საქართველოდან სატრანზიტო ტვირთების გატრებას, მაშინ ნებისმიერ მონაკვეთზე არსებული წინააღმდეგობა საზიანო იქნება მთლიანად სატრანსპორტო დერეფნისათვის. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, აისახება საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მიმზიდველობაზე.

სურათი 4. TRACECA-ს კორიდორი

ტრასეკას პროგრამის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შესამუშავებელია ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის ერთიანი ხედვა, რომელიც საფუძვლად დაედება ტრანსპორტის ყველა სახეობის მდგრადი განვითარების ამოცანებთან შეჯერებულ სატრანზიტო სტრატეგიას. უნდა გამოირიცხოს ტრანსპორტის ერთი სახეობით გადაზიდვების მოცულობის გაზრდის მიზეზით, მეორე სახეობისათვის ტვირთების მოკლება. იგულისხმება სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო გადაზიდვებს შორის გონივრული ბალანსის დაცვა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს აზეირბანჯანთან კოორდინირებული სატრანზიტო პოლიტიკის განხორციელებაც, რაც პირველ რიგში, ერთიან გამჭოლ ტარიფზე შეთანხმებასთან არის დაკავშირებული. დასასრულ, აღნიშნული სტრატეგია უნდა დაეფუძნოს ევროპის საერთო სატრანსპორტო სტრატეგიას სამხრეთ კავკასიასა და ტრანს-კასპიისპირეთის მიმართ.

Tengiz Apkhazava
Ketevan Goletiani

EUROPA-AZIAN NEW VEHICLE INITIATIVE (NELTI)
Annotation

In the present work is considered and analyzed following:

❖ The developing aspects of Georgian Transport-Logistical infrastructure. Basically, the necessity to establish the International Significant Logistical centers, as the important factor to increase the competition, the Georgian integration to the global logistical network and its effective connection to the world leading markets;

❖ The facts, which prevent the efficiency of European-Caucasus-Asia transport corridor, have negative influence to the above corridor's competitions and make to transfer the traditional cargo traffic to other alternative corridors;

❖ The developing tendencies and the factors of the Georgian Automobile Transport, as the fast progressing and potential sector, which prevent the usage of the country transport potentials and development of the automobile transport range.

რატი აბულაძე
ფიქრია წოწკოლაური

სოციალური კომერციის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

I. სოციალური კომერციის ეკოსისტემა

მსოფლიოში დამწყები კომპანიები საქმიანობას ელექტრონული კომერციის პლატფორმის შექმნით იწყებენ, სახელმწიფოები კი სამთავრობო მომსახურებას, ძირითადად, სოციალური მედიის გამოყენებით ახორციელებენ.

გლობალური კვლევები ადასტურებს, რომ ონლაინბიზნესის მამოძრავებელი ძალა გახდა სოციალური მედია, რომელიც შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც:

- დამწყები კომპანიების პროდუქტის/მომსახურების გაყიდვის ადგილი;
- მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ონლაინვაჭრობის საშუალება;
- მსხვილი ბრენდების (როგორიცაა Amazon, eBay, Etsy და სხვა) ელექტრონული კომერციის წარმოების ინსტრუმენტი და პლატფორმა [1];
- კლიენტების ძიებისა და მომსახურების ტექნოლოგია;
- მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი [2];
- სიახლეების ნახვის, ინფორმირების, კომუნიკაციისა და გართობის საშუალება;
- მოქალაქეებისათვის ხელსაყრელი, ორგანიზებული, ადვილი და სწრაფი გზებით ვაჭრობის პლატფორმა;
- სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთქმდების პლატფორმა;
- იდეოლოგიური კონტენტის შექმნისა და გავრცელების ტექნოლოგია;

სოციალური მედია განსაზღვრულია, როგორც ინტერნეტდანართების ჯგუფი, რომელიც დაფუძნებულია web 2.0-ის ტექნოლოგიურ და იდეოლოგიურ საფუძველზე. სოციალური მედია ეხმარება სამომხმარებლო კონტენტის შექმნასა და გაცვლას. მან არსებითად შეცვალა მთავრობის, ორგანიზაციების, საზოგადოებისა და ინდივიდუალურ პირებს შორის ურთიერთობის გზები [3].

ელექტრონული კომერციის ქვესიმრავლეს წარმოადგენს სოციალური კომერცია, რომელიც მოიცავს სოციალურ მედიას, ონლაინმედიას [4]. აღსანიშნავია, რომ სოციალური მედია და ელექტრონული კომერცია არის ფართო კატეგორიები [5].

თანამედროვე პირობებში ბიზნესის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სოციალური კომერცია, რომელიც მოიცავს:

- სოციალურ მედიას;
- ონლაინ მედიას (ინტერნეტზე დაფუძნებულ მედიას);
- სოციალური ქსელის შუამავლობით, ონლაინ და ოფლაინ გარემოს კონვერგენციას;
- მარკეტინგის, გაყიდვების, კონტროლის, ყიდვა-გაყიდვის განხორციელებისა და საზოგადოებაში ჩართვის შესაძლებლობის პროცესს.

სოციალური კომერცია დიდ ყურადღებას უთმობს ახალი კომერციული არხების ფორმირებასა და ბიზნესგაფართოებას, რომელიც წარმოადგენს ადვილად გამოსაყენებელი და ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომ ონლაინბიზნეს არხს [6].

ტერმინი სოციალური კომერცია პირველად 2005 წელს გაჟღერდა, როდესაც ბიზნესმა შეიცნო სოციალური მედიისა და ქსელების ზემოქმედების ძალა.

კვლევები ადასტურებს, რომ სოციალური კომერციის ტექნოლოგიები ხელს უწყობს [7]:

- კლიენტებს შორის ონლაინთანამშრომლობას;
- ინფორმაციის გაცვლას პროდუქტსა და მომსახურებაზე;
- ყიდვის შესახებ დასაბუთებული და მყისიერი გადაწყვეტილების მიღებას;
- სავაჭრო გამოცდილების ზრდას;
- ურთიერთობებსა და მომხმარებელთა ქცევაზე გავლენას;

• პროდუქტის/მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას (ვირუსული ზემოქმედებით);
• ინტერნეტბაზარზე ორგანიზაციების სწრაფად და ადვილად გასვლას;
• დაბალი დანახარჯებით პროდუქტის/მომსახურების რეალიზაციას;
• კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
• კომპანიის ოპერატიულობას, კლიენტებთან ურთიერთქმედებას, შემოსავლების ზრდას.

სოციალური კომერცია კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, უფრო ეფექტიანად მოიზიდოს გლობალური მომხმარებლები, ვიდრე ამას ტრადიციული საცალო ვაჭრობა უზრუნველყოფს. ეს კი განპირობებულია მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის ინტეგრაციით.

სოციალურ მედიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბიზნესპროცესებში, შესაბამისად, „შეუძლებელია მისი გავლენის იგნორირება“ [8]. შედეგად, სოციალური მედია შეიძლება განვიხილოთ, როგორც:
• წარმატებული ბიზნესის აგების გასაღები;
• ბიზნესპროცესის ხელშეწყობის ტექნოლოგია და მეთოდი;
• საქმიანობის ნაწილი, რომლითაც შესაძლებელია წარმატებული პროდუქტის მიღება;
• მომხმარებელთა მიზიდვის ახალი და მძლავრი საშუალება;
• მომხმარებელთან ურთიერთობის შექმნის ინსტრუმენტი;
• ცნობიერების ამაღლების, ვებსაიტის ტრაფიკისა და ელექტრონული ვაჭრობის მამოძრავებელი ტექნოლოგია;
• პროდუქტის/მომსახურების პოზიციონირების ინსტრუმენტი;
• ინტერნეტ-მარკეტინგული ინსტრუმენტი;
• ინოვაციური და ინტერაქტიული პლატფორმა;
• დინამიური საზოგადოებრივი ფორუმი და წინსვლის მექანიზმი;

პერსონალური სოციალური ქსელების გამოყენება ინფორმაციის შეკრების მიზნით, წარმოადგენს მომხმარებელთა ქცევის ფუნდამენტს. საზოგადოდ გავრცელებული პროცესი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელია. ახალ მოვლენას წარმოადგეს ავტონომიურ რეჟიმში, პირადი სოციალური ქსელით ვაჭრობის განხორციელება. ელექტრონული კომერციის საიტებზე Amazon, eBay, Epinions, წარმატებით ინტეგრირებულია პროდუქტის განხილვის, ანალიზის, დატესტვის, ძიებისა და შედარების ფუნქციები [9].

სოციალური ელექტრონული კომერცია რაციონალური და ფასეულია ნებისმიერი სპეციფიკური ბაზრის, ინდუსტრიის თუ ფირმის სტრატეგიული მოქმედებისათვის. მისი მიდგომები ფოკუსირებულია ინდივიდუალურ ტაქტიკაზე და წარმოდგება ფართო ინფორმაციული შეტყობინებებით, რომელიც სპეციფიკურია ნებისმიერი გარემოსთვის (Spencer, 2014).
• სოციალური ელექტრონული კომერცია სოციალური მედიის მეშვეობით ხელს უწყობს:
• სოციალური მედიასტრატეგიის აგებას;
• ბრენდინგს და ბრენდის ცნობადობის ზრდას;
• სოციალური მედიის გამოყენებით ვაჭრობის ზრდას;
• საძიებო ოპტიმიზაციისა და „ინტეგრირებული ინფორმირების“ პროცესს;
• ინტერნეტში, ბრენდის მონეტიზებისა და აუდიტორიასთან ურთიერთქმედების გზების გარდაქმნას;
• ინფორმირებას, გართობას, კომუნიკაციისა და კომერციის პროცესის სტრუქტურიზებას.

სოციალური ელექტრონული კომერციის სარგებელი და შემოსავლები ფორმირდება შემდეგი პროცესებიდან და მიმართულებებიდან [10,3]:
• სოციალური შოპინგი;
• სოციალური მედია;
• სოციალური რეკლამა, PR;
• რეკომენდაციები და რეფერალები;
• ფორუმები და საზოგადოება;
• SEO, რეიტინგები, სტატისტიკა, გამოხმაურება;
• ფასიანი მოხსენება, დაპოსტვა/ტექსტური ლინკები; პრესაში მითითება (მაგალითად, ბლოგისათვის);
• ფანები და LIKE-ები Facebook-ისთვის; followers-Twitter-ისა და LinkedIn-სათვის; ვიზიტორები ბლოგებისათვის;
• მომხმარებელთან პირდაპირი კომუნიკაცია, სწრაფი უკუკავშირი; „საზოგადოების“ ნდობის მოპოვება;
• ბრენდის აგება.

II. სოციალური კომერციის სტატისტიკა

გლობალურმა ბრენდებმა აღიარა სოციალური მედიის აქტივობის ელექტრონული კომერციის პოტენციალი და სარგებელი. 2014 წელს, სოციალური კომერციის გაყიდვები გაიზარდა 26%-ით და შეადგინა $20 მლრდ. პროგნოზით, 2015 წლის ბოლოს, გლობალური სოციალური გაყიდვების მოცულობა იქნება 30 მლრდ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 50%-ით მეტი იქნება [11].

2014 წელს სოციალური მედიის კომერციული გაყიდვები, მხოლოდ ტოპ 500 საცალო გამყიდველისათვის გაიზარდა 26%-ით (3,3 მლრდ დოლარამდე) [12]. 2013 წელს, ინტერნეტ-საცალო მოვაჭრეებმა, სოციალური ქსელების მეშვეობით გამოიმუშავეს 2,69 მლრდ დოლარი [13].

სოციალური კომერციის პლატფორმის ლიდერს Facebook წარმოადგენს. მის წილად მოდის მობილური ელექტრონული კომერციის გაყიდვების 2/3 და სოციალური მედიის სწრაფად მზარდი წილის ზრდა ელექტრონულ კომერციაში. Facebook ითვლის სოციალური რეფერალების 50%-ს და სოციალური შემოსავლების 64%-ს [14].

დროის ხარჯვის თვალსაზრისით, სოციალურ ქსელებზე მოდის პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელთა დროის ხარჯვის 20% და მობილური მოწყობილობის მომხმარებელთა დროის 30 %. სოციალურ ქსელებში აშშ-ის მომხმარებლებმა დახარჯეს 121,1 მლრდ წუთი (2012 წელს), რაც 37%-ით მეტი იყო წინა წლებთან შედარებით. ამავე პერიოდში, ინტერნეტმომხმარებელთა 10%-მა ონლაინშესყიდვა განახორციელა სოციალური მედია რეკლამის საფუძველზე [2].

III. სოციალური კომერცია საქართველოში

საქართველოში სოციალური ტექნოლოგიების გამოყენება ხორციელდება მთავრობაში (ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით), მედიაში, ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებაში.

სამწუხაროდ, მზარდი ელექტრონული ბიზნესპროცესების მიუხედავად, ქვეყანაში შეუძლებელია განსაზღვრო სოციალური კომერციის პოტენციალი, ინტერნეტბაზრის შემოსავლები, ინტერნეტბაზარზე დასაქმებულთა რაოდენობა, ინტერნეტეკონომიკის წილი მშპ-ში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტბაზრის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები და ფრაგმენტული კვლევები, რომელიც ფაქტობრივ და მოსალოდნელ სიდიდეებს აღნიშნავს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამთავრობო ორგანოები ვალდებულია წარმოადგინოს სტატისტიკა ინტერნეტგარემოს სრული სურათის ასახვისათვის, რომლის ანალიზს საზოგადოება (მეცნიერ-მკვლევრები) მაინც განახორციელებს.

არსებითია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ინტერნეტგარემოში ცალკეული კვლევები მხოლოდ უცხოური კომპანიების მიერ ხორციელდება (მაგალითად, გერმანული ფირმა „დეტეკონი“), რომელსაც, რა თქმა უნდა, ინტერნეტგარემოს ყველა საკითხის შესწავლას ვერავინ დაუკვეთავს (რადგან უზარმაზარ ფინანსურ რესურსს საჭიროებს), შესაბამისად, უახლოეს პერსპექტივაში გარემოს სრული სურათის ასახვა, ინტერნეტბაზრის პოტენციალის განსაზღვრა და ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთება რთულია.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ქვეყანას არ აქვს ციფრული ეკონომიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია და პოლიტიკა, არ ხორციელდება ინტერნეტ-ბიზნეს გარემოს ხელშემწყობი პროცესები, არ მუშავდება ელექტრონული კომერციის განვითარების მხარდამჭერი კანონები.

ამდენად, საქართველო კარგავს ელექტრონული ბაზრის შემოსავლებს, მის პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს. *ქართული ინტერნეტკომპანიები, „გამართული ფუნქციონირებისა“ და ბიზნესუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ძირითადად უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობენ (რადგან საქართველოში სათანადო ბაზა არ არის).* ***არც ერთი სახელმწიფო უწყება (ასეთი უწყებების რაოდეონობა 7-ზე მეტია, რომელსაც პირდაპირ, თუ ირიბად, ინტერნეტგარემოს ხელშეწყობა ევალება) არ ფლობს ინფორმაციას ინტერნეტეკონომიკის შესახებ, შემუშავებული არ აქვთ ინტერნეტბაზრის განვითარების პოლიტიკა, განსაზღვრული არ აქვთ ინტერნეტბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები, არ ფლობენ ინტერნეტბაზარზე ინვესტიციების მოზიდვის სამოქმედო პროგრამებს, შემუშავებული არ აქვთ ელექტრონული კომერციის კანონები და ინტერნმომხმარებელთა უფლებების დაცვის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. ქვეყანას არ ჰყავს კიბერარმია და კიბერპატრული.***

დასკვნა

სოციალური კომერციის ბაზრის პოტენციალისა და განვითარების მასშტაბების წარმოჩენის გარდა, ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ რეკომენდაციებსა და წინადადებებზე, რომელიც, ვფიქრობთ, წაადგება საქართველოს ინტერნეტგარემოს განვითარებასა და პოტენცილის წარ-მოჩენას. მათ შორის შეიძლება გამოიყოს:

- ინტერნეტკომპანიების ბიზნესუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გამართული ფუნქციო-ნირების მიზნით, საჭიროა სახელმწიფო უწყებებმა უსაფრთხო და მწარმოებლური ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნას მაინც შეუწყოს ხელი;.
- სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა გახდეს ინტერნეტბაზარზე;

- საჭიროა საქართველოს ინტერნეტგარემოს კომპლექსური კვლევის ჩატარება და ინტერ-ნეტბაზრის ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მდგომარეობის განსაზღვრა;
- ინტერნეტგარემოს კვლევის საფუძველზე უნდა შემუშავდეს კანონები (იმისათვის, რომ ქართულ რეალობაზე იყოს მორგებული);
- გატარდეს ინტერნეტკომპანიების წარმოქმნისა და სტიმულირების პროგრამები;
- ინტერნეტბიზნეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის საფუძველზე ფორმირე-ბული უნდა იქნეს კიბერპატრულისა და კიბერარმიის სტრუქტურები, უნდა განისაზღვროს სტანდარტები და ინსტრუქციები;
- **გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნეტბაზრის განვითარებას მხოლოდ ინტერნეტ-აპლი-კაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება არ წარმოადგენს, უკვე დროა, მთავრობამ ძირითადი ფოკუსირება ციფრულ პოლიტიკასა და სტრატეგიულ მიდგომებზე განახორციელოს. აღნიშნული კი ნოვატორული მმართველებისა და მეცნიერ-მკვლევრების ჩართულობითაა შესაძლებელი;**
- დასასრულ, ქართული ინტერნეტბაზრის მიმზიდველობის წარმოჩენით ქვეყანა შეძლებს ელექტრონული კომერციის ექსპორტის ზრდას, ინტერნეტბაზარზე დასაქმებულთა ზრდას, რაც ხელს უწყობს ინტერნეტეკონომიკის ფორმირებასა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Vasquez J. Startup Trends: the Future of eCommerce Is Social. 07/30/2015. http://www.huffingtonpost.com/jose-vasquez/startup-trends-the-future_b_7906158.html
2. Stambor Z. Social networks drive online sales. December 6, 2012. https://www.internetretailer.com/2012/12/06/social-networks-drive-online-sales
3. აბულაძე რ. ელექტრონული მთავრობა (ხელისუფლება, ბიზნესი, საზოგადოება, ტექნოლოგია). სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013.
4. ფ. წოწკოლაური, “ელექტრონული კომერცია“, გამომცემლობა „საუნჯე“, 2014
5. http://digitalintelligencetoday.com/social-commerce-definition-word-cloud-definitive-definition-list/
6. Spencer S , Harding J. Sheahan J. Social eCommerce: Increasing Sales and Extending Brand Reach. Kindle Edition. O'Reilly Media; 1 edition. August 1, 2014
7. Zhou L., Zhang P., Hans-Dieter Zimmermann. SOCIAL COMMERCE RESEARCH: AN INTEGRATED VIEW. February 13, 2013. http://melody.syr.edu/pzhang/publications/ECRA_13_Zhou_etal_Social_Commerce.pdf
8. Hutchinson A. Social E-Commerce Referrals Have Increased Nearly 200% - Report, June 10, 2015. .http://www.socialmediatoday.com/social-business/adhutchinson/2015-06-10/social-e-commerce-referrals-have-increased-nearly-200-report#sthash.XkwZFQI3.dpuf
9. Guo S., Wang M., Leskovec J. The Role of Social Networks in Online Shopping: Information Passing, Price of Trust, and Consumer Choice. http://nlp.stanford.edu/pubs/wang-ec11.pdf
10. Amir Afrasiabi Rad, Morad Benyoucef. A Model for Understanding Social Commerce. Conference on Information Systems Applied Research Nashville Tennessee, USA , 2010 CONISAR Proceedings . http://proc.conisar.org/2010/pdf/1511.pdf
11. Suzanne Delzio. Social Media Marketing Trends Gaining Traction in 2015: New Research. May 27, 2015 http://www.socialmediaexaminer.com/social-media-marketing-trends-gaining-traction-in-2015-new-research/
12. https://www.internetretailer.com/shop/2015-social-media-500-report.html
13. https://nidhinnb.wordpress.com/2015/07/02/online-retailers-earn-2-69bn-via-social-shopping/
14. Cooper Smith. Facebook is leading the way in social commerce. Oct. 23, 2015. http://www.businessinsider.com/social-commerce-2015-report-2015-7

Rati Abuladze
Pikria Tsotskolauri

SOCIAL COMMERCE DEVELOPMENT PROBLEMS AND PROSPECTS IN GEORGIA

Annotation

In forecasting revenues and "efficient spending" policy review process, emphasis is not on the unused resources and income, such as: e-commerce, internet-market, internet-economy (such as a new source of budget and resources).

It is natural, that in addition to the "available resources", the government environment should care for the management and distribution of the new sources, the basis of which is the internet and social technologies.

Today, the modern business growth and development is supported by e-commerce platforms, such as social media and social networks.

The thesis shows the value of "social commerce", evaluated and presented potential and opportunities of social commerce.

The article analyzes the challenges of social commerce in Georgia, and in the form of recommendations are set support measures.

პაატა არუშიძე

ოლიმპიური თამაშები: შემოსავლები და ხარჯები (ყველასათვის სარგებლიანია ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა?)

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები, არა მხოლოდ სპორტული მნიშვნელობისაა, არამედ მას დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია და დიდ გავლენას ახდენს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები არა მარტო პლანეტის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრებაა, არამედ, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლისგანაც ეკონომიკურ სარგებელს ელიან. ოლიმპიური თამაშები შესაძლებელია განვიხილოთ ბიზნესპროექტის სახით, რომლის განხორციელებისაკენ ისწრაფვიან სხვადასხვა ქვეყნები, მაგრამ მისი გამართვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ასეთ მიმზიდველ პროექტს დიდი პრობლემებიც ახლავს. შევეცდებით, სტატიაში განვიხილოთ უპირველესი სპორტული ღონისძიების ფინანსური მხარე და დავადგინოთ, ყველა ქვეყნისთვის თუ არის ხელსაყრელი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა.

ჩვენის აზრით, შესაძლებელია პროგნოზირება, თუ რამდენ ხანში აისახება ჩატარებული სპორტული ღონისძიების გავლენა მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ ჰიპოთეზის დასადასტურებლად განვიხილოთ სხვადასხვა დროს ჩატარებული ოლიმპიადები.

ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტი შიდა და გარე დაფინანსების წყაროებით ფორმირდება. საგარეო დაფინანსებას მიეკუთვნება მეცენატების შენაწირები, სპონსორთა დაფინანსება, სახელმწიფო სტრუქტურებისაგან დაფინანსება, ხოლო შიდა დაფინანსების წყაროებად მიჩნეულია სატელევიზიო ჩვენებების ლიცენზირება, შემოსავლები ბილეთების გაყიდვიდან, ოლიმპიური სიმბოლიკის გაყიდვა, რეკლამა, ინტერნეტმაღაზიებით გაყიდვები და ა.შ.

ოლიმპიური თამაშების ეკონომიკაში შესაძლებელია შემდეგი ეტაპების გამოყოფა:

1. 1896-1932წწ. – ოლიმპიადის დაფინანსების მექანიზმის ფორმირება – ამ პერიოდში ოლიმპიადის დაფინანსების 60-67% მოდიოდა კერძო ინვესტორებზე, მეცენატებზე და სპონსორებზე, 20-25% – ბილეთების რეალიზაციაზე, 5% – სუვენირების, მარკებისა და მონეტების რეალიზაციაზე; ამ ეტაპზე შესაძლებელი გახდა გაზრდილიყო მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტისა და მასპინძელი ქალაქების შემოსავლები სხვადასხვა კომერციული პროექტებით;
2. 1932-1972 წწ. – ოლიმპიური თამაშების დაფინანსები სახალი წყაროების ძიება – 1936-1956 წლებში განხორციელდა ოლიმპიური თამაშების ტრანსლირება, ხოლო 1960 წლიდან იწყება სატელევიზიო ტრანსლირების კომერციალიზაცია;
3. 1976 წლიდან – ოლიმპიური თამაშების ჰარმონიზაცია, ეს პერიოდი ემთხვევა ოლიმპიადის ეკონომიკური კრიზისისა და ეკონომიკური აყვავების პერიოდებს. თამაშების დაფინანსებაში იდება დიდი თანხები და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ღებულობს უზარმაზარ შემოსავლებს.
4. თანამედროვე პერიოდი – გამოირჩევა მოგების მაქსიმიზაციით და კომერციალიზაციის გაძლიერებით.

ცხრილი 1

ოლიმპიური თამაშების ძირითადი მახასიათებლები

წელი	**ჩატარების ადგილი**	**დანახარჯები (მლნ აშშ დოლარი)**		**სახელმწიფო დაფინანსების წილი**	**ფინანსური შედეგი**
		გეგმით	რეალურად		
1972	მიუნხენი	150	540	მაღალი	მცირე ზარალი
1976	მონრეალი	310	1600	მაღალი	ჩავარდნა, ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა
1980	მოსკოვი	1400	არაა ცნობილი	100 %	ჩავარდნა, ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა
1984	ლოს-ანჟელესი	347	1200	0 %	წარმატებული
1988	სეული	1700	710	დაბალი	წარმატებული
1992	ბარსელონა	677	1800	საშუალო	დაბალი მოგება
1996	ატლანტა	1000	1700	0%	წარმატებული
2000	სიდნეი	960	4100	მაღალი	წარმატებული
2004	ათენი	1600	10800	80 %	ჩავარდნა, ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა
2008	პეკინი	14300	42000	მაღალი	წარმატებული

როგორც ცხრილიდან ჩანს, ოლიმპიური თამაშების ჩატარება ყოველთვის არ არის მომგებიანი, ხშირ შემთხვევაში მას ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

იმის დასადგენად, თუ რამდენ ხანში აისახება ნეგატიურად წამგებიანი ოლიმპიური თამაშები მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაზე, განვიხილოთ 1980 წლის მოსკოვისა და 2004 წლის ათენის ოლიმპიადები.

1974 წლის 23 ოქტომბერს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიადა გამართულიყო მოსკოვში. მოსკოვმა 19 ხმით აჯობა ლოს-ანჟელესს (1984 წლის ოლიმპიადა გაიმართა ამ ქალაქში). სსრკ-ს ხელმძღვანელობა აპირებდა უარი ეთქვა ოლიმპიადის მასპინძლობაზე, რადგან ის საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, მაგრამ პრესტიჟიდან გამომდინარე გადაწყდა ოლიმპიური თამაშების ჩატარება. ეს იყო პირველი ოლიმპიადა, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფოში ტარდებოდა. ოლიმპიადის ჩატარებისათვის სსრკ-ში აშენდა/რეკონსტრუირდა 20-ზე მეტი სტადიონი, სასტუმრო, აეროპორტი და სხვა ინფრა-სტრუქტურა. დიდი ყურადღება ექცეოდა უსაფრთხოების ზომებს, რომლის უზრუნველსაყოფად დიდი ოდენობის თანხები დაიხარჯა. სსრკ-ს ბიუჯეტიდან გამოიყო 2 მლრდ მანეთი, რომელიც იმდროინდელი რუბლის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით უზარმაზარი თანხაა. გარდა ამ თანხისა, დამატებითი სახსრების მოსაზიდად გათამაშდა ლატარიები, გაიყიდა ოლიმპიური სიმბოლიკა. დღემდე არ არის დადგენილი ზუსტად რა დაჯდა მოსკოვის ოლიმპიური თანხების ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური თამაშების ჩატარებით სახელმწიფომ გარკვეული თანხები მიიღო, მოსკოვის ოლიმპიადა ითვლება ყველაზე წამგებიან ოლიმპიადად. ჩავარდნა, რომელიც მიადგა სახელმწიფოს, პრაქტიკულად დაუძლეველი აღმოჩნდა. განვიხილოთ სსრკ-ს მთლიანი შიდა პროდუქტი 1970-1990 წლების პერიოდში.



ნახ. 1

როგორც ნახაზიდან ჩანს, 1970-1980 წლებში სსრკ-ს მთლიანი შიდა პროდუქტი ზრდის ტემპით გამოირჩევა, მაგრამ 1984 წლიდან იწყება მისი მკვეთრი ვარდნა. კერძოდ, 1987 წლისათვის 1 სულ მოსახლეზე ამ მაჩვენებელმა შეადგინა 8363 აშშ დოლარი. ოლიმპიადის ჩატარებიდან 4-5 წელიწადში გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა, ანუ ის ზარალი, რომელიც მიიღო სსრკ-მ ოლიმპიადის ჩატარებიდან, აისახა 5 წლის შემდეგ და საბოლოოდ გამოიწვია ეკონომიკური კრახი, რასაც მოჰყვა სსრკ-ს პოლიტიკური ნგრევა.

განვიხილოთ 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშები. 2004 წლის ბოლოს, საბერძნეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ოლიმპიადის ფინანსური ანგარიში, რომლის მიხედვითაც, ოლიმპიადის ჩატარებისათვის დაიხარჯა 8, 954 მლრდ ევრო, რაც დაახლოებით 11 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ამ თანხაში შესულია უსაფრთხოების ზომის გამკაცრებაზე გაწეული ხარჯები, რაც შეადგენდა 1,1 მლრდ ევროს. როცა 2000 წელს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოთქვა შეშფოთება სამუშაოს არადამაკმაყოფილებელი ტემპების გამო, საბერძნეთში ჩამოყალიბდა ახალი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც ფაქტობრივად ხელახლა დაიწყო მშენებლობები, შედეგად, ათენი გადაიქცა თანამედროვე ტექნოლოგიების ქალაქად, სადაც შენდებოდა ახალი სპორტული ნაგებობები სპეციალურად ოლიმპიადისათვის (აქვე აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ამ სპორტული ნაგებობების უმრავლესობა დღეისათვის განადგურებულია). 2004 წლის ათენის ოლიმპიადის გამართვისათვის სახელმწიფო წილი შეადგენდა 80%-ს. განვიხილოთ საბერძნეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 2000-2013 წლებისათვის.



ნახ. 2

როგორც ნახაზიდან ჩანს, 2008 წლამდე, ანუ ოლიმპიადის გამართვიდან 4 წლის განმავლობაში, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა დინამიურად იზრდება, ხოლო 2008 წლისათვის მშპ-ს მრუდი მკვეთრად ვარდება. ცნობილია, რომ 2008 წლიდან ადგილი ჰქონდა გლობალურ ფინანსურ კრიზისს, მაგრამ საბერძნეთის ეკონომიკის ვარდნას მხოლოდ გლობალურ კრიზისს ვერ დავაბრალებთ, რადგან გლობალური კრიზისი მოქმედებდა სხვა ქვეყნების ეკონომიკაზეც, მაგრამ მკვეთრად უარყოფითად აისახა საბერძნეთზე. ხომ არ არის ამის საფუძველი ათენი-2004? შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ის უარყოფითი შედეგი, რომელიც აისახა სსრკ-ზე ოლიმპიადის ჩატარებიდან 5 წლის შემდეგ, იმავე ეფექტით აისახა საბერძნეთის ეკონომიკაზე.

განვიხილოთ ტურინის ზამთრის ოლიმპიადა, რომელიც 2006 წელს ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის ოლიმპიადების გამართვა გაცილებით იაფია ვიდრე ზაფხულის ოლიმპიადისა (გამონაკლისია სოჩი-2014, რომელიც ყველაზე ძვირ ოლიმპიადად ითვლება), მისი უარყოფითი გავლენა იტალიის ეკონომიკაზე ნათელია, რადგან ვერც იტალია გაექცა ეკონომიკურ კრიზისს.

თუ შევუპირისპირებთ და განვაზოგადებთ ამ ფაქტებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკა არ არის ძალიან მაღალ დონეზე განვითარებული, ჩატარებული მასობრივი სპორტული ღონისძიებები (ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადები, მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში), ქვეყნის ეკონომიკაზე ძალზე უარყოფითად აისახება 4-6 წლის ფარგლებში. შეიძლება მხოლოდ ვარაუდის დონეზე გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოება მისთვის "მიუღებელ" ქვეყანას (ისეთი, როგორიც იყო სსრკ) ხომ არ წააქეზებს პრესტიჟული ოლიმპიადის ჩატარებისაკენ? რათა ეს ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდეს.

თუ ამ ვარაუდს მივიღებთ სამუშაო ვერსიად, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ ის ქვეყნები, რომელთაც ეკონომიკური კრიზისი მალე დაატყდებათ თავს. კერძოდ რუსეთის ფედერაცია. ზამთრის ოლიმპიური თამაშები, სოჩი-2014-ის ჩატარება დაუდასტურებელი მონაცემებით დაჯდა დაახლოებით 50 მლრდ აშშ დოლარი და ამ მონაცემებით ის არის ყველაზე ძვირი ოლიმპიადა. ეს პროცესი აისახება რუსეთის ეკონომიკაზე 2018 წლისათვის, თუმცა რუსეთი 2018 წლისათვის მასპინძლობს მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ რუსეთის ეკონომიკას ასეთი ხარჯების გაწევის უნარი არ შესწევს (ბოლო პერიოდში ნავთობის გაიაფების ფონზე) და კრიზისი თავის პიკს უკვე 2020 წლისათვის მიაღწევს.

ზემოთქმულიდან გმომდინარე, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ისეთი პრესტიჟული სპორტული ღონისძიებების გამართვა, როგორიცაა ოლიმპიადა, ყველა ქვეყნისათვის არ არის მომგებიანი. პირიქით, ისეთი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკა არ მიეკუთვნება უძლიერეს ეკონომიკებს, ოლიმპიადის ჩატარებამ უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს. ჩვენი დაკვირვებით, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები და სხვა აზიური ქვეყნები (გარდა ჩინეთისა, არაბეთისა, სამხრეთ კორეისა და იაპონიისა), ოლიმპიადის ჩატარება, მიუხედავად მისი პრესტიჟულობისა, სარისკოა, ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინოს, ერთი მხრივ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა არჩევანის გაკეთებისას, და, მეორე მხრივ, ამ ქვეყნების ხელისუფლებამ და არ განაცხადოს პრეტენზია ოლიმპიადის მასპინძლობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Абакумова М. Игры Богов. – Forbes, 2012 #9

2.Базунов Б. А. Спорт: XX век. Хроника отечественного и мирового спорта: события, персонажи, явления. М., Советский спорт, 2001.

3.Галкин В. В. Экономика и управление физической культурой и спортом. Изд. «Феникс», Ростов-на-Дону, 2006.

4.Мишин Е.О., Сивцова Е.Г. Проведение олимпийских игр: доходы и расходы

5.Нуреев Р. М., Маркин Е. В., Олимпийский деловой цикл. Экономический вестник Ростовского государственного университета, Том 6, № 3, 2008, С. 50-64.

6.Games of the XXII Olympiad, volume 1

7.worldbank.org

8.http://www.olympic.org

9.http://be5.biz/makroekonomika/gdp/gdp_greece.html

Paata Aroshidze

OLYMPIC GAMES: INCOME AND EXPENSES
(ARE THE OLYMPIC GAMES PROFITABLE FOR ALL CONDUCTING?)

Annotation

Modern Olympic games is not only the strongest athletes in the world competition, but also the largest international business project. All financial sources, of which there is a modern budget for the Olympic Games can be divided into external and internal. External sources should include donations of patrons, sponsorship, income from government agencies. Internal sources should include revenue from the sale of rights to television broadcasts of the Olympic Games, the licensing, sale of tickets for sports events, of the right to place information on the Internet, the sale of Olympic products through the Internet - shops, lottery implementation of stamps, coins, etc. Olympic souvenirs .

გიორგი ასათიანი

საგადასახადო კონტროლის ეფექტურობის ამაღლების პრინციპები

ეკონომიკური სისტემის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის გამართულ მუშაობაზე. საგადასახადო და საბაჟო სისტემები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას. შესაბამისად, საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის არის და დარჩება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკვანძო საკითხად.

გადასახადების ადმინისტრირების თანამედროვე სისტემის ძირითად მიმართულებას მხოლოდ გადასახადების შეგროვება არ წარმოადგენს. მისი მიზანია, შექმნას გარემო, სადაც გაიზრდება გადასახადის გადამხდელის მზადყოფნა, ნებაყოფლობით შეასრულოს საგადასახადო ვალდებულება.

საგადასახადო აუდიტის პროგრამა წარმატებულად მიიჩნევა მაშინაც კი, როდესაც აუდიტს პირდაპირი წვლილი არ შეაქვს სახელმწიფოს შემოსავლებში, მაგრამ საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულების წახალისების მექანიზმს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანომ თავისი რესურსები უნდა გამოიყენოს უფრო ეფექტურად და მიზნობრივად, რაც სახელმწიფოს მის მიერ დაწესებული გადასახადების სრულყოფილად შეგროვების საშუალებას მისცემს. შესაბამისად, თანამედროვე საგადასახადო მენეჯმენტის მისაღწევად გამოყენებული უნდა იქნას ის პრინციპები, რაც უფრო ეფექტურად უზრუნველყოფს გადამხდელის მიერ გადასახადების გადახდის კულტურის ამაღლებას.

ზემოაღნიშნული ეფექტის მისაღწევად უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს სამი ძირითადი საკითხი:

1. შესამოწმებელი გადამხდელების სწორად შერჩევა;
2. შერჩეულ შესამოწმებელ გადამხდელებთან კონტროლის პროცედურების ხარისხიანად ჩატარება;
3. საგადასახადო ორგანოს პროფესიული სტანდარტები, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული ეტაპების განხორციელებისთვის და, ამასთანავე, გადასახადის გადამხდელებისთვის აღნიშნული აამაღლებს საგადასახადო ორგანოს მიმართ სანდოობას.

რისკის მართვა მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს გონივრული და ეფექტური მართვისთვის და, შესაბამისად, საგადასახადო აუდიტის პროგრამისათვის. შეუძლებელია თითოეული გადასახადის გადამხდელის შემოწმება და კონტროლი. საგადასახადო ორგანოებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი, ყოველწლიურად სრულად შეამოწმონ თითოეული გადასახადის გადამხდელი. ყოველწლიურად საგადასახადო ორგანოს ადმინისტრაცია აუდიტს უტარებს გადასახადების

გადამხდელთა მთლიანი რაოდენობის 10%-ს ან ნაკლებს. კარგად შემუშავებული აუდიტორული გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს შემოსავლების არანაკლებ 90%-ის მობილიზებას და ამასთანავე საკმარისი რაოდენობით შემოწმებას, რათა ყველა დონეზე აღმოიფხვრას ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევები.

არ არის აუცილებელი, არსებული მცირე რესურსი დაიხარჯოს დაბალი რისკის მქონე გადამხდელების რუტინულ შემოწმებაზე. შესაბამისად, რესურსების ფოკუსირება უნდა მოხდეს მაღალი რისკის მქონე გადამხდელებზე.

გადასახადის გადამხდელის ეფექტური და სწორი აუდიტორული შემოწმება ძალიან მნიშვნელოვანია, რათა გაუმჯობესდეს გადამხდელების მიერ გადასახადების ნებაყოფლობითი აღიარება და გადახდა, ასევე წარმატებულად შესრულდეს და შენარჩუნდეს გადასახადების შეგროვება.

ზოგადად, გადამხდელთა შემოწმებების დაგეგმვა გამოიყენება იმისათვის, რომ მოხდეს ამ რესურსების ყველაზე ეფექტური გამოყენება. გეგმის მიზანია, განსაზღვროს ჩასატარებელი აუდიტორული შემოწმებების რაოდენობა, მათი სახეობა, თუ რომელი გადამხდელების აუდიტი უნდა განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის ლიმიტირებული რესურსების პირობებში.

შემოწმების გეგმა შემუშავებული უნდა იყოს როგორც პირდაპირი შემოწმების ეფექტის, ასევე აღმკვეთი ეფექტის მისაღწევად.

პირდაპირი შემოწმების ეფექტი მიიღწევა პროცენტულად დიდი რაოდენობის მსხვილ გადამხდელთა შემოწმებით, რადგან ამ სფეროშია შემოსავლის დაფარვის ყველაზე მაღალი რისკი.

აღმკვეთი ეფექტი მიიღწევა შემოწმების პროგრამის საშუალებით, რომელიც შეძლებისდაგვარად მოიცავს ყველა სფეროში მოქმედ გადასახადის გადამხდელს. სტრატეგია მოიცავს წვრილ გადამხდელთა მინიმალური რაოდენობის და საშუალო ზომის გადამხდელთა შედარებით დიდი რაოდენობის თემატურ შემოწმებას.

გადასახადის გადამხდელების მხრიდან კუთვნილი გადასახადების ნებაყოფლობითი დეკლარირებისა და გადახდის ფაქტები უფრო იმატებს შემოწმებული გადამხდელების რაოდენობის ზრდით, ვიდრე დიდი პოტენციალის მქონე მცირე რაოდენობის გადამხდელების შემოწმებით.

საგადასახადო შემოწმების გეგმის შედგენა ეფუძნება გადასახადების გადამხდელის დეკლარირებული და სხვა მონაცემების ანალიზს, რისკის კრიტერიუმების საფუძველზე გადასახადის გადამხდელების შეფასებას.

საგადასახადო შემოწმების გეგმაში აისახება ის გადამხდელები, რომლებმაც რისკის კრიტერიუმების საფუძველზე მიიღეს მაღალი შეფასება. გეგმის შედგენისას მხედველობაში მიიღება გადამხდელთა მიერ შესამოწმებელ პერიოდში მიღებული შემოსავლები და ასევე, საგადასახადო მოთხოვნის და საგადასახადო ვალდებულების დარიცხვის ხანდაზმულობის ვადა.

გეგმის შედგენისას ყურადღება ექცევა ამა თუ იმ კონკრეტული გადამხდელის საქმიანობის სფეროსა და სეზონურობას.

საგადასახადო შემოწმების გეგმის შედგენისას დეპარტამენტი თითოეულ გადამხდელთან მიმართებაში განსაზღვრავს რეკომენდირებულ მიმდინარე კონტროლის პროცედურებსაც.

შერჩეული გეგმიდან შემდგომ ეტაპს წარმოადგენს აუდიტორული შემოწმება, რაც გულისხმობს შესამოწმებელი პირის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, შემმოწმებლის მიერ შემოწმების პროცესის დაწყებამდე შესასრულებელი პროცედურების წინასწარ განსაზღვრას.

შემოწმების დაგეგმვა ითვალისწინებს საერთო სტრატეგიის განსაზღვრას და გეგმის შემუშავებას.

რისკზე დაფუძნებული დაღმავალი მიდგომის მქონე საგადასახადო აუდიტის დროს მნიშვნელოვანია, გვესმოდეს გადამხდელის საქმიანობა, რათა ყურადღება გამახვილდეს სავარაუდო რისკის მქონე საკითხებზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროფესიული სტანდარტები წარმოადგენს იმ მინიმალურ მისაღებ დონეს, რომელიც უნდა შესრულდეს საგადასახადო ორგანოს მიერ. საგადასახაო ორგანოს თანამშრომლის მოქმედება პროფესიული სტანდარტების შესაბამისად ზრდის ნდობას როგორც საგადასახადო შემოწმების პროცესის, ასევე საგადასახადო კანონმდებლობის და შემოსავლების სამსახურის მიმართ. აქედან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტების დაცვა უპირველესი მოთხოვნაა საგადასახადო შემოწმებაში მონაწილე აუდიტორების მიმართ.

2012 წლის 2 აპრილს სსიპ შემოსავლების სამსახურმა გამოსცა №5568 ბრძანება, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა საგადასახადო აუდიტის სახელმძღვანელო, როგორც საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის არსებული აუდიტის პოლიტიკის, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ნაკრები. შესაბამისად, აღნიშნული სახელმძღვანელო ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ პრინციპებს საგადასახადო კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა არის უმნიშნელოვანესი პუნქტები, რომლებიც ჯერ არ არის აქტიურად დანერგილი, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ის, რომ დღესდღეობით გეგმური შემოწმებები მოიცავს მთლიან პერიოდში ყველა ტიპის გადასახადს, მიუხედავად იმისა, წინასწარი ანალიზის შედეგად შეიძლება კონკრეტულ გადასახადში არც იყოს გამოვლენილი რაიმე მნიშვნელოვანი რისკი. აღნიშნული მეთოდიკის არგამოყენება წარმოშობს მთელ რიგ უარყოფით საკითხებს აუდიტისა და

ზოგადად საგადასახადო ორგანოს მიერ კონტროლის პროცედურების შესრულებაში, რადგან, პირველ რიგში, დრო და რესურსი იხარჯება შესაბამისი მომენტისთვის რისკის არშემცველ საკითხებზე. აღნიშნული, თავის მხრივ, იწვევს საგადასახადო შემოწმებების ვადების გაზრდას და ხარისხის დაკარგვას, რადგან რესურსი და დრო ხმარდება არა მარტო მაღალი რისკის შემცველ საკითხებს, არამედ სხვა ზოგად საკითხებსაც.

ზოგადად, ანალიტიკური პროცედურების წარმოების ხარისხიანობა დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომლითაც ხდება ამ რისკფაქტორების და სხვა ანალიტიკური ხასიათის ინფორმაციის დამუშავება. შესაბამისად, გეგმის შედგენისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ საგადასახადო ორგანო უნდა ფლობდეს მაქსიმალურად მეტ და ზუსტ ინფორმაციას გადამხდელის საქმიანობის პროცესებთან დაკავშირებით. ამისათვის დღეის მდგომარეობით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, როგორიც შეიძლება იყოს ახალი საკონტროლო-სალარო აპარატების, ელექტრონული ზედნადებების, მოგების გადასახადის დეკლარაციის და სხვა ელემენტების შემოღება, თუმცა რჩება სამეურნეო ოპერაციები, რომელთა განხორციელებაც არ აღირიცხება ზემოაღნიშნული ფორმებით, მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილ იქნეს დებიტორ-კრედიტორებთან ურთიერთობები, საწესდებო კაპიტალის ცვლილებები და სხვა ანალოგიური საკითხები.

აუდიტის გეგმის შემუშავება უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ მოგების გადასახადების წლიურ დეკლარაციებთან ერთად, სავალდებულო გახდება საბუღალტრო ბალანსების წარმოდგენა საგადასახადო ორგანოში, რადგან გარკვეული წლების შეუმოწმებლობის და ხანდაზმულ პერიოდებში მოქცევის შემთხვევაში, არსებობს იმის რისკი, რომ გადამხდელის მიერ მიმდინარე პერიოდში არასრულად ან არასწორად იქნეს გადმოტანილი სხვადასხვა ანგარიშების ნაშთები.

ამასთანავე, არსებობს სამეურნეო ოპერაციები, რომელთა განხორციელებაც დღეის მდგომარეობით არ საჭიროებს სპეციალურ აღრიცხვას რაიმე ორგანოს მიერ, რადგან პროცესი გამარტივებულია, თუმცა, ხშირად, ასეთი საკითხების ტექნიკურად გამარტივება შესაძლებელია გადამხდელთა მიერ განხორციელებული ოპერაციების ლავირების საშუალებას იწვევდეს, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება არა მათ მიერ სწორად თვითდეკლარირების, არამედ გადასახადისგან თავის არიდების პროცესს. მაგალითისთვის დამფუძნებლის შემონატანები, საწესდებო კაპიტალის ცვლილებები, ურთიერთდამოკიდებულ პირებთან განხორციელებული რაიმე ტიპის ოპერაციები (მაგალითისთვის, მიღებული და გაცემული სესხები) და ა.შ. ეს სწორედ ის ოპერაციებია, რომლებიც დღეის მდგომარეობით დამოკიდებულია სწორედ შიდა დოკუმენტების შედგენაზე. შესაბამისად, ჩვენი მიდგომით უნდა გამოიყოს ასეთი ტიპის რისკის შემცველი ოპერაციები და აღნიშნულის განხორციელებისას სავალდებულო გახდეს საგადასახადო ორგანოში სპეციალური წესით აღრიცხვა.

ჩატარებული საგადასახადო შემოწმებების ხარისხი მნიშვნელოვნად იქნება გაუმჯობესებული თუ ძირითადი აქცენტები გაკეთდება თემატურ შემოწმებებზე. ამასთანავე, აღნიშნული ხელს შეუწყობს გადამხდელების მიერვე აღმოჩენილ დარღვევებზე სწორად თვითდეკლარირების პროცესების გაუმჯობესებას.

ამასთანავე, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სრულყოფილად შეგროვებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მიმდინარე კონტროლის დახვეწა.

ჩვენი მიდგომით, სწორედ ასეთი საკითხებით არის შესაძლებელი, მივიღოთ საგადასახადო კონტროლის გაუმჯობესება, რომელიც, საბოლოო ჯამში, უნდა ემსახურებოდეს გადამხდელთა სწორად თვითდეკლარირების პროცესის ამაღლებას, კერძოდ, პირველ რიგში, ყველაზე უმნიშვნელოვანესი პროცესი უნდა იყოს ყოველდღიური კონტროლის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვას გადამხდელთა მიერ. შემდგომ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ინფორმაციის თავმოყრა საგადასახადო ორგანოში, რომლის მიხედვითაც უნდა გამოვლინდეს მაღალი რისკის შემცველი გადამხდელთა გამოვლენა, ხოლო ბოლო ეტაპს უნდა მოიცავდეს საგადასახადო შემოწმებებისას გადამხდელებთან მაღალი რისკის შემცველი საკითხების გამოვლენა და ამ საკითხებზე თემატური საგადასახადო შემოწემბის აქტების შედგენა.

ზემოაღნიშნული მიდგომები, პირველ რიგში, შეამცირებს საგადასახადო შემოწმებისთვის საჭირო დროს, რესურსს და აამაღლებს გადამხდელთა საგადასახადო კულტურას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახდო კოდექსი.
2. 2012 წლის 02 აპრილს სსიპ შემოსავლების სამსახურის 5568 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული საგადასახადო აუდიტის სახელმძღვანელო, როგორც საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის არსებული აუდიტის პოლიტიკის, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ნაკრები, რომლის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა:

- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა;
- აშშ-ს შიდა შემოსავლების სამსახურის შიდა სახელმძღვანელო (US IRS IRM).

• ნიუ-მექსიკოს დაბეგვრისა და შემოსავლების დეპარტამენტის აუდიტისა და საგადასახადო ვალდებულების შესრულების განყოფილების ზოგადი საგადასახადო სახელმძღვანელო.
• ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და 2009 წელს კომპანია „ჰუმან დაინამიკსის“ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში ბილ ქარნოუს ავტორობით გამოცემული აუდიტის სახელმძღვანელო.
• 2011 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში სტეფან თაის ავტორობით გამოცემული აუდიტის სახელმძღვანელო.
3. კობა ბასილაია, ზურაბ ლიპარტია, ფინანსური კონტროლი, თბილისი, 2012.
4. გონერი ურიდია, საგადასახადო აუდიტი, თბილისი, 2012.
5. ნარიმან ტერაშვილი, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2006.

Giorgi Asatiani

THE PRINCIPLES OF TAX CONTROL EFFICIENCY GROWTH

Annotation

In the article is reviewed the ways of perfectness of Tax management, that have to increase the process of self declaration of the fees owned from the business activities by tax payer, that represents very important issue, because from the current control of tax organ or money came in the budget from the tax checks partially is more less, than the money came from self declaration correctly by the payers. Accordingly, one of the main functions of the tax organ is exactly the issue, that with his correct action makes circumstance and make better the fees mobilization in the budget defined with legislation. In the article is reviewed which important levels are necessary, to make qualitative control by tax organ according to its limited human resources, definition of correct risk-factors and use of time recourse

Concretely, from the reviewed levels are most important three of them

1. Correctly chose payers for check;
2. Make qualitative procedurs of control with payers of check;
3. Professional standards of tax organ, that is necessary for making the above named levels and also for the tax payers the marked will increase the trustfulness of the tax organ.

The marked eproaches are based on the textbook of audit, as the gathered instructional principles,audit politics of audit department of revenue service of Georgia, at the time of its making was used as tax legislation of Georgia also the textbook of initial revenue service of USA.

დავით ასლანიშვილი

ეკონომიკური ზრდა და ენერგოუსაფრთხოება

საქართველოს ეკონომიკური წინსვლა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფაზე, რაშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება ენერგიის წყაროებს, მათ მოხმარებას.

საქართველოს ენერგოსისტემის არსებული მდგომარეობა – შედარებითი ანალიზი

საქართველოს ტერიტორიაზე **26 ათასამდე** მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველ ადგილს ფლობს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან (შეადგენს **96,5 კმ³-ს**). მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე **15000** მეგავატის ეკვივალენტურია, ხოლო საშუალო წლიური ენერგია – **50 მლრდ** კილოვატ/საათის ეკვივალენტური [1].

სამწუხაროდ, ეს დიდი პოტენციალი სრულიად არადამაკმაყოფილებლადაა გამოყენებული, რაც საქართველოს ეკონომიკური სისუსტის უმნიშვნელოვანესი მიზეზია. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთი საშუალო შემოსავლის მქონე შვეიცარიელის თვიური ანაზღაურება უტოლდება საშუალო შემოსავლის საქართველოს მოქალაქის ორი წლის ჯამურ შემოსავალს [2].

საშუალო შემოსავლის მქონე ევროპელის ერთი თვის ანაზღაურება უტოლდება საქართველოს მოქალაქის ერთი წლის ჯამურ საშუალო შემოსავალს, რაც საგანგაშო ჩამორჩენაა და ასეთი ნეგატიური ვითარების გამოსწორების მსოფლიოში აპრობირებული გზაა ეკონომიკური ზრდის სტაბილური და მზარდი ტემპის უზრუნველყოფა, რაშიც დიდი როლი უკავია ინვესტიციების მოზიდვას.

მსოფლიო ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია ენერგომოხმარების ზრდისა და მისი მიწოდების ხელმისაწვდომი წყაროთა და ტარიფის გარეშე, რადგან მოზიდული ინვესტიციების და სამრეწველო პოტენციალის კონკურენტული უპირატესობა

პირდაპირ კავშირშია მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე გაწეული ენერგოდანახარჯების ეფექტურობასთან. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ენერგიის მოთხოვნასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. არაერთი მკვლევარი აღნიშნავს ენერგიის ძირითად როლს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

ყურადსაღებია, რომ ევროპის წამყვან ქვეყნებში ენერგოეფექტურობის ზრდამ გამოიწვია ენერგომოხმარების ზრდა. ფაქტობრივად, საზოგადოებაში კეთილდღეობის ზრდა პირდაპირ კავშირშია ენერგიის მოხმარების ზრდასთან. ამ მხრივ საქართველოს ენერგოპოტენციალი ამ დროისათვის ფაქტობრივად უტოლდება მის არსებულ მოხმარებას და შემდგომი ეკონომიკური ზრდის პირობებში ქვეყნის წინაშე უცილობლად დადგება მწვავე პრობლემა ენერგორესურსებით სამრეწველო და საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით **(ცხრილი 1).**

ცხრილი 1

საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსი 2003-2013 წწ.

(წყარო: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო)

წლიანი ბალანსი	წარმოება	მოხმარება	იმპორტი	ექსპორტი
2003	7,132	6,649	1,080	236
2004	6,902	7,388	1,278	71
2005	7,061	7,842	1,399	122
2006	7,622	7,879	777	96
2007	8,346	7,815	433	626
2008	8,451	8,075	649	680
2009	8,408	7,642	255	749
2010	10,058	8,441	222	1,524
2011	10,105	9,257	471	931
2012	9,698	9,379	615	528
2013	10,059	9,690	484	450

მონაცემები მოგებულია მლნ. კვტსთ.

როგორც მონაცემები ცხადყოფს, ელექტროენერგიის მოხმარება საქართველოში განუხრელად იზრდება, ხოლო ელექტროენერგიის წარმოება ზრდის ტემპს არ აჩვენებს, რაც იმპორტის ზრდას იწვევს. ამ მხრივ აუცილებელია ელექტროენერგიის ახალი სიმძლავრეების მოძიება და წარმოება, რისი პოტენციალი საქართველოში არსებობს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოში ძალიან დაბალია ელექტროენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე. თუ შევადარებთ საქართველოში ენერგიის მოხმარებას წამყვან განვითარებულ ქვეყნებთან, შედეგი საგანგაშოა: ასე მაგალითად, საქართველოში ენერგიის მოხმარება ერთ სულზე აშშ-ს ანალოგიურ მაჩვენებელზე 10-ჯერ, ხოლო საშუალო ევროპულ მაჩვენებელთან კი 4,5-ჯერ ნაკლებია **(ცხრილი 2).**



მნიშვნელოვანია საქართველოში ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების დროში არათანმიმდევრობის (დისპროპორციის) დაძლევა/შემსუბუქება. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ელექტროსისტემა დეფიციტს განიცდის ზამთრისა და შემოდგომის პერიოდში, ხოლო გაზაფხული და ზაფხული ჭარბი ელექტროენერგიის გამომუშავებით ხასიათდება **(ცხრილი 3)**



საკუთარი სიმძლავრეების უქონლობის გამო ამ დეფიციტის აღმოფხვრა იმპორტით ხორციელდება, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ ენერგიაზე ცვალებად ფასებს, ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის ენერგოსტაბილურობას და შესაბამისად მის მაკროეკონომიკურ მდგრადობას.

სემეკი-ს როლი ეკონომიკური ზრდისა და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაში

საქართველოში ენერგოდეფიციტის აღმოფხვრის, სწრაფი ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით განსაკუთრებული როლი ენიჭება სემეკის საქმიანობას, რადგან ამ დამოუკიდებელ ერთეულს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად, შესწევს ძალა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

1. ხელი შეუწყოს ენერგეტიკის სფეროში კონკურენტული ბაზრის საქმიანობას;
2. მოახდინოს როგორც საწარმოო, ასევე საზოგადოებრივი ტარიფის იოლად ახსნადი და მისი მდგენელი შედგენილობის ტრანსპარანტულობის უზრუნველყოფა (წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, გატარება და განაწილება), რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდას და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას;
3. საინვესტიციო მიმზიდველობის მიზნით მთელი რიგი ღონისძიების დაგეგმვას და საინვესტიციო ინვესტპროექტების – Road Show-ს (როუდ შოუ – მსხვილი და მიზნობრივი კერძო და სახელმწიფო საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიების შეხვედრის ორგანიზება) ორგანიზებას;
4. დაადგინოს და გამართოს რიგი არსებული ნორმა თუ საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც ხელს უშლის ინვესტიციების დაბანდებას ენერგიის წარმოების რიგ მიმართულებაში და ა.შ.

რა თქმა უნდა, მხოლოდ მარეგულირებელი ერთეული ვერ შექმნის საინვესტიციო ამინდს და ამ მხრივ აუცილებელია ადგილობრივი საფინანსო ბაზრის მზაობა, სამთავრობო პოლიტიკის მიზანმიმართული ქმედება და კერძო კომპანიების წახალისების ხელშეწყობა, რომლის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს საპარტნიორო ფონდის საქმიანობა და წამოწყებული მასშტაბური პროექტების განხორციელება (ნენსკრაჰესი და ხუდონჰესის პროექტი).

დასასრულ, ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ პირდაპირ კავშირს ეკონომიკურ ზრდასა და ბიზნესისთვის ხელსაყრელი ენერგორესურსების წვდომას შორის, რაც, კონკურენტული და საინვესტიციო ასპექტით, მიმზიდველი პროდუქციის წარმოების საწინდარია.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ენერგორესურსების დივერსიფიკაცია, მისი წარმოებისა და ხელმისაწვდომობის ტარიფების კონკურენტული ფასებით მიწოდება, მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) როლისა და ფუნქციის გამოკვეთა და სახელმწიფოს მხრიდან დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის ხარისხის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით მირცხულავას მოხსენება „ჰიდროენერგიის უპირატესი განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“, 2014 წელი, საქართველოს ბიზნესის პალატა;
2. International monetary fund: http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/01/weodata/weorept.aspx?sy=2014&ey=2014&ssd=1&sort=country;
3. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2013 და 2014 წლების ანგარიში;
4. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს - IEA 2011 წლის მონაცემები.

David Aslanishvili

ECONOMIC GROWTH AND ENERGY SUPPLY

Annotation

The article, "Economic growth and energy supply" highlights the importance of economic growth in a strong and reliable energy system, their interaction, the energy problems in Georgia and functions of regulatory Commission. At the same time, we have highlited and presented the gap and the difference between the per capita energy consumption rates in Georgia, the US and Europe. Also, it was investigated, the ways how to encourage economic growth in energy sector in Georgia.

ნანა ახალაია

შობადობა გორის რეგიონში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე

დემოგრაფიული კრიზისი მეტ-ნაკლებად შეეხო საქართველოს ყველა რეგიონს, მათ შორის გორის რეგიონსაც. მართალია, საქართველოსთან შედარებით მოცემულ რეგიონს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლები, როგორიცაა: მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი – 2,1‰, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი – 1,49, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი – 0,715, აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი – 0,701, შედარებით უკეთესი აქვს, მაგრამ პრობლემის არსს არ ცვლის. გორის რეგიონის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი – 1,5‰-ს შეადგენს. რეგიონის მოსახლეობა ხასიათდება აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმით, რომლის შესწავლა აუცილებლობას წარმოადგენს.

რეგიონში აღნიშნული პროცესის დასახასიათებლად შობადობის ზოგადი კოეფიციენტები გაგვაჩნია 1970 წლიდან. 1970 წელს შობადობის დონე საქართველოში მართალია შემცირდა 19‰-მდე, მაგრამ ჯერ კიდევ უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. შობადობის მაჩვენებელი გორში მცირედით – 6,8%-ით აღემატებოდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. 1979 წლისთვის ეს მეტობა შეადგენდა 5%, 1989 წელს – 5,4%, ხოლო 2002 წელს – 5,6%. შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა ქალაქსა და სოფელში შესაბამისად შეადგინა 11,6 ‰ – 11,1‰.

რეგიონში შობადობის კანონზომიერებებზე შეიძლება ვიმსჯელოთ დაბადებულთა აბსოლუტური რიცხვის დინამიკით. 1970 წელს რეგიონში დაიბადა 2555 ბავშვი, რაც იმ დროს საქართველოში დაბადებულთა საერთო რიცხვის (90207) 2,8% შეადგენს. რეგიონის სოფლებში დაბადებულნი 45,6%-ით ჭარბობს ქ. გორში დაბადებულთა რიცხვს. 1970-1979 წლებში დაბადებულთა როგორც საერთო რიცხვი, ისე ქალაქად და სოფლად კი არ შემცირდა, მცირედით გაიზარდა კიდეც. დაბადებულთა საერთო რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება 1979-1989 წლებშიც. მათ შორის ქალაქში, მაშინ, როდესაც სოფელში მის შემცირებას აქვს ადგილი. 1989-2002 წლებში მოხდა დაბადების შემთხვევათა მნიშვნელოვანი, – 1,6-ჯერ – შემცირება, მათ შორის ქალაქში 2-ჯერ, ხოლო სოფელში გაცილებით ნაკლებად, 1,3-ჯერ. 2002 წელს რეგიონში დაბადებული ბავშვების ხვედრი წილი საქართველოში დაბადებულთა 4,4% შეადგენს, რაც 1970 წლის შესაბამის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება.

1970-1989 წლებში შობადობის დონე განხილულ პერიოდში დაბადებულთა აბსოლუტური რიცხვის საპირისპიროდ კი არ იზრდება, არამედ მცირდება. კერძოდ, მაჩვენებელი მთლიანად რეგიონში განხილულ პერიოდში შემცირდა 14,2%-ით, მათ შორის ქალაქში 20, ხოლო სოფელში – 10%-ით, ე.ი. ორჯერ ნაკლებად. ამასთან, თუ დაბადებულთა აბსოლუტური რიცხვი ქალაქად ნაკლებია სოფლის შესაბამის მაჩვენებელზე, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქალაქად სოფლისას აღემატება: 1970 წელს 9%-ით, 1979 წელს – 2,7%-ით. შემდგომ პერიოდში, 1989 წელს უკვე სოფლის მაჩვენებელი მცირედით, 3,5%-ით აღემატება ქალაქისას, ხოლო 2002 წელს პირიქით: ქალაქის მაჩვენებელი აღემატება სოფლისას სულ 1%-ით.

ის საერთო ტენდენცია, რაც დაბადებულთა აბსოლუტურ რიცხვს და შობადობის ზოგად კოეფიციენტს აქვს, შემდეგია: 1989-2002 წელს მოხდა შობადობის დონის კატასტროფული დაცემა. რეგიონში შობადობის დონის მაჩვენებელი შემცირდა 36%-ით, ხოლო მთლიანად საქართველოში 46%-ით.

შობადობის დონის შემცირებას თან სდევს გარკვეული მოვლენები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ შობადობის პრობლემა არის მესამე ბავშვის პრობლემა, რომელიც უზრუნველყოფს

მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. შობადობის დონის შემცირების კვალდაკვალ დაბადებულებში მცირდება მესამე და მეტი რიგითობის ბავშვების და იზრდება პირველი-მეორე ბავშვების ხვედრი წილი. დღეისათვის პრობლემაა ოჯახში არა მესამე, არამედ მეორე ბავშვის ყოლა. 2002 წლისათვის გორის რეგიონში პირველი ბავშვების ხვედრი წილი დაბადებულებში აღწევდა 56,8%, მეორეების – 27,4%, მესამე და მეტი – 15,8%. 2005 წლისათვის გორის რეგიონში პირველი ბავშვების ხვედრითი წილი დაბადებულებში აღწევდა 0,59%-ს, მეორე ბავშვების – 0,3%-ს, მესამე და მეტი – 0,1%-ს. 2007 წლისათვის შესაბამისად 0,6%, 0,3% და 0,1%-ს.

შობადობის დონის შემცირების თანმხლები შემდეგი მოვლენაა დემოგრაფიაში ცნობილი „დედობის გაახალგაზრდავება". აღნიშნულ პროცესს ის ახასიათებს, რომ დაბადებულთა სულ უფრო მეტი რაოდენობა მოდის ახალგაზრდა ქალებზე. მაგალითად, 15-29 წლის ასაკის ქალებზე გორის რეგიონში დაბადებულებიდან 1970 წელს მოდიოდა 65,5%, 1979 წელს – 83,6%, 1989 წელს – 80,7%, ხოლო 2002 წელს – 80,2%. დედობის გაახალგაზრდავებას მოჰყვება შობადობის დონის ზრდა ახალგაზრდა ასაკებში. კერძოდ 15-19 წლის ასაკში შობადობა 1970-1989 წლებში 37,8‰-დან 54,4 ‰-მდე გაიზარდა. მართალია 2002 წელს, წინა პერიოდთან შედარებით, შემცირდა 51,2‰-მდე, მაგრამ 1970 წელთან შედარებით მაინც მაღალია. საერთოდ 1990-იანი წლების შემდეგ შობადობის დონე როგორც რეგიონში, ისე საქართველოში ყველა ასაკში მნიშვნელოვნად შემცირდა.

აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ოჯახის ფორმირების დაჩქარება, სასურველი ბავშვების რიცხვის გაჩენა შედარებით მოკლე დროში და, შესაბამისად, შემცირდა ფაქტობრივი რეპროდუქციული პერიოდი, ასევე შემცირდა ქალების საშუალო ასაკი შვილების დაბადებისას. მაგალითისთვის, თუ 1970 წელს რეგიონში ქალის საშუალო ასაკი შვილის დაბადებისას აღწევდა 27,5 წელს, 2002 წლისათვის ის ტოლი იყო 25,1 წლის, რაც დედების საშუალოდ 2,4 წლით გაახალგაზრდავებაზე მიუთითებს უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში.

ფაქტია, რომ რეგიონში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირება 20,5-დან 11,3 ‰-მდე გვიჩვენებს მხოლოდ შემცირების ფაქტს, როგორც ასეთს. მაგრამ საზოგადოებისთვის მთავარია უზრუნველყოფს თუ არა შობადობის ზოგადი კოეფიციენტის გარკვეული დონე მოსახლეობის მარტივ ან გაფართოებულ აღწარმოებას? თუ არ უზრუნველყოფს, რა სიდიდით? რას მოიტანს შობადობის ესა თუ ის დონე მომავალში მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით?

მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა დავადგინოთ შობადობის კონკრეტული დონე, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას. ესაა შობადობის დონე სტაციონარულ მოსახლეობაში,

მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეს ვ. ა. ბორისოვი უწოდებს მის კრიტიკულ მნიშვნელობას და თვლის, რომ „ზოგადი და ჩვილთა მოკვდაობის დაბალი დონისას მარტივი აღწარმოების შესაბამისი ზოგადი კოეფიციენტი დაახლოებით 15-16 უდრის. აქედან გამომდინარე, შეიძლება უხეშად შევაფასოთ, თუ შობადობის ამჟამინდელი დონე რამდენად უზრუნველყოფს მოსახლეობის აღწარმოებას ჩვენს ქვეყანაში. ამისათვის საკმარისია შობადობის ფაქტობრივად კოეფიციენტი გავყოთ მის კრიტიკულ სიდიდეზე".

შობადობის კრიტიკული მნიშვნელობა რეგიონში არსებული სიცოცხლის ხანგრძლივობის პირობებში გადის 14 ‰-ზე. ამაზე ნაკლები შობადობა გამოიწვევს მოსახლეობის შემცირებას. მაგრამ როგორ? დემოგრაფიაში არსებული ლოგიკით რეგიონში შობადობის დონე – 11,3 ‰ ნიშნავს, რომ შობადობის ამ დონის ხანგრძლივად შენარჩუნებისას ყოველი მომდევნო თაობა წინა თაობაზე 20%-ით ნაკლები იქნება. ეს ციფრი მარტივად არ უნდა აღვიქვათ: საქმე ეხება საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნულ ინტერესებს, ჩვენი ერის მომავალს, მის ადგილს კავკასიასა თუ მსოფლიოში, თვით საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხს. დაისმის კითხვა – რატომ და როგორ? როგორ და ელემენტარულად: თუ შობადობის ასეთი დონის პირობებში ყოველი მომდევნო თაობა წინაზე 20%-ით ნაკლები იქნება, შესაბამისად 5 თაობის (≈125 წლის) შემდეგ რეგიონში დარჩება მოსახლეობის 33%.

რეგიონის მოსახლეობაში რეპროდუქციული ასაკის ქალების ხვედრი წილი განსახილველი პერიოდის მანძილზე 25-დან 26 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ორი მოსახლეობიდან ის, რომელშიც რეპროდუქციული ასაკის ქალების ხვედრი წილი მაღალია, მეორესთან შედარებით შობადობის თვალსაზრისით ახალგაზრდად ითვლება. ჩვენს შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ რეგიონის ქალაქის მოსახლეობას სოფელთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდა რეპროდუქციული სტრუქტურა აქვს, რაც სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ ახალგაზრდების მიგრაციას სოფლიდან ქალაქში.

1970-1979 წლებში შობადობის დონე შემცირდა 1,8‰-ით, ე.ი. 8,8%-ით. ამ შემცირების მთელი 100% მოდის შობადობის სპეციალური კოეფიციენტის ხარჯზე, რადგან ასაკობრივი სტრუქტურის ზემოქმედების ძალა 0-ის ტოლია, ვინაიდან განხილულ წლებში 15-49 წლის ქალების ხვედრი წილი არ შეცვლილა: 1970 წელს იყო 26,3%, 1979 წელს დარჩა იგივე. შობადობის სპეციალური კოეფიციენტი კი 77,7‰-დან შემცირდა 70,8‰-მდე, ე.ი. 9‰-ით, რამაც ფაქტობრივად იმდენითვე შეამცირა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი. სულ შემცირების ინდექსი ტოლია 0,912-ის.

1979-1989 წლებში შობადობის შემცირება 1,1‰-ით, ანუ, თუ გამოვსახავთ ინდექსით 5,9%, მთლიანად მოდის ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესების ხარჯზე, რადგან ამ პერიოდში 15-49 წლის ასაკის ქალების ხვედრი წილი 26,3%-დან შემცირდა 24,8%-მდე, ხოლო შობადობის სპეციალური კოეფიციენტი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა 70,8-71,1‰ დონეზე და შესაბამისად მისი ზემოქმედება პრომილებში 0, ხოლო ინდექსში 1 ტოლად, ე.ი. უცვლელად დარჩა.

1989-2002 წლებში საინტერესო მდგომარეობას აქვს ადგილი. შობადობაზე ზემოქმედებს ორივე ფაქტორი, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით, კერძოდ, სპეციალური კოეფიციენტი მოქმედებს უარყოფითად, რასაც გარკვეულწილად აწონასწორებს ასაკობრივი სტრუქტურის დადებითი ზემოქმედება. კონკრეტულად შობადობის დონე განხილულ პერიოდში შობადობის სპეციალური კოეფიციენტის შემცირების შედეგად უნდა შემცირებულიყო 7,1‰-ით, მაგრამ ასაკობრივი სტრუქტურის დადებითი ზემოქმედების შედეგად კი უნდა გაზრდილიყო 0,8‰-ით. ვინაიდან უარყოფითი ფაქტორი უფრო ძლიერია (7,1 ‰), ვიდრე დადებითი (0,8) შედეგიც მივიღეთ უარყოფითი, ე.ი. შობადობის მაჩვენებელი შემცირდა 6,3‰-ით (7,1–0,8=6,3). მართლაც, შობადობის სპეციალური კოეფიციენტი დროის მოცემულ ინტერვალში 71,1‰-დან შემცირდა 43,5‰-მდე, მაშინ, როდესაც 15-49 წლის ქალების ხვედრი წილი 24,8%-დან გაიზარდა 25,9%-მდე. მთლიანად 1970-2002 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 9,2‰-ით შემცირდა,

საერთო დასკვნა შემდეგია: შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირება როგორც მთლიანად 1970-2002 წლებში, ისე ცალკეული პერიოდების მიხედვით, ცალსახად გამოწვეულია შობადობის სპეციალური კოეფიციენტის შემცირებით; ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება უმნიშვნელო როლს ასრულებს.

1970-2002 წლებში მოხდა შობადობის დონის მნიშვნელოვანი (44%-ით) შემცირება, თუმცა მთლიანად ამ 30 წლის მანძილზე რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც დადებით როლს ასრულებს. 1970-2002 წლებში შობადობის დონის შემცირება რეგიონში მოხდა მხოლოდ შობადობის ასაკობრივი ინტენსივობის შემცირების, ან კიდევ, როგორც უწოდებენ, შობადობის შიგა ოჯახური რეგულირების გაძლიერების, ან კიდევ უფრო სწორად – ბავშვების ყოლის მოთხოვნილების შემცირების შედეგად. აქვე კი აღვნიშნავთ, რომ რეპროდუქციული ასაკის ქალების აბსოლუტური რიცხვი გორის რეგიონში იზრდებოდა, კერძოდ მან 1970 წელს შეადგინა 32,9, 1979 წელს – 35,9, 1989 წელს – 37,1 და 2002 წელს – 38,6 ათასი.

გორის რეგიონს, ცხინვალის რეგიონთან უშუალო მოსაზღვრეობის გამო, მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში, რის გამოც გორის რეგიონის დემოგრაფიული პოტენციალის შესუსტება დაუშვებელია როგორც დემოგრაფიული, ასევე, რა თქმა უნდა, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ჩიქავა. კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში: არსი, მიზეზები, დაძლევის გზები. თბ., „მეცნიერება“, 1995.
2. მ. ხმალაძე. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაცია. თბ., 1995.
3. მ. წულაძე. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. 2002. თბ., 2003.
4. ნ. ახალაია. „გორის მოსახლეობა“ თბ., 2009.
5. ვ. ა. ბორისოვი. დემოგრაფია. თბ., 2001.

Nana Akhalaia

THE BIRTH-RATE ON THE BOUND OF THE XX-XIX CENTURIES

Annotation

Regional demography as one of the consisting parts of the science of demography has been forming in Georgia since gaining independence as restoring state system gave stimulus to developing regional research. The important role played transparency and publicity of information which we had lacked earlier.

The analysis of the birth-rate since the second half of the XIX century up today is given. Nowadays the population of Gori region is 135,6 thousand. The average coeficient of birth-rate in the region was being reduced in 1970-1989 but ensured widened registration of the population. Its rate was disastrously reduced in 1989-2002 could not support even the necessary level of simple registration.

The problem of birth-rate is the third child which supports the widened registration. To support this, it s necessary that the number of the families giving birth to third and more children be half of the number of the families. By the research of 2002 such families were only 5,4% in the region. actually, the problem of birth-rate is not the third child but even the second one.

Nowadays the critical bound of birth-rate in the existing conditions of longevity is 14%. The birth-rate of 11,3% means that if this rate remains for long then every next generation will be 20% less that previous one. This deals with the state-national interests of Georgia, the future of our nation and its place in the Caucasus and in the world as well.

ნონა ახვლედიანი

იმერეთის რეგიონის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა

იმერეთის რეგიონი თავისი უძველესი ისტორიული წარსულით, ულამაზესი მდებარეობით, ხედებით, კულტურული და ბუნებრივი ფასეულობებით მეტად მიმზიდველ გარემოს ქმნის ინვესტორებისთვის. მისი ახალი საინვესტიციო გარემოს პოტენციალისა და შესაძლებლობების გაცნობის საკითხი რეგიონის თვითმმართველობისათვის უმნიშვნელოვანესია, მით უმეტეს, ქალაქი ხასიათდება პრიორიტეტული მხარეებით: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, დაბალი საბაზრო ფასები მიწასა და აქტივებზე, სტაბილური კრიმინოგენული ვითარება, ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, კვალიფიციური და იაფი მუშახელი, სამრეწველო წარმოების დიდი გამოცდილება, ტურიზმის განვითარების ფართო პერსპექტივებით და სხვა. ბიზნესგარემოზე უამრავი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას, რომელთაგან მთავარია სოციალურ-ეკონომიკური. მაკროეკონომიკური და ბუნებრივი, შრომითი რესურსებისა და შრომის ბაზრის გარემოს სტატისტიკური ინდიკატორები შეიძლება გავზომოთ და წარმოვადგინოთ ერთ გაერთიანებულ, სინთეზურ, ინტეგრირებულ ინდიკატორში, რომლის მიხედვით ინვესტორები, ბიზნესმენები და სხვა დაინტერესებული პირები თვალნათლივ დაინახავენ თუ რამდენად მიმზიდველია მოცემული ქვეყანა ან რეგიონი ბიზნესის განვითარებისათვის? ამ შემთხვევაში სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტორთა ისეთ კომპლექსთან გვაქვს საქმე, რომელთა შეჯამება ან ერთმანეთზე გადამრავლება არ შეიძლება ანუ არ ხასიათდებიან ადიტიურობისა და მულტიპლიკატორების თვისებებით. ამიტომ აქ გამოგვადგება გაეროს ექსპერტების მიერ ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსის შემუშავებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ხდება თითოეული ფაქტორის სტანდარტიზაცია ანუ ნორმირება და შემდეგ მათი სინთეზი, გაერთიანება ერთ ინტეგრირებულ მაჩვენებელში. ბიზნესგარემოს მიმზიდველობის სინთეზური, ინტეგრალური სტატისტიკური ინდიკატორი შეიძლება ასეთი ზოგადი ფორმულით წარმოვიდგინოთ:

$$K_{\text{ინტ.}} = \frac{\sum_{i=1}^{n} K_i}{n}$$

სადაც, $\mathbf{K}_{\text{ინტ}}$ - ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ინტეგრალური კოეფიციენტია;

$\mathbf{K}_i$-ური - ფაქტორის სუბინდექსი;

n - ფაქტორთა რიცხვი.

თავისთავად ან სუბინდექსი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს შემდეგი ფორმულის დახმარებით:

$$K_i = \frac{x_i - x_{i\min}}{x_{i\max} - x_{i\min}}$$

სადაც x_i - i-ური ფაქტორის ფაქტობრივი მნიშვნელობაა მოცემულ ქვეყანასა და რეგიონში;

$x_{1\min}$ - i-ური ფაქტორის მინიმალური მნიშვნელობა;

$x_{1\max}$ - i-ური ფაქტორის მაქსიმალური მნიშვნელობა.

ბიზნესგარემოზე მოქმედი ფაქტორები და მათი განმსაზღვრელი პარამეტრები, ჩვენი ვარაუდით, შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე; განათლების დონე; ჯანდაცვის დონე (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა); უმუშევრობის დონე; სიღარიბის დონე; ინფრასტრუქტურის განვითარების დონე (მომსახ. ხვედრითი წილი მშპ-ში); ბუნრბრივი რესურსების ხვედრითი წილი ეროვნულ სიმდიდრეში; კანონდარღვევათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე; კერძო საკუთრების ხელყოფათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე; მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის კოეფიციენტი. ჩამოთვლილ ფაქტორთა პირველი შვიდი პირდაპირ პროპორციულ გავლენას ახდენს ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ხარისხზე. ბიზნესმენს და ინვესტორს სრულებითაც არ აძლევს ხელს ბიზნესის განვითარებისათვის მოსახლეობით დასახლებული ტერიტორია ცხოვრების ძალიან დაბალი დონით. მათი სურვილია, ჰყავდეს კანონმდებლობით დაცული მდიდარი პარტნიორები ქვეყანასა და რეგიონში, აგრეთვე, მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და განათლებული სამუშაო ძალის მქონე მოსახლეობა. მაგრამ, ამასთან ერთად, დაინტერესებულია იაფი სამუშაო ძალითა და ინფრასტრუქტურის (გზების, ტრანსპორტის და სხვ.) განვითარების მაღალი დონით, აგრეთვე, უმუშევრობისა და სიღარიბის არსებობით, რაც ბიზნესს იაფი სამუშაო ძალით უზრუნველყოფს.

ფაქტორთა ბოლო სამი დასახელება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ხარისხისადმი. კანონდარღვევათა დიდი რაოდენობა, ანუ კრიმინალური სიტუაციის გაუარესება, აგრეთვე, კერძო საკუთრების ხშირი ხელყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელი

ხელისუფლების მიერ და მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების უთანაბრობის შემცირე-შემცირება, ანუ ნულთან მიახლოება აუარესებს ბიზნესგარემოს. ამიტომ ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ხარისხის ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის საჭიროა, ჩვენი გაანგარიშებით ამ ფაქტორის შესაბამისი სუბინდექსი გამოვაკლოთ ერთს. მივიღებთ კანონმდებლობის და კერძო საკუთრების დაცვის, აგრეთვე, შემოსავლებისა და დანახარჯების არა უთანაბრობის, არამედ თანაბარ განაწილების კოეფიციენტებს, რომელთა გადიდება პირდაპირპროპორციულია ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ხარისხისადმი. საბოლოო ჯამში, ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ხარისხის კოეფიციენტი მიიღებს სახეს:

$$K_{\text{მიმზ.}} = \frac{\sum_{i=1}^{7} K_i + 3 - \sum_{i=1}^{3} K_i}{10}$$

ზოგადად, ჩვენ მიერ მიღებული ფორმულა ასე შეიძლება გამოვსახოთ:

$$K_{\text{მიმზ.}} = \frac{\sum_{i=1}^{m} K_i + (n-m) - \sum_{m+1}^{n} K_i}{n}$$

სადაც m ბიზნესგარემოს მიმზიდველობის პირდაპირპროპორციული ფაქტორების რიცხვია, ხოლო დანარჩენი n-m არაპროპორციული მოქმედების ფაქტორებია.

ბიზნესგარემოს მიმზიდველობის ინტეგრალური კოეფიციენტის მნიშვნელობა იცვლება 0–დან 1–მდე, ანუ 0–დან 100%–მდე. თუ მისი მნიშვნელობა 0–დან 30%–ის ფარგლებშია, მიმზიდველობა სუსტია, 30–დან 60%–მდე საშუალოდ ზომიერი, ხოლო 60%–ს ზევით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძალიან ძლიერია.

ცხრილი 1

ბრუნვა რეგიონებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით (მლნ ლარი) (2011-2014)

იმერეთი	**1259.1**	**1742.3**	**1886.0**	**2042.4**
მსხვილი	971.0	1206.9	1248.4	1292.0
საშუალო	138.9	226.6	236.4	351.6

მოსახლეობის ზრდის მიუხედავად, რეგიონისთვის დამახასიათებელია მიგრაციული პროცესები, რაც უმუშევრობის მაღალი დონით (22–25%) არის განპირობებული. სწორედ უმუშევრობა წარმოადგენს რეგიონის უმთავრეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას. თუ გადავხედავთ წარსულს 1990-1995 წლებში მოხდა რეგიონის დეინდუსტრიალიზაცია - სამრეწველო წარმოების დონის მკვეთრი დაცემა და ამის შედეგად ქალაქის შიდა პროდუქტში დარგის ხვედრითი წილის არსებითი შემცირება. 1995-2001 წლებში ქალაქის ეკონომიკურ სფეროში რიგი პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, მდგომარეობა კვლავ რთული დარჩა - უკიდურესად დაბალი იყო საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა. 2012 წლისათვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია, რაც მოხდა 2002 წლიდან მოყოლებული, პროდუქციის გამოშვების მოცულობის, ისევე, როგორც ბრუნვის საერთო მოცულობის, ზრდის ხარჯზე. ბიზნესაქტივობის ზრდაზე მიუთითებს ბიზნესსუბიექტების სიმრავლეც. უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა, ლარის დევალვაციამ, რომელიც გამოწვეული იყო როგორც გლობალური, ისე სხვა ხელის შემშლელი ფაქტორებით, უარყოფითი გავლენა იქონია რეგიონის ბიზნეს გარემოს განვითარებაზე. ბოლო ათწლეულებში სამრეწველო სფეროს მიერ რეგიონის ეკონომიკაში დომინირებადი პოზიციების დაკარგვამ და საბაზრო სისტემაზე სრულმა გადასვლამ გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურის ძირეული ცვლილება გამოიწვია. ძირითადმა „დატვირთვამ“ მომსახურე დარგებზე გადაინაცვლა. რეგიონისათვის ახალი დარგებიდან აღსანიშნავია ტურიზმი, რადგან ქალაქს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით დიდი პერსპექტივა გააჩნია.

ცხრილი 2

15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება იმერეთის რეგიონების მიხედვით, ათასი

რეგიონი	**I კვარტალი, 2015**				**II კვარტალი, 2015**		
	ვიზიტორების რაოდენობა	%	ვიზიტების რაოდენობა	%	ვიზიტორების რაოდენობა	%	ვიზიტების რაოდენობა
იმერეთი	167.9	21.0	203.2	20.8	180.5	21.3	221.1

უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით დამუშავებულია ტურიზმის განვითარების პროგრამა, რომლის მიზანია ქ. ქუთაისის იმერეთის რეგიონის ტურიზმის განვითარების ცენტრად ჩამოყალიბება. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ქალაქის შემოგარენი მდიდარია მინერალური წყლებით, უნიკალური ისტორიული და კულტურული ძეგლებით, რომელთა რაოდენობა 500-ზე მეტს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში პოპულარობას იძენს აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის სახეები. ამის საშუალებას იძლევა რეგიონში მდებარე მთისა და ტყის მასივები, რომელთაც 250,0 ათ. ჰა ფართობი უჭირავს. მცირე მასშტაბით უკვე დანერგილია ტურიზმის შემდეგი სახეობები: ეკოტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე, სამთო ქვეითი, სამთოსაცხენოსნო, სპელეოტურიზმი. იმერეთს წამყვანი ადგილი უჭირავს საქართველოს რეკრეაციულ სისტემაში. მხედველობაშია უნიკალური ბუნებრივი და ჰიდრომინერალური რესურსები მინერალური წყლების სახით. სამკურნალო წყლებიდან გამოიყოფა წყალტუბო, საირმე – ბაღდათის რაიონში, ნუნისი – ხარაგაულში, სულორი – ვანში, ასევე საჩხერის სხვადასხვა მინერალური წყაროები. დიდი რაოდენობითაა თერმული წყლების მარაგი, რომლის გამოყენებას სათბობის დიდი ეკონომიის მოცემა შეუძლია. იმერეთისათვის, როგორც დიდი ისტორიული წარსულის მქონე მხარისათვის, ტურიზმის ახალი და საინტერესო მიმართულებაა რელიგიური ტურიზმი. იმერეთის ტერიტორია, ისე როგორც მთელი საქართველო, ანტიკური, გვიანი და ადრექრისტიანული ხანის ისტორიულ-კულტურული ძეგლებითაა წარმოდგენილი. თითოეული მათგანი ტურისტული ჯგუფებისა და სპეციალისტებისათვის ამოუწურავ მარაგს წარმოადგენს. მარტო იმერეთის მხარეში 250-ზე მეტი ასეთი ძეგლია. ახლო მომავალში გასატარებელი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: – მუზეუმების, სახლ-მუზეუმების, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების იურიდიული სტატუსის განსაზღვრა; ბოლო პერიოდში ქალაქის იერსახის, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და სამეწარმეო საქმიანობის გამოცოცხლების სტიმულირებისაკენ მიმართული ღონისძიებები საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ქუთაისი ეტაპობრივად გადაიქცეს თანამედროვე მოწესრიგებულ ქალაქად. სასურველია განსაკუთრებით ტურიზმის სფეროს უფრო მაღალ დონეზე ინფრასტრუქტურული მოწესრიგება და უზრუნველყოფა, მაგალითად წყალტუბოს რაიონში – სათაფლიისკენ მიმავალი გზის თუნდაც ცალმხრივი განათება, რაც, ჩემი აზრით, აუცილებელია და გზის დასაწყისში შესაბამისი სიმბოლური ქანდაკების ან მაკეტის დადგმა და ა.შ. მიუხედავად მაკრო და ლოკალურ დონეზე მიღწეული რიგი წარმატებებისა, ქალაქის ძალიან ბევრი მოქალაქე ჯერ კიდევ დგას მძიმე სოციალური პრობლემების წინაშე, ამიტომ მომდევნო ხუთ წელიწადში ქალაქისათვის ზოგად ორიენტირებს შემდეგი საკითხები წარმოადგენს: რეგიონის ბიზნესსექტორის სტაბილიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის მაღალი ტემპით ზრდა; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; უმუშევრობის დონის შემცირება; საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. გაბიძაშვილი, ნ. კუხიანიძე-ახვლედიანი, „ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევები ბიზნესსა და მენეჯმენტში“.
2. დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება სუფთა ენერგიის პროგრამა, კორპორაციული ხელშეკრულება, ქალაქ ქუთაისის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა. USID
3. www.geostat.ge

Nona Akhvlediani

STATISTICAL SYSTEM OF INDICATORS OF INVESTMENT ATTRACTIVENESS OF IMERETI REGION

Annotation

The article: "Statistical system of indicators of investment attractiveness of Imereti region" The business environment is discussed in the current socio-economic and political factors, of which the most important socio-economic. Macroeconomicand natural, labor resources and labor market environment statistical indicators, may be all they have to measure and represent one united, synthetic, integrated indicators, which, according to investors, businessmen and other interested parties clearly see just how attractive the country or region Business development? In this case, the difficulty lies in the fact that we are dealing with factors such complex, which can not be multiplied in summary or each other, or have characterized aditiurobisa and multiplikatorebis properties. So here we will use the potential of the United Nations Human Development Index for the development of the methodology used by the experts, according to which each factor rating and the standardization of their synthesis, to unite in a single integrated indicator.

ლია ბიბილაშვილი

საქართველოს ენერგეტიკული კომპლექსი: მდგომარეობა და პერსპექტივები

საქართველოში ენერგეტიკა წარმოდგენილია ელექტროენერგეტიკისა და სათბობის მრეწველობის თითქმის ყველა ძირითადი დარგით (თბოელექტროსადგურები, ჰიდროელექტროსადგურები, ელექტრული და თბოქსელები, ნავთობმომპოვებელი, ნახშირის მრეწველობა, თერმული წყლები). ბოლო წლებში მიმდინარეობს მუშაობა ქარისა და მზის ენერგიის გამოსაყენებლად. 1961-1990 წლებში საქართველოს ენერგეტიკის პროდუქცია 1,4-ჯერ გაიზარდა; ზრდა დაახლოებით თანაბარი იყო პირველსა და მეორე ათწლეულში, მესამეში კი მკვეთრად დაეცა.

1991-1995 წლებში საქართველოს ენერგეტიკა მწვავე კრიზისმა მოიცვა. მინიმუმამდე დაეცა ყველა ენერგორესურსის წარმოება. ელექტროენერგიის გამომუშავება 2-ჯერ და მეტად შემცირდა, ნავთობისა და ნახშირის მოპოვება შესაბამისად – 4,4-ჯერ და 22,4-ჯერ, ნავთობის გადამუშავება – 60-ჯერ, თანმდევი გაზის მოპოვება – 18,2-ჯერ.

2013 წლის შედეგებით, საქართველოს ენერგეტიკაში ფუნქციონირებდა 66 საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 19123 ადამიანი, წარმოებული იყო 1077,6 მლნ ლარის პროდუქცია, ხოლო ძირითადი აქტივების (ფონდების) ღირებულება შეადგენდა 3052,1 მლნ ლარს. ეს მაჩვენებლები კი მრეწველობის ანალოგიურ პარამეტრებში შესაბამისად უდრიდა 2,3%, 17,0%, 14-8%, 52,9%.

საქართველო თავის მოთხოვნილებას საკუთარი ენერგორესურსებით იკმაყოფილებს მხოლოდ 34,5%-ით, ანუ იმპორტულ რესურსებზე 65,5%-ით არის დამოკიდებული (2013)საკუთარი წარმოების ენერგორესურსების ფორმირებაში წამყვანია ჰიდროენერგია 711,2 ათ ტ.პ.ს. (49,85), მეორე ადგილზეა ბიოსაწვავი (შეშა და დანარჩენები) – 481,1 ათ. ტ.პ.ს. (33,6%), მესამეზე – ქვანახშირი 168 ათ ტ.პ.ს. (11,8%) და ა. შ. რაც შეეხება ბალანსის ხარჯვით ნაწილს საბოლოო მოხმარების მიხედვით, აქ პირველ ადგილზეა ნავთობპროდუქტები 1077,6 ათ ტ.პ.ს (28,9%), მეორეზე – ბუნებრივი გაზი 1058,7 ათ. ტ.პ.ს (28,4%) და მესამეზე – ელექტროენერგია 780,3 ათ ტ.პ.ს (20,9%).

საქართველოს ელექტრობალანსი საბჭოთა პერიოდში ძირითადად დეფიციტური იყო. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ რამდენიმე წელი (1970-1075, 1979-1980).

დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს ელექტრობალანსი კვლავ, მაგრამ უფრო ღრმა დეფიციტური გახდა. განსაკუთრებით ეს ითქმის 1990-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდებზე. 2000 წელს კი ელექტროენერგიის ფაქტობრივმა დეფიციტმა საქართველოში 400 მლნ კვტ.სთ შეადგინა. მცირდებოდა ელექტროენერგიის წარმოებაც (თითქმის 2-ჯერ). ეს კი განაპირობებდა ელექტროენერგიის მოხმარების იძულებით შემცირებას. მრეწველობაში იგი შემცირდა 11,5-ჯერ, ტრანსპორტზე დაახლოებით 4-ჯერ. იგივე ტენდენცია იყო სოფლის მეურნეობაში (2000 წელს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის წლიურმა მოხმარებამ 7,2 მლნ კვტ.სთ შეადგინა), მშენებლობაში (2000 წლის მოხმარება 9,0 მლნ კვტ. სთ) და ა. შ.

2005 წელს ელექტროენერგიის დეფიციტი 96,2 მლნ კვტ. სთ-მდე შემცირდა, ხოლო 2007 წლიდან 2014 წლამდე ბალანსი უდეფიციტო იყო (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს ელექტრობალანსი 2005-2014 წლებში, მლნ კვტ.სთ

დასახელება	**2005**	**2007**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
წარმოება(სალტედანგაშვება)	6880,8	8169,5	9919,2	9912,2	9471,9	9860,6	10153,7
მათ შორის							
ესი	5850,2	6724,5	9263,3	7788,7	7122,1	8163,5	8221,1
თესი	1030,6	1445,0	655,9	2123,4	2349,8	1697,1	1932,6
იმპორტი -რუსეთიდან -სომხეთიდან -თურქეთიდან -აზერბაიჯანიდან	1398,6 615,7 752,9 9,3 20,7	433,3 176,9 ------ 149,0 107,4	222,1 211,9 ------ 0,0001 4	470,9 447,6 ------ 2,8 23,4 10,1	614,6 517,05 408,0 629,0 97,54	484,1 460,5 ----- ----- 23,6	851,9 665,6 2,1 ---- 184,2
ექსპორტი -რუსეთში -აზერბაიჯანში -თურქეთში -სომხეთში	121,8 ----- ----- 121,8 ------	625,5 ----- 300,3 215,6 109,6	1524,2 1117 14,31 303,4 89,5	930,6 588,6 5,9 218,6 117,5	528,2 369,43 11,79 79,0 67,9	450,4 370,6 6,6 ------ 73,2	603,6 218,6 8,0 236,5 140,5
წმინდა მოხმარება, სულ ბალანსი( )	7842,8 *-96,2*	7812,6 *+356,9*	8422,0 *+1477,2*	9256,6 *+655,6*	9379,4 *+92,5*	9690,1 *+170,5*	10402,0 *-248,3*

2014 წელს, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება თითქმის 3%-ით გაიზარდა, დეფიციტი მაინც მოხმარების ზრდამ (7,3%) განაპირობა. ამ წელს იმპორტის საჭიროებამ 248,3 მლნ კვტ.სთ-ით გადააჭარბა ექსპორტს.

ახლა საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის „ბუმია“. ჯერ კიდევ 2012 წლიდან დაიწყო 15 ჰესის მშენებლობა, რომელთა საერთო ღირებულება იყო 3,5 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო სიმძლავრე - 2000 მგვტ-ზე მეტი. 2011 წელს კი უკვე შენდებოდა 10 ჰესი. მათი საერთო სიმძლავრეა 300 მგვტ., გამომუშავება 1,5 მლრდ კვტ.სთ.

აღნიშნულ სადგურთა შორისაა: ფარავანჰესი, ლუხუმჰესი, მტკვარჰესი, ლარსიჰესი, შილდა-ჰესი, გუბაზოულიჰესი, ბახვიჰესი - 2. მხოლოდ ბოლო 2 წელიწადში (2013-2014) ექსპლუატაციაში შევიდა 7 ჰესი 251 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით. დაიწყო ქარის ელექტროსადგურის და უკვედამთავრდა გარდაბნის 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული თბოსადგურის მშენებლობა.

გარდაბნის სადგური ხასიათდება მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით. იმუშავებს ბუნებრის გაზზე და აღიჭურვება კომბინირებული ციკლის უახლოესი ტექნოლოგიებით, მათ შორის „ჯენერალ ელექტრისის“ და „შკოდას“ მაღალეფექტიანი ტურბინებით. სადგური არის ყველაზე საიმედო რეზერვი, პროექტის საინვესტიციო ღირებულება 220 მლნ აშშ დოლარია, პოტენციური გამომუშავება - 1,8 მლრდ კვტ. სთ.

ნავარაუდევია აგრეთვე ტყიბულში მძლავრი ახალი ჰესის მშენებლობა; ამ მიზნით მნიშ-ვნელოვნად გაიზრდება ადგილობრივი ნახშირის მოპოვება.

მთავარი აქცენტი გადატანილია განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებაზე.

პერსპექტიულ მშენებლობათა გათვალისწინებით შემუშავებულია „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“ 2015-2025 წლებისთვის, რომელიც დამტკიცებულია მთავ-რობის მიერ (ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოს ელექტროსისტემის ენერგიის საპროგნოზო ბალანსი
(მლრდ კვტ. სთ)

წელი	გენერაცია	ჰესები	თბოსადგურები	მოხმარება	ექსპორტი
2015	11,57	9,48	2,09	11,15	0,42
2016	12,79	10,84	3	11,71	1,08
2017	13,99	10,99	2,3	12,29	1,70
2018	14,03	11,72	2,65	12,91	1,12
2019	16,39	13,73	3,64	13,55	2,84
2020	19,94	16,3	2,18	14,23	5,71
2021	24,52	22,34	1,37	14,94	9,58
2022	26,78	25,42	1,85	15,69	11,09
2023	27,26	25,42	2,38	16,48	10,78
2024	27,8	25,42	2,97	17,30	10,50
2025	28,42	24,42	3,0	18,16	10,26

ამ გეგმის მიხედვით, 2025 წელს საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება შეადგენს 28,42 მლრდ კვტ.სთ, მათ შორის ჰესებში – 25-42. გამომუშავების ასეთი ზრდა კი საშუალებას იძლევა იქნეს ექსპორტზე გადატანილი 10 მლრდ კვტ.სთ-ზე მეტი ენერგია.

საქართველოში ნავთობის მოპოვებამ მაქსიმუმს 1982 წელს მიაღწია – 3331 ათას ტონა შეა-დგინა. ეს კი 1960 წლის დონეს 98-ჯერ აღემატებოდა. ნავთობმოპოვება რესპუბლიკაში ძირითადად სამგორი-პატარძეულის საბადოს ხარჯზე ვითარდებოდა. 1982 წლისათვის ამ საბადოზე მოდიოდა რესპუბლიკაში მოპოვებული ნავთობის 92,8% და თანმდევი გაზის 82%.

ამჟამად ნავთობის მოპოვება, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, უცხოური ინვესტიციების მეშვეობით თანდათან გამოდის იმ მდგომარეობიდან, რომელშიც იგი 1990-1995 წლებში იყო. თუმცა ბოლო წლებში მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა.

ქვეყანაში ნავთობისა და გაზის პერსპექტიულ ტერიტორიებს მიეკუთვნება 26,5 ათასი $მ^2$ ფართობი ხმელეთზე და 6 ათასი $მ^2$ შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში.

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში ნავთობის ძიებასა და მოპოვებას ახორციელებს 12 კომპანია, მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთის, ჩინეთის, ისრაელის, ავსტრალიის, რუმინეთისა და საქართველოს კომპანიები.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნახშირის წარმოება საქართველოს მრეწველობის პრიორიტეტულ დარგად ითვლებოდა. 1990 წლის შედეგებით მასზე მიდიოდა სათბობი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 20,0%, მომუშავეთა 79,6% და ძირითადი საწარმოო ფონდების (კაპიტალის) ღირებულების 53.4%.

განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნახშირის წარმოებას საქართველოში 1958 წელს ჰქონდა, როდესაც მოპოვებულ იქნა 3014 ათასი ტონა, რაც 3.1-ჯერ აღემატებოდა 1990 წლის

დონეს.ეს განაპირობა იმ გარემოებამ,რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებინახშირის საწარ-მოთა ყველაზე ინტენსიური მშენებლობის პერიოდი იყო საქართველოში და იგი უკავშირდებოდა ქვეყანაში თუჯის, ფოლადის, ნაგლინის წარმოების განვითარებას. ამასთან, ნახშირის წარმოება აგრეთვე ამარაგებდა შავ მეტალურგიას ტექნოლოგიური სათბობით, ხოლო ელექტროენერგეტიკას – ენერგეტიკული ნახშირით. საქართველო ერთადერთი რესპუბლიკა იყო სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც საკუთარი ნახშირის მრეწველობა ჰქონდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში ნახშირის მოპოვება უკიდუ-რესად შემცირდა. მისი ერთგვარი გამოცოცხლება შეიმჩნევა 2009 წლიდან. მან თავის მაქსიმუმს მიაღწია 2014 წელს – 352 ათასი ტონა. ეს კი 2000 წლის დონეს 48,2-ჯერ აღემატება (ცხრილი 3)

ცხრილი 3

ნახშირის მოპოვება საქართველოში 2000-2014 წლებში (ექსპერტული შეფასება)

წლები	ათასი ტონა
2000	7, 3
2005	5, 1
2007	15, 0
2009	110, 0
2010	119, 7
2013	350,0
2014	352,0

საქართველო მდიდარია ენერგიის არატრადიციული რესურსებით, თუმცა ჯერჯერობით მათი პრაქტიკული გამოყენება თითქმის არ ხდება.

თერმული წყლები. ეს რესურსები მიწის სიღრმისეული სითბოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესწავლილი სახეა და დაკავშირებულია მიწისქვეშა თერმულ წყლებთან. საქართველო ასეთი წყლებით მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური შესწავლის თანამედროვე ეტაპზე თერმული წყლების საერთო პროგნოზული მარაგი (წყლის ტემპერეტურა 50-1100 C) შეადგენს 250 მლნ კუბურ მეტრს. მისი სრული გამოყენებით, როგორც ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემები გვიჩვენებს, წლიურად შეიძლება დაიზოგოს 1.5-2 მლნ ტონა პირობითი სათბობი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში მარაგის სახელწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული იყო თერმული წყლების მარაგი დღე-ღამეში 200 ათასი კუბური მეტრის ოდენობით, ხოლო 1990 წლის დასაწყისში კი რესპუბლიკის განკარ-გულებაში იყო 59 წყალშემკრები ჭაბურღილი, რომელთა საერთო სიმძლავრე დღე-ღამეში 60 ათას კუბურ მეტრზე მეტი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ საქართველოში თერმული წყლების 23 საბადოდან დამუშავებაში იყო 17, კერძოდ, კინდღა-მოქვის, რეჩხის, საბერიოს, ზუგდიდი-ცაიშის, კვალონის, მენჯის, სამტრედიის, ვანის, თბილისის, ბიჭვინთის, ხარაგაულის, ალაზნის, კარდანახის, ჭანდარის, ყვარლისა და ენისელისა.

მზის ენერგია. ენერგიის არატრადიციული წყაროებიდან ყველაზე უფრო პერსპექტიული მზის ენერგიაა. ამავე დროს ის ყველაზე უფრო „სუფთა“ და მუდმივი პირველადი ენერგორესურსია.

საქართველო, როგორც სამხრეთი ქვეყანა, მზის ენერგიით მდიდარია და მდებარეობს ე.წ. „მსოფლიოს მზის სარტყელში“ (ჩრდილოეთი განედის 450, სამხრეთი განედის 450).

მზის ენერგიის თეორიული ოდენობა, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე ხვდება წლის განმავლობაში, აღწევს 1014 კვტ. სთ-ს, ანუ 32,5 მლრდ ტონა პირობით სათბობს, რაც დაახლოებით 1600-ჯერ აღემატება ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარების 1990 წლის დონეს.

საქართველოს უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა საკმაოდ დიდია და მერყეობს 200-დან 250 დღემდე. ამასთან, უფრო მზიანია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები, ვიდრე შავიზღვისპირეთი და კოლხეთის დაბლობი. წლის განმავლობაში მზის ნათების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება როდიონოვკაში (2 633 სთ), ყველაზე დაბალი – საირმეში (1 147 სთ), ზამთრის თვეებში მზის ნათება საშუალოდ 80-120 საათს (მაქსიმუმი შესაძლებლობის 25-40%), ზაფხულის თვეებში ზოგჯერ 285-300 საათს (50-65%), ხოლო ხელსაყრელ წლებში- 300-360 საათს (70-75%) შეადგენს.

საქართველოს ზოგიერთი რაიონი მზის ნათების ხანგრძლივობით არათუ ჩამორჩება, არამედ ჭარბობს კიდეც მსოფლიოს იმ რეგიონებს, სადაც წარმატებით გამოიყენება ჰელიოდანადგარები. 1990 წლის დამდეგს საქართველოში სამრეწველო, საკურორტო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 338 ობიექტზე დადგმული იყო და ფუნქციონირებდა დაახლოებით 65 ათასი $მ^2$ მზის

კოლექტორი, მათი ექსპლუატაციით ყოველწლიურად იზოგებოდა 7.8 ათასი ტონა მაღალხარისხიანი პირობითი სათბობი.

ქარის ენერგია. საქართველოს ქარის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პოტენციალი აქვს, რომელიც ჯერჯერობით პრაქტიკულად არ გამოიყენება. როგორც სპეციალური გამოკვლევები გვიჩვენებს, თეორიულად, საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ენერგიის მარაგი შეადგენს 1.3. 1012 კვტ-სთ-ს წლიურად, ხოლო წამში 4.0-ზე მეტი სიჩქარის ქარის ენერგიის მარაგი ცალკეულ ზონაში წლიურად თითქმის 4,5 მლრდ კვტ.სთ-ს აჭარბებს;

საქართველოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებები გატარდეს ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებისათვის. ამისათვის კი აუცილებელია: 1. ბუნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით რაციონალურად გამოვიყენოთ ტერიტორიაზე არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მთელი კომპლექსი-ჰიდროენერგია, ქვანახშირი, ნავთობი და არატრადიციული წყაროები; 2. ჩამოყალიბდეს საქართველოს პირობებისათვის შესაფერისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური სტრუქტურა. სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, ენერგეტიკულ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, თავიანთი ადგილი უნდა მიეკუთვნოს როგორც ჰიდრო, ისე თბოსიმძლავრეებს და ენერგიის სხვა ალტერნატიულ წყაროებს; 3. აუცილებელია რესპუბლიკის ენერგოუზრუნველყოფის საქმეში დიდი როლი შეასრულოს ამ რესურსების ეკონომიურმა და რაციონალურმა გამოყენებამ; 4.საქართველომ საიმედო და ხელსაყრელი საგარეო ენერგეტიკული კავშირები უნდა დაამყაროს მსოფლიოს მოწინავე, მათ შორის მეზობელ სახელმწიფოებთან.

ენერგეტიკის განვითარება, ცხადია, მნიშვნელოვან თანხებს საჭიროებს. ეს კი ხშირად ხდება დარგის განუვითარებლობის მიზეზი. თუმცა ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ენერგეტიკის განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების მოცულობას და ენერგიის დანაკლისით გამოწვეული ეროვნული შემოსავლების შესაძლო ზარალს, დავინახავთ, რომ ენერგეტიკისგანვითარებისთვის საჭირო კაპიტალდაბანდებები 5-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ის ზარალი, რასაც ამ დარგის განუვითარებლობა გამოიწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ჩომახაძე, საქართველოს ენერგეტიკა: ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია, სტატისტიკა. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014.
2. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა. საქართველოს ელექტროსისტემა. 2015.
3. „საქსტატის“ სტატკრებულები, 2005-2014.

Lia Bibilashvili

ENERGY COMPLEX OF GEORGIA: CURRENT STATE AND PERSPECTIVES

Annotation

The article assesses the current state of energy arecharacterized the electricity, oil and coal mining development trends,analyzed the energy balance. Laying its perspectives for the period until 2025. The focus is on the problems of the energy balance deficit and also there are expressions and suggestions how to mitigate it.

თამაზ გამსახურდია
თეიმურაზ ფესტვენიძე

მენეჯმენტის როლი ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში

საქართველო თავისი მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებით, ისტორიული ძეგლებითა და ლანდშაფტებით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, რომელსაც მეცნიერები, გეოგრაფები, ისტორიკოსები, მოგზაურები და სხვები მოიხსენიებენ, როგორც მდიდარი წარსულისა და ტრადიციების მქონე ქვეყანას.

ბუნებრივი რესურსების დაცვა, მისი ეფექტურად გამოყენების ოპტიმიზაცია დიდი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ადამიანი პრაქტიკულად ზემოქმედებს გარემოზე და ცვლის ბუნებრივ რესურსებს. ამ რესურსების ზოგიერთი ნაწილი გამოულევადია იმ თვალსაზრისით, რომ სწორი ექსპლუატაციის პირობებში ისინი განახლებდია. წიაღისეული რესურსის მარაგები თანდათან კლებულობს და ოდესღაც საბოლოოდ ამოიწურება, ამიტომ ჩვენი ქვეყნის ძირითად რესურსად უნდა განვიხილოთ განახლებადი რესურსები და გონივრული გამოყენებით ვაქციოთ ისინი მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროდ.

დროა, თავი დავანებოთ იმაზე წუწუნს, რომ ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეები (ნავთობი, გაზი და აშ., რომელთა საკმაო რაოდენობა გვაქვს, მაგრამ საერთო სახალხო საკუთრებად ვერ ვაქციეთ), გადავიდეთ ულევი, აღდგენადი რესურსების (მინერალური,

სამკურნალო და თერმული წყლები, წარმატებული აგრარული მეურნეობებისათვის არსებული უნიკალური ბუნებრივი პირობები, ტყეები, მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მთები, ზღვა) მიზანმიმართულ, გონივრულ გამოყენებაზე, რომლებსაც შეუძლია დიდი სარგებლობა და შემოსავლები მოუტანოს როგორც ცალკეულ ინდივიდებს (ინვესტორებს), ასევე ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს.

ყოველივე ამ და სხვა ჯერ კიდევ რესურსად ვერ აღქმული სიმდიდრის გამოყენებას სჭირდება ცოდნა, გამოცდილება, მონდომება, სახელმწიფოებრივი ნება და საკითხებისადმი გააზრებული მიდგომა, კრეატიული აზროვნება და არა ბრმა მიმბაძველობა ერთმანეთისადმი. საქართველოს უნიკალურ რესურსად შეიძლება ვაქციოთ 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყარო, 12 000 ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი (მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში), 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა.შ. ასევე აღნიშვნის ღირსია ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი – ტყე.

ტყეები მრავალრიცხოვანი რესურსის (მერქანი, ქერქი, ტოტები, ფოთოლი, ნაყოფი, თესლი, სოკო და სხვა) უმდიდრესი წყაროა. ამ რესურსებმა ფართო გამოყენება პოვა მერქნის დამზადების, გადამუშავების, ქიმიური, კვების, ფარმაცევტული და მეურნეობის სხვა დარგებში. ტყე ერთ-ერთი ბუნებრივი ბიოლოგიური რესურსია, რომელსაც აღდგენის უნარი ახასიათებს. იგი ასრულებს პლანეტურ-ბიო-გეო-ქიმიურ ფუნქციას, მონაწილეობს მრავალფეროვანი ლანდშაფტის შექმნაში. იმ ხეების, ბუჩქებისა და ბალახების, აგრეთვე ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებული არიან ბიოლოგიურად და ახდენენ ზეგავლენას როგორც ერთმანეთზე, ისე გარემოზე, აქვს ძალზე დიდი წყალშემნახავი, ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა, ამიტომ ტყის დაცვასა და მის რაციონალურ გამოყენებას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

სახელმწიფო ტყის საერთო ფართობი 2456.2 ათას ჰექტარს შეადგენს, მათ შორის ტყით დაფარულია 2314.3 ათასი ჰექტარი. საქართველოში მერქნის საერთო მარაგი - 451.7 მილიონი კუბური მეტრია, რაც მსოფლიო მერქნის მარაგის 0.13% შეადგენს.

საქართველოში ტყის მოვლა-პატრონობის მიზანმიმართული სამუშაოები XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო. 1959 წ. განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები ბორჯომის, ახალციხისა და აბასთუმნის ტყის ფონდებში (ერთდროული აღრიცხვა და განვლილ პერიოდში მომხდარი ცვლილებების ფიქსირება). ბორჯომის ტყეების სტატისტიკური აღწერა სატყეო მეურნეობის წარმოების საფუძვლების დამუშავების პირველი ცდა იყო მთლიანად კავკასიის მთიანი ტყეებისათვის.

ცხადია, ტყე უნიკალური რესურსია, მაგრამ კაცობრიობა წარსულში მას ულევ რესურსად მიიჩნევდა (ასეთი მიდგომა, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება) და ამ რესურსების მხოლოდ მოპოვებით იყო დაკავებული, რამაც ტყის მასივების დიდი ნაწილი მოსპო, გაანადგურა. დღესდღეობით, მართალია, საზოგადოდ ეს მიდგომა შეიცვალა და სატყეო მეურნეობების მართვა-აღდგენას მეტი ყურადღება ექცევა მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჩვენში, და უმრავლეს განვითარებად ქვეყნებში, სადაც სადღეისო გადაუჭრელი პრობლემებიდან გამომდინარე, ვანდალურად ვექცევით ჯერ კიდევ შემორჩენილ უნიკალური ტყის რესურსებს, აუცილებელია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის აღმოსაფხვრელად, რათა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ტყის განახლებასა და ხე-ტყის რესურსების შემცვლელი მასალების მოძიებას. აუცილებელია, ხელისუფლების მხრიდან გატარდეს რადიკალური ღონისძიებები ტყეების განახლება-აღდგენისათვის, ასევე მკაცრი კონტროლი დაწესდეს ამ უნიკალური რესურსის დასაცავად.

ჩვენი ქვეყანა აგრეთვე გამორჩეულად მდიდარია მინერალური, სამკურნალო და მტკნარი წყლებით. ამ რესურსის გონივრული გამოყენებით ქვეყანას ხალხის კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფის მეტი შესაძლებლობა მიეცემა.

როგორც იუნესკოს მონაცემებიდან ირკვევა, მსოფლიოში ყოველწლიურად 250 მილიონი ადამიანი იღუპება სასმელი წყლის დეფიციტის ან უხარისხო წყლის მოხმარების მიზეზით. საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, რამდენიმე წელიწადში, მტკნარი წყლის მსოფლიო რესურსის შემცირების გამო 4 მილიარდი ადამიანი დარჩება ფიზიოლოგიური საჭიროებისათვის აუცილებელი წყლის მინიმუმის გარეშე. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში საქართველომ უდავოდ უნდა შეიძინოს მაღალი ხარისხის მქონე ბუნებრივი სასმელი წყლის მწარმოებელი და მიმწოდებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნის ფუნქცია.

საქართველო მდიდარია მდინარეებით (26060), რომელთა საერთო სიგრძე 60 ათას კმ-ს აღწევს, ტბებით (850), რომელთა მოცულობა 0.5 მლნ $მ^3$-ს აღემატება და წყალსაცავებით (44) წყლის ზედაპირის საერთო ფართობი 163 $კმ^2$-ია. ჩვენში მყინვარების რიცხვი 786 აღწევს, ხოლო საერთო ფართობი – 555.88 $კმ^2$-ს. საქართველოში, ასევე, მრავლადაა ჩანჩქერები. ის გვხვდება სამეგრელოში (ოჩხომურის, აბაშისა და ტობას ჩანჩქერები), აფხაზეთში (გეგის, კლიჩის), ყაზბეგის რაიონში (არშის, გველეთის), კახეთში (ლაგოდეხის ნაკრძალი) და სხვ. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მტკნარი წყლის მარაგი უშრეტია, სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებისაგან (ნავთობი, გაზი და სხვა მადნეული წიაღისეული) განსხვავებით მალაღდგენადია. სამწუხაროდ, ეს წყალი ამაოდ იღვრება, ბინძურდება და ზღვაში ჩაედინება. თვისებებისა და ხარისხის მიხედვით საქართველოში არის

მსოფლიოში საუკეთესო წყლები, გვაქვს ბუნებრივი მრავალსართულიანი აუზი, სადაც წყალი შრე-შრე ბუნებრივად იფილტრება და იშვიათი მინერალებით მდიდრდება. ლეგენდებში ქართულ წყალს უკვდავების წყლადაც მოიხსენიებდნენ.

ამ უნიკალური ბუნებრივი რესურსის მნიშვნელობა და ღირებულება ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, ვფიქრობთ, ის ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესთა სფეროში უნდა მოექცეს და სახელმწიფომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უნდა გამოიყენოს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო კონგრესებსა და კონფერენციებზე გლობალური დათბობის საკითხების განხილვისას უცხოელი სპეციალისტების მიერ ხშირად ისმის საიმედო პროგნოზები და სერიოზული მინიშნებები საქართველოს მტკნარი წყლის რესურსების გამოყენების ფართო შესაძლებლობების შესახებ და ჩვენი ქვეყანა პირდაპირ სახელდება ამ პროდუქტით მსოფლიო დეფიციტის ერთ-ერთ სტრატეგიულ შემავსებელ ქვეყნად. ეს ცხადყოფს ჩვენთვის ღვთის მიერ ბოძებული ბუნებრივი სიმდიდრის მნიშვნელობას კაცობრიობისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე. თუ განვავითარებთ შესაბამის ინდუსტრიას, გრუნტის წყლების ულევი მარაგის მხოლოდ 0,75 პროცენტის ათვისების პირობებშიც კი, შეიქმნება ათასობით სამუშაო ადგილი და წლიურად, სავარაუდოდ, 12 მილიარდ დოლარამდე შემოსავალი შემოვა. მეცნიერთა ჯგუფის გაანგარიშებით, ყოველდღე საქართველოში უქმად იღვრება 2 ტრილიონი დოლარის ღირებულების წყალი. აღსანიშნავია, რომ სასმელი წყალი ძვირი ღირს და 1 ლიტრის ფასი ზოგ ქვეყნებში 1 ლიტრი ბენზინის ფასსაც აღემატება. ეს მიუთითებს, რომ არათუ გადარჩენის, არამედ აღორძინებისა და განვითარებისათვის საკმარისზე მეტი რესურსი გაგვაჩნია და თუ მას ოპტიმალურად და რაციონალურად გამოვიყენებთ, მსოფლიოში ეკონომიკურად ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ვიქცევით. თანაც ისე, რომ სასმელი წყლის ჭაბურღილები და წყაროები უცხოელზე არ გასხვისდეს და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს.

როგორც ანალიზიდან ჩანს, ჩვენს ქვეყანაში მიწის დამუშავებისა და გამოყენების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა. ამიტომ მეცნიერული კვლევებითა და გააზრებული მენეჯმენტით გამიზნული რეკომენდაციების გამოყენებით, ჩვენს ხელთ არსებული მიწის ფონდი, შესაძლებელია, ინტესიურად დაიტვირთოს.

ქვეყნები, რომლებსაც მწირი ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრები გააჩნიათ, ამის საკომპენსაციოდ იძულებულნი არიან, თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიები გამოიყენონ მეურნეობის ყველა სფეროში და მათ შორის აგროსექტორშიც. ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ მაღალი ინტელექტუალური დონე ამის საშუალებას იძლევა, თუ მას სათანადო ყურადღება მიექცევა, ქვეყანაში ამით ცხოვრების დონე მკვეთრად ამაღლდება.

საქართველოში, ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, შესაძლებელია, სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად, უფრო მეტი თხილისა და ჩაის პლანტაციები გავაშენოთ და გავზარდოთ მოსავლიანობა. ამით ამაღლდება ქართული თხილისა და ჩაის რეალიზაციის ხვედრითი წილი მსოფლიო ბაზარზე.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოს ყველაზე მეტი შემოსავლების მიღება შეუძლია სოფლის მეურნეობის რამდენიმე მიმართულების განვითარებით (ხილი, ბოსტნეული, თხილი, ჩაი, ღვინო და სხვა).

სურსათისა და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის 2005-2010 წწ. მონაცემებით, თხილის კულტურის ფართობი ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში ასე გამოიყურება: თურქეთი – 345 ათასი ჰა, აშშ – 11,8 ათასი ჰა, ირანი – 11 ათასი ჰა, ესპანეთი – 12,1 ათასი ჰა, საქართველო და ჩინეთი – 8-8 ათასი ჰა, ხოლო მიღებული მოსავლის მიხედვით, ასევე თურქეთი ლიდერობს – 501,6 ათასი ტონა, შემდეგია იტალია – 112,3 ათასი, აზერბაიჯანი – 18,6 ათასი, ესპანეთი – 18,3 ათასი, აშშ – 28.5 ათასი, ირანი, საქართველო, ჩინეთი – 12-12ათასი ტონა.

ჩვენს ქვეყანაში არსებობს შანსი, რომ მოვიზიდოთ ინვესტიციები და ის გამოვიყენოთ მეტად საჭირო დარგის, თხილის წარმოების გაზრდისათვის. მით უმეტეს აღნიშნულ ნედლეულზე მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა. თხილის წარმოებას ახლაც და პერსპექტივაშიც განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება, რადგან ქართული თხილი თავისი სასაქონლო თვისებებით მაღალკონკურენტუნარიანია.

სპეციალისტებთან ერთად, ბიზნესმენები უნდა დაინტერესდნენ თხილის პლანტაციების გაზრდით, სწორად შეარჩიონ მაღალმოსავლიანობით გამორჩეული რეგიონები, გაითვალისწინონ გარკვეული ინვესტიციები, რაც დიდ რისკთან არ იქნება დაკავშირებული და ინვესტიციის უკუგების ეფექტი მალევე მიიღება.

სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ექსპორტში უმსხვილესი სასაქონლო პოზიციის მიხედვით მიწინავე პოზიციებს თხილი და ღვინო იკავებს, ხოლო ბოლო ინფორმაციით ექსპორტის წილში 4% უჭირავს თხილს. (გასულ წელს 64 035 900 აშშ დოლარი) ხოლო ღვინოს - 2.5% (39 269 ათასი აშშ დოლარი).

როგორც ექსპერტები აფასებენ, ქართული თხილის საექსპორტო პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. დღესდღეობით აუთვისებელია თხილისათვის ვარგისი მიწის რესურსის დიდი ნაწილი. ფერმერების მხრიდან განსაკუთრებული ყუ-

რადღება უნდა მიექცეს პლანტაციებში თხილის ჯიშების შერჩევისა და ნედლეულის ხარისხობრივად ერთგვაროვნების უზრუნველყოფის ორგანიზაციას.

შიდა რეზერვების, ნოვაციების, სწორი სტრატეგიული ხედვის ეფექტურად გამოყენების პირობებში თხილის ბიზნესი კიდევ უფრო წარმატებული გახდება და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საქმეში.

საინტერესოა, რომ ჩაი საქართველოში კალმების სახით 1847 წელს იქნა შემოტანილი, რომელმაც კარგად იხარა ოზურგეთის საცდელ სადგურში. 1864 წელს მ. ერისთავმა სრულიად რუსეთის გამოფენაზე გაიტანა ქართული ჩაის ნიმუში, რომელიც დამზადებული იყო ოზურგეთის მაზრის (სოფ. ორაბერეჟოულის) მიწის მცირე ნაკვეთზე მოყვანილი ჩაისაგან. 1885 წ. ჩაქვში (აჭარა) ა. სოლოვცევმა გააშენა ჩაის პირველი სამრეწველო პლანტაცია. შემდეგ ჩაის პლანტაციები გაშენდა კრასნოდარის მხარეში (1901), აზერბაიჯანში (ლენქორანი 1921) და სხვა.

საქართველოში ჩაის კულტურა სწრაფად განვითარდა, ანუ კოლხეთის მიწაზე ჩაის კულტურამ ღრმად მოიკიდა ფეხი და, აქედან მოყოლებული, აღმავლობით დაიწყო საქართველოში ჩაის მრეწველობის განვითარება.

1976 წ. ჩაის პლანტაციების ფართობი იყო 76.8 ათასი ჰა. ჩაის ფოთლის საერთო მოსავლიანობა 375 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო საშუალო მოსავლიანობა ჰა-ზე დაახლოებით 50 ც. მეჩაიობის ისტორიაში პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში მიიღეს სელექციური ჯიში-პოპულაციები: ქართული 1, ქართული 2. ჯიში კლონი კოლხეთი (ქ. ბახტაძე) და სხვა. ჩაის აღნიშნული ჯიშები მოსავლიანობით 25-60%-ით აღემატებოდა სელექციურ ჯიშებს.

საქართველოში ჩაის ფართობები ყოველწლიურად იზრდებოდა და 1984 წელს 80 ათასი ჰექტარს მიაღწია, ხოლო ნედლეულის მოსავალმა 616 ათას ტონაზე მეტი შეადგინა.

ჩაი მეტად სასარგებლო მცენარეა, მის ფოთლებს იყენებენ სასმელის დასამზადებლად. მისგან ძირითადად მზადდებოდა ბაიხის (შავი და მწვანე) ჩაი და დაწნეხილი მწვანე აგურა (ლაო-ჩაი) და შავი ფილა ჩაი. ფოთლების ნარჩენებისაგან ამზადებდნენ კოფეინს, P ვიტამინს და სხვა სამკურნალო პრეპარატებს, გამაგრილებელ სასმელებს. ჩაის თესლისგან მიღებულ ზეთს იყენებდნენ კოსმეტიკაში, საკონსევრო მრეწველობაში, ზუსტი ხელსაწყოების შესაზეთად და საპნის წარმოებაში. ამდენად მრავალფეროვანია ჩაის ფოთლებისაგან დამზადებული პროდუქცია, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანისა და აგრეთვე სხვადასხვა დარგის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოში ჩაის წარმოებას უდავოდ ერთ-ერთ პრიორიტეტული ადგილი უნდა ეთმობოდეს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში ჩაი განადგურების, გადაშენების პირას არის მისული. თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითზე ჩამოსათვლელ ჩაის მიკროფაბრიკებს. ერთ დროს განთქმულ ქართულ არომატულ ჩაის იშვიათად თუ ვიხილავთ მარკეტების თაროებზე.

დასამალი არ არის ის მდგომარეობა, რომ ათეულ-ასეულობით ჰექტარზე გაშენებული ჩაის პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ამოიძირკვა და გათავისუფლებული მიწის ფართობს უფრო ნაკლებად ეფექტიანი დანიშნულებისათვის იყენებენ, რაც ჩვენ ღალატის ტოლფასად მიგვაჩნია. ჭეშმარიტებაა, რომ ჩაის კულტურისათვის ვარგისიანად და საჭიროდ იმთავითვე რეკომენდებული იყო კოლხეთის მადლიანი მიწა და სწორედ ამიტომ აქ დაიმკვიდრა ადგილი ამ ღვთიურმა მცენარემ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთლიანად განადგურდა ჩაის მრეწველობა. ლიკვიდირებულ იქნა საცდელი მეურნეობები, სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტები და ჩაის ფაბრიკები.

ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეკუთვნის ხელისუფლებას და მსხვილ ბიზნესმენებს, რომელთაც აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, რომ თავიანთი სახსრების გარკვეული ნაწილი მოახმარონ მეტად საშურ საშვილიშვილო საქმეს, ქართული ჩაის აღორძინებას. ისე ნუ გაგვიგებენ ჩვენი ოპონენტები, რომ საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციები მთლიანად შევინარჩუნოთ. ნუ გავანადგურებთ ჩაის ისეთ პლანტაციებს, რომლებიც მოსავლიანობის ხარისხითა და სხვა კონკურენტუნარიანი პარამეტრებით გამოირჩევა. სპეციალისტებმა და მეცნიერებმა უნდა შეისწავლონ, სად რა რაოდენობით იქნეს შენარჩუნებული ჩაის პლანტაციები, მათს რეკომენდაციებზე დაყრდნობით გადავარჩინოთ ჩაი განადგურება-გადაშენებას.

მეცნიერულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების არარაციონალურმა გამოყენებამ ნეგატიური გავლენა იქონია შრომითი რესურსების განვითარებაზე, კერძოდ, მაღალი ტემპით მოსახლეობის დენადობამ უარყოფითად იმოქმედა დემოგრაფიულ მდგომარეობასა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდაზე.

Tamaz Gamsakhurdia
Teimuraz Pestvenidze

THE ROLE OF MANAGEMENT IN THE USE OF NATURAL RESOURCES

Annotation

The paper discusses the importance of rational use of natural resources of Georgia and its role in improving the welfare of the people. It is emphasized that the protection of natural resources, optimizing their effective use by the authorities should be considered as a large socio-economic, political and public act.

Scientific studies show that ineffective use of the rich natural resources of the country had a negative impact on the development of human resources, which in turn had a negative influence on enhancing the economic potential of the country.

მაია გელაშვილი

საფინანსო პოლიტიკის როლი და მიზნები

ქვეყნის ეკონომიკა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ეკონომიკური ინტერესების განსახორციელებლად ხელისუფლება იყენებს საფინანსო პოლიტიკას, რომელსაც მრავალი მიზანი აქვს. მათი განხორციელება კი მოითხოვს ეფექტიანი, დადებითი და რეალური გეგმის დასახვას და მათ რეალობაში მოყვანას. ნებისმიერი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტის შედგენისას ყველა მისი მოთხოვნისა და პრინციპის გათვალისწინებას და დაცვას. საგადახდო სისტემების ძირითად ამოცანად სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე ბიზნესსაქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა ანგარიშსწორება, ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორეში ფულის ან ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის უზრუნველყოფის ხელშეუწყობა უნდა წარმოადგენდეს, რომელიც გამოხატულებას უნდა პოვებდეს საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხთან, რასაც გადასახადების განაკვეთის განსაზღვრა ჰქვია. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება დისკუსია იმის თაობაზე, თუ რა სიდიდის გადასახადი უნდა დაწესდეს, რადგან მისი მაღალი განაკვეთები ქვეყანაში მეწარმეებსა და ინვესტორებს ბიზნესის წარმოებისა და სხვა სამეწარმეო საქმიანობების წარმართვის სურვილს უკარგავენ.

საფინანსო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაზეა დამოკიდებული ქვეყნის წარმატება და მომავალში მისი ეკონომიკის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება, როგორიცაა: საინვესტიციო პოლიტიკა, რეგიონული განვითარების პოლიტიკა, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის პოლიტიკა; ფასწარმოქმნის, საკრედიტო, ფულადი პოლიტიკა და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნების საფინანსო პოლიტიკა უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება, რაც განაპირობებს პრობლემის თეორიული კვლევისადმი განსხვავებულ მიდგომებს და შესაბამისად არაერთგვაროვანი მეცნიერული შეხედულებებისა და დასკვნების არსებობას.

ეკონომიკის განვითარების ყოველი ეტაპი ახალი რეალობებით ხასიათდება, რომელთა მეცნიერული კვლევაც აგრეთვე მუდმივად განვითარებადი პერმანენტული პროცესია. დღევანდელი რეალობის პრობლემატურობა განპირობებულია საქართველოს ახალი საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად ქვეყნის ფინანსური და კერძოდ, საბიუჯეტო ურთიერთობების რეფორმირების აუცილებლობით. შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო პოლიტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს:

ა) ქვეყნის ტერიტორიაზე საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებაში;

ბ) ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარების მთავარ მიმართულებებზე ფინანსური რესურსების კონცენტრაციას, მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას;

გ) ადგილობრივი ნედლეულის რესურსების მომჭირნეობით გამოყენებას.

ფინანსებს განსაკუთრებული თვისება გააჩნია – ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების დროს შეასრულოს კატალიზატორის როლი რაოდენობრივ და ხარისხობრივ ასპექტებში. საქართველოს წინაშე დგას მეტად სერიოზული ფინანსური პრობლემები. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაღალი დონე, რომელიც აძლიერებს მატერიალურ-საფინანსო დაუბალანსებლობას. ბიუჯეტის დეფიციტის გართულებული პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული ღონისძიებების ჩატარება მოუწევს, რომელშიც მთავარ საკითხს საწარმოებზე საბიუჯეტო დოტაციის შეწყვეტა და მათი პრივატიზება, სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის ორგანოების შენახვის ხარჯების შემცირება მოუდება.

საქართველოს საფინანსო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალის ბაზრის ფორმირებასაც, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროს. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ცნობილია, რომ კაპიტალის ბაზარი განისაზღვრება ორი ძირითადი ნიშნით ესაა დროითი და ინსტიტუციური. პირველი ნიშნის პირობებში ბაზარი იყოფა ორ ელემენტად: ფულადი ან მოკლევადიანი კაპიტალების ბაზრად და საშუა-

ლოვადიანი ან გრძელვადიანი კაპიტალების ბაზრებად, რომლებიც ეკონომიკის განვითარებაში წარ-წარმოდგენილია საინვესტიციო ფაქტორად. მეორე ნიშნის გამოყენება ემყარება საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც ეფუძნება კაპიტალის ბაზრის შედარებით მოქნილ, გავრცელებულ და მრავალსაფეხურიან სტრუქტურას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკა შედგება სახელმწიფო საქმიანობის ორი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებისაგან: პირველი, საგადასახადო დაბეგვრის სფეროსა და მეორე, სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურული რეგუ-ლირებისაგან.

საფინანსო პოლიტიკის ეკონომიკურ შინაარსში გადამწყვეტია ფინანსური განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა როგორც პერსპექტივაში, ისე მიმდინარე პერიოდში. მოკლევადიანი სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად კი მიზანშეწონილად მიმაჩნია საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენების შესაძლებლობათა შეზღუდულობა, რასაც ძირითადად შემდეგი ფაქტორები იწვევს:

- საფინანსო-საკრედიტო ბაზრების არაორგანიზებულობა და კომერციული ბანკების უსახს-რობა, რის გამოც ისინი ვერ უძლებენ კონკურენციას და კოტრდებიან;
- სავალუტო შემოსულობათა დაგროვების მოუწესრიგებლობა, რადგანაც მათზე კონტროლი გაძნელებულია კონვერტირებული ვალუტების ქვეყნის შიდა ბრუნვაში დომინირების გამო;
- სტრუქტურული გარდაქმნების შენელებული ტემპი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მექანიზმის მთავარ მიზნად მიმაჩნია:

ა) ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე;

ბ) უზრუნველყოს ეროვნული პროდუქტის დინამიური ზრდის ტემპი, ხარჯების შემცირება;

გ) მაქსიმალურად შეესაბამებოდეს საფინანსო პოლიტიკას.

ამრიგად, სწორი საფინანსო პოლიტიკის გატარება ეკონომიკური ანალიზის გარეშე შეუძლებე-ლია, ხოლო ამგვარი ანალიზიდან გამომდინარე, საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების გზების დასახვა, პრაქტიკულად, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფა და ფულად-საკრედიტო სისტემის სტრუქტურული რეფორმების გატარებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასარია რ. სახელმწიფოს ფუნქციების ტრანსფორმირება და მათი ფინანსური უზრუნველ-ყოფა გარდამავალ პირობებში. შრომები ტ. IV. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ., ფირმა "სიახლე", 2004, გვ. 101-114.
2. კაკულია ე., ბაბუნაშვილი. ფინანსური სისტემის რეფორმების აქტუალური საკითხები. თბ,. ფსკი, 2005.
3. Зви Боди, Роберт К. Мертон. Финансы. Изд. дом Виьямс. Москва-Сант-Петербург-Киев. 2004.с.38.
4. www.nplg.gov.ge

Maia Gelashvili

THE ROLE AND AIM OF FINANCIAL POLICY

Annotation

Nowadays the main problem of the financial policy is the perfection of the budgetary and tax system and also the structural reform in monetary-credit system. Consequently, for providing the short term stabilization, I think it is reasonable to limit the capacity of the use of financial and monetary-credit policy, mainly caused by following factors:

- Disorganization of financial-credit markets and a poor quality of commercial banks, that's why they cannot be competitive and they are going bankrupt.
- Disorganized savings of income from foreign exchange, as controlling over the dominancy of its internal turnover is getting complicated.
- The slower pace of the structural transformations.

შალვა გოგიაშვილი
სლავა ფეტელავა

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

კონკურენციის თეორიასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არაკეთილსინდი-სიერ კონკურენციას, როგორც კონკურენტების ქცევის ძირითად მახასიათებელს. ის წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის (აგენტების) მიზანმიმართულ ქმედებებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელ (დაუმსახურებელ) უპირატესობათა მოსაპოვებლად. ეს ქმედებები ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, სამეურნეო ბრუნვის წესებს, წესიერების, გონივრულობის და სამართლიანობის მოთხოვნებს და აყენებს (შეიძლება მიაყენს) ზარალს სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან მათ საქმიან რეპუტაციას.

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის, დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზით სავსებით დასაშვები, ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება. უფრო მეტიც, ეს უპირატესობანი განპირობებულია სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული მექანიზმის არსებობით. რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ დაუმსახურებლად უპირატესობათა მიღწევას, სახელმწიფო მათ წინ უნდა გადაეღობოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ბარიერებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადაც არსებობს კონკურენცია, იქ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების არსებობაც. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა ცნობილია ყველა ქვეყანაში იმის მიუხედავად, თუ საბაზრო ურთიერთობების რა „სტაჟი" გააჩნია ამ ქვეყნებს და რამდენად დიდი ხანია მიმდინარეობს კონკურენციულ კანონმდებლობათა რეალიზაცია. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეკონომიკურ შეჯიბრებაში (კონკურენციაში) უნდა იმარჯვებდეს ეკონომიკური აგენტი, რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) პროდუქციას მომხმარებლისათვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. თუმცა, სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას ცდუნება აღნიშნული წესების იგნორირების და მათი გვერდის ავლის კუთხით.

ეკონომიკურ კონკურენციაში „არბიტრის" ფუნქციას, როგორც წესი, მომხმარებელი ასრულებს თავისი არჩევანით. მაგრამ სიტუაციის გართულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან, კეთილსინდისიერ კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ „თამაშის წესებს". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციის კანონმდებლობათა და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით, ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- ✓ მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად;
- ✓ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;
- ✓ მატერიალურ ზიანს აყენებს (შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს – კონკურენტებს ან ჩრდილს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

ამასთან, წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციალური და მორალურ-ეთიკური პრინციპების გამოხატვა. ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ ცალეული ქვეყნების მიხედვით, არამედ ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც. ამასთან, ეს ნორმები შეიძლება იცვლებოდეს დროთა განმავლობაში, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრება ნაკლებად ეფექტურია ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ობიექტური შეფასებისათვის. არსებობს რიგი პარამეტრები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მკაფიოდ განისაზღვროს, როგორი პრაქტიკა შეიძლება იქნეს განხილული „არაკეთილსინდისიერი"-ს და როგორი „კეთილსინდისიერი"-ს რანგში. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს საკონკურენციო სამართალი (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა).

ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" კანონის (1996 წლის კანონი) მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით, იკრძალებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იყო მისი გამოვლინების სახეები:

- ✓ კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნიდა არასწორ წარმოდგენას და ამით უბიძგებდა გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ;
- ✓ ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;
- ✓ კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით;
- ✓ ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება;

✓ კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურად გამოყენება;

✓ კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება;

✓ სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

ამასთან, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების შემდგომ პერიოდში – 2005 წლის აგვისტოდან 2014 წლის 21 მარტამდე, საქართველოში მოქმედი კონკურენციის სამართალი არ ითვალისწინებდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმებს. ამ ეტაპზე, ქვეყანაში მოქმედი კონკურენციის ჩარჩო-კანონის (2014 წლის 21 მარტის კანონი) შესაბამისად, დაუშვებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია (თავიII[1]. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. მუხლი 11[3]. ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა), რომლის გამოვლენის სახეები, 1996 წლის კონკურენციის ჩარჩო-კანონის იდენტურადაა მასში ჩადებული. ერთადერთი, რაც 1996 წლის კონკურენციის ჩარჩო-კანონს განასხვავებს 2014 წლის კანონისაგან, არის ის, რომ ახალი კონკურენციის ჩარჩო კანონის ამ ნაწილიდან ამოღებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების ისეთი ფორმები, როგორიცაა „კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებით და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით“ და „კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნის და საფირმო დასახელების თვითნებური გამოყენება“. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩარჩო-კანონის დღევანდელ რედაქციაში 1996 წლის კანონთან შედარებით დამატებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების ისეთი სახეები, როგორიცაა – „შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს“ და „ბოიკოტისკენ მოწოდება“.

რაც შეეხება მსოფლიო გამოცდილებას, უნდა ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობის გამო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ გამოყოფილია ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. სხვა ქვეყნებში კი კონკურენციის შესახებ კანონებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პრობლემატიკას.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წლების განმავლობაში აუხსნელი იყო ის გარემოება - როცა არ არსებობდა ცალკე კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ჩარჩო-კანონში (2005 წლის 3 ივნისიდან) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დეფინიციაც კი არ იყო ჩადებული, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი გამოვლინების სახეებსა და ცალკეულ აკრძალვით დებულებებზე. ბუნებრივია, ეს დადებითად ვერ იმოქმედებდა ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირებაზე. უფრო მეტიც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოს შესაბამის სასაქონლო ბაზარზე („სნიკერსი“/„მიყვარხარ“, „ბაუნტი“/„ბათუმი“) მომხმარებლები უჩიოდნენ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ისეთ ფაქტებს, რომელიც უკავშირდებოდა ფერთა შეხამებას და სიტყვათა წყობას იმ სახით, რაც მათ (მომხმარებელთა) შეცდომაში შეყვანას იწვევდა (ასევე, ილახებოდა შესაბამისი პროდუქტის კანონიერ მწარმოებელთა ინტერესები). თუმცა, ამ და სხვა მსგავს ფაქტებზე რეაგირება იმ პერიოდისათვის საქართველოში მოქმედ კონკურენციის ორგანოს (თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს) კანონმდებლობით არ ევალებოდა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში მოქმედი კონკურენციის ჩარჩო-კანონი (2014 წლის 21 მარტის კანონი) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები შეფასდეს, როგორც კანონმდებლობასთან შეუსაბამო ქმედება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მათი აღკვეთის მექანიზმების მოქმედი დონე შემდგომი სრულყოფის სურვილს ტოვებს (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებზე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით სანქცია გათვალისწინებული არ არის). შესაბამისად, ცხადია, რაც უფრო ადრე იქნება ეს პრობლემა გადაწყვეტილი, მით უფრო მეტად იქნება დაცული ბიზნესგარემო საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბ., „ინოვაცია“, 2009.

2. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი“, 2007.

3. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., „ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ნეგატიური ასპექტები“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №4, 2012.

4. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007.
5. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., „საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2013.
6. საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (1996 წლის 25 ივნისის).
7. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ (3 ივნისი, 2005 წელი).
8. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ (21 მარტი, 2014 წელი).

Shalva Gogiashvili
Slava Fetelava

UNFAIR COMPETITION
Annotation

This work indicates, that unfair competition holds important place in the theory and practice of competition, as main objective of competitor's behavior. Unfair competition is an intentional act to gain the superior position in the manufacturing and production area. Those behavior violates legislation acts currently in force, trade laws, decency, judgement and justice demands and (may harm) harm other competing economic agents or their reputation.

According to above-mentioned, not only consumers need protection from unfair competition, but also competing economic agents, who obey the "rules of the game". Also it should be mentioned that avoiding any form of unfair competition serves not only the interests of the specific consumers and undertakers, but also it serves general public interest and stimulates society into progress.

This work reviews legislation regulations concerning unfair competition in the country and indicates the corresponding flaws and issues existing in Georgia for 2005 till 2014.

Finally is concluded, that the competition law which is currently in force in Georgia, since 21 May of 2014, makes it possible to evaluate unfair competition as inapplicability to Georgian law of competition. Also is mentioned, that there is still room for improvement of the mechanisms that serve to avoid unfair competition. Accordingly, sooner the problem is solved, the more business environment will be safe.

მაია გოგოხია

მონეტარული თეორია და ფულად-საკრედიტო მექანიზმი

ეკონომისტები ყოველთვის არ იზიარებდნენ ერთიან აზრს იმ როლის შესახებ, რომელსაც ფული ასრულებს ან უნდა ასრულებდეს ეკონომიკაში. თანამედროვე ფულის თეორია წარმოადგენს კეინზიანურ-ნეოკლასიკურ სინთეზს, რომელიც განიხილება, როგორც ფრიად ფართო გაგება და მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის შესახებ განსხვავებულ შეხედულებებს. ის ეფუძნება არა მხოლოდ კეინზიანურ და მონეტარისტულ მიდგომებს მათი განახლებული ფორმით, არამედ თანამედროვე სამეცნიერო აზრის გამოკვლევებსაც, როგორიცაა, მაგალითად, ნეოკლასიკური ეკონომიკური მოდელები. ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური სკოლის ღერძს წარმოადგენს რაციონალურ მოლოდინთა თეორია. ამ თეორიის პრაქტიკულ დამატებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს ნეოკლასიკოსების თვალსაზრისი, რომ ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეფექტიანად ზრდის წარმოების რეალურ მოცულობასა და დასაქმებას მხოლოდ მაშინ, როცა მსგავსი ღონისძიებები მოულოდნელ ხასიათს ატარებს. დებულება იმის შესახებ, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის ზრდაში მოსალოდნელი ცვლილებები არ მოქმედებს წარმოების რეალურ მოცულობაზე დროის ხანმოკლე ინტერვალებზეც კი, ცნობილია, როგორც ფულის სუპერნეიტრალურობა.

ახალი კეინზიანელები ამტკიცებენ, რომ ხელფასისა და ფასების მყისიერ რეაქციას ეწინააღმდეგება რიგი ფაქტორებისა, თუმცა მოლოდინებს ისინიც რაციონალურად მიიჩნევენ. ახალი კლასიკური მოდელის საპირისპიროდ, ახალ კეინზიანურ მოდელში არ არის პოსტულატი სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტიანობის თაობაზე. ახალი კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, ახალ კეინზიანურ მოდელში მოსალოდნელი პოლიტიკა მოქმედებს ერთობლივ გამოშვებაზე. ახალი კეინზიანური მოდელი, ისევე, როგორც ახალი კლასიკური მოდელი, იქიდან ამოდის, რომ მოსალოდნელი და მოულოდნელი პოლიტიკა სხვადასხვაგვარად მოქმედებს ეკონომიკაზე, ამასთან, მოულოდნელი პოლიტიკა მოქმედებს უფრო ძლიერად, როგორც ახალი კლასიკური, ასევე ახალი კეინზიანური მოდელები გვიჩვენებს, რომ ანტიინფლაციური პოლიტიკის წარმატებისათვის უმცირესი დანაკარგებით, მოსახლეობას უნდა სჯეროდეს მისი გატარების.

ნეოკეინზიანური მოდელების დამახასიათებელი თვისებაა კოორდინაციის შეცდომათა (coordination failures) არსებობა. კოორდინაციის შეცდომები – ეს არის მუშაკებისა და ფირმების უუნარობა, დაგეგმონ და მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება წარმოებისა და ფასების

დონეს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების შედეგად, როგორიცაა ინფლაციის დონე ან ერთობლივი რეალური შემოსავალი. კოორდინაციის შეცდომათა არსი ის არის, რომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება საგარეო ეფექტებს (spilover effects) ახდენს ეკონომიკური აგენტების მიერ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებაზე [1. გვ. 633]. ნეოკეინზიანელების აზრით, მაკროეკონომიკური ცვლადების ცვლილება გავლენას ახდენს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე და (თუ უკანასკნელთ დავაჯამებთ) მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მართლაც, აცხადებენ ნეოკეინზიანელი თეორეტიკოსები, სწორედ ბაზრის ჩავარდნებისა და კოორდინაციის შცდომათა მიზეზია ეკონომიკაში აქტიური ჩარევა, ნეოკეინზიანელების თვალსაზრისით, ეკონომიკა წარმოადგენს არასტაბილურ სისტემას, რომლის რეგულირებაც აუცილებელია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის საშულებით.

ერთობლივი გამოშვების მოცულობა პირდაპირაა დამოკიდებული ფულის მიწოდებაზე; ერთობლივი გამოშვება იზრდება ფულის მასის ზრდისას და მცირდება მისი შემცირებისას [2. გვ. 676]. ინვესტიციებისა და დანაზოგების მოცულობა დამოკიდებულია პროცენტის ნორმაზე, რომელიც ფინანსური ბაზრისა და ეკონომიკის რეალური სექტორის ურთიერთქმედების მაჩვენებელს წარმოადგენს. შესაბამისად, პროცენტის ნორმას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეალურ ეკონომიკაზე ფულის ზემოქმედების მექანიზმში.

ფულის შექმნის პროცესის ოთხივე მონაწილე (ცენტრალური ბანკი, ბანკები, მეანაბრეები, მსესხებლები) გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე. ღია ბაზარზე შესყიდვა იწვევს ბანკთაშორის კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, ხოლო გაყიდვა – გაზრდას. როდესაც ცენტრალური ბანკი ზრდის სარეზერვო მოთხოვნას, საპროცენტო განაკვეთი ბანკთაშორის კრედიტებზე იზრდება, და პირიქით, როდესაც ცენტრალური ბანკი ამცირებს სარეზერვო მოთხოვნას, საპროცენტო განაკვეთი ბანკთაშორის კრედიტებზე ეცემა.

გადაწყვეტილებაზე იმის თაობაზე, თუ რამდენად უნდა შეიცვალოს რეზერვები, რათა მიღწეულ იქნეს ბანკთაშორის კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთის მიზნობრივი მნიშვნელობა, მოქმედებს შემდეგი გარემოება: თუ საბანკო რეზერვების მოცულობა ძალზე დიდია, ბევრ ბანკს ექნება ჭარბი რეზერვი, შედეგად, ბანკთაშორისი სესხების მიწოდება გადააჭარბებს მასზე მოთხოვნას და საპროცენტო განაკვეთი ბანკთაშორის კრედიტებზე დაეცემა. და, პირიქით, თუ საბანკო სისტემის რეზერვების მოცულობა ძალზე მცირეა, მოთხოვნა ბანკთაშორის სესხებზე გადააჭარბებს მის მიწოდებას, რაც გაზრდის საპროცენტო განაკვეთს ბანკთაშორის კრედიტებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული თანამედროვე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ ფასების სტაბილურობაზე. არ არის შემთხვევითი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მიზანს წარმოადგენს მაქსიმალურად მდგრადი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა და ფასების სტაბილურობა, ხოლო ევროპის ცენტრალური ბანკები თავის ფულად-საკრედიტო სტრატეგიას უკავშირებენ ეკონომიკის მუდმივ მდგრად განვითარებასა და დასაქმების მაღალ დონეს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ობიექტების პრიორიტეტების არჩევანი იმაზეა დამოკიდებული, რა უფრო "ძლიერად" ზემოქმედებს ეკონომიკაზე – ფულზე მოთხოვნა თუ მისი მიწოდება, ფაქტობრივად კი – საპროცენტო განაკვეთი თუ ფულის რაოდენობა.

შუალედური მიზნის სახით ასევე შეიძლება წარმოჩინდეს დაკრედიტების მოცულობა ეკონომიკაში, ნომინალური შემოსავალი, საქონლის ფასები და სხვ. ზოგიერთი ეკონომისტი ემხრობა საპროცენტო განაკვეთების ტარგეტირების ისეთ მოდიფიკაციას, როგორიცაა მოკლევადიან და გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის ტარგეტირება.

ISLM მოდელი შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს რომელი მაჩვენებლები უნდა გაკონტროლდეს ცენტრალური ბანკების მიერ. თუ IS მრუდი (რომელიც წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე წონსწორობის წერტილების გამაერთიანებელს) ნაკლებად სტაბილერია, ვიდრე LM მრუდი (რომელიც აერთიანებს ფულის ბაზარზე წონასწორობის წერტილებს), უპირატესობა უნდა მიენიჭოს მონეტარული ტარგეტირების პოლიტიკას, ვინაიდან მას თან ახლავს ერთობლივი გამოშვების მოცულობის უფრო მცირე რყევები. თუ LM მრუდი ნაკლებად სტაბილურია, ვიდრე IS მრუდი, საპროცენტო განაკვეთის ტარგეტირებაა უმჯობესი.

1989 წლიდან რიგ განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენება ინფლაციური ორიენტირების დადგენა (inflation targeting), როგორც ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნების საშუალება, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის აუცილებელ ტემპებსა და უმუშევრობის დაბალ მაჩვენებელს.

ინფლაციური ტარგეტირება, როგორც ანტიინფლაციური პოლიტიკის ახალი მიმართულება, წარმოიშვა ნეოკლასიკური და ნეოკეინზიანური თეორიების მიჯნაზე, როგორც რეაქცია ფულადი აგრეგატების ეფექტიანობის შემცირებაზე. მისი პროცედურა დაკავშირებულია ცენტრალური ბანკის საქმიანობასთან და მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ინფლაციის მოსალოდნელი დონის პროგნოზირება, ინფლაციის სასურველი (მიზნობრივი) დონის შედარება მოსალოდნელ (პროგნოზულ) სიდიდესთან; მიზანსა და პროგნოზს შორის სხვაობის განეიტრალების მიზნით მონეტარულ პოლიტიკაში კორექტივების შეტანა [3. გვ. 138-139].

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებზე მსჯელობისას აღმოცენდება საკითხი სავალდებულო რეზერვებში ნაღდი ფულის ჩართვის შესაძლებლობის თაობაზე. საერთაშორისო პრაქტიკაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, იაპონია) ის ჩართულია სავალდებულო რეზერვებში. როგორც ფულადი მასის ელემენტი, ის რეგულირდება მინიმალურად აუცილებელი თანხის ან ლიმიტის დადგენის საშუალებით. ნაღდი ფულის ჩართვა დარეზერვების ბაზაში სავსებით პასუხობს სავალდებულო დარეზერვების დანიშნულებას.

საღრიცხვო ოპერაციები კი გამოიყენება ეკონომიკის განსაზღვრული დარგების განვითარებაზე სელექციური ზემოქმედებისათვის. იტალიაში რეფინანსირების ეს ინსტრუმენტი მოწოდებულია, ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარებას მისცეს სტიმული.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საბანკო სისტემის სტაბილურობა. საბანკო სექტორი ის არხია, რომლითაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის იმპულსები მთელ ეკონომიკას გადაეცემა. ზემოქმედებს რა საკრედიტო ინსტიტუტებზე, ის ქმნის გარკვეულ პირობებს მათი ფუნქციონირებისათვის, შესაბამისად, ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირება შეიძლება განვიხილოთ, აგრეთვე, როგორც ცენტრალური ბანკის მხრიდან ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ერთ-ერთი მიმართულება.

საზედამხედველო სისტემების სხვადასხვა ტიპის არსებობა იწვევს მუდმივ დისკუსიებს მათი ღირსებებისა და ნაკლოვანებების თაობაზე, ზედამხედველობის ოპტიმალური ვარიანტის დასასაბუთებლად.

საკრედიტო მექანიზმი განუყოფელია ფინასური მექანიზმისაგან, მისი საშუალებით ხორციელდება ფულადი ბრუნვის მართვა. იგი მოიცავს დანაგროვთა და შემოსავლების ფორმებსა და მეთოდებს, გულისხმობს ქმედით საპროცენტო პოლიტიკას, რაც ფულის მიმოქცევის გაჯანსაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. თავის მხრივ, ცვლილებები ფულად მასაში ზემოქმედებს მთელ ეკონომიკაზე [4].

ძალზე მნიშვნელოვანია ბანკის საპროცენტო-ფასობრივი სტრატეგია, რადგან ბანკი თავისი ბუნებით, ფინანსური ოპერაციებისას შუამავალს წარმოადგენს საპროცენტო-ფასობრივი სტრატეგიის ფორმირებისას შესაძლებელია არასწორად შეფასდეს ინფლაციური რისკი. ანაბრებისა და კრედიტების გაუფასურების პროცესი საპროცენტო განაკვეთებში ინფლაციური რისკების არაზუსტი გათვალისწინების შედეგად ფინანსურ მენეჯმენტში ცნობილია, როგორც ფიშერის ეფექტი.

მნიშვნელოვანი განსხვავება საფინანსო ბაზრების შემოსავლიანობის დონესა და სამრეწველო სექტორის მომგებიანობის დონეს შორის, რეალური მწარმოებლების მაღალი საგადასახადო დანახარჯები იწვევს კაპიტალის მასობრივ გადინებას ფულად-სპეკულაციურ და სავალუტო ბაზრებზე; საკრედიტო ორგანიზაციების უმრავლესობის წასვლას სამრეწველო საწარმოებთან საკრედიტო-საინვესტიციო ურთიერთობის სფეროდან. აღმოცენდება ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ოპერაციები ფინანსურ სექტორში უზრუნველყოფს მხოლოდ მისი მონაწილეების ინტერესებს და ფულადი რესურსები არა მხოლოდ არ შეემატება რეალურ სექტორს, არამედ მისგან აქტიურად ამოიღება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებში აკუმულირებულია დიდძალი სახსრები (15. 05. 2015-თვის კომერციული ბანკების კრებსითი მთლიანი პასივები შეადგენდა 23 344 088 ათას ლარს [5]), ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტება არსებითი სიდიდით არ ხდება.

როგორც ჩანს, უნდა შემუშავდეს განვითარების საერთო კორპორაციული სტრატეგია, რომელიც ორივე სექტორის ინტერესებს ითვალისწინებს. სამეურნეო ობიექტების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შეთანხმებულობის საკითხები მიეკუთვნება ყველაზე რთულს ეკონომიკურ მეცნიერებაში. სწორედ ამ მიმართულებით – ბანკებისა და წარმოების ურთიერთქმედების ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმების შექმნასთან დაკავშირებით, უნდა იყოს კონცენტრირებული შემდგომი სამეცნიერო გამოკვლევები.

რეკომენდაციები

1. აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის აქტიურად მომუშავე სისტემის შექმნა, პირველ რიგში კი, ისეთი საგადასახადო კლიმატის შექმნა, რომელიც ბანკების საკრედიტო-საინვესტიციო საქმიანობას უწყობს ხელს. კერძოდ, ბანკების დაბეგვრის მოქნილი, ადაპტირებული სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ფირმების საწარმოო ინვესტირებისა და დაკრედიტების მოცულობის გაზრდას, რომელიც განსაზღვრულ ეტაპზე ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებისა და პრეფერენციების ნაკრებს როგორც ბანკი-კრედიტორისათვის, ასევე – საწარმო-მსესხებლისათვის.

2. აუცილებელია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, რაც შესაძლებლობას იძლევა, შემცირდეს რეალური საპროცენტო განაკვეთი კრედიტისათვის (იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსესხებლისთვის და ხელსაყრელი კრედიტორისათვის) ბანკის განკარგულებაში არსებული ფინანსური პროდუქტების (ფულადი კრედიტი, სათამასუქო კრედიტი, ბანკის გარანტია, აკრედიტივები)

ოპტიმალური კომბინაციის გზით. რაც უფრო ხელმისაწვდომია რესურსი, მით მეტია მოთხოვნა მასზე და მით სრულად შეიძლება იქნეს გამოყენებული არსებული საინვესტიციო პოტენციალი.

3. იმის გამო, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი განუვითარებელია, ანაბრები ბანკებში ფინანსური რესურსების მობილიზაციის უპირატესი ფორმაა. მიტომ, ბანკების ამოცანაა სახსრების მოზიდვის ისეთი ფორმების შექმნა, რაც რეალურად დააინტერესებს კლიენტებს რესურსების დაგროვებით და ჩამოუყალიბებს მათ დაზოგვის ჩვევას, რომელიც ეკონომიკის ინვესტიციურ შესაძლებლობებს განსაზღვრავს. მაგალითად, მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს შემოსავლიანობის გარანტიები გრძელვადიანი ანაბრების მიხედვით, მეანაბრეების მიერ მისი იძულებითი ვადამდელი ამოღებისას.

4. რეფინანსირების სესხების გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკის განსაზღვრული დარგების განვითარებაზე სელექციური ზემოქმედებისათვის (მაგ., აგრარული სექტორის განვითარებისათვის სტიმულის მისაცემად).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Роджер Лерой Миллер, Девид Д. Ван-Хуз, Современные деньги и банковское дело, пер. 3-го английского издания, Москва, Инфра-М., 2000.
2. Фредерик С. Мишкин, Экономическая теория денег банковского дела и финансовых рынков, пер. с английского – М.: ООО “ И.Д. Вильямс”, Москва-Санкт-Петербург-Киев, 2006.
3. მანაგაძე ირ., ინფლაცია და ანტიინფლაციური პოლიტიკა საქართველოში, თბ., 2004.
4. გოგოხია მ., ეკონომიკის მართვის საკრედიტო მექანიზმი და ბანკების ფინანსური მდგრადობის აღდგენის ღონისძიებები, “ეკონომიკა”, 2007, №3-4, გვ. 38-44.
5. nbg. gov. ge

Maia Gogokhia

MONETARY THEORY AND MONETARY MECHANISM

Annotation

The article deals with modern monetary theory – its renewed approaches - Rational Expactacions Theory and New Keynesianism. The process of money mass changing as a result of applying of monetary policy instruments and inflation targeting is discussed.

The meaning of credit mechanism, the importance of banks’ interest-pricing strategy is transmitted. The necessity of creation of banks’ and economic’s real sector interaction’s effective mechanism is underlined.

თეონა გრიგოლაშვილი

ღია ბაზრის ოპერაციები, როგორც მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

ცენტრალური ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით არაპირდაპირი გზით გავლენას ახდენს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე, რისთვისაც წარმატებით იყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ისეთ ინსტრუმენტს, როგორიცაა ოპერაციები ღია ბაზარზე.

თანამედროვე ეტაპზე ის ყველა ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ღია ბაზრის ოპერაციები 1922 წლიდან არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეკონომიკური კრიზისის დროს ფედერალურმა ბანკებმა დაიწყეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, რითაც მოხდა თავისუფალი ფულადი სახსრების კომერციულ ბანკებში აკუმულირება, რამაც მათ გაუზარდა რეზერვები. მალე ცხადი გახდა, რომ ფედერალურ სარეზერვო სისტემას, ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების შესყიდვით, შეეძლო გავლენა მოეხდინა საკრედიტო მდგომარეობაზე მთელ ქვეყანაში. კონკრეტულად კი, როდესაც ფედერალური ბანკები ყიდულობდნენ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, ეს ზრდიდა კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობას, ხოლო როდესაც ყიდდნენ, ამცირებდა მას. 1922 წლის მაისში ჩამოყალიბდა ღია ბაზრის ინვესტირების კომიტეტი, თუმცა ის 1933-1935 წლებში გაუქმდა და ჩანაცვლდა ფედერალური ღია ბაზრის კომიტეტით, რომელიც ფედერალური სარეზერვო სისტემის ერთ-ერთ ძლიერ ქვედანაყოფს წარმოადგენს [5].

ოპერაციები ღია ბაზარზე განვითარებული სამყაროს თითქმის ყველა ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენს. ის არის კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობისა და ლიკვიდურობის რეგულირების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

აშშ-ში ღია ბაზრის ოპერაციები ხორციელდება პირდაპირი დილერების მიერ – მთავრობის ფასიანი ქაღალდების დილერებს სავაჭრო ურთიერთობები აქვთ ფედერალურ სარეზერვო სისტემასთან. მაშინ, როდესაც სამიზნე პოლიტიკის განაკვეთი არის არაუზრუნველყოფილი კრედიტების განაკვეთი ბანკებს შორის, ფედერალური სარეზერვო ბაკი ოპერირებს უზრუნველყოფილი კრედიტების ბაზარზე პირდაპირი დილერებით. ეს სტრუქტურა მუშაობს იმის გამო, რომ დილერებს ანგარიშები აქვთ საკლირინგო ბანკებში, რომლებიც არიან სადეპოზიტო ინსტიტუტებიც. ასე რომ,

როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემა გასცემს ან იღებს სახსრებს დილერებისაგან მათი საკლირინგო ბანკებით, ეს ქმედება ზრდის ან ამცირებს რეზერვებს საბანკო სექტორში [4].

ცენტრალური ბანკების ოპერაციები ღია ბაზარზე გავლენას ახდენს კომერციული ბანკების განკარგულებაში არსებულ თავისუფალ ფულად სახსრებზე. ასტიმულირებს ან ამცირებს მათ საკრედიტო ექსპანსიას ეკონომიკაში.

არსებობს ღია ბაზრის ოპერაციების ორი ტიპი: პირდაპირი, როდესაც საქმე გვაქვს გარიგების ერთ დღეში დასრულებასთან, სულადი ანგარიშსწორების ჩათვლით; და უკუოპერაციები (იგივე რეპო ოპერაციები) ღია ბაზარზე, როდესაც ცენტრალური ბანკი უფლებას იტოვებს, გაყიდოს ან გამოისყიდოს ფასიანი ქაღალდები წინასწარ შეთანხმებულ ფასად.

რეპო ოპერაციები მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ეროვნული ბანკების მიერ წარმატებით გამოიყენება, რადგან ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდას და საპროცენტო განაკვეთების რყევების შემცირებას. ის აშშ-ს, ევროპის, შვეიცარიის, ინგლისის და ინდოეთის ცენტრალური ბანკების მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტურ ინსტრუმენტადაა აღიარებული. განსხვავებით ჩამოთვლილი ქვეყნებისაგან, რუსეთში ღია ბაზრის ოპერაციებს მსგავსი მასშტაბები არ აქვს, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ რუსეთის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ვერ გამოირჩევა მაღალი ლიკვიდურობით.

ღია ბაზრის ოპერაციებით შესაძლებელია კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვა. ეროვნული ბანკი შესყიდულ ფასიან ქაღალდებზე შესაბამის თანხას ურიცხავს კომერციულ ბანკებს საკორესპონდენტო ანგარიშებზე, რაც მათ თავისუფალ სახსრებს უზრდის. კომერციული ბანკები კი, თავის მხრივ, ზრდიან ბიზნესის დაკრედიტებას. საპირისპირო შემთხვევაში კი, როდესაც საკუთარი საკორესპონდენტო ანგარიშებიდან თვითონ უწევთ თანხების გადახდა, უმცირდებათ რეზერვები და აქვე მცირდება ბიზნესში თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსება [1].

ლიკვიდობის პროგნოზირება ხდება ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფის მიერ, რომელიც აფასებს ლიკვიდობის მიწოდების ავტონომიურ წყაროებს და კომერციული ბანკების მოთხოვნას ლიკვიდობაზე. ამ ორ კომპონენტს შორის წარმოქმნილი დისკომფორტის აღმოსაფხვრელად საქართველოს ეროვნული ბანკი მიმართავს შესაბამის ზომებს. ერთ შემთხვევაში შეამცირებს ლიკვიდობას, ხოლო მეორე შემთხვევაში ლიკვიდობას მიაწოდებსბანკებს.

ეროვნული ბანკის მიერ მიწოდებული რეზერვების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ღია ბაზრის ოპერაციები და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხების მოცულობა.

ღია ბაზრის ოპერაციების განხორციელება რეგულირდება "საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისა და გირაოს მართვის დებულებით", "საქართველოს კანონით ეროვნული ბანკის შესახებ". მას ახორციელებს ეროვნული ბანკი. აუქციონის თარიღი და ემისიის ნომინალური ოდენობა წინასწარაა ცნობილი. დასაფარი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია კი მიიღება წარსულში ჩატარებული აუქციონების შედეგების მიხედვით. ფასინი ქაღალდების გაყიდვა გამოიწვევს სისტემაში ლიკვიდობის შემცირებას, დაფარვა კი გაზრდის მას. ეროვნული ბანკი ღია ბაზარის ოპერაციებისათვის იყენებს სადეპოზიტო სერტიფიკატებს, მთავრობის სახაზინო ვალდებულებებს და სახაზინო ობლიგაციებს. სადეპოზიტოსერტიფიკატებს ეროვნული ბაკი 2006 წლიდან უშვებს და მათი გაყიდვა ხდება აუქციონის წესით[3].სახაზინო ობლიგაციების აუქციონი საქართველოში 2012 წლის 11 იანვრიდან ხორცილედება,პირველად აუქციონზე გაიყიდა 20 000 000 ლარის ნომინალის ღირებულების ფასიანი ქაღალდები. აუქციონში მონაწილეობდა ხუთი კომერციული ბანკი მოთხოვნამ კი 44 000 000 ლარი შეადგინა. 2012 წლის ბოლოს ეროვნულმა ბანკმა აუქციოზე გამოიტანა 5 მლნ ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები, მონაწილეობდა მხოლოდ ორი კომერციული ბანკი და მოთხოვნამ შეადგინა 5 020 000 ლარი, ვადიანობა კი შეადგენდა 10 წელს. წელს კი, წლის დასაწყისში 50 000 000 ნომინალის ღირებულების 364 დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა, აუქციონში მონაწილეობდა 5 კომერციული ბანკი და საერთო მოთხოვნამ შეადგინა 103 500 000 ლარი. წლის მეორე ნახევარში 20 000 000 ლარის ღირებულების 2 წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა 38 500 000 მოთხოვნით, მონაწილეობა კი მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. წლის ბოლოს 2 დეკემბერს აუქციონზე გამოტანილ იქნა 10 000 000 ლარის ღირებულების ორწლიანი ფასიანი ქაღალდები, მოთხოვნა ჯამში 19 800 000 ლარი. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 13.44%-ს [2]. ღია ბაზრის ოპერაციები ხორცილედება ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში,სადაც გარიგებების დადება 24 საათის მანძილზეა შესაძლებელი.

როგორც აღვნიშნეთ, ღია ბაზრის ოპერაციები ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას და საბანკო ლიკვიდობას. კარგი იქნებოდა, თუ საქართველო გაითვალისწინებდა მსოფლიო წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას. აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზარი მაღალ დონეზე იყოს განვითარებული, ხოლო ეროვნულმა ბანკმა შეძლოს და დაიბრუნოს მარეგულირებელი ფუნქცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული სპეკულაციური გარიგებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამდეროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა 2014.

2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=595
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=557
4. www.newyorkfed.org/aboutfed/fedpoint/fed32.html
5. www.minneapolisfed.org/publications - discovering open market operations
6. http://blogs.ft.com/maverecon/2008/03/how-do-the-bank-of-england-and-the-monetary-policy-committee-manage-liquidity-operational-and-constitutional-issues/#axzz3u8ELAnbE
7. http://www.federalreserve.gov/

Teona Grigolashvili

OPEN MARKET OPERATIONS AS MAIN TOOL OF MONETARY POLICY

Annotation

Open market operations influence on short term interest rate as they are tool of monetary policy. It is the effective instrument to regulate liquidity and credit availability in commercial banks. Open market operations are the most dominant tool of monetary policy and it is used worldwide.

National Bank of Georgia uses certificates of deposit and treasury securities. By selling securities, the NBG absorbs medium-term liquidity from the banking system. At the same time, issuing certificate of deposits and treasury securities stimulates money market development.

ლეილა დოლიძე
გიორგი ცაავა

ბანკის მსესხებელი მსხვილი, საშუალო, მცირე ბიზნესის საწარმოებისა და ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასების თავისებურებები

შესავალი

კლიენტის კრედიტუნარიანობის ცნებასა და კრიტერიუმებთან მიმართებაში კომერციული ბანკის მსესხებლის **კრედიტუნარიანობა** განიმარტება, როგორც კლიენტი-მსესხებლის მიერ საკუთარი სავალო ვალდებულებების (ძირითადი ვალისა და პროცენტების) სრულად და ვადებში გადახდის შესაძლებლობა. მსესხებლის კრედიტუნარიანობა, მისი **გადახდისუნარიანობისაგან** განსხვავებით, არ აფიქსირებს არგადახდებს გასული პერიოდის მიხედვით ან გარკვეულ თარიღზე, არამედ გადახდისადმი შესაძლებლობის პროგნოზირებას ახდენს უახლოეს პერსპექტივაზე. კრედიტ-უნარიანი კლიენტები ბანკის, მიმწოდებლებისა და ბიუჯეტისადმი ხანგრძლივ არგადახდებს არ დაუშვებენ.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის დონე საკრედიტო ოპერაციის რისკის შეფასების სისტემაში შემადგენელს წარმოადგენს, რომელიც ბანკის ინდივიდუალური (კერძო) რისკების ჯგუფს მიე-კუთვნება. სასესხო ოპერაციის რისკი შედგება მსესხებლის რისკისა და პროდუქტის რისკისაგან. ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობა წარმოადგენს მსესხებლის რისკის ხარისხის გამოხატულებას, რომლის ფაქტორებია: კლიენტის საქმიანობის ეფექტიანობა, მისი კაპიტალის საკმარისობა, რეპუ-ტაცია, მენეჯერის პროფესიონალიზმი, ბალანსის ლიკვიდობა, ფონდების წრებრუნვის უწყვეტობა და ა.შ. მსესხებლის რისკის ფაქტორებისაგან უშუალოდ ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს.

მსოფლიო და ეროვნული საბანკო პრაქტიკა **კლიენტის კრედიტუნარიანობის შემდეგი კრიტერიუმების** გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა: კლიენტის ხასიათი; სახსრების სესხების შესაძლებლობა: მიმდინარე საქმიანობის მსვლელობაში ვალის დასაფარავად შემოსავლების გამომუშავების შესაძლებლობა (ფინანსური შესაძლებლობა); კაპიტალი; კრედიტის უზრუნველყოფა; საკრედიტო ოპერაციების განხორციელების პირობები; კონტროლი, რომლებიც მთლიანობაში მისი შეფასების შემდეგი სახის ხერხებს განსაზღვრავს: საქმიანი რისკის შეფასება; მენეჯმენტის შეფასება; კლიენტის ფინანსური მდგრადობის შეფასება ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე; ფულადი ნაკადების ანალიზი; კლიენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება; კლიენტის მუშაობაზე დაკვირვება ადგილზე გასვლის გზით.

კრიტერიუმებისა და შეფასების ხერხების ერთიანობის მიუხედავად, არსებობს: იურიდიული და ფიზიკური პირების, მხვილი, საშუალო და მცირე კლიენტების კრედიტუნარიანობის ანალიზის სპეციფიკა, რომელიც შეფასების გამოყენებადი ხერხების, ასევე მათი შინაარსის კომბინაციაში მდგომარეობს.

<u>**მსხვილი და საშუალო საწარმოების კრედიტუნარიანობა**</u>

1. საკრედიტო ოპერაციის რისკის შეფასების სისტემაში კლიენტის კრედიტუნარიანობის ადგილი. მსხვილი და საშუალო საწარმოების კრედიტუნარიანობის შეფასება - ბალანსის ფაქტობრივ მონაცემებზე, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგებაზე, საკრედიტო განაცხადზე, კლიენტის ისტორიის შესახებ ინფორმაციასა და მის მენეჯმენტზეა დაფუძნებული. **მსოფლიო და**

ეროვნულ პრაქტიკაში კომერციული ბანკის კლიენტების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად ხუთ ჯგუფად დაყოფილი შემდეგი ფინანსური კოეფიციენტების სისტემა გამოიყენება [1, გვ. 377 – 391] (ცხრილი 1):

ცხრილი 1

მაჩვენებლების ნორმატიული დონეები

მაჩვენებელი	**ნორმატიული დონე***
I. ლიკვიდობის კოეფიციენტები: • მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი; • სწრაფი (ოპერატიული) ლიკვიდობის კოეფიციენტი.	**2 – 1,25**
II. ეფექტიანობის (ბრუნვადობის) კოეფიციენტები: • მარაგების ბრუნვადობის; • დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის; • ძირითადი კაპიტალის (ფიქსირებული აქტივების) ბრუნვადობის; • აქტივების ბრუნვადობის.	
III. ფინანსური ლევერაჟას კოეფიციენტები: • ყველა სავალო ვალდებულების (მოკლევადიანები და გრძელვადიანები) შეფარდება აქტივებთან; • ყველა სავალო ვალდებულების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან; • ყველა სავალო ვალდებულების შეფარდება აქციონერულ კაპიტალთან; • ყველა სავალო ვალდებულების შეფარდება მატერიალურ აქციონერულ კაპიტალთან (აქციონერულ კაპიტალს - არამატერიალური აქტივები); • გრძელვადიანი დავალიანების შეფარდება ფიქსირებულ (ძირითად) აქტივებთან; • საკუთარი კაპიტალის შეფარდება აქტივებთან; • საბრუნავი საკუთარი კაპიტალის შფარდება მიმდინარე აქტივებთან.	
IV. მომგებიანობის კოეფიციენტები: • მოგების ნორმის კოეფიციენტი; • რენტაბელობის კოეფიციენტი; • აქციაზე მიგების ნორმის კოეფიციენტი.	
V. ვალის მომსახურების კოეფიციენტები (საბაზრო კოეფიციენტები): • პროცენტის გადაფარვის კოეფიციენტი; • ფიქსირებული გადახდების გადაფარვის კოეფიციენტი.	

* ***შენიშვნა:*** მსოფლიო ბანკის სპეციალისტების მიერ სხვადასხვა პერიოდებში რეკომენდებული მონაცემები.

< კოეფიციენტების I ჯგუფი:

• **მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Kმლ.)** გვიჩვენებს, შეუძლია თუ არა მსესხებელს პრინციპში საკუთარი გრძელვადიანი ვალდებულებების მიხედვით ანგარიშსწორების განხორციელება. იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

Kმლ. = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე პასივები.

• **სწრაფი (ოპერატიული) ლიკვიდობის კოეფიციენტი (Kსლ.)** – მსესხებლის მიერ, ბანკის ვალის ვადაში დაფარვისათვის, ბრუნვიდან სახსრების (ლიკვიდური აქტივებია - ფულადი სახსრები, დებიტორული დავალიანება, სწრაფად რეალიზებადი მარაგები) ფულად ფორმაში სწრაფად გამოთავისუფლების შესაძლებლობის პროგნოზირების მახასიათებელია. იგი გაიანგარიშება ფორმულით:

Kსლ. = ლიკვიდური აქტივები / მიმდინარე პასივები.

< კოეფიციენტების II ჯგუფი:

• **ეფექტიანობის (ბრუნვადობის) კოეფიციენტები (Kეფ.)** - შემავსებელი მახასიათებლები. პირველი ჯგუფის კოეფიციენტების - ლიკვიდობის მაჩვენებლების და უფრო დასაბუთებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, თუ ლიკვიდობის მაჩვენებლები დებიტორული დავალიანებისა და მარაგების ღირებულების ზრდის ხარჯზე იზრდება, ერთდროულად მათი ბრუნვადობის შენელებისას, მსესხებლის კრედიტუნარიანობის კლასის ამაღლება არ შეიძლება). ეფექტიანობის კოეფიციენტების ჯგუფში შედიან შემდეგი მაჩვენებლები:

ა) მარაგების ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში = მარაგების საშუალო ნაშთები პერიოდში / ერთდღიანი ამონაგები რეალიზაციიდან;

ბ) მარაგების ბრუნვის რაოდენობა პერიოდში = ამონაგები რეალიზაციიდან / მარაგების საშუალო ნაშთები პერიოდში;

გ) დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა დღეებში = დავალიანების საშუალო ნაშთები / ერთდღიანი ამონაგები რეალიზაციიდან;

დ) ძირითადი კაპიტალის (ფიქსირებული აქტივების) ბრუნვადობა = ამონაგები რეალიზაციიდან / ძირითადი ფონდების საშუალო ნარჩენი ღირებულება პერიოდში;

ე) აქტივების ბრუნვადობა = ამონაგები რეალიზაციიდან / აქტივების საშუალო სიდიდე პერიოდში.

< კოეფიციენტების III ჯგუფი:

• **ფინანსური ლევერაჟას კოეფიციენტები** მსესხებლის საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფის ხარისხის მახასიათებლებია. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშების ვარიანტები სხვადასხვაა, მაგრამ ეკონომიკური აზრი ერთია: საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული სახსრებიდან კლიენტის დამოკიდებულების ხარისხის შეფასება.

< კოეფიციენტების IV ჯგუფი:

• **მომგებიანობის კოეფიციენტები** მთლიანი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მახასიათებლებია, მისი მოზიდული ნაწილის ჩათვლით. აღნიშნული კოეფიციენტების ნაირსახეობებს წარმოადგენს შემდეგი:

ა) მოგების ნორმის კოეფიციენტი = მთლიანი მოგება გადასახადების გადახდამდე / ამონაგები რეალიზაციიდან;

ბ) რენტაბელობის კოეფიციენტი = მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე / აქტივები ან საკუთარი კაპიტალი;

გ) შემოსავალი აქციაზე = დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე / ჩვეულებრივი აქციების საშუალო რაოდენობა;

დ) დივიდენდური შემოსავალი (%) = წლიური დივიდენდი ერთ აქციაზე x 100 / ერთი აქციის საშუალო საბაზრო ფასი.

< კოეფიციენტების V ჯგუფი:

• **ვალის მომსახურების კოეფიციენტები (საბაზრო კოეფიციენტები)** გვიჩვენებს, თუ მოგების რა ნაწილს შთანთქავს პროცენტები და ფიქსირებული გადახდები.მათი საერთო თანხა გაიანგარიშება შემდეგი სახით:

ა) პროცენტის გადაფარვის კოეფიციენტი = მოგება პერიოდში / საპროცენტო გადახდები პერიოდში;

ბ) ფიქსირებული გადახდების გადაფარვის კოეფიციენტი = მოგება პერიოდში / (პროცენტები + ლიზინგური გადახდები + დივიდენდები პრივილეგირებული აქციების მიხედვით + + დანარჩენი ფიქსირებული გადახდები).

კრედიტუნარიანობის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები გაიანგარიშება ბალანსების მიხედვით, საშუალო ნაშთების საფუძველზე საანგარიშგებო პერიოდებში. მაჩვენებლები პირველი რიცხვისთვის ყოველთვის ვერ გამოხატავს საქმის რეალურ მდგომარეობას და ანგარიშგებაში შედარებით ადვილად დამახინჯდება. ამიტომ, **მსოფლიო პრაქტიკაში** ასევე კოეფიციენტების ისეთი სისტემა გამოიყენება, რომლებიც **შედეგების ანგარიშების** საფუძველზე გაიანგარიშება. აღნიშნული ანგარიში მოიცავს ბრუნვების საანგარიშგებო მაჩვენებლებს პერიოდებში. **საწყის ბრუნვით მაჩვენებელს წარმოადგენს ამონაგები რეალიზაციიდან და მისგან ცალკეული ელემენტების** (მატერიალური და შრომითი დანახარჯების, პროცენტების, გადასახადების, ამორტიზაციის და ა. შ.) გამოკლებით **მიიღება შუალედური მაჩვენებლები** და ჯამში ღებულობენ **წმინდა მოგებას** პერიოდში. შედეგების ანგარიშები შეიძლება წარმოვიდგინოთ ცხრილის სახით (ცხრილი 2).

2. შედეგების ანგარიშის მონაცემების მიხედვით კომერციული ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის გამომხატველ კოეფიციენტებს გაიანგარიშებენ. მაგალითის სახით მოვიყვანოთ **ფრანგული კომერციული ბანკების პრაქტიკა:**

K_1 = მთლიანი საექსპლუატაციო შემოსავალი (მსშმ) / დამატებული ღირებულება (დღ),

როგორც შედეგების ანგარიშის ცხრილი 2-დან ჩანს, **მსშმ** ნაკლებია **დღ**-ზე ძირითადად შრომითი დანახარჯების სიდიდით. დამატებითი ღირებულება წარმოადგენს ახლად შექმნილ ღირებულებას, ამიტომ **K_1** გვიჩვენებს, თუ ახლად შექმნილი ღირებულების რა ნაწილი „შეიჭმევა“

შრომის ანაზღაურებაზე. თუ **K_1** ტოლია, მაგალითად, 0,7-ის, მაშინ აღნიშნული ახლად შექმნილი ღირებულების 30%-ის „შეჭმას“ ნიშნავს.

ცხრილი 2

შედეგების ანგარიშები

მაჩვენებელი	განსაზღვრის მეთოდი
1. **ამონაგები რეალიზაციიდან (არ)**	
2. **მთლიანი** კომერციული **შემოსავალი** ან კომერციული მარჟა **(მშ)**	**არ** შესყიდული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და მზა ნაკეთობების ღირებულება
3. **დამატებული ღირებულება (დღ)**	**მშ** - საექსპლუატაციო ხარჯები (ადმინისტრაციული, სუბმეიჯარებზე)
4. **მთლიანი საექსპლუატაციო შემოსავალი (მსშმ)**	**დღ** - ხარჯები შრომის ანაზღაურებაზე - გადასახადები შრომის ანაზღაურებაზე - შვებულების გადახდა
5. **მთლიანი საექსპლუატაციო შედეგი (მსშდ)**	**მსშმ** - პროცენტების გადახდა კრედიტზე + შემოსავალი სხვა საწარმოებში დაბანდებული სახსრებიდან - ანარიცხები რისკის ფონდში
6. მოგება, რომელიც შეიძლება **თვითდაფინანსებისათვის** იქნეს გამოყენებული **(თდფ)**	**მსშდ** - საწარმოს მუშაკებს შორის გასანაწილებელი მოგება - გადასახადი მოგებაზე
7. **წმინდა მოგება (მ)**	**თდფ** + (-) შემთხვევითი შემოსავლები (ხარჯები) - უძრავი ქონების ამორტიზაცია

K_2 = ფინანსური ხარჯები (ფხ) / დამატებული ღირებულება (დღ).

კოეფიციენტი **K_2**-ის მეშვეობით აფასებენ დამატებული ღირებულების „შეჭმის“ სიდიდეს სხვა მიმართულების მიხედვით - ფინანსურ გადახდებზე, ანუ პროცენტებზე, გადასახადებზე, ჯარიმებზე, საზღაურებზე.

K_3 = კაპიტალური დანახარჯები პერიოდში / დამატებული ღირებულება (დღ).

კოეფიციენტი **K_3** გვიჩვენებს, თუ საწარმო ახლად შექმნილი ღირებულების რა ნაწილს მიმართავს ტექნიკურ გადაიარაღებაზე, ამდენად, რამდენად მონდომებულია იგი საკუთარი განვითარების შესახებ.

K_4 = გრძელვადიანი სავალო ვალდებულებები /
მოგება, დარჩენილი თვითდაფინანსებისათვის (თდფ).

კოეფიციენტი **K_4** კლიენტის გრძელვადიანი სავალო ვალდებულებების დაფარვის რეალური ვადის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

K_5 = ნაღდი ფულის სუფთა სალდო / ამონაგები რეალიზაციიდან.

ნაღდი ფულის სუფთა სალდო წარმოადგენს ბალანსის აქტივის ნაღდ ფულსა და პასივის ნაღდ ფულს შორის სხვაობას. **აქტივის ნაღდი ფული** არის ფულის ნაშთი სალაროში და ბანკებში ანგარიშებზე. **პასივის ნაღდი ფული** არის მოკლევადიანი სესხები მიმდინარე სამეწარმეო საქმიანობაზე. ამიტომ **ნაღდი ფულის სუფთა სალდო** გვიჩვენებს სალაროსა და ბანკებში ანგარიშებზე დარჩენილი **კლიენტის საკუთარი სახსრების სიდიდეს.**
ჩვენი პრაქტიკისათვის დიდ ინტერესს იწვევს ყველა ზემოთ აღნიშნული კოეფიციენტი და განსაკუთრებით **K_1**, **K_2** და **K_3** კოეფიციენტები.

3. ფულადი ნაკადების ანალიზი, როგორც კრედიტუნარიანობის შეფასების ხერხი. ფულადი ნაკადის ანალიზი არის კომერციული ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების ხერხი, რომლის საფუძველში საანგარიშო პერიოდში კლიენტის სახსრების ბრუნვის მახასიათებელი ფაქტობრივი მაჩვენებლების გამოყენება არის ჩადებული. ფულადი ნაკადის ანალიზის აღნიშნული მეთოდი პრინციპულად განსხვავდება ფინანსური კოეფიციენტების სისტემის საფუძველზე კლიენტის კრედიტუნარიანობის შფასების მეთოდისაგან, რომელთა გაანგარიშება სალდირებული ანგარიგების მაჩვენებლებზეა აგებული.

ფულადი ნაკადის ანალიზი მდგომარეობს მსესხებელთან მათი გადინებისა და მოდინების შეპირისპირებაში, ჩვეულებრივ მოთხოვნილი სესხის ვადის შესაბამის პერიოდში. სესხის ერთი წლით გაცემისას ფულადი ნაკადის ანალიზს წლიურ, 90 დღემდე ვადით, კვარტალურ და ა. შ. ჭრილში ახორციელებენ.

სახსრების მოდინების ელემენტებს პერიოდის განმავლობაში წარმოადგენს: 1) მოცემულ პერიოდში მიღებული მოგება; 2) პერიოდის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია; 3) გამოთავისუფლებული სახსრები: მარაგებიდან, დებიტორული დავალიანებიდან, ძირითადი ფონდებიდან, დანარჩენი აქტივებიდან; 4) კრედიტორული დავალიანების გადიდება; 5) დანარჩენი პასივების ზრდა; 6) აქციონერული კაპიტალის გადიდება; 7) ახალი სესხების გაცემა.

სახსრების გადინების ელემენტების სახით გამოყოფენ: 1) გადახდებს გადასახადების, პროცენტების, დივიდენდების, ჯარიმების და საზღაურების; 2) სახსრების დამატებით დაბანდებებს: მარაგებში, დებიტორულ დავალიანებაში, დანარჩენ აქტივებში, ძირითად ფონდებში; 3) კრედიტორული დავალიანების შემცირება; 4) აქციონერული კაპიტალის გადინება; 5) დანარჩენი პასივების შემცირება; 6) სესხების დაფარვა.

სახსრების მოდინებასა და გადინებას შორის სხვაობა საერთო ფულადი ნაკადის სიდიდის მახასიათებელია. როგორც სახსრების მოდინებისა და გადინების ელემენტების მოყვანილი ჩამონათვალიდან ჩანს, მარაგების სიდიდის, დებიტორული და კრედიტირული დავალიანების, დანარჩენი აქტივებისა და პასივების, ძირითადი ფონდების ცვლილება საერთო ფულად ნაკადზე სხვადასხვანაირად ზემოქმედებს. აღნიშნული ზემოქმედების განსაზღვრისათვის მარაგების, დებიტორების, კრედიტორების და ა. შ. მუხლების მიხედვით საწყისი და ბოლო პერიოდის ნაშთებს ადარებენ. მარაგების, დებიტორებისა და დანარჩენი აქტივების პერიოდის განმავლობაში ნაშთის ზრდა სახსრების გადინებას ნიშნავს და გაანგარიშებისას მიეთითება ნიშნით „-“, ხოლო შემცირება - სახსრების მოდინებაზე მიუთითებს და ფიქსირდება ნიშნით „+“. კრედიტორებისა და დანარჩენი პასივების ზრდა განიხილება როგორც სახსრების მოდინება („+“), შემცირება - როგორც გადინება („-“).

განსაკუთრებულობა არსებობს ძირითადი ფონდების ცვლილებასთან დაკავშირებით სახსრების მოდინებისა და გადინების განსაზღვრაში. აქ გაითვალისწინება პერიოდში მათი ნაშთების ღირებულების არა მარტო ზრდა ან შემცირება, არამედ პერიოდის განმავლობაში ძირითადი ფონდების ნაწილის რეალიზაციის შედეგებიც. რეალიზაციის ფასის მეტობა საბალანსო შეფასებაზე განიხილება როგორც სახსრების მოდინება, ხოლო უკუსიტუაცია - როგორც სახსრების გადინება:

სახსრების მოდინება (გადინება) ძირითადი ფონდების ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებით =
= ძირითადი ფონდების ღირებულება პერიოდის ბოლოსათვის –
– ძირითადი ფონდების ღირებულება პერიოდის დასაწყისისათვის +
+ ძირითადი ფონდების რეალიზაციის შედეგები პერიოდის განმავლობაში.

ფულადი ნაკადის ანალიზის მოდელი საწარმოს მართვის სფეროების მიხედვით სახსრების მოდინებისა და გადინების ელემენტების დაჯგუფებაზე არის აგებული. ფულადი ნაკადის ანალიზის (ფნა) მოდელში აღნიშნულ სფეროებს შეიძლება შეესაბამებოდეს შემდეგი ბლოკები:

1) საწარმოს მოგების მართვა;
2) მარაგებისა და ანგარიშსწორებების მართვა;
3) ფინანსური ვალდებულებების მართვა;
4) გადასახადებისა და ინვესტიციების მართვა;
5) საკუთარი კაპიტალისა და კრედიტების თანაფარდობის მართვა.

მოცემულ შემთხვევაში ფულადი ნაკადების ანალიზის (ფნა) მოდელს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმა (ცხრილი 3):

ცხრილი 3

ფულადი ნაკადის ანალიზი

სტროფის N	**მაჩვენებელი**	**პერიოდი**	**პერიოდი**	**პერიოდი**
		I	II	III
1	**I. სახსრები, მიღებული მომგებიანი ოპერაციებისაგან:**			
2	• მოგება სამეწარმეო საქმიანობიდან (საოპერაციო მოგება)	11 435	38 872	111 627
3	• ამორტიზაცია	120	130	150

4	• რეზერვი სამომავლო ხარჯებისა და გადახდების) გადაფარვისათვის (სამომავლო ხარჯების რეზერვები) ..... • მთლიანი საოპერაციო ფულადი ნაკადი (სტრ.1 + სტრ.2 + სტრ.3) ...	38 051 49 606	12 075 51 976	- 111 777
	II. შემოსულობები (ხარჯები) **მიმდინარე ოპერაციების მიხედ.:**			
5	• გადიდება (-) ან შემცირება (+) დებიტორული დავალიანების წინა პერიოდთან შედარებით	-128 502	-76 255	-32 886
6	• გადიდება (-) ან შემცირება (+) მარაგებისა და დანახარჯების წინა პერიოდთან შედარებით	-43 603	-72 949	-154 071
7	• გადიდება (+) ან შემცირება (-) კრედიტორული დავალიანების წინა პერიოდთან შედარებით	+55 772	+78 685	+185 086
8	• სუფთა საოპერაციო ნაკადი (სტრ. 4 + სტრ. 5 + სტრ. 6 + სტრ.7)	-66 727	-19 443	+109 906
	III. ფინანსური ვალდებულებები:			
9	• დანახარჯები სპეციფონდებიდან მოცემული პერიოდის მოგების ხარჯზე	6 144	6 144	6 144
10	• ხარჯები პროცენტების გადახდასთან მიმართებაში	-2 347	-5 331	-12 387
11	• დივიდენდები	-	-	-
12	• ფულადი სახსრები ვალისა და დივიდენდების გადახდის შემდეგ (სტრ. 8 + სტრ. 9 + სტრ. 10 + სტრ. 11)	-75 218	-30 918	+91 375
	IV. სახსრების სხვა დაბანდებები:			
	• გადასახადები	-19 993	-23 736	-183 272
13	• დაბანდებები ძირითად ფონდებში	+992	-10 870	+1 441
14 15	• გადიდება (-) ან შემცირება (+) დანარჩენი მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების მიხედვით	-1 214	-40 444	+11 876
16	• გადიდება (+) ან შემცირება (-) დანარჩენი მიმდინარე და გრძელვადიანი პასივების მიხედვით	-	+30 389	-28 902
17	• გადიდება (-) ან შემცირება (+) არამატერიალური აქტივების	-	-	-
18	• დანარჩენი შემოსავლები (+) ან ხარჯები (-)	+28 721	-11 835	+85 845
19	• საერთო მოთხოვნილება დაფინანსებაში (სტრ. 12 - სტრ. 13 +/- სტრ.14 +/- სტრ. 15 +/- სტრ. 16 +/- სტრ. 17 +/- სტრ.18)	-66 782	-87 423	-18 637
	V. მოთხოვნილებები დაფინანსების მიხედვით:			
20	• მოკლევადიანი კრედიტები: შემცირება (-) ან ნაზარდი (+) წინა პერიოდთან შედარებით	+49 813	+50 187	-20 000
21	• საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კრედიტები: შემცირება (-) ან ნაზარდი (+)	-507	+5 315	-
22	• გადიდება (+) ან შემცირება (-) საწესდებო ფონდის			
	საერთო ფულადი ნაკადი	**-16 462**	**-31 921**	**-38 637**

ფულადი ნაკადის ანალიზის აღწერილ მეთოდს ირიბს უწოდებენ, ხოლო პირდაპირი მეთოდის საერთო შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

საერთო ფულადი ნაკადი (სუფთა ფულადი სახსრები) =
= გადიდება (შემცირება) ფულადი სახსრების სამეწარმეო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად +
+ გადიდება (შემცირება) ფულადი სახსრების საინვესტიციო საქმიანობის შედეგად +
+ გადიდება (შემცირება) ფულადი სახსრების ფინანსური საქმიანობის შედეგად.

საერთო ფულადი ნაკადის პირველი შესაკრების გაანგარიშება:

ამონაგები რეალიზაციიდან – გადახდები მიმწოდებლებზე და პერსონალზე +
+ პროცენტები მიღებული – პროცენტები გადახდილი – გადასახადები.

მეორე შესაკრების გაანგარიშება:

შემოსულობები ძირითადი აქტივების გაყიდვიდან – კაპდაბანდებები.

მესამე შესაკრების გაანგარიშება:

კრედიტები მიღებული – დაფარვა სავალო ვალდებულებების + ემისია ობლიგაციების + + ემისია აქციების – გადახდა დივიდენდების

ფულადი ნაკადის ანალიზისათვის მონაცემებს იღებენ, როგორც მინიმუმ, გასული სამი წლის განმავლობაში. თუ კლიენტს შემოდინების მდგრადი მეტობა ექნება სახსრების გადინებაზე, მაშინ აღნიშნული მის ფინანსურ მდგრადობაზე - კრედიტუნარიანობაზე მიუთითებს. საერთო ფულადი ნაკადის მერყეობა, აგრეთვე გადინების მოკლევადიანი მეტობა სახსრების მოდინებაზე მიგვანიშნებს კრედიტუნარიანობის დონესთან მიმართებაში კლიენტის უფრო დაბალი რეიტინგის შესახებ. ბოლოს, სისტემატური გადინების მეტობა სახსრების მოდინებაზე, კლიენტის არაკრედიტუნარიანობის მახასიათებელია. საერთო ფულადი ნაკადის ჩამოყალიბებული საშუალო დადებითი სიდიდე (მოდინების მეტობა სახსრების გადინებაზე) შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ახალი სესხების გაცემის ზღვარი. აღნიშნული მეტობა გვიჩვენებს, თუ რა ზომიერებით შეუძლია კლიენტს სავალო ვალდებულებები პერიოდში დაფაროს. ფულადი ნაკადის ანალიზი საწარმოს მართვის ვიწრო ადგილების შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

კლიენტის საერთო ფულადი ნაკადის სიდიდისა და სავალო ვალდებულებების მოცულობის თანაფარდობის (ფულადი ნაკადის კოეფიციენტის) საფუძველზე მისი კრედიტუნარიანობის კლასი განისაზღვრება: I კლასი - 0,75; II კლასი - 0,30; III კლასი - 0,25; IV კლასი - 0,20; V კლასი - 0,15.

4. საქმიანი რისკის ანალიზი, როგორც კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების ხერხი. საქმიანი რისკი არის რისკი, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ მსესხებლის ფონდების წრებრუნვა შეიძლება ვადაში და განზრახული ეფექტით არ დასრულდეს. საქმიან რისკს, რომელსაც მსესხებლის ფონდების წრებრუნვის წყვეტადობის ან შეკავებისაკენ მივყავართ, მსესხებლის რისკის ან კლიენტის კრედიტუნარიანობის დონის შეფასების ხერხს წარმოადგენს. ამავე დროს, საქმიანი რისკის ფაქტორები დამოკიდებულია იმაზე, თუ ფონდების წრებრუნვის რომელ სტადიას მიეკუთვნება დაკრედიტების ობიექტი. აღნიშნულ ასპექტში საქმიანი რისკი შეიძლება როგორც პროდუქტის რისკის შეფასების ხერხის სახით იქნეს განხილული. საქმიანი რისკის ფაქტორები შეიძლება ფონდების წრებრუნვის სტადიების მიხედვით დაჯგუფდეს: სტადია I - მარაგების შექმნა; სტადია II - წარმოება; სტადია III - გასაღება.

ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, უშუალოდ სესხის გაცემის მომენტში გასული საანგარიშგებო პერიოდების საშუალო ფაქტობრივი მონაცემების ბაზაზე გაანგარიშებული ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით საქმიანი რისკის ანალიზი კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასებას არსებითად ავსებს. საქმიანი რისკის ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ბანკის მიერ სტანდარტული საკრედიტო განაცხადების, სესხის გაცემის შესაძლებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ფორმების შემუშავებისას აუცილებლად ყურადღება მისაქცევია. კომერციული ბანკის მიერ საქმიანი რისკის შეფასება შეიძლება სკორინგის სისტემის მეშვეობით განხორციელდეს, როდესაც საქმიანი რისკის თითოეული ფაქტორი ფასდება ქულებში (ცხრილი 4).

ცხრილი 4

საქმიანი რისკის კრიტერიუმების მიხედვით ქულებიანი შეფასება

საქმიანი რისკის კრიტერიუმები	ქულები
I. მიმწოდებლების რაოდენობა:	
• სამზე მეტი	10
• ორი	5
• ერთი	1
II. მიმწოდებლების საიმედობა:	
• ყველა მიმწოდებელს ბრწყინვალე რეპუტაცია გააჩნია	5
• მიმწოდებლების უმეტესი ნაწილი, როგორც საქმიანი პარტნიორები, საიმედოებია	3
• მიმწოდებლების ძირითადი ნაწილი არასაიმედოა	0
III. ტვირთის ტრანსპორტირება:	
• ქალაქის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი არსებობს, ტრანსპორტირების სახეობა საქონელს შეესაბამება	10
• მიმწოდებელი გამოყოფილია მყიდველისაგან, სადაზღვევო პოლისი არსებობს, ტრანსპორტირება შეესაბამამება საქონელს	8
• მიმწოდებელი დაშორიშორებულია მყიდველისაგან, ტრანსპორტირებამ შეიძლება საქონლის ნაწილის დაკარგვამდე და მისი ხარისხის შემცირებამდე მიგვიყვანოს, სადაზღვეო პოლისი არსებობს	6
• მიმწოდებელი ქალაქის ფარგლებში იმყოფება, ტრანსპორტირება არ შეესაბამება ტვირთს, სადაზღვეო პოლისი არ არსებობს	4
IV. საქონელის დასაწყობება:	
• მსესხებელს დამაკმაყოფილებელი ხარისხის შესაბამისი სასაწყობო სათავსოები გააჩნია ან სასაწყობო სათავსოები არ არის საჭირო	5
• სასაწყობო სათავსოები იჯარაშია აღებული	3
• სასაწყობო სათავსოები საჭიროა, მაგრამ საქმიანი რისკის შეფასების მომენტისათვის არ არსებობს და ა. შ.	0

საქმიანი რისკის შეფასების ანალოგიურ მოდელს სხვა კრიტერიუმების საფუძველზეც იყენებენ. ქულებს თითოეული კრიტერიუმის მიხედვი უთითებენ და აჯამებენ. რამდენად მეტია

ქულების ჯამი, იმდენად ნაკლებია რისკი და გარიგების პროგნოზირებადი ეფექტით დასრულების ალბათობა მეტია, რაც მსესხებელს საკუთარი სავალო ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობას აძლევს.

5. კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასის განსაზღვრა. კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასი ძირითადი და დამატებითი მაჩვენებლების ბაზაზე განისაზღვრება. ბანკის მიერ არჩეული ძირითადი მაჩვენებლები შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უცვლელი უნდა იყოს. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შესახებ საბუთში ან სხვა საბუთებში ფიქსირდება აღნიშნული მაჩვენებლები და მათი ნორმატიული დონეები, რომლებიც მსოფლიო სტანდარტებზეა ორიენტირებული, მაგრამ მოცემული ბანკისათვის და მოცემული პერიოდისათვის ინდივიდუალურებია. მაგალითის სახით შეიძლება ნიუ-იორკის ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ 90-იან წლებში გამოყენებადი მაჩვენებლების სისტემა მოვიყვანოთ (ცხრილი 5).

ცხრილი 5

ნიუ-იორკის კომერციული ბანკის მაჩვენებლების სისტემა

კრედიტუნარიანობის სისტემა	**ნორმატიული დონე**
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	**2 : 1**
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	**1 : 1**
ფინანსური ლევერაჟას კოეფიციენტი: სავალო ვალდებულებები : (საკუთარი კაპიტალი + სუბორდინირებული ვალი)	**1 : 1**
ფინანსური მარჟის კოეფიციენტი: კრედიტები : (აქტივები - სავალო ვალდებულებები)	**არაუმეტეს 1**

დამატებითი მაჩვენებლების კალათა შეიძლება წარმოშობილ სიტუაციასთან დამოკიდებულებაში გადაიხედოს. ასეთი მაჩვენებლების სახით იყენებენ, მაგალითად, საქმიანი რისკის, მენეჯმენტის, ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ხანგრძლივობის, შედეგების ანგარიშის საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლების, ბალანსის ანალიზის შედეგების შეფასებებს.

კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასს განსაზღვრავენ ძირითადი მაჩვენებლების ბაზაზე და აკორექტირებენ დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით .

კრედიტუნარიანობის კლასი ძირითადი მაჩვენებლების დონის მიხედვით შეიძლება ბალებიანი სკალის მიხედვით განისაზღვროს. მაგალითად: I კლასი - 100-150 ქულა; II კლასი 151-250 ქულა; III კლასი 251-300 ქულა. ქულების გაანგარიშებისათვის იყენებენ მაჩვენებელ კლასს, რომელსაც განსაზღვრავენ ფაქტობრივი მნიშვნელობის შედარების გზით ნორმატიულთან, ასევე მაჩვენებლის რეიტინგის (მნიშვნელობას) მეშვეობით.

კრედიტუნარიანობის საერთო შეფასება კეთდება ქულებში. ქულები თავისთავად წარმოადგენს ჯამს თითოეული რეიტინგი გადამრავლებული კრედიტუნარიანობის კლასზე, ბალების ჯამის განსაზღვრის მაგალითი მოყვანილია მეექვსე ცხრილში.

ცხრილი 6

ბალების (ქულების) ჯამის განსაზღვრა

N რიგზე	**ძირითადი მაჩვენებელი**	**მაჩვენებლის რეიტინგი,%**	**ვარი - ანტი 1**	**ვარი - ანტი 1**	**ვარი - ანტი 2**	**ვარი - ანტი 2**	**ვარი - ანტი 3**	**ვარი - ანტი 3**
			კლასი	**ბალი (ჯგ.1x ჯგ.2)**	**კლასი**	**ბალი (ჯგ.1x ჯგ.4)**	**კლასი**	**ბალი (ჯგ.1x ჯგ.6)**
A	**Б**	**1**	2	3	4	5	6	7
1	**Кლ.**	40	1	40	2	80	3	120
2	**Кმგ.**	30	1	30	2	60	3	90
3	**Кვმ.**	30	1	30	2	60	3	90
ჯამი		**x**	**1**	**100**	**2**	**200**	**3**	**300**

(ცხ.6-ის გაგრძელება)

N რიგზე	**ძირითადი მაჩვენებელი**	**მაჩვენებლის რეიტინგი,%**	**ვარი - ანტი 4**	**ვარი - ანტი 4**	**ვარი - ანტი 5**	**ვარი - ანტი 5**	**ვარი - ანტი 6**	**ვარი - ანტი 6**
			კლასი	**ბალი (ჯგ.1x ჯგ.8)**	**კლასი**	**ბალი (ჯგ.1x ჯგ.10)**	**კლასი**	**ბალი (ჯგ.1x ჯგ.12)**
A	**Б**	**1**	**8**	**9**	**10**	**11**	**12**	**13**
1	**Кლ.**	40	3	120	1	40	3	120

2	**Kმგ.**	30	3	90	2	60	3	90
3	**Kვმ.**	30	2	60	3	90	3	90
ჯამი		**x**	**3**	**270**	**2**	**190**	**3**	**300**

კრედიტუნარიანობის კლასის კორექტირება მდგომარეობს იმაში, რომ ცუდ დამატებით მაჩვენებლებს შეუძლია კლასი დაადაბლოს, კარგებმა კი აამაღლოს. მაგალითის სახით მოვიყვანოთ შემდეგი მონაცემები (ცხრილი 7).

ცხრილი 7

კლიენტი	**რეიტინგი ბალებში**	**დამატებითი მაჩვენებლები**	**დამატებითი მაჩვენებლები**	**დაკრედიტების კლასი**
		მენეჯმენტის შეფასება (ქულების მაქსიმალური რაოდეობა - 30)	**ნაღდი ფულის სუფთა სალდო/ /ამონაგები რეალიზაციი - დან,%**	
N 1	100 (1)	26	2	I
N 2	120 (1)	28	1	I
N 3	130 (1)	15	-	II

კლასის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტუნარიანობის კოეფიციენტების ფაქტორულ ანალიზს, ბალანსის ანალიზს, დარგში ან რეგიონში საქმეების მდგომარეობის შესწავლას.

<u>მცირე ბიზნესის საწარმოების კრედიტუნარიანობის შეფასება</u>

მცირე საწარმოების კრედიტუნარიანობა შეიძლება ისეთივე სახით შეფასდეს, როგორც ვალის დაფარვისადმი მსხვილი და საშუალო მსესხებლების შესაძლებლობა - კრედიტუნარიანობის ფინანსური კოეფიციენტების, ფულადი ნაკადების ანალიზისა და საქმიანი რისკის შეფასების საფუძველზე {1, გვ. 392 - 395}.

თუმცა ბანკის მხრიდან ფინანსური კოეფიციენტებისა და ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდის გამოყენება გაძნელებულია მცირე ბიზნესის საწარმოების კლიენტების აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის გამო, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც წესი, მათ ლიცენზირებული ბუღალტერი არ ჰყავთ. გარდა ამისა, ხარჯები აუდიტორული შემოწმებისათვის ბანკის აღნიშნული კლიენტებისათვის უფრო ხშირად მიუწვდომელია. სწორედ ამიტომ, მსესხებლის ანგარიშგებას აუდიტორული დადასტურება არ გააჩნია და ამის გამო კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასება ეფუძნება არა მის ფინანსურ ანგარიშგებას, არამედ ბანკის მუშაკის მიერ მოცემული ბიზნესის ცოდნას. ეს უკანასკნელი მოითხოვს მუდმივ კონტაქტებს კლიენტთან, ესაა: პირადი ინტერვიუ მათთან, საწარმოს რეგულარული მონახულება და ა.შ.

მცირე საწარმოს ხელმძღვანელთან პირადი ინტერვიუს მსვლელობისას უნდა გაირკვეს სესხის მიზანი, ვალის დაბრუნების წყარო და ვადა. კლიენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ დაკრედიტებადი მარაგები გარკვეული ვადისათვი შემცირდება, ხოლო დაკრედიტებადი დანა-ხარჯები რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე იქნება გაწერილი.

მცირე საწარმოების კიდევ ერთი თავისებურება უნდა აღინიშნოს: მათი ხელმძღვანელები და მუშაკები, არც ისე იშვიათად, ერთი ოჯახის ან ნათესავების წევრები არიან. ამიტომ, შესაძლებელია, მფლობელის პირადი კაპიტალის შერევა მოხდეს საწარმოს კაპიტალთან. აღნიშ-ნულიდან გამომდინარეობს მცირე ბიზნესის საწარმოებთან ბანკის საკრედიტო ურთიერთობების ორგანიზაციის შემდეგი თავისებურება: სესხის დაფარვის გარანტირება მფლობელის ქონებით ხდება. ამასთან დაკავშირებით მცირე კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასებისას მფლობელის ფინანსური მდგომარეობა უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომელიც **პირადი ფინანსური ანგარიშგების** მონაცემების მიხედვით განისაზღვრება (იხ. დანართი 1).

დანართი 1

პირადი ფინანსური ანგარიშგება

2015 წლის "01" „აპრილის" მდგომარეობით

სახელი, გვარი ..... , მისამართი ..... ,

პროფესია ან სამუშაო სპეციალობა ..... .

მე, სესხის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებას ყველა საკუთარი მოთხოვნებისა და ვალდებულებების მიხედვით ზემოთ მითითებული დღის ბოლო დროისათვის, აგრეთვე სხვა ინფორმაციასაც ხელმოწერისა და ბეჭდის დადასტურებით.

აქტივები			**პასივები**		
ნაღდი ფულადი სახსრები (ცხრილი A)			დავალიანება ბანკის წინაშე (ცხრილი A)		

აქციები და ობლიგაციები (ცხრილი B)			დავალიანება ბანკის წინაშე ნათესავების მხრიგან		
დებიტორული დავალიანება:			დავალიანება სხვა პირების წინაშე		
- ნათესავებისა და მეგობრების			ანგარიშები, გადახდას დაქვემდებარებული		
- სხვა პირების დაფარვის კარგი ალბათობით			დარიცხული საშემოსავლო გადასახადი		
- საეჭვო ვალები			დაგირავებული საკუთარი ქონება (ცხრილი C)		
უძრავი ქონება (ცხრილი C)			გადახდები კონტრაქტების მიხედვით		
დამგირავებლის მფლობელობაში არსებულები (ცხრილი D)			კრედიტები სადაზღვეო პოლისების საპირისპიროდ (ცხრილი E)		
გამოსასყიდი ღირებულება სიცოცხლის დაზღვევის (ცხრილი E)			დანარჩენი პასივები (ჩამოთვალეთ)		
დანარჩენი აქტივები (ჩამოთვალეთ)					
ჯამი					
დაბანდებული აქტივების თანხა			**უზრუნველყოფილი პასივების თანხა**		

წლიური შემოსავალი: შრომის ანაზღაურება ..... , მიღებული საკომისიოები ..... .
დასაქმების სახეობა ან პროფესია ..... . სახელი, გვარი სამუშაოს გამცემის ..... .
ხართ თუ არა თქვენ პარტნიორი ან თანამშრომელი ნებისმიერ სხვა ადგილას ..... .
წლოვანება ..... . ოჯახური მდგომარეობა ..... .
(უცოლო, ცოლიანი, ქვრივი, განქორწინებული)
კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობა ..... .
წაყენებულია თუ არა თქვენს წინააღმდეგ რაიმე სახის სასამართლო სარჩელი? ..... .
აღიარებული ხართ თუ არა თქვენ ოდესმე გაკოტრებულად და განხორციელებული გაქვთ თუ არა უფლებებისა და უფლებამოსილებების სრულად გადათმობა?
წინამდებარე ანგარიშგების თარიღისათვის ჩემ მიერ რაიმე სახის საკუთარ საკუთრებაზე ქონებრივი უფლებები არ არის დაგირავებული, არ არის გადათმობილი და არ არის გადაცემული, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც ამ ანგარიშგებაშია ან დამხმარე ცხრილებშია მითითებული, აგრეთვე მას შემდეგ ჩემ მიერ მითითებული ქმედებები არ არის დაშვებული, გამონაკლისის გარდა (მიუთითეთ დეტალები): ..... .

პირადი ფინანსური ანგარიშგების ფორმა მოიცავს ფიზიკური პირის აქტივებისა და პასივების შესახებ მონაცემებს. ამასთან, უნდა გამოიყოს დაბანდებული აქტივები და უზრუნველყოფილი პასივები.

კრედიტუნარიანობის შეფასების ტრადიციული მეთოდები მცირე ბიზნესისათვისაც მიუღებელია. აღნიშნული თავისთავად მის ოფიციალურ ანგარიშგებაში შეცდომების მაღალი პროცენტით, გადასახადდაბეგვრიდან თავის არიდების სხვადასხვა სქემების გამოყენებით აიხსნება. აქედან გამომდინარე, მცირე საწარმოს საქმიანობის სახეობების ფინანსური ანალიზის განხორციელება პრაქტიკულად ბანკის წარმომადგენლის მიერ მსესხებლის პირველადი საბუთების მიხედვით შედგენილი ანგარიშგების საფუძველზე ხორციელდება. მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების შედგენისას გაითვალისწინება ხარჯები ოჯახზე; კონტროლდება კრედიტის ყოველთვიური დაფარვის სიდიდე, რომელიც თვის ბოლოსათვის, ოჯახზე ხარჯების გამოკლებით, ფულადი სახსრების ნაშთის 70%-ს არ უნდა აღემატებოდეს; მოწმდება კერძო კრედიტორებისაგან არაოფიციალური სესხების არსებობა. შემოწმებული მონაცემების მიხედვით შეიძლება ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება.

ამრიგად, ბანკის მიერ მცირე მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემა ყალიბდება შემდეგი ელემენტებისაგან:

1) საქმიანი რისკის შეფასება;
2) კლიენტის მუშაობაზე დაკვირვება;
3) ბანკირის მიერ საწარმოს მფლობელთან გასაუბრება;
4) მფლობელის პირადი ფინანსური მდგომარეობის შეფასება; საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი პირველადი საბუთების საფუძველზე.

<u>ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასება</u>

ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასება დაფუძნებულია მოთხოვნილი სესხისა და მისი პირადი შემოსავლის თანაფარდობაზე, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და მისი ქონების ღირებულების საერთო შეფასებაზე, ოჯახის შემადგენლობაზე, პირად დახასიათებებზე, საკრედიტო ისტორიის შესწავლაზე [1, გვ. 395 – 401].

შეიძლება გამოიყოს **ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის შეფასების სამი ძირითადი მეთოდი**, რომელიც ითვალისწინებს დასახელებულ ფაქტორებს:

1) სკორინგული შეფასება;
2) საკრედიტო ისტორიის შესწავლა;
3) გადახდისუნარიანობის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე შეფასება.

სკორინგული მეთოდის არსი, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი მსხვილი და საშუალო საწარმოების კრედიტუნარიანობის განხილვისას, მდგომარეობს კრიტერიუმების სისტემისა და მისი შესაბამისი მაჩვენებლების, მსესხებლის მიერ ბანკისათვის ძირითადი ვალისა და პროცენტების დაბრუნების შესაძლებლობის, ბანკის მიერ დადგენილი მაქსიმალური საზღვრების შეფასების ჩარჩოებში აღნიშნული მაჩვენებლების ქულებში შეფასების, კრედიტუნარიანობის საერთო ბალური შეფასების (ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით ქულების ჯამური სიდიდის) განსაზღვრაში.

ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის სკორინგული შეფასების მოდელს შეიძლება სხვადასხვა ფორმები ჰქონდეს.

1. **მოდელი, რომელიც ცალკეული მაჩვენებლების სისტემის ქულებში შეფასებაზეა აგებული** (ცხრილი 8).

ჩვენს მაგალითში ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენს ბანკში ანგარიშის არსებობის ხანგრძლივობა და საშუალო ნაშთი ანგარიშზე. საერთო ბალურ შეფასებასთან მიმართებაში დგინდება არა მარტო მაქსიმალური ზღვარი (მოყვანილ ვარიანტში - 1000 ქულა), არამედ მინიმალურიც. ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის ფაქტობრივი შეფასების მეტობა ბანკის მიერ დადგენილ მინიმუმზე, წარმოადგენს ერთ-ერთ საფუძველს (მაგრამ არა ერთადერთს) სესხის გაცემის შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. სკორინგული შეფასება შეიძლება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის უფრო დეტალური ანალიზით, დამატებითი ინფორმაციების შეგროვებით შეივსოს.

ცხრილი 8

მაჩვენებლების სისტემის ქულებიანი შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	**მიღებული ქულების რაოდენობა**	**ქულების მაქსიმალური რაოდენობა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით**
წლოვანება	45	50
კლიენტის პროფესია	60	**60**
ოჯახური მდგომარეობა	0	40
ბანკში ანგარიშის არსებობის ხანგრძლივობა	165	165
საშუალო ნაშთი ანგარიშზე	120	190
შრომის ანაზღაურების მიღების ადგილი (გადაიყვანება თუ არა ხელფასი ბანკის ანგარიშზე)	55	55
კრედიტის დინამიკა	80	80
კრედიტის ვადა	0	90
სადებეტო სალდოს არსებობა მიმდინარე ანგარიშზე	15	15
საჩეკო წიგნაკის გამოყენება	115	115
ჯამი	**730**	**1000**

ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის სკორინგული შეფასების მოდელის აღწერისათვის ინფორმაცია **მსესხებლის ტესტ-ანკეტაშია** მოყვანილი [უფრო დეტ. იხ. 1, გვ. 397].

2. **მოდელი, რომელიც ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას აჯგუფებს**

მაგალითად, ერთ-ერთი ფრანგული ბანკი - „პარიზის ბანკი“ - სკორინგული შეფასების პროგრამაში სამომხმარებლო კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობის სამ განყოფილებას გამოყოფს:

• ინფორმაცია კრედიტთან მიმართებაში;
• მონაცემები კლიენტის შესახებ;
• კლიენტის ფინანსური მდგომარეობა.

პირველ განყოფილებაში შეიყვანება მონაცემები კრედიტის გამცემი ბანკის თანამშრომლის შესახებ, კლიენტის დოსიეს ნომერი, სააგენტოს დასახელება, კრედიტის სახეობა და თანხა, მისი დაფარვის პერიოდულობა, საპროცენტო განაკვეთი სადაზღვევო გადასახადების გარეშე, სესხის გაცემის თარიღი, კლიენტის მიერ შერჩეული მისი დაფარვის თვის რიცხვი, დაზღვევის აუცილებლობის შესახებ საკითხზე პასუხი, სესხის ყოველთვიური დაფარვის აბსოლუტური სიდიდე სადაზღვევო გადახდებთან და მის გარეშე, ბანკზე გადასახდელი პროცენტებისა და სადაზღვევო გადახდების საერთო სიდიდე.

მეორე განყოფილებაში შეიყვანება მონაცემები კლიენტის პროფესიის, მისი გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებადობის, სამუშაოს მიმცემის, სუფთა წლიური ანაზღაურების, ხარჯებზე წლის განმავლობაში, მუშაობის სტაჟის შესახებ.

მესამე განყოფილება მოიცავს მონაცემებს კლიენტის მიმდინარე და საშემნახველო ანგარიშებზე ნაშთების, მისი შემოსავლებისა და ხარჯები თანაფარდობის შესახებ.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ბანკის (ფილიალის) თანამშრომელი იღებს გადაწყვეტილებას კრედიტის გაცემის შესაძლებლობის შესახებ. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ბანკის ფილიალს შეუძლია, კლიენტი, კრედიტის გაცემის შესაძლებლობის შესახებ საკითხის დამატებით განსახილველად, დირექციაში გაგზავნოს.

3. **სკორინგული შეფასების მოდელი, რომელიც კრედიტუნარიანობის მაჩვენებლის მნიშვნელობაზე დამოკიდებულებაში აგებული ქულების სკალას მოიცავს.** მაგალითის სახით შეიძლება ორი ინგლისური ბანკის შეფასების სისტემიდან მოვიყვანოთ მონაცემები (ცხრილი 9 და 10).

სკორინგული შეფასების აღნიშნული მოდელის საფუძველზე ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის მაგალითად ხუთი კლასის განსაზღვრა არის შესაძლებელი: კრედიტუნარიანობა საუკეთესო, კარგი, საშუალო, ცუდი, არაკრედიტუნარიანი. კლასზე დამოკიდებულებაში ბანკი ზღვრული ვადებისა და კრედიტის თანხის ზღვრულ სკალას განსაზღვრავს (ჩვეულებრივ, პროცენტებში კლიენტის წლიური შემოსავლიდან).

ცხრილი 9

კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებლების ქულებით
შეფასების დიფერენციაციის პირველი ვარიანტი (2, დანართი 18)

მაჩვენებელი	**მაჩვენებლის მნიშვნელობა / წონა ქულებში**	**მაჩვენებ ლის მნიშ. / წონა ქულებში**	**მაჩვენებლის მნიშ. / წონა ქულებში**	**მაჩვენებლის მნიშ. / წონა ქულებში**	**მაჩვენებლის მნიშ. / წონა ქულებში**
1.წლიური შემოსავალი: *სულ ათ. დოლ. *მთლიანი ქულებში	<10 5	10 – 20 15	20 – 40 30	40 – 60 45	>60 60
2.ურთიერთობები ბანკთან: *ანგარიშების არსებობა *ქულები	ანგარიშები არ აქვს 0	მოთხოვნამდე 30	საშემნახველო 30	ორივე ანგარიში 50	პასუხი არ არის
3.მუდმივი ცხოვრება ერთი მისამართის მიხედვიით: *ხანგრძლივობა *ქულა	<1 წელზე 0	1 – 2 წელი 15	2 – 4 წელი 35	>4 წელზე 50	პასუხი არ არის 0
და ა. შ.					

ფიზიკური პირების დაკრედიტების პრაქტიკაში ბანკის მიერ სკორინგის სისტემის დანერგვისათვის საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს:

1) ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის კრიტერიუმების შერჩევა, რომელიც განისაზღვრება დემოგრაფიული ფაქტორებით, დაკრედიტების ობიექტის ხასიათით, კრედიტის ვადით და ა.შ.;

2) ძირითადი (სისტემატიზებადი) კრიტერიუმების გამოყოფა, რომლებიც ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის საერთო ქულებიან შეფასებაზე ყველაზე უფრო დიდ ზეგავლენას უნდა ახდენდეს;

ცხრილი 10

კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებლების ქულებით
შეფასების დიფერენციაციის მეორე ვარიანტი

მაჩვენებელი	**მნიშვნელობა**	**ქულა**
1. ტელეფონის ქონა	კი არა პასუხი არ არის	10 15 15
2. ცხოვრების ვადა ბოლო მისამართის მიხედვით	1 წლამდე 1 – 2 წელი 3 – 7 წელი 8 – 25 წელი 26 და მეტი წელი პასუხი არ არის	9 6 3 1 0 3
3. რეზიდენტის სტატუსი	ბინის (სახლის)მფლობელი არენდატორი ცხოვრობს მშობლებთან	0 9 6

	პასუხი არ არის (სხვა ვარიანტები)	12
4. მომსახურების პერიოდი ბანკში	1 წლამდე 1 – 2 წელი 3 – 4 წელი 5 – 9 წელი 10 და მეტი წელი პასუხი არ არის ანგარიში არ აქვს ბანკში	20 12 8 3 0 2 16
და ა. შ.		

3) ქულების რაოდენობის განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება თითოეული არჩეული კრიტერიუმის მიხედვით იქნეს მიკუთვნებული;

4) თითოეული კრიტერიუმის ჩარჩოებში მაჩვენებლების გამოყოფა, მაგალითად , „ოჯახური მდგომარეობის“ კრიტერიუმს შეესაბამება მაჩვენებლები: უცოლო, ცოლიანი (ქმრიანი), გაყრილი, ოჯახის სტატუსი; „განათლების“ კრიტერიუმს პასუხობს მაჩვენებლები: საშუალო, ტექნიკური, უმაღლესი, მეცნიერული ხარისხი;

5) კლიენტის ტესტი-ანკეტას შემუშავება შერჩეული კრიტერიუმებისა და მათი შესაბამისი მაჩვენებლების შეფასების თანმიმდევრობის შესაბამისობაში;

6) ბანკის მიერ კლიენტებისა და მსესხებლების საკრედიტო ისტორიის კარტოთეკის შესახებ საკუთარი საინფორმაციო ბაზის შექმნა;

7) სკორინგის პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება;

8) ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასების ორგანიზაციისა და გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრობის განსაზღვრა.

აშშ-ში ფიზიკური პირის მიერ მაღაზიებში კრედიტში საქონელის შეძენასთან დაკავშირებული კრედიტუნარიანობის შფასება საკრედიტო ისტორიის შესწავლის საფუძველზე ხორციელდება. ამერიკულ ბანკებში, საკრედიტო ისტორიის გარდა, ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემაში შედის შემდეგი მაჩვენებლები: ვალისა და შემოსავლის თანაფარდობა, შემოსავლის სტაბილირება და ერთ სამუშაო ადგილზე მუშაობის ხანგრძლივობა, ერთი მისამართის მიხედვით ცხოვრების ხანგრძლივობა, კაპიტალის სიდიდე.

რუსეთის ფედერაციის „შემნახველ ბანკში“ ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის, მისი გადახდისუნარიანობის ფინანსური მაჩვენებლების (რომლის საფუძველში ფიზიკური პირის შემოსავლისა და აღნიშნული შემოსავლის დაკარგვის რისკის ხარისხის შესახებ მონაცემებია ჩადებული) საფუძველზე შეფასება არის გათვალისწინებული. ინდივიდუალური მსესხებლის გადახდისუნარიანობის გაანგარიშებას ის მონაცემთა ბაზაზე ახორციელებს, გასული ექვსი თვის საშუალო თვიური შემოსავლის მიხედვით, რომელიც შრომის ანაზღაურების შესახებ ცნობის ან საგადასახადო დეკლარაციის მიხედვით განისაზღვრება. შემოსავალს აკლდება სავალდებულო გადახდები და კორექტირდება კოეფიციენტზე, რომელიც შემოსავლის სიდიდისაგან (0,3-დან - 0,6-მდე) დამოკიდებულებაში დიფერენცირდება. რამდენად მაღალია შემოსავალი, იმდენად მეტია კორექტირება. გადახდისუნარიანობა დგინდება სესხის ვადისადმი მიმართებაში:

$$\text{გდ} = \text{სმ} \times \text{კ} \times \text{ვდ},$$

სადაც: **გდ** არის გადახდისუნარიანობა პერიოდში; **სმ** - საშუალო თვიური შემოსავალი; **კ** – კორექტირებადი კოეფიციენტი; **ვდ** - სესხის ვადა.

სესხისა და პროცენტების სიდიდე ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობის დონეს არ შეიძლება აჭარბებდეს. აღნიშნული თანაფარდობიდან განისაზღვრება პერიოდში სესხის მაქსიმალური სიდიდე, რომელიც, შემოსავლის მოცემული დონისას, შეიძლება ფიზიკურ პირზე იქნეს გაცემული.

რამდენადაც მსესხებლის - ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობა არ წარმოადგენს მისი კრედიტუნარიანობის ერთადერთ ფაქტორს და მაჩვენებელს, ამდენად, თავმდებლების მეშვეობით (მათი კრედიტუნარიანობა ასევე უნდა განისაზღვროს) საკრედიტო რიკისაგან დამატებითი დაცვა არის საჭირო. სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად ლიკვიდური საქონლის გამოყენებაც შეიძლება.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის:

1. ჩამოყალიბებულია მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის საწარმოების კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიები, ასევე კომერციული ბანკის კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების ფინანსური კოეფიციენტები და მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებადი კოეფიციენტების სისტემა, რომლებიც შედეგების ანგარიშის საფუძველზე გაიანგარიშება;

2. განხილულია ფულადი ნაკადისა და საქმიანი რისკის ანალიზები, როგორც კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების ხერხები და კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასის განსაზღვრის მეთოდიკა;

3. შეთავაზებულია ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის სკორინგული შეფასების მოდელები, დაფუძნებული მოთხოვნილი სესხისა და მისი შემოსავლის, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასებისა და მისი ქონების ღირებულების თანაფარდობებზე, ოჯახის შემადგენლობაზე, პირადულ დახასიათებებზე, საკრედიტო ისტორიის შესწავლაზე, ასევე ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობის, მისი გადახდისუნარიანობის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე შეფასების მეთოდოლოგია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Банковское дело: Учебник / О.И. Лаврушин, И.Д. Мамонова, Н.И. Валенцева (и др.); под ред. проф. О.И. Лаврушина. Москва, КНОРУС, 2009. – 768 с.

2. Панова Г.С. – Кредитная политика коммерческого банка. Москва, ДИС, 1997.

3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. - თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014. – 548 გვ.

4. ხანთაძე გ., ცაავა გ. საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). - თბილისი, გამომცემლობა შპს „წიგნის სახელოსნი“, 2012. – 400 გვ.

5. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.

6. ასათიანი ვლ., ცაავა გ. კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 500 გვ.

7. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკი მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანო“, 2015. – 800 გვ.

Leila Dolidze
George Tsaava

FEATURES OF ASSESSING THE CREDITWORTHINESS OF LARGE, MEDIUM, SMALL BUSINESS ENTERPRISES AND INDIVIDUALS

Annotation

1. Formulation of a methodology for assessing the creditworthiness of large, medium and small business enterprises, and financial coefficient of customer creditworthiness of the commercial bank and in the world used the system coefficient calculated on the basis of the accounts of the results;

2. Consider cash flow analysis and business risk as means of assessing the creditworthiness of the customer and the method of determining the class of the borrower's creditworthiness;

3. Proposals are scoring model for the credit assessment fisical person based on the ratio of the loan requested and its income, the overall assessment of the financial situation of the borrower and the value of his property, family income structure, personal characteristics, the study credit history, as well as the methodology for assessing the creditworthiness of an individual based on the financial performance of its solvency.

ჯანდრი ზარანდია

შვეიცარიის კონფედერაციის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საქართველო

საქართველოს ევროპული არჩევანი ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს არჩევანია. საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის სფეროშია, ხოლო ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში.

ჩვენი მიზანია, ერთმანეთს შევადაროთ საქართველოსა და ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის – შვეიცარიის კონფედერაციის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. განხილვა დავიწყოთ ამ ორი ქვეყნის ზოგადი დახასიათებით.

საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით. სახელმწიფო ხელისუფლებას საქართველოში ახორციელებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი. ეროვნული ვალუტა ლარი – 1995 წლიდან. საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია. ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნების მრავალფეროვნება. საქართველოს ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, სამხრეთ-დასავლეთით თურქეთი,

სამხრეთით სომხეთი ესაზღვრება. ტერიტორიის ფართობი 69,7ათასი კვ.კმ აფხაზეთის და სა-სამაჩაბლოს ჩათვლით. მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წლის მონაცემებით – 4371,5 ათასი კაცი[287].

საქართველოში, საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების კვალობაზე, უდავოდ პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ბუნებრივ რესურსული პოტენციალი, რაც ქვეყანას გარკვეულწილად გააჩნია. ეს არის 300-მდე მინერალურ-სანედლეულო საბადო, 11 ნავთობის საბადო მარაგის – 28.0 მლნ. ტონამდე, 400 მლნ ტონა ქვანახშირის საბადოები, 215 მლნ ტონა მანგანუმის მარაგები, საქართ-ველოში არის აგრეთვე სპილენძისა და ტყვია-თუთიის სამრეწველო მარაგები, ბარიტი ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა მოძიებული ცემენტის მრეწველობისათვის კარბონატული ნედლეულისა და თიხის მარაგები [288]. საშენ მასალათა, მათ შორის სილიკატები, მოსაპირკეთებელი მასალები, მარმარილო, ფოროვანი შემავსებლები, ლითონური დარიშხანის მარაგები და სხვა. ქვეყნის მიწის საერთო ფონდი შეადგენს 7.3 მლნ ჰექტარს. ქვეყანაში მიწისზედა და მიწისქვეშა მტკნარი წყლების დიდი მარაგებია, საქართველოში 26 ათასამდე მცირე და დიდი მდინარეა. ჰიდროენერგეტიკული რესურსების პოტენციალი 60 მლრდ კვტ. საათს აღწევს. დღეისათვის მხოლოდ 16%-ია გამო-ყენებული. ქვეყანას გააჩნია თერმული წყლების საკმაოდ დიდი მარაგი – 220-250 მლნ კუბ. მეტრი წელიწადში, გამოყენებულია მხოლოდ 15 მლნ კუბ. მეტრი. არსებული ფინანსური კრიზისის პირობებში განსაკუთრებით აქტუალობას იძენს საქართველოში არსებული რესურსული პოტენ-ციალის მაქსიმალური ეფექტური გამოყენება.

როგორი გეოპოლიტიკური გარემო აქვს საქართველოს და როგორ შეუძლია გამოიყენოს იგი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის? საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთ-ერთ ცენტ-რალურ ფიგურას წარმოადგენს კავკასიის რეგიონში. იგი მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს. ამდენად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართ-ველოს ადგილისა და როლის გარკვევა მსოფლიო თანამეგობრობაში, იმ გეოპოლიტიკური ძალების ცვლილების კონტექსტში, რომელიც განსაკუთრებით ბოლო წლებში განვითარდა.

საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ათვისებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებას. შუა აზიიდან, კერძოდ, ტაშკენტიდან მანძილი საქართველოს საზღვაო პორტებამდე 2000 კმ-ია, მაშინ, როცა სხვა უახლოეს საზღვაო პორტამდე – 3900 კმ-ია. ასეთი კორიდორით შეიქმნება ერთიანი, გრანდიოზული სატრანსპორტო არეალი, რომელიც აღმოსავლეთიდან, ჩინეთის საზღვაო პორტებიდან გავრცელდება ჩრდილოეთ ევროპის საზღვაო პორტებამდე. სარკინიგზო მაგისტრალის მეშვეობით წყნარი ოკეანის სანაპიროდან ევროპამდე სარკინიგზო გადაზიდვების მანძილი 4000 კმ-ით შემცირდება. ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება მნიშვნელოვანი მოგების წყარო იქნება 30 ქვეყნისათვის [289]. ამ სატრანსპორტო დერეფნის საქართველოს მონაკვეთში განსაკუთრებული ადგილი შავი ზღვის პორტებს – ფოთსა და ბათუმს უკავია, ანაკლიის პორტი, რომლის მშენებლობა ახლო მომავალში უნდა დაიწყოს, კიდევ უფრო განამტკიცებს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობას.

განვიხილოთ შვეიცარიის კონფედერაციის ზოგადი დახასიათება. შვეიცარია (ოფიციალური დასახელება – შვეიცარიის კონფედერაცია) ცენტრალური ევროპის სახელმწიფოა და ევროპის გულში მდებარეობს, ჩრდილოეთით მას ესაზღვრება გერმანია, სამხრეთით – იტალია, დასავლეთით – საფრანგეთი, ხოლო აღმოსავლეთით – ავსტრია და ლიხტენშტეინი. ის არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მაგრამ მას გააჩნია მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ევროპელ მეზობლებთან.

შვეიცარიაში შედის 26 კანტონი. ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევენ ფედერალური საბჭოს წევრებიდან. საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი. ეროვნულ საბჭოს ირჩევს მოსახლეობა, ფედერალური საბჭოს წევრებს ირჩევენ პარლამენტის ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე. ფედერალური საბჭოს ყველა წევრი მორიგეობით იკავებს პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებს. შვეიცარიის ტერიტორია სამ ბუნებრივ რეგიონად იყოფა. შვეიცარია მდიდარია და ცნობილია მისი ტბებით. შვეიცარიაში ცენტრალური ევროპისთვის დამახასიათებელი კონტინენტური კლიმატია.

საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შვეიცარიის კონფედერაცია ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა იყო ევროპის სახელმწიფოებს შორის. ქვეყანას, რომელსაც თითქმის არ გააჩნდა სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრე და არ ჰქონდა ზღვასთან გასასვლელი, ხელისუფ-ლებამ, მაღალეფექტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მმართველობის სისტემის, სწორი მენეჯ-მენტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვით, შეძლო მისი გამოყვანა უმძიმესი მდგომა-

[287] წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2005.

[288] ჰუმანური განვითარების ანგარიში საქართველოში 1997 წ., გაეროს განვითარების პროგრამა, თბ., 1998, გვ. 69.

[289] http://www.economy.ge/ge/media/news/stambolis-ministerialze-baqo-tbilisi-yarsis-rkinigzis-mseneblobis-droulad-dasrulebaze-setanxmdnen

რეობიდან. ხელისუფლებამ შეძლო მოეზიდა დიდი მოცულობის ინვესტიციები, აეღო სახელმწიფო კრედიტები და მოეწესრიგებინა ინფრასტრუქტურა მთელი ქვეყნის მასშტაბით როგორც ქალაქში, ისე სოფლად. ამით ქვეყანა უფრო მიმზიდველი გახდა უცხოელი ინვესტორებისათვის.

XX საუკუნის მეორე ნახევარში შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული უმდიდრესი ინდუსტრიული ქვეყანა გახდა ინტენსიური მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობით. XXI საუკუნის დასაწყისში კი შვეიცარია, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის და ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მოცულობის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შევიდა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბანკო და ფინანსური ცენტრი გახდა. შვეიცარიის ბანკებზე მოდის მთელი მსოფლიოს კერძო და იურიდიული პირების ქონების და საკუთრების მართვის 35-40%. მრეწველობაში დომინირებს ტრანსნაციონალური ხასიათის მსხვილი გაერთიანებები, რომლებიც წარმატებით უძლებენ კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე და წამყვან პოზიციებს იკავებენ. შვეიცარიაში ელექტროენერგიის დაახლოებით 42%-ს გამოიმუშავებს ატომური ელექტროსადგურები, 50%-ს – ჰიდროელექტროსადგუ რები, ხოლო დარჩენილ 8%-ს თბოელექტროსადგურები. შვეიცარიის სატრანსპორტო სისტემა „საათივით აწყობილია“. 5034 კმ სიგრძის რკინიგზის ნახევრზე მეტი ელექტრიფიცირებულია. მთიან რეგიონებში მუშაობს ფუნიკულიორები და საბაგირო გზები. გზების ჯამური სიგრძე დაახლოებით 71 ათას კილომეტრს შეადგენს. ძირითადი საერთაშორისო აეროპორტებია ჟენევა, ციურიხი და ბაზელი.

შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და მდიდარი ქვეყანაა. შვეიცარიის საქონელბრუნვის დაახლოებით 80-85% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე. შვეიცარიის გავლით მოძრაობს დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთიდან სამხრეთ ნაწილისკენ და საპირისპირო მიმართულებით მიმავალი ყველა სატრანზიტო ტვირთის 50%. ქვეყნის მშპ-ის მოცულობამ 2014 წლის მონაცემებით შეადგინა 712,05 მლრდ აშშ დოლარი. უმუშევრობის დონემ შეადგინა 3,3%. ეკონომიკაში დაკავებულია დაახლოებით 4 მლნ ადამიანი – მოსახლეობის 57% [290].

სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით და შრომისმწარმოებლურობით. სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს საკვებ პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილების 60%-ს. ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე – როგორც ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების იმპორტზე, ასევე სამრეწველო ნაწარმის ექსპორტზე. უმსხვილეს საგარეო სავაჭრო პარტნიორებს შორის არიან გერმანია, საფრანგეთი, აშშ, იტალია, დიდი ბრიტანეთი.

შვეიცარია ტურიზმის ტრადიციული ქვეყანაა, ამ სფეროში ის მტკიცე პოზი-ციებს ინარჩუნებს ევროპაში. ეროვნული შემოსავლის 15% ტურიზმიდან შემოდის. 2008 წ. 12 დეკემბრიდან შვეიცარია ოფიციალურად შევიდა შენგენის უვიზო სივრცეში.

შვეიცარიას საგარეო სავაჭრო კავშირები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან აქვს. ქვეყნის ეკონომიკა დიდადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე – ნედლეულის და ნახევარფაბრიკატების იმპორტის თვალსაზრისით. გარდა ამისა, საექსპორტოდ მიდის საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის 50%, მანქანათმშენებლობის პროდუქციის დაახლოებით 70%, ქიმიური და ფარმაცევტული პროდუქციის 90%-ზე მეტი, ასევე, საათების წარმოების პროდუქციის 98%. მარცვლეულის წარმოებას განსაკუთრებული ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს შორის. შვეიცარია უზრუნველყოფს საკუთარ თავს ხორბლით, ხორცის და რძის პროდუქტებით, ამავე დროს, აუცილებელია სასურსათო საქონლის 40%-ის იმპორტირება [291]. ქვეყანაში მოქმედებს სასურსათო პროდუქციის მწარმოებლებისგან სახელმწიფოს მიერ მყარ ფასად შესყიდვის ცენტრალიზებული სისტემა, ასევე ხდება წარმოების პირდაპირი სუბსიდირება. სოფლის მეურნეობა შვეიცარიის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია. სახელმწიფო მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის განვითარებას და არსებითი წვლილი შეაქვს მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს მომუშავეთა საერთო რაოდენობის 4%-ს. სოფლის მეურნეობის სფეროში შრომის ნაყოფიერების და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოო პროცესების მექანიზაცია.

პატარა შვეიცარიის წილად მოდის მსოფლიოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 2%. სავაჭრო კავშირების ძირითადი ნაწილი მიმართულია დასავლეთ ევროპის ცენტრალურ ნაწილსა და შეერთებულ შტატებზე, რაც მთლიანი ტვირთბრუნვის 80%-ს შეადგენს. შვეიცარიის ეკონომიკის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგარეო სავაჭრო კავშირებს. შვეიცარიის ეკონომიკის განვითარების სტიმულირების მნიშვნელოვანი მიმართულებაა მსოფლიოს ბაზრებზე შვეიცარიული ექსპორტის თავისუფალი გასვლის უზრუნველყოფა. შვეიცარია ახდენს საგარეო ეკონომიკური კავშირების აქტივიზაციას მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან, ირანის, ვენესუელის, თურქეთის ჩათვლით.

ამგვარად, შვეიცარია ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანაა. საგარეო ბაზრებზე შვეიცარული კომპანიების მიერ გამოშვებული პროდუქცია ხასიათდება მაღალი ხარისხით და მაღალი კონკურენტუნარიანობით. ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის 90%-ზე მეტი საზღვარგარეთ გააქვთ. ქვეყნის საექსპორტო პროდუქცია იქმნება მანქანათმშენებლობის, ელექტრონულ და ქიმიურ

[290] fwd:StatisticsCH; httpdatabank.worldbank.org/data/viws/reports/tabliview.aspx
[291] httpwww.bfs.admmin.ch/bfs/portal/fr/index.html

მრეწველობაზე. შვეიცარია აწარმოებს მსოფლიოს საათების პროდუქციის საერთო მოცულობის დაახლოებით ნახევარს, ამ საქონლის ექსპორტის ძირითადი პარტნიორები არიან ევროკავშირის სახელმწიფოები, აშშ და დიდი ბრიტანეთი. ევროკავშირზე მოდის შვეიცარიის საგარეო სავაჭრო ბრუნვის 70%.

შედარებისათვის განვიხილოთ საქართველოს და შვეიცარიის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები:

ცხრილი 1

მთლიანი შიდა და ეროვნული პროდუქტი და მათი მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე

(მონაცემები აღებულია 2014 წ.)

ქვეყნები	საქართველო	შვეიცარია
ფართობი	69,7 კვ.კმ	41,3 კვ.კმ
მოსახლეობა	4.3 მლნ	7,4 მლნ
მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა	16,53 მლრდ აშშ დოლარი	712,05 მლრდ აშშ დოლარი
მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე	3.68 ათასი აშშ დოლარი	96.3 ათასი აშშ დოლარი
მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა	16,44 მლრდ აშშ დოლარი	759,25 მლრდ აშშ დოლარი
მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე	3.66 ათასი აშშ დოლარი	102,6 ათასი აშშ დოლარი
ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (ბიუჯეტის მოცულობა)	8,049 მლრდ ლარი	66,353 მლრდ შვეიც. ფრანკი
მრეწველობაში გამოშვებ. პროდუქციის მოცულობა	7633 მლრდ ლარი	335814 მლრდ შვეიც. ფრანკი
მრეწველობაში გამოშვებ. პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე	1775,1 ლარი	453803,0 შვეიც. ფრანკი
სოფლის მეურნეობაში გამოშვებ. პროდუქციის მოცულობა	3579 მლრდ ლარი	11336 მლრდ შვეიც. ფრანკი
სოფლის მეურნეობაში გამოშვებ. პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე	832 ლარი	15319 შვეიც. ფრანკი
სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულ. მლნ ჰა	2,85 მლნ ჰა	1,65 მლნ ჰა
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა	330 ათასი კაცი	160 ათასი კაცი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; httpwww.geostat.ge.
fwd:StatisticsCH; httpdatabank.worldbank.org/data/viws/reports/tabliview.aspx.
http www.bfs.admmin.ch/bfs/portal/fr/index.html.
httpwww.efd.admmin.ch/00468/index.htm/?/ang=frgbsg-id=33898.

ცხრილი 2

საქართველო-შვეიცარიის ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა და მათი წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე

(2010 – 2014 წწ.) (შესადარი ფასებით)

ქვეყნები		სულადობრივი წარმოება დოლ.			ზრდის ტემპები პროცენტობით		
		2010	2012	2014	2011 – 2012	2013 – 2014	2011 – 2014
საქარ-თველო	მეშ. მლრდ აშშ დოლარი	11277	15700	16441	139.2	145.8	142.5
	მეშ. ერთ სულზე ათასი აშშ დოლარი	2542	3490	3661	137.2	144	140.6
შვეი-	მეშ. მლრდ აშშ დოლარი	605335	675037	759250	111.5	125.4	118.4

ცარია	მეშ. ერთ სულზე აშშ დოლარი	81 802	91 221	102 601	111.5	125.4	118.4
საქარ-თველო	მრეწვ-ბის მთლიანი პროდუქცია მლრდ ლარი	4850	6868	7633	141.6	157.3	149.5
	მრეწვ-ბის პროდ-ქციის წარმ-ბა მოსახლ. ერთ სულზე ლარი	1127..9	1597.2	1775.1	141.7	157.5	149.6
შვეი-ცარია	მრეწვ-ბის მთლიანი პროდ-ქცია მლრდ შვეიცარული ფრანკი	318081	323734	335814	101.7	105.5	103.6
	მრეწვ-ბის პროდუქციის წარმოება მოსახლ. ერთ სულზე შვეიცარული ფრანკი	42983.9	43747.8	453803.0	101.7	105.5	103.6
საქარ-თველო	სოფ-ის მეურნ-ბის პროდუქციის გამოშვება მლრდ ლარი	2397	3019	3579	125.9	149.3	137.6
	სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მოსახლ. ერთ სულზე ლარი	557	702	832	125.6	149.3	137.6
შვეი-ცარია	სოფ-ის მეურნ-ბის პროდუქციის გამოშვება მლრდ ლარი	10911	10791	11336	98.9	103.8	101.35
	სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მოსახლ. ერთ სულზე ლარი	1474.4	1458.2	1531.9	98.9	103.8	101.35

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; httpwww.geostat.ge
fwd:StatisticsCH; httpdatabank.worldbank.org/data/viws/reports/tabliview.aspx
http www.bfs.admmin.ch/bfs/portal/fr/index.html
httpwww.efd.admmin.ch/00468/index.htm/?/ang=frgbsg-id=33898

როდესაც საქართველოს და შვეიცარიის კონფედერაციის შედარებითი ანალიზის შესრულება გადავწყვიტეთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მიზანი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უმდიდრესი მაღალგანვითარებული ქვეყანა ორიენტირი ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების მხრივ, რადგან XIX საუკუნის მეორე ნახევარში შვეიცარიის კონფედერაცია ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა იყო ევროპის სახელმწიფოებს შორის. ქვეყანას, რომელსაც თითქმის არ გააჩნდა სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრე და არ ჰქონდა ზღვასთან გასასვლელი, **ხელისუფლებამ მაღალეფექტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მმართველობის სისტემის, სწორი მენეჯმენტისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვით,** მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალგანვითარებულ უმდიდრეს ინდუსტრიულ ქვეყნად აქცია ინტენსიური მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობით. თანამედროვე შვეიცარია, კონკურენტუნარიანი და ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მოცულობის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შევიდა. ამდენად, ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების მხრივ, შვეიცარია მივიჩნიეთ საუკეთესო ორიენტირად და, შესაბამისად, მიბაძვის ობიექტად.

როდესაც შევადარეთ საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციის ფართობი, მოსახ-ლეობა, გეოპოლიტიკური გარემო, ბუნებრივი პირობები და რესურსული პოტენციალი, გავაანალიზეთ მათი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, დავინახეთ, რომ საქართველო ტერიტორიის ფართობითაც უფრო დიდი ქვეყანაა და რესურსული პოტეციალითაც გაცილებით მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველო ეკონომიკური განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება შვეიცარიას. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ცენტრალური ღერძი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე გადის, შევადაროთ საქართველოს და შვეიცარიის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია ბუნებრივ რესურსული სასარგებლო წიაღისეული და ადგილობრივი ნედლეული წარმოების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის, ქვეყნის მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 7633 მლრდი ლარია, ხოლო პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 1775,1 ლარი. მაშინ, როდესაც შვეიცარიას, რომელსაც თითქმის არავითარი ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრე არ გააჩნია, მრეწველობაში გამოშვებული

პროდუქციის მოცულობა 335814 მლრდი შვეიცარული ფრანკია, ხოლო პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 45380,3 შვეიცარული ფრანკი, რაც თითქმის 50-ჯერ აღემატება საქართველოში გამოშვებული პროდუქციის მოცულობას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ფასთა სხვაობას.

შევადაროთ საქართველოს და შვეიცარიის სოფლის მეურნეობის დარგები. ორივე ქვეყანას თითქმის ერთნაირი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა გააჩნია, მაგრამ სოფლის მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობით საქართველო ბევრად ჩამოუვარდება შვეიცარიას.

შვეიცარიის სოფლის მეურნეობა, სადაც ამჟამად დასაქმებულია 160 ათასი კაცი, უზრუნველყოფს საკვებ პროდუქტებზე 7.4 მლნ-იანი ქვეყნის მოთხოვნილების 60%-ს. ხოლო საქართველოს, სოფლის მეურნეობა, სადაც დასაქმებულია დაახლოებით 330 ათასი კაცი, უზრუნველყოფს საკვებ პროდუქტებზე 4.3 მლნ-იანი ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ 30%-ს[292]. ამავე დროს, შვეიცარია მთლიანად უზრუნველყოფს საკუთარ თავს ხორბლით, ხორცის და რძის პროდუქტებით, მათი ნაწილი კი საექსპორტოდ გააქვს. ექსპორტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია ყველი.

საქართველოში 2000 წლიდან 2012 წლამდე მკვეთრად მცირდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, თუ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 2000 წ. შეადგენდა 20,6%-ს, 2008 წ. მან შეადგინა 8,9%, 2010 წ. კი – 8,4%[293]. 2012 წლიდან ხელისუფლების მიერ გატარებული აგრარული პოლიტიკა სწორედ მათ განვითარებასა და ხელშეწყობაზეა ორიენტირებული, შედეგად შეიმჩნევა მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის ზრდა.

აგრარული სექტორის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. ამდენად, სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის ამაღლებას, მიწის ეფექტიან გამოყენებას და მაქსიმალური შრომაუკუგების მიღებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, სასოფლო შინამეურნეობათა კოოპერატივების შექმნას, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების შექმნასა და განვითარებას. მეორე მხრივ, ქვეყანაში სასურსათო პროგრამის უზრუნველსაყოფად უნდა გატარდეს განსაკუთრებული ღონისძიებები: უნდა მოხდეს აგრარული სექტორის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის განვითარება; უნდა შეიქმნას აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონე და მაღალკონკურენტუნარიანი ადგილობრივი პროდუქცია; ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი უცხოურ პროდუქციასთან მიმართებაში; უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის მაღალი დონე და უნდა შეწყდეს ქვეყნის მაღალი დამოკიდებულება სტრატეგიული სურსათის იმპორტზე; სოფელში უნდა გაუმჯობესდეს ცხოვრებისა და შრომის პირობები; უნდა მოხდეს ქალაქისა და სოფლის წარმოებრივი და არაწარმოებრივი სფეროების მაქსიმალური ინტეგრაცია; ასევე, უნდა მოხდეს სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში და შეაჩერებს სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაციას. ბუნებრივია, ამ ღონისძიებების გატარება დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში განხორციელებულ ეკონომიკურ (მ.შ. აგრარულ და სოფლის განვითარების) პოლიტიკაზე.

როდესაც შვეიცარია ჩვენ მივიჩნიეთ ეკონომიკური ზრდის საუკეთესო ორიენტირად და, შესაბამისად, მიბაძვის ობიექტად, მხედველობაში გვქონდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების და საერთოდ ეკონომიკური პოლიტიკის ისე გატარება, როგორც ეს მოახერხა შვეიცარიის ხელისუფლებამ. ჩვენ ორიენტირი უნდა ავიღოთ შვეიცარიის ეკონომიკის არა მარტო იმ სფეროების მიმართ, რომლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გავაანალიზეთ, არამედ იმ სფეროების მიმართაც, რომელშიც საქართველოს დიდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია: როგორიცაა ენერგეტიკა, ტურიზმი, ტრანსპორტი, მცირე მეწარმეობა, მომსახურების სფერო. საბოლოოდ, ამ სფეროების განვითარება, იმ შეღავათებისა და პრეფერენციების სწორად გამოყენება, რომლებიც მინიჭებული აქვს ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის ფორმატში, **უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საწინდარი.**

Jandri Zarandia

KEY MACROECONOMIC INDICATORS OF SWISS CONFEDERATION AND GEORGIA

Annotation

European choice of Georgia is the choice of Georgian people and Georgian state. Georgia, given its geopolitical position is within the area of crossing of the strategic interests at the world level. Geopolitical location of the country is the most significant factor in the process of expansion of economic interests of European and Asian countries,

Switzerland is one of the highly developed and richest industrial countries of the world—with the extensive,

[292] www.geostat.ge

[293] საქართველოს 2004 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.

highly productive agricultural sector. At the same time, Switzerland is an export-oriented country. Over 90% of the country's output is exported. The key export partners include EU states and USA. About 80-85% of Swiss exports are intended for EU member states.

Currently Georgia cannot enjoy many of the benefits and preferences provided to the EU eastern neighbors in the format of collaboration and relations with the partner countries. The potential is huge and in case of adequate approach it could be used for economic development of the country. Thus, Georgian government should adopt, as economic orientation, the EU integration process, build on the geopolitical location of the country, develop , through proper management, the economic sectors **of highest economic potential, like energy and tourism,** agriculture, **transport and small entrepreneurship. Overall, this would provide the basis for country's economic development.**

Vazha Kakabadze
Nana Maisuradze

COMPETITIVENESS MANAGEMENT ALGORITHM

Introduction: Majority of scientists explain economic aspects of competition notions as rivalry for getting more beneficial conditions. Others believe that the competition is a process that is created when two or more persons fights for success and the result is not available for everyone [2;4;5]. We think that competition is the constantly renewable factor of production that is characterized with the necessity expressed in existence of capital, labor resources and process. Necessity is both, ground for the start and end of the process, while the process itself aims at gaining an advantage.

Research: Research confirmed that the competitiveness studies are mainly addressed at the analysis of competitiveness, while the ground for emergence of competitiveness in other words, necessity of its objective existence is ignored that frequently results in failure of the given enterprise despite the full availability of its production factors. Therefore, competitiveness as an objective reality is not only process but also the constantly renewing production factor *i. e.* has creativity and determines: possibility of effective use of economic resources of an enterprise and creativity *i. e.* competitiveness is determined by many inter-connected process since it applies in the competitive environment where many companies carry out business that have their own strategy and tactics for optimization of competitiveness. Consequently, efficiency, strategic positioning, solvency and financial independence of enterprise is important – therefore, in the high competitive environment, the manager responsible for carrying out of economic activities shall always remember that efficiency, in the process of realization of added value, ensures profit. While the strategic positioning, establishes process that provides realization market for the produced goods. Also, it represents this process and one of the types of production cycle. As to the creativity of operational activities, it is expressed in how rationally does manager use the enterprise savings that is the main determinant for life cycle of economic activities – competitiveness, which is the constantly renewing factor.

Based on the analysis of studies of Georgian and foreign scientists and company management of RMG companies, we identified those three main categories that ensures competitiveness as the constantly renewable factor:

Unified algorithm of constantly renewing factors of competitiveness (fig: 1, algorithm 1)

First category decision	⇨	Second category decision	⇨	Third category decision	Result
For maintaining uninterrupted production cycle, carrying out of the works for searching new availabilities of ore and related laboratory studies, justification of examinations; obtaining licenses and patents, sale-purchase; elaboration and implementation of new projects.		Logistics: Marketing studies and sales; sales optimization .		Continuation of material-technical provision of operational activities; permanency of implementation of new technologies and innovative cycle in the operational organization; permanency of development of production infrastructure and uninterrupted communication cycle.	Changing of market value
⇧ The updated process	Result analysis – determination of financial stabilization (find algorithm 2)	⇦	Distribution of income	⇦	⇩ Income

Algorithm 1 represents cause-result ground of competition that is determined with different methods. For example, selectivity principle when we compare analogic indicators of research and competitive companies having the same operational activities and production taking into account existing processes. However, in our particular case, since there is no enterprise analogic to RMG Group companies, we apply conditional nature to this study and rely on mathematical parameters while the competitive company is designated as X company [1].

Competitiveness may be determined by selectivity method in accordance with the following formula:

$$K = \frac{(Kr \times Ki)}{Ak}, \qquad (1)$$

Kis competitiveness; Kr – operational efficiency indicator; Ki –strategic positioning coefficient; Ak – company creativity.

As we are aware, operational efficiency means better performance of the given company of the same entrepreneurial activities compared to the competitive enterprise or companies that provides revenues in the process of realization of added values for the given company. This indicates that main criteria of operational efficiency is profit. However, at the same time, we have to note that determination of competitiveness that, in case of perfect competition, comparative analysis of profit of competitive companies of different scale and power does not provide the full picture determining operational efficiency [36]. Consequently, the comparing competitive companies shall be carried out based on their economic activities not taking into the amount of their profit, but in accordance with profitability of their economic activities since the notion refers to perspective of operational activities.

Among the profitability indicators, we note the company profitability and production realization capabilities that is determined in proportion of the profit received from the realized goods, compared to the expenses of production of those goods and its realizations. Therefore, for determining operational efficiency, we apply the method of proportionality of revenues of realized products and the expenses undertaken for their production and realization.

However, as already mentioned above, for determining the competitiveness and for making correct comparison for this purpose, for identifying weeks and strengths of economic activities of competitor enterprises, as well as for determining exact indicator and optimal direction of management, selectivity method has a great importance. This is the reasons, they use the indicators determining selectivity of operational efficiency that requires the need for competitive subjects to identify competitiveness of the subject based on the equal (similar) parameters.

For due assessment of competitiveness of any corporation, we need to identify the coefficient of operational efficiency that is a relative value of the operational efficiency of the company in question and its competitor. After identifying the coefficient of operational efficiency, based on the same approach, we need to determine and assess the strategic positioning, which is the second indicator and means carrying out of such kind of activities that ensures establishment of unique environment of consumer values i. e. strategic positioning creates, maintains and widens the realization market and ensures the process of creation of added value. The most important result and determining criteria for strategic positioning is the obtained market share, which is determined by correlation of the sales proceeds and market size.

Known notion: the company that has greater share on the market compared to other company has greater competitiveness and is characterized with the innovative management style – is correct. However, we believe that this does not mean that the strategic positioning is lower of the company that has the relatively smaller market share (this approach is just even in the case when we talk about creativity of company) since the strategic positioning is the process expressing the activity which result is expressed in the changing market share and not with the amount of hare since the chance is indicative of the perspective nature of the operational activities. Such approach should be applied to the competitor company and for creation of actual picture while determining its market share. As we are aware, change of company share on market is determined by the proceeds of the share of study and basic share and consequently, multiplication of correlation of market sizes. Therefore, same method applies in case of selectivity. While, the correlation of the indicators explains relation between the change of market share and respectively, proceeds (taking into account the basic period and research periods), while the equation explains the inter-dependence. In other words, the dependence of strategic positioning indicators and proceeds indexes expresses dependence and behavior identity that provides possibility for making comparisons based on shares.

In order to identify competitiveness of the company of our research we should take into account the changing nature of the proceeds that requires identification of coefficient of strategic positioning, based on the index of proceeds of the companies in study and its competitors that equals to the square root of correlation of changing index of the size of their proceeds. In addition, we need to identify the creativity of corporation since the indicator will play an important role in case of high competition. As already mentioned above, this is rational use of savings, and their placement in the entrepreneurial activities that would provide the company with revenues (meaning savings that are related to acquisition-implementation of patents, laboratory examinations and advertising activities). Companies subject of study and their competitors determine them by correlation of the saving proceeds with the expenses related to its implementation. While, the lower is the indicator, the higher is the share of creativity of the company subject to study in the competitive environment.

Based on the above discussions, the competitiveness formula based on the selectivity method may be determined as follows:

$$K = \left(\frac{r}{R} \times \sqrt{\frac{I}{I^S}}\right) : \frac{G}{H}\ , \qquad (2)$$

Where, r is the operational efficiency of the company subject to study, R –operational efficiency of the company taking into account selectivity, its correlation equals the efficiency coefficient; G is creativity of the competitor enterprise, H – creativity of the company subject to study, those indicators do indirectly evidence the possibility of company management that is related to identification of new opportunities and their implementation; given correlation$\sqrt{I/I^S}$represents coefficient of strategic positioning where I is an index of changing value of the proceeds of the target company, while I^s is the index of changing value of the proceeds of competitor company based on selectivity.

Given correlation explains the following: the higher K indicator is, the greater is competitiveness of the company. It is evident that corporation acts within $0 < K < \infty$. Also, in case $0 \leq K < 1$ company competitiveness is low (closer it gets to zero, the lower is competitiveness and when K indicator equals zero, we say that corporation has zero opportunity in competitive environment). If $K = 1$, corporation competitiveness is identical of the one of competitor enterprises, if $K > 1$, the target (RMG Copper) company competitiveness is higher than the one of competitor taking into account the selectivity.

Unified algorithm determining competitiveness includes (find algorithm 1) the indicators determining financial stabilization algorithm of company while the main totalizator of financial stabilization algorithm is the financial independence and solvency restoration coefficient.

Based on RMG companies' analysis, we were able to make the financial stabilization algorithm (find the figure 2):

Figure 2. "RMG" companies' financial stabilization algorithm

		Main stages of financial stabilization of RMG companies		
Assessment of indicators	⇨	Suspension of insolvency	Ensuring financial balance	Maintaining financial balance
Calculation formula	⇨	$Kf = Kb + 0.5(Kb - Kd)/Kn$	$F_k = Fa/OK$	

1. Suspension of insolvency. In the competitive environment, the emergency objective is to ensure effect of solvency restoration coefficient in the system of financial stabilization activities of companies taking into account the due financial liabilities of companies. Goal: elimination of possible cases of bankruptcy [1;3].

After studying of RMG companies, we found out that the period during which the company has to restore its solvency equals 6 months and indeed, this should be the accepted norm despite the field of business the company is acting in.

Solvency restoration coefficient is calculated based on the following formula:

$$Kf = \frac{Kb + 0.5(Kb - Kd)}{Kn}, \qquad (1)$$

Where, Kf is solvency restoration coefficient, Kb –actual value of current liquidity coefficient for the end of the calculation period, Kd - actual value of current liquidity coefficient for the start of the calculation period, whileKn– normative value of current liquidity coefficient.

Practical observations of different researchers confirmed, that if the solvency coefficient is more than one, the enterprise is solvent in the given period. Based on the calculations we made based on this notion, we identified that the companies: JSC RMG Copper and RMG Gold LLC are highly liquid enterprises with their potential and therefore, are characterized with the high indicator of restoration of the solvency that also determines competitiveness of the companies [3].

Table 1. Solvency restoration coefficients of JSC RMG Copper and RMG Gold LLC

Analyzed enterprises	**Current liquidity coefficients**						**Solvency restoration coefficients**		
	2010		2011		2012				
	Beginning	End	Beginning	End	Beginning	End	2010	2011	2012
RMG Gold LLC	*1.035*	*10.673*	*10.673*	*9.405*	*9.405*	9.060	7.746	4.385	4.44
JSC RMG Copper	*1.3610*	*3.1720*	*3.1720*	3.6903	3.6903	3.920	2.03	1.97	2.01

Solvency coefficient: JSC RMG Gold - 2010 equaled 7.746, 2011 - 4.385 and 2012 - 4.44. JSC RMG Copper - 2010 - equaled 2.03, 2011 - 1.97 and 2012 - 2.01. (find the table of solvency restoration coefficients). The data confirms that the enterprises are solvent since the coefficient is more than 1. Similar picture is available in 2013-2014. In addition, we need to identify the bankruptcy indicator of the companies. RMG companies apply Richard Taffler prognosis model for this indicator. Based on the model, it was identified that for JSC RMG Copper, the indicator was 0.7 on average in 2009-2012, while for RMG Gold LLC – 0.9. And, if the value of the indicator is more than 0.3, the companies have development potential. Therefore, it was confirmed that the strategic planning process of the company includes analysis of such financial indicators that are asset indicator, liquidity and solvency indicator that represent strategic elements of competitiveness.

2. Ensuring financial balance. Reasons for insolvency may remain if RMG companies' financial independence coefficient exceeds one significantly. While, financial independence coefficient is calculated based on the following formula:

$$F_k = Fa/OK \ (3)$$

Where, F_k is financial independence coefficient, Fa–total assets, Ok–own capital.Among other coefficients of financial sustainability, financial independence coefficient is the most important. This is the reverted value of the own capital concentration and indicates how many times are assets greater than the own capital. Growth of the indicator indicates on the increase of borrowings and undesirable financial environment, therefore, decrease of products realization and diminishing of corporate governance. If the coefficient goes down to one, this means that the assets are totally financed by the owners [1; 3].

After calculating financial independence coefficient of RMG companies, it was found that financial independence coefficient of JSC RMG Copper was 1.68 in 2009; 1.06 in 2010; 0.9 in 2011; 0.93 in 2012; while for RMG Gold LLC: 1.31 in 2009, 2.28 in 2010; 2.7 in 2011; 2.7 in 2012 (find the chart 1). The calculations evidence that the value of the coefficient is mostly within the desired parameters [3].

Chart 1. Financial independence coefficient of RGM companies



3. Maintaining financial balance. Maintaining of financial balance for the long-term period is only possible if the companies ensure the long-term financial balance in their economic development process and when the companies, in case of technical capital saving policies (direction of enhancement of production techniques and technologies) and low increase of main and operational capital, the amount of extracted ore is increased and the market value of the companies does also constantly increase. The above mentioned RMG companies' financial stabilization stages comply with the determined internal mechanisms that are divided into operational, tactical and strategic mechanisms and represent main part of the financial policy.

References

1. V. Kakabadze – Business Administration (12 Steps of Perfection), Meridiani Publishing, Tbilisi 2012.

2. Z. Lipartia, R. Tateshvili – Innovations in Business (problems, perspectives, challenges), International Scientific and Practical Conference dedicated to 75th anniversary of Shota Rustaveli State University, Batumi, April 16-17, Universal Publishing, Tbilisi 2010.

3. N. Maisuradze – Role of Strategic Planning and its Importance in the Corporate Governance System, Journal *Economics,* #3-4, 2014 (Georgian);

4. Allen, F. "Corporate Governance in Emerging Markets," *Oxford Review of Economic Policy* 21, 2005.

5. P. F. Drucker, Management Challenges for the 21st Century, Moscow, Saint Petersburg, Kiev, 2000, p. 386.

Vazha Kakabadze
Nana Maisuradze

COMPETITIVENESS MANAGEMENT ALGORITHM
Annotation

In the modern economic environment when the competition acquired the multi-vector importance and became the determinant for production life cycle length on the market, importance for determining the competitiveness became so high that it obtained the value of the production factor that is constantly renewing. In addition, enterprise competitiveness management became the process of inter-connected necessity that is characterized with the convergent nature of the process.

Present scientific essay discusses the importance of competitiveness management of companies and elaborates unified algorithm of constantly renewing factors of competitiveness that is composed of the processes that are characterized with convergence. The article focuses on the factors of determining of company competitiveness such as: company efficiency, strategic positioning, solvency and financial independence that represent the main determinants of the unified algorithm and the financial stabilization algorithm representing part of the algorithm.

ნატო კაკაშვილი
ხათუნა ბარბაქაძე

სადაზღვევო შუამავლები

სადაზღვევო აგენტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მზღვეველის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მისი შრომის ანაზღაურება ხდება საკომისიოს საფუძველზე. ეკონომიკური თვალსაზრისით, სადაზღვევო აგენტი მჭიდროდაა დაკავშირებული მზღვეველთან, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს. მზღვეველსა და აგენტს შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით და შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით. სადაზღვევო აგენტი მუდმივად უნდა ზრუნავდეს სადაზღვევო პროდუქტების პოპულარიზაციასა და ახალი ხელშეკრულებების დადებაზე, რადგან მასზეა დამოკიდებული მისი გასამრჯელო [1]. სადაზღვეო აგენტი არის სადაზღვევო მომსახურების გამყიდველი, თუმცა მისი როლი გაცილებით დიდია. აგენტი – პირველ რიგში არის მზღვეველის წარმომადგენელი, მაგრამ, ამის გარდა, იგი ასრულებს მარკეტოლოგის ფუნქციას. აუცილებელ სიტუაციაში მან შეიძლება იკისროს სადაზღვევო ექსპერტის როლი, მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა პროდუქტის შექმნაში და ა.შ. მისი მთავარი დანიშნულება კი სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვაა.

მზღვეველი პასუხისმგებელია საკუთარი შუამავლის ქმედებებზე. ეს იმით არის განპირობებული, რომ მისი წარმომადგენელი არის კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი. ამასთანავე, პოტენციური დამზღვევი, რომელმაც შეიტანა განაცხადი სადაზღვევო ხელშეკრულების დადების თაობაზე, არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან განაცხადში დასმულ შეკითხვებზე პასუხის სისწორეზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს განაცხადი აგენტის მიერ არის შევსებული.

სადაზღვევო აგენტი უნდა ასრულებდეს მზღვეველის მითითებებს. მისი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა მზღვეველის ინტერესების დაცვა. ამიტომ მას არა აქვს უფლება, მიაწოდოს კონკურენტ სადაზღვევო კომპანიებს ინფორმაცია სადაზღვევო ტარიფებისა და დამზღვევის ვინაობის შესახებ. ასევე ეკრძალება ნებისმიერი საქმიანობა და ქმედება, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მის დამქირავებელ სადაზღვევო კომპანიას.

სადაზღვევო შუამავლების კლასიფიკაცია ხდება საქმიანობის სახეების მიხედვით, რომელსაც მიეკუთვნება: ფინანსური მომსახურება და ზოგადი დაზღვევა. შუამავალი შესაძლებელია მოქმედებდეს ერთ ან ორივე ამ სფეროში ერთდროულად.

სადაზღვევო აგენტის ფუნქციონალური დანიშნულება მდგომარეობს სადაზღვევო მომსახურების გაყიდვაში კომპანიის სახელით. ამიტომ, აგენტი, რომელიც შედის კონტაქტში დაინტერესებულ პირთან, ცვლის სადაზღვევო კომპანიას და მისი დავალებით მოქმედებს და არა დაინტერესებული პირის დავალებით. სადაზღვეო აგენტი არის კომპანიის წარმომადგენელი მისი ხელშეკრულებით დადებული მოვალეობის შესრულებისათვის.

სადაზღვევო აგენტების დანიშნულებაა იმ პირების მოძიება, რომელთაც სურთ სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულების დადება. აგენტი არ ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებას, იგი მხოლოდ გადასცემს დაინტერესებული პირის სურვილს სადაზღვევო კომპანიას.

სადაზღვეო აგენტთან თანამშრომლობისას, სადაზღვევო კომპანია, როგორც წესი, ადგენს მკაცრად განსაზღვრულ ამოცანებს, რომლებიც აგენტმა უნდა შეასრულოს. უფლებამოსილებები ორი სახისაა: პირველი არის იმ დაზღვევთა სია, რომელთა შეთავაზება შეუძლია აგენტს. მეორე განსაზღვრავს იმ თანხას, რომლის ფარგლებშიც შეუძლია აგენტს ხელშეკრულების დადება, გარდა ამისა შესაძლებელია სხვა საკითხების გათვალისწინებაც. როგორიცაა: დასაზღვევი ქონების შეფასება; დოკუმენტაციის შეგროვება და ა.შ.

სადაზღვევო აგენტების ვალდებულებაში არ შედის მხოლოდ დავალების შესრულება. აგენტის საქმიანობა მოიცავს გარკვეულ ინდივიდუალურ კრეატიულობას და ხელოვნებას. მზღვეველები აგენტებს უყურებენ როგორც სადაზღვევო კომპანიის დამოუკიდებელ წარმომადგენელს. სადაზღვევო კომპანიის საქმიანობა დამოკიდებულია აგენტის შესაძლებლობებზე, მის ინტელექტუალურ თვისებებზე.

სადაზღვევო აგენტებთან, ჩვეულებრივ, ფორმდება შრომის ხელშეკრულება, სადაც ასევე განისაზღვრება თანამდებობრივი უფლებამოსილებები. აგენტებთან ხელშეკრულების დადებისას კომპანიამ მაქსიმალურად უნდა განიხილოს ურთიერთდამოკიდებულების ყველა ასპექტი. პირველ რიგში საჭიროა შესავალში მითითებული იყოს, რომაგენტი მოქმედებს მზღვეველის სახელით კონკრეტული უფლებამოსილებების ფარგლებში.

სასურველია, სადაზღვევო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს შემდეგი პირობები:

- აგენტის ვალდებულება, მკაცრად იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
- აგენტის უფლება, შეწყვიტოს საქმიანობა, რაც გამოწვეული იქნება პირადი აუცილებლობით და არა ზიანის მიყენების მიზნით კომპანიისადმი. მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია წინასწარ უნდა იქნეს შეტყობინებული.
- უნდა განისაზღვროს, რომ აგენტი თვითონ შეასრულებს მის მიერ დაკისრებულ მოვალეობას. ასევე, შეიძლება ნებადართული იყოს უფლებამოსილების გადაბარება სხვა პირისადმი, თუ ეს ხელშეკრულებაში ეწერება.

აგენტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება არის ინდივიდუალური ხასიათის და ეხება მხოლოდ აღნიშნულ ორ სუბიექტს, ამიტომ, მხარეების გადაწყვეტილებით, ხელშეკრულება შეიძლება კომერციულ საიდუმლოებად იქნეს მიჩნეული.

რაც შეეხება სადაზღვევო აგენტის მუშაობის პრინციპს ტერიტორიული ნიშნით, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, თუ აგენტი შეზღუდულია, მოძებნოს და ხელშეკრულება გააფორმოს დაინტერესებულ პირთან მხოლოდ კომპანიის მიერ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, მეტი უფლება შეიძლება მიენიჭოს აგენტს, რომელიც კომპანიის შტატიანი თანამშრომელია. ამისთვის საჭიროა, კომპანიას ჰქონდეს აგენტების განვითარებული ქსელი. ამის გარდა, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია, ბონუსის სახით გასცეს პრემიები აგენტებზე. სადაზღვევო აგენტებისთვის, რომლებიც ასევე არიან კომპანიის თანამშრომლები, მსგავსი ურთიერთობის ფორმა წარმოადგენს მათთვის სტაბილურობის და დაცულობის გარანტიას სოციალური დაცულობის თვალსაზრისით.

სადაზღვევო აგენტს სჭირდება განსაზღვრული პროფესიული ჩვევები და მინიმალური ცოდნა სადაზღვევო საქმეში. აგენტი უნდა იცნობდეს სადაზღვევო კანონებს, სადაზღვევო ტარიფებს, პირობებს და კომპენსაციის გადახდის წესებს. გარდა იმისა, რომ აგენტმა უნდა იცოდეს სადაზღვევო რისკის შეფასებისათვის საჭირო გარკვეული კრიტერიუმების შესახებ, ასევე უნდა იცოდეს, თუ რა კითხვები დაუსვას დამზღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებისას, ფსიქოლოგიის კარგი ცოდნა, კარგი მიდგომა, ჭკვიანური ურთიერთობა ხალხთან და შეუპოვრობა.

სადაზღვევო ბროკერის როლში შეიძლება იყოს იურიდიული და ფიზიკური პირი. სადაზღვევო ბროკერს შეუძლია: კლიენტის მოზიდვა; ახსნა-განმარტებითი მოლაპარაკება კლიენტთან, დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით; სადაზღვევო კომპანიას გაუწიოს საკონსულტაციო სამუშაოები.

ბროკერი არის კვალიფიციური და საქმის წარმოება მისთვის ბევრად ადვილია ვიდრე მისი დამქირავებლისთვის. მაგალითად, ასეთი ტიპის ურთიერთობის დროს, დაზღვეული ფაქტობრივად არ ხვდება რაიმე სახის პროცედურულ გართულებას ანაზღაურების მიღებისას. დაზღვეულს ამ დროს ჰყავს სანდო პარტნიორი, რომელსაც შეუძლია ის შეცვალოს რაიმე პრობლემის რეგულირების საკითხში. დაზღვეული ენდობა სადაზღვეო ბროკერს ისეთ პრივატულ საკითხებში, როგორიცაა სადაზღვეო ინტერესების დაცვა.

სადაზღვევო აგენტსა და სადაზღვევო ბროკერს შორის შედარებითი ანალიზის ჩატარებისას ბროკერის განსხვავება მდგომარეობს მის დამოუკიდებლობაში, ანუ იგი დამოუკიდებელი შუამავალია. ბროკერი სისტემატურად იღებს ინფორმაციას სადაზღვევო კომპანიების ოპერატიულ ფინანსურ საქმიანობაზე, რაც საშუალებას აძლევს, კვალიფიციურ ექსპერტად წარადგინოს თავი.

ბროკერისაგან განსხვავებით, აგენტი დამოუკიდებელი არ შეიძლება იყოს. ასევე, ბროკერს შეუძლია საშუამავლო საქმიანობა გაწიოს არა მარტო დაზღვეულის, არამედ მზღვეველის სახელითაც (აგენტს, როგორც ვიცით, შეუძლია მარტო წარმომადგენელი იყოს და ისიც მზღვეველის სახელით). ამის გარდა, სადაზღვევო ბროკერებს, პარალელურად შეუძლიათ თავიანთი სახელითაც იმოქმედონ.

სადაზღვევო პრაქტიკაში ტერმინი „აგენტი“ გამოიყენება მხოლოდ აგენტის განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელსაც აქვს „ბროკერისაგან“ განმასხვავებელი რამდენიმე არსებითი ნიშანი, სახელდობრ:

ა) „სადაზღვევო ბროკერი“ დაკავებულია ამ საქმიანობით, როგორც სადაზღვევო საქმის პროფესიონალი, ხოლო „სადაზღვევო აგენტს“ ხშირად აქვს სხვა სპეციალობა და ეს მისი ერთ-ერთი საქმიანობაა. აღსანიშნავია პირი, რომელიც მუშაობს სადაზღვევო კომპანიაში და ჰქვია

„აგენტი“, დაკავშირებულია მხოლოდ ამ კომპანიასთან და არ შეიძლება ემსახურებოდეს სხვა კომპანიასაც.

ბ) ბროკერს უნდა ჰქონდეს სადაზღვევო განათლება, აგენტისთვის კი ეს არ არის აუცილებელი;

გ) ორივეს – სადაზღვევო ბროკერსაც და დამოუკიდებელ აგენტსაც, რომლებიც მუშაობენ ზოგად დაზღვევაში, უნდა ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისი;

დ) ბროკერი შესაძლებელია წარმოადგენდეს დამზღვევსა და მზღვეველსაც, ხოლო აგენტი წარმოადგენს მხოლოდ მზღვეველს.

ე) ორივე – ბროკერიც და აგენტიც – იღებს საკომისიოს მზღვეველისაგან. ამასთან, ხშირად ბროკერის საკომისიო გაცილებით მეტია, რასაც მისი პროფესიული დონე განაპირობებს. ამიტომ, ასეთ საკომისიოს ეწოდება „ბროკერის საკომისიო“;

ვ) ბევრ ქვეყანაში ბროკერების რეგისტრაცია ხორციელდება დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე, რის შემდეგაც მას ეძლევა სადაზღვევო ბროკერად მუშაობის უფლება.

სამართლებრივი მდგომარეობით და ფუნქციებით სადაზღვევო ბროკერი საგრძნობლად განსხვავდება დაზღვევის წარმომადგენლისაგან. სადაზღვევო ბროკერი, როგორც წესი, არ არის უფლებამოსილი, რომ დამზღვევისაგან მიიღოს განცხადება მზღვეველისათვის. ის წარმოადგენს დამზღვევის ინტერესებს და გადასცემს ყველა განცხადებას მზღვეველს, როგორც დამზღვევის წარმომადგენელი. თუმცა, მსგავსებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სადაზღვევო ბროკერიც, სადაზღვევო აგენტის ანალოგიურად, საკომისიო ანაზღაურებას იღებს მზღვეველისაგან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არსებობს სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის სხვა არხებიც, კერძოდ:

- თანამშრომლობა ბანკებთან და მათი ჩართვა სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვაში;
- სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვა იმ ორგანიზაციების მეშვეობით, რომელთა ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია რარის დაზღვევასთან.

მათ შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საამანათო გაყიდვების საწარმოები;
- ავტომანქანების წარმოებისა და გაყიდვების საწარმოები;
- ავტომობილისტთა კლუბები;
- ორგანიზაციები, რომლებიც ოპერაციებს საკრედიტო ბარათებით აწარმოებენ;
- ტურისტული სააგენტოები.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები კლიენტებს სთავაზობენ სპეციალურ სადაზღვევო პროდუქტებს, რომლებიც მათ ძირითად საქმიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამ გზით ძირითადი პროდუქტის მყიდველს ამავე დროს სთავაზობენ გარკვეულ სადაზღვევო დაფარვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე. თბ., 2012.
2. გიგოლაშვილი გ. სადაზღვევო საქმე. თბ., 2010.
3. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. თბ., 2014.
4. www.strahovka.info;
5. www.nbg.ge

Nato Kakashvili
Khatuna Barbakadze

INSURANCE INTERMEDIARIES

Annotation

Insurance agent is a physical or legal person who acts on behalf of insurer, in the framework of authority granted by insurer. Insurance agent is insurance services vendor, but its role is far greater. Agent - first of all is the insurer's representative, but besides he performs the function of marketing specialist. In an inevitable situation he performs the role of an insurance expert, participates in creation of various products. His main duty is to sell the product. Insurance broker is an independent intermediary, stands on the side of the insurer. His aim is risk assessment, on the basis of analysis determination of appropriate level of insurance protection; seeking for insurer, with whom location of insurance risk will be possible with convenient and reliable form. Broker is absolutely free with the choice of insurer.

ქეთევან კიწმარიშვილი

ინოვაციური სტრატეგიის მნიშვნელობა და მისი შემუშავება

ინოვაციური საქმიანობის წარმატების საწინდარი სტრატეგიის სწორი არჩევანია. თუ ფირმა წინასწარ ვერ განჭვრეტს მოსალოდნელ ცვლილებებს და ვერ მოახდენს მათზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას, შესაძლოა, ის კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდეს.

სტრატეგიის არჩევა ინოვაციური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელმძღვანელისთვის მხოლოდ კარგი პროდუქციის ფლობა არ კმარა. ის ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების გამოჩენას და გეგმავდეს მათ დანერგვას თავის ფირმაში, რათა არ ჩამორჩეს კონკურენტებს.

სტრატეგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. ორივე შემთხვევაში გვაქვს მიზნები (ობიექტები) და საშუალებები, რომელთა საფუძველზე და მეშვეობით მიიღწევა დასახული მიზანი (მიიღება გადაწყვეტილება).

სტრატეგია – ეს არის კონკრეტული საწარმოს (ფირმის) სიცოცხლისუნარიანობის გაზრდისკენ გადადგმული, ლოგიკურ ერთიანობაში მოყვანილი გარკვეული ნაბიჯების ერთობლიობა[294]. ეს არის ყოველმხრივ დასახული მიზნების მისაღწევად კომპლექსური დეტალური გეგმა.

სულ უფრო მეტი ფირმა აღიარებს სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას და აქტიურად ნერგავს მას თავის საქმიანობაში. ეს მზარდი კონკურენციით არის განპირობებული. არ შეიძლება ვიცხოვროთ მხოლოდ დღევანდელი დღით, საჭიროა ცვლილებების განჭვრეტა და შესაბამისად დაგეგმვა, რათა კონკურენტული ბრძოლის პირობებში თავი გავიტანოთ და ეს ბრძოლა მოვიგოთ კიდეც. სტრატეგიის არჩევანთანაა დაკავშირებული კვლევების ჩატარების გეგმის შემუშავება და ინოვაციური საქმიანობის სხვა ფორმების დაგეგმვა.

სტრატეგიული დაგეგმვა ორ ძირითად მიზანს ისახავს:

1. **რესურსების ეფექტური განაწილება** და **გამოყენება.** ეს არის ე. წ. შიდა სტრატეგია. ასეთ დროს იგეგმება შეზღუდული რესურსების გამოყენება (მაგალითად, კაპიტალის, ტექნოლოგიის, პერსონალის). გარდა ამისა, ხორციელდება საწარმოთა შეძენა სხვა ახალ დარგებში, ხდება საწარმოთა ეფექტური „პორტფელის“ ფორმირება.

2. **გარემოსთან ადაპტაცია.** იგი მიზნად ისახავს გარე ფაქტორების ცვლილებებისადმი ეფექტურ შეთანაწყობას. იგულისხმება ეკონომიკური ცვლილებები, პოლიტიკური და დემოგრაფიული სიტუაცია და სხვა.

სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება მთელი რიგი კვლევების ჩატარებას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, რათა არსებობდეს ბაზრის მუდმივი კონტროლის შესაძლებლობა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში სიტუაცია ელვისებური სისწრაფით იცვლება. შესაბამისად, სტრატეგია ისე უნდა შემუშავდეს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ის ჩანაცვლდეს მეორეთი.

სტრატეგიის შემუშავება იწყება ორგანიზაციის საერთო მიზნების ჩამოყალიბებით, რაც ცხადი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის. მიზნების დასახვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარე გარემოსთან, ბაზარსა და მომხმარებლებთან ფირმის კავშირურთიერთობაში.

ორგანიზაციის ზოგადი მიზნები ითვალისწინებს:

- ფირმის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- მუშაობის პრინციპებს გარე ფაქტორებთან მიმართებაში (ვაჭრობის პრინციპები, მომხმარებელთან დამოკიდებულება, საქმიანი კავშირების წარმართვა);
- ორგანიზაციის ტრადიციებს, კულტურას, სამუშაო კლიმატს.

მიზნის დასახვის დროს საჭიროა ორი ასპექტის გათვალისწინება: ვინ არიან ფირმის კლიენტები და მათი რა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია ფირმას.

ზოგადი მიზნების (მიზნის) დასახვის შემდეგ იწყება მეორე ეტაპი – მიზნების დაკონკრეტება. შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიზნები:

- **პირველი** – მოგების მიღება – მიმდინარე წელს მიღწეულ იქნეს წმინდა მოგება 5 მლნ ფულადი ერთეული.
- **მეორე** – ბაზრების ათვისება – ბაზრის წილი გახდეს 20% ან გაყიდვების მოცულობა გაიზარდოს 40 ათას ერთეულამდე.
- **მესამე** – მწარმოებლურობის ზრდა – ერთ თანამშრომელზე საშუალოდ ერთ საათში უნდა იწარმოებოდეს 8 ერთეული პროდუქცია.
- **მეოთხე** – პროდუქცია (გამოშვების მთლიანი მოცულობის ზრდა, ახალი პროდუქციის წარმოება ან ზოგიერთი მოდელის წარმოებიდან ამოღება და სხვ.).
- **მეხუთე** – ფინანსური რესურსები (კაპიტალის ზრდა და მასში საკუთარი და სასესხო კაპიტალის თანაფარდობის შეცვლა, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარება და სხვა).

[294] პირტახია ი., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2013, გვ. 5.

➢ **მეექვსე** წარმოების სიმძლავრის მატება (მაგალითად, ახალი სასაწყობო ნაგებობის აშენება მთლიანი ფართით 4000 მ^2).

➢ **მეშვიდე** – სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-კონსტრუქტორული სამუშაოები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა (ძირითადი მაჩვენებლები, ტექნოლოგიური მახასიათებლები, ღირებულება, დანერგვის ვადები).

➢ **მერვე** – ცვლილებები ორგანიზაციის სტრუქტურასა და საქმიანობაში (მაგალითად, ფირმის წარმომადგენლობის გახსნა განსაზღვრულ რეგიონში).

➢ **მეცხრე** – ადამიანური რესურსის მართვის ხარისხის ამაღლება (გამოყენება, მობილობა, მოძრაობა, სწავლება და ა. შ.).

➢ **მეათე** – სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება (მაგალითად, გამოიყოს გარკვეული ფინანსები თანამშრომელთა ბავშვებისთვის საბავშვო ბაღის მოსაწყობად).

დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

➢ მიზნის ზუსტი და კონკრეტული ფორმულირება, რომელიც კონკრეტულ საზომ ერთეულში (ფულადი, ნატურალური ან შრომითი) იქნება გამოხატული.

➢ დროში შეზღუდვა, დათქმული ვადების დაცვა (მაგ., ახალი მოდელის სერიული წარმოების გამართვა მესამე კვარტლის ბოლოს).

მიზნები შესაძლებელია იყოს გრძელვადიანი (10 წლამდე), საშუალო ვადიანი (5 წ-მდე) და მოკლევადიანი (ერთ წლამდე)[295]. სიტუაციისა და კონტროლის შედეგების მიხედვით მიზნები იხვეწება და კონკრეტდება; მიზანი უნდა იყოს მიღწევადი და რამდენიმე მიზნის არსებობისას ისინი არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი.

სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება ფირმის შიდა და გარე ფაქტორების დაწვრილებით ანალიზს:

➢ ხორციელდება ყველა მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილების შეფასება დაგეგმვის პერიოდში;

➢ გამოიკვეთება ყველა ფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ფირმის საქმიანობას;

➢ ხდება ფირმისთვის კეთილსასურველი ფაქტორების შესწავლა.

გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებები და პროცესები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ფირმისთვის. გარე გარემოს ძირითადი ფაქტორებია: ეკონომიკა, პოლიტიკა, ბაზარი, ტექნოლოგია, კონკურენცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს კონკურენცია წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია ძირითადი კონკურენტების გამოვლენა და ბაზარზე მათი პოზიციების (ბაზრის წილი, გაყიდვების მოცულობა) გარკვევა. მიზანშეწონილია გამოკვლევის ჩატარება შემდეგი მიმართულებებით:

➢ კონკურენტთა მიმდინარე სტრატეგიის შეფასება (მათი ქმედება ბაზარზე; საქონლის წინ წაწევის მეთოდების გაცნობა და ა. შ.).

➢ კონკურენტებზე გარემო ფაქტორთა ზეგავლენის შესწავლა;

➢ კონკურენტების მიერ სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, კონკურენტთა სამომავლო მოქმედებების პროგნოზის გაკეთება და კონტრმოქმედებების გეგმის შედგენა.

კონკურენტული ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებას ხელს უწყობს კონკურენტთა ძლიერი და სუსტი მხარეების დაწვრილებითი შესწავლა და მათი შედეგების საკუთართან შედარება.

გარე ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია სოციალურ-ქცევითი და ეკოლოგიური ფაქტორები. ფირმამ უნდა გაითვალისწინოს ასევე ცვლილებები დემოგრაფიულ სიტუაციაში, საგანმანათლებლო სფეროში და სხვა. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის სპეციალისტთა მომზადების მოთხოვნილებამ 1990-იან წლებში ქვეყანაში გაზარდა მენეჯმენტისა და მარკეტინგის სახელმძღვანელოთა ბაზრები.

სტრატეგია წარმოადგენს თეორიული და ემპირიული გამოკვლევების საწყის პუნქტს. ორგანიზაციები ერთმანეთისგან შეიძლება იმით განსხვავდებოდნენ, თუ რამდენად იყენებენ მათი ხელმძღვანელები სიახლეების დანერგვის სტრატეგიას. იმ შემთხვევაში, როცა უმაღლესი ხელისუფლება ცდილობს, მხარი დაუჭიროს სიახლეების რეალიზებას, იმის ალბათობა, რომ ის მიღებული იქნება ორგანიზაციაში დასანერგად, საგრძნობლად იზრდება. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უმაღლესი ხელისუფლების ჩართულობის შესაბამისად იზრდება სტრატეგიული და ფინანსური მიზნების მნიშვნელობა. მუშავდება ქვემოთ მოყვანილი ნახაზის მიხედვით (ნახაზი 1):

[295] ჩოხელი ე., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2013, გვ. 77-78.



ნახაზი 1. სტრატეგიული დაგეგმვის ფაზები

ფაზა „ა“ ყველაზე უფრო რთულია. მისი რეალიზების მექანიზმი წარმოდგენილია ნახაზზე 2.



ნახაზი 2. სტრატეგიის რეალიზების მექანიზმი

Ketevan Kitsmarishvili

MEANING OF INNOVATIVE STRATEGY AND DEVELOPMENT

Annotation

Choosing a strategy is the most important component of innovative management. In the conditions of market economics, only owning good production for the manager is not enough. He has to watch carefully appearance of new technologies on the market and plan their introduction in his firm, so as not to lag competitors. More and more firms recognize necessity of strategic planning and actively introduce it in business activities. This is due to the growing competition. We cannot live only for today, we have to foresight changes and plan appropriately, so as in the competitive conditions in order to fight this battle to win it. To the strategy choice is related working out the plan of making researches and introduction of other forms of innovative activities too.

ქეთევან კიწმარიშვილი

სამუშაოში ცვლილებების დაგეგმვა, რეალიზაცია და ხელის შეწყობა

სამუშაო პროცესის სრულყოფის მიზნით განხორციელებული ცვლილებების რეალიზაციის მიმდინარეობა მოიცავს ხუთ ცნებას, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს მოქმედებების თანმიმდევრობას, რაც მიმართულია როგორც სამუშაოსთან დაკავშირებით პიროვნების განცდების, ისე შრომის ნაყოფიერების ხარისხთან:

1) შრომის ბუნებრივი ერთეულების ფორმირება;
2) დავალებების გაერთიანება;
3) მომხმარებლებთან ურთიერთობების დამყარება;
4) ვალდებულებების განაწილება ვერტიკალის მიხედვით;
5) უკუკავშირის არხების გახსნა.

სამუშაოს დიაგნოსტიკის ჩატარების შემდეგ, ხელმძღვანელი ან მისი თანაშემწე ცვლილებების საკითხებში, არკვევენ სამუშაოს განსაკუთრებით პრობლემური ასპექტების სრულყოფის საშუალებებს, აღნიშნულის პრაქტიკაში გამოყენება ნაჩვენებია ქვემოთ, თითოეული ცნების განხილვის დროს.

1. **შრომის ბუნებრივი ერთეულების ფორმირება.** შრომის განაწილების იდეა შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სამუშაოს პროექტირების ბუნებრივ ნაწილად, თუმცა ხშირად ეს ლოგიკა არანაირად არ არის დაკავშირებული მუშაკის დაკმაყოფილებასა და მოტივაციასთან, მაგრამ დაკავშირებულია ტექნოლოგიის დიქტატთან, მუშაკის მომზადების ხარისხთან ან გამოცდილებასთან, "ეფექტურობასთან" მრეწველობაში მიღებული გაგებით და მიმდინარე სამუშაო ნორმასთან. ხშირად დავალებები, რომელთა შესრულებაც ეკისრება მუშაკს (ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად), ბუნებრივად ეჩვენება ყველას თვით მუშაკის გარდა.

მაგალითი. წარმოვიდგინოთ მანქანაზე მბეჭდავთა ბიურო (ხელმძღვანელი და ათი მბეჭდავი), რომელიც ემსახურება კომპანიის ერთ ქვედანაყოფს. სამუშაოები ხელმძღვანელთან მოდის ხელნაწერის ან დიქტოფონზე ჩაწერილი სახით, რომელსაც ანაწილებს თანამშრომლებზე შეძლებისდაგვარად თანაბრად. ასეთ შემთხვევაში ცალკეული წერილები, ანგარიშები და სხვა დავალებები ერთი დღის ან ერთი კვირის მანძილზე, ხვდება ნებისმიერ მბეჭდავთან შემთხვევით. ამიტომ მას არ აქვს საფუძველი, მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიკაცია ამ სამუშაოსთან, შემკვეთთან ან იმ განყოფილებასთან, ვისთვისაც ასრულებს იგი ამ სამუშაოს.

შრომის ბუნებრივი ერთეულების საფუძველში დევს "პატრონის შეგრძნება" – მუდმივი პასუხისმგებლობა შრომის მთლიან ფრაგმენტზე.

შრომის ბუნებრივი ერთეულების შექმნა მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველია შრომის ძირითადი ერთეულების გამოყოფა. მბეჭდავთა ბიუროში, მაგალითად, ასეთი ერთეული შეიძლება იყოს დასაბეჭდი ფურცლების რაოდენობა. მეორე ტიპია შრომის ერთეულების დაჯგუფება ბუნებრივ კატეგორიებად. მაგ., თითოეულ მბეჭდავს შეიძლება დაევალოს მუდმივი პასუხისმგებლობა ყველა სამუშაოზე, რომელიც უნდა შესრულდეს რომელიმე ერთი კონკრეტული ან რამდენიმე განყოფილებისთვის. ამასთან, მბეჭდავებისთვის სამუშაო ნორმა უნდა იყოს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ერთნაირი დროის (მაგ., ერთ მბეჭდავს შეიძლება დაევალოს მთელი სამუშაო რომელიმე ერთი გადატვირთული განყოფილების, ხოლო მეორეს – რამდენიმე წვრილი ქვედანაყოფის სამუშაო).

ვნახოთ, თუ როგორ კავშირშია რეალიზაციის ცნება სამუშაოს ძირითად პარამეტრებთან. "მეპატრონის გრძნობა" (რომელიც შექმნილია შრომის ბუნებრივი ერთეულებით) შეიძლება გვიჩვენებდეს განსხვავებას ორგვარ შეგრძნებას შორის, პირველი, მოცემულ სამუშაოს აქვს აზრი და ანაზღაურება და მეორე, უაზროა და მოსაწყენი. შრომის ბუნებრივი ერთეულები პირდაპირ კავშირშია ორ მთავარ პარამეტრთან: დავალების გარკვეულობასა და მნიშვნელობასთან.

ის მემანქანე, რომელსაც სამუშაო ეძლევა ბუნებრივად და არა შემთხვევით – მეტი შანსია, რომ თავის სამუშაოს დაასრულებს ბოლომდე. იმის ნაცვლად, რომ დაბეჭდოს დიდი ანგარიშის რაიმე ერთი ნაწილი, იგი, უფრო მოსალოდნელია, რომ დაბეჭდავს მთელ ანგარიშს, თუ ზუსტად ეცოდინება, როგორი იქნება მისი შრომის შედეგი (დავალების გარკვეულობა). უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში ეს მბეჭდავი მეტად განიმსჭვალება იმის გრძნობით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი სამუშაო მომსახურების განყოფილების თანამშრომლებისთვის (დავალების მნიშვნელობა).

2. დავალების გაერთიანება. მანქანაზე მბეჭდავთა ბიუროს თანამშრომელთა ერთადერთი ფუნქციაა ბეჭდვა, რაც ასახავს სამუშაოს დანაწევრების პრინციპს; ეს კი წარმოადგენს მეცნიერული მენეჯმენტის მთავარ წესს. შრომის სპეციალიზაცია, რაც ახასიათებს კონვეიერული ტიპის სამუშაოებს, ასევე გამოიყენება არასაწარმოო სფეროშიც. როგორც წესი, ეს გამართლებულია ეფექტურობით, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება ან მცირე დანახარჯებით, ან შესრულებისთვის დახარჯული მცირე დროით (ქრონომეტრირება).

შრომის ეფექტიანობას ხშირად ზომავენ დანახარჯების ეფექტიანობით. თუმცა, ამ დროს ხელმძღვანელი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ გათვალისწინებულია ყველა მოსალოდნელი ხარჯი. შეიძლება მაგ., მოხდეს ისე, რომ მაღალ დონეზე სპეციალიზებული სამუშაოები მთლიანად შეესაბამებოდეს შედეგის მიღებისთვის საჭირო დროებითი ხარჯების კრიტერიუმებს, მაგრამ, თუ ამ სპეციალიზაციის შედეგად სამუშაოს შესრულება დღითი დღე იწვევს კადრების მაღალ დენადობას, გაცდენებს და გაფიცვებს, მაშინ შრომის ნაყოფიერება სინამდვილეში აღმოჩნდება უფრო დაბალი (ხარჯები კი მაღალი), ვიდრე ამაზე შესაძლოა მიუთითებდეს ეფექტიანი მაჩვენებლები.

ამრიგად, დავალებების გაერთიანების პრინციპი ნიშნავს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მოხდეს დანაწევრებული დავალებების გაერთიანება უფრო მსხვილ შრომით მოდულებად. მაგ., Gorning Glass Work-ის (მედფილდი, შტატი მასაჩუსეტი) ქარხანაში ელექტროფირებს ამჟამად თავიდან ბოლომდე ამზადებს ერთი ოპერატორი. გამოირიცხა სხვადასხვა ოპერაციების შესრულება სხვადასხვა ადამიანების მიერ.

ზოგიერთი დავალება, მათი დასაშვებ დიდ მოდულად გაერთიანების შემდეგ, შეიძლება გახდეს ისეთი მოცულობითი, რომ ვეღარ შეასრულოს ერთმა ადამიანმა. ასეთ შემთხვევაში ხშირად სასარგებლოა, რომ ახალი უფრო დიდი მოცულობის ამოცანა დაევალოს მუშაკთა მცირე ჯგუფს, რომელთაც მიეცემა ფართო დამოუკიდებლობა მოქმედებებში. Emerson Electic-ის ქარხანაში (რეისინი, შტატი ვისკონინი) ელექტრონაგავშემგროვებლების მონტაჟის პროცესი რეორგანიზებულია ზუსტად ასეთნაირად. ნაცვლად იმისა, რომ ხელსაწყო გადააადგილონ აწყობის ერთი ადგილიდან მეორეზე, ახლა აწყობა სრულდება თავიდან ბოლომდე ერთი გუნდის მიერ. ასეთ გუნდებში მუშაობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები, რათა შესაძლებელი იყოს უფრო მძიმე და უფრო "ფაქიზი" სამუშაოების მათ შორის გადანაწილება. მყიდველის მხრიდან პრეტენზიის შემთხვევაში პასუხს იძლევა გუნდი.

დავალებების გაერთიანება, ისევე, როგორც შრომის ბუნებრივი ერთეულები, აძლიერებს დავალებების გარკვეულობას მუშაობაში. მაგ., ელექტროფირების ამწყობმა შეიძლება მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიკაცია საბოლოო პროდუქტის შექმნასთან (რომელიც მზადაა ქსელში გასაგზავნად) და არა თითქმის უხილავი პირაპირის მირჩილვასთან. უფრო მეტიც, რაც მეტი

დავალება გაერთიანდება ერთი ადამიანის სამუშაოში, მით უფრო მეტი, მრავალფეროვანი უნარ-ჩვევები დასჭირდება მას ამ სამუშაოს შესასრულებლად. ამიტომ, დავალებების გაერთიანება ასევე იწვევს ჩვევების მრავალფეროვნების გაზრდას – ასეთია პირველი მთავარი პარამეტრიც, რომელიც ხელს უწყობს სამუშაოს გააზრების გრძნობის განვითარებას.

3. კლიენტებთან ურთიერთობის დამყარება. შრომის სპეციალიზაციის ერთ-ერთი შედეგია ის გარემოება, რომ ამ დროს ტიპურ მუშაკს აქვს მცირე კონტაქტი (ან საერთოდ არ აქვს) მის მიერ შექმნილი პროდუქტის ან განხორციელებული მომსახურების საბოლოო მომხმარებელთან. როდესაც მუშაკებს ეძლევათ ნება, დაამყარონ პირდაპირი ურთიერთობები თავისი შრომის მომხმარებლებთან, ხშირად შესაძლებელი ხდება ერთდროულად მუშაობის სამი ძირითადი პარამეტრის გაუმჯობესება. იზრდება უკუკავშირი, მუშაკი ისმენს დადებით ან უარყოფით შეფასებებს თავისი შრომის შედეგების შესახებ. ხშირად იზრდება ჩვევების მრავალგვარობა, რასაც ხელს უწყობს კლიენტებთან ურთიერთობისას მუშაკის პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ჩვევების გამომუშავება და პრაქტიკაში დანერგვა. გარდა ამისა, შესაძლებელია გაიზარდოს ავტონომიურობაც, რადგან მუშაკს ხშირად აკისრია პირადი პასუხისმგებლობა იმ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც ეხება თავისი შრომის მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვას.

მომხმარებლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება წარმოადგენს სამეტაპიან პროცესს: პირველი ეტაპია იმისი განსაზღვრა, თუ ვინ არის ფაქტობრივი მომხმარებელი; მეორე – შესაძლებლობების მიხედვით პირდაპირი კონტაქტების დამყარება მუშაკსა და მომხმარებელს შორის; მესამე – გარკვეული სახის კრიტერიუმების დადგენა, რომელთა მიხედვით მომხმარებელს შეეძლება იმსჯელოს მისაღები საქონლის ან მომსახურების ხარისხზე და შეძლებისდაგვარად, მომხმარებელს უკუკავშირი უნდა ჰქონდეს მუშაკთან.

კონტაქტი მუშაკსა და მომხმარებელს შორის უნდა იყოს რაც შეიძლება სრული და ისეთი ხშირი, როგორც ამას მოითხოვს აუცილებლობა. სასურველია პირადი კონტაქტი, თუნდაც იშვიათად. ნებისმიერ შეთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ურთიერთგაგება და მოლაპარაკება იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც მომხმარებელი შეაფასებს მუშაკის საქმიანობას.

4. ვალდებულებების განაწილება ვერტიკალზე. ჩვეულებრივ, წყვეტა სამუშაოს შემსრულებელს და დამგეგმავს ან მის მაკონტროლებელს შორის, იზრდება შრომის დანაწევრებასთან ერთად ჰორიზონტალური მიმართულებით. ლოგიკურად ეს შეიძლება დასაბუთდეს შრომის სპეციალიზაციით გამოწვეული ეფექტიანობის ამაღლებით. თუმცა, მეტისმეტი სპეციალიზაცია იწვევს მოტივაციის, მორალის და შრომის ხარისხის მოულოდნელ და მნიშვნელოვან დანაკარგებს. შრომის ვერტიკალური განაწილების დროს მიზანია სამუშაოს შემსრულებლებსა და მის მაკონტროლებლებს შორის არსებული წყვეტის რამდენადმე შემცირება – შედეგად კი ჩნდება გარკვეული მოტივაციური უპირატესობები.

რეალიზაციის ყველა ცნებებიდან – "სამუშაოს განაწილება ვერტიკალის მიხედვით" – ერთ-ერთი შესაძლოა გახდეს გადამწყვეტი. ზოგიერთ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია რაიმე ცვლილებების განხორციელება, მხოლოდ ერთმა – "ვერტიკალზე განაწილებამ" ("ვერტიკალის მიხედვით სამუშაოს განაწილება") – შესაძლოა მოგვცეს მნიშვნელოვანი მოტივაციური ეფექტი.

როდესაც სამუშაო განაწილებულია ვერტიკალის მიხედვით, პასუხისმგებლობას და კონტროლს, რომლებიც ადრე მიეკუთვნებოდა მაღალი დონის მენეჯმენტს, ახლა ემატება სამუშაო ფუნქციები. ამისთვის არსებობს დიდი რაოდენობის საშუალებები:

- დავუბრუნოთ მუშაკს მოქმედებების დიდი თავისუფლება, როდესაც ადგენს სამუშაო გრაფიკებს, ირჩევს სამუშაო მეთოდებს, ამოწმებს ხარისხს, უწევს დახმარებას ან რჩევას აძლევს ნაკლებად გამოცდილ მუშაკებს;
- მივცეთ მას დამატებითი უფლებამოსილება. მიზანი უნდა იყოს ისეთი მდგომარეობის შეცვლა, როდესაც მუშაკებს არ აქვთ უფლებამოსილებები ან თუ აქვთ, ძალიან შეზღუდული ისეთი მდგომარეობით, როდესაც მათ ექნებათ თითქმის სრული უფლებამოსილების შესაძლებლობა თავიანთ სამუშაოზე;
- მივცეთ საშუალება, გაანაწილოს სამუშაო დრო. მუშაკს უნდა ჰქონდეს თავისუფლება, გადაწყვიტოს თუ როდის დაიწყოს და დაასრულოს მუშაობა, როდის მოაწყოს შესვენება და როგორ გაანაწილოს პრიორიტეტები;
- მივცეთ ფინანსების მართვის საშუალება. ხშირად მაღალი მოტივაცია შეიძლება იყოს მუშაკის მხრიდან – რაღაცა დონის კონტროლის განხორციელება ბიუჯეტის და სხვა ფინანსური ასპექტების მიმართ, რომლებიც შეეხება მის შრომას. თუმცა, როგორც წესი, მსგავსი ინფორმაციის მიღება შეზღუდულია. მუშაკები მხოლოდ მოიგებენ თუ ეცოდინებათ თავიანთი შრომის თვითღირებულება, მისი შესაძლო გავლენა მოგებაზე, სხვადასხვა ფინანსური და საბიუჯეტო ალტერნატივები.

სამუშაოს განაწილება ვერტიკალის მიხედვით აუცილებლად იწვევს ავტონომიურობის გაზრდას. ხოლო პირადი კონტროლის ასეთი გაზრდა მის მიერვე შესრულებულ სამუშაოზე, გამოიწვევს პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც, საბოლოო ანგარიშში, მოგვცემს შრომის შინაგანი მოტივაციის გაზრდას.

5. უკუკავშირის არხების გახსნა. პრაქტიკულად, ნებისმიერ სამსახურში, როგორც ცალკე მუშაკების, ისე მთლიანად გუნდებისთვის არსებობს უკუკავშირის არხების გახსნის შესაძლებლობა, რათა დავეხმაროთ მათ გაარკვიონ – მათი საქმიანობა უკეთესი გახდა, გაუარესდა, თუ დარჩა არსებულ დონეზე. მართალია, არსებობს უკუკავშირის მრავალი არხი, მაგრამ მუშაკისთვის უკეთესია, შეიტყოს თავისი საქმიანობის შედეგების შესახებ მაშინვე, როგორც კი სამუშაო დასრულდება და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე თავისი ხელმძღვანელისგან.

უკუკავშირს, რაც განპირობებულია თვითონ სამუშაოთი, ჩვეულებრივ, აქვს უფრო უშუალო და პირადი ხასიათი, ვიდრე ამას ახორციელებს ხელმძღვანელი; ამასთან, უკუკავშირი უზრდის მუშაკს პირადი კონტროლის გრძნობას საკუთარი სამუშაოს მიმართ. უფრო მეტიც, იგი იძლევა მრავალი პოტენციურად დამანგრეველი პიროვნებათაშორისი პრობლემებისთვის თავის არიდების საშუალებას, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას იმ პირობებში, როცა იმისთვის, რომ მუშაკებმა გაიგონ თუ როგორ მუშაობენ, არსებობს მხოლოდ ერთი და იგივე გზა – მიიღონ პირდაპირი მითითებები ან მინიშნებები ხელმძღვანელებისგან.

ის, რაც ნამდვილად უნდა გაკეთდეს სამუშაო ადგილზე უკუკავშირის არხების გასახსნელად, იცვლება სამუშაოდან სამუშაომდე და ორგანიზაციიდან ორგანიზაციამდე. ხშირად ეს ხდება იმ ბარიერების მოცილებით, რომლებიც ხელს უშლის ადამიანს, მიიღოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ და არა უკუკავშირის სრულიად ახალი მექანიზმების შექმნით. მაგ., პირდაპირი ურთიერთობის დამყარება მომხმარებელთან (რაც განხილული იყო ზემოთ), ხშირად ხსნის ბარიერებს მუშაკსა და მისი მუშაობის შესახებ ინფორმაციის ბუნებრივ მატარებლებს შორის.

ბევრ ორგანიზაციაში ხარისხის კონტროლზე განხორციელებული ძალისხმევა ხშირად აცილებს ინფორმაციის ბუნებრივ წყაროს. პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის კონტროლი ხორციელდება არა იმ პირების მიერ, ვინც პასუხისმგებელია შრომის/მომსახურების პროდუქტზე, არამედ სხვების მიერ. უკუკავშირი მუშაკთან, თუ ის არსებობს, ხორციელდება დაგვიანებით და წაშლილია. ეს კი ხშირად ხელს უწყობს აზრის ჩამოყალიბებას – "ხარისხი" – მე არ მეხება.

ხარისხის კონტროლის ფუნქციის დაახლოებამ მუშაკებთან ან ამ ფუნქციის მათთვის მთლიანად გადაცემამ, შესაძლებელია განსაკუთრებულად აამაღლოს მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს ხარისხისა და რაოდენობის შესახებ.

ბევრ ორგანიზაციაში დაკანონებულია ისეთი მდგომარეობა, როცა საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლები შედის ხელმძღვანელის კომპეტენციაში და იგი მას გადასცემს ზემოთ, იერარქიის მიხედვით. ზოგჯერ ხელმძღვანელები თვითონ ამოწმებენ სამუშაოს და ასწორებენ ყველა შეცდომას. მუშაკმა შესაძლოა არც კი იცოდეს ამის შესახებ. მას არ აცნობენ იმ ინფორმაციას, რომლის შეტყობამ შესაძლოა გაზარდოს მისი შრომის შინაგანი მოტივაცია და, ასევე, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ტექნიკური ადეკვატურობა. ბევრ შემთხვევაში შესაძლებელია მუშაკის პირდაპირი ინფორმირება მისი საქმიანობის მაჩვენებლების შესახებ, რაც საჭიროა მათ შორის ხარისხის ასამაღლებლად.

მუშაკებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად შეიძლება კომპიუტერის გამოყენება. მაგ., მრავალი ოპერაცია შეიძლება შესრულდეს კომპიუტერზე მართვის პანელების საშუალებით, რომლებიც ხშირად ისეა აგებული, რომ შეუძლია მოსამსახურე უზრუნველყოს სწრაფი (მყისიერი) უკუკავშირით, რაც მას საშუალებას მისცემს, იქვე დააფიქსიროს დაშვებული დადებითი უკუკავშირით, მიაწოდოს ინფორმაცია იმ პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაში შეცდომები საერთოდ არ იყო.

უკუკავშირის, როგორც შრომის მოტივატორის მნიშვნელობა ყოველთვის გაცნობიერებული არ არის. ითვლება, რომ მონაცემები საქმიანობის ხარისხის და სხვა ასპექტების შესახებ, საინტერესოა მხოლოდ ხელმძღვანელებისთვის. უფრო მეტიც, მუშაკები ხშირად იზოლირებული არიან დასაშვები საქმიანობის სტანდარტებისგან, რაც აშორებს მათ იმ "სახელმძღვანელოსგან", რომლის მოქმედებასაც ისინი ელიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Базаров Т.Ю., Управление персоналом (практикум) – М., ЮНИТИ-ДАНА, 2012.
2. Горбатова М.М., Методы управления персоналом: Учеб. пособие. Кемеров: ЮНИТИ-ДАНА, 2002.
3. Управление персоналом: Учебник для вузов / Под ред. Т.Ю. Базарова, Б.Л. Еремина. 2-е изд., перераб. и доп. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.

Ketevan Kitsmarishvili

PLANNING, REALIZATION AND SUPPORT OF CHANGES IN THE WORK

Annotation

Dismissal – it's an employee's last stage of professional way. No doubt that it is a stress for the employee, because work (workplace) occupies a significant part of the population's living. The studies have shown that different people, on the ground of personal qualities, differently tolerate this situation. Loosing of job belongs to subjectively

heavily dealt situations, because it is connected to: loss of material resources, place of realization of talents and abilities, loss of physical environment and communications.

ელგუჯა კონჯარია

ფინანსური რისკი როგორც მართვის ერთ-ერთი ობიექტი

ამჟამად რისკის თავისებურებების შესწავლა და გამოყენება უსათუოდ საჭირო და სასარგებლოა, რადგანაც არსებითად შეიცვალა ეკონომიკის ბუნება. ამასთანავე, საკმაო ცვლილებები განიცადა ეკონომიკურმა გარემომ – ეს ფაქტორი უფრო აქტიურად ჩაება სიტუაციაში, საწარმოებში გადასაჭრელი პრობლემები უპრეცედენტოა, კონკურენცია რაოდენობრივად და ხარისხობრივად ისეთ დონემდე გაიზარდა, რომ მეწარმეები დღეს უფრო ხშირად, ვიდრე ოდესმე, იყენებენ სიტყვას "გადარჩენა", რაც იმ მნიშვნელობით გამოიყენება, რომ მეწარმეები, რომლებიც ვერ შეეგუვნენ მიმდინარე ცვლილებას, მარცხი განიცადეს. გადარჩება ის, ვინც ალღოს აუღებს მომხმარებლის მოთხოვნილებას და თავის საქმიანობას იმ მიმართულებით წარმათავს, რომ დროულად მოიძიოს ის ხერხები, რომლებიც საშუალებას მისცემს მას,შეამციროს ფინანასური რისკი.

რისკი ზემოქმედებს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ნებისმიერ სფეროზე და, ამასთან ერთად, მას ახასიათებს საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერება. ხშირ შემთხვევაში საწარმოებს გააჩნია ყველა საჭირო საშუალება რისკის შესამცირებლად, თუ განხორციელდება სწორი ანალიზის პროცესი. სწორედ რისკისადმი გააზრებული მიდგომა ახდენს გავლენას ბიზნესზე და შეიძლება ამ რისკის ნაწილობრივი ან სრული აღმოფხვრა.

კეთილგონიერი ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს რისკის გაცნობიერებას და მის შემცირებას ისეთი მექანიზმებით, რომლითაც შესაძლებელია აცილებულ იქნეს კრიზისის დადგომა.

რისკი არის არა მხოლოდ გაურკვევლობა, არამედ ის, რაც მხედველებაში უნდა იქნეს მიღებული ამა თუ იმ ქმედების დროს, რადგანაც მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანების კეთილდღეობაზე.

ყველა სიტუაცია, დაკავშირებული რისკთან, შეიძლება იყოს როგორც ზარალიანი, ასევე შემოსავლიანი.

აღსანიშნავია რისკის მრავალვარიანტობა (მრავალსახეობა), რომელიც მოიცავს ფინანსური კომბინაციების არაორდინალურობას, მოქნილობას და განუმეორებლობას ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. მთავარია რისკის მართვისას სწორი მიზნის დასახვა, რომელიც პასუხობს მართვის ობიექტის ეკონომიკურ ინტერესებს.

რისკის მართვა გამოირჩევა დინამიურობით, მისი ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკურ სიტუაციაზე, მართვის ობიექტის ფინანსურ მდგომარეობასა და ბაზრის ქმედუნარიანობაზე. რისკიანობის მზა რეცეპტი არ არსებობს. ამიტომ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიმღების ალღო, უნარი, რათა სწორად შეაფასოს არსებული მდგომარეობა. რისკიანი გადაწყვეტილების მიღებაში მთავარია ინტუიცია და ინსაიტი.

ინტუიცია წარმოადგენს უნარს, ოპერატიულად მიიღოთ გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც რისკის გაანგარიშება შეუძლებელია, მიზანშეწონილია ჭეშმარიტების მოძიება მოხდეს ლოგიკური ხერხების და მეთოდური წესის თეორიული კვლევის დახმარებით.

წლების განმავლობაში დაკვირვებამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველაზე უსაფრთხო ინვესტიცია არის სახაზინო თამასუქი, შემდეგ მოდის სამთავრობო ობლიგაციები, კორპორაციული ობლიგაციები და ბოლოს ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც გამოირჩევა ყველაზე მაღალი რისკიანობით.

ხშირად რისკი წარმოიშობა ინფორმაციის გაურკვევლობის შედეგად. ამიტომ რისკის მართვის საინფორმაციო უზრუნველყოფა მთავარია საქმიანობაში. ის, ვინც ფლობ სინფორმაციას, ფლობს აზრსაც. არსებობს ინფორმაციის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის მთავარია: სტატისტიკური, ეკონომიკური, კომერციული და ფინანსური. ეს ინფორმაციები შეიცავს ვითარების ცოდნას ამა თუ იმ მოსალოდნელ სადაზღვევო შემთხვევაზე, საქონლის მოთხოვნილების სიდიდეზე, კაპიტალზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და კლიენტების გადახდისუნარიანობაზე, პარტნიორობაზე, ფასზე, ტარიფებზე, დივიდენდზე, სარგებელზე და სხვა.

არის ინფორმაციები, რომელებიც კომერციული საიდუმლოებაა, ამიტომ ის არის ინტელექტუალური საკუთრება და ზოგჯერ შედის საწარმო საწესდებო კაპიტალში. კარგი მენეჯერი ყოველმხრივ ცდილობს მოიპოვოს სულ მცირე ინფორმაციაც კი, რომ არ ვთქვათ გადამწყვეტზე, რათა შემდგომ ის გამოიყენოს საწარმოს წინსვლისათვის. მეტად მნიშვნელოვანია ინფრომაციის შეგროვების და განთავსების ისეთი გზების გამონახვა, რომ ადვილი იყოს მისი ოპერატიულად მოძიება.

რისკის მართვის ამოცანაა, მიზანდასახულად მოინახოს გზები და მუშაობა წარმოებდეს რისკის ხარისხის შემცირების მიმართულებით.

რისკის მართვის სტრატეგიის საბოლოო მიზანია დასახული ამოცანის მიღწევა, ხოლო ტაქტიკას წარმოადგენს მეთოდები და ხერხები, რომლებიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად კონკრეტულ პირობებში.

რისკის რეალიზაციის პროცესში ეკონომიკურ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობა დაზღვევასა და მზღვეველს, მსესხებელსა და კრედიტორს, მეწარმეებს შორის.

არსებობს რისკის სქემის კლასიფიკაციის რამდენიმე სახეობა, მათ შორის:

- ავადმყოფობის, შრომის უნარის დაკარგვის და გარდაცვალების რისკი;
- უმუშევრობის რისკი;
- რისკი, დაკავშირებული ხანგრძლივი მოხმარების საქონლის მოხმარებასთან, არის სახლის, ავტომობილის და სხვა ხანგრძლივი საქონლის განკარგვის რისკი. ზარალი შეიძლება გამოწვეულ იქნეს უბედური შემთხვევით – ხანძრით, გაქურდვით ან მორალური ცვეთით.
- რისკი, დაკავშირებული პასუხისმგებლობასთან სხვა პიროვნების მიმართ (ე. ი. სამოქალაქო პასუხისმგებლობა), მაგალითად, თქვენ დაუზიანეთ ავტომობილი პიროვნებას, ამისათვის თქვენ მას ზარალი უნდა აუნაზღაუროთ;
- რისკი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივებში ფულად შენატანებთან. ამ რისკის წყარო არის სიტუაციის გაურკვევლობა, რომელშიც ხვდებიან საწარმოები, მთავრობა და სხვა ეკონომიკური სუბიექტები ფასიანი ქაღალდების გამოშვების შემდეგ.

რისკი არის ბიზნესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

რისკის სახეობების არსებობა მეწარმეობაში გადადის ყველა იმ სუბიექტზე, რომლებიც, ასე თუ ისე, დაკავშირებული არიან მათ საქმიანობასთან: აქციონერებთან, კრედიტორებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, პერსონალთან და მთავრობასთან. ამასთან ერთად, საწარმოს შეუძლია ფინანსური სისტემის დახმარებით მის წინაშე მდგომი რისკი სხვა მონაწილეზე გადაიტანოს. არსებობს სპეციალური ფინანსური საწარმოები, რომლებიც ასრულებენ რისკის გადატანის და გაერთიანების მომსახურებას. მთლიანად რისკი შეიძლება გამოიწვიოს ადამიანმა.

რისკი შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად: წმინდა და სპეკულაციური.

წმინდა რისკი ნიშნავს შესაძლებლობას, მიღებულ იქნეს უარყოფითი და ნულოვანი შედეგი. ამ რისკებს მიეკუთვნება: ბუნებრივი, ეკოლოგიური, პოლიტიკური, სატრანსპორტო და კომერციული რისკის ნაწილი (ქონებრივი, საწარმოო, სავაჭრო).

სპეკულაციური რისკი გამოიხატება შესაძლებლობით, მიღებულ იქნეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. მათ მიეკუთვნება ფინასური რისკები, რომლებიც კომერციული რისკის ნაწილია.

ბუნებრივ რისკს მიეკუთვნება რისკები, დაკავშირებული სტიქიურ უბედურებასთან: მიწისძვრა, ქარიშხალი, ხანძარი, ეპიდემია და სხვა.

ეკოლოგიური რისკი – ეს არის რისკები, დაკავშირებული გარემოს დაბინძურებასთან.

პოლიტიკური რისკი – დაკავშირებული პოლიტიკურ სიტუაციასთან ქვეყანაში და სახელმწიფოს საქმიანობასთან.

მას მიეკუთვნება:

- სამეურნეო საქმიანობის შესაძლებლობის არარსებობა, დაკავშირებული სამხედრო მოქმედებასთან, რევოლუციასთან, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის გართულებასთან, ნაციონალიზაციასთან, საქონლის და საწარმოების კონფისკაციასთან, ემბარგოს შემოღებასთან და სხვა.
- მორატორიუმის შემოღება, განსაზღვრული დროით გარე გადახდასთან, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით (გაფიცვა, ომი და სხვა);
- ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში;

სატრანსპორტო რისკი, ეს არის რისკები, დაკავშირებული ტვირთების გადაზიდვასთან ტრანსპორტით: საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო, რკინიგზის, საავიაციო და სხვა.

კომერციული რისკი წარმოადგენს დანაკარგების სიფრთხილეს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პროცესში. ისინი ნიშნავს გაურკვევლობის შედეგს აღნიშნულ კომერციულ შეთანხმებასთან დაკავშირებით. სტრუქტურული თვისებით კომერციული რისკი იყოფა ქონებრივ, საწარმოო, სავაჭრო და ფინანსურად.

ქონებრივი რისკი – ეს არის რისკი, დაკავშირებული ალბათობასთან, მოქალაქემ, მეწარმემ დაკარგოს ქონება, გამოწვეული ქურდობით, დივერსიით, უპასუხისმგებლობით და სხვა.

საწარმოო რისკი – ეს არის რისკი, დაკავშირებული წარმოების გაჩერებასთან, უპირველესად ძირითადი და საბრუნავი (დანადგარი, ნედლეული, ტრანსპორტი და სხვა) ფონდების დაკარგვით ან დაზიანებით, აგრეთვე, რისკით, დაკავშირებული ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვასთან.

სავაჭრო რისკი – წარმოადგენს რისკს, დაკავშირებულს ზარალით გადასახადის შენარჩუნებასთან, საქონლის მიუწოდებლობასთან და სხვა.

ფინანსური რისკი დაკავშირებულია ფინანსური რესურსების (ე. ი. ფულადი სახსრების) დაკარგვასთან.

თავის მხრივ, ფინანსური რისკები შეიძლება დავყოთ ორ სახეობად:

- რისკი, დკავშირებული ფულის მსყიდველობითუნარიანობასთან;

- რისკი, დაკავშირებული კაპიტალის ჩადებასთან (საინვესტიციო რისკი);

აქედან რისკს, დაკავშირებულს ფულის მსყიდველობითუნარიანობასთან, მიეკუთვენება რისკის შემდეგი ნაირსახეობები: ინფლაციური და დეფლაციური რისკები, სავალუტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი

ინფლაცია ნიშნავს ფულის გაუფასურებას და შესაბამისად ფასის ზრდას. დეფლაცია – ეს არის ინფლაციის უკუპროცესი. ეს გამოიხატება ფასის შემცირებით და შესაბამისად ფულის მსყიდველობითი უნარიანობის ამაღლებით.

ინფლაციური რისკი – ეს არის იმის რისკი, რომ ინფლაციის ზრდის დროს მიღებული რეალური ფულადი შემოსავალი გაუფასურდება მსყიდველობითი უნარიანობის თვალსაზრისით უფრო სწრაფად, ვიდრე იზრდება. ამ პირობებში მეწარმე იღებს რეალურ დანაკარგებს.

დეფლაციური რისკი – ეს არის იმის რისკი, რომ დეფლაციის ზრდის დროს ხდება ფასის დონის შემცირება, მეწარმეობის ეკონომიკური პირობების გაუარესება და შემოსავლების შემცირება.

სავალუტო რისკი წარმოადგენს ვალუტის დაკარგვის საშიშროებას, დაკავშირებულს ერთი უცხო ვალუტის კურსის შეცვლით მეორეთი საგარეო ეკონომიკური საკრედიტო და სხვა სავალუტო ოპერაციების განხორციელების დროს.

საინვესტიციო რისკი შეიცავს:

- სარგებლიანობის ხელიდან გაშვების რისკს – ეს არის რაიმე ღონისძიების განუხორციელებლობის შედეგად არაპირდაპირ ფინანასურ ზარალთან დაკავშირებული რისკი (მაგალითად, ჰეჯირება, დაზღვევა, ინვესტირება და სხვა).
- შემოსავლიანობის შემცირების რისკი შეიძლება წარმოიქმნას სარგებლის პროცენტის ან დივიდენდის სიდიდის შემცირების შედეგად საპორთფელო ინვესტიციებზე, ანაბრებზე და კრედიტზე.

თავის მხრივ, ეს რისკი შეიცავს:

- შემოსავლის შემცირებას, რომელიც მიეკუთვნება საშიშროებას კომერციული ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, საინვესტიციო ინსტიტუტების და სხვათა სარგებლის საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგად, რომელსაც ისინი გასცემენ მოზიდულ თანხებზე, გადააჭარბებს კრედიტის განაკვეთს. სარგებლის საპროცენტო რისკს ასევე მიეკუთვნება დანაკარგის რისკი, რომლებიც შეიძლება გასწიონ ინვესტორებმა ფასიანი ქაღალდების დივიდენდების შეცვლით.
- საკრედიტო რისკი არის იმის საშიშროება, რომ მსესხებელმა ვერ გადაუხადოს კრედიტორს ძირითადი თანხა და სარგებლის პროცენტი. ამ რისკს ასევე მიეკუთვნება ის, რომ ემიტენტმა, რომელმაც გამოუშვა სასესხო ფასიანი ქაღალდები, მათზე ვერ გადაიხადოს სარგებლის პროცენტი და ძირითადი თანხა.

არსებობს ფინანსური რისკის დანაკარგების პირდაპირი რისკები, როგორებიც არის:

- საბირჟო რისკი, წარმოადგენს დანაკარგების საშიშროებას საბირჟო გარიგებიდან.
- არჩევის რისკი – ეს არის რისკი, რომელიც გამოწვეულია ფულის არასწორი დაბანდებით.
- გაკოტრების რისკი, გამოწვეულია ფულის არასწორი დაბანდებით, რაც იწვევს მეწარმის მიერ საკუთარი კაპიტალის სრულ დაკარგვას.

ბიზნესის წარმოების რისკი მთლიანად დამოკიდებულია საწარმოს ხელმძღვანელობაზე, უპირველესად, ფინანსურ მენეჯერზე (საშუალო და მსხვილ საწარმოში) და მთლიანად პერსონალიზე. ამ მიმართულებით არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მთავრობას, რომელმაც ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი ბიზნესის განვითარებას, რადგანაც მას გააჩნია მრავალი ბერკეტი.

რისკის გამოვლენისათვის ეფექტურია გაკეთდეს იმ რისკების სია, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას ორგანიზაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გადელია დ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., "ფინანსები", 2006.
2. კაკულია რ., ფინანსების თეორია, მე-4 გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა "თერგი", 2004.
3. ბერძენაძე ნ., ბენია შ., ბერძენაძე ი., გაგვიშვილი ლ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ, 2003.
4. ზ. ლიპარტია., კორპორაციული ფინანსების მართვა, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2009.
5. გადელია დ., კეკელია რ., კორპორაციათა ფინანსები, თბილისი, 2006.

Elguja Konjaria

FINANCIAL RISK AS ONE OF THE OBJECT OF RULING

Annotation

The risk of financial ruling is dynamic, changeable and incipient system. Ruling of this economic category is especially directivity, which is a lot depended on. The prosperity of organization to directed of maximalist of capitalism is especially directness. It is notably, that working process on international sphere is continuing . But nowadays this working process is scant. The problem if risk is actual for economy. It is more easy to enumerate of

problems, than to solve them. Though first steps mean to aware these problems. After this will be available to solve these problems.

ზურაბ ლიპარტია
რუსუდან ქუთათელაძე

ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების რეგულირების მექანიზმი საქართველოში

პრობლემის დასმა: საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების რეგულირების მოთხოვნები ეფუძნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ - IFAC) და უცხოელი პარტნიორების მიერ რეკომენდტებული ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის - ACCA პროგრამას (როგორც ინგლისურს, ასევე ადაპტრებულ ქართულენოვანს). ACCA პროგრამის საერთაშორისო აღიარებისა და პრაქტიკაში მოპოვებული პოპულარობის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბუღალტრის პროფესიული განათლების სფეროში არსებული რეალობის შეფასებიდან გამომდინარე, **აქტუალურია** საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული სწავლების სერტიფიცირების და კვალიფიკაციის აღიარების სფეროებში არსებული პრობლემების გამოვლენა და ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ბუღალტრის პროფესიული დონის ამაღლებისა და მომსახურების ხარისხის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მარეგულირებელი მექანიზმის შემოთავაზება.

საქართველომ ახალ ბიზნესგარემოში ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ისტორიული ნაბიჯი გადადგა ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით 2013 წლის ნოემბერში ქ. ვილნიუსის სამიტზე და 2014 წლის 27 ივნისს "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA)" სრული ხელმოწერით. შესაბამისად, ქვეყანამ აიღო ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მართვის სფეროებში ევროკავშირის კანონების და ნორმატიული აქტების კრებულით (EU acquiscomnautaire) დადგენილი უმაღლესი სტანდარტების დანერგვის ვალდებულება, რომელიც ფრიად **მნიშვნელოვანია** ქვეყნისათვის, რათა გააძლიეროს თანამშრომლობა ევროპასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და უსაფრთხოების საკითხებში და სარგებელი მიიღოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობიდან.

საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და აღიარების პრაქტიკის შეფასება. საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესია ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული და კარგად განვითარებულია საბაზრო პროფესიათა შორის. ამასთან, საკმაოდ პრესტიჟული და ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა, რომლის განვითარებაში მნიშვნელოვანია აკადემიური სექტორის, პროფესიული და დონორი ორგანიზაციების როლი. აღნიშნულის მიუხედავად, პროფესიული მომსახურების ხარისხის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მისაღწევად და ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული მექანიზმების სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების სფეროს პრობლემების გამოსავლენად მისი საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის ანალიზის შეფასება.

ჩატარებული კვლევებით იკვეთება შემდეგი:

1. პროფესიული სერტიფიცირების რეგულირების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს ბსფ-ის წევრი პროფესიული (არაკომერციული) ორგანიზაციების წამყვან როლს პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების პროცესში, ხოლო სახელმწიფოს როლი შემოფარგლება საკანონმდებლო ნორმების დადგენითა და პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელებით. საქართველოში, კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" (2012 წლის 29 ივნისი) [1] განსაზღვრულია პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების განხორციელების უფლების მქონე პროფესიული ორგანიზაციები და მათი საქმიანობის ნაწილზე მონიტორინგის უფლება აქვს აკრედიტაციის ერთიან ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს. პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების პროცესს სრულად ახორციელებს საქართველოს ბაფი, რომელიც ბსფ-ის ნამდვილი წევრია, შესაბამისად, საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების რეგულირების სისტემა, ძირითადად, შესაბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან.

2. საქართველოში მოქმედი განათლების სტანდარტები ეფუძნება ბსფ-ის განათლების სტანდარტებს და, ძირითადად, აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ბაფ-ის პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ დებულებაში გათვალისწინებულია განათლების საერთაშორისო სტანდარტებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ პროფესიონალ ბუღალტერთა კვალიფიკაციისათვის მირებული ეროვნული მოთხოვნების დებულებები, შესაბამისად, პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფი-

ცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების სტანდარტები, ძირითადად, პასუხობს საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნებს. [3]

3. საქართველოს ბაფის ბუღალტერთა პროფესიული განათლების პროგრამა არის საერთაშორისოდ აღიარებული, რადგან იგი წარმოადგენს ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროგრამის ქართულენოვან ვარიანტს. პროფესიული სერტიფიცირების ქართულენოვანი პროგრამა აღიარებულია ACCA-ის [7] მიერ. კერძოდ, აკრედიტაცია მიღწეულია 9 წიგნში იმ პირებისათვის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ქართულენოვანი პროგრამის ყველა (14 წიგნი) პროგრამა, აღიარებული სახელმწიფოს სტრუქტურაში: საქართველოს ბაფსა და საქართველოს კონტროლის პალატას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2006-2010 წლებში აღნიშნული პროგრამით გადამზადდა კონტროლის პალატის 300 სპეციალისტი; პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის სტუდენტები დასაქმებულნი არიან სამთავრობო სტრუქტურებში. პროგრამაში მონაწილეობა ხელს უწყობს დასაქმებას: კადრების შერჩევისას დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებენ პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩართულ პირებს. შესაბამისად, პროფესიული განათლების პროგრამა არის მიმზიდველი და ავტორიტეტული. [2; 4]

პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების სფეროში ზემოაღნიშნული მიღწევების მიუხედავად, საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროცესების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი **შეფასების** ჩამოყალიბება, კერძოდ:

1. საქართველოში პროფესიის რეგულირების არსებული სისტემა თითქმის სრული თვითრეგულირების პრინციპზეა დაფუძნებული და ძალიან სუსტია სახელმწიფო ზედამხედველობის როლი პროფესიულ რეგულირებაში. საქართველოს კანონით – „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" – განსაზღვრული სახელმწიფო ზედამხედველობის ფუნქცია უმნიშვნელოა და შეთავსებული აქვს აკრედიტაციის ერთიან ორგანოს – საქართველოს აკრედიტაციის ცენტრს, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ბუღალტრის პროფესიასთან. შესაბამისად, უნდა ჩამოყალიბდეს პროფესიის მარეგულირებელი ერთიანი სახელმწიფო სახედამხედველო სტრუქტურა (პირობითად, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო). ასეთი მიდგომა გაამარტივებს სფეროს რეგულირებას და ჩამოაყალიბებს ისეთ ინსტიტუციურ სისტემას, რომელიც უფლებამოსილებათა დაბალანსების პრინციპის მიხედვით დაფუძნებული იქნება, ერთი მხრივ, პროფესიული ორგანიზაციების მიერ ბუღალტერთა და აუდიტორთა საქმოანობის პროფესიულ რეგულირებასა და ხარისხის კონტროლზე, სტანდარტების დადგენასა და დანერგვაზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოს მიერ პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაზე საზოგადოებრივი ზედამხედველობისა და მონიტორინგის გაძლიერებით.

2. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების პროგრამა (ACCA) [7] პასუხობს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს, სარგებლობს აღიარებით როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ასევე ქვეყნის შიგნით, პროგრამის ხანგრძლივობისა და მაღალი ღირებულების გამო, მიზანშეწონილია არსებობდეს სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამაც, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბუღალტერთა უფრო ფართო წრისათვის. სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა გადაჭრის იმ პრაქტიკოს აუდიტორთა პრობლემასაც, რომლებიც სერტიფიცირებულნი იყვნენ პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ და რომელთა სერტიფიკატები მოქმედებაშია მხოლოდ 5 წლის განმავლობაში.

3. საქართველოს ბაფი პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში არ იყენებს ჩათვლის სისტემას იმ ფონზე, როდესაც არ მოქმედებს სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა, გაუქმებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო (2012 წლის 1 იანვარი) და მათ მიერ სერტიფიცირებულ პირებს, გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეუწყდებათ ამ სფეროში საქმიანობის უფლება, რაც აუდიტორთა ბაზარზე წარმოქმნის სერტიფიცირებული პირების დეფიციტს. ამ პრობლემისაგან თავის დაზღვევის მიზნით, აგრეთვე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩათვლების სისტემის შემოღება შესაბამისი პროფილის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებისათვის. ჩათვლების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს იმ საგნებში, რომელსაც მოიცავს პროფესიული განათლების პროგრამა და სერტიფიცირების პრეტენდენტს ნასწავლი აქვს უმაღლეს სასწავლებელში.

4. პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის შენარჩუნების უწყვეტი სწავლების პროგრამა სრულ შესაბამისობაში არ არის საერთაშორისო პრაქტიკასთან. განათლების საერთაშორისო სტანდარტი (გს7) მოითხოვს, რომ პროფესიონალმა ბუღალტერმა, სავალდებულო წესით, ყოველწლიურად გაიაროს მინიმუმ 40 საათიანი გადამზადება, ბაფის სტანდარტით დადგენილია ყოველწლიურად 20 საათიანი გადამზადება. სრულყოფას საჭიროებს განგრძობითი სწავლების თემატიკაც, კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტით განგრძობითი პროგრამა უნდა იყოს მრავალფეროვანი და მოიცავდეს სიახლეებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებში, ეთიკის კოდექსში, ხარისხის კონტროლის სტანდარტებში და სხვა. ბაფის ყოველწლიური სავალდებულო სწავლება მოიცავს მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებებსა და ცვლილებებს.

5. პრობლემატურია პროფესიული ეთიკის დაცვისა და მასზე კონტროლის განხორციელების საკითხებიც, რასაც ბაფში ნაკლები ყურადღება ექცევა, თუმცა მათი აქტივიზაცია, ძირითადად, დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე.

საქართველომ უნდა განახორციელოს ძირითადი ცვლილებები საკუთრი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ევროკავშირში მოქმედ დირექტივებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს მთავრობის პროგრესული მისწრაფება საკანონმდებლო ბაზის რეფორმირებისაკენ მნიშვნელოვნად განაპირობებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს რეგულირებას ევროკავშირის კანონების, ნორმატიული აქტების და ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად.

საქართველომ, აუდიტის მაღალი ხარისხის სტანდარტების პრიორიტეტად აღიარებისა და სავალდებულო აუდიტის ფუნქციის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცების მიზნით, უნდა განაგრძოს კანონმდებლობის ცვლილება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ა) განათლება და ტრენინგი; ბ) სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების დამტკიცება და რეგისტრაცია; გ) ეთიკური პრინციპები და აუდიტორების დამოუკიდებლობა; დ) აუდიტის სტანდარტები; ე) ხარისხის უზრუნველყოფა; ვ) საზოგადოებრივი ზედამხედველობა; ზ) აუდიტორების დანიშვნა და გათავისუფლება; თ) აუდიტის კომიტეტები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სუბიექტებისთვის.

მსოფლიო ბანკის „ანგარიშიდან ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ (CFRR - ROSC) [6]“ გამომდინარეობს, რომ საქართველომ უნდა **განახორციელოს ძირითადი ცვლილებები** საკუთარი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ევროკავშირში მოქმედ დირექტივებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე. კერძოდ: ა)პროფესია კვლავ თვითრეგულირებადია და მნიშვნელოვანი საზედამხედველო პასუხისმგებლობები აქვს, მაგრამ თვითონ არ ექვემდებარება დამოუკიდებელ ზედამხედველობას; ბ) ინფორმაციის წარდგენისა და გამოქვეყნების მოთხოვნები არაადეკვატურია იმისთვის, რომ უზრუნველყოს ხარისხიანი ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; გ) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ანგარიშების მოთხოვნები საჭიროებს დახვეწას, რათა თვიდან ავიცილოთ მათთვის ზედმეტი ტვირთის დაკისრება; დ) სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოებისთვის ანგარიშების და გამოქვეყნების მოთხოვნები საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის მიღება, გამოქვეყნება და ანგარიშების აუდიტის განხორციელება. ე) ყოველივე ზემოაღნიშნულის გაუმჯობესება, თავის მხრივ, გამოიწვევს ფინანსური ინფორმაციის ხარისხის გაზრდას და დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება, უფრო მარტივად მიიღონ სანდო და საჭირო ფინანსური ინფორმაცია კომპანიების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის **პროფესიამ** საქართველოში გარკვეული პროგრესი განიცადა ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში 2007 წლის ღ შჩ-ის [5] ანგარიშთან შედარებით. პროფესია უფრო მეტად თვითრეგულირებადი და დამოუკიდებელი გახდა. 2012 წლის კანონმა [1] შემოიღო სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის, აუდიტორის და აუდიტორული ფირმის ზუსტი განმარტება.

განათლების ხარისხი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ყველა დონეზე საჭიროებს ამაღლებას. თეორიული ცოდნის ამჟამინდელი დონე და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბუღალტრებს შორის დაბალია და მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას პროფესიული განათლების სტანდარტის და უწყვეტი პროფესიული განვითრების პროგრამების გასაუმჯობესებლად. უმაღლესი ხარისხის თანამედროვე განათლება ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საქართველოში ამ პროფესიის შემდგომი განვითარებისთვის. განათლების ხარისხის ამაღლება ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის გააძლიერებს ანგარიშგების პრაქტიკას და გააუმჯობესებს ინფორმაციის ხარისხს.

ამრიგად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სისტემის პრაქტიკაში გამოყენების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბდა რეგულირების მექანიზმის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე პრიორიტეტული ღონისძიებები და ნორმატიული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემოთავაზების მოთხოვნა აკადემიური განათლების სფეროში, რომელიც შეესაბამება მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ ანგარიშის ღ შჩ- აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ რეკომენდაციებს გასაუმჯობესებელი სფეროების ჭრილში. მათი პრაქტიკის შეფასებიდან იკვეთება ბუღალტრის (აუდიტორის) აკადემიური განათლებისა და სერტიფიცირების მექანიზმის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში, კერძოდ:

ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირებაში პროფესიული ორგანიზაციების ფუნქციების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდეს აკრედიტაციის ერთიანი პირობები ყველა პროფესიული ორგანიზაციისათვის;

ბ) საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდეს პროფესიის მარეგულირებელი ერთიანი სახელმწიფო საზედამხედველო სტრუქტურა. ასეთი მიდგომა გაამარტივებს მოცემული სფეროს რეგულირებას და შექმნის ისეთ ინსტიტუციურ სისტემას, რომელიც, უფლებამოსილებათა დაბალანსების პრინციპის მიხედვით, დაფუძნებული იქნება, ერთი მხრივ, პროფესიული ორგანი-

ზაციების მიერ ბუღალტერთა და აუდიტორთა საქმიანობის პროფესიულ რეგულირებასა და ხარისხის კონტროლზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოს მიერ პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობის საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და მონიტორინგზე;

გ) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამის (მე-3და მე-5) მუხლებში შეტანილ იქნეს ცვლილებები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ქართულ ენაზე სტანდარტების თარგმნის უწყვეტი პროცესის მიღწევას და გაზრდის გამოყენებული სტანდარტების შესაბამისობას მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებთან;

დ) პროფესიული სერტიფიცირების მოქმედი პროგრამის (ACCA) ხანგრძლივობისა და მაღალი ღირებულების გამო, მიზანშეწონილია, არსებობდეს სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბუღალტერთა უფრო ფართო წრისათვის;

ე) რეკომენდებულია, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის აკადემიური სექტორის განათლების პროგრამებში გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ბაფის სერტიფიცირების პროგრამის ძირითადი მოთხოვნები ცალკეული დისციპლინების მიხედვით. აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის აკადემიური სექტორის – **ბაკალავრიატის** განათლების პროგრამებში ისწავლებოდეს მცირე და საშუალო საწარმოების ფასს, ხოლო მსხვილი კორპორაციების ფასს გათვალისწინებულ იქნეს **მაგისტრატურის** პროგრამაში;

ვ) მიზანშეწონილია პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩათვლების სისტემის შემოღება შესაბამისი პროფილის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის;

ზ) აუდიტური კომპანიების საქმიანობის ხარისხის კონტროლის ზედამხედველობა (კანონი მე-8 მუხლი) დაეფუძნოს ევროსაბჭოს შესაბამისი დირექტივის 32-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებს. აუცილებელია ასევე კანონში ცალკე მუხლის – „დისციპლინ ური მოკვლევა და სანქციები" – დამატება.

კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა - ნაშრომის თეორიული დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების გათვალისწინებით მოსალოდნელია შემდეგი დადებითი შედეგების მიღწევა პროფესიული განვითარების მექანიზმის სრულყოფის საქმეში, კერძოდ:

1) სახელმწიფო ინტერესის მქონე ობიექტების ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილი გახსნილობისა და გამჭვირვალობის კვალობაზე, მოსალოდნელია ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდას;

2) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლება პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების პროგრამების გაუმჯობესების გზით, უწყვეტი პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ჩატარებით ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) განათლების სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნა. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის, ასევე, მსოფლიო ბანკის ანგარიშგებაში (FRR) აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის შემოთავაზებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვით საქართველოში შესაძლებელი იქნება: ა) ბიზნესგარემოს გაუმჯობესება ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებით; ბ) ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებით; გ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ", 2012, 29 ივნისი.

2. ქუთათელაძე რ., კობიაშვილი ა., აუდიტის საფუძვლები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009.

3. ლიპარტია ზ., ჭუმბურიძე ლ., ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების სფეროში არსებული პრობლემები და სრულყოფის პრიორიტეტები საქართველოში. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", თბილისი. 2013, №6 გვ. 36-46.

4. ძაძამია რ., ჭუმბურიძე ლ., „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკა საქართველოში". რეგიონალური კონფერენცია - „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების გაუმჯობესების საკითხები". რუმინეთი. ბუქარესტი, 2013, 06 ნოემბერი.

5. REPORT IN THE OBSERVANCE OF STANDARDS AND CODES (ROSC), Georgia Country Strategy and Action Plan for Accounting and Auditing Reform; CSInternational, March 2008.

6. REPORT IN THE OBSERVANCE OF STANDARDS AND CODES (ROSC), Georgia Country Strategy and Action Plan for Accounting and Auditing Reform; CSInternational, March 2015.

7. ACCA - წიგნი F8 - „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება". თარგმნილი ინგლისურიდან საქართველოს ბაფის მიერ, თბილისი, 2010. - 418.გვ.

Zurab Lipartia
Rusudan Kutateladze

VOCATIONAL EDUCATION AND CERTIFICATION REGULATION MECHANISM OF ACCOUNTANT (AUDITOR) IN GEORGIA

Annotation

This scientific work analyzes one of the most important thing at the current stage in the areas of accounting and auditing practices of Georgia in the international harmonization – problems in accountant's (auditor) vocational certification and qualification recognition. Proposed accountant's (auditor) academic education and certification mechanism for priority areas in Georgia. which includes specific recommendations and measures with requirements of international practice, the World Bank and the European directions to improve the quality of the vocational education, accounting and auditing further development in Georgia to ensure the efficient functioning of the world economy under globalization.

მარინა მაისურაძე

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების საკითხები თანამედროვე ეტაპზე

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საპენსიო სისტემის რეფორმა. ეს დაკავშირებულია იმ მნიშვნელოვან როლთან, რომელსაც ასრულებს საპენსიო სისტემა ქვეყნის ფინანსურ და სოციალურ სფეროში. იგი სამთავრობო პროგრამის შემადგენელი ნაწილია და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველო 2020''-შია ასახული. აქედან გამომდინარე, პრიორიტეტული და მეტად აქტუალურია.

საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში პირდაპირ მოითხოვს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკისა და მისი უზრუნველსაყოფი რეფორმების გატარებას. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია საპენსიო რეფორმის განხორციელება.

სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს საპენსიო სისტემის არსებით რეფორმას, რომელიც ამ სისტემის **დაგროვებით პრინციპზე** გადასვლას ითვალისწინებს, იგი დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველო 2020'' ნათქვამია: „საპენსიო სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, განხორციელდება დაგროვებით საპენსიო სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლა, ამასთან, ეკონომიკური ზრდა საბაზისო პენსიების თანდათანობითი ზრდის წინაპირობაა, რაც პენსიონერების სოციალური პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.''

რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ კერძო საპენსიო ინსტიტუტები.

რა არის დაგროვებითი პენსია?

დაგროვებითი პენსია არის სისტემა, როდესაც ადამიანები დასაქმების პერიოდში ხელფასიდან და შემოსავლიდან ანარიცხებს (რეზერვს) აკეთებენ კერძო ან სახელმწიფო საინვესტიციო ფონდში. როდესაც მათ დაუდგებათ საპენსიო ასაკი, დაგროვილი თანხა გარკვეული პროცენტული დანამატებით უბრუნდებათ, როგორც პენსია. ანარიცხებს ფონდი ათავსებს მომგებიან აქტივებში, რომელსაც გარკვეული შემოსავალი მოაქვს საინვესტიციო ფონდისთვისაც და იმ ადამიანისთვისაც, ვისაც ფონდში გარკვეული შემოსავლები შეაქვს. პენსიის მოცულობა მთლიანად დამოკიდებულია საპენსიო შენატანის სიდიდესა და საპენსიო ფონდების მიერ განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის წარმატებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე. ცხადია, იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა მზარდია და ფინანსური ბაზრები განვითარებული, ეს მოდელი (დაგროვებითი პენსია) ამართლებს, რადგან დაბანდებული პენსია მაღალ სარგებელს იძლევა. თუმცა, მეორე მხრივ, იმ ქვეყნებში, სადაც ინფლაცია და რისკები დიდია, შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაგროვილის გაუფასურებას.

დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება ამ სფეროში.

დაგროვებითი პენსია არის შეთანხმება, რომლის თანახმად საწარმო უზრუნველყოფს თავის მუშაკთა დახმარებას სამსახურის დამთავრებისთანავე ან სამსახურის შეწყვეტის შემდეგ. ასეთი დახმარებები, ისევე, როგორც შენატანები პროგრამაში, შეიძლება განისაზღვროს ან შეფასდეს წინასწარ, პენსიაზე გასვლამდე, რომელიმე დოკუმენტის ან საწარმოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით. დაგროვებითი საპენსიო სისტემის კონცეფცია ითვალისწინებს აგრეთვე გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც დასაქმებულს დაგროვებული თანხების გამოყენების შესაძლებლობა ექნება საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის წევრის განათლების დაფინანსება და სხვა. ეს შემთხვევა გარკვეულწილად სისტემის რისკფაქტორადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან დასაქმებულს შესაძლებელია გაუჩნდეს სურვილი, არამიზნობრივად გამოიყენოს ეს თანხები. ამდენად, სისტემის

წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მის ამოქმედებამდე ამ და სხვა რისკფაქტორისკფაქტორების სიღრმისეული შესწავლა.

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამები შესაძლებელია არსებობდეს ორი ფორმით, **დადგენილ შენატანიანი** და **დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის** სახით. ამასთანავე, შეიძლება ცალკე ფონდის შექმნაც, რომელიც შეიძლება არსებობდეს როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსით, ისე მის გარეშე, სადაც გადაირიცხება შენატანები და შემდეგ აღნიშნული ფონდიდან მოხდება საპენსიო დახმარების გადახდა.

დადგენილ შენატანიანი პროგრამა ითვალისწინებს ისეთ საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას, რომლის თანახმად, საპენსიო დახმარებისათვის გასაცემი თანხები განისაზღვრება საპენსიო ფონდში შენატანებისა და შემდგომ ამ ფონდიდან განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების საფუძველზე.

დამქირავებელი იხდის ფონდში განსაზღვრულ თანხას და სხვა არანაირი ვალდებულება არ აქვს, თუ ფონდს არ ექნება საკმარისი სახსრები პენსიების გაცემის უზრუნველსაყოფად. საწარმოს მიერ საპენსიო ფონდში გადასახდელი შენატანების სიდიდე განისაზღვრება დაქირავებულთა ხელფასიდან ფიქსირებული პროცენტის სახით.

დადგენილ შენატანიანი საპენსიო პროგრამის მიხედვით მისაღები პენსიის სიდიდე განისაზღვრება საპენსიო ანგარიშზე დაქირავებულის პენსიაზე გასვლის დროისათვის განხორციელებული შენატანებით და ამ შენატანების გამოყენებით მიღებული საინვესტიციო შემოსავლებით.

რაც შეეხება დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას, იგი უფრო რთულია ვიდრე დადგენილ შენატანიანი პროგრამა. საპენსიო დახმარებისათვის გასაცემი თანხები განისაზღვრება ფორმულით, რომელსაც საფუძვლად უდევს საწარმოში დასაქმებულთა მიერ გამომუშავებული გასამრჯელო და წელთა ნამსახურობა.

ამ პროგრამის არსებითი განსხვავება დადგენილ შენატანიანი პროგრამისაგან ის არის რომ პენსიის სიდიდე განისაზღვრება ბოლო ხელფასიდან და გარანტირებულია დამქირავებლის მიერ. პენსიის სიდიდე არ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ განხორციელებულ შენატანებზე. კომპანია ეწევა მომავალში პენსიების გასაცემად საპენსიო ფონდში გადახდილი ფულადი ნაკადების რისკს და ვალდებულია, საპენსიო ფულადი ნაკადების მართვის პროგრამის ზარალიანობის შემთხვევაში, აანაზღაუროს სახსრების ნაკლებობა.

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამები, რა ფორმითაც არ უნდა არსებობდნენ ისინი, გულისხმობს დამოუკიდებელი საპენსიო ფონდის ფორმირებას, რომელშიც შეაქვთ შენატანები და საიდანაც ხდება პენსიების გადახდა. ასეთ ფონდებს შესაძლებელია მართავდნენ პირები, რომლებიც დამოუკიდებლად განკარგავენ ფონდის აქტივებს. ამ პირებს ნდობით აღჭურვილ პირებს უწოდებენ. აღნიშნული პროგრამების უმრავლესობა დაფუძნებულია ოფიციალურ შეთანხმებაზე.

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის ზემოთ აღნიშნულ მოდელებს თავისი დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია.

დადგენილ შენატანიან პროგრამაში მისი მონაწილის სამომავლო დახმარების თანხა განისაზღვრება დამქირავებლის (საწარმო, კომპანია) ან მონაწილის, ან ორივე მხარის შენატანებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ფონდში შენატანები შეიძლება განახორციელოს დამქირავებელმაც. ფონდის ფორმირება შეიძლება აგრეთვე ფონდის საქმიანობის შედეგებითა და საინვესტიციო შემოსავლებით. დამქირავებლის ვალდებულება იფარება ფონდში განხორციელებული შენატანებით. მონაწილეები დაინტერესებულნი არიან ფონდის საქმიანობით, რადგან იგი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მათი სამომავლო დახმარებების სიდიდეზე. მონაწილეებს აინტერესებთ შემოსულია თუ არა ფონდში შენატანები და ხორციელდება თუ არა ამ თანხების სათანადო კონტროლი. მაშასადამე, დამქირავებელი დაინტერესებულია პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების მომგებიანობით და კანონიერებით, რათა უზრუნველყოს მომავალში გადასახდელი პენსიების სიდიდე.

საწარმოსათვის შენატანები აღიარდება მიმდინარე პერიოდის საოპერაციო ხარჯად და ვალდებულებად, ხოლო განმარტებით შენიშვნებში აისახება: პროგრამის დახასიათება, მიმდინარე პერიოდის ხარჯი, წინასწარ გადახდები ან ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდისათვის.

თითოეული საწარმო ვალდებულია პერიოდულად წარადგინოს დადგენილ შენატანიანი პროგრამის ანგარიშგება, რომლის მიზანია ინფორმაციის მიწოდება მისი მომხმარებლებისათვის პროგრამისა და მისი ინვესტიციების შედეგების შესახებ. აღნიშნული ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

ა) საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებებისა და ნებისმიერი ცვლილების შედეგების აღწერას, რომელიც ეხება პროგრამას, მონაწილეებს, ვადებსა და პირობებს;

ბ) ანგარიშგებას საანგარიშგებო პერიოდის ოპერაციებისა და ინვესტიციების შედეგების, აგრეთვე პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის;

გ) საინვესტიციო პოლიტიკის აღწერას.

რაც შეეხება დადგენილ გადასახდელიან პროგრამებს, მათში საპენსიო დახმარებების გადახდა დამოკიდებულია პროგრამის ფინანსურ მდგომარეობასა და მონაწილეთა უნარზე,

განახორციელონ შენატანები ამ პროგრამაში, აგრეთვე ინვესტიციების შედეგებსა და პროგრამის საოპერაციო ეფექტიანობაზე.

დადგენილ გადასახდელიან პროგრამებში აუცილებელია პერიოდული კონსულტაციების მიღება აქტუარებისაგან (პიროვნება, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ ალბათობების გამოთვლასა და მათ საფუძველზე სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისა და წლიური რენტის გათვლას აწარმოებს), რათა მათ შეაფასონ პროგრამის ფინანსური მდგომარეობა, გადაამოწმონ ვალდებულებები და სამომავლო შენატანების სარეკომენდაციო დონეები.

დადგენილ გადასახდელიანი პროგრამების ანგარიშგების მიზანია, პერიოდულად უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია დროის გარკვეულ პერიოდში დაგროვილ რესურსებსა და პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებებს შორის თანაფარდობის შესაფასებლად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ანგარიშის წარდგენით, რომელიც მოიცავს:

ა) ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი საქმიანობისა და ნებისმიერი ცვლილების შედეგების შესახებ, რომელიც ეხება პროგრამას, მის შემადგენლობას, ვადებსა და პირობებს;

ბ) ანგარიშგებას საანგარიშგებო პერიოდის ოპერაციებისა და ინვესტიციების შედეგების, აგრეთვე პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის;

გ) აქტუარებისაგან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ჩართული იქნება ანგარიშგებაში ან წარდგენილი იქნება ცალკე ანგარიშგების სახით;

დ) საინვესტიციო პოლიტიკის აღწერას.

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამით პენსიების გადახდის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამომავლო გადახდების აქტუარული დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება. იგი არის მომუშავის მიერ მიმდინარე და წინა პერიოდებში გაწეული მომსახურების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების დასაფარად მომავალში გადასახდელი თანხების დისკონტირებული ღირებულება პროგრამის აქტივების ჩათვლით. გაანგარიშება უნდა განახორციელოს კომპანიამ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 26 საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება. 2009.
2. ე. ხარაბაძე. ფინანსური აღრიცხვა, მეორე დონე, თბ., 2012.
3. ნ. კვატაშიძე, ა. ხორავა, ზ. გოგრიჭიანი. ფინანსური აღრიცხვა, მეორე დონე. თბ., 2009.
4. www.iasb.org.IFRS
5. www.deloitte.com
6. www.forbes.ge
7. www.leavingstone.com
8. www.sec.gov/rules/concept
9. www.kpmg.com

Marina Maisuradze

ON PENSION PROVISION PROGRAMS AT THE CURRENT STAGE

Annotation

The Pension Provision Program is an agreement, according to which an enterprise ensures assistance of its officers at the end of services or upon termination of their involvement. Such an assistance can be negotiated beforehand, till retiring of the officers, in compliance with the practice adopted in the enterprise.

The Pension Provision Programs may exist in two forms: The Fixed Contribution Program and the Fixed Payment Program.

Both these programs imply formation of an independent pension fund, in which the contributions are to be made and from which the pensions are to be paid.

რეზო მანველიძე
ნინო ჭილაია

საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია და მისი ეკონომიკური ფენომენი

საკუთრება ნებისმიერი ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის საზოგადოებაში სამეურნეო სისტემის საფუძველია. თანამედროვე თეორიების მიხედვით იგი განიმარტება, როგორც მესაკუთრის უფლება რესურსების ფლობაზე, მის გამოყენებასა და განკარგვაზე.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში განასხვავებენ საკუთრების ორ ძირითად ფორმას: კერძო და სახელმწიფო საკუთრება. განვითარებადი ქვეყნები უპირატესობას კერძო სექტორის განვითარებას ანიჭებენ. ცნობილი ავსტრიელი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის ფ.ფჰაიეკის თანახმად, დედამიწაზე ცივილიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა სწორედ კერძო საკუთრებაა. თუმცა, რაც უფრო დაბალია ქვეყნის განვითარების დონე, მით უფრო მაღალია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი.

მრავალი ქვეყნის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფება კერძო სექტორისთვის ნაკლებად მიმზიდველი საწარმოები, თუმცა, მათი არსებობაც ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის აუცილებელია. ხშირ შემთხვევაში ეს დარგებია - სარკინიგზო ტრანსპორტი, ენერგეტიკა, კომუნალური მეურნეობა, განათლების სფერო, სამხედრო დანიშნულების წარმოება.

საკუთრებითი ურთიერთობები ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ცვლილებათა პერიოდში სუბიექტური ხასიათის პროცესია, რადგან რესურსებს ფლობენ, განკარგავენ და მართავენ როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციული სტრუქტურები და კერძო მეწარმეები. სწორედ ამიტომ, საკუთრებითი ურთიერთობები პერიოდულად ტრანსფორმაციას განიცდის.

საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს ბოლო რამდენიმე ათწლეულია, რაც გამოიწვია პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბებამ, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისებამ, გლობალიზაციის გავლენის შედეგად ტრანსნაციონალური საკუთრების გაფართოებამ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობის მნიშვნელობის ზრდამ. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკუთრებითი ურთიერთობების მამოძრავებელ ძალად პრივატიზაციის ფენომენი იქცა.

საბაზრო განვითარებისა და საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის კვალდაკვალ კერძო საკუთრებაზე უფლების ყველაზე ლიბერალური ფორმა დასავლეთის წამყვან ქვეყნებში ჩამოყალიბდა, სადაც ყურადღებას იქცევს პრივატიზაციის მთავარი თავისებურება, რაც სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით არა დაჩქარებულ და მასობრივ ხასიათს ატარებდა, არამედ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა და წერტილოვანი პრივატიზაციის სახელი დაიმკვიდრა. მე-20 საუკუნის შუა ხანებში სახელმწიფოს წილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საკმაოდ მაღალი იყო – 30-50%-ის ფარგლებში, ხოლო მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის ძლიერი ტალღა და უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის სახელმწიფოს წილი საკუთრებით ურთიერთობებში საგრძნობლად შემცირდა.

აღნიშნული განსხვავების წარმოსაჩენად საინტერესოა, საქართველოში მიმდინარე საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესის შედარება დასავლეთ ევროპის, კერძოდ საფრანგეთში მიმდინარე პროცესზე.

როგორც ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოში საბაზრო პრინციპების განვითარება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. 1921 წლიდან თბილისსა და ქვეყნის სხვა მსხვილ ქალაქებში გაჩნდა შრომის დანაწილების კონკრეტული მიმართულებები, რომლებიც სამრეწველო-სავაჭრო ხასიათის საქმიანობას ეწეოდნენ. 30-იან წლებში უცხოურმა ტექნიკამ და ტექნოლოგიამ, ადგილობრივი მეწარმეების უნარმა და რესურსებმა შეუწყო ხელი შინამრეწველობის განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრებითი ურთიერთობები ქვეყანაში მეტად ეფექტურად, მასშტაბურად და სწრაფად ვითარდებოდა შემდგომ პერიოდში, რუსეთის მმართველობის გააქტიურებამ, გეგმიანი სისტემის თავსმოხვევამ და საბჭოთა კავშირის შექმნამ გამოიწვია საკუთრებითი ურთიერთობების მორყევა, დამანგრეველი საფუძველი ჩაუყარა ეროვნული მეურნეობების ნაციონალიზაციის მავნე პრაქტიკას, რამაც მთლიანად უგულებელყო საბაზრო პრინციპები. 1921 წლის თებერვალი საქართველოს სახელმწიფოებრიობის საწყისი გახდა, რაც 1991 წლამდე გაგრძელდა.

საბჭოთა წყობილების მთავარი პრინციპი კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა იყო. ქალაქად ვითარება შედარებით სტაბილური იყო, ვინადან ფაბრიკა-ქარხნები, ასევე რკინიგზა სახელმწიფო საკუთრებაში იყო გადასული, ხოლო კერძო საკუთრების არსებობის გამო სოფლად შექმნილი ვითარება განსაკუთრებით დიდ საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის. შემუშავდა სოფლად კერძო საკუთრების ლიკვიდაციის ახალი ფორმა - „სოფლის კოლექტივიზაცია“, რაც გულისხმობდა გლეხების გაერთიანებას კოლექტიურ მეურნეობებში, რის

შემდეგაც გლეხის ქონება კოლექტივის საკუთრება ხდებოდა. მიწა ფორმალურად სახალხო სასაკუთრებად, სინამდვილეში კი სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. საფუძველი ჩაეყარა ცენტრალიზებულად მართულ ე.წ. გეგმურ ეკონომიკას და დაიწყო მიღებული მოსავლი კოლექტივის წევრებზე გადანაწილება.

საბჭოთა პერიოდში აიკრძალა თავისუფალი ვაჭრობა და დაიწყო მსხვილი სამრეწველო მონსტრების მშენებლობა. საქართველოში აშენდა ჰიდროელექტროსადგურები, მეტალურგიული ქარხნები, რკინიგზა.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ (1991), პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, ინსტიტუციური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ქონების განსახელმწიფოებრიობა, ანუ პრივატიზება წარმოადგენდა. საქართველოში პრივატიზაცია ტრადიციული სქემებისაგან განსხვავებით განხორციელდა, ვინაიდან უნდა შეცვლილიყო ქონების არა მარტო კონკრეტული მესაკუთრე, არამედ თვით პოლიტიკური წყობაც. საქართველოში საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესის რამდენიმე ეტაპია გამოკვეთილი, მათ შორის:

- პირველი ეტაპი 1991-1996 წლებს მოიცავს. ამ პერიოდში განხორციელდა საბინაო მეურნეობის პრივატიზაცია, დიდი როლი საპრივატიზაციო ბარათების სისტემის გამოყენებამ შეასრულა. პირველ ეტაპზე, საწარმოთა აქციების ნაწილი უფასოდ გადაეცა კოლექტივის წევრებს. მოგვიანებით, 1995 წლიდან სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზაცია სწორედ საპრივატიზაციო ბარათებით, ანუ ვაუჩერებით გახდა შესაძლებელი. ამ პერიოდში კერძო სექტორის წილმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 50%-ს გადააჭარბა.
- მორიგი ეტაპი დაიწყო 1996 წლის ბოლოდან, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ახალი კანონის მიღებით და გაგრძელდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე". მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის დაჩქარება და უცხოური ინვესტორების ხელშეწყობა სპეციალიზებული აუქციონების საშუალებით დაიწყო. თუმცა, მოსახლეობაში ფულადი რესურსების მწვავე დეფიციტის გამო, ეს მეთოდი წარუმატებელი აღმოჩნდა. აქციების მრავალგზის გამოტანის შემდეგ განსახელმწიფოებრიობის დასაჩქარებლად ნულოვანი აუქციონები შემოიღეს. მე-20 საუკუნის ბოლოსთვის უკვე კერძო საკუთრებაში გადასულ საწარმოთა რიცხვი 1000-მდე იყო.
- მესამე ეტაპი დაიწყო 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ. 2003 წლამდე, საკონტროლო პაკეტების გაყიდვის შედეგად ბიუჯეტში შემოსული თანხები არ ხმარდებოდა კომპანიების რეინვესტირებას. შედეგად, საწარმოები ფინანსური პრობლემების წინაშე დგებოდნენ და ყალიბდებოდა არაჯანსაღი საინვესტიციო გარემო. დაიწყო პრივატიზების სხვადასხვა მეთოდების, კერძოდ ტენდერის, აუქციონის, მოდერნიზებული ბიზნესლიცენზირების სისტემის გამოყენება. ყურადღება მიექცა პრივატიზაციის გზით საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, შესაბამისად სახელმწიფომ დაიწყო საპრივატიზაციო ობიექტების ფასის ზრდა. აუქციონზე პირობით გამოტანილი საკუთრების შეძენის მსურველი ახალი კერძო მესაკუთრეები ხშირ შემთხვევაში ვერ ასრულებდნენ ვალდებულებებს, რაც 2005-2007 წლებში ხშირად იწვევდა უკვე პრივატიზებული ობიექტების მესაკუთრეების ცვლილებას. 2006 წლიდან მუდმივი ხასიათი მიიღო ენერგეტიკის სექტორში პრივატიზების ღონისძიებებმა და დღეს კერძო საკუთრებაშია ყველა ელექტროსადგური, გარდა ენგურჰესისა. 2008 წლისათვის კიდევ უფრო შემცირდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა რიცხვი. მსხვილი საწარმოებიდან მხოლოდ რამდენიმე დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში, ისეთები, როგორიცაა რკინიგზა, მაგისტრალური გაზსადენი და ენერგეტიკული ობიექტები. საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2003 წლიდან დღემდე 7000-მდე ობიექტის პრივატიზაცია მოხდა, პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა კი 4 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

საკუთრებითი ურთიერთობის ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, პრივატიზაციას ითვალისწინებდა, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებისა და ზრდისთვის. პრივატიზაციამ და მასთან დაკავშირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ერთი მხრივ, მშპ-ს ზრდის, მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ფისკალური ეფექტის თვალსაზრისით.

საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობდა საფრანგეთში. საფრანგეთში ის მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო და ძირითადად საწარმოთა ნაციონალიზაციას ითვალისწინებდა, მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოდან შეიცვალა ინსტიტუციური რეფორმის მიმართულება და დაიწყო საკუთრებათა განსახელმწიფოებრიობა.

ნაციონალიზაციის პროცესს საფრანგეთში საფუძვლად ედო როგორც კერძო ფირმათა არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა, ასევე გარკვეულ ორგანიზაციათა სტრატეგიულობა, რაც გულისხმობდა, რომ მათ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას შეეძლო დიდი როლი ეთამაშა ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაში. იგი სამ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ:

- პირველი ეტაპი ითვლის 1936-1937 წლებს და შემოიფარგლებოდა სარკინიგზო ინდუსტრიის ნაციონალიზაციით. სახელმწიფომ შეისყიდა საფრანგეთის რკინიგზის აქციათა უმრავლესობა, რომელიც 1982 წელს უკვე სახელმწიფოს მთლიან მფლობელობაში გადავიდა;

- ნაციონალიზაციის მეორე და უფრო ფართო ტალღა ომის შემდგომ პერიოდში – 1944-1946 წლებში განხორციელდა და შეეხო ელექტროენერგიის, ქვანახშირის, გაზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის, სამშენებლო, საავტომობილო და კოსმოსურ მრეწველობას, ასევე საბანკო და სადაზღვეო სექტორებს. ამ პერიოდში, 1700 მცირე ორგანიზაციათა ნაციონალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა ისეთი მსხვილი და წამყვანი ორგანიზაციები, როგორიცაა საფრანგეთის ელექტრო-ენერგია, საფრანგეთის გაზი, საფრანგეთის ელექტროობა და საფრანგეთის ქვანახშირი. 1945 წელს სახელმწიფომ შეისყიდა საავტომობილო ქარხნის - რენოს აქციები. ამ წლებში მოხდა ბანკების და საკრედიტო დაწესებულებების ნაციონალიზაციაც. საფრანგეთის სახელმწიფო სექტორი 1947 წელს 1,15 მილიონ თანამშრომელს ითვლიდა.

- 1982 წელს განხორციელებული ნაციონალიზაციის მესამე ტალღა ითვლება ყველაზე მასშტაბურად და წინა 2 ტალღისგან მკვეთრად განსხვავებული იყო. ამ პერიოდში სახელმწიფომ აქცენტი გააკეთა არა იმ სექტორებზე, რომლებიც ეკონომიკურ სირთულეებს აწყდებობდნენ, არამედ აქცენტი გაკეთდა ფინანსურ და სამრეწველო სექტორზე. 5 ინდუსტრიული ფირმა, 39 ბანკი და 2 ფინანსური კომპანია გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში. 1982 წლის საკუთრების ნაციონა-ლიზაციაზე კანონის შემდეგ 670 ათასი თანამშრომელი საჯარო სექტორიდან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შორის აღმოჩნდა. ამ პერიოდში, საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (გარდა სოფლის მეურნეობის დარგისა) ორჯერ აღემატებოდა კერძო სექტორში დაქირავებულ მუშაკთა რიცხვს.

1986 წლისათვის გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიისგან განსხვავებით, საფრანგეთის სახელმწიფოს როლი ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. საჯარო სექტორი წარმოადგენდა პროდუქციის 21%-ს, გამომუშავებული ხელფასების 23%-ს, მშპ-ის 28%-ს და ექსპორტის 30%-ს. კომპანიების თანამფლობელობა სახელმწიფოსა და კერძო პირის მიერ ხელს უშლიდა ბიზნესის განვითარებას არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო ბაზარზე. გარდა ამისა, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ორგანიზაციები ხშირად აწყდებოდნენ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა, მაღალი ფასი, გადამეტებული ბიუროკრატია, მომხმარებელთა მხრიდან დაბალი შეფასება. სახელმწიფო კონტროლის შემსუბუქებისა და კერძო სექტორის წახალისების მიზნით, საფრანგეთში დაიწყო საკუთრებითი ურთიერთობის ტრანსფორმაციის მეორე მიმართულება - პრივატიზაცია. პრივატიზაცია საფრანგეთის ცენტრალიზებული წესით განხორციელდა, რაც გულისხმობდა ინვესტორისთვის კომპანიათა აქციების გარკვეული პაკეტის შეღავათიან ფასებში მიყიდვას ღია ბაზართან შედარებით. ამასთან, ინვესტორებს აეკრძალათ შესყიდული აქციების გაყიდვა 3-4 წლის განმავლობაში, რათა მესაკუთრეს მისცემოდა შესყიდული საწარმოს რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა. ზოგიერთი კომპანია სრულიად იქნა პრივატიზებული. ხოლო სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ორგანიზაციების (რომლებიც ათასობით შვილობილ კომპანიებსა და სუბსიდიებს ითვლიდნენ) პრივატიზაციის პროცესი დროში გაჭიმული იყო. ამის კარგი მაგალითია საფრანგეთის სატელეკომუნიკაციო ორგანიზაცია, რომლის პრივატიზებაც 3 ეტაპად განხორციელდა.

საფრანგეთში, ნაციონალიზაციის მსგავსად, პრივატიზაციის პროცესიც რამდენიმე ეტაპად შეგვიძლია დავყოთ.

- პირველი ეტაპი ითვალისწინებდა 1986-1993 წლებს. საქართველოსგან განსხვავებით, აქ სა-კუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესი მსხვილი და საშუალო საწარმოების პრივატიზებით დაიწყო. 1986 წლის 6 აგვისტოს საფრანგეთში მიიღეს კანონი, რომელშიც აღნუსხული იყო 28 ორგანიზაცია, რომელთა პრივატიზაციაც უნდა მომხდარიყო მომავალ წლებში. კანონის შედეგად, 1945-1946 წლებში ნაციონალიზებულ ორგანიზაციათა დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაში გადავიდა. 1986-1988 წლებში 15 ორგანიზაციის პრივატიზება მოხდა. შესაბამისად, ამას მოჰყვა სახელმწიფო დაწესებულებაში დაქირავებულ მუშაკთა რიცხვის შემცირება. 1988 წლის ბოლოს სახელმწიფო სექტორი მხოლოდ 1,35 მილიონ თანამშრომელს ითვლიდა, რაც დასაქმებულთა 7,2%-ს წარმოადგენდა. 1991 წელს, საფრანგეთის სატელეკომუნიკაციო ორგანიზაცია ორ კომპანიად გაიყო, მოხდა მათი აქციების პრივატიზაცია, რასაც მოჰყვა დაახლოებით 430 ათასი მუშაკის ავტომატური ტრანსფერი მოხდა სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორში.

- პრივატიზაციის შემდგომი ეტაპი 1993 წლიდან იწყება. 1993 წლის 19 ივლისს მიღებული კანონის თანახმად 21 სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ორგანიზაცია საპრივატიზაციო კომპანიათა რიცხვში მოხვდა. შემდეგი ორი წლის განმავლობაში პრივატიზებულ კომპანიებს შეემატა 10-მდე სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ორგანიზაცია. კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი 88 ათასი ადამიანით გაიზარდა. 2000 წლისათვის პრივატიზირებულ კომპანიათა რიცხვმა 1800 მიაღწია.

- პრივატიზაციის პროცესის ყველაზე მასშტაბური ტალღა 1997 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. 2004-2008 წლებში მოხდა ნაციონალიზაციის შედეგად შექმნილი ორგანი-ზაციების "საფრანგეთის წყლის" აქციათა 15%-ის პრივატიზება და "საფრანგეთის გაზის"-ის აქციების 20%-ის პრივატიზება. 2011 წლის ბოლოსთვის სახელმწიფო ფლობდა აქციათა დიდ ნაწილს 1498 კომპანიაში, რაც გულისხმობს, რომ დასაქმებულთა 3,5% კვლავ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

დღეისათვის ქვეყნის სტრატეგია მიმართულია, აკონტროლოს და სახელმწიფო საკუთრებაში დაიტოვოს ისეთი ჰოლდინგები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ ქვეყნის ეკონომიკაში. საფრანგეთის რესპუბლიკა სრულად თუ ნაწილობრივ 19 კომპანიის აქციებს ფლობს. ეს კომპანიები ძირითადად ფინანსური, საავიაციო, ენეგეტიკული, სატელეკომუნიკაციო, საავტომობილო საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების სექტორში მოღვაწეობენ.

კვლევა გვიჩვენებს, რომ საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესი ნაკლებად პროგნოზირებადია. სწორედ ამიტომ, ის ეროვნულ ხასიათს უნდა შეესაბამებოდეს და კულტურულ-ისტორიული ტრადიციების ერთგვარ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. საკუთრებითი ურთიერთობების გადანაწილება სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი ეფექტურობა დამოკიდებულია ინსტიტუციური მექანიზმების კომპეტენტურობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პავლიაშვილი ს., პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი. 2009.
2. პავლიაშვილი ს., საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის ამოსავალი. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“. N 4, 2009.
3. საყვარელიძე კ., საკუთრების ცნება სამოქალაქო სამართალში. ჟურნალი „ბიზნეს ინჟინერინგი“, N.3, 2012.
4. Berne M.: “Privatisation Experiences in France”, CESifo DICE Report, vol. 3, 2005
5. Chabanas N.: “Nationalisations et privatisations depuis 50 ans”, L’étude de l’INSEE, 2009
6. Legrand M.: “The strategy of the entrepreneurial state in the nationalization and privatization processes : efficiency and distributionnal effects – evidence from rich countries ”. 2011

Rezo Manvelidze
Nino Tchilaia

TRANSFER OF OWNERSHIP AND ITS ECONOMIC PHENOMENON

Annotation

Strength of economic system lies in ownership rights. There are extensive discussions on ownership rights and its socio-economic roles even from antique time and they are perceived differently by the followers of different movements. According to modern theories, the right on ownership of resources, its use and disposal is defined as the property. Two types of property can be distinguished: state and private. Foreign experience shows that the management of ownership rights plays an important role in social and economic development of the country.

The paper deals with providing in-depth description of ownership rights, basic principles of ownership relations, institutional basis of privatization and nationalization and property management approaches adapted in developed, developing and transitional economies. It is worth to mention that in rapidly changed economic and political environment, technological development and waves of globalization evoked the transfer of ownership rights. The difference of this process is emphasized though giving the experience faced by Georgia and France. The comparision of experiences of these two countries is an effective illustration how transfer of ownership rights occurs in countries with different political structure and economic objectives, what are the incentives of this process and results achieved.

Furthermore, the analysis shows that the process of transferring ownership rights is less predictable. It is an important part of the country’s internal and external policy and its effectiveness depends on the competitiveness of institutional mechanisms.

ანი მეგრელიშვილი

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს სტაბილური განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებია. როგორც ვიცით, უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის – მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობაში აისახება ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სწორედ საგარეო ვაჭრობის ქვეყნის სასრგებლოდ წარმართვა უნდა იყოს.

საქართველო მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური კავშირების მქონე ქვეყანაა. თანამშრომლობს პარტნიორების დივერსიფიცირებულ წრესთან. აქტიურად ავითარებს ექსპორტსა და იმპორტს. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ძირითად პრინციპს სწორედ ლიბერალიზმი წარმოადგენს, მაგრამ ვაჭრობაში არსებული ტექნიკური ბარიერბი არსებული პრეფერენციული რეჟიმების გამოყენების საშუალებას არ იძლევა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2007-2015 წლების მიხედვით
(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015* (იანვარ–ოქტომბერი)
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5634	6935	9254	10425	10934	11457	8121
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1232	1495	1134	1677	2187	2376	2910	2861	1832
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	5212	6302	4500	5257	7038	8037	8012	8593	6289
საგარეო სავაჭრო სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4852	-5661	-5102	-5733	-4457

როგორც ვხედავთ, 2007-2015 წლებში მუდმივი უარყოფითი სავაჭრო სალდო შეინიშნება.

თუკი ბოლო მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 8121 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 14%-ით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 1832 მლნ აშშ დოლარია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 10%-ით ნაკლებია. აქედან გამომდინარე, ზოგადი ანალიზით, სახეზეა არცთუ ისე სასურველი სურათი, რაც საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალის დაქვეითებაში პოვებს ასახვას.

რაც შეეხება საქართველოს რეგიონულ საექსპორტო სტატისტიკას, მთლიანი ექსპორტის პროცენტული გადანაწილება რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: ევროკავშირის ქვეყნები – 29%; დსთ-ის ქვეყნები – 38%; ხოლო სხვა დანარჩენი ქვეყნები – 33%.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ახორციელებს საექსპორტო საქმიანობას და, გარდა ამისა, მიაღწია გარკვეულ წარმატებას ახალი საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის საკითხში, ქვეყანას რეალურად სჭირდება ექსპორტის პროფილის მკვეთრი გაფართოება. ამის მიზეზი კი ცხადია – ქვეყნის დღის წესრიგში დგას ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და უარყოფითი სავაჭრო სალდოს შემცირება. ამისთვის კი პირველ რიგში უნდა გავიაზროთ ის პრობლემები, რომლებიც ქვეყნის ექსპორტის ზრდას უშლის ხელს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების პრობლემა. საქართველო მნიშვნელოვნად არის რამდენიმე კონკრეტული ქვეყანის ბაზარზე დამოკიდებული. ეს ქვეყნები კი ძირითადი რეგიონული ქვეყნებია. აუცილებელია, რომ მოიძებნოს ალტერნატიული გასაღების წყაროები და საქართველოს პროდუქცია მრავალ ახალ ბაზარზე გამოჩნდეს. როგორც ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, 2015 წლისათვის ექსპორტის ძირითადი მოცულობა საქართველოს შემთხვევაში მოდის აზერბაიჯანზე (220 546,1 – 12,0%), სომხეთზე (155 666,1 – 8,5%), რუსეთზე (126 391,5-6,9%), თურქეთსა (160 480,9-8,8%) და ბულგარეთზე (175 160,2-9,6%).

აღსანიშნავია, რომ საქართველოსათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის ზრდის პერსპექტივა. იმის დასტურს, რომ საქართველოს რეალურად აქვს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების შესაძლებლობა ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებით, წარმოადგენს „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება“, რის შედეგადაც საქართველოსათვის 28 ქვეყნის 500 მილიონიანი ბაზარი გაიხსნა. DCFTA საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, ეტაპობრივად, შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულების შემთხვევაში შეაღწიოს ევროკავშირის ბაზარზე და მიიღოს ის პრეფერენციები, რასაც ევროკავშირის შიდა ბაზარზე კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება მიანიჭებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სატარიფო ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. იმ შემთხვევაში, თუკი ქართული მხარე სრულყოფილად დააკმაყოფილებს DCFTA-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ქართული პროდუქცია ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა აქვს, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არსებითი მომენტია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდის საკითხში და შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი პროტექციონისტული ზომების გატარება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად.

საქართველომ თავდაუზოგავად უნდა იბრძოლოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. DCFTA-ის ფარგლებში საქართველოს აღებული აქვს კონკრეტული ვალდებულებები და შესაბამისად, საექსპორტო ბაზრების ოპტიმიზაციის კუთხით საქმიანობის ძირითადი ორიენტირი სწორედ აღნიშნული ვალდებულებების ზუსტი შესრულება უნდა იყოს.

მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხია ის, თუ რა სახის პროდუქცია უნდა გაიტანოს საქართველომ ძირითადად ექსპორტზე. დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია სოფლის მეურნეობის

სფეროსა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის გაზრდის თემაც. თუმცა ეს თემა ბევრ საკითხთან არის კავშირში – მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს ზღუდავს სტანდარტების, ფიტოსანიტარიული და მცენარეთა დაცვის ზომების და პირუტყვის დაავადებათა კონტროლის არარსებობაც. კონტროლის გამკაცრება ევროკავშირის ერთ-ერთი პირობაა ევროზონის ბაზრების მეტი ღიაობისთვის. ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის საგანია ლიბერალური ეკონომიკის მხარდამჭერთა მხრიდან, რომლებიც ამ გზით საქართველოს ბიზნესგარემოს გაუარესებას წინასწარმეტყველებენ. ამ შიშებს, შესაძლოა, მართლაც ჰქონდეს საფუძველი, განსაკუთრებით, რეფორმამდელი პერიოდის კორუფციული გამოცდილებებიდან გამომდინარე, თუმცა, ვფიქრობთ, მთავრობამ ამ მიმართულებით აქტიურობა უნდა გააძლიეროს და მაქსიმალურად უნდა კონცენტრირდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ევროპის ბაზრებზე შეღწევისათვის აუცილებელი სტანდარტებისა და ნორმების დაკმაყოფილების საკითხზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოხსენებული სტანდარტების დაუცველობა ქართველი მეწარმეების მხრიდან განპირობებულია მძიმე სოციალური ფონით და არასაკმარისი ფინანსური უზრუნველყოფით. რასაკვირველია, სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგის სუბსიდირებამ შესაძლოა გარკვეული შედეგები გამოიღოს, თუმცა, სახელმწიფომ კერძო სტიმულირებას უნდა შეუწყოს ხელი. საქართველოს საექსპორტო პოტენციალზე საუბრისას აქტუალურია დღეს რუსეთის ბაზრის თემაც. არავისთვის სიახლე არ არის, რომ რუსეთი მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი ბაზარია. თუმცა, ცხადია, რუსეთის ბაზარზე მასშტაბურად გასვლის პერსპექტივა პირველ რიგში დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორებზე და მათი პროგნოზირება დღევანდელი გადასახედიდან საკმაოდ რთულია.

საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარე ექსპორტის რამდენიმე მთავარ საქონელზე დამოკიდებულებაა. საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქცია ასე გამოიყურება: სპილენძის მადნები 11,3; ფეროშენადნობი 9,1 %, მსუბუქი ავტომობილი 8,4 %; თხილი 7,9 %; სამკურნალო საშუალებები 6,0 %; აზოტოვანი სასუქები 5,5 %; ნედლი ნავთობი 4,2 %; ღვინო 4,1 %; მინერალური წყლები 3,7 %; სპირტიანი სასმელები 2,8 %; სხვა დანარჩენი საქონელი 37,0%.

ახალი პროდუქციისა და ახალი ბაზრების მოძიების გარეშე საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პერსპექტივაზე საუბარი წარმოუდგენელია. ამიტომ მთავრობის მთავარი ძალისხმევა, ჩვენი აზრით, არა ერთ რომელიმე ბაზარზე და ერთ რომელიმე პროდუქციაზე მიბმისკენ, არამედ მათი მაქსიმალური დივერსიფიკაციისკენ უნდა იყოს მიმართული. ვფიქრობთ, აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და გაუმჯობესების სტრატეგიის შესწავლა საქართველოს კონტექსტში.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვაჭრობა აუცილებლად საჭიროებს ოპტიმიზაციას. ამისათვის სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული პოლიტიკა უნდა გატარდეს.

ოპტიმიზაცია უნდა განხორციელდეს ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებლების კუთხით, ასევე გეოგრაფიული დივერსიფიკაციისა და მსოფლიო სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით. დიდი ყურადღება უნდა გამახვილდეს ექსპორტის, როგორც რაოდენობრივ ზრდაზე და, ასევე, მის სტრუქტურულ გაუმჯობესებაზე.

ექსპორტის გაფართოება და ოპტიმიზაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ინტეგრაციის ბედი საერთაშორისო თანამეგობრობაში, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების პრობლემების მოგვარება ქვეყნის შიგნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის ნოემბერში შემუშავებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში, სადაც პროგნოზები 2020 წლისთვის არის გაკეთებული, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სწორედ საექსპორტო ბაზრებს.

აღნიშნულ სტრატეგიაში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება, თავის მხრივ, ექსპორტის ოპტიმიზაციას მოახდენს ვაჭრობში ტექნიკური ბარიერების შემცირების გზით, ქმედითი პარტნიორის როლში. ასევე აგრარული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობის გზით, შექმნის ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემებს და მოახდენს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება-გაღრმავებას. სახელმწიფოს მოქმედების მიმართულებები აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება, აგრარული პროდუქციიის ექსპორტის ხელშეწყობა (იგულისხმება DCFTA-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი შესრულება), ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნა; საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება-გაღრმავება.

აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით, ექსპორტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში (%) 2020 წლისათვის 35,7-დან 50-მდე უნდა გაიზარდოს, რაც საკმაოდ ოპტიმისტური პროგნოზია. აგრეთვე მოხდება სხვა მაჩვენებლების ოპტიმიზაცია, რაც პერსპექტივაში ექსპორტის როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ სრულყოფას განაპირობებს.

ამრიგად, საქართველოს სავაჭრო საექსპორტო ბაზრების მაკროეკონომიკური ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის უპირველესი პრიორიტეტია საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს საქართველოს საექსპორტო პროდუქციის როგორც რაოდენობრივ ზრდას, ასევე განაპირობებს უარყოფითი სავაჭრო სალდოს შემცირებას. ეს გახდება საერთაშორისო სავაჭრო კავშირების რაოდენობრივი, სტრუქტურული და გეოგრაფიული ოპტიმიზაციის საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ნათელაური. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ტესტირება. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2014, გვ. 339–349.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020, ნოემბერი, 2013.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი. http:// www.geostat.ge;
4. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ვებგვერდი. http://www.eprc.ge
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი. www.mof.ge
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. www.moa.gov.ge
7. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA); http://www.economy.ge/ge/dcfta

Ani Megrelishvili

MACROECONOMIC REVIEW OF EXPORT POTENTIAL OF GEORGIA

Annotation

International trade relations is on of the main prerequisites for stable development of the country. Georgia has diverse foreign economic ties. Georgia has diversified range of collaborating partners. The state government has implemented a tariff policy and technical regulation reform and accordingly nowadays Georgia has liberal enough foreign trade policy.

According to official data Georgia has negative trade balance.

We can establish the main problems connected with trade relations of Georgia: The problem of diversification of export markets, low international competitiveness, due to the limited financial possibilities lots of entrepreneurs can not afford required standards to raise international competitiveness, The export is depended on several main goods.

Therefore it can be said that the foreign trade need to be optimized. To do this, the government's policy should be deliberate.

The expansion and optimization of export is one of the main part,s of Georgia's economical development strategy. The integration into the international community and reduce of employment problems are significantly connected with troubleshooting of this problems.

ელგუჯა მენაბდიშვილი
ნანა მენაბდიშვილი

საქართველოს დემოგრაფიული ვითარება 2012 – 2014 წლებში

ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ არსებული სტატისტიკური მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ [296] . 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 729 635 კაცი შეადგინა, რაც წინა აღწერის შედეგებთან შედარებით 14,7%-ით ნაკლებია. შემცირება ძირითადად სოფლის მოსახლეობამ განიცადა (სოფლის მოსახლეობა შემცირდა 23,8%, ხოლო ქალაქის – 6,3%-ით), რის შედეგადაც მნიშვნელოვნად არის შეცვლილი წინა აღწერის ქალაქ/სოფლის სტრუქტურა. რაც იმაში გამოიხატება, რომ მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი (57,4%) შეადგენს ქალაქის მოსახლეობას. ეს კი წინა აღწერის შესაბამის მაჩვენებელს 5,1 პროცენტული ერთეულით აღემატება. მხოლოდ ქ. თბილისის მოსახლეობა 3,4%-ით ჭარბობს წინა აღწერის დროს არსებულ მაჩვენებელს. დედაქალაქში მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 5,2%-ული ერთეულით გაიზარდა და 30,0% შეადგინა.

ცხრილი 1

მოსახლეობის რიცხოვნობა 2002-2014 წლებში ქალაქი/სოფელი

	ათასი კაცი		პროცენტული წილი	
	2002	2014	2002	2014
სულ	4372	3730		
ქალაქი	2285	2140	52,3	57,4

[296] სტატიაში მოყვანილი ყველა მონაცემი აღებულია საქსტატის საიტიდან geostat.ge

სოფელი	2087	1590	47,7	42.6

მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა აბსოლუტურად ყველა რეგიონში. წინა 2002 წლის აღწერასთან შედარებით, მოსახლეობის რიცხოვნობის ყველზე მნიშვნელოვანი შემცირება დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (37,4%) და სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში (29%). ყველაზე ნაკლები კი აჭარაში (10,6%).

ცხრილი 2

მოსახლეობის რიცხოვნობა 2002-2014 წლებში რეგიონების მიხედვით

რეგიონი	**2002**	**2014**	**%-ული მატება 2002 წელთან შედარებით**
სულ	4 371 535	3 729 635	-14,7
თბილისი	1 081 679	1 118 035	3,4
აჭარის ა.რ.	376 016	336 077	-10,6
გურია	143 357	113 221	-21,0
იმერეთი	699 666	536 052	-23,4
კახეთი	407 182	319 144	-21,6
მცხეთა-მთიანეთი	125 443	94 370	-24,8
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	50 969	31 927	-37,4
სამეგრელო, ზემო სვანეთი	466 100	331 145	-29,0
სამცხე-ჯავახეთი	207 598	160 262	-22,8
ქვემო ქართლი	497 530	424 769	-14,6
შიდა ქართლი	314 039	264 633	-15,7

ფაქტია, რომ მოსახლეობის უმეტესობა ქალაქებში იყრის თავს. ეს ეხება არა მხოლოდ თბილისს, არამედ ბათუმს (მატება 26,3%-ით) და რუსთავს (7,3%).

2012 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1,7%-ით შემცირდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის განაწილებაში. კერძოდ, დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილების წილი, პირველი შვილის წილი კი შემცირდა. თუ 2011 წელს პირველი შვილის წილი საერთო დაბადებულებში შეადგენდა 47,7%-ს, 2012 წელს ეს მაჩვენებელი 46,2%-მდე შემცირდა. მეორე შვილის კი საერთო დაბადებაში 37,4%-დან 38,1%-მდე, ხოლო მომდევნო შვილების წილი 14,9%-დან 15,6%-მდე გაიზარდა.

2013 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1,7%-ით შემცირდა. პირველი შვილის რაოდენობა 0,5%-ით შემცირდა, მეორე შვილის 1,4%-ით, ხოლო მესამე და მომდევნო შვილების რაოდენობამ 7,7%-ით მოიმატა. 2014 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 4,8%-ით გაიზარდა. პირველი შვილის პროცენტული წილი 1,8 პუნქტით შემცირდა, მესამე და მომდევნო შვილის პროცენტული წილი 1,7 პუნქტით გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილმა უმნიშვნელოდ – 0,1 პუნქტით მოიმატა (საქსტატი 31. 03. 2015).

ცხრილი 3

ცოცხლად დაბადებულების განაწილება დაბადების რიგითობის მიხედვით 2012-2014 წლებში

	2012	**2013**	**2014**
I შვილი	26368	26225	26355
II შვილი	21740	22040	23171
III შვილი	8923	9613	11109
სულ	57031	57878	60635

ის თავისებურება, რაც მესამე და მომდევნო შვილის დაბადების ზრდაში გამოიხატება, გამოხმაურებაა მისი უწმინდესობის შემოთავაზებაზე, რომელიც მან შობადობის ზრდის წახალისების მიზნით გააკეთა. უდავოა, რომ ამ შემოთავაზებამ მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩვენ საზოგადოებაში ნდობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა ეკლესია (79%) და მისი პატრიარქი ილია II (ე. მენაბდიშვილი 412). პატრიარქის მნიშვნელოვან წვლილზე მიუთითებს მისი ნათლულების რიცხვის ზრდაც. 38-ე ნათლობით პატრიარქის ნათლულთა რაოდენობამ 24 000-ს გადააჭარბა.

2012 წელს ცვლილებები განიცადა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის განაწილების სტრუქტურამ დედის ასაკის მიხედვით. 2011 წელთან შედარებით 46,3%-დან 44,2%-მდე შემცირდა 25 წლამდე დედის მიერ ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა. ხოლო 25 წლის და უფროსი ასაკის დედებში შეინიშნება 53,7%-დან 55,7%-მდე მატება. თითქმის უცვლელი დარჩა დედის საშუალო

ასაკი. პირველი ბავშვის დაბადებისას ამ მაჩვენებელმა 24,2 წელი შეადგინა, ხოლო საერთო დაბადებისას 26,1 წელი. 2013 წელს დაბადებულთა საერთო რაოდენობაში 25 წლამდე ასაკის დედების წილი 44,2%-დან 42,6%-მდე შემცირდა, 2014 წელს კი – 40,7%-მდე. 2013 წელს დედის საშუალო ასაკმა პირველი ბავშვის დაბადებისას 24,4 წელი შეადგინა, 2014-ში კი 24,5. მოყვანილი მაჩვენებლებიდან ნათლად ჩანს, რომ ყოველწლიურად მცირდება 25 წლამდე ასაკის დედების რიცხვი დაბადებულთა საერთო რაოდენობაში.

2014 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 1,1%-ით გაიზარდა. მატება დაფიქსირდა 70-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში ორივე სქესის წარმომადგენლებში. კლება განიცადა ქალების 65-69 წლის და 75 წლის ზემო ასაკობრივმა ჯგუფებმა. მამაკაცებში კი 60-69 და 75-79 ასაკობრივმა ჯგუფებმა. 2012 წლისათვის გარდაცვლილთა საშუალო ასაკი მამაკაცისთვის 72,8, ქალისთვის 77,7 წელი იყო. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტმა 2014 წელს 9,5 პრომილე შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1,6 პუნქტით ნაკლებია. 2012 წელს კი ეს მაჩვენებელი 12,5 პრომილე იყო. ხუთ წლამდე გარდაცვლილთა კოეფიციენტი 2014 წელს 10,9 პრომილე იყო, ხოლო 2013 წელს 13,0 პრომილე.

შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების შედეგს თაობათა მუდმივი განახლების პროცესი წარმოადგენს. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში 2012-2014 წლებში ნათლად ჩანს მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 4

ბუნებრივი მატება რეგიონების მიხედვით 2012-2014 წლებში

	2012	2013	2014
საქართველო	7 683	9 325	11 548
ქ. თბილისი	4 114	4 652	5 645
აჭარის ა.რ.	2 459	2 620	2 919
გურია	-388	-335	-243
იმერეთი	-249	-195	-229
კახეთი	-38	93	187
მცხეთა-მთიანეთი	-278	-139	-49
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	-507	-421	-399
სამეგრელო ზემო სვანეთი	-364	-277	-169
სამცხე-ჯავახეთი	251	326	248
ქვემო ქართლი	2 190	2 450	2 977
შიდა ქართლი	493	551	661

ქვეყნის ხუთ რეგიონში ბუნებრივი მატება უარყოფითია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაბადებულთა რაოდენობა ნაკლებია გარდაცვლილთა რაოდენობაზე. ეს ის რეგიონებია, რომლის მოსახლეობაც ძირითადად ქართველია.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდის განმავლობაში რეგისტრირებული ქორწინებების გვერდით ადგილს იმკვიდრებს თანაცხოვრება და რელიგიური ქორწინება. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ოჯახური თანაცხოვრება სულ უფრო გავრცელდა და სხვადასხვა სეგმენტი მოიცვა, რის გამოც ხშირ შემთხვევაში თვლიან კიდეც, რომ მან შეცვალა ქორწინება. ამჯერად რეგისტრირებული ქორწინების შესახებ გვექნება საუბრი.

2012 წელს რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1,5%-ით შემცირდა, მომდევნო წელს 14,1%-ით გაიზარდა, ხოლო 2014-ში 9,1%-ით შემცირდა. გაიზარდა ქორწინების საშუალო ასაკი. პირველი ქორწინების საშუალო ასაკმა ქალებისთვის 26,5, ხოლო მამაკაცებისთვის 29,8 წელი შეადგინა.

რეგისტრირებული განქორწინების რიცხვი 2012 წელს წინა წელთან შედარებით 22%-ით გაიზარდა, მომდევნო წელს 13,4%-ით, ხოლო 2014-ში 12,7%-ით. განსაკუთრებით გაიზარდა განქორწინებები ნულიდან ათ წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებში. 2013 წელს ეს მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 22%-ით გაიზარდა, 2014 წელს კი 27,5%-ით. ყველაზე მაღალია განქორწინებები ერთ წლამდე ასაკის ქორწინებებში (2013 – 6,7%, ხოლო 2014 – 7,7%).

ცხრილი 5

ქორწინება და განქორწინება რეგიონების მიხედვით 2012-2014 წლებში

	2012		2013		2014	
	ქორწინება	განქორწინება	ქორწინება	განქორწინება	ქორწინება	განქორწინება
საქართველო	30412	7136	34693	8089	31526	9119
ქ. თბილისი	7669	2883	8571	3063	8541	3346
აჭარის ა.რ.	3476	574	3564	546	3389	678
გურია	950	146	1096	176	879	188
იმერეთი	5032	1038	5155	1175	4813	1423
კახეთი	2251	477	3904	595	2597	671

მცხეთა-მთიანეთი	581	170	769	194	674	208
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	266	39	277	51	268	44
სამეგრელო ზემო სვანეთი	2973	507	3254	772	2910	791
სამცხე ჯავახეთი	1367	177	1468	169	1392	207
ქვემო ქართლი	3702	706	3987	879	3955	1036
შიდა ქართლი	2145	419	2648	469	2108	527

განქორწინების საშუალო ასაკი ქალებში 36,8 წელია, მამაკაცებში კი 40 წელი.

მოყვანილი მონაცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ქვეყნის დემოგრაფიული პროცესები ხასიათდება მოსახლეობის შემცირებით, შობადობის შემცირებით, ქორწინების გადავადებით, განქორწინების მაღალი მაჩვენებლით. შობადობის კვლევის რეალური მიზეზების შესწავლა ცალკე კვლევის საკითხია, რაზეც ამჯერად არ შევჩერდებით. ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ შობადობის დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას, რის შედეგადაც გარკვეული პერიოდის შემდეგ მომავალი თაობა ნაკლები აღმოჩნდება წინაზე. რაც გარკვეულწილად უკვე აისახა რიგ რეგიონებში. ეს ფაქტი მით უფრო დამაფიქრებელია, რომ ეს რეგიონები ძირითადად მკვიდრი ეროვნებითაა დასახლებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.geostat.ge L
2. ლ. ჩიქავა, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პობლემები, შრომების კრებული, 2014.
3. ე. მენაბდიშვილი, სტუდენტი ახალგაზრდების რელიგიისადმი დამოკიდებულება, ანალები, 2011, №7.

Elguja Menabdishvili
Nana Menabdishvili

THE DEMOGRAPHIC CONDITION OF GEORGIA IN 2012-2014 YEARS

Annotation

By the results of the general census of the population of 2014 the number of Georgian population in comparison to the results of previous general census is decreased by 14,7%. The decrease is shown generally of the rural population (rural population number was decreased by 23,8%, while urban population - by 6,3%). The majority (57,4%) of all the population of the country represents the urban population. The capital city population share in all the population of the country is increased by 5,2% unit and represent accordingly 30,0%. The number of population was decreased in absolutely all the regions. The most substantial decrease was shown in Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti Region (37,4%) and Samegrelo-Zemo Svaneti Region (29%), the less decrease (10,6%) was shown in Autonomous Republic of Adjara.

In the following five regions of the country: Guria, Imereti, Mtskheta-Mtianeti, Racha-Lechkhumi, Kvemo Svaneti, Samegrelo-Zemo Svaneti, the natural increase of population is negative. This indicates the fact that the number of the born is less than the number of the deceased. These are the regions where the population is mainly Georgian.

The number of recorded marriages in 2012 is decreased by 1,5% in comparison to the previous year, in the next year is increased by 14,1%, while in 2014 is decreased by 9,1%. The mean age for the marriage was increased in the same period. The mean age of the first marriage for the women represents accordingly 26,5 year, while for men - 29,8 year.

The number of recorded divorces in 2012 is increased by 22% in comparison of the previous year, for the next year - by 13,4%, while in 2014 - by 12,7%. The divorce rates of the marriages duration from zero to ten years is particularly increased.

The demographic processes of 2012-2014 years are characterized by the decrease of population number, decrease of birth rate, delay of marriages, high rates of divorce.

ლელა მენაბდიშვილი

ქორწინების გადავადების სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები

ქორწინებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. იგი დასაბამს აძლევს ოჯახის ფორმირებას და განაპირობებს ოჯახური სტრუქტურის ცვალებადობას. ქორწინება იმ საზოგადოებრივ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება, რომელიც სწრაფად რეაგირებს ცხოვრების სოცია-

ლურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე. ჩვენს ქვეყანაში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ოჯახის ფორმირებაზე. შევეცადეთ, გაგვერკვია, რამდენად აისახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები ქორწინებაზე.

ნაშრომის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემები და დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თაოსნობით ქ. თბილისში, ქუთაისსა და კასპში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები.

საქართველოში, 1990 წლიდან 2002 წლამდე, პირველი ქორწინება ყველაზე ხშირად ხდებოდა 20-24 წლის მამაკაცებსა და ქალებში. 2012 წელს კი პირველი ქორწინების საშუალო ასაკმა საქსტატის მონაცემების მიხედვით ქალებისთვის 26,5, ხოლო მამაკაცებისთვის 29,8 წელი შეადგინა. შევისწავლეთ საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. საკითხი შევისწავლეთ რესპონდენტთა სქესის, ასაკის, ქორწინებითი მდგომარეობის და განათლების დონის მიხედვით. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ მამრობითი სქესის მქონე რესპონდენტები ქალის ქორწინების საუკეთესო ასაკად საშუალოდ 23,6 წელს თვლიან, მამაკაცებისთვის კი 27,1 წელს.

ქალისათვის ქორწინების საუკეთესო ასაკი დაქორწინებულ, ქვრივ და ქორწინებაში არასოდეს მყოფ რესპონდენტებში მერყეობს 24,0 წლიდან 24,4 წელს შორის. რაც შეეხება განქორწინებულ რესპონდენტებს, მათი აზრით, ქალის ქორწინების საუკეთესო ასაკი საშუალოდ 25,7 წელია. იგივე ტენდენცია გამოიკვეთა რესპონდენტების მხრიდან მამაკაცის ქორწინების ოპტიმალური ასაკის შეფასებისას. იმ რესპონდენტებში, რომლებიც დაქორწინებულები, ქვრივები და ქორწინებაში არასოდეს მყოფნი არიან, მამაკაცის ქორწინების ოპტიმალური ასაკი მერყეობს 27,3 წლიდან 27,7 წლამდე, ხოლო განქორწინებულ რესპონდენტებში ამგვარ ასაკად 30,1 წელია მისაღები.

რესპონდენტთა განათლების დონის მიხედვით იცვლება შეხედულება ქორწინების საუკეთესო ასაკზე. თუ საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებში ქალისათვის ქორწინების საუკეთესო ასაკად მიიჩნევენ 23,5 წელს, მამაკაცებისათვის კი 26,7 წელს, უმაღლესი და უფრო მაღალი განათლების მქონე რესპონდენტებში ქალის ასაკი 24,7, ხოლო მამაკაცის – 28,2 წელია. რესპონდენტთა ასაკის მიხედვით ქალის პირველი ქორწინების ასაკი საშუალოდ 23,5-დან 25 წლამდე მერყეობს, ხოლო მამაკაცის 26,1-დან 28,5-მდე.

ცხრილი 1

რესპონდენტთა დამოკიდებულება ქორწინების ოპტიმალური ასაკისადმი (საშუალო)

	ქალებისთვის	მამაკაცებისთვის
სქესი		
მამაკაცი	23,6	27,1
ქალი	24,7	28,0
ქორწინებითი მდგომარეობა		
დაქორწინებული	24,0	27,3
არასოდეს იმყოფებოდა ქორწინებაში	24,4	27,6
განქორწინებული	25,7	30,1
ქვრივი	24,2	27,7
განათლების დონე		
უმაღლესი და უფრო მაღალი	24,7	28,2
ტექნიკუმი	23,9	27,6
პროფ. ტექნიკუმი	24,2	27,6
სრული საშუალო	23,5	26,7
არასრული საშუალო	24,0	26,8
ასაკი		
< 20	23,5	26,1
20 - 24	23,5	26,5
25 - 29	24,0	27,1
30 - 34	25,0	28,5
35 - 39	24,6	28,4
40 - 44	24,6	28,0
45 +	24,2	27,8

ქვეყანაში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გამოიკვეთა გვიანი ქორწინების მნიშვნელოვანი ზრდა. ეს ტენდენცია ორივე სქესის წარმომადგენლებისათვისაა დამახასიათებელი. 1990 წლიდან 2010 წლამდე 30 წლის და მეტი ასაკის ქორწინება მამაკაცებში გაიზარდა 16,8%-ით, ქალების კი 9,8%-ით. ზრდა კვლავ გრძელდება. 2012 წელს დაქორწინებულ მამაკაცთა 41,2% და ქალთა 26,5% 30 წლის და მეტის იყვნენ. 2013 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა.

ცხრილი 2

30 და მეტი ასაკის დაქორწინებულები სქესის მიხედვით. პირველი ქორწინება (%)

	1990	2000	2010	2011	2012	2013
მამაკაცი	23,9	34,6	40,7	40,5	41,2	43,0
ქალი	13,8	17,3	23,6	24,3	26,5	28,7

ოჯახის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ბავშვის გაჩენა და აღზრდაა. დაგვიანებული ქორწინება, ბუნებრივია, იწვევს ბავშვის გაჩენის გადავადებას და, ქორწინების ასაკი თუ არ ემთხვევა რეპროდუქციის ასაკს, მაშინ ასეთ ქორწინებაში ბავშვთა შობა შეუძლებელია. 2010 წელს დაქორწინებულ ქალთა შორის 2,5% 45 წელს გადაცილებული ქალებია, ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება, თუ 2012 წელს 3,5% იყო 2013 წელს 3,9% შეადგინა[297], რაც იმის მაჩვენებელია, რომ სულ უფრო იზრდება რეპროდუქციის ასაკს გადაცილებული ქალების ქორწინება. მათ ოჯახებში ფაქტობრივად შეუძლებელია ოჯახის სოციობიოლოგიური ფუნქციის – შობადობის განხორციელება. რადგან ნაყოფიერების პროცენტულობა ფაქტობრივად ნულია.

ოჯახის შესაქმნელად საჭიროა ორი საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა სურვილი და მზაობა დაქორწინებისათვის. ქორწინების მოთხოვნილება განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ა.შ. მას განსაზღვრავს ინდივიდის ცნობიერების მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება სოციალური დირებულებების, ნორმების, ტრადიციების გავლენით. ჩვენი ნაშრომის მიზანი ამ საკითხების გაშუქება არ არის, ამჯერად შევეხებით ქორწინების გადავადების მიზეზებს. იმას რის გამოც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, გაცნობიერებულად, უარს ამბობს ან გადაივადებს ოჯახის შექმნას.

რესპონდენტთა 32,5% არ არის დაოჯახებული. შევეცადეთ გაგვერკვია აპირებენ თუ არა ისინი უახლოეს ხუთ წელიწადში დაქორწინებას. აღმოჩნდა, რომ მათი 32,4% ნამდვილად აპირებს ოჯახის შექმნას. 42,8%-ს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, ხოლო 24,8% უახლოეს ხუთ წელიწადში ოჯახის შექმნას ნამდვილად არ აპირებს.

ცხრილი 3

აპირებთ თუ არა დაქორწინებას უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში?

	ორივე სქესი							
	< 20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+	სულ
ნამდვილად ვაპირებ	19,8	31,5	47,3	39,7	51,4	29,7	21,4	32,4
არ გადამიწყვეტია	56,8	53,1	47,3	44,8	28,6	13,5	14,3	42,8
ნამდვილად არ ვაპირებ	23,5	15,4	5,5	15,5	20,0	56,8	64,3	24,8

ჩვენი რესპონდენტები 18-დან 50 წლის ასაკისანი იყვნენ. როცა 22 წლამდე ახალგაზრდა პასუხობს, რომ უახლოეს ხუთ წელიწადში არ აპირებს დაქორწინებას შეიძლება მისაღები იყოს, მაგრამ 30 წელს გადაცილებულთათვის ქორწინების გადავადება კიდევ ხუთი წლით უკვე დაგვიანებულია. დაგვიანებული ქორწინება და დასაქორწინებელთა მაღალი მაჩვენებელი, გარკვეულწილად გამოწვეულია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით. რადგან ქორწინება წარმოადგენს იმ საზოგადოებრივ მოვლენას, რომელიც სწრაფად რეაგირებს საზოგადოების ცხოვრების სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე.

რესპონდენტთა საკმაოდ დიდ ნაწილს – 67,6%-ს ან ჯერ არ გადაუწყვეტია, ან არ აპირებს უახლოეს პერიოდში დაოჯახებას. ეს, რა თქმა უნდა, განპირობებული უნდა იყოს გარკვეული გარემოებებით. რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილისათვის ეს გარემოება არის სასურველი პარტნიორის შერჩევა, ფინანსური მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი პირობები.

ცხრილი 4

თქვენი გადაწყვეტილება, დაქორწინდეთ თუ არა მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, არის თუ არა დამოკიდებული შემდეგ გარემოებებზე

	სრულიად არა	უმნიშვნელოდ	საკმაოდ	მნიშვნელოვნად
თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე	39,9	16,9	19,0	24,2
თქვენს სამუშაოზე	44,0	16,9	18,8	20,2
თქვენს საცხოვრებელ პირობებზე	48,6	18,4	16,3	16,7
თქვენს მშობლებზე	59,5	24,2	10,7	5,6
სასურველი პარტნიორის შერჩევაზე	17,6	5,4	14,0	63,0

[297] საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2013, 67-68.

განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი მიზეზები, რომლებიც გამოწვეულია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით და არა პიროვნულით. რესპონდენტთა 43,2% საკუთარი ქორწინების გადავადებას ფინანსურ მდგომარეობას უკავშირებს, 39% სამუშაოს, ხოლო 33% საცხოვრებელ პირობებს. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ რესპონდენტთა ამ ნაწილს ქორწინების გადავადება მოუხდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მამაკაცები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ქორწინების გადავადებაზე ფინანსური მდგომარეობის გამო (62,9%). ასევე სამუშაოსა (60,2%) და საცხოვრებელ პირობებზე (46,9%). მაშინ როცა ქალი რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი (63,5%) მიიჩნევს, რომ ქორწინება მის ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ამგვარად, ქალები ქორწინებისგან მოელიან ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მამაკაცები კი იმავე მიზეზის გამო ქორწინების გადავადებას ახდენენ.

რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, არა მხოლოდ მათი ქორწინების გადავადების, არამედ, ზოგადად, დაგვიანებული ქორწინების მნიშვნელოვანი მიზეზი დაესახელებინათ. მათ უნდა აღენიშნათ გვიანი ქორწინების მიზეზები სქესის მიხედვით ქალებისათვის და მამაკაცებისათვის ცალ-ცალკე. ქალებისათვის გვიანი ქორწინების მიზეზები სიხშირის მიხედვით ასე განაწილდა, სასურველი პარტნიორის შერჩევა; სამსახური, კარიერა; ცუდი ეკონომიკური პირობები; განათლება; უმუშევრობა. მამაკაცებისათვის კი უმთავრესია ცუდი ეკონომიკური პირობები; სასურველი პარტნიორის შერჩევა; უმუშევრობა; საბინაო პირობები. აღნიშნული მიზეზების გარდა, ჩამოთვლილი იყო ისეთი მიზეზები, როგორიცაა: გარეგნობა, თვითშეფასება; ცუდი ხასიათი; ბედი; ლოთობა; გარე მიგრაცია. ქალებისათვის მითითებულ მიზეზებს დაემატა დამოუკიდებლობა, ამპარტავნება, უშვილობა, ჯანმრთელობა და ცუდი ხასიათი, მაგრამ ისინი რესპონდენტთა იმდენად მცირე ნაწილმა მიუთითა, რომ ერთ პროცენტსაც ვერ აღწევს.

ცხრილი 5

გვიანი ქორწინების ძირითადი მიზეზები რესპონდენტთა სქესის მიხედვით

	ქალებისათვის		მამაკაცებისათვის	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
განათლება	9,3	6,2	0,2	1,1
სამსახური, კარიერა	15,4	22,4	6,8	8,6
გარე მიგრაცია	0,7	0,8	0,2	0,2
უმუშევრობა	2,2	2,4	17,9	22,3
ცუდი ეკონომიკური პირობები	12,6	10,2	45,7	43,5
საბინაო პრობლემა	0,9	0,2	1,8	2,0
სასურველი პარტნიორის შერჩევა	56,5	56,2	26,7	22,0
სხვა	2,4	1,7	0,5	0,6

ქორწინების გადავადების უმთავრეს მიზეზს მამაკაცებში, ორივე სქესის რესპონდენტების აზრით, ცუდი ეკონომიკური პირობები წარმოადგენს. ქალი რესპონდენტები, ამ მიზეზთან ერთად, ყურადღებას ამახვილებენ უმუშევრობაზეც. საზოგადოებაში დამკვიდრებულია მოსაზრება მამაკაცის, როგორც „ოჯახის თავისა“ და „მარჩენლის“ შესახებ. მამაკაცს, პირველ რიგში, უნდა შეეძლოს ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. რასაც ადასტურებს გამოკვლევით მიღებული შედეგები. ქალი ირჩევს „სასურველ პარტნიორს“. სასურველში იგულისხმება ისეთი თვისება, როგორიცაა ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. რადგან ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქორწინებისგან მატერიალურ უზრუნველყოფას მოელის.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა პირდაპირ-პროპორციულად ახდენს გავლენას ქორწინებაზე. ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამოსწორება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქორწინების გადავადების შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, წულაძე, მაღლაფერიძე, ვადაჭკორია. 2011.
2. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, წულაძე, მაღლაფერიძე, ვადაჭკორია, 2013.
3. www.geostat.ge

Lela Menabdishvili

THE SOCIAL ECONOMICAL REASONS OF DELAYED MARRIAGE

Annotation

The substantial increase of delayed marriages of the last two decades is shown in the country. This trend is typical for the representatives of the both sexes. The marriage rates from 1990 to 2010 among 30 and elder age groups of the men is increased by 16,8%, and accordingly by 9,8% among the women. 41,2% of the men and 26,5% of the

women were 30 years of age or elder among the persons married in 2012. This index was further increased during the following years. It was shown that the marriages of the women of over fertility age are increased constantly. It does not exist even the possibility to give birth in a such family.

We have studied the reasons of delayed marriages by sociological research. The sizeable part (67,6%) of respondents have not decided yet or don't intend to get married in the nearest future. The following reasons were named because of this: the desirable partner, financial state, working and living conditions.

The women are expecting the improvement of living standards from the marriage. While for the men this reason is the main for the delaying in marriage. For them the main reason of late marriage is the pure economic status; the choosing of desirable partner; unemployment; living conditions. According to the analyses of results by the cities, the pure economical conditions are first reason among the others everywhere for the men for delayed marriages. It should be noted that the delayed marriages among the men in the country for the most part take place under the influence of existing social-economical conditions.

It was proved by the research, that the social-economic conditions of the country have a directly proportional effect to the marriage rates. For that matter the change and improvement of the existing in the country conditions will be the significant contributing factor in decreasing the rate of delayed marriages.

დავით მესხი

მობილური კავშირგაბმულობის ფორმირებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში

მობილური კავშირგაბმულობის ინფორმაციის მიმოცვლის მოქნილი ინსტრუმენტისა და სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის ფუნქციონირება ხდება კომერციალიზაციისა და ბაზრის მოთხოვნაზე მკაცრი ორიენტაციის პირობებში. კავშირგაბმულობის ეს სფერო, რომელიც ბუნებრივი მონოპოლიის სეგმენტზე ფუნქციონირებს, დამოუკიდებლად ვერ ახერხებს საბაზრო მექანიზმებით კონკურენციის შენარჩუნებას და საჭიროებს მუდმივ მონიტორინგსა და რეგულირებას. პროცესის მიმდინარეობაზე საბაზრო ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტთა გავლენის შესწავლის არადამაკმაყოფილებელი თეორიული დონე და მასზე დიდი პრაქტიკული მოთხოვნა განაპირობებს განსახილველი საკითხის აქტუალობას.

კვლევის მიზანია საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის ფორმირებისა და განვითარების სპეციფიკურ თავისებურებათა გამოვლენა.

შესაბამისად, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა. როგორც ცნობილია, ფიჭური კავშირი სათავეს იღებს 1946 წლიდან (სანტ-ლუისი, აშშ). მან უკვე გაიარა განვითარების სამი საფეხური – 1G, 2G, 2,5G, 3G, 4G ტექნოლოგიები (4 მობილური კავშირგაბმულობის ტექნოლოგიური განვითარების მე-4 ეტაპია, რომელიც მობილური ინტერნეტის უფრო მაღალ სიჩქარეს და ხარისხს უზრუნველყოფს). გაჩნდა WI-MAX ტექნოლოგიებზე აგებული მე-3 თაობის მობილური სისტემის "მკვლელი"- მე-4 თაობის სისტემები. დღეისათვის WI-MAX ფორუმში მონაწილეობს 519-ზე მეტი კომპანია. მიღებულია ამ სისტემის სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ დამყარებულია 4G სისტემით გადაცემის სიჩქარის რეკორდი (შემავალი ტრაფიკი -100 მბტ/წმ, გამომავალი ტრაფიკი 20 მბტ/წმ), 4G ქსელების შესაძლებლობები ამით არ ამოიწურება, რასაც ადასტურებს შამსუნგ-ის მიერ მიღწეული სიჩქარე - 1 გბტ/წმ. ცნობილია, რომ აზიის "ვეშაპები" (იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა) ერთობლივად ამუშავებენ მე-4 თაობის ქსელებს. მსოფლიოში პირველი 4G ქსელი ტესტირებულია ჩინეთში.

ბოლო ათწლეული გამოირჩევა მობილური კავშირის აბონენტთა შეუფერხებელი და მკვეთრი ზრდით მთელ მსოფლიოში. ამას ადასტურებს ის, რომ მონაცემების გადაცემის ტრაფიკმა სატელეფონო ტრაფიკს აშშ-ში 1996 წელს, ხოლო ევროპის სახელმწიფოებში 1999 წელს გადააჭარბა. ამავე პერიოდში, მითითებულ ქვეყნებში მობილური აბონენტების რიცხვმა ფიქსირებული ქსელის აბონენტთა რიცხვს გაუსწრო.

ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც. პირველი მობილური ოპერატორი (მობილური კავშირგაბმულობის პირველი თაობის ამერიკულ "AMPS" ტექნოლოგიაზე აგებული სისტემა "მეგაკომი") ამოქმედდა 1996 წელს. მობილური ქსელის აბონენტების რიცხვმა ფიქსირებული ქსელის აბონენტების რიცხვს 2003 წელს გადააჭარბა.

დღეისათვის, მობილური ოპერატორების აბონენტთა რიცხვის მკვეთრი ზრდის პირობებში, საქართველოს ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე წარმოდგენილია 3 კომპანია: „მაგთი", „ჯეოსელი" და „ბილაინი". მაგთი და ჯეოსელი ფაქტობრივად თანაბრად ინაწილებენ აბონენტთა რაოდენობას. მათი ჯამური საბაზრო წილი ბაზრის 74 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი 26 პროცენტიანი წილი „ბილაინზე" მოდის.





▪ ჯეოსელი საქართველოში დაფუძნდა 1996 წლის სექტემბერში, 1997 წლის 15 მარტს მან განახორციელა პირველი მობილური ზარი, 1,5 მლნ-ზე მეტია მისი აბონენტთა რიცხვი. ჯეოსელის დაფარვის ზონა მოიცავს საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 97%-ს. ქვეყნის გარეთ ჯეოსელის აბონენტები როუმინგ სერვისით სარგებლობენ მსოფლიოს 134 ქვეყანაში.

- მაგთიკომმა კომერციული საქმიანობა 1997 წლის სექტემბრიდან დაიწყო. კომპანიის ქსელი ფარავს საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 98%-ს და ემსახურება 2 მლნ-ზე მეტ აბონენტს.
- „ბილაინი“ ქართულ ბაზარზე შემოვიდა 2007 წლის მარტში, როდესაც ჯეოსელი ფლობდა ბაზრის 55%-ს, მაგთი - 45%. სწორი საფასო პოლიტიკით „ბილაინმა“ მოკლე დროში დიდი გავლენა მოახდინა წილების გადანაწილებაზე და ღირსეული ადგილი დაიკავა ბაზარზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მობილური ოპერატორების „ჯეოსელისა“ და „მაგთისთვის“ ქართულ ბაზარზე შემოსვლა საკმაო რისკებთან იყო დაკავშირებული. არსებობდა პრეცედენტი, როცა სხვა კომპანია („მეგაკომი“) წარუმატებლობის გამო სრულად გავიდა ბაზრიდან. 1997-2007 წლებში მაგთის და ჯეოსელის ტანდემი თანაბრად იყოფდა ბაზარს. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების ტარიფები იყო არაადეკვატური და ხელოვნურად გაზრდილი (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლეის ოთხთვიანი კვლევის შედეგები), ვინაიდან იმ დროს არ არსებობდა მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ფასები, ამ კომპანიებს ჰქონდათ გარკვეული თავისუფლება ტარიფებთან მიმართებაში. ტარიფები 2011 წლამდე ასე გამოიყურებოდა: ჯეოსელის - 28.8 თეთრი წუთში; მაგთის - 32 თეთრი წუთში. 2011 წლიდან კი მარეგულირებელმა კომისიამ დააწესა ზღვრული ტარიფი - 24.4 თეთრი. 2011 წლის მონაცემებით ბილაინს ბაზრის 15% ეჭირა.

2000 წლის 1 ივლისიდან ტელეკომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელს საქართველოში ასრულებს ექვსწლიანი ვადით დანიშნული ხუთი წევრისგან შედგენილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია რვა სტრუქტურულ-ერთეულიანი აპარატით. კომისიას ჰყავს პრესმდივანი და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი სამსახური. კომისია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუდმივმოქმედ დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოს. ის არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას და ვალდებულია, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინოს ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ. მისი შემოსავლის წყაროა ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირებისა და ლიცენზიის მფლობელი ორგანიზაციების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური, რომლის რაოდენობაც შეადგენს დარგში მოღვაწე ყველა კომპანიის შემოსავლის 0.75%-ს.

კომისიის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

• ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობა;

• თანასწორუფლებიანი და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა;

• თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანა-მშრომლობის გზით;

• მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში მობილური აბონენტების რაოდენობამ 2014 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 5.4 მლნ აბონენტი შეადგინა. 2013 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 8.2%-ით გაიზარდა (410 ათასი აბონენტით), მობილური აბონენტების სიმკვრივემ (აბონენტების რაოდენობა გაყოფილი ქვეყნის მოსახლეობაზე) შეადგინა 120.5%.





იმავე ანგარიშის მიხედვით, თვის განმავლობაში აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა (ARPU – Average Revenue per User, დღგ-ს და აქციზის ჩაუთვლელად) 2014 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 6.81 ლარი შეადგინა. 2013 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით იგი 92 თეთრით შემცირდა.

ჯამური გამავალი ტრაფიკი 8.67 მლრდ წუთს უტოლდებოდა. 2013 წელთან შედარებით, ტრაფიკი 9.9%-ით გაიზარდა (780 მლნ წუთით). შესაბამისად გაიზარდა მობილური ტელევიზია, ვიდეოზარი, MMS, როუმინგული მომსახურება, ქსელში ჩართვის საფასური და ა.შ. თუ 2013 წლის მეოთხე კვარტალში იგი 136 წუთს შეადგენდა, 2014 წლის მეოთხე კვარტალში უკვე 138 წთ გახდა.

მობილური ოპერატორების გამავალი ტრაფიკის უდიდეს ნაწილს - 78.5%-ს - საკუთარ მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები შეადგენს. მას მოსდევს სხვა ოპერატორის მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები - 17.3%. ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული ზარების წილი 2.2%-ია, საერთაშორისო ზარების - 1.4%. ყველა დანარჩენი ზარების წილი სულ (ინტერაქტიული, ცხელ ხაზზე განხორციელებული უფასო ზარები) 0.6 პროცენტია.



2014 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ფარგლებში განხორციელებული ზარების (მობილურ და ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული) საშუალო ტარიფი (ზარებიდან მიღებული შემოსავალი, დღგ-ის და აქციზის ჩათვლით, გაყოფილი შესაბამის ტრაფიკზე) 4.0 თეთრი იყო. აღსანიშნავია, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ტარიფი 16.0%-ით არის შემცირებული, რაც ოპერატორებს შორის მძაფრი კონკურენციით არის გამოწვეული.

SMS მომსახურებით 2014 წლის მეოთხე კვარტალში აბონენტთა 63.4%-მა ისარგებლა. 2014 წელს სულ 6.3 მლრდ SMS გაიგზავნა, რაც 2013 წლის მაჩვენებელზე 700 მლნ SMS-ით (12.5%ით) მეტია. კერძოდ, 2014 წლის მეოთხე კვარტალში მომხმარებლის მიერ თვეში გაგზავნილი SMS-ების საშუალო რაოდენობამ 148 SMS შეადგინა, რაც 2013 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5.3%-ით აღემატება.









2014 წლის მეოთხე კვარტალში ინტერნეტმომსახურებით აბონენტების 34.8%-მა ისარგებლა. მოხმარებული ინტერნეტტრაფიკის ოდენობა მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს მან 4,996 ტერაბაიტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 214.3%-ით აღემატება.

გაიზარდა საშუალოდ ერთი მომხმარებლის მიერ მოხმარებული ინტერნეტტრაფიკის ოდენობა. თუ 2013 წლის ბოლოს იგი 123 მბ იყო, 2014 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 303 მბ-ს გაუტოლდა (145.8%-ით მეტი). მიუხედავად მოხმარებული ტრაფიკის მნიშვნელოვანი ზრდისა, ოპერატორების მიერ მიღებული შესაბამისი საცალო შემოსავალი მხოლოდ 24.8%-ით გაიზარდა და სულ 41.8 მლნ ლარი შეადგინა.









მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე ყველაზე მნიშვნელოვანი, კონკურენციის გაჩენის კუთხით, იყო 2007 წელი, როდესაც საქართველოს ბაზარზე შემოვიდა კომპანია "ბილაინი". იგი თავიდანვე არ მალავდა, რომ მისი მთავარი მიმართულება დაბალი ფასის ხარჯზე "ჯეოსელის" და "მაგთის" აბონენტების გადაბირება იქნებოდა.

ორ წელიწადში ერთხელ კომისია ახდენს ტარიფების კორექტირებას. მაგალითად, 22 თეთრიანი ტარიფი ჯერ 18,8 თეთრამდე შემცირდა, შემდეგ 14,8 თეთრამდე, 11 თეთრამდე, გვქონდა 8 თეთრიანი, 6 თეთრიანი და 5 თეთრიანი ტარიფები. ხოლო 2014 წლის ოქტომბერში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან) მობილური საბითუმო ბაზრის ტარიფმა 3,5 თეთრი შეადგინა.

კონკურენცია განსაკუთრებით გამძაფრდა პორტირების ამოქმედების შემდეგ.

სტატისტიკის თანახმად, რომელიც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდზეა განთავსებული, "მაგთის" აბონენტების რაოდენობა 2014 წელს ყოველთვიურად იკლებდა, ხოლო "ბილაინის" და "ჯეოსელის" – მატულობდა.

ამ მხრივ, ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზრისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო 2011 წელი, რადგან 2010 წლის თებერვალში განხორციელებული ნოვაციის, ნომრის პორტაბელურობის დანერგვიდან ერთი წელი გავიდა და შესაძლებელი გახდა პირველი ეფექტების გაზომვა. სიახლის შედეგად, საქართველოს ფიჭური კავშირის მომხმარებელს მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე ნომრისა და ინდექსის შეუცვლელად შეუძლია გახდეს ახალი ქსელის აბონენტი.

პორტირებიდან ერთი წლის განმავლობაში მოიმატა აქტიური სიმბარათების რაოდენობამ და თითქმის განახევრდა მობილურით დარეკვის საშუალო ტარიფი. გადავხედოთ სტატისტიკას: 2011 წლის 15 თებერვლიდან 2012 წლის სექტემბრის ჩათვლით სააბონენტო ნომრის პორტირებით მობილური ქსელის 110 453 აბონენტმა ისარგებლა. ამ ერთი წლის მონაცემებით, მობილურ ქსელში პორტირების ლიდერი მობიტელია (ბილაინი). მობიტელმა სხვა მობილური ქსელებიდან 26763 აბონენტი შეიძინა, ხოლო მობიტელიდან კონკურენტ კომპანიებში 21459 გადაპორტირდა.

მოზიდული აბონენტების რაოდენობით, მობიტელს მცირე სხვაობით ჯეოსელი ჩამორჩება, რომელმაც პორტირების შედეგად 44445 აბონენტი შეიძინა, ხოლო 39338 დაკარგა. სილქნეტმა, რომელიც ახალი ოპერატორია მობილურ ბაზარზე, პორტირებით 67 აბონენტი შეიძინა და მხოლოდ 10 დაკარგა.





ერთადერთი მობილური ოპერატორი, რომელმაც პორტირების შედეგად უფრო მეტი აბონენტი დაკარგა ვიდრე მოიზიდა, მაგთიკომია. მაგთიკომიდან სხვა მობილური ოპერატორების ქსელში 49646 აბონენტი გადავიდა, ხოლო კონკურენტი კომპანიებიდან მაგთიკომში 39178 გადმოპორტირდა.

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია განმარტავს, რომ სააბონენტო ნომრის პორტირების ტექნოლოგიის დანერგვის წარმატება იზომება არა პორტირებული აბონენტების სტატისტიკის სიდიდით, არამედ მობილურ ოპერატორებს შორის მძაფრი კონკურენციის გაღვივების ხელშეწყობით. კონკურენციის გამძაფრება, თავის მხრივ, პირდაპირ-პროპორციულად აისახება მობილური ოპერატორების სატარიფო პოლიტიკაზე. კომპანიებს შორის კონკურენცია 4G-ს შემოსვლამ უფრო მრავალფეროვანი გახადა.

საქართველოში საკმაოდ პოპულარულია მობილური ტექნოლოგიებით ინტერნეტის გამოყენება. „ფეისბუკის“ სარეკლამო სერვისის მიხედვით, საქართველოში 940 ათასი მომხმარებელი ფიქსირდება, რომელიც სოციალურ ქსელს სმარტფონით ან პლანშეტით უკავშირდება. უკაბელო ინტერნეტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონებისათვის, სადაც ტექნიკურად შეუძლებელია სადენიანი ინტერნეტის დანერგვა. გარდა ამისა, 4 დიდი ზომის და მაღალი ხარისხის ფაილების სწრაფად გაგზავნის საშუალებასაც იძლევა, რაც სხვადასხვა დარგის, მათ შორის დისტანციური სწავლებისა და მედიცინის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

საქართველომ მეოთხე თაობის მობილური ინტერნეტის დანერგვა რეგიონში ყველაზე მეტად დააგვიანა. ამ დროისთვის LTE ტექნოლოგია უკვე ხელმისაწვდომია სომხეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში. ამ შესაძლებლობით აფხაზეთშიც სარგებლობენ. იმისათვის, რომ კომპანიებმა მეოთხე თაობის ინტერნეტის გაყიდვა შეძლონ, მათ შესაბამისი ლიცენზია სჭირდებათ; შესაბამისი საკონმდებლო ცვლილებები მხოლოდ გასული წლის ზაფხულში განხორციელდა.

მეოთხე თაობის ფართოზოლოვანი მომსახურების (4G) დასანერგად ლიცენზია 50 782 605 ლარად 2014 წლის დეკემბრის ბოლოს გაიყიდა. შპს „მობიტელი“ (ბილაინი) აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა.

აუქციონზე 800 მეგაჰერცის დიაპაზონში 2100 მეგაჰერციანი მონაკვეთი იყო გამოტანილი და რესურსით სარგებლობის ლიცენზიის საწყისი საფასური 48 364 386 ლარს შეადგენდა. აუქციონზე ერთი ბიჯი 2 418 219 ლარი იყო, რაც საწყისი საფასურის 0.5%-ია დამრგვალებულ მთელ რიცხვამდე.

კომპანია „მობიტელის“ დირექტორმა კომისიას დაუდასტურა ლიცენზიის საწყის საფასურს (48 364 386 ლარი) დამატებული ერთი ბიჯის საფასურის (2 418 219 ლარი) გადახდის მზაობა (50 782 605 ლარი), რის შემდეგაც კომისიამ შპს „მობიტელი“ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა.

4 ინტერნეტის დანერგვასთან ერთად, გაიზარდა ინტერესი საქართველოს მობილური ბაზრის მიმართ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოს ბაზრით მსხვილი ევროპული კომპანიები დაინტერესდნენ, რომლებიც ამჟამად ქართულ ბაზარზე არ ოპერირებენ. თუმცა, კონკრეტული კომპანიები ჯერ არ სახელდება. არც მობილურ ოპერატორებს აქვთ ინფორმაცია ახალი მოთამაშის შესახებ.

ისევე, როგორც ბიზნესის ნებისმიერ სფეროში, აქაც, სატარიფო კონკურენციასთან ერთად, მნიშვნელოვანი თემაა არასატარიფო კონკურენცია და სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა გააჩნდეს ყველა ბიზნესკომპანიას.

უკანასკნელი წლების კვლევები ცალსახად ადასტურებს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულების შესრულება, ის კეთილმეოფელ გავლენას ახდენს კომპანიის უშუალო ბიზნესსაქმიანობაზეც, რადგან ხელს უწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი იმიჯის გაუმჯობესებას, ეხამ-

რება კომპანიას, უკეთ მართოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, მოიზიდოს ინ-ინვესტორები, ხანგრძლივად შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა თანამშრომლებთან, მომწოდებლებ-თან, კლიენტებთან და ა.შ.

სამწუხაროდ, საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობა კარგად არ არის გააზრებული. ამას ადასტურებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კვლევა. გამოკითხულ ბიზნესმენთა 29%-მა არ იცის, თუ რა არის სოციალური პასუხისმგებლობა. 70%-მდე რესპონდენტი სოციალურ პასუხისმგებლობას განიხილავს, როგორც პასუხისმგებლობას თანამშრო-მელთა მიმართ, გადასახადების გადახდას, ბიზნესის გამჭვირვალობას. ბიზნესმენთა მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა სოციალური სფეროს დაფინანსებას, საზოგადოებაზე ზრუნვას, დასაქმების პრობლემის მოგვარებას გულისხმობს.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ტელეკომუნიკაციების დარგში განხორციელებულ მრავალ საინტერესო ცვლილებას და დამოუკიდებელი ეროვნული კომისიის მიერ გატარებულ რიგ ღონისძიებებს მოყვა ამ დარგის დინამიური და ტექნოლოგიური განვითარება; ამასთან გაიზარდა კონკურენცია სუბიექტებს შორის, რაც დადებითად აისახა მომსახურების ფასებში. განსხვავებით ტელევიზიისა და ინტერნეტის ბაზრისგან, დღეს მომხმარებლები აღარ უჩივიან მაღალ ფასებს მობილურით საუბარზე, მთავარ გამოწვევად იქცა ტექნოლოგიური სინქრონიზაცია მსოფლიო ტექნოლოგიების განვითარებასთან და კონკურენტული გარემოს შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bedianashvili G., Gogiashvili Sh., Pavliashvili S. – European union, Georgia and institutional environment on competition – European Cooperation (Scientific Approaches and Applied Technologies #5, Warshawa, 2015, c. 9-24.
2. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში. თბ., "ინოვაცია", 2009.
3. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური საკითხები). თბ., "ლოი", 2012.
4. საქართველოს კანონი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", 2012.
5. საქართველოს კანონი "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესა-ხებ", 2012.
6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 და 2014 წლის წლიური ანგა-რიში.
7. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5704
8. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3200
9. http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/Mobile.pdf
10. http://www.bpn.ge/analizi/3334-internetis-siiafitha-da-khariskhith-saqarthvelo-skhva-qveynebs-mnishnvelovnad-chamorcheba.html?lang=ka-GE
11. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=115623
12. არასამთავრობო ორგანიზაცია „აფბას" კვლევა „ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარი საქართველოში", 2013.

David Meskhi

TENDENCIES OF FORMATION AND DEVELOPMENT OF MOBILE COMMUNICATION IN GEORGIA

Annotation

In this article I discuss history of mobile communications development in Georgia, also analyzed its dynamic of development and revealed tendencies. Great attention is given to the role and functions of Communication's independent regulatory commission during limited competitions (a natural monopoly segment) in order to protect interests of business entities and consumers.

ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი

ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციები

ტურიზმი ბიზნესის ერთ-ერთი სახეა და აუცილებელია მისი მარკეტინგული მიდგომით წარმართვა. მხოლოდ მარკეტინგის გამოყენებით შეუძლია ტურისტულ ფირმას საქმიანობის მომგე-ბიანად განხორციელება და ბაზრის წილის მოპოვება. ცხადია, თუ ტურისტული ფირმის მენეჯერმა ბიზნესი არ დაინახა მომხმარებლის თვალით, არ გაითვალისწინა მისი ინტერესები, მისი საქმია-ნობა ვერ იქნება ეფექტიანი და შესაძლებელია კრახითაც დამთავრდეს. ტურისტული ბიზნესის მომხმარებელთა მოთხოვნილებების მიხედვით წარმართვა ობიექტური აუცილებლობაა და არა მენეჯერების თვითმიზანი.

ტურიზმის მარკეტინგის არსი მის ფუნქციებში გამოიხატება. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციებთან დაკავშირებით.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია გამოყოფს ტურიზმის მარკეტინგის სამ ფუნქციას. მათ მიეკუთვნება:

- კლიენტებთან კონტაქტის დამყარება;
- განვითარება;
- კონტროლი.

კლიენტებთან კონტაქტის დამყარებაში იგულისხმება მათ მიერ ტურისტული პროდუქტის შეძენა. განვითარების ფუნქცია ითვალისწინებს ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნას, მათი გასაღების ახალი შესაძლებლობების გამოვლენას და ტურისტების მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას. კონტროლის ფუნქციაში გათვალისწინებულია ტურისტული პროდუქტის ბაზარზე წინ წაწევის მდგომარეობის ანალიზი და ტურისტული ფირმის შესაძლებლობების გამოყენების მიმართულებების გარკვევა.

ჩვენი მოსაზრებით, ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციების ასეთ ჭრილში წარმოდგენა ძალიან ზოგადია და ვერ ასახავს მარკეტინგის არსს ტურიზმის სფეროში. ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციებში გამოკვეთილი უნდა იყოს დარგის მარკეტინგისთვის დამახასიათებელი თავისებურებები მარკეტინგის საერთო ფუნქციების ფონზე. ვფიქრობთ, არ არის მიზანშეწონილი, როცა ფუნქციაში – კონტაქტის დამყარება კლიენტებთან აქცენტი კეთდება მხოლოდ მათ დარწმუნებაზე – შეიძინონ შეთავაზებული ტურისტული პროდუქტი. ამ შემთხვევაში ყურადღება გადატანილია მხოლოდ არსებული პროდუქტის გასაღებაზე და ყურადღების მიღმაა დარჩენილი ტურისტული პროდუქტების შექმნა ტურისტების მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მაშასადამე, წინ არის წამოწეული მხოლოდ პროდუქტზე ორიენტირებული მარკეტინგი. ვფიქრობთ, ძალიან ზოგადია ტურიზმის მარკეტინგის მეორე ფუნქციის ფორმულირებაც – განვითარება. მიგვაჩნია, რომ საჭირო იყო ხასგასმა ტურისტული პროდუქტის განვითარების საფუძველებზე, რაც შეიძლება იყოს როგორც ტურისტების მოთხოვნილებები, ისე მენეჯერების მოსაზრებები პროდუქტის სრულყოფის შესახებ ან ორივე ერთდროულად. ჩვენი შეხედულებით, კონტროლი არის არა ტურიზმის მარკეტინგის, არამედ ტურიზმის მენეჯმენტის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს დასახული გეგმების კორექტირებას რეალურად არსებული მდგომარეობის შემოწმების ბაზაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციებს სამ დონეზე განიხილავენ, კერძოდ, საზოგადოების, რეგიონის და ინდივიდუალური მომხმარებლის დონეზე. თითოეულ შემთხვევაში მარკეტინგის ფუნქციები განსხვავებულად არის წარმოდგენილი.

ჩვენი აზრით, ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციები უნდა ჩამოყალიბდეს მარკეტინგის ფუნქციების საფუძველზე და იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ტურიზმის სფეროს ახასიათებს. თუმცა, როგორც ცნობილია, დღეს მარკეტინგის ფუნქციების შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. სხვადასხვა შეხედულებების ანალიზის საფუძველზე ჩვენ მარკეტინგის ფუნქციები ასე გვაქვს ჩამოყალიბებული:

- ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა;
- სასაქონლო ასორტიმენტის განსაზღვრა;
- საბაზრო სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- მოთხოვნის ფორმირება და გასაღების სტიმულირება.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციებად მიგვაჩნია:

- ტურისტული ბაზრის კომპლექსური შესწავლა;
- მომხმარებლისთვის/ტურისტისთვის შესათავაზებელი პროდუქტების განსაზღვრა და შექმნა;
- ტურისტული პროდუქტის გაყიდვის სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ფორმირება და გასაღების სტიმულირების მეთოდების დადგენა.

ტურისტული ბაზრის კომპლექსურ შესწავლაში ვგულისხმობთ ტურისტების და ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი ტურისტული პროდუქტების, გაყიდვის არხების კონკურენციის ურთიერთკავშირში გამოკვლევას. ტურისტული ბაზრის შესწავლის შედეგები ტურისტული ფირმის მენეჯერებს უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ინფორმაციით. სწორი მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევის მასალების სათანადოდ გაანალიზების საფუძველზე მიიღება მონაცემები, რომლებიც ეხმარება ტურისტულ ფირმებს პოტენციური ტურისტების რაოდენობის და არსებული ტურისტული პროდუქტების სრულყოფის ან ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნის გზების დადგენაში. პოტენციური ტურისტების მოთხოვნის შესაბამისად შექმნილი ტურისტული პროდუქტების გაყიდვის ალბათობა დიდია და საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

ტურისტული პროდუქტების გაყიდვის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში უნდა გამოიყოს რამდენიმე მიმართულება, კერძოდ:

- გაყიდვაში არსებული ტურისტული პროდუქტებით ტრადიციულ ბაზრებში უფრო ღრმად შეღწევის სტრატეგია, რაც ზრდის გაყიდვის მოცულობას;
- ახალი ტურისტული პროდუქტების ტრადიციულ ბაზრებში გაყიდვის სტრატეგია;
- გაყიდვაში არსებული ტურისტული პროდუქტების ახალ ბაზარში/ბაზრებში გატანის სტრატეგია და ტურისტული ფირმების სამოქმედო არეალის გაფართოება;
- ახალი ტურისტული პროდუქტებით ახალ ბაზარში/ბაზრებში შეღწევის სტრატეგია. ეს ყველაზე სარისკო სტრატეგიაა, რადგან ტურისტულ ფირმებს განუსაზღვრელობის მაღალი დონის პირობებში უწევთ მუშაობა.

ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნის ჩამოყალიბების საფუძველი, პირველ რიგში, პოტენციურ ტურისტებთან ურთიერთობის დამყარებაა. ურთიერთობის პროცესში პოტენციურ ტურისტებს აცნობენ ტურისტული პროდუქტების მახასიათებლებს, უპირველეს ყოვლისა კი იმ სარგებელს, რასაც ისინი მიიღებენ შეთავაზებული პროდუქტის ყიდვის შემთხვევაში. მოთხოვნის ჩამოყალიბების მიზნით აქტიურად გამოიყენება რეკლამა, უშუალო კონტაქტი ტურისტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის ინსტრუმენტები. მოთხოვნის ფორმირების მიმართულებით გატარებული ღონისძიებების ბაზაზე პოტენციური ტურისტები რეალურ ტურისტებად გადაიქცევიან, რაც, ცხადია, ზრდის ტურისტული პროდუქტების გაყიდვის მოცულობას. ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გაყიდვაში არსებული ტურისტული პროდუქტების გასაღების სტიმულირებას. ამ მიზნით გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები (ფასების შემცირება, პრემიალური გაყიდვა . . .), რომლებიც აჩქარებენ რეალიზაციის პროცესს და ხელს უწყობენ ტურისტული ფირმების ეფექტიანად მუშაობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი, მარკეტინგის აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2012.
2. Дурович А. П. Маркетинг в туризме, Минск, 2001.

Babulia (Dodo) Mghebrishvili

FUNCTIONS OF TOURISM MARKETING

Annotation

In the article the author has stated her opinions about the functions of tourism marketing. In tourism marketing she has included: comprehensive study of tourism market; determination and creation of the product to be offered to consumer/tourist; formulation of the strategy/ies for selling tourist product; formation of the demand on tourist product and determination of the stimulation methods for its selling;

In comprehensive study of tourist market the author means the research on competitiveness of tourist product and the ways of its selling on the market. According to her opinion it will be possible to identify would- be tourists and the ways for the improvement of tourist products existing on the market or creation of new tourist products on the basis of the materials obtained through the research.

In the article there is discussion on tourist product/products selling strategies in connection of consumers' market innovation. These strategies are: strategy for penetrating the traditional tourist product market; strategy for selling new tourist product on existing markets; strategy for exporting tourist products existing on sale to new market/markets; strategy for penetrating new market/markets with new tourist product.

In conclusion there is given an explanation of the formation of demand on tourist product, its essence and significance for effective functioning tourist enterprise.

Thus, in this article there are formulated different opinions about the functions of tourism marketing and their essence.

რამაზ ნამიჭეიშვილი

უმაღლესი ეკონომიკური აზროვნების დეგენერაცია, ანუ განათლების ტრეფიკინგი

რამდენი ხანია თვალს ვადევნებ ლარის კურსზე მიძღვნილ გადაცემებს, ათასგვარ რაიმეს მისწვდებიან და გადაწვდებიან, მაგრამ ერთს ყოველთვის მუდმივად ხელუხლებლად ტოვებენ – ეკონომიკის ლიბერასტული მოდელი ფუკუიამას საბოლოო ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, რომლის მიმართ ცოდვილი ყოფილა ყველა დანარჩენი. ბრწყინვალედ თქვა პერიკლემ: სითხე კი არა, ჭურჭელია გახრწნილი. უფრო ცუდია ისეთი ყოფა, როცა სითხეც და ჭურჭელიც ორივე გახრწნილია. გამოსავალი ერთია: სითხე უნდა გადაღვარო, ხოლო ჭურჭელი გარეცხო, თუკი ეს შესაძლებელია, თუ არა და მაშინ ორივე უნდა შეცვალო ახლით. აქედან ისიც ჩანს, რომ სითხესა და ჭურჭელს პატრონი უნდა ჰყავდეს.

ლარის კურსის დაცემას ზოგი ეროვნულ ბანკს აბრალებს, ზოგიც – ფინანსთა ინსტიტუტს, ზოგი კიდევ ეკონომიკის სამინისტროს ან ყველას ერთად. ბევრი იხტიბარს არ იტეხს – მეც ვიცი,

და მხოლოდ გარეშე ფაქტორებს ჰკიდებს სიმძიმეს – საბერძნეთში კრიზისია, უკრაინაში ომი, რუსეთს დასავლეთი უბლანდავს სანქციებს და ამის გამო ქვეყანას გარედან შემოსავლები აკლდება. ვის ხელშიც ყველაფერი ეს თავმოყრილია, ჩუმად არის, თუკი რაიმეს ჰკითხავენ, მიბლანდ-მობლანდავს მკითხველის გაურკვევლობაში გადასაგდებად. მკაცრად თუ მოჰკითხავენ, ფინანსური იმპერიის სინედრიონიდან თითს დაუქნევენ, ჭკუით იყავით, უარეს დღეში არ აღმოჩნდეთო. ხელისუფლება მარაქაშია. გამწარებული ხალხი შფოთავს მხოლოდ, დღეები გაჭრილი ვაშლის ნახევრებივით ემსაგვსება ერთმანეთს.

ყველაფერი სათავეს იღებს 1991 წლიდან. ეს ჰამლეტ ჭიპაშვილმაც აღნიშნა ამას წინათ ტელეეთერში გამოსვლისას. ნაცვლად იმისა, რომ სსრ კავშირის რესპუბლიკებად დაშლის პროცესებით ქვეყნის სასიკეთოდ გვესარგებლა, რუსეთს სალანძღავად მივადექით და ეკონომიკური კავშირები გავწყვიტეთ. საბჭოთა კავშირის დაშლით წარმოქმნილი ციებ-ცხელება დამცხრალი არ იყო, რომ მაშინვე რუსეთს ვესროლეთ ხელთათმანი. ამას ჭკვიანურ პოლიტიკას ვერ დაარქმევ. საბჭოთა კავშირის რუსეთის ელიტარული და მოღალატე ინტელიგენციის სისულელეებით ვერ ვისარგებლეთ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მიმხრობის ნაცვლად, უფრო გავაღიზიანეთ, ვიდრე მანამდე იყო. უჯარო ქვეყანამ ხელში რუსებისაგან დატოვებული იარაღი აიღო და რუსებს მიუშვირა, რომლის არმიები ჩვენი ქვეყნის ბაზებზე იდგნენ. მაშინდელ ხელისუფლებას არა მარტო ქვეყნის მართვის გამოცდილება არ ჰქონდა, უმადურობაც გამოიჩინა და უნიჭიერესი ინტელექტუალები, რომლებმაც მათ ქვეყნის სათავეში მოსვლას მხარი დაუჭირეს, პარლამენტიდან დემონსტრაციულად გაყარა და მტრებად თუ არა, უკმაყოფილო მასად აქცია. ადგილი გაუჩნდა გაიძვერა, მძარცველ და თაღლითურ მასას, რომელიც ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეებს წაეტანა, გაანიავა და მიიტაცა. ამ აურაცხელ ზარალს დღემდე არ ვითვლით თითქოსდა წლების წვიმებმა ნაქურდალთა და მძარცველთა ნაკვალევი ჩარეცხა. საქართველოს იმდროინდელი სამოქალაქო ომი ჩვენი ისტორიის კიდევ ერთი ბინძური ფურცელია. ქვეყანა სწრაფად დაუძლურდა და „ქართლის ჭირი“ მაშინვე შეგვეყარა. ყველაფერი ამერიკული სცენარით წარიმართა – დამშეულებს პურის ნატეხები მოგვიყარეს და ჩვენც ამერიკიდან ამოგვივიდა მზე.

რუსეთთან და სსრ კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების მყისიერმა გაწყვეტამ ჩვენი სამშობლოს მოსახლეობის მასობრივი უმუშევრობა გამოიწვია, რასაც მაშინ მოქმედი პროფესიული სასწავლელებისა და ტექნიკუმების ასევე მასიური გაუქმება მოჰყვა. დასაქმების ერთადერთი მინდორი უმაღლესი ინსტიტუტები აღმოჩნდა, რომლებიც აბიტურიენტთა მოზღვავებას ვერ აუდოდა. ამას ემატებოდა იმ ადამიანების მასა, რომელთაც ხელისუფლებაში მოხვედრა იოლად შეეძლო, მაგრამ დიპლომი არ ჰქონდა. კერძო ინტერესებმა გაიმარჯვა – იფეთქა კერძო სასწავლელების ნიაღვარმა და დაიწყო უნიჭო მასების გადიპლომიანების ბაკქანალია. დღითი დღე იხსნებოდა აკადემიები და უნივერსიტეტები, რომელთა რაოდენობა 2010 წელს 200-საც გადასცდა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრად ქცეული სანტექნიკოსი ლომაია გაშმაგებული ენერგიით დაერია სახელოვან და ცნობილ მეცნიერებს და უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოდევნა ისინი. ხელის ერთი გადასმით გააუქმა ათეული წლები ქვეყნის სამსახურში მყოფი კვლევითი ინსტიტუტები. მარტო მეჩაიეობის, მევენახეობის, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტების გახსენებაც რად ღირს. დასავლეთ საქართველოში მოქმედი ერთადერთი მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი ყოფილ წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს მიუერთეს, საინჟინრო სპეციალობები გააუქმეს და ჰუმანიტარულ მიმართულებებზე გადაიყვანეს. ახლა საქართველოს ლიხს აქეთა ნახევარს ტექნიკური აზროვნების განახლების საკუთარი არანაირი ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულება არ გააჩნია.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე, საქართველოში განათლების დონე იქამდე დაეცა, რომ მისი შედარება გასული საუკუნის 80-იანი წლების შესაბამის მაჩვენებელთან მწუხარე განცდებს იწვევს და უიმედობის განწყობას ქმნის. ამ ბოლო 10 წლის მანძილზე ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ლამის ნახევარი მილიონი კურსდამთავრებულიდან 80%-ზე მეტი უმუშევარია. ის 19 თუ 20% რა სახის სამუშაოთი არის დაკავებული, ეს სხვა საკითხია. ამის მერე მკითხველს არ გაუკვირდება ის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი ნახევარი საუკუნისა და უფრო ნაკლები ასაკის ადამიანებს უმაღლესი პროფესიულობის დეფიციტი აშკარად ატყვიათ. ამას ჩვენ, ვისაც სამშობლო გვიყვარს, ისინი ვამბობთ, თორემ სხვებისთვის სახელისუფლო არაპროფესიონალები ნამდვილი პროფესიონალები არიან, ვინაიდან ფინანსური იმპერიის დავალებებს ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ. ეს „პროფესიონალები“ განათლებას ისეთი წიგნებით იღებენ, რომელიც ფინანსური იმპერიის ინტერესებს შეესაბამება. მათ ეროვნული და ქართული არაფრად ეპიტნავებათ, ვინაიდან მსოფლიო მეურნეობის მოქალაქეს ზნეობრივი და მორალური, ტრადიციული, მართლმადიდებლური, ქართული სული არაფერში ესაჭიროება. არის პროფესიული განათლების მეორე ხერხი, ეს არის ტრენინგი, რომელიც მის მონაწილეს გონებაში უჭედავს კონკრეტულ ცოდნას ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად. მაგალითად, გვასწავლიან, რომ საქართველოს ეკონომიკის აყვავების ერთადერთი გზა არის ევროკავშირში გაწევრიანება. ამის გამო მთელი ქვეყანა იმის მოლოდინშია, თუ როდის გაწევრიანდება ევროპაში, მეტი არაფერია საჭირო, ავყვავდებით. ხელისუფლება ამ შტამპით აბრმავებს თავის ხალხს. უაპელაციოდ ითვისებენ ყველაფერ

იმას, რასაც დასავლეთიდან კარნახობენ. არაფრად აინტერესებთ ის, რომ კაპიტალიზმი რანაირი სახელით არ უნდა მოინათლოს. იგი პოსტინდუსტრიულით, საბაზრო ეკონომიკით, ინფორმაციული საზოგადოებით უფრო ჰუმანური კი არა, თანდათან სასტიკი და მძარცველი ხდება. მუქთად ითვისებენ განვითარებადი ქვეყნების ბუნებერივ რესურსებს, სამუშაო ძალას. მათი ეკონომიკის მატერიალური წარმოება თანდათან იქცევა ბუნებრივი რესურსების მოხმარებისა და გარემოზე ზემოქმედების დანაშაულებრივ საქმიანობად[298] .

ყველაფერი დასავლური სანიმუშოა. საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას ჩამორჩენილობად და უცოდინარობად ჩამოგართმევენ ან საერთოდ წაგიყრუებენ. 2010 წელს ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე წარვადგინე მოხსენება: „საქართველოს ევროპიაზცია ანუ მისი ეროვნულობის დასასრული". გაუჭირდათ უარის თქმა, დაბეჭდეს, მაგრამ სექცია, სადაც უნდა გამოვსულიყავი, საერთოდ არ შედგა. არც არავინ გამომხმაურებია სარედაქციო შემადგენლობიდან. აგერ სულ ახლახან, ევროკავშირის ერთმა ჩინოსანმა, ალბათ შევეცოდეთ და პირდაპირ განაცხადა: ევროკავშირში ახლა თქვენი შესვლა ზარალის მეტს არაფერს მოგიტანთო. სწორია, სულის მღაფავი ეკონომიკური ობიექტები დადუმდებიან, მოსახლეობა გადამფრენი ფრინველებივით „თბილ" ევროპას მიაშურებს, ხოლო ქართულ მიწა-წყალს უცხოელები დაიკავებენ.

ტრენინგით განათლებულები ქვეყნის ხსნას უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში ხედავენ, რადგან არ იციან, რომ ბუნებრივი რესურსების მსოფლიო დეფიციტის პირობებში ინვესტორები ეროვნული სიმდიდრისაგან გაგვფცქვნიან როგორც ეს რუსეთის პირობებში ხდება. რუსეთის ეკონომიკა რუსულია იმდენად, რამდენადაც კომპანიები მის ტერიტორიაზე მდებარეობენ. მსხვილი და საშუალო კომპანიების ერთ ნაწილს უცხოელი ინვესტორები მართავენ და აკონტროლებენ, ხოლო მეორე ნაწილს – შინ გამოზრდილი ოფშორული ზონების იურისდიქციას ამოფარებული ოლიგარქები. 1995-2012 წწ. რუსეთში 793,8 მლრდ დოლ. უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, იმავე პერიოდში ინვესტიციური შემოსავლების – დივიდენდებისა და პროცენტების სახით 703,2 მლრდ დოლ. გავიდა. კიდევ უფრო უარესი: 2010-2012 წწ. რუსეთში წმინდა ინვესტიციური შემონატანები 196,9 მლრდ დოლ. იყო, რასაც ქვეყნიდან 261,4 მლრდ დოლ. გადინება მოჰყვა ინვესტიციური შემოსავლების სახით, ანუ რუსეთმა 64,5 მლრდ. დოლ ზარალი ნახა[299]. მკითხველს არ დასჭირდება იმის შეხსენება, რომ ანგელოზი ინვესტორები არც საქართველოში შემოფრინდებოდნენ და არც ქართველი ოლოგარქები არიან რუს კოლეგებზე ნაკლები ქვეყნის მჭამელები.

ლამის მეოთხედი საუკუნე მიილია და სამშობლოს სიკეთის საშველი არ ეღირსა. მოსახლეობის რაოდენობა 1940 წლის დონემდე ჩამოქვეითდა. ქვეყანა ხელიდან გვეცლება. რა დანახვა სჭირდება იმას, რომ შენი ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესების პრინციპები და განვითარების მიმართულებები უცხოური ტრენინგების პროგრამებში არ შედის. სხვები თავიანთი სამსახურისთვის გვამზადებენ. ამაში მათ ჩვენი ხელისუფლება ეხმარება. ხალხი კიდევ ამ ხელისუფლებისაგან მაინც ჯიუტად ითხოვს იმას, რისი გაკეთება მას არა მარტო არ შეუძლია, დასავლელი პატრონები ქვეყნის სამსახურს ისედაც არ დაანებებენ.

ტრენინგით გამოყვანილი სპეციალისტები ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას პრივატიზაციის ტემპების დაჩქარებას, ტურიზმის გაფართოებას უკავშირებენ. პრივატიზაცია პანაცეა არ არის. იგი ერთ შემთხვევაში მომენტალური შემოსავლის წყაროა – გროშებად გაიყიდა ქუთაისის მინის ტარის ქარხანა, რომელიც მესაკუთრემ ჯართად აქცია, შენობები დაშალა, ხოლო გამოთავისუფლებულ მიწის ფართობზე მაღაზიები განათავსა, რომლებიც ხვალ, ადვილი შესაძლებელია, გაკოტრებული აღმოჩნდეს. ყოფილი ქარხანა პრაქტიკულად მიწის ინტერესებს შეეწირა. იგივე ბედია ეწია ქუთაისის აბრეშუმკომბინატს. უზარმაზარი ტერიტორია ლიმონათის ჩამოსასხმელი ობიექტის, ავეჯის სახელოსნოს, საბანკეტო დარბაზის დასახლება გახდა. ის, რაც ადრე მილიონობით შემოსავლის წყარი იყო, ახლა გროშების შემომტანია მხოლოდ. ათასების სამუშაო ადგილები ერთეულებმა დაიკავეს. ქუთაისის ინდუსტრიიდან პროფილით მხოლოდ ყოფილი სამკერვალო გაერთიანება „იმერეთი", ახლა ს/ს „იმერი" ფუნქციონირებს. მისი ხელმძღვანელობა ქვეყნისა და ხალხის ინტერესების შესაბამისად მოიქცა. სხვებმა მსხვილი საწარმოები ჯართისა და მიწის ფართის, მისი ადგილმდებარეობის უპირატესობების მოტივებით შეიძინეს. ქუთაისში იმის ნახევარი მოსახლეობა აღარ დარჩა 25 წლის წინათ რომ იყო. ამნაირი პრივატიზებით სხვანაირი შედეგი არც იყო მოსალოდნელი. დაგრეული და მიტოვებული საწარმოების პრივატიზებაში ყელამდე ფულიანი უცხოელები არ ჩარეულან, არც ახლა ერევიან. ისინი ზემაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის ობიექტების შეძენაზე არიან ორიენტირებულები და იმ თამაშში გვიწვევენ, რომლისაც ჩვენ ხეირიანად არაფერი გაგვეგება რა. თანაც წინასწარ აფულიანებენ ხელისუფლების ნომინალურ ფიგურებს, რომლებიც კაი ხანია ფულოსოფიით არიან დაავადებულები.

ზემოთ ტურიზმი ვახსენეთ. ნატრენინგალები გვაიმედებენ – ტურიზმი გვიშველისო, თითქოსდა ტურისტი კუზიანი აქლემი იყოს, საქართველოს გაივლის და მორჩა. ტურისტს ვიზასთან ერთად საჭმელი და სასმელი უნდა (ჩავთვალოთ, რომ მათი დაბინავების საკითხი მოგვარებულია). ჩვენ ხომ თავისთვის არ გვყოფის საჭმელი, თან რაც გვაბადია, გვარიანად ძვირია. ეს იმას ნიშნავს,

[298] Катасонов В. Ю. От рабства к рабству. От древнего Рима к современному Капитализму. С. 183. Кислород, 2014.
[299] Катасонов В.Ю. «Акулы капитализма» в России. www.parufaturrrussia.ru/.../377-v-yu-katasonov-205...

რომ ახლა ჩვენი ტურისტული შესაძლებლობები არცთუ ისე მაღალია. გარკვეული მხოლოდ ის არის, რომ ღვთისაგან მოძღვნილი ეს ქვეყანა ყოველთვის იყო და ახლაც არის უცხო თვალისთვის მიმზიდველი და ხილული აღმოჩენა. ეს პოტენციური შესაძლებლობები რომ ჩვენი მოსახლეობის სიკეთედ იქცეს, ტურისტული ინდუსტრიის განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა ავიყვანოთ და ხელი შევუწყოთ მის პრაქტიკულ განხორციელებას. ამის გაგონება და ლიბერასტები ქოშებს უკუღმა აყრიან და ქირქილს ატეხენ: ეს რაებს მოთქვამს, ნუთუ არ იცის ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ხელისუფლება ეკონომიკაში არ უნდა ჩაერიოსო. ჩვენც ხომ გვაქვს კონსტიტუციური უფლება, შევახსენოთ ლიბერასტს, რომელსაც დედაბუდიანად ჩაჯიბული აქვს კაი შემოსავლიანი ობიექტები და ფული სად დახარჯოს, არც თვითონ იცის და არც მის მოყვარე-ნათესავებმა. ეკონომიკის სახელმძღვანელოებში მართლაც წერია, რომ სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში შემოიფარგლება თამაშის წესებზე კონტროლით, რომლსაც თვითონვე ქმნის და იგი მეთვალყურისა და ღამის დარაჯის ფუნქციებს ასრულებს. ადამ სმიტმაც ხომ დაწერა: ეკონომიკაში „უხილავი ხელი“ მოქმედებს, თვითრეგულირებადია და არ ჩაერიოთო.

ისტორიულად, ხელისუფლება ეკონომიკის მართვის ტრადიციული ინსტიტუტია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება[300]. მას შემდეგ, რაც ფული რელიგიად იქცა, ხელისუფლებას ფინანსური იმპერია ირჩევს ხალხის მეშვეობით და ხელისუფლებაც ეკონომიკას მდიდრების სამსახურში აყენებს. მსოფლიო მეურნეობის კონსტრუქტორებს პერიფერიულ ქვეყნებში თავიანთი ადგილობრივი ოლიგარქები სჭირდებათ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება მსოფლიო მეურნეობის მმართველობის ცენტრის კონსპირაციული ფორმირება. ამ დროს მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობას ინსტიტუტების, ტრენინგების, მასმედიის საშუალებებით იმ სტერეოტიპებად ბეჭდავენ, რომელთაც მართლაც სჯერათ, რომ ისინი თავისუფლები არიან და თვითონ განაგებენ თავიანთ ბედს, არადა სულში ფული აქვთ ჩასახლებული და გარშემო მადის აღმძვრელი ნაირგვარი ნივთებისა და ფასეულობების სიმრავლემ მომხმარების მონად აქცია და ფსიქიურად დააავადა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, პლანეტის ყოველ მესამე ადამიანს ამა თუ იმ პათოლოგიური ფორმის ფსიქიური გადახრები აქვს. ამას თურმე ბევრი რამ განაპირობებს. მაგალითად, გადაღლილობა, გარემოს ეკოლოგიური დაბინძურება, არასწორი კვება, ალკოჰოლი, იმედგაცრუება და ა. შ. მაგრამ ყველა მათგანი სათავეს იღებს იქიდან, რომელსაც უკეთური, უღმერთო ცხოვრება ჰქვია[301] .

ძალიან გვიტევს, და თანაც თავხედურად, ქართული დეგრადირებული აზროვნება. რასაც ვერ ბედავდნენ რამდენიმე წლის წინ, ახლა გამგელებულები შეტევაზე გადმოდიან და ეროვნულ ღირებულებებს სასაცილოდ იგდებენ, ხოლო ამ ღირებულებათა მატარებლებს ჩამორჩენილებს უწოდებენ. მასმედიის საშუალებები მათი ტრიბუნაა და უცხო ქვეყნების ფულითაც უზრუნველყოფილები არიან. ეს დრო ახლა მძიმე გამოცდას გვიწყობს მამულიშვილობაზე, ქართველობაზე, სინდისსა და ნამუსზე, ვალდებულებასა და პასუხისმგებლობაზე, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულზე. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი აღვირახსნილობის მორევში შეითრიეს, მთელ საზოგადოებას ვერ ერევიან. ბევრი ადამიანი თავშეკავებულია, ბევრი გაურკვევლობის გამო დუმს, მრისხანებენ ტრადიციონალისტი ჭაღაროსნები, მაგრამ აუდიტორიებს არ ფლობენ. ვერც მეცნიერება ნახულობს თავის ტრიბუნას, ხელისუფლებაში მხოლოდ უმცირესობაა ქვეყნის მოყვარული, ზოგს კიდევ, ქონების დაკარგვის შიშით, გაჩუმება ურჩევნია. არადა, როგორც ჩემი ბოლოდროინდელი დაკვირვებები მიჩვენებს, ნიჭიერი ადამიანების გაერთიანება ჭკვიან ბიზნესმენებს არ გაუჭირდებათ. ჭკუის სწავლა სხვების მაგალითზეც შეიძლება. მასონებს, 300 კომიტეტს თუ ილუმინატთა საზოგადოებას მხოლოდ საფრთხედ აღვიქვამთ და არ გვინდა მათგან ვისწავლოთ, რომ პრობლემას მაღალი დონის პროფესიონალები წყვეტენ. მასონთა ლოჟას ქმნიან ბანკირები, ნობელიანტები, საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკოსები. მასონთა სიაში მოიხსენიება მოცარტი, გოეთე, აშშ პრეზიდენტები, უინსტონ ჩერჩილი, პუშკინი, სუვოროვი, ჟუკოვსკი, პეტრე პირველი, გოლიცინები, ზინოვიევი, ტროცკი, ბუხარინი, ლენინი, იაკოვლევი, სობჩაკი, შატალინი, აბალკინი, კისინჯერი, ჩუბაისი, გაიდარი და ა.შ. [302] 20-25 წლიწადია ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ნაცნობების, მოყვრების, ძმაკაცების სიმრავლიდან იქმნება, რასაც თავის ჭკუაზე ათამაშებენ დასავლელი ინტელექტუალები. ამის გათვალისწინებით ცხადია, რომ საქართველოს თითქმის განახევრებულ მოსახლეობას ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. „ჩვენს ერს ბავშვები ჩაგრავენ და დიაცები უპატრონდებიან. ჩემო ერო, შენმა მეგზურებმა დაგაბნიეს და გზა-კვალი აგირიეს!“ (ესაია წინასწარმეტყველი. 3:12).

---

[300] ვიეტნამში მართვის, აეროპორტების მომსახურების, სახელმწიფო პორტების ექსპლუატაციის სფეროს 7 სექტორში სახელმწიფოს წილად მოდის აქციების 75%-ზე მეტი. 7, 10 და 10,5% მოკლევადიანი, საშუალო და კრედიტების ნაწილი სახელმწიფო სუბსიდიებით იფარება. Thoi Knh te. 24.06.2014. Vietnam economic news, №24,2014.

[301] Психические процессы и болезнь. www.medpsy.ru/meds/meds427.

[302] Масоны создали США, проиграли февральскую революцию. Svpressa.ru.

ერთ პირად შეკრული იმოძღვრებიან ხელისუფლების პერსონები, მასმედიის ძალად ცნობადი სახეები, ექსპერტები და კიდევ ძმანი მისნი. ისე გვიხატავენ ამ გაუსაძლის მდგომარეობას თითქოსდა ეკონომიკის ეს ლიბერალური მოდელი საბოლოო რანგის ჭეშმარიტება იყოს და მხოლოდ ადამიანების კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული. ლიბერალური იდეოლოგიით დაბინდულ და დაქირავებულ პირებს მართლაც სჯერათ იმისი, რასაც ასწავლიან, ოღონდ იმას კი არ ფიქრობენ, თუ რატომ არიან ყველანი ერთნაირ ჭკუაზე. ანდა სხვანაირად როგორ იფიქრებენ ტრენინგებით განათლებულები. ისინი ფინანსური იმპერიის ღმერთის – ფულის წინ დაჩოქილი ილოცებიან. სჭირდებათ ისეთები, როგორიც მათი სამსახურის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. ტრენინგი ორგვარია: ერთი პროფესიული საქმიანობისათვის მოსამზადებელი, მეორე ე. წ. საკონკურსო, კონკრეტული სამუშაოს დასაკავებლად. ეს სტანდარტები ვრცელდება არა მხოლოდ ტექნიკური სამუშაოების სახეებზე, არამედ უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალის კონკურსის მონაწილეთა მიმართაც, სადაც მთავარი შრომების მეცნიერული ღირებულება და მეცნიერული კონცეფცია კი არ არის, არამედ გრანტებში მონაწილეობა, სტაჟირება, რედკოლეგიის წევრობა და კიდევ რაღაც აქტივობები. ამ დროს გრანტებს არავინ გაღირსებს, არც სტაჟირებაზე გაგიხსნიან მწვანე გზას, ვინაიდან შენ არასასურველი პირი ხარ კრიტიკული აზროვნების გამო, ან სამეცნიერო საზოგადოებას მიაჩნიხარ მეცნიერების ავტორიტეტად. „დაითრგუნება ხალხი, კაცი კაცს დაჩაგრავს, მოყვასი მოყვასს; ბავშვი გაუმედიდურდება მოხუცს, უღირსი პატივისმცემელს“ (ესაია წინასწარმეტყველი. 3:5).

Ramaz Namicheishvili

DEGENERATION OF HIGHER ECONOMIC THINKING OR TRAFFICKING OF EDUCATION

Annotation

The instant destroy of economic is the tragedy of the population. In the foreground the tribal interests for capturing the property takes place, which is strengthened and influenced by the forces outside of the country. The people are unable to make an influence on the government (the visible example is Georgia) and they prefer to leave the country in order to escape from poverty. In our country government became the institute of enrichment and it's covered by nepotism and corruption. The place of global thinking, vocational knowledge is taken by the education which is obtained by way of trainings and it's aimed to subspecialties. Georgian traditional moral institute is so narrowed that it shall become the burst charge of the national energy which will highlight high professional-moral-patriotic creative work.

ეთერ ნარიმანიშვილი

აგრარული საწარმოს ეკონომიკის ამოცანები და კვლევის მეთოდები

აგრარული საწარმოო ეკონომიკა მოწოდებულია, გამოიკვლიოს საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობანი როგროც საწარმოს შიგნით ცალკეულ შემადგენელ სტრუქტურულ დანაყოფებს შორის, ისე საწარმოთა შორის, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აგრარული წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. შესწავლის ობიექტის მიხედვით აგრარული ეკონომიკა პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: სოფლის მეურნეობის ეკონომიკა ზოგადად და აგრარული საწარმოს ეკონომიკა კონკრეტულად. პირველის შესწავლის საგანი სოფლის მეურ-ნეობაა, ხოლო მეორის, ცალკე აღებული საწარმო. აგრარული ეკონომიკის შემადგენელი ორივე ნაწილი ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან, პრაქტიკულად ერთსა და იმავე ამოცანებს წყვეტენ, მაგრამ წარმოების მართვის გასაზღვრულ დონეებზე. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, იკვლევს ობიექტური ეკონომიკური კანონებისა და კანონზომიერებების გამოვლინების თავისებურებებს და სპეციფიკას სოფლის მეურნეობაში. აგრარული საწარმოს ეკონომიკა კი იკვლევს უშუალოდ აგრარულ საწარმოს, როგორც სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ძირეულ რგოლს. იგი იკვლევს ფუნქციონირების სამეურნეო ეკონომიკურ სისტემას, საწარმოო ფაქტორებს, მათი გამოყენების, მათი გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს, წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვის და ფინანსების ფორმებსა და მეთოდებს. აგრარული საწარმოს ეკონომიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის ძირითადი ამოცანაა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძვლების შემუშავება. პროცესი ქრონოლოგიურად წრებრუნვაში შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: – ეკონომიკურად დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება; დაბალანსებული გეგმების შემუშავება; საწარმოო, ინვესტიციური, მარკეტინგული და სხვა მართებულ ღონისძიებათა განხორციელება; აღრიცხვა-ანგარიშგების საფუძველზე საერთო სამეურნეო-ეკონომიკური ანალიზის ჩატარება და ახალი, უფრო ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება. ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა ცდილობს, გადაწყვიტოს საზოგადოების განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა: რეპროდუქცია – აწარმოოს საზოგადოების განკარგულებაში არსებული რესურსებიდან

ამავე საზოგადოების მოთხოვნილებათა რაც შეიძლება უკეთ დაკმაყოფილების მიზნით; რა სახის და რა რაოდენობის რესურსები იქნეს გამოყენებული ამ მიზნით; არაორგანიზაციული ფორმით იქნება მოწყობილი წარმოება; როგორ განაწილდეს სამართლიანი წარმოების დოვლათი და სხვა. იმის მიხედვით, თუ როგორ წყდება ეს პრობლემური საკითხები, განასხვავებენ სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემებს. მათ შორის ძირითადია: ტრადიციული, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული და საბაზრო-ეკონომიკური. მათ ერთმანეთისგან განასხვავებს ძირითადად ის ფაქტი, თუ როგორია წარმოების ფაქტორების განკარგვის თავისუფალი ხარისხი. პრობლემების გადაწყვეტა უფრო სრულყოფილად საბაზრო სისტემის პირობებში ხდება, რომელიც დაფუძნებულია საკუთრების პლურალიზმზე, კონკურენციაზე, საქონელმწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის პროდუქციის თავისუფალ გაცვლაზე. ამ სისტემაში ბაზრის სუბიექტები თავად საზღვრავენ მათ ხელთ არსებული შეზღუდული რესურსების განაწილებისა და გამოყენების მიმართულებას. საბაზრო-ეკონომიკური სისტემა მოიცავს სახელმწიფო სექტორსაც და ამა თუ იმ ზომით, ფორმით და ხარისხით ფორმულირდება სახელმწიფოსგან, რაც, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს ეკონომიკის ხასიათს, საქონელმწარმოებელთა და მომხმარებელთა ქცევას. აგრარული საწარმოს ეკონომიკას, სხვა დისციპლინების მსგავსად, აქვს კონკრეტული მიზნები და ამოცანები, რაც გამოიხატება ისეთი ძირეული საკითხების დამუშავებასა და ეკონომიკურ დასაბუთებაში, როგორიცაა: მოცემული ეკონომიკური სისტემის პირობებში აგროწარმოების მართვის რაციონალური სისტემის ფორმირება და სოფლად საქონელმწარმოებელთა ფუნქციონირების სამეურნეო-ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება; მიწაზე მეურნეობისთვის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმირების შერჩევა ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით; საწარმოო ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების მეთოდებისა და ხერხების შემუშავება; საწარმოო-დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით; შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, საწარმოთა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმების შერჩევა და სხვა. აგრარულ საწარმოთა ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ მეცნიერულ დისციპლინებთან, როგორიცაა წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა, აგროსამეურნეო მარკეტინგი და მენეჯმენტი, რეგიონული ეკონომიკა და სხვა. მისი პროფესიული შესწავლისათვის საჭიროა ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, საბუღალტრო აღრიცხვის, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის დარგების საფუძვლიანი ცოდნა. მეცნიერული კვლევის მეთოდი, ზოგადად, გარე სამყაროს შეცნობის სხვადასხვა საშუალებაა. აგრარული საწარმოს ეკონომიკის კვლევის ძირითადი მეთოდი დიალექტიკური მეთოდია, რაც ნიშნავს, რომ საწარმოო და ანთროპოლოგიური საქმიანობის ყველა მოვლენა უნდა განვიხილოთ დინამიკაში, მიზეზშედეგობრივი კავშირის ფონზე. ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ძირითად მეთოდებად აღიარებულია: სტატისტიკურ-ეკონომიკური, მონოგრაფიული, აბსტრაქტულ-ლოგიკური, ექსპერიმენტული, ეკონომიკურ-მათემატიკური და სხვა. სტატისტიკურ-ეკონომიკური მეთოდი გამოიყენება სოფლის მეურნეობაში და ეკონომიკური პროცესების გასაანალიზებლად. მონოგრაფიული მეთოდი გამოიყენება ცალკეული მოვლენების, მიღწევის პროცესის შესასწავლად, რათა გამოვლინდეს საგნის ტიპური მახასიათებლები, ნიშნები და ტენდენციები, შემდგომში მათი განზოგადებისა და ანალოგებზე გასავრცელებლად; აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი გამოიყენება რთული ეკონომიკური პროცესების ან მოვლენათა შესასწავლად, სადაც, ფაქტების სიმცირის გამო, ძირითადად გამოიყენება აბსტრაქტულ-ლოგიკური დასკვნები. ექსპერიმენტული მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა საჭიროა დასაბუთდეს სხვადასხვა საშუალებების ან კონკურენტული ღონისძიების ეკონომიკური ეფექტი; ამრიგად, განსაკუთრებით პოპულარული გახდა კვლევის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდი. იგი საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს და ამოიხსნას რთული მრავალფაქტორიანი ეკონომიკური ამოცანები. ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას განსაზღვრავს პრობლემის შესწავლის მიზანი, ხასიათი, სირთულე, მასშტაბურობა. თუმცა, არცთუ იშვიათად, საჭირო ხდება სხვადასხვა მეთოდის კომბინირებული გამოყენება. ამ დროს მიღებული შედეგები ავსებს ერთმანეთს და, ამდენად, მათი სანდოობის ხარისხიც შესაბამისად მაღალია. კვლევის თითოეული მეთოდის შესაძლებლობის სათანადო ცოდნა, მიღებული ცოდნა შედეგების ჯეროვანი გაანალიზება, განზოგადება და მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება საშუალებას იძლევა, დროულად აღმოვაჩინოთ პრობლემა, დავადგინოთ წარმოებაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებების გამომწვევი რეალური მიზეზები და დავსახოთ შესაბამისი ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოხია რ., ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია. თბ., 2001.
2. ვაინშტეფანი ფ., აგრარული წარმოების ეკონომიკა, თბ., 2009.
3. კოღუაშვილი პ., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თსუ II, თბ., 2010.
4. ლემონჯავა პ., გარემოს დაცვისა და ბუნების გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2008.

Eter Narimanishvili

THE KEY FACTORS OF AGRICULTURAL PRODUCTION ECONOMY SUSTAINABILITY

Annotation

Recently, the most crucial factor is improvement of material and technical base, enlargement of the faming activities through cooperation in order to establish classic farming facilities and improvement of land cultivation culture. The important factors, like available resources and those, which define the level of production potential for rational arrangement of the production should be also considered.

ილია (აზიკო) სისვაძე

ცოდნის ღირებულების შეფასების დანახარჯობრივი კონცეფცია[303]

1. ცოდნის ღირებულების შეფასების თეორიული საფუძვლები
ცოდნა როგორც ინტელექტუალური საქონელი და მისი ღირებულება

ცოდნა მრავალწახნაგოვანი ზოგადსამეცნიერო კატეგორიაა, რომლის ცალკეულ ასპექტებს თავისი სპეციფიკის შესაბამისად ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა და პედაგოგიკა იკვლევს. წმინდა სამეურნეო გამოყენებითი ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია ცოდნის, როგორც ეკონომიკის საბაზრო კატეგორიის გაღრმავებული შესწავლა ღირებულებითი შეფასების თვალსაზრისით, რადგან იგი თანამედროვე ინოვაციური ბიზნესის საფუძველი და მისი კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი უმთავრესი რესურსია.

საბაზრო ეკონომიკაში ცოდნა, ისევე, როგორც ნებისმიერი საქონელი, ყიდვა-გაყიდვის ობიექტს წარმოადგენს, რაც შეიძლება შემდეგი ფორმებით განხორციელდეს:

- სხვისთვის გადაცემა სწავლების გზით;
- ტირაჟირება წიგნის ან რაიმე სხვა ფორმით და მისი გაყიდვა;
- დაქირავებული ინტელექტუალური შრომითი საქმიანობა;
- სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემის დამუშავება მყიდველის დაკვეთით.

ცოდნის „წარმოების" შესაძლებლობა, საბაზრო ურთიერთობებში ჩართვა და სარგებლიანობა, მისი როგორც საქონლის ორივე თვისების – სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების (შემდგომ ღირებულების) არსებობას განაპირობებს.

საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო გამოყენების პროცესში ცოდნის სახმარი ღირებულება გამოიხატება ამ უნიკალური ფენომენის სარგებლიანობით, განსაზღვრულ უნარში დააკმაყოფილოს ადამიანის რაიმე მიმდინარე ან პერსპექტიული შემეცნებითი თუ პრაქტიკული მოთხოვნილება. ცოდნის, როგორც ინტელექტუალური საქონლის ღირებულება განპირობებულია მისი თვისებით, ყიდვა-გაყიდვის ფორმით გაიცვალოს ნებისმიერ სხვა საქონელზე, რაც ადეკვატური შეფასების აუცილებლობას მოითხოვს.

ამასთან, თუ მატერიალური ფორმის საქონლთა სახმარი და საცვლელი ღირებულებები ადვილად ექვემდებარება რაოდენობრივ გაზომვას, ცოდნისათვის ასეთი შეფასება უაღრესად რთულია. კერძოდ, თუ ნივთობრივი საქონლის სახმარი ღირებულება მისი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების ნაკრებით ხასიათდება, ცოდნის ცალკეული ფორმების სარგებლიანობის რაოდენობრივი მახასიათებლების ამსახველი ზუსტი მაჩვენებლები კი ჯერ კიდევ არ შემუშავებულა. ეს პრობლემა კიდეც რომ გადაწყდეს, ცოდნის სახეობათა არაერთგვაროვნების გამო სახმარი ღირებულების თვალსაზრისით მათი ერთიან განზომილებაში მოყვანა უკიდურესად რთული იქნებოდა.

ამ პირობებში, ისევე, როგორც საქონელთა სამყაროში, ცოდნის ღირებულების შეფასებაც ფულადი ფორმით ხორციელდება. ამ ურთულესი პრობლემის არსში გარკვევა შესაძლებელია ა. მარშალის ფასწარმოქმნის თეორიით, რომელშიც ღირებულების უაღრესად წინააღმდეგობრივი დანახარჯობრივი და საზღვრითი სარგებლიანობის კონცეფციები ორგანულადაა გაერთიანებული და ერთიან სისტემაში მოქცეული [5, გვ. 394]. აღნიშნული თეორიიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი საქონლის მსგავსად, ცოდნის ღირებულება ყალიბდება მისი მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორების ზემოქმედებით, რომლის პირობებში მიწოდებას განსაზღვრავს დანახარჯები, ხოლო მოთხოვნას – სარგებლიანობა, რომელიც მის სამეურნეო გამოყენებას მოაქვს.

ერთ-ერთი განსხვავება მატერიალური საქონლისა და ცოდნის ფასის ფორმირების მექანიზმებს შორის იმაში გამოიხატება, რომ საქონლის სარგებლიანობას და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნას მომხმარებლის **სუბიექტური** შეფასება განსაზღვრავს, ხოლო ცოდნის სარგებლიანობას დამქირავებელი იმ **ობიექტური,** რეალურად მისაღები შემოსავლებით აფასებს, რომელსაც მისი გამოყენება მოიტანს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაშიც არაა გამორიცხული სუბიექტივიზმის ფაქტორი – **ჭეშმარიტი ცოდნის შეფასება თვით დამქირავებლის კვალიფიკაციის დონესა და**

[303] სტატიათა ციკლის წინა ნაწილში გამოკვლეულია ცოდნის ღირებულებისა და ხარჯების ფორმირების კანონზომიერებანი [9], [10], [11], [12], რაც წარმოდგენილ სტატიაში საფუძვლად დაედო ცოდნის ღირებულების შეფასების დანახარჯობრივი კონცეფციის ჩამოყალიბებასა და შესაბამისი მეთოდიკის დამუშავებას.

მენტალიტეტზეა დამოკიდებული. უფრო მეტიც, დაბალი დონის მენეჯერი თუ მეწარმე ინტელექტუალურ თანამშრომელში ხშირად პოტენციურ საფრთხეს ხედავს, რადგან მის გვერდით შესაძლოა უსუსურად წარმოჩინდეს.

წარმოდგენილ ნაშრომში, ამ მოკლე შესავლისა და სტატიათა ციკლის წინა ნაწილებში ჩამოყალიბებული მიდგომების საფუძველზე ცოდნის ღირებულების შეფასების ახალ დანახარჯობრივ კონცეფციას გთავაზობთ.

ცოდნის ფასი და მისი სტრუქტურა. საბაზრო ურთიერთობების პირობებში ცოდნის ღირებულება მისი გაყიდვით მიღებული შემოსავლებით ფასდება. ცოდნის გაყიდვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას დაქირავებული ინტელექტუალური შრომითი საქმიანობა წარმოადგენს, რისთვისაც სპეციალისტებს მათი ცოდნის ღირებულების შესაბამისად ხელფასს უხდიან და, ამდენად, ეს უკანასკნელი ცოდნის ფასად გვევლინება. ცოდნის ფასის ბუნების შემეცნების დროს დაშვებული ძირითადი შეცდომა კი სწორედ აქ იჩენს თავს იმ თვალსაზრისით, რომ სერიოზულ ეჭვს იწვევს ეკონომიკის მეცნიერებაში მტკიცედ დამკვიდრებული შეხედულება ზოგადად ხელფასის სიდიდის ერთიანობისა და განუყოფადობის შესახებ.

ჩემი აზრით, ნებისმიერი საქონლის მსგავსად, მიზანშეწონილია, ცოდნის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და, ამდენად, ცოდნის ფასი, ხარჯებად და ინტელექტუალურ შემოსავლად დაიყოს. ამ პირობებში, სავსებით ლოგიკური იქნება თუ კვალიფიციური დაქირავებული მუშაკის მიერ ცოდნის გაყიდვით მიღებული ხელფასი, ანუ ფასი გაშლილი სახით შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს მოიცავს: **პირველი,** ცოდნის დაუფლებისა და გამოყენების ხარჯებს; **მეორე,** ცოდნის გაყიდვით მიღებულ დამატებით შემოსავალს (მოგების ანალოგიით), რომელსაც შეიძლება კონკრეტული რეალური სახელი – **ინტელექტუალური სარგებელი** ვუწოდოთ, რამდენადაც იგი ცოდნის მფლობელის მიერ ფულის ინვესტირების შედეგად მიღებულ ნამატ შემოსავალს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, **ცოდნის დაუფლების მსურველი ინტელექტუალურ ინვესტორად, ხოლო უკვე კვალიფიციური სპეციალისტი ინტელექტუალური კაპიტალური რესურსის მესაკუთრედ გვევლინება.**

ცოდნის ხარჯების ფორმები და სტრუქტურა. ვიდრე ცოდნის ფასის სტრუქტურას ჩავუღრმავდებოდეთ, პირველ რიგში ცოდნის ხარჯების ფორმები განვიხილოთ, რომლებსაც პიროვნება, როგორც სწავლის, ისე შეძენილი ცოდნის სამეურნეო გამოყენების პროცესში შემოსავლების მისაღებად ახორციელებს.

ჩემი აზრით, ცოდნის ხარჯების ძირითადი ფორმების კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგი ნიშნების მიხედვით მოვახდინოთ (სქემა 1):

– ხარჯების ფორმები მათი გაღების მიზნის მიხედვით;

– ხარჯების ფორმები მათი გაღების დროის მიხედვთ;

– ხარჯების ფორმები ალტერნატიულობის ნიშნის მიხედვთ;

– ხარჯების ფორმები შემადგენელი ელემენტების მოცვის მასშტაბების მიხედვით.

გაღების მიზნის მიხედვით არსებობს ცოდნის დაუფლების ხარჯები და ცოდნის სამეურნეო გამოყენების ხარჯები. მათ შორის, ცოდნის დაუფლების ხარჯებს პიროვნება სწევს სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო ცოდნის სამეურნეო გამოყენების ხარჯებს იგი სწავლის დასრულების შემდეგ, როგორც სპეციალისტი, პროფესიული საქმიანობის პროცესში შემოსავლის მისაღებად ახორციელებს.

გაღების დროის მიხედვით განათლებაზე გაწეული ხარჯების ფორმებია:

– განათლების ერთდროული დანახარჯები, ანუ **საგანმანათლებლო ინვესტიციები** სწავლების საფასურის ფორმით;

– განათლების მიმდინარე დანახარჯები, რომელსაც პიროვნება გაიღებს სწავლის მთელ პერიოდში ცოდნის დასაუფლებლად. აქ შედის ხარჯები საარსებო საშუალებებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, სასწავლო დანიშნულების საგნებზე და სხვა;

– ცოდნის სამეურნეო გამოყენების პროცესში გაღებული მიმდინარე ხარჯები.

ალტერნატიულობის ნიშნის მიხედვთ ცოდნის პირდაპირი და ირიბი დანახარჯები უნდა განვიხილოთ. მათ შორის, **პირდაპირი (არაალტერნატიული) ხარჯების** სამი ფორმა არსებობს:

– სწავლების პერიოდში გაღებული მიმდინარე ხარჯები, რომელიც წარიმართება სასწავლო ინვენტარზე, სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და სხვა;

– ცოდნის სამეურნეო გამოყენების პროცესში გაღებული მიმდინარე ხარჯები სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ოჯახის რჩენაზე, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ ლიტერატურაზე, ინვენტარზე, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა-ექსპლუატაციაზე და სხვა;

– სამეურნეო გამოყენების პროცესში ცოდნის მორალური ცვეთის ხარჯები, რაც ხელფასით უნდა ანაზღაურდეს, რათა სპეციალისტმა მისი სრული მოძველების შემდეგ მთლიანი განახლება და უახლესი ცოდნის დაუფლება შეძლოს.



სქემა 1. ცოდნის დაუფლების ხარჯების ფორმათა კლასიფიკაცია

ირიბი დანახარჯებია ის ალტერნატიული შემოსავლები, რომელიც პიროვნებას შეეძლო მიეღო სწავლაზე უარის შემთხვევაში შრომითი საქმიანობით და სწავლის საფასურის ბიზნესში ინვესტირების გზით, მაგრამ სწავლის გამო დაკარგა.

შემადგენელი ელემენტების მოცვის მასშტაბების მიხედვით ცოდნის დაუფლების (საგანმანათლებლო) ხარჯების ორი ფორმა არსებობს:

– მიმდინარე საგანმანათლებლო ხარჯები;

– მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯები, რომელიც მიმდინარე ხარჯებთან ერთად სრულ საგანმანათლებლო ინვესტიციასაც მოიცავს მისი ალტერნატიული გამოყენების შესაძლებლობე-ბიდან გამომდინარე.

უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირ ხარჯებს ალტერნატივა არ აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მათი შემცირება აუარესებს ცოდნის ხარისხს როგორც დაუფლების, ისე სამეურნეო გამოყენების პროცესში. აქედან გამომდინარე:

თუ დამქირავებლის მხრიდან ხელფასის ეკონომიის გამო ფაქტობრივი ხელფასი სრულად ვერ ანაზღაურებს სპეციალისტის მიმდინარე ხარჯებს, მას იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ხელქვეითის ცოდნას სრული უკუგებით გამოიყენებს. ამ მიმართულებით გაწეული ეკონომია ფირმას მოკლევადიან სარგებელს კი მოუტანს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში გაცილებით მეტ ზარალს გამოიწვევს, რადგან პერსონალს გაუქრება ნაყოფიერი შრომის მოტივები და პროფესიული დონის ამაღლების ფინანსური შესაძლებლობები.

უფრო მეტიც, კვალიფიციური კადრები კონკურენტებთან გადაინაცვლებენ და ფირმის საწინააღმდეგოდ, მათ აღმავლობას შეუწყობენ ხელს. ეს დასკვნა სამართლიანი იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი **„რეპრესირებული ხელფასი"** თუნდაც ინტელექტუალური შრომის საბაზრო ფასის დონეზე გაიცემა, მაგრამ სპეციალისტის ხარჯებს სრულად ვერ ანაზღაურებს.

2. საგანმანათლებლო და ცოდნის სამეურნეო გამოყენების ხარჯების გამოთვლის მეთოდიკა

მიმდინარე საგანმანათლებლო ხარჯების სტრუქტურული ელემენტები. გადასაწყვეტი პრობლემის კონკრეტიზაციისათვის, იგი ბაკალავრიატის მიხედვით განვიხილოთ. ამ შემთხვევაში მიმდინარე საგანმანათლებლო ხარჯები მოიცავს პიროვნების მიერ სწავლების მთელი დროის განმავლობაში გაწეული დანახარჯების სამ ფორმას:

პირველი, საარსებო საშუალებათა ხარჯები, რომლებიც საბინაო პირობებს, კვებას, ყოველდღიური მოხმარების საგნების შეძენას, ჯანმრთელობის შენარჩუნებას და სხვა მიმდინარე საჭიროებებს ხმარდება;

მეორე, სასწავლო ლიტერატურაზე, შესაბამის ინვენტარზე, კომპიუტერულ ტექნიკაზე და სხვა ანალოგიური დანიშნულებით გაწეული ხარჯები;

მესამე, ხელფასი, რომელსაც მიიღებდა სტუდენტი მთელ საგანმანათლებლო პერიოდში სწავლების წინა საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციით რომ ემუშავა.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, მიმდინარე საგანმანათლებლო ხარჯები შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$G_M = C_S + C_g + C_W \qquad (1)$$

სადაც G_M არის მიმდინარე საგანმანათლებლო ხარჯები სულ; C_S – საარსებო საშუალებათა ხარჯები; C_g – სასწავლო ლიტერატურის და ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვა ანალოგიური დანიშნულების ხარჯები; C_W – ხელფასი, რომელსაც მიიღებდა სტუდენტი მოცემულ საგანმანათლებლო პერიოდში სწავლების წინა საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციით რომ ემუშავა.

მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯების სტრუქტურული ელემენტები. სწავლების მოცემული საფეხურის მთლიან საგანმანათლებლო ხარჯებში უცვლელად აისახება მიმდინარე საგანმანათლებლო ხარჯების სამივე ელემენტი, ხოლო სწავლების მთელ პერიოდში გადახდილი შესაბამისი სწავლის საფასური, როგორც ინვესტიციის სპეციფიკური ფორმა, ალტერნატიულობის თვალსაზრისით განიხილება. იგულისხმება, რომ განათლების მსურველს შესაძლებლობა ჰქონდა სწავლის საფასური რეალური ან პორტფელური ინვესტიციის ფორმით ბიზნესის იმ დარგში დაებანდებინა, სადაც იგი მომავალი პროფესიის მიხედვით მუშაობას აპირებს და შესაბამისი სარგებელი მიეღო. ამდენად, ეს სარგებელი ალტერნატიული ხარჯის (დანაკარგის) ფორმას იღებს. ამ პირობებში მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯები შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$G_C = \left(C_S + C_g + C_W\right) + G_I \qquad (2)$$

G_C არის მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯები; G_I _ სრული საგანმანათლებლო ინვესტიციები, ანუ სწავლების პერიოდში გადახდილი სწავლის საფასურის ბიზნესში დაბანდების პირობებში მისაღები საბოლოო თანხა რთული პროცენტის გათვალისწინებით.

სრული საგანმანათლებლო ინვესტიციების სიდიდის გამოთვლის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ სწავლების თითოეულ საფეხურზე სტუდენტი სწავლის საფასურს ყოველწლიურად დასაწყისშივე იხდის. ამ პირობებში, სწავლების პირველი წლის სრული საგანმანათლებლო საინვესტიციო ხარჯები დარჩენილი ოთხი წლის განმავლობაში, რთული პროცენტის გათვალისწინებით ე. წ. **კომპაუდინგური (ზრდადი) პრენუმერანდო ანუიტეტის** ფორმულის გამოყენებით გამოითვლება, რომლითაც ვადგენთ სწავლის საფასურის ინვესტირებით მომავალში მისაღები საბოლოო თანხის ოდენობას **[1, გვ. 226-249], [3, გვ. 200-249], [7, გვ. 100-135].**

სწავლების პირველი წლის სწავლის საფასურის ბიზნესში ინვესტირების შემთხვევაში ოთხი წლის თავზე სტუდენტს დაუგროვდებდა თანხა, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$I_{s1} = I_{c1}(1+r)^4.$$

ანალოგიურად, სწავლების მეორე წელს სრული საგანმანათლებლო საინვესტიციო ხარჯები დარჩენილი სამი წლის განმავლობაში იქნება: $I_{s2} = I_{c2}(1+r)^3$, სწავლების მესამე წლისათვის – $I_{s3} = I_{c3}(1+r)^2$, სწავლების მეოთხე წლისათვის – $I_{s4} = I_{c4}(1+r)^1$. ცხადია, რომ სწავლების მოცემული საფეხურის სრული საგანმანათლებლო საინვესტიციო ხარჯები შესაბამისი ყოველწლიური ხარჯების დაჯამებით გამოითვლება:

$$G_I = I_{S1} + I_{S2} + I_{S3} + I_{S4} = I_{c1}(1+r)^4 + I_{c2}(1+r)^3 + I_{c3}(1+r)^2 + I_{c4}(1+r)^1$$

თუ მოვახდენთ წარმოდგენილი გამოთვლების განზოგადებას, სწავლების მოცემული საფეხურის სრული საგანმანათლებლო საინვესტიციო ხარჯები შემდეგი ინტეგრირებული ფორმულით განისაზღვრება:

$$G_I = \sum_{i=1}^{n} I_{ci} \cdot (1+r)^{n-i+1} \qquad (3)$$

სადაც G_I არის სრული საგანმანათლებლო საინვესტიციო ხარჯები სწავლების მოცემულ საფეხურზე; n – სწავლების საფეხურის ხანგრძლივობა წლებში; I_{ci} – სწავლის საფასური i წელს; r – პროფესიის შესატყვის ბიზნესის დარგში კაპიტალზე სარგებლის საშუალო ნორმა.

(3) ფორმულაში $(1+r)^{n-i+1}$ გამოსახულება გვიჩვენებს i წელს დაბანდებული ფულის ერთეულის ღირებულებას საბოლოო მე- n -ე წელს r სარგებლის ნორმისათვის. მისი მნიშვნელობანი სხვადასხვა r -ის და n -ისათვის მოცემულია სპეციალურ ფინანსურ ცხრილებში, რაც (3) ფორმულის გამოყენებას მნიშვნელოვნად ამარტივებს [7, გვ. 740-742].

წარმოდგენილ ფორმულას მკაფიოდ გამოხატული ეკონომიკური შინაარსი გააჩნია. იგი გვიჩვენებს იმ საბოლოო თანხას, რომელსაც დააგროვებდა სტუდენტი სწავლების ყოველი წლის დასაწყისში შესაბამისი საფასური ინვესტიციის ფორმით მოცემული საგანმანათლებლო საფეხურის დამთავრებამდე ბიზნესში რომ დაებანდებინა.

დამუშავებული მეთოდიკის შესაბამისად, სწავლების მოცემული საფეხურის (მაგალითად ბაკალავრიატში) მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯები (2) და (3) გამოსახულებების გათვალისწინებით შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

$$G_C = G_M + \sum_{i=1}^{n} I_{ci} \cdot (1+r)^{n-i+1} \qquad (4)$$

სადაც G_C არის სწავლების მოცემული საფეხურის მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯები; G_M – სწავლების მოცემული საფეხურზე გაღებული მიმდინარე ხარჯები განსაზღვრული (1) ფორმულით; r – ბიზნესის იმ დარგის სარგებლის საშუალო ნორმა, რომლისთვისაც სპეციალისტი ემზადება; n – სწავლების საფეხურის ხანგრძლივობა წლებში; I_{ci} – სწავლის საფასური i წელს.

სწავლების ყველა საფეხურზე გაწეული ერთობლივი საგანმანათლებლო ხარჯები შესაბამისი საფეხურების სრული ხარჯების დაჯამების გზით გამოითვლება.

ცოდნის სამეურნეო გამოყენების მიმდინარე ხარჯები. პრობლემისადმი, როგორც წმინდა თეორიულ-ეკონომიკური მიდგომა, ისე სოციალური სამართლიანობა მოითხოვს, რომ დაქირავებული შრომითი საქმიანობის პირობებში სპეციალისტის ცოდნის სამეურნეო გამოყენების ფასმა ყველა ის ელემენტი მოიცვას, რომლებიც ტრადიციულად საქონლის და მომსახურების ფასში შედის. ესაა ცოდნის სამეურნეო გამოყენების მიმდინარე ხარჯები და ინტელექტუალური სარგებელი. აქედან, **მიმდინარე ხარჯები ერთი მხრივ, სპეციალისტის და მისი ოჯახის ცხოვრების ხარისხის, ხოლო მეორე მხრივ, ცოდნის მხოლოდ უცვლელ დონეზე შენარჩუნებას, ანუ სამუშაო ძალის და ცოდნის მარტივ კვლავწარმოებას უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე მიზეზის გამო ფაქტობრივი ხელფასი ცოდნის სამეურნეო გამოყენების მიმდინარე ხარჯებზე ნაკლებია, ეს ფაქტი შეიძლება დაქირავებული მუშახელის აშკარა ექსპლუატაციად და ძარცვად შეფასდეს.** მოცემულ შემთხვევაში:

იმ თანხის ოდენობით, რომლითაც ფაქტობრივი ხელფასი ცოდნის სამეურნეო გამოყენების ხარჯებზე ნაკლებია, დაქირავებული სპეციალისტი საკუთარი ცხოვრების პირობების და ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე ფირმას თვითონვე აფინანსებს.

ცხადია, რომ ასეთი თანამშრომელი ფირმას ერთგულად და სრული უკუგებით ვერ მოემსახურება. შესაბამისად, ფირმის დანაკარგი ხელფასის ფონდის ეკონომიაზე გაცილებით მეტი იქნება.

დაქირავებული შრომის ფორმით ცოდნის სამეურნეო გამოყენების მიმდინარე ხარჯები შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

პირველი, ცოდნის მფლობელის და მისი ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი დანახარჯები კვებაზე, ტანსაცმელზე, ბინაზე, ავეჯზე და სხვა აუცილებელ საყოფაცხოვრებო ნივთებზე. აქვე შევა სამედიცინო ხარჯები, რასაც წარმოებაში ძირითადი კაპიტალის რემონტისა და აღდგენის ხარჯები შეესაბამება;

მეორე, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი დანახარჯები სპეციალურ ლიტერატურაზე, საკანცელარიო ნივთებზე, ინფორმატიკის საშუალებათა შეძენა-ექსპლუატაციაზე და სხვა;

მესამე, ცოდნის ამორტიზაციის ხარჯები, სადაც იგულისხმება სახელფასო პერიოდზე მოსული მისი მორალური ცვეთით გამოწვეული დანაკარგების საკომპენსაციო თანხა. იგი ისეთი ოდენობით უნდა განისაზღვროს, რომელიც საკმარისი იქნება არსებული ცოდნის სრული მოძველების შემდეგ ახალი ცოდნის დასაუფლებლად;

მეოთხე, საშუალო ალტერნატიული ხელფასი, რომელსაც მიიღებდა პიროვნება ბიზნესის მოცემულ დარგში არაკვალიფიციურ მუშახელად რომ დასაქმებულიყო. მხედველობაში მიიღება, ჯერ ერთი, ხარჯების ალტერნატიულობა და მეორე, ის გარემოება, რომ რთული კვალიფიციური შრომა თავის თავში მარტივი ფიზიკური შრომის უნარსაც მოიცავს და შესაბამისად, ასეთი შრომისათვის გაცემული ხელფასი კვალიფიციური შრომის ფასის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს [6, გვ. 125]. ცოდნის მორალური ცვეთის საამორტიზაციო წლიური ხარჯები გამოითვლება (4) ფორმულით განსაზღვრული მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯების ცოდნის მოცემული სახეობის სრული მორალური ცვეთის პერიოდთან შეფარდების გზით:

$$C_A = \frac{G_C}{A_t} \qquad (5)$$

სადაც C_A არის ცოდნის ამორტიზაციის წლიური ხარჯები; A_t – ცოდნის მოცემული სახეობის სრული მორალური ცვეთის პერიოდის ხანგრძლივობა.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით ცოდნის სამეურნეო გამოყენების მიმდინარე ხარჯები შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$W_M = C_f + C_A + C_L \qquad (6)$$

სადაც W_M არის ცოდნის სამეურნეო გამოყენების მიმდინარე ხარჯები; C_f – სპეციალისტის ოჯახის, უშუალოდ მისი საარსებო საშუალებებისა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ფინანსური დანახარჯები; C_A – ცოდნის მორალური ცვეთის საამორტიზაციო ხარჯები; C_L – ხელფასი, რომელსაც მიიღებდა სპეციალისტი სწავლების წინა საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციით რომ დასაქმებულიყო.

3. ცოდნის ფასი დანახარჯობრივი კონცეფციის მიხედვით

როგორც აღინიშნა, დანახარჯობრივი კონცეფციის საფუძველზე, ცოდნის ღირებულების შეფასების ავტორისეული მეთოდიკის თანახმად, ცოდნის ფასი მისი სამეურნეო გამოყენების მიმდინარე ხარჯებსა და ინტელექტუალურ სარგებლს მოიცავს. აქედან, თუ ცოდნის სამეურნეო გამოყენების მიმდინარე ხარჯები მფლობელის და მისი ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების, სამუშაო ძალის და ცოდნის მარტივი კვლავწარმოებისთვისაა საკმარისი, **ინტელექტუალური სარგებელი უზრუნველყოფს სამუშაო ძალის როგორც ბიოლოგიურ გაფართოებულ კვლავწარმოებას, ისე განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლებას.**

გარდა იმისა, რომ ცოდნის ფასში ინტელექტუალური სარგებლის ჩართვა ქვეყანაში მაღალკვალიფიციურ მუშაკთა რაოდენობრივი ზრდისა და მათი კომპეტენციის ზრდის აუცილებელ ფინანსურ პირობას წარმოადგენს, ამ პრობლემის თეორიულ და პრაქტიკულ გადაწყვეტას წმინდა ზნეობრივი და სოციალური მხარეც გააჩნია.

მხოლოდ ინტელექტუალური სარგებლის მიღების შემთხვევაში იქცევა ცოდნის მფლობელი, როგორც ინტელექტუალური რესურსის ინვესტორი, წარმოების სხვა ფაქტორების – კაპიტალის, მიწის და სამეწარმეო უნარის მესაკუთრეების თანასწორუფლებიან პარტნიორად, რადგან ეს უკანასკნელნი არა მარტო გაწეულ ხარჯებს ინაზღაურებენ, არამედ ამა თუ იმ ფორმით დამატებით შემოსავალსაც იღებენ. სხვაგვარად, კვალიფიციური სამუშაო ძალის მფლობელის დისკრიმინაციასა და მკაფიოდ გამოხატულ ექსპლუატაციასთან გვექნებოდა საქმე.

ფირმას კი, რომლის პერსონალს უსამართლობის შინაგანი განცდა აქვს, იმედი ნუ ექნება, რომ მათ პოტენციალს და თუნდაც გაცემულ მწირ სახელფასო ფონდს სრული უკუგებით გამოიყენებს, წარმატებას მიაღწევს და კონკურენციულ ბრძოლაში გადარჩება.

სწავლების თითოეული საფეხურის გავლის შემდეგ ცოდნის სამეურნეო გამოყენების შედეგად მისაღები ყოველწლიური ინტელექტუალური სარგებელი იმ შემოსავლის ოდენობით განისაზღვრება, რომელსაც მიიღებდა ცოდნის მფლობელი (4) ფორმულით განსაზღვრული სრული საგანამათ-ლებლო ხარჯების ტოლი თანხა – G_C, ბიზნესში ინვესტიციების ფორმით r წლიური სარგებლით რომ დაებანდებინა. შესაბამისად, ინტელექტუალური სარგებლის სიდიდე შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$W_r = r \cdot G_C = r \cdot \left[\left(C_S + C_g + C_W \right) + \sum_{i=1}^{n} I_{Ci} \cdot \left(1 + r \right)^{n-i+1} \right] \qquad (7)$$

სადაც W_r არის ინტელექტუალური სარგებელი; r – ბიზნესის მოცემულ დარგში კაპიტალზე სარგებლის საშუალო ნორმა; G_C – სწავლების მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯები.

ამ გარემოების გათვალისწინებით დროის ერთეულში, კერძოდ, ერთ წელიწადში დახარჯული ცოდნის ფასის, ანუ ხელფასის გამოთვლა შემდეგი ფორმულითაა შესაძლებელი:

$$W_F = C_f + \frac{G_C}{A_t} + C_L + r \cdot G_C \qquad (8)$$

სადაც W_F არის დაქირავებული მუშაკის ცოდნის წლიური ფასი – ხელფასი; C_f – ცოდნის მფლობელის არსებობისა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი მიმდინარე წლიური ფინანსური დანახარჯები; C_L – ბიზნესის მოცემულ დარგში არაკვალიფიციური მუშახელის საშუალო წლიური ხელფასი; G_C – სრული საგანამათლებლო ხარჯების მოცულობა განსაზღვ-რული (4) ფორმულით; A_t – ცოდნის მოცემული სახეობის სრული მორალური ცვეთის პერიოდის ხანგრძლივობა.

მოცემულ საგანმანათლებლო საფეხურზე ცოდნის ფასის ფორმირების მთლიანი პროცესი ცალკეული ეტაპების მიხედვით ნაჩვენებია მე-2 სქემაზე.

ცოდნის ფასის განსაზღვრის შემოთავაზებული მეთოდიკა ტრადიციული ცოდნისათვისაა განკუთვნილი. **იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნება ფლობს მაღალმოთხოვნად უნიკალურ ნოვატორულ ცოდნას, როგორც შემოსაზღვრულ და იშვიათ რესურსს და შესაბამისად, მონოპოლიურ პირობებში იმყოფება, მაშინ ასეთი ცოდნის მფლობელმა დამატებით ეკონომიკური რენტაც უნდა მიიღოს.**

ზემოთ წარმოდგენილი დასკვნების გაცნობისას ბიზნესის მესვეურთა კონსერვატიულად განწყობილ ნაწილს შესაძლოა გაუჩნდეს განცდა, რომ ისინი ასახავენ მხოლოდ ავტორის სუბიექტურ თეორიულ მოსაზრებებს, რომლებსაც სამეწარმეო პრაქტიკასთან საერთო არაფერი აქვს.

შესრულებული ნაშრომი ეყრდნობა ეკონომიკის მეცნიერებაში ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეულ პარადიგმას, რომლის შესაბამისად **ნებისმიერი ფასი, აქედან გამომდინარე კი ცოდნისაც, ყალიბდება მეწარმისაგან დამოუკიდებელი ობიექტური ფაქტორების ზემოქმედებით, როგორიცაა მოთხოვნა, მიწოდება, ხარჯები, სარგებლიანობა, კონკურენცია და სხვა. ამ გარემოების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ფირმას წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი რაოდენობით ერთგული და კვალიფიციური თანამშრომელი დატოვებს. საბოლოოდ კი დარჩებიან მხოლოდ ის კადრები, რომლებსაც, დაბალი პროფესიული დონისა და უნიათობის გამო წასავლელი არსად აქვთ, რაც ბიზნესის საბოლოო ჩაქრობას და მეწარმის მიერ მრავალი წლის განმავლობაში ნაგროვები ქონების დაკარგვას გამოიწვევს.**



სქემა 2. ცოდნის ფასის ფორმირება დაქირავებული ინტელექტუალური შრომითი საქმიანობის პირობებში

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბრიგხემი ი., ჰიუსტონი ჯ., ფინანსური მენეჯმენტი (თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე), მოსკოვი, 2009.
2. ინოვაციური განვითარება: ეკონომიკა, ინტელექტუალური რესურსები, ცოდნის მართვა, მ. ორლოვის რედაქციით (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 2010.
3. კოვალევი ვ. ვ., ფინანსური მენეჯმენტი: თეორია და პრაქტიკა (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 2009.

4. სართანია ვ., თოქმაზიშვილი მ., მაღლაკელიძე შ., განათლების ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2004.
5. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბილისი, 2010.
6. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, 2006.
7. ხორნი დ., ვახოვიჩი ჯ., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2008.
8. ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., ცოდნის ეკონომიკა და მართვა, თბილისი, 2010.
9. სისვაძე ა., ცოდნა, როგორც ბიზნესის ინტელექტუალური რესურსი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IV, 2011.
10. სისვაძე ა., ფარჩუკიძე თ., ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის არსი და მისი ღირებულების შეფასება. ნაწილი I. ცოდნის ადგილი ეკონომიკის კატეგორიათა სისტემაში, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის შრომები, 2012, № 3.
11. სისვაძე ა., ფარჩუკიძე თ., ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის არსი და მისი ღირებულების შეფასება. ნაწილი II. ცოდნის კატეგორიის სინთეზური განმარტება, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის შრომები, 2013, № 4.
12. სისვაძე ა., ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის არსი და მისი ღირებულების შეფასება. ნაწილი III. ცოდნის ღირებულების შეფასებისა და ხარჯების იდენტიფიკაციის თეორიულ-მეთოდური საკითხები, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის შრომები, 2014, № 5.

Ilia (Aziko) Sisvadze

SPENDING CONCEPTION OF KNOWLEDGE VALUE ESTIMATION

Annotation

The article develops a new more improved spending conception to define its value on the base of research of knowledge price formation mechanism in the form of hired labor activity and is worked out corresponding methods. According to this methodology the price of knowledge spent in unit time i. e. wage includes the sum of spendings necessary for means of living and professional activity of the owner, average wage of unskilled worker in a given sector of business, the value of wear and tear of knowledge and intellectual benefit. The last is defined by using increasing annuity formula owing to alternative cost principle.

ხატია უდესიანი

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი

საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამზადებს ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს, საქართველოს წლიურ ბიუჯეტს. ბიუჯეტი, ეს არის ცოდნა იმისა, თუ რა წყაროებიდან რამდენ შემოსავალს უნდა ელოდო და როგორ უნდა განკარგო ის. ბიუჯეტის შედგენა სასარგებლოა როგორც ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის, ისე საქმიანი ადამიანებისა და მთავრობებისათვის. გარკვეულწილად ბიუჯეტს ყველა ადამიანი ადგენს საკუთარი თავისა თუ ოჯახისათვის, თუმცა ამას ყოველთვის ფორმალიზებული სახე არ აქვს და შესაძლოა ეს ხშირად გაუცნობიერებლად და ინსტიქტურად განხორციელდეს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

2016 წლისათვის, ისევე, როგორც 2014-2015 წლებში, ბიუჯეტი მომზადებულია პროგრამის - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ შესაბამისად; პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარება. 2015-2016 წლებში აქცენტი გაკეთდა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ზრდაზე და ყველაზე მეტად სწორედ ამ სფეროების დაფინანსება გაიზარდა:

- ჯანდაცვის სამინისტროს 2016 წლის დაფინანსება 2012 წლისას აღემატება 1.3 მლნ ლარით;
- სოციალური პროგრამების ზრდით შესაძლებელი გახდა ყველა კატეგორიის პენსიონერთა პენსიების ზრდა, სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის დახმარებების გაორმაგება, დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობებისა და სხვა სოციალური პროგრამების ზრდა;
- 2013 წლიდან დაიწყო და მიმდინარე წელს კიდევ უფრო გაფართოვდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო მომსახურების მიღება შესაძლებელია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის;
- ნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტური პროექტების დაფინანსება.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 10,145.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 540.0 მლნ ლარით მეტია 2015 წლის

დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 29.7%-ს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები. არ არის დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10,145.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 400.0 მლნ ლარით აღემატება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 29.7%-ს შეადგენს. 2015 წელთან შედარებით შემოსულობების ზრდა ძირითადად უკავშირდება საგადასახადო შემოსულობების ზრდას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 78.7%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 23.3%-ს შეადგენს.



ნახაზი 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 84.3%-ს წარმოადგენს შემოსავლები, რომელიც შეადგენს 8,555.0 მლნ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 25.0%-ია.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 7,980.0 მლნ ლარს, რაც 2015 წლის გეგმურ მაჩვენებელს 460.0 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის სულ შემოსულობების 78.7%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 23.3%-ს შეადგენს.



ნახაზი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

პროექტის მიხედვით, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 2015 წლის გეგმასთან შედარებით 16.1 მლნ ლარით მეტია და 255.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 2.6%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.8%-ია.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 30.0 მლნ ლარით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და შეადგენს 320.0 მლნ ლარს.

2016 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 200.0 მლნ ლარს, რაც 80.0 მლნ ლარით ნაკლებია 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 90,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას.

სახელმწიფოს მიერ სესხების აღებით 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა1,275.0 მლნ ლარი, რაც მთლიანი საბიუჯეტო რესურსის 12.9%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 3.8%-ია.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გადასახდელები დაგეგმილია 10,145.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2015 წლის გეგმურ მაჩვენებელზე 540.0 მლნ ლარით მეტია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 29.7%-ს შეადგენს.



ნახაზი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტების ასიგნებების განაწილებას ჯანდაცვის სამინისტრო, წინა წლების მსგავსად, კვლავ ინარჩუნებს პირველ პოზიციას. მისი მიმდინარე წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 3,162.2 მლნ ლარია.



ნახაზი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების განაწილება

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობა, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები. გამოკითხული 4500

საქართველოს მოქალაქიდან უმრავლესობამ 2016 წლის პრიორიტეტად განათლება მიიჩნია; მეორე ადგილს მეცნიერება იკავებს; მესამეზე კი სოციალური დაცვაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი. http://www.mof.ge/4544;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი. http://www.economy.ge/ge/economic-sectors;
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი. http://www.geostat.ge/;
4. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი http://www.mof.ge/show_law.aspx?id=711;
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდი. http://sao.ge/audit/report-on-budget-execution/2015/544;
6. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba.

Khatia Udesiani

ANALYSIS OF THE 2016 STATE BUDGET OF GEORGIA

Annotation

The article deals with the analysis of the state budget of 2016. The state budget is approved by the Parliament, the functions of the central authorities and the obligation of the revenues received, expenditures covered, and the combination of balance changes.

In 2016, as well as in 2014-2015, the budget of the program is according to- "a strong, democratic, united Georgia". The primary purpose of the program of social welfare and sustainable economic development. 2015-2016 ies focus on social and health programs and most of the growth in these areas has increased.

State budget is important for transparency of the process, during which the Government and reach an agreement on the spending institutions of the state in strategic resource allocation priorities.

რამაზ ფუტკარაძე

საქართველოს საგარეო ვაჭრობის აქტუალური საკითხების შესახებ

საქართველო ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, რომელიც დგას საბაზრო ურთიერთობების გზაზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა გაწევრიანდა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში (სსფ, მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ.). ქვეყანამ წარმატებით განახორციელა არაერთი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა და მტკიცედ ადგას დემოკრატიისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გზას. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ვექტორი ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოება და გაწევრიანებაა. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება.

ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ საქართველოში განხორციელდა როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია რეგიონში ერთ-ერთი საკმაოდ ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები [1]
(მლნ აშშ დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5634	6935	9225	10413	10921	11454
ზრდის ტემპი (%)	*39.8%*	*21%*	*-28%*	*23%*	*33%*	*13%*	*5%*	*5%*
საქონლის ექსპორტი	1232	1495	1134	1677	2187	2376	2910	2861
ზრდის ტემპი (%)	*31.6%*	*21.4%*	*-24.2%*	*48%*	*30%*	*9%*	*22%*	*-2%*
საქონლის იმპორტი	5212	6302	4500	5257	7038	8037	8012	8593
ზრდის ტემპი (%)	*42%*	*21%*	*-28.6%*	*16.8%*	*34%*	*14%*	*-0.3%*	*7%*
საგარეო სავაჭრო სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4852	-5661	-5102	-5733

განსაკუთრებით მოკრძალებულია საქართველოს ექსპორტის მოცულობა, მან 1 მლრდ აშშ დოლარს მხოლოდ 2007 წელს გადააჭარბა, ხოლო 2 მლრდ აშშ დოლარს 2011 წელს. მათ შორისაა

რეექსპორტი, ასე მაგალითად, 2014 წელს საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა 518 მლნ აშშ დოლარი (საქართველოს ექსპორტის 18%) შეადგინა.

ქვეყანას გააჩნია საკმაოდ დიდი საექსპორტო პოტენციალი, რაც სათანადოდ არაა გამოყენებული. 2007 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6456,9 მლნ აშშ დოლარი შეადგენა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 39,8 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1232 მლნ აშშ დოლარია (შესაბამისად 32,5 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 5212 მლნ აშშ დოლარი (42 პროცენტით მეტი).

საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებაა ექსპორტის მოცულობის დაბალი დონე და უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2014 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 5%-ით გაიზარდა და 11457 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი შემცირდა 1.6%-ით და 2 861 მლნ აშშ დოლარი შეადგინა; იმპორტი გაიზარდა 7%-ით და 8596 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წელს 5735 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალია ბოლო პერიოდში[304].

საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ს ქვეყნებთან 5%-ით შემცირდა და 3593 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (სავაჭრო ბრუნვის 31%). ექსპორტი 10%-ით შემცირდა, 1 465 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 51%), ხოლო იმპორტი 2%-ით შემცირდა 2127 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (იმპორტის 25%).

საქართველოს მიერ ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსათვის ევროკავშირის ერთიან ბაზარს გახსნის. 2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 4%-ით გაიზარდა, 2990 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26% დაიკავა: ექსპორტი 2%-ით გაიზარდა, 621 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 22% დაიკავა; იმპორტი 4%-ით გაიზარდა, 2369 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაცია და ამიტომაც ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ევროკავშირის ბაზარი მიგვაჩნია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობად ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების რეალიზაცია გვესახება, მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე, რაც ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის საფუძველია. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის შიდა ბაზარი 28 ქვეყნითა და 500 მლნ მომხმარებლით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში – ევროკავშირზე მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 20%-მდე. ევროკავშირის ინტერნეტგვერდზე (europa.eu.int) აღნიშნულია, რომ „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა, ზრდის ზოგადი ტენდენციის მიუხედავად, მცირეა და არასაკმარისად დივერსიფიცირებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტს ეხება..“.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება და მსოფლიო ვაჭრობასა თუ ეკონომიკაში შემდგომი ინტეგრაცია მოითხოვს ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება და ახალი პერსპექტივები, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის. მაგრამ სტატისტიკა სხვაზე მეტყველებს. ბოლო წლებში საქართველოში პუი-ის მაქსიმუმი დაფიქსირდა 2007 წელს 2 მლრდ აშშ დოლარი;

ექსპორტის გაზრდა საჭიროებს ფინანსებს, სასურველად მიგვაჩნია პირდაპირი ინვესტიციების შემდგომი მოზიდვის ხელშეწყობა საქართველოში, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი გზაა. სასურველია, გაუმჯობესდეს საქართველოს პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში, ასე მაგალითად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), სადაც საქართველო 69-ე პოზიციაზე იმყოფება...

აუცილებელია საქართველოს ექსპორტის მოცულობის გაზრდა და მისი დივერსიფიკაცია, განვლილმა წლებმა აჩვენა, რომ რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულებამ შესაძლოა ქვეყანას პრობლემები შეუქმნას, რადგან რუსეთის „ბაზარის“ პროგნოზირება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში თითქმის შეუძლებელია. თავის მხრივ, რუსეთის ბაზარი, არცაა გამორიცხული, ჩაიკეტოს ქართველი ექსპორტიორებისათვის.

თავის მხრივ საქართველოსაქტიური ჩართვა გლობალიზაციისა და ინტეგრაციულ პროცესებში, ხელსშეუწყობსადგილობრივისოფლისმეურნეობის, საბანკო სექტორის, ტურიზმის, განათლების, მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ყურადსაღებია საკითხი, რომ საქართველოში საკმაოდ მაღალია უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მასშტაბები. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განხილვისას

[304] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, იხ. http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

გვერდს ვერ აუვლით უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებს. საქართველოს ეკონომიკისთვის საზღვარგარეთიდან თანხების გადმორიცხვის მნიშვნელობას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ სასაქონლო ექსპორტის შემდეგ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მთავარ წყაროს ქართველი იმიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები წარმოადგენს. ფულადი გზავნილების მოცულობა ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს თითქმის 200%-ით აღემატება და იგი თითქმის საქართველოს ექსპორტის 50%-ია.

ჩინეთთან გაფორმდა მემორანდუმი „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ" აბრეშუმის გზის განვითარების მიზნით ხორციელდება მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები. საქართველო შეუერთდა „ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტს" ჩინეთთან, ყაზახეთთან, აზერბაიჯანსა და თურქეთთან ერთად. ჩინეთიდან საქართველოს გავლით პირველი სარკინიგზო გადაზიდვა უკვე განხორციელდა. „აბრეშუმის გზის" პროექტით საქართველო იბრუნებს თავის ისტორიულ როლს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ცენტრის მიმართულებით. შესაბამისად დიდი პერსპექტივები აქვს საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობებს.

საქართველოს საგარეო სავაჭრო საკითხების უკეთ შეფასებისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე საერთაშორისო შედარება.

ხორვატია, ევროკავშირის წევრი 2013 წლიდან, მოსახლეობა 4.2 მლნ კაცი, ფართობი –56594 კვ. კმ, მსოფლიოს 85-ე ექსპორტიორი ქვეყანა, მისმა ექსპორტმა 2014 წელს 12,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა 20,5 მლრდ აშშ დოლარი, სავაჭრო სალდო - 8,3 მლრდ აშშ დოლარი.

2012 წელს, ევროკავშირში გაწევრიანებამდე ხორვატიის ექსპორტის 62.4%, იმპორტის – 58.5% და სავაჭრო ბრუნვის 61% მოდიოდა ევროკავშირზე [305], დღეს კი ხორვატიის სავაჭრო ურთიერთობებში უფრო მასშტაბურია ევროკავშირი.

თურქეთი ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა და პირიქით. თურქეთის ექსპორტის 36.7%, იმპორტის 43.5% და სავაჭრო ბრუნვის 39.3% მოდის ევროკავშირზე. თურქეთი ევროკავშირის იმპორტიორ ქვეყნებში მე-7-ე, ექსპორტიორ ქვეყნებში მე-5-ე, ხოლო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით მე-6-ე ადგილზეა წარმოდგენილი.

რუსეთი წარმოადგენს ევროკავშირის ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას და პირიქით. რუსეთის ექსპორტის 41.4%, იმპორტის 52% და სავაჭრო ბრუნვის 48.2% მოდის ევროკავშირზე. რუსეთი ევროკავშირის იმპორტიორ ქვეყნებში მე-3-ე (აშშ-ის და ჩინეთის შემდეგ), ექსპორტიორ ქვეყნებში – მე-4 (აშშ-ის, ჩინეთის და შვეიცარიის შემდეგ), ხოლო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით ასევე მე-3 ადგილიზეა (აშშ-ის და ჩინეთის შემდეგ), წარმოდგენილი, მაგრამ სავაჭრო სალდოს მიხედვით რუსეთი ევროკავშირის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ბოლოდან მეორე – 214-ე პოზიციაზეა, ბოლო 215-ე ადგილზეა ჩინეთი..

აზერბაიჯანის ექსპორტის 34%, იმპორტის 53% და სავაჭრო ბრუნვის 47.3% მოდის ევროკავშირზე. აზერბაიჯანი ევროკავშირის იმპორტიორ ქვეყნებში 26-ე, ექსპორტიორ ქვეყნებში – 56-ე, ხოლო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით 35-ე ადგილზეა წარმოდგენილი[306].

ასევე საინტერესოა საქართველოს მაჩვენებლების შედარება **მოლდოვასთან.** ევროკავშირი მოლდოვას უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. მოლდოვას, რომლის მოსახლეობა შეადგენს 3.6 მლნ კაცს, მისი ექსპორტის 48.4%, იმპორტის – 54% და სავაჭრო ბრუნვის 50% მოდის ევროკავშირზე. მოლდოვა ევროკავშირის იმპორტიორ ქვეყნებში 69-ე, ექსპორტიორ ქვეყნებში 61-ე, ხოლო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით 68-ე ადგილზეა[307]. ცნობილია, რომ 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში, ხელი მოეწერა მოლდოვასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (DC FTA). 2014 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA) ნაწილი. პირველი 12 თვის განმავლობაში (სექტემბერი, 2014, აგვისტო, 2015) მოლდოვას იმპორტი ევროკავშირიდან შემცირდა 6%-ით, ხოლო მოლდოვას ექსპორტი ევროკავშირში გაიზარდა 5%-ით.

საქართველოს ადგილი და როლი ევროკავშირის საგარეო ვაჭრობაში ძალიან მოკრძალებულია. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოს ადგილი ევროკავშირის იმპორტიორ ქვეყნებში არის 85-ე, ექსპორტიორ ქვეყნებში 67-ე, ხოლო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით 76-ე ადგილი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოკლე ანალიზი, თანამედროვე ტენდენციების განხილვა, საერთაშორისო მიმოხილვა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

- დაბალია საქართველოს საქონლის ექსპორტის მოცულობა;

[305] იხ. European Union, Trade in goods with Turkey, European Commission, 2014.http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113370.pdf
[306] იხ. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113347.pdf
[307] იხ. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113419.pdf

▪ აუცილებელია საქართველოს ექსპორტის გაზრდა და ამ მიმართულებით ღონისძიებების გატარება;

▪ სასურველია ექსპორტის შემდგომი დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზარზე, შესაძლებელია ევროკავშირში ექსპორტის 2-ჯერ და მეტად გაზრდა;

▪ საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება როგორც ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის, ისე იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის მიმართულებით;

▪ სასურველია საქართველოს აგრარული პროდუქციის ექსპორტის მოცულობის გაზარდა. ადგილობრივ ბაზარზე კვლავ დიდია იმპორტული აგრარული პროდუქციის მასშტაბები. მთლიანობაში კი საქართველოს სოფლის მეურნების განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. სასურველია სახელმწიფოს მხრიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი საწარმოების მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით;

▪ საქართველოს სტატისტიკური მონაცემების შედარება ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მონაცემებთან, კვლავ იძლევა განსხვავებებს, საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობა;

▪ ექსპორტის გაზრდას შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა, ეროვნული ვალუტის გამყარება და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, იხ. http://geostat.ge
2. Putkaradze R., Trade and Economic Relations of Georgia: Problems and Perspectives, Universali, Tbilisi 2010
3. Putkaradze R., Directions of International Trade Development under Globalization, Georgian Economy, #5. 2007
4. Kaulia M., Strengthening of Bilateral Trade, the European Neighborhood Policy and Georgia, Analysis of Independent Experts (Friedrich Ebert Fund), Tbilisi 2007, p. 104
5. Globalization and Economic Development of Georgia: Challenges and Possibilities. Collection of papers, Universali, 2008
6. The EU – Georgia Association Agreement http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/association_agreement/index_ka.htm
7. Guide to the Georgia-EU Association Agreement (frequently asked questions), 2014
8. Assessment of the impact of potential Free Trade Agreement between the EU and Georgia. UNDP, Georgia, 2007.
9. Europa von A bis Z: Taschenbuch der europäischen Integration / [IEP, Institutfür Europäische Politik]. Werner Weidenfeld und Wolfgang Wessels (Hg.). 2007.
10. Europa von A bis Z: Taschenbuch der europäischen Integration / Bpb, Bundeszentrale für Politische Bildung. Werner Weidenfeld/ Wolfgang Wessels (Hrsg.). Bonn: Bpb. 2009.
11. European Union, Trade in Goods with Georgia, European Commission. 2015
12. Putkaradze R. Perspectives of Georgia-European Union Trade Relations. Istanbul International Annual Conference on the Economic Cooperation and Development within the Black Sea Basin Countries. Donetsk Nacionaluniversity. Collection of Scientific Works. Part I. Istambul-Donetck, 2010.
13. The European Union explained. Europe 2020: Europe's Growth Strategy. Brussels, 2013.
14. Trade Sustainability Impact Assessment in Support of Negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova. European Commission – DG Trade, ECORYS, CASE, 2012. http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2012/july/tradoc_149666.pdf

Ramaz Putkaradze

REGARDING PRESSING ISSUES OF FOREIGN TRADE OF GEORGIA

Annotation

It's important for Georgia to develop and strengthen trade and economic relations with the members of international community. Widening the scale of trade and economic relations with its strategic partner countries is of special importance for Georgia.

The country has quite great export potential, which isn't properly used. The main characteristic of Georgia's foreign trade is low level of export and negative trade balance. Negative trade balance of Georgia amounted to 5.7 billion USD in 2014, which is the highest indicator in recent years.

Diversification of export is very important for Georgia and consequently, the EU market is one of the main priorities for the country. The Association Agreement signed between Georgia and the European Union will open the EU single market for Georgia. According to 2014 data, the EU accounts for 26% of total trade turnover of Georgia, 22% of export and 28% of total import.

In order to evaluate foreign trade flows of Georgia, international comparisons with the following countries are discussed: Croatia, Turkey, Russia, Azerbaijan and Moldova. For example, Croatia's export in 2014 amounted to 12.2 billion USD and import amounted to 20.5 billion USD. The EU accounted for 62.4% of Croatia's export, 58.5% of import and 61% of trade turnover. The EU also accounts for 36.7% of Turkey's export, 43.5% of import and 39.3% of

trade turnover. In case of Moldova, the EU accounts for 48.4% of Turkey's export, 54% of import and 50% of trade turnover.

The role and position of Georgia in foreign trade of the EU is very modest. According to the 2014 data, Georgia holds 85th position among the EU importer countries, 67th place among exporter countries and 76th position in the total trade turnover.

In the concluding part of the paper theoretical and practical conclusions and recommendations are made.

ლამარა ქოქიაური

საოჯახო მეურნეობების ფინანსების განსაზღვრისათვის[308]

21-ე საუკუნის მიჯნაზე მრავალი ახალი ეკონომიკური კატეგორიის წარმოშობის მომსწრე გავხდით. საოჯახო მეურნეობის ფინანსების ეკონომიკური შინაარსის, ცნების, მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის დასაბუთებაც სიახლედ მიგვაჩნია და მისი შესწავლაც მეცნიერ-ეკონომისტებისაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. დღეს, თუ არ ჩავთვლით თეორიულ სახელმძღვანელო დებულებებს საოჯახო მეურნეობის ფინანსების შესახებ[309], ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდად არ ვართ განებივრებულები ამ სფეროს სერიოზული კვლევით. არადა შესასწავლი და სათქმელი ბევრია.

ეკონომიკურ ლიტერტურაში მეტ-ნაკლები სიზუსტით არის განსაზღვრული „საოჯახო მეურნეობების" ცნება. მაგალითად, რ. კაკულიას და ა. გაბელაშვილის „ფინანსების თეორიის" სახელმძღვანელოში საოჯახო მეურნეობები წარმოადგენენ „სხვადასხვა სიდიდისა და ნებისმიერი ზომის ოჯახებს. არსებობენ დიდი ოჯახები, რომლებშიც გაერთიანებულები არიან სხვადასხვა თაობის ნათესაური ნიშნით დაკავშირებული ადამიანები, ცხოვრობენ ერთ ჭერქვეშ და ერთობლივად ფლობენ განსაზღვრულ ეკონომიკურ რესურსებს. დიდ ოჯახებთან ერთად გვხვდება ერთსულიანი ოჯახები, თუმცა იგი განმარტოებით ცხოვრობს და შეიძლება ოჯახი არც კი ეწოდოს. ტრადიციული გაგებით, ფინანსების პოზიციებიდან ერთსულიან ოჯახსაც საოჯახო მეურნეობა ჰქვია[310]. იმავე მოსაზრებას იზიარებს მ. ვანიშვილიც[311].

აღნიშნულ განმარტებაში არ არის გახსნილი საოჯახო მეურნეობის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსი. თუმცა შემდგომ აბზაცში ავტორი ხაზს უსვამს საოჯახო მეურნეობის ფუნქციებს: „საოჯახო მეურენობის მთავარი ფუნქციაა მოხმარება, ამასთან ისინი შეიძლება დასაქმებული იყვნენ საქონლის წარმოებაში, მნიშვნელობა არა აქვს წარმოებული საქონელი პირადი მოხმარებისათვის არის გამიზნული თუ ბაზრისთვის არის გათვალისწინებული"[312].

დავესესხები ჩემი დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის სახელმძღვანელო დებულებას: „ცნება არის მსჯელობა, რომელიც ამტკიცებს გამოსაკვლევი ობიექტის განმასხვავებელი ნიშნის შესახებ, მსჯელობა საერთო და არსებითი ნიშნის შესახებ. ცნება რაიმე არსებითად მრავალი დამახასიათებელი ნიშნიდან წარმოადგენს ერთ ნიშანს; მასში არსებითი მაინც ერთი – განსაზღვრებაა. მაგრამ **კატეგორიები უფრო ფართოა, იგი არის „ყოველი მეცნიერების საკვანძო, ყველაზე ფუნდამენტური ცნება**"[313]. ეკონომიკური კატეგორიები თეორიულად გამოხატავს რეალურად, ობიექტურად არსებულ წარმოებით ურთიერთობებს. კატეგორია არის ობიექტური სამყაროს არსებითი თვისებების, კავშირების, ურთიერთობების მოვლენათა განსაზღვრულობა და, საერთოდ, ნებისმიერი შემეცნებითი პროცესი სრულდება კატეგორიების მეშვეობით, რომლებიც საშუალებას იძლევიან აზრობრივად დანაწევრდეს პროცესები, მოვლენები, გამოიხატოს საგნის განსაზღვრულობა და შეცნობილ იქნეს მათი სპეციფიკური თავისებურებანი და მატერიალური სამყაროს ეკონომიკური კავშირები.

ჩვენი მიზანია სწორედაც დავასაბუთოთ საოჯახო მეურნეობის ფინანსები, როგორც ეკონომიკური კატეგორია და, ამასთან, ვიწრო გაგებით, როგორც ფინანსური კატეგორია.

საოჯახო მეურნეობათა ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი და ფუნქციები მეურნეობრიობის საბაზრო სისტემის პირობებში. მაკროეკონომიკურ ანალიზში საოჯახო მეურნეობა – ესაა ფიზიკური პირების ჯგუფი, რომელიც ერთობლივად ღებულობს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.

საკმაოდ ხშირად ცნება: „საოჯახო მეურნეობა" გამოიყენება როგორც ცნება: „ოჯახის" სინონიმი. სინამდვილეში, ასეთი გამოყენება არცთუ ისე კორექტულია. ჩვენი მოსაზრებით,

---

[308] საკითხის დასმის წესით.

[309] კაკულია რ., გაბელაშვილი კ. ფინანსების თეორია. თბ., 2012; ვანიშვილი მ., ნოზაძე მ., გოცირიძე ლ. ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით. თბ., 2010; Белозеров С. А., Бродский С.Г., Горбушина С.Г., и др. Финансы. Под ред. В.В. Ковалев. М., Проскект, 2013.

[310] კაკულია რ., გაბელაშვილი კ. ფინანსების თეორია. თბ., 2012, გვ.365.

[311] ვანიშვილი მ., ნოზაძე მ., გოცირიძე ლ. ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით. თბ., 2010, გვ. 346.

[312] კაკულია რ., გაბელაშვილი კ. ფინანსების თეორია. თბ., 2012; გვ.365.

[313] ჩანტლაძე ვ. (1987). ფინანსების თეორიის საკითხები. თბ., თსუ გამომცემლობა.

„საოჯახო მეურნეობად" ითვლება: ა) ორი და მეტი ადამიანი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საცხოვრებელ ადგილას (ბინაში, ერთბინიან სახლში, ოთახში და ა.შ.), ანდა საცხოვრებელი შენობის ნაწილში და ერთობლივად უზრუნველყოფენ თავს საკვებით და ცხოვრებისათვის აუცილებელი საარსებო მინიმუმით მაინც, ეწევიან ერთობლივ მეურნეობას, ანუ მთლიანად ანდა ნაწილობრივ აერთიანებენ, ანდა ხარჯავენ თავიანთ სახსრებს; ბ) ერთი ადამიანი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საცხოვრებელ ადგილას, ანდა საცხოვრებელი ადგილის ნაწილში და მატერიალურად უზრუნველყოფს საკუთარ თავს ცხოვრებისათვის საჭირო ატრიბუტებით. იგი არ აწარმოებს, არ ეწევა საერთო მეურნეობას სხვა პირთან, ამასთან, საოჯახო მეურნეობა შეიძლება შედგებოდეს: 1. ადამიანებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნათესაური ურთიერთობებით ანდა ქორწინებით; 2. მხოლოდ იმ პირებისაგან, რომლებიც არ არიან ერთ-მანეთთან დაკავშირებული ასეთი ურთიერთობებით; 3. ერთი და მეორე შემთხვევა ერთად. გაეროს სტატისტიკური და ეკონომიკური კომისიის რეკომენდაციების თანახმად, ოჯახად ითვლება ცოლქმრული წყვილი ბავშვების გარეშე ან ნებისმიერი ასაკის ბავშვებთან ერთად ან ერთ-ერთი მშობელი ნებისმიერი ასაკის ბავშვებთან, რომელიც არ არის ქორწინებაში და არ ჰყავს საკუთარი ბავშვები. 4. საოჯახო მეურნეობები განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში: ა) ბაზარზე გამოდიან ფირმების მიერ ნაწარმოები საქონლისა და მომსახურების მყიდველების სახით; ბ) ფირმებს აწვდიან საწარმოო რესურსებს; გ) ზოგავენ ეკონომიკაში შექმნილი შემოსავლის ნაწილს და ამით შეიძენენ რეალურ და ფინანსურ აქტივებს. საოჯახო მეურნეობები მონაწილეობენ სხვადასხვა ეკონომიკურ ურთიერთობებში, მათ შორის ფინანსურშიც. ამიტომ ობიექტურად ისმის საკითხი დამოუკიდებელი ეკონომიკური კატეგორიის „საოჯახო მეურნეობის ფინანსების" შინაარსის განმარტების შესახებ. განიხილება ამ ეკონომიკური კატეგორიის განმარტებისადმი სულ მცირე, ორი მიდგომა.

პირველი მიდგომა თეორიული ხასიათისაა. იგი ემყარება მეცნიერთა დასკვნებს, რომელიც პოსტსაბჭოთა ფინანსური სკოლის ერთ-ერთი მიმართულებაა. როგორც ცნობილია, ერთნაირი, ობიექტური ხასიათის მქონე ეკონომიკური ურთიერთობები, რომელთაც აქვთ სპეციფიკური საზო-გადოებრივი დანიშნულება და მუდმივად ყალიბდებიან სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის რომელიმე სფეროში, აყალიბებენ დამოუკიდებელი ეკონომიკური კატეგორიების შინაარსს. **ამიტომ საოჯახო მეურნეობის ფინანსები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განიმარტოს როგორც ფულადი სახსრების ფონდების შექმნისა და გამოყენების ფულადი ურთიერთობების სისტემა, საოჯახო მეურნეობების წევრების მატერიალური და სოციალური პირობების უზრუნველყოფის და მათი კვლავწარმოების მიზნით.**

შესაძლებელია მოყვანილი განმარტების დაზუსტება შემდეგი სახით: თეორიული თვალსა-ზრისით – საოჯახო მეურნეობის ფინანსები – ესაა ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა იმ ფულადი სახსრების შექმნის, განაწილების და გამოყენების პროცესში, რომელშიც ერთვებიან საოჯახო მეურნეობები და მისი ცალკეული მონაწილეები თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის პროცესში, ფინანსური ურთიერთობები ყალიბდება როგორც საოჯახო მეურნეობის შიგნით, ასევე გარე ეკონომიკურ ერთეულებთან მიმართებაში. პირველ შემთხვევაში ურთიერთობები ყალიბდება საოჯახო მეურნეობის ცალკეულ მონაწილეებს შორის მიზნობრივი დანიშნულების მქონე ფულადი ფონდების შექმნისათვის. ეს მიზნებია: 1. მიმდინარე მოხმარების (კვება, ტანსაც-მელი და ა.შ.) დონის შენარჩუნება; 2. მატერიალურ აქტივებში ინვესტირება (ფულადი დანაზოგები ხანგრძლივი მოხმარების საგნების შეძენის მიზნით: ბინა, ავეჯი, ავტომობილი და ა.შ.); 3. ფულადი სახსრების დაზოგვა განათლების, ჯანდაცვის, ტურისტული მოგზაურობის მომსახურების ასანაზ-ღაურებლად; 4. დანაზოგები ფულადი სახსრების შემდგომი განთავსების მიზნით ვადიან საბანკო ანაბრებზე, აქციებში, ობლიგაციებში და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში. საოჯახო მეურნეობების გარე ფინანსური ურთიერთობების სისტემა ნაჩვენებია 1 ნახაზზე.

როგორც ვხედავთ, საოჯახო მეურნეობები ფინანსურ ურთიერთობებს ამყარებენ: ა) სხვა საოჯახო მეურნეობებთან ერთობლივი ფულადი ფონდების შექმნისა და მათი გამოყენების მიზნით (მათ არ მიეკუთვნება ურთიერთგაცვლითი ურთიერთობები, რომლებშიც ასევე შეიძლება მონა-წილეობდნენ საოჯახო მეურნეობები); ბ) მატერიალური წარმოების სხვადასხვა სფეროებში მონაწილე საწარმოებთან ან მომსახურების საწარმოებთან და გამოდიან დამსაქმებლების როლში საოჯახო მეურნეობების წევრებთან მიმართებაში წარმოებული ეროვნული შემოსავლის ნაწილის გადანაწილებისათვის; გ) კომერციულ ბანკებთან, სამომხმარებლო კრედიტების მოსაზიდად, მათ დასაფარავად დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების განსათავსებლად საბანკო ანგარიშებზე; დ) სადაზღვევო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა სახის სადაზღვევო ფონდის შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით; ე) სახელმწიფოსთან საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების შექმნისა და გამოყენების მიზნით.

მეორე მიდგომა ემყარება ნეოკლასიკური ფინანსური სკოლის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. მოცემული მიდგომის ჩარჩოებში ტერმინი „ფინანსები" განისაზღვრება, როგორც მეცნიერება დეფიციტური ფულადი რესურსების მართვის შესახებ ანდა გამოიყენება, როგორც განზოგადებული ტერმინი მონეტარული რესურსების დახასიათებისა და მისი გენერირებისა და გამოყენების დასახასიათებლად. აღსანიშნავია ამ მიმართულების პრაგმატული (გამოყენებითი)

მიმართულება, რომელიც მისაღებია „საოჯახო მეურნეობის ფინანსების“ კატეგორიის შინაარსის განსაზღვრისათვისაც. თუმცა, ამ მიდგომების ჩარჩოებში მოცემული დეფინაციები მოითხოვს გარკვეულ დაზუსტებას, რამდენადაც მათი ფორმირების პროცესში გამოყენებული ტერმინოლოგია ყოველთვის კორექტული არ არის[314].



ნახ. 1. საოჯახო მეურნეობების გარე ფინანსური ურთიერთობების სისტემა

ამ მიდგომის კონტექსტში **საოჯახო მეურნეობების ფინანსები** შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მისი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ერთიანობა, ასევე მათი ეფექტიანად მართვის საშუალება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. „საოჯახო მეურნეობის ფინანსების“ განმარტებისადმი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის მიდგომები ერთიმეორეს კი არ ეწინააღმ-დეგება, არამედ ავსებს, რაც განაპირობებს ამ ეკონომიკური კატეგორიის სოციალურ-ეკონომიკური არსის სრულად ახსნას.

საოჯახო მეურნეობის ფინანსების წარმოშობის სფეროა კვლავწარმოების პროცესის მეორე სტადია, რომლის დროსაც ადგილი აქვს წარმოებული მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილებას. საოჯახო მეურნეობების წევრები არიან სამუშაო ძალის – ერთ-ერთი საწარმოო რესურსის (წარმოების ფაქტორის) მესაკუთრეები და შესაბამისად თავიანთ განკარგულებაში ღებულობენ წარმოების პროცესში შექმნილი მთლიანი ეროვნული პროდუქტის ნაწილს. აღვნიშნავთ, რომ საოჯახო მეურნეობები მონაწილეობენ არა მარტო ეროვნული პროდუქტის განაწილებაში, არამედ მისი ხელახალი გადანაწილების პროცესში, როცა სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების სისტემის მეშვეობით, ასევე საპენსიო სისტემა, სოციალური ტრანსფერტების სისტემის მეშვეობით გადაანაწილებს შემოსავლებს სხვადასხვა საოჯახო მეურნეობებს შორის.

საოჯახო მეურნეობის ფინანსების ფუნქციები. საოჯახო მეურნეობის ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი მათ ფუნქციებში ვლინდება: განვიხილავთ შემდეგ ფუნქციების: რესურს-წარმომქმნელ, გამანაწილებელ, კვლავწარმოებით, მარეგულირებელ, საინვესტიციოს, კონსოლიდა-ციის. დავახასიათოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

საოჯახო მეურნეობების შემოსავალი, როგორც წესი, რამდენიმე წყაროდან ყალიბდება. მათი სტრუქტურა, ასევე საოჯახო მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის დაფინანსების ნასესხები წყა-როების შემადგენლობა განისაზღვრება ამ მეურნეობების მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვე-ტილებების ჩარჩოებში, რომელთა ერთობლიობაში ვლინდება საოჯახო მეურნეობების ფინანსების **რესურსშემქმნელი ფუნქცია.**

საოჯახო მეურნეობის ფინანსების მნიშვნელოვანი ფუნქციაა **გამანაწილებელი ფუნქცია.** საოჯახო მეურნეობების ფინანსები, ისევე, როგორც საზოგადოებრივი ფინანსები არის ღირე-ბულებითი განაწილების ობიექტურად განპირობებული ინსტრუმენტი. მაგრამ თუკი საზოგადოებ-რივი ფინანსების სპეციფიკური დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ გაანაწილოს და გადაანაწილოს შექმნილი მთლიანი ეროვნული პროდუქტი სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებს შორის, საოჯახო მეურნეობების ფინანსები უზრუნველყოფს ამ ღირებულების შემდგომ განა-წილებას საოჯახო მეურნეობის ცალკეულ მონაწილეებს შორის, ასე რომ, ისინი მთავარ როლს ასრულებენ განაწილებითი პროცესის ბოლო საფეხურზე. საოჯახო მეურნეობის მონაწილეთა

[314] მსგავსი განმარტების ავტორები ხშირად ცნება „საოჯახო მეურნეობების ფინანსების“ ნაცვლად იყენებენ ცნებებს „მოსახლეობის ფინანსები“ ანდა „ოჯახების ფინანსები“, რაც არც ისე კორექტულია. მოსახლეობა არ არის დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი (საეჭვოა, მას შეეძლოს მიიღოს თუნდაც ერთი დამოუკიდებელი ფინანსური გადაწყვეტილება); ამ განმარტებაში „ოჯახი“ დამოუკიდებელი ფინანსური გადაწყვეტილების ერთობლივი მიღების კრიტერიუმად არ განიხილება.

რიცხვში არ შედიან არასრულწლოვანი ბავშვები, სრულწლოვანი, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ოჯახის უმუშევარი წევრები. ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც მოდის ცალკეული საოჯახო მეურნეობის წილად, ამა თუ იმ პროპორციით ნაწილდება ყველა მის მონაწილეს შორის სწორედ გამანაწილებელი ფუნქციის ჩარჩოებში. გამანაწილებელი ფუნქციის მოქმედების ობიექტია საოჯახო მეურნეობის განკარგულებაში არსებული შემოსავალი, ესაა ნომინალური ფულადი შემოსავლის ნაწილი, რომელიც დარჩა საოჯახო მეურნეობის განკარგულებაში გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადახდების გადახდის შემდეგ. განაწილების სუბიექტები არიან საოჯახო მეურნეობათა ყველა მონაწილე.

ამრიგად, გამანაწილებელი ფუნქცია საოჯახო მეურნეობების ცალკეულ მონაწილეთა არსებობისათვის სტაბილურად ნორმალური პირობების არსებობის შენარჩუნებაში მდგომარეობს, რომლებიც სამუშაო ძალის მატარებლები არიან და რომლის უწყვეტი კვლავწარმოება, თავის მხრივ, არის საზოგადოებრივი წარმოების პროცესის უწყვეტობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

საოჯახო მეურნეობის ეკონომიკა ემყარება მის ცალკეულ მონაწილეთა შორის არსებულ საკმაოდ რთულ ურთიერთობათა კომპლექსს. ეს ურთიერთობები განსაზღვრულია სხვადასხვა ასაკით, ხასიათის სპეციფიკით, ადამიანების ჩვევებით, მათი მოთხოვნების სხვადასხვა დონეებითა და შემოსავლებით. ამასთან, საოჯახო მეურნეობების ნორმალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მათი მონაწილეები მიაღწევენ ურთიერთშეთანხმებას ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეკონომიკურ ინტერესთა შეთანხმება საოჯახო მეურნეობის სხვადასხვა მონაწილეებს შორის მიიღწევა მათი რეგულირებით. ეს გულისხმობს განკარგვას, დაქვემდებარებული შემოსავლის იმ ნაწილის შესაძლო ცვლილებას, რაც მოდის საოჯახო მეურნეობის ერთ წევრზე. **შესაბამისად, საოჯახო მეურნეობების ფინანსები ასრულებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან - მარეგულირებელ ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფს საოჯახო მეურნეობის, როგორც ერთიანი მთელის დაბალანსებულ განვითარებას.** ეს მიიღწევა ფინანსური რესურსების გადანაწილების გზით. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საოჯახო მეურნეობის დონეზე მისი განვითარების რეგულირება ხდება ძირითადად თვითრეგულირების მეშვეობით, რამდენადაც საოჯახო მეურნეობის ცალკეულ მონაწილეთა დამოუკიდებლობა ამ პროცესში არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ.

საოჯახო მეურნეობების ფინანსების მნიშვნელოვანი ფუნქცია საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში არის საინვესტიციო ფუნქცია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო მეურნეობა არის ეროვნული ეკონომიკისათვის ფინანსური ნაკადების ერთ-ერთი მიმწოდებელი. შემოსავლების ზრდა საოჯახო მეურნეობებში არის ამ ფუნქციის შესრულების მატერიალური საფუძველი. ხშირად საოჯახო მეურნეობების საინვესტიციო ფუნქციას მხოლოდ შემოსავლების კაპიტალიზებულ წილთან, ანუ სახსრების სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში და რეალურ წარმოებაში დაბანდებებთან აკავშირებენ. თუმცა ეს მიდგომა ცალმხრივია. სინამდვილეში მოხმარების წილის გადიდება ასევე არის ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. სამომხმარებლო ხარჯების შემცირება, რა ფაქტორებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, ბუნებრივად აფერხებს წარმოების განვითარებას.

კონსოლიდაციის ფუნქციის ჩარჩოებში საოჯახო მეურნეობების ფინანსები გამოდის ფინანსური სისტემის დამაკავშირებელ რგოლად, რომლის ფუნქციონირების მიზანია საოჯახო მეურნეობების ცალკეულ მონაწილეთა მოთხოვნების ფინანსური უზრუნველყოფა.

საოჯახო მეურნეობების მიერ შესრულებული ფუნქციები განსაზღვრავს მისი, როგორც ეროვნული საფინანსო სისტემის ელემენტის, სპეციფიკას. ყველა ეს ელემენტთაგანი გარკვეულწილად გავლენას ახდენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესზე. ფინანსური სისტემის ყველა სფეროში ფულადი სახსრების ფონდების შექმნისა და გამოყენების პროცესს აქვს თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.

საოჯახო მეურნეობების ფინანსების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური ურთიერთობების ეს სფერო უმნიშვნელო წილით რეგლამენტირდება სახელმწიფოს მიერ. სინამდვილეში, ცენტრალიზებული ფულადი ფონდების, ისეთების, როგორიცაა, ვთქვათ, სახელმწიფო ბიუჯეტი, ანდა სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდები, შექმნისა და გამოყენების პროცესი მკაცრ სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება. საწარმოთა ფულადი სახსრების ფორმირების პროცესის ცალკეული მხარეები ასევე განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ (საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობით მოთხოვნა, საგადასახადო დაბეგვრის სისტემა, საამორტიზაციო ანარიცხების, თვითღირებულების ზოგიერთი სხვა ელემენტის გათვლის წესი და სხვა). საოჯახო მეურნეობა დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს შემოსავლების წყაროების, ფულადი ფონდების შექმნის საჭიროებებისა და ხერხების, მათი სიდიდისა და მიზნობრივი დანიშნულების, შექმნილი ფონდების გამოყენების დროის შესახებ. სხვა სიტყვებით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს თითქმის არ გაჩნია საოჯახო მეურნეობების ფინანსურ ურთიერთობებზე პირდაპირი (ადმინისტრაციული) ზემოქმედების ინსტრუმენტები.

ამასთან ერთად, სახელმწიფოს უნარი შესწევს, ირიბი ზემოქმედება მოახდინოს ამ ურთიერთობებზე სხვადასხვა საგადასახადო-საბიუჯეტო მეთოდების გამოყენებით. ასე მაგალითად, საოჯახო მეურნეობების შემოსავლები იქმნება მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებუ-

ლების მრავალჯერადი განაწილებისა და გადანაწილების შედეგად, საოჯახო მეურნეობები და სახელმწიფოს ფინანსური ურთიერთობების რეალიზაციის პროცესში. ფიზიკური პირების მიერ გადახდილი გადასახადების განაკვეთის გადიდება იწვევს შემოსავლების შემცირებას. მეორე მხრივ, გადასახადების აკრეფის გზით მობილიზებული ფინანსური რესურსები ბიუჯეტის მეშვეობით მიდის ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის სფეროს დასაფინანსებლად, შედეგად კი საოჯახო მეურნეობების რეალური შემოსავლების დონე იზრდება.

საოჯახო მეურნეობების ფინანსების მიერ შესრულებული ფუნქციები განსაზღვრავს მათ მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში. ეს როლი იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო მეურნეობების ფინანსები, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობას, არის საინვესტიციო რესურსების წყარო და ქმნის საფუძველს ეროვნული ეკონომიკური სისტემების აღმავალი განვითარებისათვის.

საოჯახო მეურნეობების ფინანსური გადაწყვეტილებები. საოჯახო მეურნეობის, როგორც ეკონომიკური ერთეულის საქმიანობის ძირითად მიზანია მისი ცალკეული მონაწილის მოთხოვნილებების შედარებით სრულად დაკმაყოფილება. ამ მიზნის მისაღწევად, საოჯახო მეურნეობები იღებენ სხვადასხვა ფინანსურ გადაწყვეტილებებს. ეს გადაწყვეტილებები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: 1. შემოსავლის წყაროების სტრუქტურისა და სიდიდის ფორმირების გადიდების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები და 2. მომავალი შემოსავლების სტრუქტურის ფორმირების მიმართულებით გაკეთებული გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებების პირველი ჯგუფი გავლენას ახდენს საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების საერთო დონეზე. გადაწყვეტილებების მეორე ჯგუფი ზემოქმედებას ახდენს არა მარტო იმ ურთიერთობებზე, რომელშიც საოჯახო მეურნეობის შემოსავალი იყოფა მოხმარებისა და დაზოგვისათვის განკუთვნილ ნაწილებად, არამედ მომავალ პერიოდში საოჯახო მეურნეობის შემოსავლების დონეზე, რომლებიც მიიღება, ვთქვათ, დივიდენდების სახით შეძენილი აქციებიდან, ანდა შემოსავლის სახით კომერციულ ბანკში გაკეთებული ვადიანი ანაბრიდან. მეორე ჯგუფში შეიძლება გამოიყოს მოცემულ პერიოდში მიღებული შემოსავლების მოხმარებული და დაზოგილი ნაწილის სიდიდის განსაზღვრასთან დაკავშირებული ფინანსური გადაწყვეტილებები, ასევე, დაზოგილი შემოსავლები რომელ აქტივებში იქნეს განთავსებული და დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

ფორმალიზაციის ხარისხის მიხედვით საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების მექანიზმი განსხვავდება ფინანსური ურთიერთობების სხვა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან. მაგალითად, კომერციულ ორგანიზაციებში მოქმედებს გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდების სისტემა დაგეგმვის, ოპერატიული მართვის, კონტროლის და მართვის პროცესების სხვა სტადიების ჩათვლით, რომლებიც ერთიანდებიან ცნებაში „მენეჯმენტი“ (მისი შემადგენელი ნაწილია „ფინანსური მენეჯმენტი“), „მართვის პროცესი“ და ა.შ. კომერციულ ორგანიზაციებში მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს საქმიანობის ოპერატიული და სტრატეგიული მიზნები, მათი იერარქია და მიღწევის ხერხები. ყოველივე ეს განმტკიცებულია შიდასაფირმო რეგლამენტებში. საოჯახო მეურნეობებში მიზნების დადგენა და განსაზღვრა გადაწყვეტილებების მიღებისას ასევე აუცილებელი ატრიბუტია, ოღონდაც მათი დასმა და მიღწევა ფორმალიზებულ პროცედურებთან არ არის დაკავშირებული. საოჯახო მეურნეობის მიზნები ხშირად ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე განისაზღვრება, საოჯახო მეურნეობის წევრებს შორის დგინდება, მყარდება არაფორმალური კავშირების სისტემა, რომელშიც განისაზღვრება თვითოეული მათგანის როლი. საოჯახო მეურნეობებში, როგორც წესი, არ ადგენენ კონკრეტულ (რომელიმე წესით გაფორმებულ) ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების გეგმას, რაც ასევე წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილებების არაფორმალური ხასიათის დასტურს. ეს თავისებურებები მნიშვნელოვანწილად არის იმ გარემოებათა შედეგი, რომ ფინანსური გადაწყვეტილებები საოჯახო მეურნეობების მიერ მიიღება არა მარტო ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე (შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა, დანახარჯების ეკონომია და ა.შ.), არამედ სოციალური ასპექტების გათვალისწინებითაც (ბავშვების აღზრდა, საგანმანათლებლო დონის ამაღლება, პირობების უზრუნველყოფა სრულფასოვანი დასვენებისათვის და ა.შ.).

საოჯახო მეურნეობები ფინანსურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ სხვადასხვა რისკების გათვალისწინებით (დონის შემცირებით), რასაც ისინი აწყდებიან თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის პროცესში. საოჯახო მეურნეობების ფინანსებთან დაკავშირებული რისკები პრაქტიკულად ნაკლებად არის გამოკვლეული სამამულო და უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში (მიუხედავად მისი თვალსაჩინო აქტუალობისა). ცნება „საოჯახო მეურნეობების ეკონომიკური რისკი-ს” განმარტების დასაბუთებულობა უნდა მოხდეს საოჯახო მეურნეობების საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე. საოჯახო მეურნეობათა ეკონომიკური რისკი არის სიტუაციის აღმოცენების ალბათობა, რომლის პირობებშიც ეცემა საოჯახო მეურნეობისა და მისი ცალკეული წევრების ცხოვრების დონე.

ცხოვრების დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შემოსავლების დონეზე, ხარჯების სიდიდესა და საოჯახო მეურნეობების დანაზოგების სიდიდეზე. შესაბამისად, საოჯახო მეურნეობა თავის ეკონომიკური საქმიანობის პროცესში აწყდება შემდეგ ძირითად რისკებს: 1. შემოსავლის დაკარგვის რისკი; 2. გაუთვალისწინებელი ხარჯების აღმოცენების რისკი; 3. დანაზოგების და-

კარგვის რისკი. საოჯახო მეურნეობათა ეკონომიკური რისკის ხარისხი განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებით, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: გარე და შიდა საოჯახო მეურნეობებთან დამოკიდებულების (ინდივიდუალური) ფაქტორები (ნახ. 2).



ნახ. 2. საოჯახო მეურნეობების ეკონომიკური რისკები და მათი განმსაზღვრელი ფაქტორები

შემოსავლის დაკარგვის რისკის დონეზე გავლენას ახდენს შემდეგი გარე ფაქტორები: ა) იმ საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაუარესება, რომელიც საოჯახო მეურნეობის მონაწილეთა დამსაქმებლებია; ბ) სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება (მაგალითად, გადაწყვეტილების მიღება სოციალური ტრანსფერტების დონის შემცირების შესახებ); გ) იმ საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაუარესება, რომლის მფლობელები არიან საოჯახო მეურნეობების მონაწილენი; დ) საბანკო ანაბრებზე გადახდილი საპროცენტო განაკვეთების და ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის დონის შემცირება.

გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოშობის რისკის ხარისხი იზრდება კერძოდ ფასების ზრდის, გადახდილი გადასახადების ზრდით (საგადასახადო განაკვეთის გადიდება, გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის ზრდა გადასახადების რიცხვის გადიდებით და ა.შ.), შემთხვევითი ფაქტორები (ჯანმრთელობის გაუარესება, გარდაცვალება, ქონების მოპარვა, სტიქიური უბედურება და ა.შ.). დანაზოგების დაკარგვის რისკის დონე იზრდება როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევითი ფაქტორების შედეგად. საოჯახო მეურნეობის ჩამოთვლილი ეკონომიკური რისკების ხარისხი დამოკიდებულია ინდივიდუალურ ფაქტორებზე, რომელთა რიცხვს განეკუთვნება სოციალური სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს საოჯახო მეურნეობა, საოჯახო მეურნეობის წევრთა ფსიქოლოგიური

თავისებურებები, საოჯახო მეურნეობის ცხოვრების წესი, მისი წევრების ეკონომიკური აქტივობის დონე და ა.შ.

ამრიგად, საოჯახო მეურნეობის ფინანსების შესწავლის კუთხით ბევრია გასაკეთებელი. საყურადღებოა აღნიშნული კატეგორიის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება; დარწმუნებული ვარ, პოლემიკას გამოიწვევს მისი ფუნქციები; საერთოდ გადაუდებლად მიგვაჩნია საქართველოში ამ ნაკლებად შესწავლილი ეკონომიკური კატეგორიის წინა პლანზე წამოწევა, სახელმწიფოს მიერ სწორი პოლიტიკის შემუშავება საოჯახო მეურნეობის შემოსავლების ოპტიმალური დაგეგმვის მიმართულებით; ყურადღება უნდა მიექცეს საოჯახო მეურნეობის ეკონომიკური რისკების შემცირების საკითხებს; მეცნიერ-ეკონომისტების მიერ თითქმის მივიწყებულია საოჯახო მეურნეობის დანაზოგების, როგორც მისი ფინანსური აქტივების შესწავლა და ა.შ. ვიმედოვნებ, საოჯახო მეურნეობის ფინანსების ჩამოთვლილი პრობლემატური საკითხები დააინტერესებს ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩანტლაძე ვ. (1987). ფინანსების თეორიის საკითხები თბ., თსუ გამომცემლობა.
2. კაკულია რ., გაბელაშვილი კ. (2012). ფინანსების თეორიის საკითხები. თბილისი.
3. ვანიშვილი მ., ნოზაძე მ., გოცირიძე ლ. (2010). ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით. თბ., სტუ გამომცემლობა.
4. Белозоров С. А. (2005). Финансы домашнего хозяйства: сушность, структура, управление. М.: СПБ, изд. дом «Мир».
5. Penman S. (2004). Financial Statement Analysis and Security Valuation. 2-nd ad McCraw – Hill/Irwin.

Lamara Kokiauri

DEFINITION OF FAMILY FARMING FINANCING

Annotation

In the work we define the necessity of the meaning of social-economics and functions of family farming finances in the conditions of marketing economics.

In the work you can find about family farming finances, as an original explanation of economical category. It shows its functions, especially resource creating, dispensing, reproducing. The work explains the specifics of family farming finances and the role of the state in its reglamentation and regulations.

In the work you can also learn the role of family farming finances in reproducing work force and investing process. In addition, the economical risk and their defining factors of family farming during the fulfilling of financial decisions are analyzed.

ხათუნა შალამბერიძე

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანალიზი

ეროვნული ბანკის საქმიანობის ძირითადი მიზანია ქვეყანაში ფასების სტაბილურობა. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი მიზნის შესრულებას.

ფასების სტაბილურობა გულისხმობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაბალი და სტაბილური ინფლაციის მაჩვენებლის შენარჩუნებას. მაღალ ინფლაციას დიდი მერყეობა ახასიათებს, ამიტომ სტაბილური ინფლაციის მისაღწევად მნიშვნელოვანია ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნება. ფასების სტაბილურობა აუცილებელი პირობაა რესურსების ეფექტიანად განაწილებისათვის. არაპროგნოზირებადი ფასები ამცირებს გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას. მაღალი ინფლაციის დროს რესურსები პროდუქტიული გამოყენების ნაცვლად ინფლაციისგან დასაზღვევი მარაგების შესაქმნელად მიემართება. ფასების სტაბილურობა ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისითაც. ზოგადად, დაბალი და სტაბილური ინფლაცია ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

საქართელოს ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკი ეკონომიკისათვის სასურველ ინფლაციის დონედ განიხილავს ინფლაციას დაახლოებით იმ ოდენობით, რაც არის ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებელი. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად ეროვნული ბანკი შესაბამის მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს. 2009 წლიდან ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება, რომლის დროსაც ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთების მართვით ზემოქმედებს ინფლაციაზე. კერძოდ, მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს და შემდეგ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. სესხებზე საპროცენტო განაკვეთების

ცვლილება ზემოქმედებს ქვეყანაში ერთობლივ მოთხოვნაზე, რაც, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ფასების დონეზე.

იმ შემთხვევაში თუ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მეტია მიზნობრივ დონეზე, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის აწევით, რაც გარკვეული პერიოდის მერე გადაეცემა სესხებზე საპროცენტო განაკვეთს და ზღუდავს ერთობლივ მოთხოვნას, რათა ფასების ზრდის ტემპი დაუბრუნდეს სასურველ დონეს. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალია, ეროვნული ბანკი შეამცირებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, რაც გარკვეული პერიოდის მერე გადაეცემა სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. შედეგად ერთობლივი მოთხოვნა გაიზრდება და ხელს შეუწყობს ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონემდე დაბრუნებას.

ფინანსური სტაბილურობა საფინანსო სექტორის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც სექტორი, შოკების მიუხედავად, ეფექტურად ასრულებს შუამავლის როლს ეკონომიკაში. ფინანსური სექტორის სტაბილურობა შეიძლება ასევე განვსაზღვროთ, როგორც სისტემურად მნიშვნელოვანი საფინანსო ინსტიტუტებისა და საფინანსო ბაზრების სტაბილურობა. ფინანსური სტაბილურობა არ გამორიცხავს სირთულეებს საფინანსო ბაზრების ცალკეული მონაწილეებისთვის. პრობლემები ინდივიდუალურ საფინანსო ინსტიტუტებში საფრთხეს უქმნის ფინანსურ სტაბილურობას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პრობლემები უარყოფითად აისახება მთლიანად სისტემის შესაძლებლობაზე, შეასრულოს თავისი ფუნდამენტური როლი.

ინფლაციის თარგეთირება არის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი, რომლის დროს ქვეყნის ცენტრალური ბანკი აცხადებს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს, რაც არის არსებულ ეტაპზე ქვეყნისათვის სასურველი ინფლაციის დონე, და შემდეგ მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია შეინარჩუნოს მიზნობრივ დონეზე. 90–იანი წლების შემდგომ მონეტარული პოლიტიკის ასეთი რეჟიმი საკმაოდ წარმატებული გამოდგა ინფლაციასთან ბრძოლაში, ამიტომ მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყანა გადავიდა მონეტარული პოლიტიკის სწორედ ამ რეჟიმზე, მათ შორის ინგლისის ბანკი, შვეიცარიის ცენტრალური ბანკი და სხვა.

ინფლაციის თარგეთირების დროს მონეტარული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს. მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით ქვეყნის ცენტრალური ბანკი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე, გასესხების განაკვეთზე და, საბოლოო ჯამში, ერთობლივ მოთხოვნაზე. რადგანაც ინფლაციის თარგეთირების უმთავრესი ამოცანა ეკონომიკურ აგენტებში ინფლაციის მოლოდინის ფორმირებაზე ზეგავლენაა, მნიშვნელოვანი ხდება მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების საზოგადოებასთან კომუნიკაცია. ინფლაციის თარგეთირების დროს მნიშვნელოვანია ინფლაციის პროგნოზირება. რადგან მონეტარული პოლიტიკის ცვლილება რეალურ ეკონომიკაზე არა მყისიერად, არამედ მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ აისახება, მონეტარული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანია არა დღევანდელი, არამედ პროგნოზირებული ინფლაცია. იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციის პროგნოზი აღემატება მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს პოლიტიკას, და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზი ნაკლებია მიზნობრივ დონეზე – გადაწყვეტილება პოლიტიკის შერბილების სასარგებლოდ მიიღება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობა. ინფლაციის დონის მიზნობრივ მაჩვენებელზე შესანარჩუნებლად ეროვნული ბანკი იყენებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, რომლის ცვლილებაც მონეტარული გადაცემის მექანიზმის საშუალებით ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და შედეგად იცვლება ფასების დონეც. ამ მიზნის მისაღწევად სებ-ი იყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორებიცაა რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონები, ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. ამ ინსტრუმენტების საშუალებით ეროვნული ბანკი ფინანსურ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთს არეგულირებს. ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მცირდება საბანკო რესურსები, რაც, შესაბამისად, ფულის მასის შემცირებას იწვევს და ხდება საბანკო სისტემიდან ჭარბი ლიკვიდობის ამოღება. გარდა ამისა, სადეპოზიტო სერტიფიკატები და სახაზინო ფასიანი ქაღალდები მიეკუთვნება დაბალი რისკის მატარებელი აქტივების კლასს და კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს, შეამციროს საკრედიტო პორტფელის რისკიანობის მაჩვენებელი. ამავდროულად, ვითარდება ფასიანი ქაღალდების ბაზარიც.

ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სისტემას მოკლევადიანი ლიკვიდობა მიეწოდება. მათი გაცემა ხორციელდება აუქციონების საშუალებით, შესაბამისი გირაოს წარმოდგენის საფუძველზე. ერთკვირიანი რეფინანსირების სესხებით სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გადაეცემა საბანკო სექტორის ჯერ მოკლევადიან და შემდგომ კი გრძელვადიან განაკვეთებს. ერთდღიანი სესხებისა და ერთდღიანი დეპოზიტების განაკვეთების საშუალებით იქმნება ე.წ. კორიდორი ბანკთაშორის ბაზარზე, რომელიც ამცირებს ამ ბაზრის განაკვეთის მერყეობას.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები არის მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუ-მენტი, რომლის საშუალებით ეროვნული ბანკი გავლენას ახდენს მონეტარულ აგრეგატებსა და ფულის მასაზე. გარდა ამისა, სავალდებულო რეზერვების მოთხოვნის გამოყენებით სებ-ი უზრუნ-ველყოფს ბანკების მიერ საჭირო ლიკვიდური სახსრების არსებობას რეზერვში მოულოდნელი ფულადი გადინების დასაფარად. სარეზერვო მოთხოვნების გაზრდა იწვევს დაკრედიტებისთვის საჭირო ფულადი სახსრების შემცირებას ბანკებისთვის, ხოლო დაწევა კი პირიქით, გამოიწვევს ფულის მიწოდების გაზრდას.

მონეტარული პოლიტიკის ამ ინსტრუმენტების გამოყენების მთავარი მიზანი ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენის მოხდენაა, რაც საბოლოოდ აისახება ინფლაციის მაჩვენებელზე (იხ. ლიკვიდობის მართვის ძირითადი პრინციპები საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე). საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ბანკების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუ-მენტია და ის ერთგვარი ორიენტირია საბაზრო განაკვეთებისათვის.

გადაწყვეტილება პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე მიიღება მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ პროცესებსა და ფინანსურ ბაზრებზე დაკვირვების შედეგად. მონეტა-რული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გათვალის-წინება ხდება, ვინაიდან გატარებული პოლიტიკის შედეგი ეკონომიკაზე დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება (ტიმე ლაგ). თუ პროგნოზირებული მაჩვენებელი აღემატება ინფლაციის მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას და აწევს საპროცენტო განაკვეთს, რათა შეზღუდულ იყოს მომავალში ფასების დონის მატება. შედეგად, შემცირდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც ზეგავლენას მოახდენს ფასების ზრდის ტემპზე. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა არის დაბალი და ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი ნაკლებია მიზნობრივზე, ეროვნული ბანკის მიერ გატარდება ექსპანსიური მონე-ტარული პოლიტიკა – შემცირდება საპროცენტო განაკვეთი, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაეცემა სესხების საპროცენტო განაკვეთს და გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას.

ინფლაცია შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით. მაგალითად, ფასების დონის მატებაზე მოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, როდესაც ჭარბი მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ ხორციელდება ერთობლივი მიწოდებით. შესაძლოა, აგრეთვე ადგილი ჰქონდეს ეგზოგენურ ფაქტორებს. მათზე ზეგავლენის მოხდენა მონეტარული პოლიტიკის საშუალებით შეზღუდულია. ასეთებს განეკუთვნება მსოფლიო ბაზარზე განვითარებული მოვლენები, გადასა-ხადების ცვლილება, სტიქიური უბედურებები, რეგულირებადი ფასების ცვლილება და სხვ. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდა, რამაც ზეგავლენა იქონია ქვეყანაში სხვადასხვა პროდუქტების ფასის მატებაზე. ეგზოგენური ფაქტორები ვერ გაკონტროლდება შიდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საშუალებით, ამდენად ცენტრალური ბანკები, როგორც წესი, არ რეაგირებენ ასეთი ფაქტორების შედეგად ინფლაციის ზრდაზე. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სიტუაცია წარმოქმნის ინფლაციის მოლოდინს, რაც ზეგავლენას ახდენს ფასების დონეზე, უნდა მოხდეს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება საპროცენტო განაკვეთის გაზრდით ინფლაციის მოლოდინის შესამცირებლად. განაკვეთის ცვლილება, გადაცემის მექანიზმის საშუალებით, სხვადასხვა არხებით გადაეცემა ერთობლივ მოთხოვნას, გამოიწვევს მის შემცირებას და შედეგად უნდა ველოდეთ ფასების დონის შემცირებასაც.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი – ეს არის სათათბირო საკონსულტაციო ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქცია ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი შექმნილია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. კომიტეტის გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით მიეწოდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ხოლო მისი საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნული ბანკი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.

კომიტეტში 11 წევრია და მას თავმჯდომარეობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზი-დენტი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის თანამშრომლები და მოწვეული პირები. სხდომები იმართება თვეში ერთხელ (განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე შეხვედ-რა) წინასწარ ცნობილი კალენდრის მიხედვით. კომიტეტი განსაზღვრავს, თუ რა იქნება მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი შემდგომი პერიოდისათვის და აწესებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, რომელიც უზრუნველყოფს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევას. კომი-ტეტის შეხვედრაზე მიმდინარეობს მსჯელობა და მიიღება გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ღია ბაზრისა და სხვა ფულად-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციები, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისია და მიმოქცევა, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დადგენა, სებ-ის სასესხო, სადეპოზიტო და სხვა საკრედიტო ოპერაციებზე (გარდა ბოლო ინსტანციის სესხებისა) საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა და მონეტარული პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტების გამოყენება. ლარიზაცია არის დე-დოლარიზაცია ქართული ვალუტისათვის – ლარისათვის. ტერმინი "ლარიზაცია" შესაძლოა გამოიყენებოდეს ორი მნიშვნელობით:

1. ლარიზაცია – ყველა ვალუტის გამოყენებაში ლარის გამოყენების პროცენტული მაჩვენე-ბელი. მაგ.: სესხების (დეპოზიტების) ლარიზაცია – ბანკების მიერ გაცემული სესხების (მიღებული

დეპოზიტების) საერთო რაოდენობაში ლარით სესხების (დეპოზიტების) პროცენტული მაჩვენებელი; ეკონომიკის ლარიზაცია – ეკონომიკაში გამოყენებული ფულის მთლიან მასაში ლარის პროცენ-ტული მაჩვენებელი.

2. ლარიზაცია – პროცესი, როდესაც ლარიზაციის პროცენტული მაჩვენებელი იზრდება. საზოგადოდ, ეს პროცესი ფიქსირდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური აგენტები უპირატესობას ანიჭებენ ეროვნულ ვალუტას. კერძოდ, დანაზოგს ინახავენ ეროვნული ვალუტით ნაცვლად უცხოური ვალუტისა და ასევე სესხებს იღებენ ეროვნული ვალუტით ნაცვლად უცხოური ვალუტისა, ფასებს აფიქსირებენ (მათ შორის გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე: ბინა, მანქანა და სხვ.) ეროვნული ვალუტით ნაცვლად უცხოური ვალუტისა.

ამრიგად, ლარიზაციის ზრდა მნიშვნელოვანია ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური გარემოს მისაღწევად. ამ შემთხვევაში ქვეყანას უმცირდება სავალუტო რისკი, შესაბამისად საგარეო შოკს უფრო ნაკლები გავლენა ექნება ეკონომიკაზე. გაზრდილი ლარიზაციის პირობებში ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა გახდება უფრო ეფექტური, რაც აუცილებელი წინაპირობაა ეკონომიკური სტაბილურობისათვის. ამდენად ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სწორედ ლარიზაციის ზრდაა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ლარიზაციის ზრდა მიღწეულ იქნეს ბუნებრივად, ყოველგვარი ადმინისტრაციული ზომების შემოღების გარეშე.

Khatuna Shalamberidze

METHODOLOGICAL ISSUES OF EVALUATION OF TOURIST CONSUMPTION REGIONAL VALUE

Annotation

The condition of development of tourism programs in the region and growing their effectiveness is their maintenance with statistic information, but information can be still found about many important economic values and therefore many questions about perspectives of regional tourism development are stayed unanswered.

In the article is discussed methods of tourist consumption and statistic evaluation of its share in general consumption of goods and service in the region. There are composed basic indexes as value as well as natural. In the article is substantiated advisability of survey works by using three-level stratified sampling method.

Conclusion is made that developed methodology and statistic approaches gives possibility of effective management of the tourism field to the executive government of the regional entities, also it provides organization of regular monitoring of tourist consumption value and share.

ასმათ შამუგია

თანამედროვე შრომის ბაზარი და დასაქმების პრობლემა საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო პრინციპების დასანერგად უაღრესად მნიშვნელოვანია საბაზრო ურთიერთობების პირობებში ყველა ინსტიტუტის გამართული ფუნქციო-ნირება. შრომის ბაზრის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი მუშაობა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შრომის ბაზარი მუდმივი ცვალებადობით ხასიათდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად შედარებით ნაკლები ბარიერები არსებობს როგორც კომპანიების, ისე ფიზიკური პირებისთვის. გლობალიზაციამ უფრო მეტი მოქნილობა შესძინა საერთაშორისო შრომის ბაზარს. შრომის ბაზარი მით უფრო დინამი-კურია, რაც უფრო ღიაა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა. ძირითადად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ან გაუქმება ბიზნესციკლების ცვალებადობის შედეგია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია სტრუქტურული კომპონენტის გავლენა. საქართველოში უმუშევრობის პრობლემის აქტუალობაზე აღარავინ დავობს. შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესების მოტივით 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში სისტემური ცვლილება განხორციელდა, სადაც ხაზი გაესვა დასაქმებულთა უფლებების ზრდას, მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, დასაქმების მაჩვენებლები არათუ გაიზარდა, არამედ 2014 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე, 2013 წელთან შედარებით, 2.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.4% შეადგინა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2014 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 11 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცნობილია, შრომის კოდექსში შესული ცვლილებების გათვალისწინებით დასაქმე-ბულ ქალთა უფლებები რადიკალურად შეიცვალა დადებითი მიმართულებით, თუმცა დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე შემცირდა როგორც ქალებში (1.9 პროცენტული პუნქტით), ისე კაცებში (2.5 პროცენტული პუნქტით), შესაბამისად, 10.4% (მინიმალური მაჩვენებელი ბოლო 14 წლის მანძილზე) და 14% (მინიმალური მაჩვენებელი ბოლო 7 წლის მანძილზე) შეადგინა.

ცხრილი 1



წყარო: geostat.ge

ტრადიციულად, კაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა დიასახლისია და, შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად, 42.9% და 22.6%). ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ისე დასაქმების დონე (ცხრილი 2). აღნიშნულის მიზეზი, სხვა პრობლემებთან ერთად, რასაკვირველია, არის მოუწესრიგებელი დასაქმების ბაზარი. კერძოდ, არ არის დათვლილი და დაანგარიშებული სახელმწიფოს ფარგლებში საჭირო პროფესიული კადრების რაოდენობა; თუ რა სახის და სფეროს სპეციალისტებზე არსებობს მოთხოვნილება მოცემულ მომენტში და რა დარგები შეიძლება გახდეს მოთხოვნადი უახლოეს მომავალში. პრობლემად რჩება ასევე უკვე არსებული კვალიფიციური კადრებისა და მათი პოტენციური დამქირავებლის ერთმანეთთან დაკავშირება. ზემოხსენებულ პრობლემებზე გაწეულ სამუშაოებს უმეტესად ძალიან მცირე მასშტაბები აქვს. ამასთანავე, მსგავსი სახის ცალკეული ქმედებები არ არის კოორდინირებული, არ ატარებს მუდმივ ხასიათს და ძირითადად შემოიფარგლება კერძო ინიციატივებით.

ცხრილი 2



წყარო: geostat.ge

საჭიროა ითქვას ისიც, რომ დასაქმების სფეროში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება განსაკუთრებულად მძიმეა საზოგადოების იმ ფენისათვის, როგორიცაა ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება.

ხალგაზრდების დასაქმება 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. საქართველოს ახალგაზრდობა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს გრძელვადიანი

დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ პრობლემებს ის ახალგაზრდები უფრო რთულად უმკლავდებიან, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ერკვევიან არსებულ რეალობაში, ფაქტობრივად არ იციან საკუთარი შესაძლებლობები, ჯერ არ აქვთ სამსახურის ძიების გამოცდილება და ამისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. მათგან განსხვავებით, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ისინი, ვინც, ასე ვთქვათ, „იცის რა უნდა“, რა მიმართულებით, რა სფეროში და რა პოზიციაზე სურს მუშაობა. ასეთი ახალგაზრდები უფრო ადეკვატურად აფასებენ საკუთარ ძალებს, არიან „პრეზენტაბელურები“ და შეუძლიათ საკუთარი თავის წარმოჩენა. საგულისხმოა, რომ ამგვარი თვისებები მათ უმეტესწილად სპეციალური მომზადების ან პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე უყალიბდებათ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო ორი წლის მანძილზე უმუშევრობის დონის ყველაზე დიდი კლება (11.3 პროცენტული პუნქტით) 15-19 ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ისევ ამ ასაკობრივ ჯგუფში რჩება (ცხრილი 3).

შესაბამისი გამოცდილების, ცოდნის, კვალიფიკაციის უქონლობა ხდება მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლები უარს აცხადებენ ახალგაზრდებისათვის სამსახურის შეთავაზებაზე და უპირატესობას უფრო გამოცდილ კადრებს ანიჭებენ. ვაკანსიების გამოცხადებისას, უმეტეს შემთხვევაში მითითებულია 2-3 წლიანი სამუშაო გამოცდილების ქონა, როგორც სავალდებულო მოთხოვნა, ბაკალავრის, უპირატესად მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ასევე ხშირად ვხვდებით ასაკობრივ შეზღუდვებს, როგორიცაა 23-26 წელი. პირი, 16-18 წლის ამთავრებს სკოლას, 4 წელი სწავლობს საბაკალავრო პროგრამაზე, ხოლო 2 წელი სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამას სამუშაო გამოცდილებასაც დავუმატებთ, უმეტეს შემთხვევაში დამსაქმებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელია. ამასთან, როგორ უნდა დააგროვო სამუშაო გამოცდილება იმ კონკრეტული მიმართულებით, როცა ყველა დამსაქმებელი ნორმალურ პოზიციაზე სამუშაო გამოცდილებას ითხოვს.

ცხრილი 3



წყარო: geostat.ge

ქვეყანაში არსებული მაღალი უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის, შრომითი მიგრაციის ან დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილების მთავარი წყაროა. ბევრი ახალგაზრდა სწორედ იმიტომ მიდის ქვეყნიდან, რომ აქ სამსახურს ვერ შოულობს, მაშინ, როდესაც ყველა ასაკობრივ ჯგუფს შორის ახალგაზრდებში დასაქმების სურვილი ყველაზე მაღალია.

საჭიროა, სამუშაო ადგილებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ქმნიდეს სახელმწიფოს მიერ მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებითა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ინვესტიციების არსებული მოცულობა არ არის საკმარისი უმუშევრობის დასამარცხებლად და "ლიბერალურმა" შრომის კოდექსმაც ვერ გამოიღო შედეგი. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების შეუსაბამობა. შრომის ბაზარზე არის ვაკანსიები, მაგრამ არსებული კადრების კვალიფიკაციის დონე აცდენილია ამ მოთხოვნებს. ხშირია შემთხვევა, როცა კურსდამთავრებული თავისი პროფესიის დამადასტურებელი დიპლომის მიუხედავად, დამსაქმებლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ამდენად, პრობლემა კომპლექსურია და მოგვარებისთვის მრავალმხრივ კარგად დაგეგმილ მიდგომას საჭიროებს სხვადასხვა სფეროებში და განსხვავებული მიმართულებით, რათა ახალგაზრდებს პირველ რიგში მიეცეთ მაღალი ხარისხის, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, განათლების მიღების შესაძლებლობა და შემდგომ მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის რეალიზების საშუალება.

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა დასაქმების მაჩვენებლებს, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)“ მონაცემებით, 2015 წლის 1 მარტისთვის საქართველოში რეგისტრირებულია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღები 118 651 შშმ პირი. საჯარო სამსახურის ბიუროს 2013-2014 წწ. ანგარიშის მიხედვით, საჯარო სექტორში სულ დასაქმებულია 24 შშმ პირი. დასაქმებული შშმ პირებისგან 5 სამინისტროში, 18 ადგილობრივ თვითმმართველობებში და 1 სხვა სახელმწიფო დაწესებულებაშია დასაქმებული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემი, თუ რამდენი შშმ პირია დასაქმებული, ფაქტობრივად არ არსებობს.

როგორც ბოლო წლების გამოცდილებამ აჩვენა, ეკონომიკური ზრდა და განვითარება ვერ უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას, შესაბამისად ვერ ქმნის ღირსეული შრომის პირობებს.

ფაქტი ჯიუტია, საბაზრო ეკონომიკა სამუშაო ადგილებს ვერ უზრუნველყოფს ყველასთვის, ვისაც მუშაობა სურს. მე-20-ე საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკონომისტები ეწინააღმდეგებიან სრულ დასაქმებას, რადგან სჯერათ, რომ მოკლევადიან პერიოდში ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკის პირობებში უმუშევრობის დონის შემცირება ზრდის ფასებს, შესაბამისად, ინფლაციას და ნეგატიურად მოქმედებს ფასების სტაბილურობაზე.

რაც შეეხება დასაქმების ზრდის პოლიტიკას, არსებობს ორი ძირითადი ალტერნატივა. ესენია: პირველი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის არაპირდაპირი პოლიტიკა კერძო სექტორისთვის შესაბამისი პირობების შექმნით და, მეორე, პირდაპირი დასაქმების პოლიტიკა, უზრუნველყოფილი მთავრობის მიერ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის დროზე პოლიტიკის ორივე მეთოდი გამოიყენა. კერძო სექტორის მეშვეობით არაპირდაპირი გზით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა შეიძლება განხორციელდეს ხელფასის სუბსიდირების ან საგადასახადო შეღავათების მეშვეობით. თუმცა, მსგავსი პოლიტიკის განხორციელება მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ესენია: პირველი, მთავრობას უნდა გააჩნდეს სრული გარანტია იმისა, რომ კერძო კომპანიები ამ სუბსიდიებს მხოლოდ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით გამოიყენებენ და არ მიმართავენ მათ იმ ხარჯების დასაფარად, რომელიც წარმოშობილია უკვე არსებული დასაქმებით. დინამიკური და ცვალებადი ეკონომიკის პირობებში მოგებაზე ორიენტირებული ფირმა ყოველთვის შეეცდება, რომ მთავრობის სუბსიდია გამოიყენოს არსებული დასაქმებულებისთვის. მეორე, გამომდინარე იქიდან, რომ უმუშევრობა ძირითადად კონცენტრირებულია შრომის უნარშეზღუდულ ადამიანებში, ძალიან რთულია აიძულო ფირმები, დაასაქმონ ისეთი ადამიანები, რომელთაც ისინი არ ისურვებდნენ. მესამე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ დროის რა პერიოდი უნდა მოიცვას სუბსიდირების მსგავსმა პოლიტიკამ. ვინაიდან, პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფს არაკვალიფიციური მუშახელის მომზადების სუბსიდირებას დროის გარკვეულ პერიოდში, რათა მერე ამ დასაქმებულებმა პროგრამის დამთავრების შემდეგაც გააგრძელონ მუშაობა. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სამუშაოს მიხედვით განსხვავებულია კვალიფიკაციის შესაძენად საჭირო დროის ხანგრძლივობა. იმისთვის, რომ დასაქმებულმა ისწავლოს, ზოგ სამუშაოს შეიძლება დასჭირდეს 1 წელი, ზოგს 3 წელი და ზოგს რამდენიმე თვე. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, ფირმები შეეცდებიან, სუბსიდირების პროგრამის პერიოდის გასვლისთანავე ჩაანაცვლონ არაკვალიფიციური ან არასაკმარისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები უფრო გამოცდილი და მათთვის მისაღები კადრებით.

ალბათ, არ არსებობს მთავრობა, რომელიც აქტიურად არ ცდილობდეს პირდაპირი გზით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის შემცირებას. ეს შეიძლება გამოიხატოს სახელმწიფო სექტორში საჭიროზე მეტი ახალი სამუშაო ადგილის შექმნით და თუნდაც, მაღალი ოფიციალური პირების ოჯახის წევრების დასაქმებით. თითქმის ყველა იმ ევროპულმა სახელმწიფომ, რომელიც მიუახლოვდა სრული დასაქმების ნიშნულს, განსხვავებული სახელმწიფო პროგრამები განახორციელა და ძირითადად, ომის შემდგომ პერიოდში. კარგ მაგალითად გამოდგება შვედეთი, რომელმაც შრომის ბაზრის პოლიტიკის ბევრი განსხვავებული მეთოდი გამოიყენა, მათ შორის ცენტრალიზებული მოლაპარაკებები სახელფასო განაკვეთზე. გარდა ამისა, შვედეთში ნებისმიერი ინდივიდისთვის გარანტირებული იყო სახელმწიფო სამსახური 6 თვემდე ვადით.

Asmat Shamugia

THE MODERN LABOR MARKET AND UNEMPLOYMENT IN GEORGIA

Annotation

The sharp quantitative and qualitative imbalance existing between demand and supply of labour force represents the main characteristic tendency for the Georgian labour market. Unemployment is the main reason for poverty in the majority of population. The sharp reduction of the employed by hire is marked in the total number of the employed. At the same time the scales of selfemployment systematically are growing.

The training of specialists is taking place in the country without taking into account market demand, virtually without any justification and forecasting. Due to the nonexistence of effective system of professional training and retraining there is a severe shortage of labour resources with appropriate qualification at the countries labour market.

The labour market in Georgia is not a self-regulated system and has not ability to provide rational use of labour potential coming out from the requirements of the country's socio-economic development. The noted objective can be solved only through the formulation and pursuance of purposeful state policy in the sphere of labour and employment. This, above all, implies development of labour market infrastructure, perfection of professional education system that provides enhancement of human capital qualification and reduction of existing imbalance at the labour market.

Людмила Шимановская-Дианич
Бадри Гечбаия
Тимур Ищейкин

КАТЕГОРИЙНЫЙ АППАРАТ КРЕАТИВНОГО МЕНЕДЖМЕНТА

Креативный менеджмент на сегодняшний день понятие новое. Однако следует заметить, что он является, одновременно, и уже частично сформированной отраслью управленческой науки и специфическим видом управленческой деятельности. Поэтому можно с абсолютной уверенностью говорить как о теоретических, так и о прикладных аспектах креативного менеджмента.

Теория креативного менеджмента находиться на пересечении инновационного и эвристического менеджмента, а начало активной разработки теории креативного менеджмента было положено сравнительно недавно, в середине XX в. и, только в начале XXI в. она нашла свое воплощение в прикладном использовании этих знаний.

В научной литературе имеют место различные подходы к определению сущности и содержания креативного менеджмента. Значительный вклад в развитие теории креативного менеджмента внесли такие учене как Г. Альтшуллер, Э. Боно, К. Кирсанов, А. Кудрявцев, М. Романчук, Г. Свидрук, Б. Твисс,А. Шевырев и др. Однако, прежде чем дать наше понимание сущности и расскрыть задачи креативного менеджмента остановимся болем подробно на ключевых понятиях, которые явились определяющими при формировании авторського видения данного явления, а именно – на понятиях «креативность» и «творчество». Это и стало целью данной статьи, а именно – расскрытие содержания основополагающих категорий, формирующих категорийный аппарат, понятие и сущность креативного менеджмента, его специфические особенности и основные задания.

Содержание понятия «творчество» трактуется как деятельность человека, которая направлена на создание качественно новых, неизвестных ранее духовних, или материальных ценностей (новые произведения искусства, научные открытия, инженерно-технологические, управленческие или другие инновации и. т.д.)[7]. Необходимыми компонентами творчества являются фантазия и воображение, психологическое содержание которых заключается в создании образа конечного продукта (результата творчества). Поэтому следует остановиться на рассмотрении творчества в двух аспектах – психологическом и философском.

Одним из первых кто выделял понятие творчества, был древнегреческий философ Платон, который говорил о его универсальном характере, подчеркивая, что «любой переход из небытия в бытие – это творчество, а значит, создание любых произведений искусства и ремесла можно назвать творчеством, а всех создателей – их творцами»[10].

Фундаментальные изменения пришли с началом христианской эпохи вместе с развитием концепции сотворения (лат. *creatio*) Богом мира (*creator*–создатель, Бог, ибо он создал мир), и данный термин перестал использоваться относительно человеческой деятельности.

Однако с наступлением эпохи Ренессанса, которая пропитана верой в неограниченные творческие возможности человека, наоборот, творчество все более и более воспринимается как художественная, возникает интерес к личности художника и к самому акту творчества и все более выраженной становится тенденция рассматривать саму историю как продукт человеческого творчества.

Несколько позже, польский поэт М. Сербевский (1595 - 1640) начал использовать термин творчество относительно поэзии. Хотя длительное время такое понимание творчества наталкивалось на критику, в первую очередь, из-за трактования творчества как акта создания из ничего.

В эпоху Просвещения творчество связывали со способностью человека к воображению. Английские эмпиристы Ф. Бэкон, Т.Гоббс, Дж. Локк, Д.Юм трактовали творчество как определенную комбинацию уже существующих элементов, что приближало его к изобретательству.

Наиболее завершенная концепция творчества представлена в XУIII в. И.Кантом, который специально анализирует творческую деятельность в учении о продуктивной способности воображения, которое выступает связующим звеном между разумом и чувственным опытом.

Учение Канта было продолжено Шеллингом, который рассматривал творческие способности в единстве осознанной и неосознанной деятельности человека. Взгляд на художника как на гения, который творит благодаря вдохновению, достиг своей кульминации в эпоху Романтизма. Творчество художника и философа считались наивысшей формой человеческой жизнедеятельности.

В идеалистической философии конца XIXначала XX вв. творчество рассматривается в основном как противоположность механико-технической деятельности. При этом, если философия жизни противопоставляет

техническому рационализму творческое естественное начало, то экзистенциализм подчеркивает духовно-личностную природу творчества. В философии жизни наиболее развернутая концепция творчества представлена А. Бергсоном («Творческая эволюция» 1907). В данной концепции творчество, как непрерывный процесс зарождения нового, составляет сущность жизни. Вся реальность рассматривается философом как непрерывный рост и бесконечное творчество [5]. Наиболее адекватной формой существования считают творчество и экзистенциалисты. М. Бердяев («Содержание творчества», 1916) рассматривает творчество как «дело богоподобной свободы человека, раскрытие в нем образа Творца» [6].

Философия прагматизма и позитивизма, наоборот, рассматривает творчество как изобретательство, цель которого – решать задания, которые поставлены определенной ситуацией. Марксистская философия определяет творчество как «деятельность человека, которая превратит естественный и социальный мир в соответствии с целями и потребностями человека и человечества на основе объективных законов реальности»[9]. В тоже время для творчества необходимо обеспечить больший простор для личностной инициативы, индивидуальных способностей, мысли и фантазии.

З точки зрения психологии творчество рассматривается как процесс создания нового и совокупность свойств личности. Творчество как процесс сначала анализировали исходя из самоотчетов деятелей искусств и науки (описание «вдохновения», «мук творчества» и т.д.). Английский ученый Г. Воллес (1924) разделил творческий процесс на четыре фазы: подготовку, дозревание (идея), просветление и проверка. Подобные стадии выделял и А. Пуанкаре, описывая процесс осуществления им нескольких математических открытий [10].

По мнению ученого, творческий процесс начинался с установления задачи, дальше проходил процесс несознательной работы, неожиданного нахождения ключа для ее развязывания и завершался обработкой результатов.

Поскольку главные звенья процесса (дозревание и просветление) не поддаются осознанно-волевому контролю, это послужило доказательством в пользу концепций, которые отводили решающую роль в творчестве подсознательному и иррациональному факторам. Однако экспериментальная психология доказала, что неосознанное присутствует и в осознанном, интуитивном и умственном процессах.

Совокупность психических качеств, которые характерны для творческой личности, стала объектом конкретно-научного изучения с изобретением тестов и методик их обработки и анализа. В статистических исследованиях ученых изучается соотношение между образованием и продуктивностью работы, возрастом и динамикой творчества, разрабатываются методики стимуляции группового творчества.

Популярной моделью стала «пороговая теория», которая была предложена П. Торренсом, который считает, что высокий уровень интеллекта есть необходимым, однако недостаточным условием для высоких творческих способностей [3]. В целом это – положительная взаимосвязь между творческими способностями и интеллектом, хотя она не будет проявляться, если оцениваться будут только люди с наивысшим уровнем интеллекта.

Проводились исследования, что бы определить связь между эмоциями и творческой активностью. Некоторые исследователи, например Г. Айзенк, считают что положительные эмоции активизируют как ассоциативное мышление, так и расфокусируют внимание, увеличивая поле для подбора фактов, которые касаются обрабатываемой проблемы [4].

С другой стороны, некоторые исследователи считают, что и отрицательные эмоции могут повысить креативность. Например, Арнольд Людвиг, изучая деятельность 1005 известных личностей XX столетия, нашел слабую но значимую связь между депрессиями и творческими достижениями.

Согласно с различными подходами к определению границ творчества выделяют некоторые типы творчества: актера (искусство), мудреца (наука и инженерия).

Креативность – (лат. *creation* - создание) – современный термин, которым описываются «творческие способности индивида, которые характеризуются способностью к продуцированию принципиально новых идей, а также входят в структуру одаренности в качестве независимого фактора» [7]. Раньше в литературе использовался термин «творческие способности», однако позже он вытесняется заимствованием из английского языка (*creativity, creative*). По мнению професора И. Милославского (Московский государственный университет), термином «креативный» обозначается творчество, которое «не только выдвигает идеи, а и доводит их до конкретного практического результата».

Ф.Баррон и Д.Харрингтон, подводя итоги исследований в сфере креативности с 1970 по 1980 года[1], обобщили данные по креативности таким образом:

1. Креативность – это способность адаптивно реагировать на потребность новых подходов и продуктов. Эта способность позволяет также осознавать новое в бытии, хотя сам процесс может иметь как осознанный так и неосознанный характер; способность порождать необычные идеи, отклоняться от традиционных схем мышления, быстро решать проблемные ситуации.

2. Создание нового творческого продукта много в чем зависит от личности создателя и силы его внутренней мотивации.

3. Особенностями творческого процесса, продукта и личности является их оригинальность, валидность, адекватность задачи и пригодность – эстетическая, экологическая, оптимальность формы, правильность и оригинальность на данный момент.

4. Креативные продукты могут быть очень разнообразными по природе: новое решение проблемы в математике, открытие химического процесса, создание музыки, картины или поэмы, новой философской или религиозной системы, нововведение в природоведении, свежее решение социальных проблем и т.д.

Анализируя современные исследования этого явления можно сделать вывод, что до сегодняшнего дня все еще не существует однозначного ответа на вопрос, существует ли вообще креативность как явление, или она является научным конструктом или самостоятельным процессом креативности, или креативность – это сумма других психических процессов.

Креативность является врожденной чертой человека. Благодаря ей личность проявляет себя, реализует социальные потребности, а со временем – в достижениях, успехе, самовыражении. На протяжении жизни, благодаря развитию трудовых навыков, увеличению опыта, проблем, с которыми он сталкивается, и бесконечным количеством всяких ситуативных, объективных и субъективных факторов, креативность развивается и проявляется по разному. Можно сказать, что существует взаимосвязь между поведением и креативностью. Благодаря творчеству человек выражает собственный внутренний мир и изменяет внешний, а продукты творчества заставляют его развиваться дальше.

Под первичной креативностью понимают что то новое, что отличается от предыдущего. Вторичная креативность заключается в создании определенного предмета с приданием ему отдельных своеобразных черт. Она касается тех вопросов, которые уже имели место, осуществлялись ранее.

Психолог Л. Выготский изучал творческую сущность человека с культурно-исторического взгляда. Он считал, что благодаря деятельности человек изучает, «расшифровывает» продукты культуры, приобретения человечества, по-своему их усваивает. Этот процесс является основой и условием саморазвития. Каждый человек имеет уникальный внутренний мир и по своему проявляет творческий потенциал[8].

Г. Альтшуллер рассматривал объективно-субъективные отношения творческого процесса в четырех аспектах: философском, социальном, психологическом и методическом. В философском плане – формализация может быть распространена только на репродуктивный компонент и не может рассматриваться как ключ к пониманию той части творческого процесса, которая характеризуется продуктивным компонентом [6]. В социальном – две формы отображения потребности в творческой деятельности: социальный заказ общества и выявленная субъектом потребность. В психологическом – два подхода: исследования психологии создателя-субъекта; исследования приемов, которые используются творцами в созданных «продуктах» творчества. Результатом первого подхода стало рассмотрение причин «психологических барьеров» и инертности мышления: профессиональная сила привычки; боязнь попасть в другую сферу знаний; влияние авторитетов, знаний; наличие специальных терминов; неумение переформулировать условие задачи.

Результатом второго подхода стало создание списка типовых приемов поиска решений, а в методическом аспекте – методы поиска новых технических решений и психологические инструменты.

Благодаря креативности человек выражает себя, меняет как собственный внутренний, так и внешний мир. Таким образом креативность характеризуется через категории мотивационной направленности личности, поисково-исследовательской активности, использования интуиции в процессе разработки и принятия решения [11].Огромное значение имеет уровень интеллекта, потребность в самореализации, представление человека о его месте в обществе. Только такая личность способна не творческую деятельность, а продукт ее творчества представляет из себя конечный результат стремления нестандартно решить определенную проблему. С этой точки зрения, известный американский теоретик А. Маслоу подчеркивал, что получение художественного образования является важным условием формирования лучших людей, потому что его цель - раскрытие потенциала личности с гуманистической точки зрения [2].

Противоположностью креативной выступает рекреативная личность или репродуктивная, т.е. та личность для которой характерна более простая мотивация, познавательные стремления – невысокие, соответственно, и к продукты собственной познавательно-практической деятельности не предъявляются слишком высокие требования.

Иногда креативность вообще считается абстрактным (идеальным) понятием, поскольку ее наличие не предусматривает обязательного материального производства. Идея как материальный продукт может исчезнуть, не получив дальнейшего развития. Иногда креативность может проявляться только в межличностных взаимоотношениях с целью собственной презентации неповторимых индивидуальных черт[13].

Полностью противоположный взгляд на креативность заключается в том, что она преимущественно проявляется в сфере научно-технических разработок. Одаренность является наиболее важным условием творческой деятельности, а результаты такого человека есть более оригинальными, нежели у других. В тоже время положительным эффектом от творческой одаренности выступают новые методы и направления решения индивидуальных проблем, которые связаны с приспособлением к ситуации, окружению.

Гуманистическая психология утверждает, что способности и даже таланты можно развивать с помощью специальных программ, что, в свою очередь, позволит сформироваться креативности. Е. де Боно подчеркивает, что креативность – не врожденный талант, а скорее навыки, которым можно обучиться. Для того, чтобы достигнуть креативности, необходимо бросить вызов консервативным суждениям и правилам. «Ведь двигаясь проторенным путем, наше мышление часто выпускает из своего поля зрения припрятанные возможности, которые находятся вне его»[12].

Таким образом, креативность может использоваться в любом деле и проявляться у любого, особенно если взять во внимание то огромное количество способов, с помощью которых она может быть реализована.

Именно поэтому, если говорить о такой сфере деятельности как менеджмент, то креативность проявляется в формировании совокупности конкретных принципов, методов и форм управления творческим процессом, инновационной деятельностью с привлечением к этому персонала, т.е. в формировании такого вида менеджмента как креативный. Целью данного вида менеджмента является обеспечение и удержание конкурентных преимуществ организации с помощью стимулирования и привлечения талантов, творческого потенциала, внедрения инновационных технологий менеджмента. Креативный менеджмент опирается на креативистику – сферу знаний о продуктивном коллективном решении творческих задач и изучает психологические, управленческие, социологические, экономические, исторические, культурологические факторы, которые влияют на процессы творчества.

Поэтому подводя итог, можно отметить, что креативный менеджмент в широком смысле этого слова – это сложный механизм взаимодействия управляющей и управляемой подсистем в результате которого создаются условия и возможности для творческого развития и достижения организацией эффективного результата. А реализация креативного менеджмента должна предусматривать: мониторинг сферы деятельности и прогнозирование ее развития; разработку идей для реализации в планах инновационной деятельности; координацию деятельности всех подразделений в этой сфере; обеспечение квалифицированным персоналом и его мотивацию; создание специальных проектных групп; оценивание творческого потенциала индивида; создание творческой атмосферы в коллективе; формирование групп экспертов-аналитиков для оценивания идей и предложения в сфере инновационной политики; определение эвристических методов и приемов для эффективного решения творческих заданий специалистами.

Литература

1. Barron F., Harrington D. Creativity, intelligence and personality //Ann. Rev. of Psychol. V. 32.1981.- P. 439-447
2. Maslow A. The Psychology of Science: A Reconnaissance. – New York: Harper & Row, 1966.- P. 452-467
3. Torrance E. P. Education and creativity// (Ed.) Teylor C. W. Creativity: Proggress and Potential. N. Y., 1964. – С. 134
4. Айзенк Г. Интеллект: новый взгляд // Вопросы психологии. – 1995. - № 1. – С. 111-131
5. Вишнякова В. Ф. Креативная психология. Психология творческого обучения. / В. Ф. Вишнякова. – Минск, 1995. – С. 22-126
6. Википедия – официальный сайт Свободной энциклопедии [Электронный ресурс]. Режим доступа: https://ru.wikipedia.org/wiki/
7. Кирсанов К. Креативный и эвристический менеджмент / К. Кирсанов// Российский экономический журнал. – 1995. – С.11
8. Литвиненко С. Креативність як загальна здібність до творчості: сучасні підходи// Збірник наукових праць Полтавського державного педагогічного університету імені В. Г. Короленка. – Серія «Педагогічні науки». – Випуск 3 (50). – Полтава, 2006. – С. 215-219
9. Пономарев Я. А. Психология творчества/ Я. А.Пономарев. – М.: Наука, 1976. – С.29-33
10. Пуанкаре А. Математическое творчество/ А.Пуанкаре // Адамар Ж. Исследование психологии процесса изобретения в области математики. – М. Советское право.- 1970. – С. 135
11. Скрипко Т. О. Інноваційний менеджмент: Підручник для студентів вищих навчальних закладів / Т. О. Скрипко. – К.: Знання, 2009. – 385 с.
12. Яковлев В. Я. Философские принципы креативности / В. Я. Яковлев// Вестник Московского Университета - № 4. – 2005. – С. 35-38
13. Ярошевский М. Г. Психология творчества и творчество в психологии/ М. Г. Ярошевский // Вопросы психологии. – 1985. - № 6. – С. 14-24

Lyudmila Shimanovskaya-Dianich
Badri Gechbaia
Timur Ischeikin

CATEGORICAL APPARATUS OF CREATIVE MANAGEMENT

Annotation

The theory of creative management located at the intersection of innovation and heuristic management, and the beginning of active development of the theory of creative management was initiated relatively recently, in the mid-twentieth century and, only in the beginning of the XXI century. It was embodied in the applied use of this knowledge.

In the scientific literature there are different approaches to defining the nature and content of creative management. Significant contribution to the development of the theory of creative management made by such scholars as G. Altshuller, E. Bono, K. Kirsanov, Kudryavtsev, M. Romanchuk, Svidruk G., B. Twiss, A. Shevyrev and others. However, before giving our understanding of the problem and reveal the creative management will focus in more detail on the key concepts that were decisive in the formation of the author's vision of the phenomenon - namely, the notion of

"creativity" and "creativity". This was the purpose of this article - namely, the disclosure of the fundamental categories of categorical forming apparatus, and the essence of the concept of creative management, its specific characteristics and basic tasks.

ნანა შონია
მიხეილ ჩაკაბერია

ბიზნესის დაზღვევის თავისებურებანი საქართველოში

ნებისმიერი საზოგადოება წარმოუდგენელია მატერიალური წარმოების გარეშე. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საქმიანი ურთიერთობა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო თუ სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ყველა ეს ცნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ხოლო საქმიანი ურთიერთობები, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, ბიზნესად იწოდება, რომლის განვითარებაც უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში.

განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბიზნესს, როგორც დასაქმების რეალურ გზას. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს.

საქართველოშიბიზნესი და ბიზნესურთიერთობები დღემდე საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს, რადგან ვერც საზოგადოება და ვერც სახელმწიფო ვერ აღმოჩნდა მზად ბიზნესიდეების დასაფინანსებლად და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შესაქმნელად. საზოგადოებას დღემდე არ აქვს გათვითცნობიერებული ბიზნესის ეთიკა, ბიზნესის ცნება, მითები ბიზნესის შესახებ, ბიზნესგეგმის შედგენის სტილი, ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული რისკების სწორი განსაზღვარა და საქმიანობის შესაბამისი დაგეგმვა, ეკონომიკური ფსიქოლოგია, რომელიც წარმატებული ბიზნესის საწინდარია და ა.შ.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა პერსპექტივა, რომელიც კერძო სექტორისთვის მომავალში ევროპული ბაზრების გახსნას გულისხმობს. თუმცა ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ჯერჯერობით შენელებულია, სიღარიბე იმატებს და საერთაშორისო ორგანიზაციები მთავრობას ურჩევენ, ეს დრო რეფორმების გასატარებლად გამოიყენონ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესზე, რომელსაც საქართველოს ეკონომიკური დოვლათის შექმნაში ძალიან მცირე - მხოლოდ 19%-იანი წილი უდევს, მაშინ, როცა მეზობელ სომხეთში ეს მაჩვენებელი 42%-ია.

დაზღვევა ერთადერთი მექანიზმია, რომ თავი დავიცვათ გაუთვალისწინებელი რისკებისა და მათგან გამოწვეული ფინანსური დანაკარგისგან. სხვადასხვა რისკებისა და საფრთხეების დაზღვევა უპირველესი საზრუნავია ნებისმიერი ბიზნესორგანიზაციისთვის. ბიზნესის მფლობელები და თანამშრომლები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ერთ გაუთვალისწინებელ შემთხვევას არ მოჰყვება საწარმოს დიდი ხნით გაჩერება ან თუნდაც გაკოტრება.

გაუთვალისწინებელი რისკების (სტიქიური მოვლენები) გამო საქმიანობის შეფერხება ერთ-ერთი მთავარი რისკფაქტორია ბიზნესისთვის. მსოფლიოს წამყვანი სადაზღვევო ბროკერის **„AON" - ის სტატისტიკით, ორგანიზაციების 80% კოტრდება, თუკი მათი საქმიანობის შეფერხების პერიოდი ერთ თვეს აჭარბებს.**

საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიები რამდენიმე მიმართულებით სთავაზობენ ბიზნესორგანიზაციებს და საწარმოებს რისკების დაზღვევას და მომსახურების თითქმის სრულ სპექტრს მოიცავენ - ქონების დაზღვევა, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ავტომობილების დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, უბედური შემთხვევის დაზღვევა, საქმიანობის შეფერხების დაზღვევა და ბენეფიტ პაკეტი თანამშრომლებისთვის, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის წარმომდგენლები ან საერთოდ უარს ამბობენ სადაზღვევო პროდუქტების შეძენაზე, ან გაუთვითცნობიერებლად იძენენ ამა თუ იმ პროდუქტს. აქსიომაა, რომ ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირება რისკების მიზანმიმართულ მართვაზეა დამოკიდებული. თუმცა, მთავარია, სადაზღვევო ურთიერთობებში კარგად გარკვევა და სასურველი და ოპტიმალური სადაზღვევო პაკეტის შერჩევა.

როგორ შევარჩიოთ ოპტიმალური სადაზღვევო პაკეტი? პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაზღვევას ექვემდებარება ნებისმიერი სახის უძრავი და მოძრავი ქონება, მანქანა-დანადგარები, ინვენტარი და ა.შ. მაქსიმალურად ვეცადოთ, ავირჩიოთ პაკეტი, სადაც ქონებრივი რისკების ფართო სპექტრი შედის. **მეორე**, შევეცადოთ კარგად შევაფასოთ რისკები სადაზღვევო

კონსულტანტთან ერთად - ეს იქნება პირველი ნაბიჯი სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლების პროფესიონალიზმის „გამოსაცდელად“. **მესამე**, ქონებრივი რისკების გარდა, არსებობს უამრავი სხვა სახის რისკი - შევეცადოთ ამოვარჩიოთ პაკეტი, სადაც დაფარულია როგორც ქონებრივი, ისე სხვა რისკები (საქმიანობის შეფერხება, პასუხისმგებლობა, პროფესიული რისკები და ა.შ.) **მეოთხე**, ყურადღება მივაქციოთ სადაზღვევო ხელშეკრულების „გამონაკლისების მუხლს“ - სადაზღვევო პოლისი ბევრ ასეთ შემთხვევას მოიცავს, რაც არ იფარება დაზღვევით, მაგალითად წინასწარ გამიზნული ქმედება ან ტერორიზმი, სამოქალაქო არეულობა და ა.შ. ნებისმიერი კითხვა გადაამოწმეთ სადაზღვევო კომპანიასთან. **მეხუთე**, ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ რა პროცედურებს მოიცავს ზარალის ანაზღაურების საკითხი - აირჩიეთ ის კომპანია, რომელსაც ყველაზე მარტივი სქემა აქვს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიის არჩევანი, კერძოდ:

- დაზღვევის შეძენისას ყველაზე მნიშვნელოვანია ნდობის ხარისხი სადაზღვევო კომპანიის მიმართ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რთულ მომენტში სადაზღვევო კომპანია გვერდში დაგვიდგება და რეალურად შეასრულებს დანაპირებს. დანაპირების შესრულება მხოლოდ ფინანსურად ძლიერ კომპანიას შეუძლია. უნდა ვენდოთ იმ კომპანიებს, რომელთა რეპუტაცია ცნობილია ბაზარზე და არ არსებობენ მხოლოდ მოკლევადიანი მიზნებით;
- ყველაზე კარგი საზომია ჩვენი ახლობელი ან ბიზნესპარტნიორი, რომლის რეკომენდაციასაც ვენდობით; გავიკითხოთ ჩვენს წრეში, რომელ სადაზღვევო კომპანიას აქვს კარგი რეპუტაცია და რომელი ასრულებს დანაპირებს სათანადოდ;
- ფინანსურ სიძლიერესთან ერთად, ყურადღება უნდა მივაქციოთ კომპანიის გამოცდილებას - ეს, პირველ რიგში, უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც ზარალი დადგება;
- შევეცადოთ ყველა ჩვენი ბიზნესრისკი ერთ კომპანიაში დავაზღვიოთ - ეს მოგცემს საშუალებას, საუკეთესო პირობები მივიღოთ და გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობა დავამყაროთ სადაზღვევო კომპანიასთან - ეს კი, თავის მხრივ, მეტ სტიმულს აძლევს ამ უკანასკნელს, უკეთ მოგვემსახუროს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სადაზღვევო კომპანიები ამა თუ იმ **ბიზნესის გაკოტრების რისკებს არ აზღვევენ**, თუმცა მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე მიღებული პრაქტიკაა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში გაკოტრების რისკებს არ აზღვევენ ეკონომიკური მდგომარეობის რთულად გასაკეთებელი პროგნოზის გამო. უფრო მეტიც, ზოგიერთი თვლის, რომ შედავათიანი კრედიტები გადაარჩენს ბიზნესს გაკოტრებისაგან, რაც აბსურდია. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ სადაზღვევო ბაზარზე **არ ხდება სხვადასხვა რისკებისგან გამოწვეული ბიზნესის შეჩერების დაზღვევა**. როგორც წესი, კორპორაციული ქონების დაზღვევა ფარავს ქონების დაზიანებით მიღებულ ზარალს, ხოლო ბიზნესის შეჩერების დაზღვევა კი იმ ხარჯს, რაც საწარმოს უნდა მიეღო ბიზნესის შეჩერების პერიოდში.

თუმცა, ბოლო წლებში ქართულ ბაზარზე აქტუალური გახდა **სამშენებლო რისკების დაზღვევა**, რომელიც პირველ ეტაპზე მოიცავს ყველა რისკისგან დაზღვევას მშენებლობის პროცესში. გარდა ამისა, ქართულ სადაზღვევო ბაზარზე არსებობს შედარებით ახალი პროდუქტი, როგორიცაა მშენებლობის დასრულების გარანტიის დაზღვევა - გარანტია, რაც იცავს როგორც დეველოპერებს, ასევე მყიდველებს. ამ პროდუქტის შეძენის შემთხვევაში ინვესტორი დაზღვეულია, რომ მშენებლობა დასრულდება. საქართველოში, სადაც მშენებლობის დაუსრულებლობის არაერთი შემთხვევა იყო, დაზღვევის ამგვარი პროდუქტი ძალიან აქტუალურია.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ნებისმიერი სახის ბიზნესის დაწყება თუ მართვა დაკავშირებული იყოს შესაბამისი რისკების დეტალურ შესწავლასთან, შეფასებასთან, სადაზღვევო კომპანიისა და სადაზღვევო პროდუქტის მიზანმიმართულ შერჩევასთან. მეორე მხრივ, მზღვეველები ვალდებული არიან, შექმნან ისეთი სადაზღვევო პროდუქტები, რომლებიც უზრუნველყოფს ბიზნესის მომგებიან ფუქციონირებას და დაიცავს ბიზნესს გაკოტრებისაგან ან გაკოტრების შემთხვევაში შეუმცირებს ფინანსურ ხარჯებს.

Nana Shonia
Mikheil Chakaberia

CHARACTERISTICS OF BUSINESS INSURANCE IN GEORGIA

Annotation

Business and business relationships in Georgia are enough painfull even today, because nor society and neither State were ready for funding of business ideas and creation of healthy competitive environment. Society has not still realized business ethics, business doctrine, myths about business, style of drawing of business plan, correct definition of risks connected to the starting of business, economical psychology which is basis for successful business etc.

From above mentioned we decided it to be purposeful to reveal in the article advices and recommendations which would be useful for beginner of business in order to achieve success. Businessman shall take into consideration that beginning or management of any kind of business shall be connected, from the one hand, to the detailed study of corresponding risks, their estimation, purposeful selection of insurance company and insurance product and from the

other hand, insurers are obliged to create such insurance products which provide profitable functioning of business and protect business from bankruptcy, or in case of bankruptcy will reduce financial expenses.

მიხეილ ჩიკვილაძე

საქართველოს ეკონომიკის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

საქართველოს ეკონომიკური ძლიერება თუ სისუსტე დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელსაც მთავრობა ახორციელებს გარკვეული დროის მონაკვეთის ფარგლებში. როგორც ცნობილია, სახელმწიფო ხელისუფლება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკურ მართვაზე ზემოქმედებას ახდენს ფისკალური პოლიტიკით, თუ ქვეყნის ხელისუფლება საქმის ცოდნით და მეცნიერულ დონეზე შეძლებს გამოიყენოს ფისკალური ან ფულადი პოლიტიკის ღონისძიებები და ეცდება, პროდუქციის გამოშვების მოცულობა მის პოტენციურ დონეს მიუახლოვოს და ამით შეინარჩუნოს ფასების სტაბილურობა, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვეყნის სტაბილიზაციის სწორ პოლიტიკასთან, რომელიც უშუალო კავშირშია მის ფისკალურ პოლიტიკასთან, ამიტომ მისი შესწავლა შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე. ბიუჯეტმა სტიმული უნდა მისცეს ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლებას, განსაკუთრებით კერძო სექტორის პოტენციალის ზრდას და ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკური და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, ბიზნესში გაბედულად უნდა იქნეს გამოყენებული გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია, რაც იძლევა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობას. თუმცა გამორიცხული არ არის, მან სტიმულირების საწინააღმდეგო ეფექტიც გამოიწვიოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჩავარდნის გამოსასწორებლად კი სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს სხვა ბერკეტები.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ხასიათის პრობლემებიდან გამომდინარე, სერიოზული ყურადღებაა მისაქცევი ინფლაციის პირობებში განსახორციელებელი საგადასახადო დაბეგვრისადმი, ინფლაციის ტემპების შესაბამისად, აუცილებელია ხელფასების ინდექსაცია, სხვანაირად შეუძლებელია საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტში შემოსულობის სტაბილიზაცია, ანალოგიურად უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის ხარჯების ინდექსირებაც. ამრიგად, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და დამატებითი სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა კეთილგონივრული ფისკალური პოლიტიკა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი გახდება როგორც ხარჯები, ისე შემოსავლები. ამით შეიქმნება ოპტიმალური პირობები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად.

თუ გავაანალიზებთ ცალკეულ პარამეტრებს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ეროვნული ვალუტის კურსის კატასტროფული გაუფასურება დოლართან მიმართებაში, ბუნებრივია, აღნიშნული საგანგაშო მოვლენა მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, მოსახლეობას, ამას ემატება ისიც, რომ ზოგიერთი რეალური ეკონომიკური მაჩვენებლებიც არცთუ ისე დამაიმედებელია, კერძოდ, 2015 წლის იანვარ-ივლისში რუსეთიდან საქართველოში ფიზიკური პირების მიერ ფულადი გადმორიცხვები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 41%-ით (172,1 მლნ აშშ დოლარით), 247,7 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ეს თანხა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი გადმორიცხვების 39.2%-ს შეადგენს. მხოლოდ მიმდინარე წლის ივლისში რუსეთიდან შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 43.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა მაშინ, როდესაც 2014 წლის ივლისში ანალოგიური გზავნილების მოცულობა 72.6 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, რუსეთის შემდეგ უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მხრივ მე-2 ადგილზე იტალიაა – 8.7 მლნ დოლარით, მე-3 ადგილზე კი აშშ – 8.5 მლნ დოლარით არის წარმოდგენილი. ანალოგიური მდგომარეობაა საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების მხრივაც. ასეთ პირობებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განმარტებები ნაწილობრივ სხვა სურათს გვისახავს. კერძოდ, 2015 წლის იანვარ-აგვისტოში საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 5.2 მილიარდი ლარი, რაც წლიური გეგმის 66%, ხოლო 9 თვის გეგმის 89%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის იმავე პერიოდს 530 მლნ ლარით, 11%-ით აღემატება. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა ჯამში 6.3 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე პერიოდს 823 მლნ ლარით აღემატება და მიმდინარე წლის 9 თვის გეგმის 87%-ია, ასევე თანაბრობით აღინიშნება მიმდინარე წლის შემოსავლები და ხარჯები, დაახლოებით 66-67%-ია წლიური მაჩვენებლების 8 თვის გეგმის. უნდა აღინიშნოს, რომ ფინასნთა სამინისტროს მონაცემებით გადასახადებზე 66%, სხვა შემოსავლებზე 65%, არა ფინანსური აქტივების კლება, ანუ პრივატიზაციაზე 71% მოდის, რაც შეეხება გადასახდელებს, იანვარ-აგვისტოში დახარჯულია 660 მლნ ლარით მეტი 2014 წლის იმავე

პერიოდთან შედარებით. სახელმწიფო ბიუჯეტით იანვარი-აგვისტოს პერიოდში კაპიტალური პროე-პროექტების განხორციელებაზე უკვე გაწეულია 900 მლნ ლარის ხარჯი, რაც 32%-ით აღემატება შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელს. რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება შეადგენს 188 მლნ ლარს, ფონდიდან უკვე დღეის მდგომარეობით გამოყოფილია 390 მლნ ლარი. მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბ-ლიკების ბიუჯეტების იანვარ-აგვისტოს ხარჯი შეადგენს მილიარდ 260 მლნ ლარს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე არ არის დაზუსტებული როგორი ცვლილებები მოხდა 2015 წლის ბიუჯეტში კვარტალების შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით, მათ შორის სექტემბრის შემოსავლების მონაცემებიც. ყურადსაღებია ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროს დადებითი პროგნოზების მიუხედავად, ქვეყანაში ძალზე მტკივნეული ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს, კერძოდ, რთულია სწორი პროგნოზის გაკეთება მიმდინარე წლის დარჩენილ პერიოდზე რა პრობლემებთან გვექნება საქმე, რაც მეტად დამაფიქრებელია. ამას ემატება ისიც, რომ სავალუტო ჯიხურებში დოლარის ფასმა (08-09.2015) ლართან მიმართებაში 2.39 ლარს მიაღწია და ბაზარზე დოლარის დეფიციტი შეინიშნება, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში (08-09.2015) 2,24 ლარს, ევროსთან მიმართებაში კი 2.64 ლარს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კომერციულმა ბანკებმა შარშანდელთან შედარებით 664,9 მლნ ლარით მეტი დოლარი გაყიდეს, საიდანაც დოლარის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტმა ბანკებმა შეისყიდეს, ამ ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში ქვეყნიდან მილიარდამდე დოლარი გავა, რაც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომ დროა, სახელმწიფომ სასწრაფო ანალიზი და რეაგირება მოახდინოს ყველა იმ ეკონომიკურ მოვლენაზე, რომლებიც ჯერაც არაგამჭვირვალედ და ბუნდოვნად გამოიყურება. საგულისხმოა ისიც, რომ მთავრობის მოლოდინის მიუხედავად, ლარის კურსის გამყარების მიზნით გატარებულ სპეციალურ ღონისძიებებს, კერძოდ აქტიური პრივატიზაცია, სავიზო რეგულირების შერბილება ტურისტების მოზიდვის მიზნით და სხვა, სასურველი შედეგი ჯერაც არ მოუტანია.

დღეს მთავრობა აქტიურად საუბრობს ბაზრების დივერსიფიცირებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, თუმცა ეს ხანგრძლივი პერიოდის გეგმები უფროა, მოსახლეობა კი, დღევანდელი მძიმე პირობების დასაძლევად, ოპერატიული ღონისძიებების გატარების მოლოდინშია. ხელისუფლების ოპტიმალური პროგნოზები რეალურად უნდა იქცეს, გადაუდებლად, მოკლე დროში უნდა მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა იმისათვის, რომ ფულადი შემოდინებები ქვეყანაში გაიზარდოს და წახალისდეს ექსპორტი, ეს კი საგადასახადო განაკვეთების შემცირების და სხვა რეგულაციების გაუქმებით უნდა მოხდეს.

Mikheil Chikviladze

GEORGIAN ECONOMIC PROBLEMS AND THE WAYS OF SOLVING THEM

Annotation

Strength and weakness of Georgian economy depends on economic policy which is carried out by government within certain period. As it is known state authorities influence on free market economics and country economic management on the whole by fiscal politics, if the country authorities will be able to use fiscal on monetary political measures with the competence and on the scientific level and tries to get close the volume of production issuance to its potential level and maintain price stability with it, in this case we deal with the correct politics of country stabilization, which is directly related to its fiscal politics, so it's impossible to study it without state budget.

The budget must stimulate reviving of the economic activities, especially potential increase of private sector and influence on perfection of the economic and administrative infrastructure.

Rate of taxation differentiation must be used boldly in business which gives the opportunity to increase tax income in the budget.

On the basis of economical problems of the country, important (serious) attention must be paid to taxation to be carried out in the condition of inflation, salary indexing is necessary in accordance to inflation rate, it's impossible to differently stabilize the income tax coming in the budget, analogically, indexing budget expenses must be carried out. Thus national economic development and formation of additional state financial resources is one of the main preconditions of the reasonable fiscal politics, in which state authorities will be able to control expenses as well as income. Optimal conditions will be created with this to decrease state budget deficit.

If we analyze single parameters from the point of state budget filling, attention is paid to national currency rate catastrophic devaluation in respect of dollar, naturally the indicated alarming event puts the country economics, population in a difficult condition, in addition some real economic indicators doesn't seem encouraging, particularly, in January-July 2015 money transfers made by individuals from Russia to Georgia compared to the same period last year has decreased by 41% (172,1 mln US dollars) to 247,7 mln US dollars.

If we consider that commercial banks have sold 664.9 mln dollar more compared to last year, from which main part of dollars were purchased by non-resident banks, in case this tendency continues, up to one milliard dollars go out of the country, which will put the country economics in even more difficult condition. So it's time that the state immediately analyses and reacts to all the economic events that still look non-transparent and vague.

Optimal prognosis of authorities must become real, urgently, investments must be attracted in a short time so that the money inflow increases into the country and encourages export, and this must be done by decreasing rate of taxation and by annulling other regulations.

ელენე ჩიქოვანი

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებშრომის უსაფრთხოების სფეროში

შრომითი ურთიერთობების რეგულირების სფეროში დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოუგვარებელ პრობლემას შრომის უსაფრთხოების სისტემაში არსებული დარღვევები წარმოადგენს. საქართველოში ამჟამად მოქმედმა კანონმდებლობამ სახელმწიფოს ეფექტურ კონტროლს მიღმა დატოვა შრომის პირობების ზედამხედველობა და დასაქმებულთა უფლების უზრუნველყოფა უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოზე მთლიანად კერძო საწარმოებს მიანდო. მიუხედავად „საქართველოს შრომის კოდექსში“ ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებისა, კოდექსში სათანადო ყურადღება არ არის დათმობილი შრომის ჯანმრთელობისათვის მავნე, მძიმე და საშიშ პირობებში მომუშავეთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ. ძველი კოდექსისგან განსხვავებით, დღეისათვის დამსაქმებელს ზოგადად დაევალა უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა [2]. გაუქმდა რიგი სავალდებულო პირობები: მუშებისა და მოსამსახურეების ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის შესახებ, სპეციალური ტანსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებათა, რძისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების პროდუქტების გაცემის შესახებ, გაუქმებულია ადმინისტრაციის მოვალეობა – გამოიკვლიოს და აღრიცხოს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევები და სხვა. 2007 წლის 1 ივლისისათვის შემუშავებულ იქნა მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოთა ნუსხა, აგრეთვე დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალი და წესები, თუმცა ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი უსაფრთხო შრომის პირობების დაცვისა და მონიტორინგის სახელმწიფო ზედამხედველობის მექანიზმები [6; გვ. 103]. შესაბამისად, ქვეყანაში დღითიდღე მატულობს სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა ჯანმრთელობის დაზიანებისა და უბედური შემთხვევების რაოდენობა, ხოლო დაზარალებულთა სოციალური დაცვის მექანიზმები უმეტესწილად ერთჯერადი კომპენსაციების გაცემით შემოიფარგლება და ვერ ქმნის ადეკვატურ ფონს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოზე დასაქმებულთა კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისათვის, რომლის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორსაც წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის დაცილება შესაბამისი საერთაშორისო ნორმებისა და ვალდებულებებისაგან.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს თანამშრომლობის გაღრმავება დასაქმების, სოციალური დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების სფეროში. როგორც ასოცირების ხელშეკრულების ტექსტში არის მითითებული, ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად საქართველო მოახდენს ეტაპობრივ საკანონმდებლო დაახლოებას ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით შემუშავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმები და ანტიდისკრიმინაციული, სოციალური დაცვის მექანიზმები. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა [3; გვ.16].

„ევროპის სოციალური ქარტიის“ მოთხოვნების შესაბამისად, უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობებით სარგებლობის უფლება გააჩნია ყველა დასაქმებულს. უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობებით სარგებლობის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, მუშაკთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების გზით, მხარეები ვალდებულებას იღებენ: უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოების, სამუშაო ჰიგიენისა და შრომითი გარემოს შესახებ შესაბამისი ეროვნული პოლიტიკის ფორმულირება, განხორციელება და პერიოდული გადახედვა, ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის გაუმჯობესება, ავარიებისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილება შრომით გარემოში არსებული საფრთხის მინიმიზაციის გზით; უსაფრთხოებისა და ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებული ნორმების მიღება; ზედამხედველობის დაწესება ასეთი ნორმების შესრულებაზე; პრევენციული და საკონსულტაციო ფუნქციების მქონე შრომითი ჰიგიენის სამსახურების განვითარების ხელშეწყობა(„ევროპის სოციალური ქარტია“, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N1876 – რს დადგენილებით) [4]. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები საერთაშორისო დოკუმენტებთან მიერთებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით. კერძოდ, საქართველომ რატიფიცირება უნდა გაუკეთოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N81 და N129 კონვენციებს „შრომის ინსპექციის თაობაზე“, რომელიც სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ეფექტური კონტროლის მექანიზმის შექმნის ვალდებულებას ადგენს; N155 კონვენციას „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის თაობაზე“; N176 კონვენციას „მაღაროებში უაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ“; N 183 კონვენციას „დედობის დაცვის შესახებ“, ასევე

„ევროპის სოციალური ქარტიის არაერთ, მათ შორის, მე-3 მუხლს, რომელიც შრომის უსაფრთ-ხოების საკითხებს შეეხება.

ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და შრომის დაცვის სფეროში ქმედითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას მოქმედი კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებ-ლობასთან ჰარმონიზაციის მიმართულებით, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროპული კანონმდებლობის მოქმედი ნორმები [7; 8].

ევროპული კანონმდებლობის მიხედვით, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა იმ რისკებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება დაემუქროს სამუშაოს შესრულების დროს დასაქმებულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე ზრუნვა უნდა წარმოად-გენდეს მმართველობითი საქმიანობით განსაზღვრულმოვალეობათა შესრულების ორგანულ და თანაბარ შემადგენელ ნაწილს მმართველობითი საქმიანობის ყველა დონეზე, მათი თანამდებობრივი მოვალეობის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე სამუშაო ადგილზე სამუშაოს ორი ან მეტი დამსაქმებლის დაქვემდებარებაში მყოფი დასაქმებულები ახორციელებენ, დამსაქ-მებლებმა წერილობითი ფორმით უნდა მოახდინონ ერთმანეთის ინფორმირება შესაძლო რისკებსა და რისკის პრევენციასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების შესახებ, მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობები. ამასთან, ერთ-ერთმა დამსაქმებელმა, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება ხელშეკრულების თანახმად აქვს მინიჭებული, უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა კოორდინაცია და შესაბამისი პროცედურების ჩატარება.

თითოეულმა დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი საქმიანობა და მის დაქვემ-დებარებაში მყოფი დასაქმებულების საქმიანობა ორგანიზებული, კოორდინირებული და განხორ-ციელებულ იქნეს ისეთი გზით, რომ ამ დამსაქმებელთა დაქვემდებარებაში მყოფი დასაქმებულები მათ სამუშაო ადგილებზე იყვნენ დაცულნი. დამსაქმებლებმა დროული და საკმარისი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ პროფკავშირებსა და დასაქმებულთა წარმომადგენლობით ორგანოებს შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესახებ და თუ ასეთები არ არსებობენ, უშუალოდ მოახდინონ დასაქმებულთა ინფორმირება შესაძლო რისკებისა და ღონისძიებების შესახებ, რომელთა დაცვაც სხვა დამსაქმებელთაგან მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით მოითხოვება.

დამსაქმებელთა მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების დაცვასთან, უნდა ეხებოდეს ყველა პერსონასა თუ ინდივიდს, რომლებიც სამუშაო ადგილზე თავიანთი ცოდნისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ასრულებენ შრომით მოვალეობას. შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა იქნეს დაფარული დამსაქმებელთა მიერ და აღნიშნული ხარჯების დაფარვა, პირდაპირ და არაპირდაპირ, არ უნდა იქნეს გადაცემული დასაქმებულებზე.

დამსაქმებელმა უნდა შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო-პირობები სამუშაო ადგილების უსაფრთხოებისა და რისკის პრევენციის ღონისძიებათა გატარების მეშვეობით. რისკის პრევენცია ნიშნავს ყველა იმ ღონისძიების გატარებას, რომლებიც კანონმდებლობით მოითხოვება უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის მიზნით, რათა ზიანი არ მიადგეს დასაქმებულთა ჯანმრთელობას. პრევენცია გულისხმობს სხვა ღონისძიებებსაც, რომლებიც უნდა იქნეს გატა-რებული დამსაქმებლის მიერ იმ მიზნით, რათა მოხდეს რისკის პრევენცია და აღმოფხვრა ან იმ რისკების მინიმიზაცია, რომელთა ელიმინირება შეუძლებელია[7].

დამსაქმებელმა სისტემატურად უნდა გამოავლინოს რისკის ფაქტორები, შეაფასოს პრო-ცესები, რომელთაც გავლენა აქვთ შრომით პირობებსა და გარემოზე, დაადგინოს რისკის მიზეზები და წყაროები. გამოვლენილი ფაქტორების საფუძველზე მოახდინოს რისკის იდენტიფიცირება და შეფასება, გაატაროს ღონისძიებები მათი ელიმინირებისათვის, ხოლო სამუშაოთა ის სახეები, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც რისკს დაქვემდებარებული, მიაკუთვნოს ნაკლებად რისკიან კატეგორიას მხოლოდ გაუმჯობესებული სამუშაო პირობებისა და სამუშაოსთან დაკავში-რებული განმსაზღვრელი ფაქტორების შესაბამისად. ამ მიზნით დამსაქმებლებმა რეგულარულად უნდა შეამოწმონ სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო-პირობები, მანქანებისა და მოწყობილობების მდგომარეობა და ტექნიკური გამართულობა. სამუშაო ადგილების აღჭურვილობა, სამუშაო (ოპერაციული) პირობები, მეთოდები და პროცედურები, რომლებიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად რისკფაქტორების გასაცნობიერელად და შესაფასებლად გამოიყენება. იქ, სადაც რისკის ელიმინირება არ არის შესაძლებელი დამსაქმებელმა უნდა შეაფასოს და გაატაროს რისკის გავლენის შემზღუდველი ღონისძიებები, რათა მინიმიზდეს საფრთხეები, რომლებიც შეიძლება მიადგეს დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. დამსაქმებელმა უნდა აწარმოოს და შეინახოს ყველა ის დოკუმენტაცია, რომლებიც რისკის განსაზღვრის, მათი შეფასებისა და აღმოფხვრის პირველი რიგის ღონისძიებების გატარებასთან არის დაკავშირებული.

რისკის პრევენციის ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ღონისძიებების მიღებისა და გამოყენების დროს დამსაქმებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი ზოგადი პრევენციული პრინციპები:

- რისკის ლიმიტირება და ელიმინირება მის წარმომშობ წყაროებთან;
- სამუშაო (ოპერაციული) პირობების მოდიფიკაცია დასაქმებულთა საჭიროებების შესაბამისად, რათა გამოირიცხოს სამუშაოს მავნე ზეგავლენა მათ ჯანმრთელობაზე;
- ფიზიკური შრომის შემცველი სამუშაოს შეცვლა ახალი ტექნოლოგიური და სამუშაო პროცესებით;
- საფრთხის შემცველი სახიფათო ტექნოლოგიების, მუშამოწყობილობების, შრომის საშუალებებისა და სხვა მასალების შეცვლა ნაკლებად საშიში, ნაკლებ რისკიანი საშუალებებით უკანასკნელი მეცნიერული და ტექნოლოგიური (ტექნიკური) მიღწევების შესაბამისად;
- დასაქმებულთა რიცხვის შეზღუდვა, რომლებიც დაუცველნი არიან რისკის გამომწვევი იმ ფაქტორების ზემოქმედებისაგან, რომლებიც აჭარბებენ მაქსიმალურ ჰიგიენურ შეზღუდვებს და ექვემდებარებიან ოპერაციის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა სახის რისკების აბსოლუტურად მინიმალურ რაოდენობას;
- რისკის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა, ტექნოლოგიების, სამუშაოს ორგანიზების, სამუშაო პირობების, სოციალური ურთიერთობებისა და მათი სამუშაო გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით;
- რისკის პრევენციის კოლექტიური ღონისძიებების უპირატესი დანერგვა რისკის პრევენციის ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებასთან შედარებით;
- მანქანებიდან და მოწყობილობებიდან საზიანო გამოსხივების შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენება;
- გონივრული ინსტრუქციების (წესებისა და რეგულაციების) მიღება სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა გასატარებლად;

დამსაქმებელმა უნდა გაატაროს ღონისძიებები ხანძართან ან წყალდიდობასთან დაკავშირებული გარემოებების დროს გამოსაყენებლად, გაითვალისწინოს სხვა სერიოზული საფრთხეები და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მოითხოვს დასაქმებულთა ევაკუაციას, სამუშაოს შეწყვეტასთან დაკავშირებით გაკეთებული ბრძანებების, სამუშაო ადგილის დაუყონებლივი დატოვების და უსაფრთხო ადგილზე გადაადგილების ჩათვლით. პირველადი დახმარების აღმოჩენისას დამსაქმებელმა უნდა ითანამშრომლოს იმ დაწესებულებასთან, რომელსაც ევალება სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გატარება. საქმიანობის ტიპებზე დამოკიდებულებით დამსაქმებელმა უნდა განსაზღვროს დასაქმებულთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც აუცილებელია პირველი რიგის დახმარების ორგანიზების, სასწრაფო დახმარების, სახანძროს ან პოლიციის გამოსაძახებლად და დასაქმებულთა ევაკუაციის ღონისძიებების ორგანიზებისათვის. სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე პასუხისმგებელ სამსახურებთან ერთად, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს განსაზღვრული რაოდენობის დასაქმებულთა ტრენინგი და აღჭურვა იმ ფარგლებში, რომლებიც სამუშაო ადგილზე პოტენციურ რისკის ხარისხს შეესაბამება.

დამსაქმებელმა მოდიფიცირება უნდა გაუკეთოს დახმარების ღონისძიებებს მოსალოდნელი გარემო ცვლილებებისაგან დამოუკიდებულად.შეამოწმოს ასეთი ღონისძიებების ეფექტურობა და უზრუნველყოს დაკვირვება, რათა დარწმუნდეს, რომ სამუშაო გარემო და სამუშაო პირობები მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული.კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განისაზღვროს დამსაქმებელთა ვალდებულებები, ასევე დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები. დამსაქმებლის მიერ არ უნდა იქნეს ნებადართული აკრძალული ტიპის სამუშაოების შესრულება, რომელიც სცდება დასაქმებულთა შესაძლებლობებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას; უნდა მოახდინოს იმ სამუშაოთა კლასიფიკაცია, რომლებშიც ჩართულნი არიან დასაქმებულები. ამასთან, სამუშაოთა კლასიფიკაცია და კატეგორიზება უნდა იქნეს დარეგულირებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად [7].

დამსაქმებელმა ინფორმირება უნდა გაუკეთოს მომსახურე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის თანამშრომლებს სამედიცინოო დახმარების, ვაქცინაციის, სამედიცინო შემოწმებისა და გამოკვლევების შესახებ, რომელიც უნდა ჩატარდეს მათი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით და მისცეს მათ შესაძლებლობა, განახორციელონ ასეთი ვაქცინაცია, შემოწმება და გამოკვლევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან ჯანდაცვის კომპეტენტური ორგანოს რეგულაციების შესაბამისად; იმ დასაქმებულებს, რომლებიც სამედიცინო შემოწმებას, ვაქცინაციას ან გამოკვლევას ექვემდებარებიან, აუნაზღაუროს ყველა ის დანაკარგი, რომელიც შრომის ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული, დაფაროს განსხვავება დასაქმებულის ხელფასსა და საკომპენსაციო ხელფასს შორის ან აუნაზღაუროს ავადმყოფობის დახმარება კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა სრული ინფორმირება შესასრულებელი სამუშაოს ტიპის შესახებ, მოამარაგოს ისინი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ადეკვატური ინფორმაციითა და სახელმძღვანელო მეთოდური მითითებებით, რომლებიც მათ მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად გააჩნიათ. რათა ისინი ინფორმირებულნი იყვნენ

მოსალოდნელი რისკების, მათი შედეგების, რისკის შეფასებისა და პრევენციის ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მათ სამუშაო ადგილზე, შრომითი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების ტიპებით არიან განსაზღვრული.

დამსაქმებლებმა უნდა უზრუნველყონ დასაქმებულთა მომარაგება შესაფერისი და ადეკვატური ინფორმაციითა და სახელმძღვანელო მეთოდური მითითებებით შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სათანადო ღონისძიებების შესახებ, კერძოდ ისეთების ჩათვლით, როგორიცაა ხანძარზე კონტროლი, პირველადი დახმარების გაწევა, თანამშრომელთა ევაკუაცია გაუთვალისწინებელი გარემოებების და ექსტრაორდინალური მოვლენების დროს. უნდა მოახდინოს დასაქმებულ ქალთა ინფორმირება, ზოგიერთი რისკფაქტორის შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინონ ნაყოფზე. ფეხმძიმე, მეძუძური, ასევე მცირეწლოვანი ბავშვების დედები (რომელთა მშობიარობიდან არ არის გასული 9 თვე) ინფორმირებულნი უნდა იქნენ იმ შესაძლო რისკების შესახებ, რომელიც შესაძლოა დაემუქროს მათ ფეხმძიმობას, მეძუძურობას ან მათ ჯანმრთელობას. დამსაქმებელმა უნდა განახორციელოს ყველა აუცილებელი ღონისძიება იმ გავლენის ასაცილებლად, რომელიც განაპირობებს მათი შვილების ფიზიკურ ან გონებრივ მოშლილობას, ან გონებრივ ან ფიზიკურ სტრესს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად.

დამსაქმებელმა უნდა მისცეს შესაძლებლობა დასაქმებულებს, ინსპექტირება გაუკეთონ დამსაქმებლის ანგარიშებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დასაქმებულთა სამუშაო ადგილებისა და შრომის უსაფრთხოების დაცვასთან. უზრუნველყონ პირველი რიგის დახმარების გაწევა; არ უნდა მიმართონ შრომის ანაზღაურების ისეთი ფორმების გამოყენებას, რომლებიც გაზრდიან დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზიანების რისკს, არ დანერგონ შრომის ანაზღაურების ისეთი სახეები, რომლებიც, შედეგის გაუმჯობესებასთან ერთად, დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული რისკების ზრდას განაპირობებს. უზრუნველყონ მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობა.უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტები და ინფორმაცია დასაქმებულს უნდა მიეწოდოს სამუშაოს დაწყების, ალტერნატიულ სამუშაოზე ან სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანის, ასევე სამუშაო გარემოს შეცვლის, სამუშაო მოწყობილობის დამონტაჟების / შეცვლის, ტექნოლოგიის ან სამუშაო პროცედურების შეცვლის დროს. დამსაქმებელმა უნდა შეინახოს შესაბამისი ანგარიშები (დოკუმენტაცია) ანალოგიური ინფორმაციისა და მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტების შესახებ.

დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა ტრენინგი ან ინსტრუქტაჟი ხელშეკრულების პირობებისა და სხვა რეგულაციების შესახებ, რომლებიც შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან არის დაკავშირებული და რომელთა ცოდნაც დაეხმარება დასაქმებულებს, მიიღოს ინფორმაცია იმ სახის სამუშაოს წინაპირობების შესახებ, რომლის შესრულებაშიც ისინი არიან ჩართულნი და რომლებიც რისკს შეიცავენ. დამსაქმებელმა სისტემატურად უნდა აწარმოოს დაკვირვება და შეამოწმოს ხელშეკრულების პირობებისა და სხვა რეგულაციების შესრულება. დასაქმებულთა ტრენინგი(ინსტრუქტაჟი) უნდა მოხდეს დასაქმებულის მიერ სამუშაოს დაწყებისას და შემდგომში სამუშაო პოზიციის შეცვლის, სამუშაოს ტიპის შეცვლის, ახალი ტექნოლოგიის შემოტანის ან საწარმოო მოწყობილობის და შრომის საშუალებების შეცვლის ან/და ტექნოლოგიური და სამუშაო პროცედურების ცვლილებისას. იმ შემთხვევებში, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ზეგავლენა იქონიოს შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე.

დამსაქმებელმა უნდა დაადგინოს ხელშეკრულებითა და სხვა რეგულაციებით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების შესახებ თანამშრომელთა ტრენინგის სიხშირე და შინაარსი, რათა მიღწეულ და დაცულ იქნეს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმები, დაადგინოს თანამშრომელთა ცოდნის შემოწმებისა და ანგარიშების შენახვის წესები. იმ შემთხვევაში, როცა თანმდევი რისკების სერიოზულობა მოითხოვს, თანამშრომელთა თავდაპირველი ტრენინგი რეგულარულად უნდა იქნეს გამეორებული. თანამშრომელთა ტრენინგი უნდა ჩატარდეს ზედმეტი დაგვიანების გარეშე.

დამსაქმებელმა სამუშაო ადგილებზე უნდა მოაწყოს დასასვენებელი ადგილი ფეხმძიმე, მეძუძური და ცხრა თვემდე ბავშვთა დედებისათვის. დამსაქმებელმა უნდა გაატაროს ყველა აუცილებელი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიება საკუთარი ხარჯებით, რაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების შესაძლებლობას მისცემს ინვალიდ და შრომისუნარმოკლებულ დასაქმებულებს მათი რეგულარული დასაქმების მთელი პერიოდის განმავლობაში, ამ თანამშრომლებისათვის სამუშაო პირობებისა და ადგილის ადაპტაციის, დაცული სამუშაოების ან დაცული სამუშაო შეხვედრების ორგანიზების, სამუშაო ადგილზე ტრენინგების გზით მათი უნარებისა და კვალიფიკაციის გასაუმჯობესებლად. დასაქმებულები უნდა უზრუნველყოს პერსონალური დამცავი მოწყობილობებითა და დამხმარე საშუალებებით, სამუშაო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, ჰიგიენის, დეზინფექციის საშუალებებით, უალკოჰოლო სასმელებით. იმ შემთხვევაში, როცა შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები არ შეიძლება იქნეს ელიმინირებული ან საკმარისად ალაგმული, დამსაქმებელმა უნდა მოამარაგოს დასაქმებულები პერსონალური დაცვის საშუალებებით. დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს თავისი დასაქმებულები სამუშაო ტანსაც-

მლითა და ფეხსაცმლით, რომლებიც მოწოდებულია, როგორც პერსონალური დამცავი საშუალებები. პერსონალური დამცავი მოწყობილობები არის დამცავი უსაფრთხოების საშუალებები, რომლებმაც უნდა დაიცვან დასაქმებულები რისკისაგან, არ დააზიანოს მათი ჯანმრთელობა ისე, რომ ხელი არ შეუშალოს სამუშაოს შესრულებაში და შეასრულონ ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც ხელშეკრულებითა და სხვა სავალდებულო პირობებით არის გათვალისწინებული. დამსაქმებელმა უნდა მოამარაგოს დასაქმებულები ჰიგიენისა და დეზინფექციის საშუალებებით იმ დაბინძურების ხარისხის შესაბამისად, რომლითაც შესაძლოა დაბინძურდეს მომუშავეთა კანი და ტანსაცმელი. მუშები, რომლებსაც სამუშაო ადგილზე არადამაკმაყოფილებელ მიკროკლიმატურ პირობებში უწევთ მუშაობა, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ აგრეთვე უალკოჰოლო სასმელებით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების ფარგლებში.

დამსაქმებელმა პერსონალური დამცავი საშუალებები გამოსაყენებელ მდგომარეობაში უნდა შეინახოს და შეამოწმოს მათი გამოყენება. პერსონალური დამცავი საშუალებები დამსაქმებლის მიერ უფასოდუნდა იქნეს მიწოდებული იმ სიის მიხედვით, რომელიც დამსაქმებელმა უნდა შეადგინოს რისკისა და სპეციფიკური პირობების შეფასების საფუძველზე. დამსაქმებელმა არ უნდა ჩაანაცვლოს პერსონალური დამცავი საშუალებების მიწოდება ფინანსური კომპენსაციით.

სახელმწიფომ უნდა გამოსცეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, სადაც მოცემული იქნება სპეციალური დამცავი საშუალებების, პერსონალური დამცავი მოწყობილობების, სამუშაო ტანსაცმლისა და ფეხსაცმელის, პირადი ჰიგიენის საშუალებების, აგრეთვე დეზინფექციისა და დამცავი უალკოჰოლო სასმელების მიწოდების პირობები. საწარმოო ტრავმების შემთხვევაში დამსაქმებლმა უნდა გამოიკვლიოს ის შემთხვევები და გარემოებები, რომელსაც ჰქონდა ადგილი იმ დასაქმებულის მონაწილეობით, რომელიც დაზიანდა. გარემოებების დადგენასა და მოკვლევაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ შესაბამისი პროფკავშირების ან ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების წარმომადგენლები. დაზიანებისმიზეზებისა და გარემოებების გარკვევამდე შემთხვევის ადგილი არ უნდა შეიცვალოს რაიმე სერიოზული მიზეზების გარეშე. თუ დაზიანებული სხვა დამსაქმებლის დაქვემდებარებაშია, დამსაქმებელმა, უპირველეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შესაბამის დამსაქმებელს და ნება დართოს მას, მონაწილეობა მიიღოს დაზიანების მიზეზებისა და გარემოებების გამოკვლევაში. ასევე შეატყობინოს მას გამოკვლევის შედეგების შესახებ.

დამსაქმებელმა უნდა აწარმოოს საწარმოო ტრავმებისა და დაზიანებათა აღრიცხვა, რომელშიც შევა ყველა სახის დაზიანება იმ დაზიანებათა ჩათვლით, რომლებიც არ განაპირობებს სამუშაოზე დროებით უუნარობას ან რომლებიც განპირობებულია დროებითი უუნარობით, რომელიც არ აჭარბებს სამ დღეს.

დამსაქმებელმა უნდა აწარმოოს ანგარიშები საწარმოო ტრავმების შესახებ და შეინახოს დოკუმენტაცია ყველა საწარმოო ტრავმის შესახებ, რომელიც განაპირობებს:

- დასაქმებულის დაზიანებას, რომლის შედეგადაც დასაქმებული იმყოფებოდა ბიულეტენზე სამ დღეზე მეტი ვადით;
- დასაქმებულის გარდაცვალებას;
- შესაბამისი ანგარიშის ერთი ასლი დამსაქმებელმა უნდა გადასცეს დაზიანებულ დასაქმებულს და თუ ასეთი ტრავმა განაპირობებს დასაქმებულის გარდაცვალებას, ანგარიშის ერთი ასლი უნდა გადაეცეს გარდაცვლილი დასაქმებულის ოჯახის ერთ-ერთ წევრს.
- დამსაქმებელმა საწარმოო ტრავმის შესახებ უნდა აცნობოს და ანგარიში უნდა გაუგზავნოს კომპეტენტურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;
- დამსაქმებელმა უნდა მიიღოს ზომები საწარმოო ტრავმების გამეორების პრევენციის მიზნით;

დამსაქმებელმა უნდა შეინახოს ანგარიშები ყველა იმ დასაქმებულის დაავადებების შესახებ და აღიაროს ისინი პროფესიულ დაავადებებად, რომელიც წარმოიქმნა დამსაქმებლის სამუშაო ადგილზე და გაატაროს ღონისძიებები მათი ელიმინირების ან მინიმიზების მიზნით, რომელთაგანაც ტრავმა ან საწარმოო დაზიანება წარმოსდგება ან საიდანაც კონკრეტული პროფესიონალური დაავადება არის წარმოშობილი.

მთავრობამ უნდა გამოსცეს შესაბამისი ნორმატიული აქტი, სადაც აღწერილი იქნება საწარმოო ტრავმისა და პროფესიული დაავადების შესახებ ანგარიშის წარმოების წესი, ასეთი ანგარიშების გაგზავნას დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სია.

კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები. დასაქმებულს უფლება აქვს, დაიცვას თავისი შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, მიიღოს ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომელიც მის სამუშაოს სდევს თან და აგრეთვე იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა გატარდეს ამ რისკების ეფექტების თავიდან აცილების მიზნით. ასეთი ინფორმაცია გასაგები უნდა იყოს დასაქმებულთათვის.დასაქმებულს უფლება აქვს, უარი თქვას ისეთი სამუშაოს შესრულებაზე, რომელსაც იგი საფუძვლიანად განიხილავს როგორც პირდაპირი და მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ან სხვა ინდივიდების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და ეს უარყოფა არ უნდა იქნეს განხილული, როგორც დასაქმებულის წარუმატებლობა მისი მოვალეობების შესრულებაში.

დასაქმებულს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო პირობების შექმნაში. დასაქმებულმაზედამხედველობა უნდა გაუწიოს თავის საკუთარ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, აგრეთვე, იმ პირთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, რომლებზეც უშუალო გავლენას ახდენს მისი ქცევა ან დაუდევრობა.იმ ფუნდამენტური მოვალეობების ცოდნა, რომლებიც ხელშეკრულებიდან და სავალდებულო რეგულაციებიდან გამომდინარეობს და დაკავშირებული დამსაქმებლის მიერ დაქირავებულის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის პირობებთან.

დასაქმებულმა:

• მონაწილეობა უნდა მიიღოს ტრენინგებში, რომელიც ორგანიზებულია დამსაქმებლის მიერ და მიზნად ისახავს შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის დაცვას და რომელიც ამოწმებს მის ცოდნას;

• დაექვემდებაროს სამედიცინო შემოწმებას, გამოკვლევებსა და ვაქცინაციას, რომელიც ხელშეკრულების პირობებში არის აღწერილი;

• დაექვემდებაროს ხელშეკრულებითა და სხვა სავალდებულო რეგულაციებით გათვალისწინებული პროფესიული უსაფრთხოებისა და დაავადებისაგან დაცვის შესახებ ინსტრუქციების შესრულებას და მისდიოს დამსაქმებლის ინფორმაციის შესაბამისად ჩამოყალიბებულ უსაფრთხო ქცევის პრინციპებს. თვალყური ადევნოს განსაზღვრულ სამუშაო პროცედურებს, გამოიყენოს დაწესებული შრომის საშუალებები და ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები, პერსონალური დამცავი საშუალებები და მოწყობილობები თვითნებურად არ უნდა შეცვალოს ან უარი არ უნდა თქვას მუშაობის დროს მათ გამოყენებაზე;

• არ მოიხმაროს ალკოჰოლური სასმელები და ნარკოტიკული საშუალებები დამსაქმებლის სამუშაო ადგილზე ან სამუშაო საათების განმავლობაში სამუშაო ადგილს გარეთ; არ გამოცხადდეს სამუშაოზე მათი ზემოქმედების ქვეშ; არ მოსწიოს სამუშაო ადგილზე და სხვა ადგილებზე, სადაც არამწეველები შესაძლოა დაექვემდებარონ მოწევის ეფექტების უარყოფით ზეგავლენას;

• ინფორმაცია მიაწოდოს ხელმძღვანელს სამუშაო ადგილზე რაიმე დეფექტის ან გაუმართაობის შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული უბედური შემთხვევა და მოხდეს სამუშაო წყვეტებისა და დარღვევების პრევენცია;

• მონაწილეობა მიიღოს ამ დარღვევების აღმოფხრაში. დასაქმებულის მონაწილეობა დამოკიდებულია სამუშაოს ტიპზე და მის შესაძლებლობებზე;

• დაუყოვნებლივ საქმის კურსში ჩააყენოს უშუალო ხელმძღვანელი საწარმოო დარღვევებისა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

• დამსაქმებლის მოთხოვნისამებრ დაექვემდებაროს ტესტირებას, რომელიც იძლევა საშუალებას, დადგინდეს იმყოფება თუ არა დასაქმებული ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ.

დასაქმებულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში პროფკავშირული ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების მეშვეობით. დამსაქმებელმა, წელიწადში, სულ მცირე, ერთხელ მაინც, ორგანიზება უნდა გაუკეთოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს, ასევე შრომის დაცვის საშუალებების შემოწმებას პროფკავშირებთან და მუშათა წარმომადგენლობით ორგანოებთან შეთანხმებით. დარღვევების აღმოჩენისას დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს ისინი.

სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს მუშაობა შრომის კანონმდებლობის სრულყოფის, შრომის უფლების დაცვის, სათანადო პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის მიმართულებით. სახელმწიფომ უახლოეს მომავალში უნდა უზრუნველყოს შრომის უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის რევიზია, რომელიც მოიცავს შრომის უსაფრთხოების, შრომის პირობების კონტროლის მექანიზმების დანერგვის საკითხებს. შრომის პირობებისა და უსაფრთხოების საკითხების მარეგულირებელი ორგანოს შექმნა მიზნად უნდა ისახავდეს დამოუკიდებელი, ეფექტური და ქმედითი ინსტიტუციის ჩამოყალიბებას, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი კომპეტენციით, მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსებით. ამასთან, შრომის პირობების მაკონტროლებელი ორგანოს შექმნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საერთაშორისო სტანდარტები და სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოსკონსტიტუცია, 1985 წლის 24 აგვისტო, 786-რს.

2. საქართველოსშრომის კოდექსი. 2006 წლის 25 მაისი. N 3132-Iს

"საქართველოსორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს შრომის კოდექსი" ცვლილებების შეტანის შესახებ. ქუთაისი, 12 ივნისი, 2013. 729-IIს;

3. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი (ხშირად დასმული კითხვები) თებერვალი, 2014.

4. ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული) სტრასბურგი, 3.V.1996. რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის 1876 – რს დადგენილებით.

5. „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. N 81, 2015 წლის 2 მარტი, ქ. თბილისი.

6. ე. ჩიქოვანი, დ. ბასიაშვილი, ე. კაკულია, ზ. მურადაშვილი. სოციალური რეფორმები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საქართველოში. თბილისი,"ბარტონი", 2009.

7. Labour Code of the Czech Republic. (full translation). N 262/2006 coll."Zakonik prace". 2006;

8. Labour Law of Latvia, Rīga, 6 July 2001Translation © 2004 Tulkošanas un terminoloģijas centrs (Translation and Terminology Centre).

Elene Chikovani

ABOUT OBLIGATIONS OF GEORGIA IN THE FIELD OF OCCUPATIONAL SAFETY IN LINE OF THE ASSOCIATION AGREEMENT BETWEEN GEORGIA AND EUROPEAN UNION

Annotation

Article focuses on problems of regulation of the occupational safety System in Georgia. Analysis guarantees of occupational safety and health protection of the employees in Georgia. Evaluates existed gaps in the field of occupational protection in the country. Characterizes obligations of Georgia in the field of occupational safety in line of association agreement between Georgia and European Union. The possible directions of harmonization of the Legislation of Georgia with European Legislation in the field of occupational safety and health protection are given.

ზურაბ წერეთელი

შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ქვეყნის განვითარების სტაბილურობასა და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებზე

თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტია ის, რომ შემოსავლების მზარდი უთანაბრობის ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მოსახლეობის ყველაზე მაღალი ფენებისა და დანარჩენთა კეთილდღეობის შედარებისას, რომელსაც კვლევები ადასტურებს. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია აშშ და დიდი ბრიტანეთი, თუმცა ეს გლობალური ფენომენია, რომელიც კომუნისტურ ჩინეთს, პოსტკომუნისტურ რუსეთს, ინდოეთს და კანადასაც ახასიათებს. ჩვენ მას ვხედავთ ისეთ წარმატებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა შვედეთი, ფინეთი და გერმანია.

1970-იანი წლების ამერიკაში ეროვნული შემოსავლების 10 პროცენტი მოსახლეობის ერთი პროცენტის ხელში იყო თავმოყრილი. დღეს მათი წილი გაორმაგდა. კიდევ უფრო აღსანიშნავია ის, რომ ამჟამად მოგების 8 პროცენტი ამერიკელთა 0,1 პროცენტს ეკუთვნის. ანუ იმდენივე, რაც ერთ პროცენტს – 30 წლის წინ.

ზრდადი ეკონომიკური უთანასწორობა მეტისმეტად სახიფათოა, გვაფრთხილებენ ექსპერტები, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა ნელდება და იზრდება რეცესიის ალბათობა.

საინტერესოა საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები: „2009 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 1 პროცენტი, ანუ 70 მლნ ყველაზე მდიდარი ადამიანი პლანეტის სიმდიდრის 44 პროცენტს ფლობდა, მაშინ, როცა 2014 წელს უკვე 48%-ს. გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ თითქმის ნახევარი დარჩენილი 52 პროცენტიდან (46%) კონცენტრირებულია მოსახლეობის 1/5-ის ხელში. დარჩენილ მოსახლეობაზე მოდის 5,5 პროცენტი (საშუალოდ 3851 დოლარი), რაც 700-ჯერ უფრო ნაკლებია ვიდრე „ყველაზე მდიდარი 1 პროცენტის“ წილი. ყველაზე მდიდარი ადამიანების რიცხვში შედიან ამერიკელი ინვესტორი უორენ ბაფეტი, ნიუიორკის ექსმერი მაიკლ ბლუმბერგი, ინდიელი ბიზნესმენი დილილ შანგვი. Oxfam-ის კვლევის თანახმად, სიმდიდრე არათანაბრადაა გადანაწილებული თვით „ყველაზე მდიდარი 1 პროცენტის“ შიგნით. ერთ-ერთი ყველაზე შოკისმომგვრელი კი ამ ყველაფერში შემდეგი რამაა: „პლანეტის ყველაზე მდიდარი 90 მილიარდერი ზუსტად იმავე ქონებას ფლობს, რასაც მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი“.

ყველაზე მდიდარ 80 ადამიანზე (მსოფლიოს მოსახლეობის 0, 000 001%) მოდის იმდენივე ქონება, რამდენიც ყველაზე ღარიბ 3,5 მილიარდ ადამიანზე (მსოფლიოს მოსახლეობის 50%). Credit Suisse-ის ექსპერტების გათვლების თანახმად, იმისთვის, რომ დედამიწის მოსახლეობის ზედა ნახევარში მოხვდეთ, საჭირო 3650 დოლარზე მეტი ყოველწლიური შემოსავალი. ზედა 10 პროცენტში მოსახვედრად 77 000 დოლარი, ხოლო 1 პროცენტში მოსახვედრად 798 000 დოლარი. ზრდადი ეკონომიკური უთანასწორობა კიდევ უფრო ართულებს სიღარიბესთან ბრძოლას, მაშინ, როცა მსოფლიოში ყოველი მე-9 ადამიანი შიმშილობს და 1 მილიარდ ადამიანზე მეტი ცხოვრობს დღეში 1.25 დოლარზე ნაკლები თანხით. მსოფლიო ეკონომიკური უთანასწორობის მასშტაბები

შოკისმომგვრელია და სიტუაცია სულ უფრო უარესდება. უთანასწორობის ზრდა ორჯერ აუარესებს ყველაზე ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობას და, შედეგად, მათ „ეკონომიკური კექსის“ უფრო ნაკლები წილი ხვდებათ. გამომდინარე იქიდან, რომ უთანასწორობა ეკონომიკურ ზრდას ანელებს, „ეკონომიკური კექსი“ სულ უფრო პატარავდება[315]. ...

საინტერესოა მათი დასკვნაც: „ვნახოთ, როგორ შეიცვლება სიტუაცია უახლოეს მომავალში, ჯერჯერობით კი ერთი რამ ცხადია: თავისუფალი ბაზარი ვერ არეგულირებს ისეთ გლობალურ პრობლემას, როგორც ეკონომიკური უთანასწორობაა. სწორედ ამიტომაც, დღესდღეობით ყველა ევროპულ ქვეყანაში მემარცხენე იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ძალების რეიტინგი უსწრაფესად იზრდება”[316] .

სოციალურმა უთანასწორობამ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ბოლო 30 წლისთვის რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ამის შესახებ ნათქვამია OECD-ის ახალ კვლევაში, სადაც წერია, რომ დღეს, ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი მოქალაქეების 10 პროცენტის შემოსავლები თითქმის 10-ჯერ მეტია ნაკლებად უზრუნველყოფილი მოქალაქეების 10 პროცენტზე. ამ ორ სოციალურ ჯგუფს შორის ყველაზე დიდი განხეთქილება დაფიქსირდა ჩილეში, მექსიკაში, თურქეთში, აშშ-ში, ისრაელში და ყველაზე დაბალი განსხვავება კი – დანიაში, სლოვენიაში, სლოვაკეთში და ნორვეგიაში.

OECD-is ანგარიშში მითითებულია ასევე, რომ ასეთი მკვეთრი სოციალური უთანასწორობა უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე. სპეციალისტები თვლიან, რომ ამ მოვლენამ ბოლო სამ ათწლეულში მექსიკასა და ახალ ზელანდიაში მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტზე მეტად შემცირება გამოიწვია, 9 პროცენტით – დიდ ბრიტანეთსა და ფინეთში, ხოლო 7 პროცენტით აშშ-სა და იტალიაში. ამასთან, შედარებით ნაკლებმა განსხვავებამ შემოსავლებს შორის ხელი შეუწყო 1 სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდას ესპანეთში, საფრანგეთსა და ირლანდიაში[317].

კვლევამ აჩვენა, რომ სოციალურ უთანასწორობასთან ხელისუფლებების ბრძოლის ისეთმა მეთოდებმა, როგორებიცაა უფრო მდიდარი მოქალაქეებისთვის გადასახადების ზრდა და შემოსავლების გადანაწილების სხვადასხვა ფორმები, არ მოახდინა ნეგატიური გავლენა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე.

OECD-მა მოუწოდა მთავრობებს, გაატარონ სოციალური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეების 40 პროცენტის უზრუნველყოფის დონის გაზრდისკენ.

კვლევებით დასტურდება, რომ უფრო მდიდარი საშუალო კლასი ნიშნავს უფრო მეტ თანასწორობას შემოსავლებს შორის და უთანასწორობა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

მიუხედავად საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული მთელი რიგი რეფორმებისა, ეკონომიკური უთანასწორობის ზრდა აქტუალური რჩება დღესაც.

ეკონომიკური, ანუ შემოსავლის უთანასწორობის ზრდა, რასაკვირველია, არც ახალი და არც მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი ფენომენია - 1970-იანი წლების შემდეგ ეს საბაზრო ეკონომიკებისთვის ჩვეული ტენდენციაა. ერთი მოსაზრების მიხედვით, უთანასწორობა თავისუფალი ბაზრის სისტემის თვისებაა და ადამიანის მიერ მიღებული ანაზღაურება მისი შესაძლებლობების, მის მიერ გაწეული რისკისა და შრომის ადეკვატურია. მარტივად თუ ვიტყვით, რაც უფრო მეტს მუშაობს ადამიანი, მით მეტი ანაზღაურება აქვს, შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ყველა ადამიანი თანასწორი ვერ იქნება ეკონომიკურად. სრული თანასწორობა, ცხადია, კლავს მოტივაციას. ამის ეკონომიკური შედეგები პოსტსაბჭოთა საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი.

თუმცა, მეორე მხრივ, ამ სისტემის ხარვეზად მიიჩნევენ იმას, რომ ზოგ ადამიანს, ვინც წარმატებას აღწევს, დიდი თანხა აქვს, ხოლო სხვებს, რომლებიც წარუმატებლები არიან, პირველადი მოხმარების პროდუქტის ყიდვაც არ შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში გვყავს საზოგადოება, რომელიც ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის ექსპლუატაციას ანდა რესურსების არათანაბარ ხელმისაწვდომობას ემყარება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 430 ათასი ადამიანი (დაახლოებით 10 პროცენტი) ღატაკია, ანუ 430 ათასი იმ კატეგორიაშია, რომელიც საარსებო შემწეობას იღებს და რომელთა სოციალური დონე 57 ათას ქულამდე ფასდება. 58 ათასქულიანი ოჯახი უკვე ღარიბად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ღატაკის სოციალური მდგომარეობა ღარიბის სტატუსიანისგან არაფრით განსხვავდება.

რაც შეეხება მდიდრებს, აქ ოფიციალური სტატისტიკა, თუ რამდენი ადამიანია ქვეყანაში მდიდარი, არ არსებობს. ცნობილია, რომ მდიდარისა და ღარიბის შემოსავლის თანაფარდობით ჩვენ

[315] საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam-ის ანგარიში, ვებგვერდი Oxfam.com
[316] საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam-ის ანგარიში, ვებგვერდი Oxfam.com
[317] ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანგარიში. ვებგვერდი - OECD.com

არა მარტო მსოფლიოში, არამედ ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი გვიჭირავს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მდიდარი ფენის 5 პროცენტის ფულადი შემოსავალი ყველაზე ღარიბი ფენის 5 პროცენტის შემოსავალთან შედარებით 65-70-ჯერ მაღალია. საზოგადოების სოციალურ ფენებს შორის არსებული უთანასწორობის მაჩვენებლით კი საშუალო ევროპულ დონეს 2-ჯერ და მეტჯერ ვუსწრებთ.

აშშ-ში ღარიბად ითვლება ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 22 000 დოლარს. საშუალო ამერიკული ოჯახის წლიური შემოსავალი დაახლოებით 50 000 დოლარია. გარდა ამერიკისა, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში საშუალო ფენის განმსაზღვრელად გარკვეული სტანდარტები არსებობს. ამ კატეგორიას განეკუთვნება ის ადამიანი, რომელსაც საბანკო ანგარიშზე აქვს 18 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობის თანხა, ჰყავს მანქანა, აქვს აგარაკი და კვირაში ერთხელ ოჯახთან ერთად რესტორანში საუზმობს ან ვახშმობს.

ქართულ რეალობაში იმისათვის, რომ საშუალო ფენას განეკუთვნებოდე, სულ მინიმუმ საბანკო ანგარიშზე 2 939 ლარი უნდა გქონდეს (საარსებო მინიმუმი ჩვენთან 163,3 ლარია, 18 თვის ოდენობა კი ზუსტად 2 939,4 ლარი). რაც შეეხება სხვა კომპონენტებს, როგორიცაა აგარაკი, მანქანა და ა.შ. ესეც ქართველების საკმაოდ დიდ ნაწილს არ აქვს, შესაბამისად, ისინი, რა თქმა უნდა, საშუალო ფენას (საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით) არ განეკუთვნებიან.

განვითარებულ ქვეყნებში მდიდრების რაოდენობა მეტია, ვიდრე ჩვენთან, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, იქ საშუალო ფენაც პროცენტულად ძალიან მაღალია. განვითარებულ ქვეყნებში საშუალო ფენა მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 60-70 პროცენტს შეადგენს. სწორედ ეს საშუალო ფენა განსაზღვრავს ქვეყნის სიმდიდრის მაჩვენებელს. რაც უფრო დიდია პროცენტულად საშუალო ფენა, მით უფრო მდიდარია ქვეყანა და კმაყოფილია ხალხიც. საქართველოში მდიდრები და შეძლებულები ერთად აღებული, დაახლოებით 10 პროცენტია, აქედან, 2-2,5 პროცენტი მდიდარია, დანარჩენი შეძლებული. საშუალო ფენაც ასევე 8-10 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ხოლო დანარჩენი 80 პროცენტის ცხოვრების სტანდარტი არ აკმაყოფილებს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ნორმას.

ბოლო წლებში მდიდარსა და ღარიბს შორის თანაფარდობა არათუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა. საქართველოში მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო ღარიბდებიან. ეს არის ტენდენცია, რომელიც ისევ გრძელდება. ამის მიზეზია ის, რომ საქართველოში დღემდე საშუალო ფენა ვერ წარმოიქმნა, რომელიც ძალიან მდიდრებსა და ძალიან ღარიბებს შორის ზღვარს შეასუსტებდა. სამწუხაროდ, ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა ისე არის მოწყობილი, რომ ის არ აძლევს საშუალებას ხელმოკლე ადამიანებს, დასაქმდნენ ბიზნესით, საქმეს მოჰკიდონ ხელი და შედარებით გაიუმჯობესონ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც საჯარო სამსახურს აფარებს თავს, სადაც ხელფასი ქვედა რგოლებში არც ისე მაღალია. მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის შესაძლებლობა კი ჯერჯერობით ისევ არ ჩანს. რაც შეეხება მდიდრებს, ისინი გამდიდრებულები არიან იმიტომ, რომ ქვეყნის ეკონომიკური სექტორები მონოპოლიური და ოლიგოპოლიურია. ვისაც მონოპოლიური და ოლიგოპოლიური მდგომარეობა უკავია, ის პიროვნებები ისევ მდიდრდებიან. სამწუხაროდ, ამას ჯერჯერობით ვერ უშველა ვერც კანონმა კონკურენციის შესახებ, ვერც ხელისუფლების მიერ გადადგმულმა მეტ-ნაკლებად პოზიტიურმა ნაბიჯებმა.

მიუღებელია ქვეყანაში ეკონომიკა ვითარდებოდეს და სიღარიბე დაუძლეველ პრობლემად რჩებოდეს. ეს პარადოქსი მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ქვეყანაში სიმდიდრე და შემოსავლები მეტად არათანაბრადაა გადანაწილებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე ღარიბები უფრო ღარიბდებიან, მდიდრები კი, მონოპოლიურ-ოლიგოპოლიური ბიზნესის შედეგად, ისევ მდიდრდებიან. ეს ტენდენცია ვერ შეიცვლება საქართველოში, ვიდრე არ შეიცვლება ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა, სანამ არ შეიცვლება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა იაფ კრედიტებზე. ასევე არ შეიცვლება მოსახლეობის შემოსავლების დონე, რომელიც ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას უკან უნდა მისდევდეს. ჩემი აზრით, სანამ არ მივაღწევთ ეკონომიკის ოპტიმალურ მართვას, საქართველოში ყოველთვის იქნებიან მცირე რაოდენობით მდიდრები და ძალიან დიდი რაოდენობით ღარიბები.

ასეთი სხვაობის ფონზე ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა მდიდრებს და სიმდიდრეს, არამედ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ სიღარიბეს, ამიტომ სიმდიდრე არ უნდა იყოს სოციალური პროტესტის თემა, ეკონომიკური პოლიტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ ღარიბების რაოდენობა ქვეყანაში მიგრაციით ან სიკვდილიანობით კი არ შემცირდეს, არამედ გაუმჯობესდეს სიტუაცია და ისინი თანდათანობით გადავიდნენ სხვა ეკონომიკურ კატეგორიაში.

ეკონომიკური უთანასწორობა თავის მხრივ იწვევს სოციალურ უთანასწორობას, რომელიც ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობის რისკების შემცველი და ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის გასაზომად რამდენიმე ინდიკატორს იყენებს: პირველია მედიანური მოხმარების, ანუ ქვეყანაში ერთი ადამიანის საშუალო ყოველთვიური მოხმარების, 60 და 40 პროცენტზე ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი; ასევე კრიტერიუმებია სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახ-

ლეობის პროცენტული რაოდენობა და ჯინის კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც უთანასწორობა 0-დან 1-მდე იზომება და, ხშირად, პროცენტის სახით, 0-დან 100 პროცენტამდე გამოიხატება. ყველაზე უთანასწოროდ მიიჩნევენ საზოგადოებას, სადაც კოეფიციენტი ერთის ტოლია და ყველაზე თანასწორად კი - სადაც 0-ის ტოლი. რეალურად, ინდიკატორი ყოველთვის 0-სა და 1-ს შორისაა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო ცხრა წლის მონაცემების მიხედვით ჯინის ინდექსი საქართველოში შემდეგია (ცხრილი 1):

ჯინის კოეფიციენტი საქართველოში[318]

	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2006	0.45	0.53	0.47	0.40	0.47	0.42
2007	0.46	0.53	0.47	0.41	0.48	0.43
2008	0.45	0.53	0.47	0.41	0.49	0.44
2009	0.46	0.53	0.48	0.42	0.49	0.44
2010	0.46	0.52	0.48	0.43	0.50	0.46
2011	0.46	0.52	0.48	0.42	0.50	0.46
2012	0.43	0.49	0.46	0.41	0.49	0.45
2013	0.42	0.46	0.43	0.40	0.47	0.44
2014	0.41	0.46	0.43	0.40	0.48	0.45

ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რომელთა თავდაპირველი უთანასწორობის მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო, ცხადია, შემოსავლის თანასწორობის დაღმავალი ტენდენცია შეინიშნება. დამახასიათებელია მცირერიცხოვანი საშუალო კლასი, მაღალი უმუშევრობა. 2014 წელს საქართველოს ჯინის კოეფიციენტი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით 40 პროცენტს უდრის, სკანდინავიის ქვეყნებში ეს ინდიკატორი 25 პროცენტია, აფრიკის კონტინენტს შედარებით მაღალი ინდიკატორი აქვს (დაახლოებით 70 პროცენტი). თვით რეგიონშიც კი, რომელშიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინდიკატორები შედარებით მაღალია, საქართველოს კოეფიციენტი მაინც ზოგიერთი მისი მეზობლისას აჭარბებს: მაგალითად, სომხეთის ჯინის კოეფიციენტი 30,2 პროცენტს შეადგენს. ამავე დროს, საქართველოს ჯინის კოეფიცინეტი რუსეთის (43.7) და თურქეთის (41.2) კოეფიციენტებზე ნაკლებია.

ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად მთავრობები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ. მაგალითად, პროგრესული დაბეგვრა - ღარიბებთან შედარებით, მდიდრების პროპორციულად მეტად დაბეგვრა; დაუბეგრავი მინიმუმი; მინიმალური ხელფასის დაწესება ყველაზე ღარიბი მშრომელების შემოსავლის გასაზრდელად და სხვა. თუმცა, ცხადია, ამ ზომებსაც აქვს თავისი უკუშედეგები - მათ შორის, ისინი, შესაძლოა, ზოგადად ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის შემაფერხებელიც კი გახდეს.

სწორედ ამიტომ, რა კომბინაციაც არ უნდა აირჩიოს მთავრობამ, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მიზეზთან ბრძოლა ყოველთვის უფრო ეფექტიანია ვიდრე სხვადასხვა სუბსიდიების გზით შედეგების შემსუბუქება.

საქართველოში მძიმე სოციალური მდგომარეობის შესახებ ჯინის კოეფიციენტიც მიუთითებს. კერძოდ, მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით, ჯინის კოეფიციენტი 48 პროცენტია. როდესაც ჯინის კოეფიციენტი 40 პროცენტზე მაღალია, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენციაცია დიდია.

ზოგადად, აღნიშნული პრობლემის მოგვარების ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: 1) იმ ფაქტორების შეცვლა, რომლებიც არსებულ განაწილებას იწვევს და 2) არსებული შედეგების კომპენსირება. საქართველოში, როგორც რეალობაში, ისე პოლიტიკოსთა პროგრამებში, ძირითადად მეორე მიდგომა, ანუ კომპენსაციების დარიგება და კომპენსირება ჭარბობს, რაც მომავლისთვის, რესურსების შეზღუდულობიდან გამომდინარე, გაუმართლებლად მიმაჩნია.

არსებობს სხვა ეკონომიკური სტრატეგიაც, რომლის გამოყენებაც შეიძლება უთანაბრობის შესამცირებლად, კერძოდ, ეს არის პროგრესული დაბეგვრა - ღარიბებთან შედარებით მდიდრების პროპორციულად მეტად დაბეგვრა საზოგადოებაში არსებული შემოსავლის უთანასწორობის შესამცირებლად და მინიმალური ხელფასის დაწესება ყველაზე ღარიბი მშრომელების შემოსავლის გასაზრდელად.

[318] სტატისტიკის ეროვნული სამსახურის. ვებგვერდი - geostat.ge

თუმცა, ცხადია, ამ ზომებსაც აქვს თავისი უკუშედეგები, მათ შორის ისინი შესაძლოა ზოგადად ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის შემაფერხებელიც კი გახდეს.

ამრიგად, ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- ზრდადი ეკონომიკური უთანასწორობა მეტისმეტად სახიფათოა და ის გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე, ასევე ეკონომიკური ზრდის ტემპებზე;
- მთავარი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა და ინსტიტუტების ამოქმედებაა, რათა, კონკურენტული გარემოს შენარჩუნების გზით, მოიძებნოს ბალანსი შემოსავლის თანაბრად განაწილების საჭიროებასა და ეკონომიკის სტიმულირების საჭიროებას შორის;
- საჭიროა მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების (ეკონომიკურ ზრდასთან ერთად) უზრუნველყოფა;
- საკუთრებით ურთიერთობათა იმგვარი ტრანსფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა შესუსტდეს სოციალური დაძაბულობა და კომერციული დატვირთვა სოციალურ სფეროზე, რაც ყველა ქვეყანაში ხორციელდება სტრუქტურულ და ინსტიტუციურ გარდაქმნათა ჩარჩოებში;
- უნდა მოხდეს საბიუჯეტო პრიორიტეტების გადახედვა. კერძოდ, კიდევ უფრო გაიზარდოს განათლების, სოფლის მეურნეობისა და ინოვაციური პროგრამების დაფინანსება:
- ხელისუფლებამ: ა) უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, რომ ადამიანებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენის შესაძლებლობა მიეცეთ; ბ) უნდა იმუშაოს ინვესტიციების მოზიდვაზე, წარმოებაზე და იმ სფეროების განვითარებაზე, რამაც შეიძლება ექსპორტი გაზარდოს;
- ეკონომიკური ზრდის მიღწევა უმეტესად უნდა ხდებოდეს არა სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრით, არამედ სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფით უნდა ხდებოდეს სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა.

დასასრულ, ჩამოთვლილი მიდგომებით და კიდევ სხვა მიმართულებებით ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე იქნეს მიღწეული სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რათა განვითარებით მიღებული სიკეთე თვალსაჩინო და ხელშესახები გახდეს მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam-ის ანგარიში (ვებგვერდი: Oxfam.com);
2. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანგარიში (ვებგვერდი: oecd.com).
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი: გეოსტატ.გე.
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითრების სტრატეგიის პროექტი საქართველო 2020 (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი: economy.ge).

Zurab Tsereteli

INFLUENCE OF ECONOMIC INEQUALITY ON STABILITY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY AND ON THE ECONOMIC GROWTH OF PROSPECTS

Annotation

The growing economic and social inequality is too dangerous; it contains risks of unstable development of the country and delay of economic growth.

For removal of economic and social inequality, we have to fight not against richness, we have to fight against poverty therefore the wealth should not be a subject of a social protest, the economic policy has to be such that the quantity of poor people decreased not by means of migration or mortality, but by the situation (achievement of high economic growth for the long period) and improvement of their pass gradually into other economic category.

ბორის ჭიჭინაძე

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ფაქტობრივად წარმოუდგენელია ადგილობრივ თვითმმართველობებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გარეშე. მაინც რაში გამოიხატება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება – ეს ძირითადად მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობებში მცხოვრები პირების ეკონომიკური პირობების უკეთესობისკენ შეცვლას. გაუმჯობესება მიიღწევა იმ შემთხვევაში როცა გაიზრდება მოქალაქეთა დასაქმების დონე, შემცირდება უმუშევრობა, გაიზრდება ინვესტიციების რაოდენობა, აღორძინდება მწარმოებითი სექტორი, ადგილებზე შეიქმნება ექსპორტისთვის განკუთვნილი კონკურენტუნარიანი პროდუქცია, გაუმჯობესდება მოქალაქეთა კომუნალუ-

რი, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული მომსახურების დონე, თანამედროვე ევროპულ დონეს მიუახლოვდება მოქალაქეთა უზრუნველყოფა ჯანმრთელობის სფეროში, გაუმჯობესდება ადგილობრივი ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა გამართული და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული კანონების მიღება, რაშიც თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის 101^2-ე მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებანი გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები და უფლებამოსილებანი დგინდება ორგანული კანონით.

აღნიშნული მუხლის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დასაშვებია საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, რომელთა ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება კანონით.

იმავე კონსტიტუციის 101^3-ე მუხლის მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები. თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღბული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. სახელმწიფო ზედამხედველობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვანი განხორციელება. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება მისი მიზნების პროპორციულად.

როგორც ვხედავთ, საქართველოში მოქმედ ძირითად კანონში – კონსტიტუციაში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითად პრინციპებს და უფლებამოსილებებს, ის დგინდება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით.

საქართველოში დღეს მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში.

ამავე კანონის მიხედვით მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებები იგივე ექსკლუზიური უფლებამოსილებებია. საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ცენტრალური ხელისუფლებიდან იღებენ გათანაბრებით ტრანსფერს. ხოლო დელეგირებული უფლება-მოსილებების განსახორციელებლად – მიზნობრივ ტრანსფერს.

მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალი მოცემულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლში.

საკუთარი უფლებამოსილებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ ძირითადი უფლებამოსილებები, როგორიცაა:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლის და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა კანონით დადგენილი წესით;
2. მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;
3. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება;
4. გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
5. გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;
6. სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
7. ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

8. უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;

9. წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალანირების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება.

აქ მოვიყვანე მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების ის ნაწილი, რომელთა უმრავლესობა თითქმის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია ადგილობრივი საკუთარი ფინანსების უკმარისობით და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების არაოპერატიულობით. ზემოაღნიშნული საკითხების მოუგვარებლობა კი ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, გარდა ზემოაღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებებისა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლის მე-4 ნაწილით უფლება აქვს, განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნით.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივ თვითმმართველობებს, კანონით გათვალისწინებული საკუთარი უფლებამოსილებების გარდა, უფლება აქვთ, განახორციელონ ზემოაღნიშნული ღონისძიებებიც, მაგრამ პრაქტიკაში მდგომარეობა სულ სხვაგვარადაა, ადგილობრივი თვითმმართველობები ხშირ შემთხვევაში არათუ დამატებით, არამედ მათ ექსკლუზიურ უფლებამოსილებებსაც ვერ ახორციელებენ. ეს ძირითადად გამოწვეულია ადგილობრივი ფინანსური რესურსების სიმცირით, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობებს გააჩნიათ საკუთარი უფლებამოსილებები და მათ უზრუნველსაყოფად ცენტრალური ბიუჯეტიდან ეძლევათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ეს ვერ უზრუნველყოფს თვითმმართველობების წინაშე მდგარი საკითხების დროულ და ეფექტურ გადაწყვეტას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს თვითმმართველობებისათვის გადასაცემი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა, რომელიც დადგენილია ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანებით (გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე).

აღნიშნული ბრძანებით თვითმმართველობებისათვის გადასაცემი ტრანსფერი გაინგარიშება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დამტკიცებული ფორმულის მიხედვით, ეს ფორმულაა T=E-R, T არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერი, E – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი, R – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაინაგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლის ტენდენციის მიხედვით.

2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასაცემი ტრანსფერის ოდენობა მოცემულია №1 ცხრილში.

ცხრილი 1

№	დასახელება	სულ ტრანსფერი	მათ შორის გათანაბრებითი	მათ შორის მიზნობრივი	მათ შორის სპეციალური	შენიშვნა
1	ავტონომ. რესპუბლიკა თვითმმართ. ერთეულები	854,800.0	834,233.0	11,567.0	9,000.0 აფხაზეთის ავტონომ. რესპუბლიკის	

მეტად საინტერესო სურათს მივიღებთ თუ გავაანალიზებთ კონკრეტული თვითმმართველობებისათვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობებს, მათ შორის თბილისისთვის გათვალისწინებული ტრანსფერის ჩათვლით. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანეთ თითოეული რეგიონიდან ერთი მუნიციპალიტეტის ინფორმაცია. მონაცემები მოცემულია მე-2 ცხრილში

ცხრილი 2

№	მუნიციპალიტეტები	სულ 2015 წელს გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერი	მოსახლეობის რაოდენობა 01.01.2015 წლისთვის	ტრანსფერის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2015 წელს (ლარებში)	შენიშვნა
1	თბილისის	**3.** 412,282.2	**4.** 1 118 000	**5.** 368.80	

2	გურჯაანის	**6.** 6,985.4	**7.** 54 100	**8.** 129.10	
3	ზესტაფონის	**9.** 6,549.5	**10.** 57 600	**11.** 113.70	
4	მარტვილის	**12.** 5,322.5	**13.** 33 400	**14.** 159.40	
5	ქარელის	**15.** 6,177.0	**16.** 41 300	**17.** 149.60	
6	გარდაბნის	**18.** 3,741.4	**19.** 82 200	**20.** 45.50	
7	ლანჩხუთის	**21.** 5,881.1	**22.** 31 400	**23.** 187.30	
8	ახალქალაქის	**24.** 6,332.7	**25.** 44 900	**26.** 141	
9	ცაგერის	**27.** 4,081.8	**28.** 10 300	**29.** 396.30	
10	ყაზბეგის	**30.** 718.1	**31.** 3 700	**32.** 194.10	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთ სულ მოსახლეზე თბილისში 2015 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა შეადგენს 369 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში ერთ სულ მოსახლეზე გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა საშუალოდ 170 ლარია. მიუხედავად იმისა, რომ გათანაბრებითი ტრანსფერის გარდა, ადგილობრივ თვითმმართველობებს გააჩნიათ ქონების გადასახადებიდან და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლები, ისინი საკუთარი ფინანსური რესურსების სიმცირეს განიცდიან. საქართველოს თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლების დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლები გადასახადების და მოსაკრებლების ჩათვლით (გათანაბრებითი ტრანსფერის გარეშე) შეადგენს თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 20 %-ს, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია (საშუალო ევროპული მაჩვენებელი შეადგენს 35–40 %-ს), გამომდინარე აქედან დაბალია თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის ხარისხი, რაც თვითმმართველობების ცენტრსა და გუბერნიაზე დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად ზრდის. შექმნილი მდგომარეობა კი საფრთხის ქვეშ აყენებს კანონმდებლობით აღიარებული თვითმმართველობების ბიუჯეტების დამოუკიდებლობას. ამ მიმართულებით საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის გაზრდის კუთხით, რაც პირველ ეტაპზე საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან (ამ ეტაპისათვის 30%–ის ოდენობით) გარკვეული ანარიცხების თვითმმართველობების ბიუჯეტებში ჩარიცხვაში უნდა გამოიხატოს.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია, თვითმმართველობებმა შეადგინონ თავისი ტერიტორიების სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები. წლების განმავლობაში ამ გეგმების შედგენა პრობლემებთან იყო დაკავშირებული, რაც ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ თვითმმართველობებში არჩევნების გზით მოსული ყოველი ახალი მთავრობა არ აგრძელებდა მისი წინამორბედის მიერ დაწყებულ საქმეებს და ახალ ხედვებს აყალიბებდა, რაც, მთლიანობაში, სტრატეგიული გეგმების შედგენა-დამტკიცებას აფერხებდა. საჭიროა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რადგან თუ არ იქნება თვითმმართველობების სტრატეგიული გეგმები და არ გაიზრდება თვითმმართველობებს შორის კონკურენტუნარიანობის ხარისხი, მაშინ აზრს დაკარგავს თვითმმართველობის ცნებაც, ეს კი საქართველოს ავტორიტეტს პარტნიორი ევროპული ქვეყნების თვალში მნიშვნელოვნად შეასუსტებს. ამ მიმართულებით უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ცენტრალურ ხელისუფლებას, ამას გვავალდებულებს ასევე ევროპასთან ხელმოწერილი „ასოცირების ხელშეკრულებაც“.

ამჟამად მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ.“ ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას და განხორციელებას.

თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ამ ეტაპისათვის ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეადგინონ სტრატეგიული განვითარების გეგმები.

სტრატეგიული გეგმა უნდა შედგებოდეს შემდეგი ინდიკატორებისგან:

1. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება: ა. მოსახლეობის სტრუქტურა; ბ. მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებელი.

2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ბაზა: ა. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა; ბ. დასაქმება; გ. მცირე და საშუალო ბიზნესი; დ. საინვესტიციო საქმიანობა; ე. საშუამავლო საქმიანობა.

3. მუნიციპალური ფინანსები, არასაცხოვრებელი ფონდები და მიწათსარგებლობა: ა. მუნიციპალური ბიუჯეტი; ბ. მუნიციპალური არასაცხოვრებელი უძრავ-მოძრავი ქონება და მიწათსარგებლობა; გ. მოზიდული გრანტები.

4. მომსახურების სფერო და საქალაქო მეურნეობა: ა. საცხოვრებელი და მისი ხელმისაწვდომობა; ბ. საცხოვრებლის კომუნალური მომსახურება; გ. სატრანსპორტო მომსახურება. დ. კავშირგაბმულობის მომსახურება; ე. კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურება; ვ. სოციალური

დაცვა; ზ. ჯანდაცვა; თ. განათლება; ი. წესრიგის დაცვა; კ. ეკოლოგია; ლ. ვაჭრობა; მ. კეთილმოწყობა; ნ. საკონსულტაციო მომსახურება; ო. გადამზადების ცენტრები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული გეგმის შედგენას გააჩნია თავისი ეტაპები და საფეხურები.

პირველი ეტაპი მოიცავს სტრატეგიული გეგმის კონცეფციის დამუშავებას, რომელსაც სჭირდება 2–5 თვე. აღნიშნულ პერიოდში საჭიროა მუნიციპალიტეტების რესურსული პოტენციალის განსაზღვრა, პროგნოზების შედგენა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს დემოგრაფიას, სიცოცხლის დონეს და ქალაქის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას. ასევე ქალაქის განვითარების კონცეფციის ფორმირებას და შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრას.

მეორე ეტაპი მოიცავს სტრატეგიული გეგმის შედგენას, რომელსაც სჭირდება 6–7 თვე. აღნიშნულ პერიოდში უნდა დამუშავდეს სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამები. უნდა განისაზღვროს საჭირო თანხების და მოსაზიდი ფულადი რესურსების სტრუქტურა. უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმის გრაფიკი, შემდეგ უნდა მოხდეს ამ ატრატეგიული გეგმის განხილვა და საკრებულოებში დამტკიცება.

მესამე ეტაპი მოიცავს სტრატეგიული გეგმის რეალიზაციას და მონიტორინგს. ამ პერიოდში ხდება დასახული გეგმების შესრულების მონიტორინგი, თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდული შესწავლა და მიღებული შედეგების დასახულ მიზნებთან შედარება.

ჩემი აზრით, ამ ეტაპზე, თვითმმართველობების დონეზე, საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1) თვითმმართველობების საშემოსავლო ბაზის გაძლიერების მიზნით, კანონით მკაცრად უნდა განისაზღვროს სახელმწიფო გადასახადებიდან (ამ ეტაპისათვის მოგების და საშემოსავლო გადასახადებიდან) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში ჩასარიცხი პროცენტული ანარიცხების ოდენობები;

2) ამ ეტაპზე, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება თვითმმართველობის მოქმედ კანონში, რათა მნიშვნელოვნად გაიმიჯნოს ცენტრისა და თვითმმართველობების კომპეტენციები, ასევე დასახვეწია თვითმმართველობებისათვის გადასარიცხი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა, რათა თვითმმართველობებმა მიიღონ ტრანსფერის ის ოდენობა, რომელიც მათ ეკუთვნით;

3) დასახვეწია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კანონით შეღავათები უნდა დაუწესდეთ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც განათავსებენ კაპიტალს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, აღნიშნული მიდგომა მათთვის ერთგვარი სტიმული იქნება;

4) ადგილობრივი თვითმმართველობების სტრატეგიული გეგმების შედგენის უზრუნველსაყოფად საჭიროა შედგეს ქალაქების პასპორტები, სადაც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური შესაძლებლობების, ეკოლოგიური მდგომარეობის, ადამიანური და ბუნებრივი კაპიტალის შესახებ;

5) აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციების გაზრდა მოსახლეობის დასაქმების და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. საჭიროა ადგილობრივი გადამზადების ცენტრების და პროფესიული სასწავლებლების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმება და დასაქმებული პირების სისტემატური გადამზადება, ამისათვის კი საჭიროა ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოახდინოს მუნიციპალიტეტების შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა;

6) მუნიციპალიტეტებში სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების სრულყოფის მიზნით, საჭიროა, შეიქმნას ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურები, რადგანაც ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ვერ ფლობს ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსებული ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების, ასევე არსებული საწარმოების და მათ ბალანსზე რიცხული ქონების შესახებ, მაშინ როდესაც ამ საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონება წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების ქონების გადასახადის ძირითად წყაროს. სწორედ მუნიციპალური სტატისტიკური სამსახურები უნდა აწვდიდეს თვითმმართველობებს სწორ და უტყუარ ინფორმაციას თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ინდიკატორების შესახებ. აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციები შემდეგ აისახება შესაბამისი თვითმმართველობების მიერ დამტკიცებულ პროგრამულ ბიუჯეტებში.

7) სისტემატურად მოხდეს თვითმმართველობებში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის დონის ამაღლება. საჭიროა აღინიშნოს, რომ წინა წლებში ამ მიმართულებით თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან ფაქტობრივად ერთი ლარი არ დახარჯულა.

8) თვითმმართველობების მიერ მოხდეს უცხოეთის დამეგობრებული ქალაქების გამოცდილების გაზიარება იქ არსებული ტექნოლოგიური მიღწევების ჩვენთან დანერგვის მიმართულებით. საჭიროების შემთხვევაში შეიქმნას ერთობლივი საწარმოები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ხარისხს. დღეისათვის ამ მიმართულებით თვითმმართველობებში არსებული მდგომარეობა მეტად სავალალოა და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

9) თვითმმართველობებმა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი ინვესტიციების მოზიდვას.

10) თვითმმართველობებმა შეადგინონ შესაბამისი ტურისტული რუკები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თვითმმართველობების ცნობადობას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას.

Boris Chichinadze

THE DEVELOPMENT PROBLEMS OF SELF-GOVERNMENT INSTITUTIONS IN GEORGIA AND FUTURE PERSPECTIVES

Annotation

Despite of the reforms passed during the last 20 years in Georgia additional reforms are needed for the future development of self-government institutions. The government has a lot to do to solve social-economical problems and improve situation in this regard.

დავით ხაჟომია

ეკონომიკური პოლიტიკა რეგიონებში, პრობლემების გადაჭრა ლოგისტიკური მიდგომით

საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში ლოგისტიკური მართვის განხორციელება გვთავაზობს მკაფიო, გარკვეულ სტრუქტურას და აღწერს ნაკადების ლოგისტიკური მართვის სისტემას. თანამედროვე პრაქტიკაში გამოიკვეთა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მართვის ორი ალტერნატიული მიდგომა: ცენტრალიზებული რეგიონული პოლიტიკა და ბაზრზე ორიენტირებული რეგიონული პოლიტიკა.

ცენტრალიზებული რეგიონული მართვის სქემა



ბაზარზე ორიენტირებული რეგიონების ლოგისტიკური მართვის სისტემა



ნახაზი 1. რეგიონული მართვის ორი ალტერნატიული სქემა

ცენტრალიზებული რეგიონული პოლიტიკისთვის დამახასიათებელია შემდეგი: ცენტრალიზებული მმართველობა (დირექტიული მმართველობა), როდესაც რეგიონებზე დირექტიული მეთოდებით მმართველობა ცენტრთან დაკავშირებულია პოლიტიკური ან ეკონომიკური ნორმატივებით;

პასუხისმგებლობის, ფინანსების ცენტრალიზებული განაწილება, სუსტი შიდა ინტეგრაცია; ეკონომიკური სტაგნაცია (ერთ წერტილზე გაყინვა), სამუშაო კრიზისი და კრიტიკული მდგომარეობა წარმოებაში, რაც დირექტიული მეთოდებით მართვის შედეგია; რეგიონების ეკონომიკური მფარველობა, დახმარებები, ჩაკეტილობა და იზოლაცია;

ბაზარზე ორიენტირებული რეგიონული პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ახალი ურთიერთობები „ცენტრი-რეგიონი“: რეგიონული ავტონომია, ფინანსური წესრიგი, რეგიონული მეურნეობის რენტაბელობა, ინფორმაციული და ინოვაციური სტიმულირება, მცირე და საშუალო საწარმოების ზრდა რეგიონებში, განვითარების სტიმულირება, ინოვაციებისკენ სწრაფვა, საერთაშორისო გახსნილობა და კონკურენტუნარიანობა.

რეგიონებში პრობლემების გადაჭრა მართვის ლოგისტიკური მიდგომით გულისხმობს, გაკეთდეს არსებული სიტუაციის ანალიზი, მოხდეს პრობლემების ინიცირება, რისთვისაც აუცილებელია შესწავლილ იქნეს შემდეგი: რეგიონის განვითარების პოტენციური შესაძლებლობები, ეკონომიკური მდგომარეობა, სექტორული განვითარების მიმართულებები, განვითარებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორები და პირობები, ბუნებისთვის საშიში ტენდენციები, მატერიალური, სამუშაო ძალის და ინფორმაციული ნაკადების მოძრაობის მიმართულებები; ამასთან, ამოცანების სწორად დასმა პრობლემების გადასაწყვეტად და სახელმწიფო რეგულირების მეთოდების შერჩევა. მაგალითისთვის: არსებული პოლიტიკით რეგიონებში მოქმედებს სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა (აგროსექტორული წარმოების სუბსიდირება). ამ სქემით პრობლემური ამოცანების გადაჭრა რეგიონებში ხდება სახელმწიფო რეგულირების სისტემის ფარგლებში (ეს პრობლემის დროებით განეიტრალებაა და არა გადაჭრა), ამიტომაც, ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას სპეციალური სამსახურები მონიტორინგის, საგადასახადო და საინვესტიციო სისტემის უფრო ეფექტიანი მუშაობისთვის.

რეგიონების განვითარებაზე მოქმედი პრობლემები შესაძლებელია დავყოთ სხვადასხვა ჯგუფად:

- მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები;
- მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პრობლემები;
- მნიშვნელოვანი ეთნიკური პრობლემები;
- მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემები;

მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემების საწყისი არის „ტრადიციული წარმოება“ და რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფო რეგულირება ხდება პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერით. „დეპრესიულ“ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის (მზარდი პოტენციალის მქონე სექტორების) რეგულირება სდება ახალი მიზნობრივი პროგრამებით და სხვა დამხმარე საშუალებების მეშვეობით. ყოველ პრობლემურ რეგიონში საჭიროა სპეციალური საკანონმდებლო სისტემის შექმნა რესურსების მოხმარებასა და ინვესტიციაზე.

პარალელი წარსულთან, კერძოდ: „ტრადიციული წარმოების“ შედეგი იყო ეკონომიკური ჩამორჩენა, რომელიც ხასიათდებოდა მოსახლეობის ცხოვრებისა და ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით, რომლის შედეგიც იყო ერთ წერტილზე გაყინვა, ეკონომიკური სტაგნაცია. პრობლემების წარმოშობის მიზეზები იყო ეკონომიკური პოტენციალის უქონლობა ან/და გამოუყენებლობა, არსებული ვითარებიდან გამოსასვლელად საჭირო ამოცანას წარმოადგენდა დახმარება სახელმწიფოს მხრიდან, რაც პრობლემების აღმოსაფხვრელად არაეფექტიანი იყო და ამ მიდგომამ ეკონომიკა მიიყვანა „დეპრესიულ“ მდგომარეობამდე, რომელიც ხასიათდებოდა ეკონომიკური აქტიურობის ვარდნის ტენდენციებით. „შექმნილი სიტუაციიდან ამოსვლის მიზნით, როდესაც გამოიკვეთა ეკონომიკის არაეფექტურობა, სცადეს მისი „შეკეთება“, რასაც დადებითი შედეგები არ მოჰყოლია, ვინაიდან მიზეზები კომპლექსურად არ იყო გააზრებული“ [3]. ყოველივე ამის მიზეზი, ეკონომიკურთან ერთად, იყო პოლიტიკური და სხვა ფაქტორები. „ეკონომიკური კატასტროფის პირველი მსხვერპლიც გამოიკვეთა: მეცნიერება, განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, ეკოლოგია. ეს დარგები სულს ღაფავდა. სამეცნიერო დაწესებულებები უმოქმედოდ დარჩა, მეცნიერები მიმოიფანტნენ საარსებო საშუალებათა ძებნაში, მიმდინარეობდა მათი დისკვალიფიკაცია და გადაშენება, მთლიანად დაეცა განათლების დონე და კომპეტენტურობა, ერის ინტელექტუალური პოტენციალი შემცირდა, კვდებოდა წმიდათაწმიდა – მეცნიერება და განათლება. რიგი პროფესიისა გაქრა, მკვეთრად შემცირდა კვალიფიციური შრომის დასაქმების არეალი“ [2]. მიზეზები, რამაც წარმოშვა პრობლემები, შემდეგი იყო: თვითგანვითარების პოტენციალის გამოფიტვა და ახალი პირობებისადმი ადაპტირების შეუძლებლობა. ამიტომ ახალ პირობებში ფუნქციონირებისთვის პრობლემების გადაჭრის მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო არსებული ინფრასტრუქტურის აღდგენა და განახლება, ეკონომიკური ბაზრების და თვითგანვითარების პირობების შექმნა.

„ტრადიციული წარმოება“ ინდუსტრიულ და ინდუსტრიულ-აგრარულ სექტორში ჩამოყალიბდა კრიტიკული, თანამედროვე მოთხოვნებთან არაადაპტირებული, კონვერსიული სახით. „საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის დაწყებას გარკვეულწილად საფუძვლად დაედო ხელისუფლების მიერ მიღებული ეკონომიკური კანონები, საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები, მაგრამ სისტემური მიდგომების გარეშე ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილმა რეფორმამ მრავალი ახალი პრობლემა წარმოქმნა და ქვეყნის განვითარების ტრაექტორია შეცვალა. მთავარი იყო ის,

რომ ქვეყანაში ეკონომიკის კონვერსიასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების შესწავლა არ ხდებოდა სისტემური კვლევის მეთოდებით, ზოგადი კანონზომიერებისა და თავისებურებების ინტეგრირებულობის კუთხით“ [3]. რეფორმების საწყის ეტაპზე იყო მაღალი მაჩვენებლები, შემოსავლების ზრდა, შემდგომ კი მოხდა ჩამოშლა, ეკონომიკური მაჩვენებლების ვარდნა, კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნა. გარდამავალი პერიოდის რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმებმა შეძლო ადაპტირება, თუმცა ვერ შეინარჩუნა სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში, რადგან „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაგეგმვა ითვალისწინებდა პროდუქციის გამოშვების მოცულობის მეტ-ნაკლებ ზუსტ განსაზღვრას, რომელიც შემდეგ გეგმიური დავალებების სახით ნაწილდებოდა საწარმოო ერთეულებზე. ასეთმა დავალებებმა გამოავლინა თავისი უარყოფითი მხარეები. ვერ სრულდებოდა როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი გეგმები, მათი სხვაობა საშუალოდ 40-50%-ს აღწევდა“ [4]. ქვეყანაში ასეთი პრობლემური მახასიათებლების მიზეზი იყო საერთო ეკონომიკური კრიზისი, რომლის გადასაჭრელადაც საჭირო იყო ამოცანის შემდეგნაირად რეფორმირება: სტრუქტურული გარდაქმნა, დაგროვილი პოტენციალის ძირეული მოდერნიზება.

კონვერსიული მახასიათებელია ჭარბი წარმოება სამრეწველო კომპლექსში, რაც გამოწვეულია შიდა სამრეწველო კომპლექსში არსებული სპეციფიკით, საორგანიზაციო ფორმების ინერციულობით და ბაზრების დაკარგვით, რისთვისაც საჭირო იყო სფეროების გაფართოება ახალი ტექნოლოგიების მიღებით. იმპორტი და ექსპორტი მრავალი სახის წინააღმდეგობების წინაშე დადგა, რომელთაგან პირველს პრობლემები ახალმა გეოპოლიტიკურმა პირობებმა, ხოლო მეორეს დაბალმა კონკურენტუნარიანობამ შეუქმნა, რისთვისაც საჭირო იყო სტრუქტურული გარდაქმნა და ორიენტირება შიდა წარმოებაზე. ექსპორტზე ორიენტირებულობის პრობლემებს წარმოადგენდა საერთაშორისო ბაზრების მიუწვდომლობა, მათში შესვლის პირობები და ბარიერები. გამოსავალს პრობლემებიდან წარმოადგენდა საყრდენი ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

„პროგრამული განვითარების“ მახასიათებლის განმაზოგადებელია სახელმწიფო დანიშნულების რესურსები. რესურსების შემადგენლობა და ხასიათი, რესურსული პოტენციალის მაღალი დანიშნულება და წარმოების მოცულობა განსაზღვრავს რეგიონის წვლილს ქვეყნის ეკონომიკაში. პრობლემები მდგომარეობს ქვეყნის საჭიროებების დაკმაყოფილებაში. „ცენტრალიზებული მმართველობა ფაქტიურად უძლური იყო დაეცვა კვლავწარმოების პროცესებს შორის წონასწორობა, ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ პრაქტიკულად დაკარგა ეკონომიკის მართვის და მისი რეგულირების ფუნქცია. გამოიკვეთა დირექტიული დაგეგმვის უპერსპექტივობა და მისი საბაზრო ურთიერთობებით შეცვლის ობიექტური აუცილებლობა. რესურსების ცენტრალიზებული განაწილება, რომელიც დაფუძნებული იყო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემაზე, განაპირობებდა მომხმარებელთა თავისუფლების შეზღუდვას, მათ სრულ დამოკიდებულებას მწარმოებელზე“ [3]. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ახალი ეფექტიანი სარესურსო წყაროს წარმოებით ბრუნვაში ჩართვა.

იმისათვის, რომ არ განმეორდეს და არ აღმოვჩნდეთ იმავე მდგომარეობაში, საჭიროა ინოვაციური პროექტების წახალისება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ხელშეწყობა და ა.შ. ინოვაციური ნაკადების ოპტიმიზაციის პრობლემის გადაჭრა მოითხოვს კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებას ლოგისტიკის ძირეული გამოყენებით. რეგიონების ტერიტორიული განლაგება არაერთგვაროვანია როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ ასპექტში. შემადგენელი ინტერესები მათ ნაწილში (რაიონებში, ქალაქებში) არ ემთხვევა საერთო რეგიონულ ინტერესებს. ხშირად მეტ-ნაკლებად მიმზიდველად ითვლება სოციალურად უკეთესად მყოფი ადგილები, რადგან ისინი იძლევიან მეტ-ნაკლებად ეკონომიკურ უკუგებას. ადგილები, რომლებიც ინვესტიციური კუთხით არ არიან მიმზიდველნი, მოკლებულნი არიან განვითარების საშუალებას. მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში ინვესტირებამ ასეთ ადგილებში შეიძლება არ მოგვცეს სასურველი უკუგება როგორც ინვესტორის, ასევე რეგიონის დონეზე. ინვესტიციურად შეიძლება მომგებიანად ჩანდეს ტერიტორიების მეტი ფულადი საშუალებებით გაჯერება, თუმცა ეს შესაძლებელია აღმოჩნდეს მცდარი, რადგან დამატებითი ფულადი საშუალებების განთავსება იწვევს გამოყოფილი თანხების შემცირებულ უკუგებას [5].

ლოგისტიკური მეთოდების გამოყენებით რეგიონების შესახებ კომპლექსური ანალიზის სამუშაოები პრაქტიკულად არ ჩატარებულა. ჩვენს ქვეყანაში საკმარისად კარგადაა განვითარებული ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, რომელიც საშუალებას მოგვცემს, კომპლექსურად ავითვისოთ ტერიტორიები და მოვხსნათ მათთან დაკავშირებული ამოცანები. თუმცა ასეთი სამუშაოები ჩატარებული იყო აუთვისებელი ტერიტორიების ანალიზის თვალსაზრისით, გეგმური ეკონომიკის დროს.

ეკონომიკური თვალსაზრისით სხვადასხვა სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევებით საქართველო წარმოდგენილია განსხვავებული სახის მიმზიდველობის მქონე რეგიონად. „საქართველოში არსებული ბუნებრივი პირობები და სანედლეულო ბაზა, შრომითი რესურსები, სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა მრეწველობის განვითარებისათვის სათანადო პირობებს ქმნის“ [1]. ამავდროულად წარმოიშობა კითხვები, რის ხარჯზე, კერძოდ რომელი ტერიტორიებითაა გამოწვეული ეს მიმზიდველობა, წარმოადგენს კი ყველა შემადგენელი რეგიონი მიმზიდველს (ქალაქები, რაიონები და სხვ.), აკმაყოფილებს თუ არა მოსახლეობას ასეთი მიმზიდველობა, რა უნდა გაკეთდეს, რომ სხვადასხვა რეგიონების შესაძლებლობები თანაბრად გადანაწილდეს, რა

უნდა გაკეთდეს, რომ ეკონომიკურმა და საბიუჯეტო ეფექტიანობამ მოიმატოს რეგიონებში როგორც მთლიანობაში ასევე ცალკეულ მეურნეობრივ სუბიექტებზე. არსებულ კითხვაზე პასუხია ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა, გაბედული და თამამი ნაბიჯების გადადგმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ეკონომიკური რეფორმების და რეგიონული ბაზრების ფორმირების წლები მნიშვნელოვნად საინტერესოა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების თვალსაზრისით, რადგან იძლევა ინფორმაციულ მასალებს, გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ ფაქტები, თუმცა აქ არის ძნელად გადასალახი სირთულეები – ეს არის სრული ინფორმაციის, მისი ხარისხის, დამაჯერებლობის ხელმისაწვდომობა. მრავალი მაჩვენებლის მიხედვით, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისათვის საჭირო აღრიცხვა არ მიმდინარეობს. ღირებულებითი მაჩვენებლების გამოანგარიშება არაპროგნოზირებადი ინფლაციის პირობებში შესამჩნევად მახინჯდება. გამოთვლები ევროს ან დოლარის მიმართებით არ იძლევა საჭირო შედეგს, ამიტომაც, აქ მთავარია სისტემური მექანიზმის ნაკრების შემუშავება, ინფორმაციის შენახვა და მსვლელობა, ინფორმაციულ პროცესთა ნაკრების ერთობლიობა, მათი ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზი.

ასეთი ანალიზი უნდა გახდეს მაკროლოგისტიკური სისტემის საბიუჯეტო ეფექტიანობის ანალიზის ნაწილი, ამიტომაც ნებისმიერი მაკროლოგისტიკური სისტემა შეიძლება დავახასიათოთ საბიუჯეტო ეფექტიანობის მაჩვენებლებით, რომელიც დაეფუძნება ტერიტორიული ანალიზის გაკეთებას შემდეგი მიმართულებით:

– საბიუჯეტო ეფექტიანობის დონე;

– კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის დონე;

– შრომის ეფექტიანობის დონე;

– ტერიტორიებზე სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის დონე და ფუნქციონირების მაჩვენებლები, რომლებშიც ჩართულია მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიცაა ეკონომიკური უკუგება ტერიტორიებიდან, ცხოვრების დონე ამ ტერიტორიებზე, ტერიტორიების ათვისების დონე და სხვ.

მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პრობლემებია სასაზღვრო, რომლის რეგულირებაც უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ორგანოების სპეციალური გადაწყვეტილებებით.

მნიშვნელოვან ეთნიკურ პრობლემებს წარმოადგენს კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე ნაციონალურ დიასპორებში, რომლის მოგვარებისთვის აუცილებელია ქვეყნის კონსტიტუციის შესატყვისი მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების შესრულება.

მთავარ ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოადგენს ბუნებისათვის საშიში ტექნოლოგიური შედეგები და სტიქიები რეგიონებში, რომლისთვისაც საჭიროა სპეციალური გადაწყვეტილებები, მიზნობრივი პროგრამები. ხოლო დაცული ტერიტორიები და ნაკრძალები რეგულირებული უნდა იყოს საკანონმდებლო აქტებით. ამ კუთხით რეგიონული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი პროგრამული რეგულირება. ყოველ პრობლემურ რეგიონში სპეციალური საკანონმდებლო სისტემის შექმნა წიაღისეულის მოხმარებასა და ინვესტიციებზე.

სახელმწიფო რეგულირების მეთოდების და რეგიონული მართვის საშუალებების სწორად შერჩევა განსაზღვრავს რეგიონების სამომავლო განვითარებას. რეგიონული პოლიტიკის მართვის საშუალებებს წარმოადგენს: მაკროპოლიტიკა, მიკროპოლიტიკა და მათ შირის კოორდინაცია.

მაკროდონეზე აუცილებელია სავაჭრო და ფინანსური პოლიტიკის მმართველობითი ფუნქციების დანაწილება, მათი რეგიონებისთვის გადაცემა, ხოლო ცენტრიდან უნდა განხორციელდეს მხოლოდ მათი კონტროლი.

სამეურნეო საქმიანობის ხელშემწყობი პოლიტიკა და საფინანსო პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, როგორც რეგიონული მიკროპოლიტიკის ძირითადი საშუალებები.

რეგიონში სხვადასხვა ტიპის სამეურნეო საქმიანობის განვითარებისთვის აუცილებელია, პირველ რიგში, სამუშაო ძალის ნაკადის ფორმირება. სამეურნეო საქმიანობის ხელშემწყობი პოლიტიკის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს ორიენტირება სამუშაო ადგილების ზრდასა და შრომის ბაზარზე; კონტროლი სამუშაო ძალის რესურსების გადანაცვლებაზე, კომპენსაცია დანახარჯზე სუბსიდირების ფარგლებში, ასევე შრომის ბაზარზე აქტიური პოლიტიკის გატარება ეფექტიანობის ასამაღლებლად.

მიკროდონეზე ფულადი ნაკადის ფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ: გადასახადები და სუბსიდიები (საექსპორტო შეღავათები, სუბსიდიები სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში), ეფექტიანობის ამაღლება კაპიტალის ბაზარზე (გარანტიები სესხებზე, ვენჩურული კაპიტალი და სხვ.); ადმინისტრაციული კონტროლი (საბაჟო ტარიფების ლიბერალურობა და სხვ.) და სხვ.

მაკრო და მიკროდონეზე განსახორციელებელ ღონისძიებებს უნდა გააჩნდეს სამართლებრივი საფუძვლები, რაც უნდა დაეფუძნოს სამართლებრივად მოქმედ კანონებს და ნორმატიულ აქტებს, ასევე უნდა არსებობდეს მათ შორის კოორდინაცია. ამისათვის აუცილებელია კოორდინაცია მაკრო და მიკროპოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის; მიკროპოლიტიკის ცალკეულ ინსტრუმენტებს შორის, სამხარეო ცენტრისა და რეგიონული ადმინისტრაციების საქმიანობა თავსებადი უნდა იყოს რეგიონულ პოლიტიკასთან; უნდა არსებობდეს კოორდინაცია ეროვნულ მმართველობით პოლიტიკასა და სამხარეო მმართველობას შორის. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, საჭიროა რეგიო-

ნებში მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების კოორდინაციის ნაწილში ლოგისტიკური ინსტრუმენტების გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ჩომახიძე დ. „მრეწველობა“, საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2012.
2. ადვაძე ვ. ეკონომიკური აზროვნების დეფიციტი, გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 2005.
3. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“. თბილისი. 2012.
4. მესხია ი. მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1996.
5. Холт Роберт Н., Барнес Сет Б. Планирование инвестиций: Пер. С англ. – М., „Дело“ ЛТД. 1994.

David Khazhomia

ECONOMIC POLITICS IN REGIONS, SOLUTION OF THE PROBLEM THROUGH THE LOGISTIC APPROACH

Annotation

The article describes the existing and current flaws in governance of economic politics in regions, how to amend its trends, that will improve development of productivity and business.

გიორგი ხარშილაძე

საქართველოს ეკონომიკის გლობალური პერსპექტივა: გამოწვევები, პრობლემები და პერსპექტივები

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში მსოფლიო ეკონომიკა გლობალიზაციის ფონზე ვითარდება. ეს უკანასკნელი თავის თავში ამარტივებს საქონლისა და რესურსების მოძრაობას. შესაბამისად, უფრო მკვეთრად წარმოჩინდება იმის აუცილებლობა, რომ ეროვნულმა ეკონომიკებმა უნდა აწარმოოს ისეთი ხარისხის და ფასის საქონელი, რომელიც ქვეყანას კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას მისცემს. ეს უკანასკნელი სამ დონეზე უნდა განვხილოთ: გლობალურ, რეგიონულ და შიდა ბაზრების დონეზე.

საქართველოსთვის კონკურენტუნარიანობის მიღწევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის. მძიმე ეკონომიკური, სოციალური და სხვა ტიპის პრობლემების დაძლევა დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის უნარზე, არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში აწარმოოს კონკურენტული საქონელი და მომსახურება. მნიშვნელოვანია იმ უპირატესობის სრულად გამოვლენა, რაც საქართველოს ან გააჩნია, ან შესაძლოა მომავალში გააჩნდეს.

საქართველოს კონკურენტუნარიანული უპირატესობის ერთ-ერთ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც საერთაშორისო პროექტებში საქართველოს ჩართულობის საშუალებას იძლევა. საქმე ეხება რამდენიმე ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის უკვე არსებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენის პროექტი და დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელიც ბაქო-სუფსის მილსადენის სახელითაა ცნობილი. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ევროპას ყაზახეთთან და ჩინეთთან აკავშირებს. აღნიშნული პროექტი მიებმება ე.წ. „ამარმაის პროექტს“, ბრიტანეთიდან წამოსულ მატარებელს თურქეთის გავლით ჩინეთში პირდაპირ ჩასვლის საშუალებას მისცემს [1, გვ. 186].

ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო პროექტების გარდა არსებობს საქართველოსთვის საკმაოდ პერსპექტიული პროექტები როგორც სატრანსპორტო, ისე ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მათ შორის უნდა გამოვყოთ: აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი (AGRI-Azerbaijan-Georgia-Romania Interconnector); ნავთობსადენი “ოდესა-ბროდი.”

მსოფლიო გლობალურ სამყაროში ჩართულობას ის ფაქტი განაპირობებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მიმდინარეობს პოსტკომუნისტური გარდაქმნის პროცესი. საზოგადოდ, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია ამ პროცესის გლობალურ პრინციპებთან თავსებადობის გარეშე. ქვეყნის გლობალურ სამყაროში მსხვილ საერთაშორისო სტრუქტურებში მონაწილეობის გარეშე კი ეს პროცესი არაეფექტიანია. საქართველო წლებია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია, როგორიცაა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), “სუამი” და დსთ, თუმცა 2008 წლის საომარი მოქმედებების გამო, მან ის დატოვა.

თუმცა საქართველო ყოველთვის იყო ევროპულ ფასეულობებზე დამყარებული ქვეყანა და გააჩნდა ევროპულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების სურვილი, რაც განვითარებული ეკონომიკისა და ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის წინაპირობაა. იმავდროულად, ეს წარმოადგენს ხანგრძლივ და ძნელად გასავლელ გზას. არსებობს გარკვეული ტიპის კრიტერიუმები (ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“), რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ევროგაერთიანებაში შემსვლელმა კანდიდატმა სახელმწიფომ.

ევროკავშირში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა იქცეს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმება. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას, ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას – ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ამოქმედებით საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორი - კვოტის ფარგლებში) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

მნიშვნელოვნად გამარტივდება საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში. ქართული მომსახურების სფეროს კომპანიებს მიეცემათ საშუალება, უმეტეს სექტორებში დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს; თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს; გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად; მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე.

საქართველოს ეკონომიკის გლობალური პერსპექტივისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.

რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელსაც ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები აქვეყნებს, როგორიცაა მსოფლიო ბანკი (WB), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ეკონომიკური ფორმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. აღნიშნული კვლევა ყოველწლიურად ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები).

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შესაქმნელად და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. იმავდროულად, GCI განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისთვის.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის განმარტებით, ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა გამოიხატება ინსტიტუტების განვითარებაში, პოლიტიკასა და ბუნებრივი ფაქტორებით, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის დონეს [4]. ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროფესორი მაიკლ პორტერი პროდუქტიულობას ხსნის, როგორც ბუნებრივი რესურსების, შრომის,

კაპიტალისა და ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის დონეს – რესურსებიდან მიღებული შემოსავლის სიჭარბეს ხარჯებთან მიმართებით [4].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნების შესაბამისი საქონელი და მომსახურება და, ამავე დროს სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავლები გრძელვადიან პერიოდში [4].

2014/2015 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2014 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა. მასში შესწავლილია 144 ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ანალიზი. საქართველო 69-ე პოზიციაზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა კი 4.22 შეადგენს (ზომიერი მაჩვენებელი). საქართველომ პოზიცია 3 საფეხურით გაიუმჯობესა.

თითოეული ქვეყანა შეფასდა 119 კრიტერიუმით, აქედან 33 კრიტერიუმის მონაცემთა წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, ხოლო დანარჩენი კრიტერიუმისთვის ინფორმაციის წყარო არის მცირე, საშუალო და დიდ საწარმოთა პირდაპირი გამოკითხვა, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ახორციელებს. გამოკითხვა კონფიდენციალურია და კომპანიების პასუხების ხილვის შესაძლებლობა მხოლოდ შვეიცარიის მხარეს აქვს. საქართველოს მხრიდან კვლევაში მონაწილეობას იღებს 200-მდე ფირმა, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით ყოველ წელს შეირჩევა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კვლევა ბიზნესგარემოს მიმართ მეწარმეთა დამოკიდებულებას, აღქმას უფრო ეყრდნობა, ვიდრე ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას.



დიაგრამა 1
საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით [3]

ცხრილი 1

საქართველოს პოზიცია კრიტერიუმების მიხედვით [3]

კრიტერიუმები ჯგუფების მიხედვით	**პოზიცია მსოფლიოში**	**ქულა (მაქსიმუმ 7)**
საბაზისო მოთხოვნები	**48**	**4.9**
ინსტიტუტები	48	4.2
ინფრასტრუქტურა	59	4.3
მაკროეკონომიკური გარემოს	48	5.1
ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება	63	5.8
ეფექტიანობის მასტიმულირებელი	**79**	**3.9**
უმაღლესი განათლება და ტრენინგები	92	3.9
საქონლის ბაზრების ეფექტიანობა	41	4.5
ფინანსური ბაზრების განვითარება	76	3.9
ტექნოლოგიური მზაობა	67	3.8
ბაზრის ზომა	103	3.0
ინოვაციები და სოფისტიკაციის ფაქტორების	**118**	**3.1**
ბიზნესის სოფისტიკაცია	113	3.5
ინოვაციები	121	2.7

კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით საქართველო მოწინავე პოზიციებით მოხვდა: ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო დღეების – მე-2-ე ადგილი, ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურებით – მე-3 ადგილი, სავაჭრო ბარიერებით – მე-6 ადგილი, საბაჟო პროცედურებით მე-7 ადგილი, სახელმწიფო რეგულაციების ტვირთის მიხედვით – მე-8 ადგილი, გადასახადების განაკვეთების დონით მე-10 ადგილი. თავის მხრივ, ყველაზე ცუდ პოზიციებზე შემდეგი კრიტერიუმებით მოხვდა: ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობით 138-ე ადგილი, უნივერისტეტებისა და ბიზნესის კვლევებში თანამშრომლობით 128-ე ადგილი, ანტიმონოპოლიური პოლიტიკით 127-ე ადგილი, კომპანიების დანახარჯებით კვლევებსა და განვითარებაზე 126-ე ადგილი, ადგილობრივი ფინანსური ბაზრების დაფინანსებით 126-ე ადგილი, მეცნიერებითა და ინჟინრებით – 122 ადგილი, ადგილობრივი პროდუქციის ხარისხით – 121 ადგილი.

საქართველოს უპირატესობებსა თუ ნაკლოვანებებს თუ შევაჯამებთ, შემდეგი ტიპის სურათს მივიღებთ. საქართველო შედარებით კონკურენტუნარიანია ინსტიტუტების განვითარებით, ინფრასტრუქტურით, შრომის ბაზრის ეფექტიანობით, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით, სავალუტო კონტროლის არარსებობით, დაბალი კრიმინალით, ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის ბიუროკრატიული პროცედურების ნაკლებობით. პრობლემებია შემდეგი მიმართულებით: საკუთრების უფლებების დაცვაში, ინოვაციებში, საშუალო და უმაღლეს განათლებაში, მეცნიერებასა და კვლევების წარმოებაში, კონკურენციის დონეში შიდა ბაზარზე, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობაში, პროფესიონალ სამუშაო ძალაში, პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების ნდობასა და პოლიტიკის არასტაბილურობაში.

კონკურენტუნარიანობის ანგარიში არის ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას. მათი აღმოფხვრა მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ასეთს წარმოადგენს საკუთრების უფლების დაცვა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, სახელმწიფო ხარჯების მიზნობრივი ხარჯვა, მცირე სააქციო საწარმოთა მესაკუთრეების უფლებების დაცვა, ინფლაციის დონის შემცირება, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, სამეცნიერო კვლევების გაუმჯობესება და ა.შ. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი იძლევა ყველაზე უკეთეს სურათს იმ პრობლემების გაანალიზებაში, რაც რეალურად ქვეყანაში არის და თუ რას აღიქვამს ქართული კომპანიები მთავარ პრობლემად. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ანგარიშს აქვეყნებს ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორიც არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ხოლო მის შედეგს ინვესტორები აუცილებლად ითვალისწინებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელგუჯა მექვაბიშვილი, ეკონომიკის გლობალიზაცია, გამოწვევები, პერსპექტივები, თბილისი, 2009.
2. ნოდარ ხადური, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, 2010.
3. The Global Competetivenes Report 2014_2015, http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2014-15.pdf
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge
5. http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba

Giorgi Kharshiladze

GLOBAL PERSPECTIVE OF GEORGIAN ECONOMY: CHALLENGES, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Annotation

In the presented article main attention is paid to the competitiveness of Georgia, to the current situation and future prospects. Much more attention is paid to those shortcomings which are typical to Georgia, as a country which tries to establish principles of market economy.

ლალი ხურცია

საქართველოს საინვესტიციო გარემო და განათლება

საინვესტიციო გარემო. საქართველოში ინვესტიციების საფინანსო-საკრედიტო რეგულირება უცილობელ კავშირშია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებასთან, ვინაიდან საინვესტიციო ხასიათის ფინანსური გადაწყვეტილებები პირდაპირაა დამოკიდებული მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების მოწესრიგებასთან.

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება წარმოადგენს. ცნება „საინვესტიციო გარემო“ მოიცავს ყველა

იმ ფაქტორს, რომლებიც მხედველობაში მიიღება ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებების განხ-განხორციელებამდე და რომლებიც, საბოლოო ჯამში, აისახება ისეთ კომპლექსურ მაჩვენებელში, როგორიცაა საინვესტიციო რისკი.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ის სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებსაც ჩვენ ვეყრდნობით საქართველოს საინვესტიციო გარემოზე წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად, მეტწილად ბუნდოვანია. არ არსებობს მონაცემები, თუ როგორ ნაწილდება რეგიონებს შორის ინვესტიციები. უცხოურ ინვესტიციებზე არსებული მონაცემების მიუხედავად, როგორც წესი, არ ვიცით უკუგებებისა და მულტიპლიკაციის მოცულობა და ა.შ. რამდენიმე წლის წინ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები საერთოდ არ ემთხვეოდა უცხოური ორგანიზაციების შეფასებებს. საქართველოს საინვესტიციო გარემოს შეფასებას სხვადასხვა უცხოური ორგანიზაცია აწარმოებს, რომელთაგან ერთ-ერთის ანგარიშს ქვემოთ შევეხებით. თუმცა მანამდე წარმოგიდგენთ ჩვენს შეხედულებას ამ საკითხზე სვოტ ანალიზის მიხედვით, რომელშიც საქართველოს საინვესტიციო გარემოს უპირატესობები, ნაკლოვანებები, შესაძლებლობები და საფრთხეები კომპაქტურადაა წარმოდგენილი ცხრილის სახით

ცხრილი 1

საქართველოს საინვესტიციო გარემოს შეფასების ძირითადი ფაქტორები

უპირატესობები	**ნაკლოვანებები**
• იაფი შრომითი რესურსები • ბუნებრივი რესურსები • დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა • საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა	• დარგობრივი სამრეწველო სტრუქტურის დეფორმაცია • არაეფექტიანი კონკურენტული გარემო • მმართველობითი აპარატის მოუქნელობა • სამრეწველო ბაზა • მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ბიზნესისა და ვაჭრობის შეზღუდვების შემცირება • საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა • საერთშორისო პროექტების განხორციელება • ევროკავშირთან ასოცირება და ეკონომიკური ურთიერთობები	• რეფორმები შეჩერდება და პროცესები შექცევად ხასიათს მიიღებს • ტექნოლოგიური უფსკრულის გადიდება საქართველოსა და დასავლეთს შორის • საქართველოში გამწვავდება პოლიტიკური კონფლიქტები • სხვა ქვეყნების მხრიდან ძლიერი კონკურენცია

ანალიზიდან ჩანს, რომ საინვეტიციო გარემოს გაჯანსაღებას სერიოზული მუშაობა სჭირდება. უმთავრესი გამოწვევა, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, მუშახელის პრობლემაა. დასახელებული უპირატესობებიდან იაფი მუშახელი ნიშნავს დაბალი კვალიფიკაციის შრომით რესურსს, რაც, თავის მხრივ, ნაკლოვანებაა, მეორე მხრივ მუშახელის სიიაფით ჩვენ ჩამოუვარდებით ისეთ გიგანტ სახელმწიფოს, როგორიც ჩინეთია, რომლის უპირატესობასაც აძლიერებს ასევე ამ ქვეყანაში არსებული სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალი. ამგვარად, ერთადერთ რეალურ მიმზიდველ მხარედ აზია-ევროპის გასაყარზე საქართველოს მდებარეობა და ქვეყანაში არსებული დემოკრატიული უსაფრთხო გარემო შეიძლება დასახელდეს. სწორედ ამ ორ ფაქტორზე უნდა აიგოს სამომავლო საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისკენ მიმართული ნაბიჯები. პირველ რიგში, ნაცვლად დაბალკვალიფიციური შრომითი რესურსებისა, ინვესტორს უნდა შევთავაზოთ მომზადებული კადრები სხვადასხვა სფეროში. განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ორენოვანი მუშახელის მომზადება როგორც პროფესიული, ასევე აკადემიური განათლების დონეზე. განათლების სტრატეგია მნიშვნელოვანია, ვინაიდან თანამედროვე ინფორმაციულ ეპოქაში ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი წამყვანი გახდა ადამიანი და ადამიანთა შორის კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა.

საბჭოთა კავშირის დროს კომუნიკაციის პრობლემა მოგვარებული იყო, მაშინდელი ინდუს-ტრიული ეკონომიკის პირობებში ქართველ საქმოსნებს ადვილად შეეძლოთ რუსული ბიურო-კრატიის მოხიბვლა კონიაკითა თუ ქართული მრავალჟამიერით. დღეს კომუნიკაციის პრობლემა მწვავედ დგას. ძველმა თაობამ ვერ მოახერხა დროზე ჩაენაცვლებინა რუსული ენა ინგლისურით.

შესაბამისად, საბჭოთა საზღვრების მოშლის შემდეგ მოიშალა ტრადიციული ურთიერთობები და ქართველი მეწარმეები მათთვის უცხო არაკომუნიკაბელურ გარემოში აღმოჩნდნენ. ერთადერთი, რაც მათ მაშინ ამ დამუნჯებულ მდგომარეობაში შეძლეს, იყო არსებული საწარმოო პოტენციალის ჯართად გაყიდვა.

კომუნიკაციური უფსკრულის აღმოფხვრა ითავა ინგლისური ენის კურსდამთავრებულმა სტუდენტობამ, ვინაიდან მათ აღმოაჩნდათ იმ დროისთვის აუცილებელი ინგლისური ენის ცოდნა. სამაგიეროდ ეს ადამიანები განიცდიდნენ საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, იურიდიული, ეკონომიკური დარგების ცოდნის დეფიციტს. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ უმაღლესი სასწავლებლები საბჭოთა პერიოდის დროს იყოფოდნენ პრესტიჟულ და არაპრესტიჟულ სასწავლებლებად. პრესტიჟულად, მაგალითად მიჩნეული იყო სამედიცინო ინსტიტუტი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ა.შ. ამ ელიტარული სპეციალობების გვერდით, ერთგვარი დამცინავი განწყობა შეინიშნებოდა ე.წ გეპეი-ს კურსდამთავრებულთა მიმართ, თუმცა იქ არსებული სპეციალობების სწავლების დონე ეჭვს არ იწვევდა. აღნიშნული სამი ძირითადი კონკურენტიდან ცალკე იდგა უცხო ენების ინსტიტუტი, რომელიც არც პრესტიჟული იყო და არც მისი კურსდამთავრებულები გამოირჩეოდნენ აკადემიური ცოდნით. მიზეზი ამისა იყო მარტივი. ელიტარულ სასწავლებელში ჩაბარებისთვის აუცილებელი იყო ფული და კორუფციულ გარიგებაში შესვლა უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციასთან, „გეპეი“-ში ჩასაბარებლად კი აუცილებელი იყო შესაბამისი ტექნიკური საგნების ცოდნა. ის პირები კ,ი ვისაც არც ფული და არც ცოდნა არ ჰქონდა ხვდებოდნენ უცხო ენების ინსტიტუტში, რომელთა უმრავლესობას კურსის დახურვის შემდეგ არ ჰქონდა არავითარი ცოდნა, გარდა უცხოური მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვიდან მიღებული ცოდნისა.

აი სწორედ ამ ადამიანებმა შეავსეს ის კომუნიკაციური უფსკრული, რომელიც საქართველოსა და არარუსულ სამყაროს შორის წარმოიშვა. ეს მოხდა ჯერ არასამთავრობოების დონეზე, რომლებიც კომუნიკაციისთვის უცხოელ პარტნიორებთან ინგლისური ენის სპეციალისტებს იყენებდნენ. ვინაიდან იმ დროისთვის გრანტებზე მომუშავე ორგანიზაციაში დასაქმება მაღალანაზღაურებადი საქმიანობა იყო, ინგლისური ენის სპეციალისტებს ფასი დაედოთ. ისინი განაგრძობდნენ კომუნიკაციას დონორებთან და იღებდნენ მეტ გამოცდილებას, ასევე მეტ ინფორმაციას იმ დროისათვის ჩვენთვის ჯერ კიდევ უცხო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. სამწუხაროდ, მათი ცოდნა, კვალიფიკაცია და ინტელექტუალური აპარატი არ იყო გათვლილი ამ ინფორმაციის გადამუშავებაზე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უცხო ენების კურსი არ ითვალისწინებდა, მაგალითად, ეკონომიკური ცოდნის მიღებას და მეორეც იმიტომ, რომ უცხო ენების კურსდამთავრებული იყო ბუნებრივი სელექციის შედეგი, რომელიც იქ მოხვდა იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა ფული ელიტარულ სასწავლებელში ჩაებარებინა და ასევე არ ჰქონდა ნიჭი და უნარი, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში ესწავლა. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული ინგლისური ენის სპეციალისტების მიერ ხდებოდა მიღებული ინფორმაციის უკრიტიკო მიღება და აღებული ვალდებულებების ქართულ სივრცეში გადმოტანა-დანერგვა.

ამ ყველაფრის მომდევნო პროცესი იყო ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული უცხო ენის სპეციალისტები დაიზარდნენ და მოხვდნენ სახელმწიფო მართვის სადავეებთან. ამგვარად, ეს შეიძლება იყოს საქართველოში არსებული ეკონომიკური სიტუაციის ახსნის კიდევ ერთი მცდელობა.

საბედნიეროდ, ამ დროის განმავლობაში შეიცვლა განათლების სისტემა, დამოკიდებულება უმაღლესების მიმართ, ინგლისური ენის ცოდნა გახდა აუცილებელი, მაგრამ არა განმსაზღვრელი და, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში კლასიკური აკადემიური ცოდნით აღჭურვილი კადრები ჩაანაცვლებენ ახლანდელ თაობას. როდესაც ვსაუბრობთ განათლების აუცილებლობაზე საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში, უნდა გვახსოვდეს წარსულში არსებული ტენდენცია. ინვესტორისთვის მნიშვნელოვანი იქნება კვალიფიციური მუშის დაქირავება, რომელთანაც კომუნიკაციას ის უპრობლემოდ შეძლებს. დღეისათვის კი სიტუაცია ასეთია: უცხოელი ინვესტორი ურთიერთობს ქართველ უცხო ენის სპეციალისტთან, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა მოძებნოს ისეთი პირი, ვისაც შესწევს დავალების შესრულება. სამწუხაროდ, უცხო ენის სპეციალისტს თვითონ არ აქვს იმდენი ცოდნა და ინტელექტი, რომ გააკეთოს სწორი არჩევანი და დაიქირაოს შესაბამისი კადრი. სწორედ ამიტომ, აღნიშნული კონფლიქტის გაქრობა აუცილებლად უნდა მოხდეს ინვესტორისთვის მაღალკვალიფიციური მუშახელის შეთავაზებით.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობის შეფასების ანალიზი, საიდანაც ასევე ნათლად იკვეთება კვალიფიციური მუშახელის და ზოგადად განათლების დაბალი დონის პრობლემა, საინვესტიციო ნაკადების მოზიდვა საქართველოში. ეს ორგანიზაცია ქვეყნებს ადარებს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. მათ შორის არის კონკურენციის ინდექსი, რომელშიც საქართველო არის 77-ე ადგილზე 142 ქვეყნიდან. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ფასდება 12 მთავარი სექტორის მიხედვით, თითოეული სექტორი კი დაყოფილია ქვეკატეგორიებად, რომლებიც ასევე ფასდება და შედეგად თითოეულ სექტორს ენიჭება შესაბამისი შეწონილი ადგილი. ქვემოთ მოყვანილ მეორე ცხრილში ჩვენ მოგვყავს საქართველოს ადგილი სექტორების მიხედვით, ასევე ყველაზე დაბალი ადგილის მაჩვენებელი ქვეკატეგორიებში.

ცხრილი 2

კონკურენციის ინდექსი შედგება შემდეგი 12 შესადარებელი სექტორისგან, მათ შორის:

სახელმწიფო სექტორები	ადგილი 142 ქვეყანას შორის	უმდაბლესი შეფასება ქვეკატეგორიების მიხედვით
ინსტიტუტების განვითარება	48	106 - ინტელექტუალური საკუთრების დაცვა
ინფრასტრუქტურა	59	105 - საჰაერო გადაზიდვების ადგილ კილომეტრების რ-ბა კვირის განმავლობაში
მაკროეკონომიკური გარემო	48	78 - ინფლაცია
ჯანმრთელობა და პირველადი განათლება	63	92 - პირველადი განათლების ხარისხი 98 - ტუბერკულოზის გავრცელების პრევალენტობა
უმაღლესი განათლება და კვალიფიკაციების ამაღლება	92	105-114 - მათემატიკური და ზუსტი მეცნიერები, ტრენინგების დაბალი როლი კვალიფიკაციის ამაღლებაში
სასაქონლო ბაზრის ეფექტურობა	60	127 - მონოპოლიები
შრომითი ბაზრის ეფექტურობა	41	116 - ქვეყნის უნარი, მოიზიდოს ტალანტები
საფინანსო ბაზრის განვითარება	76	126 - ფინანსების მობილიზების შესაძლებლობა ადგილობრივ ბაზარზე საკუთარი აქციების განთავსებით
ტექნოლოგიური მზაობა	67	113 - პუი და ტექნოლოგიების შემოსვლა
ბაზრის ზომა	103	
ბიზნესის წარმოება	113	138 - ადგილობრივი მომმარაგებლების რ-ბა და ხარისხი
ინოვაციები	121	110 - ინოვაციების შექმნის შესაძლებლობა 119 - სამეცნიერო ინსტიტუტების ხარისხი 126 - წარმოებების რაოდენობა, რომლებიც ხარჯავენ კვლევასა და განვითარებაზე 128 - უნივერსიტეტებისა და წარმოების თანამშრომლობა 122 - მეცნიერებისა და ინჟინრების დონე

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, განათლების დონეს საერთო ჯამში მოიცავს 4 სექტორი - ჯანმრთელობა და პირველადი განათლება, უმაღლესი განათლება და კვალიფიკაციების ამაღლება, შრომითი ბაზრის ეფექტურობა და ინოვაციები. განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაა უმაღლესი განათლების შეფასებასა და ინოვაციებში. ეს არის პირდაპირი გამოწვევა განათლების სისტემისა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, რომ თანამიმდევრულად მოხდეს განათლებაში არსებული ჩამორჩენის დაძლევა. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება იქნება ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების გზაზე.

Lali Khurtsia

INVESTMENT INVIRONMENT AND EDUCATION IN GEORGIA

Annotation

The article presents SWOT analysis of investment environment of Georgia that shows the main problem – the lack of high skilled labor resources. The author analyzes the shortcomings of educational system that was characteristic to communist government and tries to explain current economic situation by the fact. The article also deals with the estimation of competitiveness of international transparency that also confirms the ecute problems existing in educational system and the necessity of thers solution to improve.

ლალი ხურცია

შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში

როგორც წესი, ყველა სახელმწიფო პოლიტიკის საბოლოო მიზანი საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ამაღლება და ადამიანების ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობის მიცემა უნდა იყოს. ღირსეული ცხოვრება ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა,

ისწავლოს, იმუშაოს, იზრუნოს თავის ჯანმრთელობაზე და მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენას.

პოლიტიკის საბოლოო მიზნად ამგვარი შედეგის დასახვა განსაკუთრებული სიმწვავით ჩანს სახელმწიფოს სოციალური პაკეტების შემთხვევაში. საკმარისია თვალი გადავავლოთ უახლოესი წლების სახელმწიფო ბიუჯეტს და სოციალური დახმარებების რაოდენობას, რომელიც ნათლად მეტყველებს, რომ ბიუჯეტი დატვირთულია ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც მხოლოდ ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებაზეა გათვლილი და საერთოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის იმ მთავარ მიზანს, რომელიც დასაწყისში აღვნიშნეთ. ასეთ ვალდებულებებად შეიძლება იქნეს განხილული შშმ პირებზე გაცემული სოციალური დახმარებებიც.

თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ერთ სულზე დარიგებული შემწეობები ისედაც მცირეა, ეს ხარჯი არ არის გათვლილი მოკლე ან ხანგრძლივვადიან შედეგზე. საბიუჯეტო სოციალურ დახმარებებს არ აქვს საინვესტიციო ხასიათი, რომელიც, საბოლო ჯამში, მთლიანად საზოგადოებას და მათ შორის შშმ პირებს ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემდა.

თანამიმდევრული პოლიტიკის შემუშავება ამ და ნებისმიერ სხვა სფეროში უნდა ეფუძნებოდეს სწორ და ყოვლისმომცველ მონაცემთა ბაზის არსებობას. როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ შარშან ჩატარებული კვლევა აჩვენებს, შშმ პირთა მონაცემებთან დაკავშირებით სერიოზული ხარვეზები არსებობს. როგორც კვლევამ აჩვენა, „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობას მთელი საქართველოს მასშტაბით, სახელმწიფო შშმ პირთა ოდენობას აღრიცხავს სოციალური პაკეტის პირთა რაოდენობის მიხედვით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შშმ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასახავს“.

ამ მონაცემების მიხედვით, 2015 წლის 1 მარტისთვის საქართველოში რეგისტრირებულია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღები 118 651 შშმ პირი (საქართველოს მოსახლეობის 3%). სოციალური პაკეტის ბენეფიციარობა ნიშნავს იმას, რომ მის მიმღებს არ გააჩნია არსებობის სხვა წყარო და აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს მისი დაბალი სოციალური მდგომარეობის შეფასების დროს.

შემწეობის რაოდენობა, რომელიც გაიცემა, თვიურად 100 ლარს შეადგენს, რაც წლიურად დაახლოებით 140 მლნ ლარს უტოლდება. თავის მხრივ, ერთ ადამიანზე გათვლილი ეს შემწეობა ძალიან ცოტაა და მას არ შეუძლია მოთხოვნის სტიმულირება შედარებით ხარისხიან და შრომატევად საქონელზე, რომელიც ადგილობრივ წარმოებას წაახალისებდა, მეორე მხრივ, მთლიანი მაჩვენებელი იმდენად დიდია (მშპ-ს 1.5%), რომ აუცილებლად უნდა დადგეს მისი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების საკითხი.

სამწუხაროდ, ასეთ კვლევას ხელს უშლის სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობა. I I-ის მიერ გამოთხოვილი იყო ინფორმაცია შშმ პირთა შეზღუდული შესაძლებლობების კატეგორიების შესახებ, რომელიც ვერ იქნა მიღებული ვერც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ვერც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მხრიდან. ასეთ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელი იქნება მხოლოდ 2016 წელს, მას შემდეგ, რაც დამუშავდება 2014 წლის საყოველთაო აღწერის პირველადი მონაცემები.

ამგვარად სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკურ ეფექტიანობასა და გარკვეულ ეკონომიკურ მოლოდინებზე საუბარი სრული სტატისტიკური მონაცემების გარეშე წარმოუდგენელია. თანამიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის კი, რომლის საბოლოო მიზანი შშმ პირთა ეკონომიკური ინტეგრაცია და მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შესაძლებლობების მიცემა იქნებოდა, აუცილებელია პასუხი გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორიცაა შშმ პირთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, შესაძლებლობების მიხედვით მათი დახასიათება, დემოგრაფიული მონაცემები, დასაქმება, განათლებისა და კვალიფიკაციის დონე და ა.შ.

მხოლოდ ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, გადავიდეთ არსებული პოლიტიკის შეფასების ეტაპზე და შევქმნათ საბიუჯეტო ხარჯის ალტერნატიული მოდელები, რომლებშიც სოციალური დახმარებები მიიღებდა საინვესტიციო ხასიათს და მოახდენდა მომავალი შედეგების პროგნოზირებას.

დღეისათვის საუბარი იმაზე, რომ აუცილებელია შშმ პირთა დასაქმება, რათა მათ ჰქონდეთ ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა, მთავრდება მარტივი და გულგრილი პასუხით, რომ ქვეყანაში, სადაც უმუშევრობის დონე ქმედუნარიან მოსახლეობაში ისედაც დაბალია, ზედმეტია საუბარი შშპ-თა დასაქმებაზე. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ეს არის ადამიანების ყოვლად დაუშვებელი დაყოფა მათი შესაძლებლობების მიხედვით, ფაქტი ისაა, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად 140 მლნ-ს ხარჯავს შშმ-თა სოციალურ დახმარებებზე და ამდენად კითხვა იმის შესახებ, არსებობს თუ არა ამ რესურსის გახარჯვის ალტერნატიული და უფრო ეფექტური გზა, ეკონომიკურად გამყარებულია და აუცილებლად შესაბამისი კვლევა სჭირდება.

შშმ პირთა ყველაზე დიდი დამსაქმებელი საქართველოში სახელმწიფო სექტორია. კერძო სექტორი ამ პროცესში თითქმის არ მონაწილეობს. სახელმწიფო დაწესებულებებში 2014 წლისთვის დასაქმებული იყო დაახლოებით 50 პირი, საიდანაც 35 პირი იუსტიციის სამინისტროსა და მის ქვემდებარე იუსტიციის სახლებში მუშაობდა. საჯარო სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში (დაახ. 100000 კაცი), შშმ პირთა წილი 0.05%-ია (შეადარეთ სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ-თა 3%-ს).

არადა, ისტორიულად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საქართველოში საკმაოდ სტაბილური და კარგი ეკონომიკური მდგომარეობით გამოირჩეოდნენ. ამის მაგალითად განვიხილოთ უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებების ეკონომიკური განვითარების ისტორია საბჭოთა წლებში.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება არის უძველესი გაერთიანება. ორგანიზაცია დაარსდა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში უსინათლოთა ერთი ჯგუფის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში საბჭოთა საქართველოს მთავრობის მხრიდან არავითარი დახმარების იმედი არ არსებობდა, საზოგადოების შემოწირულობების შედეგად საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა, რამაც შესაძლებელი გახადა თბილისში გახსნილიყო ჯაგრისების საამქრო. 1929 წლისთვის ამ საამქროში 20 უსინათლო მუშაობდა.

თანდათანობით საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება მძლავრ ეკონომიკურ გაერთიანებად გარდაიქმნა. 60-იანი წლებისათვის მარტო თბილისში სამი დიდი კომბინატი ფუნქციობდა, სადაც ძირითადად უსინათლოები იყვნენ დასაქმებულნი. შეიქმნა საწარმოები ყველა მსხვილ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში. ძირითადი საქმიანობა და პროფილური მიმართულება იყო ელექტროტექნიკური ინვენტარის, პოლიეთილენის საქონლისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება. ეკონომიკური აღმავლობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ უსინათლოთა სახსრებით აიგო საცხოვრებელი კორპუსები, სამკურნალო კლინიკები, შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დასასვენებელი ქსელი.

80-იანი წლებისათვის უსინათლოთა საწარმოებში 2500-მდე უსინათლო და 2500-მდე მხედველი იყო დასაქმებული.

მაგალითის სახით მოვიყვანთ ზესტაფონის უსინათლოთა ეკონომიკური საქმიანობის ამსახველ ანგარიშს, რომელიც ინტერნეტშია გამოქვეყნებული:

“ზესტაფონის “უსინათლოთა საზოგადოების” საწარმოში ძირითადად დასაქმებული იყვნენ რაიონში მცხოვრები უსინათლო პირები. მზადდებოდა პოლიეთილენის საცობები და პარკები. პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდებოდა, 1980-1985 წლებში შრომის ნაყოფიერება 29%-ით, ფონდუკუგება 15%-ით, მოგება კი 3-ჯერ გაიზარდა. საწარმოს პროდუქცია იყიდებოდა როგორც ზესტაფონის რაიონში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. საწარმოში დასაქმებული იყვნენ უსინათლო ადამიანები, რაც ხელს უწყობდა აღნიშნული პირების ინტეგრაციას რაიონის სამრეწველო ცხოვრებაში. საწარმოში მუშაობდა დაახლოებით 80 კაცი, რაც შეადგენდა რაიონის შრომისუნარიანი მოქალაქეების 0.25%-ს (შეადარეთ ისევ სოციალური დახმარების მიმღებ შშმ პირთა 3%-ს), საშუალო ხელფასი შეადგენდა 300 მანეთს (იმ დროინდელ 510 აშშ დოლარს). ამჟამად ქარხანა გაჩერებულია.”

სამწუხაროდ, ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში უსინათლოთა საზოგადოება კრიზისში აღმოჩნდა. შეჩერდა საწარმოთა უმრავლესობა, ზოგიერთი მათგანი გასხვისდა და დღეისთვის ერთ დროს ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი თვითორგანიზების შედეგად ახერხებდა სამუშაო ადგილების შექმნას, მწვავე უმუშევრობის წინაშე აღმოჩნდა.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის მონაცემებით, დღეისთვის აღრიცხვაზე იმყოფება 3500-მდე უსინათლო და მცირე მხედველი პირი, ეს ის ადამიანები არიან, რომელთა ჩართვა ეკონომიკურ საქმიანობაში პრაქტიკულად დაუბრკოლებლად შეიძლება.

საინტერესოა ასევე საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ისტორია. ეს ორგანიზაციაც მეოცე საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა. ამ დროისთვის საბჭოთა მთავრობებს შექმნილი ჰქონდათ გარკვეულ შეღავათთა სისტემა, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც უსინათლოები, ასევე ყრუ-მუნჯები. ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრები ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ საზოგადოების ბაზაზე შექმნილ საწარმოებში, რომლებიც საკმაოდ შემოსავლიან საწარმოებად ითვლებოდა.

ამჟამად ეს საწარმოები (სულ 14) გაჩერებულია. საზოგადოების კუთვნილი თანხები გაფლანგულია და დავის საგნად არის ქცეული.

წარსულში მარტო თბილისში მუშაობდა სამი საწარმო, მათ შორის საავიაციო ქარხანა, რომლებშიც ყრუ-მუნჯები იყვნენ დასაქმებულნი. სისტემა იმდენად კარგად იყო დაგეგმილი, რომ შესაბამისი სწავლა-განათლების, ადაპტაციისა და უნარების შეძენის შემდეგ ყრუ-მუნჯები იოლად საქმდებოდნენ. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ არა მხოლოდ სამუშაოთი, არამედ საცხოვრებელი ბინებითაც.

ამჟამად ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მფლობელობაში არსებული საწარმოები გაჩერებულია და ბევრ მათგანთან დაკავშირებით ქონებრივი დავები მიმდინარეობს. არადა ეს საზოგადობა ახლაც კი ფლობს ისეთი რაოდენობის უძრავ ქონებას, რომ მისი ამოქმედების შემთხვევაში წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეძლებს დასაქმებას.

დასასრულ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამჟამად საქართველოში დამთავრდა ევროკავშირის მიერ დასრულებული ტემპუსის პროექტი ASPIRE, რომელიც მიმართული იყო სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოსა და მათთვის სწავლა-განათლების ხელმისაწვდომი პირობების შექმნისკენ. უნდა ითქვას რომ, შშმ პირები გაცილებით უფრო დიდი თვითორგანიზებულობითა და დისციპლინით გამოირჩევიან, ვიდრე ჩვეულებრივი შესაძლებლობების მქონე პირები, რაც მათ სამომავლო დასაქმებას, მათი შრომის ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო პერსპექტივას უქადის. ასეთი საგანმანათლებლო პროექტების მიზანი, რა თქმა უნდა, არის ცხოვრების სამომავლო გამოწვევებზე შშმ პირების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისი უნარების მიცემა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ხარჯი, რომელიც ამ პროექტის განხორციელებაში ჩაიდო, არის საინვესტიციო ხასიათის, ვინაიდან იგი მომავალში მიზნად ისახავს გარკვეული სარგებლის მიღებას დასაქმებული შშმ პირების მხრიდან. მეორე მხრივ, სახელმწიფოში არსებული სოციალური პაკეტების ხარჯი სრულიად არაინვესტიციურია და მიმართულია მხოლოდ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ასეთ პოლიტიკაში არავითარი ადგილი არ ჩანს ტემპუსის პროექტის შედეგად კვალიფიკაციაამაღლებული შშმ-ების დასასაქმებლად. ბუნებრივია, ასეთი ურთიერთგამომრიცხავი მიდგომა სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს. არ შეიძლება ერთი მხრივ ფული დაიხარჯოს განათლებაში და მეორე მხრივ არ შეიქმნას არავითარი პირობა ამ განათლების გამოსაყენებლად.

Lali Khurtsia

PERRSPECTIVES OF ECONOMIC INTEGRATION OF DISABLED PERSONS

Annotation

State budget of resent years concerning disabled person is loaded only with social responsibilities, it is not? for short or long results. There does not exist adequate data to elaborate consistent policy. Only in case of such data it will be possible to move to the estimation of current policy stage and create alternative models of budget spending, where social benefits would acquire investment character and forecast future results.

ა ვ ტ ო რ ე ბ ი

1.	**აბესაძე რამაზი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
2.	**აბულაძე რატი**	– ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
3.	**არევაძე ნანული**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
4.	**აროშიძე პაატა**	– ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
5.	**ასათიანი გიორგი**	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი
6.	**ასათიანი როზეტა**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, ემდ, პროფესორი
7.	**ასლანიშვილი დავით**	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასისტენტ პროფესორი
8.	**აფხაზავა თენგიზი**	– ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
9.	**ახალაია ნანა**	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
10.	**ახვლედიანი ნონა**	– აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
11.	**ბარბაქაძე ხათუნა**	– თსუ ასოცირებული პროფესორი
12.	**ბერულავა გიორგი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
13.	**ბიბილაშვილი ლია**	– გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
14.	**ბიბილაშვილი ნანა**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
15.	**ბრეგვაძე გიორგი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
16.	**ბურდული ვახტანგი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ
17.	**გამსახურდია თამაზი**	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმ-წიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
18.	**გელაშვილი მაია**	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
19.	**გეჩბაია ბადრი**	– ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
20.	**გოგიაშვილი შალვა**	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
21.	**გოგოხია თეიმურაზი**	– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
22.	**გოგოხია მაია**	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი
23.	**გოლეთიანი ქეთევანი**	– ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი
24.	**გრიგოლაშვილი თეონა**	– აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
25.	**დავლაშერიძე ნატა**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
26.	**დათუნაშვილი ლინა**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნი-ერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი
27.	**დვალიშვილი ლია**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თა-ნამშრომელი
28.	**დოლიძე ლეილა**	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
29.	**ზარანდია ჯანდრი**	– ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

30.	თაფლაძე თამარი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
31.	თეთრაული ციცინო	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
32.	**ИЩЕЙКИН ТИМУР**	– к.э.н., старший преподаватель, ВУЗ Укоопсоюза «Полтавский университет экономики и торговли»
33.	კაკაბაძე ვაჟა	– ეკონომიკის დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
34.	კაკაშვილი ნატო	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პროფესორი
35.	კაკულია ეთერი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
36.	კიწმარიშვილი ქეთევან	– ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
37.	კვარაცხელია მურმანი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
38.	კონჯარია ელგუჯა	– სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
39.	კურატაშვილი ალფრედი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
40.	ლაზარაშვილი თეა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
41.	ლიპარტია ზურაბი	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
42.	მაისურაძე მარინა	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
43.	მაისურაძე ნანა	– ეკონომიკის დოქტორი
44.	მანველიძე რეზო	– ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
45.	მეგრელიშვილი ანი	– თსუ სტუდენტი
46.	მესხი დავითი	– თსუ დოქტორანტი
47.	მელაშვილი მედეა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
48.	მენაბდიშვილი ელგუჯა	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
49.	მენაბდიშვილი ლელა	– ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
50.	მენაბდიშვილი ნანა	– ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
51.	მღებრიშვილი ბაბულია (დოდო)	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
52.	ნარიმანიშვილი ეთერი	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
53	ნათელაური იზა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
54.	ნამიჯეიშვილი რამაზ	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების პრეზიდენტი
55.	ნოზაძე ზურაბი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
56.	პაპავა ვლადიმერი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ემდ, პროფესორი
57.	რევიშვილი ზურაბი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
58.	სარჩიმელია როლანდი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ

59.	სიგუა გიორგი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
60.	სისვაძე ილია (აზიკო)	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
61.	უდესიანი ხატია	– თსუ სტუდენტი
62.	ფესტვენიძე თეიმურაზი	– ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
63.	ფეტელავა სლავა	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
64.	ფუტკარაძე რამაზ	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
65.	ქავთარაძე თენგიზი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
66.	ქველაძე ქეთევანი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
67.	ქისტაური ნუნუ	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
68.	ქოქიური ლამარა	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
69.	ქუთათელაძე რუსუდან	– ეკონომიკისა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი
70.	ქურდაძე თინათინი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
71.	შალამბერიძე ხათუნა	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
72.	შამუგია ასმათი	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
73.	**ШИМАНОВСКАЯ-ДИАНИЧ ЛЮДМИЛА**	– д.э.н., профессор, ВУЗ Укоопсоюза «Полтавский университет экономики и торговли»
74.	შონია ნანა	– აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
75.	ჩაკაბერია მიხეილი	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
76.	ჩიკვილაძე მიხეილი	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
77.	ჩიქოვანი ელენე	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ბიზნესის აკადემიის პროფესორი
78.	ჩხეიძე თინა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სმმდ, პროფესორი
79.	ცაავა გიორგი	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
80.	ცუცქირიძე მარინე	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
81.	წერეთელი ზურაბი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
82.	წოწკოლაური ფიქრია	– ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფსორი
83.	ჭილაია ნინო	– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
84.	ჭიჭინაძე ბორისი	– ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი
85.	ხაჟომია დავითი	– ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
86.	ხარშილაძე გიორგი	– ეკონომიკის დოქტორი
87.	ხურცია ლალი	– ემდ, თსუ ასისტენტ პროფესორი
88.	ხუსკივაძე მამუკა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
89.	ჯავახიშვილი რევაზი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

A U T H O R S

1.	**ABESADZE RAMAZ**	– Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Doctor of Economic Sciences, Professor
2.	**ABULADZE RATI**	– Doctor of Economics, Associated Professor at Georgian Technical University
3.	**AKHALAIA NANA**	– Professor of Gori State Teaching University
4.	**AKHVLEDIANI NONA**	– Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
5.	**APKHAZAVA TENGIZ**	– Associated Professor of Batumi Navigation Teaching University
6.	**AREVADZE NANULI**	– Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
7.	**AROSHIDZE PAATA**	– Candidate of Economic Sciencies, Batumi Shota Rustaveli State University
8.	**ASATIANI GIORGI**	– PhD Student of Georgian Technical University
9.	**ASATIANI ROZETA**	– Doctor of Economic Sciences, Professor, Scientific Consultant of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
10.	**ASLANISHVILI DAVID**	– Doctor of Economics, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
11.	**BARBAKADZE KHATUNA**	– Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
12.	**BERULAVA GEORGE**	– Doctor of Economic Sciencies, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
13.	**BIBILASHVILI LIA**	– Associated Professor of Gori State Teaching University
14.	**BIBILASHVILI NANA**	– Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
15.	**BREGVADZE GIORGI**	– Candidate of Economic Sciencies, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
16.	**BURDULI VAKHTANG**	– Doctor of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
17.	**CHAKABERIA MIKHEIL**	– PhD Student of Georgian Technical University
18.	**CHICHINADZE BORIS**	– Doctor of Economics, Lecturer of Akaki Tsereteli Kutaisi State University
19.	**CHIKOVANI ELENE**	– Doctor of Economics, Professor of Business Academy of Georgia
20.	**CHIKVILADZE MIKHEIL**	– Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
21.	**CHKHEIDZE TINA**	– Doctor of Agricultural Sciences, Professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
22.	**DATUNASHVILI LINA**	– Candidate of Economic Sciences, Docent, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
23.	**DAVLASHERIDZE NATA**	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
24.	**DOLIDZE LEILA**	– PhD Student of Georgian Technical University
25.	**DVALISHVILI LIA**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
26.	**FETELAVA SLAVA**	– Doctor of Economics, Associated professor of the Grigol Robakidze Univercity
27.	**GAMSAKHURDIA TAMAZ**	– Doctor of Economic Sciences, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
28.	**GECHBAIA BADRI**	– Doctor of Economics, Associated Professor of Batumi Shota Rustaveli State University
29.	**GELASHVILI MAIA**	– Doctor of Economics, Associated Professor of Samtskhe-Javakheti State Teaching University
30.	**GOGIASHVILI SHALVA**	– Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
31.	**GOGOKHIA MAIA**	– Doctor of Economics, Invited Lecturer of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
32.	**GOGOKHIA TEIMURAZ**	– PhD Student of Sokhumi State University, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
33.	**GOLETIANI KETEVAN**	– Professor of Batumi Navigation Teaching University

34.	**GRIGOLASHVILI TEONA**	– PhD Student of Akaki Tsereteli Kutaisi State University
35.	**ISCHEIKIN TIMUR**	– Candidate of Economic Sciences, Senior Teacher, Poltava University of Economics and Trade
36.	**JAVAKHISHVILI REVAZ**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
37.	**KAKABADZE VAZHA**	– Doctor of Economics, Geologic engineer, Associate fellow of Georgian Academy of Engineering
38.	**KAKASHVILI NATO**	– Doctor of Economics, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
39.	**KAKULIA ETER**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
40.	**KAVTARADZE TENGIZ**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
41.	**KHAZHOMIA DAVID**	– PhD in Business Administration
42.	**KHARSHILADZE GIORGI**	– Doctor of Economics
43.	**KHURTSIA LALI**	– Doctor of Economic Sciences, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
44.	**KHUSKIVADZE MAMUKA**	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
45.	**KISTAURI NUNU**	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
46.	**KITSMARISHVILI KETEVAN**	– Doctor of Economics, Associated Professor of Georgian Technical University
47.	**KOKIAURI LAMARA**	– Doctor of Economic Sciences, Professor
48.	**KONJARIA ELGUJA**	– Doctor of Economics, Associated Professor of Teaching University European Academy
49.	**KURATASHVILI ALFRED**	– Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
50.	**KURDADZE TINATIN**	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
51.	**KUTATELADZE RUSUDAN**	– Doctor of Economic and Technical Sciences, Professor of Georgian Technical University, Dean of the Faculty of Business-Engineering
52.	**KVARATSKHELIA MURMAN**	– Doctor of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
53.	**KVELADZE KETEVAN**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
54.	**LAZARASHVILI TEA**	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
55.	**LIPARTIA ZURAB**	– Doctor of Economic Sciences, Professor of Georgian Technical University
56.	**MAISURADZE MARINA**	– Academic Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State of University
57.	**MAISURADZE NANA**	– Doctor of Economics
58.	**MANVELIDZE REZO**	– Doctor of Economic Sciences, Full Professor of Batumi Shota Rustaveli State University
59.	**MEGRELISHVILI ANI**	– Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
60.	**MELASHVILI MEDEA**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
61.	**MENABDISHVILI ELGUJA**	– Doctor of Economic Sciences, Institute of Demography and Sociology of Ilia State University
62.	**MENABDISHVILI LELA**	– Doctor of Economics, Researcher of Institute of Demography and Sociology of Ilia State University
63.	**MENABDISHVILI NANA**	– Doctor of Economics, Researcher of Institute of Demography and Sociology of Ilia State University
64.	**MESKHI DAVID**	– PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
65.	**MGHEBRISHVILI BABULIA (DODO)**	– Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
66.	**NAMICHEISHVILI RAMAZ**	– Doctor of Economics, President of the Scientific Society “Niko Nikoladze”

67.	**NARIMANISHVILI ETER**	– Doctor of Economics, Associated Professor
68.	**NATELAURI IZA**	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
69.	**NOZADZE ZURAB**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
70.	**PAPAVA VLADIMER**	– Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Academician of National Academy of Georgia, Doctor of Economic Sciences, Professor
71.	**PESTVENIDZE TEIMURAZ**	– Doctor of Technical Sciences, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
72.	**PUTKARADZE RAMAZ**	– Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
73.	**REVISHVILI ZURAB**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
74.	**SARCHIMELIA ROLAND**	– Doctor of Economic Sciences, Professor, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
75.	**SHALAMBERIDZE KHATUNA**	– Academic Doctor of Economics, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
76.	**SHAMUGIA ASMAT**	– Doctor of Economics, Assistant Professor of St. Gregory Peradze Tbilisi Teaching University
77.	**SHIMANOVSKAYA-DIANICH LYUDMILA**	– Doctor of Economic Sciences, Professor, Poltava University of Economics and Trade
78.	**SHONIA NANA**	– Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University, Invited Professor of Georgian Technical University
79.	**SIGUA GEORGE**	– Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
80.	**SISVADZE ILIA (AZIKO)**	– Doctor of Economics, Professor
81.	**TAPLADZE TAMAR**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
82.	**TCHILAIA NINO**	– PhD Student of Batumi Shota Rustaveli State University
83.	**TETRAULI TSITSINO**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
84.	**TSAAVA GEORGE**	– Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University
85.	**TSERETELI ZURAB**	– Deputy Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
86.	**TSOTSKOLAURI PIKRIA**	– Doctor of Economics, Associated Professor at St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
87.	**TSUTSKIRIDZE MARINE**	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
88.	**UDESIANI KHATIA**	– Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
89.	**ZARANDIA JANDRI**	– Doctor of Economics, Associated Professor of Sokhumi State University

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	5
სამეცნიერო ნაშრომები	
პრობლემა 1. საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია	
ვლადიმერ პაპავა ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის არსი და მისი თავისებურებები საქართველოში	7
რამაზ აბესაძე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და კანონზომიერებები	12
როზეტა ასათიანი ინსტიტუციური გარდაქმნები და მისი შედეგები საქართველოს ეკონომიკაში	17
მურმან კვარაცხელია „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბება თანამედროვე მსოფლიოში	26
პრობლემა 2. მაკროეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები საქართველოში	
რამაზ აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი, ციცინო თეთრაული მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკის კანონზომიერებები საქართველოში	31
რამაზ აბესაძე მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში	34
რამაზ აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი გლობალიზაციის უმუშევრობაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი	41
ციცინო თეთრაული ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და ანტიინფლაციური რეგულირება საქართველოში	45
პრობლემა 3. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული და სტრუქტურული პრობლემები	
ვახტანგ ბურდული გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელის ფორმირების თეორიული ასპექტები	49
ვახტანგ ბურდული ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული პრობლემები	62
პრობლემა 4. ეკონომიკური განვითარების სექტორული პრობლემები	
ნანული არევაძე მრეწველობის განვითარება საქართველოში	85
რამაზ აბესაძე ენერგეტიკის განვითარება საქართველოში	91
ნანული არევაძე მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების განვითარება საქართველოში	104
ნანული არევაძე საქართველოს ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	107
ნანული არევაძე შავი და ფერადი მეტალურგიის მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში	109
ნანული არევაძე საქართველოს ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა: რეალობა და შესაძლებლობები	113
ნანული არევაძე საშენი მასალების მრეწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში	116
ნანული არევაძე საქართველოს მსუბუქი მრეწველობა	119
ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი	121
გიორგი ბრეგვაძე სამშენებლო სექტორის განვითარება საქართველოში	125
როლანდ სარჩიმელია მეცნიერების ეკონომიკის პრობლემები საქართველოში	127

პრობლემა 5. ძვეძნის ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემები	
ვახტანგ ბურდული რეგიონული განვითარების პრობლემები	**135**
პრობლემა 6. ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში	
გიორგი ბერულავა, თეიმურაზ გოგოხია ადამიანისეული კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ბიზნესის განვითარება საქართველოში	**166**
ეთერ კაკულია მცირე ბიზნესის განვითარების კანონზომიერებები საქართველოში	**174**
მარინე ცუცქირიძე ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარება და მისი დარგობრივი ასპექტები	**186**
თეა ლაზარაშვილი, მედეა მელაშვილი სახელმწიფო საწარმოების მართვის თავისებურებანი საქართველოში და ეფექტიანობის ამაღლების გზები	**190**
პრობლემა 7. საფინანსო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში	
თეა ლაზარაშვილი, მედეა მელაშვილი საფინანსო სისტემის თავისებურებანი საქართველოში	**195**
თინათინ ქურდაძე საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხისათვის	**202**
გიორგი სიგუა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური ფაქტორები	**207**
პრობლემა 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და გლობალიზაცია	
იზა ნათელაური, თამარ თაფლაძე საქართველოს საგარეო ვაჭრობა საგადასახდელო ბალანსების სისტემაში	**210**
როლანდ სარჩიმელია საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობები	**214**
რამაზ აბესაძე გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი	**219**
პრობლემა 9. სოფლის ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში	
ზურაბ რევიშვილი სოფლის ეკონომიკის ტრანსფორმირება	**224**
ზურაბ რევიშვილი სოციალური მდგომარეობა სოფლად	**239**
ზურაბ რევიშვილი სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები	**248**
ლინა დათუნაშვილი სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში	**258**
ლინა დათუნაშვილი ერთწლიანი კულტურების წარმოების პრობლემები საქართველოში	**262**
ლინა დათუნაშვილი მეხილეობის განვითარების პრობლემები საქართველოში	**269**
ლინა დათუნაშვილი მეციტრუსეობის განვითარების პრობლემები საქართველოში	**275**
ლინა დათუნაშვილი საქართველოს მეჩაიეობაში კრიზისის დაძლევისა და დარგის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები	**279**
ლინა დათუნაშვილი მევენახეობის განვითარების პრობლემები საქართველოში	**282**
ლინა დათუნაშვილი მეცხოველეობის განვითარების პრობლემები საქართველოში	**284**
თენგიზ ქავთარაძე წასწარმოქმნისა და რენტაბელობის პრობლემები მეცხოველეობაში	**288**
პრობლემა 10. მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში	
მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ ნოზაძე მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში	**299**

თინა ჩხეიძე ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში	**306**
ლია დვალიშვილი ატმოსფეროს დაცვა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი პრობლემა საქართველოში	**317**
პრობლემა 11. ევროინტეგრაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიული პრობლემები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები	
ალფრედ კურატაშვილი ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემები	**325**
რევაზ ჯავახიშვილი ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები	**329**
ნატა დავლაშერიძე ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ინდიკატორები	**341**
რამაზ აბესაძე ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში	**344**
სხვა სამეცნიერო ნაშრომები	
თენგიზ აფხაზავა, ქეთევან გოლეთიანი ევროპა-აზიის ახალი საავტომობილო ინიციატივა (NELTI)	**349**
რატი აბულაძე, ფიქრია წოწკოლაური სოციალური კომერციის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში	**353**
პაატა არაშიძე ოლიმპიური თამაშები: შემოსავლები და ხარჯები (ყველასათვის სარგებლიანია ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა?)	**357**
გიორგი ასათიანი საგადასახადო კონტროლის ეფექტურობის ამაღლების პრინციპები	**360**
დავით ასლანიშვილი ეკონომიკური ზრდა და ენერგოუსაფრთხოება	**363**
ნანა ახალაია შობადობა გორის რეგიონში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე	**366**
ნონა ახვლედიანი იმერეთის რეგიონის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა	**369**
ლია ბიბილაშვილი საქართველოს ენერგეტიკული კომპლექსი: მდგომარეობა და პერსპექტივები	**372**
თამაზ გამსახურდია, თეიმურაზ ფესტვენიძე მენეჯმენტის როლი ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში	**375**
მაია გელაშვილი საფინანსო პოლიტიკის როლი და მიზნები	**379**
შალვა გოგიაშვილი, სლავა ფეტელავა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია	**380**
მაია გოგოხია მონეტარული თეორია და ფულად-საკრედიტო მექანიზმი	**383**
თეონა გრიგოლაშვილი ღია ბაზრის ოპერაციები, როგორც მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი	**386**
ლეილა დოლიძე, გიორგი ცაავა ბანკის მსესხებელი მსხვილი, საშუალო, მცირე ბიზნესის საწარმოებისა და ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასების თავისებურებები	**388**
ჯანდრი ზარანდია შვეიცარიის კონფედერაციის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საქართველო	**401**
Vazha Kakabadze, Nana Maisuradze **COMPETITIVENESS MANAGEMENT ALGORITHM**	**407**
ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე საფაზღვევო შუამავლები	**411**
ქეთევან კიწმარიშვილი ინოვაციური სტრატეგიის მნიშვნელობა და მისი შემუშავება	**414**
ქეთევან კიწმარიშვილი სამუშაოში ცვლილებების დაგეგმვა, რეალიზაცია და ხელის შეწყობა	**416**

ელგუჯა კონჯარია ფინანსური რისკი როგორც მართვის ერთ-ერთი ობიექტი	420
ზურაბ ლიპარტია, რუსუდან ქუთათელაძე ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების რეგულირების მექანიზმი საქართველოში	423
მარინა მაისურაძე საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების საკითხები თანამედროვე ეტაპზე	427
რეზო მანველიძე, ნინო ჭილაია საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია და მისი ეკონომიკური ფენომენი	430
ანი მეგრელიშვილი საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მაკროეკონომიკური მიმოხილვა	433
ელგუჯა მენაბდიშვილი, ნანა მენაბდიშვილი საქართველოს დემოგრაფიული ვითარება 2012 – 2014 წლებში	436
ლელა მენაბდიშვილი ქორწინების გადავადების სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები	439
დავით მესხი მობილური კავშირგაბმულობის ფორმირებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში	443
ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი ტურიზმის მარკეტინგის ფუნქციები	449
რამაზ ნამიჭეიშვილი უმაღლესი ეკონომიკური აზროვნების დეგენერაცია, ანუ განათლების ტრეფიკინგი	451
ეთერ ნარიმანიშვილი აბრარული საწარმოს ეკონომიკის ამოცანები და კვლევის მეთოდები	455
ილია (აზიკო) სისვაძე ცოდნის ღირებულების შეფასების დანახარჯობრივი კონცეფცია	457
ხატია უდესიანი საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი	465
რამაზ ფუტკარაძე საქართველოს საგარეო ვაჭრობის აქტუალური საკითხების შესახებ	468
ლამარა ქოქიაური საოჯახო მეურნეობების ფინანსების განსაზღვრისათვის	472
ხათუნა შალამბერიძე საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანალიზი	478
ასმათ შამუგია თანამედროვე შრომის ბაზარი და დასაქმების პრობლემა საქართველოში	481
Людмила Шимановская-Дианич, Бадри Гечбаия, Тимур Ищейкин **КАТЕГОРИЙНЫЙ АППАРАТ КРЕАТИВНОГО МЕНЕДЖМЕНТА**	485
ნანა შონია, მიხეილ ჩაკაბერია ბიზნესის დაზღვევის თავისებურებანი საქართველოში	489
მიხეილ ჩიკვილაძე საქართველოს ეკონომიკის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	491
ელენე ჩიქოვანი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებშრომის უსაფრთხოების სფეროში	493
ზურაბ წერეთელი შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ქვეყნის განვითარების სტაბილურობასა და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებზე	499
ბორის ჭიჭინაძე ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში	503
დავით ხაჟომია ეკონომიკური პოლიტიკა რეგიონებში, პრობლემების გადაჭრა ლოგისტიკური მიდგომით	508
გიორგი ხარშილაძე საქართველოს ეკონომიკის გლობალური პერსპექტივა: გამოწვევები, პრობლემები და პერსპექტივები	512
ლალი ხურცია საქართველოს საინვესტიციო გარემო და განათლება	515
ლალი ხურცია შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში	518
ავტორები	522

C O N T E N T S

PREFACE	**5**
SCIENTIFIC WORKS	
PROBLEM 1. POST-COMMUNIST TRANSFORMATION OF GEORGIAN ECONOMY	
Vladimer Papava **THE ESSENCE OF THE POST-COMMUNIST TRANSFORMATION AND ITS FEATURES IN GEORGIA**	**7**
Ramaz Abesadze **STAGES AND REGULATIONS OF POST-COMMUNIST TRANSFORMATION**	**12**
Roseta Asatiani **INSTITUTIONAL TRANSFORMATIONS AND THEIR RESULTS IN ECONOMY OF GEORGIA**	**17**
Murman Kvaratskhelia **FORMATION OF NEW PERSONALITY IN THE MODERN WORLD**	**26**
PROBLEM 2. MACROECONOMIC AND SOCIAL DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA	
Ramaz Abesadze, Nana Bibilashvili, Tsitsino Tetrauli **REGULARITIES OF DYNAMICS OF MACROECONOMIC INDICES IN GEORGIA**	**31**
Ramaz Abesadze **POPULATION STANDARDS OF LIVING, POVERTY AND UNEMPLOYMENT IN GEORGIA**	**34**
Ramaz Abesadze, Nana Bibilashvili **SOME ASPECTS OF GLOBALIZATION INFLUENCING UNEMPLOYMENT**	**41**
Tsitsino Tetrauli **REASONS CAUSING INFLATION AND ANTIINFLATION REGULATION IN GEORGIA**	**45**
PROBLEM 3. THEORETICAL AND STRUCTURAL PROBLEMS OF NATIONAL ECONOMIC DEVELOPMENT	
Vakhtang Burduli **THEORETICAL ASPECTS OF FORMATION OF MODERN MODEL OF ECONOMIC DEVELOPMENT OF COUNTRY IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION AND REGIONALIZATION**	**49**
Vakhtang Burduli **STRUCTURAL PROBLEMS OF ECONOMIC DEVELOPMENT**	**62**
PROBLEM 4. SECTORAL PROBLEMS OF ECONOMIC DEVELOPMENT	
Nanuli Arevadze **DEVELOPMENT OF INDUSTRY IN GEORGIA**	**85**
Ramaz Abesadze **DEVELOPMENT OF POWER IN GEORGIA**	**91**
Nanuli Arevadze **MECHANICAL ENGINEERING AND METAL WORK IN GEORGIA**	**104**
Nanuli Arevadze **CHEMICAL AND PETROL-CHEMICAL INDUSTRY IN GEORGIA**	**107**
Nanuli Arevadze **SOME ASPECTS OF FERROUS AND NON-FERROUS METALLURGICAL INDUSTRY DEVELOPMENT IN GEORGIA**	**109**
Nanuli Arevadze **TIMBER WOODWORKING AND PULP-PAPER INDUSTRY OF GEORGIA: REALITY AND POSSIBILITIES**	**113**
Nanuli Arevadze **THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF CONSTRUCTION MATERIALS INDUSTRY IN GEORGIA**	**116**
Nanuli Arevadze **LIGHT INDUSTRY OF GEORGIA**	**119**
Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili **SOME ASPECTS OF FOOD INDUSTRY DEVELOPMENT OF GEORGIA**	**121**
George Bregvadze **CONSTRUCTION SECTOR DEVELOPMENT IN GEORGIA**	**125**
Roland Sarchimelia **PROBLEMS OF SCIENCE ECONOMY IN GEORGIA**	**127**

PROBLEM 5. REGIONAL PROBLEMS OF NATIONAL ECONOMIC DEVELOPMENT	
Vakhtang Burduli **PROBLEMS OF REGIONAL DEVELOPMENT**	**135**
PROBLEM 6. BUSINESS DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA	
George Berulava, Teimuraz Gogokhia **THE ENHANCEMENT OF THE COMPETITIVENESS OF HUMAN RESOURCES AND BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA**	**166**
Eter Kakulia **REGULARITIES OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA**	**174**
Marine Tsutskiridze **THE DEVELOPMENT OF BUSINESS ORGANIZATION SYSTEM AND ITS SECTORAL ASPECTS**	**186**
Tea Lazarashvili, Medea Melashvili **PECULIARITIES OF STATE ENTERPRISE MANAGEMENT IN GEORGIA AND THE WAYS TO INCREASE EFFICIENCY**	**190**
PROBLEM 7. PROBLEMS OF FINANCIAL SYSTEM DEVELOPMENT IN GEORGIA	
Tea Lazarashvili, Medea Melashvili **PECULIARITIES OF FINANCIAL SYSTEM IN GEORGIA**	**195**
Tinatin Kurdadze **THE ISSUE OF TAX SYSTEM IMPROVEMENT**	**202**
George Sigua **FUNDAMENTAL FACTORS OF WORLD FINANCIAL CRISIS**	**207**
PROBLEM 8. INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS AND GLOBALIZATION	
Iza Natelauri, Tamar Tapladze **GEORGIAN FOREIGN TRADE IN TAX BALANCE SYSTEM**	**210**
Roland Sarchimelia **THE POSSIBILITIES OF FOREIGN TRADE OF GEORGIA**	**214**
Ramaz Abesadze **GLOBALIZATION AND SOME ASPECTS OF ITS IMPACT ON NATIONAL ECONOMY**	**219**
PROBLEM 9. PROBLEMS OF RURAL ECONOMY DEVELOPMENT IN GEORGIA	
Zurab Revishvili **TRANSFORMATION OF RURAL ECONOMY**	**224**
Zurab Revishvili **SOCIAL CONDITION IN RURAL AREA**	**239**
Zurab Revishvili **THE PROBLEMS OF STATE REGULATION OF RURAL ECONOMY**	**248**
Lina Datunashvili **STRUCTURAL CHANGES IN GEORGIAN AGRICULTURE**	**258**
Lina Datunashvili **THE PROBLEMS OF ANNUAL CULTURES PRODUCTION IN GEORGIA**	**262**
Lina Datunashvili **THE PROBLEMS OF FRUIT-GROWING DEVELOPMENT IN GEORGIA**	**269**
Lina Datunashvili **THE PROBLEMS OF CITRUS-GROWING DEVELOPMENT IN GEORGIA**	**275**
Lina Datunashvili **POSSIBILITIES TO OVERCOME THE CRISIS IN TEA-GROWING AND FURTHER DEVELOPMENT OF THE SECTOR**	**279**
Lina Datunashvili **THE PROBLEMS OF WINE-GROWING DEVELOPMENT IN GEORGIA**	**282**
Lina Datunashvili **THE PROBLEMS OF CATTLE-BREEDING DEVELOPMENT IN GEORGIA**	**284**
Tengiz Kavtaradze **THE PROBLEMS OF PRICING AND PROFITABILITY IN CATTLE-BREEDING**	**288**
PROBLEM 10. PROBLEMS OF SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT IN GEORGIA	
Mamuka Khuskivadze, Zurab Nozadze **CURRENT STATE OF SUSTAINABLE DEVELOPMENT IN GEORGIA**	**299**
Tina Chkheidze **ECONOMIC PROBLEMS OF USE AND PROTECTION OF NATURAL RESOURCES IN GEORGIA**	**306**

Lia Dvalishvili **PROTECTION OF ATMOSPHERE – ONE OF THE PROBLEMS OF ENVIRONMENTAL PROTECTION IN GEORGIA**	**317**
PROBLEM 11. THEORETICAL PROBLEMS OF FORMATION OF EUROINTEGRATION AND INNOVATIVE ECONOMY AND CHALLENGES OF GEORGIAN ECONOMY	
Alfred Kuratashvili **THEORETICAL PROBLEMS OF EUROPEAN INTEGRATION**	**325**
Revaz Javakhishvili **EUROPEAN INTEGRATION REQUIREMENTS AND CHALLENGES OF THE GEORGIAN ECONOMY**	**329**
Nata Davlasheridze **INDICATORS AND INDICES OF INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE EUROPEAN UNION**	**341**
Ramaz Abesadze **INNOVATIONS AND GENERAL DIRECTIONS OF FORMATION OF INNOVATIVE ECONOMY IN GEORGIA**	**344**
OTHER SCIENTIFIC WORKS	
Tengiz Apkhazava, Ketevan Goletiani **EUROPA-AZIAN NEW VEHICLE INITIATIVE (NELTI)**	**349**
Rati Abuladze, Pikria Tsotskolauri **SOCIAL COMMERCE DEVELOPMENT PROBLEMS AND PROSPECTS IN GEORGIA**	**353**
Paata Aroshidze **OLYMPIC GAMES: INCOME AND EXPENSES (ARE THE OLYMPIC GAMES PROFITABLE FOR ALL CONDUCTING?)**	**357**
Giorgi Asatiani **THE PRINCIPLES OF TAX CONTROL EFFICIENCY GROWTH**	**360**
David Aslanishvili **ECONOMIC GROWTH AND ENERGY SUPPLY**	**363**
Nana Akhalaia **THE BIRTH-RATE ON THE BOUND OF THE XX-XIX CENTURIES**	**366**
Nona Akhvlediani **STATISTICAL SYSTEM OF INDICATORS OF INVESTMENT ATTRACTIVENESS OF IMERETI REGION**	**369**
Lia Bibilashvili **ENERGY COMPLEX OF GEORGIA: CURRENT STATE AND PERSPECTIVES**	**372**
Tamazi Gamsakhurdia, Teimuraz Pestvenidze **THE ROLE OF MANAGEMENT IN THE USE OF NATURAL RESOURCES**	**375**
Maia Gelashvili **THE ROLE AND AIM OF FINANCIAL POLICY**	**379**
ShalvaGogiashvili, Slava Fetelava **UNFAIR COMPETITION**	**380**
Maia Gogokhia **MONETARY THEORY AND MONETARY MECHANISM**	**383**
Teona Grigolashvili **OPEN MARKET OPERATIONS AS MAIN TOOL OF MONETARY POLICY**	**386**
Leila Dolidze, George Tsaava **FEATURES OF ASSESSING THE CREDITWORTHINESS OF LARGE, MEDIUM, SMALL BUSINESS ENTERPRISES AND INDIVIDUALS**	**388**
Jandri Zarandia **KEY MACROECONOMIC INDICATORS OF SWISS CONFEDERATION AND GEORGIA**	**401**
Vazha Kakabadze, Nana Maisuradze **COMPETITIVENESS MANAGEMENT ALGORITHM**	**407**
Nato Kakashvili, Khatuna Barbakadze **INSURANCE INTERMEDIARIES**	**411**
Ketevan Kitsmarishvili **MEANING OF INNOVATIVE STRATEGY AND DEVELOPMENT**	**414**
Ketevan Kitsmarishvili **PLANNING, REALIZATION AND SUPPORT OF CHANGES IN THE WORK**	**416**
Elguja Konjaria **FINANCIAL RISK AS ONE OF THE OBJECT OF RULING**	**420**

Zurab Lipartia, Rusudan Kutateladze **VOCATIONAL EDUCATION AND CERTIFICATION REGULATION MECHANISM OF ACCOUNTANT (AUDITOR) IN GEORGIA**	**423**
Marina Maisuradze **ON PENSION PROVISION PROGRAMS AT THE CURRENT STAGE**	**427**
Rezo Manvelidze, Nino Tchilaia **TRANSFER OF OWNERSHIP AND ITS ECONOMIC PHENOMENON**	**430**
Ani Megrelishvili **MACROECONOMIC REVIEW OF EXPORT POTENTIAL OF GEORGIA**	**433**
Elguja Menabdishvili, Nana Menabdishvili **THE DEMOGRAPHIC CONDITION OF GEORGIA IN 2012-2014 YEARS**	**436**
Lela Menabdishvili **THE SOCIAL ECONOMICAL REASONS OF DELAYED MARRIAGE**	**439**
David Meskhi **TENDENCIES OF FORMATION AND DEVELOPMENT OF MOBILE COMMUNICATION IN GEORGIA**	**443**
Babulia (Dodo) Mghebrishvili **FUNCTIONS OF TOURISM MARKETING**	**449**
Ramaz Namicheishvili **DEGENERATION OF HIGHER ECONOMIC THINKING OR TRAFFICKING OF EDUCATION**	**451**
Eter Narimanishvili **THE KEY FACTORS OF AGRICULTURAL PRODUCTION ECONOMY SUSTAINABILITY**	**455**
Ilia (Aziko) Sisvadze **SPENDING CONCEPTION OF KNOWLEDGE VALUE ESTIMATION**	**457**
Khatia Udesiani **ANALYSIS OF THE 2016 STATE BUDGET OF GEORGIA**	**465**
Ramaz Putkaradze **REGARDING PRESSING ISSUES OF FOREIGN TRADE OF GEORGIA**	**468**
Lamara Kokiauri **DEFINITION OF FAMILY FARMING FINANCING**	**472**
Khatuna Shalamberidze **METHODOLOGICAL ISSUES OF EVALUATION OF TOURIST CONSUMPTION REGIONAL VALUE**	**478**
Asmat Shamugia **THE MODERN LABOR MARKET AND UNEMPLOYMENT IN GEORGIA**	**481**
Lyudmila Shimanovskaya-Dianich, Badri Gechbaia, Timur Ischeikin **CATEGORICAL APPARATUS OF CREATIVE MANAGEMENT**	**485**
Nana Shonia, Mikheil Chakaberia **CHARACTERISTICS OF BUSINESS INSURANCE IN GEORGIA**	**489**
Mikheil Chikviladze **GEORGIAN ECONOMIC PROBLEMS AND THE WAYS OF SOLVING THEM**	**491**
Elene Chikovani **ABOUT OBLIGATIONS OF GEORGIA IN THE FIELD OF OCCUPATIONAL SAFETY IN LINE OF THE ASSOCIATION AGREEMENT BETWEEN GEORGIA AND EUROPEAN UNION**	**493**
Zurab Tsereteli **INFLUENCE OF ECONOMIC INEQUALITY ON STABILITY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY AND ON THE ECONOMIC GROWTH OF PROSPECTS**	**499**
Boris Chichinadze **THE DEVELOPMENT PROBLEMS OF SELF-GOVERNMENT INSTITUTIONS IN GEORGIA AND FUTURE PERSPECTIVES**	**503**
David Khazhomia **ECONOMIC POLITICS IN REGIONS, SOLUTION OF THE PROBLEM THROUGH THE LOGISTIC APPROACH**	**508**
Giorgi Kharshiladze **GLOBAL PERSPECTIVE OF GEORGIAN ECONOMY: CHALLENGES, PROBLEMS AND PERSPECTIVES**	**512**
Lali Khurtsia **INVESTMENT INVIRONMENT AND EDUCATION IN GEORGIA**	**515**
Lali Khurtsia **PERRSPECTIVES OF ECONOMIC INTEGRATION OF DISABLED PERSONS**	**518**
AUTHORS	**525**

დაიბეჭდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

გამოსაცემად მომზადდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობაში
თბილისი, გ. ქიქოძის № 14
99 68 53, 93 22 60
ელ-ფოსტა: economics_institute@yahoo.com

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
2016

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0128

t. 995 (32) 2251432, 995 (32) 2252736

www.press.tsu.ge